ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ეთნოლოგიის ქრესტომათია

შემდგენელი
პროფ. სოსო ფანტურიშვილი

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი — 1997

63.5
9 (100)
Ď 416

„ეთნოლოგიის ქრესტომათიაში" თავმოყრილია ანტიკური ხანის, შუა საუკუნეების, ახალი და თანამედროვე დროის ეთნოლოგთა ძირითადი ნაშრომები — ნაწყვეტების ან მთლიანი თხზულებების სახით. წიგნის დანიშნულებაა მკითხველს გააცნოს ამ იეტორთა ეთნოლოგიური შეხედულებანი და, ამასთანავე, წარმოადგინოს მსოფლიო ეთნოლოგიური მეცნიერების განვითარების მაგისტრალური ხაზი. ქრესტომათიაში თავმოყრილია დასავლეთევროპელ, ამერიკელ, რუს და ქართველ ეთნოლოგთა ნაშრომები ან ამ ნაშრომთა ნაწყვეტები — სულ 31 ავტორის 32 ნაშრომი. თითოეულ ნაშრომს უძღვის ავტორის ბიოგრაფია, მისი უმთავრესი შრომების დასახელება და მიმოხილვა, ქრესტომათიაში წარმოდგენილი ნაშრომის მნიშვნელობის დაზუსტება, ავტორის შესახებ ლიტერატურის ბიბლიოგრაფია. ქრესტომათიაში შესული ზოგიერთი ნაშრომი არათუ ქართულ, არამედ რუსულ ენაზეც არ მოიპოვება. მათი ქართული თარგმანები გერმანული, ინგლისური და ფრანგული ენებიდან სპეციალურად მომზადდა ამ გამოცემისათვის.

მსგავსი შედგენილობის წიგნი არც ქართულ და არც სხვა ენებზე არ არსებობს. იგი, ავტორის მიერ 1993 წელს გამოცემულ „ეთნოლოგიასთან" ერთად, მყარ საფუძველს ქმნის ეთნოლოგიური ცოდნის დაუფლებისათვის.

წიგნი განკუთვნილია ისტორიით, სოციოლოგიით, ფილოსოფიით, ზოგადად — ჰუმანიტარული მეცნიერებით დაინტერესებული მკითხველი საზოგადოების და, პირველ რიგში, შესაბამისი სპეციალობის სტუდენტი ახალგაზრდობისათვის.

რედაქტორი ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე
რეცენზენტი ნ. ზ ო ზ ი ტ ა შ ვ ი ლ ი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1997

0501000000
Ď ——————
608(06)—97
63.5

წინასიტყვაობა

„ეთნოლოგიის ქრესტომათიის“ მიზანია წარმოადგინოს, ნაწყვეტების ან მთლიანი თხზულებების სახით, უმთავრესი ნაშრომები, რომლებიც ეთნოლოგიაში შექმნილა ანტიკური ხანიდან ჩვენს დრომდე. ძველ ბერძენ-რომაელ და ევროპელ, მათ შორის რუს ავტორებთან ერთად, ქრესტომათიაში შესულია ქართველ ავტორთა შრომებიც. წიგნის დანიშნულებაა ეთნოლოგიაში დაგროვილი ცოდნის გაცნობა ქართველი მკითხველისათვის.

პირველ რიგში იგი გამიზნულია ეთნოლოგიის სპეციალობის სტუდენტებისათვის. ისინი ქრესტომათიაში წარმოდგენილი მასალის მიხედვით, უშუალოდ გაეცნობიან (ცხადია, თარგმანში) იმ შრომებს, რომლებიც მათ სპეციალობაში შექმნილა და რომლებზეც დამყარებულია ეთნოლოგიის მეცნიერება, ე. ი. ის დარგი, რომელიც მათი შესწავლის ძირითადი საგანია.

სამწუხაროდ, ქართულ ენაზე სამეცნიერო ნაშრომთა ქრესტომათიის შედგენის და გამოცემის ტრადიცია თითქმის არ არსებობს. ერთადერთი გამონაკლისია ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის წყაროების ქრესტომათიის ორი გამოცემა; მისი განხორციელება განაპირობა თვითონ ამ დარგის — აღმოსავლეთმცოდნეობის მაღალმა მეცნიერულმა დონემ საქართველოში, ერთი მხრივ, და ქართველი ხალხის ისტორიის მჭიდრო კავშირმა ძველი აღმოსავლეთის ხალხების ისტორიასთან, მეორე მხრივ. ასევე მრავალმხრივ სანიმუშოა, თუმცა მაინც შედარებით შეზღუდული მიზანდასახულებისაა აკად. გ. წერეთლის „არაბული ქრესტომათია“, რომელზედაც ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთა მრავალი თაობა აღიზარდა.

სამეცნიერო ქრესტომათიათა სწორედ ამ რიგში დგას წინამდებარე „ეთნოლოგიის ქრესტომათიაც“, რომელსაც, ცხადია, სპეციფიკური აგებულება, მიზანი და დანიშნულება გააჩნია.

ქრესტომათიაში მასალა დალაგებულია ქრონოლოგიური პრინციპით. ქრონოლოგიის საფუძვლად აღებულია ამა თუ იმ ავტორის მოღვაწეობის დრო. მთელი მასალა დაყოფილია სამ მონაკვეთად — ანტიკური ხანის, შუა საუკუნეების და XIX და XX საუკუნეების ეთნოლოგიად.

წიგნში წარმოდგენილ თითოეულ ნაშრომს უძღვის შესავალი, რომელშიც მოცემულია ავტორის ბიოგრაფია, მისი უმთავრესი ეთნოლოგიური შრომების დასახელება და მნიშვნელობის აღნიშვნა, ქრესტომათიაში შესული ნაშრომის დახასიათება და მიმოხილვა, ბიბლიოგრაფია, რომელშიც მითითებულია ავტორის უმთავრესი ნაშრომის ან ნაშრომების გამოცემები და ლიტერატურა ავტორის და მისი მეცნიერული შემოქმედების შესახებ.

ცხადია, ყველა დასახელებული მონაცემი ყოველთვის სასურველი სისრულით არაა წარმოდგენილი — ზოგის შესახებ მეტი ცნობებია შემონახული ან ცნობილი და მასალაც მეტია, ზოგის შესახებ ნაკლები, ხოლო ზოგის შესა-

ხებ (მაგალითად, XIV საუკუნის ანონიმ ქართველ ისტორიკოს ყამთააღმწერელზე) არავითარი ცნობები არ გაგვაჩნია. შესაბამისად, შესავალი ნარკვევებიც სხვადასხვა მოცულობისაა.

ქრესტომათიაში წარმოდგენილ ნაშრომთა ერთი წყება — ანტიკური და შუა საუკუნეების ავტორთა თხზულებანი, თვითონ წარმოადგენენ წყაროს თანამედროვე ეთნოლოგიური გამოკვლევებისათვის; ხოლო ახალი დროის — XIX და XX საუკუნეების კლასიკური ეთნოლოგიური გამოკვლევები დამყარებულია, ძირითადად, საველე ექსპედიციების გზით მოპოვებულ ეთნოლოგიურ მასალებზე.

ქრესტომათიაში შესულია 31 ავტორის თითო, შემდგენლის თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანი თხზულება. გამონაკლისია ბრ. მალინოვსკი, რომლის მეტად მრავალფეროვანი და მრავალმხრივი მეცნიერული შემოქმედების უკეთ აღცნობის მიზნით, ინგლისურ ენაზე გამოცემული მისი ორი სხვადასხვა წიგნიდან, აქ ქვეყნდება თითო თავის თარგმანი.

გასაგები მიზეზების გამო, ნაშრომთა უმრავლესობა წარმოდგენილია ნაწყვეტების ან თითო ნაწყვეტის სახით; თუმცა, შვიდი ავტორი როგორც ძველი, ისე ახალი დროისა (ჰიპოკრატე, ტაციტუსი, დ. ანუჩინი, გ. ჩიტაია, ს. მაკალათია, ტ. ჰეიერდალი, კ. ლევი-სტროსი), შერჩეული ნაშრომების მოცულობიდან გამომდინარე, წარმოდგენილია მთლიანი თხზულებებით.

ქრესტომათიაში შესული ოთხი ქართველი ავტორიდანაც ორის (ყამთააღმწერელი, ვახუშტი ბაგრატიონი) თხზულებები ნაწყვეტებითაა მოცემული, ხოლო ორის — პროფ. ს. მაკალათიას და აკად. გ. ჩიტაიას ნაშრომები — მთლიანი სახით. ვფიქრობთ, ეს ნაშრომები კარგად წარმოაჩენენ როგორც ამ ავტორების წვლილს ქართულ ეთნოლოგიურ მეცნიერებაში, ისე ქართული ეთნოლოგიური სკოლის მეცნიერულ დონეს.

გარდა იმისა, რომ ქრესტომათიაში წარმოდგენილ ნაშრომთა შერჩევა განპირობებული იყო გარკვეული პრინციპებით (ნაშრომის მეცნიერული დონე, მისი მნიშვნელობა ეთნოლოგიის განვითარებაში ან როგორც პირველხარისხოვანი წყარო ეთნოლოგიური გამოკვლევებისათვის და სხვ.), რომელიმე ავტორის მთლიანი, დასრულებული, ცალკე და დამოუკიდებელი ნაშრომიდანაც წარმოდგენილი ნაწყვეტი გარკვეული პრინციპით შეირჩეოდა. კერძოდ, მთლიანი შრომიდან აღებულია ისეთი ნაწყვეტი, რომელშიც, ერთი მხრივ, უკეთ ჩანს ავტორის პოზიცია, მისი დამსახურება და წვლილი ამ საკითხის კვლევაში, და, მეორე მხრივ, თვითონ საკითხის მნიშვნელობა ეთნოლოგიის განვითარებისათვის. მაგალითად, ლ. მორგანის (1818—1881) „იროკეზული გვარი" ან „უძველესი ოჯახი" მისი წიგნიდან „ძველი საზოგადოება" („Ancient Society", NewYork, 1878). როგორც ცნობილია, ლ. მორგანმა თავის დროზე (XIX საუკუნის შუა ხანებში) ისე საფუძვლიანად შეისწავლა ამერიკელი აბორიგენების იროკეზების გვარი, რომ დღემდე ყველაზე სრულ და ყოვლისმომცველ ნაშრომად ითვლება ამ დარგში, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ამ გვარის შესწავლის შედეგად მის მიერ მიღებული დასკვნები და განზოგადებანი ამოსავალი გახდა შემდეგში სხვა აბორიგენი და ნაკლებად განვითარებული (თანამედროვე ცივილიზაციის პოზიციებიდან) ხალხების ეთნოლოგიური თვალსაზრისით შესწავლისათვის. ოგივე ითქმის ლ. მორგანის წიგნის მეორე ნაწყვეტის — „უძველესი ოჯახის შესახებ" — ოჯახის კლასიფიკაცია პირველად ლ. მორგანის მიერ წარმოდგენილი, შემდეგშიც, თითქმის უცვლელი სახით საფუძვლად დაედო ოჯახის საყოველთაოდ მიღებულ კლასიფიკაციებს.

მეორე მაგალითი. ფრ. ენგელსის მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში კლასიკურ ნაშრომად მიჩნეული წიგნიდან „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა“, ქრესტომათიაში შეირჩა თავი „ბერძნული გვარი“. ამ თავს ფრ. ენგელსის წიგნში უძღვის სხვა თავი — „ირიკეზული გვარი“, რომლის შესახებ ქრესტომათიაში ლ. მორგანის ნაშრომია ჩართული და ფრ. ენგელსმაც თავის ნაშრომში იგი, ძირითადად, მის მიხედვით ჩამოაყალიბა; რაც შეეხება ბერძნულ გვარს, ეს ფრ. ენგელსის სავსებით ორიგინალური გამოკვლევაა, რომელშიც მიღებული დასკვნები, დამყარებული ამ გვარისათვის დამახასიათებელ ნიშნებზე, დაედო საფუძვლად მის განზოგადოებულ შეხედულებებს კერძო საკუთრების წარმოშობის, გაცვლის, ქონებრივი უთანასწორობის, კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ, რომელიც ავტორმა ვრცლად გაშალა წიგნის მომდევნო თავებში.

ავტორის ან ნაშრომის შერჩევის ერთ-ერთ პრინციპად აღებული იყო ისიც, თუ როგორ არის ესა თუ ის კონკრეტული საკითხი სხვადასხვა ავტორთან წარმოდგენილი ან შესწავლილი. ამ შემთხვევაში მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ შედარებით უფრო შორეული წარსულიდან, კერძოდ, შუა საუკუნეების ეთნოლოგიიდან. ამ მაგალითს ის მნიშვნელობაც ექნება, რომ ანტიკური და შუა საუკუნეების ავტორთა თხზულებები და მათში წარმოდგენილი ცნობები, როგორც ზემოთ აღინიშნა, თვითონ წარმოადგენენ წყაროს შემდგომი დროის (XIX და XX სს.) ეთნოლოგიური გამოკვლევებისათვის. ავიღოთ, მაგალითად, მონღოლთა დახასიათება, როგორც ფიზიკური ტიპის, ისე მათი ყოფისა, ერთმანეთის თითქმის თანამედროვე ავტორებთან — ევროპელ პლანო კარპინთან (1182—1252) და ქართველ ქამთააღმწერელთან (XIV ს.).

პლანო კარპინი **ქამთააღმწერელი**

გარეგნობის აღწერა

„სახით ისინი (მონღოლები) ყველა სხვა ადამიანისაგან განსხვავდებიან. თვალებსა და ღაწვებს შორის მათი სახე უფრო ფართოა, ვიდრე სხვებისა, ხოლო მათი ღაწვები მეტად ყვრიმალძგლიანია. ყველას, იშვიათი გამოკლებით, თხელი ტანი აქვს და თითქმის ყველანი საშუალო სიმაღლის არიან. წვერი თითქმის სრულიად არ აქვთ, მხოლოდ ზოგიერთს ზედა ტუჩზე და ნიკაპზე რამდენიმე ბეწვი ამოდის, რომელსაც არასოდეს არ იკრეჭენ. საქოჩრეს იპარსავენ ჩვენი კლირიკოსებივ. მსგავსად, აგრეთვე ყველანი სამი თითის დადებაზე თავს იპარსავენ ერთი ყურიდან მეორემდე; ამ მოპარსულ ადგილს ცხენის ნალის ფორმა აქვს. აგრეთვე ყველანი შუბლს იპარსავენ ორი თითის დადებაზე. საქოჩრესა და ზემოხსენებულ მოპარსულ ადგილს შორის

„ხოლო იყვნეს ტანითა სრულ, გუამითა ახოვან და ძლიერ ფერჯითა, შუენიერ და სპეტაკ ჯორცითა, თუალითა მცირე ჭურიტ და გრემან, განზიდულ და საჩინო; თავითა დიდ, თმითა შავ და ჯშირ, შუბლ-ბრტყელ, ცხვრითა მდაბალ ესოდენ, რომელ ღაწუნი უმაღლეს იყვნიან ცხვირთა და მცირედნი ოდენ ნესტუნი ჩნდიან ცხვირთა; ბაგენი მცირე, კბილნი შეწყობილნი და სპეტაკ, ყოვლად უწუერული, ესევითარი აქუნდა უმსგავსო სახე“. (ქ-ცა. II. 158: 2—7).

დატოვებულ თმას კი წარბებამდე უშვებენ. დანარჩენ თმას ქალებივით იზრდიან, ორ ნაწნავს აკეთებენ და ყურების უკან იხვევენ. პატარა ფეხები აქვთ". (მსკი, 1942, ნაკ. 2, გვ. 8).

სარწმუნოება

„მათ სწამთ ერთი ღმერთი, რომელსაც ყოველი ხილულისა და უხილავის შემოქმედად სთვლიან; აგრეთვე სწამთ, რომ ის არის როგორც ნეტარების მომნიჭებელი ამქვეყნად, ისე დამსჯელი... მათ აქვთ რაღაც კერპები, რომელთაც ქეჩისაგან აკეთებენ ადამიანის მსგავსად და სადგომის შესავალთან სდგამენ ორივე მხრიდან, ამ კერპებს შიგნით რაღაცას ძუძუების მსგავსს უკეთებენ ქეჩიდანვე... სხვა კერპებს აბრეშუმის ქსოვილისაგან აკეთებენ და დიდ პატივს სცემენ...

გარდა ამისა ისინი თაყვანს სცემენ მზეს, მნათობებს, ცეცხლს, წყალს, მიწას, მუხლს იდრეკენ მათ წინაშე და საჭმელ-სასმელის პირველ ნაწილს სწირავენ" (მსკი, 1942, ნაკ. 2, გვ. 10—12).

„ამათ აქუნდათ სჯულად ერთისა ღმრთისა უკუდავისა თაყუანისცემა, პირი მზის აღმოსავლეთით ქნიან, და სამისა ჩოქისა ქნა სამჯერ თაყვანისცემა და შუა-თითის წუერისა ნებსა ზედა დადება და დატკაცუნება, და მეტი არარაჲ.

ხოლო ულურნი კერპის მსახურ იყვნეს, რომელთა ქუჯნად უჴმობდეს... ხოლო აქუნდათ წესად ერთისა ღმრთისა თაყუანისცემა, რომელსა თენგრი უწოდეს ენითა მათითა. და წიგნისა თავსა ესრეთ დასწერდეს: „მანგუ თენგრი ქუჩუნდურ", ესე არს: „უკუდავისა ღმრთისა ძალითა". (ქცა, II, გვ. 158: 19—20, 159: 19—21).

ანდა კიდევ, ვახუშტი ბატონიშვილთან წარმოდგენილი კავკასიის სხვადასხვა ხალხების და, განსაკუთრებით ქართველი ტომების ეთნოგრაფიული ყოფის და ფსიქოლოგიური წყობის აღწერისას მსგავსი სურათის გადმოცემა, კიდევ ერთხელ ადასტურებს მათ ეთნოგენეტიკურ ერთიანობას, რაც, როგორც ჩანს, ვახუშტისთვისაც ნათელი იყო.

ცხადია, ამ ცნობების ანალიზის ადგილი აქ არ არის და ეს ქრესტომათიის დანიშნულებას არც წარმოადგენს, მაგრამ არ შეიძლება ყურადღება არ მიექციოს, როგორც ცნობათა დამთხვევამ, ისე განსხვავებებმა მათ შორის ცალკეულ ნიუანსებში, რაც ავტორთა მიზანდასახულებით, გემოვნებით და ბოლოს და ბოლოს, ცოდნის დონითაა განპირობებული. ყოველ შემთხვევაში, წარმოდგენილ მაგალითზე, ვფიქრობთ კარგად ჩანს, რომ ქრესტომათიაში მოცემული ზოგიერთი მასალის შეპირისპირება და ანალიზი იძლევა მეტ-ნაკლებად სრულ სურათს რომელიმე კერძო საკითხზე და ამავე დროს, სამომავლო კვლევის გზებსაც სახავს.

ქრესტომათიაში წარმოდგენილ თხზულებათა უმრავლესობა, ანტიკური ხანის ავტორთა გამოკლებით, ქართულ ენაზე ადრე არ გამოცემული. ანტიკუ-

რი ხანის ავტორთაგანაც ტაციტუსის კლასიკური ნაწარმოები, რომლისთვისაც მას „ეთნოგრაფიის მამას“ უწოდებენ (ჰეროდოტეს ზედწოდების — „ისტორიის მამის“ ანალოგიით), ქართულ ენაზე პირველად ქვეყნდება. ესაა მისი შრომა „გერმანელების წარმოშობა და გერმანელების ადგილმდებარეობა“.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქრესტომათიაში შესული ზოგიერთი ნაშრომი არათუ ქართულ, არამედ რუსულ ენაზეც არ მოიპოვება. ასეთებია მსოფლიო ეთნოლოგიური მეცნიერების ისეთი მნიშვნელოვანი მონაპოვრები, როგორებიცაა ფრ. გრებნერის, ბრ. მალინოვსკის და მ. მოსის შრომები. მათი ქართული თარგმანები გერმანული, ინგლისური და ფრანგული ენებიდან სპეციალურად მომზადდა ამ გამოცემისათვის.

ქრესტომათიაში მოცემულ ნაშრომთა ნაწილი თავისუფალ თარგმანს წარმოადგენს. ჯერ ერთი, მათი სიტყვა-სიტყვითი თარგმანი დააძნელებდა თვით ორიგინალშიც ძნელად აღსაქმელ ტექსტს (განსაკუთრებით ეს ითქმის ე. დიურკჰეიმისა და ლევი-სტროსის შესახებ) და, მეორეც, ქრესტომათიის დანიშნულებაა სტუდენტებისათვის ავტორთა ძირითადი შეხედულებების მაქსიმალური და გასაგები ფორმით მიწოდება, რაც, ამ შემთხვევაში მხოლოდ ასეთი — თარგმანების რამდენადმე, ზომიერად გამარტივებული ფორმით გადმოცემის გზით მიიღწეოდა.

„ეთნოლოგიის ქრესტომათიის“ ანალოგი არ მოეპოვება — მსგავსი შედგენილობის წიგნი არც ქართულ და არც სხვა ენებზე არ არსებობს. ამდენად შემდგენელი გარკვეული სიძნელეების წინაშე იდგა — შეიძლება ზოგის შეხედულებით რომელიმე, ქრესტომათიაში აუცილებლად შესატანი ნაშრომი ან ავტორი გამოტოვებულია, როგორც ზოგადი, ისე ქართული ეთნოლოგიური ლიტერატურიდან. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ მსოფლიო ეთნოლოგიის განვითარების მაგისტრალური ხაზი სწორად არის წარმოდგენილი, ხოლო რომელიმე გამორჩენილი ან გამიზნულად გამოტოვებული ავტორის ნაშრომის გაცნობა სხვა გზითაც შეიძლება. ამავე დროს, მხედველობაშია მისაღები წიგნის მკაცრად განსაზღვრული მოცულობა, რომელიც ჩვენს შეჭირვებულ დროში დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ყველა ავტორის თავზე.

ამავე მიზეზით ნაშრომთა თარგმანები აქ ქვეყნდება თანმხლები სამეცნიერო აპარატის — მითითებული ლიტერატურის ან შენიშვნების გარეშე თუ ასეთები მათ ორიგინალის ენაზე მოეპოვებათ. ჯერ ერთი, მათი ქართულ თარგმანშიც წარმოდგენა გადატვირთავდა წიგნს ზედმეტი, ხშირ შემთხვევაში ქართველი მკითხველისათვის თითქმის არაფრისმთქმელი ინფორმაციით და უმეტესად ხელმიუწვდომელი, შემოკლებულად აღნიშნული ლიტერატურის დასახელებით. მეორეც, მათი უმრავლესობა (მაგალითად, ზ. ფროიდთან და ლ. შტერნბერგთან, ზოგჯერ სხვასთანაც) სადღეისოდ საბოლოოდ მოძველებულია. რაც შეეხება გამომცემელთა შენიშვნებს ან კომენტარებს, რომლებიც ანტიკურ ავტორთა თხზულებებს აქვს დართული, ისინი გამომცემელთა თვალსაზრისებს გადმოგვცემენ და გამართლება აქვთ მათ მიერ მომზადებულ პუბლიკაციებში.

„ეთნოლოგიის ქრესტომათიაში“ წარმოდგენილი მასალა ავსებს ჩვენს ლექციების კურსს (სახელმძღვანელოს) — „ეთნოლოგია“, რომელიც 1993 წელს გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. ორივე წიგნის დანიშნულებაა მყარი საფუძველი შეუქმნას ისტორიის სპეციალობის სტუდენტებს ეთნოლოგიური ცოდნის დაუფლებაში.

ცხადია, ქართული და საზღვარგარეთული ეთნოლოგიური სკოლები მხო-

ლოდ ზეშოდასახელებული ავტორებით არ შემოიფარგლება. დიდია აკად. ივ. ჯავახიშვილის ღვაწლი, როგორც ქართული და კავკასიური, ისე მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ძველი დროის ეთნოლოგიის შესწავლაში. მისი სპეციალური ნაშრომი ამ საკითხზე — „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები", ცალკე წიგნად გამოსცა, თავისივე რედაქტორობით, აკად. გ. ჩიტაიამ 1950 წელს.

სხვა, როგორც ქართველ (ვ. ბარდაველიძე, რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, ლ. ბოკორიშვილი, მ. გეგეშიძე, გ. ჩაჩაშვილი, ნ. რეხვიაშვილი და სხვ.), ისე უცხოელ ავტორთა (ა. ბასტიანი, დ. მაკ-ლენანი, ი. ლიპერტი, კ. სტარკე, გ. შურცი, უ. რივერსი, გ. როხეიმი, ა. რადკლიფ-ბრაუნი, კ. უისლერი, მ. ჰერსკოვიცი, ლ. უაიტი და სხვ.) შრომების შესახებ და მათ წვლილზე ეთნოლოგიის განვითარებაში მომავალშიც გვექნება საუბარი, თუმცა, ზოგიერთი მათგანის შესახებ „ეთნოლოგიის" სახელმძღვანელოშიც არის აღნიშნული.

ამ წიგნის შედგენა და გამოსაცემად მომზადება არ იყო ადვილი საქმე. წარმოდგენილი მასალის ერთ წიგნად თავმოყრა და გამოცემა შესაძლებელი გახდა სხვადასხვა პირის დახმარებითა და ხელშეწყობით, რისთვისაც მათ გულითად მადლობას მოვახსენებ.

ცხადია, ასეთი ფართო მიზანდასახულებისა და დიდი მოცულობის მასალის შემცველი წიგნი არ იქნება დაზღვეული ზოგიერთი ხარვეზისაგან. საქმიან შენიშვნებს და რჩევებს, მიმართულს ქრესტომათიის გაუმჯობესებისაკენ, შევდგენელი მადლობით მიიღებს.

ნაწილი I.

ანტიკური ხანის ეთნოლოგია

ჰეროდოტე

ჰეროდოტე (ძვ. წ. 484 წლის ახლო —430 წლის ახლო) — ანტიკური სამყაროს დიდი ისტორიკოსი და მწერალი, ჯერ კიდევ პლუტარქეს დროდან (I ს.) და პირველად მის მიერ „ისტორიის მამად“ აღიარებული.

ჰეროდოტე დაიბადა მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქ ჰალიკარნასში. ამ დროს ქალაქში კარიელთა ტირანია იყო. მომდევნო ხანებში, როდესაც ეს ქალაქი აღდგა უცხოელთა მმართველობის წინააღმდეგ, ბრძოლებში მონაწილეობა მიუღია ჰეროდოტესაც. მაგრამ ტირანიის წინააღმდეგ მებრძოლნი დამარცხებულან და ჰეროდოტეც იძულებული გამხდარა დაეტოვებინა მშობლიური ქალაქი, სადაც იგი, თავისი ოჯახური წარმოშობის გამო, ადგილობრივ წარჩინებულთა, ერთი მხრივ, ლიტერატორთა და მეცნიერთა, ხოლო მეორე მხრივ, უცხოელთა ტირანიის წინააღმდეგ მებრძოლთა წრეში ტრიალებდა.

ჰეროდოტე გადასულა კ. სამოსზე, სადაც ხანგრძლივად უცხოვრია და დაახლ. 455 წელს მონაწილეობა მიუღია მის მშობლიურ ქალაქში ტირანიის დამხობაში, რაც წარმატებით დასრულებულა; ჰეროდოტე კვლავ სამშობლოში დაბრუნებულა. ამ დროიდან 444 წლამდე ბევრი უმოგზაურია, მოუვლია ხმელთაშუა ზღვისა და შავი ზღვის აუზის ქვეყნები — ეგვიპტე, ფინიკია, მესოპოტამია, არაბეთი, სკვითია, კოლხიდა, თრაკია, მაკედონია, სიცილია. ამ მოგზაურობის მიზეზად ზოგი მიიჩნევს მეცნიერულ ცნობისმოყვარეობას, ზოგი — საკუთარ მიზნებს.

444 წლის ახლოს იგი ყოფილა საბერძნეთში, სადაც ათენში, ოლიმპიაში და კორინთოში წაუკითხავს თავისი თხზულების ცალკეული ადგილები, რასაც დიდი მოწონება დაუმსახურებია და აღფრთოვანებაც გამოუწვევია.

444—443 წლებში სამხრეთ იტალიაში, ქ. სიბარისის ნანგრევების მახლობლად ათენს დაუარსებია ახალშენი თურიო. სხვა ელინელებს შორის იქ ჰეროდოტეც გადასახლებულა, იგი მისი ერთ-ერთი დამაარსებელი ყოფილა. იქვე დაუსრულებია საბოლოო სახით თავისი სახელგანთქმული ნაშრომი, დღეს რომ „ისტორიის“ სახელით არის ცნობილი და იქვე გამოუქვეყნებია. ამიტომ, ზოგჯერ ჰეროდოტე ძალიკარნასელს თურიოელსაც უწოდებენ. იგი თურიოშივე გარდაიცვალა 430 წლის ახლოს (425 წლამდე).

ჰეროდოტეს ნაწარმოების ძირითადი თემაა ბერძნულ-სპარსული ომების ისტორია, მაგრამ ფაქტიურად იგი იმ დროისათვის ცნობილი, ან ამ ომთან დაკავშირებული ქვეყნების ისტორიასაც გადმოსცემს, ნაწარმოები აგებულია

კარგად მოფიქრებული გეგმის მიხედვით, რომელშიც გაბმული თხრობა ძირითად საკითხზე ხშირად არის შეწყვეტილი უამრავი სხვადასხვა ეპიზოდის ჩართვით კონფლიქტში მონაწილე სალხვინის შესახებ. „ისტორია“ დაყოფილია 9 ნაწილად და თითოეულს ეწოდება ამა თუ იმ მუზის სახელი, მათ შორის პირველია კლიო — ისტორიის მუზა.

ჰეროდოტესათვის მისი ნაწარმოების ძირითად წყაროს, მისი აღიარებით, წარმოადგენს პირადი ხილვა, დაკვირვება, დასკვნა, გამოკვლევა გამოკითხვის საშუალებით; ავრეთვე, სხვების აზრი, სხვათა მონათხრობი. ნაწარმოებიდან ისიც ჩანს, რომ მას გამოყენებული აქვს სხვა წყაროებიც — წარწერები, მისამართა გამონათქვამები, დოკუმენტები, ბერძენი პოეტების ნაწარმოებები და ცალკეული ისტორიულ-გეოგრაფიული ნაშრომები (კერძოდ, ადრეული ხანის ბერძენი ისტორიკოსების, ე. წ. ლოგოგრაფოსების ნაწარმოებები).

უამრავ სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის, სანდო ან ნახევრად ლეგენდარულ, ხოლო ზოგჯერ ლეგენდარულ ცნობებს შორის (ისტორიული, გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული...) ჩვენთვის არსებითია ის ეთნოგრაფიული ცნობები, რომლებიც ჰეროდოტეს „ისტორიაშია“ წარმოდგენილი.

თავისი თანადროული სამყაროს ნაწილები და ქვეყნები, რომელთა შესახებაც იგი მოგვითხრობს, ჰეროდოტეს აინტერესებდა იმდენად, რამდენად ისინი დასახლებული იყო ხალხებით, რომელთა ყოფა მის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა. იგი დიდ ყურადღებას უთმობს ბარბაროსი, ე. ი. არაელინი ხალხების აღწერას, მათ ყოფასა და წეს-ჩვეულებებს, მათში არსებულ ქორწინებისა და ოჯახის ფორმებს, საცხოვრებელსა და ტანსაცმელს, რელიგიას და ენას. ეთნოგრაფიულ აღწერილობებს ჰეროდოტეს ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და მიჩნეულია, რომ შედარებით მცირეა მათში უზუსტობანი, რადგან ეს ცნობები ავტორის პირადი დაკვირვების შედეგადაა მოპოვებული.

იმ ხალხების ყოფა, რომელთაც ჰეროდოტე ეცნობოდა თავისი მოგზაურობის დროს, პირველ ყოვლისა, მის ყურადღებას იპყრობდა ამ განსხვავებულობით, რაც მათ ყოფაში იყო ელინელთა ყოფასთან შედარებით. მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ ნაწყვეტი ჰეროდოტეს ცნობებიდან ეგვიპტელთა შესახებ, რომელთაც იგი თავის ნაწარმოებში დიდ ადგილს უთმობს, ისინია მისთვის ძირითადი წყარო თითქმის ყველაფრისათვის:

„ახლა ვიწყებ ეგვიპტის შესახებ დაწერილებით თხრობას—წერს ჰეროდოტე,—რადგან მას უამრავი საკვირველება ახასიათებს და იქ მოიპოვება ენით აუწერელი ნამუშევრები, რასაც ვერ ნახავთ მთელ ქვეყნიერებაზე. ამიტომაცაა, რომ მის შესახებ სხვებზე მეტი უნდა მოგითხროთ. ისევე, როგორც განსხვავებულია ეგვიპტის ცა და სხვა მდინარეებთან შედარებით განსხვავებულია ის მდინარე, რომელიც ამ ქვეყანაში მიედინება, ასევე მთელი ეგვიპტური წეს-ჩვეულებები და კანონები სხვა ადამიანების წეს-ჩვეულებებისა და კანონების საპირისპირო, მაგ., მათი ქალები ბაზრებშიაც დადიან და ყიდვა-გაყიდვასაც აწარმოებენ, ხოლო მამაკაცები სახლში სხედან და ქსოვენ. ქსოვისას სხვა ხალხები მისაქსელს ზემოთ ადებენ, ხოლო ეგვიპტელები ქვემოთ. მამაკაცებს ტვირთი თავით დააქვთ, ხოლო დედაკაცებს ზურგით. ქალები შარდავენ გამართულები (ფეხზე მდგომარენი), ხოლო მამაკაცები დაცუცქულები. და ამას იმით ხსნიან, რომ სამარცხვინო, თუნდაც აუცილებელი რამ უნდა ვაკეთდეს დაფარულად, ხოლო არასამარცხვინო აშკარად... ვაჟიშვილები ხულაც არ არიან ვალდებულები, თუკი არ სურთ, რომ არჩინონ მშობლები, ხოლო ქალიშვილები მაშინაც კი ვალდებუ-

ლები არიან, როდესაც არ ხურთ მშობლებზე ზრუნვა“ (II,85) (აკად. თ. ყაუხჩიშვილის თარგმანი).

საერთოდ ითვლება, რომ ჰეროდოტეს საინტერესო ეთნოგრაფიული ნარკვევია ის ცნობები, რომლებიც მას სკვითების შესახებ აქვს წარმოდგენილი. იგი თავდაპირველად აღწერს სკვითების გეოგრაფიულ პირობებს; შემდეგ მოგვითხრობს ამ ქვეყნის ღმერთებზე და ასახელებს მათ სკვითური სახელების მიხედვით, წეს-ჩვეულებებზე, მსხვერპლშეწირვებსა და მონობაზე, სამხედრო საქმეზე, მკურნალობის წესებზე, დამნაშავეთა დასჯაზე, დაკრძალვის წესებზე.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჰეროდოტეს ბევრი ცნობა, როგორც აქ, ისე სხვა ხალხების ეთნოგრაფიული ყოფის შესახებ, თანამედროვე არქეოლოგიური გამოკვლევებითაც დასტურდება.

ჩვენთვის, ცხადია, განსაკუთრებით საინტერესოა ის ეთნოგრაფიული ცნობები, რომლებიც ჰეროდოტეს კოლხების და სხვა ქართველი ტომების შესახებ მოეპოვება; ესეთია, მაგალითად, მისი ცნობა იმის შესახებ, რომ კავკასიონის მთებში ბევრი ტომი ცხოვრობს. ისინი იკვებებიან ტყის გარეული მცენარეებით. ამ ხეების ფოთლებს ნაყავენ, წყალს ურევენ, და ამგვარი ხაღებავებით ხატავენ ტანსაცმელს. ეს ნახატი იმდენად გამძლეა, რომ სულ არ ხუნდება და მასალასთან ერთად ცვდება. ცხადია, რომ ამ ცნობების ანალიზით, მთიელ ტომთა შორის ხაკმაოდ მაღალი ყოფილა წარმოება-ხელოსნობის (ქსოვა, ღებვა, ხატვა, მცენარეული ხაღებავის დამზადება და სხვა) ზოგიერთი დარგის დონე. ჰეროდოტე იმასაც აღნიშნავს, რომ მთიელებს სქესობრივი კავშირი ისევე აშკარად და ხაჯაროდ აქვთ, როგორც ცხოველებს. მისი ეს ცნობა, როგორც ჩანს, იმავე რიგისაა, რომელიც ქსენოფონტის „ანაბასისშია“ მოხინიკების შესახებ, სადაც აღწერილია რელიგიური დღესასწაული სქესობრივი აქტის ინსცენირებით, ან მთიელთა ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული „ადრეკილაჲ“, რომელიც ფალოსის კულტს უკავშირდება და სხვ.

ჰეროდოტეს მიხედვით, კოლხთა და მაკრონთა შორის წინადაცვეთის წესი არსებობს. მაკრონებმა ეს კოლხებისაგან ისწავლეს, ხოლო კოლხები, ეგვიპტელები და ეთიოპელები ამ წესს ფმთავითვე მისდევდნენ („ეგვიპტელებს სარცხვინელი წინდაცვეთილი აქვთ სისუფთავის გულისთვის“, II,37). მისივე ცნობით, ხელს კოლხები და ეგვიპტელები ერთნაირად ამუშავებენ, ხოლო კოლხურ ხელს ეგვიპტელები სარდიონულს უწოდებენ. თვით კოლხები შესახედავად შავგვრემანები და ხუჭუჭთმიანები არიან და სხვა.

ქრესტომათიაში წარმოდგენილია ნაწყვეტები ჰეროდოტეს „ისტორიიდან“ აკად. თ. ყაუხჩიშვილისეული გამოცემის მიხედვით.

ბიბლიოგრაფია

1) Геродот, История в девяти книгах. Перевод и примечания Г. А. Стратановского, под общей редакцией С. Л. Утченко, Л., 1972.

2) ჰეროდოტე, ისტორია, ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო თინათინ ყაუხჩიშვილმა, ტ. I, თბ., 1975, ტ. II, თბ., 1978.

ლიტერატურა

1) Лурье С. Я., Геродот, М-Л., 1947.

2) Бузескул В., Введение в историю Греции, 1915, გვ. 57—82.

3) თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1960.

4) Рыбаков Б. А., Геродотова Скифия. Историко-географический анализ, М., 1979.

ისტორია*

წიგნი II

(103). მან (სესოსტრისმა) ეს გააკეთა და გადაიარა ხმელეთი, ვიდრე აზიიდან ევროპაში არ გადავიდა და დაიმორჩილა სკვითები და თრაკიელები. მე ვფიქრობ, რომ ის უშორესი ადგილი, სანამდეც მივიდა ეგვიპტელთა ლაშქარი, სწორედ აქ იყო, რადგან ამათ ქვეყანაში კიდევ ჩანს მათ მიერ დაყენებული სვეტები, ხოლო ამათზე უფრო შორს კი აღარ არის. აქედან შემობრუნდა და უკან წავიდა. შემდეგ კი მდინარე ფასისთან იყო. მე არ შემიძლია დაბეჯითებით იმის თქმა, რომ ამ ადგილს თვით მეფე სესოსტრისმა გამოჰყო თავისი ლაშქრის რაღაცა ნაწილი და დატოვა აქ, ამ ქვეყნის მცხოვრებლად, ან კიდევ იმისი, რომ ზოგიერთი ჯარისკაცთაგანი, გადაღლილი ხეტიალით, დარჩა მდინარე ფასისთან.

(104). მაგრამ ცხადია, რომ კოლხები ეგვიპტელები არიან. ამას მე თვითონ მივხვდი იმაზე უწინ, ვიდრე სხვათაგან მოვისმენდი და. ისე ვიტყოდი. და რადგანაც ამას ვფიქრობდი, შევეკითხე ორივეს, კოლხებს უკეთ ახსოვდათ ეგვიპტელები, ვიდრე ეგვიპტელებს კოლხები. ვგვიპტელები ამბობენ, რომ მათი აზრით სესოსტრისის ლაშქრიდან არიან კოლხები და მე თვითონაც ასევე მეჩვენებოდა, რადგან კოლხები შავგვრემანები არიან და ხუჭუჭთმიანები (მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, რადგან სხვებიც არიან ასეთები), მაგრამ ამასთანავე და უფრო მეტად ამას მოწმობს ის, რომ ყველა ხალხთაგან მხოლოდ კოლხები, ეგვიპტელები და ეთიოპელები არიან, რომლებიც თავიდანვე აწარმოებენ წინადაცვეთას. ხოლო ფინიკიელებმა და იმ სირიელებმა, რომლებიც პალესტინაში არიან, როგორც თვითონაც ამბობენ, ეგვიპტელთაგან ისწავლეს, ხოლო სირიელები, რომლებიც მდინარე თერმოდონტთან და პართენიოსთან ცხოვრობენ, და მაკრონები, რომლებიც მათი მეზობლები არიან, ამბობენ, რომ კოლხთაგან ისწავლეს ეს ახლახან. მხოლოდ ესენი არიან ის ადამიანები, რომლებიც წინადაცვეთას ახდენენ და ჩანს, რომ ესენიც ეგვიპტელების მსგავსად აკეთებენ ამას, ხოლო ეგვიპტელთა და ეთიოპელთა შესახებ არ შემიძლია ვთქვა, თუ რომელმა ისწავლა ამ ორს შორის მეორისაგან. რაღაცა ძალიან ძველი ჩანს ორივეგან. ხოლო იმის დიდ საბუთად, რომ ხალხმა ეს ეგვიპტელთაგან ისწავლა მათთან შერევის საფუძველზე, მეჩვენება შემდეგი: ის ფინიკიელები, რომლებიც ელადასთან ურთიერთობაში არიან, აღარ ბაძავენ ეგვიპტელებს იმ საქმეებში, რაც სარცხვენელს ეხება და შვილების წინადაცვეთას აღარ ეწევიან.

(105). კიდევ სხვა რამის თქმა შემიძლია კოლხების შესახებ, რითიც ისინი

---

* წიგნიდან: ჰ ე რ ო დ ო ტ ე, ისტორია. ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო თინათინ უ ა ე ბ ჩ ი შ ვ ი ლ მ ა, ტ. I, თბ., 1975, გვ. 155, 156, 226, 227.

ეგვიპტელების მსგავსნი არიან. მხოლოდ კოლხები და ეგვიპტელები ამუშავებენ ფილს ერთნაირად; მთელი ცხოვრება და ენა მსგავსი აქვთ ერთმანეთის, კოლხურ სელს ელინები სარდონულს უწოდებენ, ეგვიპტიდან შემოსულს კი — ეგვიპტურს.

ᲬᲘᲒᲜᲘ III

[...] (97). აი, ესენი იყვნენ დარიოსის მიერ დაწესებული საგამგებლოები და მათზე დაკისრებული ხარკი. მხოლოდ სპარსეთის ქვეყანა არ მომიხსენებია დახარკულთა შორის, რადგანაც სპარსელებით დასახლებული ქვეყანა დაუხარკავი დარჩა. შემდეგ ხალხებს ხარკი არ ჰქონდათ დაწესებული, მაგრამ საჩუქრები კი მიჰქონდათ. ესენი იყვნენ ის ეთიოპელები, რომლებიც ეგვიპტის მეზობლები არიან და რომლებიც კამბისესმა დაიმორჩილა მაშინ, დიეგრძელ ეთიოპელებზე რომ ილაშქრა. ესენი წმინდა ნისესთან ცხოვრობენ და უწყობენ დიესასწაულს დიონისეს. ეს ეთიოპელები და მათი მეზობლები ხმარობენ იმავე თესლს, რომელსაც კალანტიელი ინდები, ხოლო საცხოვრებლად აქვთ შიუურები. ესენი, ორივენი, ყოველ მესამე წელს იხდიდნენ და ჩვენს დრომდე იხდიან ორ ქოდინქს. ბუნებრივ ოქროს, 200 ძირ შაგ ხეს, ხუთ ეთიოპელ ყრმას და სპილოს 20 დიდ ეშვს. კოლხებმაც დაიწესეს საჩუქრები და ასევე მათმა მეზობლებმაც ვიდრე კავკასიის მთებამდე (რადგან ამ მთებამდე ვრცელდებოდა სპარსეთის მმართველობა, ხოლო კავკასიიდან ჩრდილოეთისაკენ მდებარე ქვეყნებს არაფერი უნდათ იცოდნენ სპარსელებისა), ამათ საჩუქრად დაიწესეს და ეს გრძელდებოდა ჩვენს დრომდე, რომ ყოველ მეხუთე წელს გადაიხადონ 100 ყრმა და 100 ქალწული. არაბები 1000 ტალანტ გუნდრუკს იხდიდნენ ყოველწლიურად. ესაა საჩუქრები, რომელსაც ღებულობს მეფე ხარკს გარდა.

ᲬᲘᲒᲜᲘ VII

[...](61)*. ხოლო მოლაშქრენი იყვნენ სპარსელები, რომლებიც ასე იყვნენ აღჭურვილნი: თავზე ეხურათ ეგრეთ წოდებული ტიარები, რომლებიც არამკვრივი ნაბდისა იყო, ტანზე ეცვათ ჭრელი, სახელოებიანი ქიტონები... და თეზის ქერცლის მსგავსი რკინის აბჯარი და ტოტებგანიერი შარვლები. ხოლო ფარების მაგივრად ეჭირათ მოწნული მრგვალი ლასტები, რომლის ქვემოთაც ეკიდათ კაპარშები, მოკლე შუბები, დიდი მშვილდები და ლერწმის ისრები. ამას გარდა მარჯვენა გვერდზე ეკიდათ სარტყელში ჩატანებული ხანჯლები. ისინი მოიყვანა მათმა გამგებელმა ოტანესმა, რომელიც ქსერქსესის მეუღლის, ამესტრისის მამა იყო. ძველად მათ ელინები კეფენებს უწოდებდნენ, მაშინ როდესაც თვითონ თავის თავს არტეებს ეძახდნენ. ისევე როგორც მათ ირგვლივ მცხოვრებლებიც მათ ასე უწოდებდნენ. როდესაც პერსევსი, დანაესი და ზევსის შვილი მივიდა ბელოსის შვილთან, კეფევსთან და მისი ასული ანდრომედე შეირთო, ქალს მისგან შეეძინა შვილი, რომელსაც სახელად პერსესი დაარქვეს. პერსევსმა ეს ბავშვი აქ დატოვა. მოხდა ისე, რომ კეფევსს ვაჟიშვილი არა ჰყავდა. ამიტომ ამ პერსესისაგან მიიღეს სახელი ამ ადგილის მცხოვრებლებმა.

(62). მიდიელებიც ასევე იყვნენ აღჭურვილი სალაშქროდ, რადგან ეს აღ-

* წიგნიდან: ᲰᲔᲠᲝᲓᲝᲢᲔ, ისტორია, ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და ს�ძიებელი დაურთო ფინანთ ᲧᲐᲣᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ, ტ. II, თბ., 1976, გვ. 431—435.

ჭურვილობა მიდიურია და არა სპარსული. მიდიელებს გამგებლად ჰყავდათ ტიგრანესი, აქაემენიდი. ძველად ამათ ყველა არიებს უწოდებდა, ხოლო მას მერე, რაც არიელების ქვეყანაში მოვიდა კოლხიდელი მეფეთა ათენიდან, მათ შეიცვალეს სახელი. თვითონ მიდიელები მოგვითხრობენ ამას თავისი თავის შესახებ. კისიელები სხვაფრივ სპარსელების მსგავსად აღჭურვილი ლაშქრობენ, მხოლოდ ნაბდის ქუდების მაგივრად დოლბანდებს ატარებენ. კისიელებს განაგებდა ანაფესი, ოტანესის ძე, პირკანიელები სპარსელების მსგავსად იყვნენ შეიარაღებული, ხოლო წინამძღოლად ჰყავდათ მეგაპანოსი, შემდეგ ბაბილონის მეურვე.

(63). მოლაშქრე ასირიელებს თავზე ეხურათ სპილენძის მუზარადები, რომლებიც მოწნული იყო რაღაცა ბარბაროსულ ყაიდაზე, რაც ადვილად არ აიხსნება. ხოლო ფარები, შუბები და ხანჯლები ეგვიპტურის მსგავსი ჰქონდათ. ამას გარდა მათ ჰქონდათ რკინის შეკეთილი ხის კომბლები და სელის აბჯრები. ამათ ელინები სირიელებს უწოდებენ, ხოლო ბარბაროსები ასირიელებს. ამათ შორის იყვნეს ქალდეები, განაგებდა მათ ოტასპესი არტაქაეესის ძე.

(64). ბაქტრიელებს ლაშქრობისას თავზე მიდიელების მსგავსად ეხურათ, ხოლო მშვილდები ლერწმისა ჰქონდათ. ამის გარდა ეჭირათ ადგილობრივი, მოკლე შუბები. საკებს, რომლებიც სკვითები არიან, თავზე წვეტიანი ქუდები ეხურათ, წვეტით ზემოთ და თავზე სწორად დადგმული. მათ ეცვათ შარვლები, ჰქონდათ ადგილობრივი მშვილდები და ხანჯლები, ამის გარდა ცულები — საგარისები, ესენი სინამდვილეში ამირიგიელი სკვითები არიან და საკებს კი უწოდებენ. ეს იმიტომ, რომ სპარსელები ყველა სკვითს საკებს უწოდებენ. ბაქტრიელებსა და საკებს განაგებდა ჰისტასპესი, შვილი დარიოსისა და კიროსის ასულის ატოსასი.

(65). ინდოელებს კი ეცვათ ბამბის ქსოვილისაგან შეკერილი ტანსაცმელი. მშვილდები და ისრები ლერწმისა ჰქონდათ. ისრის წვერები კი რკინისა იყო. ასე იყვნენ აღჭურვილი ინდოელები, ხოლო ამ თანამოლაშქრეების უფროსად ფარნაძათრეს არტაბატესის ძე იყო დაყენებული.

(66). არიები მიდიური მშვილდებით იყვნენ შეჭურვილები, ხოლო სხვაფრივ ისინი ბაქტრიების მსგავსად იყვნენ მოწყობილები. არიებს განაგებდა სისამეხეს ჰიდარნესის ძე. პართებს, ხორასმიებს, სოგდებს, განდარიებსა და დადიკებს ლაშქრობისას ისეთივე საჭურველი ჰქონდათ, როგორც ბაქტრიებს. ამათ განაგებდნენ შემდეგი პირნი: პართებსა და ხორასმიებს — არტაბაძოსი, ფარნაკესის ძე, სოგდებს — აძანესი, არტაიოსის ძე, განდარიებსა და დადიკებს —არტიფიოსი, არტაბანესის ძე.

(67). კასპიები ლაშქრობდნენ ტყაპუჭ-ჩაცმულები; მათ ჰქონდათ ლერწმის ადგილობრივი მშვილდები და აკინაკესები. ისინი ასე იყვნენ აღჭურვილნი. წინამძღოლად ჰყავდათ არიომარდოსი, არტიფიოსის ძმა. სარანგები გამოირჩეოდნენ შეღებილი ტანსაცმლით, მათ ეცვათ მუხლებამდე ფეხსაცმელი და ეჭირათ მიდიური მშვილდები და შუბები, სარანგებს განაგებდა ფერენდატეს მეგაბამოსის ძე. პაქტიებიც ტყაპუჭით მოსილნი იყვნენ და ჰქონდათ ადგილობრივი მშვილდები და ხანჯლები. პაქტიებს გამგებლად ჰყავდათ არტაინტეს ითამიტრესის ძე.

(68) პაქტიების მსგავსად იყვნენ აღჭურვილნი უტიები, მიკები და პარიკანიები. მათ განაგებდნენ შემდეგი პირნი: უტიებსა და მიკებს — არსამენესი, დარიოსის ძე, ხოლო პარიკანიებს — სირომიტრეს ოიბაძოსის ძე.

(69). არაბებს სარტყელანი მოსახურავები ეცვათ და მარჯვენა მხარეს

ეკიდათ დიდი, დაგრეხილი მშვილდები. ეთიოპელები ავაზისა და ლომის ტყავებში იყვნენ გამოხვეული. მათ ჰქონდათ პალმის ღეროსაგან გაკეთებული დიდი მშვილდები, არანაკლები ოთხი წყრთისა და მასთან პატარა ლერწმის ისრები. ისრის წვერებად რკინის ნაცვლად წვეტიან ქვას ხმარობდნენ, ისეთს, რითაც საბეჭდავებსაც სჭრიდნენ. ამას გარდა მათ ჰქონდათ შუბები, წვერზე ჯეირანის წვეტიანი რქით. მათ აქვთ აგრეთვე ლურსმნებით შეჭედილი კეტებიც. როდესაც ისინი ბრძოლაში გადიოდნენ, ნახევარ სხეულს იღებავდნენ ცარცით, ხოლო მეორე ნახევარს — სურინჯით. არაბებსა და ეთიოპებს, რომლებიც ეგვიპტის ზემოთ ცხოვრობენ, განაგებდა არსამესი, დარიოსისა და არტისტონეს (კიროსის ასულის) შვილი. თავის ცოლთა შორის დარიოსს ეს ცოლი გამორჩევით უყვარდა და გააკეთებინა კიდევაც მისი ჭედური ოქროს გამოსახულება.

(70). ამგვარად, არსამესი განაგებდა ეგვიპტის ზემოთ მცხოვრებ ეთიოპებსა და არაბებს. ხოლო ის ეთიოპები, რომლებიც მზის აღმოსავლიდან იყვნენ (ორივე ეთიოპები იღებდნენ ლაშქრობაში მონაწილეობას), ინდოელებთან იყვნენ დაყენებული. ეს ეთიოპები კი შესახედავად ერთმანეთისაგან სხვა არაფრით განსხვავდებიან, გარდა ენისა და თმებისა: მზის აღმოსავლელი ეთიოპები სწორთმიანები არიან, ხოლო ლიბიელ ეთიოპებს ყველა ხალხებზე უფრო ხუჭუჭი თმები აქვთ. ეს ეთიოპები, რომლებიც აზიიდან იყვნენ, ძირითადად ინდოელებივით იყვნენ აღჭურვილნი, მხოლოდ თავებზე ეხურათ ცხენების თავიდან გადაძრობილი ტყავი, გატყავებული ყურებიანად და ფაფარიანად. ფაფარს ხმარობდნენ ისინი მუზარადის ბიბილოს მაგივრად, ხოლო ცხენის ყურები სწორად ჰქონდათ დაყენებული. ფარების ნაცვლად მათ წინ ეჭირათ წეროების ტყავი.

(71). ლიბიელები მოვიდნენ ტყავით მოსილნი, ხოლო ხელშუბებს გამომწვარს ხმარობდნენ. მათ გამგებლად ჰყავდათ მასაგეს ოარიძოსის ძე.

(72). პაფლაგონელები ლაშქრობდნენ ისე, რომ თავებზე მოწნული მუზარადები ეხურათ, ჰქონდათ პატარა ფარები და არც თუ დიდი შუბები. ამას გარდა ხელშუბები და ხანჯლები. ფეხებზე ეცვათ ადგილობრივი ფეხსაცმელი, რომელიც შუა წვივამდე სწვდებოდათ. ლიგრები, მატიენები, მარიანდინები და სირიელები ისევე იყვნენ სალაშქროდ მოწყობილი, როგორც პაფლაგონელები. ამ სირიელებს სპარსელები კაპადოკიელებს უწოდებენ, პაფლაგონელებსა და მატიენებს დორტოსი განაგებდა, მეგასიდროსის ძე, ხოლო მარიანდინებს, ლიგიებსა და სირიელებს — გობრიესი, დარიოსისა და არტისტონეს შვილი.

(73). ფრიგიელებს პაფლაგონელების მსგავსი მოწყობილობა ჰქონდათ, ოღონდ განსხვავებული. ფრიგიელებს, როგორც მაკედონელები ამბობენ, ეწოდებოდათ ბრიგები, მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ ევროპელები იყვნენ და მაკედონელების მეზობლად ცხოვრობდნენ, ხოლო აზიაში რომ გადავიდნენ, მიწა-წყალთან ერთად სახელიც გამოიცვალეს, ფრიგიელები დაირქვეს. არმენიელები, რომლებიც ფრიგიელებისაგან მომდინარეობენ, ფრიგიელების მსგავსად იყვნენ მოწყობილები. ამათ ოარიეს მართავდა არტოქმესი, რომელსაც დარიოსის ასული ჰყავდა ცოლად.

(74). ხოლო ლიდიელებს ელინების მსგავსი იარაღი ჰქონდათ. ლიდიელები ძველად მეეონებად იწოდებოდნენ, ხოლო შემდეგ სახელი გამოიცვალეს, ატისის ძის, ლიდოსის მიხედვით დაერქვათ მათ ახალი სახელი. მისიელებს თავზე ადგილობრივი მუზარადები ეხურათ, ჰქონდათ პატარა ფარები და ხმარობდნენ გამომწვარ ხელშუბებს. ესენი ლიდიელებისაგან მომდინარეობენ და ოლიმ-

ბოს მთის მიხედვით ეწოდათ ოლიმპიენები. ლიდიელებსა და ჭისიელებს განაგებდა არტაფრენესი, შვილი იმ არტაფრენესისა, რომელიც მარათონში შეიჭრა დატისთან ერთად.

(75). თრაკიელებს ლაშქრობისას თავზე მელის ტყავები ეხურათ, ტანზე ეცვათ ქიტონები, ხოლო ამის ზემოდან ჭრელი მოსახურავები ესხათ, ფეხებსა და წვივებზე ირმის ტყავის ფეხსაცმელები ეცვათ. ამას გარდა ჰქონდათ ხელშუბები, მსუბუქი ფარები და პატარა ხანჯლები. ესენი აზიაში რომ გადავიდნენ, ბითვინები ერქვათ, უწინ კი, როგორც თვითონ ამბობენ, სტრიმონიები რქმევიათ, რადგან ცხოვრობდნენ სტრიმონთან. იმასაც ამბობენ, რომ ისინი თავისი ქვეყნიდან ტევკრებმა და მისიელებმა გამოდევნეს. აზიელ თრაკიელებს განაგებდა ბასაკესი, არტაბანოსის ძე.

(76). ხალიბებს პატარა ფარები ჰქონდათ გამოუქნელი ხარის ტყავისა და თითოეულს ორი შუბი ეპყრა ლიკიური ხელობისა, ხოლო თავზე ეხურათ სპილენძის მუზარადები. მუზარადებზე იყო სპილენძისაგან ნაკეთები ხარის ყურები და რქები; აქვე იყო ბიბილოც. მუხლები ძოწეულის ნაჭრებით ჰქონდათ შემოხვეული. ამ ხალხს აქვს არესის სამისნო.

(77). კაბელ-მეგონებს, ლასონიებად წოდებულებს, ისეთივე აღჭურვილობა ჰქონდათ, როგორც კილიკიელებს. ამ აღჭურვილობას მე მაშინ აღვწერ, როდესაც კილიკიელთა წყობის შესახებ მოგითხრობთ. მილიებს ჰქონდათ მოკლე შუბები და ბალთებით შეკრული ტანსაცმელი. ზოგ მათგანს ჰქონდა ლიკიური მშვილდები, ხოლო თავზე დამუშავებული ტყავისაგან გაკეთებული მუზარადები, ყველა ამათ განაგებდა ბადრესი, ჰისტანესის ძე.

(78). მოსხებს თავზე ხის მუზარადები ეხურათ. პატარა ფარები და შუბები ჰქონდათ, ხოლო შუბის წვერები გრძელი იყო. ლაშქრობდნენ ტიბარენები, მაკრონები და მისინოეკები, რომლებიც მოსხებსავით იყვნენ აღჭურვილნი. მათ მეთაურობდნენ და განაგებდნენ შემდეგი პირები: მოსხებსა და ტიბარენებს— არიომარდოსი, რომელიც დარიოსისა და პარმისის შვილი იყო, ეს უკანასკნელი კი სმერდისის შვილი იყო, კიროსის შვილისა. მაკრონებსა და მოსინოეკებს განაგებდა არტაიკტესი, რომელიც ჰელესპონტის სესტოსს მეურვეობდა.

(79). მარებს თავზე ადგილობრივი მოწნული მუზარადები ეხურათ; ეჭირათ ტყავის პატარა ფარები და ხელშუბები. ხოლო კოლხებს თავზე ხის მუზარადები ჰქონდათ, გამოუქნელი ტყავის პატარა ფარები და მოკლე შუბები. ამის გარდა დანები. მარებსა და კოლხებს განაგებდა ფარანდატეს ტეასპისის ძე. ალაროდიელები და სასპეირები კოლხების მსგავსად შეიარაღებულები ლაშქრობდნენ. მათ განაგებდა მასისტიოსი, სირომიტრესის ძე.

ჰიპოკრატე

ჰიპოკრატე (ძვ. წ. 460—375/351) — სახელგანთქმული ძველი ბერძენი ექიმი, მედიცინის ფუძემდებლად მიჩნეული.

როგორც ძველ, ასევე შუა საუკუნეების ავტორებს უამრავი, როგორც ლეგენდარული, ასევე სინამდვილის შემცველი ცნობები მოეპოვებათ, როგორც ჰიპოკრატეს, ასევე მისთვის მიკუთვნებული ნაწარმოებების შესახებ. ძველ ავტორთაგან ცნობილია ოთხი მარტო მისი ბიოგრაფი. ცხადია, ეს განპირობებულია, ერთი მხრივ იმ პოპულარობით, რომლითაც ჰიპოკრატე, როგორც ექიმი სარგებლობდა და, მეორე მხრივ, ადამიანთა ცხოვრებისათვის საჭირო იმ დარგის პრაქტიკული მნიშვნელობით, რომლის წარმომადგენელიც ის იყო. მიუხედავად ამისა, დღეს უკვე მეცნიერებაში ჰიპოკრატესთან და მის შემოქმედებასთან დაკავშირებული, ან მათ შესახებ ჩვენამდე მოღწეული მრავალი ცნობა ლეგენდარულად არის მიჩნეული, ხოლო ის, რაც სარწმუნოდ და რამდენიმეგზის შემოწმებულად ითვლება, შემდეგია:

დაიბადა ჰიპოკრატე დაახლ. ძვ. წ. 460 წელს კუნძულ კოსზე, ასკლეპიადთა გვარის ოჯახში. სხვადასხვა ცნობების მიხედვით, მან იცოცხლა 85, 90, 104 და 109 წელი; ამის მიხედვით მისი გარდაცვალება ივარაუდება 375, 370, 351 თუ 356 წელს; უფრო მიღებულად ითვლება 356 წელი; გარდაცვლილა იგი თესალიაში და დაკრძალულია გირტონსა და ლარისას შორის.

ჰიპოკრატეს მამა ჰერაკლიდე თვითონაც ექიმი იყო და ამ ხელოვნებაში თავისი შვილის პირველი მასწავლებელი ყოფილა. ჰიპოკრატეს ჰყავდა ვაჟები — თესალოსი და დრაკონი, რომლებიც, ისევე, როგორც მისი სიძე პოლიბიოსი ექიმობას მისდევდნენ და ჰიპოკრატეს საქმის გამგრძელებლები იყვნენ.

ჰიპოკრატეს უსწავლია ექიმ ჰეროდიკოს სელიმბრიელის სკოლაში. სამედიცინო საქმესთან ერთად, იგი აქ ეუფლებოდა რიტორიკას და ფილოსოფიას, რაშიც მისი მასწავლებელი იყო დემოკრიტე.

ჰიპოკრატე, გადმოცემით, პატარა ტანის კაცი ყოფილა. შემონახულია მისი გამოსახულებები ბიუსტების და ძვ. წ. IV ს-სა და შემდგომი ხანის მონეტებზე წარმოდგენილი პროფილის სახით, რაც ცხადია, ჰიპოკრატეს დიდი პოპულარულობის კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტია. ახალგაზრდობიდანვე მას ბევრი უმოგზაურია, ოღონდ გარკვეული ამოცანით — სხვა ქვეყნებისა და ხალხების შესწავლის მიზნით. მისი მოგზაურობის დიდი ნაწილი ლეგენდარული ხასიათისაა, მაგრამ უდავოდ არის მიჩნეული, რომ იგი იყო თრაკიაში, თასოსზე, აბდერაში, ლარისაში, მელებოიასა და კიზიკოსში. ითვლება, აგრეთვე, რომ იგი იყო პონტოში, რომელსაც მისივე აღწერების მიხედვით, კარგად იცნობს და პირადად არის ნამყოფი ფაზისზე.

ჰიპოკრატეს დიდი პოპულარობის მაჩვენებელია ის ფაქტიც, რომ მას 100 ბერძნული და 30 ლათინური თხზულება მიეწერება, რომლებიც მრავალი ხელ-

ნაწერის, თუ ხელნაწერი კრებულების სახითაა ჩვენს დრომდე მოღწეული. ამათგან უძველესად ითვლება X საუკუნის პარიზული — ლათინური ხელნაწერი, XII ს-ის ვატიკანის ბერძნული ხელნაწერი, ხოლო XV ს-დან მიხი თხზულებების ხელნაწერები ჩვეულებრივი ამბავია.

ცხადია, უმრავლესობა იმისა, რაც ამ ხელნაწერებში ჰიპოკრატეს მიეწერება მისი არ არის და არც შეიძლება რომ მას ეკუთვნოდეს. ამიტომ, ჯერ კიდევ XVI ს-ში ჰიპოკრატეს სახელით ცნობილი შრომები ოთხ კატეგორიად დაიყო: 1. ნამდვილად ჰიპოკრატეს შრომები; 2. მისი შვილებისა და მოწაფეების შრომები; 3. ჰიპოკრატეს მიბაძვით, მისი აზრების მიხედვით დაწერილი შრომები და 4. შრომები, რომლებიც ნამდვილად არ ეკუთვნის ჰიპოკრატეს. ნამდვილად ჰიპოკრატესეულად მიჩნეულია: „პროგნოსტიკა", „მწვავე ავადმყოფობათა შესახებ" და ზოგიერთი სხვა.

წინამდებარე ქრესტომათიაში წარმოდგენილია ჰიპოკრატეს შრომის — „ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ", ქართული თარგმანი, რომელიც ძველი ბერძნულიდან შეასრულა და გამოაქვეყნა 1965 წელს აკად. თ. ყაუხჩიშვილმა. ჰიპოკრატეს ეს ნაშრომი საინტერესოა ორი თვალსაზრისით: იგი შეიცავს ცნობებს საქართველოს შესახებ და არის ეთნოგრაფიული სახიათის — მასში აღწერილია აზიისა და ევროპის ტომები და მათ შორის ისინიც, ვინც ჰიპოკრატემ გამოარჩია გარკვეული ნიშნებით.

„ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ" იმთავითვე ჰიპოკრატეს მიეწერებოდა; XX ს-ის დამდეგს გაჩნდა ხეპეხისი მისი ავტორობის შესახებ (უ. ვილამოვიც-მელენდორფი). მაგრამ, ბოლო ხანებში, მათ შორის აკად. თ. ყაუხჩიშვილის მიერ, მიჩნეულია, რომ ტრადიციას ანგარიში უნდა გაეწიოს. ავტორად კვლავ ჰიპოკრატე რჩება.

ბიბლიოგრაფია

1) Гиппократ. Избранные книги. Перевод с греческого проф. В. И. Руднева. Редакция, вступительная статья и примечания проф. В. П. Карпова, М.—Л., 1936.

2) თ. ყაუხჩიშვილი, ჰიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1965.

ჟაერთა, წუალთა და ადგილთა შესახებ*

12. [ახლა] მინდა აზიისა და ევროპის მიმართ ვაჩვენო, თუ რაოდენ განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან ყოველმხრივ. [მინდა ვილაპარაკო] მათი ტომების შესახებადობის შესახებ, რომ ისინი განსხვავებულები არიან და არაფრით ჰგვანან ერთმანეთს. ყოველივე ამის შესახებ ძალიან გაგრძელდებოდა სიტყვა, [ამიტომ] მე, რაც, ჩემის აზრით, უმთავრესი და საგანგებო სხვაობაა, მხოლოდ იმაზე ვილაპარაკებ. მე ვამბობ, რომ აზია დიდად განსხვავდება ევროპისაგან, როგორც ყოველივე იმის ბუნებით, რაც აღმოცენდება დედამიწიდან, აგრეთვე ადამიანთა [ბუნებით]. რადგან აზიაში ყველაფერი ბევრად უფრო ლამაზი და ზორბა ჩნდება.

თვით ქვეყანაშიც [ევროპის] ქვეყანაზე უფრო რბილი ჰაეაა და ხალხსაც ზნე უფრო სათნო და წყნარი აქვს. ამისი მიზეზი არის წლის დროების მონაცელეობა, რადგან [აზია] მდებარეობს მზის აღმოსავლის შუაში, აღმოსავლეთის პირდაპირ და სიცივისაგან საკმაოდ დაშორებით. [ყოველივეს] ზრდა და სათნოება [აზიაში] ყველა [სხვა ქვეყანაზე] მეტადაა, რადგან იქ არაფერია ძალით მოპოვებული, არამედ ყოველივეზე ბატონობს თანასწორობა. მაგრამ მაინც აზიაში ყველგან არაა ერთნაირად: ქვეყნის ის [ნაწილი], რომელიც სითბოსა და სიცივის შუაში მდებარეობს, არის ყველაზე უფრო ნაყოფიერი, ყველაზე მეტად მდიდარია ხეებით და [იქაა] ყველაზე სასიამოვნო ჰაეა, [იქ] ხმარობენ საუკეთესო წყლებს, რომლებიც ზეციდან [ჩამოდის] და დედამიწიდან [ამოდის].

ეს იმიტომ, რომ ეს [ქვეყანა] არც სიცხისაგან არის სულ მთლად ამომწვარი, არც გვალვისა და უწყლობისაგან გამომხმარი, არც სიცივისაგანაა დაძაბუნებული და არც ნოტიო და ნესტიანია ბევრი წვიმებისა და თოვლისაგან. ამიტომ ბუნებრივია, რომ იქ ბევრი ნაყოფი მოდის, ის, რაც წარმოიშვება თესლისგან და ის, რასაც თვითონ დედამიწა აღმოაცენებს. ამ ნაყოფს იყენებენ ადამიანები, რომლებიც ველურ [მცენარეულს] აშინაურებენ და მათ საჭიროებისამებრ გადარგავენ ხოლმე. ამას გარდა ბუნებრივია, რომ იქ გაზრდილი საქონელი მშვენიერ მდგომარეობაშია. ის განსაკუთრებით ხშირად იგებს და ძალიან კარგადაა გამოკვებილი; ხოლო რაც შეეხება ხალხს, ისიც კარგად ჩასუქებულია, შესახედაობით ლამაზია, ტანად ზორბაა და ძალიან ნაკლებად განსხვავებული [ერთმანეთისაგან] თავისი შესახედაობითაც და სიდიდითაც. ცხადია, რომ ეს ქვეყანა ყველაზე უფრო ახლოა გაზაფხულთან თავისი ბუნების და წლის დროების ზომიერების მიხედვით, მაგრამ ასეთ ბუნებაში არ შეიძლება წარმოიშვას სიმამაცე, სიბეჯითე, შრომისმოყვარეობა და შეუპოვრობა — არც ამავე ტომის ხალხში და არც უცხო ტომისაში; ის კი არა მათზე დატკბობის [სურვილი] ბატონობს.

* წიგნიდან: თ. ყაუხჩიშვილი, ჰიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1965, გვ. 37—75.

ამიტომაა, რომ [აქაურ] ცხოველებშიაც მრავალი სხვადასხვა სახეობა მოიძოვება.

13. მე მგონია, ასეა ეგვიპტელთა და ლიბიელთა საქმე, ხოლო რაც შეეხება მზის ზამთრის აღმოსავალის მარჯვნივ [მდებარე მხარეებს], ვიდრე მეოთიდის ტბამდე (რადგან ეს არის საზღვარი ევროპისა და აზიისა), მათ მიმართ შემდეგი გვაქვს სათქმელი: აქ მცხოვრები ტომები უფრო მეტად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ვიდრე ზემოხსენებულნი, წლის დროების მონაცვლეობისა და ქვეყნის ბუნების მიზეზით. დედამიწის მიმართაც ისევეა საქმე, როგორც სხვა ადამიანების მიმართ. რადგან, სადაც წლის დროები დიდ და ხშირ ცვალებას განიცდიან, იქ ქვეყანა საგანგებოდ ველურია და მრავალფეროვანი. [იქ] შეხვდები მრავალ მთებს, ტყეებს, დაბლობებსა და მინდვრებს, ხოლო სადაც წლის დროები დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მათი ქვეყანა ძალიან ერთგვაროვანია. ასევეა ადამიანთა მიმართაც, თუკი ვინმე მიაქცევს ყურადღებას: რადგან ზოგი [ადამიანის] ბუნება ჰგავს ხეებიან და მორწყულ მთებს, [ზოგისა] — მწირსა და ურწყავ [გარემოს, სხვების] — ჭალებიანსა და ჭაობიან [ადგილებს], [ზოგი ადამიანისა კიდევ] დაბლობ, მოტიტვლებულ და გამომხმარ დედამიწას. რადგან წლის დროები, რომლებიც სცვლიან ბუნების ფორმებს, განსხვავებულები არიან. ხოლო თუ ისინი დიდად იქნებიან განსხვავებული ერთმანეთისაგან, განსხვავებულ მრავალ სახეობებსაც წარმოშობენ.

14. ტომთაგან იმათ, რომლებიც ერთმანეთისაგან მცირედ განსხვავდებიან, გამოვტოვებ, ხოლო რომლებიც დიდად [განსხვავდებიან], ან ბუნების ან კანონების მიხედვით, მათ შესახებ ვილაპარაკებ ისე, როგორც არის და პირველ რიგში [ვიტყვი] მაკროკეფალების შესახებ; რადგან არც ერთ სხვა ტომს არა აქვს ამათი მსგავსი თავები. თავდაპირველად წეს-ჩვეულება გახდა მიზეზი [მათი] თავის სიგრძისა, ახლა კი ბუნებაც წაეშველა ამ წესს, რადგან ვისაც ყველაზე უფრო გრძელი თავი აქვს, ისინი არიან ყველაზე უფრო კეთილშობილებად მიჩნეულნი. მათი წეს-ჩვეულების მიხედვით ასე ხდებოდა: როგორც კი იბადებოდა ბავშვი, მის თავს, რომელიც ძალიან რბილი იყო, იმიტომ, რომ [ბავშვი] ჯერ სულ ჩვილია, ხელით აძლევდნენ ფორმას და აიძულებდნენ, რომ სიგრძეში გაზრდილიყო; თავსაკრავებს ხმარობდნენ და [სხვადასხვა] გამოსაყენებელ ხერხებს, რომელთა საშუალებითაც თავის სიმრგვალეს არღვევდნენ და [მისი] სიგრძე იზრდებოდა. ამრიგად, დასაწყისში წეს-ჩვეულება მოქმედებდა ისე, რომ ამგვარი ბუნება წარმოიქმნა; ხოლო დროთა ვითარებაში [ის] ბუნებად იქცა ისე, რომ წეს-ჩვეულება აღარ იყო აუცილებელი, რადგან თესლის შემადგენლობა სხეულის ყოველი ნაწილიდან მოდის, ჯანმრთელიდან ჯანმრთელი, ხოლო სნეულიდან — სნეული. თუ მელოტებისაგან მელოტები წარმოიშვებიან და ლურჯთვალათაგან ლურჯთვალიანები, [თუ] დაკრუნჩხულთაგან მახინჯები [ჩნდებიან], როგორც ეს მეტწილადაა, იგივე [ეხება] სხვა ფორმებსაც; რა უშლის ხელს იმას, რომ გრძელთავიანისაგან გრძელთავიანი გაჩნდეს? ახლა კი აღარ ჩნდებიან იმგვარად, როგორც უწინ, რადგან წეს-ჩვეულებას ძალა აღარ ჰქონდა ადამიანებს შორის ურთიერთობის გამო.

15. ამათ შესახებ ვფიქრობ, რომ ასეა, ხოლო ვინც ფასისში ცხოვრობს, მათ შესახებ [შემდეგი მაქვს სათქმელი]: ეს ქვეყანა ჭაობიანია, თბილი, წყლიანი და ტყიანი. წლის ყოველ დროს იქ ხშირი და ძლიერი წვიმები მოდის. ადამიანებს საცხოვრებელი ჭაობებში აქვთ, და [მათი] ხისა და ლერწმის სახლები წყალზეა გამართული. ისინი ცოტას დადიან ფეხით ქალაქებსა და ნავთსადგურებში, არამედ დაცურაევენ აღმა-დაღმა ერთ ხეში ამოღებული ნავებით, რადგან

არხები ბევრია. ისინი სვამენ თბილსა და დამდგარ წყალს, მზისგან დამპალს და წვიმებისაგან ადიდებულს. თვითონ ფასისი კი ყველა მდინარეთა შორის ყველაზე უფრო დინჯია და ძალიან მდორედ მიედინება. ნაყოფი, რომელიც იქ წარმოიშვება ყველა ზრდა დაუსრულებელია, სუსტი და უვარგისი, წყლის სიუხვის გამო. ამიტომ [აქ ნაყოფი] არ მწიფდება. წყლებისაგან ამ ქვეყანას დიდი ნისლი ადგას. ამ მიზეზების გამოა, რომ ფასისელებს სხვა ადამიანებთან შედარებით დიდად განსხვავებული შესახედაობა აქვთ: ტანად დიდები არიან, სისქით — მეტისმეტად სქელები; არც ერთს არ ემჩნევა არც სახსარი და არც ძარღვი; კანი კი ყვითელი აქვთ, თითქოს სიყვითლე სჭირდეთ. ლაპარაკობენ ადამიანთა შორის ყველაზე ბოხი ხმით, [რადგან] სუფთა ჰაერით კი არ სუნთქავენ, არამედ ნოტიოთი და ნესტიანით; ხოლო იმისათვის, რომ სხეულს ჯაფა მიაყენონ, ძალიან ზარმაცები არიან. [ამ ქვეყანაში] წლის დროები დიდად არ სხვაობენ ერთმანეთისაგან, არც სიცხის მხრივ და არც სიცივის მხრივ. აქ ბევრი სამხრეთის ქარი ქრის, გარდა ერთი ადგილობრივი ქარისა. ხოლო ეს ზოგჯერ ძლიერად და სასტიკად უბერავს და ცხელია. ამ ქარს უწოდებენ „კენჭრონს". ჩრდილოეთის ქარი [აქამდე] თითქმის ვერ აღწევს, ხოლო როდესაც უბერავს, ის სუსტი და წყნარია.

16. ასეა საქმე აზიასა და ევროპაში მცხოვრები ხალხების ბუნების, განსხვავებისა და შესახედაობის მიმართ. ხოლო რაც შეეხება ადამიანთა სიმხდალესა და ლაჩრობას, რომ აზიელები ევროპელებზე გაცილებით უფრო ნაკლებ მეომარნი არიან და უფრო მშვიდი ზნის, ამის უმთავრეს მიზეზად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ წლის დროები დიდ ცვლილებას კი არ განიცდიან არც სითბოსი და არც სიცივის თვალსაზრისით, არამედ [მუდამ] დაახლოებით ერთგვარნი არიან. ამიტომ არც აზრი განიცდის [რაიმე] ძვრას და არც სხეული ძლიერ ცვლილებას. რისგანაც ჩვეულებრივად [ადამიანი] მძვინვარდება და უგუნურებასა და სიფიცხეს იძენს უფრო მეტად, ვიდრე [მაშინ, როდესაც] მუდამ ერთსადაიმავე მდგომარეობაში არის; რადგან ცვლილებები აფიზლებს ყველაზე უფრო ადამიანის აზრს და არ აძლევს მშვიდად ყოფნის საშუალებას. მე ვფიქრობ, ამ მიზეზების გამოა, რომ აზიელი ხალხი არაა მამაცი და ამას გარდა, მისი კანონების გამოც. რადგან აზიის მეტ წილს მეფე მართავს, ხოლო სადაც ხალხი თვითონ არ არის ძლიერი და დამოუკიდებელი, არამედ [სხვა] ბატონობს მასზე, მაშინ მათ ის კი არა აქვთ საზრუნავი, რომ საომარ საქმეებში ივარჯიშონ, არამედ ის, თუ როგორ მოაჩვენონ თავი, რომ მებრძოლნი არ არიან. მართლაც და საფრთხე თანაბარი არაა, რადგან [დამორჩილებული ხალხი] ლაშქრობს, იტანჯება და კვდება იძულებით [თავისი] ბატონებისათვის, ცოლშვილისა და სხვა მეგობართაგან მოშორებით. რა კარგად და მამაცად არ უნდა მოქმედებდნენ ისინი, [ამ საქმეებისაგან] აღზევდებიან და განდიდდებიან მათი ბატონები, ხოლო თვითონ კი საფრთხესა და სიკვდილს იმკიან მხოლოდ. ამას გარდა ამისთანა ადამიანები იძულებით იმორჩილებენ [თავიანთ] ვნებებს იმის გამო, რომ არ ომობენ და უმოქმედონი არიან; ისე რომ თუ ვინმე ბუნებით მამაცი და გულადია, [ამ] კანონების გამო ეცვლება მათაც გუნება. ამისი დიდი საბუთია [შემდეგი]: ვინც არიან აზიაში ელინები თუ ბარბაროსები, რომელთაც არ ჰყავთ ბატონი, არამედ დამოუკიდებელნი არიან და თავისთვის შრომობენ, ისინი ყველაზე უფრო მებრძოლი ბუნების არიან, რადგან საფრთხეში თავს საკუთარი თავისთვისვე იგდებენ და ჯილდოს სიმამაცისათვის [თვითონვე] ღებულობენ, ისევე როგორც სასჯელს — სიმხდალისათვის. შენ შეამჩნევ, რომ აზიელებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: ზოგი უკეთესია, ხოლო ზოგი უფრო უმნიშვნელო. ამის მი-

ხვეზეზიც წლის დროების ცვალებადობაა. როგორც უკვე ვთქვი ადრე.

17. მათ შესახებ, ვინც აზიაში არის, ესაა [სათქმელი]. ხოლო ევროპაში არის სკვითური ტომი, რომელიც ცხოვრობს მეოტიდის ტბასთან და რომელიც განსხვავებულია [ყველა] სხვა ტომებისაგან. მათ ეწოდებათ სავრომატები. მათი ქალები ცხენოსნობენ, ისარს ისვრიან, შუბს ტყორცნიან ცხენებზე [შემსხდარნი] და მტერს ებრძვიან, ვიდრე ქალწულები არიან: ქალწულობას კი არ ჰკარგავენ მანამ, ვიდრე მტერთაგან სამს არ მოჰკლავენ და არ თხოვდებიან მანამ, ვიდრე [მათი] ჩვეულებების მიხედვით გათვალისწინებულ მსხვერპლშეწირვას არ მოახდენენ. ვინც თავისთვის ამოირჩევს კაცს, ის თავს ანებებს ცხენზე ჯდომას, ვიდრე აუცილებელი არ იქნება საყოველთაო ლაშქრობაში [მონაწილეობა]. მათ მარჯვენა ძუძუ არა აქვთ, რადგან როცა ისინი ჩვილი ბავშვები არიან, დედები საგანგებოდ ამისთვის გაკეთებულ გავარვარებულ სპილენძის [ხელსაწყოს] ადებენ მარჯვენა ძუძუზე და ამოუწვავენ ხოლმე, რათა [ძუძუს] ზრდა შეჩერდეს და მთელი ძალა და ღონე გადავიდეს მარჯვენა მხარსა და მკლავზე.

18. ხოლო რაც შეეხება დანარჩენი სკვითების გარეგნობას, რომ ისინი ერთმანეთს ჰგვანან და სხვას არავის, ამის შესახებ იგივე აზრი [უნდა გამოითქვას], რაც ეგვიპტელების შესახებ, ოღონდ [იმ განსხვავებით], რომ [ეგვიპტელები] სიცხისაგან არიან დაჩაგრულნი, ხოლო ესენი კი სიცივისაგან. სკვითურ უდაბნოდ წოდებული [ადგილი] არის ვაკე, ბალახოვანი, მოტიტვლებული და ზომიერად მდიდარი წყლებით. [იქ] მდინარეები დიდია, რომლებსაც გამოაქვთ წყლები ველიდან. აქ ცხოვრობენ სკვითები, [რომლებიც] ნომადებად იწოდებიან, რადგან სახლები კი არა აქვთ, არამედ ურმებზე ცხოვრობენ. ხოლო ურმები კი ყველაზე პატარები, ოთხბორბლიანებია, სხვები კი — ექვსბორბლიანები. [ურმების] გარშემო ნაბადი აქვთ შემოკრული. არის ისეთი [ურმებიც], რომლებიც მოწყობილია როგორც სახლები, ზოგი ერთმაგი და ზოგი სამმაგი [სახურავებით] და ეს იცავს წვიმისაგან, თოვლისაგან და ქარებისაგან. ურმებს ეწევა ორი ან სამი უღელი ურჩო ხარებისა. მათ არა აქვთ რქები სიცივის გამო. ამ ურმებში ცხოვრობენ ქალები, ხოლო თვითონ მამაკაცები დადიან ცხენებით. მათ უკან მისდევენ ცხვრები, რაც ჰყავთ, ხარები და ცხენები. ერთსა და იმავე ადგილას იმდენხანს რჩებიან, რა ხანიც მათ საქონელს ბალახი ჰყოფნის, ხოლო როდესაც აღარ [ჰყოფნის], სხვა ადგილზე გადადიან. თვითონ [ხალხი] იკვებება მოხარშული ხორცით, სვამს ცხენის რძეს და ჭამს ჰიპაკეს. ეს არის ცხენის ყველი.

19. ასეთია მათი ცხოვრება და კანონები. ხოლო რაც შეეხება წელიწადის დროებსა და გარეგნობას, [ყველა] დანარჩენი ხალხებისაგან დიდად განსხვავდება სკვითური ტომი და ჰგავს [მხოლოდ] თავის თავს, ისევე, როგორც ეგვიპტური; [ეს ტომი] ნაკლებად ნაყოფიერია, ხოლო [მათ] ქვეყანაში გარეული მხეცები ძალიან პატარები არიან ზომით და [მცირენი] სიმრავლის თვალსაზრისით. ეს იმიტომ, რომ ის მდებარეობს ზედ პოლუსის ქვემოთ და რიპეის მთების ძირში, საიდანაც უბერავს ჩრდილოეთის ქარი. მზე კი, როდესაც ის ზაფხულის წრეს მიაღწევს, მაშინ უახლოვდება მას ყველაზე უფრო და მაშინაა, რომ ცოტა ხნით ათბობს, მაგრამ არც მაინცდამაინც. ქარები, რომლებიც თბილი ქვეყნებიდან უბერავენ, [აქამდე] ვერ აღწევენ; თუ [აღწევენ], ოდნავ და სუსტად, ხოლო ჩრდილოეთიდან მუდმივად უბერავს ცივი ქარი, თოვლის, ყინვისა და წყლების სიმრავლის გამო. ესენი არასოდეს ილევიან მთებზე. ამის გამოა, რომ [მთებზე] მოსახლეობა არაა. ვაკეს დღისით დიდი ნისლი ადგას თავზე და [ხალხი] იქ

ცხოვრობს; ისევ რომ [ოქ] მუდმივი ზამთარია, ხოლო ზაფხული კი სულ რაღაცა შცირერიცხოვანი დღეებია. ეს იმიტომ, რომ ვაკე მაღალზეა, მოტიტვლებულია და არაა გარშემორტყმული მთებით, არამედ ჩრდილოეთის მიმართულებით მაღლდება. არც მხეცები არიან აქ დიდი ზომის, არამედ [ისეთები] არიან, რომ შეეძლოთ მიწისქვეშ თავის შეფარება. ეს იმიტომ, რომ ზამთრისა და დედამიწის სიშიშვლის გამო იჩაგრებიან ისინი, რადგან არც სითბო აქვთ და არც თავშესაფარი. წლის დროების ცვლილება არც დიდია და არც ძლიერი, არამედ ისინი ერთმანეთის მსგავსნი არიან და მცირედ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან; ამიტომაა, რომ [ხალხი] „შესახედავადაც ერთმანეთის მსგავსია, საუბრისაც ისინი მუდამ ერთნაირს ხმარობენ და ტანსაცმელიც ერთი და იგივე აცვიათ ზაფხულშიც და ზამთარშიც. სუნთქავენ ნესტიანი და მძიმე ჰაერით, სვამენ თოვლისა და ყინულის წყლებს და თავისი დაუდევრობით მათ არ შეუძლიათ სხეული დაიტვირთონ [რაიმეთი], ანდა სული, რადგან [ბუნებაში] ძლიერი ცვლილებები არ ხდება. აი, ამ აუცილებელი [მიზეზების] გამო [მოსახლეობა] შესახედავად მსუქანი არის, ხორცოვანი, ნაკვთები არ ემჩნევა, დონდლოა და ძაბუნი; ყველაზე უფრო მუცელი აქვთ სითხეჩამდგარი და განსაკუთრებით კი მისი ქვემოთა ნაწილი. რადგან, მართლაც, მუცელი არ შეიძლება გამოშრეს ამისთანა ქვეყანაში, [ასეთ] ბუნებასა და ჰავის ასეთი მდგომარეობის დროს. ის კი არა, სხეულის სიმსუქნისა და უბალნობის გამო შესახედავად ერთმანეთს ჰგვანან, მამაკაცები—მამაკაცებს და დედაკაცები—დედაკაცებს. რაკი წლის დროები ასე ჰგვანან ერთმანეთს, არც იღუპება და არც სხვა რაიმე უბედურება ემართება თესლს შედეგების დროს, თუ არ შეემთხვა რაიმე ძალდატანება ან ავადმყოფობა.

20. მე მოვიყვან [ერთ]დიდ საბუთს [მათი] ტენიანობისას: შენ შეხვდები ბევრ სკვითს და ყველას, ვისაც ნომადები [ეწოდებათ], რომელთაც მომწვარი აქვთ ბეჭები, მკლავები და ხელის მტევნები, მკერდი, თეძოები და წელი. ამისი მიზეზი კი სხვა არაფერია, თუ არ [მათი] ბუნების ტენიანობა და დონდლოობა, მართლაც, მათ სინოტივისა და სისუსტის გამო არ შეუძლიათ, არც მშვილდის მოწვევა, არც შუბის სროლა ბეჭის შემწეობით. ხოლო როდესაც მოიწვავენ, მაშინ ამოშრება მათი ნაწილებიდან ბევრი სისველე და მათი სხეული უფრო ჯანმრთელი ხდება, უფრო უკეთ ნაკვები და შეკრული. ისინი მოდონდლოვებულნი არიან და განში გასულნი უპირველესად ყოვლისა იმიტომ, რომ მათ არ ახვევენ, როგორც ეს ეგვიპტეში ხდება ხოლმე; არც მიაჩნიათ [შეხვევა] საჭიროდ [ჯერ] ცხენოსნობის გამო, (რათა [ცხენებზე] კარგად ისხდნენ), ხოლო შემდეგ იმის გამო, რომ [საერთოდ ბევრს] სხედან. მაგალითად, ბიჭები, ვიდრე მათ არ შეუძლიათ ცხენზე შეჯდომა, ბევრ დროს სხედან ურემზე და ძალიან ცოტას დადიან ფეხით იმდენი მოგზაურობისა და გადაადგილების დროს. რაც შეეხება გოგოებს, შესახედაობით საოცრად დონდლონი არიან და სუსტნი. სკვითური ტომი წითურია სიცივის გამო, რადგან ცხარე მზე მათ ახლოს არ ეკარება. ხოლო სიცივისაგან მათი სითეთრე იწვის და ღებულობს წითურ [ფერს].

21. ასეთი ბუნების ხალხი არ შეიძლება, რომ ნაყოფიერი იყოს. მართლაც, არც მამაკაცებს აქვთ დიდი სურვილი შეუღლებისა აღნაგობის ტენიანობის და მუცლის დონდლოობის და გაცივებულობის გამო; ამიტომაა, რომ მამაკაცს ჩვეულებრივ ძალიან ნაკლებად აღეძვრის ვნებიერება. ამას გარდა გამუდმებით ცხენზე ჯანჯღარის გამო ისინი სუსტები არიან შეუღლებისათვის. ეს მიზეზები აქვთ მამაკაცებს; ხოლო ქალების [უნაყოფობის მიზეზი] არის სხეულის სიმსუქნე და ტენიანობა. ამიტომაა, რომ მათ საშვილოსნოებს არ შეუძლი-

ათ ფესლი დაეჭირონ, არც ყოველთვიური განწმენდა აქვთ მათ ისე, როგორც საჭიროა, არამედ ემართებათ მხოლოდ ცოტა [რაოდენობით] და ხანდახან; საშეილოსნოს ყელი სიმსუქნის გამო დაკეტილია და არ იღებს თესლს; თვითონ [ქალები] გულგრილები არიან ყველაფრის მიმართ და მსუქნები, ხოლო მუცელი ცივი აქვთ და დონდლო. აი, ამ მიზეზის გამო სკვითური ტომი ნაყოფიერი არ არის. ამის დიდ საბუთად გამოდგებიან მონა ქალები: ისინი მაინცა და მაინც არ ისწრაფვიან, რომ მამაკაცებთან მივიდნენ [და მიუხედავად ამისა], მაშინვე ორსულდებიან, იმიტომ რომ ბევრს შრომობენ და სხეულიც გამხდარი აქვთ.

22. ამას გარდა სკვითებში ძალიან ბევრნი არიან უძლურნი; ისინი დედაკაცურად ირჯებიან და ქალების მსგავსად ლაპარაკობენ. მათ ეწოდებათ ანარიელები. ადგილობრივი მცხოვრებლები ამის მიზეზად ღმერთს მიიჩნევენ; ამისთანა ადამიანებს მოწიწებით ეპყრობიან და თაყვანს სცემენ. [მაგრამ] თითოეული თავისი თავის მიმართ შიშით არის შეპყრობილი. მე თვითონ კი ვფიქრობ, რომ ეს ავადმყოფობა ღვთაებრივია, ისევე როგორც ყველა სხვა და არც ერთი [ავადმყოფობა] არაა მეორეზე უფრო ღვთაებრივი ანდა ადამიანური, არამედ ყველა ერთნაირია და ყველა ღვთაებრივი, ხოლო თითოეულს აქვს [თავისი] ბუნება და არაფერი ხდება ბუნების გარეშე. როგორ წარმოიშვება ეს ავადმყოფობა, ამის შესახებ მოგითხრობთ ისე, როგორც მე ვფიქრობ: ცხენზე გამუდმებით ჯდომის გამო [სკვითებს] ძარღვები ებერებათ, რადგან ფეხები მუდამ ჩამოკიდებული აქვთ ცხენებიდან; ხოლო შემდეგ, ვინც განსაკუთრებით ავადმყოფობს, კოჭლდება და თეძოებს მიათრევს. ისინი თავს ასე მკურნალობენ: როდესაც იწყება ავადმყოფობა, ორივე ყურის უკან ძარღვს იჭრიან; როდესაც სისხლი გამოვა, სისუსტისაგან ძილეულში აწვებათა და იძინებენ. შემდეგ იღვიძებენ და ზოგი მათგანი გამოჯანმრთელდება, ზოგი — არა. მე ვფიქრობ, რომ ასეთი მკურნალობის დროს იღუპება მემკვიდრეობის [გაგრძელების უნარი]. რადგან ყურებთან არის ძარღვები, რომელთაც თუ ვინმე გადაჭრის, უნაყოფო გახდება. მე ვფიქრობ, რომ სწორედ ამ ძარღვებს იჭრიან [მკურნალობისას]. შემდეგ, როდესაც მიდიან ცოლებთან და არ შეუძლიათ, რაიმე მოუხერხონ, პირველად სულაც არ სწუხან ამისთვის, არამედ წყნარად არიან; ხოლო როდესაც ორჯერ, სამჯერ და მეტჯერ შეეცდებიან და მაინც არაფერი გამოსდით, გადაწყვეტენ, რაღაცა შეეცოდეთ ღმერთსო, იმას დააბრალებენ, ჩაიცვამენ ქალის ტანსაცმელს, აღიარებენ თავიანთ თავს უძლურად, იქცევიან ქალებივით, მუშაობენ ქალებთან ერთად და [აკეთებენ] იმას, რასაც [ქალები]. სკვითთაგან ეს მდიდრებს ემართებათ; არა ყველაზე მდაბიოებს, არამედ კეთილშობილთ და მათ, ვინც მხედრობით დიდი ძალა მოიხვეჭა; ღარიბები კი ნაკლებად [განიცდიან ამ უძლურებას], რადგან ცხენზე არ სხედან ხოლმე. ისე კი, თუ ეს ავადმყოფობა სხვაზე უფრო ღვთაებრივია, ის სკვითთა შორის არა მარტო დიდგვაროვნებსა და მდიდრებს უნდა დასტყდომოდა, არამედ ყველას თანაბრად და განსაკუთრებით კი ღარიბებს; რადგან თუ ღმერთებს უხარიათ პატივისცემა და ადამიანთაგან მოწიწება და ამის მიხედვით მიაგებენ მათ წყალობას, მდიდრები ხომ ჩვეულებრივ უფრო ხშირად სწირავენ მსხვერპლს ღმერთებს, შესაწირავებსაც მიართმევენ ხოლმე და პატივს სცემენ, რადგან ქონება აქვთ, ხოლო ღარიბები ნაკლებად აკეთებენ ამას, რადგან არა აქვთ; თან კიდეც უჩივიან [ღმერთებს], რომ არ აძლევენ ისინი მათ ქონებას. ასე რომ მცირემქონენი ამისთანა ცოდვებისათვის უფრო მეტად უნდა ისჯებოდნენ, ვიდრე მდიდრები. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, [ეს ავადმყოფობაც] ისევეა ღვთაებრივი, როგორც [ყველა] სხვა და თითოეული [ავადმყოფობა] წარმოიშობა [თავისი] ბუნების მიხედვით. ეს ავად-

მყოფობა სკვითებს ემართებათ იმ მიზეზის გამო, რომელიც უკვე ვთქვი. ასევე ემართება ის სხვა ხალხებს, რადგან სადაც განსაკუთრებით ხშირად სხედან ცხენზე, იქ უმრავლესობას ემართება ძარღვების დაბერვა, იშიასი და პოდაგრა, და სრულიად გამოუსადეგარნი არიან სქესობრივი ურთიერთობისათვის. ყოველივე ეს აქვთ სკვითებს და ზემოთქმული მიზეზის გამო ისინი ყველა ხალხებზე უფრო ემსგავსებიან საპურისებს. ამას გარდა იმიტომაც, რომ მათ მუდამ აცვიათ შარვალი და დროის მეტ წილს ცხენზე ატარებენ; ასე რომ მათ არც კი შეუძლიათ ხელი ახლონ თავის სარცხვენელს და სიცივისა და ჯაფის გამო არც ახსოვთ სასიყვარულო [სუსტვილები], შეუღლებისადმი [ლტოლვა] და არაფერს ცდილობენ საამისოდ მაშინაც კი, ვიდრე მამაკაცობა აქვთ.

23. სკვითების ტომის შესახებ ასეა ამბავი. ხოლო დანარჩენი ხალხი, რომელიც არის ევროპაში, განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც სიდიდით, აგრეთვე შესახედაობით, წლის დროების მონაცვლეობის გამო, რადგან დიდია [ეს მონაცვლეობა] და ხშირი; მაგარი სიცხე, მკაცრი სიცივე, დიდი წვიმები, კვლავ ხანგრძლივი გვალვები და ქარები — აი ამის გამოა დიდი და სხვადასხვაგვარი ცვლილებები. ამის გამო ბუნებრივია, რომ ჩასახვა თესლის შედეგებისას სხვადასხვანაირია და არაერთდაგვარი სიცხესა და სიცივეში, ანდა წვიმებისა და გვალვის დროს. მე ვფიქრობ, რომ ამიტომაა, რომ ევროპელები უფრო განსხვავდებიან შესახედაობით ერთმანეთისაგან, ვიდრე აზიელები და თვითოეულ ქალაქში [მეორე ქალაქთან შედარებით] განსხვავებული სიდიდისაა [ხალხი]. რადგან შედეგების დროს თესლის გაფუჭება გაცილებით უფრო ხშირია წელიწადის დროების ხშირი ცვალებადობის დროს, ვიდრე მაშინ, როდესაც [ეს დროები] ერთმანეთის მსგავსი და თანაბარია. წესჩვეულებების მიმართ იგივე ამბავია: ეელურობა, სიმკაცრე და სიმამაცე ამნაირსავე ბუნებაში წარმოიშვება. რადგან ხშირი შეშფოთება აზრისა წარმოშობს სვეელურეს. ხოლო სათნოებასა და თვინიერებას კი ასუსტებს. ამიტომაა, რომ ევროპის მოსახლეობა უფრო მამაცად მიმაჩნია, ვიდრე აზიისა. რადგან სადაც მუდმივად ერთდაგვარი მდგომარეობაა, [იქ] სიზარმაცეა. ხოლო ცვალებადობისას სხეულიც და სულიც უფრო იძაბება. სიწყნარესა და სიზარმაცეში სიმხდალე ვითარდება, ხოლო დაძაბულობისა და შრომისაგან — სიმამაცე. ამის გამო და კანონების გამოც ევროპის მოსახლეობა მებრძოლია — ისინი ხომ მეფეს არ ექვემდებარებიან, როგორც აზიელები. რადგან სადაც მეფეს ექვემდებარებიან, იქ უთუოდ ძალიან მხდალებიც იქნებიან. ამის შესახებ მე ზემოთაც ვთქვი. ვინაიდან სულს, როდესაც ის დამონებულია, არ სურს ნებაყოფლობით ტყუილუბრალოდ თავი საფრთხეში ჩაიგდოს სხვისი ძალაუფლებისათვის; ხოლო ვინც დამოუკიდებელია, ისინი თავისი თავისთვის ვარდებიან ხიფათში და არა სხვისთვის. ისინი თავისი ნებით, ხალისით ეგებებიან ხიფათს, რადგან გამარჯვებისათვის ჯილდოს თვითონ იღებენ. ამრიგად კანონებს მცირე მნიშვნელობა არა აქვთ სულის მხნეობისათვის.

24. ასეა მთლიანად და საერთოდ ევროპისა და აზიის ამბავი. არიან ევროპაში [სხვა] ხალხებიც, განსხვავებულნი ერთმანეთისაგან როგორც სიდიდით, [ასევე] შესახედაობითა და სიმამაცით. განსხვავების [მიზეზები] აქაც იგივეა, რაც უწინ ვთქვი, ოღონდ ახლა უფრო ნათლად მინდა გადმოვცე. ისინი, ვინც ცხოვრობენ მთიან, ოღრო-ჩოღრო, მაღლობ და უწყალო ქვეყანაში, სადაც ცვლილებებია და წლის დროები დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, იქ [ხალხი] ჩვეულებრივ შესახედავად დიდია და გაჩენილია ჯაფისა და მამაცობისათვის; ველურობა და სიმხეცე ასეთი ბუნების [ხალხს] მცირეოდენი როდი აქვს. ხოლო რომლებსაც უპირავთ ჩავარდნილი ადგილები, ბალახით დაფარული და დახუ-

თუნდ, სადაც უფრო ცხელი ქარები ქრის, ვიდრე ცივი და წყალსაც თბილს ხმარობენ, ის [ხალხი] ვერ იქნება მაღალი ტანის, ვერც მოხდენილი. ისინი ბუნებივრად განში მიდიან, ხორცოვანები არიან და შავთმიანები. თვითონაც უფრო შავები არიან, ვიდრე თეთრები, და ნაკლებ აქვთ [სხეულში] ლორწო, ვიდრე ნაღველი. სიმამაცე და შრომისუნარიანობა მათ სულში ბუნებრივად [ყველას] თანაბრად არ აქვს [და ამას გარდა] მათ კანონი ზრდის და წვრთნის. თუ ამ ქვეყანაში არის მდინარეები, რომელთაც ქვეყნიდან გამოაქვთ დამდგარი და წვიმის წყალი, [მაშინ მოსახლეობა] ჯანმრთელი იქნება და ნათელი ფერის, ხოლო თუ მდინარეები არ არის, და [ხალხი] სვამს ტბის წყალს, დამდგარსა და ჭაობისას, [მაშინ] მათ აუცილებლად ასეთი შესახედაობა აქვთ: მუცელ ჭიდიათ და ელენთა აქვთ დაავადებული. ხოლო რომლებიც ცხოვრობენ მაღლობ და სწორ ქვეყანაში, [სადაც] ქრის ქარები და ბევრია წყლები, ისინი შესახედავად ახოვანები არიან და ერთმანეთის მსგავსნი; სულით მხდალი და თვინიერი. ისინი კი, ვინც მწირ, უწყლო და მოტიტვლებულ ქვეყანაში [ცხოვრობენ, სადაც] წლის დროების ცვლილებანი ზომიერი არაა, ბუნებრივია, რომ ისინი შესახედავად ტლანქები არიან და ფიცხები; უფრო ქერები, ვიდრე შავები და ზნითაც ამაყი და თავნება ხასიათისა. ეს იმიტომ, რომ სადაც ცვლილებები ხშირია, [ამინდის] და წლის დროები დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, იქ შეხვედები დიდად განსხვავებულს შესახედაობას, ზნეს და ბუნებას.

ესაა უმთავრესი [მიზეზები] ბუნების ცვლილებებისა. ხოლო შემდეგ [ამის მიზეზია] ქვეყანა, სადაც იზრდება ადამიანი, და წყლები. რადგან შეამჩნევ, რომ მეტწილად ქვეყნის ბუნებას მიჰყვება ადამიანთა შესახედაობა და ზნე. მართლაც, სადაც დედამიწა ნოყიერია, რბილი და ბევრ წყალს შეიცავს, და ეს წყლები [ნიადაგში] განსაკუთრებით მაღლაა, ისე, რომ ზაფხულობით ისინი თბილი არიან, ხოლო ზამთრობით ცივი. და წლის დროების მონაცვლეობა კარგია, იქ ადამიანები ხორცოვანები არიან, დონდლონი, სითხით გაჟღენთილნი, უდარდელები და მეტწილად მხდალი სულის. მათ ახასიათებთ სიზარმაცე და მძინარობა. ხელოვნება არ ესმით და [საერთოდ] არც ნატიფნი არიან და არც [გონება] მახვილნი. ხოლო სადაც ქვეყანა მოტიტვლებულია, უმცენარეო, ოღრო-ჩოღრო, სიცივისაგან გატანჯული და მზისაგან ამომწვარი, იქ [ხალხი] უხეშია, გამხდარი, დანაკვთული და ბალნიანი. ისინი ასეთი ბუნების გამო საქმიანები არიან და ფხიზელნი. ზნე ამაყი აქვთ და ხასიათი—თავნება. უფრო ველური თვისების არიან, ვიდრე თვინიერის. შენ დაინახავ, რომ ხელოვნების მოყვარენი და ნიჭიერნი არიან და სამხედრო საქმიანობაშიც საუკეთესონი. და ასევე ყველაფერი სხვა, რაც დედამიწისაგან წარმოიშვება, მისდევს იმას, როგორიც არის თვითონ ეს დედამიწა.

ასეა ერთმანეთის ყველაზე უფრო საწინააღმდეგო ბუნებისა და ფორმების ამბავი; აი აქედან უნდა დაასკვნა, როდესაც სხვა რამეებს უკვირდები და არ შეცდები.

ქსენოფონტი

ქსენოფონტი (ძვ. წ. 430 წლის ახლო — 355 წლის ახლო) — ბერძენი მწერალი და მხედართმთავარი.

ქსენოფონტი დაიბადა ათენში, შეძლებულ ოჯახში, რომელიც არისტოკრატიულ, მხედართა გაბატონებულ, წარჩინებულ წრეს ეკუთვნოდა. მან ბრწყინვალე განათლება მიიღო — იგი იყო ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსის სოკრატეს მოწაფე.

401 წელს ქსენოფონტმა მონაწილეობა მიიღო სპარსეთის მეფის კიროს მცირის ლაშქრობაში, რომლის მიზანი იყო კიროსის მიერ ტახტის დაკავება; ამ დროისთვის ქსენოფონტი 30 წლისა ყოფილა და მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა ბერძენთა დაქირავებულ ჯარში სტრატეგოსის თანამდებობისათვის მიუღწეია.

ქსენოფონტი, როგორც ათენის ერთ-ერთი წარჩინებული გვარის ოჯახიშვილი, ჩაბმული იყო იმ ბრძოლებში, რომელიც ძვ. წ. V—IV სს. მიჯნაზე ათენსა და სპარტას შორის მიმდინარეობდა პირველობისათვის. გარკვეული პოლიტიკური ინტრიგებისათვის თავის არიდების მიზნით, რომელთა განხილვა ჩვენს ამოცანებს სცილდება, ქსენოფონტი იძულებული გახდა ათენი ნებაყოფლობით დაეტოვებინა. მისმა მეგობარმა პრიქსენემ, რომელიც სპარსელი უფლისწულის კიროსის სამსახურში იყო, თავისთან მიიწვია და კიროსთან დაახლოებას შეპირდა, რისთვისაც ქსენოფონტი ქ. სარდეში უნდა გამგზავრებულიყო. კიროსის სამსახურში ჩადგომა ათენელებს მის წინააღმდეგ განაწყობდა, რადგან ითვლებოდა, რომ პელოპონესის ომის დროს კიროსი სპარტას ეხმარებოდა და ქსენოფონტი ორპოფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მან რჩევისათვის თავის მასწავლებელს სოკრატეს მიმართა, რომელიც ორი წლის შემდეგ ათენელებმა სიკვდილით დასაჯეს უღმერთობისათვის. სოკრატემ მას ურჩია დელფოსში წასულიყო და ღმერთებისათვის განეცხადებინა განზრახვა. ქსენოფონტმა ეშმაკობას მიმართა და აპოლონს მკითხა არა იმის შესახებ, თუ რამდენად დასაშვებია მისი წასვლა კიროსთან, არამედ იმის შესახებ თუ „რომელ ღმერთს შესწიროს მსხვერპლი და მიმართოს ლოცვით იმისათვის, რომ დიდებით და სიკეთით დაასრულოს განზრახული მოგზაურობა და მშვიდობიანად დაბრუნდეს უკან".

ბოლოსდაბოლოს ქსენოფონტი სარდეში ჩავიდა და დარიოს მეორის უმცროსი ვაჟის კიროსის სამსახურში ჩადგა, რომელიც თავისი ძმის—სპარსეთის მეფის არტაქსერქსე II-ის წინააღმდეგ ლაშქრობისათვის ემზადებოდა. გადამწყვეტი ბრძოლა მეფის არმიებსა და კიროსის ჯარს შორის 401 წელს, ადრე გაზაფხულზე, ბაბილონის ახლოს ადგილ კუნაქსასთან გაიმართა. გამარჯვება კიროსის არმიას დარჩა, მაგრამ თვითონ კიროსი ბრძოლაში დაიღუპა და ამდენად 10.000 ბერძენი დაქირავებულისათვის სპარსეთის ტახტისათვის ბრძოლის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა.

ბერძენი დაქირავებულები გზას აღმოსავლეთისაკენ გააგრძელებენ, მაგრამ მალე შთა სპარსელები მოტყუებით სარდლებს (5 სტრატეგოსს და 20 ლოხაგოსს) დაუხოცავენ. ამის შემდეგ ქსენოფონტი ბერძნებს არწმუნებს, რომ იგი აირჩიონ სტრატეგოსად, რაც მართლაც მოხდება და იწყება მათი თავგადასავლის ახალი ეტაპი—ლაშქრობა ჩრდილოეთით, მდ. ტიგროსის აყოლებით შავი ზღვის სანაპიროებისაკენ, სადაც ბერძნული ახალშენები არსებობდა. გარკვეული ფათერაკების გადალახვის შემდეგ ისინი გავლენ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებზე, მიაღწევენ აქ არსებულ ბერძნულ ახალშენებს — ტრაპეზუნტს, კერასუნტს, კოტიორას და სხვას, რომელთა გარშემო ტერიტორიები დასახლებული იყო ქართველი ტომებით, კერძოდ, ტაოსებით, მოსინიკებით, ტიბარენებით და სხვ.

აქ ქსენოფონტი თავისი არმიის მეომრებისაგან კიდევ ერთი ახალშენის დაარსებას მოინდომებს, რადგან ათენში აღარ ჩაესვლებოდა, მაგრამ ჯარის დიდი ნაწილის წინააღმდეგობას წააწყდა და ხელს იღებს ამ განზრახვაზე.

პერგამოსში ჩასვლის შემდეგ თავის ჯარს ქსენოფონტი სპარტელ სარდალს თიბრონს გადაცემს და თვითონაც მას შეეკედლება. ამის შემდეგ იგი კიდევ სხვადასხვა სამხედრო და პოლიტიკურ ინტრიგებში იღებს მონაწილეობას, გამოიტანენ დადგენილებას მისი ათენიდან გაძევების შესახებ და ელადაში, ოლიმპიის ახლოს დაბა სკილუნტეში დასახლდება, სადაც ყიდულობს მამულს და ხელს მიჰყოფს სოფლის მეურნეობას და ლიტერატურულ საქმიანობას. ითვლება, რომ აქ, სკილუნტეში შექმნა მან თავისი უმთავრესი ლიტერატურული ნაწარმოებები.

საბერძნეთში ამის შემდეგ ატეხილი კიდევ ერთი პოლიტიკური ქარტეხილი (IV ს-ის 70-იანი წლები) არც ქსენოფონტს ასცდა და იგი იძულებული გახდა თავისი ოჯახით კორინთოში გადახასლებულიყო. ამ დროისათვის სპარსელების გაძლიერებით შეშფოთებულმა ათენელებმა და სპარტელებმა კავშირი შეკრეს. ათენიდან გაძევებულ ქსენოფონტს ხამშობლო ქალაქში დაბრუნების შესაძლებლობა ეძლეოდა, მაგრამ მან ამით არ ისარგებლა. თუმცა ამ ქალაქის მიმართ გარკვეული მსხვერპლი მაინც გაიღო იმით, რომ 362 წელს მანტინეასთან ბრძოლაში თავისი ორი ვაჟი ათენელების მხარეს გაგზავნა. აქ მისი ერთ-ერთი ვაჟი დაიღუპა.

გარდაიცვალა ქსენოფონტი ძვ. წ. 355 წლის ახლოს.

ქსენოფონტს მეტად მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა მიეწერება. მისი ნაწარმოებები იყოფა ისტორიულ, ფილოსოფიურ, პოლიტიკურ და დიდაქტიკურ თხზულებებად. მან სათავე დაუდო ბერძნულ ლიტერატურაში „ანაბასისებს“ და ეანრულად მის მონათესავე თხზულებებს.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი სწორედ „ანაბასისი“, რომელშიც გადმოცემულია ბერძენი დაქირავებულების სამშობლოში დაბრუნების ისტორია. „ანაბასისი“ ნიშნავს „აღმასვლას“, „ასვლას“. ქსენოფონტი ამ სიტყვას ხმარობს ქ. სარდრიდან ქვეყნის სიღრმეში ბაბილონისაკენ სვლის აღსანიშნავად. ამ ამბების გადმოცემას დათმობილი აქვს ნაწარმოების მხოლოდ ერთი, პირველი თავი. დანარჩენ ექვს თავში (ანუ წიგნში) გადმოცემულია ე. წ. „კატაბასისი“, ანუ სიტყვასიტყვით „ჩასვლა“, „ზემოდან დაშვება“, რასაც ქსენოფონტი იყენებს ქვეყნის შიდა ნაწილებიდან შავი ზღვის სანაპიროებისაკენ უკანდახევის აღსანიშნავად.

ქსენოფონტი თვითონ იყო მონაწილე მის მიერ აღწერილი ამბებისა. მას მიზნად ჰქონდა დასახული გაეზვიადებინა თავისი დამსახურება ბერძენი მეომ-

რების საბშობლოში მშვიდობით და შედარებით მცირე დანაკარგებით დაბრუნების საქმეში. პირველად ეს აღნიშნა ჯერ კიდევ პლუტარქემ. ამიტომ ქსენოფონტი „ანაბასისში“ მესამე პირით მოგვითხრობს მაშინაც კი, როდესაც მის შესახებაა საუბარი, ხოლო თავის ერთ-ერთ ნაწარმოებში „ანაბასისის“ ავტორად ვინმე თემისტოგენე სირაკუზელს ასახელებს.

„ანაბასისში“ თუკი სადმე მეღავნდება ტენდენციურობა, ეს არ შეიძლება ითქვას ქართველ ტომებზე ცნობების შესახებ, რადგან ეს ტომები ქსენოფონტის პოლიტიკური ინტერესების გარეთ რჩებოდნენ. თუმცა, ქსენოფონტი, როგორც ელინი და ქედმაღლურად მაყურებელი ბარბაროსებისა თავის ახეთ დამოკიდებულებას ფარულად, მაგრამ მაინც ამეღავნებს ნაწარმოებში.

ქრესტომათიაში წარმოდგენილია ქსენოფონტის ყველა ცნობა ქართველი ტომების შესახებ, რომლებიც განსაკუთრებით უხვადაა „ანაბასისის“IV და V წიგნებში. ტექსტი გადმობეჭდილია თ. მიქელაძის მიერ შესრულებული თარგმანიდან, აქვეა ერთი ნაწყვეტი „ანაბასისის“ VI წიგნიდან, რომელშიც აღწერილია ცეკვები და საერთოდ გართობა პაფლაგონიელებს შორის.

ბიბლიოგრაფია

1) Ксенофонт, Анабасис, Перевод, статья и примечания М. И. Максимовой, Под редакцией акад. И. И. Толстого, М. — Л., 1951.

2) თ. მიქელაძე, ქსენოფონტის „ანაბასისი“ (ცნობები ქართველი ტომების შესახებ), თბ., 1967.

ლიტერატურა

1) С. И. Соболевский, Ксенофонт, его жизнь и сочинения, წიგნში: Ксенофонт Афинский, Сократические сочинения, М.—Л., 1935.

2) М. И. Максимова, Ксенофонт и его «Анабазис», წიგნში: Ксенофонт, Анабазис, М.—Л., 1951.

3) თ. მიქელაძე, ქსენოფონტეს „ანაბასისი“, გვ. 5—20.

ანაბასისი

(ნაწყვეტები)*

IV, 1 (8) [...] კარდუხებმა მიატოვეს თავისი სახლკარი და ცოლ-შვილთან ერთად მთებში გაიხიზნენ. აქ [ელინები] დიდძალ სურსათს წააწყდნენ; სახლებში ბევრი იყო ბრინჯაოს ნივთები, მაგრამ ელინებს არც ერთი არ წაუღიათ. ისინი არც ხალხს სდევნიდნენ და ინდობდნენ მათ იმ იმედით, რომ კარდუხები ნებას მისცემენ [ელინებს] გაიარონ მათი მიწა-წყალი, როგორც მეგობრული ქვეყანა, რადგან ისინი მეფის მტრები იყვნენ (9). სურსათი კი ყოველ მათგანს მიჰქონდა სადაც კი ნახავდა, რადგან ეს აუცილებელი იყო. [მიუხედავად იმისა, რომ ელინები] ეძახდნენ კარდუხებს, [ისინი] არ მოდიოდნენ და საერთოდ არაფრით არ ამჟღავნებდნენ თავის კეთილ განწყობას [ელინების მიმართ]. (10). როცა უკანასკნელი ელინი [მეომრები] მთის მწვერვალიდან სოფლებში ეშვებოდნენ, უკვე დაბინდებული იყო, რადგან გზის სივიწროვის გამო, ასვლას და დაშვებას მთელი დღე მოუნდნენ; სწორედ მაშინ შეგროვდნენ კარდუხები და თავს დაესხნენ მათ. [კარდუხებმა] ქვებითა და ისრებით მოკლეს და დააშავეს რამდენიმე კაცი; ისინი ცოტანი იყვნენ, რადგან ელინების [ჯარის] მოსვლას არ მოელოდნენ. (11) უფრო მეტნი რომ ყოფილიყვნენ, ჯარის უდიდესი ნაწილი ალბათ დაიღუპებოდა. ეს ღამე ელინებმა ასე გაატარეს სოფლებში. კარდუხები კი გარშემო მთებზე ანთებდნენ მრავალ კოცონს და გასძახოდნენ ერთიმეორეს.

§ 12—15: მეორე დღეს გათენებისთანავე მოქირავნეთა არმიამ განაგრძო გზა. ბერძნები მთელი დღე მიდიოდნენ. დროდადრო მათ ბრძოლა უხდებოდათ. მესამე დღეს ამოვარდა საშინელი ქარბუქი, მაგრამ ბერძნები იძულებული იყვნენ განაგრძოთ გზა, რადგან სურსათი ელეოდათ.

(15) [...] ქეირისოფოსი მიუძღოდა [მეწინავეთ], ხოლო ქსენოფონტი არიერგარდში მიდიოდა. (16) მტრები მეტისმეტად ეძალებოდნენ, სიმაგრე ვიწროში მდებარეობდა და [ისინიც] ახლო მიდიოდნენ [ელინებთან], ესროდნენ მათ ისრებს და შურდულით — ქვებს. ელინებიც უტევდნენ მათ და შემდეგ კვლავ იხევდნენ უკან, რის გამოც იძულებული იყვნენ ნელა ეარათ. როცა მტრები ქსენოფონტს განსაკუთრებით ავიწროებდნენ, იგი მოითხოვდა ხოლმე, რომ შეჩერებულიყვნენ...

§ 17—28. ბერძნები მიადგნენ ერთადერთ გზას, რომელიც მთის მწვერვალისკენ მიემართებოდა. მთის მწვერვალზე კი კარდუხებს მოეყარათ თავი. ბერძნები იძულებული გახდნენ სხვა გზა ეძებნათ. ერთ-ერთმა ტყვემ უთხრა მათ, რომ არის სხვა გზაც, რომელიც მთის მწვერვალს ჩაუვლის. თუ ეს უკანასკნელი ვინმემ დაიკავა, შეუძლებელი იქნება ამ გზაზე გავლა. მაშინ სტრატეგოსებმა მოიძიეს მოხალისეები, რომელთაც წინასწარ უნდა დაეკავებინათ მწვერვალი და ამით უზრუნველეყოთ ელინების მშვიდობიანი მსვლელობა.

---

* წიგნიდან: თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე, ქსენოფონტის „ანაბასისი", თბ., 1967, გვ. 65—114.

IV,2 (1) [...] როცა მოსალამოვდა [ხეირისოფოსმა და ქსენოფონტმა] უბრძანეს მათ საახელდახელოდ ევახშმათ და წასულიყვნენ. მათ გადასცეს აგრეთვე შეკოპილი მეგზური და შეუთანხმდნენ, რომ თუ [ისინი] ღამით მწვერვალს დაიკავებენ და დაიცავენ სიმაგრეს, ხოლო გათენებისთანავე საყვირით მისცემენ დარჩენილებს ნიშანს, მაშინ მწვერვალზე მყოფნი თვს დაესხმიან [იმათ, ვისაც] ხელთ აქვთ გადასასვლელი, რომელიც მოჩანს, დანარჩენები კი რაც შეიძლება სწრაფად წამოვლენ მათ საშველად. (2) შეთანხმდნენ თუ არა ასე, დაახლოებით 2000 კაცამდე [მოხალისე] მაშინვე გაემართა. დიდი წვიმა მოდიოდა. ქსენოფონტი გაუძღვა არიერგარდს წინ აღმართული უღელტეხილისაკენ, რათა მტრებს აქ გზის მიმართ გაემახვილებინათ ყურადღება და არ შეეშჩნიათ შემოვლით მიმავალნი. (3) მაშინ, როდესაც არიერგარდი მიუახლოვდა ხრამს, რომელიც უნდა გადაეარათ აღმართზე ასასვლელად, ბარბაროსებმა დაიწყეს იმოდენა ქვების დაგორება, რომ [თითო ქვა] ერთ ურემს აავსებდა, [აგორებდნენ] უფრო დიდ ქვებს [და უფრო მომცროსაც]. ქვები ეხეთქებოდნენ კლდეებს, იმსხვრეოდნენ და ამიტომ ყოვლად შეუძლებელი იყო ხრამთან მიახლოება. (4) ლოხაგოსთაგან ზოგიერთმა [დაინახა, რომ იქ გავლა] შეუძლებელია [და შეეცადა] სხვაგან გასულიყო. [ამ ცდაში იყვნენ ისინი] ვიდრე არ დაბნელდა. ხოლო, როცა მათი აზრით მოწინააღმდეგე მათ წასვლას ვერ შეამჩნევდა, ისინი სასადილოდ გაემართნენ. [არიერგარდის მეომრებს შორის ისეთებიც] იყვნენ, ვისაც საუზმეც კი [არ] ჰქონდა [ნაჭამი]. მტრები კი მთელი ღამე ხმაურობდნენ და აგორებდნენ ქვებს. რასაც გრიალი მოწმობდა.

§ 5—6: ამასობაში მოხალისეთა რაზმი, რომელიც შემოვლით მიდიოდა მწვერვალის დაკავებლად, წაწყდა დარაჯებს. ელინებმა გარეკეს დარაჯები და ეგონათ, რომ ხელთ იგდეს მწვერვალი. მაგრამ ისინი შეცდნენ, რადგან მათ დაჰყურებდა მთა, სადაც იდგნენ მოწინააღმდეგის რაზმები და იცავდნენ იმ გზას, რომელიც ელინებს ესაჭიროებოდათ.

(7) [...] [ელინებმა] ღამე იქ გაატარეს. ხოლო როცა ინათა, უხმოდ საბრძოლო წყობილებაში გაემართნენ მტრის წინააღმდეგ. ჩამოწვა ნისლი და ამის გამო [ისინი მტერს] შეუმჩნეველად მიუახლოვდნენ, ხოლო როცა [მოწინააღმდეგეებმა] ერთიმეორე შეამჩნიეს, [ელინებმა] დასცეს საყვირი და საბრძოლო ყიჟინა და ეკვეთნენ მოწინააღმდეგეს. მან ვერ გაუძლო [ელინების იერიშს], მიატოვა გზა და გაიქცა. დაიღუპნენ ცოტანი, რადგან ისინი ძალიან მარდები იყვნენ...

§ 8—9: ქეირისოფოსის რაზმი პირველი შეუერთდა მოხალისეებს. ქსენოფონტმა კი არიერგარდი ორად გაპყო: ერთი ნაწილი აღალს წინ გაუძღვა, ხოლო მეორე უკან მიჰყვებოდა.

(10) [...] წინ მიმავალნი წააწყდნენ ამაღლებულ ადგილს, [რომელიც] გზას ზემოდან [დაჰყურებდა] და დაკავებული იყო მტრების მიერ. სხვა გზა არ იყო, ან [მტრები] უნდა გამოედევნათ, ანდა დანარჩენ ელინებს უნდა მოწყვეტოდნენ. შეიძლებოდა იმ გზით წასვლა, რომლითაც დანარჩენები მიდიოდნენ, მაგრამ საპალნის პირუტყვს სხვა გზა არ ჰქონდა და იქ უნდა ასულიყო. (11) მაშინ დაიწყეს ერთიმეორის გამხნევება, დაირაზმნენ სწორ ლოხებად და ეკვეთნენ ბორცვს, ოღონდ არა ყოველი მხრიდან, არამედ მტრებს გასავალი დაუტოვეს [იმ შემთხვევისათვის], თუ ისინი გაქცევაზე იფიქრებდნენ. (12) ვიდრე [ელინები], ბორცვზე ადიოდნენ ისე, ვისაც როგორ შეეძლო, ბარბაროსები ესროდნენ მათ ისრებს და სტყორცნიდნენ [ქვებს]. [კარდუხები] ისე გაიქცნენ და მიატოვეს სიმაგრე, რომ [ელინები] ახლო არ მიუშვეს. [ელინებმა] გადაიარეს ის [შემაღლება] და როცა წინ მტრების მიერ დაკავებული მეორე ბორცვი დაინა-

ხეს, გადაწყვიტეს მაშინვე გაელაშქრათ მის წინააღმდეგ. (13) ქსენოფონტს კი ეშინოდა ცარიელი დაეტოვებინა იერიშით აღებული ბორცვი, რომ მტერს ხელმეორედ არ დაეკავებინათ იგი და არ დასხმოდნენ თავს იქვე მიმავალ ალალს. ალალი გზის სივიწროვის გამო დიდ მანძილზე იყო გაჭიმული და ისე მიდიოდა. [ამიტომ] მან დატოვა ბორცვზე ლოხაგოსები კეფისოდორე, ძე კეფისოფანტე ათენელისა, ამფიკრატე, ძე ამფიდემე ათენელისა, და არგოსიდან დევნილი არხაგორა, თვით კი სხვებთან ერთად გაემართა მეორე ბორცვის წინააღმდეგ — და აიღო იგი იმავე ხერხით.

(14) მათ კიდევ უნდა დაეკავებინათ მესამე, ბევრად უფრო ციცაბო მაღლობი, სწორედ ის, რომელიც [მდებარეობდა იმ ადგილის] ზემოთ [სადაც იმყოფებოდნენ] დარაჯები, ღამით მოხალისეებმა რომ შეიპყრეს. (15) როდესაც ელინები ახლოს მივიდნენ, ბარბაროსებმა უბრძოლველად დასტოვეს მაღლობი, რამაც ყველა გააოცა. [ისინი] დაეჭვდნენ, ხომ არ შეეშინდათ [კარდუხებს]იმისა, რომ [ელინები] გარს შემოერტყმიან მათ და ალყაში მოაქცევენ. მაგრამ გამოირკვა, რომ [კარდუხებმა] მწვერვალიდან დაინახეს უკან მომავალნი და სუყველამ არიერგარდის წინააღმდეგ გაილაშქრა. (16) აქ ქსენოფონტი შედარებით ახალგაზრდა შეიარებთან ერთად ავიდა მწვერვალზე, დანარჩენებს კი უბრძანა ნელა ეარათ წინ, რათა ბოლო ლოხები შეერთებოდნენ [მათ]; ამასთან უთხრა, რომ როდესაც გზას გაივლიდნენ [და] ვაკეზე [გავიდოდნენ], დავშვათ იარაღი.

(17) ამ დროს მოვიდა არხაგორა არგოსელი, რომელიც გამოექცა [მტერს] და თქვა. რომ ისინი გამორეკეს მაღლობიდან, რომ კეფისოდორე, ამფიკრატე და აგრეთვე სხვები, ვინც კლდიდან ვერ გადმოხტა არიერგარდამდე მოსასვლელად, დახოცეს. (18) ამის შემდეგ ბარბაროსები ავიდნენ [ელინების მიერ] დაკავებული მაღლობის მოპირდაპირე ბორცვზე. ქსენოფონტი თარჯიმნის მეშვეობით დაელაპარაკა მათ ზავის შესახებ და მოსთხოვა მოკლულთა გაცემა. (19) [კარდუხებმა] უპასუხეს [ელინებს], რომ მისცემენ [მოკლულებს] იმ პირობით, თუ ისინი არ დასწვავენ მათ სახლებს. ქსენოფონტი დათანხმდა და ვიდრე ჯარის დარჩენილმა ნაწილმა გაიარა და ვიდრე მოლაპარაკება [მიმდინარეობდა], იმ მიდამოებიდან ყველა [მოწინააღმდეგემ] თავი მოიყარა იქ. (20) ხოლო, როდესაც [ელინებმა] დაიწყეს ჩამოსვლა მაღლობიდან თავისიანებთან, სადაც [ისინი იდგნენ] და იარაღი ჰქონდათ დაშვებული, მტრები მთელი ძალებით და ხმაურით გაეშურნენ მათკენ და როცა მიაღწიეს იმ მაღლობის მწვერვალს, საიდანაც ქსენოფონტი დაეშვა, დაიწყეს კლდეების დაგორება. ერთ [მეომარს] დაუმსხვრიეს ბარძაყი, ხოლო ქსენოფონტი დარჩა საჭურველმტვირთველის გარეშე, რომელსაც ფარი ჰქონდა. (21) მაგრამ მასთან მოირბინა ჰოპლიტმა ევრილოქე ლუსიელმა [არკადიიდან], ორივეს მიეფარა და ისე დაიხია უკან. დანარჩენებიც წავიდნენ მწყობრში დარაზმული [მეომრებისკენ].

(22) ამის შემდეგ ელინების მთელმა [ლაშქარმა] ერთად მოიყარა თავი და განლაგდა მრავალრიცხოვან და მშვენიერ სახლებში, რომელიც სავსე იყო სურსათით. იქ ღვინო ისე ბევრი იყო, რომ სილით ამოლესილ ორმოებში ჰქონდათ [შენახული]. (23) ქსენოფონტმა და ქეირისოფოსმა მიაღწიეს იმას, რომ მიიღეს მოკლულთა [გვამები, სანაცვლოდ კი] გაუშვეს მეგზური...

(27) ბარბაროსები მრავალ სიძნელეს უქმნიდნენ [ელინებს] მაშინაც კი, როცა ისინი მიაღწევდნენ მწვერვალს და ისევ ძირს ეშვებოდნენ. ისინი იმდენად მარდები იყვნენ, რომ [რაც არ უნდა] ახლო მისულიყვნენ [ელინებთან], მაინც ახერხებდნენ გაქცევას. მათ არ ჰქონდათ სხვა იარაღი, გარდა მშვილდ-ის-

რისა და შურდულებისა. ისინი ბრწყინვალე მშვილდოსნები იყვნენ. მათ ჰქონდათ სამწყრთიანი მშვილდები, ხოლო მშვილდის ისრები 2 წყრთას აღემატებოდა. სროლის დროს ისინი [მშვილდის] ბოლოს აჭერდნენ მარცხენა ფეხს და ისვ ამოზიდავდნენ ხოლმე ლარს. მათი ისრები ფარებსა და ჯავშანს ატანდა. როცა ელინები ხელთ იგდებდნენ ხოლმე [ამ ისრებს], უკეთებდნენ მათ სასროლ ღვედებს და როგორც სატყორცნ შუბებს ხმარობდნენ. ამ მხარეში ყველაზე გამოსადეგნი კრეტელები აღმოჩნდნენ. მათ მეთაურობდა სტრატოკლე კრეტელი.

IV, 3 (1) მთელი ეს დღე [ელინებმა] დაჰყვეს სოფლებში იმ ველის ზემოთ, რომელიც მდინარე კენტრიტის გასწვრივაა [გადაშლილი]. [კენტრიტის] სიგანე დაახლოებით ორი პლეთრონია. იგი საზღვრავს არმენიას კარდუხების ქვეყნისაგან. აქ ელინებმა დაინახეს ველი და შვებით ამოისუნთქეს. მდინარე კარდუხების ქვეყნიდან ექვსი თუ შვიდი სტადიონით იყო დაშორებული. (2) [აქ ისინი] დიდი სიამოვნებით განლაგდნენ ღია ცის ქვეშ. მათ ჰქონდათ სურსათი და ისინი იგონებდნენ ბრძოლებს, რომელიც თავს გადახდათ. ის შვიდი დღე, რომელიც მათ მოანდომეს კარდუხების ქვეყნის გავლას, სულ ბრძოლებში გაატარეს. ამასთან იმდენი უბედურება განიცადეს, რამდენიც [მათთვის არ მიუყენებიათ] ერთად მეფესა და ტისაფერნეს. ისინი მიეცნენ სიამოვნებას, თითქოს ყოველივე მართლაც გათავდა.

(3) გათენებისას [ელინებმა] მდინარის მეორე ნაპირზე დაინახეს შეიარაღებული მხედრები, რომელნიც, როგორც ჩანს, აპირებდნენ მათთვის [მდინარის] გადალახვაში ხელის შეშლას და აგრეთვე ქვეითები, რომელნიც მხედრების ზემოთ, ფერდობებზე გამწკრივებულიყვნენ და [ელინების] არმენიაში შეჭრისათვის ხელის შეშლას აპირებდნენ. (4) ისინი იყვნენ ორონტისა და არტუხის მოქირაჟნეები — არმენიელები, მარდები და ხალდები. ამბობდნენ, რომ ხალდები თავისუფალნი და მამაცნი არიან; მათი იარაღი იყო გრძელი წნული ფარები და შუბები. (5) ის ფერდობები, რომელზეც ისინი დარაზმულიყვნენ, 3 თუ 4 პლეთრონით იყო დაშორებული მდინარეს. ერთადერთი გზა, რომელიც მოჩანდა, მიდიოდა ზევით და, როგორც ჩანს, ხელოვნური იყო. აქ ცდილობდნენ ელინები [მდინარის] გადალახვას. (6) მაგრამ როცა სცადეს, წყალი მათ მკერდებს ასცდა. მდინარის ფსკერიც ოღროჩოღრო იყო და ლოდიანი. არ შეიძლებოდა აგრეთვე იარაღის წყალში ტარება, რადგან ის მდინარეს მიჰქონდა. ვინც სცადა იარაღის თავზე წაღება, ისინი ისრებისა და სხვა სასროლი იარაღისათვის მისწვდომი აღმოჩნდნენ. ამიტომ [ელინებმა] დაიხიეს უკან და მდინარის ნაპირას დაბანაკდნენ. (7) იქ კი, სადაც თვითონ გაატარეს წინა ღამე, მთებზე იარაღასხმული მრავალი კარდუხი შენიშნეს. მაშინ კი ელინები დიდ სასოწარკვეთილებას მიეცნენ; ისინი ხედავდნენ, რომ მდინარე გადაულახავია, ხედავდნენ აგრეთვე მათ, ვინც ხელს უშლიდა [მდინარეზე] გადასვლაში, ხედავდნენ კარდუხებსაც, რომელნიც მზად იყვნენ [მდინარის] გადალახვისას უკნიდან დასხმოდნენ მათ თავს.

§ 8—24: ეს დღე და მომდევნო ღამე ელინებმა შიშში გაატარეს. ქსენოფონტმა ნახა სიზმარი, თითქოს ფეხები ხუნდებით ჰქონდა შებორკილი და ხუნდები თავისით დასკდა. ეს სიზმარი ელინებს კარგად ენიშნათ. მართლაც ქსენოფონტთან დილით მოირბინა ორმა ჯაჭუკმა და აუწყა მას, რომ ისინი მდინარის ფონს წაეწყდნენ. გადაწყდა ესარგებლათ ამ ფონით. ფონი ხეიროსოფოსს, როგორც მთაელ მეთაურს უნდა გადაელახა და ნახევარი არმია გადაეყვანა, ხოლო არმიის მეორე ნახევარი დარჩებოდა აქეთ ნაპირზე ქსენოფონტთან ერთად. როცა ხეიროსოფოსი მდინარეს გადადიოდა, ქსენოფონტი თავისი რაზმით ფიცხლად გაეშურა არმენიის მეთებისაკენ, რომ მტერს ჰგონებოდა,, თითქოს „იგი იქ აპირებდა მდინარეზე გადასვლას. ამ ბრძოლის შემდეგ, როცა ქსენოფონტმა დაინახა, რომ ხეიროსოფოსი მშვიდობიანად გადადიდა

მეორე მხარეს, თვითონაც მდინარის ფონს მიაშურა, რადგან კარდუხებმა დაიწყეს ბარში დაშვება და, როგორც ჩანს, თავდასხმას აპირებდნენ.

(25) [...] ხეირისოფოსმა აიღო [მთის] მწვერვალი, ლიკიოსი კი მცირე [რაზმით] დაედევნა [გაქცეულ მტერს] და ხელში ჩაიგდო მიტოვებული აღალი და, სხვათა შორის, ლამაზი ტანსაცმელი და თასები. (26) როგორც კი ელინების აღალი და სააღალო რაზმები [მდინარეზე] გადავიდნენ, ქსენოფონტმა [თავისი რაზმები] პირით კარდუხების წინააღმდეგ მიაბრუნა და უბრძანა ლოხაგოსებს, რომ თითოეულს თავისი ლოხი ენომოტიების მიხედვით დაეწყო, გამოეყვანა ისინი მარცხნივ, რათა შექმნილიყო ფალანგის წყობა. ლოხაგოსებსა და ენომოტარქოსებს [უბრძანა მან] კარდუხებზე გალაშქრება, ხოლო არიერგარდის მეთაურებს — მდინარესთან დარჩენა. (27) როცა კარდუხებმა დაინახეს, რომ აღალის [დამცველი] არიერგარდი დასუსტდა და თითქოს შემცირდა კიდეც, ისინი უფრო ჩქარა წავიდნენ რაღაც სიმღერების მღერით. ხეიროსოფოსმა კი, რაკი მას საშიშროება არ მოელოდა, ქსენოფონტთან გაგზავნა პელტასტები, მეშურდულენი და მშვილდოსნები და უბრძანა მათ, რომ მისი ბრძანებები შეესრულებინათ...

(30) კარდუხებმა დაინახეს, რომ [არიერგარდში] უკვე ცოტანიღა დარჩენ: — ბევრი მათგანიც კი, ვისაც ნაბრძანები ჰქონდა დარჩენა, წავიდა. [ისინი გზა და გზა] მეთვალყურეობდნენ ვინ საპალნე პირუტყვს, ვინ ქონებას და ვინ ჰეტერებს — ამიტომ შეუტიეს თამამად და დაუწყეს [ელინებს] შურდულით ქვების ტყორცნა და ისრების სროლა. (31) ელინებმა წამოიწყეს პეანი და სირბილით ეკვეთნენ მათ. [კარდუხებმა] ვერ გაუძლეს [შემოტევას]; ისინი, როგორც მთიელები, საკმაოდ კარგად იყვნენ აღჭურვილი შესატევად და უკანდასახევად, მაგრამ ხელჩართული ბრძოლისათვის (32) [მათი შეიარაღება] საკმაო არ იყო. ამ დროს მებუკემ ნიშანი მისცა, მტრები კიდევ უფრო სწრაფად გაიქცნენ; ელინებიც პირუკუ შეტრიალდნენ და რაც შეიძლებოდა ჩქარა გაიქცნენ მდინარის გადასალახავად. (33) მტერთაგან ვინც ეს შეამჩნია, უკან მდინარისაკენ გამობრუნდა და დაუშინა [ელინებს] ისრები და ზოგიერთები დააშავა კიდეც, მაგრამ [კარდუხების] უმრავლესობა მაშინაც კი გარბოდა, როცა ნათელი გახდა, რომ ელინები [მდინარის] მეორე მხარეს იმყოფებიან...

IV,4 (1) [მდინარის] გადალახვის შემდეგ, დაახლოებით შუადღისას, [ელინები] დაირაზმნენ და იარეს არმენიაში არა ნაკლებ 5 ფარასანგისა, სავსებით ვაკე ადგილზე და შიშველ მიწის ბორცვებზე. აქ მდინარის ახლოს არ იყო სოფლები კარდუხებთან ომის გამო.

§ 2—17: ბერძენთა არმია მოემართება არმენიაში. ძას ფეხდაფეხ მისდევს დასავლეთ არმენიის სატრაპი ტირიბაზი. ამის გამო ბერძნები ჯერ ერიდებიან სოფლებში შესვლას, ბოლოს კი იძულებული ხდებიან შეავიდნენ, რადგან დიდი თოვლი მოვიდა. ისინი აგზავნიან მთებში მზვერავს, რომელიც ტყვედ იგდებს სპარსელს და მოჰყავს იგი ბერძენთა ბანაკში. სპარსელი ტყვე დაჰკითხეს.

(18) [...] მან თქვა, რომ ტირიბაზს ყავს თავისი ჯარი და მოქირავნეები — ხალიბები და ტაოხები. მან განაცხადა აგრეთვე, რომ [ტირიბაზი] ამზადებს თავდასხმას ელინებზე ვიწრობებში იქ, სადაც ერთადერთი გასავლელი არსებობს.

IV, 5-ში და VI, 1-ში აღწერილია ბერძენთა მსვლელობა არმენიაში. ისინი მიემართებიან ღიდ თოვლში და მრავალი სიძნელის გადალახვა უხდებათ. ბოლოს მიაღწევენ მდინარე ფასისს.

IV,6 (4) [...] ამის შემდეგ [ელინებმა] იარეს შვიდ გადასავლად ღღეში ხუთ-ხუთი ფარასანგი მდინარე ფასისის გასწვრივ. [ფასისის] სიგანე ერთი პლეთრო-

ნაა. შემდეგ იარეს ორ გადასავლად 10 ფარასანგი მთის გადასასვლელთან, რომელიც ვაკეზე ეშვებოდა, მათ დახვდნენ ხალიბები, ტაოხები და ფასიანები.

§ 6—27: ბერძენ სტრატეგოსთა სამხედრო თათბირი ხალიბებთან, ტაოხებთან და ფასიანებთან ბრძოლის წინ. ბერძნები იმარჯვებენ ბრძოლაში და იკავებენ მთის გადასასვლელს.

IV,7 (1) აქედან [ელინებმა] ტაოხების ქვეყანაში ხუთ გადასავლად ოცდაათი ფარასანგი იარეს. [იქ] მაო შემოაკლდათ სანოვაგე, რადგან ტაოხები ცხოვრობდნენ მიუვალ სიმაგრეებში და მთელი თავისი სურსათი იქ ჰქონდათ ატანილი. (2) როდესაც [ელინები] მივიდნენ ერთ გამაგრებულ ადგილთან, რომელიც ქალაქი არ იყო და სადაც შენობებიც არ მოიპოვებოდა, თუმც იქ თავი მოეყარათ მამაკაცებს და ქალებს მრავალ პირუტყვთან ერთად, ხეიროსოფოსი მისულისთანავე თავს დაესხა მას; [იერიშის დროს], როცა პირველი რაზმი იღლებოდა, ამას ენაცვლებოდა მეორე, შემდეგ კი სხვა, რადგან გარშემო ციცაბო ადგილი იყო და ერთობლივი გარემოცვა არ ხერხდებოდა.

§ 3—12-ში აღწერილია ბერძენ სტრატეგოსთა თათბირი იმის გამო, თუ როგორ აიღონ ტაოხების სიმაგრე. ბერძნებმა გამოიყენეს სამხედრო ფანდი და შეიპრნენ სიმაგრეში.

(13) [...] იქ კი [ელინები მოწმენი გახდნენ] საზარელი სანახაობისა: ქალები ისროდნენ ბავშვებს [უფსკრულში] და თვითონაც თან მიჰყვებოდნენ, ასევე [იქცეოდნენ] მამაკაცებიც. ამ დროს ლოხაგოსმა ენეოს სტიმფალიოსელმა დაინახა ლამაზ ტანსაცმელში [გამოწყობილი მამაკაცი უფსკრულში] გადასავარდნად რომ მიისწრაფოდა, ეცა მას შესაჩერებლად, (14) მაგრამ მან თან წარიტაცა იგი და ერთიცა და მეორეც გადაეშვნენ კლდიდან და დაიღუპნენ. იქიდან ხალხი ძალიან ცოტა წაიყვანეს, სამაგიეროდ [წაასხეს] მრავალი ხარი, სახედარი და ცხვარი.

(15) აქედან იარეს ორმოცდაათი ფარასანგი შვიდ გადასავლად ხალიბების [მიწა-წყალზე]. ისინი უმამაცესნი იყვნენ [იმ ტომებს შორის], რომელთა მიწა-წყალი [ელინებმა] გაიარეს. [ხალიბები] ხელჩართულ ბრძოლაში ებმებოდნენ [ელინებთან]. მათ ჰქონდათ სელის აბჯრები, [რომლებითაც] მუცლის ქვედა ნაწილამდე [იყვნენ დაცული], ხოლო [აბჯრის] კალთების ნაცვლად მჭიდროდ დაგრეხილი თოკები. (16) ისინი აბატებდნენ აგრეთვე საბარკულებსა და მუზარადებს, ხოლო ქამრის გასწვრივ ლაკონური ხმლის მსგავს სატევარს, რომლითაც კლავდნენ მას, ვის ძლევასაც შეძლებდნენ, სჭრიდნენ თავებს და თან მიჰქონდათ, ამასთან [ხალიბები] მაშინ მღეროდნენ და როკავდნენ, როდესაც მტერი უყურებდა. მათ ეკავათ აგრეთვე 5 წყრთის [სიგრძის] შუბები, რომელთაც მხოლოდ თითო შუბისპირი ჰქონდათ. (17) ისინი რჩებოდნენ პოლისმებში და როდესაც ელინები ჩაუვლიდნენ, ყოველთვის ბრძოლით დაედევნებოდნენ მათ. [ხალიბები] ცხოვრობდნენ სიმაგრეებში და სურსათიც იქ ჰქონდათ ატანილი. ამის გამო აქედან ელინებმა ვერაფერი ვერ წაიღეს და იკავებებოდნენ ისევე იმ პირუტყვით, რომელიც ტაოხებს წაართვეს. (18) ამის შემდეგ ელინები მივიდნენ მდინარე ჰარპასოსთან, რომლის სიგანე ოთხი პლეთრონია. აქედან იარეს სკვითინების [ქვეყანაში] ვაკეზე ოთხ გადასავლად 20 ფარასანგი და [მივიდნენ] სოფლებში, სადაც დარჩნენ სამი დღე და სურსათი მოიმარაგეს.

(19) აქედან გაიარეს ოთხ გადასავლად 20 ფარასანგი დიდ, მდიდარ და მჭიდროდ დასახლებულ ქალაქამდე, რომელსაც გვიმნიასი ეწოდებოდა. იქედან ქვეყნის მმართველმა ელინებს მეგზური გაუგზავნა, რათა ისინი თავის მტრების ქვეყანაზე გაეტარებინა. (20) მან მისულისთანავე თქვა, რომ 5 დღეში მიიყვანს [ელინებს ისეთ] ადგილზე, საიდანაც ზღვა მოჩანს; ხოლო თუ არ [შეასრულებს დაპირებას] მაშინ, როგორც მან განაცხადა, მზად იქნება სასიკვდილოდ.

იგი მეგზურობისას [განსაკუთრებით კი მაშინ], როცა ისინი [სკვითინების] მტრებთან მივიდნენ, აქეზებდა [ელინებს] — გაენადგურებინათ და აეოხრებინათ ეს ქვეყანა. ცხადი გახდა, რომ იგი ამ მიზნით იყო წამოსული და არა ელინებისადმი კეთილგანწყობის გამო. (21) მეხუთე დღეს მიაღწიეს მთას; მთის სახელი იყო თეზესი. როგორც კი მეწინავენი მთაზე ავიდნენ, ატყდა დიდი ხმაური. (22) როცა ქსენოფონტმა და არიერგარდში მყოფმა მეომრებმა [ხმაური] გაიგონეს, გადაწყვიტეს, რომ წინიდან სხვა მტერი დაესხათ თავს; ამასთან მათ უკან [ფეხდაფეხ] მოსდევდნენ [მათ მიერ] გადამწყვარი ქვეყნის [მცხოვრებნი]; არიერგარდში მყოფმა მეომრებმა ზოგი მათგანი დახოცეს, [ზოგს] ჩაუსაფრდნენ და ცოცხლად დაატყვევეს; მათ ხელთ იგდეს აგრეთვე ხარის დაუმუშავებელი ტყავისაგან გაკეთებული 20 ფარი. (23) ყვირილი კი ძლიერდებოდა და ალლოდებოდა; განუწყვეტლივ მომავალი [რაზმები] სწრაფად მირბოდნენ [იმათკენ, ვინც] გამუდმებით ყვიროდა; ამიტომ შეძახილები კიდევ უფრო გაძლიერდა, რადგან იმათი რიცხვი, ვინც ყვიროდა, სულ უფრო მატულობდა. ქსენოფონტი მიხვდა, რომ იქ რაღაც უდიდესი რამ მოხდა; (24) იგი შეჯდა ცხენზე, გაიყოლია ლიკოსი და ცხენოსანთა [რაზმი] და გაემართა მისაშველებლად. მალე მათ გაიგონეს, რომ მეომრები ყვირიან: „ზღვა, ზღვა!“ და ერთიმეორეს გადასცემენ [ამ სასიხარულო ცნობას]. მაშინ ყველა, არიერგარდში მყოფი მეომრებიც კი გაიქცნენ და წინ გაიგდეს საპალნე პირუტყვი და ცხენები. (25) როცა ყველა ავიდა მწვერვალზე, თვალცრემლიანი [მეომრები] გადაეხვივნენ ერთიმეორეს, სტრატეგოსებსა და ლოხაგოსებს. უეცრად ვიღაცის შეგონებით მეომრებმა მოიტანეს ქვები და დიდი ბორცვი აღმართეს. (26) მასზედ დაადვეს მრავალი დაუმუშავებელი ტყავი ხარისა, ჯოხები და ნაალაფარი ფარები; მეგზურმა თვითონ დაუწყო ფარებს ჩეხვა და მოუწოდებდა დანარჩენებს [იგივე გაეკეთებინათ]. (27) ამის შემდეგ ელინებმა გაისტუმრეს მეგზური, [რომელსაც] საერთო ქონებიდან მისცეს საჩუქრად ცხენი, ვერცხლის ფიალა, სპარსული ტანსაცმელი და ათი დარეიკი. მან კი უპირატესად ბეჭდები მოითხოვა და მიიღო [კიდეც] ბევრი ჯარისკაცთაგან. [მეგზურმა] უჩვენა მათ სოფელი, სადაც შეიძლებოდა დაბანაკება, აგრეთვე გზა, რომლითაც მივიდოდნენ მაკრონებთან, ხოლო როდესაც დაბინდდა, იგი წავიდა და მიიმალა [ღამეში].

IV,8 (1) აქედან ელინებმა მაკრონების [ქვეყანაზე] სამ გადასავლად 10 ფარასანგი გაიარეს. პირველივე დღეს მივიდნენ მდინარესთან, რომელიც მაკრონების [ქვეყანას] სკვითინების [ქვეყნისაგან] საზღვრავდა. (2) მათგან მარჯვნივ და ზემოთ ძალიან მიუვალი ადგილი იყო, ხოლო მარცხნივ — მეორე მდინარე, რომელსაც სასაზღვრო ერთვოდა და რომელიც უნდა გადაელახათ. [მდინარის ნაპირი] მოდებული იყო არც თუ ისე მსხვილი, მაგრამ სქლად გაბარდნილი ხეებით. ელინებმა იქ მისვლისთანავე დაიწყეს [ხეების] ჩეხვა, [ისინი] ჩქარობდნენ, რომ რაც შეიძლება მალე გასცლოდნენ ამ მიდამოს, (3) მაკრონები კი ბეწვის ქიტონებში, ხელში ფარებით და შუბებით [მდინარის] ფონის მოპირდაპირე მხარეს საბრძოველად დარაზმულიყვნენ, ერთიმეორეს ამხნევებდნენ და ისროდნენ ქვებს მდინარეში. მაგრამ [ქვები ელინებს] ვერ სწვდებოდა და ზიანსაც არავის არ აყენებდა.

(4) ამ დროს ქსენოფონტს მიუახლოვდა ერთ-ერთი პელტასტთაგანი, რომელიც ერთ დროს, როგორც თვითონ თქვა, ათენში მონად იყო ნამყოფი, და უთხრა, რომ ამ ხალხის ენა მას ესმის. „მე ვფიქრობ, დასძინა მან, რომ ეს ჩემი საშობლოა, და, თუ საწინააღმდეგო არა არის რა, მე მსურს დაველაპარაკო მათ“. (5) „არაფერია საწინააღმდეგო — უპასუხა [ქსენოფონტმა] — პირიქით, დაე-

ლაპარაკე და უპირველეს ყოვლისა გაიგე ვინ არიან ისინი". შეკითხულებმა უპასუხეს, რომ მაკრონები არიან. „ჰკითხე ისევ, უთხრა [ქსენოფონტმა], რად დარაზმულან საბრძოლოდ და რატომ სურთ, რომ ჩვენი მტრები იყვნენ"](6) მათ უპასუხეს: „იმის გამო, რომ თქვენ ჩვენს ქვეყანაზე ლაშქრობთ". სტრატეგოსებმა უბრძანეს [პელტასტს] ეთქვა მაკრონებისათვის, რომ ისინი ცუდს არაფერს გააკეთებენ, რომ მათ მეფესთან იომეს, [ახლა] ელადაში ბრუნდებიან და ზღვისკენ გასვლა სურთ.

(7) ისინი შეეკითხნენ [ელინებს] მისცემენ თუ არა მათ [პირიანობის] საწინდარს. [ელინებმა] უპასუხეს, რომ მიცემაც სურთ [საწინდარისა] და მიღებაც. მაშინ, მაკრონებმა ელინებს მისცეს ბარბაროსული შუბი, ხოლო ელინებმა მათ—ელინური; ეს მათი სიტყვით პირიანობის ნიშანი ყო. ამასთანავე მოწმედ ღმერთებს უხმობდნენ.

მათ—ელინური, მათი სიტყვით ეს პირიანობის ნიშანი იყო. ამასთანავე, მოწმედ [მდინარეზე ამ უკანასკნელთა] გადასაყვანად დაიწყეს ხეების ჩეხვა და გზის კეთება; [მუშაობის დროს] შუა ადგილას ისინი შეერივნენ ელინებს. [მაკრონებს] რამდენიც შეეძლოთ მიჰქონდათ სურსათი და აგრეთვე სამი დღის განმავლობაში თან მიჰყვებოდნენ მათ, ვიდრე არ მიიყვანეს ელინები კოლხების საზღვართან. იქ იყო დიდი მთა, რომელზედაც კოლხები საბრძოლოდ დარაზმულიყვნენ. ელინები უპირველეს ყოვლისა ფალანგებად დაირაზმნენ და ამ წყობით დააპირეს მთაზე ასვლა. შემდეგ სტრატეგოსებმა გადაწყვიტეს შეკრებილიყვნენ, რომ მოეთათბირებინათ — როგორ აჯობებდა მტერთან შებმა.

§ 10—15: ქსენოფონტის წინადადებით, რომელიც გაიზიარეს დანარჩენმა სტრატეგოსებმა, შეტევის დროს ნაცვლად ფალანგისა გადაწყვიტეს სწორი ლოხის გამოყენება. შემდეგ ქსენოფონტმა სიტყვით მიმართა მეომრებს.

(16) [...] ამის შემდეგ სტრატეგოსებმა ბრძანეს ელოცათ. ხოლო ლოცვისა და საბრძოლო სიმღერების შესრულების შემდეგ გაემართნენ. ხეირისოფოსი და ქსენოფონტი თავისი პელტასტებითურთ მიდიოდნენ ისე, რომ იმყოფებოდნენ მტრის ფალანგის გარეთ (17). როდესაც მტერმა დაინახა ისინი, გამოექანა მათ დასახვედრად და გაიფანტა ნაწილი მარჯვენა ფრთისაკენ, ნაწილი კი მარცხენა ფრთისაკენ, [რითაც] თავისი ფალანგის შუაგულში დიდი ცარიელი სივრცე წარმოშვა. (18) არკადიელმა პელტასტებმა, რომელთაც ესქინე აკარნანელი მეთაურობდა, იფიქრეს, რომ [კოლხები] გარბიან და ყიჟინით გამოუდგნენ. ისინი პირველნი ავიდნენ მთაზე, მათ მიჰყვნენ არკადიელი ჰოპლიტები, რომელთაც კლეანორე ერქომენელი მეთაურობდა. (19) როგორც კი [ელინები] სირბილზე გადავიდნენ, მოწინააღმდეგემ ვერ გაუძლო და უკუიქცა სხვადასხვა მხარეს. ელინები კი ავიდნენ [მთაზე] და დაბანაკდნენ მრავალ სოფელში, სადაც უამრავი სურსათი მოიპოვებოდა.

(20) იქ, არსებითად, არა იყო რა გასაოცარი, გარდა მრავალი სკისა. მეომართაგან ყველამ, ვინც კი ფიჭი შეჭამა, დაკარგა გონება, აღებინა, კუჭი აეშალა და არც ერთ მათგანს სწორად დგომა არ შეეძლო. ისინი, ვინც [ფიჭი] ცოტა ჭამა მაგრად დამთვრალებს ჰგავდნენ, ხოლო ვინც მეტი—შეშლილებს ან მომაკვდავებს. (21). უმრავლესობა ეყარა ისე, როგორც [ომში] დამარცხების შემდეგ და ღრმა სასოწარკვეთილებას მისცემოდა, თუმც არავინ მომკვდარა. მეორე დღეს და დაახლოებით იმ დროს [წინადღით თაფლი რომ ჭამეს] მეომრები გონს მოვიდნენ. ხოლო მესამე და მეოთხე [დღეს] დგებოდნენ ისე, როგორც მოწამვლის შემდეგ.

(22) აქედან [ელინებმა] იარეს ორ გადასავლად შვიდი ფარასანგი და მივიდნენ ზღვასთან ტრაპეზუნტში — მჭიდროდ დასახლებულ ელინურ ქალაქში, რომელიც სინოპელთა კოლონია იყო კოლხების ქვეყანაში ევქსინოს პონტოს სანაპიროზე. აქ კოლხების სოფლებში [ელინებმა] დაახლოებით 30 დღე დაჰყვეს და აქედან აწარმოებდნენ თავდასხმებს და ანადგურებდნენ კოლხიდას. (23) ტრაპეზუნტელებმა ბანაკში მიუტანეს ელინებს სურსათი, კარგად მიიღეს ისინი და სტუმართმოყვარეობის ნიშნად მისცეს ხარები, ქერის ფქვილი და ღვინო. ისინი შველოდნენ, აგრეთვე, მეზობელ კოლხებს, რომელნიც უპირატესად ბარში ბინადრობდნენ, რათა [ელინებს] შეთანხმებოდნენ. [ელინებს] ამათგან ძღვნად [კიდევ უფრო მეტი] ხარები მოუვიდათ.

მე-5 წიგნის I-ლი თავი: ბერძენთა თათბირი შემდგომი ლაშქრობის გამო, ხეირისოფოსი გამოთქვამს ხომალდების საშოვნელად წასვლის სურვილს, რასაც ლაშქარი მიესალმება. შემდეგ გამოდის ქსენოფონტი და აყალებს ბერძენთა არმიის მოქმედების გეგმას — როგორ უნდა იშოვნონ ნადავლი და ითარეშონ ახლომახლო მხარეებში ხეირისოფოსის დაბრუნებამდე. მანვე განაცხადა, რომ ვიდრე ხეირისოფოსი დაბრუნდება, დარჩენილებმაც შეეცადონ გზად მიმავალი ხომალდების ხელში ჩაგდება, ხოლო თუ ხომალდების შოვნის ცდამ ფუჭად ჩაიარა, მაშინ მოთხოვონ ზღვისპირა ქალაქებს გზების შეკეთება. ისინი ამას გააკეთებენ ერთის მხრივ ბერძენთა შიშით, მეორეს მხრივ კი იმის გამო, რომ რაც შეიძლება ჩქარა მოიშორონ ისინი თავიდან. ბერძნებმა დაიწყეს მოქმედება ქსენოფონტის მიერ დასახული გეგმის მიხედვით.

V,2 (1) მაშინ, როდესაც სურსათი [ისე ახლო] აღარ იყო, რომ წასულიყვნენ, წამოელოთ და იმავე დღეს ბანაკში დაბრუნებულიყვნენ, ქსენოფონტმა გაიყოლია ტრაპეზუნტელი მეგზურები და ჯარის ნაწილი წაიყვანა დრილების ქვეყანაში, ხოლო ნაწილი დატოვა ბანაკის დასაცავად, რადგან კოლხებს, რომელნიც გამოძევებულნი იყვნენ თავისი სახლებიდან, მრავლად მოეყარათ თავი და მთების მწვერვალებზე ჩასაფრებულიყვნენ. (2) ტრაპეზუნტელებმა იქ არ წაიყვანეს [ელინები], სადაც ადვილი იყო სურსათის შოვნა, რადგან [ისინი, ვისაც სურსათი მოეპოვებოდა], მათი მეგობრები იყვნენ, მაგრამ სიამოვნებით წაიყვანეს დრილებთან, რომლებიც მათ ავიწროვებდნენ, — მთიან და მიუვალ ადგილებში, პონტოსპირელთაგან, ყველაზე მეომარ ხალხთან.

(3) როდესაც ელინები [ამ მთიან] ქვეყანაში მივიდნენ, დრილებმა გადაწვეს და მიატოვეს ის სიმაგრეები, რომლებიც მათი ფიქრით, ადვილად ასაღები იყო; ასე რომ აქედან არაფრის წაღება არ შეიძლებოდა გარდა ღორისა, ხარისა და სხვა შინაური პირუტყვისა, რომელიც ცეცხლ გადარჩენოდა. ერთი სიმაგრე მათი დედაქალაქი იყო. იქ მოეყარა თავი სუყველას. მას გარშემო ღრმა ხრამი ჰქონდა და სიმაგრე მისადგომად სახიფათო იყო. (4) ჰოპლიტებისაგან 5 თუ 6 სტადიონით დაწინაურებულმა პელტასტებმა გადაიარეს ხრამი და როდესაც დაინახეს მრავალი ცხვარი და სხვა სიმდიდრე, იერიში მიიტანეს სიმაგრეზე. მათ მისდევდნენ მრავალი მეალაფენი, რომელნიც სურსათისათვის წამოსულიყვნენ. ასე რომ ხრამი დაახლოებით 1000 კაცმა გადაიარა. (5) როცა [ელინებმა] ბრძოლით ვერ შეძლეს სიმაგრის აღება, რადგან მას გარშემო განიერი ორმო და მიწის ყრილი ჰქონდა შემოვლებული, ხოლო ამ ყრილზე აღმართული იყო მესერი და მრავალი ხის კოშკი, განიზრახეს გასცლოდნენ მას. (6) მაგრამ [მტერი] თავს დაესხა [ელინებს]. გაქცევა შეუძლებელი იყო, რადგან სიმაგრიდან ხრამში დაშვება მხოლოდ სათითაოდ შეიძლებოდა, [ამიტომ შიკრიკი] გაუგზავნეს ქსენოფონტს, რომელიც [ამ დროს] ჰოპლიტებს მოუძღოდა. (7) შიკრიკმა [ქსენოფონტს] უთხრა, რომ სიმაგრე სავსეა მრავალი სიმდიდრით. მაგრამ მისი აღებაც შეუძლებელია, რადგან იგი მიუვალია და არც მისგან დახვევა ადვი-

ლი, რადგან [მტრები] გამოგვიხტებიან ხოლმე სიმაგრიდან და ბრძოლას გვიმართავენ. უკან გასვლაც გაძნელებულია...

§ 8—14: ქსენოფონტმა, ლოხაგოსებთან მოთათბირების შემდეგ გადაწყვიტა შეტევაზე გადასვლა. ლოხები დაირაზმნენ ისე, რომ წყობამ ნახევარმთვარის სახე მიიღო და დაიწყეს ომი.

(15) [...] იმის გამო, რომ [ცვიოდა] უამრავი ისარი, მტერმა მიატოვა მესერი და კოშკები; მაშინ აგასია სტიმფალიოსელმა გადაყარა იარაღი და ქიტონის ძარა ავიდა [სიმაგრეზე] და სხვაც თან აათრია; ზევით სხვებიც ავიდნენ და საფიქრებელი იყო, რომ სიმაგრე უკვე აღებულია.

[16] პელტასტებიცა და მსუბუქად შეიარაღებული [მეომრებიც] შეიჭრნენ [სიმაგრეში] და თითოეულმა იმისი ძარცვა დაიწყო, რისიც შეეძლო. ქსენოფონტი დადგა (სიმაგრის) კართან და შეძლებისდაგვარად არ უშვებდა ჰოპლიტებს [კარის] იქით, რადგან მწვერვალზე სიმაგრეებში კვლავ მტერი გამოჩნდა. (17) მცირე ხნის შემდეგ შიგნით ყვირილიც ატყდა, [მეომრები] გამოიქცნენ. ზოგიერთ მათგანს ნაძარცვი მოჰქონდა; მალე [გამოჩნდნენ] დაჭრილებიც. კარებთან შეიქმნა ჭედვა. ლტოლვილები შეკითხვებზე პასუხობდნენ, რომ [ქალაქის] შიგნით არის სიმაგრე, [სადაც ჩასაფრებული ყოფილა] მრავალრიცხოვანი მტერი, რომელიც გამოხტა და დაეწყო რბევა [ქალაქის] შიგნით შესულ ადამიანებს. (18) მაშინ [ქსენოფონტმა] უბრძანა მაცნე ტოლმიდეს ამცნოს [ყველას], რომ ვისაც სურს ნადავლის მოპოვება, შეიჭრას შიგნით. ბევრმა მიაშურა [ქალაქის] შიდა ნაწილს. [ქალაქში] შეჭრილმა [მეომრებმა] სძლიეს [სიმაგრიდან] გამომხტარ [მოწინააღმდეგეს] და უკანვე შეკეტეს შიდაციხეში. (19) [ელინებმა] ყველაფერი, რაც შიდაციხის გარეთ იყო, დაიტაცეს და ნადავლად წაიღეს თან. ჰოპლიტებს იარაღი შეემართათ ზოგს მესერიანი ყრილის გარშემო და ზოგსაც გზასთან, რომელიც შიდაციხისკენ მიემართებოდა. (20) ქსენოფონტმა და ლოხაგოსებმა დაიწყეს მსჯელობა იმის გამო, შეიძლებოდა თუ არა მწვერვალის აღება. რადგან ეს იქნებოდა ნამდვილი ხსნა. თორემ მოსალოდნელი იყო, რომ უკან დახევაც ძალიან სახიფათო იქნებოდა. დათვალიერების შედეგად დაასკვნეს, რომ სიმაგრე სრულიად შეუვალია.

(21) მაშინ დაიწყეს მზადება უკანდასახევად: ყოველი მათგანი შეუდგა თავის გარშემო მესერის რღვევას. უვარგისი [მეომრები, აგრეთვე ისინი, ვისაც] ტვირთი ჰქონდა, და ჰოპლიტების უმრავლესობა გაისტუმრეს. [ლოხაგოსებმა] დაიტოვეს [მხოლოდ ის მეომრები] ვისაც ენდობოდნენ. (22) როგორც კი [ელინებმა] უკანდახევა დაიწყეს [სიმაგრის] შიდა [ნაწილიდან] გამოვარდა უამრავი [ხალხი], რომელთაც ჰქონდათ ფარები, შუბები, საბარკულები და პაფლაგონური მუზარადები; სხვები ავიდნენ სახლებზე, რომელნიც სიმაგრისაკენ მიმავალი გზის ორივე მხარეს [იდგა]. ამიტომ [ელინებისათვის] საშიში იყო — დადევნებოდნენ [მტერს] სიმაგრისაკენ მიმავალი შესავლით, რადგან [ისინი] ზემოდან ხის დიდ კოჭებს ისროდნენ. სახიფათო იყო დარჩენაც და დაბრუნებაც. საზარელი იყო მოახლოვებული ღამეც.

(24) ბრძოლის დროს, როცა [განსაკუთრებით] გაუჭირდათ, რომელიღაც ღმერთმა მოუვლინა მათ ხსნის საშუალება; უეცრად, მარჯვენა მხარეს, როგორც ჩანს, ცეცხლის წაკიდების შედეგად, ალი მოედო სახლს; როგორც კი ეს სახლი დაიწვა, მარჯვენა მხარეს მდგარ სახლებს [მტერი] მოშორდა და გაიქცა. (25) როგორც კი ქსენოფონტმა ბედის ეს [მითითება] შეამჩნია, ბრძანება გასცა, რომ წაეკიდებინათ ცეცხლი მარცხნივ მდგარ სახლებისათვისაც, რომელნიც ხისა იყო და ამიტომ ალიც მალე მოედო. (26) [მტრები] ამ სახლებიდანაც გ-

იქცნენ. ახლა უკვე ეშინოდათ მხოლოდ პირდაპირ [მდგარი მტრებისა]. ნათელი იყო, რომ ისინი თავს დაესხმებოდნენ [ელინებს] შესასვლელშიც და [ხრამში] დაშვების დროსაც. მაშინ [ქსენოფონტმა] უბრძანა იმათ, ვისაც [მტრის] ისრები ჯერ წვდებოდა, მოეტანათ შუშა შუა ადგილას, მათსა და მტრებს შორის. როცა შუშა საკმაოდ დაგროვდა, წაუკიდეს ცეცხლი. ცეცხლი წაუკიდეს ყრილთან არხებულ სახლებსაც, რათა მტრებს მათზე ეზრუნათ. (27) ასე გაპირვებით გაშორდნენ [ელინები] სიმაგრეს მათსა და მტერს შორის დანთებული ცეცხლის წყალობით. გადაიწვა მთელი ქალაქი, სახლები, კოშკები, მესრის სიმაგრე და ყველაფერი სხვა, გარდა შიდა სიმაგრისა.

§ 28—33-ში საუბარია ბერძნების ტრაპეზუნტში დაბრუნების შესახებ.

V, 3 (1) რაკი ხეიროსოფოსი არ დაბრუნდა, არც ხომალდები იყო საკმაო რაოდენობით და აღარც სურსათი იშოვებოდა, [ელინებმა] გადაწყვიტეს წასვლა. ხომალდებზე დასვეს ავადმყოფები, აგრეთვე ისინი, ვინც ორმოცზე მეტი წლისა იყო, ბავშვები, ქალები და მთელი ბარგი, რომელიც არ ესაჭიროებოდათ. [ხომალდებზე] დასვეს აგრეთვე ხნიერი სტრატეგოსები ფილესიოსი და სოფაინეტე და დაავალეს მათ სხვებზე ეზრუნათ. დანარჩენები წავიდნენ ფეხით, რაღგან გზა შეკეთებული იყო. მესამე დღეს გამგზავრების შემდეგ მივიდნენ ელინურ ქალაქში კერასუნტში სინოპის კოლონიაში, რომელიც კოლხების ქვეყანაში ზღვის სანაპიროზე [მდებარეობდა]. იქ [ელინებმა] ათი დღე დაპყვეს.

§ 4—13-ში საუბარია ბერძნების მიერ კერასუნტში ჯარის დათვალიერების შესახებ. ლაშქარში 8600 კაცი აღმოჩნდა. ბერძნები აქ იყოფენ ფულს, რომელიც ტყვეების გაყიდვით მოიპოვეს. დასასრულ, ამავე პარაგრაფებში აღწერილია ქსენოფონტის ცხოვრება მისი ელადაში დაბრუნების შემდეგ.

V,4 (1) კერასუნტიდან ზღვით გაემართნენ ისინი, ვინც ადრეც [ზღვით მიდიოდა], ხოლო დანარჩენებმა ხმელეთით განაგრძეს გზა. (2) როდესაც მიუახლოვდნენ მოსინიკების საზღვარს, გაგზავნეს მათთან ტრაპეზუნტელი ტიმესითეოსი, რომელიც მოსინიკების პროქსენი იყო. იგი შეეკითხა [მოსინიკებს] როგორ გვიპირონ [ელინებმა] მათი მიწა-წყალი, როგორც მტრული თუ [როგორც] მეგობრული ქვეყანა. [მოსინიკებმა] უპასუხეს, რომ არ გაატარებენ [ელინებს]; მათ იმედი ჰქონდათ თავისი სიმაგრეებისა. (3) მაშინ ტიმესითეოსმა უთხრა [ელინებს], რომ ამ მოსინიკების მტრები პირიქითელი [მოსინიკები] არიან. გადაწყდა მოეწვიათ ისინი [და გაეგოთ] ხომ არ სურთ მათ [ელინებთან] სამხედრო კავშირის დადება. ტიმესითეოსი წავიდა და მოიყვანა თან [პირიქითელი მოსინიკების] მეთაურები. (4) მივიდნენ თუ არა მოსინიკების მეთაურები, შეიკრიბნენ ელინების სტრატეგოსებთან ერთად. (5) ქსენოფონტმა განაცხადა — თარგმნიდა ტიმესითეოსი — „მოსინიკებო, ჩვენ გვინდა მშვიდობით მივაღწიოთ ელადის ქვეყნამდე, რადგან ხომალდები არ გაგვაჩნია. მაგრამ ჩვენ წინ გადაგვეღობენ ისინი, ვინც, როგორც გაგონილი გვაქვს, თქვენი მტრები არიან. (6) და თუ ნამდვილად გსურთ, თქვენ შეგიძლიათ გახდეთ ჩვენი მოკავშირეები, სამაგიერო უზღოთ ყველაფრისათვის, რაც ოდესმე მათ თქვენთვის ცუდი გაუკეთებიათ და მომავალში დაიმორჩილოთ ისინი. (7) ხოლო ჩვენ თუ უარს გვეტყვით, თვითონ განსაჯეთ საიდან შეიძლება მოგვევლინოთ კიდევ მოკავშირედ ასეთი სამხედრო ძალა. (8) ამაზე მოსინიკების მეთაურმა უპასუხა, რომ ისინი თანახმანი არიან და სამხედრო კავშირიც მათთვის მისაღებია. (9) „მაშ გვითხარით — განაცხადა ქსენოფონტმა — რით შეიძლება გემსახუროთ, როცა თქვე-

ნი მოკავშირეები გავხდებით და თქვენ რით დაგვეხმარებით [ამ ქვეყანაზე] გავლის დროს. (10) მათ უპასუხეს: „ჩვენ შეგვიძლია, რომ შევიპრათ საწინააღმდეგო მხრიდან ქვეყანაში, რომელიც თქვენთვისაც მტრულია და ჩვენთვისაც. აქ კი თქვენ გამოგიგზავნოთ ნავები და ხალხი, რომელნიც თქვენთან ერთად იბრძოლებენ და გზას მიგითითებენ“. (11) ამის შემდეგ მათ მისცეს[ერთიმეორეს] ერთგულების ფიცი და [პირიქითელი მოსინიკები] წავიდნენ. მეორე დღეს ისინი მოვიდნენ ერთი მთლიანი ხისაგან გამოთლილი სამასი ნავით; თითოეულ ნავში სამ-სამი კაცი იჯდა; ორი მათგანი გადმოდიოდა [ნაპირზე] და იარაღს ისხამდა, ერთი კი [ნავში] რჩებოდა. [ნავში დარჩენილები] უკანვე გაემგზავრნენ, ხოლო [ნაპირზე გადმოსულები] დაირაზმნენ შემდეგნაირად: (12) ისინი დანაწილდნენ დაახლოებით ასეულებად, მსგავსად გუნდებისა, სწორ მწყობრში ერთი მეორის პირისპირ. ყოველ [მეომარს] ხელში ეკავა სუროს ფოთლის მსგავსი ფარი, ხარის თეთრბეწვიანი ტყავით დაფარული, ხოლო მარჯვენა ხელში — ექვსწყრთიანი შუბი, რომელსაც თავში წვეტი ჰქონდა, ბოლოში კი სფერო. (13) მათ ეცვათ ტილოს სიმკვრივის მოკლე ქიტონები, რომელნიც მუხლებს [ეერ სწვდებოდა]; თავზე [ეხურათ] პაფლაგონურის მსგავსი ტყაევის მუზარადები შუაში ჯიღით, რომელიც ძალიან ემსგავსებოდა ტიარას. (14) მათ ჰქონდათ აგრეთვე რკინის ორლესული ცულები. როცა [დაირაზმნენ] ერთერთმა მათგანმა სიმღერა წამოიწყო, დანარჩენებმა [სიმღერის] რიტმს ფეხი აუწყეს და გაემართნენ. მათ გაიარეს ელინების რაზმებსა და ბანაკს შუა და მაშინვე გაეშურნენ მტრებისაკენ იმ სიმაგრის წინააღმდეგ, რომელიც ყველაზე უფრო სუსტი ეგონათ.

(15) ის მდებარეობდა [იმ ქალაქის] წინ, რომელსაც მეტროპოლისი ეწოდებოდა [და რომელსაც] მოსინიკების [ქვეყანაში] ყველაზე მაღალი ადგილი ეკავა. მტრობა სწორედ ამ ქალაქის გამო იყო ჩამოვარდნილი, რადგან ითვლებოდა, რომ ვისაც იგი ეპყრა, ის იყო მთელი მოსინიკების ხელისუფალი. ამბობენ, რომ [ამ ქალაქს მისი ახლანდელი მპყრობელები] კანონიერად კი არ ფლობენ, „არამედ თავისი უპირატესობა საერთო სამფლობელოს დაპყრობით მოიპოვეს.

(16) [პირიქითელ მოსინიკებს] გაპყვა ზოგიერთი ელინთაგანი, ოღონდ არა სტრატეგოსების ბრძანების შესაბამისად, არამედ ძარცვის მიზნით. ვიდრე ისინი უახლოვდებოდნენ, მტერი არ იბრძოდა, მაგრამ როდესაც ისინი ახლო მოვიდნენ სიმაგრესთან, [მტერი] გამოუხტა, უკუაქცია [მოიერიშენი], დახოცა მრავალი ბარბაროსი და მათთან ერთად იერიშზე წასული ელინები და სდია მათ მანამ, ვიდრე არ შეამჩნია საშველად წამოსული ელინები. (17) მაშინ ისინი შეტრიალდნენ და წავიდნენ; [გზადაგზა] თავებს ჭრიდნენ მოკლულებს და [მოკვეთილ თავებს] უჩვენებდნენ ელინებსა და თავის მტრებს და თან რაღაც ჰანგზე როკავდნენ და მღეროდნენ.

(22) ეს დღე [ელინებმა] ასე გაატარეს, მეორე დღეს კი შეწირეს მსხვერპლი და მას შემდეგ, რაც მსხვერპლშეწირვა კარგის მომასწავებელი აღმოჩნდა, ისაუბრეს; [შემდეგ] ლოხები დარაზმეს კოლონებად, ასევე დარაზმეს ბარბაროსები მარცხენა ფრთაზე და გაემართნენ; მშვილდოსნები მათ ლოხებს შორის ჰყავდათ მოქცეული რამდენადმე მოშორებით ჰოპლიტების წინა ხაზიდან, (23), რადგან მტრის [ლაშქრიდან] ჩამორბოდნენ მსუბუქად შეიარაღებულნი და ქვებს სტყორცნიდნენ [ელინებს]. მშვილდოსნები და პელტასტები სწორედ ამათ იგერიებდნენ. დანარჩენები კი ნაბიჯით მიდიოდნენ ჯერ იმ სიმაგრისაკენ, საიდანაც წინა დღეს უკუაგდეს ბარბაროსები და მათი თანმხლები

[ელინები], რადგან მტერი იქ დარაზმულიყო. (24) ბარბაროსებმა გაუძლეს პელტასტების დარტყმას და ბრძოლაც გაუმართეს, მაგრამ როცა ჰოპლიტები მოვიდნენ, ისინი უკუიქცნენ. პელტასტები მაშინვე დაედევნენ [მტერს] აღმა ქალაქისაკენ, მათ მიყვნენ მწყობრში [დარაზმული] ჰოპლიტებიც, (25) როდესაც ელინები ავიდნენ ზევით, მეტროპოლისის შენობებამდე, მოწინააღმდეგე, რომელსაც იქ ერთად მოეყარა თავი, შეება მათ და დაუშინა შუბები; სხვებსაც ჰქონდათ შუბები, [მაგრამ] იმდენად მსხვილი და გრძელი, რომ კაცი ძნელად თუ შეძლებდა მის ტარებას. [ამ შუბებით] ცდილობდნენ ისინი [ელინების] მოგერიებას ხელჩართულ ბრძოლაში. (26) მაგრამ ელინები არა თუ უთმობდნენ, არამედ უტევდნენ კიდეც. ბარბაროსები გაიქცნენ, ცეცხლი წაუკიდეს და მიატოვეს ეს სიმაგრეც. [მოსინიკების] მეფემ არ მოისურვა გამოსვლა ხის კოშკიდან, რომელიც ყველაზე მაღალ ადგილზე იყო აგებული. [ეს იყო] მისი სამყოფელი, სადაც მას სდარაჯობდნენ და აცხოვრებდნენ საზოგადოების ხარჯზე. [მან არ მოისურვა გამოსვლა ისევე როგორც იმ მეფემ, რომელიც ადრე აღებულ სიმაგრეში იმყოფებოდა და ისინი დაიწვნენ თავის ხის კოშკებთან ერთად.

(27) ელინები სიმაგრის ძარცვის დროს საბლებში წააწყდნენ პერის დიდ მარაგს, რომელიც, როგორც მოსინიკები ამბობდნენ, წინაპართა [ანდერძის თანახმად წინა წელს იყო] განაწილებული. ახალი პერი კი თავთავებად ჰქონდათ დახვავებული; (28) განსაკუთრებით ბევრი იყო ასლი. ამფორებში აღმოჩნდა ნაჭრებად დაქნილი და დამარილებული დელფინის ხორცი, [სხვა ჭურჭელში კი] შეკაზმული დელფინის ქონი, რომელსაც მოსინიკები ისევე იყენებენ, როგორც ელინები ზეითუნის ზეთს. (29) სხვენებში დაეხვავებინათ დიდძალი კაკალი, რომლებსაც დაუტიხრავი [გული] ჰქონდა. [მოსინიკები] მას უპირატესად საჭმელში იყენებდნენ, ხარშავდნენ მას და აცხობდნენ მისგან პურს. აღმოჩნდა აგრეთვე ღვინო, რომელიც გაუზავებლად [ელინებს] მწარედ ეჩვენებოდათ მისი მეტისმეტი სიმეტის გამო, ხოლო წყლით გაზავებული — კეთილსურნელოვნად და საამოდ.

(30) აქ ელინებმა ისაუზმეს და განაგრძეს გზა, სიმაგრე კი გადასცეს თავის თანამებრძოლ მოსინიკებს. მსველელობის დროს იმ სიმაგრეთა მოსახლეობა, რომელიც [მათდამი მტრულად განწყობილ მოსინიკებს] ემხრობოდა და ადვილად ასაღები იყო, ან გარბოდა, ანდა ნებაყოფლობით მორჩილდებოდა [ელინებს]. (31) სიმაგრეთაგან უმეტესი ასეთი იყო: ქალაქები ერთიმეორისაგან 80 სტადიონით იყო დაშორებული, ზოგი მეტით,—და ზოგი ნაკლებით. როცა [მცხოვრებნი] გადასძახებდნენ ხოლმე ერთმანეთს, ძახილი ერთი ქალაქიდან მეორეში ისმოდა, იმდენად მთაგორიანი და ღარტაფიანი იყო [ეს] ქვეყანა. (32) როცა [ელინები] მათდამი კეთილად [განწყობილი მოსინიკების თემებს] გადადიოდნენ, მათ იქ უჩვენებდნენ მოხარშული წაბლით ნასუქ მდიდრების ჩასუქებულ შვილებს, განაზებულებსა და ძალზე თეთრებს, რომელთა სიმაღლე და სიგანე თითქმის ერთნაირი იყო. მათ ზურგები დაეტატუირებინათ, ხოლო სხეულის წინა ნაწილი მთლიანად [დაფარული ჰქონდათ] დატატუირებული ყვავილებით. (33)ისინი ცდილობდნენ შეკავშირებოდნენ ყველას დასანახად ჰეტერებს, რომელნიც ელინებს თან მიჰყავდათ, რადგან ასეთი იყო მათი ადათი. ყველა, როგორც მამაკაცები, ისე ქალები თეთრები [იყვნენ]. ლაშქრობის მონაწილენი ამბობდნენ, რომ ესენი [იმ ხალხთა შორის, რომელთა მიწაწყალზეც მათ] გაიარეს ყველაზე უფრო ველურები [არიან და მათი ზნეჩვეულებანი] მეტისმეტად დაშორებულია ელინთა ადათებსო, რადგან ისინი ხალ-

ხის [დასანახად] ჩადიოდნენ იმას, რასაც სხვები უკაცრიელ ადგილას აკეთებ-დნენ, ხოლო განმარტოვებაში მყოფნი იქცეოდნენ ისევე, როგორც სხვებთან ყოფნის დროს — თავისთავს ელაპარაკებოდნენ, თავისთვის იცინოდნენ და მოყვებოდნენ როკვას, სადაც მოუჯდებოდათ, თითქოს ამით სხვებთან თავს იჩენდხენ.

V, 5 (1) ელინებმა ამ ქვეყანაში, როგორც მტრულ, ისე მეგობრულ [თე-მებში] რვა სტათმოსი იარეს და მივიდნენ ხალიბებთან. ისინი ცოტანი იყვნენ, ემორჩილებოდნენ მოსინიკებს და ცხოვრობდნენ უპირატესად რკინის დამუშა-ვების შეშვეობით.

(2) აქედან [ელინები] მივიდნენ ტიბარენებთან. ტიბარენების ქვეყანა უფ-რო ვაკიანი იყო. მათ ზღვის სანაპიროზე მცირედ გამაგრებული დასახლება-ბი ჰქონდათ. სტრატეგოსებს უნდოდათ რომ თავს დასხმოდნენ სომაგრეებს, რათა ჯარისათვის ნადავლი გაეჩინათ: [ამიტომ] მათ არ მიიღეს საჩუქრები, რომელიც ტიბარენებისაგან მოუვიდათ, თუმც უბრძანეს [ელჩებს] მოეცადათ, ვიდრე ისინი მოითათბირებდნენ, და მსხვერპლის შეწირვას [შეუდგნენ]. (3) მრავალი მსხვერპლის შეწირვის შემდეგ ყველა ქურუმმა ბოლოს განაცხადა, რომ ღმერთებს არ სურთ ომის დაწყება. მაშინ მიიღეს საჩუქრები და ორი დღის განმავლობაში გაიარეს, როგორც მეგობრული [ქვეყანა], და მივიდნენ კოტიორაში, ელინურ ქალაქში, სინოპელთა მიერ ტიბარენების ქვეყანაში და-არსებულ ახალშენში.

(4) [აქამდე ჯარი ხმელეთით მიემართებოდა. ბაბილონთან ბრძოლის ადგი-ლიდან კოტიორამდე უკან დახევის დროს გავლილი გზა მთლიანად [უღრის] 122 სტათმოსს, [ან] 620 ფარასანგს, ([ანდა] 18600 სტადიონს, დროის ხანგრძ-ლივობა კი —8 თვეს).

(5) იქ დაყვეს 45 დღე. ამ დროის განმავლობაში ჯერ ღმერთებს შესწი-რეს მსხვერპლი და მოაწყვეს აღლუმი, ცალ-ცალკე ელინური ტომების მიხედ-ვით და გიმნასტიკური ასპარეზობა. (6) სურსათს [ელინები] იღებდნენ რო-გორც პაფლაგონიიდან, ისე კოტიორელების სომაგრეებიდან, რადგან მათ არ გაუხსნეს [ელინებს] ბაზარი და ავადმყოფებიც კი არ შეუშვეს [კოტიორას] კედლებს იქით. (7) ამ დროს სინოპიდან მოვიდნენ ელჩები, რომელნიც შიშობ-დნენ კოტიორელთა ქალაქის გამო, რადგან [კოტიორა] მათი იყო და ხარკსაც უხდიდა მათ და აგრეთვე — ქვეყნის გამო, რომელიც, გაგონილი ჰქონდათ, რომ ნადგურდებოდა. ბანაკში მოსვლისას მათ განაცხადეს — მათი სახელით ლაპარაკობდა ჰეკატონიმე, სახელგანთქმული როგორც დახელოვნებული ორა-ტორი — (8) „მეომრებო, ჩვენ გამოგვგზავნა სინოპელთა ქალაქმა, რათა ქე-ბა შეგასხათ თქვენ იმის გამო, რომ ელინები ხართ და ბარბაროსებს სძლიეთ, ამასთან ერთად მოხარული ვართ, რომ თქვენ როგორც გვსმენია, გადაურჩით მრავალსა და დიდ სიძნელეებს და [ახლა] აქ იმყოფებით. (9) რაკი ჩვენც ელინები ვართ და თქვენც, სამართლიანად მიგვაჩნია, რომ თქვენგან, ელინები-საგან სიკეთე განვიცადოთ და არამც და არამც (10) სიბოროტე, რადგან ჩვენ არასოდეს არ განგვიზრახავს თქვენს მიმართ ცუდის ჩადენა. ეს კოტიორელები კი ჩვენი კოლონისტები არიან. ჩვენ მათ გადავეცით ეს ქვეყანა, რომელიც ბარბარო-სებს წავართვით და ამის გამო ისინი [ისე როგორც] კერასუნტელები და ტრაპე-ზუნტელები დაწესებულ ბეგარას გვიხდიან. (11) ამიტომ მათდამი ცუდის ჩადე-ნას სინოპელთა ქალაქი განიხილავს [ისე, თითქოს ამ ზიანს თვით] განიცდიდეს. ახლახან გავიგეთ ისიც, რომ თქვენ ძალით შეხვედით ქალაქში და ზოგიერთი თქვენთაგანი სახლებშიც კი დასახლდა, რომ სომაგრეებიდან ძალით მიგჭონ-

დათ ის, რაც გჭირდებოდათ, და არა დაყვავებით. (12) ყოველივე ეს რა თქმა უნდა, არასაკადრისად მიგვაჩნია და თუ თქვენ [კვლავაც] ასე იმოქმედებთ, იძულებული [გავხდებით შევუკავშირდეთ] კორიუელას, პაფლაგონიას და კიდევ სხვას, ვინც კი შეიძლება ჩვენი მეგობარი გახდეს". (13) ქსენოფონტი ადგა და ჯარის სახელით [შემდეგი] უპასუხა: „სინოპელო მოქალაქენო, ჩვენ მოვედით კმაყოფილნი იმით, რომ გადავარჩინეთ [ჩვენი] სიცოცხლე და [ჩვენი] იარაღი. შეუძლებელი იყო ერთსა და იმავე დროს ქონების ტარებაცა და მტრებთან ბრძოლაც. (14) ახლა კი, როცა ელინურ ქალაქებში მოვედით [თუნდაც] ტრაპეზუნტში, იქ ჩვენ ბაზარი გაგვიხსნეს და ვიღებდით სურსათს, ამის სანაცვლოდ ჩვენც პატივში გვყავდა ისინი, ვინც პატივს გვცემდა და ჯარისთვისაც საჩუქრები მოჰქონდა, ხოლო იმ ბარბაროსებს, რომელნიც მათი მეგობრები იყვნენ, ვინდობდით. მათ მტრებს კი, რომელთა წინააღმდეგ იმათ მივყავდით, როგორც შეგვეძლო ენებას ვაყენებდით. (15) ჰკითხეთ თვით მათ როგორები ვიყავით ჩვენ, მით უმეტეს, რომ აქ იმყოფებიან [ის პირები], რომელნიც ქალაქმა, მეგობრობის ნიშნად, მეგზურებად გამოგვაყოლა. (16) სადაც არ უნდა მივდიოდეთ ეს ბარბაროსების მიწა-წყალი იქნება, თუ ელინებისა, თუ იქ ბაზარს არ გვიხსნიან, ჩვენ თვითონ მიგვაქვს სურსათი, მაგრამ არა თავხედობის [საფუძველზე], არამედ აუცილებლობის გამო. (17) კარდუხებს, ტაოხებს და ხალდებს, თუმც [ისინი] მეფის მორჩილებაში არ იმყოფებიან და ძალიან საშიშნიც არიან, ჩვენ მაინც მტრად მოვეკიდეთ, რადგან აუცილებელი გახდა სურსათის წართმევა, რაკი ისინი ბაზარს არ გვიხსნიდნენ. (18) მაკრონებმა, მართალია [ისინი] ბარბაროსები არიან, შეძლებისდაგვარად მაინც გაგვიხსნეს ბაზარი და ჩვენც მეგობრებად ჩავთვალეთ [ისინი] და ძალით არაფერი არ წაგვირთმევია. (19) კოტიორელებს კი რომლებიც, როგორც ამბობთ, თქვენები არიან, თუ რამე წავართვით, თვითონ არიან დამნაშავენი, რადგან ისინი მოგვეპყრნენ ჩვენ არა როგორც მოყვრებს, არამედ გადაგვიკეტეს კარები, არ შეგვიშვეს შიგნით, არც სურსათი გამოგვიგზავნეს და განაცხადეს, რომ ამაში თქვენი ჰარმოსტია დამნაშავე. (20) რაც შეეხება შენს სიტყვებს, თითქოს ჩვენ ძალით შევედით [ქალაქში და იქ] დავბინავდით, [ამაზე უნდა გითხრა შემდეგი]: ჩვენ ვთხოვდით [კოტიორელებს] ავადმყოფებისათვის თავშესაფარის მიცემას, ხოლო როცა მათ კარი არ გაგვიღეს, მაშინ, რა თქმა უნდა, შევედით სიმაგრეში იქედან, საიდანაც შეიძლებოდა. სხვა მხრივ კი არავითარი სიბოროტე არ ჩაგვიდენია. ავადმყოფები სახლებში დაბინავდნენ და ცხოვრობენ თავის ხარჯზე. ჩვენ ვდარაჯობთ კარებს, რათა ჩვენი ავადმყოფები თქვენი ჰარმოსტის მორჩილებაში არ აღმოჩნდნენ და მათი წაყვანა შევძლოთ, როცა კი მოგვესურვება. (21) დანარჩენები, როგორც ხედავთ, დავბინავდით ღია ცის ქვეშ საბრძოლო მდგომარეობაში და მზად ვართ სიკეთე მივუტანოთ მათ, ვინც კეთილად მოგვეპყრობა და სამაგიერო ვუზღათ ბოროტებისათვის. (22) რაც შეეხება შენს ქადილს, თითქოს თქვენ განზრახული გაქვთ შეკრათ კავშირი ჩვენს წინააღმდეგ კორიუელასთან და პაფლაგონიასთან, თუ გარდუვალი იქნება ერთსაც შევებრძოლებით და მეორესაც: ჩვენ ხომ უკვე ვიომეთ სხვებთან, თქვენზე ბევრად უფრო მრავალრიცხოვან [მტრებთან]. ამასთან, იქნებ ჩვენც გადავწყვიტოთ მეგობრობის გაბმა პაფლაგონიასთან, [მით უმეტეს] გაგონილი გვაქვს, (23) რომ მას თვალი უჭირავს თქვენ ქალაქზე და ზღვისპირა სიმაგრეებზე. ჩვენ შევეცდებით დავუმეგობრდეთ მას და ხელი შევუწყოთ მის ზრახვებს.

§ 24—25: ქსენოფონტის სიტყვის შემდეგ სინოპელებმა მოიბოდიშეს და ყოველივე ჰეკატონიზეს დაფიქრებელ ლაპარაკს დაბარალეს. ამასთან უბრძანეს კოტიორელებს, რომ სტუმართმოყვარეობის ნიშნად ძღვენი გამოეგზავნათ მოქირავნეთათვის.

მე-5 წიგნის მე-6 თავში აღწერილია ბერძენთა თათბირი მათი შემდგომი მგზავრობის შესახებ. სინოპელები ურჩევენ მათ ზღვით გამგზავრებას. ქსენოფონტს კი უნდა შავი ზღვის სანაპიროზე ახალშენის დაარსება. ამას წინააღდეგნენ სხვა სტრატეგოსები, რომელთაც მიმართეს ჰერაკლეულ და სინოპელ სოვდაგრებს და უთხრეს, რომ თუ ისინი ფულს არ მისცემენ მეომრებს, მაშინ ეს უკანასკნელნი დარჩებიან პონტოზე. სოვდაგრები პირდებიან ფულის მიცემას; ქსენოფონტიც უარს ამბობს თავის განზრახვაზე და ელადაში გამგზავრებაზე თანხმდება. როცა ეს ცნობილი ხდება ჰერაკლეულებისათვის, ისინი მოქირავნეებს უგზავნიან ხომალდებს, ხოლო დაპირებულ ფულს კი არა, მაშინ სტრატეგოსებმა, რომლებიც მეომრებს ჯამაგირის მიცემას შეპირდნენ, ამ უკანასკნელთა შიშით გადაწყვიტეს ავანტიურაზე წასვლა.

V, 6, (36) [...] [სტრატეგოსები] მივიდნენ ქსენოფონტთან და უთხრეს, რომ ისინი ინანიებენ [ყოველივეს]. ამასთან გამოთქვეს აზრი, რომ უმჯობესია ფასისისაკენ გაცურვა, რაკი ხომალდები არის, და ფასიანთა ქვეყნის დაპყრობა. იქ მაშინ აიეტის შვილიშვილი მეფობდა.

ქსენოფონტმა უარი თქვა გაეცხადებინა ჯარისათვის ეს გეგმა. მაშინ სტრატეგოსებმა თვით გადაწყვიტეს ამის გაკეთება, მაგრამ მათ არაფერი არ გამოუვიდათ და კოლხეთში ლაშქრობის გეგმა განუხორციელელი დარჩათ. „ანაბასისის“ მეხუთე წიგნის მე-7 და მე-8 თავებში დაადანარჩენ ორ (II და III) წიგნებში (გარდა უკანასკნელი ორი პარაგრაფისა, რომელთა თარგმანიც წარმოდგენილი გვაქვს) მოთხრობილია ბერძენ მოქირავნეთა თავგადასავალი კოტიორიდან პერგამონამდე მგზავრობის დროს.

VII, 8 (25) [...] (მმართველები მეფის იმ ქვეყნებისა, რომელნიც გავიარეთ, იყვნენ: ლიდიისა—არტიმასი, ფრიგიისა—არტაკამასი, ლიკაონიისა და კაპადოკიისა — მითრიდატე, კილიკიისა — სვიენესი, ფინიკიისა და არაბეთისა — დერნესი, სირიისა და ასირიისა — ბელესუსი, ბაბილონისა—როპარი, მედიისა — არბაკასი, ფასიანებისა და ჰესპერიტებისა — ტირიბაზი; კარდუხები, ხალიბები, ხალდები, მაკრონები, კოლხები, მოსინიკები, კოიტები და ტიბარენები დამოუკიდებელნი არიან. პაფლაგონიას [განაგებდა] კორიფელა, ბითვინიას — ფარნაბაზი, ევროპელ თრაკიელებს — სევთე. მთელი გზის სიგრძე როგორც შიდა ქვეყანაში ლაშქრობის, ისე უკანდახევის დროს [შეადგენს]—215 სტათმოსს, 1150 ფარასანგს, 34255 სტადიონს, შიდა ქვეყანაში ლაშქრობის და უკანდახევის დროის ხანგრძლივობა კი წელიწადსა და 3 თვეს).

VI, (1)* იმ დროიდან, როცა ამ ადგილებში იმყოფებოდნენ, ელინთა ერთი ნაწილი ვაჭრობით ცხოვრობდა, მეორე ნაწილი კი თავს ესხმოდა პაფლაგონიას. პაფლაგონელები კი თავადაც ხშირად თავს ესხმოდნენ ელინელ ჯარისკაცებს, რომლებიც სამხედრო ნაწილიდან შორს, ცალ-ცალკე დახეტიალობდნენ, ან იმ ჯარისკაცებს ავიწროებდნენ ხოლმე, რომლებიც სამხედრო ბანაკიდან შორს ცხოვრობდხენ.

(2) ამიტომ ურთიერთობა ელინებსა და პაფლაგონელებს შორის მეტად მტრული გახდა. კორილამ კი, რომელიც მაშინ პაფლაგონელთა მეთაური იყო, ელინებს ცხენებითა და ძვირფასი ტანსაცმლით დატვირთული ელჩები გაუგზავნა, რომლებმაც მოახსენეს, რომ კორილა მზად იყო არ დასხმოდა თავს ელინებს, ოღონდ, ელინებიც თავს არ უნდა დასხმოდნენ პაფლაგონელებს. (3)

---

* წიგნიდან: Ксенофонт, Анабазис, Перевод, статья и примечания М. И. Максимовой. Под редакцией акад. И. И. Толстого, М.—Л., 1951, с. 158—159.

სტრატეგებმა უპასუხეს, რომ ამის შესახებ მეომრებს მოეთათბირებოდნენ. მანამდე კი, ელჩები თავიანთი სტუმრებივით მიიღეს, ამავე დროს სხვა პირებიც დაპატიჟეს, რომლებიც მათი აზრით, ამას ყველაზე მეტად იმსახურებდნენ.

(4) მას შემდეგ, რაც მოწინააღმდეგეთაგან მოტაცებული ხარები და სხვა საქონელი მსხვერპლად შესწირეს, დიდებული ქეიფი გააჩაღეს. სამგზავრო კლინებზე იყვნენ წამოწოლილნი და ნასმელს სვამდნენ რქის თასებით, რომლებსაც იმ ქვეყანაში იყენებდნენ. (5) სმისა და სიმღერის შემდეგ პირველად თრაკიელები გამოვიდნენ და ფლეიტის ხმაზე ხანჯლებით ცეკვა დაიწყეს. ცეკვისას მსუბუქად ხტებოდნენ მაღლა და ამასთან, ხანჯლებს იქნევდნენ. ბოლოს ერთ-ერთმა მათგანმა მეორე განგმირა და ყველას მოეჩვენა, რომ კაცი მოკვდა: იგი მეტად ოსტატურად წაიქცა. პაფლაგონელებმა ყვირილი მორთეს. (6) გამარჯვებულმა დამარცხებულს იარაღი ჩამოხსნა და „სიტალკას“ სიმღერით გავიდა. სხვა თრაკიელებმა კი მოკლული გაიტანეს; სინამდვილეში კი ის ოდნავადაც არ იყო დაშავებული. (7) ამის შემდეგ ენიანები და მაგნეტები გამოეიდნენ და ე. წ. კარპესული შეიარაღებული ცეკვა დაიწყეს. (8) ამ ცეკვით ის გამოიხატება, რომ ერთ-ერთი მოცეკვავე გვერდზე დებს იარაღს და თესვასა და ხვნას შეუდგება. თანაც სულ უკან იყურება, თითქოს რაღაცის ეშინიაო. ამასობაში კი ყაჩაღი მოიპარება. პირველმა რომ ეს შენიშნა, ხელი სტაცა იარაღს და ხარების გატაცების მცდელობისათვის ჩხუბი დაუწყო. ამ ცეკვას ისინი ფლეიტის თანხლებით, ტაქტში ასრულებდნენ. ბოლოსდაბოლოს ყაჩაღმა მხვნელს ხელფები შეუკრა და ხარებთან ერთად წაიყვანა; ზოგჯერ კი მხვნელი დაიჭერს ხოლმე ყაჩაღს, ხელებს ზურგზე შეუკრავს, ხარებთან ერთად უღელში შეაბამს და მათთან ერთად მიერეკება. (9) მერე მისიელი გამოვიდა, რომელსაც ორივე ხელში მოწნული ფარები ეჭირა და ცეკვა დაიწყო. ხან ორ მოწინააღმდეგესთან ბრძოლას განასახიერებდა, ხან კი, ორივე ფარით თითქოს ერთ მტერს ებრძოდა; იგი ტრიალებდა და ხტებოდა ფარებით ხელში და ეს იყო მეტად ლამაზი სანახაობა. (10) ბოლოს მან სპარსული ცეკვა შეასრულა. ერთ ფარს მეორეს შემოჰკრავდა ხოლმე, ჩაჯდებოდა, მერე ისევ წამოდგებოდა და ყოველივე ამას ფლეიტის ჰანგების ტაქტში ასრულებდა. (11) შემდეგ მშვენივრად შეიარაღებული მანტინეველები და სხვა არკადიელები გამოვიდნენ. ისინი სამხედრო მარშის ტაქტში მოაბიჯებდნენ ფლეიტის ჰანგების ქვეშ, პეანს მღეროდნენ და ცეკვავდნენ ისე, როგორც წმინდა პროსოდებზე ხდება ხოლმე. მაყურებელ პაფლაგონელებს ძალიან უკვირდათ, რომ ყოველი ეს ცეკვა იარაღით ხელში სრულდებოდა. (12) მაშინ მისიელმა, რომელმაც მათი გაოცება შენიშნა, ერთ არკადიელს მოცეკვავე ქალი სთხოვა, რომელიც საუკეთესოდ გამოაწყო, მსუბუქი ფარი მისცა და ისე გამოიყვანა. ქალმა მშვენივრად შეასრულა „პირიქიათა“ ცეკვა. (13) გაისმა ხმამაღალი ტაშისცემა და პაფლაგონელებმა იკითხეს: ელინებთან მაძაკაცების გვერდით ქალებიც ხომ არ იბრძვიანო? ელინებმა უპასუხეს, რომ სწორედ ამ ქალებმა გააგდეს მეფე ბანაკიდან. ასე გასრულდა ეს ღამე.

აპოლონიოს როდოსელი

აპოლონიოს როდოსელი (ძვ. წ. დაახლ. 295 წ—დაახლ. 215 წ.)—ძველი ბერძენი ეპიკოსი პოეტი.

ბიოგრაფიული ცნობები აპოლონიოსის შესახებ დაცულია ორი რედაქციით მოღწეულ მის „ცხოვრებაში“, რომელიც დართული აქვს მისი მთავარი ნაწარმოების „არგონავტების“, ანუ „არგონავტიკის“ ძველი ხელნაწერების სკოლიოებს. ამ „ცხოვრების“ მიხედვით აპოლონიოსის ბიოგრაფია შემდეგი სახით აქვთ წარმოდგენილი თანამედროვე მკვლევარებს:

აპოლონიოსი დაბადებულა ეგვიპტის ქალაქ ალექსანდრიაში პტოლემეოს II ფილადელფოსის მეფობის დროს, დაახლ. ძვ. წ. 295 წლის ახლოს. აპოლონიოსის მამა ხალკედონი ფილედან ყოფილა, ხოლო დედამისის სახელი იყო როდე.

აპოლონიოსის მასწავლებელი ყოფილა ალექსანდრიის სახელგანთქმული ბიბლიოთეკის გამგე, თვითონაც თავისი დროის ცნობილი მეცნიერი, ფილოლოგოსი და პოეტი კალიმაქე (ძვ. წ. 315—240 წწ). მთელი მისი ცხოვრება, როგორც განათლებული პიროვნებისა, სამეფო კარის მგოსნისა და ალექსანდრიაშის დიდი წარმოსადგენლისა მეცნიერებასთან და პოეზიასთან იყო დაკავშირებული. მისი სკოლიდან გამოვიდნენ ელინისტური ეპოქის ისეთი დიდი წარმომადგენლები, ფილოსოფოსები და მწერლები, როგორიც იყვნენ: ერატოსთენე, არისტოფანე, აპოლონიოსი და სხვები. სწორედ თავისი მასწავლებლის კალიმაქესაგან გადმოიღო აპოლონიოსმა ამ ეპოქაში დამკვიდრებული დებულება, რომ პოეზია მჭიდრო კავშირში უნდა იყოს მწიგნობრობასთან და საერთოდ მეცნიერებასთან.

მაგრამ შემდეგში კალიმაქეს და აპოლონიოსის პოეტური პრინციპები ერთმანეთს დაუპირისპირდა და ამან რამდენადმე განსაზღვრა აპოლონიოსის ცხოვრების გზა და პოეტური შემოქმედება. კერძოდ, კალიმაქე თვლიდა, რომ დიდი მოცულობის, ძველი ეპიკური პოემების მსგავსი ნაწარმოებების შექმნის დრო წარსულს ჩაბარდა და მოითხოვდა ელინისტური ეპოქისათვის შესაფერისი პატარა-პატარა ჟანრების, ე. წ. ეპიგრამების განვითარებას, რაშიც ის, როგორც თავისი დროის მოწინავე მოთხოვნილებათა დონეზე მყოფი, სწორი იყო.

ამის საწინააღმდეგოდ აპოლონიოსი მხარს უჭერდა ძველი საგმირო ეპოსის აღორძინების ტენდენციებს. ჯერ კიდევ ახალგაზრდა აპოლონიოსმა ალექსანდრიაში შეთხზა დიდი ეპიკური პოემა „არგონავტიკა“ და ცდილობდა თავისი დროის პოზიციისი გამხდარიყო და, რაც მთავარია, საგმირო ეპოსი აეღორძინებინა. კალიმაქეს აზრით, მისი ყოფილი მოწაფის აპოლონიოსის პოემა ძველი დროის კიკლიკური ეპოსის უსუსური მიბაძვა იყო.

ლიტერატურული პაექრობა მასწავლებელსა და მოწაფეს შორის მეტად

გამწვავდა, იგი პირად სიძულვილსა და მტრობაში გადაიზარდა. კალიმაქეს, სხვებთან ერთად, მხარში ამოუდგა ამ დროის ცნობილი პოეტი თეოკრატე. ყოველივე ამის გამო, როგორც ძველი ავტორები გადმოგვცემენ, აპოლონიოს მა ვერ აიტანა შერცხვენა მოქალაქეთა მხრივ (იგი ხომ თავის მასწავლებელს დაუპირისპირდა), ცილისწამება და გაიცხვა პოეტებისაგან და კუნძულ როდოსზე გადასახლდა.

როდოსზე აპოლონიოსი კარგად მიიღეს. იმ დროს როდოსი ძლიერი საკაპრო რესპუბლიკა და ელინისტური კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. როდოსზე აპოლონიოსს ჰქონდა სკოლა, სადაც მასწავლებლობდა კიდეც. აქ მან გაითვალისწინა ალექსანდრიაში მიღებული კრიტიკა და შექმნა „არგონავტიკის" მეორე რედაქცია. ამ გადამუშავებულმა ვარიანტმა აპოლონიოსს დიდი სახელი მოუხვეჭა და იგი როდოსელ მოქალაქედ აღიარეს.

თავისი ცხოვრების მეორე ნახევარი აპოლონიოსმა ისევ ალექსანდრიაში გაატარა, სადაც იგი როდოსიდან დაბრუნდა, როგორც სახელმოხვეჭილი პოეტი და მეცნიერი. კალიმაქეს მოწაფის ერატოსთენეს შემდეგ იგი ალექსანდრიის ბიბლიოთეკის გამგედ დანიშნეს.

გარდაიცვალა აპოლონიოსი დაახლ. ძვ. წ. 215 წლის ახლოს. იგი დაუკრძალავთ თავისი მასწავლებლის — კალიმაქეს გვერდით.

აპოლონიოსს გარდა „არგონავტიკისა" შეუთხზავს პოემა „კანობისი", რომელშიც აღწერილი ყოფილა ხერაპისის ტაძარი ეგვიპტეში, მცირე მოცულობის პოემები სხვადასხვა ქალაქების — ნავკრატისის, ალექსანდრიის და სხვ. დაარსების შესახებ. მაგრამ მიეწერება მრავალი ეპიგრამა, გრამატიკული ტრაქტატები, ორი ფილოლოგიური ნაშრომი — „ზენოდიტეს წინააღმდეგ" და „არქილოქესათვის", გამოკვლევა ჰესიოდეს შესახებ და სხვ., მაგრამ ამ თხზულებათაგან თითქმის არაფერია გადარჩენილი.

ქრესტომათიაში მთლიანად არის წარმოდგენილი აპოლონიოსის „არგონავტიკის" ტექსტის პროზაული თარგმანი (დედანი დაწერილია პოეტურად, დაქტილური ჰექზამეტრით) შესრულებული პროფ. აკ. ურუშაძის მიერ.

აპოლონიოსის „არგონავტიკაში" ყველაზე უფრო ვრცლად და თანმიმდევრულადაა დამუშავებული თქმულება ოქროს ხაწმისზე. იგი ოთხი წიგნისაგან შედგება და პოემის საერთო მოცულობა 5.838 ტაეპია. მასში დიდძალი მასალაა დამუშავებული: აღწერილია ბერძენთა მზადება ლაშქრობისათვის კოლხეთში ოქროს ხაწმისის მოსაპოვებლად, რომელიც ცბიერმა მეფე პელიასმა დაავალა იასონს მისი თავიდან მოშორების მიზნით; გადმოცემულია მრავალი ხიფათით აღსავსე მგზავრობა კოლხეთისაკენ; კოლხეთში თავსგადამხდარი ამბები; ოქროს ხაწმისისა და მედეას გატაცება და ბერძნების ხამშობლოში დაბრუნება. ნაწარმოები მრავალ ძვირფას ცნობას შეიცავს ძველი კოლხეთის ხაზოგადოებრივი წყობის, ხამეურნეო ყოფის, მატერიალური და ხულიერი კულტურის სხვადასხვა ხაკითხის შესახებ.

ბიბლიოგრაფია

1) აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა. ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და გასაძარტება დაურთო აკ. ურუშაძემ, თბ., 1948.

2) Аполлоний Родосский Аргонавтика. Перевод Г. Ф. Церетели, Тб., 1963.

3) ა პ ო ლ ო ნ ი ს რ ო დ ო ს ლ ი, არგონავტიკა. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი, კომენტარები და საძიებელი დაურთო აკ. ურუშაძემ, თბ., 1970.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1) М. Е. Грабарь-Пассек, Родосский Аполлоний წიგნში: История греческой литературы, т. III, М., 1960, გვ. 78—90.

2) ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1949, გვ. 99—114.

ᲛᲔᲒᲜᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ*

აწ კი, შენ დადექ ჩემ გვერდით, ერატო, და მიამბე მე, თუ როგორ წაიღო იასონმა მედეას სიყვარულის წყალობით საწმისი [კოლხეთიდან] იოლკოსში! შენ ხომ კიპრიდას ხვედრის მონაწილე ხარ და შენი ვნებებით აჯადოებ უბიწო ქალწულთ; ამიტომაც გადევს შენ სასიყვარულო სახელი.

კაეკაცები ხშირ ლერწმებში შეუმჩნეველად ჩამალულიყვნენ. მაგრამ ჰერამ და ათენამ შენიშნეს და ზევსისა და სხვა უკვდავ ღმერთთაგან გამოცალკევებით თალამოსში შევიდნენ და ბჭობა დაიწყეს. ათენაზე უწინარეს ჰერამ დაიწყო:

„ზევსის ასულო, პირველად შენ გამოთქვი აზრი; რა არის საჭირო? რაიმე ცბიერ ხერხს მოიგონებ, რომლითაც აიეტის ოქროს საწმისს მოიტაცებენ და ელადაში წაიღებენ, თუ ტკბილ სიტყვათა შეგონებით დაიყოლიონ [აიეტი]? იგი მეტისმეტად ქედმაღალია, მაგრამ მაინც არავითარ განსაცდელს არ უნდა დავეჩიდოთ“.

ასე თქვა, მას უმალვე მიუგო ათენამ.

„წორედ იმას მეკითხები, ჰერავ, რაც მეც მაწუხებს გულში, მაგრამ, ვხედავ, ჯერ ვერ მოვიგონე ის ცბიერი ხერხი, რომელიც ვაკაცებს სარგებლობას მოუტანდა, თუმცა ბევრმა აზრმა გამიელვა“.

თქვა და [ღმერთქალებმა] თავალები ძირს დახარეს და თავ-თავისთვის ფიქრობდნენ. უცბად ჰერამ მოიფიქრა რაღაც და პირველმა წარმოთქვა სიტყვა:

„მოდი და კიპრიდასთან მივიდეთ, ვეახლოთ მას ორივე და ვთხოვოთ, თუ დაგვიჯერა, თავის ვაჟს უთხრას, რომ მან [სიყვარულის] ისრები სტყორცნოს აიეტის წამალთ მკეთებელ ასულს და იასონით მოხიბლოს. მე მგონია, რომ [იასონი] მის შეგონებათა შემწეობით წაიღებს საწმისს ელადაში“. ასე თქვა. მოეწონა ათენას ბრძნული აზრი და კვლავ მიუგო ალერსით:

„ჰერავ, მე ისე მშეა მამამან ჩემმან, რომ არარა ვუწყი [ეროსის] ისრებისა და არც სიყვარულის ჯადოსნური საშუალების გამეგება რამე. თუ შენ თვითონ მოგწონს ეგ აზრი, მე, ცხადია, წამოგყვები და, როცა შეხვდები [კიპრიდას], ძენ ეტყვი ძაგ ,ძმბავს“.

თქვა და სწრაფად გაემართნენ კიპრიდას დიდი სრა — სახლისაკენ, რომელიც [კიპრიდას] აუგო მისმა კოჭლმა ქმარმა ჰაფინვე, როგორც კი ზევსისაგან ცოლად წამოიყვანა. [ჰერა და ათენა] ეზოში შევიდნენ და დადგნენ შესასვლელთან თალამოსისა, რომელშიაც ღმერთქალი ჰეფესტოს ლოგინს უგებდა ხოლმე. [ჰეფესტო] დილით გრდემლ-სამჭედლოში ნასულიყო მოხეტიალე კუნძუ-

---

* წიგნიდან: აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი, კომენტარები და საძიებელი დაურთო აკაკი ურუშაძემ, თბ., 1970, გვ. 177—250.

ლის ფართო ყურეში, სადაც ცეცხლის ძალით ყველაფერს მშვენიერს ჭედდა. [კიპრიდა] მარტო იჯდა სახლში კარების პირდაპირ მრგვალ ტახტზე. თეთრ მხრებზე თმები ჩამოეშალა და ოქროს სავარცხლით ივარცხნიდა, რათა შემდეგ გრძელი კულულები დაეწნა, მაგრამ, როცა მოსულნი დაინახა, შეჩერდა, ტახტიდან წამოდგა, [სტუმრები] შიგნით შეიწვია, სავარძლებზე დასხა, ჩამოშლილი თმები ხელებით აიკრა და თვითონაც დაჯდა. მერე გაიღიმა და [სტუმრებს] ცბიერი სიტკბოთი მიმართა:

„ძვირფასნო, რა აზრმა და საჭიროებამ მოგიყვანათ აქ ასე დიდი ხნის შემდეგ? რატომ მობრძანდით? თქვენ ხომ ხშირად არ დადიხართ ხოლმე აქ, რადგან ღმერთებში უპირველესი ბრძანდებით“.

მას ჰერა შეენაცვლა და ასეთი სიტყვებით მიუგო:

„შენ დაგვცინი, ჩვენ კი დარდით გული გვიღონდება. ესონიდმა და სხვებმა, რომლებიც მას საწმისისათვის მიყვებიან, ხომალდი უკვე ფაზისში შეაჩერეს. რაკი განსაცდელი ახლოა მათთან, მეტად ვშიშობთ ყველა [გმირისა] და განსაკუთრებით ესონიდის გამო. მას, თუნდაც ჰადესში წარემართოს სპილენძის ბორკილებიდან იქსიონის გამოსახსნელად, მთელი ძალით დავეხმარები, რაც კი სხეულში გამაჩნია, რათა არ დამცინოს პელიასმა, რომ სასტიკ ბედისწერას დაუსტეხ; მან ხომ თავხედობით დამტოვა პატივის გარეშე მსხვერპლთ შეწირვის ჟამს. გარდა ამისა, იასონი ჯერ კიდევ იმ დროიდან მოკიდებული გახდა ჩემთვის დიდად სანუკვარი, როცა ნადირობიდან დაბრუნებული უზომოდ ადიდებული ანავროსის შესართავთან შემომხვდა კაცთა სათნოების გამოსაცდელად შიმომავალს. თოვლით გადაპენტილიყო მთები და მაღალი გორები; მათგან ჩამომსკდარი ნიაღვრები გრიალით მოედინებოდნენ; [იასონს] შევებრალე მე, ვინაც მოხუცი ქალის სახე მქონდა მიღებული, ამიტაც და საკუთარი მხრებით გადამიყვანა დაცვერებულ წყალზე. ამიტომაა მუდამ პატივსაცემი ჩემთვის. თუ შენც არ შეეწიე მას, რომ სამშობლოში დაბრუნდეს, მაშინ პელიასი ვერ დაისჯება უპატიურობისათვის“.

ასე უთხრა. კიპრიდა განაცვიფრა ამ სიტყვებმა. როცა დაინახა ჰერა მისგან შემწეობას მოითხოვდა, თაყვანი სცა და მერე ალერსიანი სიტყვებით მიუგო:

„პატივდებულო ღმერთქალო, იმაზე დიდი ბოროტება არრა იქნება კიპრიდასათვის, რომ შენი თხოვნა სიტყვით ან საქმით უკუაგდოს, თუკი ამ სუსტ ხელებს რაიმეს გაკეთება შეუძლიათ. დაე, ნურაფერი ნუ იქნება ერთმანეთის შემწეობაზე უფრო საამო“.

ასე თქვა. ჰერა კვლავ შეესიტყვა გონივრულად:

„ჩვენ იმის გამო კი არ გხლებივართ, რომ შენი ხელების ღონე გვჭირდებოდეს, არაფერ იმიტომ, რომ შენს ვაჟს წყნარად უბრძანო, ესონიდის სიყვარულით მოხიბლოს აიეტის ასული. თუ იგი [იასონს] მრჩევლად დაუდგა, რადგან გრძნეული არის, ეფიქრობ, ადვილად ჩაიგდებს [იასონი] საწმისს და იოლკოსში დაბრუნდება“.

ასე თქვა. კიპრიდამ კი ორივეს შიუგო:

„ჰერა და ათენა, თქვენ უფრო დაგიჯერებთ [ჩემი ვაჟი], ვიდრე მე. ეგზომ ურცხვს ეგება თქვენს წინაშე ოდნავ მაინც გაუელვოს სირცხვილმა თვალებში. ჩემი სულაც არ ერიდება, მუდამ მედავება და აბუჩად მიგდებს. ამას წინათ მისი ბოროტებით განრისხებულმა მძი მშვილდისა და საზარლად მოზუზუნე ისრების დამსხვრევა მოვინდომე; იგი გაწყრა და დამემუქრა, თუ მისგან ხელებს შორს არ დავიჭერდი, თავს ველარ შეიკავებდა და მწარედ მანანებდა“.

ასე თქვა. ღმერთქალებმა გაიღიმეს და ერთმანეთს გადახედეს. განაწყენებული კიპრიდა ისევ შეესიტყვა მათ:

„ჩემი დარდები სხვებისთვის სასაცილოა: არ უნდა ვუამბო ყველას; საკმარისია, რომ მე თვითონ ვიცი. ახლა კი, რაკი ეს ორივეს გსურთ, ვეცდები, დავიყოლიო; უარი არ უხდა ძითხრას“.

ასე თქვა. ჰერა მის ნაზ ხელს შეეხო, წყნარად ჩაიცინა და შენაცვლებით ძიუგო:

„კითერია, ეგ საქმე, როგორც ამბობ, ისე მომიგვარე ახლავ. შენ კი ნუ ბრაზობ და წყრომით ნუ ედავები შენს ვაჟს; მომავალში დაწყნარდება“.

თქვა და სავარძელი დატოვა; მას ათენაც აჰყვა. ორივენი სწრაფად გამოვიდნენ გარეთ უკან წასასვლელად. [კიპრიდა] კი ოლიმპოს ხეობებისაკენ წარემართა [შვილის] საძებრად. და იპოვა კიდეც იგი მოშორებით, ზევსის ამწვანებულ ბაღნარში, მაგრამ მარტო კი არა, არამედ იმ განიმედესთან ერთად, რომელიც ოდესღაც მისი სილამაზით მოხიბლულმა ზევსმა ზეცაზე დაასახლა უკვდავთა შეინახეთ. ისინი, ვით ტოლი ბიჭები, ოქროს კოჭებით თამაშობდნენ. პირდაპირ მდგარ ხარბ ეროსს [მონაგებით] უკვე მთლად სავსე მარცხენა ხელის მუჭი უბეში ჩაეყო და ორივე ლოყის კანი საამო სიწითლით ალანძოდა. [განიმედე] კი მუხლებზე ჩაცუცქულიყო იქვე და ჩუმად სწუხდა. ორი [კოჭილა] ჭქონდა, რომელთაც ერთიმეორეზე მიყოლებით ალალბედზე აგდებდა და მოხარხარე [ეროსზე] გული მოსდიოდა. როცა სხვებთან ერთად მალე ესენიც წააგო, დანაღვლიანებული ცარიელი ხელებით წავიდა ისე, რომ მოახლოებული კიპრიდა არ შეუნიშნავს. [კიპრიდა] შვილს წინ დაუდგა, მაშინვე ნიკაპზე ჭაავლო ხელი და ძეესიტყვა:

„რატომ იცინი, ენით უთქმელო ბოროტო? განა ასე მოატყუი იგი და უსამართლობით აჯობე გამოუცდელს? მოდი და კარგად შემისრულე ერთი საქმე, რომელსაც გეტყვი, სამაგიეროდ ზევსის [ნაქონ] იმ ულამაზეს სათამაშოს გაჩუქებ, რომელიც საყვარელმა ძიძამ ადრესტიამ გაუკეთა ჯერ კიდევ ბავშვურად მოთამაშეს იდეს მღვიმეში. ის მრგვალი ბურთია. მასზე კარგ სათამაშოს შენ ჰეფესტოს ხელებიდანაც კი ვერ მიიღებ. მას გარს ევლება ოქროს წრეები; ყოველ მათგანზე გარშემომწერი ორმაგი რგოლი ბრუნავს; ნაკერები ჩამალულია, რადგან სულ ყველას ლურჯი ზოლი ეხვევა. თუ მას ხელებით აისვრი, ვარსკვლავივით მბრწყინავ კვალს დატოვებს ჰაერში. აი, ამას მოგცემ შენ შენ კი აიეტის ასულს ისრები სტყორცნე და ისინზე გული შეუგდე. არავითარი შეყოვნება არ იყოს, თორემ საქმეს მადლი დააკლდება“.

ასე უთხრა. [ეროსმა] კოჭები მოაგროვა, კარგად დაითვალა ყველა და დეღმერთქალის ქიტონს მტკიცედ ჩაეჭიდა ორივე ხელით, აქეთ-იქით ქაჩვა დაუწყო და ეხვეწებოდა, აქვე და დაუყოვნებლივ მიეცა [ბურთი]. [კიპრიდამ] ტკბილი სიტყვებით დააწყნარა. ლოყებით მიიზიდა, ჩაეხვია, ჩაკოცნა და ღიმილით უთხრა:

„ვფიცავ შენ ძვირფას თავს და ჩემსასაც, რომ შენ საჩუქარს მოგცემ და არ მოგატყუებ, თუ აიეტის ასულს ისარს ესვრი“.

ასე უთხრა. ძალზე ეამა ეს სიტყვა მსმენელს. ყველა კოჭი ძირს დაყარა, დის ნათელ კალთაში ჩაყარა. მერე ხეზე მიყუდებული კაპარჭი ოქროს სარტყელზე სწრაფად ჩამოიკიდა და მოხრილი შვილდიც აიტაცა. გადაიარა სრასასახლე და ზევსის მრავალნაყოფიერი ბაღნარი და მალე ოლიმპოს ჰაეროვანი პიშკრიდან გავიდა. აქ არის ზეციდან დასაშვები გზა; აქვეა დაყრდნობილი ორი სვეტი შაღალ მთების თავებზე, რომლებიც ედემიწის მწვერვალებია და აღ-

ძომავალი მზეც პირველი სხივებით აქ გაბრწყინდება ხოლმე. ეთერით დიდხანს მომავალი [ეროსის] ქვეშ გადაიშალა ნოყიერი დედამიწა, ადამიანთა ქალაქები, მდინარეთა წმინდა დინება, [მთების] მწვერვალნი და ყოვლის მომცველი ზღვა.

მდინარის ჭაობში ჩამალული გმირები ხომალდის ერდოზე თათბირობდნენ. თავ-თავიანთ ადგილზე ჩამწკრივებით და მშვიდად დამსხდარნი უსმენდნენ ესონიდს, რომელიც ასე ლაპარაკობდა:

„მეგობრებო, მე გეტყვით, თუ რა მიმაჩნია უმჯობესად; თქვენ კი აქედან დასკვნის გამოტანა გმართებთ. საქმე საერთოა და ბჭობაც საერთო უნდა იყოს ყველასათვის. მან, ვინც თავის აზრსა და რჩევას დუმილით ინახავს, იცოდეს, ოომ მხოლოდ იგი ართმევს ამ ლაშქარს შინ დაბრუნების [საშუალებას]. თქვენ იარაღასხმული ხომალდზე დარჩით მშვიდად, მე კი ფრიქსეს ვაჟებსა და მათ ვარდა კიდევ ორ მეგობარს გავიყოლიებ და აიეტის სასახლისაკენ გავემართები. როცა [აიეტს] შეეხვედები, ჯერ სიტყვებით გამოვცდი, სურს თუ არა მეგობრულად დაგვითმოს ოქროს საწმისი; თუ ძალაზე დანდობილმა მისულებს ხელი გვკრა, მაშინ, რაკი მისგან მოსალოდნელი ბოროტება უკვე გვეცოდინება, მოვიფიქროთ, ბრძოლაში ჩავებათ, თუ ბრძოლისგან თავი შევიკავოთ და სხვა რამ მარჯვე ხერხი მოვისაზროთ. სანამ სიტყვით არ გამოვცდით, ნუ მოვინდომებთ ძალით წავართვათ საკუთარი ქონება. უმჯობესია მივიდეთ და ჯერ სიტყვებით დავითანხმოთ იგი. იმას, რასაც ძლივს ასრულებს ხოლმე მამაცობა, ხშირად ადვილად აკეთებს საჭიროებისდა მიხედვით სიტყვა და, როგორც ხამს, ისე ამშვიდებს კაცს. უდანაშაულო ფრიქსე, რომელიც დაუსხლტა დედინაცვლის მზაკვრობასა და მამისაგან მსხვერპლად შეწირვას, [აიეტმა] ხომ [კარგად] მიიღო უწინ. ყველგან მრავლადაა ბოროტი ადამიანი, მაგრამ კაცთა შორის უბოროტესიც კი თაყვანს სცემს და იცავს სტუმართმოყვარე ზეკსის კანონს“.

ასე თქვა. ერთხმად შეაქეს ჭაბუკებმა ესონიდის სიტყვა; არავინ აღმოჩნდა ისეთი, რომ სხვაგვარი რჩევა გამოეთქვა. მაშინ [იასონმა] უბრძანა ფრიქსეს ვაჟებსა და ტელამონს და ავგიეს, გაჰყოლოდნენ ხომალდიდან ლერწმებსა და წყალს ზემოთ მდებარე ხმელეთზე და ველის ბორცვზე შედგნენ. ამ [ველს] კირკეონი ეწოდება. აქ მრავლად იყო ჩამწკრივებით აღმოცენებული ტირიფი და ძეწნა, რომელთა კენწეროებზეც თოკებით მიკრული გვამები ეკიდა. კოლხებში ჯერ კიდევ ახლაც ცოდვად ითვლება მიცვალებული მამაკაცების ცეცხლით დაწვა; არც ის არის წესი, რომ მიწაში დაფლან და ზემოდან ტაგრუცი დააყარონ; მათ ხარის მოუთელავ ტყავებში ახვევენ და ქალაქიდან მოშორებით ხეებზე ჰკიდებენ. მაგრამ ჰაერის თანაბრად მიწაც ღებულობს თავის წილს, რადგან ქალებს ძიწაში ძარხავენ. აი, ასეთი ჩვეულებაა იქ დამკვიდრებული.

სანამ [იასონი და მისი მხლებლები] მიდიოდნენ, მათი დახმარების მზრახველმა ჰერამ ქალაქს სქელი ნისლი მოჰფინა, რათა აიეტის [სასახლისკენ] მიმავალნი შეუმჩნეველი დარჩენოდა კოლხთა მრავალრიცხოვან ტომს. როცა ველიდან მალე მიაღწიეს ქალაქს და აიეტის სასახლეს, მაშინ ჰერამ ისევ გაფანტა ნისლი. [გმირები] შესასვლელთან გაჩერდნენ და გაოცებულნი [შესცქეროდნენ] მეფის [სასახლის] გალავანს, ფართო ჭიშკრებსა და სვეტებს, რომლებიც მწკრივად აღმართულიყვნენ კედლების გარშემო; სასახლის ზემოთ სპილენძის ქონგურებზე იდგა ქვის კოშკი. [მოსულებმა] მშვიდობიანად გადააბიჯეს ზღურბლს, რომლის ახლოც მაღლა ამართული, მწვანე ფოთლებით დაბურული ვაზები გადაშლილიყვნენ. მათ ქვეშ მოჩუხჩუხებდა ოთხი დაუშრეტელი წყარო, რომლებიც ჰეფესტომ ამოიღო, ერთი რძეს მოაჩქეფებდა, მეორე —

ღვინოს; მესამე სურნელოვან ზეთს მოარაკრაკებდა, მეოთხე კი მოაქუხებდა წყალს, რომელიც პლეიადების ჩასვლის ჟამს თბებოდა, მათი აღმოსვლის დროს კი, პირიქით, ყინულივით ცივი ამოქუხდა ამოღარული ლოდიდან. აი, ასეთი ღვთაებრივი საქმენი გააკეთა კუტაიელი აიეტის სასახლეში ხელოვანმა ჰეფესტომ. მანვე გაუკეთა [აიეტს] სპილენძისფეხებიანი ხარები, რომელთაც ჰქონდათ სპილენძისავე ხახები, საიდანაც ცეცხლის სიზარელს ალს გამოისუნთქებდნენ ხოლმე. გარდა ამისა, მტკიცე ადამანტისაგან გამოუჭედა მთლიანი გუთანიც და ამით მადლობა მიუზღო ჰელიოსს, რომელმაც იგი, ფლეგრის ბრძოლაში დაქანცული, თავის ეტლზე აიტაცა. [ეზოს] შუაგულში იდგა სასახლე, რომელსაც მრავალი კარგად შეკრული ორმაგი კარი და მოსასვენებელი ოთახი ჰქონდა სხვა და სხვა მხარეს. [სასახლეს] გარს უვლიდა შესანიშნავად ნაკეთები აივანი. გარდა ამისა, პირისპირ იდგა [ორი] მაღალი სრა — სახლი; ამათგან ერთში, რომელიც უმაღლესი იყო, მბრძანებელი აიეტი ცხოვრობდა თავისი მეუღლით, მეორეში კი აიეტის ვაჟი აფსირტე ბინადრობდა. იგი შვა კავკასიელმა ნიმფამ ასტეროდიამ მანავ, სანამ [აიეტი] კანონიერ ცოლად დაისვამდა ტეთისისა და ოკეანის უმცროს ასულს იდიიას. კოლხთა შვილები [აფსირტეს] მეტსახელად ეძახდნენ ფაეთონტს, იმის გამო რომ ყველა ახალგაზრდებში გამოირჩეოდა. დანარჩენი [თალამოსები] ეკავათ მხევალ ქალებსა და აიეტის ორ ასულს, ქალკიოპესა და მედეას. [იასონმა და მისმა მხლებლებმა] თალამოსიდან თალამოსისაკენ დასთან მიმავალი [მედეა დაინახეს]. იგი პირველ დააყოვნა სახლში, თორემ ჩვეულებრივ იშვიათად იყო სასახლეში, რადგან ყოველდღიურად ემსახურებოდა ჰეკატეს ტაძარს, როგორც ამ ღმერთ-ქალის ქურუმი. როცა მან [უცხოელები] ახლოს დაინახა, შეჰკივლა; ეს ქალკიოპემ გაიგონა; მონა ქალებმა სარეთავი და თითსტარები ძირს დაყარეს და ყველანი ერთად გარეთ გამოცვივდნენ. როცა [ქალკიოპემ უცხოელებთან] ერთად საკუთარი ვაჟებიც იხილა, სიხარულით აღაპყრო ხელები ზეკით. ისინიც, როგორც კი ნოჰკრეს თვალი, მესალმნენ დედას და გახარებულნი ჩაეხვევნენ. აქვითინებულმა [ქალკიოპემ] ასეთი სიტყვა უთხრა მათ:

„თქვენ მე გულგრილად მიმატოვეთ, მაგრამ შორს მაინც არ გადახვეწილხართ; ბედმა უკან დაგაბრუნათ. ვაი მე საბრალოს! მამათქვენის, ფრიქსეს, შეგონებით გაგიტაცათ თქვენ იმ ელადაში [გამგზავრების] სურვილმა, საიდანაც საკალალო უბედურება [მეწია]. როცა [ფრიქსე] კვდებოდა, თავისი ანდერძით მწარე მწუხარებას უტოვებდა ჩვენს გულს. თქვენი დედა რომ შეწუხებული დატოვეთ, ათამანტის ქონების გულისთვის რაზე წახვედით იმ ადასაქცევი ორჭოძეხეს ქალაქისაკენ?"

ასე თქვა. ბოლოს აიეტიც გამობრძანდა გარეთ და მას მაინ მეუღლე იდიიც გამოჰყვა, რომელმაც ქალკიოპეს ხმა გაიგონა. მალე მთელი ეზო ხმაურით აივსო. ძრწოთა ერთი ჯგუფი უზარმაზარ ხარს წამოდგომოდა თავზე, მეორენი ხმელ შეშას ანობდნენ სპილენძის ცულით, სხვები კი აბაზანებს ათბობდნენ ცეცხლით; მეფის მსახურთაგან არავინ იყო ისეთი, რომ სამზადისს განზე გადგომოდა.

ამასობაში ლაჟვარდოვანი ჰაერიდან შეუმჩნევლად ჩამოვიდა ეროსი იმ გესლიანი მწერივით აბეზარი, რომელიც ახალგაზარდა საქონელს დატრიალებს თავს და რომელსაც ბუყემსნი ხარების მაწუხელას ეძახიან. სასახლის შესასვლელთან, წრეხლის ქვეშ, სწრაფად შემართა მშვილდი და კაპარჭიდან კვნესის მომგვრელი უხმარი ისარი ამოიღო. მერე მარდი ფეხებით ზღურბლზე გადავიდა უჩინრად და მკვეთრი მზერა სანიშნოს უსწორა. პატარა [ეროსი] ესო-

ნიდს ამოეფარა, ისარი ლარის შუა ჩადო, [მშვილდი] ორივე ხელით პირდაპირ დაჭიმა და მედეას სტყორცნა. [მედეას] არსება დაბნეულობამ შეიპყრო, [ეროსმა] კი მაღალჭერიანი სასახლის თავს კისკისით გადაუქროლა. ალივით იწვოდა ისარი ქალწულის მკერდში; [მედეა] თვალთა ნაპერწკლებს ესროდა ესონიდს და მკერდიდან ტანჯვის გამო აღმომსკდარი ოხვრით გული ამოვარდნაზე ჰქონდა; სხვა აღარაფერი ახსოვდა და ტკბილი მწუხარებით სული მისდიოდა. როცა მატყლის დამრთველი ღარიბი ქალი გავარვარებულ მუგუზალს ფიჩხს დააყრის, რათა ჭერქვეშ ღამით გამზადებული შუქი უთენიად წამომდგარს კიდევ დაუხვდეს, იმ პატარა მუგუზლიდან მაშინ ძლიერი [ცეცხლი] ავარდება და მთელ ფიჩხს ფერფლად აქცევს. აი, ამ [ცეცხლივით] ვარვარებდა [მედეას] გულში ჩამალული მკაცრი ეროსი. მწუხარებით აფორიაქებულ [მედეას] ნაზ ლოყებს ფერი ეცვლებოდა: ხან სიმკრთალე გადაჰკრავდა, ხან კი სიწითლე.

მონუბმა [სტუმრებს] გამზადებული საჭმელი მიართვეს; [სტუმრები] თბილი აბაზანებით გასუფთავდნენ და საჭმელ-სასმელით ხალისიანად დაიკმაყოფილეს თავი. ამის შემდეგ აიეტმა თავისი ასულის ვაჟებს გამოკითხვა დაუწყო და ასეთი სიტყვებით მიმართა:

„ჩემი ასულისა და ბმ ფრიქსეს ვაჟნო, რომელსაც ყველა უცხოელზე მეტად ვეცი პატივი ჩვენს სასახლეში, თუ შუა გზაში რაიმე უბედურება შეგემთხვათ, როგორღა დაბრუნდით უვნებლად უკან აიაში? მე არ დამიჯერეთ, როცა მაგ გზის უსაზღვრო მანძილი გაუწყეთ. ეს ჯერ კიდევ მამის, ჰელიოსის, ეტლზე მოგზაურობის დროს შევიტყვე, როცა [ჰელიოსს] ჩემი და კირკე გადაჰყავდა ჰესპერიის ქვეყანაში. ჩვენ მაშინ მივაღწიეთ ტირსენის ხმელეთის ნაპირს, სადაც, კოლხეთის მიწისგან ძალზე მოშორებით, ახლაც ცხოვრობს [კირკე], მაგრამ რა სიამოვნებაა ამ ამბებში? თქვენ ის მითხარით, თუ რამ შეგიშალათ ხელი, ვინ არიან ეს ვაჟკაცები, თქვენ რომ მოგყვნენ და სად გადახვედით მშვიდიერი ხომალდიდან?".

ესონიდის ლაშქრის გამო შეშინებულმა არგოსმა ძმებზე უწინარეს, რაკი უფროსი იყო, ტკბილად ძიუგო შეეკითხველს:

„აიეტო, ის [ხომალდი] სულ მალე დაგვიმსხვრია მძვინვარე ქარიშხალმა; ჩვენ კი ძელს ჩავეჭიდეთ და უკუნეთ ღამეში ენიალოსის ნაპირზე გაგვრიყა ტალღამ: რომელიღაც ღმერთმა დაგვიხსნა. ამ უდაბურ კუნძულზე წინათ რომ არესის ფრთოსნები ბინადრობდნენ, ვეღარ ვიხილეთ. წინა დღეს თავისი ხომალდიდან გადმოსულ ვაჟკაცებს გაერეკათ. ეს [ვაჟკაცები] მოწყალე ზევსის ნებამ ან რაღაც ბედმა დაგვიყოვნეს იქ. როგორც კი ისმინეს განთქმული სახელი ფრიქსესი და მერე შენიც, მაშინვე გვიბოძეს საჭმელი უხვად და ტანსაცმელიც ოსინი შენი ქალაქისაკენ მოგიმართებოდნენ. თუ მოისურვებ ამის მიზეზი გაიგო, არ დაგიმალავ. აი ამ ვაჟკაცს, იმის გამო რომ ძლევამოსილებით გამოიჩეოდა ეოლიდებში, ერთმა დიდმა მეფემ, რომელმაც განიზრახა მისი მოკვლება სამშობლოდან და მემკვიდრეობიდან, უბრძანა, იძულებით გამომგზავრებულიყო იქ. ის [მეფე] ამტკიცებს, რომ ეოლიდების მოდგმა მანამდე ვერ დაუსხლტება სასტიკი ზევსის საშინელ რისხვას და გულისწყრომას, მძიმე ცოდვას და ფრიქსესათვის [განკუთვნილ] სასჯელს, სანამ საწმისი ელადაში არ ჩავა. ამ [ვაჟკაცს] ათენა პალადამ აუგო ხომალდი, მაგრამ ისეთი კი არა, როგორი ხომალდებიც კოლხეთშია და რომელთაგანაც უარესი ჩვენ შეგვხვდა. ბობოქარმა წყალმა და ქარმა იგი ადვილად დაგვიმსხვრიეს; იმ [ხომალდს] კი სოლები აკავებს, თუნდაც ცეცხლი ქარიშხალი დაეძგერაოს. თანაბრად მიქრის იგი ქარის შემწეობითაც და მაბინაც, როცა ვაჟკაცები ხოფთა მოსმით შეუჩერებლივ მიაწყრაფებენ. მასზე

შეკრიბა ამ [ვაქკაცმა] პანაჭაიდან გმირთაგან ყველა, ვინც კი საუკეთესო იყო; მრავალი ქალაქი და მრისხანე ზღვის სივრცე გადმოლახა და შენს ქალაქს მოაღწია, თუ [საწმისს] უბოძებ, და ახლა, როგორც შენ გნებავს, დაე, ისე იყოს! იმიტომ არ მოსულა, რომ ძალადობისთვის ხელი გამოიღოს. მან ჩემგან ისმინა, რომ სავრომატები [შენი] დიდი მტრები არიან და განიზრახა საჩუქრისათვის საკადრისი სამაგიერო მოგიძღვნას და ისინი შენს კვერთხს დაუმორჩილოს. თუ გნებავს, იცოდე ამათი სახელები და ისიც, თუ წარმოშობით ვინ არიან, სათითაოდ მოგახსენებ. აი ამას, ვის გამოც ელადიდან სხვები შეიკრიბნენ, ეძახიან კრეთეიდი ესონის ძეს — იასონს. თუ ეს ჭეშმარიტად თვით კრეთევსის მოდგმისაა, მაშინ ჩვენთვის მამისეული ნათესავია. ორივენი, კრეთევსიცა და ათამანტიც, ეოლოსის შვილები იყვნენ; ხოლო ფრიქსე ეოლიდი ათამანტის ვაჟი იყო. თუ გაიგონებ, რომ ვინმე ჰელიოსის შვილი არის, აი ეს ავგიეა, აგერ რომ ხედავ. ის კი სახელოვანი ეაკეს ნაშიერი ტელამონია, ეაკე კი ზეკსმა წარმოშვა. ასევე ყველა სხვა მეგობრებიც, რომლებიც [იასონს] ახლავან უკვდავთა ძვილები და შვილიშვილები არიან“.

ასე თქვა არგოსმა. ამ სიტყვების მოსმენით მეფე საშინლად განრისხდა და ბრაზისაგან გული მკერდში აღარ უჩერდებოდა; ყველაზე მეტად მაინც ქალკიოპეს ვაჟებზე მოსდიოდა ჯავრი, რადგან ფიქრობდა, [უცხოელები] მათი შემწეობით იყვნენ მოსული. მოღუშული წარბების ქვეშ თვალები ნაპერწკლებით აევსო და აღშფოთებით წარმოთქვა:

„თავხედებო, რატომ ახლავ არ დამეკარგებით თვალთაგან და თქვენი მზაკვრული ზრახვებით არ გაბრუნდებით უკან ამ ქვეყნიდან, სანამ რომელიმე არ ნახავდეთ იმ საკალალო საწმისსაც და ფრიქსესაც?! ელადიდან წამოთრეულნი საწმისისათვის კი არ მოსულხართ აქ, არამედ ჩემი კვერთხისა და სამეფო პატივისათვის. თქვენ რომ წინასწარ ჩემ სუფრას არ შეხებოდით, ენებს ამოგაჭრიდით, ორივე ხელებს მოგკვეთდით და მარტოოდენ ფეხების ამარა გაგისტუმრებდით, რათა მომავალში თავი შეგეკავებინათ თავდასხმისაგან, რაკი ასე დასჭაძეთ ცილი ხეტარ ღმერთებსაც!“

ასე თქვა განრისხებულმა. ეაკიდს გული ბოლმით აევსო. ძალიან უნდოდა, უკმეხი სიტყვით საკადრისი პასუხი გაეცა, მაგრამ ესონიდმა შეაკავა და მასზე უწინარეს შეესიტყვა ტკბილად;

„აიეტო, დამენდე მე ამ ლაშქარში. არც ისე უგუნურად მოვსულვართ შენს ქალაქსა და სასახლეში, როგორც ფიქრობ და არც სიხარბეს ავუმოძრავებივართ. განა ვინ გაბედავდა თავისი ნებით ამოდენა ზღვის გადმოლახვას სხვისი ქონებისათვის? მე ღმერთმა და შეუბრალებელი მეფის სასტიკმა ბრძანებამ მომიყვანეს აქ. მოიღე მოწყალება მავედრებელ [ხალხზე] და შენს ღვთაებრივ სახელს მთელს ელადაში წვიღებ. ახლაც მზადა ვართ, სამაგიერო გადაგიხადოთ სწრაფი ომით: გინდ სავრომატებს დაუმორჩილებთ შენს კვერთხს, გიხდ კიდევ სხვა ხალხს“.

ასე უთხრა მოწიწებით და მშვიდი ხმით. [აიეტს] კი ორი ზრახვა უტრიალებდა გულში: თავს დასხმოდა და აქვე მოეკლა ისინი, თუ მათი ძალა გამოეცადა. ფიქრის შემდეგ მეორე უმჯობესი ეჩვენა და [იასონს] შენაცვლებით ძიუგო:

„უცხოელო, რა საჭიროა, ყველაფერს რომ დაწვრილებით მიამბობ? თუ მართლაც ღმერთების შთამომავალი ხართ და არც სხვა მხრივ მოსულხართ ჩემზე უარესნი სხვათა [განძისთვის], მოგცემ წასაღებად შენ ოქროს საწმისს, ოღონდ, თუ ინებებ, უნდა გამოიცადო. მამაც ვაჟკაცებს მე არ ვეკიდები შურით,

როგორც ის მეფე ელადისა, თქვენ რომ ახსენეთ. ეს იქნება გამოცდა მამაცობისა და ღონისა იმ საშიშარ საქმეში, რომელსაც თვითონ საკუთარი ხელებით ვასრულებ. არესის ველზე საბალახოდ გაშვებული მყავს ორი სპილენძისფეხებიანი ხარი, რომლებიც ხახიდან ცეცხლს აფრქვევენ. მე მათ უღელში ვაბამ და არესის ოთხი დღიური ხოდაბუნისაკენ მივრეკავ. ამ [ხოდაბუნს] სწრაფად ვხნავ ბოლომდე გუთნით და ხნულებში დეოს პურის თესლს კი არ ვყრი, არამედ საზარელი გველეშაპის კბილებს, რომლებიც იარაღასხმულ ვაჟკაცებად გარდაიქმნებიან; ჩემს წინააღმდეგ ყოველი მხრიდან დაძრულთ იქვე ეფინტავ და ჩემი შუბით ვსპობ. ხარებს უღელში დილით ადრე ვაბამ, ხოლო საღამო ჟამს მკას ვწყვეტ. თუ შენც ასე შეასრულებ ამ საქმეს, იმავე დღეს წაიღებ საწმისს მეფესთან. სხვაფრივ კი არ მოგცემ და ნურც იმედს იქონიებ. უღირსი საქმე იქნება, მამაცად შობილმა ვაჟკაცმა უმდაბლეს კაცს დაუთმოს რამე!"

ასე თქვა. [იასონმა] თვალები ძირს დახარა დუმილით და ასე ხმაამოუღებლივ იჯდა უბედურებით გაოგნებული. დიდხანს ფიქრობდა, მაგრამ გაბედულად პირობის მიცემას ვერ კისრულობდა, რადგან საქმე მეტად სამძიმო ჩანდა. ბოლოს ძოხერხებულად უპასუხა:

„აიეტო, მეტისმეტად შემბოჭე შენი სამართლით. ამიტომაც ეკისრულობ მაგ უსაზღვროდ ძნელ დავალებას, თუნდაც სიკვდილი მეწიოს. უფრო საშინელი იძულება, რამაც აქ მომიყვანა მეფის წყალობით, არ შეიძლება თავს დაატყდეს ადამიანს!"

ასე თქვა გამოუვალი მდგომარეობით ზარდაცემულმა. [აიეტმა] მკისხანე სიტყვებით მიუგო შეშფოთებულს:

„**რაკი კისრულობ ამ საქმეს,** გასწი ლაშქარში! მაგრამ თუ შეგეშინდება ხარებისათვის უღლის დადება, ანდა სახიფათო მკა შეგაძრწუნებს, მაშინ, დაე, მხოლოდ ჩემ საზრუნავად დარჩეს ეს ყველაფერი, რათა სხვა ვინმეს უძლიერეს ვაჟკაცთან მისვლის შიში ჰზარავდეს!".

ასე უთრხა პირდაპირ, იასონი საკარძლიდან წამოდგა; მას ავგიე და ტელამონიც აჰყვნენ. მათ მიჰყვა მხოლოდ არგოსი, რადგან ძმებს ანიშნა, აქ დარჩენილიყვნენ. სასახლიდან მიმავალთა შორის საოცრად გამოირჩეოდა სილამაზითა და მოხდენილობით ესონის ვაჟი. ქალწულ [მედეას] ნაზი პირსაბურავიდან ირიბი მზერით მისთვის თვალები მიეპყრო და გული ტკივილით ევსებოდა. მისი ოცნება მიმავალი [იასონის] კვალს გაჰყვა ფრენით, ვითარცა სიზმარი. შეწუხებული [უცხოელები] მალე გავიდნენ სასახლიდან. ქალაქიოპემ აიეტის რისხვას თავი მოარიდა და შვილებითურთ მყისვე თალამოსისაკენ გაემართა. წავიდა მედეაც. მის გულში ის ცეცხლი ტრიალებდა, რომელსაც ეროსები აღძრავენ ხოლმე. მას ჯერ კიდევ თვალწინ ედგა ყველაფერი: ის, თუ როგორი იყო [იასონი], როგორი ტანსაცმელი ეცვა, რა თქვა, ვით იჯდა საკარძელში და როგორ გავიდა გარეთ. აფორიაქებული [ასული] ფიქრობდა, რომ ასეთი ვაჟკაცი სხვა არავინ იყო; მის ყურთასმენას არ შორდებოდა [იასონის] ხმა და ის ტკბილი სიტყვები, რომლებიც მან წარმოთქვა. თანაც შიშობდა მის გამო, რომ არ დაეღუპათ იგი ხარებს, ანდა თვითონ აიეტს; ქვითინიც მორთო, თითქოს უკვე დაღუპულიყო და უძლიერესი სიბრალულით და მწუხარებით ლოყებზე ნაზი ცრემლი ჩამოეღვარა. ასე ქვითინებდა წყნარად, ხოლო მერე გმინვით წარმოსთქვა ასეთი სიტყვა:

„რად მიპყრობს ეს დარდი მე საბრალოს? ვთქვათ, დაიღუპა ვით უმამაცესი გმირთა შორის, ანდა ლაჩარი, რა მესაქმება? მაგრამ არა! დაე, უვნებლად გადაურჩეს მძიმე განსაცდელს! ნეტავი ასე მოხდებოდეს, ყოვლისშემძლე ღმერთ-

ქალო, პერსეიდო, და სიკვდილისაგან თავ დაღწეული სახლს დაუბრუნდებოდესI ძაგრამ თუ ბედი ხარებთან ჭიდილში დაამარცხებს, დაე, იცოდეს, რომ მისი თვალბედითი ხვედრით მეც ვერ გავიხარებ!"

ასე იკლავდა გულს ფიქრებით ქალწული. როცა [იასონი და მისი მხლებლები] ხალხიდან და ქალაქიდან იმ გზაზე გავიდნენ, რომლითაც აქეთ გამოეშართნენ ველზე გადმოვლით, მაშინ იასონს ასეთი სიტყვებით მიმართა არგოსძა:

„ესონიდო, დაუკვირდი იმ რჩევას, რომელსაც გეტყვი; უბედურებაში არავითარი ცდა არ უნდა გავუშვათ ხელიდან. ‘ენ ჩემგან უწინ მოისმინე, რომ ერთი ქალწული პერსეიდი ჰეკატეს შეგონებით ჯადოსნურ წამლებს ამზადებს. თუ მას გადმოვიბირებთ, ვფიქრობ, აღარ იქნება იმის შიში, რომ შენ ბრძოლაში დაიღუპო. მაგრამ ძალიან მეშინია, როგორმე დედაჩემი არ წავიდეს ამის წინააღმდეგ. მე მაინც დავბრუნდები და შევეხვეწები, რადგან ყველას გვემუქრება დაღუპვა".

ასე თქვა კეთილმზრახველმა; [იასონი] კი ამ სიტყვებით შეეცალა: „ჩემო კარგო, თუ შენ მოგწონს ეს, მე არ დაგიშლი. წადი შეევედრე და ჭკვიანური საუბრით დაიყოლიე დედაშენი. რა საბრალოა ჩვენი იმედი, როცა შენ დაბრუნების ბედს დედაკაცებს ვანდობთ!"

ასე თქვა. მალე მიაღწიეს ჭაობსაც; როგორც კი დაინახეს მოსულები, გაბარებული მეგობრები კითხვით შეეგებნენ. დანაღვლიანებულმა ესონიდმა მათ ეს სიტყვა უთხრა:

„მეგობრებო, აიეტი საშინლად გაგვრისხდა. ყველაფრის დაწვრილებით მოყოლას საზღვარი არ დაედება, არც ჩემი თხრობით და არც თქვენი შეკითხვებით. მან თქვა, რომ არესის ველზე საბალახოდ გაშვებული ჰყავს ორი სპილენძისფეხებიანი ხარი, რომლებიც ხახიდან ცეცხლს აფრქვევენ. მათი საშუალებით ოთხი დღიური ხოდაბუნის მოხვნა მიბრძანა და [მითხრა], რომ მომცემს გველეშაპის ყბებიდან ამოღებულ თესლს, რომელიც წარმოაცენებს სპილენძის იარაღით შეჭურვილ გეას ძეებს, რომლებიც იმავე დღეს უნდა დავხოცო. რაკი სხვა უმჯობესი აზრის მოფიქრების საშუალება აღარ იყო, უყოყმანოდ მივეცი ძიროობა".

ასე თქვა. ყველამ შეუძლებლად მიიჩნია ამ დავალების შესრულება და მწარე ხვედრით და გამოუვალი მდგომარეობით სასოწარკვეთილნი დიდხანს დუმილით შესცქეროდნენ ერთიმეორეს. კარგა ხნის შემდეგ რჩეულ გმირებში ჰელევსმა გახაცხადა გაბედულად:

„ღვთა, მოვიფიქროთ, როგორ მოვიქცეთI მე კი მგონია, რომ ახლა ბეჭობაში არაა იმდენი სარგებლობა, რამდენიც ხელთა ძალაში. თუ შენ, გმირო ესონიდო, აიეტს ხარების დაუღლვა განგიზრახავს და დავალებას კისრულობ, დაიცავ პირობა და მოემზადე. მაგრამ თუ მთლიანად და გულით არ ხარ დარწმუნებული საკუთარ მამაცობაში, ნურც თავს აიძულებ და ჩვენ გვერდით ძჯდარი ნურც სხვა ვინმეს უთვალთვალებ ამ გმირებში. მე, მაგალითად, ვერ გიკისრებდი, რადგან მაგ საქმეს აუცილებლად მოჰყვება მწარე სიკვდილი".

ასე თქვა ეაკიდმა. ტელამონი ბრაზით აენთო და მყისვე წამოიჭრა აღელვებული. მესამე, ვინც ფეხზე წამოდგა, იდასი იყო მეტად ზვიადი; მერე ტინდარეოსის ძენიც წამოხტნენ. მათ აჰყვა ახალგაზრდა ვაჟკაცებში მირიცხული ოინიდი, რომელსაც ჯერ კიდევ არ შეღინღლოდა სახე კარგად, მაგრამ გული სიმამაცით უძგერდა. სხვები კი, რომლებმაც [პირველობა] მათ დაუთმეს, დუ-

ძილს განაგრძობდნენ; ხოლო არგოსმა დავალების შესრულების მსურველთ მაშინვე ასეთი სიტყვები უთხრა:

„მეგობრებო, დავალება უნდა აღსრულდეს; მაგრამ, ვფიქრობ, რომ დედაჩემის შემწეობა სასარგებლო იქნება თქვენთვის. ამიტომ, თუმც სურვილით აშოძრაეებული ხართ, ჯერ კიდევ დაყოვნდით ერთ ხანს ხომალდზე, რადგან თავის შეკავება სჯობია წინდაუხედაობით ბოროტი სიკვდილის არჩევას. აიეტის სასახლეში არის ერთი ქალწული, რომელსაც ღმერთქალმა ჰეკატემ განსაკუთრებულად ასწავლა შემზადება წამლებისა, რასაც კი მიწა და მოძრავი წყალი წარმოქმნის. მათი საშუალებით იგი აწყნარებს შმაგი ცეცხლის ალს, მყისვე აჩერებს ზათქით მოვარდნილ მდინარეებს და გზებს უხლართავს ვარსკვლავებსა და წვინდა მთვარეს. სასახლიდან აქეთ მსვლელობის დროს გზად მოვიგონეთ იგი, ეგებ შეძლოს-თქო მისმა დამ, ჩვენმა დედამ, დაიყოლიოს, რათა დავალების აღსრულებაში შემწეობა იკისროს. თუ თქვენც მოგწონთ ეს, დღესვე გაებრუნდები აიეტის სასახლისაკენ და ვცდი. ღეთის წყალობით სწრაფად აღვასრულებ ამ ცდას“.

ასე თქვა. ღმერთებმა კეთილი ზრახვით კარგი ნიშანი მოუვლინეს [გმირებს]: ქორის კლანჭებიდან თავდაღწეული მხდალი მტრედი შეშინებული ჩაშოვარდა ბაღლიდან ესონიდის კალთაში, ქორი კი კიჩოს დაასკდა. მოფსოსმა მაშინვე წარმოთქვა მისნობით ასეთი სიტყვა:

„მეგობრებო, ეს ნიშანი ღმერთების ნებით გეუწყათ. სხვა არავითარი მსჯელობა არაა საჭირო და ყველაფერს სჯობია ის, რომ ეახლოთ ქალწულს და სიტყვებით შეეეედროთ ყოველნაირად. ვგონებ, რომ უარს არ იტყვის, თუკი ფინეესმა სწორად გვისმინა, რომ შინ დაბრუნება ღმერთქალ კიპრიდას წყალობით იქნება. აი, მისი მშვიდი ფრთოსანი სიკვდილს დაუსხლტა. ფრინველთმისნობით რასაც მკერდში გული მკარნახობს, ყველაფერი ისე ახდება. მეგობრებო, პოუხმეთ კითერიას თქვენდა მფარველად და ახლა არგოსის რჩევას ერწმუნეთ“.

თქვა და დაეთანხმნენ ჯაბუკები, რომელთაც მოაგონდათ ფინეესის შეგონებები. მხოლოდ აფარეიოსი იდასი წამოხტა და საშინლად გამწყრალმა მაღალი ხმით შესძახა:

„ეაგლახ, რომ აქ სალაშქროდ მოვსულვარ დიაცებთან ერთად, რომლებიც კიპრიდას მოუხმობენ და არა ენიალიოსის დიად ძალას! მტრედებისა და ქორთა დანახვით იკავებთ თავს ბრძოლიდან? დაიკარგენით! საომარი საქმეები კი არ ყოფილა თქვენთვის საზრუნავი, არამედ ნაზი ქალწულებს შეცთუნება ხვეწნა-ძუდარით!“.

ასე თქვა გაჯავრებულმა. ბევრმა მეგობარმა თავისთვის ჩუმად ბუზღუნი დაიწყო, მაგრამ საწინააღმდეგო სიტყვა არვის უთქვამს მისთვის. გამწყრალი [იდასი] ბოლოს დაჯდა; იასონმა კი გული გაიმხნევა და [გმირებს] მაშინვე ასე ეიძართა:

„რაკი ყველანი თანახმა ხართ, დაე, წავიდეს არგოსი ხომალდიდან; ჩვენ კი შდინარიდან ხმელეთზე უკვე აშკარად მივაბათ ბაკირები. შეგვფერს, რომ მეტად აღარ ვიმალებოდეთ ბრძოლის გამო შიშით დამფრთხალნი“.

ასე თქვა და მყისვე გაგზავნა [არგოსი], რათა სწრაფად წასულიყო კვლავ ქალაქისაკენ. სხვებმა კი ხომალდის ღუზები ამოზიდეს და ესონიდის ბრძანებით ჭაობიდან ოდნავ ხმელეთზე მიაცურეს [ხომალდი] ხოფების მოსმით.

სწორედ ამ დროს აიეტმა, რომელიც მინიებს საზარელ ვერაგობასა და ტანჯვას უმზადებდა, კოლხთა ყრილობა მოიწვია სასახლის გარეთ, სადაც უწინაც ჯდებოდა ხოლმე სათათბიროდ. მან განაცხადა, რომ როგორც კი დაგლეჯ-

დნენ ხარები იმ ვაჟკაცს, რომელმაც მძიმე დავალების შესრულება იკისრა, მაშინვე მოჭრიდა ტყით დაფარულ ბეჭობზე შეშას და ხომალდს ვაჟკაცებითურთ დაწვავდა, რათა მზაკვრულად მომხდურებს ქედმაღლური თავხედობის საშუალება აღკვეთოდათ; იგი სასახლეში შინაურ კაცად არ მიიღებდა ამის ძალზე მოსურნე ეოლიდ ფრიქსესაც, რომელიც ყველა უცხოელში გამოირჩეოდა თავაზიანობით და ღვთისმოშიშობით, ზევსს რომ მისთვის არ გამოეგზავნა ჰერმესი იმის საუწყებლად, რომ [ფრიქსეს] მზრუნველობით შეხვედროდა; მით უმეტეს ვერ დარჩებოდნენ დიდხანს უვნებლად მის მიწაზე მოთრეული ავაზაკები, რომელთაც განუზრახავთ სხვის ქონებაზე ხელის აღმართვა, ფარულ მზაკვრობათა მოწყობა და ვერაგული თავდასხმებით მწყემსთა ფარეხების აწიოკება. გარდა ამისა, — თქვა [აიეტმა], — საჭირო იყო, პირადად მის წინაშე პასუხი ეგოთ ფრიქსეს ვაჟებს, რომლებიც უკან დაბრუნდნენ მეგზურებად ბოროტმოქმედ კაცებთან ერთად, რათა ვერაგულად წაართვან მას პატივი და კვერთხი: მამა ჰელიოსისაგან მან ოდესღაც ისმინა სამწუხარო წინათქმა, რომ იგი უნდა მორიდებოდა საკუთარი მოდგმის თვალთმაქცურ მზაკვრობას, შეგონებებსა და ყოველგვარ ბოროტმოქმედებას; ამიტომაც გაუყენა მან აქეის მიწისაკენ შორეულ გზას მამის შეგონებით წაქეზებული [შვილიშვილები]. ქალიშვილებისაგან ოდნავადაც არ მოელოდა მას საფრთხე, — ისინი არავითარ საზარელ მზაკვრობას არ მოუწყობდნენ, — არც ვაჟიშვილ აფსირტესგან; სწორედ ქალკიოპეს შთამომავლობაში შეიძლებოდა მოწყობილიყო ეს უბედურება. განრისხებულმა [აიეტმა] თანამემამულეთ უმძიმესი საქმე დაავალა და ძალზე დაემუქრა მათ, თვალყური ედევნებინათ ხომალდისათვის და [უცხოელებისათვისაც], რათა უბედურებას ვერვიხ დასხლტოძოდა.

ამასობაში აიეტს სასახლეში ღაბრუნდა არგოსი და დედას ყოველნაირი სიტყვით არწმუნებდა, მედეასათვის შემწეობა ეთხოვა. [ქალკიოპე] თვითონაც ფიქრობდა ადრევე ამაზე, მაგრამ შიში აკავებდა, როგორმე ფუჭად არ შეეედრებოდა და [მედეას] მამის სასტიკი რისხვის არ შეშინებოდა, ანდა, თუ იგი ხვეწნა-მუდარას დაჰყვებოდა, ეს საქმე არ გამომქღავნებულიყო.

ქალწული [მედეა], რომელიც საწოლზე დამხობილიყო, ღრმა ძილმა ტანჯვათაგან შეასვენა; მაგრამ ძალე შეაწუხა საშინელმა ცრუ სიზმრებმა. ეზმანა, თითქოს უცხოელი დავალების აღსრულებას შესდგომოდა, მაგრამ ვერძის ტყავის წაღება კი არ სურდა და ამის გამო კი არ იყო მოსული აიეტის ქალაქში, არამედ იმიტომ, რომ იგი წაეყვანა თავის სახლში კანონიერ მეუღლედ. შემდეგ ეზმანა, თითქოს თვითონ შეება ხარებს და ძალიან ადვილად სძლია, მაგრამ მისმა მშობლებმა პირობა დაარღვიეს იმის გამო, რომ ხარების დაუღლვა ქალწულისათვის კი არ ჰქონდათ ნაბრძანები, არამედ [უცხოელისათვის]; ამაზე ორმხრივი დავა ატყდა მამასა და უცხოელთა შორის; ბოლოს ორივე მხარემ მას ძიანდო, ისე ყოფილიყო, როგორც გონება უკარნახებდა. მან მშობლები დათმო და მოულოდნელად უცხოელი აირჩია. [მშობლები] მძიმე მწუხარებამ შეიპყრო და გამწყრალებმა შეჰყვირეს. ყვირილის გამო ძილი გაუფრთხა. შიშით აკანკალებული ფეხზე წამოიჭრა და თალამოსის კედლებს თვალი მოავლო. ძლივს მოიკრიბა წინანდელი ძალა მკერდში და საბრალო ხმით წარმოთქვა:

„ვაი, მე ბედკრულს! როგორ დამაფრთხეს საზარელმა სიზმრებმა! ეშიშობ, რამე დიდი უბედურება არ მოიტანოს გმირთა აქ მოსვლამ. ძალზე მიღელავს გული უცხოელის გამო. დაე, შორს თავის სახლში დაქორწინდეს იგი აქაელ ასულზე, მე კი ჩემი სიქალწულე და მშობლების სახლი მენუკვოდეს მხოლოდ!

მაგრამ ჯერ მაინც განვაგდებ გულიდან ამ ბოროტ აზრს და არაფერს არ ვცდი თავის შვილებზე შეწუხებული დის გარეშე; ეგების მთხოვოს, შევეწიო [უცხოელს]დავალების აღსრულებაში; მაშინ საშინელი ტანჯვა ჩამიქრება გულში".

ასე თქვა, გაიმართა და ფეხშიშველმა და შილიფად ჩაცმულმა სახლის კარები გამოალო; დააპირა დასთან წასვლა და ზღურბლზე გადავიდა. მაგრამ სირცხვილმა დაკავა და დიდხანს დარჩა აქ, თალამოსის შესასვლელთან. მერე მიტრიალდა და უკან დაბრუნდა; შემდეგ ისევ გამოვიდა გარეთ და კვლავ შიგნით შევარდა. ამაოდ დაჰყავდათ იგი აქეთ-იქით ფეხებს: როცა გამოსვლას დააპირებდა, სირცხვილი ოთახში აკავებდა, მორცხვობით დაბრკოლებულს კი ძლიერი წადილი გარეთ ეწეოდა. სამგზის სცადა წასვლა და სამგზისვე თავი შეიკავა; მეოთხეჯერ კი ბარბაცით დაემხო საწოლს პირქვე. როცა ვინმე პატარძალი დასტირის თალამოსში ახალგაზრდა მეუღლეს, რომელსაც ძმებმა და მშობლებმა ძალითხოვეს, მაშინ იგი მორცხვობისა და მოკრძალების გამო მხევალ ქალებს თავს არიდებს და სევდით აღსავსე სადმე კუთხეში ზის ხოლმე; [ქმარი] ბედისწერამ გამოაცალა მას ხელიდან მანამდე, სანამ ერთმანეთს ალერსით დაატკბობდნენ. და აი, ახლა, თუმც მეტად იტანჯება, დაობლებული სარეცლის შემხედვარე თავისთვის ჩუმად ტირის, რათა არ გაიცინონ დამცინავმა დედაკაცებმა. აი ამ [პატარძლის] მსგავსად ქვითინებდა მედეა. ამ დროს შემთხვევით ჩაიარა იქ და მტირალი შენიშნა ერთმა მონა ქალთაგანმა, რომელიც ბავშვობიდანვე მისი მხევალი იყო. მან დაუყოვნებლივ ამცნო ეს ქალკიოპეს, რომელიც შვილებში ჩამჯდარიყო და დის დაყოლიების თაობაზე მსჯელობდა. როცა მხევლისგან მოულოდნელი ამბავი გაიგო, აღარ დაუყოვნებია და შეშინებული თავისი თალამოსიდან გაექანა [დის] თალამოსისაკენ, სადაც შეწუხებული ქალწული დამობილიყო და ლოყებს იხოკავდა. როცა ცრემლებით დასველებული თვალები დაუხახა, ასე ეიძართა:

„ვაიმე, მედეა, რატომ ღვრი ამ ცრემლებს? რატომ სწუხარ? რა მძიმე სევდა სწვევია შენს გულს? იქნებ ღვთის მოგზავნილმა სნეულებამ შეიპყრო შენი სხეული, ანდა იქნებ მამისაგან სასტიკი მუქარა გაიგე ჩემსა და ჩემი შვილების შიმართ? ნეტავ არ ვხედავდე არც მშობლების სახლსა და არც ამ ქალაქს და სადმე ქვეყნის კიდურზე ვცხოვრობდე, სადაც არ ისმის კოლხთა სახელი!"

ასე თქვა; [მედეას] კი ლოყები გაუწითლდა; ქალწულებრივი მორცხვობა დიდხანს აკავებდა პასუხის გაცემის მსურველს. ხან ენის წვერზე მოადგებოდა სიტყვა, ხან კი გულის სიღრმეში ჩაუწყდებოდა. მრავალგზის სცადა ლაპარაკი ლამაზი პირით, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო. ბოლოს, თამამმა ეროსებმა გაამხნევეს და მოხერხებულად წარმოთქვა ეს:

„ქალკიოპე, შენ შვილთა გამო მიღელავს გული; ვაითუ მამაჩემმა უცხოელ ვაჟკაცებთან ერთად ისინიც დაღუპოს! ახლახან, მცირე ხნის ძილით ჩათვლემილმა, საშინელი სიზმრები ვნახე; ღმერთმა ნუ აახდინოს ისინი და შენც ნუ გაიკარებ სავალალო დარდს შვილების გამო!"

თქვა და უნდოდა გამოეცადა დაი, სთხოვდა, თუ არა ის უწინ შვილებისათვის შემწეობას. [ქალკიოპეს] საშინლად აუფორიაქა სული შიშით გამოწვეულმა აუტანელმა სევდამ, როცა ასეთი რამ მოისმინა; მერმე კი ამ სიტყვებით უპასუხა:

„სწორედ მაგგვარი ფიქრებით აფორიაქებული მოვედი შენთან; ეგებ ჩემთან ერთად მოისაზრო და გამონახო დახმარება. დაიფიცე დედამიწა და ზეცა რომ რასაც გაუწყებ, გულში შეინახავ და შემწე იქნები! გაფიცებ ნეტართ, შენს

თავსა და მშობლებს, რომ ნუ დამანახვებ სავალალოდ შვილების დაღუპვას საზარელი ხვედრით, თორემ საყვარელ შვილებთან ერთად სიცოცხლეს გამოსალმებული სასტიკი ერინია ვიქნები შენთვის ჰადესიდან!"

ასე თქვა და მყისვე წასკდა უზომო ცრემლი; [მედეას] ორივე ხელით მუხლებზე შემოეხვია და თავი კალთაში ჩაუდო. ისინი საბრალოდ შექვითინებდნენ ერთიმეორეს და მწუხარებით მოტირალთა წყნარი გმინვა სახლს მოედო. შეწუხებულმა მედეამ [ქალკიოპეს] უთხრა:

„საბრალოვ, რა საშუალებით უნდა ვიმოქმედო შენთვის, რომ სასტიკ წყეულსა და ერინიებს გადავურჩე? ნეტავი შევძლოთ შენი შვილების დახსნა! ვფიცავ კოლხთა უდიდეს საფიცარს, რომლის დამოწმებაც შენ მირჩიე, — დიად ზეცასა და მის ქვეშ მყოფ დედამიწას, რომ რა ძალაც შემწევს, არ მოგაკლებ ძეს და შეხს თხოვხას შევასრულებ!"

ასე თქვა; ქალკიოპემ კი ამ სიტყვებით მიმართა:

„ვერ გაბედავ, ჩემი შვილების ხათრით, იმ უცხოელს, რომელსაც თვითონ სურს ეს, გრძნეულება, ანდა სხვა რამე ხერხი მოუნახო დავალების შესასრულებლად? მისგან ეს-ეს არის მოვიდა არგოსი და მთხოვს, შენს დახმარებას მივაღწიო. იგი შინ დავტოვე და შენთან წამოველ".

ასე თქვა. [მედეას] სიხარულით გული აუთრთოლდა, ლამაზი სახე გაუწითლდა და აღფრთოვანებულს ტკბილი ბურუსი დაეუფლა. მან ასეთი სიტყვა წარმოთქვა:

„ქალკიოპე, რაც თქვენთვის სანუკვარი და საამო იქნება, იმას გავაკეთებ. დაე, ნუ გაბრწყინებს ჩემი თვალებისათვის განთიადი, ნუღარ მიხილავ ამიერიდან ცოცხალს, თუ შენი და შენი შვილების სიცოცხლეზე უფრო ძვირფასად რამე მიმაჩნდეს. ისინი ხომ ჩემი ძმები, საყვარელი ახლობლები და ტოლები არიან; ასევე ვთვლი, რომ მე შენი დაცა ვარ და ქალიშვილიც, რადგან ჩვენს მაოთან ერთად მაწოვებდი შენს ძუძუს, რაც ხშირად მსმენია დედაჩემისაგან. ახლა კი წადი და დუმილით შეინახე ჩემი წყალობა, რათა მშობლებისაგან დაფარულად შევასრულო დაპირება. ღილით ადრე ჰეკატეს ტაძრისაკენ გავემართები და ხართა მომაჯადოებელ წამალს წავუღებ უცხოელს, ვისი გულისთვისაც ატყდა ეს დავა".

[ქალკიოპე] თალამოსიდან გავიდა და შვილებს ღვიძლი დის შემწეობა აუწყა. მარტო დარჩენილი [მედეა] კი კვლავ შეიპყრო სირცხვილმა და საზარელმა შიშმა, რადგან ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანა [უცხოელი] ვაჟკაცის მიძართ ძაძის ხების წიხააღძდეგ.

ამასობაში ღამემ წყვდიადი ჩამოიყვანა დედამიწაზე. მეზღვაურებმა ზღვაში ხომალდიდან ჰელაკესა და ორიონის ვარსკვლავებს დაუწყეს ჰვრეტა; ვინმე მგზავრსაც და ჭიშკრის დარაჯსაც ძილი მოუნდათ უკვე; თვით მკვდარი შვილების დედაც კი დაიმორჩილა ღრმა ძილმა; მიწყდა ქალაქში ძაღლების ყეფა და ყოვლისშმცველი ხმაური; დუმილმა დაიპყრო ბნელი წყვდიადი. მხოლოდ მედეა ვერ დაიმორჩილა ტკბილმა ძილმა. ესონიდის სიყვარულით შეპყრობილს მრავალი ფიქრი ერეოდა და ეშინოდა იმ ხარების საშინელი ძალის, რომელთა საშუალებითაც შეუფერებელი ხვედრით უნდა დაღუპულიყო [იასონი] არესის ველზე. მკერდში გული აღარ უჩერდებოდა განუწყვეტელი მღელვარებით. ვით შენობაში დახტის ხოლმე მზის სხივი ასხლეტილი იმ წყლიდან, რომელიც ახლახან ჩაღვარეს კარდალში ან თასში და [ყველებს] სწრაფ წრედ ევლება ხან აქ და ხან იქ შეუსვენებლივ, აი ისე დახტოდა ქალწულის მკერდში გული. უხვად დასდინდა სიბრალულის გამო ცრემლი; შიგნით ტკივილი ღრღნი-

და და უწვავდა სხეულის ნაზ ძარღვებს და აღწევდა თავის სიღრმეში იმ ადგილს, სადაც ყველაზე უფრო მწვავეა ტკივილი მაშინ, როცა დაუღალავი ეროსები სხეულში დარდებს დაამკვიდრებენ. ხან ფიქრობდა, მივცემო ხარების მომჯადოებელ წამალს, ხან — არაო და თვითონაც დავიღუპებიო; ხან კი — არც მე დავიღუპები და არც ჯადოს მივცემო და ისე მშვიდად გადავიტან ჩემს მწარე ხვედრსო. ასეთ ფიქრებში გართული [მედეა] ბოლოს დაჯდა და თქვა:

„ვაი მე საბრალოს! ეს რა უბედურება მეწია? გონება სრულიად დამებნა; არსაიდან ჩანს ხსნა ტანჯვისაგან, რაიც ასე განუწყვეტლივ მწვავს. ნეტავ არტემიდეს მალი ისრებით განვგმირულიყავ მანამდის, სანამ იმას დავინახავდი და სანამ ქალკიოპეს ვაჟები აქეის მიწისაკენ წარემართებოდნენ! ისინი იქიდან ღმერთმა ან რომელიღაც ერინიამ მოიყვანა აქ ჩვენდა სატანჯველად. თუ [უცხოელს] ბედით უწერია [არესის] ველზე დაღუპვა, დაე დაიღუპოს შერკინების ქამს! როგორღა დავემალები ჩემს მშობლებს, მას რომ ჯადო-წამალი მოვუმზადო? რა პასუხი უნდა გავცე? რა ცბიერება, ანდა რა ხერხი დაფარავს ჩემ შემწეობას? ან ვით უნდა შევხვდე [უცხოელს], მეგობართაგან განმარტოებულს ოდეს ვიხილავ? ვაი მე უბედურს! ის რომ დაიღუპოს, არა მგონია, დარდებისგან გავთავისუფლდე. როცა მას სიცოცხლე წაერთმევა, აი მაშინ დამატყდება უბედურება. განვედ სირცხვილო, განვედ ბრწყინვალებავ! როს [უცხოელი] ჩემი შემწეობით უვნებლად გადარჩება, საითაც გულით მოიწადინებს, დაე იქ წავიდეს. მე კი იმავ დღეს, როცა იგი დავალებას შეასრულებს, წუთისოფელს გამოვესალმები; ან მორს ჩამოვეკიდები ყელით, ანდა სიცოცხლის მომსპობ შხამს ვიგემებ! მაგრამ ასე დაღუპულს მერე სასაცილოდ ამიგდებენ; მთელი ქალაქი აყაყანდება ჩემს თვალბედით ხვედრზე. კოლხი ქალები ყბად ამიღებენ და ყველგან დამიწყებენ ავად ხსენებას: უცხოელი კაცისათვის ზრუნვას გადაყოლილი დაიღუპაო, ვნებას დაჰყვა და სახლი და თავისი მშობლები შეარცხვინხაო. რა დამიხსნის შერცხვენისაგან? ვაი ჩემს თვალბედით ხვედრს! ბევრად უმჯობესი იქნება ამავე ღამეს ამ თალამოსში გამოვესალმო სიცოცხლეს მოუღოდნელი სიკვდილით და დავიხსნა თავი ყველა საზარელი შერცხვენისაგან მანამ, სანამ საშიშ და ენით უთქმელ საქმეს ჩავიდენდე!“

თქვა და გაეშურა ყუთისაკენ, რომელშიაც მრავალი წამალი ეწყო, ზოგი შაკურნებელი და ზოგიც მომაკვდინებელი. დაიდო იგი მუხლებზე და ტირილი მორთო. ღვარივით დადენილი ცრემლებით განუწყვეტლივ ისველებდა კალთას და საკუთარ ხვედრს მწარედ დასტიროდა. უნდოდა, მომაკვდინებელი შხამი ამოერჩია და დაელია. უკვე ყუთის საკეტიც გააღო და [შხამის] ამოღებას ლამობდა, რომ უცბად საზარელი ჰადესის შემაძრწუნებელმა შიშმა გაუარა გულში. დიდხანს იყო გაოგნებული შიშით და თვალწინ ეხატებოდა სიცოცხლის საამო ტკბილმწარობა. გაახსენდა ყველა განცხრომა, რაც ცოცხალთ აქვთ; გაახსენდა ქალწულს სიხარულით აღსავსე ტოლსწორები და როცა ყველაფერი ნათლად წარმოიდგინა გონებაში, მისთვის მზე უწინდელზე უფრო ტკბილი გახდა სახილველად. ჰერას შეგონებით გუნებაშეცვლილმა [ყუთი] მუხლებიდან ჩამოიღო და ფიქრებით ყოყმანს თავი ანება. სურდა, ჩქარა გამოჩენილიყო აღმომავალი განთიადი, რათა [უცხოელისთვის] დაპირებისამებრ გადაეცა ჯადო წამალი და პირისპირ შეხვედროდა. ხშირ-ხშირად აღებდა კარების საკეტს და შუქის ხილვას ელოდა. მალე ალიონმა მისთვის საამო ნათელი დააყენა და ქალაქიც ყველახი აშოძრავდხეხ.

მაშინ არგოსმა ძმებს უბრძანა, შინ დარჩენილიყვნენ, რათა თვალი ედევ-

ნებინათ ქალწულის გადაწყვეტილებისა და ზრახვებისათვის, თვითონ კი კვლავ გაემართა ხომალდისაკენ, რომელსაც წინათ მოსცილდა.

როცა ქალწულმა განთიადის პირველი შუქი იხილა, დაუდევრობით აწეწილი და ჩამოშლილი ოქროსფერი თმები ხელებით აიკრა და დასველებული ლოყები ჩამოიწმინდა. მერე ნექტარის მალამოთი სხეული დაიზილა, მშვენიერი ბალთებით მორთული ლამაზი წამოსასხამით მოიკაზმა და ღვთაებრივ თავზე ვერცხლისფრად მბრწყინავი საბურავი მოიხვია. იგი მტკიცე ნაბიჯით მოძრაობდა ოთახში და ივიწყებდა იმ საზარელ ტანჯვათა, ახლა რომ უნდა გადაეტანა და იშათაც, რომლებიც მომავალში იყო მოსალოდნელი. მისი სურნელოვანი თალამოსის შესასვლელში იმყოფებოდა თორმეტი მხევალი ქალი, მისი ასაკისანი, რომელთაც მამაკაცებთან სარეცელი ჯერ კიდევ არ გაეზიარებინათ. [მედეამ] მათ უბრძანა, სასწრაფოდ შეებათ ეტლში ჯორები, რომლებიც მას ჰეკატეს უმშვენიერეს ტაძრისაკენ წაიყვანდნენ. მხევალი ქალები მყისვე შეუდგნენ ეტლის მომზადებას; [მედეამ] კი ამასობაში ყუთიდან ამოიღო წამალი, რომელიც, აცბობენ, პრომეთეს [წამლად] იწოდება. ვინც ღამის მსხვერპლებით დედისერთა ქალწულს მოილმობიერებს და ამ [წამლით] სხეულს დაიზელს, მას ვერც მახვილის ცემა დაკოდავს და ვერც მოგიზგიზე ცეცხლი დააკლებს რამეს და თანაც იმ დღეს მამაცობა და ღონე საგანგებოდ შეემატება. ამ [წამლის მცენარე] პირველად აღმოცენდა მაშინ, როცა გაუმაძღარმა არწივმა კავკასიის ფერდობებზე მიწაზე დაღვარა ტანჯული პრომეთეს ზრქელი სისხლი. ამ [მცენარის] წყვილ ღეროზე წყრთის სიმაღლეზე ამართული, ფერით კორიკიოსის კროკოს მსგავსი ყვავილი გაიშალა; მიწაში გადგმული ფესვი კი ახლად გაჭრილ ხორცს ჰგავდა. მისი [წვენი], მთაში ნაზარდი წიფლის შავი სითხის მსგავსი, შავი წამოსასხამით შებურვილმა [მედეამ] უკუნეთ ღამეში ჯადო-წამალთა მოსამზადებლად კასპიურ ნიეარაში მოაგროვა; წინასწარ კი შვიდგზის განიბანა [სხეული] დაუშრეტელ წყალში და შვიდგზის მოუხმო ბავშვების ძიძა ბრიმოს, ღამით მოხეტიალე ბრიმოს, მიწისქვეშეთელს, განსვენებულთა დედოფალს. როცა [მედეა] ტიტანურ ფესვს ჭრიდა, ქვემოთ ხმაურით ირყეოდა შავი მიწა, ხოლო იაპეტის ძე ტკივილით სულშეწუხებული გმინავდა. აი ეს [წამალი] ამოიღო [მედეამ] და ჩაიდო სურნელოვან სარტყელში, რომელიც ღვთაებრივ გულ-მკერდზე ერტყა. მერე გარეთ გაეშურა და მალ ეტლზე აბრძანდა. ამასთან ერთად აქეთ-იქიდან ორი მხევალი ქალი ავიდა. [მედეამ] მარჯვენათი აიღო სადავეები და კარგად ნაკეთები მათრახი და ქალაქში გავიდნენ; სხვა მხევლები კი უკან ეტლის ძარას ჩასჭიდებოდნენ, ნაზი ქიტონები ქეთქათა მუხლებამდე აეწიათ და ისე მიქროდნენ ფართო შარაზე. როცა ლეტოს ასული განიბანება პართენიოსის თბილი წყლებით, ანდა მდინარე ამნისოსით, მაშინ იგი შედგება ხოლმე ოქროს ეტლზე, რომელშიც ნორჩი ირმები არიან შებმული და გაემართება მთებისაკენ შორს, რათა იქ ბრწყინვალე ჰეკატომბი მიიღოს; მას მეგზურებად მიჰყვებიან ნიმფები, რომელთაგან ზოგნი ამნისოსის წყაროსთანავე იყრიან თავს, ზოგნი კი — ტყეებსა და ჩანჩქერებით უხვ მთებში; ირგვლივ ნადირნი წკმუტუნით იქნევენ კუდს და მოწიწებით უთმობენ გზას მიმავალ [ღმერთქალს]. აი ასე [ლეტოსა და მისი ნიმფებივით] მიქროდნენ ქალაქში [მედეა და მხევალი ასულნი]. შემხვედრი ხალხი მათ გზას უთმობდა და მეფის ასულის თვალებს გაურბოდა. როცა [მედეამ] ქალაქის კარგად ნაგები ჭუჩები დატოვა, მინდვრები გადაიარა და ტაძარს მიაღწია, მაშინ სწრაფად ჩამოვიდა მალთვლებიან ეტლიდან და მხევალ ქალებს ასე უთხრა:

„მეგობრებო, დიდად შევცდი და ვერ მოვისაზრე, რომ ჩვენ არა გვხამს,

წავაწყდეთ უცხოელ ვაჟკაცებს, რომლებიც ჩვენს მიწაზე ტრიალებენ. მთელი ქალაქი შეძრწუნებულია დაბნეულობით. ამის გამო არ მოსულა არც ერთი იმ ქალთაგან, რომლებიც ყოველდღიურად იკრიბებოდნენ აქ. რაკიღა მოვსულვართ და სხვა აღარავინ მოვა, მოდით და უხვად ვიჯეროთ გული ტკბილი სიმღერით და ნაზი მცენარის მშვენიერი ყვავილები დავკრიფოთ; მერე კი, როცა დრო დადგება, უკან გავბრუნდეთ. დღევანდელ დღეს მრავალი საჩუქრით წაბეალთ სახლში, თუ განზრახულს მომიწონებთ. მაგრამ, რასაც ჩემგან მოისმენთ, საიდუმლოდ შეინახეთ გულში, რათა მამის ყურებამდე არ მიაღწიოს ამბავმა. არგოსმა და თვითონ ქალიოპემ შემაგულიანეს და დამავალეს, რომ მეიღო საჩუქრები და ის უცხოელი, რომელმაც ხარებთან შებმა იკისრა, დამღუპველ განსაცდელთაგან დავიხსნა. მე მათ სიტყვას ვერწმუნე და [უცხოელს] ვუბრძანე, მეგობართაგან გამოცალკევებით მეახლოს პირისპირ. თუ მან საჩუქრები მოიტანა და მომართვა, ერთმანეთში გავინაწილოთ, მას კი უვარგისი წამალი მივცეთ. როცა მოვა, მოშორებით იყავით ჩემგან!"

ასე თქვა, ყველას მოეწონა ეს ცბიერი ზრახვა. არგოსმა, რომელსაც ძმებისაგან უკვე გაეგო, რომ (მედეა) ღილით ადრე ჰეკატეს წმინდა ტაძრისაკენ წასულიყო, მაშინვე გამოაცალკევა ესონიდი მეგობრებისაგან და ველზე გაიყვანა. მათ მიჰყვებოდა ამპიკიდი მოფსოსიც, რომელსაც ძალუძდა ფრთოსანთა ენახვით მისნობა და მიმავალთათვის კარგი რჩევის მიცემა. ზევსის მეუღლემ ამ დღეს ისეთი გახადა იასონი სახილველადაც და ენამჭევრობითაც, რომ მისი მსგავსი ვინმე ვერ დაიძებნებოდა უწინდელ ვაჟკაცებში: ვერც ისინი [დაედრებოდნენ], რომლებიც თვით ზევსისაგან იყვნენ წარმოშობილნი და ვერც ის გმირები, რომლებიც სხვა უკვდავთა სისხლისაგან წარმოიქმნენ. მეგობრები გაოცდნენ, როცა მოხდენილობით გაბრწყინებული [იასონი] იხილეს. გახარებული იყო ზად მიმავალი მოფსოსი, რადგან ყველაფერი უკვე წინასწარ გახეკვრიტა.

ველის გზაზე, ტაძრის მახლობლად, იდგა ურიცხვი ფოთლებით შემოსილი ალვის ხე, რომელსაც ხშირად ასხდებოდნენ ხოლმე მჩხავანა ყვავები. ერომა მათგანმა მაღალ შტოებზე ფრთები შეაფრთქიალა მაშინ და ჰერას ნებასურვილი გახაცხადა:

„უსახელოა ის მისანი, რომელიც გონებით ვერ მიხვდება იმას, რაც ბავშვებმაც კი იციან. ვერც ტკბილ და ვერც სასიყვარულო სიტყვას ვერ ეტყვის ქალწული იმ ჭაბუკს, ვისაც სხვა მეგზურები ახლავან. დაიკარგე, ცუდო მისანო, ცრუპენტელავ! შენ ვერ შეუგონებიხარ ვერც კიპრიდას და ვერც ალერსიახ და ძოსიყვარულე ეროსებს!"

ასე ილანძღებოდა [ფრთოსანი]. როცა მოფსოსმა ფრინველის ღეთით შეგონებული ხმა ისმინა, გაეცინა და ასე თქვა:

„ესონიდო, შენ ღმერთქალის ტაძრისკენ გაემართე; იქ ქალწულს შეხვდები, იგი მეტად კეთილგანწყობილი აღმოგიჩნდება კიპრიდას შეგონების წყალობით. [კიპრიდა] კი, როგორც უწინ აგენორიდმა ფინევსმაც თქვა, შენი შემწე იქნება დავალებათა აღსრულებაში. ჩვენ, მე და არგოსი, ვიდრე კვლავ დაბრუნდები ამ ადგილზე, გაგეცლებით და დაგელოდებით. შენ თვითონ შეეგებრე [ქალწულს] ჭკვიანური სიტყვებით და გადმოიბირე".

ასე გონივრულად თქვა. [იასონი და არგოსი] მაშინვე დაეთანხმნენ.

მართალია, მედეა მღერიდა, მაგრამ [იასონის გარდა] სხვაზე ველარაფერზე ვერ ფიქრობდა. რომელ სიმღერასაც კი წამოიწყებდა, დიდხანს არც ერთი არ მოსწონდა გასარჩობად და გაოგნებული უმალვე შესწყვეტდა. ვერც მხევალთა

კრებულს უსწორებდა თვალებს მშვიდად და ხშირად მიაბრუნებდა სახეს და გასცქეროდა შორს გზას. როცა კი ფეხის ან ქარის ხმაურს გაიგონებდა, ასე ეგონა, იგი მოდისო და მკერდში წამდაუწუმ უბრუნდებოდა გული. მცირე ხნის შემდგომ მონატრულს გამოუჩნდა ზემოდან მომავალი [იასონი], სადარი ოკეანედან აღმომავალი სირიოსისა, რომელიც სახილველად ლამაზია და კაშკაშა, მაგრამ უზომო უბედურებას წარმოუვლენს პირუტყვს. დასანახავად ასე ლამაზი ეახლა ესონიდი [მედეას], მაგრამ მისმა გამოჩენამ უსაზღვრო სევდა აუშალა. მკერდიდან გული ამოუვარდა, თვალთ დაუბნელდა და ლოყებზე მწველმა სიწითლემ გადაჰკრა. ფეხები გაუქვავდა, მუხლები მოეკვეთა და ვეღარც წინ წაწევა შეძლო და ვერც უკან დახევა. მხვალი ქალები მაშინვე გასცილდნენ მათ. ისინი კი მუნჯებივით მდუმარედ იდგნენ ერთმანეთის წინაშე და ედარებოდნენ მუხებსა და მაღალ ნაძვებს, რომელთაც მშვიდად გაუდგამთ ძირი ერთმანეთის ახლოს მთებში უქარობის ჟამს; მაგრამ როცა მათ ქარის ძალა აამოძრავებს, უსაზღვრო ზუზუნს ასტეხენ. ასე აამოძრავა [იასონი და მედეა] უხვსიტყვობისთვის ეროსის ჭროლამ. ესონიდი მიხვდა, რომ [მედეა] ღვთის მოვლენილ სევდაში იყო ჩაძირული და ალერსით უთხრა ასეთი სიტყვა:

„ქალწულო, რად გეშინია ჩემი ასე მარტოდ მყოფისა? მე ზოგ-ზოგი მამაკაცივით თავხედი როდი ვარ; არც მაშინ ვყოფილვარ ასეთი, როცა სამშობლოში ვცხოვრობდი. ამიტომ ნუ გეშინია ასე ძალიან ჩემი, ასულო, და რაც გენებოს მკითხე და ბრძანე, რაც გსურდეს. რაკი ერთმანეთისადმი კეთილგანწყობილნი მოვსულვართ ამ წმინდა ადგილზე, სადაც სიცრუე ცოდვად ითვლება, გულახდილად მელაპარაკე და კითხვებიც მომეც. ნუ მომატყუებ ტკბილი სიტყვებით, რადგან შენს ღვიძლს დას უკვე შეეპარდი, რომ მიბოძეს ჯადო წამალსა; გაფიცავ ჰეკატეს, მშობლებსა და ზეესს, ვინაც სტუმარსა და მავედრებელს თვის ხელს აფარებს! მე ხომ ორივე, მავედრებელიც და სტუმარიც ვარ და აქ აუცილებლობით იძულებული მოვსულვარ შენდა სახვეწნად. მე თქვენს გარეშე ვერ დავძლევ სავალალო დავალებას. მერე კი შემწეობისთვის საკადრის ბადლს გადაგიხდი, ვითარცა შეშვენით სხვადასხვა მხარეში მცხოვრებთ და შენს სახელს დიდების შარავანდედით შევმოსავ; ასევე შეგასხამენ ხოტბას ელადაში დაბრუნებული სხვა გმირებიც, გმირთა ცოლები და დედები, რომლებიც ალბათ ზღვის ნაპირზე დამხობილნი უკვე დაგეტირიან. შენ ძალგიძს გააქარვო მათი მძიმე სევდა! მინოსის ასულმა, კეთილმზრახველმა ქალწულმა არიადნემ, რომელიც ჰელიოსის ასულმა პასიფეამ შვა, ოდესღაც მძიმე განსაცდელთაგან დაიხსნა თესევსი; ხოლო როცა მინოსმა რისხვა შეწყვიტა, [თესევსთან] ერთად ხომალდში ჩაჯდა და სამშობლო დატოვა. იგი თვით უკვდავებმა შეიყვარეს და ამის ნიშნად ეთერის შუაგულში მთელი ღამის განმავლობაში ციმციმებს ციურ ხატთა შორის გვირგვინისებრი ვარსკვლავი, რომელსაც არიადნეს სახელით მოიხსენიებენ. შენც ასეთი მადლი მოგეზღვევა ღვთისაგან, თუ რჩეულ ვაჟკაცთა ამოდენა ლაშქარს დაიხსნი. შენ ხომ გარეგნულ სილამაზესთან ერთად საკადრო სათხოვებითაც ძოსილი ჩახხარ!"

ასე შეაქო იგი. [მედეამ] კი თვალები ძირს დახარა და ტკბილად გაიღიმა; ძერე კი ხოტბით გულაძგერებულმა თვალები [იასონს] მიაპყრო. უნდოდა, ყველაფერი ერთად ეთქვა, მაგრამ არ იცოდა, საიდან დაეწყო სიტყვის თქმა. მერე ამ სურვილს თავი მიანება და სურნელოვანი სარტყლიდან წამალი ამოიღო. გახარებულმა [იასონმა] მყისვე ჩაიდო ის ხელში; [მედეა] კი მზად იყო, თუკი მოსთხოვდა გულ-მკერდიდან ამოეღო და მთელი სული მიეძღვნა მისთვის. აი, ასეთ მომნუსხველ ალს აბრწყინებდა ეროსი ესონიდის ქერა თავიდან;

მან [მედეას] თვალთა შუქი წარსტაცა. ვით ვარდებზე დაფენილი ცვარი დნება ხოლმე დილის სხივებით გამთბარი, ისე უდნებოდა [მედეას] სიყვარულით გამთბარი გული. [იასონი და მედეა] ხან ძირს დახრიდნენ სირცხვილით თვალებს, ხან ერთმანეთს ესროდნენ მზერას და წარბების გაშლით სიყვარულით უღიმოდნენ ერთიმეორეს. ბოლოს, ქალწულმა ძლივს ამოიღო ხმა:

„ახლა კი მისმინე, თუ როგორი შემწეობა მოვისაზრე შენთვის. როცა ეახლები და მამაჩემი გველეშაპის ყბებიდან ამოცლილ კბილებს გიბოძებს დასათესად, მაშინ ზუსტად შუაღამეს დაელოდე და დაუშრეტელი მდინარის ტალღებში განიბანე; მერე კი, სხვებისგან განმარტოებით, შავი მოსასხამით შებურვილმა მრგვალი ორმო ამოთხარე და შიგ დედალი ბატკანი დაკალი; უმი ხორცი დაუნაწილებლად დაალაგე და ორმოზე კარგი კოცონი გააჩაღე. შემდეგ თასიდან ფუტკართა ნაღვაწი თაფლის ზედაშეს დაღვრით დედისერთა პერსეიდი ჰეკატე მოილმობიერე. მერე კი, როს ღმერთქალს მოხსენიებით მოილმობიერებ, კოცონს გაშორდი, იცოდე, არც ფერხთა ხმაურმა და არც ძაღლების ყეფამ არ გაიძულოს, რომ უკან შემობრუნდე. თუ ყოველივეს ასე არ მოიმოქმედებ, შენს მეგობრებს უვნებლად ვერ ეახლები. დილით ადრე კი ეს წამალი [ხელზე] დაიწვეთე და გაშიშვლებულმა, როგორც ზეთით, ისე დაიზილე სხეული; მასში უზომო ძალა და ღონე შთაგენერგება და იტყვი, რომ ვაჟკაცთა კი არა, უკვდავ ღმერთთა თანაბარი ვარო. გარდა ამისა, [წამალი] წასცხე შუბს, ფარსა და მახვილსაც. მაშინ შენ ვეღარას გავნებენ გეას ნაშიერთა მახვილები და საზარელ ხართა [ხახიდან] აღმომავალი მგზნებარე ალი. ოღონდ ასეთი დიდხანს კი არ იქნები, არამედ მხოლოდ იმ დღეს; მაგრამ შენ ბრძოლაში უკან არ დაიხიო. გარდა ამისა შენ სხვა ხერხსაც გასწავლი. როცა სწრაფად შეაბამ უღელში უძლეველ ხარებს და სწრაფადვე დახნავ მთელ პირქუშ ხოდაბუნს ხელებისა და მამაცობის შემწეობით, ხნულებზე მაშინვე აღმოცენდებიან გიგანტები შავ მიწაში ჩათესილი გველეშაპის კბილებიდან. როგორც კი ისილავ ხოდაბუნიდან მრავლად აღმოცენებულ [გოლიათებს], ჩუმად ესროლე მათ უმაგრესი ქვა. ისინი ამის გამო გაკოფებულნი, ვითარცა ძაღლები ნადავლისათვის, ერთმანეთს ჟლეტას დაუწყებენ. მაშინ შენც ისწრაფე და ჩაები ბრძოლაში. ამ ხერხით წაიღებ შენ საწმისს აიადან შორს ელადაში. მაშინ კი წადი, სადაც გენუკვის, საითკენაც მოგეწონება გამგზავრება აქედან წასულს!“

ასე თქვა, თვალები დუმილით ძირს დახარა და თბილი ცრემლებით უხვად დაისველა ლოყები შეწუხებულმა იმის გამო, რომ [იასონს] მისგან ძალზე მოშორებით უნდა ეხეტიალა ზღვაზე. [მედეას] თვალთაგან სირცხვილი გაქრა; ქალწულმა [იასონის] მარჯვენა ხელი ხელში აიღო და მწუხარე სიტყვით მიმართა ვაჟკაცს:

„თუ ოდესმე შინ დაბრუნდები, გაიხსენე მედეას სახელი, ვით მე გაგიხსენებ მოშორებულსა! ახლა კი ბეჯითად მითხარ, სად არის შენი სახლი? საითკენ წარემართები აქედან ხომალდით ზღვაზე? მდიდარი ორქომენის მეზობლად მიხვალ სადმე, თუ კუნძულ აიაიას მახლობლად? მიამბე იმ ქალწულზეც, ვინაც შენ დაასახელე ვითარცა სახელგანთქმული ნაშიერი პასიფაესი, რომელიც მამაჩემის ღვიძლი და არის“.

ასე უთხრა; ქალწულის ცრემლების გამო [იასონსაც] ჩაესახა გულში სასტიკი ეროსი და ასეთი სიტყვა მიუგო:

„ვგონებ, რომ სრულიადაც არ დამავიწყდები შენ, არც ღამით და არც დღისით, თუკი ბედისწერას თავი დავაღწიე და უვნებლად დავბრუნდი აქეის მხარეში და თუ აიეტმა სხვა უფრო მძიმე დავალება არ დამაკისრა. თუ შენ

ჩვენი სამშობლოს გაცნობა გსურს, გიამბობ; მე თვითონაც მწადია ეს გულით. არის მაღალი მთებით გარშემორტყმული ერთი მხარე, ცხვრებითა და საძოვრებით მდიდარი; იაპეტიონიდმა პრომეთემ აქ წარმოშვა კეთილი დეკალიონი, რომელმაც პირველად აღაშენა ქალაქები და უკვდავთ ტაძრები აუგო და პირველად გამეფდა ადამიანებზე. ამ [მხარეს] ირგვლივ მოსახლენი ჰემონიას ეძახიან. იქაა ჩემი ქალაქი იოლკოსი; იქვეა სხვა მრავალი [ქალაქიც]; იქ სულაც არ ისმის აიაიას კუნძულის სახელი. ამბობენ, რომ აქედან წასულმა მინიასმა, ეოლიდმა მინიასმა, ოდესღაც კადმოსელების მომიჯნავე ორქომენის ქალაქი დააარსა. მაგრამ რად უნდა გიამბო ფუჭად ყველაფერი ჩვენი სამშობლოსა და მინოსის ასულის, იმ ყველგან ცნობილი არიადნეს შესახებ, რომელსაც საყვარელი ქალწულის ბრწყინვალე სახელით მოიხსენიებენ და რომელზედაც შენ მეკითხები? ნეტავ, ვით თესევსს შეუთანხმდა მაშინ მინოსი მის შესახებ, ისე მამაძეხი იქხებოდეს ჩვეხდაძი შეგობრულად გახწყობილი!"

ასე მიეალერსა ტკბილი სიტყვებით. [მედეას] გულს კი უმძაფრესი დარდები დაეუფლა და დაღონებულმა [ქალწულმა] საბრალო სიტყვით მიუგო:

„ელადაში შეიძლება სიკეთედ ითვლება შეთანხმების პატივისცემა, მაგრამ აიეტი კაცთა შორის ისეთი როდია, როგორიც, შენი სიტყვით, პასიფაეს მეუღლე მინოსი ყოფილა და არც მე ვთვლი თავს არიადნეს სწორად. ამიტომ სტუმართმოყვარეობაზე ნუღარას ამბობ. ოღონდ, როს იოლკოსში დაბრუნდები, გამიხსენე მე, მე კი ჩემი მშობლების ნების გარეშე გაგიხსენებ ხოლმე შენ. და თუ დამივიწყებ, ნეტავ მოაღწევდეს ჩემამდე ან ხმა, ან რომელიმე მაცნე ფრთოსანი, ანდა თვითონ მე გამიტაცებდნენ მალი ქარები, გადამატარებდნენ ზღვაზე და იოლკოსში მომიყვანდნენ, რათა თვალდათვალ საყვედურებით აგავსო და მოგაგონო, რომ შენ ჩემს წადილს თავი დააღწიე! ნეტავ მოულოდნელად გამაჩინა მაშინ შენს სასახლეში!"

ასე თქვა და ლოყებზე უხვად ჩამოღვარა საბრალო ცრემლები. [იასონმა] ძეხაცვლებით ძიუგო:

„ძვირფასო, სულ ამაოდ ლაპარაკობ ქარებსა და მაცნე ფრთოსანზე. თუ იქ, ელადის მხარეში, წამობრძანდები, ქალთა და კაცთაგან პატივცემული და სათაყვანო იქნები. ისინი ისე შეგასხამენ ხოტბას, ვით ღვთაებას, რადგან [მამაკაცები] ჩათვლიან, რომ შენი გამჭრიახობით დაუბრუნდნენ შვილები შინ, [დედაკაცებს] კი ეცოდინებათ, რომ შენ დაიხსენი უბედურებისაგან მათი ძმები, ნათესავები და ახალგაზრდა ქმრები. შენ საქორწინო თალამოსში ჩვენს სარეცელს დაამშვენებ და ჩვენს სიყვარულს ვეღარაფერი დაარღვევს, სანამ ბედით დანიშნული სიკვდილი არ წარგვიტაცებს!"

ასე თქვა. საამოდ დაუარა ამ სიტყვამ [მედეას] არსებას, მაგრამ საბრალო საშინელი საქმის წარმოდგენამ შეაშფოთა. მიუხედავად ამისა დიდხანს არ მდგარა უარზე, რომ ელადაში ეცხოვრა. ჰერას ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ აიაიელ მედეას სამშობლო მიწა დაეტოვებინა და პელიასის დასაღუპავად წმინდა იოლკოსში მისულიყო.

მხევალი ქალები შორიდან უპვრეტდნენ [მედეას] და უკვე ჩუმად წუხდნენ: დრო მოითხოვდა, ქალწული დედამისს შინ დაბრუნებოდა. [ვაჟკაცის] მოხდენილობით და ალერსიანი სიტყვებით გატაცებულ [მედეას] შინ დაბრუნება არც კი მოაგონდებოდა, ფრთხილ ესონდს კარგა ხნის შემდეგ რომ არ ეთქვა:

„დროა, დავშორდეთ, სანამ მზის შუქი ჩასვლას მოგვასწრებდეს და ვინმე უცხოთაგანი ყველაფერს შენიშნავდეს. მერე კვლავ მოვიდეთ აქ და ერთმანეთს შევხვდეთ".

აი ასე გაიცნეს მათ ერთიმეორე ტკბილი მრავალსიტყვაობით და შემდეგ ერთმანეთს დასცილდნენ. გახარებული იასონი სწრაფად გაემართა ხომალდისაკენ მეგობრებთან, [მედეამ] კი მიაშურა მხევლებს, რომლებიც ყველანი ერთად შეძოეგებნენ; [მედეამ] შემოგებებულნი ვერც კი შენიშნა, ისე უფრინავდა სულ საოცნებო ღრუბლებში. ბურუსში მყოფი მალ ეტლზე ავიდა, ცალი ხელით სადავეები აიღო, ცალით კი მშვენიერი მათრახი ჯორების გასარეკად. რაკი ყველანი ჩქარობდნენ სასახლეში მისვლას, ქალაქისაკენ გაქანდნენ. დაბრუნებულ [მედეას] შვილების გამო შეწუხებული ქალაქიოპე კითხვებით მიეგება. მაგრამ დარდებით აფორიაქებულს არც ლაპარაკი გაუგონია და არც პასუხის გაცემა სურდა შემკითხველისათვის. იგი საწოლის მახლობლად დაბალ სკამზე ჩამოჯდა, მარცხენა ხელი ლოყაზე შემოიდო და თვალებაცრემლებული მღელვარებით ფიქრობდა, თუ როგორ საზარელ საქმეში გაება თავისი ზრახვით.

როცა ესონიდი კვლავ შეუერთდა მეგობრებს იმ ადგილზე, სადაც ისინი დატოვა, მათთან ერთად გმირთა ლაშქრისაკენ გაეშურა და თან ყოველივეს ჰყვებოდა. მალე ხომალდსაც მიაღწიეს. როგორც კი დაინახეს [იასონი], გმირები სიყვარულით შემოეხვივნენ მას და გამოკითხვა დაუწყეს. მანაც ყველას უამბო ქალწულის დარიგებანი და ჯადო წამალიც უჩვენა. მხოლოდ ოდასი იჯდა მეგობართაგან განცალკევებით და ბრაზით იკბინებოდა. სხვები კი გახარებულნი იყვნენ და როცა ღამის წყვდიადმა მოატანა, მშვიდად მიეცნენ განსვენებას. დილით ადრე კი თესლის გამოსათხოვად აიეტთან გაგზავნეს ორი ვაჟკაცი, არესის საყვარელი ტელამონი და მასთან ერთად ჰერმეესის სახელოვანი ვაჟი ეთალიდე. ისინიც წავიდნენ და ამაოდ როდი განვლეს გზა. მისულებს ძლევამოსილმა აიეტმა დავალებისათვის მისცა აიონიის გველეშაპის საზარელი კბილები. ეს [გველეშაპი], რომელიც არესის წყაროს დარაჯობდა, კადმოსმა მოკლა მაშინ, როცა ევროპას ეძებდა და ოგიგიის თებეში მივიდა. იგი აქვე დასახლდა იმ ძროხის წინამძღოლობით, რომელიც მას აპოლონმა უბოძა მისნობით გზის გამკვალავად. ტრიტონიდმა ღმერთქალმა [გველეშაპს] ყბებიდან კბილები ამოაცალა და ნაწილი აიეტს უბოძა საჩუქრად, ნაწილი კი მკვლელს, აგენორიდმა კადმოსმა [კბილები] აონიის ველებში ჩათესა და მიწის ნაშიერთაგან, ვინც კი არესის მომცველავ შუბს გადაურჩა, [თებეს] ხალხი შექმნა. აიეტმა [კბილები] სიამოვნებით გადასცა [მოგზავნილთ] ხომალდზე წასაღებად; იგი ფიქრობდა, რომ [იასონი], თუნდაც ხარებისათვის უღელი დაედო, დავალებას ბოლომდე ვერ შეასრულებდა.

საღამოს მზემ ეთიოპელთა უმაღლეს მწვერვალებს გადაუარა და შორს, წყვდიადით მოცულ მხარეში დაეშვა; ახლა ღამემ შეაბა ცხენები უღელში. გმირებმა ბაგირებთან საწოლები გაიმართეს. ხოლო იასონი, როგორც კი გადაიხარა კაშკაშა ჰელიკეს დათვის ვარსკვლავები და ზეციურ ეთერში სიწყნარე დამკვიდრდა, ქურდივით მალულად გაემართა მიყრუებული ადგილისაკენ ყველა საჭირო საგხით, რომლებიც სათითაოდ მოიმზადა დღის განმავლობაში. დედალი ცხვარი და რძე არგოსმა მოაწოდა ფარეხიდან, დანარჩენი კი ხომალდიდანვე წამოიღო. როცა დანამულ წმინდა მდელოზე იპოვა მყუდრო ადგილი, რომელიც ადამიანთა მიერ გატკეპნილი გზის გადაღმა იყო, აქ, უწინარეს ყოვლისა, ღვთის დადგენილ წესისამებრ, ლამაზი სხეული მდინარეში განიბანა და გაეხვია შავ წამოსასხამში, რომელიც ლემნოსელმა ჰიფსიპილემ უძღვნა ტკბილი კავშირის სამახსოვროდ, მერე მიწაში წყრთის სიმაღლე ორმო ამოთხარა, ზედ შეშა დააწყო, ცხვარს უელი გამოკრა და [შეშაზე] დადო. შემდეგ ქვემოდან ცეცხლი შეუნთო და კოცონი გააჩაღა, რომელზედაც ნარევი ზედაშე დაღვარა საქმეთა

შემწედ ბრიმო-ჰეკატეს მოხმობით. როცა [ღმერთქალს] მოუხმო, უკან გამობრუნდა. საშიშარმა ღმერთქალმა ისმინა [მოწოდება] და ღრმა მღვიმედან ესონიდის წმიდა მსხვერპლისაკენ გამოეშურა; მას მუხის შტოების გვირგვინი ედგა, რომელშიაც საზარელი გველები იყო ჩაწნული; მძლავრად ბრწყინავდა ჩირაღდანთა შუქი; ღმერთქალის ირგვლივ გამაყრუებლად ყეფდნენ ჯოჯოხეთის ძაღლები; მისი ნატერფალის გარშემო მიწა ზანზარებდა; ჭაობისა და მდინარის ნიმფები, რომლებიც ამარანტიოს ფაზისის დაბლობში ცხოვრობენ, შემზარავად წიოდნენ. ესონიდი შიშმა აიტაცა, მაგრამ უკან მოუხედავად მიემართებოდა წინ, სანამ მეგობრებს არ შეუერთდა. მალე ცისკარზე შობილი ეოსი აღმოვიდა და თოვლიან კავკასიონს შუქი მოჰფინა.

მაშინ აიეტმა მკერდზე შემოიკდო მტკიცე აბჯარი, რომელიც მას უბოძა არესმა, როცა საკუთარი ხელით მოკლა ფლეგრელი მიმანტი. მერე თავზე ჩამოიცვა ოთხბიბილოვანი ოქროს მუზარადი, ისე მბრწყინავი როგორიცაა გვირგვინისებრი შუქი მზისა. ოდეს ოკეანედან აღმოსვლას იწყებს. შემდეგ ხელთ იპყრო ტყავის მრავალი ფენით შემომტკიცული ფარი და ზარდამცემი, უძლეავი შუბი, რომელსაც წინ ვერ დაუდგებოდა გმირ ვაჟკაცთაგან ვერავინ ჰერაკლეს გარდა, ვინც შორს დატოვეს და ვისაც მარტოდმარტო ძალუძდა [აიეტს] პირისპირ შებმოდა. იქვე მახლობლად ფაეთონტს ჩასაჯდომად გაემზადებინა ფეხმარდცხენებიანი, მშვენივრად შეკრული საბრძოლო ეტლი. [აიეტი] ეტლზე აბრძანდა, სადავეები ხელთ აიღო და ქალაქიდან ფართო შარაგზაზე გარეკა, რათა დავალების აღსრულებას დასწრებოდა. მას უკან მიჰყვა აურაცხელი ხალხი. კოლხთა წინამძღოლი აიეტი ისეთი იყო სახილველად, როგორიც პოსეიდონია ხოლმე, როცა ეტლზე აბრძანებული მიემართება ისთმოსის შეჯიბრზე, ან ტენარეში, ან ლერნეს ტბისაკენ, ანდა კიდევ ჰიანტიოსის ონქესტის ჭალაკისაკენ, ან როცა ცხენებით მიემგზავრება კალავრიაზე, ჰემონიის პეტრასა თუ ტაეთ შემოსილ გერესტეში.

ამასობაში იასონმა მედეას რჩევის თანახმად ჯადო-წამალი გადმოაწვეთა და ყოველი მხრიდან წასცხო ფარს, მძლავრ შუბსა და მახვილს. მეგობრები [იასონს] გარსშემოერტყნენ და მის იარაღს ძალის ძაძაბვით გამოცდა დაუწყეს, მაგრამ შუბის ოდნავ გაღუნვაც კი ვერ შეძლეს; იგი მძლავრ ხელებში უფრო და უფრო მტკიცე ხდებოდა. აფარეიოსი იდასი საშინლად გაბრაზდა და [შუბის] ქვემო ნაწილს დიდი მახვილი დაჰკრა, მაგრამ მახვილი ისე შეხტა, ვით გრდემლიდან ასხლეტილი ჩაქუჩი. გახარებულ გმირებს დავალების შესრულების იმედი შთაესხათ და ყიყინი მორთეს. შემდეგ [იასონმა] თვითონაც დაიჩნია [სხეული] და შთაენერგა ზარდამცემი, ენითუთქმელი და შეუდრეკელი ძალა. ორივე ხელი გაუმაგრდა და ღონით აევსო. ვით ომში გაჭრის მსურველი საბრძოლო ცხენი ჭიხვინით მიწას ტორებს სცემს და სიამაყით გულზე მოსული ყურებდაცქვეტით კისერს მაღლა სწევს, ისე ესონიდი ამაყობდა სხეულის ასოთა ღონით. იგი განუწყვეტლივ დაღიოდა წინ და უკან შემართული ფეხით და ხელებში არხევდა სპილენძის ფარსა და შუბს. ასე იტყოდი, ქარიშხლის ჟამს მრუმე ეთერიდან დაშვებული მეხი ბრწყინავს ღრუბლებში, რათა შემდეგ უშავესი წარღვნა წამოუშინოსო. ამის შემდეგ დავალების აღსრულება დიდხანს აღარ დაუყოვნებიათ; სანიჩბე მერხებზე რიგ-რიგად განლაგდნენ და დიდი სიჩქარით გაცურეს არგოს ველისაკენ. იგი ქალაქის პირისპირ მდებარეობდა და იმდენად იყო მოშორებული მას, რა მანძილიცაა [სასპარეზო] ეტლისათვის მოაჯირიდან საშიჯნო ბოძამდე მაშინ, როცა მზრუნველი პირები განსვენებული მეფის საპატიოდ ქვეით და მხედრულ შეჯიბრებებს აწყობენ ხოლმე. [გმირები] აქ წაიწყ-

დნენ აიეტს და კოლხთა ტომებს; [კოლხები] კავკასიის კლდეებზე იდგნენ, [აიეტი] კი მდინარის ნაპირთან მოძრაობდა.

როცა მეგობრებმა ბაგირები დაამაგრეს, მაშინ ესონიდი ხომალდიდან ჩამოხტა და შუბითა და ფარით დავალების შესასრულებლად გასწია. თან მიჰქონდა [გველეშაპის] ბასრი კბილებით სავსე სპილენძის მბრწყინავი მუზარადი; მხარზე მახვილით, გაშიშვლებული სხეულით იგი ნაწილობრივ არესს ჰგავდა, ნაწილობრივ კი ოქროსმახვილიან აპოლონს. [იასონმა] თვალი მოავლო ხოდაბუნს და დაინახა ხარების სპილენძის უღელი, სახნისი და მტკიცე ადამანტის გუთანი. მერე ახლოს მივიდა, მძლავრი და სწორი შუბი წვერით [მიწაში] ჩასო და მუზარადიც დაბლა ჩამოიღო. შემდეგ წინ წარემართა და ფარაფარებით ხარების კვალს დაუწყო ძებნა. უცბად ცეცხლის ალის მფრქვეველი ორივე ხარი ერთად გამოიპრა მიწისქვეშა უხილავი მღვიმიდან, სადაც იყო მათი ყოველმხრივ სქელ კვამლში გახვეული მტკიცე ბოსელი. გმირები, როცა ისინი იხილეს, შეშინდნენ. ფარაფარებული [იასონი] კი ფეხგადგმით იდგა და იერიშზე წამოსულთ ელოდებოდა ისე, ვით ზღვაში ჩაყუდებული კლდე ელის ძლიერი ქარიშხლით აბობოქრებული ტალღების შეხეთქებას. ხარებმა ღმუილით დაატაკეს მას ძლიერი რქები, მაგრამ მის წინააღმდეგ დაძრულებმა ოდნავადაც ვერ შეანძრიეს იგი. ვით სამჭედლოს პირღია ღუმელებში ქშინავენ ხოლმე ტყავის საბერვლები და ხან გააჩაღებენ ალს და ძლიერ ცეცხლს დაანთებენ, ხან კი შეწყვეტენ ბერვას და თავისი ქშენით საშინელ ხმაურს აყენებენ, ისე [ხარები] ქშინავდნენ ძლიერად და ხახებიდან სწრაფ ალს აფრქვევდნენ. [იასონს] ელვასავით შემოეხვია საზარელი ცეცხლი, მაგრამ ქალწულის ჯადო-წამალმა იხსნა. [იასონმა] ერთ ხარს მარჯვენა ხელი სტაცა რქაში და სპილენძის უღელთან მისაყვანად მთელი ღონით მამაცურად დაითრია; მერე სპილენძის ფეხზე ფეხი დაჭარა სწრაფად და მიწაზე წამოაჩოქა. ისევე ერთი იერიშით დასცა მუხლზე მეორეც, რომელიც თავდასასხმელად მოისწრაფოდა. მერე განიერი ფარი მიწაზე დაადგა და ალშემოხვეული წინა ფეხებზე დაცემულ [ხარებს] აქეთ-იქიდან ჩაეჭიდა. აიეტს გაუკვირდა ვაჟკაცის ძალა, ამასობაში ტინდარიდებმა, რომლებიც წინასწარ იყვნენ გაფრთხილებულნი, მინდორზე უღელი აიღეს და დასადებად [იასონს] მიაწოდეს. მანაც მარჯვედ დაადო იგი [ხარებს] ქედზე. ასწია სპილენძის ხელნა და მოძრავი რგოლით უღელს მიაბა. [ტინდარიდები] ცეცხლს გაშორდნენ და ხომალდისაკენ გაბრუნდნენ. [იასონმა] ისევ აიღო ფარი და ზურგზე მოიგდო; მერე ხელი სტაცა ბასრი კბილებით სავსე მაგარ მუზარადს და უძლეველ შუბს, რომელიც [ხარებს] ფერდებზე დასცხო ისე, ვით მიწის მუშაკი ვინმე ურტყამს ხოლმე [პირუტყვს] პელასგურ წვეტიან ჯოხს. შემდეგ კი მტკიცედ ჩაეჭიდა სამართავად ადამანტისგან ოსტატურად შემტკიცულ [გუთნის] სახელურს. [ხარები] ერთ ხანს უსაზღვროდ მძვინვარებდნენ და ცეცხლის საზარელ ალს აფრქვევდნენ. მათ მიერ ატეხილი ქშენა ედარებოდა იმ ქართა გამკვეთ ზუზუნს, რომლებისაც მეზღვაურებს ეშინიათ და დიდ აფრას ძირს დაუშვებენ ხოლმე. მცირე ხნის შემდგომ შუბით მოთვინიერებული [ხარები] დაიძრნენ. ხართა ძალით და მხვნელის ღონით გაპობილი პირქუში ხოდაბუნი ირღვეოდა უკან. საშინლად გრუხუნებდნენ გუთნის მიერ გავლილ კვლებში ჩაფლული უზარმაზარი ბელტები. [იასონი] მტკიცედ ადგამდა ფეხს და ხნულს მიჰყვებოდა. მოხნულ ბელტებში თავისგან შორს განუწყვეტლივ ისროდა კბილებს და უკან-უკან იხედებოდა, მიწის ნაშიერ ვაჟკაცთა საზარელმა ნაყოფმა [აღმოცენება] არ დამასწროსო. [ხარები] კი სულ წინ და წინ აყრდნობდნენ მიწას სპილენძის ჩლიქებს და ისე შრომობდნენ. როცა განთიადიდან მოყოლებუ-

ლი დღის მესამედი წილიდა დარჩა და დადგა ჟამი, როს დაქანცული მიწის მუ-
შაკნი ტკბილ საღამოს მოუხმობენ, მაშინ დაუღალავი მხვნელის მიერ მოხნულ
იქნა ხოდაბუნი მთლიანად, თუმცა იგი ოთხი დღიური იყო. [იასონმა] ხარები
გუთნიდან გამოხსნა და ველიდან მუქარით გარეკა. რაკი კვლები ჯერ კიდევ თა-
ვისუფალი იხილა მიწის ნაშიერ ვაჟკაცთაგან, ხომალდისაკენ გაბრუნდა. მეგობ-
რები გარს შემოეხვივნენ და სიტყვებით ამხნევებდნენ. მან მდინარიდან მუზა-
რადით წყალი ამოიღო და წყურვილი მოიკლა; შემდეგ მოქნილი მუხლები მო-
ხარა, უდრეკ სულში მამაცობა ჩაიდგა და მოუთმენლად ელოდა [ბრძოლას]
ველური ტახივით, რომელიც მონადირე ვაჟკაცებზე კბილებს ილესავს და გა-
ცოფებით ანთხევს პირიდან დორბლს. უკვე მთელ ხოდაბუნზე დაიწყეს აღმო-
ცენება მიწის ნაშიერებმა. მოკვდავთ შემმუსვრელი არესის ხვედრი ველი მო-
იფინა მტკიცე ფარებით, ორლესული შუბებით და მბრწყინავი მუზარადებით.
მათი ელვარება ჰაერში ოლიმპომდე აღწევდა. როს დედამიწას უხვი თოვლი
დაეფინება, მრუმე ღამეში ქარები ზამთრის ღრუბლებს მიმოფანტავენ და რო-
გორც მაშინ ერთიანად გაბრწყინდებიან წყვდიადში კაშკაშა ვარსკვლავები, ისე
ბრწყინავდნენ მიწაზე ამოსული [გოლიათები]. იასონმა გაიხსენა გრძნეული მე-
დეას შეგონებები, ველიდან აიტაცა უზარმაზარი მრგვალი ლოდი, ენიალიოს
არესის ზარდამცემი დისკო, რომელსაც ოდნავადაც ვერ დაძრავდა მიწიდან
ოთხი ღონიერი ვაჟკაცი, მოიქცია იგი ხელებში, გაქანდა და შორიდან [გოლია-
თების] შუაგულში გადატყორცნა. თვითონ კი სიმხნევით თავისი ფარის უკან
დაჯდა უჩუმრად. კოლხებმა ისე მძლავრად დაიქუხეს, როგორც ზღვა დაიქუ-
ხებს ხოლმე, როცა პირქუშ კლდეებს გრგვინვით შეასკდება. მძიმე ლოდის გა-
დატყორცნამ აიეტი გააოცა. [გოლიათები] მარდი ძაღლებივით შემოეხვივნენ
[ლოდს] და ერთმანეთს ბღავილით დაუწყეს ქლეტა. ისინი საკუთარ შუბებზე
ეგებოდნენ და ქარით მოხეთქილი ფიჭვისა და მუხის ხეთა მსგავსად ასკდებოდ-
ნენ თავიანთ დედას—მიწას. როცა ზეცას ცეცხლოვანი ვარსკვლავი მოწყდება, იგი
რხევით გამოიბამს ნათელ კუდს, სასწაულს კაცთათვის, რომლებიც ხედავენ,
თუ როგორი ბრწყინვალებით მოქრის იგი წყვდიად ეთერში. ამ [ვარსკვლავი-
ვით] სწრაფად გაექანა ესონის ვაჟი მიწის ნაშიერებისაკენ. ქარქაშიდან მახვილი
იშიშვლა და უწყვეტი დაკვრით [გოლიათების] ცელვას შეუდგა. [ურტყამდა]
იგი მათ, რომლებიც ჯერ მუცელსა და წელამდე ამოსულიყვნენ ჰაერზე; იმა-
თაც, ვინც მხრებამდე იყვნენ აღმოცენებულნი; იმათაც, ფეხზე რომ ახლახან დგე-
ბოდნენ და იმათაც, რომლებიც უკვე ბრძოლისაკენ მოისწრაფოდნენ. ვით სახლ-
ვრებზე ატეხილი ომით დაშინებული მიწის მუშა აღარ ელოდება დროს, რომ მზის
სხივებით [თავთავი] ჩახმეს და ხელს სტაცებს ახლად ალესილ მოხრილ ნამგალს
და სიჩქარით მკის უმწიფარ ნაყოფს, რათა [მტერმა] არ დაასწროს მომკა, აი ისე
მკიდა [იასონი] მაშინ მიწის ნაშიერთა კრებულს. ხნულის კვლები სისხლით აივსო
ისე, ვით წყაროს არხებია სავსე წყლით. სახილველად ვეშაპებივით ეყარნენ [გო-
ლიათები]: ზოგი პირქვე დაშხობილიყო და კბილებით პირქუშ ბელტს ჩასჭიდე-
ბოდა, ზოგი პირაღმა დაცემულიყო, ზოგი ხელებზე და ზოგიც—გვერდზე. მრავა-
ლი განადგურდა მანამდე, სანამ მიწიდან ამოსწევდა ფეხს და იმ ნაწილით, რა
ნაწილითაც ამოზიდულიყო ჰაერში, მიწაზე გართხმულიყო გასისხლიანე-
ბული თავებით. როცა მეგაღეთა ნაამაგდარი ნორჩი ხეხილები დაიზნიქებიან

ძირებგადამტვრეულნი ზევსისაგან მოვლენილი დიდი წვიმის დროს, მაშინ ხეწილის გამომზრდელ მამულის პატრონს სასოწარკვეთილება და მძიმე სევდა ეწვევა ხოლმე. აი ასეთი მძიმე დარდები შემოაწვა იმ ჟამს მეფე აიეტის გულს. იგი თავის კოლხებთან ერთად ქალაქში გაბრუნდა და ფიქრობდა, თუ რით დაპირისპირებოდა უფრო მკვეთრად [უცხოელს]. დღე მიიწურა და დავალებაც უკვე შესრულებული ჰქოხდა [იასონს].

სტრაბონი

სტრაბონი (ძვ. წ. 64/63—ახ. წ. 23/24)—ძველი ბერძენი გეოგრაფი და ისტორიკოსი.

სტრაბონი დაიბადა ძვ. პონტოს ქალაქ ამასიაში. იგი წარჩინებული წარმოშობისა იყო, რაც იქიდან ჩანს, რომ მისი წინაპრები, როგორც დედის, ისე მამის მხრივ პონტოს მეფის მითრიდატეს (ევპატორის) ხარდლები ყოფილან. ამის წყალობით მას თავისი დროისათვის ბრწყინვალე განათლება მიუღია; განსაკუთრებით დახელოვნებულა რიტორიკასა და გრამატიკაში. მას უსწავლია ნისაში, ალექსანდრიაში, რომში. მის მასწავლებელს გრამატიკაში ტირანიონ ამისელს გეოგრაფიისადმი სიყვარულიც აღუძრავს მასში.

ეპოქა, რომელშიც სტრაბონს მოუხდა ცხოვრება, რომაელთა მრავალრიცხოვანი ლაშქრობებითაა აღბეჭდილი, ამიტომ, მასაც თავისი ცხოვრების მანძილზე ბევრი მოგზაურობა შესვლია, ზოგჯერ როგორც რომელიმე სახელმწიფო მოხელის თანმხლებს, ან თვითონ წარგზავნილს, ელჩს, ან სულაც თავისი ინტერესების დასაკმაყოფილებლად მოგზაურს. გარდა მისი პირადი განცხადებისა, რომ იგი ბევრს მოგზაურობდა, მისი შრომებიდან ჩანს, რომ მას უმოგზაურია მცირე აზიაში, პონტოს სანაპიროებზე, ეგვიპტეში, იტალიასა და მის სანაპიროებზე, კორსიკაში, სარდინიაში, საბერძნეთში, მოკლედ — ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებსა და მახლობელ აღმოსავლეთში. ვარაუდობენ, რომ იგი იყო კოლხეთშიც. რაც მთავარია, ამ მოგზაურობების დროს იგი უბრალო დამთვალიერებელი კი არ იყო, არამედ იწერდა და ინიშნავდა მისთვის საინტერესო ფაქტებს, რაც საბოლოოდ საფუძვლად დაედო მის შრომათაგან უმთავრესს — „გეოგრაფიას“ („Geographica“).

მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა იმის შესახებ თუ სად დაასრულა სტრაბონმა თავისი სიცოცხლე და სად დაწერა თავისი ნაშრომები. ზოგი ფიქრობს, რომ ბოლოს იგი რომში ცხოვრობდა, ზოგის აზრით, ცხოვრება სტრაბონმა თავის სამშობლო პონტოში დასრულა და „გეოგრაფიაც“ მიეძღვნა პონტოს დედოფალს პითოდორისს. არსებობს მოსაზრება იმის შესახებაც, რომ სიცოცხლის ბოლო მან ნეაპოლში გაატარა და ა. შ.

საინტერესოა, რომ თვითონ სტრაბონი თავის თავს ფილოსოფოსს უწოდებდა, მაშინ, როდესაც სხვები მას ისტორიკოსად, გეოგრაფად და ფილოსოფოსად ახსენებენ. ამჟამადაც იგი მიჩნეულია გეოგრაფიის ფუძემდებლად.

სტრაბონს მიეწერება ორი ნაწარმოები: „ისტორიული ჩანაწერები“ და „გეოგრაფია“. პირველი ყოფილა მისი ძირითადი შრომა, რომელიც 47 წიგნისაგან შედგებოდა და მას დაუწერია იგი დაახლოებით ძვ. წ. 27—25 წლებში. მაგრამ დღეს მხოლოდ 19 ფრაგმენტია მოღწეული. მასში განხილული ყოფილა ალექსანდრე მაკედონელის ეპოქა, ძირითადად 144 წლიდან მოყოლებული ამბები. ე. ი. ეს შრომა წარმოადგენდა პოლიბიოსის ისტორიის გაგრძელებას.

სტრაბონის მეორე ნაშრომია „გეოგრაფია“, რომელიც თითქმის მთლიანად არის მოღწეული ჩვენამდე. ამ შრომის უძველესი ხელნაწერები X, XII და XIV საუკუნეებით თარიღდება.

სტრაბონის „გეოგრაფია“ 17 წიგნისაგან შედგება. I—II წიგნებში გადმოცემულია ზოგადი საკითხები: ავტორის მიზანი, გეოგრაფიის დანიშნულება, მიხი კავშირი ფილოსოფიასა და ასტრონომიასთან, ფიზიკური გეოგრაფიის დებულებები, წინამორბედი და მიხი თანამედროვე ავტორების კრიტიკა, III—X წიგნებში აღწერილია ევროპის ქვეყნები, X—XVI წიგნებში — აზიის ქვეყნები, ხოლო XVII წიგნში აღწერილია აფრიკა.

საქართველოს შესახებ ცნობები სტრაბონთან XI წიგნშია ძირითადად წარმოდგენილი, თუმცა სხვა წიგნებშიც გვხვდება. ყველა მათგანს, როგორც ვიცით, ერთად მოუყარა თავი აკად. თ. ყაუხჩიშვილმა, რომელმაც ბერძნული ტექსტი, ქართული თარგმანით და გამოკვლევით გამოაქვეყნა ცალკე წიგნად. წინამდებარე ქრესტომათიაში სტრაბონის „გეოგრაფიის“ XI წიგნის 1—8 თავის ნაწყვეტების ქართული თარგმანი აქედან არის გადმობეჭდილი.

ბიბლიოგრაფია

1) The geography of Strabo. With an English translation by H. L. Sones, v. 1—8 L., 1917—32.
2) Страбон, География, перевод Ф. Г. Мищенко, М., 1879.
3) Страбон, География, перевод и предисловие Г. А. Стратановского, Л., 1964.
ყაუხჩიშვილი თ., სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957.

ლიტერატურა

1) Арский Ф. Н., Страбон, М., 1974.
2) Врагинская Н. Б., Страбон, СИЭ, т. 13, М., 1971, с. 854—855.

გეოგრაფია*
IX წიგნი

თავი პირველი

1. როდესაც ევროპიდან აზიისაკენ მივემართებით ქვეყნის აღსაწერად, ჯერ ჩრდილოეთის [ნაწილს] მივადგებით ორი არსებული გამოყოფილი [ნაწილიდან], ისე რომ აქედან უნდა დავიწყოთ. აქედან პირველი არის ის, რომელიც ტანაისის მიდამოში მდებარეობს. ეს მივიჩნიეთ ევროპისა და აზიის საზღვრად, ხოლო [ამ მხარეს] აქვს ნახევარკუნძულის სახე: მას ხომ დასავლეთით ჩამოუდის მდ. ტანაისი და მაოტისი ვიდრე ბოსფორამდე და ევქსინის სანაპირომდე, რომელიც მთავრდება კოლხიდასთან. ჩრდილოეთისკენ [შემოსაზღვრულია] ოკეანით ვიდრე კასპიის ზღვის შესართავამდე: აღმოსავლეთისაკენ [ისაზღვრება] სწორედ ამ ზღვით ვიდრე ალბანიისა და არმენიის საზღვრებამდე, სადაც [ზღვას] უერთდებიან მდინარეები — მტკვარი და არაქსი, რომელთაგან ერთი მიმდინარეობს არმენიაზე, ხოლო მტკვარი — იბერიასა და ალბანიაზე. სამხრეთისაკენ [შემოსაზღვრულია ხმელეთით], რომელიც არის მტკვრის შესართავიდან კოლხიდამდე დაახლოებით 3.000 სტადიონი ზღვიდან ზღვამდე, ალბანთა და იბერთა [ქვეყნებზე გადადის] და ეწოდება ყელი. ისინი არ არიან სარწმუნონი, რომლებიც ყელს იმ ზომამდე ავიწროებენ, მსგავსად კლეიტარქესი, რომელიც ამბობს, რომ ორივე ზღვისაგან წყლით იფარება ხოლმეო. ხოლო პოსიდონიოსი ამბობს, რომ 1.500 [სტადიონია] ყელი, როგორც ყელი პელუსიონიდან ერითრამდე. ის ამბობს: „მე ვფიქრობ, დიდად არ სხვაობს [ის ყელი, რომელიც არის] ძეოტისიდან ოკეანეამდე".

2. არ ვიცი, როგორ უნდა დაუჯეროს მას ვინმემ, როდესაც ის უცნობი რამეების შესახებ ლაპარაკობს და როდესაც სარწმუნო არაფერი აქვს სათქმელი, მაშინ, როდესაც ცნობილი რამეების შესახებ ის ასეთ უაზრობას ამბობს, ამასთანავე მით უმეტეს, რომ ის მეგობარი ყოფილა პომპეუსისა, რომელმაც ილაშქრა იბერთა და ალბანთა წინააღმდეგ, ორივე ზღვამდე კასპიისა და კოლხიდისა. ამბობენ, რომ, როდესაც როდოსზე იყო პომპეუსი, იმისათვის რომ მეკობრული ომები დაეწყო (ამასთანავე აპირებდა მითრიდატეს და კასპიის სანაპიროს ხალხების წინააღმდეგ გამოსვლას), მოუხდა საუბარი პოსიდონიოსთან და, როდესაც მოდიოდა, შეეკითხა მას, თუ რას დაბარებს, ხოლო მან უთხრა: „შუადამ იყავი უმაცესი და უპირატესი სხვებზე" (A, VI, 208). ამასთანავე უმატებენ, რომ დასწერა [პოსიდონიოსმა პომპეიოსის] შესახებ ისტორია. ამის გამო მაინც უნდა ეზრუნა მას უფრო ეფემარიტებისათვის.

---

* წიგნიდან: თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957, გვ. 106—145.

3. მეორე ნაწილი მდებარეობს ჰირკანიის ზღვის გადაღმა (ამ ზღვას კასპიისას ვუწოდებთ), ვიდრე სკვითებამდე ინდებთან. ხოლო მესამე ნაწილი, რომელიც მოხსენებულ ყელს ეკვრის და შემდგომი ამისა და კასპიის კარებისა, არიან [ქვეყნები], რომლებიც მდებარეობენ ძალიან ახლოს იმ [ქვეყნებთან], რომლებიც არიან ტავრისა და ევროპის აქეთ: ესენი არიან: მიდია, არმენია, კაპადოკია და [ქვეყნები], რომლებიც მდებარეობენ ამათ შორის. მეოთხე [ნაწილია] ჰალისის შიგნით მდებარე ქვეყანა, თვით ტავრის [ქვეყნები] და მის გარეთ [მდებარენი], რომლებიც უერთდებიან ნახევარკუნძულს, რომელსაც წარმოქმნის პონტოსა და კილიკიის ზღვის გამყოფი ყელი. სხვა ნაწილებს, რომლებიც ტავრის გარეშე არიან, მივაკუთვნებთ ინდოეთს და არიანეს ვიდრე ხალხებამდე, რომლებიც ვრცელდებიან ქვემოთ, სპარსეთის ზღვამდე და არაბეთის უბემდე, ნილოსამდე და ეგვიპტისა და ისიკოსის ზღვებამდე.

თავი მეორე

1. ამრიგად, ასეთი დანაწილების შემდეგ პირველ ნაწილში მოსახლეობენ ჩრდილოეთისა და ოკეანის მცხოვრებთაგან ზოგი სკვითები: მომთაბარეები და ეტლებში მცხოვრებნი, უფრო შიგნით ამათგან სარმატები; ესენი არიან სკვითები, აორსები და სირაქები, რომლებიც სამხრეთისაკენ ვიდრე კავკასიონის მთებამდე აღწევენ. [ამათგან] ერთნი არიან მომთაბარენი, ხოლო მეორენი კარავში ბინადრობენ და მიწათმოქმედებას ეწევიან; ხოლო ტბის ახლოს [ცხოვრობენ] მეოტები. ბოსფორის ზღვასთან აზიის მხარეზე მყოფ ქვეყანათა შორის არის სინდიკე. ამის შემდეგ [არიან] აქეელები, ზიგები, ჰენიოხები — კერკეტებიც და მაკროპოგონებიც. ამათ ზემოთ მდებარეობს ფთეიროფაგების ეწოდებული. ჰენიოხების შემდეგ მდებარეობს კოლხიდა კავკასიონისა და მოსხების მთების ქვემოთ. რადგანაც საზღვარი აზიისა და ევროპას შორის არის მდინარე ტანაისი, ამიტომ აქედან დავიწყებთ სათითაოდ ქვეყნების აღწერას.

2. [ტანაისი] მომდინარეობს ჩრდილოეთის ნაწილებიდან და არა აქვს ნილოსის დიამეტრულად საწინააღმდეგო დინება, როგორც ბევრი ფიქრობს, არამედ [ნილოსზე] აღმოსავლეთით [მიედინება] და მის მსგავსად უცნობი საწყისები აქვს. მაგრამ [ნილოსის] დიდი ნაწილი, ცხადია, ცნობილია, რადგან ის მიმდინარეობს კარგად მისადგომ ქვეყანაზე და დიდ მანძილზე სანაოსნო არის. ხოლო ტანაისისა ვიცით შესართავები (ასეთი — ორია, მეოტისის უჩრდილოეს ნაწილებში, 60 სტადიონის დაშორებით ერთმანეთისაგან); შესართავებს ზემოთ ძვირე ნაწილია ცნობილი ქვეყნის სუსხიანობისა და გაუვალობის გამო, რომელთა გადატანა შეუძლიათ ადგილობრივთ, რომლებიც მომთაბარულად საზრდოობენ ხორცითა და რძით, და რასაც სხვა ტომის ხალხი ვერ მოითმენს. ამას გარდა ზომთაბარენი ცუდად ღებულობენ სხვებს და სიმრავლისა და ძალის მქონენი ჭკეტავენ თუ რაიმე შესავალი არის ქვეყანაში, ან თუ მდინარე არის სანაოსნო. ამ მიზეზის გამო ზოგიერთები ფიქრობდნენ, რომ მას აქვს სათავეები კავკასიონის მთებში და მიდის შორს ჩრდილოეთისაკენ, კვლავ შემობრუნდება და ერთვის მეოტისს (ამასვე ფიქრობს თეოფანე მიტილენელი), ხოლო [სხვები კი ფიქრობენ], რომ ის მომდინარეობს ისტროსის ზემოთა ნაწილებიდან. ამათ არავითარი საბუთი არ მოჰყავთ [მდინარის] ასე შორიდან დინებისა და სხვა მდებარეობის სასარგებლოდ, თითქოს არაა შესაძლებელი უფრო ახლოდან და ჩრდილოეთიდან [მისი დინება].

3. მდინარისა და ტბის მახლობლად მდებარეობს იმავე სახელის ქალაქი,

ტანაისი, აგებული ბოსფორის მფლობელი ელინების მიერ. ეხლახან დაანგრია ეს ქალაქი მეფე პოლემონმა ურჩობისათვის. ის იყო საერთო სავაჭრო [ადგილი] აზიელ და ევროპელ მომთაბარეთათვის და მათთვის, რომლებიც ბოსფორიდან ტბაში მოცურდებოდნენ ხოლმე: ერთნი მოიყვანდნენ ხოლმე ტყვეებს, [მოიტანდნენ] ტყავებსა და მომთაბარეებისათვის საჭირო რამეებს, ხოლო მეორეებს სამაგიეროდ მოაქვთ ხოლმე ტანისამოსი, ღვინო და სხვა რამეები, რაც საადღეისო ცხოვრებისათვის არის საჭირო. ამ საავაჭრო [ადგილიდან] 100 სტადიონის დაშორებით მდებარეობს კუნძული ალოპეკია, შერეულ ხალხთა საცხოვრებლად; სხვა პატარა კუნძულებიც არის მახლობლად ტბაში. ტანაისი დაშორებულია მეოტისის შესართავიდან პირდაპირი მიმართულებით ჩრდილოეთისაკენ დაახლოებით 2.200 სტადიონით, [და მანძილი] არ არის უფრო მეტი მასთვის, ვინც მიცურავს [ამ] ხმელეთის გასწვრივ.

4. როდესაც ხმელეთის ნაპირას მივცურავთ, პირველად ტანაისიდან მივალთ 800 სტადიონის გავლისას ეგრეთ წოდებულ დიდ რომბიტეში, რომელიც მეტ წილად მეთევზეობას ეწევიან დასამარილებელი თევზებისა. შემდეგი 800 [სტადიონის] მერე არის მცირე რომბიტე და კონცხი, აქაც წარმოუბს პატარა მეთევზეობა. ხოლო ჰქონდათ მათ ამასთან პირველად მცირე კუნძულები, როგორც გამოსასვლელი ადგილები, ხოლო მცირე რომბიტეზე თვით მეოტები საქმიანობენ: მთელ ამ ზღვის ნაპირზე მოსახლეობენ მეოტები, რომლებიც მიწათმოქმედნი არიან, მაგრამ არა ნაკლებ მეომარნი მომთაბარეებზე. განიყოფებიან [მეოტები] რამდენიმე ტომად, ამათგან ისინი, რომლებიც ტანაისის მახლობლად არიან, უფრო ველურები არიან, ხოლო ბოსფორის მახლობლად მოსახლე [ტომები] უფრო თვინიერნი. მცირე რომბიტედან ტირამბემდე და მდ. ანტიკეატემდე არის 600 სტადიონი: ხოლო 120 სტადიონი არის კიმერიულ სოფლამდე, რომელიც გამოიყენება იმისათვის, რომ ტბაზე გასცურონ. ამ ზღვის ნაპირზე არის რამდენიმე საზვერი [პუნქტი], როგორც ამბობენ, კლაზომენელთა.

5. ხოლო კიმერიკონი უწინ ქალაქი იყო, ნახევარკუნძულთან აშენებული, და იგი ჰკეტავდა ყელს თხრილითა და მიწაყრილით: კიმერიელებს ოდესღაც დიდი ძალა ჰქონდათ ბოსფორზე, ამიტომაც იწოდება ის კიმერიის ბოსფორად. [კიმერიელები] არიან ის ხალხები, რომლებიც თავს ესხმოდნენ შუა ქვეყანაში მცხოვრებთ მარჯვენა ნაწილში პონტოდან ვიდრე იონიამდე. [კიმერიელები] გამოაძევეს თავისი ადგილებიდან სკვითებმა, ხოლო სკვითები ელინებმა, რომლებმაც დააარსეს პანტიკაპეონი და სხვა ქალაქები, რომლებიც არის ბოსფორში.

6. აქედან 20 [სტადიონია] აქილეაონის სოფლამდე, რომელშიც არის აქილევსის სამლოცველო: აქ არის უვიწროესი სრუტე მეოტისის შესართავისა. დაახლოებით 20 სტადიონი ან მეტი; ხოლო ამის გაღმა არის სოფელი მირმეკიონი; მახლობლად არის ჰერაკლეაონი და პართენიონი.

7. აქედან სატირის ძეგლამდე არის 90 სტადიონი. [ძეგლი აღმართულია] მწვერვალზე, [სადაც] მიყრილია მიწა და [ეკუთვნის] ბოსფორის ბრწყინვალე მფლობელთა [წარმოშადგენელ] ვაჟკაცს.

8. მახლობლად არის სოფელი პატრაევსი, რომლიდანაც სოფ. კოროკონდამემდე არის 130 [სტადიონი]. ეს არის კიმერიულად წოდებული ბოსფორის საზღვარი. ეგრე იწოდება ვიწრო გზა მეოტისის შესართავისა, რომელიც ვრცელდება აქილეაონისა და მირმეკიონის ვიწრობებიდან ვიდრე კოროკონდამემდე და ამის საპირისპიროდ მდებარე პატარა სოფლამდე პანტიკაპეაონის მიწისა, რომელსაც ეწოდება აკრა, რომელიც დაშორებულია სრუტეს 70 სტადიონით.

ამამდე ვრცელდება ყინული, რომლითაც მეოტისი იფარება ყინვების დროს, ისე რომ მასზე ფეხით გაისვლება ხოლმე. მთელი ეს ვიწრო გზა კარგ ნავთსადგურებიანია.

9. კოროკონდამესთან [ზემოთ] მდებარეობს დიდი ტბა, რომელსაც ამის მიხედვით უწოდებენ კოროკონდამიტისს. 10 სტადიონზე სოფლიდან ის ერთვის ზღვას. ხოლო ერთვის ტბას ერთი შენაკადი მდ. ანტიკეიტისა, და ჰქმნის კუნძულს, რომელიც შემოსაზღვრულია ამ ტბით, მეოტისით და მდინარით. ზოგიერთები ამ მდინარეს ჰიპანისს უწოდებენ, ისევე როგორც ბორისთენესთან ძყოფს.

10. როდესაც შევცურავთ კოროკონდამიტისში, [გვხვდება] ფანაგორია, მნიშვნელოვანი ქალაქი, კეპო, ჰერმონასა და აპატურონი, აფროდიტეს სამლოცველო. ამათგან ფანაგორია და კეპო მოხსენებულ კუნძულზე მდებარეობენ, როდესაც შეცურდები მარცხენა მხარეს, ხოლო დანარჩენი ქალაქები მარჯვენა მხარეს, ჰიპანისის გადაღმა სინდიკეში. ხოლო გორგიპია არის სინდიკეში და ისარის სინდების სატახტო ქალაქი, ზღვის მახლობლად; აბორაკეც [სინდიკეშია]. ბოსფორის დინასტების ქვეშევრდომები ვინც კი არიან, ყველანი იწოდებიან ბოსფორანებად: ხოლო ევროპელი ბოსფორანების დედაქალაქი არის პანტიკაპეონი, ხოლო აზიელთა — ფანაგორიონი (რადგანაც ასე იწოდება ქალაქი). ჩანს, რომ მეოტისისა და მის ზემოთ მდებარე ბარბაროსული ქვეყნების საქონელისათვის სავაჭრო ადგილი არის ფანაგორია, ხოლო ზღვით შემოტანილი [საქონლისათვის] აქ — პანტიკაპეონი. ხოლო ფანაგორიაშია აფროდიტეს სამლოცველო, ცნობილი აპატურონისა: ღმერთქალს ეპითეტს გვიხსნიან, როდესაც მითი მოჰყავთ: თითქოს როდესაც ღმერთქალს აქ თავს დაესხნენ გიგანტები, დაუძახა მან ჰერაკლეს და დაიმალა (? დამალა ის...) რომელიღაცა გამოქვაბულში, შემდეგ გიგანტებს სათითოოდ ღებულობდა და სათითოოდ გადასცემდა ხოლმე ჰერაკლეს და ვერაგულად დაახოცინა ისინი მოტყუებით.

11. მეოტებში არიან თვით სინდები, დანდარიები, ტორეატები, აგრები და არექები. აგრეთვე ტარპეტები, ობიდიაკენები, სიტაკენები, დოსკები და სხვა მრავალი. ამათ შორის არიან აგრეთვე ასპურგიანები, რომლებიც ცხოვრობენ ფანაგორიასა და გორგიპიას შორის და უკავიათ 500 სტადიონი; ამათ თავს დაესხა პოლემონ მეფე, რომელიც თავს მეგობრად აჩვენებდა, და, ეს რომ ვეღარ დაფარა, თვითონ შეიქნა აქეთ ძლეული, ცოცხლივ შეპყრობილი და მოკლული. მთელი აზიელი მეოტებისაგან ერთნი ემორჩილებიან მათ, რომელთაც აქვთ სავაჭრო ადგილი ტანაისში, ხოლო მეორენი ბოსფორანებს: თუმცა ხანდახან ამბოხდებოდა ხოლმე ხან ერთი და ხან მეორე.

ხშირად ბოსფორანთა წინამძღოლები ფლობდნენ ადგილებს ვიდრე ტანაისამდე, განსაკუთრებით კი უკანასკნელები: ფარნაკე, ასანდრე და პოლემონი. ამბობენ, რომ ფარნაკემ ერთხელ [მდინარე] ჰიპანისი დანდარიებზე მიუშვა რაღაცა ძველი თხრილის გაწმენდით და ამით ქვეყანას წარღვნა მოუვლინა.

12. სინდიკესა და გორგიპიას შემდეგ ზღვასთან არის აქეელთა, ზიგთა და ჰენიოხთა სანაპირო, მეტწილად უნავთსადგურო და მთიანი, და წარმოადგენს კავკასიონის ნაწილს. ესენი ცხოვრობენ ზღვაზე მეკობრეობით, აქვთ პატარა, ფვრილი და მსუბუქი ნავები, რომლებიც დაახლოებით 25 კაცს იტევენ, ხოლო იშვიათად მთლიანად 30 (კაცს) დიტევენ. ელინები მათ უწოდებენ კამარებს. ამბობენ, რომ იაზონის ლაშქრიდან ფთიელმა აქაველებმა დაასახლეს აქაური აქაია, ხოლო ლაკონელებმა — ჰენიოხია, რომლებსაც მართავდნენ რეკანი და ამფისტრატე, დიოსკურების მეეტლეები, ხოლო ჰენიოხებმა ამათგან მიიღეს

სახელ. ესენი კამარებისგან ფლოტებს ჰქმნიან და თავს ესხმიან ხან საბარგო ხომალდებს, ხან რომელიმე ქვეყანას, ან ქალაქს და [ასე] ფლობენ ზღვას. ბოსფორის მფლობელნი ზოგჯერ ეხმარებიან ხოლმე მათ, ძლევენ მათ ნავთსაყუდლებს, ბაზარსა და ნადავლს გაყიდვის [საშუალებას]: ხოლო როდესაც ბრუნდებიან საკუთარ ქვეყანაში, ვერ აგდებენ ღუზას, იდებენ მხრებზე კამარებს და მიაქვთ ტყეებში, რომლებშიც ცხოვრობენ, ამუშავებენ მწირ მიწას, შემდეგ კი როდესაც დრო დგება ნაოსნობისა, [კამარები] უკან მიაქვთ. ასევე იქცევიან ისინი სხვა ქვეყანაშიც, [სადაც] აქვთ მათ განთქმული ტყიანი ადგილები, რომლებშიც ინახავენ კამარებს, ხოლო თვითონ დაეხეტებიან ფეხით დღე და ღამე ტყეების მოპოვების მიზნით. რასაც ისინი მოიპოვებენ, იოლად სთმობენ გამოსასყიდით და წასვლის შემდეგ ატყობინებენ გაძარცვულებს. იმ ადგილების მცხოვრებნი, რომელთაც მმართველები ჰყავთ, რაღაცა შემწეობას ჰპოვებენ ხოლმე წინამძღოლთაგან უსამართლობის შემთხვევაში: რადგან ხშირად მათ თავს ესხმიან და მიჰყავთ კამარები იქ მყოფ ხალხისანად. ხოლო რომაელების [გამგებლობაში] მყოფი [ნაწილი] უფრო უმწეოა გამოგზავნილ პირთა უპასუხისმგებლობის გამო.

13. ასეთია მათი ცხოვრება. განაგებენ მათ ეგრეთ წოდებული სკეპტუხები, ხოლო თვით ესენი ტირანთა ან მეფეთა გამგებლობაში იმყოფებიან. ჰენიოხებს ოთხი ბასილევსი ჰყავდათ. როდესაც მითრიდატე ევპატორმა, თავის სამშობლოდან გამოქცეული ბოსფორში რომ მიდიოდა, ამათ ქვეყანაზე გადაიარა. ეს მხარე მისთვის კარგი სავალი იყო, მაშინ როდესაც ზიგების ქვეყანაზე უარი თქვა მისი ცუდგზიანობისა და ველურობის გამო და ძნელად იმგზავრა ნაპირნაპირ, ბევრი იმგზავრა ზღვაზე, ვიდრე აქეის ქვეყნამდე მოვიდოდა. ესენი დაეხმარნენ მას და [მითრიდატემ], ფაზისიდან [მომავალმა], დაასრულა გზა, რომელიც ბევრად ხაკლები არ იყო 4.000 სტადიონზე.

14. კოროკონდამედან აღმოსავლეთისაკენ პირდაპირ მიდის საზღვაო გზა. 180 სტადიონზე არის სინდიკე, ნავთსადგური და ქალაქი, ხოლო 400 [სტადიონზე] ეგრეთწოდებული ბატა, სოფელი და ნავთსადგური, რომლის საპირისპიროდ სამხრეთისაკენ ამ ნაპირზე, ჩანს, მდებარეობს სინოპე. ისევე, როგორც კარამბისი — კრიუმეტოპეს (მიმართ) როგორც უკვე ითქვა.

არტემიდორე ამბობს, რომ ბატადან კერკეტების სანაპირომდე, რომელზედაც არის ნავთსაყუდლები და სოფლები, დაახლოებით 850 სტადიონია, შემდეგ აქეელთა [სანაპირო] 500 [სტადიონი], მერე ჰენიოხთა [სანაპირო] — 1.000 [სტადიონი], ხოლო დიდი პიტიუნტისა — დიოსკურიამდე 360. ხოლო მითრიდატეს ამბების აღმწერნი, რომელთაც მეტად დაეჯერებათ, ამბობენ, რომ ჯერ არიან აქეელები, შემდეგ ზიგები, მერე ჰენიოხები, კვლავ კერკეტები, მოსხები, კოლხები, შემდეგ ამათ ზემოთ ფთეიროფაგები, სვანები და სხვა პატარა ტოები კავკასიოხთან.

როგორც უკვე ვთქვი, თავიდანვე ეს სანაპირო მიემართება აღმოსავლეთისაკენ და უყურებს სამხრეთს, ხოლო ბატადან ნელნელა ბრუნდება, შემდეგ შემობრუნდება დასავლეთისაკენ და სრულდება პიტიუნტთან და დიოსკურიასთან: კოლხიდის ეს ადგილები ხომ ესაზღვრებიან დასახელებულ სანაპიროს.

დიოსკურიის შემდეგ დანარჩენი სანაპირო კოლხიდისა არის და მის მომდევნო ტრაპეზუნტთან ჰქმნის მნიშვნელოვან მოხრილობას, შემდეგ პირდაპირ მიემართება, ჰქმნის მარჯვენა გვერდს პონტოსას, რომელიც უყურებს ჩრდილოეთს. მთელი სანაპირო, აქეელთა და სხვა [ხალხებისა] ვიდრე დიოსკურიამდე

და იმ ადგილებამდე, რომლებიც მდებარეობენ პირდაპირ სამხრეთისაკენ შუა ქვეყანაში, კავკასიონის ქვემოთ მდებარეობს.

15. ხოლო ეს მთა მდებარეობს ორივე ზღვის ზემოთ, როგორც პონტოსი, ასევე კასპიისა, ამაგრებს იმ ყელს, რომელიც ჰყოფს [ზღვებს]. [ეს მთა] საზღვრავს სამხრეთისაკენ ალბანიასა და იბერიას, ხოლო ჩრდილოეთისაკენ სარმატთა დაბლობებს: იგი მდიდარი არის მრავალნაირი ტყით, სხვათა შორის, ნავთსაშენით. ერატოსთენე ამბობს, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ კავკასიონი იწოდება კასპიად, შესაძლებელია კასპიათა სახელის მიხედვით. ზოგი ტოტი ამ [მთისა] მოემართება სამხრეთისაკენ, გარს ერტყმის შუა იბერიას და ერთვის არმენიის მთებს, და მოსხებისად წოდებულთ, აგრეთვე სკიდისეს და პარიადრეს: ყველა ესენი არიან ტავრის ნაწილები, რომელიც ჰქმნის არმენიის სამხრეთ ნაწილს. [ეს ნაწილები] როგორღაც აქედან მოწყვეტილნი არიან ჩრდილოეთისაკენ და გრძელდებიან კავკასიონამდე და ევქსინის სანაპირომდე, რომელიც ვრცელდება თემისკირამდე, დაწყებული კოლხიდიდან.

16. დიოსკურია ამისთანა უბეში მდებარეობს და უჭირავს უკიდურესი აღმოსავლეთი პუნქტი მთელი ზღვისა, [ამიტომ] ამბობენ მასზე, რომ ისაა ევქსინის უშორესი ადგილი და უკიდურესი საცურაოდ.

ანდაზაში ნათქვამი „ფაზისში, სადაც ხომალდთათვის უკანასკნელი სრბოლაა“, ისე კი არ უნდა მივიღოთ, რომ ამბის მთხზველი თითქოს მდინარეს ასახელებს, ან კიდევ ამ მდინარეზე მდებარე მსგავსი სახელის მქონე ქალაქს, არამედ ისე, რომ ესაა კოლხიდის ნაწილი, მაშინ როდესაც მდინარიდან და ქალაქიდან რჩება არა ნაკლები 600 სტადიონისა პირდაპირი ხაზით უკიდურეს წერტილამდე საცურაო. ხოლო თვით დიოსკურია არის საწყისი იმ ყელისა, რომელიც კასპიისა და პონტოს შუაშია და საერთო სავაჭრო ადგილი მის ზემოთ და მახლობლად მცხოვრები ტომებისათვის.

[ერთთა აზრით ქალაქში] თავს იყრის 70 ტომი, ხოლო მეორენი ამბობენ, რომ 300-იო, (ესენი არაფრად ზრუნავენ სიმართლისათვის), ყველა [ტომი] განსხვავებულ ენაზე [ლაპარაკობს], რადგან დაფანტულობის გამო შეურევლად ცხოვრობენ თავისი სიამაყისა და ველურობის მიზეზით. უმეტესობა არიან სარმატები, ხოლო ყველანი კავკასიელები არიან. ესაა, რაც შეეხება დიოსკურიას.

17. ხოლო დანარჩენი კოლხიდა მეტწილად ზღვასთან მდებარეობს: მიმდინარეობს მასზე ფაზისი, დიდი მდინარე, რომელსაც სათავე არმენიიდან აქვს, რომელიც ღებულობს გლავკოსსა და ჰიპოსს, მახლობელი მთებიდან გამომდინარეთ.

[ფაზისზე] აღმა ცურვა შეიძლება შორაპანამდე, [ამ] სიმაგრეს შეუძლია დაიტიოს მთელი ქალაქის მოსახლეობა; [შორაპანიდან] ფეხით, საურმე გზით 4 დღეში მიისვლება მტკვრამდე. ფაზისზე მდებარეობს მისი მოსახელე ქალაქი, კოლხთა სავაჭრო ადგილი, გარშემორტყმული მდინარით, ტბითა და ზღვით. აქედან ამისომდე და სინოპემდე არის 8 ან 9 დღის ზღვით სამგზავრო, იმის გამო, რომ ნაპირი რბილია და ასევე მდინარეების შესართავებიც.

ქვეყანაში კარგი ნაყოფები იცის, გარდა თაფლისა (ეს მეტწილად მწარეა) [და მოიპოვება] ნავთსაშენი ყოველივე მასალა: რადგან იზრდება აქ მრავალი ტყე და მდინარეებითაც ჩამოიტანება, ამუშავებენ ბლომად სელს, კანაფს, ცვილსა და ფისს. ხოლო ხელის დამუშავება განთქმულიც კი არის: [ქვეყნის] გარეთაც კი გააქვთ. და ზოგიერთებს უნდათ რაღაცა ნათესაობაც კი გვაჩვენონ კოლხებისა ეგვიპტელებთან ამის მიხედვით.

მოხსენებულ მდინარეებს ზემოთ მოსხების ქვეყანაში მდებარეობს ლევკოთეას სამლოცველო, ფრიქსეს მიერ აგებული, და მისი სამისნო, სადაც ვერძს არ სწირავენ მსხვერპლად. ოდესღაც ის მდიდარი იყო, ხოლო ჩვენს დროს იგი ფარნაკეს მიერ და, ცოტა მოგვიანებით, მითრიდატე პერგამონელის მიერ იქნა გაძარცვული.

როდესაც ქვეყანა დაუძლურდება, „ღმერთთა კუთვნილიც სუსტდება და აღარ უნდათ (მისი) პატივისცემა“ — ამბობს ევრიპიდე [„ტროელი ქალები“, 26].

18. თუ როგორ იყო სახელგანთქმული ძველად ეს ქვეყანა, ცხადჰყოფენ ამას მითები, რომლებიც მოგვითხრობენ იაზონის ლაშქრობაზე, რომელიც მოვიდა მიდიამდე, და ამაზე უწინ კი ფრიქსეს [ლაშქრობაზე].

ამის შემდეგ მემკვიდრე მეფეებმა სკეპტუხიებად დაჰყვეს ქვეყანა და ჰქონდათ ზომიერი ძალაუფლება: ხოლო როდესაც მითრიდატე ევპატორის ძალაუფლება მნიშვნელოვნად გაძლიერდა, მის ხელში გადავიდა ქვეყანა: იგზავნებოდა მუდამ ვინმე მის მეგობართაგანი მმართველადა და გამგებლად ქვეყნისა. აქათგანი იყო მოაფერნეც, ჩემი დედის ბიძა მამის მხრიდან: აქედან იყო, რომ მეფეს მოსდიოდა მეტი წილი ძალებისა სანაოსნო სამსახურისათვის.

როდესაც მითრიდატე დაეცა, მთელი მისი საგამგებლო განადგურდა და დანაწილდა მრავალთა შორის. უკანასკნელად პოლემონს ჰქონდა კოლხიდა, ხოლო როდესაც ის მოკვდა, მისი მეუღლე პითოდორისი ფლობდა, მეფობდა კოლხებზე, ტრაპეზუნტზე, ფარნაკიაზე და ზემოთ მცხოვრებ ბარბაროსებზე, რომელთა შესახებ ძემდეგ ვილაპარაკებთ.

მოსხების ქვეყანა, რომელშიც არის სამლოცველო, სამ ნაწილს შეიცავს: ერთი მისი ნაწილი აქვთ კოლხებს, მეორე იბერებს და მესამე არმენიელებს.

იბერიაში არის ერთი პატარა ქალაქი ფრიქსოპოლისი, ეხლანდელი იდეესა, კარგად გამაგრებული ადგილი კოლხიდის საზღვრებზე. დიოსკურიის მახლობლად ძიძღიხარეობს ძდიხარე ქარესი.

19. ტომებს შორის, რომლებიც თავს იყრიან დიოსკურიაში, არიან ფთეიროფაგებიც, რომელთაც მიიღეს სახელი ჭუჭყისა და სიბინძურის გამო. მახლობლად არიან სვანები, რომლებიც არ არიან ამათზე უკეთესი სიბინძურის მხრივ, მაგრამ ძალით აღემატებიან, [სვანები] თითქმის საუკეთესონი არიან სიმამაცისა და ძალის მხრივ: ფლობენ ისინი ირგვლივ [ყველაფერს] და უპყრიათ [illegible]ონის მწვერვალები, რომლებიც დიოსკურიის ზემოთ არის: ჰყავთ მათ ბასილევსი და საბეჭო 300 მამაკაცისაგან შემდგარი და, როგორც ამბობენ, ჰკრებენ ლაშქარს 200.000 [კაცის რაოდენობით]: მართლაც, მთელი ხალხი მეომარია, მაგრამ არა ორგანიზებული. ამასთანავე ამბობენ, რომ ზამთრის ნიაღვრებს ოქროო ჩამოაქვს, ხოლო ბარბაროსები აგროვებენ [ოქროს] დახვრეტილი ვარცლებით და ბანჯგვლიანი ტყავებით: აქედან მომდინარეობს მითი ოქროსსაწმისიან ვერძზე... თუ არ დებენ იბერებს მსგავს სახელს დასავლელებისას, რომელთაც აქვთ ოქროს საბადოები ორივე მხარეს. სვანები [ისრის] წვერებისათვის წამალს ხმარობენ და საოცრად იტანჯებიან მისი სუნისა გამო მოუწამლავი ისრებით დაჭრილებიც კი.

სხვა ტომები, რომლებიც კავკასიონის მახლობლად არიან, ღარიბები და მცირემიწის მქონენი არიან; ხოლო ალბანთა და იბერთა ტომებს, რომელთაც უკვეთ უპირატესად მოხსენებული ყელი, და რომელთაც კავკასიური ეწოდებათ, აქვთ მდიდარი ქვეყანა და განსაკუთრებით ვარგისი კარგად დასასახლებლად.

1. მართლაც, იბერია მეტწილად კარგად არის დასახლებული ქალაქებითაცა და დაბებითაც, ისე რომ იქ არის კრამიტიანი სახურავები, სახლები არქიტექტურულად მოწყობილი, ბაზრები და სხვა საზოგადო [დაწესებულებანი].

2. ქვეყნის ნაწილი კავკასიონის მთებით არის გარშემორტყმული: რადგან, როგორც უკვე ვთქვით, [ამ მთების] მეტისმეტად ნაყოფიერი ტოტები მიემართებიან სამხრეთისაკენ, მოიცავენ მთლიანად იბერიას და აღწევენ არმენიასა და კოლხიდას. შუაში არის დაბლობი, მდინარეებით მორწყული, უდიდესი [ამ მდინარეთა შორის] არის მტკვარი, რომელსაც სათავე აქვს არმენიაში, პირდაპირ შემოდის დასახლებულ დაბლობში, ღებულობს არაგოსს, რომელიც კავკასიონის [მთიდან] მომდინარეობს, სხვა წყლებსაც და ვიწრო ჭალებით ჩადის ალბანიაში. ამ [ქვეყანასა] და არმენიას შორის [მტკვარი] დიდი ძალით მომდინარეობს საძოვრებით მდიდარ ველებზე, ღებულობს სხვა მრავალ მდინარეს, რომელთა შორის არის ალაზონიოსი, სანდობანი, როდტაკი და ხანი, ყველა ესენი სანაოსნონი არიან, და უერთდება კასპიის ზღვას. უწინ [ამ მდინარეს] ეწოდებოდა კოროსი.

3. დაბლობზე ცხოვრობენ იბერთაგან უფრო მეტად მიწათმოქმედნი, ესენი მშვიდობიანად არიან განწყობილი, არმენიელთა და მიდიელთა მსგავსად ეწყობიან. უფრო დიდ ნაწილს, რომელიც მებრძოლი ბუნების არის, უჭირავს მთიანი მხარე და ცხოვრობს სკვითებისა და სარმატების ყაიდაზე, რომელთა მეზობლებიცა და ნათესავებიც არიან: თუმცა ეწევიან მიწათმოქმედებასაც, და როდესაც ჩამოვარდება შფოთი, თავისი და მათი სახსრებით გამოჰყავთ მრავალი ათასი [ძებრძოლი].

4. ქვეყანაში არის ოთხი შესასვლელი: ერთი არის კოლხური ციხე-სიმაგრე შორაპანზე და მასთან არსებულ ვიწროებზე, რომლებზედაც ფაზისი მიმდინარეობს, სწრაფი და ხმაურა მიემართება კოლხიდაში, (რომელზედაც [ე. ი. ფაზისზე] 120 ხიდით გადაისვლება მისი მიხვეულ-მოხვეულობის გამო). წყალდიდობის დროს ეს ადგილები სულ დახრულია მრავალი ნაკადულებით. წარმოიქმნება [ფაზისი] ზემოთ მდებარე მთებში მრავალი წყაროსგან, ხოლო დაბლობში ღებულობს სხვა მდინარეებს, რომელთა შორის არის გლავკოსი და პიპოსი: გავსილი და სანაოსნოდ გამოსადეგი ჩადის პონტოში; [ფაზისზე] არის ქალაქი ძსგავსი სახელისა და ძახლობლად — ტბა.

ასეთია კოლხიდიდან იბერიაში შესავალი, დახშული კლდეებით, სიმაგრეებითა და ხეობებიანი მდინარეებით.

5. ჩრდილოეთით მცხოვრები მომთაბარეებიდან დაახლოებით სამი დღის ძველი ამოსასვლელია, ხოლო ამის შემდეგ არის საცალფეხო გზა მდინარე არაგოსის ვიწრო ხეობაში, დაახლოებით ოთხი დღის [სავალი], ხოლო გზის ბოლო ძნელად ასაღები კედლით არის გამაგრებული.

ალბანიიდან შემოსასვლელი ჯერ კლდეებში არის გამოჭრილი, ხოლო შემდეგ გადადის ის ჭაობზე, რომელსაც ჰქმნის მდინარე ალაზონიოსი, გამომდინარე კავკასიოხის [ქედიდან].

ხოლო არმენიიდან [შემოსასვლელი] არის მტკვრის ვიწროებზე და არაგოსისაზე. ვიდრე ერთმანეთს შეერთვის [ეს მდინარეები], იმ ადგილას მდებარეობს გამაგრებული ქალაქები კლდეებზე, რომლებიც დაცილებული არიან ერთმანეთს დაახლოებით 16 სტადიონით; მტკვარზე მდებარეობს ჰარმოზიკე, ხო-

ლო მეორეზე — სევსამორა. ამ შემოსასვლელებით პირველად ისარგებლა პომპეუსმა, რომელიც არმენიიდან მოდიოდა, ხოლო ამის შემდეგ კანიდიუსმა;

6. ასევე ადამიანთა ოთხი გვარი მოსახლეობს ამ ქვეყანაში: ერთი [გვარია] და პირველი, რომლისაგანაც მეფეებს სხამენ მახლობლობისა და ასაკის მიხედვით უხუცესს, ხოლო მეორე [ამ გვარიდან] მოსამართლეობს და მზედართმთავრობს. მეორე [გვარი] არის ქურუმთა, რომლებიც ზრუნავენ აგრეთვე მეზობლებთან სამართალზე. მესამე [გვარი] არის მზედართა და მიწათმოქმედთა. მეოთხე [გვარი] არის ხალხისა, რომლებიც სამეფო მონები არიან და აკეთებენ ყველაფერს, რაც ცხოვრებისათვის არის საჭირო. საზოგადო აქვთ მათ ქონება ნათესაობისდა მიხედვით. მართავს და განაგებს თითოეულს უხუცესი, ასეთები არიან იბერები და მათი ქვეყანა.

თავი მეოთხე

1. ალბანები უფრო მწყემსები არიან და ახლოს დგანან მომთაბარულ [ცხოვრებასთან], მაგრამ არ არიან ველურები: ამის გამო ისინი ზომიერად მეომარი ბუნების არიან. ცხოვრობენ იბერებსა და კასპიის ზღვას შორის; აღმოსავლეთით ისაზღვრებიან ზღვით, ხოლო დასავლეთით ემეზობლებიან იბერებს.

რაც შეეხება დარჩენილ მხარეებს, ჩრდილოეთისა გამაგრებულია კავკასიონის მთებით (ეს მთები მდებარეობენ დაბლობებს ზემოთ, ხოლო ის ნაწილი, რომელიც ზღვისკენ არის, იწოდება კერავნიად), სამხრეთისაკენ არის მეზობლად მდებარე არმენია, რომელიც ნაწილობრივ დაბლობია, ნაწილობრივ მთიანი, როგორც, მაგალითად, კამბისენე, სადაც იბერებსა და ალბანებს ეკაზღვრებიან არშეხიელები.

2. მტკვარი მიმდინარეობს ალბანიაზე და სხვა მდინარეებს, რომლებიც ერთვიან [მტკვარს], მოაქვთ მიწისათვის სიკეთე, მაგრამ ზღვას კი ასხვაფერებენ. მიწა ხომ ბევრი გროვდება და ავსებს გზას, ისე რომ [შესართავის] წინ მდებარე პატარა კუნძულები ერთდებიან ხმელეთად და ჰქმნიან უსწორმასწორო ჭაობებს, რომელთაგან თავის არიდება ძნელია; ხოლო ამ უსწორმასწორობას უფრო აძლიერებს მიმოქცევის შედეგად დამდგარი წყალი. ამბობენ, რომ შესართავთან თორმეტ ნაწილად იყოფა მდინარე, [აქედან] ზოგი დახშულია, ხოლო ზოგი მეტისმეტად ძლიერტალღებიანი და გამოუსადეგარი ნავთსაყუდელად. 60 სტადიონზე უფრო მეტზე უვლის ზღვისა და მდინარეების წყალი ნაპირს, ისე რომ მთელი ეს მისი ნაწილი მიუვალია, ხოლო მიწა 500 სტადიონზე ვრცელდება და ზღვის ნაპირს ჰქმნის ქვიშოვანს.

მახლობლად ერთვის სწრაფი არაქსი, რომელიც არმენიიდან მომდინარეობს: რამდენადაც [არაქსი] წინ მიერეკება შლამს და თავის გზას იკვლევს, იმდენად ძტკვარი კვლავ ივსება შლამით.

3. თუმცა ამგვარ ადამიანებს შეიძლება არაფერი უნდათ ზღვისაგან, რადგან ჯეროვნად არც მიწას იყენებენ, რომელსაც მოაქვს ნაყოფი, თვით უნაზესიც კი, აგრეთვე ყოველგვარი მცენარეული — თვით მუდამ მწვანეც კი მოდის; ამისათვის მცირე ზრუნვაც კი არ არის საჭირო, „არამედ ყველაფერი იზრდება დაუთესავად და მოუხნავად“ (ოდ. VX, 109), როგორც ამბობენ მოლაშქრენი; რაღაცა კიკლოპურ ცხოვრებას ეწევიან. ხშირად ერთხელ რომ დასთესენ, ორჯერ ან სამჯერ იღებენ ნაყოფს, ხოლო პირველად [ნაყოფი მოდის] ერთი ორმოცდაათად, რკინის გუთანს კი არ ხმარობენ, არამედ ხისას. მთელი დაბლობი უფრო მეტად ირწყვის მდინარეებითა და სხვა წყლებით, ვიდრე ბაბილონისა

და ეგვიპტისა, ისე რომ მუდამ ბალახს ხედავს თვალი, ამის გამო ის კარგ-საძოვრებიანი არის: ამასვე ერთვის სხვაზე უფრო კარგი ჰაერი. ვაზები გაუთოხნავი რჩებიან ბოლომდის, სხლავენ კი ყოველ ხუთ წელიწადში, ხოლო ახალ [ვაზებს] ნაყოფი მოაქვთ მეორე წელსვე, [ზრდა-] დასრულებულები კი იმოდენა [ნაყოფს] იძლევიან, რომ მეტი წილი რჩება ზედ ვაზზედვე. საქონელი მათ დიდი ტანისა ჰყავთ, როგორც შინაური, აგრეთვე გარეული.

4. ადამიანები სილამაზითა და ახოვანებით გამოირჩევიან, ისინი უბრალოები არიან და არა ვაჭრული [ბუნების]; არც მონეტებს ხმარობენ მეტწილად, არც რიცხვები იციან ასზე მეტი, არამედ ეწევიან საქონლის გაცვლა-გამოცვლას და საერთოდ ცხოვრების [საჭიროების] მიმართ გულგრილად არიან. არ იციან ზომისა და წონის სიზუსტე, ომის, სახელმწიფო წყობილებისა და მიწათმოქმედების [საქმეებში] გულგრილობენ. ხოლო იბრძვიან ისინი როგორც ქვეითად, ასევე ცხენებზე [შემსხდრები], მსუბუქად შეიარაღებულებიცა და აბჯრით [შეჭურვილებიც], როგორც არმენიელები.

5. ამათ გამოჰყავთ იბერებზე მეტი ლაშქარი, რადგან ესენი აიარაღებენ 60.000 ქვეითსა და 22.200 ცხენოსანს. [აი ასეთი ჯარით] გამოვიდნენ პომპეუსის წინააღმდეგ. ომის დროს ამათ შველიან მომთაბარეები გარეშეების წინააღმდეგ, ისევე როგორც იბერებს, იმავე მიზეზების გამო. თუმცა, ხშირად თავს ესხმიან ამ ხალხს [მომთაბარეები], ისე რომ უშლიან მიწათმოქმედებაში. [ალბანები] არიან შუბოსნები და მშვილდოსნები, აქვთ აბჯრები და ფარები, მუზარადები ცხოველთა [ტყავისა] იბერების მსგავსად.

ალბანთა ქვეყანაში შედის კასპიანე, კასპიის ტომის [მიხედვით] სახელდებული, ისევე როგორც ზღვაც; ეხლა [ეს ტომი] გაქრა. შესასვლელი იბერიიდან ალბანიაში არის უწყალო და ოღროჩოღრო კამბიზენზე, რომელიც მდ. ალაზონიოსთან არის. როგორც თვითონ [ალბანები], ასევე მათი ძაღლები საუკეთესო მონადირეები არიან, არა იმდენად ხელოვნებით, არამედ უფრო საამისო მოწადიხებით.

6. [მათი] ბასილევსები გამოირჩევიან: ეხლა ერთი განაგებს ყველას, ხოლო უწინ ცალკეულები მეფობდნენ ცალკეული საკუთარი ენის მიხედვით. მათ აქვთ 26 ენა, იმიტომ რომ ერთმანეთს არ ერევიან.

არის მიწაზე ზოგიერთი მომაკვდინებელი ქვეწარმავალი, მორიელები და ობობები. ობობათა [კბენის შედეგად] ზოგი სიცილით კვდება, ხოლო ზოგი ტირილით — ხათესავებზე ძწუხარებით.

7. ღმერთებად აღიარებენ მზეს, ზევსსა და მთვარეს, გამორჩევით — მთვარეს, მისი სალოცავი არის იბერიის მახლობლად. ქურუმობს კაცი უწარჩინებულესი მეფის შემდეგ, ის განაგებს ტაძრის მიწას, რომელიც დიდია და კარგად დასახლებული, და [ეს პირი განაგებს] მიწასაც და ტაძრის მონებსაც, რომელთაგან მრავალნი, შთაგონებულნი, წინასწარმეტყველებენ ხოლმე. მას, რომელიც უფრო მეტად იქნება შთაგონებული და მარტო დაეხეტება ტყეებში, დაიჭერს ქურუმი, შეკრავს წმინდა ჯაჭვით და ერთი წლის განმავლობაში საგანგებოდ ჰკვებავს. შემდეგ მიიყვანენ მას ღმერთქალის სამსხვერპლოსთან და ნელსაცხებლით დაზელილს სხვა სამსხვერპლო ცხოველებთან ერთად მსხვერპლად შესწირავენ, მსხვერპლშეწირვას ასეთი სახე აქვს: ერთს უჭირავს წმინდა შუბი, რომლითაც წესია ადაჰინის მსხვერპლად შეწირვისა. ის გამოდის ხალხიდან, არტყამს გვერდიდან გულში, ისე რომ ამ [საქმეში] გამოუცდელი არ არის. როდესაც დაეცემა [მსხვერპლი], აღინიშნება მისნობა დაცემის მიხედვით და საზო-

გადოდ ცხადდება; ხოლო გვამი მიაქვთ რომელიმე ადგილას და მიდიან ყველანი და ეხებიან ფეხით განსაწმენდელად.

8. ალბანები მოხუცებულობას მეტისმეტად სცემენ პატივს, არა მარტო თავისი მშობლებისას, არამედ სხვებისასაც; ხოლო მიცვალებულებზე ზრუნვა არაა წესი, არც მოგონება. მათთან ერთად ფლავენ ქონებასაც, ამიტომ არ ღებულობენ მამეულ ქონებას და ღარიბად ცხოვრობენ. ესაა ალბანების შესახებ.

ამბობენ, რომ როდესაც იაზონი არმენოს თესალიელთან ერთად კოლხებში მოვიდა, მან მოაღწია კასპიის ზღვამდე, იბერიაცა და ალბანიაც გადაიარა და დიდი ნაწილი არმენიისა და მიდიისა, როგორც მოწმობს ამას იაზონისა და სხვათა მიმართ განკუთვნილი მრავალი ძეგლი. არმენოსი იყო არმენიის ქალაქიდან [რომელიც არის ერთი იმ ქალაქთაგანი], რომელიც მდებარეობს ბოგბეიდის ტბასთან, რომელიც არის ფერასა და ლარისას შორის; ხოლო ისინი, ვინც მასთან ერთად იყვნენ, ცხოვრობდნენ აკილისენში და სისპირიტისში კალახანემდე და ადიაბენემდე; მან დაუტოვა არმენიას თავისი სახელი.

თავი მეხუთე

1. ამბობენ, რომ ალბანიის ზემოთ მთებში ცხოვრობენ ამაძონები. თეოფანე, რომელიც იყო პომპეუსის თანამოლაშქრე და იყო ალბანებში, ამბობს, რომ ამაძონებსა და ალბანებს შორის სკვითები — გელები და ლეგები — ცხოვრობენ; მომდინარეობს აქ მდინარე მერმადალისი, ამათსა და ამაძონებს შორის, პირდაპირ შუაში. ხოლო სხვები, რომელთა შორის იყვნენ მეტროდორე სკეფსისელი და ჰიფსიკრატე, რომლებიც არ არიან უცოდინარნი ამ ადგილებისა, ამბობენ, რომ [ამაძონები] გარგარეველების მეზობლად ცხოვრობენ კავკასიონის მთის ფერდობებზე ჩრდილოეთისაკენ, რომელიც იწოდება კერავნიად. სხვა დროს თავისთვის არიან, თვითონ მუშაობენ, ხნავენ, რგავენ მცენარეებს, [უვლიან] საძოვრებს და განსაკუთრებით კი ცხენებს, ხოლო უმამაცესნი [ამაძონთა შორის] ცხენებზე შემსხდრები ეწევიან მონადირეობას და ვარჯიშობენ საომარ [საქმიანობაში]. ყველა [ამაძონს] ამოუწვავენ ხოლმე მარჯვენა ძუძუს პატარაობიდანვე, ისე რომ ადვილად იყენებენ მხარს ყოველგვარ საქმიანობაში, განსაკუთრებით კი შუბოსნობაში. ხმარობენ ისინი მშვილდს, ცულსა და ფარს, ხოლო მუზარადებს იკეთებენ ცხოველთა ტყავებისაგან, ასევე მოსახურავებსა და ქამრებს. მათ აქვთ ორი გამორჩეული თვე გაზაფხულისა, როდესაც ადიან მახლობელ მთაზე, რომელიც საზღვრავს მათ გარგარეველებისაგან.

[გარგარეველებიც] ადიან [მთაზე] ძველი ჩვეულების მიხედვით, მსხვერპლს სწირავენ ერთად და აქვთ ურთიერთობა ქალებთან შვილების გაჩენის მიზნით უჩინრად, სიბნელეში, ყოველ [მამაკაცს] ყოველ [ქალთან] შემთხვევით და რომ დააორსულებენ [ქალებს], გაუშვებენ მათ. ამაძონები, თუ მდედრობითი სქესის ბავშვები დაიბადებიან, თავისთვის იტოვებენ, ხოლო მამრობითი — მიჰყავთ [გარგარეველებთან] აღსაზრდელად. თითოეული [გარგარეველი] ისაკუთრებს თითოეულ [ბავშვს], რომელსაც თვლის თავის ვაჟად იმიტომ, რომ არ იცის [სიხაძდვილე].

2. ხოლო [მდინარე] მერმოდა ჩამოდის მთებიდან, [მიმდინარეობს] ამაძონთა და სირაკენის ქვეყნებზე და მათ შორის მდებარე უდაბნოზე და ერთვის მეოტისს. ამბობენ, რომ გარგარეველები ამ ადგილებში შეხვდნენ თემისკირის ამაძონებს, შემდეგ ჩამოსცილდნენ მათ და ომობდნენ თრაკიელებთან

და ევბეელებთან ერთად, რომლებიც აქამდე დაეხეტებოდნენ [ამაძონების] წინააღმდეგ; შემდეგ ეს [ამაძონების] საწინააღმდეგო ომი რომ გაათავეს, [ზემოთ] თქმულის მიხედვით ხვდებოდნენ ხოლმე ერთმანეთს, ისე რომ მხოლოდ ბავშვები ჰყავთ საერთო, ცხოვრობენ კი თავ-თავისთვის.

3. ამაძონთა შესახებ მოთხრობას თავისებურება ახასიათებს, სხვა [ამბებს] მითიური და ისტორიული მხარეები გამოჯნული აქვთ: ძველს, ტყუილსა და საკვირველს მითები ეწოდება, ხოლო ისტორიას ესაჭიროება ჭეშმარიტება, ძველი იქნება თუ ახალი, ხოლო საკვირველი ან არ გააჩნია, ან მეტისმეტად ცოტა: ამაძონთა შესახებ ერთსა და იმავეს ამბობენ ესლაცა და ძველადაც, საკვირველსა და სარწმუნოსაგან დაშორებულს. ვინ დაიჯერებს, მაგალითად, რომ ქალთაგან შედგა ლაშქარი ან ქალაქი, ან ტომი, კაცებს გარეშე? [illegible] არა მხოლოდ შედგა, არამედ ლაშქრობდნენ კიდეც სხვათა ქვეყანაზე და იბრძოლობდნენ არა მხოლოდ მახლობელ [ქვეყნებს], ისე რომ აღწევდნენ ესლანდელ იონიამდე, არამედ ზღვით გზაგნიდნენ ლაშქარს ატიკამდე? ეს იმას ჰგავს, ვინმემ რომ თქვას, მაშინდელი მამაკაცები ქალები იყვნენ, ხოლო ქალები — მამაკაცებიო. თუმცა ამასვე მოგვითხრობენ ეხლაც [ამაძონთა] შესახებ. თავისებურებას აძლიერებს ის, რომ ძველი [ამბებისა] უფრო სჯერათ, ვიდრე ახლანდელისა.

4. მოგვითხრობენ [მათ მიერ] ქალაქთა აგებისა და თავისი სახელების დარქმევის შესახებ, როგორიცაა ეფესი, სმირნე, კიმე, მირინე; [მოგვითხრობენ] საფლავებზე და სხვა ძეგლებზე: თემისკირა, თერმოდონტის მიდამოში მდებარე დაბლობები და ამის ზემოთ მდებარე მთები, ყველაფერი [ეს] იწოდება ამაძონებისად და ამბობენ, რომ ისინი გამოძეგლებული იყვნენ იქიდანო. ხოლო თუ სად არიან ეხლა, ამის შესახებ ცოტანი გვაწვდიან, [ისიც] დაუმტკიცებელსა და არასანდო [ცნობებს]. მაგ., თალესტრიას შესახებ, რომელზედაც ამბობენ, რომ ჰირკანიაში ალექსანდრეს შეეუღლა ძვილის გაჩენის გულისთვის, და ეს იყო ამაძონთა დედოფალი. ამის შესახებ [ყველას] ერთი აზრისა არაა. მრავალ მწერალთაგან ისინი, რომლებიც განსაკუთრებით ზრუნავენ ჭეშმარიტებისათვის, არ ამბობენ [ამას], არც უფრო სარწმუნონი [illegible]ფერს იხსენებენ ამისას და არც ამის მთქმელები ამბობენ ერთსა და იმავეს: კლეიტარქე ამბობს, რომ თალესტრია მოვიდა ალექსანდრესთან, წამოსული [illegible]ის კარებიდან და თერმოდონტიდან; ხოლო კასპიიდან თერმოდონტამდე არის 6.000 სტადიონზე უფრო მეტი.

5. მრავალთა მიერ განსადიდებლად გადმოცემული მოთხრობები [მათ შესახებ] თუ ერთსა და იმავე აზრს შეიცავენ, ეს იმიტომ, რომ შემთხზველები მლიქვნელობაზე უფრო ზრუნავდნენ, ვიდრე ჭეშმარიტებაზე. ასეთია, მაგალითად, კავკასიონის გადატანა ინდოეთის მთებთან და მახლობლად მდებარე აღმოსავლეთისკენ — ზღვასთან, კოლხიდის და ევქსინის ზემოთ მდებარე მთებიდან. ამ [მთებს] იყო, რომ ელინები კავკასიონს უწოდებდნენ, და დაშორებულნი არიან ინდოეთს უფრო მეტით ვიდრე 30.000 სტადიონია; და ამასვე ასახელებს მითი, რომელიც ეხება პრომეთევსსა და მის ბორკილებს. ეს იმიტომ, რომ ეს [მთები] იცოდნენ მაშინდელებმა უკიდურეს აღმოსავლეთად, ხოლო დიონისესა და ჰერაკლეს ლაშქრობა ინდოელებზე ამყარებენ გვიან წარმოშობას მითისას, რადგან, როგორც ამბობენ, ჰერაკლემ პრომეთევსი განათავისუფლა 1000 წლის შემდეგ. ხოლო უფრო სასახელო იყო ალექსანდრესთვის ინდოეთის მთებამდე დაპყრობა აზიისა, ვიდრე ევქსინისა და კავკასიონის კუთხემდე. მაგრამ დიდება მთისა, მისი სახელი და ის ამბავი, რომ იაზონის და მისი მახლობლების შესახებ ფიქრობენ, რომ მათ უშორესი ლაშქრობა შეასრულეს კავკასიის სანახებამდე,

და ის, რომ პრომეთეუსი გადაცემული იყო მისაჯაჭვად ქვეყნის კიდეზე, კავკასიონზე, [ამ ამბების გამო] უნდოდათ როგორმე ესიამოვნებინათ მეფისათვის და გადაიტახეს მთის სახელი ინდოეთში.

6. მართლაც, კავკასიონის უმაღლესი ნაწილი არის სამხრეთით მდებარე, რომელიც მიმართულია ალბანიის, იბერიის, კოლხებისა და პენიოხებისაკენ: დასახლებულია [იმ ხალხით], რომელიც, როგორც ვთქვით, თავს იყრის დიოსკურიაში. ხოლო ესენი აქ თავს იყრიან მეტწილად მარილის გამო. ამათგან [ნაწილს] უპყრია მაღლობები, ხოლო [მეორე ნაწილი] ბინადრობს ხეობებში და ცხოვრობენ უპირატესად მხეცების ხორცით, ველური ნაყოფითა და რძით. მწვერვალები ზამთრობით გაუვალია, ხოლო ზაფხულობით ადიან [ფეხებზე] ლურსმნებით დაჭედილი დამუშავებული ხარის ტყავებამოკრულები, ხოლო [ეს ტყავები] სიფართოვით დაფის ოდენაა [და იკეთებენ ამას] თოვლისა და ყინულის გამო, ხოლო ძირს ტყავებზე მწოლარენი ჩამოდიან თავის ტვირთიანად და მოცურავენ, ისევე როგორც აკეთებენ ამას ატროპატიის მიდიასა და მასიის მთიდან, რომელიც არის არმენიაში: აქ [ფეხსაცმლის] ძირზე აგრეთვე ხის [პატარა] გოგორებს იკეთებენ, რომლებიც ლურსმნებითაა დაჭედილი. ასეთი არის კავკასიოხის მწვერვალები.

7. როდესაც ჩამოვდივართ მთის ფერდობზე, [აქ] უფრო ჩრდილოეთის, მაგრამ ამავე დროს უფრო რბილი კლიმატია, რადგან ეკვრის [ეს ადგილი] სირაკების დაბლობებს. არიან ზოგი ტროგლოდიტები, რომლებიც ცხოვრობენ ბუნაგებში ყინვის გამო, საზრდო ბევრი აქვთ. ტროგლოდიტებს შემდეგ არიან ეგრეთ წოდებული ქამაეკოეტები და პოლიფაგები და ეგსადიკების სოფლები, რომელთაც შეუძლიათ მიწათმოქმედება, რადგან მთლად არ ეკვრიან ჩრდილოეთს.

8. ამათ მოსდევენ მომთაბარეები, რომლებიც მეოტისსა და კასპიას შორის არიან — ნაბიანები, პანქსანები და სირაკთა და აორსთა მოდგმები. ფიქრობენ, რომ აორსები და სირაკები ლტოლვილნი არიან მათგან, რომლებიც უფრო ზემოთ [ცხოვრობენ] და უფრო ჩრდილოეთით არიან აორსებზე.

სირაკთა მეფემ, აბეკემ, როდესაც ფარნაკეს ბოსფორი ეპყრა, წამოაყენა 20.000 მხედარი, სპადინემ, რომელიც იყო აორსთა [მეფე] —200.000, ხოლო ზემოთა აორსებმა უფრო მეტი; რადგანაც ამათ ეპყრათ ქვეყნის მეტი ნაწილი და ფლობდნენ თითქმის მეტ წილს კასპიის სანაპიროსას, ისე რომ შემოჰქონდათ აქლემებით ინდური და ბაბილონური საქონელი, რომელთაც ისინი არმენიელთა და მიდიელთაგან ღებულობდნენ. ისინი ატარებდნენ ოქროულობას სიმდიდრის გამო. აორსები მოსახლეობენ ტანაისთან, ხოლო სირაკები აქარდეონთან, რომელიც კავკასიონიდან მომდინარეობს და ერთვის მეოტისს.

თავი მეექვსე

1. მეორე ნაწილი [აზიისა] იწყება კასპიის ზღვიდან, რომელთანაც პირველი თავდება. იწოდება ეს ზღვა ჰირკანიისადაც. უპირველესად ყოველისა ამ ზღვის შესახებ უნდა ითქვას და მის მიდამოში მცხოვრებ ტომებზე. ეს არის უბე, რომელიც ოკეანედან სამხრეთისაკენ მიემართება, დასაწყისში საკმარისად ვიწროა, ხოლო რაც შიგნით მიდის, მით უფრო ფართოვდება, განსაკუთრებით კი კუთხეში, სადაც აღწევს 5.000 სტადიონს. შესავალიდან კი, რომელიც ესაზღვრება დაუსახლებელ ადგილს, ამ კუნძულამდე ცოტათი მეტი იქნება. ერატოსთენე ამბ–ობ' რომ ელინთათვის ცნობილი გზა ამ ზღვაზე, ის [გზა], რომე-

ლიც არის ალბანებსა და კადუსიელებზე, შეიცავს 5.400 [სტადიონს], ხოლო ის [გზა], რომელიც არის ანარიაკების, მარდებისა და ჰირკანების ქვეყანაზე მდინარე ოქსოსის შესართავამდე 4.800 [სტადიონს]; ხოლო აქედან ბაქსარტემდე არის 2 400 [სტადიონი]. [აზიის] ამ ნაწილის შესახებ და ამდენად დაშორებული ქვეყნების შესახებ [ცნობები] ფრთხილად უნდა მივიღოთ, განსაკუთრებით კი რაც ეხება მანძილებს.

2. შიგ რომ შეეცურდებით, ევროპელთა მარჯვნივ არიან სკვითები და სარმატები, რომლებიც ცხოვრობენ ტანაისსა და ამ ზღვას შორის, ესენი მეტწილად მომთაბარეები არიან, ამათ შესახებ უკვე ვილაპარაკეთ; მარცხნისაკენ კი არიან აღმოსავლეთის სკვითები, ესენიც მომთაბარეები არიან და გადაჭიმულნი არიან აღმოსავლეთის ზღვამდე ან ინდოეთამდე. ძველი ელინი აღმწერელნი ყველა ამ ჩრდილოეთის ხალხებს საზოგადოდ სკვითებსა და კელტოსკვითებს უწოდებდნენ. ისინი, რომლებიც პირველად ჰყოფდნენ მათ, ვინც ცხოვრობს ევქსინის, ისტროსისა და ადრიასის [ზღვის] ზემოთ, უწოდებდნენ მათ ჰიპერბორეებს, სავრომატებსა და არიმასპებს. ხოლო კასპიის გადაღმა მცხოვრებთ ზოგს უწოდებენ საკებს, ზოგს მასაგეტებს, [თუმცა] ვერაფერს ამბობენ ამის შესახებ დაბეჯითებით, თუმცა კი მოგვითხრობენ კიროსის ომის შესახებ მასაგეტების წინააღმდეგ. მაგრამ არც ამათ შესახებ არაფერია დაზუსტებული ვეშმარიტების ხაზით, არც სპარსელთა, მიდიელთა და სირიელთა შესახებ ძველი [ამბები] არ არიან დიდად სარწმუნონი აღმწერელთა სიმარტივისა და ზღაპართმოყვარეობის ძიზეზით.

3. რადგან [აღმწერელნი] ხედავდნენ, რომ ნამდვილი ზღაპართმწერალნი პატივით სარგებლობენ, [ამიტომ] იფიქრეს, რომ თვითაც მოუტანდნენ [მკითხველებს] სასიამოვნო ნაწერებს, თუ ისტორიის სახით მოგვითხრობდნენ იმას, რაც არასოდეს უნახავთ, არც მოუსმენიათ, [ან თუ მოუსმენიათ], არა [ამბ-ს] მნახველთაგან; და [ეს აღმწერელნი] ზრუნავენ მხოლოდ იმაზე, რომ [მათი შეთხზული] სასიამოვნო მოსასმენი იყოს და საოცარი. უფრო ადვილია, ვინმემ დაუჯეროს ჰესიოდესა და ჰომეროსს, გმირთა ამბების მთხრობელთ, და ტრაგიკოს პოეტებს, ვიდრე კტესიას, ჰეროდოტეს, ჰელანიკესა და სხვა მისთანათ.

4. ალექსანდრეს შესახებ მწერლებს, ბევრს არც უნდა დაეუჯეროთ ადვილად, რადგან ესენი ადვილად თხზავენ ალექსანდრეს სახელის გამო და აგრეთვე იმიტომ, რომ [ალექსანდრე] ლაშქრობდა აზიის უკიდურეს კუთხემდე, დიდად დაშორებით ჩვენგან. ხოლო შორეულის შესახებ საწინააღმდეგოს თქმა ძნელია. რომაელთა და პართელთა მფლობელობა მეტს რასმე ხდის ფარდას უწინდელ გადმოცემებთან შედარებით, რადგანაც ამ მხარეებისა და ტომების აღმწერლები, რომელთა შორისაც ხდებოდა საქმეები, უფრო სარწმუნოდ ლაპარაკობენ, ვიდრე ისინი, რომლებიც ამათზე წინ იყვნენ. ესენი ხომ საგანგებოდ უკვირდებიან.

ტაციტუსი

ტაციტუსი პუბლიუს კორნელიუსი (Tacitus Publius Cornelius) (დაახლ. 55—დაახლ. 120 წწ.), რომაელი ისტორიკოსი, ეთნოგრაფიის „მამად" მიჩნეული.

ტაციტუსი იყო უკანასკნელი დიდი რომაელი ისტორიკოსი. იგი დაიბადა და აღიზარდა არისტოკრატიულ ოჯახში, მიიღო კარგი განათლება რიტორიკის დარგში, რამაც ხაშუალება მისცა უკვე ახალგაზრდობის წლებში გამხდარიყო ცნობილი ორატორი. 88 წელს ტაციტუსი გახდა პრეტორი, 97 წელს—კონსული, ხოლო 112 წელს — რომის პროვინცია აზიის პროკონსული.

როგორც მწერალი, ტაციტუსი ცნობილი გახდა 96 წელს, როდესაც გამოქვეყნდა მისი მცირე მოცულობის ნაწარმოები „ცხოვრება და ბუნება იულიუს აგრიკულასი", რომელიც 93 წელს გარდაცვლილ მის სიმამრს იულიუს აგრიკულას ეძღვნებოდა. იმავე 96 წელს ტაციტუსმა დაასრულა მეცნიერული გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული ტრაქტატი „გერმანია", რომლის პირველი ნაწილი წარმოადგენს ძველი გერმანელების ხაზოგადოებრივი მოწყობისა და ყოფის აღწერას და მოგვითხრობს მათი წარმოშობის შესახებ, ხოლო მეორე ნაწილში წარმოდგენილია ცალკეული გერმანელი ტომების დახასიათება. 102 წლის ახლოს დაწერილ ტრაქტატში „დიალოგი ორატორების შესახებ" ის აშუქებს იმ დროის მწვავე სადისკუსიო საკითხს ორატორული ხელოვნების დაცემის მიზეზების შესახებ. ამ ნაშრომში იგი ახაბუთებს თავის გასვლას ორატორობიდან და ლიტერატურული საქმიანობის, უფრო ზუსტად ისტორიოგრაფობის დაწყების მიზეზებს.

თავისი მთავარი ისტორიული ნაშრომები — „ისტორია" („Historiae") და „ანალები" („Annales") ტაციტუსმა მიუძღვნა რომის ისტორიას ავგუსტუსის სიკვდილით დაწყებული დომიციანეს მკვლელობამდე (14—96 წწ.). „ისტორიის" 14 წიგნიდან, რომლებშიც მოთხრობილი იყო 69—96 წლების ამბები, რომელთა მონაწილეც ტაციტუსი იყო, მოღწეულია 1—4 და მე-5 წიგნის დასაწყისი. რაც შეეხება მის უფილაზე ხრულყოფილ და ბოლო ნაშრომს „ანალებს", მისი 16 წიგნიდან მოღწეულია 1—6 (ტიბერიუსის ეპოქა, 14—37 წწ.) და 11—16 წიგნები (კლავდიუსის და ნერონის დრო, 47—66 წწ.); მათგან 5, 6 და 16 შემოინახა არასრულად.

ტაციტუსის გარდაცვალების შემდეგ, მისი შრომები თითქმის მთლიანად დავიწყებულ იქნა. გამონაკლისია მხოლოდ ის ფაქტი, რომ IV ს-ის ბოლოს ამიანე მარცელინმა მაღალი შეფასება მისცა ტაციტუსის შემოქმედებას და კიდევაც გააგრძელა მისი „ისტორია", რომელიც მიიყვანა 378 წლამდე. შუა საუკუნეებში მისი სახელი კვლავ დავიწყებას მიეცა, მაგრამ მე-14 საუკუნის ბოლოს აღიძრა ინტერესი ტაციტუსის ცალკეული შრომებისადმი, ხოლო ჰუმანისტები შეუდგ-

ნენ მისი წიგნების ხელნაწერების ძიებას. 1574 წელს გამოქვეყნდა ტაციტუსის შრომების კრებული, საიდანაც დაიწყო მისი მსოფლიო აღიარება.

ქრისტომათიაში მთლიანად არის წარმოდგენილი ტაციტუსის ნაშრომი „გერმანელების წარმოშობა და გერმანიის ადგილმდებარეობა". ამ შესანიშნავ ნაშრომში იმდენად დაწვრილებით და ამომწურავადაა აღწერილი და დახასიათებული მეორე საუკუნის გერმანელი ტომების სოციალური ვითარება, რომ მის მიხედვით უეჭველობით შეიძლება იმდროინდელი საზოგადოებრივი წესწყობილების დადგენა. ამ ცნობების მიხედვით, აშკარაა, რომ გერმანელი ტომები გვაროვნული წყობილების საფეხურზე იდგნენ; მათში ფატრიარქალური ხანის გადმონაშთებიც იყო შემორჩენილი.

ტაციტუსს თავისი ნაშრომში შედგენილი აქვს გარკვეული, წინასწარ განსაზღვრული გეგმის მიხედვით. მისი ცნობების ყოვლისმომცველობასა და მრავალფეროვნებაზე მეტყველებს სქემაც, რომლის მიხედვით ტაციტუსის „გერმანიაა" შედგენილი: 1. ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეები და მოსახლეობის სამეურნეო ყოფა; 2. სამხედრო ძალები—ფეხოსნები, წყობა, იარაღი; 3. პოლიტიკური წყობა—მეფეთა და სამხედრო ბელადების არჩევა; 4. ქალების საზოგადოებრივი როლი—თავიანთი მეომარი ბუნებით ისინი კიდევ უფრო მაღლა სწევენ სამხედროების საბრძოლო თვისებებს; 5. რელიგია და წეს-ჩვეულებები; 6. საზოგადოებრივი თავშეყრები; 7. სასამართლო და დასჯის ფორმები; 8. სამხედრო ბელადები და ერითი მეომრები; 9. ყოველდღიური საქმიანობა; 10. დასახლებანი და ნაგებობათა ტიპები; 11. ტანსაცმელი; 12. საოჯახო და საქორწილო წესები; 13. ზნეობრიობა; 14. ბავშვების აღზრდა და ნათესაური ურთიერთობები; 15. სისხლის აღების წესი და სტუმარმოყვარეობა; 16. ღრეობები, საუბელი და გართობანი; 17. მონები და თავისუფლები; 18. მიწის საკუთრების ფორმები; 19. დაკრძალვა.

ტაციტუსის შრომებში შემონახულია ცნობები სხვა ხალხების, კერძოდ, იბერიელებისა და სომხების შესახებ. ისინი ეხებიან იმ დროინდელი საქართველოს საგარეო და საშინაო ცხოვრებას I—II საუკუნეებში — ფარსმანს, რადამისტს, მითრიდატეს და სხვებს.

ბიბლიოგრაფია

1) Корнелий Тацит, Сочинения в двух томах. Том I. Анналы. Малые произведения, М. 1969.

2) ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ, ლათინური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი ნარკვევითა და კომენტარებითურთ გამოსცა ალ. გამყრელიძემ, თბ., 1973.

ლიტერატურა

Словарь античности, М., 1989.

გერმანელების წარმოშობისა და გერმანიის ადგილმდებარეობის შესახებ*

1. გერმანია გალებისაგან, რეტებისა და პანონიელებისაგან გამოყოფილია ჭდინარეებით — რაინითა და დუნაით, სარმატებისა და დაკებისაგან — ურთიერთ შიშითა და მთებით; მის სხვა ნაწილებს გარს ერტყმის ოკეანე, რომელიც აკრავს ხმელეთის ვრცელ შვერილებსა და დიდ მანძილზე განფენილ კუნძულებს, რომელთაგან ზოგიერთი, ჩვენ მიერ ახლახან გაცნობილი ხალხებითა და მეფეებით აღმოვაჩინეთ ომის შედეგად. რაინი სათავეს იღებს რეტული ალპების მიუდგომელ და ციცაბო ქედზე, მცირე მანძილზე იხრება დასავლეთით და ჩაედინება ჩრდილო ოკეანეში. დუნაი გადმოედინება დამრეცი და თანდათან ამაღლებული აბნობის მთიანი ჯაჭვიდან, მიედინება მრავალი ხალხის მიწაზე და ექვს ტოტად ჩაედინება პონტოს ზღვაში, მეშვიდე ტოტი დაჭაობებულია.

2. რაც შეეხება გერმანელებს, მე უფრო ვიხრები იმ აზრისაკენ, რომ ისინი მივიჩნიოთ ამ ქვეყნის მკვიდრ მცხოვრებლებად, რომელთა სულ მცირე აღრევა მოხდა მათთან მისულ სხვა ხალხებთან და იმ გადმოსახლებულებთან, რომელთაც მათ გაუწიეს მასპინძლობა, რამეთუ ძველ დროში ისინი, ცდილობდნენ რა შეეცვალათ საცხოვრებელი, გადაადგილდებოდნენ არა სახმელეთო გზით, არამედ ხომალდებით. ხოლო თვალუწვდენელ და ამავე დროს, მე ვიტყოდი, მტრულად განწყობილ ოკეანეში იშვიათად დაცურავდნენ ხომალდები ჩვენი სამყაროდან. ან კი ვინ დატოვებდა აზიას, აფრიკას ან იტალიას, რომ არაფერი ვთქვათ მრისხანე და უცნობ ზღვაში ცურვის საშიშროებაზე, და გამოეშურებოდა გერმანიისაკენ, სადაც მკაცრი ცა და მიწაა, რომელიც თვალისთვისაც უსახური სანახავია და საცხოვრებლადაც უსიხარულო. მხოლოდ მათ უყვართ ეს ბიწა, ვისთვისაც იგი სამშობლოა.

ძველ სიძველეებში, — გერმანელებისათვის კი ცნობილია წარსულზე, გარდასულ ამბებზე თხრობის მხოლოდ ასეთი სახე და მხოლოდ ასეთი ანალები, — ისინი ხოტბას ასხამენ დედამიწის მიერ შობილ ღმერთ ტუისტონს. მისი ვაჟი მანი არის მათი ხალხის წინაპარი; მას მიაკუთვნებენ სამ ვაჟიშვილს, რომელთა სახელების მიხედვით, ოკეანის მახლობლად მცხოვრებთ უწოდებენ ინგვეონებს, შუაში მცხოვრებთ — გერმიონებს, სხვა დანარჩენებს — ისტვეონებს. რადგან წარსული ფრთას ასხამს ყოველგვარ მონაგონს, ვარაუდს, ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ ღმერთს უფრო მეტი ვაჟი ჰყავდა და აქედანაა ხალხთა უფრო მეტი სახელწოდება, როგორიცაა მარსები, გამბრივები, სვებე-

---

* წყაროდან: Корнелий Тацит, Сочинения в двух томах, т. I, Анналы. Малые произведения, издание подготовили А. С. Бобович, Я. М. Боровский, М. Е. Сергеенко, Л., 1969, с. 353—373.

ბი, ვანდალები, და რომ ეს სახელები ნამდვილია და ძველია. ამის საწინააღმდეგოდ, სიტყვა გერმანია — ახალია და ხმარებაში ახლახანაა შესული, რამეთუ ისინი, რომლებმაც პირველებმა გადალახეს რაინი და განდევნეს გალები, დღეს ცნობილნი არიან ტუნგრების სახელით, ხოლო მაშინ მათ უწოდებდნენ გერმანელებს. ამრიგად, ტომის სახელწოდება გავრცელდა მთელ ხალხზე; თავდაპირველად შიშის გამო, ყველა უწოდებდა მათ გამარჯვებულებს, ხოლო შემდეგ, რაც ეს სახელწოდება დამკვიდრდა, მათაც თავიანთ თავს გერმანელები უწოდეს.

3. ამბობენ, რომ ჰერკულესი მათთანაც იყო და ბრძოლასაც აპირებდა, ისინი მას აქებენ, ხოტბას ასხამენ როგორც მამაც მამაკაცს, რომელსაც ვაჟაცობით ვერავინ შეედრება. მათ აქვთ ისეთი შელოცვებიც, რომლებსაც უწოდებენ „ბარდიტ“-ს და რომელთა წარმოთქმა აღაგზნებს მათ საბრძოლო განწყობილებას, და იმის მიხედვით თუ როგორია მისი ელერადობა, მსჯელობენ მომავალი ბრძოლის შედეგებზე; ისინი ხომ შიშის ზარს სცემენ მტერს ან პირიქით, თავად თრთიან მის წინაშე იმის მიხედვით, თუ როგორ ელერს მათი მეომრების სიმღერა, ამასთან მხედველობაში იღებენ არა იმდენად მეომართა ხმებს, არამედ იმას, გამოამჟღავნეს თუ არა ერთსულოვნება მამაცობაში. ისინი ყველაზე მეტად მიისწრაფვიან ბგერის სიმკვეთრისაკენ და გუგუნის მონაცვლეობით გაზრდისა და შენელებისაკენ, ამასთან მათ პირთან მიაქვთ ფარები, რათა მათგან ასხლტილ ხმებს ჰქონდეთ ძალა, სრულხმოვანება და ძლიერება. სხვების აზრით, ოდისევსმა, რომელიც მოხვდა ამ ოკეანეში თავისი ცნობილი, ხანგრძლივი და ლეგენდარული მოგზაურობის დროს, მოინახულა გერმანიის მიწები და იმასაც ამბობენ, რომ რაინის ნაპირზე მდებარე და დღემდე დასახლებული ქალაქი ასციბურგი დაარსებულ და სახელდებულ იქნა მის მიერვე; ამ ადგილზე ხომ ოდესღაც აღმოაჩინეს ოდისევსისადმი მიძღვნილი საკურთხეველი და გარდა ამისა, მასზე ამოკვეთილი მისი მამის—ლაერტის სახელი; ზოგიერთი ძეგლი და სამარხი ბერძნული წარწერებით ახლაც არსებობს გერმანიის და რეციის საზღვარზე. მე არ ვაპირებ ამ მსჯელობის არც განმტკიცებას დამადასტურებელი საბუთებით და არც საწინააღმდეგოს მტკიცებას. დაე, თითოეულმა, თავისი შეგნებიდან გამომდინარე, იწამოს იგი ან უარყოს.

4. თავად მე ვუერთდები იმათ აზრს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ გერმანიის ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები, რომლებიც ქორწინების გზით არასოდეს აღრეულან სხვა უცხო ტომებთან, ძველთაგან, უხსოვარი დროიდან წარმოადგენენ განსაკუთრებულ ხალხს, რომელმაც შეინარჩუნა თავდაპირველი სიწმინდე, და რომელიც არავის არ ჰგავს. აქედან გამომდინარე, მიუხედავად ხალხის ასეთი რიცხვისა, ყველასათვის დამახასიათებელია ერთი და იგივე გარეგნობა: მკაცრი ცისფერი თვალები, ქერა თმები, ახოვანი, ბრგე აღნაგობა, რომელთაც შეუძლიათ ძალ-ღონის მხოლოდ ხანმოკლე დაძაბვა; ამავე დროს, მათ არ ჰყოფნით ნებისყოფა, რათა გულმოდგინედ და დაძაბულად იშრომონ, და ისინი სრულებით ვერ იტანენ წყურვილსა და პაპანაქებას, მაშინ როდესაც უამინდობამ და ნიადაგმა ისინი მიაჩვია, ადვილად აიტანონ სიცივე და შიმშილი.

5. ქვეყანა გარეგნულად აქა-იქ თუმცა განსხვავებულია, მაგრამ მთლიანობაში გვაძრწუნებს და ზიზღს იწვევს თავისი ტყეებითა და ჭაობებით; განსაკუთრებით ნესტიანია ქვეყნის ის მხარე, რომელიც უყურებს გალიას, და პირიქით, ქარი ქრის იმ მხარეში, რომელიც მიმართულია ნორიკისა და პანონიისაკენ; მთლიანობაში საკმაოდ ნაყოფიერი, იგი უვარგისია ხეხილისათვის; უამრავია წვრილფეხა საქონელი, რომელიც უმეტესწილად ტანმორჩილია. თვით ხარებიც კი

მოკლებულნი არიან მათი თავებისათვის ჩვეულ დამაგვირგვინებელ მედიდურ სამკაულს, მაგრამ გერმანელებს ახარებთ თავიანთი ჯოგების სიმრავლე, და ეს მათი ერთადერთი და ყველაზე საყვარელი ქონებაა. ოქროსა და ვერცხლზე ღმერთებმა მათ უარი უთხრეს, არ ვიცი, მათდამი კეთილგანწყობისა თუ მათზე განრისხების გამო. თუმცა, მე ვერ დავიწყებ მტკიცებას, რომ გერმანიაში არ არის არც ერთი ოქროსა და ვერცხლის შემცველი ძარღვი; ისინი ხომ იქ არავის უძებნია? გერმანელები ისევე ნაკლებად ზრუნავენ ოქროსა და ვერცხლის დაუფლებაზე, როგორც მათ გამოყენებაზე ყოველდღიურ ცხოვრებაში, ყოფაში. მათთან შეგიძლიათ ნახოთ ელჩებისა და ბელადების მიერ საჩუქრად მიღებული ვერცხლის ჭურჭელი, მაგრამ ისინი მათ თიხისაგან გამოძერწილებზე მეტად არ უფრთხილდებიან; თუმცა ჩვენს მახლობლად მცხოვრებლებმა იციან ოქროსა და ვერცხლის ფასი ვაჭრობაში მათი გამოყენების გამო და ერკვევიან ჩვენს ზოგიერთ მონეტაში, ზოგიერთ მათგანს უპირატესობასაც ანიჭებენ; რაც შეეხება შიდა რაიონების ბინადართ, ცხოვრობენ რა გაშლილ სივრცეში, ძველებურად ისინი შემოიფარგლებიან გაცვლითი ვაჭრობით. გერმანელები გადასახდელად იღებენ მხოლოდ უძველესი დროიდან ცნობილ, ძველად მოჭრილ ფულს, ისეთს, რომელსაც აქვს დაკბილული კიდეები, და ისეთსაც, რომელზედაც გამოსახულია წვრილცხენშებმული ორთვალა ეტლი. ვერცხლს ისინი უფრო უფრთხილდებიან, ვიდრე ოქროს, მაგრამ არა იმის გამო, რომ ვერცხლი უყვართ, არამედ იმიტომ, რომ უბრალო და იაფი საქონლის ყიდვისას ვერცხლის მონეტებით ანგარიშსწორება უფრო ადვილი და მოსახერხებელია.

6. რკინაც, თუ ვიმსჯელებთ მათ მიერ დამზადებული იარაღის მიხედვით, არა აქვთ უხვად. იშვიათად თუ ხმარობს ვინმე დიდი ზომის მახვილებსა და შუბებს, ისინი ატარებენ შუბებს ანუ, როგორც ისინი მათ თავის ენაზე უწოდებენ, ფრამეებს, ვიწრო და მოკლე ბუნიკებით, თუმცა ისინი იმდენად ბასრი და მოსახერხებელია ბრძოლაში, რომ ამ იარაღით, ვითარებიდან გამომდინარე, იბრძვიან როგორც შორიდან, ასევე ხელჩართული შეტაკებისას. და მხედარიც, ასევე, კმაყოფილდება ფარითა და ფრამეით, მაშინ როდესაც ქვეითებს, ამის გარდა, აქვთ ხელშუბები, თითოეულ მათგანს რამდენიმე, და ისინი, თითქმის შიშველნი ან მხოლოდ მსუბუქი მოსასხამებით შემოსილნი, მათ საოცრად შორს ისვრიან. მათში ვერ შენიშნავთ სულ მცირეოდენ მისწრაფებასაც კი, თავი მოიწონონ მოკაზმულობით, მხოლოდ ფარები აქვთ მოხატული ხასხასა ფერებით. მხოლოდ ზოგიერთს აქვს ჯავშანი, ამათგან ერთიორს — ლითონის ჯავშანი ან ტყავის მუზარადი. მათი ცხენები არ გამოირჩევიან არც სილამაზით და არც ფეხმარდობით, არც სიფიცხით. და მათ არ ასწავლიან ნებისმიერ მხარეს ბრუნების გაკეთებას, როგორც ეს ჩვენშია მიღებული: მათ ან პირდაპირ, წინ მიაგელვებენ, ან მარჯვნივ დახრით, წარმოქმნიან იმდენად შეკრულ წრეს, რომ არცერთი მხედარი არ აღმოჩნდეს ბოლო. და საერთოდ თუ ვიტყვით, მათი ძალა უფრო ქვეითებშია, ამ მიზეზით ისინი იბრძვიან შენაცვლებით; ქვეითები, რომლებსაც ამისათვის მთელი მეომრებიდან არჩევენ და აყენებენ სამხედრო წყობის წინა ხაზზე, ისე სწრაფნი და მოძრავნი არიან, რომ სისწრაფეში მხედრებს არ ჩამოუვარდებიან და მათთან თანწყობილად მოქმედებენ ცხენოსანთა შეტაკებისას. დადგენილია ამ ქვეითების რიცხვიც: თითოეული ოლქიდან ასი; ამავე სიტყვით მოიხსენიებენ ისინი მათ ერთმანეთში და ის, რაც ადრე იყო რაოდენობის აღმნიშვნელი, ახლა საპატიო სახელწოდებაა. უკანდახევა, რთა შემდეგ კვლავ შეუტიო მტერს, — მათში მიჩნეულია მეომრულ გონიერებად, გამჭრიახობად და არა შიშის გამოვლინებად.

დალუპულ თანამებრძოლთა გვამები თან მიაქვთ დამარცხების შემთხვევაშიც კი. მიატოვო, დაკარგო, დაგდო ფარი—უდიდესი სირცხვილია, და ვინც ასეთ შერცხვენას გადაიტანს, ეკრძალება ღვთისმსახურებასა და სახალხო კრებებზე დასწრება, და ბევრმა, რომელმაც სიცოცხლე შეინარჩუნა ომებში, თავისი სახელგატეხილი, ნაძრახი სიცოცხლე ყელზე ყულფით დაასრულა.

7. მეფეებს ისინი ირჩევენ ყველაზე უფრო წარჩინებულთაგან, ბელადებს—ყველაზე მამაცთაგან. მაგრამ მეფეებსაც არა აქვთ უსაზღვრო და განუყოფელი ძალაუფლება, და ბელადებიც უფროსობენ მათზე, მაგალითს აძლევენ და მათ აღფრთოვანებას იწვევენ, თუ ისინი მტკიცედ მოქმედებენ, თუ ღირსებით გამოიჩრჩევიან, თუ ყოველთვის უფრო წინა ხაზზე იბრძვიან, ვიდრე რეალურად მინიჭებული ძალაუფლების მქონენი. თუმცა, ვისიმე არც სიკვდილით დასჯა, არც ხელბორკილის დადება, და თვით გამათრახებაც კი არავის შეუძლია გარდა ქურუმებისა, და ისინიც ამას აკეთებენ არა დასჯის მიზნით და ბელადის განკარგულებით, არამედ როგორც ღმერთის ნების აღსრულებას, რომელიც, მათი რწმენით, იმყოფება მებრძოლთა შორის. ბრძოლებში თან მიაქვთ წმინდა კოროზიდან წამოღებული გამოსახულებანი და სიწმინდეები, მაგრამ ყველაზე მეტად ბათ მამაცობისაკენ უბიძგებს ის, რომ მათი ცხენოსანთა რაზმები და საბრძოლო სოლები დგება არა ვითარების თავისებურებიდან გამომდინარე, ან შემთხვევით ბრბოს კი არ წარმოადგენენ, არამედ ისინი ერთმანეთთან ოჯახური კავშირებითა და სისხლის ნათესაობით არიან დაკავშირებულნი; ამასთან, ახლობლები გვერდით ჰყავთ და მათ ესმით ქალების ქვითინი, ყრმების ტირილი, თითოეულისათვის კი ეს მოწმეები ყველაზე წმინდაა, რაც მათ გააჩნიათ, მათი შექება ყველაზე ძვირფასია; დედებთან, მეუღლეებთან მიდიან თავიანთი ჭრილობებით და მათაც არ ეშინიათ დაითვალონ და დათვალიერონ ისინი, სწორედ ახლობლებს მოაქვთ მათთან — მტერთან მებრძოლებთან — საკვები და ამხნევებენ მათ.

8. როგორც მოგვითხრობენ, არაერთხელ ყოფილა, რომ შემდრკალი და დაბნეული მეომრებისათვის დაქსაქსვის საშუალება არ მიუცია ქალებს, რომლებიც ირტყამდნენ მჯიღს შიშველ მკერდზე და დაჟინებით ემუდარებოდნენ მეომრებს, არ გაეწირათ ისინი ტყვეობისათვის, რაც გერმანელებისათვის კიდევ უფრო აუტანელია, განსაკუთრებით, როცა საქმე მათ მეუღლეებს ეხება. სწორედ ამიტომაა უფრო იოლი იმ ტომების მორჩილებაში ყოლა, რომლებსაც მოთხოვნა წაუყენეს, მძევალთა შორის ყოფილიყვნენ წარჩინებული წარმოშობის ქალიშვილებიც. გერმანელებს მიაჩნიათ, რომ ქალებში არის რაღაც წმინდა და მათ აქვთ წინასწარმეტყველის ნიჭი, ამიტომაც უყურადღებოდ არ ტოვებენ მათ მიერ მიცემულ რჩევებს და აბუჩად არ იგდებენ, არ უგულებელყოფენ მათ წინასწარმეტყველებებს. ღვთაებრივი ვესპასიანეს მმართველობის დროს მათ შორის ვნახეთ ველედა, რომელსაც დიდი ნნის განმავლობაში უმრავლესობა პატივს სცემდა როგორც ღვთაებას; ძველთაგან ისინი თაყვანს სცემენ ალბრუნეს და სხვა მრავალს, და არა პირფერობის გამო, ან იმისათვის, რომ მომავალში ისინი ქალღმერთებად ექციათ.

9. ღმერთებიდან ყველაზე მეტად ისინი თაყვანს სცემენ მერკურს და თავს ვალდებულად მიიჩნევენ, გარკვეულ დღეებში მას მსხვერპლად შესწირონ ადამიანებიც. ჰერკულესსა და მარსს გულს ულბობენ სამსხვერპლოზე მათდამი მსხვერპლად მიტანილი ცხოველებით. სვებების ნაწილი მსხვერპლს სწირავს ისიდასაც; თუ რა არის მიზეზი და როგორია ამ უცხოური ღვთისმსახურების წარმოშობის საფუძველი, კარგად ამის გაგება ვერ შევძელი, მაგრამ ვინაიდან მათი

წმინდანი ლიბურნის სახით არის გამოხატული, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს კულტი შემოტანილია გარედან. თუმცა, ისინი აღნიშნავენ, რომ ღმერთების დიდებულების გამო შეუძლებელია მათი კედლებში ჩამწყვდევა და ისიც, რომ მათ ადამიანის სახის მსგავსი გამოსახულება მისცე. და ისინი უძღვნიან მათ მუხნარსა და კორომს და მათ ღმერთების სახელებს არქმევენ.

10. არავინ არაა, ვინც ისეთი რწმენითაა აღვსილი ნიშნებისა და მკითხაობის მიმართ, როგორც ისინი. ისინი არჩევანს აკეთებენ ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშე; ხეხილის ხიდან მოკრილ ტოტს ისინი ნაფოტებად აქცევენ და მასზე გადააქვთ განსაკუთრებული ნიშნები და, როგორც მოხვდებათ, ყრიან თოვლივით თეთრ ქათქათა ქსოვილზე. ამის შემდეგ, თუ მკითხაობა წარმოებს საზოგადოებრივი მიზნებისათვის, ტომის ქურუმი, ხოლო კერძო სახით, ოჯახის უფროსი ღმერთებისადმი აღავლენს ლოცვას და ზეცისაკენ მიპყრობილი მზერით სამჯერ ამოიღებს თითო-თითო ნაფოტს და მათზე წინასწარ ამოკაწრული ნიშნების მიხედვით იწყებს წინასწარმეტყველებას. თუ ის უქადის მარცხს, იმავე საკითხზე ხელახალი შეკითხვა ამ დღის განმავლობაში აკრძალულია, თუ პირიქით, უქადის სიკეთეს, აუცილებელია, წინასწარმეტყველება კიდევ დადასტურდეს ფრინველებზე მკითხაობით. აქაც ხომ ასევეა მიღებული ამოიცნონ წინასწარმეტყველება ფრინველთა ხმებისა და ფრენის მიხედვით; და მხოლოდ გერმანელებს აქვთ წესად ის, რომ წინასწარმეტყველებისა და ნიშნებისათვის ცხენებსაც მიმართავენ. ცხენები, ეკუთვნიან რა მთელ ტომს, მოშინაურებული ჰყავთ იმავე წმინდა მუხნარებსა და კორომებში. თვალისმომჭრელად თეთრ ცხენებს არ აიძულებენ, შეასრულონ მიწის რაიმე სამუშაოები; წმინდა ორთვალა ეტლში შებმულებს თან ახლავთ ქურუმი მეფესთან ან ტომის ბელადთან ერთად და თვალყურს ადევნებენ მათ ჭიხვინსა და ფრუტუნს და არავითარ წინასწარმეტყველებას არა აქვს უფრო მეტი დამაჯერებლობა, ვიდრე ამას, და არა მარტო უბრალო ხალხში, არამედ დიდგვაროვანთა და ქურუმთა შორისაც, რომლებიც თავიანთ თავს ღმერთების მსახურებად, ხოლო ცხენებს — შუამავლებად მიიჩნევენ. მათში არსებობს ნიშნების აღმოჩენის სხვა ხერხიც, რომელსაც ისინი მაშინ მიმართავენ, როდესაც სურთ გაიგონ მძიმე ბრძოლის შედეგი. ამ შემთხვევაში ისინი აწყობენ, ვისთანაც ომობენ იმათგან ნებისმიერ ვითარებაში შეპყრობილი ტყვისა და ამისათვის შერჩეული რომელიმე თანატომელის ორთაბრძოლას, და ისინი იბრძვიან, თითოეული ხმარობს მშობლიურ იარაღს. რომელიმე მათგანის გამარჯვებას ისინი აღიქვამენ როგორც მომავლის წინასწარმეტყველებას, განკვრეტას.

11. უფრო ნაკლები მნიშვნელობის საქმეებზე თათბირობენ, ბჭობენ მათი უხუცესები, და უფრო მეტად მნიშვნელოვანზე — ყველა; თუმცა, უხუცესები წინასწარ იხილავენ ისეთ საკითხებსაც, რომელთა გადაწყვეტაც მხოლოდ ხალხს ეკუთვნის. თუ რაიმე შემთხვევითი და უცაბედი, მოულოდნელი არ ხდება, ისინი იკრიბებიან განსაზღვრულ დღეებში, ან როცა მთვარე ახლად დაიბადება, ან როდესაც სავსე მთვარეა, რადგან ამ დროს ისინი ყველაზე უფრო ხელსაყრელად მიიჩნევენ საქმეების განხილვის დაწყებისათვის. დროს ისინი ანგარიშობენ არა დღეების, როგორც ჩვენ, არამედ ღამეების მიხედვით. მათი წარმოდგენით ღამეს მოსდევს, მოჰყავს დღე. მაგრამ მათი თავისუფლების გამო, წარმოიშობა არსებითი დაბრკოლება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ისინი თავს იყრიან არა ერთდროულად და არა ისე, როგორც ისინი, ვინც ემორჩილება ბრძანებას, და იმ სიზანტის გამო, რომლითაც ისინი იკრიბებიან, ტყუ-

ილუბრალოდ იკარგება ერთი, ორი ან ზოგჯერ სამი დღე. როდესაც შეკრებილები მიიჩნევენ, რომ დროა დაიწყონ, ისინი სხდებიან შეიარაღებულნი. ქურუმები მათგან ითხოვენ სიჩუმის დაცვას, ამასთან მათ აქვთ უფლება დასჯონ ურჩნი. შემდეგ უსმენენ მეფესა და უხუცესებს მათი ასაკის შესაბამისად, დიდგვაროვნების, საბრძოლო სახელის, მჭევრმეტყველების შესაბამისად. უფრო მეტად მოქმედებენ დარწმუნების მეთოდით, ვიდრე ბრძანების უფლების გამოყენებით. თუ მათი წინადადებები ვერ პოვებენ მხარდაჭერას, კრების მონაწილეები მათ ხმაურით უარყოფენ; თუ პირიქით, მოსწონთ — მაღლა აწეულ ფრჩხილებს არხევენ: მათი შეხედულებით, იარაღით ქების შესხმა მოწონების გამოხატვის ყველაზე საპატიო სახეა.

12. ასეთ სახალხო კრებაზე შეიძლება წამოაყენონ ბრალდება და მოითხოვონ სიკვდილით დასჯა. სასჯელის სიმკაცრე განისაზღვრება დანაშაულის სიმძიმით: გაძცემებსა და მტრის მხარეზე გადასულებს ისინი ხეებზე ჰკიდებენ, ლაჩრებსა და ბრძოლაში წინდაუხედავებს, ასევე ვინც წარიწყმიდა თავისი სხეული — ახრჩობენ ჭუჭყსა და ჭაობში და ზეციდან ნაყარს აყრიან. მოკვლის, მოკვდინების სხვადასხვა ხერხი იმას ეფუძნება, რომ ბოროტმოქმედება და მასზე სასჯელი, მათი აზრით, უნდა მოხდეს საქვეყნოდ, ხოლო სამარცხვინო საქციელი — დაიმალოს. მაგრამ უფრო მსუბუქი დანაშაულის სასჯელი შეეფარდება მის მნიშვნელობას: მხილებულებს ახდევინებენ ცხენებისა და ცხვრების განსაზღვრულ რაოდენობას. მათზე დადებული ჯარიმის ნაწილი გადაეცემა მეფეს ან ტომს, ნაწილი — დაზარალებულს ან მის ნათესავებს. იმავე კრებებზე ირჩევენ ქურუმებს, რომლებიც აღასრულებენ მართლმსაჯულებას ოლქებსა და სოფლებში; თითოეულ მათგანს ეძლევა დაცვა ასი კაცის რაოდენობით უბრალო ხალხიდან — იმავდროულად მათგან შედგება საბჭო და ძალა, რომელსაც ქურუმები ეყრდნობიან.

13. ნებისმიერ საქმეებს — კერძოსაც და საზოგადოსაც — ისინი შეიარაღებულები განიხილავენ, მაგრამ ვერავინ ბედავს, ჩვეულების საწინააღმდეგოდ, ატაროს იარაღი მანამ, სანამ თემის მიერ არ იქნება მიჩნეული ამისათვის მომწიფებულად. მაშინ აქვე სახალხო კრებაზე რომელიმე უხუცესთაგანი, ან მამა, ან ხათესავები უბოძებენ ახალგაზრდას ფარსა და ფრჩხილს: ეს მათი ტოგაა, ესაა ახალგაზრდისათვის ხელმისაწვდომი პირველი პატივი; აქამდე მათში ხედავდნენ ნაწილს ოჯახისას, ამის შემდეგ — ნაწილს ტომისას. გამორჩეული გვარიშვილობისა და წინაპართა მნიშვნელოვანი ღვაწლის გამო თვით ყველაზე ახალგაზრდებიც კი იღებენ ბელადის ღირსებას; სხვა დანარჩენები იკრიბებიან მათ ირგვლივ, ისინი, ვინც ფიზიკური ძალითაა გამორჩეული და ვინც უკვე საქმით გამოიჩინა თავი, და არავისათვის არ არის სამარცხვინო იყოს მათი რაზმელი. თუმცა, რაზმის შიგნით, იმის შეხედულებისამებრ, ვისაც იგი ემორჩილება, დგინდება წეადება-განსხვავებანი მდგომარეობის მიხედვით; და თუ რაზმელები გულმოდგინედ ეჯიბრებიან ერთმანეთს, იმისთვის, რათა მოიპოვონ ბელადის მეტი კეთილგანწყობა, ბელადები კი ცდილობენ, მათი რაზმი იყოს ყველაზე მრავალრიცხოვანი და ყველაზე მამაცი. მათი დიდებულება და ძლიერება ისაა, რომ მუდამ გარშემორტყმულნი იყვნენ რჩეული ახალგაზრდების დიდი კრებულით, რომელიც მშვიდობიანობის დროს სიამაყეა, ომში კი — საყრდენი. ვისი რაზმიც გამოირჩევა რაოდენობითა და სიმამაცით, მისთვის მას მოაქვს სახელი. და ის სახელგანთქმულია არა მარტო თავის ტომში, არამედ მეზობელ ხალხებშიც; მას ეძიებენ, უგზავნიან ელჩობასა და ავსებენ საჩუქრებით, და ხშირად ლოცვა მის შესახებ თავიდან აცილებს ომს.

14. მაგრამ თუ საქმე. შეტაკებამდე მივიდა, სირცხვილია, ბელადს ვინმემ აჯობოს მამაცობაში, სირცხვილია, რაზმმა თავის ბელადს არ მიბაძოს ვაჟკაცობაში. ხოლო იმ ბრძოლიდან ცოცხალი გამოსვლა, რომელშიც ბელადი დაეცა— სახელის გატეხაა და სირცხვილია მთელი სიცოცხლის მანძილზე; დაიცვან ბელადი, გაუფრთხილდნენ, ჩაიდინონ საგმირო საქმეები, იფიქრონ მხოლოდ მის სახელზე — რაზმელების უპირველესი მოვალეობაა: ბელადები იბრძვიან გამარჯვებისათვის, რაზმელები — თავისი ბელადისათვის. თუ თემი, რომელშიც ისინი დაიბადნენ, დამყაყდება ხანგრძლივ მშვიდობასა და უსაქმურობაში, მაშინ მრავალი წარჩინებული ახალგაზრდა მიდის იმ ტომებთან, რომლებიც ჩაბმულნი არიან რომელიმე ომში, რადგან სიმშვიდე ამ ხალხისათვის არ არის მისაღები, ბრძოლებისას მათთვის უფრო იოლია სახელის მოხვეჭა და დიდი რაზმის შენახვაც ხომ სხვაგვარად არ შეიძლება, თუ არა ძალადობითა და ომით; ისინი ხომ თავისი ბელადისაგან ითხოვენ საბრძოლო ცხენს, სისხლსმოწყურებულ და ძლევამოსილ ფრამეებს; რაც შეეხება კვებას და უბრალო, მაგრამ უხვ გამასპინძლებას ნადიმებზე, ყოველივე ამას ისინი გასამრჯელოს ნაცვლად ღებულობენ. ასეთი ფლანგვის, ხარჯვის შესაძლებლობას მათ აძლევს მხოლოდ ომები და ძარცვა. ბევრად უფრო ძნელია დაარწმუნო ისინი, მოხნან მინდორი და მთელი წელი ელოდონ მოსავალს, ვიდრე დაიყოლიო, შეებან მტერს და მიიღონ ჭრილობები, უფრო მეტიც, მათი წარმოდგენით, სიზარმაცე და სულმოკლეობაა ოფლით მოიპოვო ის, რაც შეიძლება სისხლის დათხევით იშოვო.

15. როდესაც ისინი არ ომობენ, მაშინ ბევრს ნადირობენ და უფრო მეტად დროს ატარებენ სრულ უსაქმურობაში, ეძლევიან ძილსა და ღორმუცელობას, და მათგან ყველაზე მამაცნი და მეომარნი, არ ასრულებენ რა რაიმე მოვალეობას, ზრუნვას საცხოვრისზე, საოჯახო მეურნეობასა და ხვნაზე, გადააბარებენ ხოლმე ქალებს, მოხუცებსა და შინაურებიდან ყველაზე სუსტებს, მაშინ როდესაც თვითონ უსაქმურობაში ეფლობიან, თავის მაგალითზე აჩვენებენ ბუნების საოცარ წინააღმდეგობას, რადგან იმავე ხალხს ისევე უყვარს უსაქმურობა, როგორც სძულს სიმშვიდე და მყუდროება. მათთან ასეთი ჩვეულება არსებობს—თითოეულმა ნებაყოფლობით უნდა გამოუყოს ბელადს რაიმე საქონლიდან და მიწის ნაყოფიდან, და ყოველივე ეს, ბელადების მიერ მიღებული პატივისცემის ნიშნად, ემსახურება ასევე მათი საჭიროების, მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მათ განსაკუთრებით ახარებთ საჩუქრები მეზობელი ტომებისაგან, რომელთაც უგზავნიან არა მარტო ცალკეული პირები, არამედ ბევრჯერ მთელი ტომიც კი. ასეთი საჩუქრებია: საუკეთესო, რჩეული ცხენები, ბრწყინვალედ მორთული იარაღი, ფალერები და სპატიო ყელსაკიდები; ახლა კი ჩვენ მათ ვასწავლეთ საჩუქრად ფულის აღებაც.

16. კარგადაა ცნობილი, რომ გერმანიის ხალხები არ ცხოვრობენ ქალაქებში და იმასაც კი ვერ იტანენ, რომ მათი საცხოვრებლები მჭიდროდ ეკვროდეს ერთმანეთს. გერმანელები სახლდებიან თითოეული ცალკე და თავისთვის, ვისაც როგორ და სად მოუვა თვალში წყარო, მინდორი ან მუხნარი. თავის სოფლებს ისინი აწყობენ არა ისე, როგორც ჩვენ, და ერთად არ აქუჩებენ ერთმანეთის შემავიწროვებელ და ერთმანეთზე მიკრულ ნაგებობებს, არამედ თითოეული თავისი სახლის გარშემო ტოვებს ფართო ნაკვეთს, ან იმიტომ, რომ თავი დაიზღვიოს ხანძრისაგან, თუ მეზობელს წაეკიდება ცეცხლი, ან იმიტომ, რომ არ იციან როგორ აშენონ. ისინი ისე აშენებენ, რომ არ იყენებენ არც ქვას, არც კრამიტს; ყველაფერს, რაც მათ სჭირდებათ, აგებენ ხისაგან, მას თით-

ქვის არ ამუშავებენ და არ ზრუნავენ ნაგებობის გარეგნულ მხარეზე და იმაზე, რომ სასიამოვნო იყოს მისი ცქერა. თუმცა, ზოგიერთ ადგილას სახლს ისინი დიდი გულისყურით უსვამენ მიწას, ისე სუფთასა და მბზინავს, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს იგი ფერადი სახეებითაა მოხატული. მათში მიღებულია ასევე მიწისქვეშა ორმოების მოწყობა, რომლის თავზეც ისინი წააყრიან დიდძალ ნაკელს და რომელსაც ზამთარში იყენებენ თავშესაფრად და სურსათ-საწოვების მარაგის შესანახად, რამეთუ ასეთი ტიპის სარდაფები ასუსტებენ ყინვის სიმკაცრეს და, გარდა ამისა, თუ შემოიკრება მტერი, ყველაფერი, რაც კი არ არის სამალავში, იძარცვება, მაშინ როდესაც მისწვისქვეშ გადამალული და დაფარული ეს სანოვაგე ან შეუმჩნეველი რჩება, ან ხელი ვერ მიუწვდებათ მასზე, თუნდაც იმიტომ, რომ საჭიროა მისი მოძებნა.

17. ზედა ტანსაცმელად ყველას აქვს მოკლე მოსასხამი, რომელიც ბალთითაა შეკრული, ხოლო თუ ბალთა არა აქვს, მაშინ ეკალს ხმარობენ. გარდა ამისა, ისინი არაფრით არ არიან შემოსილნი და მთელ დღეებს ატარებენ კერიაში დანთებულ ცეცხლთან. შედარებით მდიდრები იმით გამოირჩევიან, რომ მოსასხამის გარდა, მათ აქვთ ასევე სხვა ტანსაცმელიც, მაგრამ არა ისეთი მოფრიალე, როგორიც აქვთ სარმატებს ან პართელებს, არამედ ვიწრო და ტანზე მჭიდროდ მიტმასნილი. ისინი ატარებენ ნადირთა ტყავებსაც; ვინც მდინარის ნაპირებზე ბინადრობენ, ატარებენ იმას, რასაც შოულობენ, მდინარის ნაპირებიდან შორს მობინადრეთ კი არ გააჩნიათ ვაჭრობით შემოტანილი ტანსაცმელი და ამიტომ ისინი კლავენ მხეცებს შერჩევით და ბეწვის მოცილების შემთხვევაში ტყავზე აკერებენ იმ ცხოველთა ბეწვს, რომლებსაც მოიპოვებენ გარე ოკეანეში ან უცნობ ზღვაში. ქალების ტანსაცმელი მხოლოდ იმით განსხვავდება მამაკაცების ტანსაცმლისაგან, რომ ქალები უფრო სწორად იმოსებიან სელის მოსასხამებით, რომლებსაც ისინი აფერადებენ მეწამული, ძოწისფერი საღებავით, და მათი სახელოები მხრიდან არ ეშვება, ასე რომ, მათი ხელები თავიდან ბოლომდე შიშველია, ასევე ღია და შიშველია მკერდის ნაწილი მკლავების გასწვრივ.

18. ამის მიუხედავად ქორწინებას ისინი მკაცრად იცავენ, მათი არცერთი ზნე-ჩვეულება არ იმსახურებს ისეთ მოწონებას, როგორც ეს. ისინი ხომ თითქმის ერთადერთნი არიან ბარბაროსებში, ძალიან მცირედი გამონაკლისის გარდა, რომლებიც კმაყოფილდებიან ერთი ცოლით, ხოლო თუ ვინმეს ჰყავს რამდენიმე ცოლი, არა ერთის გამო, არამედ იმიტომ, რომ გამორჩეული მდგომარეობა უკავია. მზითვს ცოლი კი არ სთავაზობს ქმარს, არამედ ქმარი ცოლს. ამას ესწრებიან ქალის ნათესავები და ახლობლები და ათვალიერებენ მამაკაცის მიერ მიტანილ საჩუქრებს; დაუშვებელია, რომ ეს საჩუქრები შედგებოდეს ქალის სამკაულებისა და ახალდაქორწინებულთა მორთულობისაგან, არამედ ეს უნდა იყოს ხარები, გახედნილი ცხენი, ფარი ფრამეითა და მახვილით. ამ საჩუქრებისათვის ის იღებს ცოლს და ქალიც სამაგიეროდ ქმარს ჩუქნის რაიმე იარაღს; მათ თვალში ეს ყველაზე მტკიცე კავშირია, ესაა—წმინდა საიდუმლო, ესაა — ცოლქმრობის ღმერთთან ზიარება, რათა ქალმა არ მიიჩნიოს, თითქოს ის არაფერ შუაშია, მას არ ეხება სახელოვანი გმირობის ჩანაფიქრი, განზრახვა და ომების უკუღმართობა, ამიტომ ყველაფერი, რაც დაკავშირებულია მის ქორწინებასთან, ახსენებს, რომ ამიერიდან იგი მოწოდებულია, გაიზიაროს ქმრის შრომა, გარჯა და განსაცდელი, როგორც მშვიდობიან დროს, ასევე ბრძოლებში, გადაიტანოს იგივე და თავი გადადოს იმისათვის, რაზეც თავს დებს

ქმარი; ამას აუწყებს მას ხარების აკაზმულობა, ცხენი, რომელიც მზადყოფნაშია: ესაა მისთვის ბოძებული იარაღი. ასე შეშვენის ცხოვრება, ასე შეშვენის სიკვდილი; ქალი იღებს იმას, რასაც უვნებლად გადასცემს ვაჟებს და რასაც შემდგომში მიიღებენ მისი ძალები, რაც გადაეცემა, თავის მხრივ, მის შვილიძვილებს.

19. ასეა დაცული მათი უმანკოება, და ცხოვრობენ ისე, რომ არ იციან სანახაობით აღძრული ცდუნებანი, არც ცდუნებებით გამრყვნელი ნადიმები. წერის საიდუმლოება უცხოა როგორც კაცებისათვის, ასევე ქალებისათვის. ასეთ ბრავალრიცხოვან ხალხში ძალზე იშვიათია მრუშობა, მათი დასჯა ნებადართულია დაუყოვნებლივ და შეუძლიათ თავად ქმრებს; ქმარი მოღალატეს აპრის თმებს, აშიშვლებს, ნათესავების თანდასწრებით აგდებს თავისი სახლიდან და შოლტის ტყლაშუნით დაარბენინებს მთელ სოფელში; როგორი ლამაზი, ახალგაზრდა და მდიდარიც არ უნდა იყოს ქალი, ის ახალ ქმარს ვეღარ ეღირსება, რამეთუ ბიწიერება, მანკიერება იქ არავისათვის არაა სასაცილო, და გარყვნილება მათთვის არ ნიშნავს — იარო ეპოქის მხარდამხარ. ყველაზე უკეთესად ამ მხრივ საქმე დაყენებულია იმ ტომებში, სადაც ცოლად მიჰყავთ მხოლოდ ქალიშვილები და იქ, სადაც აძლევენ რა ცოლ-ქმრული ერთგულების აღთქმას, ისინი საბოლოოდ კარგავენ ხელმეორედ ქორწინების შესაძლებლობის იმედს. როგორც ერთი აქვთ მათ სხეული და სიცოცხლე, ასევე ჰყავთ ქმარი — ერთადერთი სამარადისოდ, რათა მომავალში მათ არ იფიქრონ არავიზე მის გარდა, რათა მხოლოდ მისი ჟინი ჰქონდეთ, რათა მასში უყვარდეთ არა იმდენად ქმარი, რამდენადაც მეუღლეობა. ბავშვების რიცხვის შეზღუდვა, ან მამის სიკვდილის შემდეგ დაბადებულთაგან ვისიმეს მოკვლა, მათში მიჩნეულია სამარცხვინოდ, და კეთილ ჩვეულებას იქ უფრო მეტი ძალა აქვს, ვიდრე კარგ კანონებს სხვა რომელიმე მხარეში.

20. ნებისმიერ სახლში ისინი იზრდებიან შიშვლები და ჟუჟყიანები, ხოლო გაზრდილებს აქვთ ისეთი აღნაგობა და ტანი, რომ ჩვენ განცვიფრებაში მოვყავართ. დედა თავად აპმევს ძუძუს თავის გაჩენილ ბავშვებს და არ აძლევს მათ გასაზრდელად მოსამსახურეებსა და ძიძებს. ბატონებიც ისევე უბრალოებაში იზრდებიან, როგორც მონები, და მრავალი წლის განმავლობაში ამ მიმართებით მათ შორის არ არის არავითარი სხვაობა: ისინი იზრდებიან იმავე შინაურ ცხოველებთან ერთად, იმავე მიწაზე, სანამ ასაკი არ გამოაცალკევებს თავისუფლად დაბადებულებს, სანამ მათი მამაცობა არ იქნება აღიარებული. ახალგაზრდები ქალთან ურთიერთობას გვიან იწყებენ და ამიტომ მათი მამაკაცური ძალა დაუხარჯავია; არ ჩქარობენ ქალიშვილების გათხოვებასაც, და ამიტომ ისინი დიდხანს ინარჩუნებენ სინორჩეს. ქორწინებისას ისინი ისევე მაგრები და ჯანმრთელები არიან, როგორც მათი ქმრები და მშობლების ძალა გადაეცემათ შვილებს. დების ვაჟებს ისე ეპყრობიან, როგორც თავის საკუთარ შვილებს. უფრო მეტიც, ზოგიერთის აზრით, ასეთი სისხლით ნათესაური კავშირები უფრო წმინდაა და უფრო მჭიდრო და ამჯობინებენ მძევლებად აიყვანონ დისწულები და ძმისწულები, რამეთუ ამ შემთხვევაში თავისუფლება შებოჭილია უფრო მტკიცე ვალდებულებებით და ის მოიცავს ნათესავების უფრო ფართო წრეს. თუმცა, გარდაცვლილის მემკვიდრეები არიან მხოლოდ მისი შვილები; ანდერძი მათ არ იციან. თუ მამაკაცს არ დარჩა შვილები, მაშინ მისი ქონება გადადის იმის მფლობელობაში, ვინც ყველაზე უფრო ახლო ნათესაურ კავშირშია მასთან — ძმებზე, ბიძებზე მამის მხრიდან, ბიძებზე დედის მხრიდან. და რაც უფრო მეტია ნათესავი, ახლობელი, მით უფრო მეტი ყურადღებით არიან გარემოცულნი

ბოხუცები, უშვილობა მათში არ არის. უშვილობას ისინი პატივს არ სცემენ.

21. გაიზიარონ მამისა და ნათესავების სიძულვილი მათი მტრებისადმი და კეთილგანწყობა მათი მეგობრებისადმი — გარდაუვალი, უცილობელი წესია; თუმცა ისინი შეურიგებლობის ჟაობში არ არიან ჩაფლულნი; თვით ადამიანის მკვლელობაც კი მათში გამოისყიდება ხარების და ცხოველების გარკვეული რაოდენობით, და მისი სიკვდილით გამოწვეული დანაკლისის ანაზღაურებას იღებს მთელი გვარი, რაც ხმარდება ასევე მთელი თემის კეთილდღეობას, რამეთუ უსაზღვრო თავისუფლებისას შინაომები განსაკუთრებით დამღუპველია.

არ არსებობს სხვა ხალხი, რომელიც ასეთივე ხალისით მართავდეს ნადიმებს და იყოს ასეთი სტუმართმოყვარე. ვისმეს რომ უარი უთხრან თავშესაფარზე, მათი აზრით, ულირსი საქციელია და თითოეული ცდილობს სტუმარს პატივი სცეს თავისი შესაძლებლობიდან გამომდინარე, ხოლო როდესაც მისი სურსათის მარაგი ამოიწურება, მაშინ ის, ვინც მასპინძელი იყო, უთითებს, მიასწავლის, თუ სად მოუწყობენ მათ გულღია მიღებას, და თავის სტუმართან ერთად მიემართება უახლოესი სახლისაკენ, სადაც ისინი მიპატიჟების გარეშე შედიან. მაგრამ ეს ერაა არსებითი: მათ ორივეს ერთნაირი გულითადობით ღებულობენ. ეშორჩილებიან რა სტუმართმოყვარეობის კანონებს, არავინ არ განასხვავებს ერთმანეთისაგან ნაცნობსა და უცნობს. თუ ვინმე წასვლისას მოითხოვს ნივთს, რომელიც მას მოეწონა, ამ ნივთს, ჩვეულების თანახმად, დაუყოვნებლივ აძლევენ. თუმცა, ასეთივე სიმსუბუქით, ნებაგართულია, მიღებულია მოითხოვონ სტუმრისაგან რაიმე მიცემულის სანაცვლოდ. მათ უხარიათ საჩუქრები, არ მიიჩნევენ თავის მევალედ იმას, ვინც დაასაჩუქრეს და აგრეთვე, თავის თავსაც არ მიიჩნევენ ვალდებულად იმ საჩუქრების გამო, რაც მიიღეს.

22. მათ დიდხანს, გვიან ღამამდე სძინავთ, გამოღვიძებულები პირს იბანენ, უფრო ხშირად თბილი წყლით, ისევე როგორც ისინი, ვისთანაც ზამთარი ხანგრძლივია. პირდაბანილები ჭამენ. ჭამის დროს თითოეულს თავისი ადგილი და საკუთარი მაგიდა აქვს; შემდეგ ისინი საქმეებზე მიეშურებიან და ხშირად ნადიმებზე, ამ დროს ისინი ყოველთვის შეიარაღებულნი არიან. არავისათვის არ არის სამარცხვინო გამოუფხიზლებლად სმა დღისით და ღამით. ხშირი ჩხუბები, რაც გარდაუვალია მეზარალეებს შორის, იშვიათად თავდება სიტყვიერი შელაპარაკებით, ყველაზე ხშირად მკვლელობით ან დაჭრით სრულდება. მაგრამ უფრო ხშირად ნადიმებზე ისინი მსჯელობენ მტრულად განწყობილთა შეერიგებაზე, ქორწინებებზე, პელადთა წამოყენებაზე, ბოლოს ზავსა და ომზე, რადგან მიაჩნიათ, რომ არ არსებობს ამაზე უკეთესი დრო, როცა სული გულახდილობისთვისაა გახსნილი და განსაკუთრებით აღენთება დიადი საქმეების ჩასადენად. ეს ხალხი ბუნებით არ არის ცბიერი და ვერაგი, ასეთი ძალდაუტანებელი შეკრებების ვითარებაში ისინი გაგანდობენ იმას, რასაც მანამდე გულის სიღრმეში ინახავდნენ. ასეთნაირად ყველას აზრები და ჩანაფიქრი შიშვლდება და წარმოჩინდება შელამაზებისა და შენიღბვის გარეშე. მეორე დღეს გრძელდება იმავე საკითხების განხილვა. იმას, რომ საკითხებს ორჯერ განიხილავენ, აქვს გონივრული საფუძველი: ისინი მათ განიხილავენ, როდესაც არ შეუძლიათ თვალთმაქცობა და გადაწყვეტილებას იღებენ, როდესაც არაფერი უშლის ხელს მათ სადად აზროვნებას.

23. მათი სასმელია ქერის ან ხორბლის ნახარში, რომელიც დუღილის შედეგად ღვინის მსგავს სასმელად იქცევა; მდინარის მახლობლად მცხოვრებნი ყიდულობენ ღვინოსაც. მათი საკვები უბრალოა: ველური მცენარეულობის ნაყოფი, ცოცხალი ნანადირევი, შედედებული რძე და ძღებიან ამ საკვებით ყო-

ყველგვარი სუნელების გარეშე. რაც შეეხება წყურვილის მოკვლას, ისინი არ გამოირჩევიან მსგავსი ზომიერებით. ვინაიდან მათი ენებები ქვეფიცკენ, ღრეობისკენაა მიდრეკილი და თანაც იმდენ მაგარ სასმელს ეტანებიან, რამდენსაც ბოლსურვებენ. მანკიერებით მათი გატეხა უფრო ადვილი იქნებოდა, ვიდრე იარაღით გახადგურება.

24. მათ აქვთ ერთადერთი სანახაობა და ის ყველა შეკრებაზე ერთი და იგივეა: შიშველი ახალგაზრდა ყმაწვილები, რომელთათვის ეს მხოლოდ თავის შექცევაა, დარბიან და ხტუნაობენ მიწაში ჩარჭობილ მახვილებსა და მომაკვდინებელ ფრამეებს შორის. ვარჯიშებმა მათში წარმოშვა მოხერხებულობა, მოხერხებულობამ—ძალდაუტანებლობა, მაგრამ ისინი ამის მიღწევას გამდიდრებისათვის ან საფასურისათვის არ ცდილობენ; ჯილდო მათი მსუბუქი ცეკვისთვის, როგორი შამაცური და სახიფათოც არ უნდა იყოს იგი, არის მაყურებელთა სიამოვნება. გერმანელები თამაშობენ კამათლებითაც და საოცარია, რომ ფხიზელ მდგომარეობაში მყოფნი ამ საქმიანობას ისე უყურებენ, როგორც მნიშვნელოვან საქმეს, და თან ისეთი გატაცებით, როგორც წაგების, ასევე მოგების დროს, და როდესაც მთელი თავისი ქონება დაკარგული აქვთ, საბოლოოდ აგორებენ კამათლებს, უკვე თავისუფლებასა და საკუთარი სხეულის წასაგებად. წაგებული ნებაყოფლობით აძლევს თავის თავს მონობაში, და როგორი ახალგაზრდა და ძლიერიც არ უნდა იყოს იმაზე, ვინც მოიგო უდრტვინველად აძლევს ნებას, შებოჭონ და გაიყვანონ გასაყიდად. ასეთია მათი სიმტკიცე ამგვარი სახის დამახინჯებების მიმართ, რასაც თავად ისინი პატიოსნებას უწოდებენ. მონები, რომლებიც ასეთი გზით შეიძინეს, ცდილობენ თავიდან მოიშორონ, ყიდიან რა მათ სხვა მხარეში; ასე იქცევიან იმიტომ, რომ თავიდან მოიცილონ ასეთი გამარჯვებისათვის დამახასიათებელი უნამუსობა.

25. მონებს ისინი ისე არ იყენებენ, როგორც ჩვენ: მათ მონები არ ჰყავთ თავისთან და არ ანაწილებენ მათ შორის მოვალეობებს: თითოეული მათგანი დამოუკიდებლად განაგებს თავის ნაკვეთს და თავის ოჯახს. ბატონი მას აწერს მარცვლეულს, ცხვარს ან ღორის დადგენილი ოდენობის ბეგარას, ისე როგორც კოლონს, მხოლოდ ამაში მდგომარეობს მონის მიერ ბეგარის გადახდა. ბატონის მეურნეობაში დანარჩენ სამუშაოს ასრულებენ მისი ცოლი და შვილები. მონების გაწყეპვლა ან მათი დასჯა ბორკილების დადებითა და იძულებითი სამუშაოებით მათში იშვიათად ხდებოდა; მონის მოკვლა კი — ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ისინი მონას უსწორდებიან არა დისციპლინის შესანარჩუნებლად ან სიმკაცრის გამო, არამედ ეს ხდება ცხელ გულზე, განრისხებისას, როგორც უსწორდებიან მტერს, იმ განსხვავებით, რომ ამისათვის არ ისჯებიან. თავდახსნილი, გაზატებული თავისი მდგომარეობით ოდნავ განსხვავდება მონისაგან. მას ძალიან იშვიათ შემთხვევაში აქვს რაიმე წონა პატრონის სახლში, თემში კი — არასოდეს; თუ არ ჩავთვლით იმ ხალხებს, რომელთაც შეფები მართავენ. იქ თავდახსნილები, გაზატებულები უფრო ძაღლა დგანან, ვიდრე თავისუფლად დაბადებულნი და წარჩინებულნი; სხვა დანარჩენ ხალხებში თავდახსნილების, გაზატებულების დაჩაგვრა, დამცირება სახალხო სამართლის ნიშანია.

26. მევახშეობა და მისგან მოგების მიღება მათთვის უცნობია და ეს მისგან უფრო საიმედოდ იცავს, ვიდრე ის, რომ მევახშეობა ყოფილიყო აკრძალული. მთელი თემი, მიწათმოქმედთა რიცხვიდან გამომდინარე, რიგრიგობით იკავებს მიწებს დასამუშავებლად, შემდეგ მას ერთმანეთში ინაწილებენ თითოეულის წოდების მიხედვით. მინდვრების დაყოფას აიოლებს თავისუფალი სივრ-

ცეების სიუხვე. და თუმცა ისინი ყოველ წელს ცვლიან ნახნავს, ყოველთვის რჩებათ მინდვრების ზედმეტი ფართობი. ისინი ენერგიას არ ხარჯავენ, რათა შრომით ნიადაგის ნაყოფიერება გაზარდონ და ასეთნაირად აანაზღაურონ მიწების ნაკლებობა, არ რგავენ ხეხილს, არ ღობავენ მდელოებს, არ რწყავენ ბოსტნებს. მიწისაგან ისინი ელოდებიან მხოლოდ ხორბლის მოსავალს. ამ მიზეზის გამო, მიწებს უფრო ნაკლებად ანაწევრებენ, ვიდრე ჩვენ: ისინი ასხვავებენ ზამთარს, გაზაფხულს და ზაფხულს და მათ აქვთ თავისი სახელწოდებები; ხოლო შემოდგომის სახელწოდება და მისი ნაყოფი მათთვის უცხობია.

27. დაკრძალვა მათში მოკლებულია ყოველგვარ ბრწყინვალებას; ერთადერთი, რასაც ისინი იცავენ, ესაა ის, რომ ცნობილი პირების სხეულთა დაწვისას იყენებენ ხეების განსაკუთრებულ ჯიშებს. კოცონის ალში ისინი არ ყრიან არც ტანსაცმელს, არც რაიმე სურნელოვანს; გარდაცვლილთან ერთად ცეცხლს აძლევენ მხოლოდ მის იარაღს და ზოგჯერ მის ცხენსაც. საფლავებს ისინი შემოუწყობენ ხოლმე მორებს. მათში არ არის მიღებული, რომ გარდაცვლილებს პატივი მიაგონ გულდასმით დამუშავებული და უზარმაზარი საფლავის ქვებით, რადგან, მათი წარმოდგენით, ისინი ძალზე მძიმეა გარდაცვლილებისათვის. ისინი დიდხანს არ გოდებენ და არ ტირიან, დიდხანს არ არიან დამწუხრებულნი. ქალებს შეეფერებათ ტირილი, მამაკაცებს — ხსოვნა.

აი, რისი გაგება მოვახერხეთ გერმანელთა წარმოშობასა და ჩვეულებებზე. ახლა მე დავიწყებ საუბარს ცალკეული ხალხების დაფუძნებასა და ჩვეულებების შესახებ და იმაზე, თუ რამდენად განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან და რომელი ტომები გადასახლდნენ გერმანიიდან გალიაში.

28. იმის შესახებ, რომ ოდესღაც გალები იყვნენ შეუდარებლად უფრო ძლიერნი, გვამცნობს ამ საკითხის ყველაზე უფრო მცოდნე მწერალი — ღვთაებრივი იულიუსი; აქედან გამომდინარე, სრულიად დასაშვებია, რომ გალების ნაწილი გადავიდა გერმანიაში. ისეთ უმნიშვნელო წინააღმდეგობას, როგორიცაა მდინარე, როგორ შეეძლო ხელი შეეშალა გაძლიერებული ტომისათვის, ხელთ ეგდო და შეეცვალა თავისი ადგილსამყოფელი, რომელიც ჯერ არავის მიერ არ იყო დაკავებული და ჯერ კიდევ არ იყო განაწილებული ძლიერ მმართველს შორის? ამრიგად, გერციის ტყესა და მდინარეებს — რაინსა და მენს—შორის დაიდეს ბინა გელვეტებმა, უფრო იქით — ბოობმა, ამასთან ეს ორივე ტომი გალური წარმოშობისაა. დღევანდლამდე ამ რაინს ჰქვია ბიოგემი და მასში შენარჩუნებულია შორეული წარსულის ხსოვნა, თუმცა აქ ახლა სულ სხვები ბინადრობენ. უცნობია, არავისკენი ჩამოშორდნენ გერმანული წარმოშობის ოსებს* და გადასახლდნენ პანონიაში თუ პირიქით, ოსები ჩამოშორდნენ არავისკენს და გადასახლდნენ გერმანიაში. ისე კი, ადათ-წესები და ჩვეულებები მათ დღემდე ერთნაირი აქვთ, რადგან ორ ნაპირს შორის, მიუხედავად იმდროინდელი სიღარიბისა და თავისუფლებისა, არავითარი განსხვავება არ იყო. ტრევერები და ნერვები პრეტენზიას აცხადებენ გერმანულ წარმოშობაზე, უფრო მეტიც, სახელს ეძიებენ ამით, თითქოს ასეთი ნათესაობით ტრაბახი მათ თავს დააწევინებს გალებთან მსგავსებისაგან და მათთვის დამახასიათებელი სიზანტისაგან. რაინის ნაპირებზე ბინადრობენ უდავოდ გერმანელი ტომები — ვანგიონები, ტრიბოკები, ნემეტები და თვით უბიებიც, თუმცა

* ოსი ერთ-ერთი ძველგერმანული ტომის სახელწოდებაა. ტაციტუსის ცნობით (იხ. თავი 43), ისინი ლაპარაკობდნენ კანონიერ ენაზე.

მათ პატივი ერგოთ, რომის კოლონია გამხდარიყვნენ, უფრო მეტიც, მისი დამაარსებლის სახელის მიხედვით ხალისით თავიანთ თავს აგრიპინებს უწოდებენ, არ ეთაკილებათ თავიანთი გერმანული წარმოშობა; ისინი უფრო ადრე შეიჭრნენ გალიაში და მათი ერთგულების გამოსაცდელად, განასახლეს ისინი რაინის ნაპირზე, თუმცა არა იმიტომ, რომ ჩვენი ზედამხედველობის ქვეშ ყოფილიყვნენ, არამედ, რათა პასუხი გაეცათ მტრისათვის.

29. ყველა ტომთაგან ყველაზე მამაცნი არიან ბატავები, რომელთა მცირე რიცხვი ბინადრობს მდ. რაინის ნაპირზე, ძირითადად კი მის მიერ წარმოქმნილ კუნძულზე; ეს ხალხი, რომელიც ოდესღაც იყო ხათების განშტოება, შინაუთანხმოების გამო, გადავიდა ახალ საცხოვრებელ ადგილზე, სადაც მოექცა რომის იმპერიის ძალაუფლების ქვეშ. მაგრამ ბატავებს კვლავინდებურად მიაგებენ პატივს, ისინი განაგრძობენ ცხოვრებას ძველი მოკავშირეების მდგომარეობით, მაგრამ არ არიან დამცირებულნი გადასახადებით, არც მოიჯარე-შემსყიდველები ავიწროებენ, მათ მხოლოდ საომარი მოქმედებისათვის იყენებენ, ისე როგორც ომისათვის სჭირდებათ იარაღი და საჭურველი. ასევე გვემორჩილება ჩვენ მატიაკების ტომიც: რომაელი ხალხის სიდიადემ დანერგა პატივისცემა მათი სახელმწიფოსადმი რაინის იქითა მხარესაც და ძველი საზღვრების მიღმაც. აი რატომაა, რომ თუმცა მათი საცხოვრისი და საზღვრები მდებარეობს სხვა მხარეს, ისინი თავიანთი ჩანაფიქრითა და სულით ყოველთვის ჩვენთან არიან; სხვა დანარჩენში კი ჰგვანან ბატავებს, ოღონდ თავიანთი სამშობლოს ნიადაგი და კლიმატი მათ ანიჭებთ დიდ სიმარდესა და სიმკვირცხლეს.

მე არ ვარ თანახმა, რომ გერმანიის ხალხებს მივაკუთვნო ისინი, რომლებიც ამუშავებენ დესეტინა მიწებს, თუმცა კი დამკვიდრდნენ რაინისა და დუნაის იქით; უქონლობით, გაჭირვებით დევნილმა ყველაზე უფრო ფხიანი, ყოჩაღი გალებისაგან შემდგარმა ბრბომ დაიპყრო ეს მიწები, რომლებსაც სინამდვილეში არავინ ფლობდა: შემდგომში სასაზღვრო მიწაყრილის გაყვანისა და მის გასწვრივ გარნიზონების განლაგების შემდეგ, დესეტინა მიწების მცხოვრებნი აღმოჩნდნენ წინ წაწეულები რომის იმპერიის ერთგვარ ფარად, ხოლო მთელი ეს ოლქი — პროვინციის ნაწილად.

30. მათ უკან გერცინის ტყესთან ერთად იწყება ხათების დასახლებები. რომლებიც ისეთ ბრტყელ, სწორ და ჭაობიან ადგილებში არ ბინადრობდნენ, როგორც ვაკის გერმანიის სხვა ტომები; მათ ადგილებში ხომ გაწელილია თანდათან გამეჩხერებული ქედების ჯაჭვი, გერცინის ტყე თან სდევს ხათებს და სცილდება მათ მხოლოდ მათი სამფლობელოების საზღვარზე. ეს ხალხი გამოირჩევა განსაკუთრებული აღნაგობით, სიგამხდრით, დამაშინებელი გარეგნობით, არაჩვეულებრივი, შეუდარებელი სულით. სხვა გერმანელებთან შედარებით ხათები განსაკუთრებულად კეთილგონიერნი და წინდახედულნი არიან: თავის სამხედრო მეთაურებს ისინი ირჩევენ, ემორჩილებიან იმათ, ვინც უფროსად დააყენეს, იყენებენ სხვადასხვა სამხედრო წესებს, შეესაბამებიან ვითარებას, იციან დროულად თავის შეკავება თავდასხმისაგან, გონივრულად იყენებენ დღის საათებს, ღამით მიწაყრილით იცავენ თავს, არა სჯერათ სამხედრო იღბლის, ბედნიერების, რადგან მიაჩნიათ იგი ცვალებადად და აქვთ მხოლოდ მამაცობის იმედი; დაბოლოს, რაც სრულებით საოცარია და რაც მიღებულია მხოლოდ რომაელებში მათი სამხედრო დისციპლინით, ისინი უფრო ბელადს, მეთაურს ეყრდნობიან, ვიდრე ჯარს. მთელი მათი ძალა ქვეითებშია, რომელთაც საბრძოლო იარაღის გარდა, თავიანთი მხრებით გადააქვთ სამუშაოების საწარმოებლად საჭირო აფცილებელი იარაღი და ხიკვები. და თუ სხვა და-

ნარჩენი გერმანელები ეცემიან შეტაკებებში, ხათების შესახებ უნდა ითქვას, რომ ისინი ომობენ, თუმცა იშვიათად აწყობენ თავდასხმებს და ცდილობენ, თავი აარიდონ მოულოდნელ ბრძოლებს. და თუ მტრის სწრაფად დაძლევა და ასევე სწრაფად უკან დახევა მხედრების უცილობელი უპირატესობაა, აჩქარება ნიშნავს შიშს, მხოლოდ აუჩქარებლობაა ახლოს ნამდვილ სიმტკიცესთან.

31. და ის, რასაც გერმანიის სხვა ხალხებში იშვიათად ვხედებით და რაც ყოველთვის პირადი მოსაზრებიდან გამომდინარეობს, ხათებში საყოველთაოდ გავრცელებულ ჩვეულებად გადაიქცა: როგორც კი დავაკაცდებიან, იწყებენ თმების გაზრდას, წვერს უშვებენ, რის შემდეგაც დებენ აღთქმას, რომ მამაცობისათვის საბოლოებულო ამ საფარველს არ მოიცილებენ მანამ, სანამ არ მოკლავენ მტერს და მხოლოდ მის გვამზე და მისგან მოხსნილი იარაღით იპარსავენ წვერს და მიაჩნიათ, რომ, როგორც იქნა, მათ მთლიანად გადაიხადეს თავისი ვალი დაბადებისათვის და გახდნენ თავისი სამშობლოსა და მშობლების ღირსნი, ხოლო ლაჩრები და არამამაცნი, სიცოცხლის ბოლომდე რჩებიან ასეთი გარეგნობისანი. მათგან ყველაზე უფრო მამაცნი, ამას გარდა, ატარებენ ბორკილების მსგავს რკინის ჯაჭვს (რაც ამ ხალხში სამარცხვინოდ არის მიჩნეული) მანამ, სანამ მისგან არ გაათავისუფლებს მტრის მოკვლა. თუმცა, ბევრ ხათს ისე მოსწონს ეს მორთულობა, რომ მოხუცებულობამდე ატარებენ, რითაც ისინი მტრისათვის შესამჩნევი და თავისიანებისათვის პატივისაცემნი არიან. სწორედ ისინი იწყებენ ყველა ბრძოლას. ასეთია მათი პირველი რიგი, რომელიც შიშს იწვევს, როგორც ყველაფერი ახალი და უჩვეულო; თუმცა მშვიდობიან დროსაც არ ცდლობენ ისინი, ჰქონდეთ ნაკლებ ველური გარეგნობა. მათ არ აქვთ არც მინდორი, არც სახლი და არაფერზე არ ზრუნავენ. ვისთანაც მიდიან, ვისაც ეწვევიან, მასთან ჭამენ, ფლანგავენ სხვისას, არ ენანებათ თავისი მანამ, სანამ მოხუცებულობის გამო დაუძლურებულთათვის ასეთი შეუდრეკელი მამაცობა ზეტად ძნელი გახდება.

32. ხათების უახლოესი მეზობლები, რომლებიც ცხოვრობენ რაინის გასწვრივ, სადაც მდინარის უკვე გარკვეული კალაპოტი შეიძლება გამოდგეს საზღვრად, არიან უზიპები და ტენკტერები. მამაცი მეომრის შესაფერისი თვისებებით დაჯილდოებული ტენკტერები, ამავე დროს, დახელოვნებული და მარჯვე მხედრები არიან და სახელით არ ჩამოუვარდებიან ხათების ქვეითებს. ასე მოდის წინაპართაგან და ბაძავენ რა მათ, ამაზევე ზრუნავენ შთამომავლებიც. ესაა ბავშვების გართობა, ახალგაზრდების შეჯიბრებები; ცხენებს თავს არ ანებებენ მათი მოხუცებიც. მონებთან, სახლთან და სამემკვიდრეო უფლებებთან ერთად გადაეცემათ ცხენებიც და მათ, სხვა ყველაფერთან ერთად, იღებს არა ვაჟიშვილებიდან უფროსი, არამედ ის ვაჟიშვილი, რომელმაც ბრძოლებში თავი გამოიჩინა, როგორც ყველაზე მამაცმა და მოხერხებულმა.

33. ტენკტერების გვერდით ადრე ცხოვრობდნენ ბრუკტერები. ახლა, როგორც გვამცნობენ, იქ ხამავები და ანგრივარები დასახლდნენ მას შემდეგ, რაც ბრუკტერები განდევნეს და მთლიანად ამოწყვიტეს მეზობელმა ტომებმა, რომლებიც ან მათი ქედმაღლობით იყვნენ გაღიზიანებულნი, ან ნადავლით ცდუნებულნი, ან ღმერთები იყვნენ ჩვენდამი კეთილად განწყობილნი — მათ ხომ ამ სისხლისმღვრელი სანახაობის ხილვის ღირსნი გაგვხადეს. დაეცა 60 ათასზე მეტი გერმანელი, და არა რომაული იარაღით, რაც კიდევ უფრო სასიხარულოა და საამო ჩვენთვის. მე ღმერთებს ვევედრები, რომ გერმანელ ხალხებში კიდევ უფრო განმტკიცდეს ჩვენდამი კეთილგანწყობა თუ არა, უკი-

დურეს შემთხვევაში, სიძულვილი თავიანთი თანამემამულეებისადმი, რამეთუ, როდესაც იმპერიას ემუქრება გარდაუვალი უბედურებანი, ყველაზე მეტად, რითაც ბედი გაგვახარებს, ეს არის შუღლი მტრებს შორის.

34. ანგრივარიებისა და ხამავების ზურგს უკან არიან დულგუბინები და ხაზუარები, ასევე სხვა ნაკლებად ცნობილი ტომები, მათ წინ არიან ფრიზები. ფრიზებს, მათი ძალის შესაბამისად, უწოდებენ დიდებსა და პატარებს; ამ ხალხების დასახლებები გადაჭიმულია რაინის გასწვრივ ოკეანემდე. გარდა ამისა, ისინი ბინადრობენ უზარმაზარი ტბების ირგვლივაც, რომლებშიც რომის ფლოტილიაც დაცურავდა. სწორედ აქედან გავბედეთ ოკეანეში გასვლა: ამბობდნენ, რომ მასში ჯერ კიდევ იყო ჰერკულესის ბოძები, რომლებსაც ასე ან იმიტომ ეწოდათ, რომ ჰერკულესი ნამდვილად იყო ამ მხარეში, ან იმიტომ, რომ ჩვენ ჩვეულებად გვაქვს მის განთქმულ სახელს დავუკავშიროთ ყველაფერი შესანიშნავი, სადაც არ უნდა შეგვხვდეს ასეთი რამ. დრუზუს გერმანიკუსს არ აკლდა გამბედაობა, მაგრამ ოკეანემ არ მოისურვა მისთვის თავისი საიდუმლოებანი გაენდო, და არც ის, რაც შეეხება ჰერკულესს. იმ დროიდან მოყოლებული, არავის განუახლებია მსგავსი მცდელობები და მიჩნეულ იქნა, რომ უფრო საღვთო და საპატივცემულო იქნება, ირწმუნონ ღმერთების ნამოქმედარი, ვიდრე შეეცადოს მის გაგებას.

35. აი, რა არის ჩვენთვის ცნობილი გერმანიის შესახებ, რომელიც მიმართულია დასავლეთისაკენ; შემდგომ, იგი წარმოქმნის უზარმაზარ შვერილს და მიემართება ჩრდილოეთისაკენ. და აქ ჩვენ წინ არის ხავკების ტომი. და თუმცა მათი ტერიტორია იწყება ფრიზების საზღვრებიდან და უკავიათ ოკეანის სანაპიროს ნაწილი, ეხებიან ასევე ჩვენს მიერ ჩამოთვლილ ტომებს, სცილდებიან მათ და აღწევენ ხერუსკებს. ასეთ უზარმაზარ სივრცეზე გადაჭიმულ მიწებს ხავკები არა მარტო თავისად მიიჩნევენ, არამედ მჭიდროდაც არიან მასზე დასახლებულნი; გერმანელთა შორის ეს ყველაზე კეთილშობილი ხალხია; ისინი თავიანთ ძლიერებას იცავენ მხოლოდ სამართლიანობაზე დაყრდნობით. თავისუფალნი არიან სიხარბისა და ძალაუფლების სიყვარულისაგან; აუღელვებელი და თავიანთ საქმეებში ჩაფლულნი, ომებს არ იწყებენ, არავის აღატაკებენ ძარცვითა და ყაჩაღობით. მათი მამაცობისა და ძლიერების უპირველესი დამამტკიცებელია ის, რომ ამყარებენ სწრაფვას, რათა ძალადობის გამოუყენებლად შეინარჩუნონ უპირატესი მდგომარეობა. ამასთან, მათ იარაღი მუდამ მზადყოფნაში აქვთ და თუ მდგომარეობა მოითხოვს, მზადყოფნაში ჰყავთ ჯარიც — მრავალი მეომარი და ცხენიც, ეს ასეა მაშინაც, როდესაც სიმშვიდე სუფევს.

36. ხავკებისა და ხათების გვერდით არიან ხერუსკები, რომლებიც არავის შეუწუხებია. ისინი მრავალი წელი ცხოვრობდნენ უშფოთველად და ამის გამო, დუნე მშვიდობით. მათთვის ასეთი მდგომარეობა იყო უფრო სასიამოვნო, ვიდრე უსაფრთხო, რადგან იმის დაშვება, რომ მტაცებელთა და ძლიერთა გარემოცვაში წყნარად შეიძლება იყო, შეცდომაა: როდესაც საქმე მუშტი-კრივამდე მიდის, მაშინ ისეთი სიტყვები, როგორიცაა მორიდება და პატიოსნება, შეშვენის მხოლოდ მოგებულს. და აი, ხერუსკებს, რომლებსაც არცთუ დიდი ხნის წინ სახელი ჰქონდათ განთქმული როგორც კეთილებსა და სამართლიანებს, ახლა უწოდებენ ზარმაცებსა და სულელებს, ხოლო გამარჯვებული ხათების წარმატებას კი მათ დიდ სიბრძნეს მიაწერენ. თავის დაცემაში ხერუსკებმა მეზობელი ფოსემის ტომიც ჩაითრიეს, რომლებმაც მათი ბედი გაიზიარეს, მაშინ როდესაც უკეთეს დროში მათ დაქვემდებარებაში იყვნენ.

37. გერმანიის ზემოთ მოხსენიებული შვერილი უკავიათ ოკეანესთან მცხოვრებ კიმვრებს, ახლა მცირერიცხოვან, მაგრამ ოდესღაც ცნობილ ტომს. ჯერ კიდევ შემორჩენილია მათი ძველი დიდების კვალი, უზარმაზარი ბანაკის ნაშთები მდინარის ორივე ნაპირზე, რომლის ზომების მიხედვით, ახლაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ, თუ რა ძალა ჰქონდა ამ ხალხს, როგორი მრავალრიცხოვანი იყვნენ ისინი და რამდენად სარწმუნოა ამბავი მათი სრული გადასახლების შესახებ. ჩვენი ქალაქი 640 წლის იყო, როდესაც ცეცილია მეტელისა და პაპირია კარბონეს კონსულობის დროს პირველად გავიგეთ კიმვრების ურღვევი შესახებ. იქიდან მოყოლებული იმპერატორ ტრაიანეს მეორე კონსულობამდე თითქმის 210 წელია. აი, რა დიდხანს ვფლობდით გერმანიას, ასეთი ხანგრძლივი დროის მანძილზე ორივე მხარემ ერთმანეთს არცთუ მცირე ზარალი მიაყენა. არც სამნიელები, არც ჰუნები, არც ესპანელები და გალები, თვით პართელებიც კი, იქ ხშირად არ გვახსენებდნენ თავს, როგორც გერმანელები: მათი თავაზიანობა არსაკის თვითმმართველობაზე უფრო დაუძლეველი აღმოჩნდა. აღმოსავლეთმა, რომელიც თავდახრილია ვიღაც ვენტიდის წინაშე და თავად დაკარგული ჰყავს პაკორი, კრასუსის მოკვლის გარდა, სხვა რა შეუძლია რომ წამოგვიყენოს? ხოლო გერმანელებმა კი, რომლებმაც დაარბიეს ან ტყვედ ჩაიგდეს კარბონი და კასიუსი, ავრელიუს სკავრი, სერვილიუს ცეპიონი და მაჭ�d მალიუსი, რომაელ ხალხს წაართვეს კონსულის ხუთი რაზმი და თვით ცეზარს მოსტაცეს ვარა და მასთან ერთად სამი ლეგიონი. მძიმე ზარალი მიაყენეს მათ გაიუს მარიუსმა იტალიაში, ღვთაებრივმა იულიუსმა გალიაში, დრუზუსმა, ნერონმა და გერმანიკუსმა—მათ საკუთარ მიწა-წყალზე. ამას მოჰყვა გაიუს ცეზარის დამაშინებელი, მაგრამ დაცინვის საგნად გადაქცეული მზადება. შემდეგ სიმშვიდემ დაისადგურა, სანამ გერმანელებმა, ისარგებლეს რა ჩვენი არეულობით და სამოქალაქო ომით, არ დაიპყრეს ლეგიონთა ზამთრის ბანაკები და ხელყვეს თვით გალია; იქიდან მათი ახალი განდევნის შემდეგ, უკვე სულ ბოლოს, ჩვენ არა მხოლოდ გავიმარჯვეთ მათზე, არამედ ვიზეიმეთ ტრიუმფი.

38. ახლა უნდა მოგითხროთ სვებებზე, რომლებიც ისეთი ერთგვაროვანი ტომი არ არის, როგორც ხატები ან ტენკტერები, მაგრამ, ვინაიდან უკავიათ გერმანიის დიდი ნაწილი, ახლაც დანაწევრებულნი არიან მრავალ ცალკეულ ხალხად, რომლებსაც თავიანთი სახელები აქვთ, თუმცა ყველა ისინი ერთად იწოდებიან სვებებად. ამ ტომის განსაკუთრებული თავისებურებაა ზეითი აწეული შეკრული თმები, რითაც ისინი გამოირჩევიან სხვა გერმანელებისაგან, ხოლო თავისუფლადშობილი სვებები — თავისი მონებისაგან. სვებებთან ნათესაური კავშირის შედეგად ან მათდამი მიბაძვის გამო, ასეთ ვარცხნილობას ვხვდებით სხვა ტომებშიც, მაგრამ იშვიათად და მხოლოდ ახალგაზრდებში, მაშინ როდესაც სვებები მოხუცებულობამდე აქცევენ ყურადღებას, რომ მათი თმები ზევით იყოს აშვერილი და ხშირად იმაგრებენ თმებს თავის კინკრიხოზე; ხოლო ბელადებს თმები უფრო გულმოდგინედ და ლამაზად აქვთ გადაწეული. ამით გამოიხატებოდა სვებების ზრუნვა თავიანთ გარეგნობაზე. ისინი ასე ირთვებიან არა იმიტომ, რომ ვინმეს თავი მოაწონონ, არამედ ასეთი ვარცხნილობით ცდილობენ თავიანთ თავს მისცენ უფრო მედიდური და მრისხანე იერი, რათა ომის დროს მტრებს შიში ჩაუნერგონ.

39. როგორც სემნონები ამტკიცებენ, სვებებს შორის მათი ტომი ყველაზე ძველი და სახელგანთქმულია; მათი წარმომავლობა რომ მართლაც შორეული წარსულიდან მოდის, დასტურდება ღვთისმსახურებით. დადგენილ დღეს მათთან სისხლით დაკავშირებული ყველა ხალხის წარმომადგენლები თავს

იყრიან მათ მიერ წმინდად აღიარებულ ტყეში, რამეთუ აქ მათი წინაპრები წინასწარმეტყველებდნენ და ეს ადგილი მათში ძველთაგან იწვევს ღვთისმოსაობის შეგრძნებას და იწყებენ რა სამსხვერპლოზე ადამიანის მსხვერპლად მიტანით, თავისი ტომის სახელით საზეიმოდ ასრულებენ თავისი ბარბაროსული წესჩვეულებებს საიდუმლოებას. ამ ხეივნისადმი მოწიწება მათში სხვაგვარადაცაა გამოხატული; მასში ყველა შედის ბორკილებით, რითაც ხას უსვამენ თავიანთ სიმდაბლესა და უსუსურობას ღვთაების ყოვლისშემძლეობისადმი. თუ ვინმე დავარდება, არავის აქვს უფლება, რომ იგი წამოაყენოს, არც თავად მას აქვს უფლება, წამოდგეს, და ისინი გამოდიან ხეივნიდან მიწაზე გორაობა-გორაობით. ყველა ეს რელიგიური წარმოდგენა დაკავშირებულია მათ რწმენასთან, რომ სწორედ აქ მიეცა დასაბამი მათ ტომს, რომ აქ არის ადგილსამყოფელი ყველას გამგებელი ღმერთისა და რომ ყველა სხვა დანარჩენი მისი ნებაა და მას ემორჩილება. სემიონების გავლენა განმტკიცებულია კეთილდღეობით: მათ უკავიათ 100 ოლქი და ასეთი მრავალრიცხოვნებისა და დარაზმულობის გამო ისინი თავიანთ თავს სვებების მეთაურად მიიჩნევენ.

40. ლახგობარდებმა, პირიქით, სახელი მოიხვეჭეს მცირერიცხოვნების გამო, რამეთუ მრავალი ძალიან ძლიერი ტომით გარემოცულები თავს იცავენ ისე, რომ არ აცხადებენ მათდამი მორჩილებას, ხოლო ბრძოლებში არ უშინდებიან საფრთხეს და საშიშროებას. მათ უკან მცხოვრები რევდიგნები, ავიონები, ანგლები, ვარინები, ევდოსები, სვარდონები, ნუიტონები დაცულნი არიან მდინარეებითა და ტყეებით. თავად არაფრით გამორჩეულები, ყველა ისინი ერთად თაყვანს სცემენ მშობელ დედას — მიწას — ნერტს, რომელიც, მათი აზრით, ერევა ადამიანთა საქმეებში და მოინახულებს ხოლმე მათ ტოშებს. ოკეანეში, კუნძულზე არის წმინდა ხეივანი და მასში ამ ქალღმერთისთვის განკუთვნილი ქსოვილებით დაფარული ორთვალა; მისი შეხების უფლება აქვს მხოლოდ ქურუმს. ქურუმი, როცა იგრძნობს, რომ ქალღმერთი მობრძანდა და იმყოფება თავის ტაძარში, უდიდესი მოკრძალებით თან მიჰყვება მას ორთვალაში შებმული ძროხებით. მაშინ დგება საყოველთაო ზეიმის დღეები, საზეიმოდ ირთვება ის ადგილები, რომელსაც ქალღმერთმა პატივი დასდო თავისი მისვლით. ამ დღეებში ისინი არ გეგმავენ ლაშქრობებს, ხელს არ ჰკიდებენ იარაღს; რკინის ყველა ნაკეთობა მათ ჩაკეტილი აქვთ; მათში მაშინ მხოლოდ მშვიდობა და სიწყნარე სუფევს და ასე გრძელდება მანამ, სანამ იგივე ქურუმი საკერპეში, ბომონში არ დააბრუნებს ადამიანებთან ურთიერთობით გულმოჯერებულ ქალღმერთს. ამის შემდეგ ორთვალა, საფარველი და თაეად ქალღმერთი განიწმინდებიან ყველასაგან განცალკევებულ და დაფარულ ტბაში განბანვით. ამას ასრულებენ მონები, რომლებსაც მაშინვე ნთქავს იგივე ტბა. აქედანაა საიდუმლოებით მოცული შიში და მოწიწებული თრთოლვა იმის წინაშე, რაც უჩინარია და რომ მისი დანახვა შეუძლიათ მხოლოდ სასიკვდილოდ გახწირულთ.

41. სვებების ის ნაწილიც, რომელთა შესახებაც ახლა მოგითხრობთ, ასევე ბიხადრობს მიწა-წყალზე, რომელიც გადაჭიმულია გერმანიის სიღრმეებამდე. ისე როგორც ცოტა ხნის წინ მივყვებოდი რაინის დინებას, ახლა გავყვები ქვევით დუნაის, სადაც ყველაზე ახლოს არის რომაელთა ერთგული გერმუნდურების ტომი; ამის გამო მათთან, სხვა გერმანელი ხალხებისაგან განსხვავებით, ვაჭრობა წარმოებს არა მარტო ნაპირზე, არამედ ქვეყნის შიგნითაც და ასევე პროვინცია რეციის ყველაზე აყვავებულ კოლონიაში. ისინი ყველგან თავისუფ-

ლად გადაადგილდებიან და ჩვენ არ ვუყენებთ მათ დაწახარჯებს; თუ სხვა ტომებს ვუჩვენებთ მხოლოდ ჩვენს იარაღსა და გამაგრებულ ბანაკებს, მათთვის, რომლებიც სულ მცირეოდენ სიხარბესაც კი არ ამჟღავნებენ, გაეხსენით ჩვენი სახლები და მამულები. გერმუნდურების მხარეში სათავეს იღებს ალბისი, სახელგანთქმული და ჩვენთვის ოდესღაც კარგად ცნობილი მდინარე, რომლის დღეს მხოლოდ სახელიღა ვიცით.

42. გერმუნდურების გვერდით ცხოვრობენ ნარისტები, შემდეგ მარკომანები და კვადები. განსაკუთრებით სახელგანთქმულნი და ძლიერნი არიან მაკრომანები, რომლებმაც თვით თავისი საცხოვრებელი მამაცობით მოიპოვეს, როცა იქიდან განდევნეს ბოიები. მარკომანებსა და კვადებს, ეს ჩვენც გვახსოვს, ჰყავდათ მეფეები თანატომელებიდან, მარობოდასა და ტუდრას წარჩინებული გვარებიდან. ახლა ისინი უცხოელებსაც ურიგდებიან, მაგრამ ამ მეფეებს ძალა და ძლიერება აქვთ რომის მხარდაჭერის წყალობით. ისინი ჩვენგან დახმარებას იღებენ, ხანდახან იარაღის, ხშირად კი ფულის სახით, მაგრამ ეს არაფრით არ აძცირებს ძათ ძალაუფლებას.

43. მარკომანების და კვადების უკან არიან მარსიგნები, კოტინები, ოსები და ბურები. მათგან მარსიგნები და ბურები კილოთი და ცხოვრების წესით გვანან სვებებს; და რომ კოტინები და ოსები გერმანელები არ არიან, ამას. ადასტურებს მათი ენა, გალური—პირველებში და პანიონური — მეორეებში, და კიდევ ის, რომ ისინი ხარკის გადახდას ურიგდებიან, რომლის ნაწილს მათზე, როგორც უცხო ტომებზე, აწესებენ სარმატები, ნაწილს — კვადები, ხოლო კოტინები, რაც უფრო დამამცირებელია, მოიპოვებენ ამასთან ერთად რკინასაც. ყველა ეს ხალხი დაფუძნდა აჭა-იქ დაბლობში, მაგრამ ძირითადად მთების კბოდეებზე და მთების ჯაჭვის მწვერვალებზე. სვებიას ხომ ორად ყოფს მთების ჯაჭვი, რომლის უკან მრავალი ტომის ხალხი ბინადრობენ. მათ შორის ყველაზე ცნობილია სხვადასხვა ტომად დანაწევრებული ლუგიელები. საკმარისია დავასახელოთ მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი, ესაა — გარიები, გელვეკონები, მანიმები, გელიზეები, ნაგანარვალები. ნაგანარვალებში გვაჩვენებენ ხეივახს, რომელიც ნაკურთხია ძველი კულტით. მას მეთაურობს ქურუმი ქალის ტანსაცმელში, ხოლო იმ ღმერთებზე, რომლებსაც აქ თაყვანს სცემენ, ისინი ამბობენ, რომ თუ რომაელთა ღმერთებს შეადარებენ, ეს არის კასტორი და პოლუკსი, ასეთია მათი არსი, ხოლო სახელი — ალკები. აქ არ არის ერავითარი გამოსახულება, უცხო კულტის არავითარი კვალი; მათ თაყვანს სცემენ როგორც ძმებს, როგორც ახალგაზრდა ყმაწვილებს. ახლა გარიებზე: ისინი ახლახან დასახელებულ ტომებს ძალით აღემატებიან, ბუნებით მრისხანეები ყოველგვარი ეშმაკობისა და სიბნელის გამოყენებით აღწევენ იმას, რომ უფრო ველურად გამოიყურებიან: მათი ფარები შავია, სხეული მოხატული; ბრძოლებისთვის ირჩევენ ბნელ ღამეებს და თავისი პირქუში გამოსახულებით, თითქოსდა მოჩვენებები ისეთ შიშს თესენ, რომ არავის ძალუძს გაუძღოს ამ უჩინარ და თითქოს ქვესკნელში წამყვან სანახაობას; ყველა ბრძოლაში ხომ პირველად თვალები მარცხდება.

44. ლუგიების იქით ცხოვრობენ გოტონები, რომლებსაც მეფეები მართავენ, და უფრო მკაცრად, ვიდრე გერმანიის სხვა ხალხებში, თუმცა ჯერ კიდევ არა სრულიად დამოუკიდებლად. შემდეგ, უშუალოდ ოკეანესთან — რუგიები და ლემოვიები არიან; ყველა ამ ტომის განმასხვავებელი თავისებურებაა მრგვალი ფარები, მოკლე მახვილები და მეფეებისადმი მორჩილება.

მათ იქით, უშუალოდ ოკეანესთან, სახლობენ სვიონების თემები; მე-

ომრებისა და იარაღის გარდა, ისინი ძლიერნი არიან ფლოტითაც. მათი ხოშალდები იმითაა ღირსშესანიშნავი, რომ შეუძლიათ ნავსაბელის ადგილს მიადგნენ ნებისმიერი ბოლოდან, რადგან ორივე მხარეს აქვთ ცხვირის ფორმა; სვიონები აფრებით არ სარგებლობენ და ნიჩბებსაც ერთმანეთის მიყოლებით რიგში არ ამაგრებენ ხომალდის გვერდზე; მათი ნიჩბები, როგორც ეს ზოგიერთ მდინარეზეა მიღებული, მოსახსნელია, ისინი მას უსვამენ საჭიროებისდა მიხედვით ხან ერთ, ხან მეორე მხარეს. მათთვის დამახასიათებელია ძალაუფლების პატივისცემა და ამიტომ მათ ერთპიროვნულად, და არა ბატონობის დროებითი და პირობითი უფლების საფუძველზე, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, განაგებს მეფე. მათში, სხვა გერმანელთაგან განსხვავებით, ყველას არა აქვს უფლება ატაროს იარაღი; ჩაკეტილ იარაღს მონა დარაჯი ჰყავს მიჩენილი. მტრის მოულოდნელი თავდასხმისგან ისინი ხომ ოკეანეთი არიან დაცულნი, ხოლო უსაქმურად მყოფი შეიარაღებული ხალხი ძალაუნებურად ჩადის უწესობას, მიიწევს იარაღისაკენ; მეფეებისათვის სასარგებლო არ არის, იარაღის ზედამხედველობა მიანდონ წარჩინებულს, თავისუფლად დაბადებულსა ან თავდასხნილს.

45. სვიონების იქით კიდევ ერთი ზღვაა — წყნარი და თითქმის უმოძრაო. როგორც მიიჩნევენ, ის გარს ერტყმის დედამიწას და ამის უტყუარობა დასტურდება იმით, რომ ჩამავალი მზის ბოლო ნათება არ ქრება მის ამოსვლამდე და მისი სიკაშკაშე ისეთია, რომ ის ჩრდილავს ვარსკვლავებს. წარმოსახვა იმას უმატებს, თითქოს მზის ამოსვლისას ისმის მის მიერ გაწეულ-გამოწეული მორევის ხმა, მოჩანს ცხენების გამოსახულება და გასხივოსნებული თავი. მხოლოდ ამ ადგილამდე—ამბობენ და მართალიცაა—არსებობს ბუნება. რაც შეეხება სვებების ზღვის მარჯვენა სანაპიროს, ამ მიწაზე ცხოვრობენ ესტიების ტომები, რომელთა ჩვეულებები და გარეგნობა ისეთივეა, როგორც სვებებისა, ხოლო ენა უფრო ახლოსაა ბრიტანულთან. ესტიები თაყვანს სცემენ ღმერთების წინაპარს და როგორც თავისი კულტის განმასხვავებელ ნიშანს, სხეულზე ტახების გამოსახულებებს ატარებენ. ეს მათ იარაღის მაგივრობას უწევს და თვით მტრების გარემოცვაში მყოფთ იცავს. მახვილი მათში იშვიათია, ყველაზე ხშირად იყენებენ კეტ-კომბალს. პური და მიწის სხვა ნაყოფი მათ უფრო მეტი გულმოდგინებით მოჰყავთ, ვიდრე მიღებულია გერმანელებში მათთვის დამახასიათებელი დაუდევრობის გამო. უფრო მეტიც, ისინი ჩხრეკენ ზღვას, ნაპირსა და მეჩიჩს და ერთადერთნი აგროვებენ ქარვას, რომელსაც თავად ისინი გლესს უწოდებენ. მაგრამ, როგორც ბარბაროსები, არასოდეს დაინტერესებულან და არც არაფერი იციან ქარვის ბუნებაზე, მის წარმოშობაზე; ქარვა ხომ დიდხანს იდო ყველაფერ იმასთან ერთად, რასაც რიყავდა ზღვა მანამ, სანამ მას სახელი არ მისცა ფუფუნებისკენ სწრაფვამ. ქარვას თავად მათში არავითარი გამოყენება არა აქვს. მას აგროვებენ ბუნებრივი სახით, მოაქვთ ჩვენს ვაჭრებთან ასეთივე დაუმუშავებელი და, მთდა გასაოცრად, იღებენ გასამრჯელოს. თუმცა, არ არის ძნელი გასაგები, რომ ეს არის ხის წვენი, რადგან ქარვაში ძალიან ხშირად ჩანს მიწაზე მცოცავი ან მფრინავი ზოგიერთი არსება, სითხეში ჩაფლულები, ისინი აღმოჩნდებიან მასში დამწყვდეულები, შემდეგ კი იქცევიან მაგარ ნივთიერებად. ამრიგად, მე ვვარაუდობ, კუნძულებზე და დასავლეთის მიწებზე არის მუხნარი და ხეივნები, აღმოსავლეთის იმ ტყეების მსგავსად, სადაც მოწვეთავს სურნელება და ბალზამი; მასში აღმოცენებული ხეებიდან მზის სხივები წურავენ დიდძალ წვენს, რაც ჩაედინება მახლობელ ზღვაში და ქარიშხლის ძალით ირიყება ნაპირზე. ქარვის ბუნების გასაგებად, მასთან რომ

ცეცხლი მივიტანოთ, იგი ჩირაღდანივით აენთება, რის შემდეგაც დნება, როგორც ფისი ან გუმფისი.

სვიონებს ემიჯნებიან სიტონების ტომები. ისინი, ყველაფრით სვიონების მსგავსნი, მათგან მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ მათზე ქალები ბატონობენ. აი სადამდე დაეცნენ სიტონები, თავისუფლების დაკარგვაზე რომ არაფერი ვთქვათ.

46. აქაა სვეების დასასრული. პევკინები, ვენედები და ფენები მივაკუთვნო გერმანელებს თუ სარმატებს, არ ვიცი, თუმცა პევკინები, რომლებსაც ზოგიერთები უწოდებენ ბასტარნამებს, მეტყველებით, ცხოვრების წესით, ბინადრობითა და საცხოვრებლით იმეორებენ გერმანელებს. ყველანი უსუფთაონი არიან. წარჩინებულთა შორის უსაქმურობა და ჩამორჩენილობა სუფევს. შერეული ქორწინების გამო მათი გარეგნობა სულ უფრო უშნო ხდება, და ისინი იღებენ სარმატების ნაკვთებს. ვენედებმა ბევრი რამ გადაიღეს მათი ჩვევებიდან, რამეთუ ძარცვის მიზნით დაძრწიან ტყეებსა და მთებში, რომლებიც პევკინებსა და ფენებს შორის არის. თუმცა, უფრო მეტად შეიძლება, რომ ისინი გერმანელებს მივაკუთვნოთ, რადგან თავისთვის აგებენ სახლებს, ატარებენ ფარებს და, ამასთანავე, ქვეითად დიდი სისწრაფით გადაადგილდებიან; ყველაფერი ეს მათ მიჯნავს სარმატებისაგან, რომლებიც მთელ ცხოვრებას ოთხთვალესა და ცხენზე ატარებენ. ფენებთან გასაოცარი ველურობა, საცოდავი სიღატაკე და უბედურებაა. მათ არა აქვთ არც თავდასაცავი იარაღი, არც ცხენები, არც მუდმივი თავშესაფარი; მათი საკვები ბალახია, ტანსაცმელი — ტყავი, საწოლი — მიწა; მთელ თავის იმედებს ისინი ისრებზე ამყარებენ, რომლებზეც, რკინის უკმარისობის გამო, ძვლის ბუნიკებს აცავმენ. ნადირობა კვებავს როგორც მამაკაცებს, ასევე ქალებს; ისინი ხომ ყველგან ქმრების გვერდით არიან და მოითხოვენ თავის წილ ნადავლს. პატარა ბავშვებსაც მხეცებისა და უამინდობისაგან სხვა თავშესაფარი არ აქვთ, თუ არა ტოტებიდან როგორღაც მოწნული და თავშესაფრის მაგივრობის გამწევი ქოხი; აქ ბრუნდებიან მოწიფული ასაკის ფენები, აქვეა მოხუცებულთა თავშესაფარიც. მაგრამ ამას ისინი უფრო ბედნიერ წილხვედრად მიიჩნევენ, ვიდრე იმას, რომ დაიუძლურონ თავი მინდორში მუშაობით, სახლების შენებითა და იმით, რომ განუწყვეტლივ იფიქრონ თავის და სხვის ქონებაზე. უბრუნველებმა, დაუდევრებმა ხალხის მიმართ, დაუდევრებმა ღვთაებების მიმართ, მიაღწიეს ყველაზე ძნელს — არ განიცდიან თვით სურვილებსაც კი. სხვა ყველაფერი უკვე საარაკოა: გელუზიებსა და ოკსიონებს თავები და სახეები თითქოს ადამიანისა აქვთ, ტანი და კიდურები — ისეთი, როგორიც მხეცებს და რადგან სხვა უფრო სარწმუნო რამ მე არ ვიცი, დაე ეს დარჩეს ჩემ მიერ გადაუწყვეტელ საკითხად.

ნაწილი II.

შუა საუკუნეების ეთნოლოგია

პლანო კარპინი

პლანო კარპინი (1182—1252) — ფრანცისკანელთა ორდენის ბერი, რომის პაპის ინოკენტი IV-ის დესპანი მონღოლთა სამეფო კარზე.

პლანო კარპინი დაიბადა 1182 წელს იტალიის ქალაქ პერუჯიაში. მისი ბიოგრაფიის შესახებ მეტად მწირი ცნობები მოგვეპოვება და რაც ცნობილია, ისევე მისი მონღოლეთში მოგზაურობის ანგარიშის მიხედვით. იგი ფრანცისკანელთა ორდენის ბერი გამხდარა და არსებობს ვარაუდი, რომ პირადად იცნობდა ამ მეტად გავლენიანი და ნაწილობრივ გასამხედროებული სასულიერო ორდენის დიდ დამაარსებელს ფრანცისკ ასიზელს. როგორც ჩანს, სწორედ მისი აგზნებული ქადაგებების გავლენით და მიბაძვითაა, რომ თავის ცხოვრების დიდი ნაწილი პლანო კარპინის უნგრეთსა, ბოჰემიასა, დანიასა და სკანდინავიაში გაუტარებია, როგორც ქრისტიანობის მქადაგებელს.

როდესაც 1240 წელს რომის პაპმა ინოკენტი IV-მ ორი დელეგაცია შეადგინა მონღოლთა სამეფო კარზე გასაგზავნად, ერთ-ერთს სათავეში ჩაუყენა 64 წლის პლანო კარპინი, რომელსაც პოლიტიკური და რელიგიური ხასიათ ჰქონდა დაკისრებული. ამ მისიის პოლიტიკური მხარე მდგომარეობდა იმაში, რომ მონღოლები მათ უნდა დაერწმუნებინათ მაჰმადიანების წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში, ხოლო რელიგიური მისიის ამოცანა იყო მონღოლების გაქრისტიანება. აქედან ნათლად ჩანს, თუ რამდენად გულუბრყვილო იყო მაშინდელ ევროპელთა წარმოდგენები მსოფლიოს ახალი და მრისხანე დამპყრობელი ძალის— მონღოლების შესახებ. პლანო კარპინის, ისევე როგორც მეორე მისიის ხელმძღვანელის, ბენედიქტელი ბერის ასცელინის ერთ-ერთ და არცთუ მეორეხარისხოვან ამოცანას შეადგენდა მონღოლთა სამხედრო ძალის დაზვერვა და მისი შესწავლა. ამ ორი მისიისათვის დაკისრებული ამოცანებიდან მხოლოდ ეს უკანასკნელი იქნა შესრულებული წარმატებით. როგორც ეს პლანო კარპინის მოგზაურობის ანგარიშიდან ჩანს პლანო კარპინი გაუგზავნიათ ოქროს ურდოში, ხოლო ასცელინი — ილხანთა სახელმწიფოში.

1246 წელს ლიონიდან გამგზავრებული პლანო კარპინისათვის სლავურ ქვეყნებში თარჯიმნად პოლონელი ბერი ბენედიქტე გაუყოლებიათ, რადგან მის მიზანს და დავალებას ამაზე შორს წასვლა და ყიჩაღთა ტერიტორიებიდან დაშორება აღმოსავლეთით არც შეადგენდა.

პლანო კარპინი გერმანიის, ბოჰემიის, პოლონეთის, კერძოდ კრაკოვის, კიევის, აზოვის ზღვის სანაპიროს და სამხრეთ რუსეთის ტრამალების გავლით ვოლგის სანაპიროზე, თანამედროვე ვოლგოგრადის ჩრდილოეთით მდებარე ოქ-

როს ურდოს დედაქალაქ სარაიში ჩასულა ბათო ყაენის კარზე. ბათოს, ხუბორდნაციის პრინციპიდან გამომდინარე, რომელსაც მაშინ ჯერ კიდევ მტკიცედ იცავდნენ, ჩინგიზ-ხანის დანაბარების მიხედვით, მონღოლთა მმართველები, პლანო კარპინი რომის პაპის ეპისტოლეებზე პასუხის მისაღებად დიდ ყაენთან გაუხტუმრებია ყარაყორუმს.

სამთვენახევრის მოგზაურობის შემდეგ პლანო კარპინი და მისი თანამგზავრები, რომელთაც კასპიისა და არალის ზღვებისათვის ჩრდილოეთიდან შემოუვლიათ, ბალხაშის ტბა კი ხელმარცხნივ დაუტოვებიათ, შუამდინარეთისა და ტრანსკავკასიის გავლით შუაგულ მონღოლეთში მისულან. მართალია, მათ თვით ყარაყორუმამდე არ ჩაუღწევიათ, მაგრამ, სამაგიეროდ 1246 წლის აგვისტოს მდინარე ორხონის ნაპირზე დასწრებიან მონღოლთა ყურულთაის (ყრილობას), რომელზედაც დიდი ყაენის ტახტზე გარდაცვლილი უგედეიხ ნაცვლად აირჩიეს ჩინგიზ-ყაენის შვილიშვილი გუიუქი. მან პლანო კარპინი პრად აუდიენციაზე მიიღო, მაგრამ, როგორც ჩანს, თავისი პოლიტიკური და სარწმუნოებრივი მისიის შესახებ პლანო კარპინმ მისგან გარკვეული პასუხი ვერ მიიღო.

მოგზაურობაში თექვსმეტი თვის ყოფნის შემდეგ პლანო კარპინი მონღოლეთიდან უკან დაბრუნდა თითქმის იმავე მარშრუტით, რომლითაც იქით გაემგზავრა.

მოგზაურობის ანგარიში მან ორჯერ შეადგინა ლათინურ ენაზე. პირველი იყო სახელდახელო, უშუალო შთაბეჭდილებებით დაწერილი, ხოლო მეორე უფრო გულდასმითი, დასვენებისა და მოცლილობის დროს შედგენილი. ინოკენტი IV-ს პლანო კარპინის ანგარიში ძმდენად მოსწონებია, რომ იგი, როგორც ჩანს, სხვა ღირსებათა და დამსახურებათა გამოც, ფრანცისკანელთა ორდენის გენერალად დაუნიშნავს. მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ პლანო კარპინი კვლავ აგრძელებდა ქრისტიანობის ქადაგებას ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში. იგი გარდაცვლილა 1252 წელს, 70 წლისა.

იმდროინდელ განათლებულ საზოგადოებას დიდი ინტერესი გამოუჩენია პლანო კარპინის ნაშრომისადმი, რადგან ევროპა სწორედ მისი ნაშრომის მიხედვით გაეცნო პირველად მონღოლთა იმპერიის გეოგრაფიულ მდებარეობას, მათი დაპყრობების ისტორიას, პოლიტიკურ და სამხედრო წესწყობილებას და მათ ყოფა-ცხოვრებას. სწორედ ამიტომაა, რომ მრავლადაა ცნობილი პლანო კარპინის თხზულების ხელნაწერები და სხვადასხვა ვარიანტები. მკვლევარები საგანგებოდ გამოყოფენ ამ ნაწარმოების ვატიკანის, ვენის, ლონდონის (ბრიტანეთის მუზეუმის), პარიზის, ლეიდენის, კემბრიჯის და სხვა ხელნაწერებს, რომლებიც ორიგინალის დაწერის დროს, ან მის ახლო ხანას ეკუთვნის.

პლანო კარპინის ნაწარმოები გადათარგმნილია ევროპის ყველა უმთავრეს ენაზე, მათ შორის რუსულადაც. არსებობს მისი ქართული თარგმანი, შესრულებული გერონტი ქიქოძის მიერ და გამოქვეყნებული 1942 წელს, რომელიც გამოყენებულია ამ წიგნშიც.

როგორც აღინიშნა, პლანო კარპინის თხზულება მრავალ ძვირფას და საყურადღებო ცნობას შეიცავს მონღოლთა პოლიტიკური წყობილების, გეოგრაფიული მდებარეობის, მისი აღწერისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ (თუმცა, მასში რეალური ცნობების გვერდით ზოგჯერ ფანტასტიკური და ზღაპრული ელემენტებიც მოიპოვება). ქრისტომათიაში, მისი დანიშნულებიდან და მიზნებიდან გამომდინარე, შეტანილია კარპინის თხზულებიდან ის ნაწყვეტები, რომლებიც შეიცავენ მონღოლთა ეთნოგრაფიული ყოფის, მათი ყოფა-ცხოვრების აღწერას. ესენია ცნობები მონღოლთა ქვეყნის გეოგრაფიულ-კლიმატური პი-

რობების შესახებ, მათი გარეგნობის, ცოლქმრობის, ტანსაცმლისა და საცხოვრებლის შესახებ, რელიგიის, მკითხაობის, დახაფლავების წესისა და ცრურწმენათა შესახებ, ზნეჩვეულებებისა და საკვების, მისი მიღების წესების შესახებ, მათი საბრძოლო თვისებებისა და ბრძოლის ტაქტიკის, მისი წარმოების შესახებ; აქვე ჩავრთეთ შედარებით მცირე ორგვერდიანი ნაწყვეტი, რომელშიც სხვა ამბებთან ერთად, მოკლედ აღწერილია ქართველი უფლისწულების—დავით რუსუდანის ძისა და დავით ლაშა გიორგის ძის მონღოლთა კარზე ყოფნის ამბები. ტექსტი წარმოდგენილია გ. ქიქოძისეული გამოცემიდან.

ბიბლიოგრაფია

1. Собрание путешествий к татарам и другим восточным народам. I. Плано Карпин, II. Асцелин, СПБ., 1825.
2. Иоанн де Плано Карпини, История Монголов, Вильгельм рук, Путешествие в восточные страны, СПБ., 1911.
3. პლანო კარპინი, ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ, თარგმნა გერონტი ქიქოძემ, მსკი, ნაკვ. II, თბ., 1942, გვ. 1—72.

თათრების ქვეყნის მდებარეობისა, თვისებისა და ჰავის განაწილების შესახებ*

მიწა-წყალზე შეგვიძლია ასე ვიმსჯელოთ. თავდაპირველად ვიტყვით მის მდგომარეობაზე, მეორედ — მის თვისებაზე, მესამედ — მისი ჰაერის განაწილებაზე.

ზემოხსენებული ქვეყანა იმყოფება აღმოსავლეთის იმ ნაწილში, სადაც, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, აღმოსავლეთი ჩრდილოეთს უნდა უერთდებოდეს. მის აღმოსავლეთით ძევს ჩინელების და სოლანგების მიწა-წყალი, სამხრეთით— სარაცინებისა, სამხრეთ-დასავლეთით — ჰუირებისა, ხოლო დასავლეთით ნაიმანებისა. ჩრდილოეთით თათრების ქვეყანას ოკეანე-ზღვა აკრავს.

ზოგიერთ ადგილებში ის მეტისმეტად მთაგორიანია, ზოგიერთში კი ვაკე, მაგრამ თითქმის ყველგან შერეულია ხვინჭასთან, იშვიათად თიხასთან. უმეტეს ნაწილად კი ქვიშიანია, ალაგ-ალაგ პატარა-პატარა ტყეები გვხვდება, სხვაგან კი სრულიად უტყეოა. ცეცხლს გასათბობად და საკვლის მოსახარშად როგორც იმპერატორისა და მთავრებისა, ისე სხვებისათვის ძროხისა და ცხენის სკორეზე აღვივებენ. ამ მიწის ერთი მესამედი ძლივს იქნება ნაყოფიერი, ისიც მხოლოდ იქ, სადაც მდინარეებით ირწყვება. მაგრამ ნაკადულები და რუები იქ ცოტაა, მდინარეები კი მეტად იშვიათი, ამიტომ სოფლებიც ცოტაა, ქალაქები კი სულ არაა, გარდა ერთისა, რომელიც, როგორც ამბობენ, ძალიან კარგია და კარაკორონი ეწოდება; მაგრამ ის ჩვენ არ გვინახავს, არამედ ნახევარი დღის სავალზე ვიყავით მისგან, როცა სირ-ურდოში ვიმყოფებოდით, რომელიც მათი იმპერატორის მთავარ სადგომს წარმოადგენს. მაგრამ თავისი უნაყოფობის მიუხედავად, ეს მიწა, თუმცა არც ისე ძალიან, მესაქონლეობისათვის არის გამოსადეგი.

ჰავა ამ ქვეყანაში გასაოცრად ცვალებადია. შუა ზაფხულში, როდესაც სხვა ქვეყნებში ძლიერი სიცხე დგას, იქ მხოლოდ საშინელი ელვა-ქუხილი იცის, რომელიც მრავალ ადამიანს ხოცავს. იმავე დროს იქ დიდ თოვლს სდებს. აგრეთვე ისეთი ძლიერი ქარიშხალი და ცივი ქარი იცის, რომ ხანდახან ადამიანისათვის ძნელია ცხენზე თავის შემაგრება. ამიტომ, როდესაც ჩვენ ურდოში (ასე უწოდებენ ისინი იმპერატორისა და მთავრების სადგომებს) ვიმყოფებოდით, სასტიკი ქარების გამო ხშირად მიწაზე ვიყავით გართხმულნი და მტვერის კორიანტელში ვერაფერს ვერ ვხედავდით. ზამთარში იქ არასოდეს წვიმა არ მოდის, ზაფხულში კი ისე ცოტას მოწვიმს, რომ ძლივს ასველებს მტვერსა და ბალახს. სეტყვა კი ძალიან მსხვილი იცის. როცა ჩვენ ურდოში ვიმყოფებოდით, იმპერატორის არჩევისა და ტახტზე აყვანის დღეებში, ისეთი დიდი სეტყვა მოვიდა, რომ როდესაც ის უცებ გადნა, ას ორმოცზე მეტი კაცი დაადრჩო და

* წყაროდან: პ ლ ა ნ ო კ ა რ პ ი ნ ი, ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ვეწოდებთ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. II, ფბ., 1942, გვ. 7—20, 35—56. (ტექსტი ბეჭდება უცვლელად).

მრავალი ქონება და ბინა წაიღო, როგორც ეს ჩვენ სრულიად დანამდვილებით გავიგეთ. ზაფხულობით უცებ საშინლად დაცხება, შემდეგ მოულოდნელად ძლიერ სიცივეს დაიჭერს. ზამთარში კი ალაგ-ალაგ დიდ თოვლს სდებს, ალაგ-ალაგ კი სულ ცოტას. ერთი სიტყვით, მოკლედ რომ დავასკვნათ, ეს ქვეყანა მეტად ვრცელია, მაგრამ სხვა მხრივ, როგორც ის საკუთარი თვალით ვნახეთ (ვინაიდან მასში ირგვლივ ხუთთვენახევარი ვიმოგზაურეთ), ისეთი ცუდია, რომ აწერაც კი ძნელია.

თაბაშირების მარილნობასა, ცოლქორწილებსა, ტანსაცმელსა და ბინებზე

ვილაპარაკეთ რა მიწა-წყალზე, ახლა მცხოვრებლებზე უნდა ვისაუბროთ. პირველად მათი გარეგნობა აღვწეროთ, მეორედ — მათს ცოლქორწილებზე ვილაპარაკოთ, მესამედ — მათს ტანსაცმელზე, მეოთხედ — ბინებზე, მეხუთედ — მეოჯახეობაზე.

სახით ისინი ყველა სხვა ადამიანისაგან განსხვავდებიან. თვალებსა და ღაწვებს შორის მათი სახე უფრო ფართოა ვიდრე სხვებისა, ხოლო მათი ღაწვები მეტად ყვრიმალძვლიანია. ყველას, იშვიათი გამოკლებით, თხელი ტანი აქვს და თითქმის ყველანი საშუალო სიმაღლის არიან. წვერი თითქმის სრულიად არ აქვთ, მხოლოდ ზოგიერთს ზედა ტუნჩზე და ნიკაპზე რამდენიმე ბეწვი ამოდის, რომელსაც არასოდეს არ იკრეჭავენ. საქოჩრეს იპარსავენ ჩვენი კლირიკოსების მსგავსად, აგრეთვე ყველანი სამი თითის დადებაზე თავს იპარსავენ ერთი ყურიდან მეორემდე; ამ მოპარსულ ადგილს ცხენის ნალის ფორმა აქვს. აგრეთვე ყველანი შუბლს იპარსავენ ორი თითის დადებაზე. საქოჩრესა და ზემოხსენებულ მოპარსულ ადგილს შორის დატოვებულ თმას კი წარბებამდე უშვებენ. დანარჩენ თმას ქალებივით იზრდიან, ორ ნაწნავს აკეთებენ და ყურების უკან იხვევენ. პატარა ფეხები აქვთ.

გარდა ამისა, თათრები კითხვებს ყვირილით იძლევიან და საშინელ ხორხისმიერ ხმებს გამოსცემენ ხოლმე. სიმღერის დროს ხარებივით ღმუიან ან მგლებივით ყმუიან და რაღაც გაუგებარ სიტყვებს იძახიან; ხშირად სიმღერას ალაი, ალაის უმატებენ. სმის დროს უწესოდ თავს აქნევენ და სასმელს ცხენებივით ეწაფებიან.

ყველას იმდენი ცოლი ჰყავს, რამდენის შენახვაც შეუძლია: ზოგს ასი, ზოგს ორმოცდაათი, ზოგს კიდევ ათი თუ მეტი ან ნაკლები. ყველა ნათესავ ქალს ირთავენ განურჩევლად, გარდა დედისა, ქალიშვილისა ან ღვიძლი დისა; რაც შეეხება დებს, ერთი მამიდან და მამის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქვრივებს, მათი შერთვა შეუძლიათ. ძმის სიკვდილის შემდეგ უმცროსი ძმა ან სხვა ვინმე უმცროსი ნათესავი ვალდებულია, მისი ქვრივი შეირთოს. ყველა დანარჩენ ქალებს განურჩევლად ირთავენ, რისთვისაც მათს მშობლებს დიდ ფასს აძლევენ. ქმრის სიკვდილის შემდეგ ქვრივი ქალი იშვიათად თხოვდება, თუ ვინმემ თავისი დედიხაცვლის შერთვა არ ისურვა.

შეუღლებული თათარი ცოლს თავისად არ სცნობს, სანამ ეს უკანასკნელი მისგან არ დაორსულდება და არ შობს. მას უფლება აქვს ცოლს გაეყაროს, თუ ის უნაყოფოა.

მამაკაცის და დედაკაცის ტანისამოსი ერთნაირადაა შეკერილი. წამოსასხამებსა და ფარფლებიან ქუდებს ისინი არ ატარებენ, იცვამენ ბუკარანის, ძოწეულის ან ბალდაკინის ხიფთანს, რომელსაც შემდეგნაირად კერავენ: ზემოდან ქვემოდე ის გაჭრილია, მხოლოდ მკერდზე იკვრება; მარცხენა მხრით მათ ერთი შესაკრავი აქვთ, ხოლო მარჯვენა მხრით სამი; მარცხენა მხრით ის გაჭრი-

ლია მხრებამდე. ყოველგვარი ჯუბაჩებიც ასევე იკერება, მხოლოდ ზედა ჯუბა-ჩას ბეწვი საპირის მხრიდან აქვს, უკანიდან კი გახსნილია და შემკულია კუდით, რომელიც მუხლებამდე სცემს. ქმრიანი ქალები მეტად ფართო ხიფთანს ატარებენ, ბოლომდე გაჭრილს. თავზე კი რაღაცას მრგვალს იხურავენ, რომელიც წნელისა ან ხის ქერქისგან არის გაკეთებული, ერთი წყრთა სიგრძე აქვს და ზევით ოთხკუთხედით თავდება; ეს ქუდი ქვემოდან ზემოთ თანდათან ფართოვდება, ხოლო ზევით მას აქვს გრძელი და წვრილი ოქროს, ვერცხლის თუ ხის ჩხირი ან კიდევ ფრთა; ეს ჩხირი მიმაგრებულია თავსაბურავზე, რომელიც მხრებამდე აღწევს. ხსენებული თავსაბურავი დაფარულია ბუკერანით, ძოწეულით ან ბალდაკინით, უმისოდ დედაკაცები მამაკაცებს არასოდეს არ ეჩვენებიან და ამით განსხვავდებიან ისინი სხვა ქალებისაგან. ქალიშვილებისა და ახალგაზრდა გათხოვილი ქალების გარჩევა მამაკაცებში ძალიან ძნელია, იმიტომ რომ ისინი სწორედ ისევე იცვამენ, როგორც მამაკაცები. მათი ქუდები განსხვავდება სხვა ერების ქუდებისაგან, მაგრამ ჩვენთვის ძნელია მათი ისე აწერა, რომ გასაგები იყოს.

მათი სადგომები მრგვალია კარავივით და ხელოვნურადაა გაკეთებული წნელისა და ჯოხებისაგან. ზემოთ შუა ადგილას მრგვალი სარკმელია გაჭრილი, საიდანაც სინათლე შედის და კვამლი გამოდის, იმიტომ რომ ისინი ცეცხლს ყოველთვის შუა ადგილას ანთებენ. კედლები და სახურავი ქეჩითაა დაფარული, კარიც ქეჩისაგანაა გაკეთებული. ზოგიერთი სადგომი დიდია, ზოგიერთი კიდევ მომცრო, ადამიანის წარჩინებისა და ხელმოკლეობის მიხედვით. ზოგიერთი სწრაფად იშლება, იკეცება და საქონლის შემწეობით გადაიტანება ხოლმე, ზოგიერთის დაშლა არ შეიძლება, მათი გადაზიდვა ფორნებით ხდება. თუ კარავი პატარაა, ფორანში ერთ ხარს უბამენ, თუ ის დიდია — სამს, ოთხს ან მეტს, სიდიდის მიხედვით. სადაც უნდა წავიდნენ, ომში თუ სხვა ადგილას, სადგომები ბუდამ თან მიაქვთ.

ისინი მეტად მდიდრები არიან შინაური პირუტყვით, აქლემებით, ხარებით, ცხვრებით, თხებითა და ცხენებით. სასაპალნე ხვადაგი იმდენი ჰყავთ, რამდენიც, ჩვენი აზრით, მთელ დედამიწის ზურგზე არ იქნება. ღორები და სხვა ცხოველები ბათ სრულიად არ ჰყავთ.

ღვთის თაყვანისცემისა და ეშის ფესვებზე, თუ რას სთვლიან ისინი ცოდვად, მკითხაობისა, დასაფლავების წესისა და ცოდვათა განწმენდის შესახებ

რაკი ადამიანებზე ვილაპარაკეთ, უნდა ვისაუბროთ მათ წესებზე, რასაც შემდეგნაირად ვიზამთ. პირველად ღვთის თაყვანისცემაზე ვილაპარაკებთ, მეორედ — ეშმაზე, თუ რას თვლიან ისინი ცოდვად, მესამედ — მკითხაობასა და ცოდვათა განწმენდაზე, მეოთხედ — დასაფლავების წესზე.

მათ სწამთ ერთი ღმერთი, რომელსაც ყოველი ხილულისა და უხილავის შემოქმედად სთვლიან; აგრეთვე სწამთ, რომ ის არის როგორც ნეტარების მომნიჭებელი ამ ქვეყნად, ისე დამსჯელი; მაგრამ ისინი მას არც ლოცვით სცემენ თაყვანს, არც ქება-დიდებით, არც სხვა რაიმე წესით. ამისდა მიუხედავად მათ აქვთ რაღაც კერპები, რომელთაც ქეჩისგან აკეთებენ ადამიანის მსგავსად და სადგომის შესავალთან სდგამენ ორივე მხრიდან; ამ კერპებს შიგნით რაღაცას ძუძუების მსგავსს უკეთებენ ქეჩიდანვე და ჯოგების მფარველად სთვლიან, უხვი რძის მომცემად და პირუტყვის გამამრავლებლად. სხვა კერპებს აბრეშუმის ქსოვილისგან აკეთებენ და დიდ პატივს სცემენ; ზოგიერთები მათ მშვენიერ დახურულ ფორანში სდგამენ სადგომის შესასვლელთან, და თუ ვინმემ ამ ფორნიდან რამე მოიპარა, მას შეუბრალებლად ჰკლავენ.

როცა მათ ამ კერპების გაკეთება სურთ, ყველა ხნიერი დიასახლისი ერთად თავს იყრის და მოკრძალებით აკეთებს მათ, ხოლო როდესაც საქმეს მორჩებიან, ცხვარს დაკლავენ, შესწამენ, ძვლებს კი დასწვავენ. როცა რომელიმე ჭაბუკი ავად ხდება, ისინი კერპს აკეთებენ ზემოაღნიშნული წესით და მის საწოლზე აბამენ. მხედართმთავრებს, ათასისთავებსა და ასისთავებს ყოველთვის ერთი კერპი აქვთ შუაგულ სადგომში. ამ კერპებს ისინი მსხვერპლად სწირავენ როგორც რქოსანის, ისე სასაპალნო პირუტყვის პირველად გამოწველილ რძეს; ყოველთვის, სანამ ჭამა-სმას შეუდგებოდნენ, კერპებს მსხვერპლს სწირავენ თავიანთი საჭმელ-სასმელიდან. როცა რაიმე ცხოველს ჭკლავენ, მისი გული ლანგარით კერპისთვის მიაქვთ, რომელიც ფორანზე დგას და გათენებამდე მას უტოვებენ; შემდეგ ართმევენ, ხარშავენ და სჭამენ.

უწინარეს ყოვლისა, კერპს იმპერატორისთვის აკეთებენ და მოკრძალებით ფორანზე სდგამენ მისი სადგომის წინ და მრავალ საჩუქარს სწირავენ, როგორც ეს ჩვენ ახლანდელი იმპერატორის ურდოს წინ ვნახეთ. აგრეთვე სწირავენ ცხენებს, რომლებზედაც ვერავინ შეჯდება მის სიკვდილამდე. სხვა ცხოველებსაც სწირავენ მსხვერპლად. საჭმელად დაკლული ცხოველების ძვლებს არასოდეს არ ამტვრევენ, არამედ სწვავენ. სამხრეთის მხარეს ისინი თაყვანს სცემენ როგორც ღმერთს და ამასვე აიძულებენ სხვა წარჩინებულ ადამიანებს, რომელნიც მათ ეძორჩილებიან. ამიტომ მოხდა, რომ როცა ბათოსთან ამ ცოტა ხნის წინათ რუსეთის ერთ-ერთი დიდი მთავარი მიხაილი მივიდა, რათა მას დამორჩილებოდა, იგი თავდაპირველად ორ ცეცხლს შუა გაატარეს, ხოლო შემდეგ უთხრეს, თაყვანი ეცი ჩინგიზ-ყაენს სამხრეთითო. მან უპასუხა, სიამოვნებით თაყვანს ვცემ ბათოს და მის მსახურებს, მაგრამ მიცვალებულის გამოსახულებას თაყვანს არ ვცემ, ვინაიდან ეს შეუფერებელია ქრისტიანისთვისო. როცა მას რამდენჯერმე განუმეორეს—თაყვანი ეცა, ხოლო ის უარზე იდგა, ბათომ იარღლავის ვაჟის პირით გადასცა, მოკლულ იქნები, თუ თაყვანი არ გიცია. ამაზე მან უპასუხა, მირჩევნია მოვკვდე, ვიდრე უწესო საქმე ჩავიდინოო. ამის შემდეგ ბათომ თავისი ქეშიკი გამოგზავნა, რომელმაც მას წიხლი ურტყა მუცელზე გულთან, სანამ იგი არ გარდაიცვალა. იმავე დროს მიხაილის ერთი მხედარი იქვე იდგა და მას ამხნევებდა: „განმტკიცდი, ვინაიდან ეს სატანჯველი წუთიერია, მას კი საუკუნო ნეტარება მოსდევს“. ამის შემდეგ დანით ჯერ მთავარს მოსჭრეს თავი, ხოლო შემდეგ ზემოხსენებულ მხედარს.

გარდა ამისა ისინი თაყვანს სცემენ მზეს, მნათობებს, ცეცხლს, წყალს, მიწას, ბუხს იდრეკენ მათ წინაშე და საჭმელ-სასმელის პირველ ნაწილს სწირავენ, განსაკუთრებით ღილით, სანამ ჭამა-სმას დაიწყებდნენ. რადგან ღვთის თაყვანისცემაში არავითარ კანონს არ იცავენ, რამდენადაც ვიცით, არავისთვის ძალა არ დაუტანებიათ თავის რწმენაზე ანუ კანონზე უარი ეთქვათ, გარდა ზემოხსენებული მიხაილისა. ესეცაა, რომ ჩვენი იქ ყოფნის დროს ჩერნიგოვის მთავარი ანდრეი რუსეთიდან დასმენილ იქნა ბათოსთან, რომ ჩვენი მიწებიდან თათრების ცხენები გაპყავს და სხვა ადგილებში ჰყიდისო; თუმცა ეს ბრალდება არ დამტკიცდა, მაგრამ ის მაინც მოჰკლეს. ეს რომ მისმა უმცროსმა ძმამ გაიგო, მოკლულის ქვრივთან ერთად ბათოსთან მივიდა და სთხოვა მამულს ნუ წაგვართმევთო. ბათომ ჭაბუკს უთხრა, წესი მოითხოვს, რომ შენი ძმის ცოლი შეირთოო, ხოლო ქვრივს უბრძანა მაზლს გაჰყოლოდა თათრების ჩვეულების მიხედვით. ქალმა უპასუხა, მირჩევნია მოკლულ ვიქნე, ვიდრე კანონის წინააღმდეგ წავიდეო. მათი წინააღმდეგობის მიუხედავად ბათომ ქალი და ვაჟი შეაუღლა: ორივე საწოლთან მიიყვანეს, ეს მტირალი და მყვირალი ვაჟი ქალს თავზე და-

აწვინეს და აიძულეს ერთმანეთს პირობითად კი არა, ნამდვილად შეერთებოდ-ხეს.

თუმცა მათ არავითარი კანონი არ აქვთ სამართლიან საქმეებზე ან შეცოდების მიმართ გაფრთხილებაზე, მაგრამ მაინც ზოგიერთი ტრადიცია აქვთ იმის შესახებ, რასაც ცოდვას უწოდებენ და რაც მათ მიერ ან მათი მამების მიერ არის შოგონილი. ერთი რომ ცოდვად ითვლება დანის ჩარჭობა ცეცხლში, ან სხვაფრივ დანით ცეცხლის შეხება, ან კიდევ დანით ხორცის ამოღება ქვაბიდან. ცოდვაა აგრეთვე ცეცხლის მახლობლად ცულით რისამე ჭრა, ვინაიდან ფიქრობენ, რომ ამრიგად თავი ანუ ძალა ერთმევა ცეცხლსო; აგრეთვე — ცხენის გასაღებ მათრახზე დაყრდნობა (ისინი დეზებს არ ხმარობენ), ისრის შეხება მათრახით, ფრინველთა ბარტყების დაჭერა და მოკვლა, ცხენისათვის აღვირის დარტყმა, ძვალზე ძვლის გატეხა. შემდეგ ცოდვად ითვლება მიწაზე რძის ან სხვა. რაიმე სასმელის თუ საჭმელის დაღვრა, სადგომში შარდზე გასვლა; ვინც ამას განგებ ჩაიდენს, მას ჰკლავენ. სხვა შემთხვევაში კი ფული უნდა გადაუხადოს ჯადოქარს, რომელიც მათ გასწმენდს, ხოლო სადგომსა და ყოველივეს, რაც მასშია, ორ ცეცხლს შუა გაატარებს; მაგრამ ამ განწმენდამდე ვერავინ ვერ ბედავს შიგ შევიდეს ან იქიდან რამე გამოიტანოს. აგრეთვე თუ ვინმემ პირში ლუკმა ჩაიდო, მისი გადაყლაპვა ვერ შესძლო და უკან გამოაგდო — მას სადგომის ქვეშ გაკეთებულ ხვრელში გაატარებენ და შეუბრალებლად მოჰკლავენ. ამგვარადვე ჰკლავენ იმას, ვინც ფეხს დაადგამს ამა თუ იმ მთავრის ზღურბლს. და მათ მრავალი აქვთ ამის მსგავსი, რის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ხოლო ადამიანების მოკვლა, სხვის ადგილ-მამულზე თავდასხმა, სხვისი ქონების მოტაცება სხვადასხვა უკანონო წესით, სხვა ადამიანების შეურაცხყოფა, მეძავობა, ღვთის ბრძანებისა და მცნების წინააღმდეგ მოქმედება მათ შორის სრულიადაც ცოდვად არ ითვლება. საუკუნო ცხონებასა და საუკუნო წაწყმენდაზე მათ წარმოდგენა არ აქვთ. მაგრამ სწამთ, რომ სიკვდილის შემდეგ სხვა ქვეყანაში იცხოვრებენ, თავიანთ ჯოგებს გაამრავლებენ, სჭამენ, სვამენ და ყოველივე იმასვე გააკეთებენ, რასაც ამ ქვეყანაში ცოცხალი ადამიანები აკეთებენ.

ისინი გულმოდგინედ მისდევენ მკითხაობას საერთოდ, ბედის ამოკითხვას ფრინველების გაფრენასა და ცხოველების შიგნეულობის მიხედვით, ჯადოქრობას და მისნობას. როდესაც მათ ეშმაკები პასუხს აძლევენ, ჰგონიათ თვით ღმერთი გველაპარაკებაო. ამ ღმერთს ისინი იტოგას უწოდებენ, ხოლო კომანები — ხანს, ესე იგი იმპერატორს. მათ საოცრად ეშინიათ და პატივისცემა აქვთ მისი, მრავალ მსხვერპლს და საჭმელ-სასმელის პირველ ნაწილებს სწირავენ და მისგან მიღებული პასუხების მიხედვით იქცევიან. ახალ საქმეს ახალ მთავრესა ან მთავრის დაცხრობაზე იწყებენ; ამიტომ მთავრეს დიდ იმპერატორს უწოდებენ, მის წინაშე მუხლს იდრეკენ და ლოცულობენ. მზეს მთავრის დედად სთვლიან, იმიტომ რომ ის მზისგან სესხულობს სინათლეს. სხვათა შორის, მათ სწამთ, რომ ცეცხლი ყოველივეს სწმენდს, ამიტომ მათთან მისული დესპანებს, დიდებულებსა და სხვა პირებს აიძულებენ ორ ცეცხლს შუა გაიარონ მოტანილი საჩუქრებითურთ, რათა მათ ვინმე არ მოაჯადოონ, მოწამლონ ან სხვა რაიმე ვნება არ მოიტანონ. აგრეთვე თუ ჯოგს ან ადამიანს მეხი დაეცა, რაც იქ ხშირი შემთხვევაა, ან ისეთი რამე მოხდა, რისგანაც ისინი თავიანთ თავს წაბილწულად ან უბედურად სთვლიან, თავი უნდა გაიწმინდონ ჯადოსნის შემწეობით და, ისე ვთქვათ, მთელ თავის იმედს ასეთ პირებზე ამყარებენ.

თუ ვინმე მათგანი სასიკვდილოდ დაავადმყოფდა, მის სადგომში შუბს ამართავენ და შაგ ქეჩას შემოახვევენ: ამის შემდეგ არავის გარეშეთაგანს არ

შეუძლია მის სადგომში შესვლა. როცა ავადმყოფს სულთმობრძაობა ეწყება, ყველანი მას მოშორდებიან, იმიტომ რომ ვინც სიკვდილს დაესწრო, მთვარის გამოცვლამდე აღარ შეუძლია მთავრის ან იმპერატორის ურდოში შესვლა. სულის და ხორცის გაყრის შემდეგ, თუ მიცვალებული წარჩინებული პირი იყო, ძას სადმე მინდორში მარხავენ ფარულად; მასთან ერთად მარხავენ მის სადგომსაც, რომლის შუაზე მას დასვამენ ხოლმე, ხოლო წინ უდგამენ მაგიდას, ხორცით სავსე ხონჩას და ცხენის რძით სავსე ქოთანს. მასთან ერთად ასაფლავებენ აგრეთვე კვიციან ჭაკს და აღვირამოდებულ, უნაგირიან ცხენს, ხოლო მეორე ცხენს სჭამენ, მის ტყავს კი ჩალით სტენიან და ორ ან ოთხ ლატანზე ათავსებენ, რათა საიქიოში მიცვალებულს სადგომი ჰქონდეს საცხოვრებლად, ჭაკი ცხენი ჰყავდეს რძის მისაღებად და მოსაშენებლად, აგრეთვე სხვა ცხენი საჯდომად. ხშირად დედაკაცები იკრიბებიან, რათა ძვლები დასწვან მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად, როგორც ეს ჩვენი საკუთარი თვალით ვნახეთ ან სხვებისგან გავიგეთ. ჩვენ ვნახეთ აგრეთვე, რომ ახლანდელი იმპერატორის მამამ, ოკოდაი ხანმა ბუჩქი დარგო თავის სულის მოსახსენებლად და ბრძანება გასცა იქ არავის არაფერი მოეჭრა; თუ ვინმე რაიმე წნელს მოსჭრიდა, როგორც ჩვენ თვითონ ვნახეთ, მას ტანთ ხდიდენ და სასტიკად სცემდნენ. თუმცა ძალიან გვჭირდებოდა ცხენის გადენა, მაგრამ ვერც ერთი წნელის მოჭრა ვერ გავბედეთ. მიცვალებულთან მარხავენ აგრეთვე ოქრო-ვერცხლს. ფორანს, რომლითაც ცხედარი მიაქვთ, ამტვრევენ, სადგომს ანგრევენ და ვერავინ ვერ ბედავს მიცვალებულის სახელის წარმოთქმას მესამე თაობამდე.

ზოგიერთ წარჩინებულ პირს სხვანაირადაც მარხავენ. ფარულად მინდორში გადიან, ბალახს სთხრიან ფესვებიანად და ერთ დიდ თხრილს იღებენ, რომელსაც გვერდით მეორე ხვრელს უკეთებენ, სადაც მიცვალებულის გვამის ქვეშ მის საყვარელ მონას სდებენ; მას იქ იმდენ ხანს ამყოფებენ, სანამ თითქმის სულთმობრძაობა დაეწყებოდეს, შემდეგ ამოჰყავთ, რათა სული მოითქვას, ეს სამჯერ ხდება. თუ მან ეს აიტანა, თავისუფალი ხდება, რაც სურს იმას აკეთებს და პატივსაცემ პირად იქცევა ურდოში და მიცვალებულის ნათესავებს შორის. მიცვალებულს კი გვერდით გამოთხრილ ხაროში სდებენ, თან ზემოხსენებულ ნივთებს ატანენ, შემდეგ კი მთელ საფლავს მიწით ავსებენ და წინანდებურად ბალახით ფარავენ, რათა მისი აღმოჩენა შეუძლებელი გახდეს. დანარჩენში ისევე იქცევიან, როგორც ზემოთ იყო მოთხრობილი.

მათ ქვეყანაში ორი სასაფლაოა. ერთზე მარხავენ იმპერატორებს, მხედართმთავრებსა და კეთილშობილებს. სადაც უნდა დაიხოცნონ ისინი, აქ მოაქვთ, თუ ეს მოხერხდა. მათთან ერთად დიდძალ ოქრო-ვერცხლს მარხავენ. მეორე სასაფლაოზე ჰუნგრეთში დაღუპულნი მარხიან, ვინაიდან იქ მრავალი მათგანი დაიხოცა. ამ სასაფლაოებთან მიახლოებას ვერავინ ბედავს. გარდა იქ მიყენებული დარაჯებისა. თუ სხვა ვინმე მიუახლოვდა, მას იპერენ, ტანთ ხდიან და ჯოხით სცემენ შეუბრალებლად; ჩვენ ეს არ ვიცოდით და ერთხელ ჰუნგრეთში დახოცილთა სასაფლაოს საზღვრებში შევედით. დარაჯებმა ისრებით დახოცვა მოგვინდომეს, მაგრამ რადგან დესპანები ვიყავით და იქაურ ზნე-ჩვეულებებს არ ვიცნობდით, არაფერი დაუშავებიათ ისე გაგვანთავისუფლეს.

მიცვალებულის ნათესავები და მის სადგომებში მცხოვრებნი ცეცხლით უნდა განიწმინდონ. ეს განწმენდა შემდეგნაირად ხდება. ანთებენ ორ ცეცხლს და მათ მახლობლად ორ შუბს ასობენ, რომელთა თავზე თოკია გაბმული; ამ თოკზე ბუკარანის ნაჭრებს აბამენ. ამ თოკისა და ნაჭრების ქვეშ ორ ზემოხსენებულ ცეცხლს შუა ადამიანებს, პირუტყვსა და კარვებს ატარებენ. ერთი

მხრით ერთი ქალი დგას, მეორეთი — მეორე, ისინი წყალს ასხურებენ და რაღაც ჯადოსნურ სიტყვებს ბუტბუტებენ. თუ ამ დროს იქ ფორანი გატყდა, ან რაიმე ჩაძოვარდა ეს ჯადოსნები ღებულობენ. თუ ვინმე მეხმა მოჰკლა, ყველამ, ვინც მის სადგომებში ცხოვრობდა, ზემოაღწერილი წესით ცეცხლში უნდა განელოს. მისი კუთვნილი სადგომი, საწოლი, ქეჩები, ფორნები, ტანისამოსი და სხვა ხელუხლებელი უნდა დარჩეს და უწმინდურად ითვლება.

მათს კარგსა და ცუდს ზნე-ჩვეულებასა და მათს ანაგებელზე

წესების აწერის შემდეგ საჭიროა ვილაპარაკოთ მათ ზნე-ჩვეულებაზე, რასაც შემდეგნაირად ვიზამთ. პირველად ვიტყვით კარგ ზნე-ჩვეულებებზე, მეორედ — ცუდზე, მესამედ — საქმელზე.

ზემოხსენებული ადამიანები, ესე იგი თათრები, უფრო ემორჩილებიან თავიანთ ხელმწიფეს, ვიდრე სხვა რომელიმე ამ ქვეყნად მცხოვრები ადამიანები, საერონი თუ სასულიერონი, და ისეთ პატივს სცემენ მას, რომ თითქმის არასოდეს არ სტყუიან მის წინაშე. ერთმანეთს იშვიათად ან თითქმის სრულიად არ აგინებენ, ჩხუბი, შუღლი, კაცის დაჭრა, ცემა-ტყება, მოკვლა მათ შორის არასოდეს არ ხდება. აეაზაკები და ქურდები მათ შორის არ მოიპოვებიან, ამიტომ ისინი კლიტეებით და ურდულებით არ კეტავენ სადგომებს და ფორნებს, რომელშიც თავიანთ ქონებას ინახავენ. თუ რაიმე პირუტყვი დაეკარგათ, მისი აღმომჩენი ან იქვე დასტოვებს მას, ან ამისთვის საგანგებოდ დადგენილ ადამიანებს მიუყვანს; პირუტყვის პატრონები მას ამ უკანასკნელთ მოსთხოვენ და დაუბრკოლებლივ მიიღებენ. ერთმანეთს დიდ პატივს სცემენ და ყველანი მეგობრულად არიან ურთიერთ შორის და რაც უნდა ცოტა საშმელი ჰქონდეთ, სიამოვნებით ინაწილებენ. იმდენად ამტანნი არიან, რომ თუნდ ერთი-ორი დღე არაფერი ეჭამოთ, არავითარ მოუთმენლობას არ იჩენენ, არამედ მღერიან და ძხიარულობენ, თითქო კარგა დანაყრებული იყვნენ. ცხენით მოგზაურობის დროს უდიდეს სიცივესა და სიცხეს იტანენ. ისინი განაზებული ადამიანები არ არიან. მათ არ აქვთ ერთმანეთის შური. სადავო საქმე მათ შორის თითქმის არასოდეს არ ტყდება. ერთიმეორე კი არ სძულთ, არამედ შეძლებისამებრ დახმარებას უწევენ. მათი ქალები უბიწოები არიან და არ გაგვიგონია, რომ ურცხვად იქცეოდნენ; მაგრამ ზოგიერთი მათგანი ხუმრობის დროს ცუდ და უწმაწურ სიტყვებს ხმაროობს. ამბოხება მათ შორის იშვიათად ან საერთოდ არ ხდება; და თუმცა ბევრს სვამენ, სიმთვრალეში იშვიათად ილანძღებიან და იშვიათად ჩხუბობენ.

ახლა მათ ცუდ ზნე-ჩვეულებებზე უნდა ვილაპარაკოთ. ისინი ქედმაღლები არიან და ყველა სხვა ადამიანს ზიზღით უყურებენ; ამიტომ თითქმის არაფრად სთვლიან არც კეთილშობილთ, არც არაკეთილშობილთ. ჩვენ იმპერატორის კარზე ვნახეთ რუსეთის დიდი მთავარი, კეთილშობილი იაროსლავი, აგრეთვე გეორგიის (საქართველოს) მეფის და დედოფლის ვაეები, მრავალი სულთანი და სულთანთა მხედართმთავრები, რომელთაც ისინი სრულიადაც მართებული პატივისცემით არ ეპყრობოდნენ; რა დაბალი წოდებისაც უნდა ყოფილიყვნენ მათდამი მიყენებული თათრები, ისინი მათ წინ მიუძღოდნენ და ყოველთვის პირველ და მომაღლო ადგილს იჭერდნენ, მათ კი ხშირად უკან სვამდნენ. სხვა ადამიანებთან შედარებით ისინი მეტად ფიცნი და ბრაზიანი არიან. დედამიწაზე არ მოიპოვებიან მათი მსგავსი მატყუარები სხვების მიმართ, მათგან თითქმის ვერასოდეს მართალს ვერ გაიგონებთ. თავდაპირველად ისინი ალერსიან-

ნი არიან, მაგრამ ბოლოს მორიელებივით იკბინებიან. ვერაგები და მზაკვრები არიან და თუ მოახერხეს ყველას ეშმაკობით ატყუებენ. უსუფთაონი არიან ჭაშა-სმაში და ყოველივე საქმეში. თუ უნდათ სხვა ადამიანებს ავნონ, ამას საოცრად მალავენ, რათა შეუძლებელი გახდეს მათი ზრახვების გამოცნობა და ვერაგობისაგან თავის დაფარვა. ლოთობა მათ შორის საქებარ საქმედ ითვლება და როცა ვინმე ბევრს დალევს, იქვე აღებინებს, მაგრამ თავისას არ იშლის და ხელახლა სმას იწყებს. ისინი მეტად ხარბნი და ძუნწნი არიან, დიდ ოსტატობას იჩენენ რისამე თხოვნაში, ამავე დროს კი ყოველივე თავისი მაგრად ხელში უჭირავთ და თითქმის არასოდეს არაფერს იძლევიან. სხვა ადამიანების მოკვლა მათთვის თითქმის არაფრად არ ითვლება. ერთი სიტყვით, მათში ისეთი ბევრი რამაა ცუდი, რომ აწერაც კი ძნელია.

სხვა ადამიანების საზოგადოებას იმდენად ვერ იტანენ, რომ მათთან ლაპარაკიც კი არ სურთ, და თამაშობა იქნება თუ სხვა რამე, ყოველთვის მათი დაჯაბნა უნდათ. როცა ერთხელ მათს ჯარში მყოფნი ორი ქრისტიანი ქართველი მათივე გაწვევით ხუმრობით ორ თათარს დაეჭიდა და ორივე დასცა, მაგრამ ისე კი, რომ მათთვის არაფერი დაუშავებიათ, სხვა თათრები გაბრაზდნენ, ქართველებს გააფთრებით ეცნენ, თითოს თითო ხელი მოგლიჯეს და დაამტვრიეს.

ისინი იმდენად ხარბები არიან, რომ როგორც კი რამე ნივთი მოეწონებათ, მაშინვე პატრონს ჩაეცივდებიან, რათა საჩუქრად მიიღონ ან ძალით ართმევენ ფულს ავახშებენ ისე, რომ ათს დინარში თვეში ერთ დინარს ღებულობენ... ამიტომ ერთი მხედარი საქართველოში, რომელმაც თათრებისგან 500 ჰიპერპერი ისესხა, ხუთი წლის შემდეგ იძულებული გახდა მათთვის 7 000 ჰიპერპერი სარგებელი მიეცა. აგრეთვე ერთმა თათრის ჭალბატონმა ვიღაცას სესხად 50 ცხვარი მისცა და 7 წლის შემდეგ 7 000 ჰიპერპერი სარგებელი მოსთხოვა, ხოლო ეს უკანასკნელი იძულებული იყო ეს გადაეხადა. გარდა ამისა ისინი თავიანთ მეზარკეებს გადასახადებით ტეირთავენ, როგორც, მაგალითად, დაბეგრეს ასაგის მიწა, რომელიც წარჩინებულ ბარონს ეკუთვნის. ერთი რომ ხანი თავის ხარკს ღებულობს, 15 დრახმას ან ასპერს მაინც, რომელიც კარგი 30 სტერლინგი ღირს; მეორედ — განსაკუთრებული მფლობელი, მესამედ — ოლქის მმართველი, მეოთხედ — საზეიმო ელჩები, მეხუთეა კერძო ძღვენის მირთმევა. გზად შიმავალ მალემსრბოლთ ცხენები და ხარჯი უნდა მიეცათ. ამას გარდა თითოეული მუშა გლეხისაგან სამ ასპერს ღებულობს, თითოეული ხარისა და ყოველი ექვსი ცხვრისაგან სამ-სამ ასპერს.

თუმცა მათ უდიდესი ცხვრის ფარები ჰყავთ, მაგრამ ძალიან უყვართ მათი გამრავლება; ზედმეტი სიძუნწისაგან კი იშვიათად ან სრულიად არ სჭამენ ჯანსაღ ან ცოცხალ პირუტყვს, არამედ შეეჭცევიან მკვდარს, მომაკვდავს, დასახიჩრებულს ან ავადმყოფს. თუმცა მათ კარვებში ხშირად ყოველივე უხვად მოიპოვება, მაგრამ ისინი არ ეხმარებიან ღარიბებსა და მათხოვრებს. მხოლოდ ერთი რამაა მათში საქები, რომ თუ ვინმე სადილად ან ვახშმად შეესწრო, მას სიაძოვხებით უხაწილებენ თავიანთ საჭმელს.

გაბრაზების დროს დიდად თავშეუკავებელი არიან: ჩვენო, ამბობენ ისინი, ძოისარის მიერ გატყორცნილ ისარს ვგევართ, რომელიც არ გაჩერდება, სანამ გადაულახავ დაბრკოლებას არ დაეჯახებაო. ისინი ყოყოჩობენ თავიანთი მრავალრიცხოვნობით და ფიქრობენ, რომ არავითარ ხალხს არ შეუძლია მათ წინააღმდეგობა გაუწიოს: იმიტომო, ამბობენ ისინი, რომ ჩვენ დიდ მდინარეს ვგევართ, რომელიც გაუვალია თავისი არაჩვეულებრივი სიღრმის გამო და თავის მიმდინარეობაში ყოველ დაბრკოლებას სძლევს, თუმცა მისი სათავე პატარაა

და ის თავის წყლებს სხვა ნაკადულებსაც უნაწილებსო. თვით უმცირესი მათი მოსამსახურეები ქალებს იტაცებენ მათ მიერ დაპყრობილ ქალაქებში, საქართველოში, თურქეთში, სპარსეთში, დიდსა და მცირე სომხეთში, გარდა იმისა, რასაც მათ ქალაქები და სოფლები აძლევენ. იგივე მოსამსახურეები და მალეშრბოლები თუ მათ ცხენები არ ჰყავთ, გზად მომავალ ცხენოსანს აიძულებენ ძირს ჩამოხტეს, ხოლო ცხენს სადაც სურთ, იქ წაიყვანენ. თათრები არაჩვეულებრივად თავშეუკავებლები არიან, დაუცხრობელი ავხორცობით არიან შეპყრობილნი და ყოველგვარ პირუტყვში ირევიან სარაცინების მსგავსად, რომელთაც ყოველთვის მოდებული ჰქონდათ სოდომური ცოდვა, თათრებს შორისაც გავრცელებული.

ისინი ისეთი სასტიკები არიან, რომ არავითარ სიბრალულს არ გრძნობენ არც მოხუცებისა, არც ბალღებისადმი. სისხლის დაღვრას ისინი ისე უცქერიან, როგორც წყლის დაღვრას, ხოლო ადამიანთა გართხმულ გვამებს ნაკელის გროვად სთვლიან. მათი დაუცხრობელი სურვილია არა რომელიმე ერთი ხალხის ძოსპობა, არამედ საქრისტიანოს და ყოველივე სხვა ადამიანების გაჟლეტა. ისინი ყოყოჩობენ ადამიანთა დახოცვით და სულიერად მეტისმეტად სტკბებიან, როცა ბევრ ადამიანს ჰკლავენ: ზოგს მთიდან აგდებენ, ზოგს თავს ქვაზე დაადებინებენ და ქვით უჭეჭყავენ ტვინის დანთხევამდე, სხვებს კიდევ ქვის ხერხით კისერს სჭრიან. როცა სახლებში შედიან, იქ მცხოვრებთ, რომელნიც ცოცხალ-მკვდარნი არიან შიშისაგან, გულში დანას ურჭობენ, და იმ დროს, როცა მსხვერპლი სისხლიდან იცლება, ისინი სხდებიან, სჭამენ და სვამენ, დრო და დრო ხელახლა ჭრილობებს აყენებენ და ამბობენ: აქ იწეკით ჩვენო მტრეო.

ისინი სჭამენ ყველაფერს, რის დაღეჭვაც კი შეიძლება: ძაღლებს, მგლებს, ცხენებს, გაჟირვების დროს ადამიანის ხორცსაც. ერთხელ, როდესაც იმათ ალყა შემოარტყეს ჩინეთის ქალაქს, სადაც იმ ხალხის იმპერატორი იმყოფებოდა, მათ ხანგრძლივ ალყაში დგომის გამო ყოველივე სურსათი გამოელიათ, ამიტომ ყოველი ათი კაციდან თითოს ღებულობდნენ შესაჭმელად. სჭამენ ჭაკის ბადეს, რომელშიც ახალშობილი კვიცია გაჰვეული. ჩვენ დავინახეთ, რომ ისინი თვით ტილებსა და თაგვებს სჭამენ. სუფრებს და ხელსახოცებს არ ხმარობენ. არც პური აქვთ, არც მწვანილი და ბოსტნეული და არც სხვა რამე, გარდა ხორცისა და იმასაც ისე ცოტას სჭამენ, რომ სხვა ხალხები იმით ძლივს გაძლებდეხ.

ხელები ძალიან უჭუჭყინანდებათ ქონით: როცა გაძღებიან, ჩექმებზე, ბალახზე ან რაც მოხვდებათ იმაზე იწმენდენ; მაგრამ წარჩინებულთ აქვთ რაღაც ჩვრები, რომლითაც გაძღომის შემდგომ ხელებს იწმენდენ. ერთი რომელიმე მათგანი საჭმელს სჭრის, ხოლო მერე ნაჭრებს დანის წვერით იღებს და ყველას ურიგებს, ზოგს მეტს, ხოლო ზოგს ნაკლებს, იმისდა მიხედვით თუ რამდენად უნდათ პატივისცემა. ჭურჭელს არ რეცხენ, ხოლო თუ ხანდახან ხორცის წვენს გამოაცლებენ, ხორცთან ერთად ისევ ქოთანში ასხამენ. ასევე რეცხენ ქოთნებს, ქვაბებს და სხვა სამზარეულო ჭურჭელს. დიდ ცოდვად თვლიან რისამე გადაგდებას საჭმელ-სასმელიდან; ამიტომ ძვლებსაც არ უყრიან ძაღლებს, სანამ ტვინს არ გამოსწუწნიან. ტანისამოსსაც არ რეცხავენ და არ არეცხინებენ, განსაკუთრებით თუ ქუხილი დაიწყო, სანამ ის გაივლიდეს.

როცა ცხენის რძე აქვთ, მეტისმეტად ბევრს სვამენ; ეტანებიან აგრეთვე ცხვრის, თხის, ძროხისა და აქლემის რძეს. ღვინო, ლუდი და თაფლი არ აქვთ, თუ სხვა ხალხებისგან არ მოიტანეს, ან საჩუქრად არ მიიღეს. ზამთარში არავის,

გარდა მდიდრებისა, ცხენის რძე არ აქვს. ისინი ფეტვს ხარშავენ წყლით და ისე თხლად, რომ მისი შეჭმა კი არა, მხოლოდ შესმა შეიძლება; თითოეული მათგანი ერთ ან ორ ჩამჩას სვამს დილით და შემდეგ მთელ დღეს არაფერს სჭამს, საღამოთი თითოეულს ცოტაოდენი ხორცი და ხორცის წვენი ეძლევა; ზაფხულობით კი რადგან ამ დროს ცხენის რძე უხვადაა, ხორცს ნაკლებ სჭამენ, თუ შემთხვევით ვინმემ არ აჩუქათ ან ნადირი თუ ფრინველი არ დაიჭირეს.

კანონად თუ ჩვეულებად აქვთ ქალ-ვაჟი დაჭოცონ თუ აშკარა მრუშობაზე წაასწრეს. აგრეთვე ჰკლავენ მეძავ ქალს მამაკაცთან ერთად, რომელთანაც ის ცხოვრობს. თუ თავიანთ სამფლობელოში ვინმეს მძარცველობაზე ან აშკარა ქურდობაზე მიუსწრეს, შეუბრალებლად ჰკლავენ. აგრეთვე ვინც მათ განზრახვას გამოამეღავნებს, განსაკუთრებით როცა ომში წასვლას აპირებენ, იმას უკნიდან ჯოხს ასჯერ არტყამენ ისეთი ძალით, როგორითაც გლეხს შეუძლია დიდი კეტი დაარტყას. აგრეთვე როცა ვინმე უმცროსთაგანი რაიმეს აშავებს, უფროსები მას სასტიკად სცემენ. ხასიდან და ცოლიდან შეძენილ შვილებს ერთმანეთში არ ანსხვავებენ: თითოეულ მათგანს მათი მამა იმას აძლევს, რაც სურს, და თუ მამა თავადთა გვარიდანაა, მისი ხასის ვაჟიც თავადი გახდება, ისევე როგორც მისი კანონიერი ცოლის ვაჟი. რამდენი ცოლიც უნდა ჰყავდეს თათარს, თითოეულ მათგანს თავისი სადგომი და ოჯახი აქვს, ერთ დღეს ის ჭამს, სვამს და იძინებს ერთ ცოლთან, მეორე დღეს მეორესთან. მაგრამ ერთ-ერთი ცოლი უფროსად ითვლება და მასთან ის უფრო ხშირად ცხოვრობს ვიდრე სხვებთან. ესეცაა, რომ რამდენიც უნდა იყვნენ, ცოლები იშვიათად ჩხუბობენ ერთმანეთში.

მამაკაცები სრულიად არაფერს არ აკეთებენ გარდა ისრებისა, აგრეთვე ხაწილობრივ ჯოგს უთვალყურებენ: უყვართ ნადირობა და სროლა, ამიტომ ყველანი, დიდიდან პატარამდე, მარჯვე მსროლელები არიან. როცა მათს ბავშვებს ორი-სამი წელი შეუსრულდებათ, მაშინვე ცხენზე ჯდომასა და ჭენებას სწავლობენ; მათ მშვილდს აძლევენ ასაკის მიხედვით და სროლას ასწავლიან. ისინი მეტად მარჯვენი და გაშბედავნი არიან. გოგოებიც და ქალებიც ცხენებზე სხდებიან და მიჭენობენ მამაკაცებივით. ჩვენ გვინახავს, რომ ისინი მშვილდებსა და კაპარჭებს ატარებდნენ. როგორც მამაკაცებს, ისე დედაკაცებს დიდ ხანს შეუძლიათ ცხენით მოგზაურობა. მათ მეტად მოკლე უზანგები აქვთ. ცხენებს გულმოდგინედ უვლიან და საზოგადოდ მეტად მომჭირნენი არიან. მათი ქალები ყველაფერს აკეთებენ: შუბებს, ტანისამოსს, ფეხსაცმელებს, ჩექმებს და ყოველივე ტყავის ნაწარმოებს, მართავენ ფორნებს და ახდენენ მათ შეკეთებას, ტვირთავენ აქლემებს. ისინი ყველანი მეტად ხელმარჯვენი და მარდნი არიან მუშაობაში. ყველანი შარვლებს იცვამენ, ხოლო ზოგიერთნი ისრებს ისვრიან ძაძაკაცებივით.

არც ერთი თათარი ფეხით არ დადის, ყველანი, თვით უკანასკნელი მსახურებიც ცხენზე ან ხარზე სხდებიან. რადგან მოკლე ფეხები აქვთ, უსწორმასწორო ნაბიჯით დადიან და ისიც ცოტა ხანს. თავიანთ ცხენებს არ ჭედავენ და ქერს არ აშმევენ. საუკეთესო გასართობად და ვარჯიშობად ჭიდაობასა და ისრის სროლას სთვლიან. სხეულით ქრისტიანებზე უფრო სუსტები არიან. საოცარი მონადირეები არიან. ნადირობის დროს ეიწრო წრეს ჰქმნიან, ამრიგად ნადირს გარს უვლიან და ისრებით ხოცავენ და იჭერენ.

ავწერეთ რა როგორ ომობენ ისინი, საჭიროა ვილაპარაკოთ მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებზე, რასაც შემდეგნაირად ვიქმთ. პირველად ვიტყვით, რომ ჰკრავენ ისინი ვინმესთან ზავს, მეორედ — მათ მიერ დაპყრობილი ქვეყნების სახელებზე, მესამედ — ქვეყნებზე, რომელთაც მათ მამაცი წინააღმდეგობა გაუწიეს, მეოთხედ — სიმკაცრეზე, რომელსაც ისინი დაპყრობილთა წინააღმდეგ იჩენენ.

უნდა ითქვას, რომ ისინი არავისთან არ ჰკრავენ ზავს იმათ გარდა, ვინც მათ ემორჩილება, ვინაიდან, როგორც ზემოთ ვთქვით, ჩინგიზ-ყაენიდან ბრძანება აქვთ, თუ შესაძლებელია ყველა ერი დაიმორჩილონ. და აი რას ითხოვენ ისინი მათგან: როცა მათ მოესურვებათ, მათთან ერთად უნდა გაილაშქრონ ყველას წინააღმდეგ და მეათედი მისცენ, როგორც ადამიანებისა, ისე ქონებისაგან. გადათვლიან რა ათ ჰაბუკს, ერთს წაიყვანენ. იმასვე უშვრებიან ქალიშვილებს, რომელნიც თავიანთ ქვეყანაში მიჰყავთ და იქ მომსახურეობისთვის იყენებენ. დანარჩენებს აღრიცხავენ ხოლმე და თავიანთი ჩვეულების მიხედვით აწესრიგებენ. ხოლო როცა მათზე სრულ ძალა-უფლებას მოიპოვებენ, არასოდეს მიცემულ დაპირებას არ ასრულებენ, არამედ ყოველგვარ საშუალებას ეძებენ მის დასარღვევად. მაგალითად, როდესაც ჩვენ რუსეთში ვიყავით, როგორც გადმოგვცეს, იქ გუიუქ-ხანისა და ბათოსაგან ერთი სარაცინი იქნა გამოგზავნილი. ეს გამგე ყოველ მამაკაცს, რომელსაც სამი ვაჟი ჰყავდა, ერთს ართმევდა. მიჰყავდა აგრეთვე უცოლო მამაკაცები და ისეთი ქალები, რომელთაც კანონიერი ქმრები არ ჰყავდათ. ასახლებდნენ აგრეთვე ღარიბ-ღატაკებს, რომელნიც მოწყალებით ცხოვრობდნენ. დანარჩენნი თავიანთი წესის მიხედვით აღარიცხვინა და ბრძანება გასცა, რომ ყველამ, როგორც დიდმა, ისე პატარამ, თვით ერთი დღის ბალღმა, მდიდარმაც და ღარიბმაც, ხარკი გადაიხადოს, სახელდობრ, თეთრი დათვის ტყავი, შავი წავის ტყავი, სიასამურის ბეწვი, შავი მელიის ბეწვი და რაღაც შავი პატარა ცხოველი, რომელიც სოროში ცხოვრობს და რომლის სახელის გადმოცემა ლათინურად ჩვენ არ ძალგვიძს, გერმანულად კი ილტისი ჰქვია, პოლონურად და რუსულად დოხორი. ვინც ამ ხარკს არ გადაიხდის ის თათრებთან მიჰყავთ და მონობაში რჩება.

ისინი აგრეთვე ქვეყნების მფლობელებს იწვევენ, რომ მათთან გამოცხადდხენ დაუყოვნებლივ; როდესაც იქ ცხადდებიან, თათრები მართებული პატივისცემით არ ეპყრობიან, არამედ ისე ექცევიან, როგორც უმდაბლეს პიროვნებათ: იძულებულს ხდიან დიდი საჩუქრები მიართვან მხედართმთავრებს, მათს ცოლებს, მოხელეებს, ათასისთავებსა და ასისთავებს; საზოგადოდ ყველანი, თვით მათი მსახურები, უცხო მფლობელებს თავს აბეზრებენ საჩუქრების თხოვნით; და არა მარტო მათ, არამედ მათ მიერ წარგზავნილ ელჩებსაც. ზოგიერთისთვის კი შემთხვევას ეძებენ, რომ მოჰკლან, როგორც ეს მიხაილსა და სხვებს უყვეს; ზოგიერთებს ეფერებიან და შინ წასვლის ნებას აძლევენ, რათა სხვები მიიზიდონ; ზოგიერთებს კიდეე სასმელით ან საწამლავით ღუპავენ. ხოლო მათი განზრახვა იმაში მდგომარეობს, რომ მარტო გაბატონდნენ დედაძიწაზე და ამიტომ ყოველ ღონისძიებას ეძებენ კეთილშობილი ადამიანების გასაჟლეტად. იმათგან, რომელთაც წასვლის ნებას აძლევენ, ისინი ვაჟებსა და ძმებს თხოულობენ, ამათ კი აღარასოდეს აღარ უშვებენ, როგორც ეს უყვეს იაროსლავის ვაჟს, ალანების რომელიღაც მთავარს და მრავალ სხვას. ხოლო თუ მამა ან ძმა უმემკვიდრეოდ გადავა, ისინი არასოდეს შვილსა ან ძმას

არ გაუშვებენ, პირიქით, მთელ მის სამფლობელოს დაეპატრონებიან, როგორც ერთ სოლანგელ მთავარს უყვეს.

იმ მფლობელების ქვეყნებში, რომელთაც ნება ეძლევათ შინ დაბრუნდნენ, ისინი თავიანთ მოადგილეებს ანუ ბასქატებს ნიშნავენ; როგორც მთავრები, ისე საზოგადოდ ყველანი ვალდებულნი არიან მათი ხელის ერთ დაქნევას დაემორჩილონ. ხოლო თუ რომელიმე ქალაქის ან ქვეყნის მცხოვრებლები იმას არ იზამენ, რაც მათ სურთ, ეს ბასქატები აცხადებენ, რომ ისინი თათრების ორგულნი არიანო და ამრიგად აოხრებენ ამ ქალაქსა თუ ამ ქვეყანას, ხოლო მცხოვრებთ ხოცავენ თათრების ძლიერი რაზმის შემწეობით, რომელიც ამ ქვეყნის მმართველის ბრძანებით მოულოდნელად მიდიან და უცებ თავდასხმას აწყობენ, როგორც ეს ერთ ქალაქს მოუვიდა, როცა ჩვენ თათრების ქვეყანაში ვიმყოფებოდით. იგივე უყვეს იმათ რუსებს კომანთა ქვეყანაში. და არა მარტო თათართა მთავარი, რომელიც რაიმე ქვეყანას დაეუფლა, ან მისი ძოადგილე, არამედ ყველა თათარი, განსაკუთრებით წარჩინებული, სხვის ქვეყანაში ან ქალაქში გაელის დროს ისე მბრძანებლობს, როგორც ხელმწიფე. გარდა ამისა, ისინი თხოულობენ და ყოველი პირობის გარეშე ეპატრონებიან ოქროს, ვერცხლს და სხვას, რაც სურთ და რამდენიც სურთ.

თუ იმ ხელმწიფეებს, რომელნიც მათ დამორჩილდნენ, რაიმე სადაო შემთხვევა წარმოეშვათ, ისინი მის გასარჩევად თათრების იმპერატორთან უნდა გაემგზავრონ, როგორც ეს გეორგიის (საქართველოს) მეფის ორ ვაჟს მოუხდა. ერთი მათგანი კანონიერი იყო, სახელად მელიქი, ხოლო მეორე — დავითი — გაჩნდა, როგორც მრუშობის ნაყოფი. ამ უკანონო ვაჟს მამამისმა თავისი სამფლობელოს ერთი ნაწილი დაუტოვა. მეორე, რომელიც უფრო ახალგაზრდა იყო, თავისი დედითურთ წავიდა თათრების იმპერატორთან, სადაც გაემგზავრა აგრეთვე დავითიც. მელიქის დედა, საქართველოს დედოფალი, რომელთანაც შეუღლების ძალით მისი ქმარი ამ სამეფოს ფლობდა, ვინაიდან იქ ქალები მფლობელობენ, გზაში გარდაიცვალა. მათ კი, მისვლის შემდეგ, მრავალი საჩუქარი დაარიგეს; განსაკუთრებით ბევრი საბოძვარი გასცა კანონიერმა ვაჟმა, რომელიც ითხოვდა, რომ მისთვის დაებრუნებინათ მამის მიერ დავითისთვის დატოვებული მაშული, ვინაიდან, მისი სიტყვით, ის მრუშობის ნაყოფი იყო და არ შეეძლო მისი ფლობა. დავითი კი უპასუხებდა: თუმცა მე ხასის შვილი ვარ, მაგრამ სამართალს ვთხოულობ თათრების კანონის მიხედვით, რომელიც არავითარ განსხვავებას არ ხედავს კანონიერი ცოლისა და მხევლის მიერ დაბადებულ ვაჟებს შორისო. ამიტომ ეს საქმე კანონიერი ვაჟის წინააღმდეგ გადაწყდა: ის დავითს დაუმორჩილეს, როგორც უფროსს, რომელსაც უბრძანეს წყნარად და შვიდობიანად დაუფლებოდა მამის მიერ დატოვებულ სამკვიდროს. ამრიგად, მელიქმა დარიგებული საჩუქრები დაკარგა და თავისი ძმის დავითის წინააღმდეგ წარმოებული სადავო საქმე წაგო.

თათრები ხარკს ღებულობენ აგრეთვე იმ ერებისგან, რომელნიც მათგან შორს ცხოვრობენ და ისეთ ერებს მეზობლობენ, რომელთაც ისინი რამდენიმედ უფრთხიან ან ვერ დაუფლებიან; ისინი მათ უფრო ადამიანურად ეპყრობიან, რათა მათ ჯარები არ გამოგზავნონ თათრების წინააღმდეგ, ან კიდევ რათა სხვებს არ შეეშინდეთ თათრებისადმი დამორჩილება. ასე მოექცნენ ისინი ობეზებს (აფხაზებს) ანუ გეორგიელებს (ქართველებს), რომელთაც, როგორც ვთქვით, 50 თუ 40 ათას ჰიპერპერს ანუ ბიზანტინს ახდევინებენ და სხვა მხრივ ამ მიზეზის გამო აღარ აწუხებენ. ამისდა მიუხედავად, როგორც მათგან გავიგეთ, მათ განზრახული აქვთ ამბოხება მოაწყონ.

მათ მიერ დამარცხებული ქვეყნების სახელები შემდეგია: ჩინეთი, ნაიმანი, სოლანგი, ყარა-ჩინეთი ანუ შავი ჩინეთი, კომანია, ტუმატი, ეოირატი, ყარანიტი, ჰუიური, სობოალი, მერკიტი, მენიტი, ბირიჰერიური, გოსმატი, სარაციხები, ბისერმინები, თურქომანები, ბილერები, დიდი ბულგარეთი, ბასხარე. დიდი ჰუნგარეთი, ყერგისი, კოლონა, თორატი, ბურიტაბეტი, პეროსიტები, სასები, იაკობიტები, ალანები ანუ ასები, აფხაზები ანუ ქართველები, ნესტორიახები, სომხები, კანგიტები, კომანები, ბრუტახები, რომელნიც იუდეველნი არიან, მორდვა, თორქები, ხაზარები, სამოგედები, სპარსელები, თოასელები, პატარა ინდოეთი ანუ ეთიოპია, ჩერქეზები, რუთენები, ბალდახი, სართი და მრავალი სხვა, რომელთა სახელები ჩვენთვის უცნობია.

აი იმ ქვეყნების სახელები, რომელნიც მათ მამაცურად წინააღმდეგობას უწევენ და დღემდე დამორჩილებული არ არიან მათგან: დიდი ინდოეთი, მანგია, ალანების ერთი ნაწილი; ჩინელების ერთი ნაწილი, საიები. მათ ალყა შემოერტყათ ამ საიების რომელიღაც ქალაქისათვის და მისი აღება ეცადნათ. მაგრამ ალყაშემორტყმულთ მანქანები დაედგათ მათი მანქანების წინააღმდეგ და დაემსხვრიათ ისინი. ბოლოს, რადგან მანქანებსა და ბოძალდებს ისინი ქალაქთან საბრძოლველად არ მიეშვათ, მათ ხვრელი გაეთხარათ და ქალაქში შეჭრილიყვნენ; ზოგიერთს ცეცხლის წაკიდება დაეწყო, ხოლო ზოგიერთს ბრძოლა. მაგრამ ქალაქის მოსახლეობის ერთი ნაწილი ხანძრის ჩასაქრობად გაქცეულიყო, ხოლო მეორე ქალაქში შეჭრილთ შებმოდა. მრავალი მათგანი დაეხოცა. და სხვები დაეჭრა და თათრები აეძულებინა უკან დაბრუნებულიყვნენ. რა რომ თათრებს დაენახათ, რომ ვერას გახდებოდნენ და მრავალი მათგანი დაიღუპა, უკან დაეხიათ.

სარაცინების მიწა-წყლიდან და სხვა ადგილებიდან, სადაც თათრები თავიანთ თავს ბატონებად გრძნობენ, მათ საუკეთესო ხელოსნები მიჰყავთ და აიძულებენ მათთვის იმუშაონ, ხოლო სხვები გადასახადს იხდიან თავიანთი შრომიდან. ყოველგვარ ხორბლეულს ისინი ბატონებს ბეღლებში ჰყრიან. თითეულს მსახურს წონით დღეში ზომიერი რაოდენობა ეძლევა, ამის გარდა, სამჯერ კვირაში ცოტაოდენი ხორცი; მაგრამ ამას მხოლოდ ქალაქში მცხოვრები ხელოსნები ღებულობენ. გარდა ამისა, როცა ბატონებს მოეპრიანებათ, ისინი ყველა ხელოსანს აიძულებენ მათ მისდიონ უკან მსახურებთან ერთად. მაგრამ ესეცაა, რომ ისინი თათრების, ან უკეთ ვთქვათ, ტყვეების რიცხვში ითვლებიან; იმიტომ რომ, თუმცა ისინი თათრებისადმი არიან მიკუთვნილნი, მაგრამ მათ ეპყრობიან არა როგორც თათრებს, არამედ როგორც მონებს და სხვა ტყვეების მსგავსად ყოველგვარ სახიფათო საქმეზე გზავნიან, მაგალითად, ბრძოლის დროს პირველ რიგებში აყენებენ, ჭაობსა ან მდინარეში გადასვლის დროს პირველად უნდა შევიდნენ ფონში, ერთი სიტყვით, ყოველნაირად იყენებენ. თუ რაიმე დაშავეს ან პირველი ხელის დაქნევას არ დაემორჩილნენ, მათ ისე ურტყამენ, როგორც ვირებს. ისინი ცოტას ჭამენ, ცოტას სვამენ და მეტისმეტად ცუდად არიან ჩაცმულნი, თუ რაიმე თვით არ გამოიმუშავეს როგორც ოქრომჭედლებმა და სხვა დარგის კარგმა ხელოსნებმა. მაგრამ ზოგიერთებს ისეთი ბოროტი ბატონები ჰყავთ, რომ მათ მოსვენებას არ აძლევენ და საბატონო სამუშაო იმდენად დიდია, რომ დრო არ რჩებათ თავისთვის რაიმე გააკეთონ, თუ დასვენებასა და ძილზე უარი არ სთქვეს; თავისთვის რამის გაკეთებაც მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც ცოლი ჰყავს და საკუთარი სადგომი აქვს. სხვა მსახურნი, რომელნიც მათ სახლებში ჰყავთ, არაჩვეულებრივად დაბეჩავებული არიან. ხშირად გვინახავს, რომ მათ ჰაპანაქება სიცხეში და აუტანელ სიცივეში

ძარტო შარვალი ეცვათ, დანარჩენი სხეული კი სრულიად ტიტველი ჰქონდათ. აგრეთვე გვინახავს, რომ ზოგიერთ მათგანს ხელისა და ფეხის თითები მოყინული ჰქონდათ; აგრეთვე, როგორც გვითხრეს, სხვები გაყინულიყვნენ და გახეიბრებულიყვნენ დიდი სიცივეების გამო.

მათ მრავალი ტყვე ქალი ჰყავთ. დაპყრობილი ქალაქებიდან გამოპყავთ ხელოსნები, რომელთაც თავიანთი თავისთვის სასარგებლოდ სთვლიან, და მათ მუდმივ მონობაში ამყოფებენ. აგრეთვე ტყვე ქალიშვილებსა და გაუთხოვარ ქალებს მზარეულებად იმსახურებენ, მაგრამ არც ტანისამოსს აძლევენ და თითქმის არც აჭმევენ.

როგორ მიიღო გუიუქმა მინორიტი ძმები

როცა ჩვენ გუიუქთან მივედით, მან ბრძანება გასცა, ჩვენთვის კარავი და სურსათი მოეცათ, როგორსაც ჩვეულებრივ თათრები იძლევიან; მაგრამ ჩვენ უკეთ მოგვამარაგეს, ვიდრე სხვა ელჩებს ამარაგებენ. მასთან კი არ მივუწვევივართ, იმიტომ რომ ის ჯერ იმპერატორად არჩეული არ იყო და არავის ღებულობდა მართვა-გამგეობის საქმეების გამო. ბათომ მას გამოუგზავნა უფალი პაპის ეპისტოლეს თარგმანი და აცნობა ჩვენ მიერ წარმოთქმული სიტყვების ძიხაარსი.

მას შემდეგ, ჩვენ იქ ხუთი თუ ექვსი დღე დავყავით, მან თავის დედასთან გაგვაგზავნა, სადაც საზეიმო კრება იყრიდა თავს. როცა იქ მივედით, ისეთი უზარმაზარი კარავი დავინახეთ, თეთრი პორფირიდან გაკეთებული, რომ, ჩვენი აზრით, მასში ორი ათას კაცზე მეტი დაეტეოდა; მის გარშემო შემოვლებული იყო ფიცრის ღობე, რომელიც სხვადასხვა გამოხატულებით იყო აჭრელებული.

ამრიგად, ჩვენს მცველებად დაყენებულ თათრებთან ერთად მივედით იქ, სადაც თათართა ყველა მხედართმთავრები შეიკრიბნენ; თითოეული მათგანი თავისი კაცებითურთ გარშემო დანავარდობდა ველებსა და გორაკებზე. პირველ დღეს მათ ყველას თეთრი პორფირი ეცვათ, ხოლო მეორე დღეს — წითელი. მაშინ გუიუქიც მოვიდა ამ კარავთან. მესამე დღეს ყველანი ცისფერ პორფირში იყვნენ გამოწყობილი, ხოლო მეოთხე დღეს საუკეთესო ბალდაკინში. ზემოხსენებულ ღობეს კი ორი დიდი ჭიშკარი ჰქონდა; ერთ მათგანში მხოლოდ იმპერატორს შეეძლო შესვლა და თუმცა ის გაღებული იყო, იქ გუშაგები არ იდგნენ, ვინაიდან არავის შეეძლო ამ ჭიშკარში შესვლა-გამოსვლა. მეორე ჭიშკარში ყველა შედიოდა, ვისაც ამის ნებართვა ჰქონდა და იქ ყარაული იდგა დაშნებით, მშვილდებით და ისრებით. და თუ ვინმე კარავს მიუახლოვდებოდა აღნიშნულ საზღვრებს იქით, მას იჭერდნენ და სცემდნენ, ხოლო თუ ის გაექცეოდა, ესროდნენ ისარს, რომელსაც რკინის წვეტი არ ჰქონდა. იქ მრავალი იყო ისეთი, რომელთაც აღვირსა, რახტსა, უნაგირსა და თოქალთოზე, ჩვენი ანგარიშით, თითქმის ოცი მარკის ოქრო ჰქონდა. კარავში თავმოყრილი მხედართმთავრები, როგორც ეტყობოდა, იმპერატორის არჩევაზე თათბირობდნენ. დანარჩენი ხალხი კი გარეთ იყო მოთავსებული, მოშორებით ღობიდან. ამრიგად ისინი დარჩნენ თითქმის შუადღემდე, შემდეგ კი დაიწყეს ცხენის რძის სმა და საღამომდე იმდენი დალიეს, რომ მათი ცქერა გაოცებას იწვევდა. ჩვენ კი შეღობილ ეზოში მიგვიწვიეს და ლუდი მოგვაწოდეს, ვინაიდან ჩვენ სრულიად არ ვსვამდით ცხენის რძესა და ამრიგად, თავიანთი აზრით, დიდი პატივი გვცეს. ისინი ჩვენ გვაძალებდნენ გვესვა, მაგრამ რადგან ჩვენ ამას შეჩვეული არ ვიყა-

გინ, ვერაფრით ვერ აკეტანეთ; ამ-ტომ კეთხარით, რომ ეს ჩვენთვის სამძიმოა-ოქო და ამის შემდეგ თავი დაანებეს დაძალებას.

ლობის გარეთ იყვნენ რუსი მთავარი იაროსლავ სუზდალელი, მრავალი ჩი-ნელი და სოლანგელი მთავარი, აგრეთვე ორი ქართველი უფლისწული, ბაღ-დადის ხალიფის ელჩი, რომელიც თვითაც სულთანი იყო და, როგორც ჩვენ გა-ვიგიანგარიშეთ, ათზე მეტი სხვა სარაკინელი სულთანი. მმართველებმა ჩვენ გვითხრეს, რომ იქ იყო ოთხი ათას კაცზე მეტი ელჩი იმათგან, ვინც ხარკს იხ-დიდა ან საჩუქარს გზავნიდა, აგრეთვე სულთანები და მთავრები, რომელნიც თვით მოვიდნენ დასამორჩილებლად, შემდეგ ისეთები, რომელთაც თათრებმა გა-მოუძახეს ან რომელნიც ქვეყნის გამგეებად იყვნენ. ისინი ყველანი აგრეთვე ლო-ბის გარეთ იდგნენ და ყველას სასმელს თავაზობდნენ. ჩვენ და მთავარ იარო-სლავს კი თითქმის ყოველთვის პირველ ადგილს გვაძლევდნენ, როცა ჩვენ ლო-ბის გარეთ ვიყავით.

ეამთააღმწერელი

ეამთააღმწერელი (XIV ს.) — შუა საუკუნეთა ქართველი ისტორიკოსი, რომელსაც ეკუთვნის „ქართლის ცხოვრებაში" შეხული 1310—1410-იანი წლების ისტორიის ამსახველი თხზულება. ანონიმ ისტორიკოსს ეს სახელი პირობით უწოდა ივ. ჯავახიშვილმა მისსავე თხზულებაში ავტორის მიზანდასახულების გადმომცემი ფორმულის მიხედვით: „ეამთააღმწერლობა ჭეშმარიტის მეტყველება არს და არა თუალ-ახმა ვისთუხმე" (ქცა, II, 190:3). გარდა ამისა, ეს ავტორი კიდევ ორჯერ იყენებს ამ ტერმინს თავის ნაწარმოებში „მემატიანის" აღსახიშავად.

შესანიშნავი ქართველი ისტორიკოსის, ამ ახწლოვანი მატიანის ავტორის შესახებ, სამწუხაროდ, არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება, გარდა იმისა, რისი ამოკრებაც შეიძლება მისი ნაწარმოებიდან.

XIV ს-ის ეს ქართველი ისტორიკოსი, ზოგიერთი მოსაზრებით, მესხი უნდა იყოს (შ. ხანთაძე), მას ვარძიელ ბერად მიიჩნევენ, რომელსაც თითქოს გაუერთიანებია და გადაუმუშავებია სარგის და ბექა ჯაყელების მიერ დაწერილი მატიანეები (თ. ყორდანია); ზოგი მოსაზრებით იგი მაწყვერელი მთავარეპისკოპოსი ყოფილა (კ. გრიგოლია).

ნაწარმოებიდან ჩანს, რომ ეამთააღმწერელი კარგად იცნობს თავისი დროის საეკლესიო მწერლობას, იგი იყენებს და ზოგჯერ მიუთითებს კიდეც თავის თხზულებაში ძველ ქართულ, ბერძნულ, ბიზანტიურ, სომხურ და აღმოსავლურ, კერძოდ სპარსულ წყაროებს. საინტერესოა, რომ ცალკეულ შემთხვევებში იგი კრიტიკულად უდგება ამ წყაროების მონაცემებს. იგი პირველია ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომელიც იყენებს ძველი ქართული სიგელების და ხსნა სახუთების ძოხაც�ებს.

ეამთააღმწერელს იმდროინდელი მსოფლიოს ფართო საერთაშორისო ფონზე აქვს გაშლილი XIV ს-ის საქართველოს ისტორიის თხრობა. იგი კარგად იცნობს და ვრცლად, ზოგიერთ შემთხვევებში დაწვრილებითაც ახასიათებს იმ დროის ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მდგომარეობას მონღოლური დაპყრობების დროს. მას მოეპოვება ძვირფასი ცნობები მონღოლთა ისტორიისა და ზნე-ჩვეულებათა შესახებ. იგი აღწერს საქართველოს სახელმწიფო წყობილებას, საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ეკონომიკას, საეკლესიო ცხოვრებას, გვიხატავს ისტორიულ პირთა მდიდარ და მეტად შთამბეჭდავ გალერეას. უოველივე ამის გამო ეს ნაწარმოები შუა საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფიის მეტად მნიშვნელოვან ძეგლად ითვლება.

ეამთააღმწერელს, როგორც აღინიშნა, მოეპოვება მეტად მნიშვნელოვანი ცნობები მონღოლთა ყოფა-ცხოვრების, მათი ენის, რელიგიის, წეს-ჩვეულებების, ბრძოლის ხერხების შესახებ. მასვე ეკუთვნის მეტად სხარტი და მხატვრული აღწერილობა მონღოლის ტიპისა, რომელსაც იმდროინდელ მწერლობაში ბადალი არ მოეპოვება.

ქრესტომათიაში მოტანილია ნაწყვეტები ყამთაღმწერლის ნაწარმოებიდან, რომლებიც XIII ს-ის მონღოლებსა და მათ ყოფა-ცხოვრებას შეეხება. ამით პლანო კარპინის და გუილიომრუბრუკვისის ნაწარმოებებში დაცული ანალოგიური ხასიათისა და შინაარსის ცნობებთან ერთად, საშუალება გვაქვს მეტნაკლებად სრული სახით წარმოვიდგინოთ იმ დროის მონღოლთა ეთნოგრაფიული ყოფა და სულიერი კულტურის ფაქტები.

ბიბლიოგრაფია

1) ყამთაღმწერელი, ქ"ცა, ტ. II, თბ., 1959; გვ. 157—165, 189—190, 193.
2) ყამთაღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რევაზ კიკნაძემ, თბ., 1987.

ლიტერატურა

1) გრიგოლია კ., ყამთაღმწერელი და მისი თხზულების სამეცნიერო მნიშვნელობა, „ქართული ისტორიოგრაფია", I, თბ., 1968.
2) ჯავახიშვილი ივ., თხზ. ტ. VIII, თბ., 1977.
3) Владимирцов Б. Я., Анонимный грузинский историк XIV века о монгольском языке, «Известия Российской Академии Наук», VI серия, 1917, т. XVII.

ამგავი ჩინგიზ-ყაენისა, თუ ვითარ გამოჩნდეს ძუელანასა აღმოსავლეთისასა*

ქუეყანასა მზისასა აღმოსავლეთით-კერძო, რომელსა ეწოდების ჩინმაჩინი, გამოჩნდეს კაცნი ვინმე საკვრველნი ადგილსა ყარყურუმად წოდებულსა, უცხო სახითა, წესითა, და შესახედავადცა. რამეთუ არცა ძუელთა წიგნთა შინა სადამე იპოვების ამბავი მათი; რამეთუ არიან უცხო-ენა, უცხო-სახე, უცხო-ცხოვრება, პურისა გემო არა იცოდიან, ჯორცითა და პირუტყუთა სძითა ცხოვხდებოდეს. ხოლო იყვნეს ტანითა სრულ, გუამითა ახოვან და ძლიერ ფერჯითა, შუენიერ და სპეტაკ ჯორცითა, თუალითა მცირე ჭურიტ და გრემან, განზიდულ და საჩინო; თავითა დიდ, თმითა შავ და ჯშირ, შუბლ-ბრტყელ, ცხვრითა მდაბალ ესოდენ, რომელ ღაწუნი უმაღლეს იყვნიან ცხვირთა და მცირედნი ოდენ ნესტუნი ჩნდიან ცხვირთა; ბაგენი მცირე, კბილნი შეწყობილნი და სპეტაკ, ყოველად უწუერული, ესევითარი აქუნდა უმსგავსო სახე, და ნუ ვის გიკვრს, რომელ აღმატებული რამე შუენიერება აქუნდა ამათ ყოველთა, მამათა და დედათა. ხოლო ამას თანა მოეგოთ სიმკნე, და მოისარნი იყვნეს რჩეულნი, მაგრითა მშჯდითა უცთომრად მსროლელნი, რომელთა ნაკრავსა ვერამან საკურველმან დაუდგნს. უფრო ცხენსა ზედა იყვნეს მკნე, რამეთუ აღზრდა მათი ცხენსა ზედა იყვის, საკურველისა არასა მქონებელნი მშჯდისა და ისრისა კიდე.

ესე იყვნეს კაცნი განსაკვრებელნი, რამეთუ, იხილნი რა, სულელ საგონებელ იყვნიან, ხოლო ყოველი სიბრძნე იპოებოდა მათ შორის, და ყოველი გონიერება მოეგოთ, მცირემეტყუელება, და ტყუვილი სიტყუა ყოვლადვე არა იყო მათ შორის. არა თუალ-ახუნიან პირსა კაცისასა, არცა დიდსა და არცა მცირესა, უმეტეს საბჭოთა შინა, რამეთუ კეთილნი წესნი ეპყრნეს, ჩინგიზ-ყაენისაგან განჩენილნი. რომელთა თჳთოეულად წარმოთქმა გრძელ არს.

ამათ აქუნდათ სჯულად ერთისა ღმრთისა უკუდავისა თაყუანისცემა, პირი ცზის აღმოსავლეთით ქნიან, და სამისა ჩოქისა ქნა და სამჯერ თაყუანისცემა, და შუა-თითის წუერისა ნებსა ზედა დადება და დატკაცუნება, და მეტი არარაჲ.

ხოლო ულურნი კერპის მსახურ იყვნეს, რომელთა ქუჯნად უკმობდეს, ხოლო მოიპოვეს წერილიცა ამა მცირედითა ასოთა, რამეთუ ათექუსმეტითა ასოთა დასწერენ წიგნსა, რომელ ადვილ სასწავლოცა არს და ადვილ გულისკმისსაყოფელ. ამათვე შექმნეს ქორონიკონის სახედ ათორმეტი წელიწადი ათორმეტთა პირუტყუთა ცხოველთა სახელსა ზედა, და თითოსა პირუტყუსა და ცხოველსა თითოსა წლის მთავრობა განუჩინეს, ვითარ ძველ ოდესმე ელინთა ბრძენთა ათორმეტთა ზოდთა, რომელ არიან ეტლნი მზისა და მთვარისანი. მათ ეტლთა თითოეულთა მისცეს მზისა საჯდომად ოცდაათ-ათი დღე (არა თუ ცხო-

---

* წიგნიდან: ქართლის ცხოვრება, ტომი II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მერ, თბ., 1959, გვ. 157—165, 189—190, 193.

ველნი არიან, არამედ ზოდნი), ეგრეთვე ამათ თუთოსა წელიწადსა ბთა,ირობა განუჩინეს თუთოსა პირუტყუსა, რომლითა თორმეტივე გათავდების და თავსავე დაიწყებს, ვითარ ათცხრამეტული, ათცამეტული, ზედნადები და ზედექუსეული, რამეთუ ცხრამეტ წლად გააწევს, და მერმე თავსავე დაიწყებს; და ეგრეთვე ესე თორმეტ წლად გააწევს, და მერმე თავადვე დაიწყებს, — რომელსა უწოდენ სახელად ესრეთ: ყულღუნჯილ, უქურჯილ, ფარსინჯილ, თაველაინჯილ, ლუილ-ჯილ, მოღილჯილ, მორინჯილ, ყოინჯილ, მეჩინჯილ, თაღანჯილ, ნოხინჯილ, ყაყა-ინჯილ. ესე არს სახელი ათორმეტთა ცხოველთა, რომელთა მის,ცეს მთავრობა თუთოსა წლისა თუთოსა პირუტყუსა, რომლისა პირველად თვე ყველ ყალღუნ, რო-მელ არს თაგვ, მერმე ზრიხა, ავაზა, კურდღელი, ვეშაპი, გუელი, ცხენი, ცხოვარი, ყაკუზუნა, ქათამი, ძაღლი და ღორი. ესენი აქუნდეს წელიწადის სათუალავად, ვითა ჩუენ ქართველთა ქორონიკონი.

ხოლო აქუნდათ წესად ერთისა ღმრთისა თაყუანისცემა, რომელსა თენგრი უწოდეს ენითა მათითა. და წიგნისა თავსა ესრეთ დასწერდეს: „მანგუ/თენგრი ჭუჩუნდურ“, ესე არს: „უკუდავისა ღმრთისა ძალითა“.

ხოლო ესენი მცირედთა საზრდელთა განეშორებოდეს, რამეთუ ყოველსა სულიერსა ჰამდეს, ჯორცსა კაცისასა, ძაღლსა და ყოველსავე.

ამათნი ნათესავნი მრავალ გუარად განყოფილ იყვნეს და არიანცა ჯერეთ, რომელთა ათორმეტთა ოდენ მოვიჴსენოთ სახელი: რამეთუ პირველი გუარი არს საყირთა, ჰინდნი, ყათნი, ჯალირი, ოირდი, სულდუსი, ნიჰიმნი, ყონღარდი, მანღუთი, თანღუთი, ყიათი და უღურნი. ხოლო უღურნი ყერპისმსახურნი არიან, რომელთა უწოდენ ქუნჯითად. ესენი ენითა მათითა უწოდიან თავთა მათთა მან-ღოლ, ხოლო ქართველნი თათრად, რომელთა ვგონებ ერთსოფლელად.

ხოლო ამათთა ნათესავთა ყიათთა გუარისათა გამოჩნდა კაცი ერთი, სახე-ლით თემურჩი, რომელ არს ჩინგიზ-ყაენი, ესე იყო ჰაეროვანი და შუენიერი, ტანითა ახოვანი, თმითა მომწითურო, ძლიერი, მჴნე, შემმართებელი, მოისარი ჴელოვანი, ღრმად გამგონე, განმზრახავი სჯანი. ესე წარვიდა ნიჰისა და პატი-ვისა მოღებად უმთავრესისა მათისა, რომელსა ხანობით უკმობდეს ჴელმწიფე-სა მათსა, რომელსა ერქუა ონხანდ. ვითარ იხილა, შეიყუარა სიკეთისა მისი-სათჳს, და დიდსა პატივსა აღიყვანა, უწარჩინებულეს ყოველთა სწორთა მისთა. და მჴედართა მთავრობა ჴელთ უდგა ლაშქართა მისთა, და ყოველგნით მოსწ-ყუედდიან ურჩთა და გამდგომთა მისთა, ვინცა ყოველგნით გამარჯუებული მივიდის პატრონსა მისსა ონხანს ჴელმწიფეს წინაშე. ხოლო მან უაღრესსა პა-ტივსა აღიყვახის.

ესე შეიშურვა ძმამან ონხანისმან, სახელით უთქინ, და ძმანვე მისმან ქო-ლაქ, და შეასმინეს ონხანს, ვითარმედ: „ნებავს დაპყრობად მეფობისა შენისა, რომელსა ხანობით გინა ყაენობით უჴმობენ. და მან განაზრახა მოკლვა მისი, გარნა აგრძნა თემურჩი განზრახვა ესე. რამეთუ უთხრეს ორთა ვიეთმე კაცთა, რომელთა სახელი ერთისა ქოლაქ და მეორესა ბად, ვითარმედ „ნებავს სიკუდი-ლი შენი ონხანსო“.

ხოლო იგი ივლტოდა და ორნიცა იგი კაცნი მის თანა. და მივიდა სახლსა შინა თჳსსა და ხარგთა, აპყარა დედა-წული და იარა ერთი დღე და ერთი ღა-მე. და მერმე დაპყარა დედა-წული და ბარგი და ხვასტაგი, და მივიდა წყლი-სა მის პირსა, რომელსა ჰქჳან ბლაჯუნი, და განაშორა ლაშქარი მცირედ და უკუ დგა ჴევსა რასმე.

და ცნა ონხან სიკვლტოლა თემურჩისა, მსწრაფლ დევნა უყო, და მო[illegible]

დედა-წულსა და ბარგსა მისსა. აღიღეს ტყუე ურიცხუ, და დამძიმდეს ალბანთა ლაშქარი მისი. მაშინ ზედა მოუვდა თემურჩი ყოველთა ლაშქართა ონხანისთა. იქმნა ბრძოლა სასტიკი და ძლიერი, მოსწყდა ორგანთვე ურიცხუ, და იძლია ონხან, დევნა უყვეს და შეიპყრეს, და მოკლეს ონხან. და მსწრაფლ დაესხა დედა-წულსა ონხანისსა და ჭელთ იგდო ცოლი და შვილნი, და ყოველი სიმდიდრე მისი, თუნიერ ქოლაქ უხუცესისა შვილისა ონხანისსა.

და დაჯდა ტახტსა ზედა ონხანისსა და უწოდეს თემურჩის სახელად ჩინგიზ-ყაენი, და შემდგომად მისსა ბრძოლა უყო ყონღარდთ ჭელმწიფესა ალთუხანს, სძლო და მოაკუდინა იგიცა, და დაიპყრა მეფობა მისი. მერმე ქოლაქ, შვილი ონხანისი, მივიდა გორხანსა ვისმე თანა, და ბრძოდა ჩინგიზ-ყაენს. ხოლო მან ბრძოლა უყო გორხანსცა. და სძლო მასცა, და მოკლა გორხან, და დაიმორჩილნა ლაშქარნი გორხანისნი.

ამისა შემდგომად უიღურთა ზედა წარემართა, რომეთუ უიღურნი ჭელმწიფესა მათსა ედუთობით უჭმობდეს. ხოლო მას ჟამსა სარჩუე ვინმე იყო ემურთა უიღურთა. რომელთა გუარისა საქმენი განსაკურვებელ არიან ვითა ზღაპარნი, და არიანცა ზღაპარ და ცუდ, ამისთუს უჯერო არს აწ თქმა, ხოლო ჩინგიზ-ყაენს შეეწყალა, და პატივითა დაიპირა, აღიხუნა მრავალგუარნი თათარნი და დაიმორჩილნა, და ყარყითიცა დაიმორჩილა.

და ვითარ მოიწყო თათართა ზედა, გამოჩნდა კაცი ვინმე საკურველი, რომელსა თებთუნ გუარობით უჭმობდეს. ესე მივიდა ყაენს წინაშე, ეტყოდა ვითარმედ: „მე მას მთასა, რომელსა უწოდენ ბალიყ, წარვალ, ღმრთისა სიტყუა ძესმის. ამას ბრძანებს ღმერთი: ყოველი ქუეყანა თემურჩის და მისთა ლაშქართათჳს მიმიცემია და სახელადცა ჩინგიზ-ყაენი ერქუას“.

ხოლო ითქუა ესეცა, ვითარმედ ჩინგიზ-ყაენი აღვიდა მთასა მაღალსა, და გამოუჩნდა უფალი იესო ქრისტე, ღმერთი ყოველთა, და მან ასწავა სამართალი, სჯული, სიწმიდე და სიმართლე, ტყუილისა, პარვისა და ყოვლისა ბოროტისაგან განშორება და რქუა: „თუ მცნებანი ესე დაიმარხნე, ყოველი ქუეყანა შენთჳს და ნათესავისა შენისათჳს მიმიცემიეს. წადი და აღიღე ყოველი ქუეყანა, რაოდენი გეძლოს“.

ხოლო იქმნა რა ყაენად და მივიდა ხატაეთს, და შევიდა ხილვად ეკლესიათა, იხილა მუნ ხატი მაცხოვრისა იესო ქრისტესი, მეყსეულად თაყუანი-სცა და თქუა: „აჰა, კაცი იგი, რომელი მთასა ჩინეთისასა ვიხილე, ამა სახითა იყო, ამან მასწავა ყოველი ესე წესი“. ესე შეიყუარა ჩინგიზ-ყაენმან და მას აკურთხევდის, და ამისი მცნება რაოდენიცა ამცნო, ყოველივე მტკიცედ დაიცვა. მერმე ებრძოლა ხატაეთის ჭელმწიფესა არსლან-ხანსა ზედა და სძლო. ესრეთ ჭელთ იგდო, რომელ ორას ათასი კაცი მოაკუდინა არსლან-ხანისა. ამისმან ძცნობელმან არსლან-ხან, სახლსა შინა შესრულმან, ცოლით და შვილითურთ, ცეცხლისა მოდება უბრძანა მსახურთა თჳსთა, რომელთა ყვეს ეგეთი, და დაიწვა არსლან-ხან დედაწულითურთ ცეცხლსა მას შინა. და შევიდა ჩინგიზ-ყაენი და დაჯდა ტახტსა მას ზედა, და დაიპყრა ხატაეთი. ესე აქამომდე იყავნ.

აწ ვაჴსენოთ შვილთათჳსცა ჩინგიზ-ყაენისათა მცირედ რაიმე

ხოლო ამა ჩინგიზ-ყაენსა ცოლნიცა მრავალნი ესხნეს და შვილნიცა. და უხუცესის ცოლის სევინჯისაგან ესუა შვილი, რომელსა ერქუა თუბის, რომელსა ქართველნი ჯოჩიდ უწოდდეს; მეორე ჩაღათა, მესამე ოქროფა, მეოთხე თული. ესე ოთხნი ყაენად განაჩინნა ხატაეთს მყოფმან. უხუცესსა შვილსა თუბისს მისცა ლაშქრისა ნახევარი და წარავლინა დიდსა საყივჩაყეთსა ზედა, ოვსეთს, ხი-

ზარეთ, და რუსეთს, ვიდრე ბნელეთამდე; და ესე ყოველი ამაჯ მისცა. ხოლო ამათ სხუათა უკანასკნელ ვაესენოთ.

ხოლო ესე რა ცნა მაღალმან და ყოველთა ნელმწიფეთა უდიდესმან ხუარაზმ-ჰა, რომელი მაშინ დღეთა სიმრავლითა მიმკცოვნებულ იყო შვილისა თესისა ჯალალდინისდა ჯელთ ედვა სულტნობა და ქუეყანანი, რომელნი მას ეპყრა ჯეონს აქეთ, ხუარასნისა და ერანისა, ცნა რა მოახლება თათართა, მოუწოდა სპათა მისთა ვითარ ექუსასი ათასთა კაცთა, და წარემართა ჩინგიზ-ჯაესს ზედა.

ხოლო იგი ხუარაზმშას წინა დაემთხუა. იქმნა ძლიერი და ფიცხელი ომი, რომელ ორგნითვე შოსწყდა სიმრავლე ურიცხუ, და იძლივნეს ხუარაზმელნი.

ხოლო ბერი ხუარაზმშა დაშთა რაზმთა შინა მცირედითა ლაშქრითა, და თათარნი გარემოადგეს მას. ცნა ესე შვილმან მისმან სულტანმან ჯალალდინ, რომელი იყო კაცი მჭნე და ქველი, შემმართებელი, უშიში ვითარ უკორცო, ძალითა საჩინო, წყობათა შინა უცხო. მივიდა მცირედითა კაცითა შუელად მამისა, და მყის წარიყვანა მამა თესი, და ივლტოდეს ხუარასნად.

ამისა შემდგომად ებრძოლა კუალადცა სულტანი ჯალალდინ მრავალჯერ, რამეთუ სამჯერ ჯეონს იქით შეება და ოთხჯერ ხუარასანს, ჯეონს აქეთ. ხოლო ვინათგან ღმერთსა ცოდვათა ჩუენთათუს მიეცა ყოველი ქუეყანა, და იძლია სრულიად და ივლტოდა. ცნა რა სივლტოლა ამისი და სიმაგრეთა შინა შეევლტოლა ჩინგიზ-ყაენმან, წარმოავლინნა ორნი თავადნი ზემოჯსენებულნი, იამა და სალპიანი, რომელთა ქართველნი სება-ჯებობით უწოდიან, რათა მოვლონ ქუეყანა ხუარასნისა და ერაყისა, სადამდის ეძლო სლვად, და განიხილონ ქუეყანა. ხოლო ესენი წარმოვიდეს ათორმეტითა ათასითა მჭედრითა, თჳნიერ საჭურველისა და საზრდელისა ქონებისა, არამედ მშჳლდი ოდენ, უჭრმლოდ.

განვლეს თურანი, ჯეონი, ხუარასანი, ერაყი, ადარბადაგანი და მოიწივნეს განძას, და ვერავინ წინააღუდგა; თუ ვინ სადა გამოჩნდის ყოველთა სძლიან. და მოიწივნეს საზღვართა საქართველოსათა, იწყეს დარბევად ქუეყანა გაგისა. ცნა ესე ვარამ გაგელმან და ივანე ათაბაგმან, და აცნობეს მეფესა ლაშას უცხოსა ნათესავისა მოსლვა, უცხოთა ენითა, ოჴრებად სომხითისა. ხოლო მეფემან მოუწოდა სპათა თჳსთა, იმერთა და ამერთა, და შეკრიბა ოთხმოცდაათი ათასი შჳედარი. და წარემართნეს თათართა კერძ, გაგისა ბოლოს მდგომთა. იქით ივანე ათაბაგი და ძმისწული მისი, ზაქარიას ძე ამირსპასალარისა, შანშე, და ვარამ გაგელი მსახურთ-უხუცესი მოერთნეს დიდითა ლაშქრითა, და წარემართნეს.

ხოლო იგინი, დაბანაკებულნი წყალსა ზედა ბერდუჯსა და აწ საგიმად წოდებულსა, მყის ამჳედრდეს და ეწყვნეს ურთიერთას. და იქმნა ძლიერი ბრძოლა. ნახევარნი ივლტოდეს თათარნი, და ნახევართა, მზირი ეყო, და უკანით მოუჴდეს. მაშინ მოიწია რისხვა ზეგარდმო უსჯულოებათა და ცოდვათა ჩუენთათჳს, და ივლტოდეს ქართველნი და სპანი და თჳთ მეფე ლაშა, და ურიცხუ სული ქრისტიანე მოკუდა; სადა-იგი დიდიცა ივანე ათაბაგი, სამცხისა სპასალარი, ძლით ცოცხალი განერა, და მეჭურჭლეთ-უხუცესის ყუარყუარეს შვილი ბეჭაი მოიკლა, ძლიერად ბრძოლილი. და აჭა იქმნა მოწევნა სრულიადისა ღშრთისა რისხვისა და განწირვა ქართველთა ნათესავისა სიმრავლისათჳს უსჯულოებათა ჩუენთასა, და იქმნა უკუქცევა სუე-სჳანისა ბედისა, მაღლისა და საჩინოსა დავითიანისა დროშისა გამარჯუებულისა, რამეთუ ვინათგან მიეცა ღმერთსა დიდსუესა და დიდბედისა დავითისდა გამარჯუება, აჭა ჟამამდე სჳანი იგი ბრძოლათა შინ დროშა დავითიანი და გორგასლიანი გამარჯვებული არა-

სადა ძლეულ იყო. ხოლო აქა, ვითარ იქმნა [illegible] ბეჭდისა ქრისტეანეთა ნათესავისა, არღარა მიეცა ძლევა თათართა ზედა ვიდრე ჟამთამდე ჩუენთჳ.

ესრეთ ლტოლვილნი მოიწივნეს ქალაქსა ძლიერნი იგი და სახელოვანნი, რომელნი სულთქმითა და მწუხარებითა შეიცვალებოდეს. რამეთუ ვინათგან ჩუენ შევაწუხეთ ღმერთი საქმითა ბოროტითა, ეგრეთვე ღმერთმან აღავსო გული ჩუენი მწუხარებითა და წინაშე მტერთა ჩუენთა სირცხელეულ გვყო.

ხოლო თათარნი მოიწივნეს ვიდრე სამშვლდემდე და მიერ უკუნ იქცეს, რომელთა ქმნნეს საკჳრველნი ესე საქმენი: წარვიდეს გზასა დარუბანდისასა, რამეთუ ვერცა შარვანშა წინააღუდგა და ვერცა დარუბანდელნი, განვლეს კარი დარუბანდისა და შევიდეს ყივჩაყეთს, რომელთა ბრძოლა აჰკიდეს და მრავალგან შემოებნეს ყივჩაყნი, და ყოველგან თათარნი მძლე ექმნნეს, და წარვიდეს ესრეთ ომითა; ხოლო, ვითარცა მითქუამს, უსაჳურველონი და უჴედელითა ცხენითა ესოდენ გზათა მავალნი, განვლეს ყივჩაყეთი და შემოუარეს ამა დარუბანდისა ზღუასა გარე, და მოიწივნეს ჴელმწიფესა მათსა ჩინგიზ-ყაენს წინაშე ყარაყორუმს; და ქმნეს საკჳრველი ესე საქმე, მოუსუენებელად სლვა ამა ყოველთა გზათა უჴედელითა ცხენითა, ყარაყორუმით წარმოსრულნი მუნვე მიიწივნეს [...] (ქცა, II, გვ. 157 : 16—165 : 24).

[...] მათ აქუნდა სჯულად ერთისა ღმრთისა თაყუანისცემა, და დილეულ აღმოსლვასა მზისასა მზისა აღმოსავლით სამისა ჩოქისა ყოფად და მეტი არა რა. ხოლო ფიცთა სიმტკიცედ ოქრო წმიდა სამჯერ წყალსა ჩაყონ, და განავლონ იგი და შეასუან, და მინდობილნი შეიწყნარონ და ამა ფიცსა არა ეცრუვნენ. სიტყუა ტყუვილი არა აბოვიდეს პირით მათით, მეკობრე და მბორგველი კაცი გაუკითხავად მოკლიან, და სხუანი მრავალნი კეთილნი წესნი განეჩინნეს ზემოჴსენებულსა მას მთავარსა ჩინგიზ-ყაენს [...] (ქცა, II, გვ. 189:14—190:1).

[...] ვითარ განთენა და მოვიდა სულტანი სპითა საზარელითა, რამეთუ იყო ოთხასი ათასი მჴედარი, და განაწყუეს რაზმი. აქათ თათართა განაწყუეს რაზმი, და ურჩეულესნი მათნი მარცხენასა მჴარსა დაიწესნეს, ესრეთ აქუნდა წესად, უმჯობესთა ვიდრემე მარცხენასა კერძოსა დაიწესებდიან, ამის ძლით, რომელ სსუანი ნათესავნი ყოველნი უმჯობესთა და უმჴვნეთა მარჯუენით აქუნდა დაწესებითა, რათა ურჩეულესნი ურჩეულესთა შეემთხვნენ. ხოლო დროშათა მათთა სიმეწამულე მოასწავებდა სისხლისა დამოღურილობასა მტერთასა [...] (ქცა II, გვ. 193:13—19).

ა. პიგაფეტა

პიგაფეტა ანტონიო (1480—1530 წლის ახლო დრო) — პორტუგალიელი მოგზაური, მაგელანის დედამიწის გარშემო მოგზაურობის შემატიანე.

ა. პიგაფეტა დაბადა, როგორც ვარაუდობენ, 1480 წელს იტალიის ქალაქ ვიჩენცაში. მისი ბიოგრაფიის შესახებ მეტად მწირი ცნობებია შემონახული. ცნობილია, რომ 1518 წლიდან იგი ირიცხებოდა რომის პაპის ელჩის (ნუნცის) და ხამოციქულოს პროტონოტარიუსის ფრანჩესკო კიერიკატის ამალაში, რომელიც პაპის ლეო X-ის საგანგებო მისიით გაგზავნილი იყო ესპანეთის მეფე კარლოს V-თან. სარაგოსაში ორთვიანი შეჩერების შემდეგ ელჩობა დაძრულა ბარსელონისაკენ. აქ ა. პიგაფეტას შეუტყვია ფერნანდო მაგელანის მიერ მოლუსკის კუნძულებისაკენ, დასავლეთის მიმართულებით ექსპედიციის მოწყობის ხამზადისის შესახებ და თვითონაც მოუნდომებია მასში მონაწილეობის მიღება, ხოლოდური სარეკომენდაციო წერილით აღჭურვილი ა. პიგაფეტა მისდგომია ფ. მაგელანს, რომელსაც იგი შტატგარეშედ ჩაურიცხავს საფლაგმანო გემ „ტრინიდადზე". აქ, გემის მსახურთა სიაში ა. პიგაფეტა ჩაუწერიათ ანტონიო ლომბარდის (ლომბარდიელის) სახელით.

ფერდინანდ მაგელანის ექსპედიცია გაემგზავრა 1510 წლის 20 სექტემბერს. იგი შედგებოდა 5 გემისაგან: „ტრინიდადი" (ხამება), „სან ანტონიო" (წმ. ანტონი), „კონსეპსიონი" (ჩასახვა), „ვიქტორია" (გამარჯვება) და „სანტიაგო" (წმ. იაკობი). მთელი ფლოტი ითვლიდა 205 კაცს. ამათგან ხამშობლოში, უფრო ზუსტად, გასელის ნავსადგურ სან ლუკარ დე ბარამედში 1522 წლის 6 სექტემბერს დაბრუნდა მხოლოდ ერთი გემი „ვიქტორია" 18 მეზღვაურით. დიდი ნაწილი ფლოტისა, გემებისა და მეზღვაურებისა დაიღუპა ან დაიფანტა დედამიწის გარშემო ხამწლიანი მოგზაურობის დროს.

მთელი მგზავრობის განმავლობაში ანტონიო პიგაფეტა აწარმოებდა დაწვრილებით ჩანაწერებს მის მიერ ნანახისა და გაგონილის შესახებ. იგი აღმოჩნდა ამ მცირერიცხოვან მეზღვაურთა შორის, რომლებიც მრავალი ტანჯვისა, ფათერაკისა და ხიფათით აღსავსე მოგზაურობის შემდეგ ერთადერთი გადარჩენილი გემით დაბრუნდნენ ხამშობლოში.

ა. პიგაფეტას დაწვრილებითი ჩანაწერები ექსპედიციის მარშრუტისა, მათ მიერ ნანახი, ახალაღმოჩენილი ან უკვე ცნობილი ქვეყნებისა, იქ არსებული ხიმდიდრის, ძირითადად ნელსაცხებლების, ხუნელებისა და სხვათა შესახებ, ამ დროისათვის გარკვეულ საბელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენდა. ამიტომ მხოლოდ 1524 წლის აგვისტოსათვის ა. პიგაფეტას აღუძრავს საგანგებო შუამდგომლობა სათანადო ინსტანციების წინაშე, მისთვის ჩანაწერების გამოქვეყნების უფლების მიცემის შესახებ. ა. პიგაფეტას მოუპოვებია განსაკუთრებული უფლება, რომ 20 წლის განმავლობაში მხოლოდ მას შეეძლო ამ წიგნის გამოცემა. თუმცა, როგორც გეოგრაფიულ აღმოჩენათა ისტორიის მკვლევრები აღ-

ნიშნავენ, დღემდე არ არის ცნობილი, მან ეს წიგნი გამოსცა თუ არა საერთოდ.

ა. პიგაფეტას დღიურის კონსპექტი, შედგენილი იტალიურ ენაზე, ინახება მილანში, ამბროსის სახელობის ბიბლიოთეკაში (Ambrossiana). არსებობს მისი რამდენიმე გამოცემა ევროპის სხვადასხვა ენაზე, განხორციელებული XIX ს.-ის ბოლოსა და XX საუკუნეში. მათ შორის მოიპოვება ორი რუსული გამოცემა (1928, 1950). ქრესტომათიაში წარმოდგენილი ა. პიგაფეტას დღიურის ნაწყვეტი, გადმოღებულია 1950 წლის მეორე რუსული გამოცემიდან, რომელიც პირველზე უფრო სრულია. მასში გადმოცემულია კ. ბორნეოს მოსახლეობის აღწერილობა, საერთოდ ამ დროს ახალი ქვეყნების ევროპელთა მიერ კოლონიური ათვისების პირველი ნაბიჯები, ექსპედიციის ყველაზე დრამატიული მომენტი—ხელმძღვანელის დაღუპვა ადგილობრივ მცხოვრებლებთან ხულ უბრალო და შეტად უმნიშვნელო შეტაკებაში. ამ ნაწყვეტში კარგად ჩანს, ერთი მხრივ, ევროპელთა ინტერესები აღმოსავლეთის ხალხებისადმი და, მეორე მხრივ, თვით ამ მომავალი კოლონიური ხალხების ყოფა-ცხოვრების, მათი ზნე-ჩვეულებებისა და საერთოდ ეთნოგრაფიული ყოფის შეტად ეგზოტიკური სურათები.

ბიბლიოგრაფია

Антонио Пигафета, Путешествие Магеллана, М., 1950.

მაგელანის მოგზაურობა*

აღდგომის დილას, მარტის ბოლო დღეს, გენერალ-კაპიტანმა სისხამ დილით გაგზავნა მღვდელმსახური, რამდენიმე ჩვენს კაცთან ერთად, რათა მომზადებულიყვნენ წირვისათვის, მათ თან ახლდათ თარჯიმანი. მას უნდა გაეფრთხილებინა მბრძანებელი, რომ ჩვენ ნაპირზე გადავდიოდით, რათა დავსწრებოდით წირვას. მბრძანებელმა გამოგვიგზავნა ორი დაკლული ღორი. წირვის დაწყების წინ ნაპირზე გადმოვიდა ორმოცდაათამდე ადამიანი, არასრული შეიარაღებით, მაგრამ კარგად ჩაცმულები.

სანამ ნაპირს მივადგებოდით, ექვსი ქვემეხიდან გაისროლეს სამშვიდობო ბისიის აღსანიშნავად. ნაპირზე როდესაც გადმოვედით, ორივე მბრძანებელი მოეხვია კაპიტან-გენერალს და გვერდზე დაიყენეს. საბრძოლო მარშით მიეგზავნეთ წირვის ჩასატარებელ ადგილამდე, რომელიც ზღვის ნაპირთან ახლოს იყო. ღვთისმსახურების დაწყებამდე კაპიტან-გენერალმა ორივე მბრძანებელს თხემიდან ტერფამდე მუშკი აპკურა. წირვისას მბრძანებლები წინ წარდგნენ, რათა ჯვარს მთხვეოდნენ ჩვენს მსგავსად, მაგრამ მსხვერპლი არ შეუწირავთ. ისინი მუხლმოდრეკილები რჩებოდნენ და გულხელდაკრეფილნი ლოცულობდნენ, სანამ სხვები სწირავდნენ შესაწირავს. როგორც კი ამაღლდა ცად ქრისტეს სხეული, ნაპირზე მყოფებმა მუშკეტებიდან გასროლით ნიშანი მისცეს და გაისმა საარტილერიო ზალპი. წირვის შემდეგ რამდენიმე ჩვენთაგანი ეზიარა. კაპიტან-გენერალმა მოაწყო ტურნირი მოფარიკავეთა შორის, რაც ძალიან მოეწონათ მბრძანებლებს. შემდეგ ბრძანა, მოეტანათ ჯვარი და გვირგვინი ლურსმნებით, რომლის წინაშეც ყველა მუხლებზე დაეცა. თარჯიმნის საშუალებით განუმარტა, რომ ეს ნიშანი მას ანდო იმპერატორმა, მისმა სუვერენმა და რომ იგი მოვალეა, აღმართოს ჯვარი ყველგან, სადაც კი ჩავა. იგი აპირებს ჯვრის აღმართვას მათ საკეთილდღეოდ, რადგან ნებისმიერი გემი, რომელიც კი აქ გამოჩნდება შემდგომ, ამ ჯვრის საშუალებით მიხვდება, რომ ჩვენ უკვე ვიყავით აქ და არ ჩაიდენდნენ არაფერს ისეთს, რომ მათთვის უსიამოვნება მიეყენებინათ. თუკი ადგილობრივი მკვიდრი დაკავებულ იქნება მათ მიერ, მას მაშინვე გაათავისუფლებენ, როგორც კი ჯვარს აჩვენებენ. ეს ჯვარი უნდა აღმართონ ყველაზე მაღალ მთაზე. ისე რომ, მისი დანახვა შეძლონ ყოველ დილით და თაყვანი სცენ მას. თუკი ისინი ასე მოიქცევიან, მაშინ არც ჭექა-ქუხილი, არც ქარიშხალი მათ არ ავნებთ. მბრძანებლებმა დიდი მადლობა გადაუხადეს და განაცხადეს, რომ სიამოვნებით შეასრულებენ ყოველივეს, რასაც მათგან მოითხოვენ. კაპიტან-გენერალი შეეკითხა, რა რწმენის იყვნენ ისინი—მავრები თუ წარმართები (კერპთაყვანისმცემლები). მათ უპასუხეს, რომ არ ეთაყვანე-

---

* წყაროდან: Антонио Пигафета. Путешествие Магеллана, М., 1950, С. 74—108.

ბიან არაფერს, მაგრამ აღაპყრობენ ხელებს ცისკენ და მიმართავენ თავის ღმერთს „აბბა“-ს. კაპიტანი კმაყოფილი დარჩა ასეთი პასუხით. პირველმა მბრძანებელმა, როდესაც ეს შეამჩნია, აღაპყრო ხელები ზეცისაკენ და გამოხატა სურვილი, გამოემეღავნებინა, თუ როგორ უყვარდა კაპიტან-გენერალი. თარჯიმანმა ჰკითხა, თუ რატომ იყო აქ ასე ცოტა საკვები. მბრძანებელმა უპასუხა, რომ ამ კუნძულზე მოდის მხოლოდ მაშინ, როდესაც სანადიროდ აპირებს წასვლას, ანდა ძმასთან შესახვედრად, რომელიც სხვა კუნძულზე ცხოვრობს ოჯახთან ერთად. თარჯიმანმა გადასცა გენერლის ნათქვამი, რომ მათ ფლოტს შეეძლო გაენადგურებინა, ანდა დაემორჩილებინა მათი მტრები, თუკი ასეთები ჰყავდათ. რაჯამ მადლობა გადაუხადა მას და აცნობა, რომ აქ მართლაც არის მისდამი მტრულად განწყობილი ორი კუნძული, მაგრამ ახლა მათთან ბრძოლის დრო არ იყო. კაპიტანმა აგრძნობინა რაჯას, თუკი ღმერთის ნებით იგი კვლავ მოხვდებოდა ამ მხარეში, იმდენ ხალხს მოიყვანდა, რომ დაუმორჩილებდა რაჯას მტრებს. რაჯებმა გამოხატეს თანხმობა, რათა სადილის შემდეგ მთის მწვერვალზე აღემართათ ჯვარი. ჩვენი ხალხი ბატალიონად დაეწყო და მისცა ზალპი მუშკეტებიდან. კაპიტანი მოეხვია ორივე რაჯას და ჩვენ გამოვეთხოვეთ მათ.

სადილის შემდეგ, ორივე რაჯასთან ერთად, ჩვენ გავემართეთ უბრალო ეუ-თუკებში გამოწყობილები. ნაშუადღევს ავედით ყველაზე მაღალი მთის წვერზე, სადაც კაპიტან-გენერალმა განაცხადა, რომ ეს ჯვარი მათ დიდ სარგებლობას მოუტანდა. იგი შეეკითხა, თუ რომელ ნავსადგურში მოვიპოვებდით უფრო იოლად საკვებს. მათ უპასუხეს, რომ ახლოს იყო სამი ნავსადგური: სეილონი, სუბუ და კალაგანი. სუბუ ყველაზე მსხვილი სავაჭრო პორტია. მათ თვითონ შემოგვთავაზეს, გამოეყოლებინათ ჩვენთვის ლოცმანი, რომელიც გზას გვიჩვენებდა. კაპიტან-გენერალმა მადლობა გადაუხადა და გადაწყვიტა იქით წასვლა, საითკენაც იზიდავდა მას ბედუკუღმართობა.

მას შემდეგ, რაც ჯვარი აღმართეს დანიშნულ ადგილზე, ყოველმა ჩვენთაგანმა გაიმეორა „მამაო ჩვენო“ და „Ave Maria“, და თაყვანი სცა ჯვარს. ასევე მოიქცნენ რაჯებიც, შემდეგ ჩვენ დავეშვით ქვემოთ, გავცდით მათ დამუშავებულ მიხდვრებს და მივედით ბალანგასთან. რაჯამ ბრძანა, მოეტანათ ქოქოსის რამდენიმე კაკალი, რათა დავნაყრებულიყავით. კაპიტანმა სთხოვა, გამოეგზავნათ მისთვის ლოცმანი, რათა მეორე დღეს, დილით გამგზავრებულიყო, ამასთან აღნიშნა, რომ მოექცეოდნენ მას როგორც რაჯას და რომ სამაგიეროდ მძევლად დაუტოვებდნენ ერთ კაცს. პასუხად რაჯებმა განუცხადეს, რომ, როცა მოისურვებდა, მაშინ იქნებოდნენ ლოცმანები მის განკარგულებაში. მაგრამ ღამით პირველმა რაჯამ შეიცვალა აზრი და აცნობა კაპიტან-გენერალს, რომ მას ასაღები ჰქონდა ბრინჯის მოსავალი, დასასრულებელი სხვა სამუშაოებიც, ამიტომ სთხოვდა ორი დღეც მოეცადა, თან რამდენიმე კაცი გაეგზავნა დასახმარებლად, რათა დაეჩქარებინათ სამუშაოების დასრულება. ამის შემდეგ კი რაჯა თვითონ გაემგზავრებოდა მათთან ლოცმანად. კაპიტანმა მართლაც გაუგზავნა დასახმარებლად რამდენიმე კაცი. მაგრამ რაჯები იმდენს სვამდნენ და ჭამდნენ, რომ მთელი დღე ეძინათ. თავის გაძართლების მიზნით ზოგმა მათგანმა ავადმყოფობა მოიმიზეზა. ჩვენი ხალხი იმ დღეს არაფერს აკეთებდა, სამაგიეროდ შემდეგ ორი დღე იმუშავეს.

ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა მოგვიტანა ჯამით ბრინჯი და რვა თუ ათი აცმა ბანანი დანაში გასაცვლელად, რომლის ფასი იყო სამი კვატრინი,

ჩოდესაც კაპიტანმა შეამჩნია, რომ იგი მხოლოდ დანის შეძენით იყო დაინტერესებული, დაუძახა, რათა ეჩვენებინა მისთვის სხვა საგნებიც. კაპიტანმა საფულიდან რეალი ამოიღო და აძლევდა მას, მაგრამ უკანასკნელმა უარი თქვა. მაშინ აჩვენა დუკატი, მაგრამ ამაზეც უარი განაცხადა. ბოლოს კაპიტანმა შესთავაზა „დოპონე", ორი დუკატის ღირებულებისა, მაგრამ მან ყველაფერი უარყო. ითხოვდა მხოლოდ დანას და ამიტომ კაპიტანმა მისცა დანა. როცა ერთ-ერთი ჩვენიანი ჩავიდა ნაპირზე, რათა სასმელი წყალი მოემარაგებინა, ადგილობრივმა მცხოვრებმა ოქროს დიდი ზოდი შესთავაზა „კოლონის" ზომის ექვს შუშის მძივში გასაცვლელად, მაგრამ კაპიტანმა აკრძალა გაცვლა, რადგან ადგილობრივ მცხოვრებლებს თავიდანვე გაეგოთ, რომ ჩვენ საქონელს ოქროზე მეტად ვაფასებდით.

აქაური ხალხი წარმართებია, შიშვლები და შეღებილები დადიან. საცხოვრებო ადგილს ხის ქსოვილით იფარავენ. ისინი ლოთები არიან. ქალები ატარებენ ხის ფესვებისაგან დამზადებულ საფარს წელიდან ქვემოთ. თმები შავი აქვთ, დაშვებული მიწამდე. ყურები გახვრეტილი აქვთ და ოქროთი მორთული. ისინი მუდმივად ღეჭავენ ნაყოფს, რასაც „არეკას" უწოდებენ. იგი გვაგონებს მსხალს. ამ ნაყოფს ჭრიან ოთხ ნაწილად და ახვევენ ხის ფოთლებში, რომელსაც უწოდებენ „ბეტელს". და რომლებიც თუთის ხის ფოთლებს ჰგავს: მას ცოტა თიხას ურევენ და დაღეჭვის შემდეგ აფურთხებენ, მისგან პირი წითლდება. ამ მხარეში ბეტელს ყველა იყენებს, რადგან ის გულს ამაგრებს და თუკი უარს იტყოდნენ მის გამოყენებაზე, დაიხოცებოდნენ.

აქ შეხვდებით კატებს, ძაღლებს, ღორებს, ქათმებს, თხებს, იზრდება ბრინჯი, ჯანჯაფილი, ქოქოსის კაკალი, ბანანი, ფორთოხალი, ლიმონი, ფეტვი, ჩიტის ფეტვი, სორგო. აქვთ ცვილი და დიდი რაოდენობით ოქრო. ეს კუნძული მდებარეობს 9²/₃° ჩრდ. პოლუსის მიმართულებით და სადემარკაციო ხაზიდან 162° გრადუსზე. აკვადისს იგი 25 ლიგით ჩამორჩება და ეწოდება მასავა.

ჩვენ აქ 7 დღე დავყოვით, შემდეგ კი ავიღეთ კურსი ჩრდ.-დასავლეთისკენ. ჩავუარეთ 5 კუნძულს. კონკრეტულად: სეილონს, ბოხოლს, კანიგანს, ბაიბაის და გატიგანს. ამ უკანასკნელ კუნძულზე გვხვდებიან არწივის ზომის ღამურები. დღის ბოლოს მოვკალით ერთი ასეთი ღამურა. გემოთი ის ქათამს ჰგავს. აქ გვხვდება მტრედები, გვრიტები, თუთიყუშები და შავი ჩიტების რაღაც სახეობა, სიდიდით ქათმების ტოლი და გრძელი კუდით. აღნიშნული ფრინველები კვერცხებს ქვიშაში დებენ და ბარტყები იჩეკებიან ქვიშის სიმხურვალით. ეს კვერცხები ძალზე ნოყიერია.

მასავიდან გატიგანი 200 ლიგით არის დაცილებული. ჩვენ გავემგზავრეთ გატიგანიდან დასავლეთით, მაგრამ რადგანაც მასავის მბრძანებელს არ შეეძლო, მაშინვე გამოგვყოლოდა, მის ლოდინში შევჩერდით სამი კუნძულის მახლობლად. ეს კუნძულებია: პოლო, ტიკობონი და პოსონი. როცა მბრძანებელი დაგვეწია, გაუკვირდა, როგორ სწრაფად მიეცურავდით ჩვენი ხომალდებით. კაპიტან-გენერალმა იგი მოიწვია თავის ხომალდზე რამდენიმე ხელმძღვანელთან ერთად, ამით ისინი კმაყოფილი დარჩნენ. ასე მიეცურავდით სუბუდან გატიგანამდე, რომელთა შორის მანძილი 15 ლიგაა.

კვირას, 7 აპრილს, ნაშუადღევს ჩვენ შევედით სუბუს ნავსადგურში. გვერდი ავუარეთ მრავალ დასახლებულ ადგილს და დავინახეთ ხიმინჯებზე აგებული ქოხები. ქალაქთან მიახლოებისას კაპიტან-გენერალმა ბრძანა დროშების აღმართვა. იალქნები დავუშვით, როგორც ბრძოლის წინ, და ყველა ქვემეხიდან გავისროლეთ, რამაც ძალიან შეაშინა ადგილობრივი მცხოვრებნი. კაპიტან-

ბა ერთ-ერთი თავისი აღზრდილი, თარჯიმანის თანხლებით, გაგზავნა ელჩად სუბუს მბრძანებელთან. როდესაც ისინი მიუახლოვდნენ ქალაქს, დაინახეს მბრძანებელი, რომელსაც ირგვლივ ხალხი ჰყავდა შემოხვეული. ისინი შეშფოთებული იყვნენ ჩვენი ქვემეხების ხმით. თარჯიმანმა განუმარტა მათ, რომ ასეთი იყო ჩვენი წესი, რომ ეს არის მშვიდობისა და მეგობრობის ნიშანი, და რომ ისროდნენ ქვემეხებიდან ამ ადგილების მბრძანებლის პატივსაცემად. ისინი დამშვიდდნენ და შბრძანებელმა იკითხა, თუ რა სურდათ მათ. თარჯიმანმა აუხსნა, რომ მისი ბატონი არის კაპიტანი, რომელიც ემსახურება მსოფლიოში უდიდეს ხელმწიფეს და მბრძანებელს, და რომ იგი მიემართება მოლუკუს საძებნელად. აქ კი ჩამოვიდა, რათა ენახა მბრძანებელი, რადგან მის შესახებ ბევრი კარგი სმენია მასავის მბრძანებლისაგან. გარდა ამისა, სურთ თავისი საქონლის სურსათზე გაცვლა. პასუხად მბრძანებელმა განაცხადა, რომ იგი მიესალმება მათ ჩამოსვლას, მაგრამ მათი წესით, ყველა, ვინც კი მოხვდება ამ ნავსადგურში, მოვალეა გადაიხადოს ხარკი და რომ 4 დღის წინ ასეთი ხარკი გადაიხადა სიამიდან ჩამოსულმა იალქნიანმა ნავმა (ჯოხკა), რომელიც დატვირთული იყო ოქროთი და მონებით. თავისი სიტყვების დასტურად მან უჩვენა თარჯიმანს ვაჭარი სიამიდან, რომელიც აქ ოქროთი და მონებით სავაჭროდ დარჩენილა.

თარჯიმანმა მას განუცხადა, რომ რადგან მისი ბატონი არის კაპიტანი, რომელიც იმყოფება მსოფლიოში უძლიერესი ხელმწიფის სამსახურში, იგი არ უხდის ხარკს შსოფლიოში არცერთ მბრძანებელს. და თუკი ამ მბრძანებელს სურს მშვიდობა, დაე იყოს მშვიდობა და თუ არა, იყოს ომი; მაშინ ვაჭარმა მავრმა უთხრა მბრძანებელს: „ფრთხილად იყავი, ხელმწიფევ, ეს ის ხალხია, რომელთაც დაიპყრეს კალიკუტა, მალაკა და მთელი დიდი ინდოეთი. და თუ მათ კარგად მოექცევიან, ისინიც ასევე პასუხობენ, და თუ მათ ცუდად მოექცევიან, ისინი უარესად მოიქცევიან, იმის მსგავსად, როგორც მოიქცნენ ისინი მალაკაში“. თარჯიმანმა გაიგონა ეს სიტყვები და მიმართა მმართველს, რომ მისი ბატონის ხელმწიფე გაცილებით ძლიერია ხალხითა და გემებით, ვიდრე პორტუგალიის მეფე და რომ ის არის ესპანეთის მეფე და ყველა ქრისტიანთა იმპერატორი. თუკი მბრძანებელი მას მეგობრულად არ მოექცევა, მაშინ სულ მალე იგი გამოგზავნის აქეთ იმდენ ხალხს, რომ მის სამფლობელოს დაანგრევენ. მავრმა ეს სიტყვები გადასცა მბრძანებელს. ამ უკანასკნელმა უპასუხა, რომ მოეთათბირება თავისიანებს და კაპიტანს ხვალ გასცემს პასუხს. შემდეგ იგი გაუმასპინძლდა მათ მრავალფეროვანი ხორციანი საკვებით, რომელიც ფაიფურის ლანგრებით მიართვეს, დოქებით ღვინოც მოიტანეს. ჩვენებმა წაიხემსეს, დაბრუნდნენ გემზე და გადმოგვცეს გაგონილი. მასავის მბრძანებელი მფლობელია ძრავალრიცხოვანი კუნძულებისა და ძალზე გავლენიანი სუბუს მბრძანებლის შემდეგ. იგი გადავიდა ნაპირზე, რათა მოეთხრო იქაური მბრძანებლისათვის ჩვენი კაპიტან-გენერლის დიდი თავაზიანობის შესახებ.

ორშაბათს, დილით, სუბუში ჩვენი ნოტარიუსი და თარჯიმანი გაემგზავრნენ. მბრძანებელი გამოცხადდა მოედანზე თანმხლებ პირებთან ერთად და შესთავაზა ჩვენებს, მის გვერდით დამსხდარიყვნენ. მან ჰკითხა ნოტარიუსს, ბევრი კაპიტანი იყო თუ არა ჩვენს ეკიპაჟში და ითხოვდა თუ არა ჩვენი კაპიტანი, რომ მას გადაეხადა იმპერატორისათვის ხარკი. ნოტარიუსმა უპასუხა, რომ ეს საჭირო არ იყო და რომ კაპიტანს მხოლოდ ერთი რამ სურდა: ეწარმოებინა ვაჭრობა მათთან და არა სხვებთან. მბრძანებელი დაკმაყოფილდა ასეთი პასუხით. და დაუმატა, თუ კი კაპიტანს სურს იყოს მისი მეგობარი, გამოუგზავნოს მას მარჯვენა ხელიდან გამოდენილი სისხლის წვეთი და რომ გულწრფელი მე-

გობრობის ნიშნად თვითონაც ასევე მოიქცევა. ნოტარიუსმა უთხრა, რომ კაპიტანი ასეც იზამს. ამის შემდეგ მბრძანებელმა აცნობა მას, რომ აქ ჩამოსული კაპიტნები მას აძლევდნენ საჩუქრებს, ისიც თავის მხრივ ასაჩუქრებდა მათ. მას აინტერესებდა, პირველად ეს ვის უნდა გაეკეთებინა, კაპიტანს თუ მას. თარჯიმანმა უპასუხა, რადგან მას სურდა ამ წესის შენარჩუნება, მასვე უნდა გადაედგა პირველი ნაბიჯი.

სამშაბათს, დილით, მასავის მბრძანებელი მოვიდა გემზე მავრის თანხლებით. იგი კაპიტანს მიესალმა სუბუს მბრძანებლის სახელით და აცნობა, რომ ეს უკანასკნელი დაკავებული იყო მათთვის იმ რაოდენობის სურსათის შეგროვებით, რაოდენის მოგროვებასაც შეძლებენ. სადილის შემდეგ კი აპირებს გამოგზავნოს კაპიტანთან თავისი ძმისშვილები და ორი ხელმძღვანელი სამშვიდობო ხელშეკრულების დასადებად. კაპიტან-გენერლის ბრძანებით ერთ-ერთი ჩვენთაგანი აღიჭურვა იარაღით, როგორც ბრძოლის დროს. კაპიტანმა მავრს მიანიშნა მასზე და განუმარტა, რომ ყოველი ჩვენთაგანი ასე აღჭურვილი იბრძვის. მავრი ძალზე შეშინდა, მაგრამ კაპიტანმა დაამშვიდა იგი. განუცხადა, რომ ჩვენი იარაღი მსუბუქია მეგობრებისათვის, ხოლო მტრებისათვის მძიმე. ჩვენი იარაღი ანადგურებს და ამბობს ჩვენს მოწინააღმდეგეს ისევე ადვილად, როგორც იოლად ვიწმენდთ ცხვირსახოცით ოფლს. ასევე ვებრძვით იმათ, ვინც უარყოფითად არის განწყობილი ჩვენი სარწმუნოების მიმართ. კაპიტანი ასე იმიტომ მოექცა მავრს, რომ იგი სხვებზე უფრო გონიერი ჩანდა და შესძლებდა ყველაფერი გადაეცა მბრძანებლისათვის.

სადილის შემდეგ, მბრძანებლის ძმისშვილი და მემკვიდრე ამოვიდნენ გემზე, მასავის მბრძანებელთან, მავრთან, დაცვის უფროსთან და სხვა უფროსებთან ერთად, რათა დაედოთ ჩვენთან სამშვიდობო ხელშეკრულება. კაპიტან-გენერალმა მიიღო ისინი წითელ ხავერდგადაკრულ სავარძელში მჯდომარემ. მთავარი თანაშემწეები ისხდნენ ტყავგადაკრულ სკამებზე, სხვები კი მოთავსდნენ იატაკზე. კაპიტან-გენერალმა, თარჯიმნის საშუალებით მათ დაუსვა კითხვა, თუ როგორია მათი წესი ასეთ შემთხვევაში: ჩატარდეს მოლაპარაკება საიდუმლოდ თუ საჯაროდ. აგრეთვე ჰკითხა, უფლებამოსილნი არიან თუ არა მემკვიდრე და მასავის მბრძანებელი, რათა სამშვიდობო ხელშეკრულება დადონ. პასუხად მათ განაცხადეს, რომ მათი წესით, მოლაპარაკება უნდა წარმოებდეს საჯაროდ და რომ ისინი უფლებამოსილნი არიან დადონ ზავი. კაპიტან-გენერალი ბევრს ლაპარაკობდა საზავო ხელშეკრულებაზე და შესთხოვდა ღმერთს, ზეცაში დაემტკიცებინა ეს ზავი. სტუმრებმა განაცხადეს, რომ არასოდეს არ მოუსმენიათ ასეთი სიტყვა და რომ მისი მოსმენით დიდი სიამოვნება მიიღეს. კაპიტან-გენერალი დარწმუნდა რა, რომ მას ინტერესით უსმენდნენ და სიამოვნებით პასუხობდნენ, დაიწყო მათი დარწმუნება, რათა მოექცია ქრისტიანულ რწმენაზე. მის შეკითხვაზე, თუ ვის დარჩებოდა მემკვიდრეობა მბრძანებლის შემდეგ, უპასუხეს, რომ მეფეს არ ჰყავდა ვაჟიშვილები, ჰყავდა მხოლოდ ქალიშვილები, რომელთა შორის უფროსი, მეფის ერთ-ერთი ძმისშვილის ცოლია და ამიტომ იგია მისი მემკვიდრე. როდესაც მათი მამები და დედები ბერდებიან, ღარ სარგებლობენ პატივისცემით და ძალა-უფლება გადადის მათ შვილებზე. ამაზე კაპიტანმა განუცხადა მათ, რომ ღმერთმა შექმნა ცა, მიწა, ზღვა და ყველაფერი სხვა. გვიანდერძა ადამიანებს, პატივი ვცეთ ჩვენს მამებსა და დედებს. ვინც ასე არ იქცევა, მას იმ ქვეყნად მიესჯება მუდმივ ცეცხლში წვა, რომ ჩვენ ყველა წარმოვსდექით ჩვენი წინაპრების — ადამისა და ევასაგან, რომ ჩვენი სული უკვდავია და ისაუბრა კიდევ ბევრ სხვა რამეზე, რაც ეხებოდა რწმენას.

მათ გამოხატეს კმაყოფილება ამის მოსმენით და სთხოვეს კაპიტანს, დაეტოვებინა მათთან ორი ჩვენი კაცი, ერთი მაინც, რათა მიეცა მათთვის დარიგებანი რწმენასთან დაკავშირებით. ჰპირდებოდნენ, რომ დიდ პატივში ეყოლებოდათ. პასუხად კაპიტანმა განუცხადა, რომ არ შეეძლო მათთვის ხალხის დატოვება, მაგრამ თუკი სურდათ გაქრისტიანებულიყვნენ, ჩვენს მღვდელს შეეძლო მათი მონათვლა. შემდეგ კი უმოკლეს დროში, ჩამოიყვანდა მღვდლებს და ბერებს, რათა მოექციათ ადგილობრივი მცხოვრებლები ჩვენს რწმენაზე. მათ განაცხადეს, რომ ამის შესახებ ჯერ მბრძანებელს მოელაპარაკებიან და შემდეგ კი მიიღებენ ქრისტიანობას. ვუსმენდით მათ და დიდი სიხარულისაგან ცრემლებად ვიღვრებოდით. კაპიტან-გენერალმა განუმარტა მათ, რომ ისინი უნდა წაახალისონ, რათა გაქრისტიანდნენ, მიიღონ უნდა ეს რწმენა არა შიშით ჩვენ წინაშე, და არა სურვილით, რათა სიამოვნება მოგვანიჭონ, არამედ მხოლოდ საკუთარი ნებით. ვისაც სურვილი ექნება, იცხოვროს ძველი წეს-ჩვეულებებით, არ უნდა ეშინოდეს უსიამოვნების, მაგრამ უნდა იცოდეს ყველამ, რომ ქრისტიანებს უკეთ მოექცევიან, ვინემ სხვებს. ყველა იქ მყოფმა ერთხმად წამოიძახა, რომ არა შიშით, ანდა მათი სიამოვნების მიზნით, არამედ მხოლოდ საკუთარი სურვილით გაქრისტიანდებიან. კაპიტანი მათ შეჰპირდა, რომ გაქრისტიანების შემდგომ დაუტოვებდა ერთ სრულ შეიარაღებას, რადგან ასეთი ბრძანება ჰქონდათ მიღებული თავისი ხელმწიფისაგან. აგრეთვე მან განაცხადა, რომ თუ კი ჩვენ მათ ცოლებთან კავშირს დავამყარებდით, ამით დიდ ცოდვას ჩავიდენდით, რადგან ისინი წარმართები არიან. აგრეთვე დაარწმუნა ისინი იმაში, რომ თუკი გაქრისტიანცვნებოდნენ, მათ შესაძლოა მხოლოდ სიკვდილის წინ გამოეცხადოთ ეშმაკი. მათ უპასუხეს, რომ არ შეუძლიათ შესაფერისად უპასუხონ კაპიტნის შესანიშნავ სიტყვას, მაგრამ ისინი მას სრულიად ენდობიან. და შეუძლია მოეპყროს მათ როგორც ერთგულ მსახურთ. კაპიტანი აცრემლებული თვალებით მოეხვია მათ. მემკვიდრისა და მბრძანებლის ხელები თავის ხელში დაიჭირა და აღუთქვა მათ სამუდამო ზავი ესპანეთის მეფესთან. თან იმოწმებდა თავის რწმენას ღმერთის მიმართ და თავის სუვერენს, იმპერატორს და თავის ორდენს. მათაც, თავის მხრივ, დადეს მსგავსი ფიცი. ზავის დადების შემდეგ კაპიტანმა ბრძანა გამასპინძლებოდნენ მათ. შემდეგ მასაევის მბრძანებელმა და მემკვიდრემ, მბრძანებლის სახელით, გადასცეს კაპიტანს რამდენიმე კალათი ბრინჯი, ღორები, თხები, და ქათმები, თან სთხოვეს პატივება ასეთი მცირედი ძღვენისათვის. კაპიტანმა, თავის მხრივ, აჩუქა მემკვიდრეს ტილოს თხელი ქსოვილისაგან შეკერილი თეთრი პერანგი, წითელი თავსაბურავი, შუშის რამდენიმე ცალი მძივი და მოოქროვილი ფინჯანი. ამ მხარეში ასეთი ფინჯნები ძალიან ფასობს. მასაევის მბრძანებელს მან არაფერი არ უძღვნა, რადგან ადრე აჩუქა კამბაის ქსოვილის პერანგი და სხვა ნივთები. სხვებსაც დაურიგა სხვადასხვა საჩუქრები. სუბუს მბრძანებელს ჩემი და სხვა კაცების ხელით გაუგზავნა თურქულ ყაიდაზე შეკერილი ყვითელი და ისფერი აბრეშუმის პერანგები, ლამაზი წითელი თავსაბურავი, შუშის რამდენიმე მძივი. ყოველივე ეს დაწყობილი იყო ვერცხლის ლანგარზე, აგრეთვე ორი მოოქროვილი სასმელი ფინჯანი, რომელიც ხელით მიგვქონდა. ჩამოვედით ქალაქში. მბრძანებელი ენახეთ სასახლეში მრავალრიცხოვანი ხალხით გარშემორტყმული. იგი იჯდა იატაკზე, პალმის ჭილოფზე. ტილოს ნაჭრით დაფარული ჰქონდა მხოლოდ სასირცხო ადგილი, თავი ხელით ნაქარგი შარფით ჰქონდა შეფუთული, ყელზე ეკიდა ძვირფასი ყელსაბამი, ყურებში გაყრილი ჰქონდა ძვირფასი ქვებით მორთული ოქროს ორი დიდი საყურე. იგი იყო დაბალი და მსუქანი, სხეული მოხატული ჰქონდა ცე-

ცხლით ამომწვარი სხვადასხვა გამოსახულებით. მეორე ჭილოფზე იდგა კუს კვერცხებით სავსე ფაიფურის ორი ლანგარი, რომელსაც იგი ჭამდა. აქვე იყო 4 დოქი ღვინით სავსე, რომელთაც ზემოდან ეფარათ სასიამოვნო სურნელების ბალახები. თითოეული დოქიდან მოჩანდა ღერო, საიდანაც იგი სვამდა. მისთვის საკადრისად მიცემული სალმის შემდეგ, თარჯიმანმა აცნობა მას, რომ მისი ბატონი საჩუქრებისათვის მხურვალე მადლობას სწირავს და რომ მის მიერ გამოგზავნილი საჩუქრები არ ჩათვალოს სამაგიერო ჯილდოდ, არამედ რომ ეს არის მის მიმართ სიყვარულის გამოხატვა. ჩვენ მოვასხით მას სამოსი, დავადგით თავსამკაული და მივეცით ყველა სხვა ნივთი. შემდეგ ვემთხვიეთ მძივებს და დავადეთ თავზე. ყოველივე ეს მივართვი მბრძანებელს. მიღებისას იგი ემთხვია საჩუქრებს. შემდეგ მბრძანებელმა შემოგვთავაზა გაგვეესინჯა კვერცხები და დაგველია ღვინო ლერწმის მოქნილი ღეროებით. მისმა ელჩებმა, რომლებიც გემზე იყვნენ კაპიტანთან, გადასცეს კაპიტნის სიტყვები ზავთან დაკავშირებით, აგრეთვე კაპიტნის თხოვნა, მიეღოთ ქრისტიანობა. მბრძანებელმა გამოთქვა სურვილი დავრჩენილიყავით ვახშამზე, მაგრამ ჩვენ უარი ვუთხარით. ამის შემდეგ დავემშვიდობეთ. მემკვიდრემ წაგვიყვანა თავის სახლში, სადაც ოთხი ახალგაზრდა გოგონა უკრავდა ერთ დოლზე, რომელიც ჩვენს დოლს ჰგავდა, მაგრამ იდგა მიწაზე, მეორე ურტყამდა ბოლოში პალმის ნაჭრით მსხვილად დახვეულ ჯოხს, დაკიდებულს ორ დაფდაფზე. მესამე კი ერთმანეთს ურტყამდა ორ მომცრო დაფდაფს. სასიამოვნო ხმებს გამოსცემდნენ და ისე შეთანხმებულად უკრავდნენ, შეიძლება გვეფიქრა, რომ მათ მუსიკის კარგი შეგრძნება ჰქონდათ. ეს გოგონები ძალზე ლამაზები იყვნენ, თეთრკანიანები და მაღლები, როგორც ჩვენები, სულ მთლად შიშვლებს მხოლოდ ხის ქერქები ფარავდათ წელიდან მუხლამდე. ზოგს ესეც არ ჰქონდა. ყურების დიდ ნახვრეტებში ხის პატარა ნაჭრები ჰქონდათ გაყრილი, რაც ნახვრეტს კიდევ უფრო ადიდებდა და აშრგვალებდა. გრძელი შავი თმები ამშვენებდათ. თავზე ედოთ ქსოვილის პატარა ნაჭრები. ფეხშიშვლები იყვნენ. მემკვიდრემ უბრძანა სამ სრულიად შიშველ გოგონას, ეცეკვათ ჩვენ წინაშე. ჩვენ წავიხემსეთ და შემდეგ დავბრუნდით გემზე.

მათი დაფდაფები გაკეთებულია ლითონისაგან. ამ მხარეში მას აზზადებენ დიდი ყურის შემოგარენში, რომელსაც ჩინეთი ეწოდება. აქ მათ ზარის ფუნქცია აკისრია და ეწოდება „აგონი“.

ოთხშაბათს, დილით, მე და თარჯიმანი გამოვცხადდით მბრძანებელთან თხოვნით, მიენიშნებინა ჩვენთვის ადგილი, სადაც შეგვეძლო დაგვეკრძალა ჩვენიანი, რომელიც წინა ღამით გარდაიცვალა. უმრავი ხალხით გარშემორტყმულმა მბრძანებელმა მიპასუხა: „თუკი მე და ნებისმიერი ქვეშევრდომი ესპანეთის ხელმწიფის განკარგულებაში ვიმყოფებით, მასვე ეკუთვნის მთლიანად ეს მიწა“. მაშინ მე ვუთხარი, რომ უნდა გვეკურთხებინა ეს ადგილი და აღგვემართა იქ ჯვარი. მან მიპასუხა, რომ ეს მისთვის სასიამოვნო იქნებოდა და თავადაც თაყვანს სცემდა ჯვარს, ისე როგორც ამას ჩვენ ვაკეთებთ. მიცვალებული დაკრძალეს მოედანზე დიდი ზეიმით. ამით სურდათ კარგი მაგალითის მიცემა. შემდეგ ვაკურთხეთ ეს ადგილი. საღამოს დავკრძალეთ კიდევ ერთი ჩვენიანი.

ნაპირზე გადავიტანეთ დიდი რაოდენობით საქონელი და დავალაგეთ ერთერთ სახლში. მბრძანებელმა თავის თავზე აიღო მისი დაცვა. მანვე გამოყო ოთხი კაცი საბითუმო-გაცვლითი ვაჭრობისათვის.

ეს ხალხი ცხოვრობს მართლმსაჯულებასთან შეთანხმებით. მათ აქვთ ზომა-

წონის ერთეულები. ისინი უპირატესობას ანიჭებენ მშვიდობას და კმაყოფილებას. აქვთ ხის სასწორი, რომელსაც იჭერს თოკი. ერთ ბოლოზე კიდია ტყვიის ნაჭერი, მეორეზე აღნიშნულია: მეოთხედი ფუნტი, ნახევარი ფუნტი, ფუნტი. აქვთ დიდი მოცულობის უძირო საწყაონი.

ახალგაზრდები სტვირზე უკრავენ, იმის მსგავსზე როგორიც ჩვენია. მას „სუბინს" უწოდებენ.

სახლები აგებული აქვთ ხისაგან და შედგება ფიცრებისა და ბამბუკისაგან. ბიწიდან ამაღლებულია დიდი მორებით და მათზე ასვლა შესაძლოა კიბით. ოთახები ჩვენნაირი აქვთ. სახლების ქვეშ ღორები, თხები და ქათმები ჰყავთ.

აქ შეხვდებით ზღვის ლამაზ ლოკოკინებს, რომლებიც ვეშაპებს ხოცავენ. უკანასკნელები მათ ცოცხლად ყლაპავენ და როდესაც ისინი ვეშაპის მუცელში ხვდებიან, ძვრებიან ნიჟარებიდან და ჭამენ მათ გულს. ადგილობრივი ხალხი მათ მკვდარი ვეშაპის გულთან ნახულობს. ამ ქმნილებებს შავი კბილები და კანი აქვთ, ნიჟარა კი თეთრი. მათი ხორცი, რომელსაც აქ „ლაგანს" ეძახიან, სასიამოვნო გემოსია.

პარასკევს ვუჩვენეთ საქონლით სავსე ჩვენი დახლები, რამაც ისინი განაცვიფრა. იძლეოდნენ ოქროს თუჯში და სხვა მსხვილ საქონელში გასაცვლელად. სხვა საქონელში გვაძლევდნენ ბრინჯს, ღორებს, თხებსა და სხვა სურსათს. 14 ფუნტ რკინაში გვაძლევდნენ 10 ზოდ ოქროს, თითოეული ზოდი $1^1/_2$ დუკატის ფასის იყო. კაპიტან-გენერალი უარს ამბობდა ოქროს დიდ რაოდენობაზე, რადგან ჩვენ შორის ზოგიერთი მზად იყო, მცირე რაოდენობის ოქროში ყველაფერი მიეცა, ამით კი შეიძლებოდა სამუდამოდ ჩაეშალათ ჩვენი ვაჭრობა.

ხუთშაბათს, პირობის თანახმად, კაპიტანს უნდა გაეჭრისტიანებინა მბრძანებელი. მოედანზე შემაღლებული ადგილი აკურთხეს და ნათლობის საპატივცემულოდ მორთეს პალმის ტოტებითა და ფარდებით. კაპიტან-გენერალმა გაგზავნა კაცი მბრძანებლის გასაფრთხილებლად, რომ არ შეშინებოდა, როცა ქვემეხების გასროლას გაიგონებდნენ, რადგან, წესით, ყველაზე ღრსშესანიშნავი დღესასწაულების დროს ვიქცევით ასე.

კვირას, 14 აპრილს, დილით 40 ჩვენი კაცი გადავიდა ნაპირზე. მათგან ორი სრული აღჭურვილობით იყო და სამეფო დროშას წინ მიუძღოდა. როგორც კი გავედით ხმელეთზე, გაისმა ქვემეხებიდან გასროლის ხმა. ადგილობრივები ყველგან უკან დაგვყვებოდნენ. კაპიტანი და მბრძანებელი გადაეხვივნენ ერთმანეთს. კაპიტანმა აუხსნა მბრძანებელს, რომ სამეფო დროშა ჩვეულებისამებრ გამოაქვთ ხმელეთზე არა უმცირეს 50 კაცის თანხლებით. ეს 50 კაცი ზუსტად ისეა შეიარაღებული, როგორც ის ორი, რომელიც წინ მიუძღოდა ალამს. გარდა ამისა კიდევ 50 მუშკეტერი უნდა ახლდეს, მაგრამ მისი სიყვარული მბრძანებლის მიმართ იმდენად დიდია, რომ მან გადაწყვიტა გამოეტანა ალამი ხმელეთზე ამ სახით. ამის შემდეგ ყველანი მხიარულად მივუახლოვდით შემაღლებულ ადგილს მოედანზე. მბრძანებელი და კაპიტანი დასხდნენ წითელ და იისფერ ხავერდგადაკრულ სავარძელში, უფროსები—ბალიშებზე, სხვები—ფარდაგებზე. კაპიტანმა თარჯიმნის საშუალებით გადასცა მბრძანებელს, რომ იგი მაღლობას სწირავს ღმერთს, რომელმაც მას ქრისტიანობის მიღება შთააგონა. ამ დღიდან იგი იოლად სძლევს თავის მტრებს. მბრძანებელმა აცნობა კაპიტანს, რომ თვითონ სურს ქრისტიანობის მიღება, მაგრამ რამდენიმე მისი უფროსი არ ემორჩილება მას. მაშინ კაპიტანმა დაუძახა ხელმძღვანელებს და განუცხადა, რომ თუკი არ დაემორჩილებიან თავიანთ ხელისუფლებას, რო-

გორც ხელმწიფეს, იგი ბრძანებს, დახოცონ ისინი. მათ სამფლობელოს კი გადასცემს მბრძანებელს. ამის გაგონების შემდეგ მათ მორჩილება გამოთქვეს. კაპიტანმა აცნობა მბრძანებელს, რომ განზრახული ჰქონდა ესპანეთში გამგზავრება, მაგრამ უმოკლეს დროში აპირებდა დაბრუნებას მნიშვნელოვანი ძალებით. ამ ძალის საშუალებით კი იგი მბრძანებელს დაეხმარებოდა გამხდარიყო ამ მხარის დიდებული ხელისუფალი, რადგან მან პირველმა მიიღო გადაწყვეტილება ქრისტიანი გამხდარიყო. მბრძანებელმა აღაპყრო ცისკენ ხელები და მადლობა გადაუხადა კაპიტანს, თან სთხოვა დაეტოვებინა თავისი ხალხიდან ვინმე, რათა მას უკეთ დაერიგებინა ის და მისი ხალხი რწმენასთან დაკავშირებით. კაპიტანმა თანხმობა განუცხადა და შეჰპირდა, რომ დატოვებდა ორ კაცს, თვითონ კი სურდა წაეყვანა ფფროსების ორი ბავშვი, რათა ესწავლებინა მათთვის ჩვენი ენა, რომ დაბრუნების შემდეგ შესძლებოდათ უკეთ ეამბნათ ყოველივე, რასაც ესპახეთში ნახავდნენ.

მოედნის ცენტრში აღმართეს დიდი ჯვარი. კაპიტანმა განუცხადა ხალხს, რომ თუკი ისინი ქრისტიანობას მიიღებენ, როგორც აღუთქვეს წინა დღეებში, მათ უნდა დაწვან ყველა კერპი და სანაცვლოდ ჯვარი აღმართონ. ყოველ დილით გულხელდაკრეფილებმა თაყვანი უნდა სცეს ჯვარს. პირჯვარი გადაიწერონ ესპანელთა წესით — ამასთან კაპიტანმა აჩვენა, თუ როგორ უნდა გააკეთონ ეს—და მუდამ, ყოველ შემთხვევაში დილაობით მაინც, უნდა მოეიდნენ ხოლმე ჯვართან და მის წინაშე მუხლი მოიყარონ. ხელისუფალმა და სხვებმაც გამოთქვეს ამის შესრულების სურვილი. კაპიტან-გენერალმა განუმარტა მბრძანებელს, რომ თეთრი ტანსაცმელი, რომელიც მას ახლა აცვია, მოწმობს მის გულწრფელ სიყვარულს მათ მიმართ. მათ განაცხადეს, რომ სიტყვები არ ყოფნით ასეთი ტკბილი საუბრის პასუხად. ელაპარაკებოდა რა ყოველივე ამაზე, კაპიტანმა მიიყვანა მბრძანებელი შემაღლებულ ადგილთან, რათა ჩაეტარებინათ ნათლობა. მბრძანებელს უთხრა, რომ ამიერიდან მისი ნათლობის სახელი იქნება დონ კარლოსი, იმპერატორის, მისი სუვერენის პატივსაცემად. მემკვიდრეს დაარქმევს ფერნანდოს, იმპერატორის ძმის სახელს. მასავის მბრძანებლის სახელი იქნება ხუანი, უფროსისა — ფერნანდო, ჩვენი უფროსის, ე. ი. კაპიტნის სახელი — ქრისტოფორი დაერქმევა მავრს. ასე მისცეს ნათლობის სახელები ყველას. წირვამდე მონათლეს 500 კაცი, წირვის შემდეგ კაპიტანმა მოიწვია მბრძანებელი და მისი უფროსები სადილზე, მაგრამ მათ უარი თქვეს და მხოლოდ ნაპირამდე მიგვაცილეს. გემებიდან მისცეს საარტილერიო ზალპი. მბრძანებელი, უფროსები და კაპიტანი გადაეხვივნენ ერთმანეთს და გულთბილად დაეშვიდობნენ.

სადილის შემდეგ მღვდელი და რამდენიმე სხვა გადავიდა ნაპირზე, რათა მოენათლათ მბრძანებლის ცოლი, რომელიც 40 ქალის თანხლებით მოვიდა. მივიყვანეთ ის შემაღლებულ ადგილზე და დავსვით ბალიშზე. ქალები დასხდნენ მის ახლოს, სანამ მღვდელი ემზადებოდა წესის შესასრულებლად. მას აჩვენეს ღვთისმშობლის ხატი, იესოს ლამაზი ქანდაკება და ჯვარი. ყოველივე ამან ის დაამწუხრა და ცრემლიანი თვალებით ითხოვდა მონათვლას. მას დაარქვეს ხუანა, იმპერატორის დედის სახელი. მის ქალიშვილს, მემკვიდრის მეუღლეს ვუწოდეთ ეკატერინე, მასავის მბრძანებლის მეუღლეს — ელისაბედი, ნათლობის სახელები მივეცით სხვა მხლებელ ქალებსაც. მოვნათლეთ რვაასი კაცი, ქალი და ბავშვი. მბრძანებლის მეუღლე იყო ახალგაზრდა, ლამაზი ქალი, ტანთ ემოსა თეთრი, შავებით გაწყობილი კაბა. პირი და ფრჩხილები წითლად ჰქონდა შეღებილი. თავზე პალმის ფოთლებისაგან გაკეთებული ქოლგის მსგავსი განი-

ერი ქუდი ეხურა, რომელზედაც იმავე ფოთლებისგან დამზადებული გვირგვინი ედგა, პაპის ტიარის მსგავსად. ამ გვირგვინის გარეშე იგი არსად არ ჩნდება. დედოფალმა გვთხოვა, მიგვეცა მისთვის ახალშობილი იესოს ხატი, რათა ამ ხატით შეეცვალა თავისი კერპები. ამის შემდეგ იგი წავიდა.

საღამოს ნაპირთან მივიდა მბრძანებელი ცოლთან და თანმხლებ პირებთან ერთად. ამის აღსანიშნავად კაპიტანმა პეტარდების გაშვება და ქვემეხებიდან გასროლა ბრძანა, რამაც მათ დიდი სიამოვნება მიანიჭა. კაპიტანი და მბრძანებელი ერთმანეთს ძმებს უწოდებდნენ. მბრძანებელს ერქვა რაჯა გუმაბონი.

კვირის ბოლომდე მოინათლა ამ კუნძულის ყველა მცხოვრები და ზოგი სხვა კუნძულებიდანაც. მეზობელ კუნძულზე ჩვენ დავწვით ერთი ქოხი იმ მიზეზით, რომ მცხოვრებლებმა უარი თქვეს დამორჩილებოდნენ რაჯას ან ჩვენ. იქ აღვმართეთ ჯვარი. ამ კუნძულის მცხოვრებლები წარმართები იყვნენ. რომ ყოფილიყვნენ მავრები, მაშინ აღვმართავდით სვეტს. უდიდესი სიმტკიცის ნიშანს, რადგან მავრების გაქრისტიანება გაცილებით რთულია, ვიდრე წარმართებისა.

კაპიტან-გენერალი იმ დღეებში ყოველდღიურად გადადიოდა ნაპირზე, წირვაზე დასასწრებად და ამ დროს რაჯას ბევრს ესაუბრებოდა ქრისტიანულ რწმენაზე. ერთხელ მბრძანებლის ცოლი, რომელსაც წინ მოუძღოდა სამი გოგონა დედოფლის სამი ქუდით ხელში, ერთობ საზეიმოდ გამოწყობილი, გამოცხადდა წირვაზე. მას ეცვა თეთრი, შავებით გაწყობილი ტანსაცმელი, თავზე მოხვეული ჰქონდა ფართო აბრეშუმის შარფი, რომელსაც ირიბად დაუყვებოდა ოქროსფერი ხაზები. ის უფარავდა მხრებსაც, თან ახლდა ქალების დიდი რაოდენობა, ყველა ტანშიშველი და ფეხშიშველი, მხოლოდ სასირცხო ადგილები ჰქონდათ დაფარული პალმის ქსოვილის პატარა ნაჭრით. თავზეც შარფები მოეხვიათ და თმები გაეშალათ. მას შემდეგ, რაც საკურთხევლის წინაშე დაიჩოქა, მბრძანებლის ცოლი დაჯდა აბრეშუმის მოქარგულ ბალიშზე. წირვის დაწყებამდე კაპიტანმა მას და მის თანმხლებ რამდენიმე ქალს აპკურა ვარდის მუშკის წყალი, რადგან მისი არომატი მათ ძლიერ მოსწონდათ. კაპიტანმა იცოდა, რომ დედოფალს ძალზე მოსწონდა იესოს ქანდაკება, ამიტომ იგი აჩუქა მას და თან დაარიგა, რომ საჭირო იყო, ხატი დაედგათ კერპის ადგილას, რადგან ეს ქანდაკება არის ღმერთის შვილის ხსოვნის აღსანიშნავი. დედოფალმა მიიღო საჩუქარი და მთელი გულით მადლობა გადაუხადა.

ერთხელ წირვის წინ კაპიტან-გენერალმა წინადადება მისცა მბრძანებელს, ჩაეცვა აბრეშუმის თეთრი სამოსი. იგივე შესთავაზა ქალაქის დიდებულებს, მემკვიდრის მამას, რომელსაც ერქვა. ბენდარა და მის ძმას, მეორე ძმასაც, სახელად კადაიოსს, რამდენიმე სხვა დაახლოებულ პირს, რომელთაც ერქვათ: სიმიუტი, მიბუაია, მაგალიბე და ბევრ სხვას, რომელთა სახელებს აქ არ მოვიყვან, რომ თავი არ შეგაწყინოთ. კაპიტანმა უბრძანა, დაეფიცათ მათ მბრძანებლის ერთგულებაზე, რის შემდეგაც ისინი ემთხვევნენ ამ უკანასკნელის ხელს. ამის შემდეგ შესთავაზა მბრძანებელს, გამოეცხადებინა მორჩილება და ერთგულება ესპანეთის მეფის მიმართ, რაზეც მან ფიცი დადო. კაპიტანმა ღვთისმშობლის ხატის წინ ხმალი იშიშვლა და მიმართა მბრძანებელს, რომ ვინც ამ ხატის წინ დაიფიცებდა, ეს ფიცი არ უნდა გაეტეხა, უმჯობესი იყო სიკვდილზე დათანხმებულიყო. ამის შემდეგ კაპიტანმა მბრძანებელს აჩუქა წითელი ხავერდგადაკრული სავარძელი და განუმარტა, რომ სადაც არ უნდა წასულიყო, იგი თან უნდა წაეღო. მისი ტარება ევალებოდა ახლო ნათესავთაგან ვინმეს, თან აჩვენა, თუ როგორ უნდა ეტარებინათ. მბრძანებელმა განაცხადა, რომ ყოვე-

ლოვე ამას შეასრულებდა დიდი სიამოვნებით. მან აუწყა კაპიტანს, რომ მისთვის მზადდებოდა ძვირფასეულობა, კერძოდ, ორი დიდი ოქროს საყურე, ორი სამაჯური ხელებისათვის და ორი რგოლი მუხლის ზევით ფეხზე გასაკეთებლად. ეს იყო ყველაზე ლამაზი სამკაულები იმ მხარეში, რის ხმარების უფლებასაც იძლეოდა ბრძანებელი. აქაური ხალხი, ჩვეულებრივ, დადის ფეხშიშველი, ატარებენ წელიდან მუხლებამდე დაშვებულ პატარა ნაჭრებს.

ერთხელ კაპიტან-გენერალმა ჰკითხა მბრძანებელს და სხვებს, პირობის თანახმად, გაქრისტიანების შემდეგ უნდა დაეწვათ კერპები, ისინი კი ასე არ მოიქცნენ; თან რატომ სწირავდნენ მსხვერპლად ამდენ ხორცს. მათ უპასუხეს, რომ ასე იქცევიან ერთი ავადმყოფის გამო, რომელმაც 4 დღეა ხმა დაკარგა და რომლისთვის კერპებს შეეძლოთ ჯანმრთელობის დაბრუნება. ეს იყო მბრძანებლის ძმა, ყველაზე მამაცი და ჭკვიანი კაცი კუნძულზე. კაპიტანმა შესთავაზა მათ, დაეწვათ კერპები და მინდობოდნენ ქრისტეს. კაპიტანი პირობას იძლეოდა, რომ თუ კი ავადმყოფი მოინათლებოდა, იგი მალე გამოჯანმრთელდებოდა. მბრძანებელი დათანხმდა. საზეიმო პროცესია მოედწიდან გაემართა ავადმყოფის სახლისაკენ. ავადმყოფს არც მოძრაობა და არც ლაპარაკი არ შეეძლო. ჩვენ მოვნათლეთ ის, მისი ორი ცოლი და ათი გოგონა. მონათვლის შემდეგ კაპიტანი შეეკითხა ავადმყოფს, თუ როგორ გრძნობდა იგი თავს. მან მაშინვე დაილაპარაკა და თქვა, რომ ღმერთის წყალობით სრულიად გამოკეთდა. ეს იყო ჩვენს დროში მომხდარი აშკარა საოცრება. კაპიტანმა გაიგონა თუ არა მისი ხმა, მადლობა შესწირა ღმერთს. კაპიტან-გენერალმა ავადმყოფს მისცა რძე, რომელიც კაპიტნის განკარგულებით უკვე მომზადებული ჰქონდათ. შემდეგ გაუგზავნა ლეიბი, ორი ზეწარი, ყვითელი ქსოვილის საბანი და ბალიში. სანამ ავადმყოფი იკურნებოდა კაპიტანი უგზავნიდა ნუშის რძეს, ვარდის წყალს, ვარდის ზეთსა და ტკბილ მურაბებს. არ გასულა 5 დღე, რომ ავადმყოფმა სიარული დაიწყო. კაპიტანმა ბრძანება გასცა, მბრძანებლისა და მისი მოსახლეობის თანდასწრებით დაეწვათ კერპები, რომელსაც რამდენიმე მოხუცი ქალი მალავდა ავადმყოფის სახლში. ბრძანა, აგრეთვე, დაენგრიათ წარმართული საკურთხეველები სანაპიროზე, რომელზეც შესაწირ ხორცს ჭამდნენ. ხალხი თვითონ მონაწილეობდა საკურთხეველების დანგრევაში და ყვიროდა: „კასტილია, კასტილია!“ ისინი აცხადებდნენ, რომ თუ კი ღმერთი მათ გაუხანგრძლივებდა სიცოცხლეს, მაშინ ისინი დაწვავდნენ ყველა საკურთხეველს, თუნდაც მბრძანებლის სახლში ყოფილიყო ისინი.

ეს კერპები გაკეთებულია ხისგან — შიგნით ცარიელია, უკან გახსნილი. ხელები გაშლილი აქვთ, ტერფები სხეულს ქვეშ შეკეცილი და განზე გადგმული. ფართო სახით და 4 ძალიან მსხვილი, ტახის ეშვის მსგავსი კბილით. მოხატული არიან თავიდან ფეხებამდე.

ამ კუნძულზე ბევრი სოფელია. აი მათი სახელები და აგრეთვე ამ დასახლებული ადგილების უფროსების სახელები: სინგაპოლა, უფროსები — სილატონი, სიგაბუკანი, სიმანინგა, სიმატიხატი და სიკანბული; მანდაუი, უფროსი — აპანოაანი; ლალანი, უფროსი — ტეტეუ; ლალუტანი, უფროსი — ტაპანი; სიღუმაი, ლუბუკუნი. ყველა ამ სოფელმა მორჩილება გამოგვიცხადა, მოგვცეს სურსათი და გადაგვიხადეს ხარკი.

კუნძულ სუბუს ახლოს მდებარეობს კუნძული მატანა. ღუზა ჩავუშვით მის მახლობლად ნავსადგურში. დასახლებულ ადგილსაც აქ მატანა ჰქვია. მისი უფროსებია სილაპულაპი და ზულა. ამ კუნძულზე მდებარეობდა ქალაქი ბულაია, რომელიც ჩვენ დავწვეთ.

თქვენს ბრწყინვალებას წარმოდგენა რომ ჰქონდეს, თუ როგორ სწირავენ ისხვერპლად აქაურები ღორს, მე ამას აღგიწერთ. წესის შესრულება იწყება დაფდაფების ცემით. შემდეგ მოაქვთ 3 დიდი ლანგარი, ორზე დევს ვარდები, ფოთლებში შეხვეული ღვეზელი ბრინჯით და ფეტვით და შემწვარი თევზი, მესამეზე — კამბაური ქსოვილის ნაჭერი და პალმის ქსოვილისაგან დამზადებული ორი დროშა. მიწაზე დაგებულია კამბაური ქსოვილის ნაჭერი. შემდეგ მოდის ორი მოხუცი ქალი, თითოეულს ხელში უჭირავს ბამბუკისაგან დამზადებული ბუკი. ფეხს შედგამენ თუ არა ქსოვილზე, ისინი თაყვანს სცემენ მზეს. შემდეგ შეიფუთებიან ქსოვილით, რომელიც ლანგარზე დევს. ერთ-ერთი მათგანი თავს იკრავს თავსაფრით ისე, რომ მოუჩანდეს ორი ბოლო როგორც რქები. მეორე თავსაფარს იღებს ხელში, ცეკვავს და ბუკს უკრავს, ხმებს გამოსცემს და მიმართავს მზეს. მეორე ერთი დროშით ხელში ცეკვავს და აყვირებს ბუკს. ასე ცეკვავენ ისინი და ეველრებიან მზეს, წარმოთქვამენ ვედრების მაგვარ რაღაც სიტყვებს მზის მიმართ. ის, რომელიც თავშალმოხვეულია, იღებს მეორე ალამს, თავშალს მიწაზე აგდებს და ორივე აგრძელებს ბუკზე დაკვრას და ცეკვას ფეხებშეკრული ღორის გარშემო. ის, რომელიც რქებით არის, ჩურჩულით მიმართავს მზეს, მეორე პასუხობს მას. რქებიანს აწვდიან ღვინით სავსე სარჩას და ის ცეკვავს, იმეორებს რაღაც სიტყვებს, მეორე კი პასუხობს. აკეთებს ოთხჯერ თუ ხუთჯერ ისეთ მოძრაობას, თითქოს აპირებს ღვინის დალევას, შემდეგ კი ასხამს მას ღორის გულზე. ამის შემდეგ კვლავ იწყებს ცეკვას. ამ დროს მას აწვდიან შუბს. იქნევს მას და იმეორებს რაღაც სიტყვებს, აგრძელებს ცეკვას, აკეთებს ისეთ მოძრაობას, თითქოს აპირებს ღორის გულის განგმირვას შუბით. ამ მოძრაობას 4—5-ჯერ იმეორებს. შემდეგ კი მოულოდნელი და მკვეთრი დარტყმით განგმირავს ღორს. ჭრილობას მაშინვე აფარებენ ბალახს. ის, რომელმაც მოკლა ღორი, იღებს ჩირაღდანს, რომელიც ამ წესის შესრულების დროს ანთია, მიაქვს პირთან და აქრობს. მეორე ჩაუშვებს თავისი ბუკის ბოლოს ღორის სისხლში, შემოიგლის დამსწრეებს და შეეხება სისხლში დასვრილი თითებით, პირველ რიგში თავისი ქმრის შუბს, შემდეგ სხვებსაც: ჩვენთან ის არ მოსულა არცერთხელ. შემდეგ ისინი იხდიან, ჰამენ საკვებს, რომელიც ლანგარზეა დადებული. ტრაპეზზე იწვევენ მხოლოდ ქალებს. ღორს წვავენ ცეცხლზე. ღორის ხორცსაც. მოხუცი ქალები აკურთხებენ, მას მხოლოდ ასეთი წესით დაკვლის შემდეგ ჭამენ, როდესაც რომელიმე ჩვენთაგანი გადადიოდა ნაპირზე, იქნებოდა ეს დღე თუ ღამე, ადგილობრივი ხალხი სახლში გვეპატიჟებოდა საჭმელად და დასალევად. ხორცს ისინი ბოლომდე არ ხარშავენ და ძალიან ამარილებენ. სვამენ ბევრს და ხშირად ლერწმის ღეროებით, რომელიც დოქშია ჩადებული, თითოეულ ტრაპეზს ანდომებენ 5—6 საათს.

თუ კვდება მათი რომელიმე ხელმძღვანელი, ისინი ასეთ რიტუალს ატარებენ. გარდაცვლილის სახლისაკენ მიემართება ამ მხარის ყველა დიდგვაროვანი ქალი. მიცვალებულს ასვენებენ სახლის შუაში ყუთში. ყუთის გარშემო ღობესავით გაჭიმულია თოკები. თოკებზე მიმაგრებულია ტოტები. თითოეულ ტოტზე კიდია ბამბის ქსოვილის პატარა ნაჭერი, რომლებიც ქმნიან ფარდებით შეკრულ ბალდახინს. ამ ფარდების ქვეშ სხდებიან თეთრი ბამბის ქსოვილისაგან შეკერილ ტანსაცმელში გამოწყობილი დიდგვაროვანი ქალები. თითოეულ მათგანთან დგას გოგონა, პალმის ფოთლის მარაოთი. სხვა ქალები მოწყენილები სხედან ოთახის გარშემო. ერთ-ერთი ქალი ნელ-ნელა იწყებს დანით მიცვალებულის თმის მოჭრას. მეორე, მისი უფროსი ცოლი, მიცვალებულზე ზემოდან წვება, ეხუტება, ეხება პირზე პირით, ხელებზე — ხელებით და ფეხებზე —

ფეხებით. როცა პირველი ჭრის თმას, მეორე ტირის, როდესაც პირველი ამთავრებს, მეორე იწყებს სიმღერას. ოთახში უამრავი ფაიფურის ჭურჭელია, რომელშიც ცეცხლი ანთია. მასში ყრიან მირონს, საკმეველს, მთგან ოთახში ძლიერი სურნელება ვრცელდება. ეს ცერემონია გრძელდება 5—6 დღეს. ამ ხნის განმავლობაში გვამი სახლში რჩება. როგორც ჩანს, გვამი ქაფურით არის დაბალზამებული. მიცვალებულს კრძალავენ იმ უუთით, რომელიც იყო ჩასვენებული. უუთს ჭედავენ ხის ლურსმნებით და ხურავენ ძელით.

ყოველდღე, შუაღამისას, ქალაქის თავზე ყვავისხელა. შავი ჩიტი იწყებს ჩხავილს. როგორც კი სახლებს მიუახლოვდება, ამ დროს ძაღლები იწყებენ ყეფას და ეს ჩხავილი და ყეფა არ წყდება 4—5 საათის განმავლობაში. ადგილობრივი მკვიდრნი ვერ გვიხსნიდნენ ამის მიზეზს.

პარასკევს, 26 აპრილს, კუნძულ მეტანის უფროსმა, ზულამ, გამოგზავნა კაპიტან-გენერალთან ერთ-ერთი თავისი შვილი თხებით. მან გვაცნობა, რომ შეეძლო გამოეგზავნა ყველაფერი, რასაც შეჰპირდა, მაგრამ ვერ გააკეთა, რადგან მეორე ხელმძღვანელმა, სილაპულაპუმ უარი თქვა დამორჩილებოდა ესპანეთის მეფეს. იგი სთხოვდა კაპიტანს, მოემზადებინა ერთი კანჯო ხალხით და იმავე ღამეს გაეგზავნა ურჩ ხელმძღვანელთან შესაბრძოლებლად. კაპიტან-გენერალმა გადაწყვიტა თვითონ გამგზავრებულიყო სამი კანჯოთი. ჩვენ ვარწმუნებდით მას, არ წასულიყო, მაგრამ იგი, როგორც კეთილი მწყემსი, უარს ამბობდა. შუაღამისას 60 კაცი ფარებითა და ჩაფხუტებით, ქრისტიან მბრძანებელთან, მის მემკვიდრესთან და რამდენიმე დიდებულ ადგილობრივ მცხოვრებთან ერთად დაადგნენ გზას 20 თუ 30 „ბალანგით". მატანას გათენებამდე სამი საათით ადრე მივაღწიეთ. კაპიტანს არ სურდა ბრძოლის დაწყება ღამით. ამიტომ ადგილობრივ მცხოვრებლებთან ელჩად მავრი გაგზავნა. დაავალა, გადაეცა მათთვის, რომ თუკი ისინი დაემორჩილებოდნენ ესპანეთის მეფეს, აღიარებდნენ ქრისტიან მეუფეს, როგორც თავის სუვერენს და გადაიხდიდნენ ხარკს, მაშინ კაპიტანი მათი მეგობარი გახდებოდა. თუკი საწინააღმდეგოდ მოიქცეოდნენ, მაშინ ნახავდნენ როგორ ჭრილობას აყენებენ ჩვენი შუბები. მათ უპასუხეს, რომ მათაც აქვთ შუბები, მართალია, ბამბუკის, აგრეთვე ცეცხლში ნაწრთობი ისრები. ადგილობრივები გვთხოვდნენ, გათენებამდე არ დაგვეწყო შეტევა, რათა მოეგროვებინათ უფრო მეტი ხალხი. ეს თხოვნა აიხსნებოდა სურვილით, შევეგულიანებინეთ, რათა მათ საძებნელად წავსულიყავით. მათ სახლებს შორის ამოთხარეს ორმოები, რომლებშიც უნდა ჩავცვენილიყავით. როგორც კი გათენდა, 49 ჩვენი კაცი გადაეშვა წყალში, რომელიც თეძომდე სწვდებოდათ. წყალქვეშა კლდეების გამო, ნავები ნაპირს ვერ უახლოვდებოდნენ. როდესაც მივადექით ნაპირს, 1500 ადგილობრივი მკვიდრი ჩამწკრივდა სამ რიგად. დაგვინახეს თუ არა, გამოექანენ ჩვენსკენ ყვირილით, მათი ორი რაზმი თავს დაესხა ჩვენს ფლანგებს. ერთმა კი ფრონტიდან შემოგვიტია. კაპიტანმა დაგვაწყო ორ რაზმად. მუშკეტერები და მშვილდოსნები ნახევარი საათი ისროდნენ შორიდან. თუმცა კი უშედეგოდ, რადგან ტყვიები და ისრები მხოლოდ მოწინააღმდეგის ფარებს ხვრეტდნენ. ეს ფარები თხელი ფიცრებისაგან იყო დამზადებული. კაპიტანი ყვიროდა: „შეწყვიტეთ სროლა, შეწყვიტეთ სროლა!" მაგრამ არავინ არ აქცევდა ყურადღებას მის ყვირილს. როდესაც ადგილობრივი ხალხი დარწმუნდა, რომ ჩვენ მიერ ნასროლი ტყვიები ვერ აღწევდა მიზანს, მათ დაიწყეს ყვირილი, რომ მედგრად დაუდგებოდნენ მტერს. ჩვენი სროლის დროს მოწინააღმდეგე ერთ ადგილას არ რჩებოდა. ისინი აქეთ-იქით დარბოდნენ, იფარებდნენ ფარებს.

დაგვაყარეს დიდი რაოდენობით ისრები, კაპიტნის მხარეს ისროდნენ შუბებს (ზოგ შუბს რკინის ბოლო ჰქონდა), ქვებს და მიწას. ჩვენ ძლივს ვიცავდით თავს. კაპიტანმა ბრძანა, დაეწვათ მათი სახლები. ამით სურდა მათი შეშინება. ალმოდებული სახლების დანახვამ ისინი კიდევ უფრო გაამძვინვარა. ორი ჩვენიანი მოკლეს სახლებთან. დავწვით 20—30 სახლამდე. ამ დროს თავს დაგვეხა ადგილობრივ მცხოვრებთა დიდი რაოდენობა. მათ მოახერხეს მოწამლული ისრით კაპიტნის ფეხში დაჭრა. ამიტომ კაპიტანმა ბრძანება გასცა, ნელ-ნელა დაგვეხია უკან. გარდა 6 თუ 8 კაცისა, რომლებიც კაპიტნის გვერდით რჩებოდნენ. დანარჩენები სირბილით იხევდნენ უკან. მოწინააღმდეგე მხოლოდ ფეხებში გვესროდა, რადგან ჩვენ ფეხშიშველი ვიყავით. იმდენად დიდი იყო ნატყორცნი ისრებისა და ქვების რიცხვი, რომ ვერ ვეწინააღმდეგებოდით მათ. ქვეშეხები, რომლებიც ხომალდებზე იყო განლაგებული, ვერ გვშველოდა, რადგან ნაპირიდან მოცილებულები იყვნენ. ვაგრძელებდით უკან დახევას. მუხლამდე წყალში მდგარი ვიბრძოდით. იქაურები აგრძელებდნენ ჩვენ დევნას. იღებდნენ რა მიწიდან 4—6-ჯერ ერთსა და იმავე შუბს, კიდევ და კიდევ გვტყორცნიდნენ. მათ იცნეს კაპიტანი და მიესივნენ. ორჯერ მოგლიჯეს ზუჩი, მაგრამ იგი აგრძელებდა მედგარ ბრძოლას, როგორც შეეფერებოდა მამაც რაინდს. ასე ვიბრძოდით საათზე მეტხანს. უარს ვამბობდით უკან დახევაზე. ერთმა ინდიელმა ბამბუკის შუბი პირდაპირ სახეში სტყორცნა კაპიტანს, მაგრამ უკანასკნელმა იგი მაშინვე მოკლა საკუთარი შუბით. შემდეგ სცადა ხმლის ამოღება. მაგრამ მხოლოდ ნახევრად შეძლო მისი გაშიშვლება, რადგან ბამბუკის შუბით ხელში დაჭრეს. ამის დანახვის შემდეგ კაპიტანს სხვებიც დაესხნენ თავს. ერთ-ერთმა მათგანმა იგი მარცხენა ფეხში დაჭრა ხანჯლით, რომელიც თურქულ მახვილს ჰგავდა — ოღონდ უფრო ფართო იყო. კაპიტანი პირქვე დაეცა. მას მაშინვე რკინისა და ბამბუკის შუბები მიაყარეს, აყენებდნენ დარტყმებს ხანჯლებით. სანამ არ მოკლეს ჩვენი სინათლე, ჩვენი ნამდვილი ბელადი. იგი სულ უკან იყურებოდა, რათა დარწმუნებულიყო, მოვასწარით თუ არა ჩვენ ნავში ჩასხდომა. როცა დავრწმუნდით, რომ იგი დაიღუპა, მაშინვე გავუდექით გზას. ქრისტიან ბრძანებელს სურდა დაგვხმარებოდა, მაგრამ სანამ ჩვენ ხმელეთზე გადავიდოდით, კაპიტანმა აუკრძალა მას „ბალანგის“ დატოვება. უბრძანა, დარჩენილიყო მასზე და იქიდან თვალყური იდევნებინა, თუ როგორ ვიბრძოლებდით, როდესაც მან კაპიტნის სიკვდილი შეიტყო, ცრემლები გადმოყარა. რომ არა უბედური კაპიტნის გმირობა, ვერცერთი ჩვენგანი ვერ გადავრჩებოდით. სანამ ის იბრძოდა, ჩვენ მოვახერხეთ ნავებზე ასვლა და გაქცევა. თქვენო ბრწყინვალებავ, იმედი მაქვს, რომ ამ კეთილშობილი კაპიტნის დიდება არ წაიშლება ჩვენი გონებიდან. იგი დიდი სიმტკიცით გამოირჩეოდა უდიდესი ცდუნების მიმართ. ამ თვისებას არასოდეს არავინ არ ფლობდა. ის იტანდა შიმშილს სხვებზე უკეთ. იცოდა სანავიგაციო რუკების გარჩევა და რომ ეს ნამდვილად ასე იყო, დაამტკიცა თავისი მოგზაურობით.

ეს ბრძოლა შაბათს, 1521 წლის 27 აპრილს მოხდა. კაპიტანს არ სურდა ბრძოლა ხუთშაბათს, რადგან ეს დღე იყო მისთვის განსაკუთრებით თაყვანსაცემი. ამ ბრძოლაში მასთან ერთად მოკლეს რვა ჩვენიანი და 4 გაქრისტიანებული ინდიელი, რომლებიც მოგვეშველნენ, მაგრამ დაიღუპნენ ჩვენი ნავებიდან გახროლილი იარაღით. მოწინააღმდეგემ 15 კაცი დაკარგა. ჩვენ კი ბევრი დაჭრილი გვყავდა.

შედამებამდე ქრისტიან-ხელისუფალმა, ჩვენთან შეთანხმების შემდეგ, გაგ-

ზავნა კაცი მატანას მოსახლეობასთან თხოვნით, გადმოეცათ ჩვენთვის კაპიტნისა და სხვა მოკლულების გვამები. სანაცვლოდ პირდებოდა მათ იმდენ საქონელს, რამდენსაც მოისურვებდნენ. მათ გვიპასუხეს, რომ არ მოგვცემენ კაპიტნის გვამს მსოფლიოს მთელი განძეულის საფასურადაც, რადგან აპირებენ მის შენახვას თავიანთი დიდი გამარჯვების სამახსოვროდ.

შაბათს, კაპიტნის მოკვლის დღეს, ოთხმა ჩვენთაგანმა, რომლებიც ქალაქში დარჩნენ სავაჭროდ, ჩვენი საქონელი გემებზე გადაიტანეს. ავირჩიეთ ორი მეთაური, კერძოდ პორტუგალიელი დუარტე ბარბოზა და ესპანელი ჟუან სერანი. ჩვენმა თარჯიმანმა ჰენრიხმა მიიღო მსუბუქი ჭრილობა, ამიტომ აღარ გადადიოდა ნაპირზე და აღარ გვეხმარებოდა საქმეებში. იწვა საწოლში, ამის გამო დუარტე ბარბოზამ, ფლაგმანის გემის მეთაურმა, უსაყვედურა მას. უთხრა, მართალია, მისი ბატონი — კაპიტანი გარდაიცვალა, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ თვითონ განთავისუფლებულია; და რომ პირიქით, იგი [ბარბოზა] იზრუნებდა იმაზე, რომ ესპანეთში დაბრუნებისთანავე დონა პეატრიცეს — კაპიტან-გენერლის მეუღლის — მონა გამხდარიყო. იგი ემუქრებოდა, თუკი ის არ გადავიდოდა ნაპირზე და არ განაგრძობდა თავისი მოვალეობის შესრულებას, მას გაროზგავდნენ. თარჯიმანი ამის შემდეგ ისე მოიქცა, თითქოს უურადღება არ მიაქცია ამ მუქარას. შემდეგ კი გადავიდა ნაპირზე და აქ აცნობა ქრისტიან მბრძანებელს, რომ ჩვენ ვაპირებდით მალე უკან დაბრუნებას ესპანეთში. და თუკი მბრძანებელი მის რჩევას მიიღებდა, იგი ხელში ჩაიგდებდა გემს და მთელ ჩვენს საქონელს. მათ ღალატი ერთად ჩაიფიქრეს. ბორტზე დაბრუნების შემდეგ მონა უწინდელთან შედარებით უფრო მორჩილად და მარჯვედ იქცეოდა.

ორშაბათს, 1 მაისს, დილით, გაქრისტიანებულმა მბრძანებელმა აცნობა მეთაურებს, რომ მის მიერ შეპირებული ძვირფასეულობა, განკუთვნილი ესპანეთის მეფისათვის, მზად არის. იგი იწვევდა მათ დილით საუზმეზე მეგობრებთან ერთად. აქ გადასცემდნენ ესპანელებს ძვირფასეულობას. ნაპირზე 24 კაცი გადავიდა, მათ შორის ჩვენი ვარსკვლავთმრიცხველი სან-მარტინ დე სევილია. მე არ მქონდა მათთან ერთად წასვლის საშუალება, რადგან სახე შეშუპებული მქონდა მოწამლული ისრით მიყენებული ჭრილობისაგან. ჟუან კავაჯო და ალგუასილი დაბრუნდნენ და მიამბეს, რომ ნახეს კაცი, რომელიც განიკურნა საოცრებით. მან მოიყვანა სახლში მღვდელი, ამას მათ ეკვით შეხედეს და დატოვეს ეს ადგილი. ძლივს მოასწრეს ამის თქმა, რომ ნაპირიდან გავიგონეთ ყვირილი და ღრიალი. სასწრაფოდ ამოვიღეთ ლუზა. ქვემეხებიდან ვესროლეთ სახლებს ნაპირზე და სროლით მივუახლოვდით მას. დავინახეთ ჟუან სერანი პერანგის ამარა, დაჭრილი გვიყვიროდა, გვთხოვდა აღარ გვესროლა, რადგან იქაურები ამისთვის მას მოკლავდეს. ჩვენ ვკითხეთ სხვების ბედის შესახებ, მათ შორის თარჯიმანზეც, ხომ არ დახოცეს ისინი? მან გვიპასუხა, რომ ყველა მოკლული იყო თარჯიმნის გარდა. იგი დაჟინებით ითხოვდა, გამოგვესყიდა რაიმე საქონლით, მაგრამ კავაჯომ, მისმა კეთილისმყოფელმა მეგობარმა, აგვიკრძალა ნავებით ნაპირთან მიახლოება, ასე იმიტომ მოიქცა, რომ მარტო დარჩენილიყო გემზე ბატონად. მიუხედავად იმისა, რომ ჟუან სერანი ტიროდა, ევედრებოდა, არ აღემართათ ასე სწრაფად იალქნები და არ მიეტოვებინათ ის მარტო სასიკვდილოდ, ახსენებდა ღმერთს, ამბობდა, რომ მის მაგივრად ღმერთი მოსთხოვდა პასუხს, მაშინვე დავტოვეთ იქაურობა — მე არ ვიცი, ის მოკლეს, თუ გადარჩა.

ამ კუნძულზე გვხვდებოდა ძაღლები, კატები; იზრდებოდა ბრინჯი, ფეტვი,

ჩიტის ფეტვი, სორგო, კოპა (ჯანჯაფილი), ბანანები, ფორთოხალი, ლიმონი, შაქრის ლერწამი, ნიორი, არის თაფლი, ქოქოსის კაკალი, „ნანგკა“, გოგრა, ბვხვდება სხვადასხვა სახის ხორცეული, პალმის ღვინო, ოქრო. ეს დიდი კუნძულია, დიდი პორტით, რომელსაც ორი შესასვლელი აქვს — ერთი დასავლეთით და მეორე აღმოსავლეთსა და ჩრდ.-აღმ. შორის. იგი მდებარეობს განედის 10 გრადუსზე ჩრდ. პოლუსის მიმართულებით და 164°-ე სადემარკაციო ხაზის გრძედზე. მას ეწოდება სუბუ. მონაცემები მოლუკეზე ჩვენ ჯერ კიდევ კაპიტან-გენერლის სიკედილამდე გვქონდა. ადგილობრივი მცხოვრებნი უკრავენ ლითონის სიმებიან ვიოლინოზე.

ამ არქიპელაგის შუაში, სუბუდან 18 ლიგით დაშორებულია კუნძული ბოხოლო. ჩვენ დავწვინთ გემი „კონსეფსიონი“, რადგან ცოტანი დავრჩით და ვერ ვმართავდით მას. ამ გემზე არსებული მარაგის საუკეთესო ნაწილი ორ სხვა გემზე გადავიტანეთ. ამის შემდეგ ავიღეთ კურსი სამხრეთ-დასავლეთისაკენ და გავუარეთ კუნძულ პანილონგის ნაპირებს, სადაც ეთიოპელებს მსგავსი შავკახიანი ხალხი ბინადრობს.

შემდეგ მივუახლოვდით დიდ კუნძულს (მინდანაოს), რომლის ხელისუფალმაც ჩვენთან მეგობრობის ნიშნად, მარჯვენა ხელიდან სისხლი გამოიდინა და წაისვა იგი სხეულზე, სახესა და ენის წვერზეც. იგივე გავაკეთეთ ჩვენც. მე მარტო გადავედი ნაპირზე, რათა მბრძანებელთან ერთად დამეთვალიერებინა ეს კუნძული. მდინარეში როგორც კი შევცურეთ, მბრძანებელს ბევრმა მეთევზემ შესთავაზა თევზი. მაშინ მბრძანებელმა მოიხსნა სასირცხო ადგილიდან საფარი, იგივე გააკეთეს მისმა დიდებულებმა და სიმღერით დაიწყეს ნიჩბების მოსმა. ასე ჩავუარეთ მდინარის პირას გაშენებულ სახლებს. ღამის ორ საათზე ძივაღწიეთ მბრძანებლის საცხოვრებელს. მდინარის შესართავი — ჩვენი გემების სადგომი 2 ლიგით იყო დაშორებული. როდესაც შევედით მბრძანებლის სახლში, შეგვეგებნენ პალმისა და ჩალის ჩირაღდნებით. ვახშამდე მბრძანებელმა ორ თავის დიდებულთან და ორ ლამაზ მეუღლესთან ერთად დაცალა ღვინის დიდი ჭურჭელი ისე, რომ არაფერი არ მიაყოლა. მე უარი ვთქვი ღვინის დალევაზე იმ მიზეზით, რომ უკვე ვივახშმე და დღეში მხოლოდ ერთხელ ვსვამ. სმის დროს იცავდნენ იმავე წესებს, რასაც მასავის მბრძანებელი. მოიტანეს ვახშამი, რაც შედგებოდა ბრინჯისა და დაშარილებული თევზისაგან. ეს ყველაფერი ფაიფურის თეფშებით მოგვართვეს. ისინი ბრინჯს ისე ჭამდნენ, როგორც ჭურს. მას ასე აცხობენ: პირველ რიგში თიხის ქოთანში დებენ დიდ ფოთოლს ისე, რომ დაფაროს ჭურჭლის შიდა ზედაპირი. შემდეგ შიგ ყრიან ბრინჯს და ასხამენ წყალს, თავზე დაახურავენ ჭურჭელს და ადუღებენ მანამ, სანამ ბრინჯი პურივით არ გამაგრდება. შემდეგ ჭურჭლიდან ამოიღებენ ნაჭრებად. ამ მხარეში ყველგან ასე ხარშავენ ბრინჯს.

ვახშმის შემდეგ მბრძანებელმა ბრძანა, მოეტანათ ჩალისა და პალმის ფოთლებისაგან დამზადებული ფარდაგი, აგრეთვე ფოთლების ბალიში, რათა მასზე დამეძინა. მბრძანებელი ორ ცოლთან ერთად დასაძინებლად გაემართა განსაკუთრებულ ოთახში. მე კი დავწექი მის ერთ-ერთ დიდებულთან ერთად.

მეორე დილით საუზმემდე გავემართე კუნძულზე სახეტიალოდ. სახლებში ოქროს ბევრი ნივთი ვნახე, საკვები კი ცოტა. ვისაუზმეთ ბრინჯით და თევზით. შემდეგ მბრძანებელს ხელით ვანიშნე, შემეძლო თუ არა მისი მეუღლის ნახვა. იგი სიამოვნებით დამეთანხმა და გავემართეთ მაღალი ბორცვისაკენ, რომლის ძწვერვალზეც მდებარეობდა მისი სახლი. შესვლისას მივესალმე, მან სალმითვე

მიპასუხა, შემდეგ მის გვერდით დავჯექი. იგი დაკავებული იყო პალმის ფოთლებისაგან საწოლის ფარდაგის ქსოვით. სახლში დიდი რაოდენობით ეკიდა ფაიფურის ჭურჭელი და ლიმონის 4 დაფდაფი. ერთი უფრო დიდი, მეორე კი მომცრო ზომის. სხვები კიდევ უფრო პატარები. მბრძანებლის ცოლი უკრავდა მათზე. მას ბევრი ქალი და მამაკაცი ემსახურებოდა. ეს სახლი ისევე იყო აგებული, როგორც მე აღვნიშნე.

მასთან გამომშვიდობების შემდეგ დავბრუნდით მბრძანებლის სახლში. აქ იგი მაშინვე გაგვიმასპინძლდა შაქრის ლერწმის სასმელებით.

ამ კუნძულზე ყველაზე მეტი ოქრო მოიპოვება. იქაურები მიმანიშნებდნენ ფართო ველებზე და მიხსნიდნენ, რომ იქ იმდენი ოქროა, რამდენი თმაც აქვთ თავზე. აქვთ ოქრო, მაგრამ არა აქვთ რკინა, რომ გათხარონ ეს ოქრო, და ეს მათ საკლებად აინტერესებთ. კუნძულის ეს ნაწილი ეკუთვნის იმავე ქვეყანას, რომელსაც ეკუთვნის ბეტანი და კალაგანი. იგი მდებარეობს ბოხოლოს მიმართულებით — მასაკასთან. მასზე საუბარს აღარ გავაგრძელებ, რადგან ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით ამ კუნძულს.

ნახევარი დღე გავიდა და გადავწყვიტე გემზე დაბრუნება. მბრძანებელმა და სხვა უფროსებმაც მოინდომეს ჩემი გაცილება. დავბრუნდით იმავე „ბალანგით". დაბრუნებისას მდინარის მარჯვენა ნაპირზე, ბორცვზე შევნიშნე ხეზე ჩამოკიდებული სამი კაცი. ხის ტოტები გაკაფული იყო. მბრძანებელს ეკითხე, თუ რას ნიშნავდა ეს. მან მიპასუხა, რომ ისინი ბოროტგანმზრახველები და ქურდები იყვნენ.

აქ ხალხი შიშველი დადის, როგორც ზემოთ აღწერილ ადგილებში. მბრძანებლის სახელია რაჯა კალანაო.

აქ შესანიშნავი ნავსადგურია. შეიძლება იშოვო ბრინჯი, ჯანჯაფილი (ცოცქა), ღორები, თხები, ქათმები და ბევრი სხვა. ნავსადგური მდებარეობს ჩრდ. პოლუსის მიმართულებით, განედის 8°-ზე და სადემარკაციო ხაზიდან გრძედის 167°. იგი სუბუდან 50 ლიგით არის დაშორებული და კიპიტი ეწოდება. ორი დღის სავალზე ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს დიდი კუნძული ლოსონი. აქ ყოველწლიურად მოდის ექვსი თუ რვა ჯონკა, რომელიც ლეკის მკვიდრთ ეკუთვნით.

იქიდან კურსი ავიღეთ სამხრეთ-დასავლეთისაკენ და ღუზა ჩავუშვით პატარა, თითქმის დაუსახლებელი კუნძულის მახლობლად. ამ კუნძულზე სახლობენ მავრები, ისინი აქ გამოდევნილები არიან კუნძულ ბურნეიდან. შიშვლები დადიან, ისე როგორც ყველა სხვანი. შეიარაღებული არიან მშვილდისრებით, ბლომად აქვთ შხამიანი ისრები, ხმლები, რომლის ტარებს ოქროთი და ძვირფასი თვლებით რთავენ, აგრეთვე აქვთ შუბები, ჯავშანი და კამეჩის რქისაგან დამზადებული მცირე ზომის ფარები. ისინი წმინდა არსებებს გვიწოდებდნენ. ამ კუნძულზე საკვები ცოტაა, სამაგიეროდ დიდი ხეებია. იგი მდებარეობს ჩრდ. პოლუსის მიმართულებით. $7^1/_2$°-ზე და კაპიტიდან 43 ლიგით არის დაშორებული. ამ კუნძულს კაგაიანი ჰქვია.

კუნძულიდან ჩრდილო-დასავლეთით 25 ლიგის დაშორებით ჩვენ აღმოვაჩინეთ დიდი კუნძული, სადაც მოიპოვება ბრინჯი, ჯანჯაფილი და გვხვდება ღორები, თხები, ქათმები; ფინიკი, ხელის მტევნის სიგრძის ბანანები, ხოლო სისქით ზოგი მტკაველისხელაა და ძალიან გემრიელი, ქოქოსის კაკალი, შაქრის ლერწამი, ძირხვენა, რომელიც გემოთი თალგამის მსგავსია. აქ ბრინჯს

ხარშავენ ბამბუკის ან ხის ჭურჭელში ცეცხლზე. ასე ოგი უკეთ ინახება, ვიდრე თიხის ქვაბში მოხარშული. ამ ქვეყანას აღთქმული მიწა ვუწოდეთ, რადგან მის აღმოჩენამდე ვშიმშილობდით, ხშირად მზად ვიყავით მიგვეტოვებინა გემები და გადავსულიყავით ნაპირზე, რათა შიმშილით არ დაეხოცილიყავით.

მბრძანებელმა ჩვენთან მეგობრული ურთიერთობა დაამყარა. მშვიდობის ნიშნად მან მკერდზე ჩვენი დანით გაიკეთა პატარა ჭრილობა, სისხლით დაისველა ენის წვერი და შუბლ, ჩვენც ასე მოვიქეცით. ეს კუნძული მდებარეობს განედის 9¹/₃°— ჩრდ. პოლუსის მიმართულებით და გრძედის 171¹/₃°-ზე სადემარკაციო ხაზიდან. მას ეწოდება პულაოანი.

პულაოანის მცხოვრებლები შიშვლები დადიან სხვების მსგავსად. დაკაევებულნი არიან მიწათმოქმედებით. აქვთ მშვილდები მსხვილი ხის ისრებით, რომლებიც ბოლოში წამახვილებულია თევზის ძვლით და ორი მტკაველი სიგრძისაა, ბოლოები მოწამლულია ბალახის წვენით. სხვები შეიარაღებულები არიან ბამბუკის მახვილებით, ისინიც მოწამლულია. ისრების ბოლოს ბუმბულის ნაცვლად მიმაგრებული აქვთ რკინის ნაკერი რომელიც ხელშუბს წაგავს; როდესაც მათ ისრები გამოელევათ, იბრძვიან მშვილდის საშუალებით. მათთან დიდად ფასობს სპილენძის ბეჭედები, ჯაჭვები, ზარები, დანები, მაგრამ ყველაზე მეტად აფასებენ სპილენძის მავთულს, რომლითაც ანკესის კაუჭებს კრავენ.

მათ დიდი ზომის მამლები ჰყავთ, რომელთაც საკვებად არ იყენებენ, რადგან ეთაყვანებიან; ზოგჯერ აიძულებენ მამლებს ერთმანეთს შეებრძოლონ. ამასთან, დებენ გარკვეულ თანხას. მოგებას ღებს გამარჯვებული მამლის პატრონი. ისინი ბრინჯისაგან ხდიან ღვინოს, რომელიც უფრო მაგარი და გემრიელია, ვიდრე პალმისა.

ამ კუნძულიდან სამხრეთ-დასავლეთით 10 ლიგის დაშორებით მივადექით კუნძულს, რომელიც, რაც უფრო ვუახლოვდებოდით, თითქოს სულ უფრო ზევით იწევდა. ნავსადგურში შესვლის შემდეგ უკუნვთ სიბნელეში აინთო წმ. ელმას ჩირაღდნები. მანძილი ნავსადგურიდან ამ კუნძულის ბოლომდე 50 ლიგაა. მეორე დღეს, 9 ივლისს, ამ კუნძულის მბრძანებელმა გამოგზავნა ძალიან ლამაზი პიროგი (ნავი), რომლის ცხვირი და კიჩო მორთული იყო ოქროთი. კიჩოზე აღმართული იყო თეთრ-ცისფერი დროშა ფარშავანგის ბუმბულით მორთული. პიროგზე ზოგი უკრავდა მუსიკალურ ინსტრუმენტზე და ზოგიც დოლებზე. პიროგს ახლდა ორი „ალმადა". პიროგს აქვს ფუსტის (გალერის) სახე, ხოლო „ალმადა" კი წარმოადგენს მეთევზეთა პატარა ნავს. ხომალდზე ამოვიდა რვა უხუცესი ბელადი. ისინი ხალიჩებზე დასხდნენ. საჩუქრად მოგვართვეს ხის მოხატული დოქი, ავსებული ბეტელით (ნაყოფი, რომელსაც ისინი მუდამ ღეჭავენ), ჟასმინისა და ფორთოხლის ყვავილებით და არაკით, აბრეშუმის ყვითელი გადასაფარებლით, ორი გალია ფრინველებით, ორი თხა, ბრინჯის არყიანი სამი დოქი და რამდენიმე შეკვრა შაქრის ლერწამი. ასეთივე ძღვენი დატოვეს მეორე ხომალდზე. გამოთხოვებისას მოგვეხვივნენ და დაგვცილდნენ. ბრინჯის არაყი გამჭვირვალეა, როგორც წყალი, მაგრამ ისეთი მაგარია, რომ ბევრი ჩვეხთაგანი დათვრა. ამ სასმელს არაკს უწოდებენ.

6 დღის შემდეგ, მბრძანებელმა კვლავ გამოგზავნა მდიდრულად მორთული სამი პიროგი (ნავი). ისინი მუსიკის თანხლებით, დაფდაფებისა და დოლების ცემით გარშემოერტყნენ ჩვენს ხომალდებს, გვესალმებოდნენ ჭილოფის თავისებური ქუდებით, რომელიც მხოლოდ კინკრიხოს ფარავდა. მათ ძღვნად მოგვართვეს მრავალფეროვანი საკვები, დამზადებული მხოლოდ ბრინჯით. ზოგი თავი

კერძი გახვეული იყო ფოთლებში, ზოგი შაქრის თავს ჰგავდა, სხვებს კვერცხი-ანი და თაფლიანი ღვეზელის ფორმა ჰქონდა.

მათ გვაცნობეს, რომ მბრძანებელი უფლებას გვაძლევდა, მოგვეპოვებინა აქ სურსათი და მოგვემარაგებინა წყალი, გვეწარმოებინა ვაჭრობა. ამის გაგე-ბისთანავე 7 ჩვენიანი ჩაჯდა პიროგში და თან წაიღეს საჩუქრები მბრძანებ-ლისათვის: თურქულ ყაიდაზე შეკერილი ყვითელი ხავერდის ხალათი, იისფერ ხავერდგაჟღაკრული სავარძელი, 5 არშინი წითელი მაუდი, თავსამკაული, მოოქ-როვილი ჭიქები სასმელისათვის, თავსახურავიანი შუშის ჭურჭელი, 3 ცალი საწერი რვეული და მოოქროვილი საწერი მოწყობილობა. მბრძანებლის ცოლი-სათვის წავიღეთ სამი არშინი ყვითელი მაუდი, წყვილი მოვერცხლილი ფეხ-საცმელი, ვერცხლის სანემსე ნემსებით სავსე; თან წავიღეთ სამი არშინი წითე-ლი მაუდი, თავსამკაული და მოოქროვილი ფინჯანი ხელისუფალისათვის. მაცნეს, რომელიც ამოვიდა ჩვენთან პიროგზე, ვიჩუქეთ თურქულ ყაიდაზე შე-კერილი აბრეშუმის კაბა მწვანე-წითლებით გაწყობილი. აგრეთვე თავსაბურა-ვი და საწერი ქაღალდები. საჩუქრები მივართვით შვიდივე უხუცესს. ერთს მა-უდის ნაჭერი, მეორეს თავსაბურავი, თითოეულ მათგანს საწერი რვეული; ამის შემდეგ გავემართეთ კუნძულზე.

როდესაც ჩავედით ქალაქში, ჩვენ დავრჩით პიროგზე, სანამ არ გამოჩნდა ორი სპილო, აბრეშუმის გადასაფარებლით მორთული და 12 კაცი. ამ კაცებს, თითოეულს ეჭირა ფაიფურის ქილა, ზემოდან აბრეშუმის ნაჭრით გადაფარებუ-ლი. ამ ჭურჭლით უნდა წაეღოთ ჩვენი საჩუქრები. შევსხედით სპილოზე. წინ მიგვიძღოდა ეს 12 კაცი, საჩუქრებიანი ჭურჭლებით. ასე მივაღწიეთ მმართ-ველის სახლს. აქ გვავაზშმეს მრავალფეროვანი კერძით. ღამე გვეძინა ბამბის ლეიბებზე, ზეწრები კამბაიის ტილოსი იყო. მეორე დღის ნახევარი მმართველის სახლში გავატარეთ. ამის შემდეგ სპილოებით გავემართეთ მბრძანებლის სასახ-ლისაკენ. წინა დღის მსგავსად, წინ მიგვიძღოდა ხალხი საჩუქრებით ხელში. ქუჩები, მმართველის სახლიდან მბრძანებლის სასახლემდე, სავსე იყო ხმლე-ბით, შუბებითა და ფარებით შეიარაღებული ხალხით, რადგან ასეთი იყო მბრძა-ნებლის მოთხოვნა. სასახლის ეზოში სპილოებით შევედით. სასახლის კიბეზე ავედით მმართველისა და სხვა უხუცესების თანხლებით. შევედით დიდ დარ-ბაზში, რომელიც სავსე იყო დიდებულებით. დავსხედით ხალიჩაზე, საჩუქრებით სავსე ჭურჭლები კი ახლოს დაგვიდგეს.

ამ დარბაზის ბოლოს იწყება მეორე, მომცრო დარბაზი, მაგრამ უფრო მა-ღალი. ეს დარბაზი მოფარდაგებული იყო აბრეშუმით. ორ სარკმელზე, საიდა-ნაც შუქი შემოდიოდა დარბაზში, ჩამოფარებული იყო მოქარგული ფარდები. იქ იდგა 300 მცველი თეძოზე ჩამოკიდებული გაშიშვლებული ხანჯლებით. მცი-რე დარბაზის ბოლოს იყო დიდი ფანჯარა, მასზე ეკიდა მოხატული ფარდა. ეს ფარდა გადაწეული იყო, რათა საშუალება გვქონოდა გვეხილა მბრძანებელი, რომელიც იჯდა მაგიდასთან ერთ-ერთ ვაჟიშვილთან ერთად. ის ღეპავდა ბეტელს. მის უკან მხოლოდ ქალები იდგნენ.

ერთ-ერთმა უხუცესმა გაგვაფრთხილა, რომ არ შეგვეძლო პირდაპირ დავ-ლაპარაკებოდით მბრძანებელს. თუკი რამის თქმა გვინდოდა, მისთვის უნდა გვეთქვა. ის კი თავის მხრივ გადასცემს ამ ნათქვამს უფრო მაღალი წოდების ქალს. უკანასკნელი აცნობებს ამას მმართველის ძმას, რომელიც მცირე დარ-ბაზშია. ის კი სალაპარაკო მილის საშუალებით, რომელიც კედელშია დატანე-ბული, გადასცემს ამ სიტყვებს პირს, რომელიც დარბაზშია მბრძანებელთან. მანვე გვასწავლა, თუ როგორ უნდა დაგვეკრა თავი მბრძანებლისათვის სამჯერ,

ხელების მოშველიებით, რომელიც თავზე გვქონდა დაწყობილი. ჯერ უნდა აგვეწია ერთი ფეხი, შემდეგ მეორე და უნდა გვეამბორა გამოწვდილ ხელზე. ჩვენც ასე მოვიქეცით, რადგან აქ ასეთი წესით ესალმებოდნენ მეფეს.

ვაცნობეთ მბრძანებელს, რომ ჩავედით ესპანეთის მეფისაგან. რომ ამ უკანასკნელს სურს მასთან საზავო ხელშეკრულების დადება, და ითხოვს მხოლოდ ვაპრობის ნებართვას. მბრძანებელმა გვიპასუხა, რომ, რადგან ესპანეთის მეფეს სურს მასთან მეგობრობა, იგი თანახმაა ამაზე და გვაძლევს უფლებას, ავიღოთ აქ სურსათ-სანოვაგე და სასმელი წყალი, ვაწარმოოთ ვაპრობა. ამის შემდეგ მეფეს მივართვით საჩუქრები. ყოველი საჩუქრის მიღებისას იგი ოდნავ გვიკრავდა თავს. თითოეულ ჩვენთაგანს მოგვეცეს ფარჩის მოოქროვილი და აბრეშუმის კაბა, რომელიც გადაგვაფარეს მარცხენა მხარზე. სასახლეში მყოფნი გაჰოწყობილნი იყვნენ ოქრომკედით ნაქარგ აბრეშუმის კაბებში, რაც მათ მხოლოდ სასირცხო ნაწილს უფარავდა. ეკიდათ ხანჯლები, რომელთა სახელურები მორთული იყო ოქროთი და ძვირფასი თვლებით. თითებზე ბეჭედი ეკეთათ. მმართველის სახლში სპილოებით დავბრუნდით, წინ მიგვიძღოდა 7 კაცი, რომელთაც მიჰქონდათ მბრძანებლის მიერ მოძღვნილი საჩუქრები. როდესაც მივაღწიეთ მმართველის სახლამდე, თითოეულ ჩვენთაგანს ჩვენთვის განკუთვნილი საჩუქარი გადმოგვცეს. საჩუქარს მარცხენა მხარზე გვიდებდნენ. ამ გარჯისათვის თითოეულს წყვილი დანა ვაჩუქეთ. მმართველის სახლთან გამოცხადდა ცხრა კაცი, რომელთაც მბრძანებლისაგან გამოგზავნილი ამდენივე ხის ლანგარი ეჭირათ. თითოეულ ლანგარზე იდო 10-დან 12-მდე ფაიფურის ჯამი, ხბოს, ყვერულის, წიწილის, ფარშავანგისა და სხვა ცხოველების ხორცით, აგრეთვე თევზეული. ვისხედით პალმის ფარდაგზე, ვიჯახშმეთ, 30 თუ 35 სხვადასხვა თავი ხორციანი კერძით, ფრინველისა და თევზის გარდა; ყოველ ლუკმას ვაყოლებდით არაყს კვერცხისხელა ფაიფურის ფინჯნებიდან. ბრინჯს და სხვა ტკბილ კერძებს ვჭამდით ოქროს კოვზებით, რომელნიც ჩვენსას ჰგავდა. ჩვენთვის განკუთვნილ საძინებელ ოთახში, სადაც 2 ლამე გავატარეთ, მუდმივად ენთო თეთრი ცვილის სანთლები ვერცხლის შანდლებში, აგრეთვე ორი დიდი ლამპა, რომელიც ზეთით იყო სავსე. ზღვის ნაპირზე დავბრუნდით იმავე სპილოებით და ორმა ნავმა მიგვიყვანა ხომალდებამდე.

მთელი ეს ქალაქი აგებულია ზღვაზე, მბრძანებლისა და ზოგი უფროსის სახლების გამოკლებით. იგი შედგება 25 000 კომლისაგან. სახლები აგებულია ხისგან და აღმართულია ხიმინჯებზე. ზღვის მოქცევის დროს ქალები ნავებით დადიან ქალაქში და ყიდიან ყველაფერს, რაც აუცილებელია სიცოცხლისათვის. მბრძანებლის სასახლის წინ აგებულია აგურის დიდი კედელი ციხისმაგვარი კოშკებით. მათზე განლაგებულია 56 ბრინჯაოს და 6 თუჯის ყუმბარსატყორცნი. ჩვენი ორდღიანი ვიზიტის დროს რამდენჯერმე გაისროლეს ქვემეხებიდან.

ამ ადგილების მბრძანებელი მავრია. მისი სახელია რაჯა სირიპადა. იგი 40 წლისა იყო, თუმცა ჰგავდა მოხუცს, და იყო მსუქანი. მას მხოლოდ ქალები ემსახურებოდნენ, თანაც მთავარი უფროსების ქალიშვილები; იგი არასოდეს არ ტოვებს თავის სასახლეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სანადიროდ მიდის. არავის არა აქვს უფლება, ესაუბროს მას სალაპარაკო მილის გარეშე. ჰყავს 10 გადამწერი, რომელთაც „ხირიტოლებს“ უწოდებენ. ისინი აღწერენ მბრძანებლის საქმიანობას ძალიან თხელ ხის ქერქზე.

ორშაბათს, 29 ივლისს, დილას, ჩვენ დავინახეთ 100-ზე მეტი პიროგი, რომლებიც 3 ესკადრონად იყო დაყოფილი და ამდენივე „ტუნგული“, რომლებიც ჩვენი ხომალდებისაკენ მოემართებოდნენ. ვიფიქრეთ, რომ აქ რა-

ღაც ეშმაკობა იმალებოდა, შეძლებისდაგვარად სწრაფად გავშალეთ იალქნები და საჩქაროდ დავტოვეთ იქაურობა — სიჩქარეში დაგვრჩა ერთი ღუზა. გვეშინოდა არ აღმოვჩენილიყავით ჯონკებს (იალქნიან ნავებს) შორის, რომლებმაც წინა დღით, ჩვენი გემების მახლობლად ღუზები ჩაუშვეს. ჩვენ მაშინვე მათ წინააღმდეგ გამოვედით. ხელში ჩავიგდეთ 4 ნავი და დავხოცეთ ხალხი. 3-მა თუ 4-მა იალქნიანმა ნავმა მოახერხა ნაპირთან დაბრუნება. ერთ-ერთ ჯონკაზე, რომელიც ხელში ჩავიგდეთ, იმყოფებოდა კუნძულ ლოსონის მბრძანებლის შვილი. იგი იყო ბურნეს მბრძანებლის კაპიტან-გენერალი და დაბრუნდა ამ ნავებით ქალაქ ლაოედან, რომელიც ამ კუნძულის განაპირას იყო გაშენებული და დიდ იავას გაჰყურებდა. მან დაანგრია და გაძარცვა ეს ქალაქი იმიტომ, რომ უარი თქვა დამორჩილებოდა ბურნეს მბრძანებელს და მიემხრო პატარა იავის მბრძანებელს. ჩვენმა მესაკვემ ჯოვანი კავაჯოს თვითნებურად გაათავისუფლა კაპიტანი თავისი ნავებით, გარკვეული რაოდენობის ოქროს საფასურად. ჩვენს მესაკვეს რომ არ გაეშვა კაპიტანი, მბრძანებლისაგან შეგვეძლო ნებისმიერი გამოსასყიდის მოთხოვნა; რადგან იმ მხარეში ძალიან ეშინოდათ ამ კაპიტნის, განსაკუთრებით წარმართებს, რომლებიც მტრულად იყვნენ განწყობილნი მბრძანებელი შავრის მიმართ.

ამავე ნავსადგურში მდებარეობს მეორე ქალაქიც წარმართი მოსახლეობით. ის უფრო დიდია, ვიდრე მავრებით დასახლებული ქალაქი და ისიც ზღვაზეა აგებული, ამის გამო ნავსადგურში, ორივე ქალაქის მცხოვრებლებს შორის, ყოველდღე შეტაკებები ხდება; წარმართთა მბრძანებელი ისეთივე ყოვლისშემძლეა, როგორც მავრთა, მაგრამ არა ისეთი პატივმოყვარე. ამიტომ მისი გაქრისტიანება უფრო ადვილი იქნება; როდესაც მავრთა მბრძანებლის ყურამდე მივიდა ცნობა, თუ როგორ მოვექეცით ჯონკებს, მან ერთი ჩვენი კაცის საშუალებით, რომელიც ხმელეთზე იყო დარჩენილი, შეგვატყობინა, რომ ჯონკები წარმართთა წინააღმდეგ საბრძოლველად მიდიოდნენ და არა ჩვენ წინააღმდეგ. ამის დასამტკიცებლად მავრებმა მათ აჩვენეს მოკლულთა თავები, რომლებიც, მათი მტკიცებით, წარმართებისა იყო. მბრძანებელს გადავეცით თხოვნა, გამოეშვა ქალაქში სავაჭროდ დარჩენილი ჩვენი ორი კაცი, აგრეთვე ჟუან კავაჯოს ვაჟი, რომელიც ვერზინაში დაიბადა (ბრაზილია), მაგრამ მან ამაზე უარი გვითხრა. ეს იყო შედეგი იმისა, რომ ჟუან კავაჯომ კაპიტანი გაათავისუფლა. ჩვენ დავაკავეთ 16 დიდებული (რომლებიც ჯონკებზე დავიპირეთ), რათა წამოგვეყვანა ესპანეთში, აგრეთვე სამი ქალი დედოფლისათვის, მაგრამ ჟუან კავაჯომ ისინი თავისთან დაიტოვა.

ჯონკები (იალქნიანი ნავები) მათი გემებია და იგება შემდეგნაირად: წყალქვეშა ნაწილი — წყლის ზემოთ ამოდის ორი არშინით და დამზადებულია ფიცრებით, რომლებიც ერთმანეთთან ხის ლურსმნებითაა დამაგრებული, ზედა ნაწილი კი დამზადებულია ძალიან მსხვილი ლერწმისაგან. ბამბუკი ემსახურება საპირწონეს. ტვირთმზიდველობა ასეთი ნავისა ისეთივეა, როგორც ჩვენი გემის. ანძა გაკეთებულია ბამბუკის ხისაგან, ხოლო იალქნები ხის ქერქისაგან.

მათი ფაიფური არის რაღაც ძალიან თეთრი მიწის მაგვარი, რომელიც გამოყენებამდე 50 წელი უნდა იყოს მიწისქვეშ, წინააღმდეგ შემთხვევაში ის არ იქნება ისეთი თხელი და ფაქიზი. მამა მიწაში აფლობს მას თავისი შვილისათვის. თუკი ამ თხელ ფაიფურის ჭურჭელში ჩადებენ საწამლავს, ის მაშინვე იბზარება.

ფული მავრებს შუაში გახვრეტილი ბრინჯაოსი აქვთ, რათა აასხან. ასოები მხოლოდ ერთ მხარეს არის ამოტვიფრული, სულ ოთხი ასოა და აღნიშნავს

ჩინეთის დიდი იმპერატორის ტიტულს. ჩვენ ფულის ამ ერთეულს, „პიჩი“-ს ვუწოდებთ. გვაძლევდნენ ფაიფურის ლანგარს ვერცხლის ერთ „კატილში“, რაც ჩვენი ფუნტის ტოლია. საწერი რვეულის ქაღალდში გვაძლევდნენ ას „პიჩის“. ფაიფურის პატარა ჭურჭელს ვყიდულობდით 60 ვერცხლის „კატილად“, ფაიფურის ლარნაკს გვიცვლიდნენ 3 დანაში; ერთი „ბახარი“, რაც უდრის 203 ცვილის „კატილს“ —უდრის 160 ბრინჯაოს „კატილს“. ერთი „ბახარი“ მარილი — 80 ბრინჯაოს „კატილში“ იცვლება; ერთი „ბახარი“ „ანიმე“ ჩვენი ხომალდების დასაგმანად (ფისი ამ მხარეში არ მოიპოვება) —40 ბრინჯაოს „კატილად“; 20 „ტაგილი“ შეადგენს 1 „კატილს“.

ამ მხარეში დიდად ფასობს ბრინჯაო, ვერცხლისწყალი, სინგური, შალის ქსოვილი, ტილო და ბევრი სხვა ჩვენი ნაკეთობა, ყველაზე მეტად კი თუჯი და სათვალე. მავრები დადიან შიშვლები, როგორც სხვა ტომები. ისინი სვამენ ვერცხლისწყალს — ავადმყოფები, რათა განიკურნონ, ხოლო ჯანმრთელები — რათა შეინარჩუნონ ჯანმრთელობა.

ბურნეს მბრძანებელი ფლობს კვერცხისხელა ორ მარგალიტს. ისინი ისეთი მრგვალია, რომ მაგიდაზე უმოძრაოდ ვერ ჩერდებიან. მე ვიცი, რომ მარგალიტები ასეთია, რადგან, როდესაც მას ძღვენი მივართვით, ვანიშნეთ, ეჩვენებინა ისინი. მან გვიპასუხა, რომ გვაჩვენებდა შემდეგ დღეს. ზოგი უხუცესი გვარწმუნებდა, რომ ნანახი ჰქონდათ ეს მარგალიტები საკუთარი თვალით.

ეს მავრები თაყვანს სცემენ მაჰმადს. მისი სწავლების თანახმად, მათ ეკრძალებათ ღორის ხორცის ჭამა. თუკი ისინი დუნდულებს მარცხენა ხელით იბანენ, მაშინ ამ ხელით უფლება არა აქვთ შეეხონ საჭმელს. ეკრძალებათ რაიმეს დაკრა მარჯვენა ხელით. ფრინველის ან თხის დაკვლა შეუძლიათ მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც მიმართავენ მზეს. ფრინველს ფრთების ბოლოები უნდა შეაჭრან, თხას კი ქვემოთ დაშვებული ტყავი, ჩიტებს — ფეხები, შემდეგ ორად გაჩეხონ. სახე უნდა დაიბანონ მარჯვენა ხელით, არ შეიძლება კბილების წმენდა თითებით, არ შეუძლიათ ცხოველის ხორცის ჭამა, თუკი ის მის მიერვე არ არის დაკლული.

ამ კუნძულზე აწარმოებენ ქაფურს, ბალზამის ერთ-ერთ სახეობას. იგი მცირე რაოდენობით ჟონავს ხის ქერქიდან. ჰაერზე ორთქლდება. აქ მას „კაპორს“ უწოდებენ. აქ გვხვდება დარიჩინი, ქლიავი, ფორთოხალი, ლიმონი, საზამთრო, კიტრი, გოგრა, ჭარხალი, კომბოსტო, ძროხები, კამეჩები, თხები, ღორები, ქათმები, ბატები, ირმები, სპილოები, ცხენები და ბევრი სხვა. კუნძული დიდია, მის შემოვლას სჭირდება სამი თვე. იგი მდებარეობს განედის $5^1/_4$°-ზე ჩრდ. პოლუსის მიმართულებით და გრძედის $176^2/_3$°-ზე სადემარკაციო ხაზიდან. ამ კუნძულს ეწოდება ბურნე (ბორნეო).

კუნძულის დატოვების შემდეგ ჩვენ დავბრუნდით გემების დასაგმანი ადგილის მოსაძებნად. გემში წყალი ჟონავდა. ერთი ხომალდი მესაჭის დაუდევრობით მეჩეჩზე შეჯდა კუნძულ ბიბალონთან, მაგრამ ღმერთის წყალობით მოვწყდით მეჩეჩს. ერთ-ერთმა მეზღვაურმა ხომალდზე დენთით სავსე კასრში სანთლის ნამწვავი ჩააგდო, მაგრამ მოასწრო მაშინვე მისი ამოღება. გზაში ჩვენ ხელში ჩავიგდეთ ქოქოსის კაკლით დატვირთული პიროგი, რომელიც ბორნეოსაკენ მიემართებოდა. ნავის ეკიპაჟმა სცადა კუნძულზე გაქცევა, მაგრამ ვერაფერი გააწყეს. დარჩენილი სამი პიროგი კი სხვა კუნძულებს მიეფარა.

ვახუშტი ბაგრატიონი

ვახუშტი ბატონიშვილი (1696—1757) — გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი, გეოგრაფი და კარტოგრაფი.

ვახუშტი ბატონიშვილი (ბაგრატიონი) დაიბადა თბილისში 1696 წელს. მისი მამა იყო ბატონიშვილი ვახტანგი, მომავალი ქართლის მეფე ვახტანგ VI (1675—1737, მეფობდა 1716—1724 წლებში), ხოლო დედა უმა გლეხის ქალი.

ვახუშტი ბატონიშვილმა პატარაობიდანვე საფუძვლიანი აღზრდა-განათლება მიიღო. ცნობილია, რომ მის აღზრდა-განათლებას უძღვებოდნენ ძმები იესე და გიორგი გარსევანიშვილები. ასევე მან განათლება მიიღო ფრანგ კათოლიკე მისიონერებთან. ვახუშტი ბატონიშვილმა ქართულის გარდა იცოდა ლათინური, ბერძნული, სომხური, რუსული, ფრანგული და თურქული ენები. ასეთმა საფუძვლიანმა მომზადებამ მას საშუალება მისცა გამხდარიყო შემდეგში ახალი ქართული ისტორიოგრაფიის, ქართული მეცნიერული გეოგრაფიისა და კარტოგრაფიის საფუძვლის დამდები.

1717 წელს ვახუშტი ბატონიშვილი დაქორწინებულა მარიამ გიორგის ასულ ამბაშიძეზე, რომელთანაც მას ეყოლა საქართველოში ყოფნისას ორი ვაჟი და ორი ასული, ხოლო რუსეთში გადასახლების შემდეგ იგი კიდევ უფრო დაწვრილშვილებულა. ცნობილია ვახუშტის შვილების სახელები: ივანე (შემდეგში გენერალი გახდა), ალექსანდრე, დარია, ნიკოლოზი, დავითი, დომენტი და ანა.

ვახუშტი ბატონიშვილი აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მან ორჯერ მიიღო მონაწილეობა გამდგარ ქსნის ერისთავთა წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში, ხოლო 1717 წელს თვითონ სარდლობდა დამსჯელ ლაშქრობას. 1721 წელს მეფემ ვახუშტი დანიშნა ქვემო ქართლის სადროშოს (საბარათიანოს და თრიალეთის) სარდლად. იგი წარმატებით ებრძოდა შემოსეულ სპარსელებს ბორჩალოში, მცხეთაში, მარტყოფში. 1722 წელს, ვახტანგ VI-ის განჯაში ყოფნის დროს ქართლის სამეფოს გამგებლად მეფის მიერ იყო დატოვებული.

1724 წელს, გართულებულ პოლიტიკურ ვითარებათა გამო, რუსეთში გადასახლებულ ვახტანგ VI-ის 1200-კაციან ამალას ვახუშტი ბატონიშვილიც თან გაჰყვა. ვახუშტი ბატონიშვილს მეუღლის, ორი ვაჟისა და ორი ასულის გარდა ახლდა: ერთი გამდელი, 18 მოახლე, 25 მსახური, 5 თავადი 7 უმით და 19 აზნაური 17 უმით. ვახუშტი, ისევე როგორც ვახტანგ VI-ის ამალის წევრთა უმრავლესობა, მოსკოვში დაბინავებულა და რუსეთის ხელისუფლებას მისთვის სახელმწიფო ჯამაგირი დაუნიშნავს. ვახუშტის მთელი შემდგომი ცხოვრება დაკავშირებულია მოსკოვთან, სანკტ-პეტერბურგთან და ყაზანთან.

გარდაიცვალა ვახუშტი ბატონიშვილი მოსკოვში, დამბლადაცემული, სიღარიბესა და გაჭირვებაში მყოფი, 1757 წელს. დასაფლავებულია დონის მო-

ნასტერში. მიუხედავად მრავალგზის მოძიებისა, მისი საფლავი მიკვლეული არ არის.

მოსკოვში, 1745 წელს დაამთავრა ბატონიშვილმა თავისი უმთავრესი სამეცნიერო ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", რომელზედაც მუშაობა საქართველოში ჰქონდა დაწყებული.

ამ ნაშრომში გადმოცემულია საქართველოს გაბმული ისტორია უძველესი დროიდან („ქვეყნის შექმნიდან", „დასაბამიდან") XVIII ს-ის პირველ ნახევრამდე. მ[illegible] მთავარი იდეა მდგომარეობს საქართველოს პოლიტიკურ და ეთნიკურ ერთიანობაში. ნაშრომის ისტორიულ ნაწილში ავტორი ძირითადად ჩერდება პოლიტიკური მოვლენების აღწერაზე. მიმართავს მათი ახსნის მიზეზშედეგობრივი კავშირის გზას. ნაშრომის მეორე ნაწილია ქვეყნის გეოგრაფიული აღწერა. მან პირველმა წარმოადგინა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის საფუძვლიანი და დეტალური გეოგრაფიული აღწერილობა. მანვე შეადგინა ამავე მხარეების გეოგრაფიული ატლასები, კერძოდ, ორი გეოგრაფიული ატლასი — 5-რუკიანი 1735 წელს და 10-რუკიანი 1745 წელს. გეოგრაფიული მეცნიერების წინაშე დიდი დამსახურების გამოა, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტს ვახუშტი ბატონიშვილის სახელი ეწოდა.

მოლიანად ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომი ხოლიდურ სამეცნიერო ბაზაზეა დამყარებული. 1400 წლამდე, ანუ საქართველოს ერთიანი სამეფოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლამდე ისტორია მას „ქართლის ცხოვრების" მიხედვით აქვს გადმოცემული, ხოლო შემდგომი პერიოდის ისტორია მთლიანად ორიგინალურია და ავტორს დაწერილი აქვს ისტორიულ საბუთებზე, წარწერებზე, ქრონიკალურ ჩანაწერებზე და სხვა წერილობით წყაროებზე დაყრდნობით. ვახუშტი ბატონიშვილი პირველია, რომელიც ისტორიის გადმოცემისას თანმიმდევრულად იყენებს ქრონოლოგიას, იმდენად, რომ ქრონოლოგიის მეცნიერებად გადაქცევა მის სახელთან არის დაკავშირებული.

ვახუშტი ბატონიშვილი ქვეყნის ამა თუ იმ კუთხის პოლიტიკური ისტორიის გადმოცემას ყოველთვის წაუმძღვარებს წინ მის გეოგრაფიულ ხელწერილობას და მცხოვრებთა ზოგად დახასიათებებს სათაურით—„კაცთათჳს", ან „ნაყოფთათჳს და კაცთათჳს", ან „კაცისა და ჩვეულებისა"; მათში თავმოყრილია ავტორის დაკვირვებანი ამ კუთხის ეთნოგრაფიული ყოფის შესახებ. ასე აქვს მას დახასიათებული საქართველოს შემდეგი კუთხეების მცხოვრებნი, მათი ზნე-ჩვეულებები და თავისებურებანი: საზოგადოდ ქართველთათჳს, ჰერეთის, კახეთის, კუხეთის და თუშეთის, ფშავის, დიდოეთის, ოვსეთის, სამცხის, ჯავახეთის და ეგრისის, აფხაზეთის და იმერეთის.

ენციკლოპედიაში „ამოკრებილია ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსაში" შეტანილი ეთნოგრაფიული ცნობები. ამ მასალის ერთად თავმოყრა საფუძველს ჰქმნის ვახუშტის, როგორც ეთნოგრაფის, დახასიათებისათვის და ეთნოგრაფიაში მისი წვლილის შესწავლისათვის მომავალში.

ბიბლიოგრაფია

1) ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლ ო მ ო ურ ი ს ა და ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, თბ., 1941.

2) ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება", ტ. IV, ტექსტი დაღგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, თბ., 1973.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1) მ ა რ უ ა შ ვ ი ლ ი ლ., საქართველოს გეოგრაფიის შესწავლის ფუძემდებელი ვახუშტი ბაგრატიონი, თბ., 1956.

2) გ ა ბ ა ‘ შ ვ ი ლ ი ვ., ვახუშტი ბაგრატიონი, თბ., 1969.

3) ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. ბატონიშვილი ვახუშტი, თხზ., ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 325—347.

[საქართველო — ივერია — გიორგია]*

კაცთათჳს

ხოლო კაცნი ამის ქუეყნისანი არიან სარწმუნოებით ქრისტიანენი, რომელთა მიიღეს ჰრომით ჟამსა დიდის კოსტანტინესსა და სილიბისტროსსა წესნი და რიგნი ძუელნი ბერძენთა ბასილის კაბადუკიელისათა და შუდის კრებისა უპყრავთ მტკიცედ, არამედ მძლავრებით უკეთუ ვინმე მიიქცის, ოდეს იცის ჟამი, კუალად ეგების ქრისტეანედ შემნანე. ხოლო ანაგებით არიან კაცნი და ქალნი შუენიერნი, ჰაეროვანნი, შავ თუალ-წარბ-თმოსანნი, თეთრყირმიზნი, იშჳთ შავგურემან და მოყვითან, იშჳთ თუალჭრელ და გრემანი, და მწითურ ანუ თეთრ. ქალთა თმა გარდაშუებული და დაწნული. ხოლო კაცთა ყურთა ზედა მოკუეცილნი; წერწეტნი, ულმეტეს ქალნი, იშჳთ სქელნი, მჴნენი მუშაკნი, ჭირთა მომთმენნი, ცხენსა ზედა და მჴედრობათა შინა კაჟნიერნი, მკჳრცხლნი, მსწრაფლნი, რამეთუ ვიეთნი ლ"გ ეჯს ი"დ ჟამს გაირბენს. სალაშკროთა შინა ახოვანნი, საჭურველთ მოყუარენი, ამაყნი, ლაღნი, სახელის მეძიებელნი ესრეთ, რამეთუ თჳსთა სახელთათჳს არა რიდებენ ქუეყანასა და მეფესა თჳსსა, სტუმართა და უცხოთ მოყუარენი; მხიარულნი, უკეთუ ორნი ანუ სამნი არიან, არარაჲ შეიჭირვიან; უხუნი, არცა თჳსსა და არცა სხჳსას კრძალვენ; საუნჯეთა არა მძესველნი, გონიერნი, მსწრაფლ-მიმჴდომნი, მჩემებელნი, სწავლის მოყუარენი. არამედ არს ჟამი რაოდენიმე, არღარა ისახელების ცოდნა, თჳნიერ წიგნის კითხვისა და წერისა, გალობა-სიმღერისა და სამჴედროსაგან კიდე, და ჰგონებენ დიდ-მცოდინარობად. ურთიერთის მიმყოლნი, სიკეთის დამსწავლელნი და მიმბეველნი, სირცხვილის მდევარნი, კეთილ-ბოროტზედ ადრე მიმდრეკნი, თავკედნი, დიდების მოყუარენი, თუალშგებნი და მოთაკილენი. ხოლო რომელნი მთათა შინა სცხოვრებენ, მგზავსნი ნადირთა, გარნა გონიერნი.

ხოლო შემოსილნი არიან ქართველნი და კახნი ერთრიგად; თავს სკლატისაგან ანუ შალისაგან ქუდი გრძელ-წვრილი, ბეწვებული, აფროსანი; ტანს კაბა ლარისა, სკლატისა ანუ ჩოხისა მუჴლთ ქუემომდე, მაზედ სარტყელი, შიგნით საგულე ბამბიანი კაბის უმოკლე, პერანგი აბრეშუმისა, ბამბისა ანუ ტილოსაგან, უგრძე კაბისა, და კისერი სრულიად მჩენი; ნიფხავი აბრეშუმისა, ანუ ბამბისაგან, ანუ ტილოსა. არამედ ცხენსა ზედა მოსიათ საწარმართული და მოგუნი, თჳნიერ მისსა — არა; ფერჴთა პაიჭი და წუღა ტყავისა ანუ სკლატისა, ხოლო მაშია სპარსული; უმცირესთა ჩუსტი და ქალამანი. კუალად ტყავ-კაბა კაბისაგან უმოკლე და ტყავი ზამთარს დიდი [არამედ პირველ ერთმეფობასა შინა

---

* წიგნიდან: ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 44—46, 525—526, 533, 552—553, 637—641, 660—661, 672, 745—746, 770, 783, 785—786, 788, 793

ᲡᲪᲜᲘᲐᲗ ᲡᲮᲣᲐᲒᲣᲐᲠ: თავს ქუდი გრძელი, რომლისა კუნჭული ბეჭსა ზედა მცემელ და გრძელბეწოსანი, პერანგი/ბერული ტილოსი, საგულე და კაბა გრძელი კოჭამდე უღილოდ, მას ზედა სარტყელი ფოჩჩაშუებული, ტყავი დიდი საელვიწრო და ფერჯთა ზედა მოგვ, ვითარცა იცნობიან ნახატებთა ზედა]. ᲥᲐᲚᲗᲐᲐᲪᲐ მგზავსად, გარნა სარტყელთა წუერნი ჩაშუებულნი და მას ზეით კაბაახალუხი ამოჭრილი, და თუნიერ პერანგისაგან კიდე არარაჲ ჰფარავს, და პერანგი მჭვრეალი, ნორცის მჩენელი, უპაიჭოთ ნიფხავი და ფერჯზედ წუღა-მაშია; ხოლო თავი ქალწულთა: კავნი თუსისავე თმისა ღაწუთა ზედა და ქუდი ანუ ლეჩაქი, არამედ ქრმოსანთა კავსა ზედა ღაწუს აძესთ თმა შეწნული, მსხვილი, ამიერ და ამიერ, და ყბას ქუეშ მარგალიტით შემზადებულს ამოიდებენ და თხემსა ზედა შეიკურნენ, და ჰბურავთ მასზედ ლეჩაქი. კუალად სამკაულნი იციან მრავალგუარნი, ზოგნი თუსნი და ზოგნი სპარსთანნი; ზამთარ კაცთა და ქალთა ქათიბი, ტყავი და ტოლომა ბეწულნი; გარნა ქალთა კაბა და ტყავი ვიდრე მიწადმდე. ხოლო იმერთა მცირედ რაჲმე განიყოფების, არამედ ქუდი მცირე ნაჭრისაგან, რომელი არა ბურვით, გარნა მდებარე არს თხემსა ზედა, და ზამთარს მოსიათ ტოლომა ოსმალური. ხოლო ᲛᲔᲡᲮᲗᲐ დიდებულთა ვითარცა ოსმალთა, და გლეხთა რომელთამე ვითარცა ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲗᲐ, და რომელთამე ვითარცა ქართველთა გლეხთა (ქᲘᲪᲐ, IV, გვ. 44—46).

ᲜᲐᲧᲝᲤᲗᲐᲗᲕᲡ ᲓᲐ ᲙᲐᲪᲗᲐ

ხოლო ქუეყანა ესე არს ფრიად ნაყოფიერი ყოველითა მარცვლითა, ვენახითა, ხილითა, პირუტყვთა, ნადირითა, ფრინველითა და თევზითა, არამედ უფროს ჰერეთი, და უმეტესად ალაზნისა და იორის კიდენი, რამეთუ თუნიერ ნარინჯისა, თურინჯისა, ლიმონისა და ზეთისხილისა, ნაყოფიერებენ ყოველნი, რომელნიცა აღვსწერენით, აბრეშუმით, ბამბით, ბრინჯით, და ხურმა და წაბლი იმერეთისაგანცა აქ უმჯობესი არს. გარნა არა სთესვენ ღომს და არცა არს კირჩხბი აქა. ხოლო ხილნი ვიეთნი აქაურნი უმჯობეს არიან ქართლისასაცა, და თაფლი იმერეთისა უმჯობეს და უმრავლეს აქაურთა. ხოლო კაცნი და ქალნი შუენიერნი, ჰაეროვანნი და მგზავსნი ყოველითავე ქართველთა ზნითა, ჩუეულებით და ქცევით, არამედ ლაღნი, ამაყნი, მეხოტბენი, დიდმთქმელნი, მეჩხუბარნი, შემბართებელნი, უფრო გლეხნი, ერთგულნი, მოსილნი ქართულად, ენითა და სარწმუნოებითა ქართლისათა, და სამწყსონი ქართლის კათალიკოზისანი (ქᲘᲪᲐ, IV, გვ. 525—526).

ᲤᲨᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲡ

ხოლო ხევსურეთის აღმოსავლის მთას იქით არს ᲤᲨᲐᲕᲘ, რომელსა შუაში უდის ᲗᲔᲗᲠᲘ ᲐᲠᲐᲒᲕ, და მოერთვიან ჴევნი აღმოსავლით დასავლეთიდამ. აქ ფშავსა შინა არს ეკლესია მეფის ლაშასაგან აღშენებული, რომელსა შინა არიან მრავალნი ხატნი და ჯუარნი ოქრო-ვეცხლისანი, ჭურჭელნი და წიგნნი, და უწოდებენ ᲚᲐᲨᲐᲡ ᲯᲣᲐᲠᲡ, და აქუთ სასოება მას ზედა ფრიად, რამეთუ ვერცა ფშავი, ვერცა ჴევსური, უკეთუ იშოვნოს ოქრო ანუ ვეცხლი, ვერარაიდ იკმარებენ თავისად, არამედ მიუძღუნის ლაშას ჯუარსა. და არიან ესენი სარწმუნოებითა და ენითა ქართულითა, გარნა აქუსთ სასოება ქადაგსა ზედა, რომელი წარმოდგების კაცი უცები და ვითარცა ხელქმნილი, და ღაღადებს მრავალსა მაგიერად წმიდის გიორგისა, და რასა იგი იტყჳს, სთნავთ და

ჯერ იჩენენ უმეტეს ჭეშმარიტებისასა. და არიან ყოვლითა, ვითარცა მთიულნი აღვსწერეთ, არამედ ესენი ვერად ქებულნი ბრძოლასა შინა, და უფროსად ბევ-სურნი, და უმეტეს ბრიყუნი მთიულთაგან და უზნეონი, მებატონეთა თჳსთა ერდგულნი. და ვინაჲთგან ფრიად მაგარ არს ქუეყანა ესე და უბრძოველი მთითა, და კლდითა, და ტყითა, ამისთჳს იმყოფიან მშჳდად და სიმწირისათჳს მონებენ ვინცა უბერავსთ თიანეთი, რამეთუ იზრდებიან მუნიდამ (ქცა. IV გვ. 533).

დიდოეთისათჳს

[...] და არს ქუეყანა ესე ფრიად მაგარი და შეუვალი მტერთაგან, მწირი, ვი-თარცა აღვწერეთ ოსეთი, და უმეტესადცა მისსა. გარნა ესენი უბილწესნი ზნითა, ქცევითა, ჰაეროვნებითა და სახითა. ენა აქუსთ თჳსი საკუთარი, სარწმუნოებით არიან კერპნი და უმეტეს ეშმაკის მორჩილნი, რამეთუ იტყჳან, ოდეს დიდმან ალექსანდრემ შემუსრა სარკინეთი, განჴურიტეს მთა იგი ამათ, მოვიდნენ და დაეშენნენ აქ; და შიერითგან არიან მასვე რჯულსა და წესსა ზედა, ვითარცა ჩანს ქცევა-ზნითა მათითა, რამეთუ არა უწყიან სრულიად ღმერთი, არცა ნათე-ხავი და ნათესაობა, ყოველსა სულიერსა სპამენ. მოგურის მამა თჳსი მცირესა ძესა თჳსსა ცოლსა და, ვიდრე აღიზრდების ძე მისი იგი მცირე, თჳთ მამა თანა-ეყოფის აღრევითა დედაკაცსა მას; ხოლო ოდეს აღიზრდების ძე მისი, მაშინ მისცემს მას ძესა დედაკაცსა მას ცოლად და განუყოფს შვილთაცა. რომელნი ჳვის მის დედაკაცისა თანა შობილი მამასა, ნახევარს მისცემს ძესა, და არს ძე ძისა მისისა, და ნახევარსა დაიპყრობს თჳთ, და ძმა არს ძისა მისისა, მის ქალის ქმრისა.

და სხუანიცა მრავალნი უკეთურებანი არიან; ესენი მოხუცებულნი; იგინი ბჭობენ, განარჩევენ და განაგებენ და დააწყნარებენ შფოთსა და ბრძოლასა შინა შეუმართებელნი და ურგებ-უძლურნი არიან, ავად მოსილნი, ავმოიარა-ღენი, ყოველნი სრულად შავით მოსილნი, ეშმაკის კერძობისათჳს, შალითა და ნაბდითა. არამედ სიმაგრის გამო არიან მშჳდობით და მტერთაგან უვნოდ. ბე-ლოვნება უწყიან ოსთაევ მგზავსად, და ამათი ჩოხა-ნაბადი სხუაგვარი: ჩოხა უხაო და ნაბადი ბოკკო-მაღალი, ვითარცა ქუნთისა, გარნა შავი და არა სხუა ფერი. ხოლო ლეკის მჴარე დაიპყრნეს რომელნიმე ლეკთა და მოჰმადიან ყვეს, და სხუანი ჰგიეს, და არიან ეგრეთვე. და კახეთის მჴრისანი ჰყმობენ კახთა მე-პატრონეთა და აძლევენ ხარკთა და არა ლაშკართა, რათა ვიდოდნენ სავაჭროდ კახეთს, ვინაჲთგან ზიდვენ კახეთიდამ საზრდელსა, საშიშლოსა და საჴმარსა თჳსსა (ქცა, IV, გვ. 552:19—553:21).

კაცისა და ჩუენებისა, ზნისა და ყელოვნებისათჳს

ხოლო კაცნი და ქალნი არიან შუენიერნი, ჰაეროვანნი, შავ-თუალ-წარბა-ნი, შავ-თმოსანნი, თეთრ-ყირმიზნი, ტანოვანნი, წერწეტნი. გარნა უმეტეს ქალნი წერწეტნი, მკჳრცხლად ფიცხელნი, თჳსთა ქუეყანათა შინა მცირედ მჭამელნი, რამეთუ კმა იყოფენ თჳნიერ წყალსა და პურსა და შრატსა, სხუათა ადგილთა და სტუმრობათა შინა გაუძღომელნი, ვერ შემმართებელნი ბრძოლასა შინა, რა-მეთუ ეშინისთ ლაშკართაგან ფრიად. არამედ ღამით შემმართებელნი და შემ-ჭარავნი ლაშკართა შინა და გამომსლველნი, უსაქციელნი, ბრიყუნი, ქუეყა-

ნათა თუსთა ლაღნი და ამაყნი, სხუათა ქუეყანათა შინა მდაბალნი, გონიერად შოუბარნი, ქურდნი, მპარავნი, მტყუარნი, ხარბნი, მომხუეჭნი, მესისხლენი, მემრუშავნი, ტყუს მყიდველნი, გარნა არა თუსთა ჰყიდიან. არამედ ალნი მათნი იცვენ ქალწულებასა ვიდრე შერთვადმდე ქრმისა, და მერმე სახელ არს მათ შორის რაოდენნიცა უვისთ კურონი, რამეთუ სირცხვლად აქუსთ დღისით ხილვა ცოლშვილთა თუსთა ქრმისაგან.

ხოლო ცმულნი არიან ხამის პერანგით, საყელო ბერულად მოკრილითა, და ნიფხავი ხამისავე. მას ზედა ჩოხა მოკლე მუჴლადმდე და პაიჭიცა შალისა. არამედ ჩოხა ნაოჭიანი და უგუჯასტო, ჩოხას ზეით ნაბადი მოსხმული; ფერკთა ზედა ტყავთაგან აცვიათ, რომლისა არს ლანჩა გამობანდღული დახეულის ტყავისაგანვე, და მას შინა შთასდებენ თომსა, და ჩაიცმენ ეგრეთ, რათა არა მოუსტეტეთ ფერჴი ყინულსა, კლდესა და ბალახთა ზედა. უდიდესნი იცმენ წუღასა, და ბურავსთ თავსა ქუდი მგრგუალი და ბეწოსანი შალისაგანვე. ბოდიშობენ ურთიერთს და მიემშჯდებიან ქუდის მოჯდით, სხედან სკამთა ზედა. არამედ უწარჩინებულესნი მათნი იცმენ იმრიგადვე, ლეინსა, დარაიას, დარაიბაფის, ყუთნსა და რაჲსაც ლარს იშოვიან. ეგრეთვე მგზავსად იცმენ ქალნიცა, არამედ უგრძესად, და ბურავთ მათცა ქუდი ოგივე, აცვიათ წუღა-პაიჭი და ოა ხიფხავი. მოირტყმენ სარტყელსა კაცნი და ქალნიცა, ვითარიცა ძალუცთ შოვნად სარწმუნოებით არიან ძუელად ქრისტეანენი და სამწყსონი ნიკოზლისანი, და უფროს დუალნი. არამედ აწინდელთ ჟამთა დუალნი სახელით ოდენ ქრისტეანენი, რამეთუ იმარხვენ დიდმარხუასა, ხატთა, ეკლესიათა და სამღუდელოთ: პატივსა უყოფენ და თაყვან-სცემენ, და სხჳსა სრულიად უმეცარნი. არა უვისთ მღუდელი, და უნათლისღებონი არიან, თუნიერ რომელნი ქართლსა დ. რაჭას მოინათლვიან. ხოლო თაგაურნი, ქურთაულნი, ვალაგირი, ფაიქომი, დიგორელნი და ბასიანელნი, რომელთა თავნი და წარჩინებულნი მათნი არიან მაჰმადიანნი, და დაბალნი გლეხნი ქრისტეანენი, გარნა უმეცარნი ორივეს რჯულისანი, რამეთუ გარჩევა მათი არს ესე: რომელნი სპამენ ღორსა, არიან ქრისტეანენი, და რომელნი სპამენ ცხენსა, ესენი არიან მაჰმადიანნი. გარნა ყოველთავე უწყიან მგზავსი კერპისა, რომელსა უწოდებენ ვაჩილას, რამეთუ შესწირვენ ელიას თხასა და ჯორცსა შესჭამენ თვოვე, ხოლო ტყავსა გასჭიმვენ მაღალსა ძელსა ზედა და თაყვანი-სცემენ ტყავსა მას დღესა შინა ელიასასა, რათა არა მოუვლინოსთ ელიამ სეტყუანი და მოსცეს ნაყოფნი ქუეყანისანი.

კუალად არიან, ვითარცა ნადირნი, უწიგნონი, უცოდინარნი. ენა აქვთ ძუელი, დუალური, და აწ უბნობენ ოსურსა საკუთრად, ვინაჲთგან ჩერქესთა ენა სხუა არს. ვიეთთა მოთავეთა და ქართლსა და რაჭას მსლველთა უწყიან ქართულნი, ხოლო ჩერქეზსა შინა მსლველთა უწყიან ჩერქეზული და თათრული ჯაღათასი. შეირთვენ მდიდარნი ორსა და სამსა ცოლსა და დაბალნი — ერთსა: არამედ თუ მოკუდეს ძმა ერთი, შეირთავს მეორე ძმა თუსს ძმის ცოლსა, ვინაჲთგან მისცემენ სახლის პატივად ქალის სახლეულს ი, ქ, ლ, დ. მ ძროხასა, ამისთუს არღარა განუტევებენ სხჳს შერთვად, არამედ ირთვენ თუთვე. უწყიან გუარნი, და უწარჩინებულესნი გუარითა არიან ოვსნი.

ხოლო ესე ოვსი განიყოფების ესოდენ გუარად: სიდამონად, ჭახილიძედ, თაგაურად, ქურთაულად, ბადელიძედ, ჩერქესიძედ, ბასიანად, და არიანცა ესენი უწარჩინებულესნი სხუათა ზედა. და ამათ გუართა იციან გუართა თუსთა ნიჯადი, ერთმან მეორესა ზედა ლაშქრობა, შუელა, მესისხლობა, რამეთუ უკეთუ მოკლას ერთმან, არა დასცხრების მეორე იგი გუარი შვილით შვილადმდე უკუნისამდე, თუმცა არა მოკლას მანცა, და მკლველი მოკლულსა მათთუს გუარსა

ჩასძახებს საფლავსა შინა: „მოვკალო მკლველი შენი“, და რწამთ ესე საცხონებლად მისად. არამედ უკეთუ დაზავდნენ ბრჭეთაგან და მიხცეს სისხლი, გარნა კუალადცა მოჰკლავს და უკუნ-სცემს სისხლსა, მინაცემსა თჳსსა. არამედ დუალნი უმდაბლესნი არიან გუარითა, გარნა თუ განდიდნეს ანუ განმდიდრდეს ოვსი ანუ დუალი, ანუ შეირთავს ორ სამს ცოლსა, ანუ აღაგებს კოშკსა, ანუ ჩოკლავს კაცსა, და უკეთუ მძლეველ ექმნას მესისხლე თჳსი, შევალს კოშკსა შინა და არღარა გამოვალს სიკუდილამდე. კუალად უწყიან პატივი მოხუცებულთა თჳსთა ფრიადი, და უვისთ, ვითარცა პატრონნი თჳსნი. ამათ მოხუცებულთაგან ჰყოფენ ბრჭობასა და ზავსა და ყოველსავე სამჭირნოსა თჳსთა განაგებენ მათით. სიმდიდრე მათი არს თოფი, ჴრმალი, ჯაჭუ, ჯავშანი; სპილენძი და ოქრო და ვეცხლი მცირედ. არა უწყიან თეთრი, არამედ თეთრისა წილ ნაბადი, ჩოხა, ხამი, შალი, ცხუარა, ძროხა და ტყუე, და ვაჭრობენ ურთიერთსა შინა ამით. არცა უწყიან ადლი, არამედ მწყრთა; უწყიან უცხოთა სტუმართა პატივი და უვნებელობით დაცვანი, რამეთუ ვერავინ რაჲსა ავნებს ერთისა ვისმე სტუმარსა, ვინაჲთგან მოსწყდებიან მისთჳს გუარით. არამედ თჳთ გამოუხმენ, რაოდენნი ძალ-უცს სტუმარსა, და ამას უწოდებენ საჩუქარსა, რომელიცა ჯერ არს მათგან, იგინივე მიუხმენ. უწყიან ჴელოვნებანი ტყავისა, ჭსოვა შალისა, თელვა. კეთება ნაბდისა კარგისა. იციან მჴედლობა, ზეინკლობა, ხეთა მუშაკობა, სახლთ შენება, არამედ არღარა ჴმარობენ ქვიტკირსა. გარნა აღაშენებენ სახლთა უსარკჴელოდ, და მრავალსა ერთმანერთსა ზედა, და კოშკსა ფიქალთა ქვათაგან მიწით, მაღალს კლდე-გორიანსა ზედა, ვინაჲთგან გამოუნახავთ უმჯობესად ზუავისა კუეთებისათჳს რამეთუ არღარა ეკუთვის, გარნა ავიდეს რა კაცი კოშკსა შინა, ირყევის და არა დაირღუეგის, არამედ დგას მტკიცედ.

ხოლო ძუელადნი არიან ციხენი, კოშკნი, ეკლესიანი ქვიტკირისანი, მეფეთაგან ნაშენნი და უმეტეს იტყჳან თჳთ იგინივე, თამარ მეფისაგანსა. გამოიღებენ ჭიწიდამ ბრპენსა, გუარჯილასა, გოგირდსა. ქალთა მათთა უწყიან კერავანი წმიდა და კეთილნი. არა არს ქუეყანათა მათთა შინა მარილი, სელი, კანაფი, და ბაჭბა და აბრეშუმი, რათამცა ყონ სამოსნი თჳსნი. ამისთჳს უმეტესნი სცხოვრებენ ცხოვართა ტყავითა, გარნა ამათაც ზიდვენ ქართლიდამ, რაჭიდამ და ჩერქეზიდამ. და ამისთჳსცა მორჩილებენ თჳს-თჳსთა მჴარეთა და კუალად უმეტესად საზრდელთათჳსცა. ჴდიან მცირედს ლუდსაცა, არამედ არა არს მათ შინა სვივა, და იგიცა მიაქუთ ქართლიდამ, რაჭიდამ და ჩერქეზიდამ. კუალად ჴდიან და აკეთებენ იყსა, ბოზასა, ჰურთა და ქერთაგან, და სმენ დღესასწაულსა თჳსსა და სტუმრობასა შინა. უწყიან სულთა მკუდართა მათთა საჴსრად და მოსაჴსენებლად, რომელსა უწოდებენ დოღსა, რამეთუ ცხენოსანთა კაცთა ორის სამის დღის სავლიდამ გამოუშვებენ, და რომელი მათგანი უპირველეს მივალს, მას მისცემენ ნიჴსა და გარდაიჴდიან ჰურობასა და ლხინსა დიდსა, ვის რაჲ ძალუცს, და ჰგონებენ ამას სალხინებელად და საცხორებელად სულთათჳს მკუდართა მათთა (ქ“ცა, IV, 637—641).

კაციხათჳს

ხოლო კაცნი და ქალნი არიან მგზავსნი ქართველთანი, არამედ უმეტეს ნელიად და ენა-ტკბილად მოუბარნი, ტანოვანნი, მჴნენი, შემმართებელნი, შუენიერნი, ცოდნა-ჴელოვნების მოყუარენი, არამედ აწ, მაჰმადიანობის გამო. არღარა. სარწმუნოებით იყვნენ წლისამდე ქრისტესა ჩ“ქკვ, ქართულისა ტ“იდშდე სრულიად ქრისტეანენი ქართველთა თანა და სამწყსონი ქართლის კათა-

ლიკოზისანი, ხოლო აწ მთავარნი და წარჩინებულნი არიან მოჰმადიანნი, და გლეხნი ქრისტეანენი, არამედ კლარჯეთს გლეხნიცა უმეტესნი მოჰმადიანნი; გარნა ვინანიცა არიან ქრისტეანენი, ოგინიცა უმწყესელნი არიან, ვინაათგან არღარა რაისა მორჩილებენ ქართლის კათალიკოზსა, და ბერძენთა არა ს

და არს მესამე სადროშო. ხოლო სახელი მოიგო გარემოსთა დიდროვანთა მთათაგან და შინაგან ღრმის ადგილობისა მიერ: „იხილე, რა ჭაა ადგილი ესე!“ (ქცა, IV, გვ. 770:15—24).

ოდიშიანათა

[...] არიან კაცნი და ქალნი შეენიერნი, არამედ იმერთაებრ არა ტანოვანნი, ჴორციანნი და მწითურნი, გულმწყრალნი მყისად და მსწრაფლნი, ბრძოლათა შინა იმერთაებრ ვერ ქებულნი, ბრძოლიდამ გაბრუნებით ქებულნი. სარწმუნოებითა, რჯულითა, და წესითა, და ქცევითა იმერთათა. სამწყსონი აფხაზეთის კათალიკოზისანი. ენით არიან — დიდნი და წარჩინებულნი ქართულის ენითა, არამედ აქუსთ თჳსიცა ენა, გარნა წამჴდარი ქართულივე, ვითარცა: ლმერთი — ღორონთი, ჩემი — ჩქიმი. და აქუსთ წიგნი ქართულივე და არა სხუა (ქცა, IV, გვ. 783:8—15).

აფხაზეთიანათა

[...] ხოლო კაცნი მგვანენი მეგრელთა და უმეტეს ცქჳტნი და ტანოვანნი, წერწეტნი, მპარავნი, ავაზაკნი, ზღუათა შინა მავალნი ოლეჭკანდარებითა, რომელთა შინა შთასხდებიან რ, ს და ტ, დაუჴდებიან ოსმალთა ნავთა და ლაზჭანთა და უფროსად ოდიშ-გურიასა. არამედ არიან ბრძოლასა შინა მდედრნი, მალ-ჰიმდრეკნი, ზღუასა შინა მაგარნი და ძლიერნი. სარწმუნოებით არიან ქრისტეანენი, არამედ არღარა რისა მეცნიერნი და ირიცხჳან, ვითარცა კერპნი, ვინაჲთგან არა დაჰფლვენ მკუდართა თჳსთა, არამედ მისითავე სამკაულ-ღარაღითა და შესამოსლითა შთასდებენ კუბოთა შინა და შესდგმენ ხეთა ზედა, და უკუეთუ შტვენს მკუდარი იგი ეშმაკისა მიერ, სწამთ განსუენებულად მერმესა მას. გარნა უწყიან ნათესაობა, ცოლი ერთი, მარხუა, აქუთ სასოება მღუდელთა ფრიად. არა იქმნებიან მათ შორის სიძვა, მრუშება, რამეთუ დასწუენ შემცოდეთა. უყუართ სტუმარი და პატივსა უყოფენ, და შეიწყნარებენ ფრიად. ენა საკუთარი თჳსი აქუსთ, არამედ უწყიან წარჩინებულთა ქართული. სხდებიან სკამთა ზედა და სჭამენ ტაბლასა ზედა. და არიან ერდგულნი ფრიად თჳსთა მეპატრონეთა და მორჩილნი მისნი (ქცა, IV, გვ. 785:17—786:12).

ხუანეთიანათა

[...] არამედ არიან კაცნი დიდ-ტანოვანნი, ახოვანნი, დიდ-მძლედ მუშაკნი, პართა შინა რაზმთა ვერ შემმართებელნი, მთათა სიმაგრეთა და ციხეთა შინა მაგარნი, სიკუდილის არა მომჴსენენი, [...] სარწმუნოებით არიან იმერთა თანა ქართულითა და უმეცარნი აწ მისნიცა. ენა თჳსი აქუსთ საკუთარი, გარნა უწყიან ქართულიცა. პირველად იყო ეგრისის საერისთო, შემდგომად დასუეს მეფეთა მისი ერისთავი, და აწ უვისთ გელოვანი, ვითარცა პატრონი მათი, და არიან თჳსად და არღარავის მორჩილებასა შინა (ქცა, IV, გვ. 788:16—24).

გურიანათა

[...] ხოლო კაცნი და ქალნი მგზავსნი იმერთა ზნითა, ქცევითა, სარწმუნოებითა, რჯულითა. სამწყსონი აფხაზეთის კათალიკოზისანი, შემოსილნი ეგრეთვე

და შუენიერებითაცა, არამედ უმეტეს კეკელანი და რბილნი, ენა-ტკბილმოუბარენი, უმეტეს წიგნის სიტყვით (მესხთაებრ), არამედ ქართულისავე ენისანი და არა სხვსა. ბრძოლასა შინა შემმართებელნი და იმერთა თანა ვერ შემდარენი, უქურდალნი, უავაზაკონი; ვითარცა ოდიშარნი, სტუმრის მოყუარენი და კეთილად შემწყნარენი, კეთილ-მგალობელ-მწიგნობარნი, მშჯდნი, არამედ მყის გულმწყრალნი (ქცა, IV, გვ. 793:9—16).

ჯ. კუკი

კუკი ჯეიმს (1728—1779) — გამოჩენილი ინგლისელი ზღვაოსანი, დედამიწის გარშემო სამი საზღვაო ექსპედიციის ხელმძღვანელი.

ჯ. კუკი დაიბადა 1728 წლის 27 ოქტომბერს იორკშირის საგრაფოს ხოფელ მარტონში, მოჯამაგირის ოჯახში. ითვლება, რომ მამამისი წარმოშობით შოტლანდიელი იყო, მრავალრიცხოვანი ოჯახის (9 შვილი) პატრონი. ყოველდღიურ მოჯამაგირეობას მისდევდა ყველა მისი ვაჟი სულ პატარა ახაკიდან და მათ შორის არც ჯეიმს კუკი უმცროსი ყოფილა გამონაკლისი. 8-დან 17 წლამდე ახაკში იგი მუშაობდა მემამულე ტომას სკოტონთან გრეიტ-აიტონში. მანვე გონებამახვილი ბიჭი მიაბარა ხოფლის სკოლაში, სადაც ჯ. კუკმა შეისწავლა წერა-კითხვა და არითმეტიკის ძირითადი წესები.

1740 წლიდან ჯ. კუკის ცხოვრება დაუკავშირდა საზღვაო საქმეს. ამ წელს მან სამწლიანი კონტრაქტით მოწაფედ დაიწყო სამსახური გემთმფლობელ ჯონ უოკერთან, იორკშირის პორტ უიტბიში. უოკერის გემებს ნორთუმბერლენდის ქვანახშირი გადაპქონდათ უიტბიდან ლონდონში. 1755 წლიდან ჯ. კუკი მოხალისედ შევიდა სამხედრო ფლოტში. თავდაპირველად იგი ჩაირიცხა „ნახწავლ მატროსად“ 60 ქვემეხიან გემზე „იგლ“, რომელიც პორტსმუტში იდგა. ერთი თვის შემდეგ დაინიშნა შტურმანის თანაშემწედ, ხოლო მომდევნო (1756) წლის დასაწყისში — ბოცმანად. „იგლის“ კაპიტანი იყო ჰიუ პალისერი, კუკის თანამემამულე და ინგლისის ფლოტის ერთ-ერთი მომავალი დიდი ჩინოსანი — 1760-იან წლებში იგი იყო სამეფო ფლოტის ინსპექტორი და გემთა პალატის უფროსი.

1757 წლიდან, როდესაც ჯ. კუკი დაინიშნა 64 ქვემეხიანი გემის „პემბროკის“ შტურმანად, 1768 წლამდე, იგი მონაწილეობდა სხვადასხვა სამხედრო ექსპედიციაში ჩრდ. ამერიკის კონტინენტზე, კანადაში, ნიუფაუნდლენდში და სხვ.

1762 წლის ბოლოს ჯ. კუკი მოკლე ხნით დაბრუნდა ინგლისში და ცოლად შეირთო, როგორც ჩანს, ადრიდანვე მისი დიდი ხნის ნაცნობი ელიზაბეტ ბატსი. ჯ. კუკის ბიოგრაფები საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ ე. ბატსმა ჯ. კუკის ბავაიზე 1770 წ. ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ იცოცხლა 50 წელი და გარდაიცვალა 1835 წელს.

1768 წელს, ჰ. პალისერის რეკომენდაციით, ჯ. კუკი, რომელიც თავისი საზღვაო საქმიანობით ცნობილი იყო როგორც საადმირალოს, ისე სამეფო საზოგადოებისათვის, დაინიშნა გემ „ინდეკრის“ უფროსად, რომელიც სამხრეთ ნახევარსფეროში იგზავნებოდა მზის დისკოზე ვენერას გავლის ასტრონომიული მოვლენის შესასწავლად.

ცხადია, სამეცნიერო ასტრონომიულ ამოცანებთან ერთად, ექსპედიციის

მიზანი იყო ახალი სამფლობელოების — კუნძულებისა და მიწების აღმოჩენა, გამოკვლევა და ბრიტანეთის იმპერიისათვის შეერთება.

ჯ. კუკმა და „ინდეკრის“ დაახლოებით 100 კაციანმა შემადგენლობამ, რომელთა შორის მეცნიერებიც — ასტრონომი, ნატურალისტი, ბოტანიკოსი და მხატვრებიც იყვნენ, ბრწყინვალედ განახორციელა დედამიწის გარშემო მოგზაურობა და 1771 წელს დაბრუნდა ინგლისში.

პირველი მოგზაურობის დროს ჯ. კუკმა პირველმა დაადგინა, რომ ახალი ზელანდია შედგებოდა ორი კუნძულისაგან, აღმოაჩინა დიდი ბარიერული რიფი და ავსტრალიის აღმოსავლეთი სანაპირო.

მეორე ექსპედიციის დროს, რომელიც განხორციელდა 1772—1775 წლებში გემით „რეზოლუშენ“, ჯ. კუკის მიზანი იყო სამხრეთ მატერიკის აღმოჩენა, ამ მიზნით მან მიაღწია სამხრეთ განედის 71°-მდე, მაგრამ ამაოდ.

მესამე ექსპედიციის დროს, რომელიც განხორციელდა გემებით: „რეზოლუშენ“ და „დისკავერი“, 1776—1779 წწ. ჯ. კუკმა გამოიკვლია წყნარი ოკეანის ჩრდილო ნაწილი და აქ მდებარე კუნძულები; კერძოდ, აღმოაჩინა ჰავაის კუნძულები და შეისწავლა ჩრდილო ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპიროები. 1779 წელს ოგი მოკლეს ჰავაელებმა.

ჯ. კუკი ეკუთვნის იმ მცურავიცხოვან მკვლევართა ჯგუფს, რომელთა სახელები ყველაზე ხშირად არის აღნიშნული გეოგრაფიულ რუკაზე; კერძოდ, დედამიწის სხვადასხვა ნაწილში არსებობს დასახლებული პუნქტი კუკი, კუკის მთა, კუკის სამი ყურე, კუკის კუნძულების ორი ჯგუფი, საზღვაო გასასვლელი კუკი, კუკის ხრუტე, კუკის კონცხი და კუკის საზღვაო უბე.

ჯ. კუკის ექსპედიციების დღიურების, მისი ანგარიშების გამოქვეყნება XVIII ს-ის 70-იან წლებში დაიწყო, ხოლო პირველი ექსპედიციის ანგარიშები, რომლებიც უშუალოდ ჯ. კუკის ჩანაწერებს ეყარებოდა, მხოლოდ 1955 წელს გამოქვეყნდა.

ქრესტომათიაში წარმოდგენილია ნაწყვეტი „ინდეკრით“ განხორციელებული პირველი ექსპედიციის ანგარიშიდან. ესაა იმდროინდელი სახელწოდებით მეფე გეორგის კუნძულის, ანუ თანამედროვე კუნძულ ტაიტის აღწერილობა.

კ. ტაიტი ერთ-ერთი ყველაზე ეგზოტიკური კუთხეა დედამიწაზე და მრავალმხრივ საინტერესოა ეთნოგრაფიული თვალსაზრისით მისი მოსახლეობის ყოფა და კულტურა. ამასთანავე, სხვასთან შედარებით, სწორედ მისი აღწერილობა აქვს ყველაზე დაწვრილებით ჯ. კუკს მოცემული.

ბიბლიოგრაფია

1) The journals of capitain James Cook on his voyages of discovery. The voyages of the „Endeavour“ 1768—1771, London, 1955.

2) Первое кругосветное плавание капитана Джеймса Кука. Плавание на „Индевре“ в 1768—1771 гг., М., 1960.

ლიტერატურა

1) Свет Я. М., Вступительная статья წიგნში «Первое кругосветное плавание капитана Джеймса Кука“, გვ. 5—48.

2) Магидович И. П., Магидович В. И., Очерки по истории географических открытий, III. Географические открытия и исследования нового времени (середина XVII—XVIII вв.), М., 1984, გვ. 269—294.

მეფე გეორგის კუნძულის აღწერა*

კუნძული, რომელსაც მკვიდრი მოსახლეობა ტაიტის უწოდებს, აღმოჩენილი იყო 1767 წლის 19 ივნისს მისი უდიდებულესობის გემის — „დელფინის“ კაპიტან უოლისის მიერ. უოლისისა და მისი ოფიცრების სასახელოდ უნდა ითქვას, როიალ-ბეის ყურის გრძედი მათ მიერ იმდენად ზუსტად არის განსაზღვრული, რომ ჭეშმარიტისაგან მხოლოდ $^1/_2$°-ით განსხვავდება, კუნძულის მოხაზულობა კი ზუსტია.

კუნძული მდებარეობს სამხრეთ განედის 17°29′ და 17°53′ და დასავლეთ გრძედის 149°10′ და 149°39′ შორის. პლანეტა ვენერას პატივსაცემად კუნძულს ვენუსის კონცხს უწოდებენ. პლანეტა ვენერას გავლა აქ შენიშნულია კუნძულის ჩრდილოეთ დაბოლოებაზე, რომელიც სწორედ დასავლეთ გრძედის 149°30′ დევს. ეს ციფრი ვენუსის კონცხზე ჩატარებული მრავალრიცხოვანი დაკვირვებების საშუალო მონაცემია. სანაპიროს გასწვრივ მიუყვება რიფებისა და მარჯნის კლდის კვალი, რომელიც წარმოქმნის რამდენიმე თვალწარმტაც უბესა და ყურეს, მათი ზომა და სიღრმე საშუალებას იძლევა დიდი გემების შესასვლელად.

ყურე როიალ-ბეი (მატავაი), რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა მატავის უწოდებს და სადაც ჩვენამდე „დელფინი“ იდგა, თავისი კეთილმოწყობითა და მდებარეობით არ ჩამოუვარდება სხვა ყურეებს. იგი ადვილად შეიცნობა მაღალი კლდით, რომელიც აღმართულია კუნძულის ცენტრში, მდებარეობს ვენუსის კონცხის სამხრეთით და წარმოქმნის ყურის აღმოსავლეთ კიდეს. ყურეში შემსვლელი უნდა გასცდეს არც ისე დიდი მარჯნის მეჩეჩს (სიღრმე აქ $2^1/_2$ საჟენია), ან უნდა დაიჭიროს მიმართულება ვენუსის კონცხის დასავლეთის რიფის კიდესთან ახლოს, ან ჩაუშვას ღუზა მისგან ნახევარი მილის მოშორებით. ღუზის კარგი გასაჩერებელი ყურის აღმოსავლეთი ნაპირია, სიღრმით 14—16 საჟენი, ფსკერი ქვიანია. მთელი სანაპიროს გასწვრივ გადაჭიმულია ქვიშის ზოლი. მის უკან ჩაედინება მდინარე. საწვავად შეიძლება ნაყოფიან ხეთა გამოყენება მხოლოდ ადგილობრივი მცხოვრებლების ნებართვით, თუ გსურთ მათთან მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნება.

ყურის დასავლეთით მდებარეობს რამდენიმე უბე, რომლებიც არ მიხსენებია, მაგრამ რუკაზე ადვილად შეიძლება მათი პოვნა.

კუნძულის ზედაპირი უსწორმასწოროა. აქა-იქ მაღლდება მთიანი ქედები, რომლებიც კუნძულის ცენტრისკენ მაღალ მთებში გადაიზრდება და ჩანს 20 ლიგის მანძილზე. სანაპირო თანაბარი ქვიშიანი ზოლია, აქა-იქ პირდაპირ

---

* წყაროდან: Первое кругосветное плавание капитана Джеймса Кука. Плавание на «Индевре» в 1768—1771 гг., М., 1960, с. 152—167.

ზღვასთან აღმართული ბორცვებით. ამ ზოლის სიგანე სხვადასხვა ადგილას განსხვავებულია, მაგრამ არსად არ აღემატება ერთნახევარ მილს.

კუნძულის ნიადაგი მდიდარი და მოსავლიანია. აქ ძალიან ბევრი ნაყოფიანი ხეა. მიწა ირწყვება ბორცვებიდან ჩამონადენი წყაროებით. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი დაბლობ ადგილებში ცხოვრობს არა დასახლებებად ან სოფლებად, არამედ გაბნეულია მთელ სანაპიროზე. მრავალრიცხოვანი ბორცვებისა და მთების მწვერვალები მოშიშვლებული და გამომშრალია მზისგან, თუმცა ზოგან აქაც გვხვდება დამუშავებული ნაკვეთები. მთიანი ხეობები მოსავლიანი და მჭიდროდ დასახლებულია.

კუნძულზე იზრდება პურის ხე, ქოქოსის პალმა, ბანანი პიზანგი, ბატატი, იამსი, ეგ-მელოა (მცენარე, რომელიც იძლევა გემრიელ ნაყოფს); შაქრის ლერწამი, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრნი უმად შეექცევიან; სახამებლის შემცველი ფესვები (ადგილობრივი მოსახლეობა მას პიას უწოდებს); ახი (თურქული ცერცვის მსგავსი რამ) — შემწვარი წაბლს გვაგონებს. საკვებად ხმარობენ აგრეთვე უარას (ანანასის მსგავსი) და ნანოს ხის ნაყოფს, გვიმრის ფესვებსა და ტევეს.

ამ სიმდიდრეს მიწა თითქმის მუქთად იძლევა, მინიმალური შრომის დახარჯვით. დალოცვილმა ბუნებამ მოსახლეობას უხვად მისცა ყველაფერი, რაც აუცილებელია ცხოვრებისთვის.

ზღვაში თევზი უხვადაა. თუმცა მათ დასაჭერად საჭიროა ამტანობა და შეუპოვრობა. თევზი ადგილობრივი მოსახლეობის საყვარელი საკმელია, უმადაც კი ჭამენ. ისინი აფასებენ ყველაფერს, რასაც ზღვა იძლევა; ჭამენ მოლუსკებს, კიბორჩხალებს, ზღვის მწერებს, ზღვის ჭინჭრად წოდებულ მედუზებსაც კი.

ადგილობრივმა მოსახლეობამ მოიშინაურა ღორი, ფრინველი და ძაღლი. გვასწავლეს ძაღლის ხორცის გამოყენება საკვებად. ზოგიერთი იმ დასკვნამდეც მივიდა, რომ ამ კერძს მხოლოდ ინგლისური ბატკანი თუ აჯობებდა. უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთის ზღვების ძაღლები ბოსტნეულით იკვებებიან. ბევრს ვერაფერს ვიტყვი იქაურ შინაურ ფრინველზე. ღორის ხორცი კუნძულზე არაჩვეულებრივია. მტაცებელი ცხოველები აქ არ არიან, გარეული ფრინველები ცოტაა, გვხვდება მათი მხოლოდ რამდენიმე სახეობა.

როდესაც რომელიმე ბელადი კლავს ღორს, მისი ხორცი თანაბრად ნაწილდება თანატომელებს შორის და რადგან ბევრნი არიან, თითოეულს ერგება ნამცეცი. ამიტომ მოსახლეობის მთავარი საკვები ბოსტნეულია, რაც დიდი რაოდენობით იხარჯება.

სამზარეულო ხელოვნება მათთვის უცხოა, მაგრამ ჩვენ ჯერ ცოტა ვიცით მის შესახებ. საშმელის მომზადების მხოლოდ ორი ხერხი აქვთ — ხარშავენ ან აცხობენ. მე ვფიქრობ, რომ საშველი მათ უფრო წვნიანი გამოსდით და უკეთ შემწვარი, ვიდრე ჩვენთან: განსაკუთრებით დიდი თევზი და პურის ხის ნაყოფი. პურის პიზანგებს ადგილობრივი მცხოვრებნი ხმარობენ როგორც კარტოფილს, ჩვენ კი პურის მაგივრობას გვიწევდა.

პურის ხის ნაყოფისაგან ამზადებენ ორ ან სამ კერძს შემდეგნაირად: ნაყავენ ქვის როდინში პასტისმაგვარი მასის მიღებამდე, რომელსაც შემდგომ აზავებენ წყლით ან ქოქოსის წვენით, ხანდახან ორივესთან ერთად; უმატებენ მწიფე ბანან-პიზანგებს, მეავე პასტას და ა. შ. უკანასკნელს ამზადებენ პურის ხის ნაყოფისაგან. როგორც გავარკვიე, ამ ნაყოფის სეზონი 8—9 თვეს გრძელდება. და რადგან იგი მოსახლეობის ძირითადი საკვებია, საჭიროა მისი მომა-

რაგება დარჩენილი თვეებისათვის. დამწიფების დასაწყის სტადიაში ნაყოფს კრეფენ, აცლიან კანს და აწყობენ გორებად, ზემოდან აფარებენ ფოთლებს. დუღილის შედეგად ნაყოფი რბილდება და ტკბება. აცლიან გულს, დარჩენილ ნაწილს ყრიან სპეციალურად ამოთხრილ ორმოში. ორმოს კედლები და ფსკერი სუფთად არის დაფარული ბალახით. ყველაფერ ამას ხურავენ ფოთლებითა და დიდი ქვებით. აქ მეორეჯერ ხდება დუღილი, რომლის შემდეგ ნაყოფი ხდება მომჟავო. ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, ასეთი სახით იგი ინახება 10—12 თვე. მისგან აკეთებენ ბურთებს (ამრგვალებენ), ახვევენ ფოთლებში და ამზადებენ ისე როგორც ნედლ ნაყოფს. ჭამენ ცხელი ან ცივი სახით, მომჟავოა, არასასიამოვნო გემოსი, ბოლო სტადიის შემდეგ ინახება ერთი თვე ან 6 კვირა. მოსახლეობა მას მახაის (მახის) უწოდებს.

უბრალო და ერთფეროვანი კერძის საკმაზად მარილიან წყალს ხმარობენ. არცერთი ადამიანი მაგიდასთან ისე არ დაჯდება, რომ არ დაიდოს მარილიანი წყლით ავსებული ქოქოსის კაკლის ნაჭუჭი. მასში აწყობენ საკვების ნაჭრებს, უმეტესად თევზს. ხანდახან ხელისგულზე ისხამენ და დიდი ყლუპებით ყლაპავენ, ზოგჯერ კი ნახევარ პინტასაც კი სვამენ ერთ ჯერზე.

მიღებულია ორი ადამიანის ერთად სადილობა. ქალები არასოდეს ჭამენ მამაკაცებთან ერთად. ძნელი ასახსნელია ასეთი უცნაური წესის არსებობა, რადგან ადგილობრივ მოსახლეობას უყვარს საზოგადოება, განსაკუთრებით კ ქალების. ხშირად, მაგრამ უშედეგოდ ვეკითხებოდით მათ ამის შესახებ. გვპასუხობდნენ, რომ ასე უნდა იყოსო და გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას, როდესაც ქალები და კაცები ჭამდნენ ერთად. ჩვენ ქალებს ხშირად ვთავაზობდით სუფრასთან დაჯდომას, მაგრამ არცერთი მათგანი მოწვევას არ იღებდა. ჩვეულებრივ ხუთნი ან ექვსნი მიემართებოდნენ მოსამსახურეების სადგომში და დიდი სიამოვნებით მიირთმევდნენ ყველაფერს, რასაც იპოვიდნენ. თუ ვინმე ჩვენთაგანი შეეიდოდა იქ, ისინი არ გრძნობდნენ უხერხულობას.

თუ ჩვენს საზოგადოებაში აღმოჩნდებოდა ერთი ქალი, ის ხალისით თანხმდებოდა ჩვენს მოწვევას, ოღონდ იმ პირობით, რომ არცერთი მისი თვისტომი არ გაიგებდა ამის შესახებ.

ამრიგად, რა მიზეზსაც არ უნდა გამოეწვია ეს უცნაური წესი, იგი დიდ გავლენას ახდენდა არა იმდენად კუნძულის მცხოვრებ ქალთა რწმენაზე, რამდენადაც მათ ქცევაზე.

მამაკაცები, როგორც წესი, მაღლები, ძლიერები და კარგი აღნაგობისანი არიან. ყველაზე მაღალი ადგილობრივი მცხოვრები, რომელიც ვნახე, 6 ფუტი და $3^1/_2$ დიუმი იყო. წარჩინებული ქალები მაღლები არიან, ვიდრე ჩვენი თვისტომის ქალები. ღარიბები ხშირად არც ისე დიდი სიმაღლისანი არიან. შეიძლება მათ ფიზიკურ განვითარებაზე მოქმედებს ადრეული სასიყვარულო კავშირები, რომლითაც ისინი უფრო ერთობიან, ვიდრე წარჩინებული ქალები.

მათ სხვადასხვა ელფერის კანი აქვთ — ღარიბებს, რომლებიც დროის უმეტეს ნაწილს ჰაერზე და მზეზე ატარებენ, მუქი ყავისფერი, არისტოკრატებს, რომელნიც უმეტესად სახლში სხედან, კანი იმაზე მუქი ფერის არა აქვთ, ვიდრე იმ ხალხს, რომლებიც დაიბადნენ ვესტ-ინდოეთში ან დიდი ხანია ცხოვრობენ იქ, ზოგიერთს კი ისეთივე ღია ფერის კანი აქვთ, როგორიც ევროპელ ქალებს.

თმები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ადგილობრივ მცხოვრებლებს შავი, უხეში და სქელი აქვთ — ქალებს ყურებამდე შეჭრილი, მამაკაცები კი სხვადასხვანაირად ატარებენ მათ: წარჩინებულები იზრდიან, ზოგნი იკრავენ კორ-

ტოხზე, ზოგნი მხრებამდე იშლიან. ღარიბ ხალხს და იმათ, ვისაც მუშაობაში ხელს უშლის გრძელი თმები (მაგალითად, მეთევზეებს, რომლებსაც ხშირად უხდებათ წყალში ყოფნა), ქალებივით მოკლედ აქვთ შეკრული. წვერის ნაწილს იგლეჯენ, რაც რჩებათ, წესრიგში აქვთ და სუფთად მოვლილი. ორივე სქესის წარმომადგენლები არ იჩერებენ თმებს იღლიის ქვეშ. როდესაც შეამჩნიეს, რომ ჩვენ ასე არ ვაკეთებთ, უსუფთაობად ჩათვალეს.

ყველას არაჩვეულებრივი თეთრი კბილები აქვს. უმრავლესობას მოკლე გაბრტყელებული ცხვირი და სქელი ტუჩები, მაგრამ ეს სახეს იერს არ უფუჭებს. სიარული შნოიანი აქვთ, ურთიერთობა უცხოელებთან და ერთიმეორესთან — ღია, თბილი და თავაზიანი. მოღალატეები არ არიან, მაგრამ აქვთ სხვა ნაკლი — ქურდობა. კადრულობენ, მოიპარონ ყველაფერი, რაც ხელში მოხვდებათ, თან ისე მარჯვედ, რომ ყველაზე გამოუსწორებელ ევროპელ ჯიბგირს ჯიბეში ჩაუსვამენ.

ძალიან სუფთები არიან როგორც ცხოვრებაში, ისე საჭმლის მომზადებაში. ჭამის წინ და ჭამის შემდეგ ყოველთვის იბანენ ხელ-პირს. დღეში სამჯერ — დილას, შუადღეს და საღამოს ბანაობენ სუფთა წყალში. ერთადერთი არასასიამოვნო თვისება ისაა, რომ ძალიან უყვართ ზეთი მანოე, რომელსაც იზელენ თმაში. იგი მზადდება ქოქოსის კაკლის, ტკბილი მცენარეებისა და ყვავილებისაგან; აქვს მძაღე სუნი, რაც მათი თმიდან იგრძნობა. ზიზღს იწვევს და გვაოცებს მათი ჩვეულება ტილების ჭამისა. ტილები კი მრავლად ჰყავთ. უმეტესად გავრცელებულია ბავშვებში და მდაბიო ხალხში, რადგან სავარცხლის უქმარისობის გამო არ შეუძლიათ პაპანაქება სიცხეში თავიდან მოიცილონ ეს სძაგელი მკბენარები.

კუნძულზე ცხოვრობენ ისეთი ადამიანებიც, რომელთა რიცხვი არც ისე დიდია, და რომლებსაც კანი ევროპელებზე თეთრი აქვთ, მაგრამ დაჭკრავენ მკვდრის ელფერი, როგორც თეთრი ცხენის ცხვირს. თვალები, წარბები, თმები და წვერები თეთრი აქვთ, ტანი — დაფარული თეთრი თმებით, კანი ლაქებიანი. ახლომხედველები არიან და თვალები ხშირად ეცრემლებათ. ყოველთვის არაჯანმრთელად გამოიყურებიან. სხვა თვისტომებისაგან უმოქმედობით გამოირჩევიან.

სამი თუ ოთხი კაცი შემხვდა ასეთი. ისინი ბებრები იყვნენ, ამიტომ გადავწყვიტე, რომ კანის ფერის სხვაობა შემთხვევითია და არ გადადის შთამომავლობით.

კუნძულზე მცხოვრებნი იტანჯებიან კეთრისა და ფუფხის მსგავსი დაავადებით, მაგრამ ცოტა გვხვდება ისეთი, რომელსაც ეს ავადმყოფობა გართულებოდა და მოესპო მათთვის სიარულის შესაძლებლობა. მე მგონია, ეს ავადმყოფობა გადადის შთამომავლობით, რადგან ვნახე ამ სენით დაავადებული დედა-შვილი.

ქალები და კაცები სვირინგებს იხატავენ სხეულზე. შავი საღებავი ისე ღრმად შეჰყავთ კანქვეშ, რომ იმის ამოყვანა შემდგომ შეუძლებელია. ზოგიერთს ახატია ადამიანების, ფრინველებისა და ძაღლების უხეში გამოსახულებები. უმრავლესობას ყოველი თითის სახსარზე გამოსახული აქვს Z ასოს მსგავსი ნიშანი. ხელებზე და ფეხებზე — წრეები, ნახევარმთვარეები და ა. შ. ნახატების ხარისხი და განლაგება თითქოს მთლიანად არის დამოკიდებული პატრონის ხასიათზე. საჯდომი ყველას შეღებილი აქვს სქელი შავი საღებავით, ზოგიერთს საჯდომზე გაცილებით ზემოთ, ქვედა ნეკნების დონეზე, ერთიმეორის ქვეშ, გამოსახული აქვთ რკალები სიგანით დაახლოებით 1/4 დუიმი. ისინი,

როგორც ჩანს, ძალიან ამაყობენ ნახატებით და ქალები, როგორც მამაკაცები, დიდი სიამოვნებით აჩვენებენ მათ.

საჭიროა აღიწეროს ტატუირების ხერხი. მურიეთ შავი საღებავი მზადდება ჭვარტლისაგან, რომელიც წარმოიშობა სანთლის ნაცვლად ხმარებული ზეთოვანი კაკლის წვის დროს. ხელსაწყო, რომლითაც საღებავი შეჰყავთ კანქვეშ, კეთდება ძალიან წვრილი ძვლის ან ნაჭუჭის ნაწილებისაგან, სიგანით მეოთხედიდან მთელ დუიმამდე, სიგრძით ერთი — ერთნახევარ დუიმამდე. მისი ერთი ბოლო წაწვეტებულია კბილისმაგვარად, მეორე — მიმაგრებულია სახელურზე. „კბილს“ ავლებენ შავ სითხეში და შემდეგ ჯოხის ჩქარი და მკვეთრი დარტყმით სახელურზე ისე ღრმად შეჰყავთ კანქვეშ, რომ ყოველ დარტყმაზე ჟონავს სისხლი. ამ ადგილას რამდენიმე დღის განმავლობაში იგრძნობა ტკივილი. ასე რომ, სვირინგის კეთება ძალიან მტკივნეული პროცედურაა, განსაკუთრებით დუნდულებისა. ამ ოპერაციაზე თანხმდებიან 12—14 წელს მიღწევის შემდეგ და ისიც მხოლოდ ერთხელ ცხოვრებაში.

ტანსაცმელს ადგილობრივი მცხოვრებნი ამზადებენ ტილოსა და ჭილოფისაგან. ქალების და კაცების ტანსაცმელი დაახლოებით ერთი თარგისაა. ეს არის ქსოვილის რამდენიმე ნაჭერი, რომელთაგან ერთი შემოხვეული აქვთ წელზე ორჯერ ან სამჯერ, ჩამოშვებულია წინ და უკან მუხლს ქვემოთ ქვედა ბოლოსავით. მეორე (ზოგჯერ ორი ან სამი ნაჭერი, სიგრძით 2—2½ იარდი) ჩამოკიდებულია მხრებიდან მკერდზე და ზურგზე და აქვს თავის გასაყოფი ადგილი. წელზე იჭერენ თხელი ტილოს გრძელ ქამარს. ხელების თავისუფლად სამოძრაოდ გვერდებზე ტანსაცმელს მუდმივად არ იმაგრებენ. ასეთი კაბით იმოსებიან მდიდრებიც და ღარიბებიც, მხოლოდ მცირეოდენნი დადიან ტანსაცმლის გარეშე, თუ არ ჩავთვლით ბავშვებს. ბიჭები 6—7 წლამდე და გოგონები 3—4 წლამდე დარბიან ადამ და ევას სამოსელში. ამ ასაკის შემდეგ იწყებენ იმ ადგილების დაფარვას, რაც აუცილებელია.

გარდა ზემოთ აღწერილი მოკაზმულობისა, უფრო შეძლებული ადგილობრივი მცხოვრებლები, განსაკუთრებით ქალები, იხვევენ ქსოვილს, რომლის სიგრძე 8—10 იარდია, სიგანე — 2—3. განცვიფრება შეიძლება, თუ როგორ შეუძლიათ ამ სიცხეში ასეთი ტანსაცმლის ტარება.

შედარებით ღარიბი ხალხი სიცხეში თითქმის შიშველი დადის. ქალებს აცვიათ მხოლოდ ქვედა ბოლო, ხანდახან — ისიც არა. კაცები ატარებენ თეძოებზე ჩამოკიდებულ ტილოს ნაჭრებს, რომელიც წინ და უკან აწეული აქვთ და წელზე დამაგრებული. მაღალი რანგის წარმომადგენლები ხშირად მთელ სხეულს იშიშვლებენ, გარდა იმ ნაწილისა, რასაც ყველა კაცი იფარავს.

მზისაგან სახეს იფარავენ ქოქოსის პალმის ფოთლებისაგან გაკეთებული ქუდით ან თხელი წნულით. შეიძლება შეხვდეთ დოლბანდჩამოფარებულებსაც.

ძალიან გავრცელებულია ვარცხნილობა, რომელსაც „ტომოუ“ ეწოდება. თმები ჩვეულებრივი ძაფის სისქის ნაწნავებად იწვნება. ქალები აერთებენ ხუთ ან ექვს ნაწნავს და იხვევენ თავზე. თუ ეს გემოვნებით არის გაკეთებული, შედეგი განსაცვიფრებელია. უყვართ საყურეების ტარება მხოლოდ ერთ ყურზე. სამკაულები კეთდება ნიჟარებისაგან, ქვებისაგან, წითელი ბარდის კენკრისაგან და არც ისე დიდი მარგალიტებისაგან. აცმულია სამი ერთ ძაფზე. თუმცა ჩვენმა მძიგებმა, ღილებმა და სხვა სამშვენისებმა გამოდევნეს მათი ჩვეულებრივი სამკაულები.

ჰამის შემდეგ და დღის ყველაზე ცხელ პერიოდში ადგილობრივი მცხოვრებლები ისვენებენ, განსაკუთრებით საშუალო ასაკის ადამიანები. შედარებით წარჩინებულნი, როგორც ჩანს, დროის უმეტეს ნაწილს ჰამასა და ძილში ატარებენ. გასართობი ძალიან ცოტა აქვთ. ძირითადი გასართობი მშვილდ-ისრით სროლაში და ჭიდაობაში შეჯიბრებაა. თავდაპირველად, ჩვეულებრივ, ბელადები ერთობიან. ისვრიან ერთ ბუხლზე დაჩოქილები. მე ვნახე კუნძულის ერთმა მცხოვრებმა როგორ ისროლა ისარი 274 იარდზე. ნასროლი მას არც ისე დიდ და განსაკუთრებულ მიღწევად მოეჩვენა.

არ შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივი მცხოვრებლები მუსიკალურები არიან. მათ აქვთ მხოლოდ ორი ინსტრუმენტი: ფლეიტა და დოლი. ფლეიტას 15 დუიმის სიგრძის ბამბუკის ღეროსაგან აკეთებენ სამი ნახვრეტით. ერთში უბერავენ ჰაერს ნესტოს დაჭერით, მეორეს აფარებენ მარცხენა ხელის დიდ თითს. ასეთი წესით იღებენ ოთხ ნოტს. ამ მელოდიით ისინი კმაყოფილდებიან ცხოვრების ყველა ვითარებაში. ამ ჰანგით მღერიან სიმღერებს, რომელიც, ჩვეულებრივ, შედგება ორი გარითმული სტრიქონისაგან.

სიმღერებს ადგილობრივი მცხოვრებლები მღერიან თავისუფალ დროს, განსაკუთრებით ბინდისას, ხის ჩარჩოზე წამოცმული ზეთის კაკლის ბირთვისაგან გაკეთებულ სანთლის შუქზე. სანთლებს საკმაოდ ნათელი შუქი აქვს. ანთებენ ერთი საათით, საღამოს. თუ სტუმრები ჰყავთ, სანთლის წვას მერეც აგრძელებენ.

დოლს ამზადებენ ხის ღრუ ნაჭრებისაგან, რომელზეც შემდეგ ჭიმავენ ზვიგენის ტყავს. ამ ინსტრუმენტზე ადგილობრივი მცხოვრებნი თითებით უკრავენ ხუთ ან ექვს მელოდიას და აკომპანირებას უკეთებენ ფლეიტას. დოლზე უკრავენ ხეივის დღესასწაულზე. ორი-სამი მედოლე, ამდენივე ფლეიტისტი და მომღერალი დადიან სახლიდან სახლში, სადაც მათ მასპინძლობს ოჯახის უფროსი, რომელიც თავისი შეხედულებისამებრ ჩუქნის ტილოს ნაჭრებს ან სხვა რამეს. ყოველ ოჯახში მუსიკოსები უკრავენ სამ-ოთხ საათს. ამ ხნის განმავლობაში სახლი სავსეა სტუმრებით, რომლებიც უდიდეს სიამოვნებას იღებენ წარმოდგენით.

8—10 გოგონა ცეკვავს, ჩემი თვალსაზრისით, უხამს ცეკვას, რომელსაც ტიმოროდი ეწოდება. ამასთან მღერიან თავისუფალი შინაარსის სიმღერებს, რასაც თან ახლავს სათაკილო ჟესტიკულაცია. ამგვარ „ხელოვნებას“ ბავშვობიდანვე აზიარებენ ნორჩებს. ცეკვისას ისინი რიტმულად მოძრაობენ. როცა მომწიფების ასაკს მიაღწევენ და მამაკაცს უკავშირდებიან, ისინი „ტიმოროდის“ აღარ ცეკვავენ.

უნდა გავიხსენო ისიც, რამაც დიდად განგვაცვიფრა. საქმე ეხება კუნძულელთა ზნე-ჩვეულებებს. თუმცა მე დარწმუნებული არა ვარ, რომ ყველა ირწმუნებს ასეთი არაადამიანური ჩვეულების არსებობას, რაც ეწინააღმდეგება ადამიანის ნატურის ყველა თვისებას. წარჩინებული ოჯახის წარმომადგენელთა უმეტესობა სიამოვნებას პოულობს თავისუფალ სიყვარულში, არ ღელავენ შედეგზე. თავისუფლად ამყარებენ კავშირს, ვისთანაც მოისურვებენ. ამის შემდეგ გაჩენილ ბავშვებს კი დაბადებისთანავე ახრჩობენ. ბევრი სიამოვნებას იღებს ამ კავშირიდან, ბავშვებს კი ხოცავენ. ისინი არც ფიქრობენ თავიანთი ცოდვის დამალვას და ყველაფერს აღიქვამენ, როგორც თავისუფლების ყველაზე ღირსეულ გამომჟღავნებას. ადგილობრივები მას არეიის უწოდებენ.

მე თვითონ არასოდეს დავსწრებივარ ასეთ სანახაობებს. დოქტორ მონტპაუზს კი საშუალება ჰქონდა ენახა ერთ-ერთი ასეთი შეკრება, რითაც დავ-

რწმუნდით იმის სიმართლეში, რასაც გვიამბობდნენ. არეოილები წარბშეუხრელად ყვებიან ყოველგვარ უხამსობას, რაც მათ დიდ სიამოვნებას გვრის. ერთგულება ქალებში მაინცდამაინც დიდი პატივი არ არის, განსაკუთრებით საშუალო ფენის წარმომადგენლებში. თუ ცოლი დაარღვევს თავის აღთქმას, უარეს შემთხვევაში შეიძლება ქმარმა ცემოს. მამაკაცები დიდი სიამოვნებით და მზადყოფნით სთავაზობენ უცნობებს ახალგაზრდა ქალებს, საკუთარ შვილებსაც კი, და გაოცებულნი რჩებიან, თუ უარყოფენ მსგავს მომსახურებას. ყველაფერი ეს კეთდება ანგარების მიზნით.

ადგილობრივი მოსახლეობის სახლი ანუ საცხოვრებელი გათვალისწინებულია თბილი კლიმატისათვის. მათ არა აქვთ არც სოფლები, არც დასახლებები. ერთმანეთისაგან მოშორებით ხეებს შუა დგას ქოხები, რომლებიც შენდება კედლის გარეშე. ასე რომ, ხის კრონებით გაციებული ჰაერი თავისუფლად აღწევს შიგ. მთელ დედამიწაზე ვერ ნახავთ სასეირნოდ ასეთ თვალწარმტაც ადგილებს. დაბლობში, სადაც თავმოყრილია ძირითადი მოსახლეობა, ხან აქ, ხან იქ მოჩანს პურის ხეების და ქოქოსის პალმების ჭალები. ადგილები ყველა მიმართულებით იკვეთება ბილიკებით, რომლებიც ერთი სახლიდან მეორე სახლამდე მიემართება. არაფერი არ არის ისეთი სასიამოვნო, როგორც ამ ტყეების სიმწვანე და კლიმატი თავისი ცხოველმყოფელი მზით.

შენობები წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმისაა. სახურავი ეყრდნობა სამი რიგის ბოძებსა და ხიმინჯებს. გადახურულია პალმის ფოთლებით. საშუალო ზომის სახლის სიგრძე აღწევს 24 ფუტს, სიგანე კი 12 ფუტს. ყველაზე დიდი სიმაღლე 8—9 ფუტია, ლავგარდანის სიმაღლე — $3^1/_2$—4 ფუტი. იატაკზე დაგებულია მშრალი ბალახის ფენა, რომლის სისქე რამდენიმე დუიმია. ზემოდან დაყრილია ჭილოფები, რათა მოსახერხებელი იყოს დასაჯდომად. მხოლოდ რამდენიმე სახლშია ტაბურეტი, მაგრამ იგი განკუთვნილია მხოლოდ ოჯახის უფროსისათვის.

სახლში ოთახები არ არის, არც ტიხარია. ყველა ერთად ცხოვრობს და ერთად სძინავთ. ცოლ-ქმარი წვანან ერთად, უცოლო კაცები და გაუთხოვარი ქალები კი ერთმანეთისაგან მოშორებით.

მრავალი ბელადი განცალკევებულად ცხოვრობს. მათ გადასატანი კარვები აქვთ, რომლებსაც წყალში მოგზაურობის დროს დგამენ კანოეზე. კედლები ქოქოსის პალმის ფოთლებისგანაა გაკეთებული.

მე უკვე აღვნიშნე, რომ ადგილობრივი მოსახლეობა სახლს აშენებს კედლის გარეშე. ზოგიერთები კი კედელს ბამბუკის თხელი ღეროსაგან წნავენ, რომელიც ადვილად ატარებს ჰაერს. ჭილოფი, რომელზეც დღისით სხედან, ღამე ლოგინად აქვთ გამოყენებული, ტანსაცმელი — გადასაფარებლად, ხის დაბალი ტაბურეტი, კუნძი ან ტანსაცმლის ბოხჩა — ბალიშად.

კუნძულის ყოველ ნაწილში არის ორი-სამი შენობა, რომლის სიგრძე 200 ფუტია, სიგანე — 30, სიმაღლე — 20. ეს შენობა იგება კუნძულის ყველა მცხოვრების ერთობლივი შრომით. შენობებს კედლები არა აქვთ. სახლის ერთ მხარეს ეკვრის დიდი მოედანი, რომელიც შემოვლებულია დაბალი მესერით.

კუნძულელთა კანოე ან პროე ძალიან ვიწროა; მათგან ყველაზე დიდი, სიგრძით 60—70 ფუტია. კანოე შედგება რამდენიმე ნაწილისაგან: ფსკერი მრგვალია, გაკეთებულია 3 დუიმის სისქის ამოთლილი მორისაგან (ძირი შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე ნაწილისაგან); ასეთივე სისქის ფიცრისაგან გაკეთებული გვერდები იდება თითქმის პერპენდიკულარულად და ოდნავ იღუნება შიგნით პლანშირისაკენ. მორები, რომლებზედაც მაგრდება ფიცარი, კარ-

ად არის მორგებული, დამაგრებულია ან შეკრულია ლაფნით. კიჩოს ყველაზე ფართო ნაწილი 18—20 დუიმია, ცხვირი სამჯერ ვიწროა. სიმაღლე ფსკერიდან პლანშირამდე ზოგჯერ 2½ ფუტს აჭარბებს.

ადგილობრივი მცხოვრებლები კანოეს აკეთებენ მაღალი, ჩუქურთმით შემკული, მოღუნული კიჩოთი, ოდნავ გრეხილ ან სწორცხვირიანს. უფრო პატარა კანოეს აკეთებენ ასე: ზოგიერთი — ერთი, ორი ან რამდენიმე ხისაგან, მისი ზომისა და დანიშნულების შესაბამისად. სიმყარისათვის ყველა ერთკაციანი კანოე, როგორც დიდი, ისე პატარა, აღჭურვილია სპეციალური მოწყობილობით — საპირწონით. იგი შედგება რამდენიმე ფიცრისაგან, რომელიც დამაგრებულია პლანშირზე და გამოშვერილია ერთ-ერთ გვერდზე 6—10 ფუტით, კანოეს ზომის მიხედვით. ფიცრის ბოლოებზე კანოეს პარალელურად მიმაგრებულია გრძელი მორი (ხანდახან მორს აძლევენ კანჯოს ფორმას); იგი წყალშია მოთავსებული და იცავს კანოეს წონასწორობას.

იალქნიან კანოეს საპირწონეებს უკეთებენ ანძის ორივე მხარეს, მასზე ამაგრებენ ვანტებს. ძლიერი ქარის დროს ისინი ეხმარებიან გემს გაწონასწორებაში. პროეს ერთი ან ორი ანძა აქვს; უკეთდება დაწნული იალქანი, რომელიც ზემოთ ვიწროვდება, ქვემოთ კი ფართოვდება. კანოეს იალქნები გვაგონებს საომარი კატერებისა და კანჯოს ოდნავ დამრეც იალქანს.

ზემოთ აღვნიშნე, რომ ერთკაციანი კანოე აღჭურვილია საპირწონით, ორკაციანისათვის (ასეთები კი ძალიან ცოტაა) არ არის აუცილებელი. ორი კანოე, განლაგებული პარალელურად 3—4 ფუტის მანძილზე, ერთმანეთს უკავშირდება განივად გადებული არც თუ ისე დიდი შორებით და მიმაგრებულია პლანშირზე. ამრიგად, ერთი გემი აკავებს მეორეს და მათ არ ელოდება ამოყირავების საფრთხე.

როგორც ჩანს, ადგილობრივი მცხოვრებნი ასევე აგებენ დიდ პროესაც. ზოგიერთ მათგანზე ერთდროულად შეიძლება დაეტიოს ბევრი ხალხი. ბამბუკისაგან ან სხვა მრატე ხისგან გემის მთელ სიგრძეზე აგებენ განსაკუთრებულ პლატფორმას, რომლის სიგანე მნიშვნელოვანწილად აღემატება პროეს სიგანეს. მე მხოლოდ ერთი ასეთი ნავი ვნახე.

ორმაგი პროეს ცხვირზე აწყობენ მოედანს, რომლის სიგრძე 10—12 ფუტია, სიგანე კი 6—8. სქელი ბოძები სახიანი ჩუქურთმებით იკავებს მას პლანშირის ზემოთ 4 დუიმის სიმაღლეზე. ბრძოლის დროს (დიდი კანოე, როგორც გავიგე, უმთავრესად ამ მიზნისათვის იგება) მოედანზე ხელკეტიანი მეომრები განლაგდებიან; მტრებს ებრძვიან ხელკეტებით, ესვრიან შუბებს და ქვებს. მე წყალზე მხოლოდ ერთი ასეთი კანოე ვნახე, დანარჩენი გამოტანილი იყო ნაპირზე და უკვე დაწყებული ჰქონდათ ჩხარვა. კუნძულზე ასეთი კანოე არც ისე ბევრია.

ბელადები და წარჩინებულები ერთი კუნძულიდან მეორეზე პატარა ორმაგი კანოეთი გადადიან, რომელზედაც არის პაპანაქებისაგან დამცველი კარვები და ღამის თავშესაფარი. გადაადგილების ეს ხერხი ძალიან მოსახერხებელია, განსაკუთრებით კუნძულებზე, რომელიც შემოფარგლულია რიფებით, როგორიც ტაიტია. თუ ნავში წყალი შევიდა, ადგილობრივ მცხოვრებთ შეუძლიათ რიფების მახლობლად გაჩერება.

ადგილობრივ მცხოვრებთ აქვთ სხვა სახის კანოეც, რომელსაც პახის უწოდებენ. ისინი განსხვავდებიან ზემოთ აღწერილი ნავებისაგან, მაგრამ მთელ კუნძულზე ასეთი მხოლოდ ექვსი ვნახე. ეს ნავები იქ არ იგებოდა. ორი ყვე-

ლაზე დიდი „პახი“ სიგრძით 76 ფუტი იყო, თანაც ცურვისას ორივე „პახი“ მაგრდებოდა.

პახის ცხვირი და კიჩო ვიწროა, შუა ნაწილი — ფართო, ფსკერი — ხეერ-ხემალთან წაწვეტებული, გვერდები — გამობურცული, ქიმები — მკვეთრად ჩავარდნილი პლანშირამდე. ისინი აგებულია სქელი ფიცრებით და შეერთებული შპანჰოუტებზე, რომლებიც არა აქვს კანოეს. კიჩო მაღალი და ჩუქურთმებიანია, ოდნავ მოკაუჭებულ ცხვირსა და კიჩოზე ჰოთავსებულია ადამიანთა ხის ფიგურები. სრულყოფილებით ოდნავ ჩამორჩებიან იმ ხის ფიგურებს, რომლებსაც აკეთებენ ინგლისის მეჩუქურთმეები. მიუხედავად პრიმიტიული იარაღებისა, არ შეიძლება არ აღფრთოვანდე მათი ოსტატობით. ისინი იყენებენ პატარა ხანჯლებს და მაგარი ქვის პატარა ნაჯახებს, ადამიანის ძვლისაგან (ჩვეულებრივ, წინამხრის ძვლისაგან) გაკეთებულ სატეხებს. ამ არასრულყოფილი ინსტრუმენტებით (ევროპელებს ყოველთვის ჰგონიათ, რომ ისინი დაიმტვრევიან პირველი დარტყმისთანავე) ადგილობრივი მკვიდრნი საოცრად სწრაფად მუშაობენ. ნაწარმს აპრიალებენ წვრილი მარჯნის კირით. ამისათვის იყენებენ •გრეთვე წყალში გაზავებულ ქვის წვრილ ნატეხებს. ზედაპირს ამუშავებენ ნიჟარებით.

მორთულობის მიზნით კანოეს ანძაზე ბუმბულის ალამს აღმართავენ. დიდ და პატარა კანოესა და პროეს კუნძულელები მართავენ ნიჩბებით და ძალიან ოსტატურადაც, მიუხედავად იმისა, რომ ეს პატარა გემები ძალიან მოუხერხებელი და არასაიმედო ჩანს, ჩემი აზრით, სწორედ ამ გემებით აწარმოებენ ადგილობრივი მკვიდრნი შორეულ მოგზაურობებს.

კუნძულზე მცხოვრებთა საბრძოლო იარაღი ზღვასა და ხმელეთზე არის ხელკეტები, ისრები ან შუბები, შურდულები და ქვები. 8—9 ფუტის სიგრძის ხელკეტები გაკეთებულია მაგარი ხისაგან; ერთი ბოლო ბრტყელია, ორი პირცვეთ, მეორე — მრგვალი, ნაკლებ მსხვილი, ხელში მოხერხებულად დასაჭერად. ისრები სიგრძით 12—30 ფუტისაა, ისრისპირს სკაროსის შხამი აქვს წასმული და სასიკვდილოა. ადგილობრივ მცხოვრებთ აქვთ აგრეთვე მშვილდ-ისარი, ამასთან, არც ისე ცუდი, მაგრამ გვითხრეს, რომ მათ არასოდეს იყენებენ შეტაკებისას. არ ვიცი, ეს რით აიხსნება.

ატარებენ ძალიან საინტერესო ნაქსოვ წინსაფრებს, ტირიფის, ჭილოფის და ა. შ. ნაჭრებისაგან გაკეთებულს და გემოვნებით გაფორმებულს: ზვიგენის კბილებით, ბარგალიტის ნიჟარებით და ძაღლის ბეწვით.

ახლა გიამბობთ ქსოვილის დამზადების წესის შესახებ: ჩემი აზრით, ეს ერთადერთი ხელობაა, რომელიც იმსახურებს აღწერას. ვვარაუდობ, რომ ადგილობრივები ქსოვილს ამზადებენ ხის ქერქისაგან; საუკეთესოს — ამ მიზნით სპეციალურად მოყვანილი მცენარისაგან. დოქტორი სოლანდერი თვლის, რომ ამ მცენარის ქერქისაგან ჩინელები აკეთებენ ქაღალდს.

როცა მცენარე სიგრძით 6—8 ფუტს მიაღწევს, მას ჭრიან (ღერო ცერა თითის ან უფრო მეტი სისქისაა). მცენარეს გარკვეული დროით დებენ წყალში, რის შემდეგაც ქერქი ადვილად ძვრება. ზედაპირს ფხეკენ ხორკლიანი ნიჟარებით; ქერქის გრძელი ბოჭკოები ემსგავსებიან სელის დახეულ ძონძებს. ამ ნაწილებს აწებებენ ძირ-ძურების შედედებული წვენით. მიიღება 1 იარდის სიგანის და 6, 8 ან 10 იარდის სიგრძის ნაჭრები, ქსოვილის დანიშნულების მიხედვით. შემდეგ მას ამუშავებენ ხის საბეგველით სწორკუთხა გრძელ ჯირკზე მანამ, სანამ არ მიიღებენ სასურველ სისქეს. ამასთან, ქსოვილს მუდმივად ანელებენ.

საბეგველა მზადდება მაგარი ხისაგან, აქვს სწორკუთხა კვეთი, სიგრძით ერთ ფუტამდეა (მრგვალი ტარის ჩათვლით). ყოველი წახნაგის სიგანე 3—4 დუიმია. წახნაგები სხვადასხვა ზომაზეა ჩაღრმავებული, რის წყალობით ნაჭერი ძაფით მოქსოვილს ემსგავსება. ვგონებ, ჩაღრმავებები ამცირებენ ნაჭერზე დარტყმის ძალას, რადგან ხშირად მასზე ჩნდება ხვრელები, რომელიც ერთ ადგილზე უფრო თხელია, ვიდრე მეორეზე. ამას ასწორებენ მცირე ბებკის დაკერებით, ისე რომ, არ შეიცვალოს ქსოვილის საერთო ქარგა.

მზეზე გამოთეთრებული საუკეთესო ნაჭერი ხარისხით კარგ ბამბეულის ქსოვილს უახლოვდება. განსაკუთრებით მაღალი ხარისხის სქელი ნაჭერი მიიღება, როცა ორ ან მეტ სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ თხელ ნაჭერს აწებებენ. უხეში, მკვრივი და ჩვეულებრივი თხელი ქსოვილი მზადდება პურის ხის ქერქისაგან, მაგრამ ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ ზოგჯერ სხვა ხეების ქერქსაც ხმარობენ.

ქსოვილის დამზადებით დაკავებული არიან მხოლოდ ქალები, ამასთან, ნებისმიერი საზოგადოებრივი მდგომარეობის ქალები. ქსოვილის ჩვეულებრივი ფერებია: წითელი, ყავისფერი, ყვითელი. ეს ჭილოფები ბევრად ჯობია ევროპელების მიერ გაკეთებულ ჭილოფებს; კუნძულელები მასალად იყენებდნენ პალმის ფოთლებს.

კუნძულზე შეიძლება შეხვდე ორ-სამ მცენარეს, რომლისგანაც წნავენ ბაგირს, კანოეს და ა. შ. აღკაზმულობისათვის. ბადეების უფრო წვრილი თოკებისათვის საჭიროა ხის ქერქი ან „აბრეშუმის ბალახის“ განსაკუთრებული სახე. ხარისხით ეს ბადეები გაცილებით სჯობია ჩვენსას. ანკესებს ადგილობრივნი ამზადებენ მეტად საინტერესო ხერხით კუს ბაკანისა და მარგალიტიანი ხამანწკის ნიკარებისაგან. მახეს წნავენ უხეში ღეროსაგან, მას გადახლართავენ და აძლევენ 60—80 საჟენი სიგრძის დიდი ტომრის ფორმას. მახეს აგდებენ წყალში. ტომრის წონა ამოტივტივების საშუალებას არ იძლევა და უმცირესი თევზიც ვერ აცდება მას.

მთელი კუნძული იყოფა ორ ოლქად ან ორ სამეფოდ, რომლებიც ერთმანეთს ხშირად ეომებიან. ყოველ სამეფოში არის უფრო პატარა ოლქები, რომლებსაც მცხოვრებნი ვენუას უწოდებენ. თითოეულ სამეფოს სათავეში უდგას ერი-დე-ხი, ან უხუცესი (ჩვენ რომ მეფეს ვუწოდებთ), ვენუას სათავეში კი — ერი ან ბელადი. სამეფო ხელისუფლება, როგორც ჩანს, მეტად შეზღუდულია. მეფეს პატივს სცემენ როგორც მამას, მისი შიში არა აქვთ. შეიძლება იგივე ითქვას სხვა ბელადებზეც, თუმცა მათ გარკვეული უპირატესობა აქვთ დანარჩენ თვისტომებზე, რომლებიც ნებაყოფლობით ემორჩილებიან მათ.

საერთოდ ადგილობრივი მცხოვრებნი თავისუფლების ყველაზე სრული ფორმით სარგებლობენ. თითოეული საკუთარი საქციელის განმკითხავია და სიკვდილის გარდა სხვა სასჯელი არ იცის და იმასაც მხოლოდ მტრები ექვემდებარებიან. მოსახლეობა იყოფა სამ რანგად: ერი ანუ ბელადები, მანახუნა — საშუალო ფენა და ბოლოს ტოუტოუ — საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი, რომელსაც მიეკუთვნება მთელი უბრალო ხალხი. ეს უკანასკნელნი დამოკიდებულნი არიან ერიზე, რომლებიც მანახუნასთან ერთად ფლობენ მიწის უმეტეს ნაწილს (თითქმის მთლიანად). მიწა ოჯახში გადაეცემა შთამომავლობით. როგორც კი დაიბადება ბავშვი, ის იღებს ტიტულს და ქონებას, მაგრამ ვიდრე ბავშვები — გოგო ან ბიჭი —პატარები არიან, ძალაუფლება მამის ხელშია.

ქვემოთ კი, ჩემი დღიურების სახით, მინდა მოგაწოდოთ ყველა ცნობა, რისი შეკრებაც შევძელი ხალხისგან, რომელნიც მრავალი ათასწლეულის

განმავლობაში თითქმის მთლიანად იყენენ მოწყვეტილნი დანარჩენი მსოფლიოსაგან.

ადგილობრივებს სწამთ უზენაესი ღვთაება, რომელსაც ტანეს უწოდებენ. დაბალი საფეხურის ღმერთები — ეტუა, — კუნძულელთა აზრით, მართავენ ხალხს და ერევიან მათ საქმეებში. ეტუას მსხვერპლად სწირავენ ღორებს, ძაღლებს, თევზებს, მოსავალს და სხვ. ნამდვილი ან მოსალოდნელი საფრთხის დროს შესთხოვენ დახმარებას. ასე იქცევიან კუნძულის ბინადარნი ხანგრძლივ მოგზაურობაში წასვლისას, ავადმყოფობისას და ა. შ. თუმცა მე არ ვიცი, რა ცერემონიას ატარებენ ამ დროს.

მორი (მორაე) ნაგებობაა, რომელიც ჩვენ თავდაპირველად დაკრძალვის ადგილად მივიჩნიეთ, სინამდვილეში რელიგიური ცერემონიის ჩასატარებელი ადგილი ყოფილა. შესაწირავს დებდნენ 8, 10 ან 12 ფუტის სიმაღლის ბოძებზე. ჩვეულებრივ, სამსხვერპლო კეთდება პალმის ფოთლებისაგან. სამსხვერპლოს ყოველთვის არ ათავსებდნენ ტაძრებში. ხშირად მათ ათავსებდნენ ტაძრებისაგან ცოტა მოშორებით.

როგორც ჩანს, მორაე, ისე როგორც საფლავები, წმინდა ადგილებია. ქალები არასოდეს არ შედიან ტაძარში, თუმცა საფლავის მონახულების უფლება აქვთ. ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ საფლავებზე დადებული საკვები, როგორც მე ამიხსნეს, მიეკუთვნება არა განსვენებულებს, არამედ ღმერთს — ეტუას, რომელიც, თუ საკვებს არ მიუტანენ, გაანადგურებს არა მარტო სხეულს, არამედ სულსაც არ დაინდობს (ადგილობრივებს სჯერათ საიქიოში მიზღვეული სასჯელის, რომელიც ელოდება ადამიანს).

ზოგიერთ ადგილას ჩვენ ვნახეთ რამდენიმე მცირე ნაგებობა, რომელიც იდგა ცალ-ცალკე და განკუთვნილი იყო ეტუას მსხვერპლშეწირულობისათვის. იქვე იდო ქსოვილის ნაჭრები, საჭმელი და ა. შ. ვფიქრობ, ქსოვილის გამოყენებამდე ადგილობრივი მცხოვრებნი მის ნაწილს ეტუას სწირავენ, ასევე საკვებს. ეს ჩვეულება არც ისე გავრცელებულია ხალხში, რადგან ასეთი შენობები ძალიან ცოტაა. როგორც ჩანს, ამ წეს-ჩვეულებას ასრულებდნენ მხოლოდ ქურუმები ან განსაკუთრებით რელიგიური ოჯახები.

ქურუმების ხსენებაზე ვიტყვი იმას, რომ ის ხალხი, ვინც ამ რელიგიურ ფუნქციებს ასრულებს (მათ მიეკუთვნება აგრეთვე ტუპიაც), არც ისე დიდ პატივშია და თავისი პროფესიით თავს ვერ გაიტანს. ყოველივე ეს მაფიქრებინებს, რომ ისინი რელიგიის არცთუ დიდად ერთგულები არიან.

ხანდახან ქურუმები მკურნალები არიან. მათი, როგორც მკურნალის, ფუნქცია დაიყვანება რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულებამდე ავადმყოფის სარეცელთან. ადგილობრივი ღვთისმსახურები გვირგვინით ამკობენ ერიდე-ხის ანუ მეფეს და, როგორც ჩვენ გადმოგვცეს, კორონაციას თან ახლავს მრავალრიცხოვანი მდიდრული ცერემონიები. ამ დღესასწაულის შემდეგ მთელი დღის განმავლობაში თითოეულს შეუძლია ისე მოექცეს მეფეს, როგორც მოესურვება.

კიდევ ერთი ჩვეულება, რომელიც ტარდება დასაფლავებისას ან მის შემდეგ, ჩვენს ზღვაში გასვლამდე ცოტა ხნით ადრე გარდაიცვალა ტუბოურატომიტის ნათესავი მოხუცებული ქალი. იგი დასაფლავეს ჩვეულებრივი წესით. რამდენიმე საღამოს ერთ-ერთი მისი ნათესავი ირთვებოდა საოცარი კაბით, რომლის აღწერა ძალიან რთულია. ზოგადი წარმოდგენა რომ იქონიოთ ამ ჩაცმულობის შესახებ, უნდა წარმოიდგინოთ ადამიანი ბუმბულებისაგან

გაკეთებულ ტანსაცმელში, რომელიც რამდენადმე წააგავს შოფარდაგებულ დროგსა და ცხენებს, რომლებიც მიყვება ლონდონში დამკრძალავ პროცესიას. გაკეთებულია დიდი ხელოვნებით თეთრი ქსოვილისა და შავი და თეთრი ბუმბულისაგან, შემკულია ნიყარებით ფარავს სახესა და ტანს კანჭის შუამდე, ზოგჯერ უფრო გრძელია. შესახედავად არა მარტო დიდებულია, არამედ შიშის მომგვრელიცაა. ადამიანი ასეთი მორთულობით გარეთ გამოდის მზის ჩასვლის დროს, ორი-სამი ხელკეტით შეიარაღებული კაცის ან ქალის თანხლებით, რომელთაც სახე და ტანი მურით აქვთ შეღებილი. ისინი ჩნდებიან ხან აქ, ხან იქ, დაახლოებით ერთი მილის მანძილზე. ყველა შემხვედრი გაურბის მათ, როგორც სახლის სულს და ვერავინ ბედავს მათთან შეხვედრას. არ ეიცი რატომ ტარდება ეს ცერემონია, რომელსაც ხეივას უწოდებენ, ისევე როგორც ადგილობრივ მცხოვრებთა გასართობების უმეტესობაც.

დროის აღრიცხვას ისინი აწარმოებენ მთვარის მიხედვით, რომელსაც მალამას (მარამი) უწოდებენ. ვარაუდობენ, რომ ყოველი მთვარის თვე 30 დღეა. ორი დღის განმავლობაში იგი მკვდარია ან, როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი უწოდებენ — მატე. ეს სწორედ ახალი მთვარის დაბადების დროა, რომლის დანახვა ჯერ შეუძლებელია. დღეს ყოფენ მცირე მონაკვეთებად, თითოეულს არანაკლებ ორ საათად.

ანგარიშს აწარმოებენ ერთეულებით, ათეულებით და ასე ორასამდე. თვლის დროს ხრიან თითებს და გადადიან ერთი ხელიდან მეორეზე მანამ, ვიდრე არ მივლენ სასურველ ციფრამდე. თუ ციფრი ძალიან დიდია, იყენებენ ფოთლის ნაგლეჯებს. საუბრისას ხშირად მიმართავენ ჟესტებს და იმდენად კარგად, რომ უცხოელი სწრაფად ხვდება, რასაც ეუბნებიან.

კვლავ დავუბრუნდეთ კუნძულის აღწერას. მიუხედავად იმისა, რომ გულუჩვი ბუნებაა, აქ არაფერი იწარმოება ისეთი, რაც შეიძლება დიდ ფასეულობას წარმოადგენდეს ან ვაჭრობის საგანი გახდეს. კუნძულის მნიშვნელობა ამ ზღვაში გამავალი გემების მარაგის შევსებაა, ამასთან, ეს შესაძლებლობები უფრო გაიზრდებოდა, თუ აქ შეიყვანდნენ რქოსან საქონელს და შეიტანდნენ ბოსტნეულს. მაგალითად, გოგრა კარგად შეეგუა ადგილობრივ ნიადაგს. მისი თესლი, შესაძლოა, ესპანელებმა შემოიტანეს. კუნძულზე ჩვენ დავთესეთ საზამთრო და მუსკატის ნესვი. თესლი აღმოცენდა და მცენარე სწრაფად წავიდა სიმაღლეში. ჩვენ თესლი მივეცით ზოგიერთ მცხოვრებს, აგრეთვე ანანასის თესლი და დარწმუნებული ვარ, რომ ეს მცენარეები აქ გაიხარებენ. ჩამოსვლისთანავე ჩვენ დავთესეთ ინგლისური ბაღის ბალახებისა და მარცვლოვანის ყველა სახეობა, მაგრამ მათ არ იხარეს. გამონაკლისი მხოლოდ მდოგვის მარცვალი იყო. მაგრამ ეს მოხდა არა მიწისა და კლიმატის უვარგისობის, არამედ თესლების ცუდი ხარისხისა და ხანგრძლივი ტრანსპორტირების გამო.

მიუხედავად იმისა, რომ კუნძული ტროპიკებშია მოთავსებული, სიცხე არ არის დამაუძლურებელი. გარდა ამისა, მუდმივად ქრის აღმოსავლეთის ქარი თუმცა ხშირად იცვლის მიმართულებას. ზოგჯერ 2—3 დღის მანძილზე ქარი SW-დან ქრის, უფრო იშვიათად NW-დან, მაგრამ თუ არის კიდეც ცვალებადი ქარი, ყოველთვის SW ან WSN-დან ახლავს ჰავლი. ჩვეულებისამებრ იგივე ხდება წყნარ ამინდშიც. როცა ამინდი ღრუბლიანია, ქრის გარდამავალი ან დასავლეთის მიმართულების ქარი ზღვიდან. მდგრადი პასატისას[1] ყოველთვის მზიანი ამინდია.

აღმოსავლეთ პასატის ზოლში დასავლეთის ქარები უჩვეულო მოვლენაა

[1] პასატი — ტროპიკული ქარი, რომელიც ქრის სუბტროპიკული სარტყლებიდან ეკვატორისაკენ.

და უწინ ზღვაოსნები ფიქრობდნენ, რომ ისინი გამოწვეული იყო ხმელეთის ფართო მასივის სიახლოვით. მე სხვანაირი აზრისა ვარ. „დელფინისა“ და ჩვენ მიერ დადგენილი იყო, რომ პასატების მოქმედება ამ განედებში არ ვრცელდებოდა 20°-ის სამხრეთით, უფრო სამხრეთით კი უბერავს დასავლეთის ქარი. ამიტომ გონივრული იქნებოდა გვევარაუდა, რომ უკანასკნელნი თავისი ძალით ახშობენ და უკუაგდებენ აღმოსავლეთის ქარებს და ამით იწვევენ გარდამავალი მიმართულების ქარებს და რხევებს SW-დან.

ცნობილია, რომ თავისი ქმედების ზღვარის მიღწევის შემდეგ პასატები ნელდებიან. ამიტომ საპირისპირო მიმართულების ქარების მიერ ადვილად ჩერდებიან. აგრეთვე ვიცით, რომ პასატების ზოლის საზღვარი იცვლება ამა თუ იმ მხარეს რამდენიმე გრადუსით არა მარტო წელიწადის სხვადასხვა დროს, არამედ ერთსა და იმავე სეზონშიც. მეორე მიზეზი, რომელმაც მაიძულა მეფიქრა, რომ სამხრეთ-დასავლეთის ქარები არ წარმოიშობა ხმელეთის დიდი მასივის სიახლოვით, მდგომარეობს შემდეგში: ქარებს ყოველთვის ახლავს დიდი ღრუბლა და ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ კუნძულის სამხრეთ-დასავლეთ ნაპირებზე, რომლებიც განლაგებულია პასატების ზოლის საზღვრის მახლობლად, უფრო ძლიერი ზვირთცემაა, ვიდრე სხვა ადგილებზე.

მოქცევა და უკუქცევა ამ განედებში ისევე უმნიშვნელოა, როგორც მსოფლიოს სხვა ნაწილებში. როიალ-ბეის ყურეში მაღალი წყალია მხოლოდ მაშინ, როცა მთვარე გამოჩნდება S და StW-თან. მაგრამ წყლის დონე, იშვიათი შემთხვევების გარდა, იმატებს 10—12 დუიმით. დახრილობა 4°46′0-ია. ეს საშუალოა, რომელიც მიღებულია დოქტორ ნაიტის ოთხი აზიმუტური კომპასის დახმარებით ჩატარებული მრავალრიცხოვანი დაკვირვებების შედეგად.

რამდენადაც მე შემეძლო განმესაჯა, ყველა ხელსაწყო წესრიგში იყო. მაგრამ NS ხაზის შემოწმებისას აღმოვაჩინე, რომ განსხვავება 1,5°-ია. ერთი და იგივე კომპასი სხვადასხვანაირად მოქმედებდა და განსხვავება 0,5°-მდე აღწევდა. ამასთან ეს სხვაობა შეინიშნებოდა ხელსაწყოებთან მუშაობის სხვა დღეებშიც. ეს ბევრჯერ შევამჩნიე ხმელეთზე და ზღვაშიც და არ მახსოვს, რომ ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ადგილს ორი მაგნიტური ისარი იძლეოდეს ერთნაირ მაჩვენებელს. ხშირად მაჩვენებლები ემთხვეოდა, თუ ცდას მიყოლებით ჩავატარებდით. თუმცა ყოველივე ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ნავიგაციისათვის, რადგან კომპასის შესწორება ყოველთვის შეიძლება განვსაზღვროთ სიზუსტით, რაც სავსებით საკმარისია ჩვენი მიზნებისათვის. ზემოთ ვახსენე, რომ ადგილობრივები კარგად იცნობენ იმ ზღვის კუნძულებს, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებოდით. ტუპია და სხვები ვვიამბობდნენ მინიმუმ 70 მათგანზე, მაგრამ რადგან მათი ადგილსამყოფელი გაურკვეველია, მე მხოლოდ ჩამოვთვალ ამ კუნძულებს.

როგორც გვითხრეს, ორი დღის საცალზე ვეორგის კუნძულის დასავლეთით განლაგებულია ოთხი კუნძული — ხუახეინე, ულეტეა, ოტახა და ბალაბოლა (ხუახინე, რაიატეა, ტახოა, ბარაბორა), სადაც შეიძლება იშოვოთ ღორის ხორცი, ფრინველი და სხვა საკვები. მუდმივი მუშაობისა და ქალებთან ზედმეტი თავისუფლების გამო ეკიპაჟის წევრთა ჯანმრთელობა გაუარესდა (ჩვენი ხალხის ნახევარს დაემართა ვენერიული სნეულებანი). მე ვვარაუდობდი, რომ შექმნილ პირობებში ჩვენ გაგვიჭირდებოდა სიცივის გადატანა და ამიტომ ეკიპაჟს დასვენების შესაძლებლობა მივეცი ზემოხსენებული კუნძულების კვლევისას. მოგვიანებით ბატავიაში ჩასვლისას გავიგეთ, რომ ორი წლის წინ ამ ნა-

პირებს მოსდგომია სამხრეთის ზღვებიდან მომავალი ორი ფრანგული გემი — ფრეგატი და სატვირთო ბუგენვილის მეთაურობით.

ჩვენ ბევრი გვსმენია ამ გემების შესახებ, ახლა კი დავადგინეთ, რომ სწორედ ისინი იმყოფებოდნენ გეორგის კუნძულზე ჩვენამდე რამდენიმე თვით ადრე. აქამდე ისინი ესპანელები გვეგონენ — შეცდომაში შეგვიყვანა რკინამ და სხვა ნივთებმა, რომლებიც ვნახეთ ადგილობრივ მცხოვრებლებთან. ადვილი ასახსნელია, საიდან მოხვდა ესპანური საქონელი კუნძულზე. საქმე ისაა, რომ ვიდრე ბუგენვილი გადასცემდა ესპანელებს ფოლკლენდის კუნძულების ნაწილს, რომლებსაც ფლობდნენ ფრანგები, ფრანგული სატვირთო გემი, მისი ბრძანებით, გაემართა მდინარე ლა-პლატასაკენ, სადაც ფრანგებმა გაყიდეს ყველა ევროპული საქონელი და სამხრეთ ზღვებზე სავაჭროდ შეისყიდეს ადგილობრივი ნაწარმი. როგორც გავიგეთ, ბატავიაში ჩასვლისას ფრანგებს ჰქონდათ ბევრი ესპანური დოლარი.

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა კეთილი იმედის კონცხზე ჩამოვედით, ზოგი ფრანგი ოფიცერი მიყვებოდა, რომ მავრიკის კუნძულზე იმყოფებოდა გეორგის კუნძულის მკვიდრი ორეტე, რომელიც იქ ბუგენვილმა ჩაიყვანა და რომ ფრანგები აპირებდნენ კუნძულ გეორგზე გემის გაგზავნას, რათა ორეტე ჩაეყვანათ სამშობლოში და იქ დაეარსებინათ ახალშენი, რომ იმავე გემით ისინი გზავნიდნენ 100-მდე ჯარისკაცს. ეს ინფორმაცია დაადასტურა ერთმა ფრანგმა ჯენტლმენმაც.

ტუპიამ მიამბო, რომ ნოემბერში, დეკემბერსა და იანვარში მათთან მუდმივად ქრის დასავლეთის ქარები წვიმით და რომ ადგილობრივი მცხოვრებნი ოსტატურად იყენებენ მას ზღვაოსნობაში.

შენიშვნა: ჩვენ შევედით ცივი კლიმატის ზონაში და კუნძულ ულტეაზე შეძენილი ღორები დაგვეზოცა: ისინი ვერ იტანენ სიცივეს და იკვებებიან მხოლოდ ბოსტნეულით. ასე რომ, მათი ზღვით ტრანსპორტირება არ შეიძლება.

ნაწილი III

XIX და XX საუკუნეების ეთნოლოგია

ლ. მორგანი

მორგანი ჰენრი ლუის (1818—1881) — გამოჩენილი ამერიკელი ეთნოლოგი, არქეოლოგი და პირველყოფილი საზოგადოების ისტორიკოსი. იგი არა მხოლოდ მეცნიერი, არამედ თვალსაჩინო პროგრესული საზოგადო მოღვაწეც იყო.

ლ. ჰ. მორგანი განათლებით იურისტი, ადვოკატობას და ამასთანავე კომერციულ საქმიანობას ეწეოდა, იყო რამდენიმე კომპანიის აქციონერი, ცხოვრობდა ნიუ-იორკის შტატის ქალაქ როჩესტერში. ახალგაზრდობის წლებში დაუმეგობრდა რამდენიმე იროკეზს, რომელთა შორის იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე ელი პარკერი. 1840 წელს ჩამოაყალიბა საზოგადოება „იროკეზების დიდი ორდენი" (მოგვიანებით მას ეწოდა „იროკეზების ახალი ორდენი"), რომლის მიზანი იყო ინდიელი იროკეზების შესწავლა და მათთვის დახმარების აღმოჩენა.

ლ. მორგანი, როგორც იურისტი, აქტიურად გამოდიოდა ინდიელთა უფლებების დასაცავად, რისთვისაც 1847 წელს იგი იშვილა იროკეზების ტომმა სენეკამ და მიენიჭა სახელი — „ის, ვინც ხიდია". იმავე ხანებში მან გამოაქვეყნა მთელი რიგი სტატიებისა, რომლებიც მიმართული იყო ამერიკელი ინდიელების ძარცვის, დისკრიმინაციისა და გაწყვეტის წინააღმდეგ.

1851 წელს გამოქვეყნდა მისი ნაშრომი „League of Ho-de-no-sau-nee, or Ireguoisa" (იროკეზების ლიგა), რომელიც დღემდე რჩება ერთ-ერთ უმთავრეს ნაშრომად იროკეზების ტომის შესახებ, თუმცა მასში შედარებით ნაკლებად არის გაშუქებული მათი სამეურნეო საქმიანობა.

აქედან მოყოლებული 40 წლის განმავლობაში ეწეოდა ლ. მორგანი ინტენსიურ სამეცნიერო მუშაობას ამერიკელი ინდიელების ყოფისა და კულტურის შესასწავლად. კვლევის შედეგები საფუძვლად დაედო რამდენიმე განმაზოგადებელი დებულების ჩამოყალიბებას კაცობრიობის უძველესი ისტორიის დარგში.

1870 წ. ვაშინგტონში გამოქვეყნდა ლ. მორგანის კაპიტალური ნაშრომი „ნათესაობის სისტემები და თვისებები ადამიანთა საზოგადოებაში" („Systems of consanquinity and affinity of the human family"). ეს ნაშრომი დამყარებული იყო სხვადასხვა ხალხში ნათესაობრივი ტერმინოლოგიის შესწავლის მასალებზე, რომელიც მან სმიტსონის ინსტიტუტის მიერ სხვადასხვა ქვეყანაში დაგზავნილი ბეჭდური ანკეტების მეშვეობით შეკრიბა.

მომდევნო ხანებში ლ. მორგანმა გააღრმავა და გააფართოვა კვლევის თე-

მატეა და 1878 წელს ნიუ-იორკში გამოსცა თავისი უმთავრესი კლასიკური ნაშრომი — „ძველი საზოგადოება“ („Ancient Society“), რომელიც მიძღვნილია პირველყოფილი საზოგადოების ისტორიის საკითხების ფართო წრისადმი — მისი პერიოდიზაციის, გვაროვნულ-ტომობრივი ორგანიზაციისა და ოჯახის განვითარების ეტაპებისა და კერძო საკუთრებისადმი.

1881 წელს გამოქვეყნდა ლ. მორგანის უკანასკნელი ვრცელი ნაშრომი „ამერიკის მკვიდრი მოსახლეობის სახლები და საბინაო ცხოვრება“. ამ ნაშრომში ავტორი შეეცადა, თვალი გაედევნებინა პირველყოფილი საზოგადოების თემურ-ნათესაობრივი სტრუქტურებისათვის ინდიელი ტომების დასახლებათა ტიპებისა და საცხოვრებლების მაგალითზე.

ლ. მორგანის მოძღვრებაში ცენტრალური ადგილი უჭირავს შეხედულებებს გვარის, როგორც პირველყოფილი საზოგადოების ძირითადი უნივერსალურ-ისტორიული უჯრედის შესახებ და გვაროვნული საზოგადოების მატრიარქატიდან პატრიარქატისაკენ განვითარების შესახებ. მასთან დაკავშირებულია შეხედულება საკუთრების განვითარებისა კოლექტიურიდან კერძო ფორმისაკენ, ოჯახისა და ქორწინების ევოლუციის შესახებ. აქ მორგანმა გამოყო რამდენიმე თანმიმდევრული საფეხური: პრომისკუიტეტი, სისხლით მონათესავე ოჯახი, პუნალუა ოჯახი, წყვილადი ოჯახი, პატრიარქალური ოჯახი, მონოგამია.

ლ. მორგანმა შექმნა პირველყოფილი საზოგადოების ისტორიის პირველი მეცნიერული პერიოდიზაცია. მან ეს პერიოდები დაუქვემდებარა არსებობის საშუალებების წარმოებაში მიღწეულ წარმატებებს და დაყო იგი ველურობისა და ბარბაროსობის პერიოდებად, ხოლო თითოეულში გამოყო სამი ქვეპერიოდი.

მომდევნო და თანამედროვე ხანის ეთნოლოგიურმა და არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებებმა გამოავლინა, რომ ლ. მორგანის მეცნიერულ მემკვიდრეობაში არის რიგი დებულებებისა, რომლებიც გადასინჯვას საჭიროებენ. კერძოდ, შეცდომად არის მიჩნეული სისხლით მონათესავე და პუნალუა ოჯახის რეკონსტრუქცია, სადავოა მამრობითი გვარის უნივერსალურობა, მნიშვნელოვნად მოძველდა ლ. მორგანისეული პერიოდიზაცია პირველყოფილი საზოგადოებისა, რომელიც ამჟამად შეცვლილია უფრო სრულყოფილი პერიოდიზაციით. მაგრამ, რაც არსებითია და მნიშვნელოვანი, კვლავ ძალაში რჩება ლ. მორგანის მოძღვრების ყველა ძირითადი დებულება, მათ შორის — დედისეული გვარის უნივერსალურობის შესახებ, ქორწინების პირველადი ფორმის ჯგუფურობის შესახებ და სხვ.

ქრესტომათიაში წარმოდგენილია 4 ნაწყვეტი ლ. მორგანის კლასიკური ნაშრომიდან — „ძველი საზოგადოება“. პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა წ ყ ვ ე ტ ი შეეხება მშობლიურობის იდეის განვითარებას და იროკეზების გვარს. მისი მოტანა საჭიროდ ჩავთვალეთ იმის გამო, რომ იროკეზების ტომის ყოფის შესწავლას ლ. მორგანის მეცნიერულ შემოქმედებაში განსაკუთრებით გამორჩეული ადგილი უჭირავს; სწორედ მათ მაგალითზე მოგვცა მან მრავალი საყურადღებო და საფუძვლიანი განზოგადება ძველი საზოგადოების ყოფის ამა თუ იმ მხარის შესახებ. მომდევნო სამი ნაწყვეტი წარმოადგენს სამ დამოუკიდებელ თავს, იგი ეძღვნება ოჯახის ამა თუ იმ სახეობის შესწავლას, კერძოდ, ოჯახის იდეის განვითარებას, პუნალუა ოჯახს და მონოგამიურ ოჯახს. მართალია, პუნალუა ოჯახის არსებობა დღეს მეცნიერებაში უარყოფილია, მაგრამ მის შესახებ თავის აქ ჩართვა საჭიროდ ჩავთვალეთ ლ. მორგანის მცდარად მიჩნეული იდეების საილუსტრაციოდაც.

ბიბლიოგრაფია

1) Морган Г. Льюис, Древнее общество, Л-д, 1934.
2) Морган Г. Льюис, Дома и домашняя жизнь американских туземцев, Л-д, 1934.

ლიტერატურა

1) Косвен М. О., Л. Г. Морган, Жизнь и учение, Л-д, 1935.
2) Винников И. Н., Из архива Льюиса Генри Моргана, М.-Л., 1935.
3) Першиц А. И., Морган Льюис Генри, СИЭ, 9, 1966, გვ. 682.
4) ჭანტურიშვილი ს., ეთნოლოგია, თბ., 1993, გვ. 131—134.

ირიკეზული გვარი*

კაცობრიობის გამოცდილებამ საზოგადოებრივი წყობის მხოლოდ ორი სახეობა შექმნა. სიტყვა სახეობა იხმარება მხოლოდ სამეცნიერო მნიშვნელობით. ორივე იყო საზოგადოების განსაზღვრული და სისტემატური ორგანიზაცია. პირველი და უფრო ძველი წარმოადგენდა საგვარეულოებზე, ფრატრიებზე და ტომებზე დაფუძნებულ სოციალურ ორგანიზაციას. მეორე და გვიანდელი — ტერიტორიაზე და საკუთრებაზე დაფუძნებულ პოლიტიკურ ორგანიზაციას. პირველში შეიქმნა საგვარეულო საზოგადოება, რომელშიც ხელისუფლებას საქმე ჰქონდა ცალკეულ პირებთან, მათი დამოკიდებულებაში საგვარეულოსთან და ტომთან. ეს დამოკიდებულება იყო პირადული. მეორესთან იყო დაწესებული პოლიტიკური საზოგადოება, რომელშიც ხელისუფლებას საქმე ჰქონდა ცალკეულ პირებთან, მათი ურთიერთობით ტერიტორიებთან, მაგალითად, ქალაქის ოლქთან, კანტონთან და სახელმწიფოსთან. ეს ურთიერთობები იყო ტერიტორიული. ორივე ეს სახეობა ღრმად განსხვავებულია. ერთი ეკუთვნის უძველეს საზოგადოებას, მეორე — თანამედროვეს.

საგვარეულო ორგანიზაცია კაცობრიობის ერთ-ერთი უძველესი და ფართოდ გავრცელებული ორგანიზაციაა. იგი აზიის, ევროპის, აფრიკის, ამერიკის და ავსტრალიის უძველესი საზოგადოების სოციალური წყობის თითქმის უნივერსალური საფუძველია. იგი იყო იარაღი, რომლის მეშვეობითაც ჩამოყალიბდა და არსებობდა საზოგადოება. მან თავისი არსებობა დაიწყო ველურობის პერიოდში და გაიარა რა სამი ბარბაროსული ქვეპერიოდი, პოლიტიკური საზოგადოების ჩამოყალიბებამდე დარჩა ძალაში. ეს მოხდა არაუგვიანეს ცივილიზაციის პერიოდის დაწყებისა. ბერძნული გვარი, ფრატრია და ტომი, რომის gens, curia და ტომი თავიანთ ანალოგიას ამერიკელი მკვიდრი მოსახლეობის საგვარეულოს, ფრატრიასა და ტომთან პოულობენ. ირლანდიური sept, შოტლანდიური clan, ალბანელთა phrara და სანსკრიტის ganas იგივეა, რაც ამერიკელი ინდიელების გვარი, რომელსაც ჩვეულებრივ კლანს უწოდებენ. ეს ორგანიზაცია გავრცელებული იყო მთელს უძველეს ქვეყნებში ყველა კონტინენტზე და გადატანილ იქნა ისტორიულ პერიოდში იმ ტომთა მიერ, რომელთაც მიაღწიეს ცივილიზაციას. მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. საგვარეულო საზოგადოება თავისი სტრუქტურით და ქმედების პრინციპით ყველგან ერთნაირია, თუმცა ადამიანის პროგრესულ განვითარებასთან ერთად უდაბლესიდან უმაღლეს ფორმაში გარდაიქმნება.

Gens, γενο ganas ლათინურად, ბერძნულად და სანსკრიტზე — ყველას ნათესაობის საწყისი მნიშვნელობა აქვს. ისინი შეიცავენ იმავე ელემენ-

---

* წიგნიდან Морган Г. Льюис, Древнее общество, Л., 1934, с. 38—51.

ტებს, რასაც **gigno**, γιγνομ და **ganamai** იმავე ენებში გაჩენის მნიშვნელობით, რაც მიუთითებს გვარის წევრთა საერთო წარმოშობას.

გვარი წარმოადგენს ერთი საერთო წინაპრისაგან წარმოშობილ სისხლით ნათესავთა ერთობლიობას, რომელიც განსაკუთრებული საგვარეულო სახელითა და სისხლით ნათესაობითაა ნიშანდებული, მაგრამ მასში შედის ასეთ შთამომავალთა მხოლოდ ნახევარი. იქ, სადაც წარმომავლობა ქალის ხაზით აითვლება, რაც არქაულ პერიოდში ზოგადად იყო გავრცელებული, გვარი შედგება სავარაუდო წინაპარი დედის, მისი შვილებისა და აგრეთვე მისი ქალი შთამომავლების შვილებისაგან და ა. შ. უსასრულოდ. იქ კი, სადაც წარმომავლობა მამაკაცის ხაზით აითვლება, — რაც საკუთრების დაგროვების შემდეგ ხდება, — გვარი სავარაუდო წინაპრის, მისი შვილებისა და მამაკაც შთამომავალთა შვილებისაგან ყალიბდება. ჩვენი გვარები საგვარეულო სახელების გადმონაშთია. მათი წარმოშობა მამრობითი ხაზით მიმდინარეობდა და ასეთივე რიგით გადაეცემოდა თაობებს. თანამედროვე ოჯახი, როგორც ეს გამოიხატება მისი საგვარეულო სახელით, წარმოადგენს არაორგანიზებულ სისხლისმიერ კავშირდაღვეულ გვარს, რომლის წევრებიც გაბნეულნი არიან ყველგან, სადაც გვხვდება მოცემული გვარი.

ზემოხსენებულ ერებში გვარი აღნიშნავდა საუკეთესო სოციალურ ორგანიზაციას, რომელიც ბატონობდა იმდენად უძველესი ხანიდან, რომ მისი წარმოშობა იკარგება საუკუნეთა სიღრმეში. ამასთანავე, იგი იყო საზოგადოებრივი მოწყობისა და მართვის მთელი სისტემის ორგანიზაციის ერთეული, უძველესი საზოგადოების საფუძველი. ამ ორგანიზაციის არსებობა არ ისაზღვრებოდა იმ ტომებით, რომელთა სალაპარაკო ენა იყო ლათინური, ბერძნული და სანსკრიტი. იგი ნაპოვნი იყო აგრეთვე ერების არიული ოჯახების სხვა განშტოებებში — სემიტურ, ურალურ და თურანულ ოჯახებში, აფრიკულ და ავსტრალიურ ტომებში, აგრეთვე ცნობილი იყო ამერიკელთა მკვიდრ მოსახლეობაშიც.

კაცობრიობის პროგრესთან ერთად გვარმა გაიარა განვითარების თანმიმდევრული სტადია არქაულიდან საბოლოო ფორმამდე. მისი გარდაქმნა შემოიფარგლებოდა ორი მხრით: პირველ ყოვლისა, წარმომავლობის ქალის ხაზით ათვლა, როგორც ეს იროკეზებში იყო, შეიცვალა მამაკაცის ხაზით, როგორც ბერძნულ და რომაულ საგვარეულოებში. მეორე — გვარის გარდაცვლილი წევრის ქონების მემკვიდრეობის წესის შეცვლა: ქონება ჯერ გადადიოდა აგნატიური ნათესავების ხელში, საბოლოოდ კი გარდაცვლილის შვილების ხელში. ეს ცვლილებები, რამდენადაც უმნიშვნელოდ არ უნდა მოგვეჩვენოს, დიდი გარდაქმნაა საზოგადოების მდგომარეობაში და უტოლდება პროგრესულ განვითარებას.

საგვარეულო ორგანიზაციამ, რომელიც პირველყოფილ პერიოდში წარმოიშვა და განვლო ბარბაროსობის სამი ქვეპერიოდი, დაიწყო გაქრობა უფრო განვითარებულ ტომებში. ბერძნებისა და რომაელების საგვარეულო საზოგადოებას ცივილიზაციის დასაწყის პერიოდში პოლიტიკური საზოგადოება შეენაცვლა. ქალაქის თემი გადაიქცა ძირფესვიანად ახალი მმართველობის სისტემის საფუძვლად. პოლიტიკური საზოგადოების დაწესებით ამ უძველესმა ორგანიზაციამ თანდათანობით დაიწყო გაქრობა მისგან განვითარებული ფრატრიებითა და ტომებით.

ეს ორგანიზაცია შესაძლებელია წარმატებით იქნეს შესწავლილი მრავალი ტომისა და ერის როგორც არსებულ, ისე ისტორიულ ფორმებში. გამოკვლევა უმჯობესია დავიწყოთ გვარით თავისი არქაული ფორმით და თვალი გავადევნოთ

მის ცვლილებას უფრო განვითარებულ ერებში, რათა დავინახოთ როგორც თვით ცვლილება, ისე მისი გამომწვევი მიზეზები. ამიტომ დავიწყოთ გვარიდან, როგორც იგი არსებობს ამჟამად ამერიკელ მკვიდრ მოსახლეობაში, სადაც იგი უფრო არქაული ფორმითაა წარმოდგენილი, ვიდრე ბერძნებთან და რომაელებთან.

ამერიკულ ეთნოგრაფიაში ტერმინები ტომი და კლანი იხმარებოდა ტერმინ გვარის ნაცვლად, რადგან ჯერ არ იყო ცნობილი ამ უკანასკნელის უნივერსალობა. წინა ნაშრომებში მეც ამ ტერმინს ვხმარობდი. ინდიელების კლანისა და ბერძნული და რომაული გვარის შედარებით მტკიცდება მათი იგივეობა როგორც სტრუქტურის, ისე ფუნქციის მიხედვით. იგივე ითქმის ფრატრიებსა და ტომებზეც. ამერიკის მკვიდრთა საზოგადოებრივი მოწყობა დაიწო გვარით და დამთავრდა კონფედერაციით. განვითარების რიგი ასეთია: პირველი — გვარი, სისხლით ნათესავთა ერთიანობა, რომელთაც გააჩნდათ საერთო საგვარეულო სახელი. მეორე — ფრატრია, მონათესავე გვართა უფრო მაღალ ასოციაციაში გაერთიანება საერთო მიზნებისათვის. მესამე — ფრატრიაში ორგანიზებული გვარების გამაერთიანებელი ტომი, რომელთა ყველა წევრის სამეტყველო ენა იყო ერთი დიალექტი და მეოთხე — ტომთა კონფედერაცია, რომელთა წევრების სამეტყველო ენა იყო ერთი და იმავე ძირითადი ენის შესაბამისი დიალექტი. ყველა ეს მთლიანობაში შეადგენდა გვაროვნულ საზოგადოებას. განსხვავება მათ შორის ღრმა და პრინციპულია. ამერიკაში, მისი აღმოჩენის ეპოქაში, არ არსებობდა არც პოლიტიკური საზოგადოება, არც მოქალაქეობა, არც სახელმწიფო, არც ცივილიზაცია. მთელი ეთნიკური პერიოდი გამოყოფდა ამერიკელ ინდიელთა უფრო განვითარებულ ტომებს ცივილიზაციის დასაწყისიდან.

ბერძნული ტომების საზოგადოებრივი წყობა ცივილიზაციის დაწყებამდე შედგებოდა იმავე ორგანული რიგისაგან, უკანასკნელის გამოკლებით: პირველი — გვარი, სისხლით ნათესავთა ერთიანობა, რომელთაც ჰქონდათ საერთო საგვარეულო სახელი. მეორე — საზოგადოებრივი და რელიგიური მიზნებისათვის გაერთიანებული გვარების გამაერთიანებელი ფრატრიები. მესამე—ტომები, ფრატრიაში ორგანიზებული ერთი წარმოშობის გვარის გაერთიანება. მეოთხე—საერთო ტერიტორიაზე გვაროვნულ საზოგადოებაში შერწყმულ ტომთა გაერთიანება, როგორც ოთხი ტომი, ათენელებისა ატიკაში და სამი დორიული ტომი სპარტაში. ეს შერწყმა უფრო მაღალი რიგის გამოვლინება იყო, კიდრე კონფედერაცია. უკანასკნელ შემთხვევაში ტომები ითვისებდნენ დამოუკიდებელ ტერიტორიებს.

რომის წყობილება და მისთვის დამახასიათებელი ფორმებიც ასეთია: პირველი, გვარი, სისხლით ნათესავთა ერთიანობა ერთი საერთო საგვარეულო სახელით. მეორე, კურია, გვართა უფრო მაღალი ასოციაციის გაერთიანება რელიგიურ და საზოგადოებრივ ფუნქციათა შესასრულებლად. მესამე, ტომი, კურიაში ორგანიზებულ გვართა გაერთიანება, და მეოთხე, ერი, ერთ გვაროვნულ საზოგადოებაში შერწყმულ ტომთა გაერთიანება.

ყველგან, სადაც ბატონობდა გვაროვნული ინსტიტუტები, პოლიტიკური საზოგადოების შექმნამდე, ეხედებით მხოლოდ გვაროვნულ საზოგადოებაში ორგანიზებულ ხალხებსა და ერებს. სახელმწიფო არ არსებობდა. ამ ხალხთა წყობა ღრმად დემოკრატიული იყო, რადგან პრინციპი, რომელზედაც იყო ორგანიზებული გვარი, ფრატრია და ტომი, იყო დემოკრატიული. ამ უკანასკნელს, თუმცა საერთოდ მიღებულ აზრს ეწინააღმდეგება, აქვს ისტორიული მნიშვნე-

ლობა. მისი სამართლიანობა დამტკიცდება, როცა თანმიმდევრულად განვიხილავთ ამერიკის ადგილობრივ მკვიდრთა გვარს, ფრატრიასა და ტომს და იმავე ორგანიზაციებს ბერძნებთან და რომაელებთან.

გვარი ნათესაობაზე დამყარებული უძველესი სოციალური ორგანიზაცია იყო, თუმცა არ ცნობდა ერთი საერთო წინაპრის ყველა შთამომავალთ. ეს იმიტომ, რომ, როცა გვარი წარმოიშვა, ცალკეულ წყვილთა ქორწინება უცნობი იყო და წარმოშობა მამრობითი სქესის ხაზით ვერ მტკიცდებოდა სათანადოდ. ნათესავები ერთმანეთთან დაკავშირებული იყვნენ უმთავრესად დედისეული ხაზით. გვარი მოიცავდა ყველა იმ პირს, ვისი წარმოშობაც ნავარაუდევი იყო ერთი სავარაუდო დედამთავრისაგან მდედრობითი ხაზით და ეს ფაქტი დგინდებოდა საერთო საგვარეულო სახელით. ამრიგად, იგი შეიცავდა ამ დედამთავარს თავისი შვილებით, მისი ქალიშვილების შვილებით და საერთოდ მისი მდედრობითი შთამომავლების შვილებით მდედრობითი ხაზით უსასრულობამდე. მისი ვაჟების შვილები და მამრობით შთამომავალთა შვილები სხვა გვარს მიეკუთვნებოდნენ, კერძოდ, მათი დედის გვარს. ასეთი იყო გვარი მის არქაულ ფორმაში, როცა მამობა არ შეიძლებოდა სათანადოდ დამტკიცებულიყო.

წარმოშობის ეს ათვლა აღწევს ველურობის შუა პერიოდამდე. არსებობდა ავსტრალიელებში, ამერიკის მკვიდრ მოსახლეობაში ველურობის უმაღლეს საფეხურამდე და ბარბაროსობის უდაბლეს საფეხურამდე, შემთხვევითი გამონაკლისებით. ბარბაროსობის შუა საფეხურზე ინდიელი ტომები წარმოშობის მდედრობითი ხაზით ათვლიდან გადადიოდნენ მამრობითი ხაზით ათვლაზე, როცა ამ პერიოდის სინდიასმიურმა ოჯახმა დაიწყო მონოგამიური ხასიათის მიღება. ბერძნულ ტომებში ბარბაროსობის უმაღლეს საფეხურზე გადავიდნენ მამრობითი ხაზით ათვლაზე ლიკიელების გამოკლებით, იტალიელთა ტომებში ეტრუსკების გამოკლებით.

წარმოშობის მამრობითი შტოს ათვლის დროს გვარი მოიცავდა ყველა პირს, რომელიც თავის წარმოშობას თვლიდა სავარაუდო წინაპრისაგან მხოლოდ მამრობითი ხაზით. გვარი მოიცავდა ამ წინაპარს და მის შვილებს, მისი ვაჟების შვილებს და მისი მამრობითი შთამომავლების შვილებს მამრობითი ხაზით და ა. შ. უსასრულობამდე. მისი ქალიშვილების შვილები და მისი შვილები მდედრობითი ხაზით მიეკუთვნებოდნენ სხვა გვარს, კერძოდ, თავიანთი მამის გვარს.

გვარის ფარგლებში ქორწინება აკრძალული იყო, რაც ათავისუფლებდა მის წევრებს სისხლით ნათესაური ქორწინებისაგან და ამით აძლიერებდა კაცობრიობის ჯიშს.

განვიხილოთ გვარის ურთიერთობა ფრატრიასთან, ტომთან და კონფედერაციასთან, რათა დავადგინოთ მისი ფუნქციები, პრივილეგიები და მის მიერ წარმოშობილი პრინციპები. ამ ინსტიტუტის ტიპიურ ნიმუშად ავიღოთ იროკეზული გვარი ჰანოვანურ ოჯახში. იროკეზებმა გაატარეს მმართველობის თავიანთი სქემა გვარიდან კონფედერაციამდე, რაც სრულად განახორციელეს ამ წყობის თითოეულ ნაწილში. ამით მათ მოგვცეს გვაროვნული ორგანიზაციის საუცხოო ილუსტრაცია არქაული ფორმით, მათი აღმოჩენისას იროკეზები ბარბაროსობის უდაბლეს საფეხურზე იმყოფებოდნენ და ამ მდგომარეობისათვის დამახასიათებელი წარმოების განვითარებაში დიდ წარმატებას მიაღწიეს. ისინი სის ქერქის ბოჭკოსაგან ამზადებდნენ ბადეებს, ზონარებს, თოკებს. აგრეთვე ქსოვდნენ ქამრებსა და შოლტებს. ამზადებდნენ ჭურჭელს და ჩიბუხს თიხისა და კაჟიანი ქანისაგან, შემდეგ მათ გამოწვავდნენ ცეცხლში. მათგან

ზოგიერთი ნაკეთობა ორნამენტირებული იყო ეხვეში მედალიონებით. სიმინდს, პარკოსნებს, ბოგრას და თამბაქოს ზრდიდნენ ბოსტნის კვლებში. აცხობდნენ თიხის ჭურჭლებში. ცხოველის ტყავს თრიმლავდნენ, მისგან კერავდნენ მოკლე ქვედა კაბებს, გამაშებსა და მოკასინებს. მათი ძირითადი იარაღი იყო მშვილდ-ისარი და საბრძოლო კომბალი. ხმარობდნენ კაჟისა და ძვლის იარაღს. ეცვათ ტყავის ტანსაცმელი, იყენენ შესანიშნავი მონადირეები და მეთევზეები. აგებ-დნენ გრძელ, საკმაოდ დიდ სათემო სახლებს, რომელშიც მოხერხებულად თავსდებოდა ხუთი, ათი ან ოცი ოჯახი, მაგრამ საშენ მასალად არ იყენებდნენ ქვას, გამოუწვავ აგურს, ან თვითნაბად ლითონს.

თავიანთი გონიერებით და საერთო განვითარებით ძალნი მიეკუთვნებოდ-ნენ ინდიელი ოჯახების წარმომადგენლობით შტოს და ცხოვრობდნენ ახალი მექსიკის ჩრდილოეთით. გენერალმა თ. ა. უოკერმა ორიოდე ფრაზით დაახ-ასიათა ირიოკეზების საბრძოლო შეტევა: „ირიოკეზთა შეტევა ჭეშმარიტად სა-შინელება იყო. ეს იყო ნამდვილი ღვთის რისხვა ყველა აბორიგენისათვის“.

დროთა განმავლობაში ირიოკეზების ტომი უმნიშვნელოდღა გამოირჩეოდა თავისი რაოდენობით და მასში შემავალი გვარის სახელებით, რომელთა რიცხ-ვი რვა იყო, კერძოდ:

ხენეკა: 1. მგელი, 2. დათვი 3. კუ, 4. წავი, 5. ირემი, 6. ჩიბუხა, 7. ყანჩა, 8. ქორი.

კაიუგა: 1. მგელი, 2. დათვი, 3. კუ, 4. წავი, 5. ირემი, 6. ჩიბუხა, 7. გველ-თევზა, 8. ქორი.

ონონდაგა: 1. მგელი, 2. დათვი, 3. კუ, 4. წავი, 5. ირემი, 6. ჩიბუხა, 7. გველთევზა და სხვ.

ონეიდა: 1. მგელი, 2. დათვი, 3. კუ.

მოჰაკი: 1. მგელი, 2. დათვი, 3 კუ.

ტუსკარორა: 1. ბუზი მგელი, 2. დათვი, 3. დიდი კუ, 4. წავი, 5. ყვითელი მგელი, 6. ჩიბუხა, 7. გველთევზა, 8. პატარა კუ.

ეს განსხვავება გვიჩვენებს, რომ ამ ტომთაგან ზოგიერთი გვარი თანდათან გადაშენდა, სხვები კი წარმოიშვნენ ძალზე გაზრდილ გვართა სეგმენტაციის გზით.

გვარი ხასიათდება შემდეგი უფლებებით, პრივილეგიებითა და ვალდებუ-ლებებით, რაც ვრცელდება გვარის თითოეულ წევრზე:

I. უფლებით, ამოირჩიოს თავისი სახელი და ბელადები.

II. უფლებით, გადააყენოს თავისი სახელი და ბელადები.

III. ვალდებულებით, არ დაქორწინდეს გვარის ფარგლებში.

IV. გარდაცვლილ წევრთა ქონების მემკვიდრეობაზე საერთო უფლებით.

V. დახმარების, დაცვისა და სამაგიეროს გადახდის ურთიერთვალდებუ-ლებით.

VI. თავისი გვარის წევრებისათვის სახელის მიცემის უფლებით.

VII. უფლებით, იშვილოს გვარში უცხოები.

VIII. საერთო რელიგიური რიტუალით.

IX. საერთო სასაფლაოთი.

X. საგვარეულო საბჭოთი.

ჩამოთვლილი ფუნქციები და ატრიბუტები აგრძნობინებდა ამ ორგანიზა-ციას მის სასიცოცხლო ძალას, ინდივიდუალურ ხასიათს და ეცავდა მის წევრ-თა პირად უფლებებს.

I. სახემისა და ბელადების არჩევის უფლება

ამერიკის ინდიელთა თითქმის ყველა ტომს ჰყავდა ორი ბელადი, კერძოდ: სახემი და ჩვეულებრივი ბელადი. ყველა დანარჩენი იყო ამ ორი უმაღლესი საფეხურის სახეხსვალობა. ისინი ირჩეოდნენ ყოველ გვარში მისი წევრების მიერ. წარმოშობის მდედრობითი ხაზით ათვლის დროს ვაჟი არ შეიძლებოდა არჩეულიყო თავისი მამის ადგილზე, რადგან იგი სხვა გვარს ეკუთვნოდა. არცერთ გვარს არ შეეძლებოდა სხვა გვარიდან ჰყოლოდა სახემი ან ბელადი. სახემის თანამდებობა შემკვიდრეობითი იყო. ბელადის თანამდებობა, პირიქით, არ იყო მემკვიდრეობითი. ამ თანამდებობაზე ირჩევდნენ პირადი დამსახურების მიხედვით.

სახემს ეუფლებოდა მხოლოდ მშვიდობიანი საქმეების გარჩევა. იგი არ მონაწილეობდა სამხედრო მოქმედებებში. ბელადები ირჩეოდნენ პირადი მამაცობის, სიბრძნის და საბჭოში მჭევრმეტყველების მიხედვით. ისინი, ჩვეულებრივ, თავისი მდგომარეობით უმაღლეს კლასს მიეკუთვნებოდნენ, მაგრამ გვარში განსაკუთრებული უფლება არ ჰქონდათ. სახემს უპირატესად საქმე ჰქონდა გვართან, რომლის ოფიციალური მეთაურიც იყო. ბელადს — ტომთან, საბჭოს წევრებთან, რომელთაც მიეკუთვნებოდა ისიც და სახემიც.

სახემის თანამდებობას ბუნებრივი საფუძველი ჰქონდა გვარში, ეს თანამდებობა გვაროვნულ ორგანიზაციაზე ძველია. სახემის მდგომარეობა განსაზღვრული იყო მყარ საფუძველზე, მისი ვალდებულება ატარებდა მამობრივ ხასიათს და მემკვიდრეობითი იყო. სახემის თანამდებობა გადადიოდა ძმაზე ან ბიძაშვილზე, იშვიათად ბაბუიდან შვილიშვილზე. არჩევანი ძირითადად ხვდებოდა გარდაცვლილის ძმას ან მისი ღვიძლი დის რომელიმე ვაჟს, ამასთან უპირატესობა ენიჭებოდა ღვიძლ ძმას ან ღვიძლი დის შვილს.

სახემის სიკვდილის შემდეგ, მაგალითად სენეკა-ირიკეზებთან, მოიწვევდნენ ნათესავთა საბჭოს მემკვიდრის დასანიშნად. კენჭს იყრიდა ორი კანდიდატი, ორივე ერთი და იმავე გვარის წარმომადგენელი. მოწიფულ ასაკს მიღწეული თითოეული წევრი გამოთქვამდა თავის აზრს ერთის ან მეორის შესახებ. აირჩევდნენ იმას, ვინც მიიღებდა ხმათა უმრავლესობას. არჩევანი რომ საბოლოო ყოფილიყო, საჭირო იყო დანარჩენი შეიდი გვარის თანხმობა. თუ ამ მიზნით ფრატრიებად შეკრებილი გვარი უარს იტყოდა მის დამტკიცებაზე, მაშინ გვარი ახალ არჩევნებს აწყობდა. თუ თავისი გვარის მიერ არჩეულ კანდიდატს დანარჩენი გვარიც მხარს დაუჭერდა, ეს საბოლოოდ ითვლებოდა. მიუხედავად ამისა აუცილებელი იყო, რომ ახალი სახემი, მათი გამოთქმით, ამაღლებულიყო, ე. ი. თავისი თანამდებობით აღჭურვილიყო კონფედერაციის საბჭოზე, რათა შესდგომოდა თავისი მოვალეობის შესრულებას. ასეთი იყო imperium-ის გადაცემის მათი წესი. ამრიგად, მხედველობაში მიიღებოდა და დაცული იყო ყველა გვარის უფლებები და ინტერესები. იმავე წესით ამტკიცებდნენ ბელადსაც.

დემოკრატიული პრინციპი, რომელმაც სათავე გვაროვნულ ორგანიზაციაში დაიდო, იმაში მეღავნდებოდა, რომ ნათესავები ინარჩუნებდნენ სახემისა და ბელადების არჩევის უფლებას და იცავდნენ ამ თანამდებობას უზურპაციისაგან.

ბელადთა რიცხვი მის წევრთა რაოდენობის პროპორციული იყო. სენეკა-ირიკეზებს ერთი ბელადი ჰყავდათ დაახლოებით ყოველ ორმოცდაათ კაცზე.

რაც შეეხება გვარის რაოდენობას, რაც უფრო მრავალრიცხოვანია ხალხი, მით უფრო მეტია იგი.

II. სახემისა და ბელადების გადაყენების უფლება

ეს უფლება არჩევის უფლებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია. თუმცა ნომინალურად თანამდებობა მუდმივი იყო, მაგრამ პრაქტიკულად იგი დამოკიდებული იყო სახემის და ბელადის საქციელზე, რადგან არსებობდა მისი გადაყენების შესაძლებლობა. სახემს თანამდებობაზე არჩევისას სიმბოლურად „ადგამდნენ რქებს", ხოლო გადაყენებისას — „ხსნიდნენ რქებს". რქები იყო ძალაუფლების ემბლემა სხვადასხვა ტომში, და, როგორც ფიქრობს ტეილორი, ნაკარნახევი იყო რქების მატარებელი ხარის შთამბეჭდავი შესახედაობით. ულირსი საქციელი იწვევს ნდობის დაკარგვას და თანამდებობიდან გადაყენების საკმარის საფუძველს იძლევა. იმის შემდეგ, რაც გვარის საბჭო თავის სახემს ან ბელადს გადააყენებდა თანამდებობიდან, იგი კერძო პირი ხდებოდა. ტომის საბჭოსაც ჰქონდა სახემებისა და ბელადების გადაყენების უფლება ისე, რომ არ დალოდებოდა გვარის მხრიდან შესაბამის მოქმედებას. ტომის საბჭოს შეეძლო გვარის საბჭოს ნების გარეშეც კი გადაეყენებინა ისინი. ამით მტკიცდებოდა ნათესავთა უმაღლესი უფლება მათ სახემებსა და ბელადებზე. ესეც ადასტურებდა გვარის დემოკრატიულ წყობას.

III. ვალდებულება, არ დაქორწინებულიყვნენ გვარის ფარგლებში

ეს ვალდებულება, თუმცა უარყოფითი ხასიათის, მაინც ერთ-ერთი ძირითადი იყო. გვაროვნული ორგანიზაციის თავდაპირველი მიზანი იყო თავიდან აეცილებინათ ნათესაური ქორწინება. როცა გვარი აღმოცენდა, ძმები ჯგუფურ ქორწინებაში იყვნენ თითოეული მათგანის ცოლთან, ხოლო დები — ჯგუფურ ქორწინებაში თითოეული მათგანის ქმართან. რასაც გვარი ვერ ეწინააღმდეგებოდა. მაგრამ გვარმა იზრუნა იმაზე, რომ არ დაეშვა და-ძმის ცოლქმრული ურთიერთობა, რაც განახორციელა კიდეც. ირიკეზები დღემდე უცვლელად ინარჩუნებენ ამ წესს — კრძალავენ ქორწინებას თავის გვარში.

IV. გარდაცვლილ ნევრთა ქონების მემკვიდრეობის უფლება

ველურობის პერიოდში და ბარბაროსობის უდაბლეს საფეხურზე საკუთრება უმნიშვნელო მოცულობისა იყო. თავდაპირველად იგი მოიცავდა პირადი მოხმარების საგნებს, შემდეგ საფეხურზე ამას მიემატა სათემო სახლებისა და ბაღების საკუთრების უფლება. პირადი მოხმარების ყველაზე ფასეულ ნივთებს გარდაცვლილ მესაკუთრესთან ერთად მარხავდნენ. ბარბაროსობის დაბალ საფეხურზე და უფრო ადრეც — ველურობის პერიოდში ვხედებით პრინციპს, რომლის მიხედვითაც ქონება უნდა დარჩენილიყო გვარში და დანაწილებულიყო გარდაცვლილის ნათესავებს შორის. ბერძნულ და ლათინურ გვარებში ბარბაროსობის საფეხურზე და ცივილიზაციის პერიოდშიც გარდაცვლილის ქონება უნდა დარჩენილიყო გვარში. ათენელებთან სოლონის შემდეგ ეს ხდებოდა ანდერძის უქონლობის შემთხვევაში.

იმის შესახებ, თუ ვის უნდა დარჩენოდა მემკვიდრეობით გარდაცვლილის ქონება, შემუშავდა სამი წესი: პირველი, რომ იგი უნდა დაენაწილებინათ

გარდაცვლილის ნათესავებს. ასე იყო ბარბაროსობის დაბალ საფეხურზე და ველურობის პერიოდშიც. მეორე, რომ ქონება უნდა გაენაწილებინათ გარდაცვლილის აგნატურ ნათესავებს, დანარჩენი ნათესავები გამორიცხული იყვნენ. ამ წესის ჩანასახი აღმოცენდა ბარბაროსობის დაბალ საფეხურზე და საბოლოოდ ალბათ განმტკიცდა საშუალო საფეხურზე. მესამე, რომ ქონება უნდა გადაცემოდა მხოლოდ გარდაცვლილის შვილებს. ეს წესი დამახასიათებელია ბარბაროსობის უმაღლესი საფეხურისათვის.

ირიკეზებში თეორიულად პირველი წესი მოქმედებდა, მაგრამ პრაქტიკულად გარდაცვლილის ქონებას ისაკუთრებდნენ გვარის უახლოესი ნათესავები. თუ მამაკაცი გარდაიცვლებოდა, მის ქონებას იყოფდნენ ღვიძლი დაძმები და ბიძები დედის მხრიდან. თუ ქალი გარდაიცვლებოდა, მის ქონებას ინაწილებდნენ მისი შვილები და დები, ძმები გამორიცხული იყო. ორივე შემთხვევაში ქონება გვარში რჩებოდა. გარდაცვლილი მამაკაცის შვილებს არაფერი ერგებოდათ, რადგან ისინი სხვა გვარს მიეკუთვნებოდნენ. ამავე საფეხველზე ქმარი არაფერს ღებულობდა ცოლის შემდეგ და ცოლი ქმრის შემდეგ. მემკვიდრეობის ეს უფლება აძლიერებდა გვარის დამოუკიდებლობას.

V. ფასვარეფის, ფაცვისა და სამაგიეროს გადახდის გალდებულება

ცივილიზებულ სახელმწიფოში პიროვნებასა და საკუთრებას იცავს სასახელმწიფო. გვაროვნულ საზოგადოებაში ინდივიდის უსაფრთხოება დამოკიდებული იყო მის გვარზე. გვარს ეკავა ის ადგილი, რომელიც შემდეგ სახელმწიფომ დაიკავა. ვინმეს შეურაცხყოფა მთელი გვარის შეურაცხყოფის ტოლფასი იყო და ამიტომ მისი დაცვა მთელ ნათესაობაზე ვრცელდებოდა.

პაექრობისა და გასაჭირის დროს გვარის წევრები ერთმანეთს ეხმარებოდნენ. ერერა შენიშნავს, რომ „როცა მიყენებული ზარალის ანაზღაურება გვარის წევრს არ შეეძლო, მთელი ნათესაობა ეხმარებოდა“. ტერმინი ნათესაობა აქ უნდა გავიგოთ როგორც გვარი. ფლორიდის ინდიელების შესახებ კი წერს: „თუ გვარის წევრს უკვდება ძმა ან შვილი, ოჯახის წევრები სამი თვის მანძილზე უმალ მოკვდებოდნენ, ვიდრე იზრუნებდნენ საკვებზე, მაგრამ ნათესავები მათ ამარაგებდნენ ყველაფრით, რაც აუცილებელი იყო“. პირები, რომლებიც გადადიოდნენ სხვა სოფელში საცხოვრებლად, ყველაფერს თავის ნათესავებს უტოვებდნენ.

სისხლის აღების ძველი ადათი გვარის წიაღში ჩაისახა და ფართოდ იყო გავრცელებული. გვარი ვალდებული იყო სამაგიერო გადაეხადა ერთ-ერთი წევრის მოკვლისათვის. დამნაშავის ძებნა და მათი დასჯის კანონები აღმოცენდა მოგვიანებით — გვაროვნული წყობილების დროს. ირიკეზებში და საერთოდ ინდიელ ტომებში ნათესავის მოკვლისათვის სისხლის აღება მოვალეობად ითვლებოდა და ყველას მიერ იყო აღიარებული.

უკიდურესი ზომების მიმართვამდე მკვლელისა და მოკლულის გვარის მოვალეობა იყო დაპირისპირებულ მხარეთა შერიგება. ირიბებოდა თითოეული გვარის წევრთა საბჭო ცალ-ცალკე და შეჰქონდა წინადადება მკვლელობის გამოსყიდვის თაობაზე. თუ დანაშაულის გამამართლებელი ან შემამსუბუქებელი გარემოება არსებობდა, საქმე, ჩვეულებრივ, გამოსყიდვით მთავრდებოდა. თუ მოკლულის ნათესავები არ ურიგდებოდნენ მოწინააღმდეგეს, მისი გვარის წევრთაგან აირჩეოდა ერთი ან რამდენიმე სამაგიეროს გადამხდელი. მათი მო-

ვალეობა იყო დამნაშავის ძებნა და მოკვლა. ამის შემდეგ მოკლულის გვარის წევრთაგან არავინ პრეტენზიას არ აცხადებდა. სიცოცხლე სიცოცხლით იყო გამოსყიდული.

VI. გვარის წევრთათვის სახელის მიცემის უფლება

ველურებსა და ბარბაროსულ ტომებში არ არსებობს ოჯახური სახელები. როგორც წესი, ყველა გვარს ჰქონდა საკუთარი სახელი, რაც მხოლოდ მის საკუთრებას წარმოადგენდა. ამ სახელებს ვერ გამოიყენებდა იმავე ტომის სხვა გვარი. გვარის სახელი თავისთავად გვარის უფლებას ანიშნებდა მის მფლობელს.

ბავშვის დაბადების შემდეგ დედა უახლოესი ნათესავების მონაწილეობით, ირჩევდა სახელს, რომელიც გვარს ეკუთვნოდა, მაგრამ არავის არ ერქვა. ეს სახელი საბოლოო არ იყო მანამდე, ვიდრე ბავშვის დაბადება და სახელი მისი დედისა და მამის სახელსა და გვართან ერთად არ იქნებოდა გამოცხადებული ტომის საბჭოზე. რომელიმე გარდაცვლილი პირის სახელით სარგებლობა არ შეიძლებოდა მისი უფროსი ვაჟის ნებართვის გარეშე.

სახელების ორი კლასი არსებობდა: ერთი — ბავშვობის, მეორე — მოწიფულობის ასაკისათვის. შესაბამის პერიოდში ერთი სახელი იცვლებოდა მეორით იმავე ფორმალური წესით. მაგალითად, სენეკა-იროკეზების გოგონების სახელები „მდინარის მიმართულებით მცურავი ნავი“ და „დაკიდებული ყვავილი“, მოწიფული ვაჟებისა კი „შესანიშნავი ტბა“ და „ქარების მცველი“ თექესმეტი ან თვრამეტი წლის ასაკში ტომის ბელადი პირველ სახელს ხსნიდა და მის ნაცვლად უნიშნავდა მეორე კლასის სახელს. ტომის უახლოეს საბჭოზე საჯაროდ ცხადდებოდა სახელის შეცვლა. ვაჟი ამ დროს თავის თავზე იღებდა უფროსის მოვალეობას. ინდიელ ტომებში ეაქმა ომში პირადი მამაცობის გამოჩენით უნდა დაიმსახუროს მეორე სახელი.

ზოგჯერ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ პირი იცვლიდა სახელს. არჩეულ სახემს ან ბელადს ლანამდებობაზე დანიშვნის დღეს აძლევდნენ მეორე სახელს, ცალკეულ პირს არ შეეძლო სახელის გამოცვლა.

VII. უფლება, იშვილონ გვარში ეიხო

გვარში განმასხვავებელი უფლება იყო ახალი წევრის მიღება შვილად აყვანის გზით. სამხედრო ტყვეებს ან კლავდნენ, ან იშვილებდა რომელიმე გვარი. ტყვედ აყვანილი ქალები და ბავშვები ამ ფორმით იღებდნენ შეწყალებას. შვილად აყვანა არა მარტო გვარის უფლებას ანიჭებდა, არამედ ტომის ნაციონალობასაც. შვილად აყვანილი შვილადამყვანის ძმა ან და ხდებოდა. თუ ქალი იშვილებდა — შვილი. შვილადაყვანილს ექცეოდნენ როგორც ღვიძლ შვილს. შვილადაყვანილი ტყვეები ეძლეოდათ ოჯახებს, რომელთაც ბრძოლაში დაღუპული ჰყავდათ, რათა შეევსოთ ნათესავთა რიგები. გადაშენების გზაზე მდგარ გვარს შვილად აყვანის გზით შეეძლო შეევსო თავის წევრთა რაოდენობა. ერთ დროს ქორ-სენეკას გადაშენება ემუქრებოდა. ამ გვარის გადასარჩენად რამდენიმე ადამიანი მგლის გვარიდან, ორივე მხარის შეთანხმებით, გადაიყვანეს ქორის გვარში შვილად აყვანის გზით.

ირიკეზებთან შვილად აყვანის ცერემონია ხდებოდა საჯაროდ.

VIII. გვარის რელიგიური წეს-ჩვეულებები

ბერძენ და ლათინელ ტომებთან ამ წეს-ჩვეულებებს დიდი ადგილი ეჭირა. მაშინ გაჩენილი რელიგიის უმაღლესი პოლითეისტური ფორმა გვარიდან

გამოვიდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. გვარი გადაიქცა რელიგიის განვითარების ბუნებრივ ცენტრად და რელიგიური ცერემონიის აღმოცენების ადგილად.

ინდიელმა ტომებმა ვერ მიაღწიეს ისეთ რელიგიურ განვითარებას, როგორსაც ბერძნებმა და რომაელებმა. გვარში ბუნებრივად აღმოცენდებოდა რელიგიური იდეები და დგინდებოდა კულტის ფორმა. იროკეზებს წელიწადში ექვსი რელიგიური ზეიმი ჰქონდათ (ნეკერჩხლის, ხვნა-თესვის, კენკრის, ხორბლეულის, სამკალის და ახალი წლის), რომელსაც ზეიმობდა ტომში შემავალი ყველა გვარი განსაზღვრულ დროს.

ყოველი გვარი იძლეოდა „სიწმინდის მცველთა“ (კაცი, ქალი) განსაზღვრულ რაოდენობას, რომლებსაც ეკისრებოდათ ამ დღესასწაულების მოწყობა და რომლებიც სახემთან და ბელადებთან ერთად ხელმძღვანელობდნენ ცერემონიას. „რწმენის მცველ“ ქალებს უმთავრესად ევალებოდათ ნადიმის ორგანიზაცია, რომელსაც აწყობდნენ ამ ზეიმის დროს და მას უნდა დასწრებოდა ყველა იქ მყოფი. ეს იყო საერთო ტრაპეზი. საკმარისია აღნიშნოს, რომ ამ ცერემონიის დროს ხალხი მადლობით მიმართავდა წმინდა სულს და სთხოვდა შემდგომ კეთილდღეობას.

IX. საერთო სასაფლაო

ძველი, მაგრამ არა ერთადერთი წესი დასაფლავებისა იმაში მდგომარეობდა, რომ მიცვალებულს ათავსებდნენ ამაღლებულ ადგილზე, ვიდრე არ გაიხრწნებოდა. შემდეგ მოაგროვებდნენ ძვლებს, ხის ქერქის ყუთში ჩააწყობდნენ და ინახავდნენ სპეციალურად აგებულ სახლში. თითოეულ გვარს თავისი სახლი ჰქონდა. ეს წესი აღმოაჩინა დოქტორმა კირ ბაინგტონმა 1827 წელს ჩოკტებში, ხოლო ედერი ასეთივე წეს-ჩვეულებას აღნიშნავს ჩიროკებთან: „ერთ ქალაქში მე ვნახე სამი ასეთი სახლი ერთმანეთის გვერდით... თითოეულ სახლში თითო გვარის გარდაცვლილ წევრთა ძვლები იყო ყუთებში ჩალაგებული. ყოველ ყუთზე იყო იეროგლიფური გამოსახულება, რომელიც თითოეული გვარის კუთვნილება იყო. ისინი უღმერთობად თვლიდნენ ნათესავების ძვლების არევას სხვის ძვლებში“.

ძველ დროში იროკეზები იყენებდნენ ფიცარნაგებს გარდაცვლილ ნათესავთა ძვლების შესანახად სახლში, სადაც ცხოვრობდნენ. მათთან მიწაში დაკრძალვის წესიც არსებობდა. ეშერ რაიტი აღნიშნავს, რომ ერთ სოფელში მცხოვრებ გვარის წევრებს კრძალავდნენ ერთ სასაფლაოზე. მაგრამ სხვადასხვა გვარის წევრებს — სხვადასხვა ადგილას. შესაბამის მაგალითს ახლაც ეხვდებით ტუსკაროორას რეზერვაციაში, ლუისტონის მახლობლად, სადაც მთელ ტომს ერთი სასაფლაო აქვს; ამასთან ერთი გვარის წევრები ერთ რიგში იკრძალებოდა, მეორე გვარისა — მეორეში და ა. შ. მაგალითად, ერთი რიგი შედგებოდა დათვის გვარის მიცვალებულთაგან, მეორე — რუხი მგლის, მესამე — დიდი კუს გვარისაგან და ა. შ. ცოლი და ქმარი სხვადასხვა რიგში იკრძალებოდა, ასევე — მამა და მისი შვილები; მაგრამ დედა და მისი შვილები, დები და ძმები ერთ რიგში იკრძალებოდნენ. ტუსკაროორას ტომი ამჟამად ქრისტიანები არიან, მაგრამ ეს ჩვეულება შეინარჩუნეს.

იროკეზებში გარდაცვლილის გვარის ყველა წევრი დაკრძალვისას სამგლოვიაროდ იმოსებოდა. ასევე ხდებოდა სხვა ინდიელ ტომებში, რომლებიც ვან-

ვითარების იმავე საფეხურზე იდგნენ. დაკრძალვის ცერემონია ევალებოდა სხვა გვარის წევრებს.

მექსიკისა და ცენტრალური ამერიკის ბინადარ ინდიელებში მიმართავენ როგორც არასრულ კრემაციას, ისე ფიცარნაგზე გამოდებას და დამარხვას. კრემაციას უკეთებდნენ მხოლოდ ბელადებსა და გამოჩენილ პირებს.

უძველესი ოჯახი*

ჩვენ მივეჩვიეთ აზრს, რომ მონოგამიური ოჯახი ყოველთვის არსებობდა და მხოლოდ რამდენიმე ადგილას, გამონაკლისის სახით, აღმოცენდებოდა პატრიარქალური ოჯახი. სინამდვილეში ოჯახის იდეა ვითარდებოდა, გაიარა თანმიმდევრული სტადიების რიგი და ამ რიგში მონოგამიური ოჯახი უკანასკნელ-ფორმა იყო.

გაირჩევა ოჯახის ხუთი სხვადასხვა თანმიმდევრული ფორმა. თითოეული ქორწინების განსაკუთრებულ წესს შეესაბამება. ეს ფორმები შემდეგია:

I. **სისხლით ნათესაური ოჯახი.** იგი დაფუძნებული იყო ღვიძლ და კოლატერალურ ძმებსა და დებს შორის ჯგუფურ ქორწინებაზე.

II. **პუნალუალური ოჯახი.** იგი დაფუძნებული იყო რამდენიმე დის (ღვიძლ და კოლატერალური) ჯგუფურ ქორწინებაზე თითოეულის ქმართან. ამასთან საერთო ქმრები შეიძლება ერთმანეთის ნათესავები არ ყოფილიყვნენ. აგრეთვე რამდენიმე ძმის (ღვიძლი და კოლატერალური) ჯგუფურ ქორწინებაზე თითოეული მათგანის ცოლთან. აუცილებელი არ იყო ცოლების ნათესაობაც. თუმცა უმეტესად ეს ასეც იყო ორივე მხრიდან.

III. **სინდასმიური ან წყვილადი ოჯახი.** დაფუძნებული იყო სხვადასხვა წყვილთა ქორწინებაზე. ქორწინების ხანგრძლივობა დამოკიდებული იყო თითოეული მხარის ნებაყოფლობაზე.

IV. **პატრიარქალური ოჯახი.** დაფუძნებული იყო ერთი მამაკაცის რამდენიმე ქალთან ქორწინებაზე, რასაც, ჩვეულებრივ, ცოლების კარჩაკეტილობა ახლდა.

V. **მონოგამიური ოჯახი.** დაფუძნებული იყო ცალკეულ წყვილთა ქორწინებაზე.

აღნიშნულ ფორმათაგან სამი, კერძოდ პირველი, მეორე და მეხუთე შეიძლება ჩაითვალოს ძირითადად, რადგან საკმარისად უნივერსალური და გავლენიანი იყვნენ ნათესაობის სამი სხვადასხვა სისტემის შესაქმნელად. დანარჩენი ორი ფორმა შუალედური იყო და არ ჰქონდათ იმდენი გავლენა, რომ არსებითად შეეცვალათ იმ დროს მოქმედი ნათესაური სისტემა. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ოჯახის ეს ტიპები გამოყოფილია ერთმანეთისაგან, პირიქით, პირველი ფორმა გადადის მეორეში, მეორე მესამეში და ა. შ. შეუმჩნეველი გრადაციებით.

ამ დრომდე აღმოჩენილი ნათესაობის ყველაზე პრიმიტიული ფორმა მიკვლეულია პოლინეზიელებთან. ჩვენ ვიხელმძღვანელებთ ჰავაის სისტემით, როგორც უფრო ტიპურით. მე მას შალაის სისტემას ვუწოდებ. ამ სისტემით, ყველა სისხლით ნათესავი — ახლობელი თუ შორეული — იმყოფება ნათესაური ურთიერთობის ერთ-ერთ შემდეგ ფორმაში: მშობლები, შვილები, ბაბუები, შვი-

* წაკითხულია: Морган Г. Льюис, Древнее общество, Л., 1934, с. 216—225.

ლიშვილები, ძმები, დები. სისხლით ნათესაობის სხვა სახეობა არ არის ცნობილი. ამას გარდა არსებობს ნათესაობა ქორწინებით. ნათესაობის ეს სისტემა აღმოცენდა ოჯახის პირველ ფორმასთან ერთად და ბატონობდა პოლინეზიაში, თუმცა სისხლით ნათესაური ოჯახი გადავიდა პუნალუალურზე. ნათესაური სისტემა ხელშეუხებელი დარჩა, რადგან მის შესაცვლელად არავითარი რადიკალური ცვლილებები არ მომხდარა. ქორწინება დებსა და ძმებს შორის ჯერ კიდევ სავსებით არ იყო გამქრალი სანდვიჩის კუნძულებზე, როცა 50-ოდე წლის წინათ იქ ამერიკელი მისიონერები დამკვიდრდნენ. ეჭვგარეშეა, რომ ძველად, ნათესაობის ეს სისტემა გავრცელებული იყო მთელს აზიაში, რადგან იგი დღემდე ითვლება თურანულ სისტემაში გაბატონებულად. იგი საფუძვლად უდევს აგრეთვე ჩინურ სისტემას.

ნათესაობის მეორე დიდმა სისტემამ — თურანულმა, დროთა განმავლობაში შეცვალა პირველი და გავრცელდა დედამიწის უმეტეს ნაწილში. იგი ბატონობდა ჩრდილოეთ ამერიკის მკვიდრებში, ხოლო სამხრეთ ამერიკაში შემთხვევით აღმოჩნდა, მაგრამ საკმარისია იმისათვის, რომ მისი გავრცელება იქაც ნამდვილად მივიჩნიოთ. მისი კვალი გვხვდება აფრიკაში, თუმცა აფრიკის ნათესაობის სისტემა უფრო ახლოს დგას მალაურ სისტემასთან. თურანული სისტემა დღემდე ბატონობს სამხრეთ ინდოეთში, აგრეთვე ცოტა შეცვლილი ფორმით ჩრდილო ინდოეთში. იგი გვხვდება ავსტრალიაში განუვითარებელი ფორმით. ჰანოვანური და თურანული ოჯახების ტომების უმეტესობაში ეს სისტემა თავის წარმოშობას უნდა უმადლოდეს პუნალუალურ ჯგუფურ ქორწინებას და გვაროვნულ ორგანიზაციას, რომელიც ცდილობდა სისხლით ნათესაური ქორწინების მოსპობას. როცა ნათესაობის თურანული სისტემა აღმოცენდა, ოჯახს უკვე პუნალუალური ფორმა ჰქონდა. ეს იმით მტკიცდება, რომ პუნალუალური ჯგუფური ქორწინება განსაზღვრავს ნათესაობის ამ სისტემის უმნიშვნელოვანეს სახეებს.

თურანული სისტემისათვის ცნობილია ნათესაობის ყველა სახე, რაც არიული სისტემისთვისაა ცნობილი.

როცა ამერიკის მკვიდრნი აღმოაჩინეს, მაშინ პუნალუალური ოჯახი სინდიასმიურ ფორმაში იყო გადასული. ნათესაობის სახე ბევრ შემთხვევაში არ შეესატყვისებოდა იმას, რაც ფაქტობრივად არსებობდა სინდიასმიურ ოჯახში. აქ მეორდება იგივე, რაც მალაურ სისტემაში, როცა სისხლით ნათესაური ოჯახი გადავიდა პუნალუალურში, მაშინ როცა ნათესაობის სისტემა არ შეცვლილა. ამის შედეგად, როცა მალაურ სისტემაში ნათესაობის სახელწოდება შეეფარდებოდა ფაქტობრივად სისხლით ნათესაურ ოჯახში არსებულს, არასწორი იყო პუნალუალური ოჯახის ზოგიერთი ასეთი ურთიერთობისათვის. ამისავე მსგავსად თურანულ სისტემაში არსებული ნათესაობის სახელწოდება შეეფარდებოდა პუნალუალურ ოჯახში ფაქტობრივად არსებულ ურთიერთობას, მაგრამ არასწორი იყო სინდიასმიური ოჯახისათვის. ზოგიერთი ასეთი ურთიერთობის ოჯახის ფორმები, ბუნებრივია, უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე ნათესაობის სისტემა, რომელიც მხოლოდ შემდეგ აფიქსირებს ოჯახურ ურთიერთობას. როგორც პუნალუალური ოჯახის აღმოცენებამ არ მოგვცა საკმარისი მოტივი მალაური სისტემის გარდასაქმნელად, ასევე სინდიასმიური ოჯახი ვერ გადაიქცა თურანული სისტემის შეცვლის საკმარის მიზეზად. საჭირო გახდა ისეთი დიდი ორგანიზაცია, როგორიც გვაროვნული იყო, რათა მალაური სისტემა თურანულით შეცვლილიყო. აგრეთვე ისეთი გავლენიანი ინსტიტუტი, რო-

გორც საკუთრებაა, თავისი მფლობელობისა და მემკვიდრეობის უფლებით, მის მიერ შექმნილ მონოგამიურ ოჯახთან ერთად, რათა მოეშორებინათ თურანული სისტემა და შეეცვალათ იგი არიულით.

დროთა მანძილზე აღმოცენდა ნათესაობის მესამე დიდი სისტემა, რომელსაც შეიძლება ჩვეულებისამებრ ეწოდოს არიული, სემიტური ან ურალური და რომელმაც მთავარ ერებში, რომლებმაც მიაღწიეს შემდეგში ცივილიზაციას, შეცვალა წინამორბედი თურანული სისტემა. ეს სისტემა გამოხატავს მონოგამიური ოჯახის ნათესაობის სახეობას. იგი თურანულ სისტემაზე არ იყო დაფუძნებული, როგორც ეს უკანასკნელი — მალაურზე, მაგრამ ცივილიზებულ ერებში შეცვალა წინანდელი თურანული სისტემა, რაც შეიძლება სხვა გზითაც დამტკიცდეს.

ოჯახის უკანასკნელი ოთხი ფორმა არსებობდა ისტორიულ პერიოდში. პირველი ფორმა, სისხლითნათესაური, ამ დროისათვის უკვე გაქრა. ამრიგად, ჩვენ გვაქვს ოჯახის სამი ძირითადი ფორმა, რომლებიც წარმოადგენენ სამ დიდ, ღრმად განსხვავებული ცხოვრების მდგომარეობას — სამ სხვადასხვა და მკვეთრად განსაზღვრულ ნათესაობის სისტემას. თუმცა სხვა საბუთი რომ არ გვქონოდა, მარტო ეს სისტემები იყო საკმარისი, რათა დაგვემტკიცებინა ოჯახის ამ ფორმათა არსებობა.

ოჯახის ზემოხსენებულმა ყოველმა ფორმამ ადამიანთა ტომებში გაიარა განვითარების გრძელი გზა. ჰქონდა ბავშვობის, მოწიფულობისა და დაცვის პერიოდები. მონოგამიური ოჯახი, ისე როგორც სინდიასმიური, თავისი წარმოშობით დავალებულია გვარისაგან. ბერძნული ტომები როცა პირველად იქცნენ ისტორიული დაკვირვების ობიექტად, მონოგამიური ოჯახი უკვე არსებობდა, მაგრამ იგი სრულად მაშინ დამტკიცდა, როცა მისი არსებობა და უფლებები განისაზღვრა კანონმდებლობით. მამობის საიმედოობამ ახლა უკვე ისეთი მნიშვნელობა შეიძინა, რაც უცნობი იყო საზოგადოების ადრინდელ მდგომარეობაში. ცალკეული წყვილის ქორწინება არსებობდა ბარბაროსობის უძველესი პერიოდიდან. მაგრამ მონოგამიური ოჯახის ძირითადი ელემენტი — თანაცხოვრება ჯერ კიდევ არ არსებობდა. მამაკაცი ცოლისაგან ერთგულებას მოითხოვდა, თავისი სრული თავისუფლების პრეტენზიით. ჰომეროსის დროინდელი ქალების მდგომარეობა ოჯახში დაიყვანებოდა მამაკაცისადმი სრულ მორჩილებამდე და ოჯახში ჩაკეტვამდე. მათი უფლებები უმნიშვნელო იყო. შემდგომ პერიოდებში შეინიშნება ბერძნული ოჯახის პროგრესირება.

მონოგამიური ოჯახის ისტორია დაახლოებით სამი ათასი წლის მანძილზე გვიჩვენებს მის თანდათანობით და განუხრელად სრულყოფას. იგი აგრძელებს პროგრესირებას შემდგომშიც, ვიდრე აღიარებული არ იქნება სქესთა თანასწორობა და საქორწინო ურთიერთობათა თანასწორუფლებიანობა. სინდიასმიური ოჯახის პროგრესული განვითარების მსგავსი საბუთებიც გვაქვს, მან თავისი არსებობა დაიწყო დაბალი ტიპიდან და გადავიდა მონოგამიურში. კაცობრიობის პროგრესის მსვლელობა შეიძლება გარკვეულწილად გაიზომოს ამ სისტემის გარდაქმნის ხარისხით. ოჯახის და ქორწინების ყოველი მომდევნო ფორმა ამ გარდაქმნის მნიშვნელოვანი გამოხატულებაა.

ამრიგად, ჩვენ გვაქვს დაახლოებითი წარმოდგენა ამ პერიოდების ხანგრძლივობაზე. თუ მხედველობაში მივიღებთ ოჯახის ხუთ თანმიმდევრულ და სხვადასხვა ფორმას, რომელთაგან თითოეული ეკუთვნოდა საზოგადოების სრულიად განსხვავებულ მდგომარეობას, წარმოგვიდგება უფრო გრძელი პერიოდი, რომლის მანძილზე სისხლით ნათესაურიდან შუალედური ფორმების

გავლით წარმოიქმნა მონოგამიური ოჯახი, რომელიც ამჟამადაც განვითარების პროცესშია.

პუნალუალური ოჯახი სინდიასმიურის გავლით გადავიდა მონოგამიურ ფორმაში ნათესაობის თურანული სისტემის ყოველგვარი ცვლილების გარეშე. პუნალუალური ოჯახისათვის დამახასიათებელი ნათესაობის სახეობის გამომხატველი ეს სისტემა უცვლელი იყო მონოგამიური ოჯახის შექმნამდე. მალაური სისტემის დროს მამაკაცი თავისი ძმის ვაჟს შვილს უწოდებს, რადგან მისი ძმის ცოლი მისი ცოლიცაა. მისი დის ვაჟი აგრეთვე მისი შვილიცაა, რადგან მისი და მისი ცოლიცაა. თურანული სისტემის დროს მისი ძმის ვაჟი ჯერ კიდევ მისი შვილიცაა იმავე საფუძველზე, მაგრამ მისი დის ვაჟი, ახლა უკვე მისი დისშვილია, რადგან გვაროვნულ ორგანიზაციაში მისი და უკვე მისი ცოლი აღარაა. იროკეზებთან სინდიასმიურ ოჯახში მამაკაცი თავისი ძმის ვაჟს თავის შვილს უწოდებს, თუმცა მისი ძმის ცოლი მისი ცოლი აღარაა. მონოგამიამ დაადგინა ბავშვის მამობა და მათი მემკვიდრეობის კანონიერება. თურანული სისტემის რეფორმირება მონოგამიურ წარმოშობასთან შესათანხმებლად შეუძლებელი იყო. იგი უცხო იყო მონოგამიისათვის.

თავისთავად ნათესაობის სისტემას არა აქვს დიდი მნიშვნელობა. მაგრამ თუ რიგი ტომების ნათესაობის სისტემას შეეადარებთ და დავინახავთ, რომ ისინი ასრულებენ ოჯახური ინსტიტუტის როლს, მაშინ საკითხი სრულიად სხვა სახეს მიიღებს. სამი ასეთი სისტემა ერთმანეთის მიყოლებით წარმოგვიდგენს ოჯახის განვითარებას სისხლით ნათესაობიდან მონოგამიურამდე.

საზოგადოების პროგრესთან ერთად ეს სისტემები ბუნებრივად ეითარდებოდნენ და ერთი სისტემიდან მეორეზე გადასვლა ხასიათდებოდა ისეთი ინსტიტუტის წარმოქმნით, რომელიც ზეგავლენას ახდენდა საზოგადოების სტრუქტურაზე.

ჯგუფური ქორწინებისას ღვიძლ და კოლატერალურ დებსა და ძმებს შორის ოჯახი სისხლით ნათესაური უნდა ყოფილიყო. ნათესაური სისტემა კი მალაური. როცა ქორწინება ჯგუფური იყო რამდენიმე დასა და მათ ქმრებს შორის, ან რამდენიმე ძმასა და მათ ცოლებს შორის, ოჯახი პუნალუალური იყო, ხოლო სისტემა — თურანული. წყვილთა ოჯახის ქორწინება იყო მონოგამიური, სისტემა — არიული. ეს სამი სისტემა ემყარება ქორწინების სამ ფორმას და ამრიგად, ეფუძნებიან არა ბუნებრივ ურთიერთობას, არამედ ქორწინებას.

ეს სისტემები წარმოქმნიან ორ განსხვავებულ ფორმას: კ ლ ა ს ი ფ ი კ ა ც ი ურ ს და ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ს. პირველის დროს სისხლით ნათესაები იყოფიან კატეგორიებად, მიუხედავად ახლო და შორეული ნათესაობისა. ამასთან ნათესაობის ერთი და იგივე ტერმინი განეკუთვნება ყველას, ვინც ერთ კატეგორიას მიეკუთვნება. ასე მაგალითად, ჩემი ღვიძლი ძმები და მამაჩემის ძმის შვილები — ყველა ჩემი ძმაა, ჩემი ღვიძლი დები და დედაჩემის დის შვილები — ჩემი დებია. ასეთია როგორც მალაური, ისე თურანული სისტემის კლასიფიკაცია.

აღწერილობითი ფორმის დროს სისხლით ნათესაები აღინუსხებიან ან ნათესაობის ძირითადი ტერმინებით, ან ტერმინთა კომბინაციით. ამრიგად, ყოველი ცალკეული პირის ნათესაური ურთიერთობა გამოხატულია სპეციფიკურად, ვამბობთ: ძმის შვილი, მამის ძმა და მამის ძმის შვილი. ასეთია მონოგამიისთან ერთად აღმოცენებული არიული, სემიტური და ურალური ოჯახების ნათესაური სისტემა.

ნათესაობა ორი სახისაა: სისხლით და ქორწინებით. სისხლით ნათესაობა, თავის მხრივ, ორი სახისაა: პირდაპირი და კოლატერალური. პირდაპირი ხაზით ნათესაობა წარმოადგენს ურთიერთობას ორ პირს შორის, რომელთაგან ერთი წარმოშობილია მეორისაგან. კოლატერალურია ნათესაობა, როცა არსებობს ურთიერთობა პირებს შორის, რომელთაც საერთო წინაპარი ჰყავდათ. ნათესაური კავშირი ქორწინების მიხედვით ადათ-წესების საფუძველზე არსებობს.

ყოველი ცალკეული პირი არის ცენტრი ნათესავების ჯგუფისა — Ego, რომლისგანაც ითვლება ყოველი მეორე პირის ნათესაობის ხარისხი და რომელთან მიმართებაში დგინდება ნათესაობა. ეს Ego მდებარეობს პირდაპირ ვერტიკალურ ხაზზე. მასზე ზემოთ და ქვემოთ შეიძლება მოათავსო სხვადასხვა წინაპარი და შთამომავალი. ნათესაობის ძირითადი ხაზიდან გამოდის მამაკაცისა და ქალის გვერდითი შტოები.

მამაკაცის პირველი გვერდითი ხაზი შედგება ჩემი ძმისა და მისი შთამომავლებისაგან, ქალის პირველი ხაზი — ჩემი დისა და მისი შთამომავლებისაგან. მამაკაცის მეორე გვერდითი ხაზი მამის მხრიდან შედგება მამაჩემის ძმისა და მისი შთამომავლებისაგან, ხოლო ქალისა — მამაჩემის დისა და მისი შთამომავლებისაგან. მამაკაცის მეორე ხაზი დედის მხრიდან შედგება დედაჩემის ძმისა და მისი შთამომავლებისაგან, ხოლო ქალისა—დედაჩემის დისა და მისი შთამომავლებისაგან. მამაკაცის მესამე გვერდითი ხაზი მამის მხრიდან შედგება ბაბუაჩემის ძმისა და მისი შთამომავლებისაგან, ქალის მესამე გვერდითი ხაზი — ბებიაჩემის დისა და მისი შთამომავლებისაგან. დედის მხრიდან იგივე ხაზი მამაკაცისა და ქალის შტოში შედგება ბებიაჩემის ძმებისა და დებისაგან მათი შთამომავლებით. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ გადავედით მამის მხრიდან პირდაპირი ხაზიდან დედის მხრიდან პირდაპირ ხაზზე. მამაკაცისა და ქალის მეოთხე გვერდითი ხაზი იწყება ბაბუაჩემის მამის ძმისა და დისაგან და ბებიაჩემის დედის ძმისა და დისაგან, ხოლო მეხუთე მამაკაცისა და ქალის გვერდითი ხაზები — ბაბუაჩემის ბაბუის ძმისა და დისაგან და ბებიაჩემის ბებიის დისა და ძმისაგან. ამასთან ყოველი ხაზი და ყოველი შტო გადის ისე, როგორც მესამე. ეს ხუთი ხაზი თავისი შთამომავლობით არის ჩვენი ნათესაობის უმეტესობა, რომელთა ნათესაობა ფაქტობრივად განირჩევა.

ეს ნათესაობითი ხაზები კიდევ მოითხოვს განმარტებას. თუ მე მყავს რამდენიმე და ან ძმა, ისინი თავისი შთამომავლობით ქმნიან იმდენივე ერთმანეთისაგან განსხვავებულ ხაზებს, რამდენი ძმაცა და დაცა მყავს, ერთიანობაში კი ისინი არიან ჩემი ნათესავები პირველი გვერდითი ხაზიდან, რომელიც იყოფა ორ — მამაკაცისა და ქალის შტოდ. ჩემი მამისა და დედის ძმები და დები თავისი შთამომავლობით ასევე ქმნიან იმდენივე ცალკეულ ხაზს, რამდენი ძმაცა და დაც არსებობს. ყველა ისინი ერთობლიობაში შეადგენენ მეორე გვერდით ხაზს, ორი ქვეგანაყოფით — მამისა და დედის მხრიდან და ოთხი მთავარი შტოთი — ორი მამაკაცის და ორი ქალის. თუ მესამე გვერდით ხაზს მივადევნებთ თვალს მთელი თავისი შტოთი, ვნახავთ წინაპართა ოთხ დიდ ქვეგანაყოფს და რვა მთავარ შტოს, ამასთან თითოეული გვერდითი ხაზი გაიზრდება იმავე პროგრესიით.

ქვეგანაყოფთა და შტოთა ასეთი მასის დროს, რომელიც მოიცავს სისხლით ნათესავთა ასეთ დიდ რაოდენობას, უნდა ვაღიაროთ, რომ მდებარეობისა და აღწერის წესი დიდი შენაძენი იყო. ეს ამოცანა სრულყოფილად შესრულდა რომაელი ცივილისტების მიერ, რომელთა მეთოდი აითვისეს ევროპის მთავარმა ერებმა.

ახალი ფორმა რომ გაადვილებულიყო, აუცილებელი იყო ტერმინების მეშვეობით განესხვავებინათ დეიდები და ბიძები მამისა და დედის მხრიდან. ბოლოს და ბოლოს ასეთი ტერმინები გაჩნდა რომაელებთან: მამის მხრიდან ბიძებისა და ბიცოლების აღსანიშნავად patruus და amita, ხოლო ქალის მხრიდან — avunculus და matertera. რომაელთა მიერ სისხლით ნათესავთა აღწერის ტერმინთა ეს სრულყოფილი წესი დადგინდა.

ნათესაობის სისტემის მიღება, შეცვლა ან ცვლილებების შეტანა თვითნებურად არ ხდებოდა. მათი აღმოცენება დაკავშირებულია საზოგადოების ორგანიზაციის მოძრაობასთან.

სამხრეთ ინდოეთის ტამილებში და ნიუ-იორკის შტატის სენეკა-როკეზებში ნათესაობის სისტემა ჯერ კიდევ უცვლელია ორასი ნათესაური კავშირით განსხვავებულ ნაირსახეობაში. არსებობს კიდევ ამ სისტემის მოდიფიცირებული ფორმა. ესაა — ჰინდის, ბენგალის, მარატის და ჩრდილოეთ ინდოეთის სხვა ხალხთა სისტემა, რომელიც წარმოიქმნა არიული და თურანული სისტემების კომბინაციის გზით. ცივილიზებული ხალხი, ბრაჰმანები შეერწყა ბარბაროსულ ტომებს. მათი ენა აითქვიფა ამ ტომთა ახალ კილოში. შეინარჩუნა ადგილობრივ მცხოვრებთა ენის სტრუქტურა, სიტყვათა ოთხმოცდაათი პროცენტი კი ისესხა სანსკრიტულიდან. ამან გამოიწვია ორი ნათესაური სისტემის კოლიზია: ერთი — დაფუძნებული მონოგამიურ ან სინდიასმიურ ქორწინებაზე, მეორე — ჯგუფურ ქორწინებაზე. შედეგად მიღებულ იქნა შერეული სისტემა. სლავური ტომი, როგორც ჩანს, წარმოიქმნა რასათა ასეთი შერევის გზით.

ველურებისა და ბარბაროსების ოჯახური ცხოვრება არ იყო გამოკვლეული სათანადო ყურადღებით. ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელ ტომთა ოჯახს სინდიასმიური ფორმა ჰქონდა, მაგრამ ისინი ცხოვრობდნენ საერთო სახლებში და თავის საოჯახო მეურნეობაში ახორციელებდნენ კომუნიზმს. ვენესუელას სანაპირო ზოლის ტომებში, როგორც ჩანს, პუნალუალური ოჯახი არსებობდა. ცხოვრობდნენ სახლებში, რომლებშიც ასორმოცდაათი ადამიანი ეტეოდა. ცოლები და ქმრები ერთ ჯგუფად ცხოვრობდნენ ერთ სახლში. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ველურობის პერიოდში ძალზე გავრცელებული იყო ასეთი საოჯახო ცხოვრება.

მონოგამიური ოჯახი*

მონოგამიური ოჯახით საზოგადოების წარმოქმნა ისე შეუპოვრად იწყებოდა, რომ ჩვენი მტკიცება ამ ფორმის ახლახან წარმოშობის შესახებ სიახლედ გვეჩვენება. ავტორები, რომლებიც საზოგადოების წარმოშობას ფილოსოფიური თვალსაზრისით იკვლევდნენ, ძნელად თუ წარმოიდგენდნენ მის არსებობას ოჯახის გარეშე, თვით ოჯახი კი მათთვის მხოლოდ მონოგამიური იყო. ისინი ასევე აუცილებლად მიიჩნევდნენ, რომ საქორწინო წყვილი იყო პირთა ჯგუფი, რომელთა ნაწილი მონები იყვნენ, ხოლო დანარჩენი ნახევრად არათავისუფალნი. ამიტომ ისინი მიდიოდნენ დასკვნამდე, რომ პირველი ორგანიზაციული საზოგადოება დაიწყო პატრიარქალური ოჯახით. იგი, ამ ინსტიტუტის მართლაც უძველესი ფორმა, მიკვლეულია ჩვენ მიერ ლათინურ, ბერძნულ და ებრაულ ტომებში. ანალოგიურად პატრიარქალური ოჯახი, მისი ლათინური ან ებრაული ფორმით. გამოცხადებული იყო პირველყოფილი საზოგადოების ტიპურ ოჯახად, ამასთან ამ ორგანიზმის დედაარსად მიიჩნდათ მამის ძალაუფლება.

გვარის არსებობა ბარბაროსობის გვიანი პერიოდის ფორმით აღიარებული იყო, მაგრამ შეცდომით ითვლებოდა, რომ იგი მონოგამიური ოჯახის შემდეგ იყო წარმოშობილი. ნათელი ხდება, თუ რა აუცილებელია ბარბაროსულ და ველურ ტომთა ინსტიტუტების გაცნობა, რათა გაეერკვეთ ჩვენს საკუთარ ინსტიტუტებში. იმ დებულებიდან გამომდინარე, რომ მონოგამიური ოჯახი სოციალური სისტემის ორგანიზაციის ერთეული იყო, გვარი ითვლებოდა ოჯახის შემაერთებლად, ტომი — გვარის შემაერთებლად, ერი კი — ტომების შემაერთებლად. შეცდომა პირველივე დებულებაშია. ჩვენ ვაჩვენეთ, რომ გვარი მთლიანად შედის ფრატრიაში, ფრატრია — ტომში, ტომი — ერში; მაგრამ ოჯახი მთლიანად არ შედიოდა გვარში, რადგან ცოლი და ქმარი სხვადასხვა გვარს მიეკუთვნებოდნენ. ცოლი გვიანდელ დრომდე ეკუთვნოდა თავისი მამის გვარს და რომაელებში იგი ინარჩუნებდა თავისი გვარის სახელს. რამდენადაც მთელში უნდა შედიოდეს ყველა ნაწილი, ოჯახი არ შეიძლებოდა გამხდარიყო გვარის ორგანიზაციის ერთეული. ეს ადგილი ეჭირა გვარს. რომაული ან ებრაული ტიპის პატრიარქალური ოჯახი სრულიად უცნობი იყო ველურობის მთელ პერიოდში, აგრეთვე უძველეს, ალბათ, ბარბაროსობის ადრეულ და უგვიანეს პერიოდებში. გვარის შექმნის დროიდან მონოგამიურ ოჯახამდე გავიდა საუკუნეები და პერიოდებიც კი შეიცვალა მხოლოდ მას შემდეგ, როცა დაიწყო ცივილიზაცია, ოჯახის ეს ფორმა გახდა მუდმივი ინსტიტუტი.

ლათინთა ტომებში მის მოგვიანებით გაჩენას ადასტურებს სიტყვა fami-

---

* წყაროდან: Морган Г. Льюис, Древнее общество, Л., 1934, с. 276—288.

lia-ს მნიშვნელობა, რომელიც იმავე ელემენტს შეიცავს, რომელსაც სიტყვა famulus — მსახური. ეს სიტყვა წარმოშობილია, ალბათ, ოსკური სიტყვისაგან famel-servus — მონა. სიტყვა familia-ს თავდაპირველი მნიშვნელობა საქორწინო წყვილი და მათი შვილები კი არ იყო, არამედ აღნიშნავდა მონებსა და მსახურებს ერთად, რომლებიც pater familias-ის მფლობელობაში იყვნენ. ზოგიერთ ანდერძში familia იხმარება partimonium-ის (ქონება, რომელიც მემკვიდრეობით გადაიცემა) სინონიმად. ეს სიტყვა ლათინურ საზოგადოებაში აღმოცენდა ახალი ორგანიზმის აღსანიშნავად, რომლის უფროსს თავისი მამობრივი უფლების ქვეშ ჰყავდა ცოლი, შვილები და მასზე დამოკიდებული ადამიანების გარკვეული რაოდენობა. მომსენი ლათინურ familia-ს თარგმნის „ხოლოპად". ამრიგად, მოცემული ტერმინი და ამ ტერმინით გამოხატული იდეა ლათინური ტომების ოჯახურ სისტემაზე ძველი არ არის, რომელიც გაჩნდა მიწათმოქმედებისა და ლეგალიზებული მონობის შემდეგ, მაშინ, როცა ბერძნები და ლათინები გაიყვნენ. თუ ოჯახის ამსახველ წინარე ფორმას ჰქონდა რაიმე სხვა სახელწოდება, მისი აღდგენა ახლა შეუძლებელია.

ოჯახის ორ ფორმაში — სისხლით ნათესაურში და პუნალუალურში — მამას ძალაუფლება არ ჰქონდა. როცა პუნალუალური ჯგუფის წიაღში აღმოცენდა გვარი, მან შეაკავშირა დები თავისი ბავშვებით. და შემდგომი მემკვიდრეობით ქალის ხაზით უსასრულობამდე ერთ გვარში, რომელიც გადაიქცა მის მიერ შექმნილი სოციალური სისტემის ორგანიზაციის ერთეულად. აქედან თანდათანობით განვითარდა სინდიასმიური ოჯახი, მასთან ერთად მამის უფლების ჩანასახი. ამ პირველმა სუსტმა და მერყეევმა ძალაუფლებამ მას შემდეგ დაიწყო განუხრელი ზრდა, რაც ახალი ოჯახი საზოგადოებრივ პროგრესთან ერთად თანდათანობით იღებდა მონოგამიურ ხასიათს. როცა საკუთრების დაგროვებასთან ერთად გაჩნდა სურვილი მისი შვილებისათვის გადაცემისა, ამან წარმოქმნა წარმოშობის მთელი სისტემის ქალის ხაზიდან მამაკაცის ხაზში გადასვლის პირველი მატერიალური საფუძველი.

საკმარისია მოვიტანოთ კლასიკურ ავტორთაგან ადრეული მონოგამიური ოჯახის რამდენიმე მაგალითი, რათა წარმოდგენა ვიქონიოთ მის ხასიათზე. მონოგამია ჩნდება ბარბაროსობის მოგვიანო ხანაში. უეჭველია, რომ ზოგიერთი მისი დამახასიათებელი ნიშანი გაჩნდა წინამდებარე სინდიასმიურ ოჯახში. თუმცა მონოგამიის ძირითადი ელემენტი — ცოლ-ქმრული თანაცხოვრება, ჯერ კიდევ არ იყო.

მონოგამიის ყველაზე ადრეული და მნიშვნელოვანი მაგალითია ძველი გერმანელების ოჯახი. ტაციტუსი აღნიშნავს, რომ მზითევი მამაკაცს მოჰქონდა ცოლისათვის — აკაზმული ცხენი, ფარი, მახვილი. ამ საჩუქრების შემდეგ ქალი მიყვებოდა კაცს ცოლად. უწინ ამ საჩუქრებს ღებულობდნენ ქალის ჭშობლები, როცა ქალს ყიდულობდნენ, ახლა კი — თვითონ სარძლო.

მეორე ადგილას იგი ახსენებს ორ არსებით მომენტს, რაც მონოგამიის საფუძველს შეადგენდა: **პირველი**, ყოველი კაცი კმაყოფილდებოდა ერთი ცოლით, **მეორე**, ქალები უბიწოდ ინახავდნენ თავს, რის მიღწევასაც ცდილობდნენ ნაწილობრივ ჩაკეტილი ცხოვრებით. ჰომეროსის პოემები შეიცავენ იმის დამამტკიცებელ საბუთს, რომ ქალებს ძალიან ცოტა უფლება ჰქონდათ, რასაც აღიარებდნენ მამაკაცები.

წარმოშობის ათვლის ქალის ხაზიდან გადასვლამ მამაკაცის ხაზზე არაკეთილსასურველად იმოქმედა ქალის მდგომარეობაზე და მისი როგორც დედისა და ცოლის, უფლებაზე. შვილები მისი გვარიდან გადავიდნენ ქმრის გვარში. ქალი

ვათხოვების შემდეგ კარგავდა თავის აგნატიურ უფლებებს ისე, რომ სამაგიეროს არ ღებულობდა საოჯახო მეურნეობაში ბატონობდნენ მისი გვარის წევრები, რის გამოც ოჯახის ცენტრი ცოლი უფრო იყო, ვიდრე ქმარი. წარმოშობის ათვლის შეცვლის შემდეგ ცოლი მარტოდმარტო დარჩა თავისი ქმრის სახლის მეურნეობაში, მოწყდა თავის ნათესავებს. ამან დაკარგა დედის ავტორიტეტი, მნიშვნელოვნად დაქვეითდა მისი მდგომარეობა საზოგადოებაში და შეაჩერა მისი აღზევება სოციალურ საფეხურზე.

ბერძნებთან მამაკაცები გამსჭვალული იყვნენ ეგოიზმით, რამაც გამოიწვია ქალისადმი პატივისცემის ისეთი დაცემა, როგორც ველურებთანაც ძნელი მოსაძებნია. საკვირველია, ისეთი რასა, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა მთელი მსოფლიოს სულიერ ცხოვრებაზე, თავისი ცივილიზაციის გაფურჩქვნის პერიოდში დარჩენილიყო მდედრობითი სქესისადმი ბარბაროსული. არ შეიძლება ითქვას, რომ ისინი უხეშად და მკაცრად ექცეოდნენ ცოლებს. მაგრამ ცოლი არ იყო თავისი ქმრის ამხანაგი, იგი ქალიშვილის მდგომარეობაში იმყოფებოდა მის მიმართ. ეს ეწინააღმდეგებოდა მონოგამიის ძირითად პრინციპს.

ჩვენს განკარგულებაშია დაწერილებითი ცნობები ისტორიულ ეპოქაში ბერძნული ოჯახისა და ბერძენი ქალის მდგომარეობის შესახებ. ბეკერმა შეაგროვა ამ საკითხთან დაკავშირებული ფაქტები და გვიჩვენა ის დიდი განსხვავება, რომელიც არსებობდა ისტორიულ პერიოდში ბერძნულ და თანამედროვე ცივილიზაციურ ოჯახს შორის, აგრეთვე გვიჩვენა მონოგამიური ოჯახის მდგომარეობა მისი განვითარების ადრეულ სტადიაში.

ბეკერის მითითებიდან ყურადღებას იქცევს ორი: პირველი, ქორწინების მთავარი მიზანი იყო კანონიერ ბავშვთა დაბადება, მეორე, ეს მიზანი მიიღწეოდა კარჩაკეტილობით. ეს ორი მოგლენა მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და ნათელს ჰფენენ იმ პირობებს, რომლისგანაც ისინი აღმოცენდნენ. პირველყოვლისა იმიტომ, რომ სასიყვარულო ვნება უცხო იყო ბარბაროსებისათვის. ბერძნების წარმოდგენით, ფიზიკური ღირსება იყო ყველა დადებით თვისებათა საზომი, რითაც უნდა ყოფილიყო შემკული ქალი. ამიტომ ქორწინება გრძნობაზე კი არ იყო დაფუძნებული, არამედ აუცილებლობასა და ვალდებულებაზე. ასეთივე მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ ეროკეზები და აცტეკები. მართლაც, ასეთი საქორწინო ურთიერთობა აღმოცენდა ბარბაროსობის პირობებში და ასახავენ ბერძნული ტომების წინაპართა ბარბაროსობის წინა პერიოდს. საოცარია, მაგრამ ეს წინაპრები სრულად პასუხობდნენ ოჯახის ბერძნულ იდეალს ბერძნული ცივილიზაციის გაფურჩქვნის პერიოდში.

რომაულ ოჯახში ქალთა მდგომარეობა უფრო კეთილსასურველი, მაგრამ მაინც დაქვემდებარებული იყო.

როგორც ათენში ქალი რომშიც დიდი პატივით სარგებლობდა, რომაულ ოჯახში მას დიდი გავლენა და ავტორიტეტი ჰქონდა. იგი ოჯახში ქალბატონი იყო. თავისუფლად დადიოდა ქუჩაში და ქმართან ერთად ესწრებოდა წარმოდგენებს თეატრში, აგრეთვე საზეიმო ნადიმებს. პლუტარქეს სიტყვებით, საბინებთან ზავის დადების შემდეგ, რაც მოხდა საბინელი ქალების წყალობით, რომაელ ქალებს რიგი პრივილეგიებისა მიენიჭათ: ქუჩაში შეხვედრისას კაცებს გზა უნდა დაეთმოთ მათთვის, ქალების თანდასწრებით ისინი ვერ ბედავდნენ უხეში სიტყვების წარმოთქმას, ქალებთან ვერ ჩხდებოდნენ ტტვლები. მიუხედავად ამისა, ქალი მაინც მამაკაცის უფლებას ემორჩილებოდა. ქმარი ისე ეექცეოდა ცოლს, როგორც ქალიშვილს და არა როგორც თანატოლს. უფრო

მეტი, მას ცოლის დასჯის უფლება ჰქონდა, ღალატის შეწყნარებაში მისი მოკვლაც შეეძლო, თუმცა ამ დროს უნდა მოლაპარაკებოდა ცოლის გვარის საბჭოს. სხვა ხალხებისაგან განსხვავებით, რომაელებს ჰქონდათ ქორწინების სამი ფორმა, რომელთა მიხედვით, ცოლი ქმრის მორჩილი იყო. ეს ფორმები შენარჩუნებული იყო რესპუბლიკის ეპოქაში, მაგრამ ხმარებიდან გამოვიდა იმპერიის პერიოდში, როცა ფართოდ გავრცელდა მეუთხე ფორმა — თავისუფალი ქორწინება, რომლის ძალითაც ქალი არ ექვემდებარებოდა ქმრის ძალაუფლებას. განქორწინება ადრიდანვე ხდებოდა მეუღლეების სურვილით — სინდისმიერი ოჯახის დამახასიათებელი ნიშანი, რაც ალბათ ამ წყაროდან იყო ნასესხები. თუმცა განქორწინება იშვიათი იყო.

საბერძნეთისა და რომის ქალაქებში ცივილიზაციის გაფურჩქვნის პერიოდში გაბატონებული გარყვნილება ითვლებოდა უწრდელი, უფრო მაღალი და სუფთა ზნეობრიობის დაცემად. ეს გარყვნილება იყო ძველი, ჯერ კიდევ მთლად არგამქრალი საქორწინო სისტემის გადმონაშთი და ამჟამად გამოისახა პეტერიზმში. ბერძნებსა და რომაელებს რომ ესწავლათ მონოგამიის თანასწორუფლებიანობის პატივისცემა და არ ჩაეკეტათ თავიანთი ცოლები, შეიძლებოდა იმის მტკიცება, რომ მათ საზოგადოებას სრულიად სხვანაირი სახე ექნებოდა. არც ერთი, არც მეორე არ ცნობდა სრულად მონოგამიის პრინციპს. ამ შესანიშნავი რასის ეთიკური ცხოვრების ნაადრევი რღვევა შეიძლება იმასაც მივაწეროთ, რომ მათ ვერ შეძლეს განვითარებინათ და გამოეყენებინათ ქალის ინტელექტის გონებრივი, ზნეობრივი და კოსმეტიკური ძალები, რომელთაც არანაკლები მნიშვნელობა ექნებოდა, ვიდრე მამაკაცს შესაბამის უნარს. ბარბაროსობის პერიოდში დიდხანს ყოფნის შემდეგ მათ მოიპოვეს ცივილიზაციის ის ელემენტები, რომლებიც აკლდათ, და გაფურჩქვნის მოკლე პერიოდის შემდეგ დაიღუპნენ პოლიტიკურად.

შეგვიძლია დამტკიცებულად ჩავთვალოთ, რომ მონოგამიური ოჯახი განვითარდა იმ ფორმით, როგორშიც იგი ჩნდება ისტორიული პერიოდის დასაწყისში, უფრო დაბალი ტიპის ფორმიდან, და რომ კლასიკური პერიოდის მანძილზე მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია, თუმცა ვერ მივიდა თავის უმაღლეს ფორმამდე. იგი აღმოცენდა სინდისმიერი ოჯახიდან და საზოგადოების პროგრესთან ერთად მაინც ვერ მიაღწია თავის იდეალს კლასიკურ საუკუნეში. მაღალ სრულყოფილებამდე მხოლოდ ახალ დროში მივიდა.

იმის მსგავსად, როგორც მალაური სისტემა გამოხატავდა სისხლით ნათესაურ ოჯახში არსებულ ნათესაურ ურთიერთობას, ხოლო თურანული — პუნალუალურ ოჯახში არსებულს, ისევე არიული სისტემა გამოხატავდა ურთიერთობებს, რომელიც არსებობდა მონოგამიურ ოჯახში.

ამჟამინდელი ჩვენი ცოდნის მდგომარეობით არ შეიძლება დავამტკიცოთ, რომ კაცობრიობის არიული, სემიტური და ურალური ოჯახები ადრე მოიცავდნენ ნათესაობის თურანულ სისტემას. რაც მოქმედება შეწყვეტა მონოგამიის დროს. ყველა მონაცემი ისე დაბეჯითებით ამტკიცებს ამას, რომ სხვა ვარაუდი გამორიცხულია. პირველი, გვაროვნული ორგანიზაცია ბუნებრივად წარმოიშვა პუნალუალურ ოჯახში, რომელშიც დების ჯგუფი თავიანთი საერთო ქმრებით და შვილებით ზუსტად წარმოადგენდა გვარის შემადგენლობას მის არქაულ ფორმაში. არიული ოჯახის ძირითადი შტოები ჩამოყალიბდა გვარებად, საიდანაც გამომდინარეობს, რომ იმ დროს, როცა ისინი ჯერ კიდევ შეადგენდნენ ერთ ხალხს, ასევე იყვნენ ორგანიზებული. ასევე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გვაროვნული ორგანიზაცია მათ მიიღეს თავიანთი შორეული

წინაპრებისაგან, რომლებიც ცხოვრობდნენ იმავე პუნალუალურ მდგომარეობაში, რაც ჩანასახი იყო ამ ფართოდ გავრცელებული ორგანიზაციისა. ამის მიუხედავად, ნათესაობის თურანული სისტემა ახლაც გვხვდება გვართან დაკავშირებით ამერიკის ადგილობრივ მკვიდრებში. ეს ბუნებრივი კავშირი უნდა შემონახულიყო მანამდე, სანამ არ მოხდა იმ სოციალური მდგომარეობის შეცვლა, რომელმაც შექმნა მონოგამია, და რომელმაც ეს კავშირი გაწყვიტა. მეორე, ნათესაობის არიული სისტემა შეიცავს ზოგიერთ მითითებას, რასაც იმავე დასკვნამდე მიეყავართ. თავისთავად იგულისხმება, რომ თურანული სისტემის ნომენკლატურის მნიშვნელოვანი ნაწილი, თუ ეს სისტემა ადრე ბატონობდა არიულ ნაციაში, უნდა გამქრალიყო მონოგამიის დროს. იმ გარემოებამ, რომ ეს ტერმინები იხმარებოდა იმ პირთა კატეგორიების მიმართ, რომელთა ნათესაური ურთიერთობა ამ დროიდან სხვადასხვანაირი გახდა, საჭირო გახადა უარის თქმა ამ ტერმინებზე. მხოლოდ ამ ვარაუდით შეიძლება აიხსნას არიული სისტემის თავდაპირველი ნომენკლატურის სიღარიბე. სხვადასხვა არიული დიალექტის საერთო სიტყვები იყო მხოლოდ მამა და დედა, ძმა და და, ვაჟიშვილი და ქალიშვილი და აგრეთვე საერთო ტერმინი, რომელიც მიესადაგებოდა განურჩევლად ყველას: ბიძაშვილს, შვილიშვილს და სხვ. არიული სისტემის ასეთი ღარიბი ნომენკლატურით არიელები ვერასოდეს მიაღწევდნენ მონოგამიის სავარაუდო განვითარების დონეს. ნომენკლატურის ეს სიღარიბე გასაგები ხდება წინა — თურანულის ანალოგიური — სისტემის არსებობისას. ტერმინები „ძმა“ და „და“ ახლა აბსტრაქტული გახდა და ახლად შექმნეს, რადგან თურანული სისტემისას უფროსი და უმცროსი ძმები და დები სხვადასხვანაირად იწოდებოდნენ. მეორე მხრივ, ეს განსხვავებული ტერმინები იხმარებოდა კატეგორიების მიმართ, რომლებშიც შედიოდნენ არაღვიძლი ძმები და დები. არიულ სისტემაში ეს განსხვავება უკუგდებულ იქნა და ნათესაობის ეს სახეობა პირველად იქნა აბსტრაქტულად გაგებული. მონოგამიის დროს ძველი ტერმინები მიუღებელი იყო, რადგან იხმარებოდა კოლატერალური ძმებისა და დების მიმართ. ძველი, თურანული სისტემის გადმონაშთი ჯერ კიდევ ჩნდება ურალური ოჯახის სისტემაში, მაგალითად, უნგრელებთან, რომლებთანაც ძმები და დები განირჩევიან უფროს-უმცროსობის მიხედვით განსაკუთრებული ტერმინების დახმარებით. არიულ სისტემაში თურანული სისტემის ეს შესანიშნავი თვისების არქონა შეიძლება ყოფილიყო თურანული სისტემის გაქრობის მხოლოდ ფრიად სერიოზული მიზეზის შედეგი. ძნელი იყო სხვა მიზეზის მოძებნა. ცხადია, რომ არიულ სისტემას წინ უძღოდა ნათესაობის რომელიმე სხვა სისტემა.

თუ დავუშვებთ, რომ არიული, სემიტური და ურალური ოჯახების ერებს ოდესღაც ჰქონდათ ნათესაობის თურანული სისტემა, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ მისგან აღწერილობით სისტემაზე გადასვლა ბუნებრივი იყო, როცა ძველი სისტემა მონოგამიის გამო აღარ შეესაბამებოდა წარმოშობას. მონოგამიის დროს თითოეული ნათესაური სისტემა სპეციფიკური იყო. ახალ სისტემას ძირითადი ტერმინებით უნდა აესახა ყოველი პირი, მაგალითად, ძმისშვილი — ძმის შვილი, ბიძა — მამის ძმა და სხვ. ასეთი იყო თავდაპირველად არიული, სემიტური და ურალური ოჯახების სისტემა. ნათესაობის თურანული სისტემის ყველა ტომი თავიანთ ნათესავებს ერთნაირად აღწერდნენ იმის მიხედვით, თუ როგორ ნათესაობაში იმყოფებოდა ერთი ადამიანი მეორის მიმართ. არიულის ანალოგიური აღწერილობითი სისტემა ყოველთვის არსებობდა ნათესაობის როგორც თურანული, ისე მალაური სისტემის დროს. არიული,

სემიტური და ურალური ერების ნომენკლატურის გაღარიბების გამო ცხადია, რომ მათ უნდა უარეყოთ ნათესაობის რომელიღაც ადრე არსებული სისტემა. აქედან უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ მონოგამიური ოჯახის დამკვიდრებით ეს ერები დაუბრუნდნენ ძველ აღწერილობით ფორმას, რომელიც შემოინახა თურანულ სისტემაში და საშუალება მისცა ძველ სისტემას, როგორც უსარგებლოს და წარმოშობისათვის არაშესაფერისს, საბოლოოდ გამქრალიყო.

ამ სისტემის ფორმათა შედარება სხვადასხვა სახის არიულ დიალექტთან გვიჩვენებს, რომ თავდაპირველად იგი აღწერილობითი იყო. ერზინული, ტიპური არიული ფორმა, და ესტონურიც, ტიპური ურალური ფორმა, აღწერილობითია. არიული სისტემა გამოსახავს ნათესაურ ურთიერთობას, რომელიც ნამდვილად არსებობს მონოგამიის დროს და ვარაუდობს, რომ ბავშვების მამა უკვე ცნობილია.

ახალ სისტემას დროთა განმავლობაში მიეცა აღწერილობითი ხერხი, რომელიც არსებითად განსხვავდება კულტურისაგან, თუმცა სისტემის ძირითადი ნიშნები არ იყო შეცვლილი. ეს ხერხი რომაელი იურისტების მიერ იყო შემოღებული გენეალოგიის სრულყოფისათვის. ეს სრულყოფილი მეთოდი ათვისებულ იქნა სხვადასხვა არიული ნაციების მიერ, რომლებზეც ვრცელდებოდა რომაული გავლენა. ჩვენ აქ განვიხილავთ მხოლოდ რომაულ სისტემას.

Ego-დან tritavus-მდე პირდაპირი ხაზით აითვლება ექვსი აღმავალი და ამდენივე დაღმავალი თაობა, რომელთა აღსაწერად იხმარება მხოლოდ ოთხი ძირითადი ტერმინი.

მამაკაცის პირველი გვერდითი ხაზი, რომელიც იწყება frater-ით — ძმით, მიემართება შემდეგი გზით: fratris filius — ძმის შვილი, fratris nepos — ძმის შვილიშვილი, fratris pronepos — ძმის შვილიშვილის შვილი და ა. შ. აღნიშვნის ასეთი უბრალო წესით ამ ხაზში frater-ი გვარტომობის ძირია და ამ ტერმინით აღინიშნება თითოეული პირი, რომელიც ამ ხაზს ეკუთვნის. ამასთან, ჩვენ ვიცით, რომ ყოველი ასე აღნიშნული პირი ეკუთვნის მამაკაცის პირველ გვერდით ხაზს. ამრიგად, იგი სპეციფიკურია და დამთავრებული. ამის მსგავსად იგივე ხაზი, ოღონდ ქალისა, იწყება დით — soror-ით და ქმნის რიგს: sororis filia — დის შვილი, sororis neptis — დის შვილიშვილი (ქალი) და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ პირველი გვერდითი ხაზის ორივე შტო წარმოდგება მამისაგან (pater), მაგრამ იმის გამო, რომ ძმა და და ხდებიან გვარტომობის მამამთავრები, ამიტომ არა მარტო ხაზი, არამედ ორივე შტო ცალ-ცალკე აღინიშნება. ესაა ამ სისტემის მთავარი უპირატესობა.

მამაკაცის მეორე გვერდითი ხაზი მამის მხრიდან იწყება მამის ძმით (patruus) და შედგება მისგან და მისი დამავლებისაგან: patrui filius — ბიძის შვილი მამის მხრიდან, patrui nepos — მისი შვილიშვილი, patrui pronepos — ბიძის შვილიშვილის შვილი მამის მხრიდან და ა. შ. ქალის მეორე გვერდითი ხაზი მამის მხრიდან იწყება მამის დით (amita). მისი დამავალი აღიწერება იმავე საერთო სისტემით: amitae filia — მამიდის შვილი. amitae neptis — მამიდის შვილიშვილი და ა. შ.

ამავე წესით მიემართება მამაკაცის გვერდითი ხაზი მამის მხრიდან და იწყება ბაბუის ძმით, რომელსაც ეწოდება patruus magnus. ქალის ხაზი იწყება ბაბუის დისაგან მამის მხრიდან amita magna და ა. შ.

მამაკაცის მეოთხე და მეხუთე გვერდითი ხაზები მამის მხრიდან იწყება შესაბამისად ბაბუის მამის ძმისაგან patruus major და patruus maximus

და ა. შ. შესაბამისად მამის მხრიდან ქალის ხაზი იწყება ბებიის დედისაგან — amita major და amita maxima.

აქამდე ჩვენ განვიხილავდით ხაზებს მხოლოდ მამის მხრიდან. ცხადია, რომ აუცილებელი იყო დედის ძმისა და დის აღმნიშვნელი ტერმინები, რათა შეესებულიყო აღწერის რომაული წესი, რადგან დედის მხრიდანაც ნრავალრიცხოვანი ნათესაურებია. ასეთი ტერმინები გახდა: avunculus — ბიძა დედის მხრიდან და matertera — დეიდა. დედის მხრიდან ნათესაურების აღწერისას. მამაკაცის პირდაპირი ხაზის ნაცვლად ჩნდება ქალის პირდაპირი ხაზი, მაგრამ პირველი გვერდითი ხაზი იგივე რჩება, რაც მამის მხრიდან. დედის მხრიდან მამაკაცის მეორე გვერდით ხაზში შემდეგი რიგია: avunculus — ბიძა დედის მხრიდან, avunculi filius, avunculi nepos და ა. შ. avunculi trinepotis trinepos-ამდე. ქალის შტოში — matertera — დეიდა. matertera filia და ა. შ. მამაკაცის და ქალის შესამე გვერდითი ხაზი იწყება avunculus magnus და matertera magna-დან, მეოთხე — avunculus maximus და matertera maxima-დან, მეხუთე — avunculus maximus და matertera maxima-დან.

გვარტომობის რომაული სისტემა შესანიშნავია მეთოდის სიმარტივით. ამ მეთოდით იგი ყველაზე მაღლა დგას კაკობრიობის შიერ ოდესმე შექმნილ ნათესაობის სისტემაში.

ეს სისტემა აკვიწერს მონოგამიის ნათესაურ ურთიერთობას ისე, როგორც იგი სინამდვილეში იყო. ცხადია, რომ მონოგამიური ქორწინების ფორმამ წარმოშვა მონოგამიური ოჯახის ფორმა, უკანასკნელმა კი შექმნა მოცემული სისტემა. ეს სამი სისტემა აუცილებელია იქ, სადაც აღწერილობითი სისტემა ბატონობს. ის, რაც ვიცით უშუალო დაკვირვების საფუძველზე, მონოგამიური ოჯახის, მისი უფლებისა და ნათესაობის სისტემის შესახებ, უნდა მიეწეროს პუნალუალურ ოჯახს, საქორწინო უფლებას და ნათესაობის სისტემას. იქ, სადაც ვეხვდება ამ სამიდან ერთი შემადგენელი ნაწილი, დარწმუნებით უნდა ითქვას, რომ არსებობს ან ოდესღაც არსებობდა დანარჩენი ორი ნაწილიც. შესაძლებელი რომ იყოს ამ სამი ნაწილის შედარება რომელიმეს სასარგებლოდ, უპირატესობა ნათესაობის სისტემებს მიენიჭებოდა, რადგან ყოველი ცალკეული პირის ნათესაური ურთიერთობა ასახავს ქორწინების უფლებას და ოჯახის ფორმას.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ზოგადად განვიხილეთ ოჯახის ცალკეული ძირითადი ფორმები, დავამტკიცეთ ძირითადი დებულება, რომ ოჯახი დაიწყო სისხლით ნათესაურიდან და განვითარების რამდენიმე თანმიმდევრული სტადიის შემდეგ გადაიზარდა მონოგამიურში.

ე. ტეილორი

ტეილორი ედუარდ-ბერნეტ (1832—1917) — ეთნოლოგიაში ევოლუციონისტური თეორიის ერთ-ერთი მამამთავარი.

ე. ტეილორი დაიბადა 1832 წელს ლონდონის გარეუბან ქემბერუელში, მდიდარი კვაკერების (ინგლისსა და ამერიკაში გავრცელებული ერთ-ერთი ქრისტიანული სექტა) ოჯახში. მამამისი საშუალო სიმდლავრის სპილენძსადნობი საწარმოს მეპატრონე იყო და შვილსაც მეწარმედ ამზადებდა, ამიტომ ე. ტეილორს უმაღლესი განათლება არ მიუღია. სუსტი ჯანმრთელობის ახალგაზრდა (23 წლის) ე. ტეილორი 1855 წელს ამერიკაში გაგზავნეს გამოჯანმრთელების მიზნით, სადაც, კუბაზე იგი შემთხვევით გაეცნო მდიდარ ინგლისელ ბანკირს ჰენრი კრისტის. ამ გაცნობამ დიდი როლი შეასრულა ე. ტეილორის ცხოვრებაში. საქმე ის არის, რომ ჰ. კრისტი, რომელსაც მნიშვნელოვანი მატერიალური შესაძლებლობანი გააჩნდა, დაინტერესებული იყო არქეოლოგიური გათხრებით და ეთნოგრაფიული კოლექციების შეგროვებით. მან შეძლო ახალგაზრდა ე. ტეილორის დაინტერესება ამ საქმით. ამის შედეგად 1856 წელს მათ ერთად იმოგზაურეს მექსიკაში. ამ მოგზაურობის შედეგი იყო ე. ტეილორის პირველი ლიტერატურული ნაშრომი „ანაპუაკი, ანუ მექსიკა და მექსიკელები, ძველი და თანამედროვე", რომელიც გამოქვეყნდა 1861 წელს. ე. ტეილორისა და მდიდარ მეცენატ-მოყვარულის ჰ. კრისტის შეგობრობა გრძელდებოდა ამ უკანასკნელის გარდაცვალებამდე — 1874 წლამდე.

მექსიკიდან დაბრუნების შემდეგ, რვა წლის განმავლობაში (1857—1865) ე. ტეილორი სწავლობდა ეთნოგრაფიულ ლიტერატურას სხვადასხვა ევროპულ ენებზე და ეუფლებოდა ძველ ენებს, რომელთაგან მან შეისწავლა ლათინური, ბერძნული და ებრაული.

მექსიკიდან დაბრუნებულმა 25 წლის ტეილორმა 1857 წელს ცოლად შეირთო მდიდარი ინგლისელი ქალი ანი ფოქსი, რამაც მას დამოუკიდებელი არსებობის და ევროპასა და ამერიკაში მუზეუმებისა და ეთნოგრაფიული კოლექციების შესწავლის მიზნით მრავალი მოგზაურობის განხორციელების საშუალება მისცა.

1865 წელს ე. ტეილორმა გამოაქვეყნა ნაშრომი „გამოკვლევები კაცობრიობის ძველი ისტორიის სფეროში". ეს წიგნი შედგება ცალკეული ნარკვევებისაგან, რომლებშიც ავტორი ასაბუთებს მთელ რიგ ისეთ დებულებებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ კულტურის ისტორიისათვის, განსაკუთრებით მისი უძველესი, წერილობითი ძეგლებით დაფიქსირებული პერიოდისათვის. ე. ტეილორის დასკვნები ასეთია: 1) კულტურის ისტორიას ახასიათებს უწყვეტი პროგრესი პირველყოფილი ველურობიდან თანამედროვე ცივილიზაციისაკენ. 2) განსხვავება დედამიწის ცალკეული ხალხებისა და ტომების ყოფაში აიხსნება არა მათი რასობრივი წარმომავლობით, არამედ ამა თუ იმ სა-

ზოგადოების მიერ კულტურულ განვითარებაში მიღწეული საფეხურების განსხვავებულობით. 3) კულტურის ყველა ელემენტი, დაწყებული ტექნიკური ხერხებითა და საზოგადოებრივი ურთიერთობებით, დამთავრებული თამაშებით, რელიგიური მითებითა და წეს-ჩვეულებებით, წარმოადგენს დამოუკიდებელი გამოგონების, ან წინაპართაგან მემკვიდრეობით გადმოცემის, ან სხვისგან გადმოღების შედეგს.

ე. ტეილორის ამ ნაშრომის მნიშვნელობა მდგომარეობდა იმაში, რომ თავის დასკვნებს, წინამორბედ მკვლევართაგან განსხვავებით, ავტორი ასაბუთებდა მრავალრიცხოვანი ფაქტებით. მათი მიზანი იყო ილუსტრირება ცალკეული რგოლებისა პროგრესის იმ ჯაჭვში, რომელიც აკავშირებდა წინაისტორიულ წარსულს თანამედროვეობასთან ყოფის ნებისმიერ სფეროში.

მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში ე. ტეილორმა გამოაქვეყნა 20-ზე მეტი საკურნალო წერილი და სტატია ბრიტანეთის ენციკლოპედიაში ველურთა კულტურის სხვადასხვა საკითხებზე („ენის წარმოშობის შესახებ", „ველურების რელიგია", „წინაისტორიული რასების ყოფა" და სხვ.), რომლებმაც ერთგვარი მოსამზადებელი როლი შეასრულეს ე. ტეილორის მთავარი ნაშრომის — „პირველყოფილი კულტურის", შექმნისათვის (მის შესახებ დაწვრილებით ის-ქვემოთ).

მომდევნო წლები (1871—1881) ე. ტეილორმა დაუთმო ეთნოგრაფიისა და კულტურის ისტორიის ცალკეული საკითხების დეტალურ დამუშავებასა და შესწავლას, აგრეთვე, თავისი თეორიის პოპულარიზაციას. ამ პერიოდში გამოქვეყნებული ე. ტეილორის მრავალრიცხოვანი მოზრდილი ნარკვევები, ისევე როგორც მისი დიდტანიანი ნაშრომები, წარმოაჩენენ მათი ავტორის ინტერესების მრავალფეროვნებას. ამ დროს ე. ტეილორის თვალსაწიერში ექცევა, როგორც სამეწათმოქმედო იარაღები, ისე ფიცის დადების წესები ველურებში, ბორბლის ისტორია, ლოტოს თამაშობანი ძველ მექსიკელებში, სხვადასხვა ხალხის მუსიკალური ინსტრუმენტები, გადმოცემები გოლიათების შესახებ და სხვ.

ამავე პერიოდში ე. ტეილორმა გაიცნო ველურებისა და ბარბაროსების ნაკეთობათა კიდევ ერთი თავგამოდებული შემგროვებელი პოლკოვნიკი ლენ-ფოქსი, ანუ იგივე პიტ-რივერსი (ამ სახელითაცაა ცნობილი), რომელსაც მიღებული ჰქონდა მდიდარი მემკვიდრეობა ბარონეტ რივერსისაგან. იგი არ იყო მხოლოდ უბრალო კოლექციონერ-შემგროვებელი, არამედ იყო მკვლევარი, რომელიც მიზნად ისახავდა, მის მიერ შეკრებილ მასალებზე დაყრდნობით, თვალი გაედევნებინა ტექნიკის, განსაკუთრებით სამხედრო და საზღვაო ტექნიკის, თანდათანობითი სრულყოფისათვის.

1881 წელს გამოქვეყნდა ე. ტეილორის წიგნი „ანთროპოლოგია (ადამიანისა და ცივილიზაციის შესწავლის შესავალი)". ტერმინი ანთროპოლოგია ე. ტეილორთან გულისხმობს ადამიანის არა მარტო ფიზიკურ ევოლუციას, არამედ კულტურულსაც და ამით იგი რამდენადმე განსხვავდება ჩვენში მიღებული მნიშვნელობისაგან. ამ ნაშრომში ე. ტეილორმა, ხაოველთაოდ მისაწვდომი და ამავე დროს ღრმაშინაარსიანი ფორმით, თავი მოუყარა ყველა იმ შედეგსა და დასკვნას, რომელიც მას მიღებული ჰქონდა წინა წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში. ე. ტეილორის ამ ნაშრომის მნიშვნელობის, მასში ჩადებული აზრებისა და დებულებების სიცოცხლისუნარიანობისა და მთლიანად წიგნის ცხოველმყოფელობის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ იგი დღემდე ყველაზე

გავრცელებული დამსმარე სახელმძღვანელოა ინგლისისა და ამერიკის უმაღლეს სკოლებში.

ამ დროისათვის ტეილორმა უკვე მსოფლიო სახელიც მოიხვეჭა. მისი მაღალმეცნიერული ავტორიტეტის მაჩვენებელი იყო 1871 წელს სამეფო საზოგადოების წევრად არჩევა. 1884 წლიდან ე. ტეილორმა პედაგოგიურ მუშაობასაც მიჰყო ხელი დიდი ბრიტანეთის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში. 1896 წელს ოქსფორდის უნივერსიტეტში პირველად გაიხსნა ანთროპოლოგიის კათედრა, რომლის პროფესორად ე. ტეილორი დაინიშნა. უფრო ადრე, 1880 წელს ე. ტეილორმა ოქსფორდის უნივერსიტეტთან ჩამოაყალიბა ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელსაც საფუძვლად დაედო პიტ-რივერსის მიერ შეწირული მდიდარი კოლექციები. ე. ტეილორი იყო ამ მუზეუმის პირველი მცველი და მან იმთავითვე თავის გარშემო შემოიკრიბა მკვლევართა ჯგუფი, რომლის ზოგიერთი წევრი შემდეგში საქვეყნოდ განთქმული მეცნიერი გახდა (მაგალითად, ჯეიმს ფრეზერი).

1881 წლიდან ე. ტეილორი უმთავრესად პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა, რომელსაც მხოლოდ 1907 წელს დაანება თავი ავადმყოფობის გამო. ამ დროიდანვე მისი სამეცნიერო მუშაობა ძირითადად მიმართული იყო კულტურის ისტორიის კერძო საკითხების დამუშავებისა და შესწავლის, ასევე თავისი თეორიის პოპულარიზაციისაკენ. მას ღრმა მოხუცებულობამდე არ დაუნებებია თავი კათედრის პროფესორისა და წინაისტორიული კულტურების შემსწავლელი სამეცნიერო დაწესებულებების ხელმძღვანელობისათვის.

გარდაიცვალა ე. ტეილორი 1917 წელს. მან დატოვა 250-ზე მეტი გამოქვეყნებული ნაშრომი, რომელთა უმნიშვნელოვანესი ნაწილი ითარგმნა სხვა ენებზეც და დარჩა სახელმძღვანელოებად ეთნოგრაფთა მომდევნო თაობებისათვის.

ე. ტეილორის ერთ-ერთი ასეთი ნაშრომია „პირველყოფილი კულტურა". ავტორმა იგი დაამთავრა 1869 წელს, ხოლო გამოქვეყნდა 1871 წელს. ამ წიგნმა ავტორს დიდი სახელი მოუხვეჭა. იგი ითარგმნა ძირითად ევროპულ ენებზე. ეს წიგნი წარმოადგენს ე. ტეილორის ყველაზე მნიშვნელოვან წვლილს ჩვენი ცოდნის საგანძურში კაცობრიობის წინარეისტორიული წარსულის შესახებ.

ე. ტეილორის ნაშრომი „პირველყოფილი კულტურა", პირველ რიგში აღსანიშნავია იმით, რომ იგი დიდძალ ეთნოგრაფიულ მასალას ეყრდნობა. ამ ნაშრომში ე. ტეილორი კულტურის ისტორიას განიხილავს, როგორც „ბუნების ისტორიის ნაწილს". იგი მიდის იმ დასკვნამდე, რომ კაცობრიობის ხასიათი და ჩვევები განპირობებულია ერთნაირობით და მოვლენათა მუდმივობით. არსებული ფორმების ნაირსახეობა მას წარმოდგენილი აქვს, როგორც თანდათანობით განვითარების სტადიები, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს წარსულის პროდუქტს და, თავის მხრივ, ახრულებს გარკვეულ როლს მომავლის ფორმირებაში. განვითარების ეს თანმიმდევრული სტადიები აკავშირებს, ე. ტეილორის მოსაზრებით, ერთმანეთთან ერთ უწყვეტ რიგად ყველა ხალხს და კაცობრიობის ყველა კულტურას უდაბლესიდან უმაღლესისაკენ. ე. ტეილორს კაცობრიობის კულტურის პროგრესი, რომელშიც იგი ღრმად იყო დარწმუნებული და ეს მართლაც ასეა, წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც თანდათანობითი სრულყოფა, ყოველი ახალი მოვლენის განვითარება წინა მოვლენისაგან, რაც წარმოადგენს სწორედ ევოლუციონიზმის შესახებ მოძღვრების ქვაკუთხედს.

ქრესტომათიაში წარმოდგენილია ორი თავი ე. ტეილორის ამ ნაშრომიდან: 1. „გადმონაშთები კულტურაში" და 2. „წეს-ჩვეულებები და ცერემონი-

ები". პირველში ავტორს განხილული აქვს კულტურის გადმონაშთების კვლევის ისეთი კერძო საკითხები, როგორიცაა გადმონაშთი და ცრურწმენა, საბავშვო თამაშობანი, აზარტული თამაშები, ძველებური შაირები, საბავშვო სიმღერები, ანდაზები, გამოცანები, მნიშვნელობა და გადმონაშთები შემდეგი წეს-ჩვეულებებისა: სურვილები ცხვირის დაცემინებისას, მსხვერპლშეწირვა ნაგებობების საძირკვლის ჩაყრისას, ამოჩემება წყალში დამხრჩვალთა გაცოცხლების წინააღმდეგ. ხოლო მეორე თავში, რომელიც „პირველყოფილი კულტურის" ბოლო, დასკვნით თავს წარმოადგენს, შესწავლილია შემდეგი საკითხები: რ ე ლ ი გ ი ო ს ი წ ე ს-ჩ ვ ე უ ლ ებ ებ ი — მათი პრაქტიკული და სიმბოლური მნიშვნელობა; ლ ო ც ვ ებ ი — ამ წეს-ჩვეულების უწყვეტი განვითარება კულტურის უდაბლესიდან უმაღლესი საფეხურისაკენ; მ ს ხ ვ ე რ პ ლ შ ე წ ი რ ვ ა — ჩუქების თავდაპირველი თეორიის გადასვლა პატივისმიგებასა და უარის თქმის თეორიაში; ღმერთის მიერ მსხვერპლის მიღების ხერხი; მატერიალური გადაცემა სტიქიებზე, ფეტიშ-ცხოველებზე და ქურუმებზე; შეწირული მსხვერპლის გამოყენება ღვთის ან კერპის მიერ; სისხლის შეწირვა; გადაცემა ცეცხლის მეშვეობით; ხულიერი გადაცემა — გამოყენება ან გადაცემა შეწირული მსხვერპლის ხულისა; მსხვერპლის შემწირველთა სურვილები; გადასვლა ჩუქების თეორიიდან პატივისმიგების თეორიისაკენ: ნაკლებმნიშვნელოვანი და ფორმალური შეწირულებანი; სამსხვერპლო ნადიმები; უარისთქმის თეორია; ბავშვის შეწირვა; ჩანაცვლება მსხვერპლშეწირვებში: შეწირვა მთელის ნაცვლად ნაწილის, დაბალი რანგის პირის სიცოცხლისა, მაღალი რანგის პირის სიცოცხლის სამაგიეროდ; თანამედროვე გადმონაშთები მსხვერპლშეწირვისა ხალხურ რწმენებსა და რელიგიაში; მარხვა, როგორც საშუალება ექსტატიკური ჩვენებების გამოწვევისა; მათი ფორმები უდაბლესიდან, უმაღლეს კულტურამდე; ექსტაზის გამომწვევი სამკურნალო ნივთიერებები: რელიგიური მიზნებით გამოწვეული გულის შეღონება და ბნედიანობა; პირის მიბრუნება აღმოსავლეთით და დასავლეთით; ამ წეს-ჩვეულების მიმართება მზის შესახებ მითთან და მზის კულტთან; პირის მიბრუნება აღმოსავლეთით და დასავლეთით დაკრძალვის დროს, ლოცვისას და ტაძრების აგებისას; ცეცხლითა და წყლით განწმენდა; მატერიალურიდან სიმბოლურ განწმენდაზე გადასვლა; მისი კავშირი სხვადასხვა ცხოვრებისეულ შემთხვევებთან; მისი არსებობა პრიმიტიულ საზოგადოებებში; ახალშობილთა, ქალთა და იმ პირთა განწმენდა, რომლებიც შეიბილწნენ სისხლის დაღვრით ან მიცვალებულთან შეხებით; რელიგიური განწმენდა, რომელიც მიღებულია კულტურის უმაღლეს საფეხურებზე.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

1) Т э й л о р Э., Первобытная культура. М., 1939.
2) Tylor E. B., Anthropology, London. 1881.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1) Н и к о л ь с к и й В. К., Место Эдуарда Тейлора в исследовании первобытной культуры. წიგნში: Т э й л о р Э., Первобытная культура. М., 1939.
2) Т о к а р е в С. А., История зарубежной этнографии. М., 1978, გვ. 38—43.
3) ჯ ა ნ ტ ო რ ი ა ს ვ ი ლ ი ს., ეთნოგრაფიული მეცნიერების მოკლე ისტორია, თბ., 1989, გვ. 43—44.
4) ჯ ა ნ ტ ო რ ი ა ს ვ ი ლ ი ს., ეთნოლოგია, თბ., 1993, გვ. 130—132.

გადმონაშთები კულტურაში*

როცა ხალხის ცნობიერებაში ღრმად არის გამჯდარი ესა თუ ის ადათი, წეს-ჩვეულება თუ შეხედულება, არავითარ ზემოქმედებას არ ძალუძს მათი აღმოღვრა. ისინი უცვლელად გადაეცემა თაობიდან თაობას. ეს გარემოება მოგვაგონებს ნაკადს, რომელმაც ერთხელ გაიკვალა კალაპოტი და საუკუნეთა განმავლობაში განაგრძობს დინებას. საგულისხმოა, რომ, მიუხედავად ყოველგვარი გარდატეხა-გარდაქმნებისა კაცობრიობის ისტორიაში, ეს პატარა ნაკადულები ხანგრძლივ განაგრძობენ გზას.

600 წლის წინათ შუააზიურ სტეპებში დანაშაულად ითვლებოდა კარავში შესვლისას ზღურბლზე დაბიჯება და თოკებისთვის ხელის შეხება. ეს შეხედულება ახლაც უნდა იყოს შემონახული.

ჩვენს დრომდე 18 საუკუნის წინ. როგორც ოვიდიუსი აღნიშნავს, რომაელები თავს იკავებდნენ მაისში ქორწინებაზე, რასაც იგი, არცთუ უსაფუძვლოდ, იმით ხსნის, რომ ამ თვეზე მოდის ლემურალიების სამგლოვიარო წეს-ჩვეულებები.

შეხედულება, რომ მაისში შეუღლებას არ მოაქეს ბედნიერება, დღემდე არსებობს ინგლისში. ეს არის გასაოცარი მაგალითი იმისა, რომ ჩვეულება, რომლის აზრი მრავალი საუკუნის წინ დაიკარგა, მხოლოდ იმიტომ ცოცხლობს, რომ იგი ოდესღაც არსებობდა.

ამგვარი მაგალითი მრავლად შეიძლება დაიძებნოს. ისინი იქცნენ თავისებურ სასაზღვრო ნიშნებად კულტურის განვითარების პროცესში. დროთა განმავლობაში ხალხის ცხოვრება იცვლება, მაგრამ შეცვლილ სინამდვილეშიც ვხედებით ბევრ ისეთს, რასაც ახალ ვითარებაში კი არა აქვს ფესვები, არამედ ძველის მემკვიდრეობას წარმოადგენს. გადმონაშთების მდგრადობა უფლებას იძლევა ვამტკიცოთ, რომ კულტურა ხალხისა, რომელსაც ამგვარი გადმონაშთები აქვს, წარმოადგენს უფრო ძველი ვითარების შედეგს და გაუგებარი ადათებისა და შეხედულებების ახსნა წარსულში უნდა ვეძიოთ. ასე რომ, ამგვარი ფაქტები, როგორც ისტორიული ცოდნის მადანი, საგანგებო შესწავლის საგნად უნდა იქცეს.

ამ მასალის გამოყენებისას, უწინარეს ყოვლისა, უნდა ვიხელმძღვანელოთ დღევანდელი ვითარებით, ისტორიამ კი უნდა აგვიხსნას, რატომ ცოცხლობენ ძველი ჩვეულებები ახალი კულტურის გარემოცვაში, რომელსაც არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო მათი შექმნა, არამედ პირიქით, უნდა განედევნა ისინი. უშუალო დაკვირვების შესაძლებლობებზე მეტყველებს თუნდაც ეს მაგალითი: კუნძულ ბორნეოს დაიაკები ტყეს ისე არ ჩეხავდნენ, როგორც ამას ჩვენ ვაკეთებთ. როდესაც თეთრებმა ხმლა სარალეებთან ერთად ეს წესიც შემოიტა-

---

* წყაროდან: Э. Тэйлор. Первобытная культура. М., 1939. с. 43—63.

ნეს, დაიკებმა მას პროტესტი იმით გამოუცხადეს, რომ ყველა თავისიანს, ვინც ევროპული წესით გაჩეხავდა ტყეს, საურავი დაუწესეს. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი ტყისმჭრელებისთვის იმდენად თვალსაჩინო იყო ახალი მეთოდის უპირატესობა, რომ თანახმა იყვნენ უჩუმრად ესარგებლათ ამ წესით, თუ იმედი ექნებოდათ, რომ მათი ქმედება საიდუმლოდ დარჩებოდა. ეს იყო ოცი წლის წინათ. საფიქრებელია, რომ ტყის ჭრის უცხოური წესი აღარ შეურაცხყოფს დაიაკების კონსერვატიზმს, მაგრამ მკაცრი აკრძალვა დიდხანს ხელს უშლიდა მის დამკვიდრებას. ამ შემთხვევაში ჩვენს წინაშეა გადმონაშთის გასაოცარი მაგალითი, რომელსაც ჯანსაღი აზრის საწინააღმდეგოდ წინაპრების ავტორიტეტით უდგას სული.

ასეთ ქმედებას შეიძლება ცრურწმენა დაერქვას. ეს ტერმინი მიესადაგება გადმონაშთების დიდ ნაწილს, რომლებიც შეიძლება ასობით ამოიკრიფოს წიგნებიდან ხალხური გადმოცემებისა და ოკულტიზმის შესახებ. მაგრამ სიტყვას „ცრურწმენა“ დღეს უარყოფითი ელფერი ახლავს. ეთნოგრაფიის მიზნებისათვის სასურველი იქნებოდა ისეთი ტერმინის შემოღება, როგორიც არის „გადმონაშთი“. იგი უნდა ასახავდეს ისტორიულ ფაქტს, რომელიც არ შეიძლება ცრურწმენად მოვიხსენიოთ. ამ კატეგორიის ფაქტებს შეიძლება მივაკუთვნოთ ბევრი გადმონაშთი, რომელთაც მრავალი ძველი ნიშანი შეინარჩუნეს, რაც შესაძლებლობას იძლევა გაირკვეს მათი წარმოშობა. თუმცა თვით ჩვეულება, მიიღო რა ახალი სახე, იმდენად შეეთვისა ახალ გარემოებას, რომ დღემდე განაგრძობს არსებობას.

თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ ფაქტებს, ახალი ევროპის საბავშვო თამაშების მხოლოდ იშვიათი ნაწილი შეიძლება ჩაითვალოს ცრურწმენად, თუმცა ბევრი მათგანი გადმონაშთია, ზოგჯერ შესანიშნავიც კი. როდესაც მოზრდილთა და ბავშვთა თამაშებს ეთნოლოგიური დასკვნების გამოსატანად განვიხილავთ, უწინარეს ყოვლისა, გვაოცებს, რომ ბევრი მათგანი სერიოზული ცხოვრებისეული საქმიანობის სახუმარო მიბაძვას წარმოადგენს. მსგავსად იმისა, თუ როგორ თამაშობენ თანამედროვე ბავშვები სადილობანას, ცხენოსნობას და სხვ., ველურების მთავარი ბავშვური გართობა იმ საქმიანობის მიბაძვაა, რომელსაც ისინი სერიოზულად შეუდგებიან რამდენიმე წლის შემდეგ. ასე რომ, ეს თამაშები გაკვეთილის მნიშვნელობას იძენენ.

ესკიმოსი ბავშვების თამაშებია მიზანში სროლა პატარა მშვილდებიდან და თოლიის ქოხების შენება. ავსტრალიელი ბავშვების სათამაშოებია მინიატურული ბუმერანგები და შუბები. მათი მამები დღემდე ინარჩუნებენ ცოლების მოპოვების პირველყოფილ ხერხს: ძალით იტაცებენ მშობლიური ტომიდან. სხვა ჩვეულებრივ თამაშობათა გვერდით თამაში „საცოლეების მოტაცება“ ბავშვებშიც არის შემჩნეული.

აღსანიშნავია, რომ თამაში უფრო ხანგრძლივად არსებობს, ვიდრე ის საქმიანობა, რომლის მიბაძვასაც იგი წარმოადგენს. ამის ნათელი მაგალითია მშვილდ-ისარი. ამ უძველეს, ველურობის სტადიაში ფართოდ გავრცელებულ იარაღს ვპოულობთ როგორც ბარბაროსულ, ისე ანტიკურ კულტურაში. მისთვის თვალის მიდევნება შუა საუკუნეებამდეც კი შეიძლება. დღეს, როდესაც ვესწრებით მოისართა შეკრებებს, ან მოწმე ვხდებით იმისა, თუ როგორ უყურართ ბავშვებს მშვილდ-ისრით თამაში, ვრწმუნდებით, რომ ეს უძველესი იარაღი, რომელიც მცირეოდენ ველურ ტომებში დღესაც ასრულებს მომაკვდინებელ ფუნქციას, უბრალო გადმონაშთად იქცა და სათამაშოს სახე მიიღო.

არბალეტი, ჩვეულებრივი მშვილდის გაუმჯობესებული სახე, პრაქტიკუ-

ლად მშვილდზე ნაკლებად გამოიყენება, მაგრამ როგორც სათამაშო მთელს ევროპაშია გავრცელებული და, როგორც ჩანს, არც გამოვა ხმარებიდან.

სიძველითა და საყოველთაო გავრცელებულობით მშვილდ-ისრის გვერდით შურდული დგას, მაგრამ შუა საუკუნეებში იგი, როგორც პრაქტიკული იარაღი, ხმარებიდან გამოდის და XV საუკუნის პოეტები ამაოდ თვლიან შურდულის ფლობის ხელოვნებას კარგი ჯარისკაცის აუცილებელ თვისებად.

ცივილიზებულ სამყაროში შურდულის მსგავსი სატყორცნი იარაღის სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ესპანური ამერიკის მწყემსები. როგორც ამბობენ, თავის ლასოს თუ ბოლას ისინი ისეთი მაღალი ხელოვნებით ტყორცნიან, რომ შეუძლიათ რქით ფიქირონ ნებისმიერი პირუტყვი და სურვილისამებრ შემოაბრუნონ. შურდულს კი, ამ უძველეს უხეშ იარაღს, უპირატესად ბიჭები იყენებენ, რომლებიც ამ შემთხვევაში შორეული კულტურის წარმომადგენლებად გვევლინებიან.

ჩვენი ბავშვების თამაშები ინარჩუნებენ მოგონებებს პირველყოფილი საომარი ხერხების შესახებ. ამავე დროს ისინი წარმოაჩენენ კულტურის განვითარების უძველეს ეტაპს, კერძოდ, კაცობრიობის ბავშვობის ხანას.

ხის ბურღი, რომლის მეშვეობითაც ხახუნით მოიპოვებდნენ ცეცხლს, მრავალი პრიმიტიული ტომისა და უძველესი ხალხის საოჯახო ყოფაში გამოიყენებოდა. მას ხმარობენ თანამედროვე ინდუსებიც წმინდა სამსხვერპლო ცეცხლის დასანთებად. ანალოგიური ხის ბურღი სათამაშოს სახით შვეიცარიაში აღმოჩნდა. მისი მეშვეობით ბავშვები ხუმრობით ანთებენ ცეცხლს, როგორც ამას სერიოზულად გააკეთებდნენ ესკიმოსები. გოტლანდზე ჯერ კიდევ ახსოვთ, როგორ გადაიქცა თამაშად გარეული ტახის მსხვერპლშეწირვა. ჭაბუკები სამასკარადო კოსტიუმებს იცვამდნენ და სახეს იფერადებდნენ, მსხვერპლს კი განასახიერებდა ბეწვით შემოსილი ჯამზე მდგომი ბიჭი. პირში თვის ბღუჯით, თითქოს ღორის ჯაგარიაო.

ჩვენი დროის ერთ უწყინარ თამაშს უცნაური კავშირი აქვს საძაგელ ათასწლოვან ზღაპართან. ამ თამაშს საფრანგეთში ასე ასრულებენ: ბავშვები წრეში დგებიან. ერთ-ერთი მათგანი ცეცხლს უკიდებს დახვეულ ქაღალდს, გადასცემს მეზობელს და ამბობს: „პატარა ბიჭი ცოცხალია“. ანთებულმა ქაღალდმა სწრაფად უნდა მოიაროს წრე. ვის ხელშიც ჩაქრება, მან ფანტი უნდა დააბრუნოს, შემდეგ კი გამოცხადდება, რომ „პატარა ბიჭი მოკვდა“. გრიმის მიხედვით, ანალოგი თამაში გერმანიაშიც არსებობს. იქ ბავშვები ანთებული კვარით თამაშობენ. ხოლო გალიველს მოჰყავს საბავშვო ლექსები, რომელთაც ამ თამაშის დროს წარმოთქვამენ ინგლისში.

ეკლესიის ისტორიის მცოდნეთათვის კარგად არის ცნობილი, რომ გაბატონებული რელიგიის მიმდევართა უსაყვარლესი პოლემიკური ხერხი იყო ერეტიკული სექტების დადანაშაულება იმაში, რომ ისინი თავიანთ რელიგიურ საიდუმლოს საზიზღარი ორგიების თანხლებით ასრულებდნენ. წარმართები ამ ისტორიებს ებრაელების შესახებ ყვებიან, ებრაელები — ქრისტიანების შესახებ, ხოლო ქრისტიანებმა თავიანთ რელიგიურ მოწინააღმდეგეებზე თავდასხმის ხელოვნებაში სამწუხარო უპირატესობა მოიპოვეს. ამ თავდასხმის ობიექტი განსაკუთრებით მანიქეველები იყვნენ, რომლებიც შემდგომ სექტად გაერთიანდნენ. საუბარია პავლიკიანებზე, რომლებმაც იმით გამოიწვიეს ორთოდოქსი ქრისტიანების სიძულვილი, რომ ილაშქრებდნენ ხატების წინააღმდეგ და, ვინც მათ ეთაყვანებოდა, კერპთაყვანისმცემლის უწოდებდნენ. დაახლოებით 700 წელს სომეხთა პატრიარქმა იოანე ასუნელმა დაწერა ამ სექტის საწინააღმდე-

გო მხილება, რომელშიც წარმოადგინა ანტიმანიქეური ტიპის ბრალდება. მისი მონათხრობი უცნაურ კავშირშია იმ თამაშთან, რომლის შესახებ ახლა გვქონდა საუბარი. იგი გვამცნობს, რომ პაულიკიანები მართლმადიდებელ ქრისტიანებს კერპთაყვანისმცემლებს უწოდებენ, თვითონ კი მზეს ეთაყვანებიან. ის ამცნებს, რომ ისინი პურის ფქვილში ურევენ ბავშვების სისხლს და მისი მეშვეობით ეზიარებიან. „როცა საშინელი სიკვდილით მოაკვდინებენ ბიჭს, დედის პირმშოს, მას ხელიდან ხელში გადასცემენ და, ვის ხელშიც ბავშვი სულს გაუნტეევებს, მას მიაგებენ პატივს, როგორც ადამიანს, რომელმაც მიაღწია უმაღლეს პატივს სექტაში“.

როგორ შეიძლება აიხსნას ეს საშინელი დამთხვევა? არ იქნება სწორი ვიფიქროთ, თითქოს თამაში არის მოგონება ლეგენდისა პაულიკიანების შესახებ. უფრო სარწმუნო ჩანს ვარაუდი, რომ ეს თამაში VIII საუკუნის ბავშვებისთვისაც იყო ცნობილი და სომეხმა პატრიარქმა მხოლოდ გამოიყენა იგი. მან ბრალი დასდო პაულიკიანებს იმაში, რომ ისინი ცოცხალ ბავშვს უკეთებენ იმას, რასაც ბავშვები უკეთებენ სიმბოლურ „პატარა ბიჭს“.

ჩვენ შეგვიძლია თვალი გავადევნოთ თამაშობათა კიდევ ერთ საინტერესო ჯგუფს, ველურთა მსოფლმხედველობის ერთი დარგის გადმონაშთს, რომელიც ერთ დროს დიდ პატივში იყო, ახლა კი დავიწყებას მიეცა.

აზარტული თამაშები მჭიდროდ არის დაკავშირებული მკითხაობის ხელოვნებასთან, რომელსაც ველურებიც იცნობდნენ. ბევრი მათგანი ნათელყოფს, როგორ შეიძლება სახუმარო გადმონაშთად იქცეს ის, რაც ოდესღაც სერიოზულ საქმიანობად აღიქმებოდა.

თანამედროვე განათლებული კაცისთვის კენჭისყრა შემთხვევის ან გამოუცნობის იმედად ყოფნას ნიშნავს. საკითხის გადაწყვეტა მექანიკურ პროცესს ჰგავდა და შედეგის ამოცნობა შეუძლებელია. მაგრამ ცნობილია, რომ ძველად კენჭისყრას არაფერი ჰქონდა საერთო ალბათობის მათემატიკურ თეორიასთან, სამაგიეროდ ბევრი რამ აკავშირებდა საღვთო მკითხაობასთან. მაგალითად გამოდგება მორავიელი ძმების (ანაბაპტისტების სექტა) ჩვეულება თავიანთი ახალგაზრდა ვაჟებისთვის საცოლეები კენჭისყრითა და ლოცვით შეერჩიათ.

მაორები სრულიადაც არ ეყრდნობოდნენ ბრმა შემთხვევას, როდესაც კენჭს ყრიდნენ საჭვეო პირთა შორის ქურდის ამოსაჩენად; ისევე როგორც გვინეელი ზანგები, რომლებიც ეახლებოდნენ ხოლმე ქურუმ მისანს, რომელიც არხევდა ტყავის წვრილ თასმებს და იძლეოდა წმიდათაწმიდა წინასწარმეტყველებას. საგულისხმო შემთხვევას ვხვდებით ჰომეროსთან. ხელაპყრობილი ადამიანები ღმერთებს ევედრებიან, ხოლო გმირები აგამემნონის ჭუდიდან იღებენ კენჭს, რათა გაარკვიონ, ვინ უნდა წავიდეს ჰექტორთან საბრძოლველად. ტაციტუსის მიხედვით, გერმანელი ქურუმი ან ოჯახის უფროსი თეთრ ტანსაცმელზე გაფენტული კენჭებიდან იღებდა სამს და მათი მეშვეობით განმარტავდა ღმერთების პასუხს. თანამედროვე ინდუსები ასევე წყვეტენ საკამათო საკითხებს, როდესაც საყდრის წინ ყრიან კენჭს და შესთხოვენ ღმერთს გამოაჩინოს სამართლიანობა და მიუთითოს, ვინ არის უდანაშაულო.

დაბალი კულტურის ადამიანებს მიაჩნიათ, რომ კენჭის ყრისას კენჭი თუ კამათელი შემთხვევით არ იღებს გარკვეულ მდებარეობას. ისინი ეარაღდებენ, რომ რაღაც არსებები, რომლებიც ლეველებენ მკითხავებისა და მოთამაშეების თავზე, ურევენ კენჭებსა თუ კამათლებს, რათა აიძულონ ისინი გასცენ პასუხი. ეს შეხედულება ძალაში იყო შუა საუკუნეებში. შემდგომაც არსებობდა თვალ-

საზრისი, რომ აზარტულ თამაშებში სასწაულმოქმედი ძალა ერევა. 1619 წელს გამოცემული ერთი თხზულება შესაძლებლობას იძლევა გაირკვეს, როგორ შეიცვალა ეს თვალსაზრისი შუა საუკუნეების დასასრულისათვის. არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნულმა გამოცემამაც შეუწყო ხელი ამ პროცესს. მხედველობაში გვაქვს ტრაქტატი „კენჭისყრის თვისებათა და გამოყენების შესახებ", რომლის ავტორია პურიტანელი მღვდელი თომას ჰეთეკერი. გარდა იმისა, რომ გამოთქვამს საწინააღმდეგო შეხედულებებს აზარტული თამაშების შესახებ, იგი უარყოფს იმ დროისათვის ფართოდ გავრცელებულ შეხედულებას, რომ „კენჭებს დიდი მოწიწებით უნდა მოვექცეთ, რადგანაც მათი განლაგება უშუალოდ ღვთისაგან მომდინარეობს... ამიტომ მათ მიმართ ზერელე მოპყრობა ღვთის სახელით ბოროტად სარგებლობას და მესამე მცნების დარღვევას ნიშნავს". ჰეთეკერი უარყოფს მსგავს შეხედულებებს, როგორც უბრალო ცრურწმენას. მაგრამ გავიდა საკმაო ხანი, ვიდრე განათლებულ სამყაროში ეს თვალსაზრისი საყოველთაო გახდებოდა. 40 წლის შემდეგ იერემია ტაილორი მხარს უჭერდა საკითხის ძველებურ გაგებას და იცავდა აზარტულ თამაშებს, თუ არ თამაშობდნენ ფულზე. ამასთან, ის არ გამორიცხავდა, რომ ღმერთმა ნება დართო ეშმაკს, ჩაერთოს აზარტულ თამაშებში.

თვალსაზრისი აზარტულ თამაშებში სასწაულმოქმედი ძალის მონაწილეობის შესახებ გადმონაშთის სახით დღემდე არის შენარჩუნებული ევროპაში. ხალხური რწმენის მიხედვით, თამაშში წარმატების მისაღწევად თან უნდა იქონიო ვნების პარასკევის კვერცხი, ხოლო სკამის შემოტრიალება ბედის შეცვლას მოასწავებს. ტიროლელმა იცის შელოცვა, რომლის მეშვეობით შეიძლება ეშმაკისგან შეიძინო კარტით ან კამათლებით ბედნიერი თამაშის უნარი. ევროპის კონტინენტზე დიდ გასავალშია წიგნები, რომლებიც ადამიანებს ასწავლიან, როგორ შეიტყონ სიზმრის მეშვეობით ლატარიის ბედნიერი ბილეთის ნომერი, ხოლო სერბი გლეხი თავის ლატარიის ბილეთებს საკურთხეველში ინახავს, რათა წმინდა ნაწილებისგან კურთხევა მიიღოს და უკეთესი შანსი იქონიოს მოგებაზე.

შელოცვა-მკითხაობა და აზარტული თამაშობები პრინციპულად იმდენად ახლოს დგანან ერთმანეთთან, რომ ხშირად საქმეში ერთსა და იმავე საგნებს გამოიყენებენ, მაგალითად, პოლინეზიელებისათვის დამახასიათებელია მკითხაობა ქოქოსის კაკლის ტრიალით. მარინერის დროს კუნძულ ტონგზე იმის გასაგებად გამოჯანმრთელდებოდა თუ არა ავადმყოფი, ჯერ ხმამაღლა ლოცულობდნენ, რათა ტომის მფარველ უზენაეს ძალას ქოქოსის კაკლის მოძრაობისათვის მიმართულება მიეცა, შემდეგ დაატრიალებდნენ კაკალს და სწვროდათ, რომ გაჩერებისას მისი მდებარეობა განგების ნებას მოასწავებდა. მაგრამ, როცა ქოქოსის კაკალს მხოლოდ გასართობად ატრიალებდნენ, არც ლოცვას კითხულობდნენ და არც შედეგს ანიჭებდნენ მნიშვნელობას.

სამოას კუნძულებზეც იმავე ქოქოსის კაკალს უკვე მოგვიანო ხანაში ხმარობდნენ როგორც კენჭს, ან ფანტს თამაშის დროს.

ეს ჩვეულება რომ თავდაპირველად მკითხაობა იყო, ამაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ ამ მიზნით ქოქოსის კაკალს ახალზელანდიელების წინაპრებიც იყენებდნენ. ცნობილი პოლინეზიური სიტყვა „ნიუ", ანუ ქოქოსის კაკალი, მაორის ტომში შენარჩუნებულია მკითხაობის სხვა შემთხვევაშიც, კერძოდ, ჩხირებით მკითხაობისას.

რ. ტეილორი, რომელსაც მოჰყავს ეთნოლოგიური მტკიცებულების ეს ნათელი მაგალითი, კიდევ ერთ შემთხვევას გვაცნობს. მკითხაობის ხერხი შემ-

დეგში მდგომარეობს: ვიდრე შელოცვა მეორდება, ორივე ხელის თითები უნდა შეერთდეს. თუ თითები თავისუფლად უთავსდება ერთმანეთს, წინასწარმეტყველება სასიკეთოა, თუ არა — ცუდი. როცა საკითხი ეხებოდა ომის დროს ქვეყანაში გადასვლის შესაძლებლობას, განმარტება მარტივი იყო. თუ თითები თავისუფლად უთავსდებოდნენ ერთმანეთს, ეს ბედნიერ გადასვლას მოასწავებდა, თუ რამდენიმე თითი შეყოვნდებოდა, მოსალოდნელი იყო დაბრკოლება. მაგრამ თუ ყველა თითი შეყოვნდებოდა, ეს ნიშნავდა, რომ ქვეყანაში გადასვლა შეუძლებელია.

მსგავსი კავშირი მკითხაობასა და აზარტულ თამაშებს შორის უფრო ჩვეულებრივი საგნების მაგალითზეც შეიძლება დავინახოთ. ავიღოთ, მაგალითად, კოჭები. ისინი ძველ რომში გამოიყენებოდა მკითხაობისას. როდესაც რომაელი მოქალაქე კოჭაობდა, მას ჯერ ღმერთებისთვის უნდა მიემართა.

მკითხაობისას კოჭების გამოყენება ძველი სამყაროთი არ შემოიფარგლება. მაგალითად, კოჭები მოიხსენიება XVII საუკუნეში იმ სამკითხაო საგნებს შორის, რომლებითაც ქალიშვილები მკითხაობდნენ გათხოვების შესახებ. ხოლო ზანგი მისნები კოჭებს ახლაც იყენებენ ქურდების აღმოსაჩენად. ჩინელები კოჭაობენ როგორც ფულზე, ისე ტკბილეულზე. ამავე დროს ისინი სერიოზულად მოელიან წინასწარმეტყველებას, როცა საზეიმოდ ღებენ კოჭებს, რომელთაც ტაძრებში ინახავენ. მათი პროფესიონალი მკითხავები კი გამუდმებით სხედან ბაზრებში, რათა თავიანთ კლიენტებს მომავალი უწინასწარმეტყველონ.

ევროპაში კარტი დღემდე იხმარება სამკითხაოდ. ისტორიას არ ხელეწიფება გვითხრას, როგორი იყო კარტის თავდაპირველი დანიშნულება, რისგან იყო ის განკუთვნილი — მკითხაობისათვის თუ თამაშისთვის. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა ისტორია ბერძნული კოტ-ტაბოსის შესახებ. ეს მკითხაობა იმაში მდგომარეობდა, რომ ღვინო ისე უნდა გადაესხათ მოშორებით ჭდგარ მეტალის ჭურჭელში, რომ ერთი წვეთიც არ დაღვრილიყო. ის, ვინც ღვინოს ასხამდა, ხმამაღლა ან გონებაში ახსენებდა თავისი შეყვარებულის სახელს და მეტალზე დაღვრილი ზხეფების გამჭვირვალობის ან ამღვრეულობის მიხედვით იგებდა, რა ბედი ელოდა სიყვარულში.

დროთა განმავლობაში ამ ჩვეულებამ დაკარგა ჯადოსნური ხასიათი და ჩვეულებრივ თამაშად იქცა. თუ ეს შემთხვევა ტიპურია და შესაძლებელი გახდება წესად მივიღოთ, რომ სერიოზული დამოკიდებულება წინ უსწრებს სახუმაროს, შაშინ აზარტული თამაშები შეიძლება გადმონაშთად ჩაითვალოს. სახუმარო მკითხაობა, როგორც ჩანს, სერიოზულ აზარტულ თამაშად გადაიქცა.

ზოგიერთი ჩვეულების დღეგრძელობაზე საუბრისას ყურადღებას იპყრობს ტრადიციულ გამოთქმათა ჯგუფი: უძველესი გამონათქვამები და ანდაზები. მაშინაც კი, როცა ადამიანთა მეხსიერებაში წაშლილია ამ გამოთქმათა რეალური მნიშვნელობა, დაკარგეს ყოველგვარი აზრი და გაბუნდოვანდნენ, მაინც არ არიან ინტერესს მოკლებულნი.

ამ გამონათქვამებში, რომლებიც ზოგჯერ ძველი მაგიის ან რელიგიური შეხედულებების ნაშთებს წარმოადგენენ, შეიძლება ამოვიკითხოთ უფრო ღრმა მნიშვნელობა, ვიდრე ის, რომელიც ახლა არის მათში ჩადებული, ანდა ვიპოვოთ რეალური აზრი იმაში, რაც დღეს უაზრობად გვეჩვენება.

როგორ შეიძლება ხალხური ანდაზა ეთნოგრაფიული მოგონების განსახიერებად მოგვევლინოს, ჩანს ერთი თამილური ანდაზის მაგალითზე, რომელიც სამხრეთ ინდოეთში ახლაც ცნობილია: თუ ერთი სცემს მეორეს, ხოლო მეორე ამ დროს ყვირის, თამილები მყვირალის შესახებ ამბობენ: „ის თითქოს ფა-

რავანია, რომელიც თავისი ავადმყოფი ცოლის ნაცვლად ასაფეტიდას ჭამს. კორავანები ტომია ინდოეთში, ხოლო ასაფეტიდა — სამკურნალწამალი საშუალება. კორავანები მიეკუთვნებიან მადრასის მოსახლეობის უმდაბლეს ფენას. კორავანის შესახებ ამბობენ, რომ ის არის „ბოშა, მაწანწალა, ვირის გამრეკი, ქურდი, ვირთხის მჭამელი, მკითხაობს და, საერთოდ, საეჭვო პიროვნებაა". ეს ანდაზა ასე იხსნება: კოლონიური ქვეყნების აბორიგენი ქალები ასაფეტიდას იყენებენ როგორც გამაჯანსაღებელ წამალს მშობიარობის შემდეგ. კორავანებთან კი ამ წამალს ცოლი კი არ ღებულობს, არამედ ქმარი. ეს არის მაგალითი ფართოდ გავრცელებული ჩვეულებისა, როცა ცოლის მშობიარობის შემდეგ ქმარს მკურნალობენ და ზშირად აიძულებენ რამდენიმე დღე ლოგინში იწვეს. კორავანები, როგორც ჩანს, მიეკუთვნებიან ამ ტომებს, რომლებსაც ჰქონდათ ეს უცნაური ჩვეულება, ხოლო მათმა უფრო კულტურულმა მეზობლებმა — თამილებმა, რომლებიც გაოცებული იყვნენ ამ ჩვეულების უაზრობით და არ იცოდნენ მისი დღეს დავიწყებული მნიშვნელობა, იგი ანდაზად აქცეს.

ვცადოთ, იგივე ეთნოგრაფიული გასაღები მოვიმარჯვოთ ჩვენი უახლესი ბნელი გამოთქმების მიმართ. ინგლისური გამოთქმა „იმ ძაღლის ბეწვი, რომელმაც თქვენ გიკბინათ", თავიდან არც მეტაფორა ყოფილა და არც ხუმრობა, იგი იყო რეალური რეცეპტი ძაღლის ნაკბენის საწინააღმდეგოდ. ჰომეოპატიური მოძღვრების ერთი მაგალითი. სკანდინავიურ ედაშიც არის ნახსენები, რომ „ძაღლის ბეწვი კურნავს ძაღლის ნაკბენს". გამოთქმა „ქარის ამოგდება", რომელსაც ინგლისელები იუმორისტული მნიშვნელობით ხმარობენ, ერთ დროს სრულიად სერიოზულად ნიშნავდა საშიშ ქმედებას, რომელსაც ფინელ გრძნეულებს მიაწერდნენ. ინგლისელ მეზღვაურებს დღემდე არ დავიწყებიათ შიში მათი უნარის გამო იბატონონ ქარიშხალზე. ინგლისური ანდაზა „ცეცხლიდან გამოთრევა", რომელიც გამოცდას, განსაცდელს ნიშნავს, ჯიმისონს კოცონზე გავლის, ან კოცონზე გადახტომის ძველი წეს-ჩვეულებიდან გამოჰყავს. ეს განმარტება, როგორც ჩანს, სრულიადაც არ არის ნაძალადევი. არცთუ დიდი ხნის წინ ნიუ-იორკში გაასამართლეს ერთი ინგლისელი ქალი, რომელმაც მოკლა თავისი შვილი. მან იგი ნაკვერჩხლებზე დააყენა, რათა გაეგო — ნამდვილად მისი შვილი იყო, თუ შეუცვალეს.

ინგლისელმა გადიამ, რომელიც ჭირეულ ბავშვს ეუბნება: „შენ დღეს საწოლიდან მარცხენა ფეხით ადექი", ჩვეულებრივ, არ იცის ამ ანდაზის მნიშვნელობა. იგი მარტივად იხსნება საყოველთაოდ ცნობილი შეხედულებით, რომ საწოლიდან მარცხენა ფეხით ადგომა იმ დღეს დათარსვას ნიშნავს.

როგორც ჩანს, შეიძლება ვაღიაროთ, რომ ხალხური შეხედულება ყველაზე ახლოს იქ არის თავისი წარმოშობის ადგილთან, სადაც მას უფრო საპატიო და ამაღლებულ მნიშვნელობას მიაწერენ. აქედან გამომდინარე, თუ რომელიმე ძველ ლექსს ან ანდაზას ერთ ადგილას ამაღლებული, ფილოსოფიური ან რელიგიური მნიშვნელობა აქვს, ხოლო მეორე ადგილას საბავშვო თქმის დონეზეა, მაშინ არსებობს გარკვეული საფუძველი ვივარაუდოთ, რომ სერიოზული მნიშვნელობა უფრო ძველია, ხოლო სახუმარო მნიშვნელობა ძველის გადმონაშთს წარმოადგენს. შესაძლოა, ეს მოსაზრება ყოვლითვის არ იყოს ზუსტი, მაგრამ მისი უგულებელყოფა მიზანშეწონილი არ არის.

იუდეველთა რელიგიაში, მაგალითად, შემორჩენილია ორი პოემა, რომლებიც შოთავსებულია სააღდგომო საკითხავის ბოლოში. ერთ-ერთი მათგანი იწყება სიტყვებით: „ბეკეკა, ბეკეკა, რომელიც მამაჩემმა ორ მონეტად იყიდა"

შემდეგ მოდის თხრობა იმის შესახებ, რომ მოვიდა კატა და შეჭამა ბეკეკა, მოვიდა ძაღლი და შეახრამუნა კატა და ა. შ. „შემდეგ მოვიდა წმინდანი, — კურთხეულ იყოს იგი — და მოკლა სიკვდილის ანგელოზი, ხოლო სიკვდილის ანგელოზმა მოკლა ყასაბი, ყასაბმა მოკლა ხარი, ხარმა დალია წყალი, წყალმა ჩააქრო ცეცხლი, ცეცხლმა დაწვა ჯოხი, ჯოხმა ცემა ძაღლი, ძაღლმა შეჭამა კატა, კატამ გადასანსლა ბეკეკა, რომელიც მამაჩემმა ორ მონეტად იყიდა. ბეკეკა, ბეკეკა“. ზოგ ებრაელს ეს თხზულება მიაჩნია იგავად, რომელიც პალესტინის წარსულსა და მომავალს შეეხება. ერთ-ერთი განმარტებით, პალესტინა (ბეკეკა) გადაყლაპა ბაბილონმა (კატამ), ბაბილონი გააჩანაგა სპარსეთმა, სპარსეთი — საბერძნეთმა, საბერძნეთი — რომმა, ვიდრე ბოლოს და ბოლოს თურქები დაეპატრონებოდნენ ქვეყანას. ედომიტები (ანუ ევროპის ხალხები) განდევნიან თურქებს, სიკვდილის ანგელოზი გაანადგურებს ისრაელის მტრებს და მისი შვილების მეფობა მესიის ძალით აღდგება.

მსგავსი განმარტების მიუხედავად, პოემის საზეიმო დასასრული გვაფიქრებინებს, რომ ჩვენს წინაშე სინამდვილეში არის თხზულება, რომელმაც ნაწილობრივ შეინარჩუნა თავისი პირვანდელი ფორმა და რომელიც წარმოადგენს რაღაც მისტიკური იდეის გამოვლინებას. თუ ეს ასეა, მაშინ ინგლისში ცნობილი ზღაპარი დედაბრის შესახებ, რომელსაც ვერ გადაჰყავდა თავისი ბეკეკა (ან გოკი) ღობეზე და არ სურდა შინ დაბრუნება შუაღამემდე, შეიძლება ჩითვალოს ამ ძველებური ებრაული პოემის დამახინჯებულ ვარიანტად.

ძველ ანდაზებს, რომლებიც შემკვიდრეობით მიიღო თანამედროვე ენამ, თავისთავადი მნიშვნელობა აქვთ, რადგანაც მათი გონებამახვილობა კვლავაც ნორჩია, ხოლო სიბრძნე — ძველებურად მყარი. მაგრამ ანდაზებს არა აქვთ დიდი წარსული. ისინი უცნობია მეტისმეტად პრიმიტიული ტომებისათვის და ჩნდებიან შედარებით განვითარებულ ვილურთა შორის. ფიჯის კუნძულების მცხოვრებლებს, რომლებიც მცირეოდენი ხნის წინ იმ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, რომელსაც არქეოლოგებმა მოგვიანო ქვის ხანა შეიძლება უწოდონ, აქვთ რამდენიმე ძალიან დამახასიათებელი ანდაზა. ისინი ასე დასძენენ ამბავნებს ნაკლს: „ნაკონდო (ტომია) უწინარეს ყოველისა ანძას ჭრიან“ (იგულისხმება, ვიდრე ნავს ააშენებენ). როცა რომელიმე ღატაკი შურით უყურებს ნიჯას, რომლის ყიდვა არ შეუძლია. ისინი ამბობენ: „ზის მყუდროდ და თვეს თვალთვალებს“. ერთი ახალზელანდიური ანდაზა ასე ახასიათებს ზარმაცი ღორმუცელას: „ღორმა ყელი და ზერელე ძალა“. მეორე ანდაზა ამბობს, რომ გამრჯელის გარჯით ხშირად ზარმაცი სარგებლობს: „მაგარი ხის დიდი ნაფოტები მეჭოხორას ერგება“. ყურადსაღებია ეს ანდაზაც: „შეიძლება ბალახის ღეროს მოღრეცილობა, გულის სიმრუდე კი — არა“. სამხრეთ აფრიკის ბასუტოელები ასე საყვედურობენ ყბედს: „წყალი დინებით არ იღლება“. ანდაზა „ლომი ჭამის დროსაც ღრიალებს“, ნიშნავს, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ყოველთვის უკმაყოფილო არიან.

დასავლეთ აფრიკის ხალხებს ისე ბევრი და გონებამახვილური ანდაზა აქვთ, რომ კაპიტანმა ბერტონმა წვიმების პერიოდში, იყდა რა ფერნანდო პოში, ადგილობრივი ანდაზების მთელი ტომი შეადგინა, რომელთა უმრავლესობა გონებამახვილობით ევროპული ანდაზების დონეზე დგას. მაგალითად: „ხმალს გაეცალა და ქარქაშს დაეგო“, „ნადირს ვერასოდეს მოკლავს, ვისაც ზეთად წარბი აქვს მშვილდად“, „ფერფლი იმას უბრუნდება, ვინც აფერფლებს“, „ყველა ქოხს თავისი მწერები ჰყავს“ და სხვ.

ათასობით არის ჩაწერილი მსოფლიოს მოწინავე ხალხთა ანდაზებიც. შუ-

საუკუნეების ევროპაში ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ადამიანის აღზრდაში, მაგრამ მათი რეალური განვითარების პროცესი, როგორც ჩანს, დასასრულს მიუახლოვდა. სერვანტესმა ანდაზებით საუბრის ხელოვნება ისეთ სიმღლეზე აიყვანა, როგორისთვისაც არავის შეუღწევია. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ შეუდარებელი სანჩოს გამონათქვამები უმრავლეს შემთხვევაში შემკვიდრეობით არის მიღებული. ისინი ძველადაც ისევე სახით არსებობდნენ და ჩვენც წინაპართა სიბრძნის იმავე ნარჩენებს შოვიხმართ, რომელნიც სახელგანთქმული საუფრველთმტვირთველის დაუშრეტელ მარაგს ქმნიდნენ. იოლი არ არის ძველი ანდაზების ახლებურად გადაკეთება ან ახლების შედგენა. ჩვენ შეგვიძლია შევეკრიბოთ ძველი ანდაზები, მაგრამ ახლების შედგენა სუსტი და უსიცოცხლო მიბაძვა იქნებოდა, ისევე როგორც ახალი მოსების გამოგონება, ან ახალი საბავშვო სიმღერების შექმნა.

გამოცანები კულტურის ისტორიაში ანდაზებთან ერთად ჩნდებიან და საკმაო დროის მანძილზე მათთან ერთად ვითარდებიან, შემდეგ კი მათი გზები იყრება. გამოცანებში ვგულისხმობთ ძველებურ ყოფაზე ნაგებულ ამოცანებს, რომელთაც საკმაოდ სერიოზული პასუხი უნდა გაეცეს. ტიპური მაგალითია სფინქსის გამოცანა.

გამოცანების პირველყოფილი სახე, რომელთაც შეიძლება „გაბრიტული" გამოცანები ვუწოდოთ, მაღალი საფეხურის ელურებშია დაფიქსირებული. მათი აყვავების ხანა კულტურის დაბალ და საშუალო სტადიებზე მოდის. თუმცა გამოცანების განვითარება ამ დონეზე ჩერდება, მაგრამ მათი ბევრი ნიმუში საბავშვო ხლაპრებსა და სოფლის ყოფაში არის შენარჩუნებული.

საკუთრივ გასაგებია, რატომ განეკუთვნებიან ვამოცანები პრიმიტიული კულტურის მხოლოდ მაღალ საფეხურს. მათ შესადგენად აუცილებელია ფლობდე განყენებული შედარების უნარს. საჭიროა ცოდნის გარკვეული დონეც, რომ ეს პროცესი მისაწვდომი გახდეს და სერიოზულიდან თამაშში გადაიზარდოს. დასასრულ, კულტურის უფრო მაღალ დონეზე გამოცანები უსარგებლო საქმიანობად იქცევა, მათი განვითარება წყდება და ისინი მხოლოდ საბავშვო თამაშობებშია შემონახული. იბ. ზულუსების გამოცანების კოლექციიდან აღებული რამდენიმე ნიმუში: შეკითხვა: „ვინ არიან ადამიანები, რომლებიც მწკრივში დგანან, თეთრი კაბები აცვიათ და საჭორწილო ცეკვას ცეკვავენ". პასუხი: „ეს კბილებია"; შეკითხვა: „გამოიცანით, ვინ არის ის ადამიანი, რომელიც არ უყვართ მისი სიცილის გამო. მისი სიცილის შემდეგ თავდება სიხარული: ტირიან ადამიანები, ტირიან ხეები, ტირის ბალახი ყველაფერი ტირის იმ ტომში, სადაც ის იცინის". პასუხი: „ეს ცეცხლია".

ბასუტოს ტომში გამოცანები აღზრდის აუცილებელ ნაწილს შეადგენდნენ. ისინი სავარჯიშოების სახით მიეწოდებოდა ბავშვებს, რომლებიც თავს იტეხდნენ მათს ამოცნობაზე. შეკითხვა: „იცით, რა ვარდება მთის მწვერვალიდან და არ იმსხვრევა?" პასუხი: „ჩანჩქერი"; შეკითხვა: „იცით ვინ დადის უფრთოებოდ და უფეხებოდ? ვის ვერ აკავებს ვერც მთა, ვერც მდინარე და ვერც კედელი?" პასუხი: „ხმა"; „შეკითხვა: „რა ჰქვია ათ ხეს ათი ბრტყელი ქვით თავზე?" პასუხი: „თითები". აი, მექსიკური გამოცანები: შეკითხვა: „რა არის ათი ქვა, რომლებიც ყველას აქვს?" პასუხი: „ფრჩხილები"; შეკითხვა: „რა არის ის, რაშიც სამი კარით შევდივართ და ერთით გამოვდივართ?" პასუხი: „პერანგი".

ვამოცანები, რომელთაც პრიმიტიულ ტომებთან ვხვდებით, თავისი ბუნებით არ განსხვავდებიან იმ გამოცანებისაგან, რომლებიც ოდნავ განახლებულ-

ნი, ევროპის საბავშვო ზღაპრებში მოხვდნენ. ასე მაგალითად, ესპანელი ბავშვები დღესაც კითხულობენ: „რომელ კაკლებიან ლანგარს ინახავენ დღისით, ღამე კი ფანტავენ?“ პასუხი: „ვარსკვლავები“. ინგლისური გამოცანა სატეხის შესახებ — „გრძელი ფეხები, მოგრეხილი თეძოები, პატარა თავი უთვალებოდ“ — იმდენად პირველყოფილია, რომ მას წყნარი ოკეანის რომელიმე კუნძულელიც კი შექმნიდა.

გამოცანების შეთხზვა იმდენად არის დაკავშირებული ისტორიის მითოლოგიურ პერიოდთან, რომ ნებისმიერი პოეტური შედარება, თუ იგი ძალიან ბუნდოვანი არ არის, შეიძლება გამოცანად იქცეს. ინდოელები მზის ნაცვლად ხმარობენ სიტყვას, რომელიც ნიშნავს „შვიდ ცხენზე მოსიარულეს“. იგივე აზრია ჩაქსოვილი ძველ გერმანულ გამოცანაში, რომელიც გვეუბნება: „რომელი ეტლი მიჰყავს შვიდ თეთრსა და შვიდ შავ ცხენს? პასუხი: „წელიწადი, რომელიც მიჰყავს კვირის შვიდ დღესა და შვიდ ღამეს“. მსგავსია ბერძნული გამოცანა ორი დის, დღისა და ღამის, შესახებ: „ორი და, რომელთაგან ერთი შობს მეორეს და, თავისი მხრით, მისგან იბადება“.

ასეთი გამოცანები დღესაც ისევე ადვილად ამოიცნობა, როგორც ძველად. ისინი უნდა განვასხვაოთ გამოცანათა იშვიათი კლასისაგან, რომელთა გადასაწყვეტად საჭიროა შეუთავსებელ მოვლენათა ამოცნობა. ასეთ გამოცანათა ტიპური მაგალითია სამსონის გამოცანა.

ბიბლიაში, კერძოდ, „მსაჯულთა წიგნში“, არის მოთხრობა ლეგენდარული გოლიათის სამსონის შესახებ. ერთხელ სამსონი შეეფეთა ახალგაზრდა ლომს, დაიჭირა და ხელით დაახრჩო. რამდენიმე დღის შემდეგ იგი მკვდარი ლომის სანახავად წავიდა და მისლეშში ფუტკრის ნაყარი და თაფლი აღმოაჩინა. მან ამოიღო თაფლი და ახლობლებს გაუმასპინძლდა, ხოლო საქორწილო სუფრაზე თავის ოცდაათ მეგობარს ეს გამოცანა შესთავაზა: „მჭამელისგან გამოვიდა საჭმელი და ძლიერისგან — ტკბილი“. გამოცანის პასუხი მხოლოდ სამსონისთვის იყო ცნობილი, რადგანაც მარტო მან იცოდა ლომისა და თაფლის ამბავი. ამიტომ მეგობართაგან ვერავინ ამოიცნო იგი. მათ სამსონის მეუღლეს სთხოვეს მისთვის პასუხი ეთქმევინებინა და დათქმულ ვადაში გამოცანითვე მიუგეს: „რა არის თაფლზე ტკბილი და ლომზე ძლიერი?“

ეთნოგრაფიული კვლევისას სისტემატურად ვაწყდებით მჭიდრო კავშირს გადმონაშთებსა და წეს-ჩვეულებებს შორის. ერთხელ და სამუდამოდ უნდა ითქვას, რომ წეს-ჩვეულებებს, რომლებსაც დღეს აზრი აქვთ დაკარგული, იქ, სადაც წარმოიშვნენ, პრაქტიკული ან, უკიდურეს შემთხვევაში, რელიგიური დანიშნულება ჰქონდათ. ახლა კი ახალ გარემოში, დაკარგეს რა პირველადი დანიშნულება, შეუსაბამობად იქცნენ. რა თქმა უნდა, ჩვეულებები, როგორც ძველი, ისე ახალი, შეიძლება სასაცილო ან სულელურიც იყოს. მაგრამ მაინ მაინც აქვთ თავისი მოტივები, რომელთა ამოცნობა საკმაოდ შესაძლებელია. ასეთი მიდგომით საკმაოდ კარგად იხსნება გაბუნდოვანებული ჩვეულებები, რომლებიც ზოგიერთ მკვლევარს, მაგალითად, ციმერმანს, კაცობრიობის სისულელის გამოვლინებად მიაჩნდა. მან გასულ საუკუნეში გამოსცა სქელტანიანი წიგნი — „კაცობრიობის გეოგრაფიული ისტორია“, რომელშიც ეს თვალსაზრისია გატარებული.

მკაცრი შეხედულება კაცობრიობის უგუნურების შესახებ პოპულარული იყო საფრანგეთის რევოლუციის დროსაც. ლორდი ჩესტერფილდი, რომელიც სრულიად არ ჰგავს ზემოთ ხსენებულ მეცნიერს, აღიარებს ჩვეულებათა უარ-

რობას და ადამიანის უგუნურების მაგალითად სამეფო კარის ეთიკეტის წვრილ-მანები მოაქვს.

თეორია გადმონაშთების შესახებ შესაძლებლობას იძლევა გაირკვეს, რატომ არსებობს ცივილიზებულ საზოგადოებაში ჩვეულებათა სამი ჯგუფი, რომელთა ახსნა ამ საზოგადოების შეხედულებათა საფუძველზე შეუძლებელია. თუ ამ ჩვეულებებს თანამედროვე პრაქტიკის საფუძველზე განვიხილავთ, ზოგი მათგანი სასაცილო აღმოჩნდება, ზოგი — სასტიკი, ზოგი კი — უაზრო. პირველი არის დალოცვა ცხვირის დაცემინების დროს, მეორე — ჩვეულება, რომელიც შენობის საფუძვლის ჩაყრისას ადამიანის მსხვერპლს მოითხოვს, მესამე — ამოჩემებული შეხედულება წყალწაღებულის გადარჩენისას.

იმ ჩვეულებათა ახსნისას, რომლებიც ცხვირის დაცემინებასთან არის დაკავშირებული, აუცილებელია გავითვალისწინოთ პრიმიტიულ საზოგადოებაში არსებული თვალსაზრისი. ერთ დროს ფიქრობდნენ, რომ ადამიანის სული შედის და გამოდის მისი სხეულიდან. ამასვე ვარაუდობდნენ სხვა სულების შესახებ, კერძოდ, მათ შესახებ, რომლებიც შედიან ადამიანის სხეულში და მას სხვადასხვა სნეულებით აწამებენ. ამ იდეის კავშირი ცხვირის დაცემინებასთან ყველაზე კარგად ჩანს ზულუსებთან, რომლებსაც მტკიცედ სჯერათ, რომ გარდაცვლილთა კეთილი ან ბოროტი სულები ჰაერში ლიელივებენ და ადამიანებისთვის ან სიკეთე მოაქვთ, ან — ბოროტება, ეცხადებიან სიზმარში, შედიან მათს სხეულებში და აავადებენ. აი, დოქტორ კოლეუზის მიერ შეკრებილი მასალის მოკლე ჩამონათვალი:

როდესაც ზულუსი დააცემინებს, იტყვის: „მე დავილოცე. ახლა ჩემთან არის იდხლოზი (წინაპართა სული). მე სასწრაფოდ უნდა ვადიდო ის, რადგანაც მაიძულებს დავაცემინო“. ის ადიდებს თავის გარდაცვლილ ახლობელთა სულებს, სთხოვს დაიფარონ მისი საქონელი, ცოლები და დალოცონ იგი.

დაცემინება იმის ნიშანიც არის, რომ ავადმყოფი გამოჯანსაღდება. თუ დაცემინების დროს სიკეთეს უსურვებენ, ზულუსი მადლობას იხდის და ამბობს: „მე მოვიპოვე კეთილდღეობა, რომელიც მაკლდა. იყავით ჩემ მიმართ კეთილგანწყობილნი“.

ცხვირის დაცემინება შეახსენებს ადამიანს, რომ მან სასწრაფოდ უნდა ახსენოს თავისი ხალხის იტონგო (წინაპართა სული). სწორედ იტონგო აიძულებს ადამიანს დააცემინოს და ამით მიახვედროს, რომ იტონგო მასთან არის.

თუ ადამიანი ავად არის და არ აცემინებს, მნახველები იბრალებენ და ამბობენ: „სნეულება მძიმეა!“ თუ ბავშვი აცემინებს, ეუბნებიან: „გაიზარდე!“ ეს ჯანმრთელობის ნიშანია. დაცემინება ადამიანს მოაგონებს, რომ მასში იტონგო შევიდა. ზულუსი მკითხავები ცდილობენ ხშირად დააცემინონ, მიაჩნიათ რა, რომ ცემინება მათს არსებაში სულების არსებობაზე მიუთითებს. ისინი ადიდებენ სულებს და უწოდებენ „მაკოზის“ (ე. ი. ბატონებს).

ძალიან არის გავრცელებული დალოცვა დაცემინების დროს პოლინეზიაშიც. ახალ ზელანდიაში, თუ ბავშვი დააცემინებდა, წარმოთქვამდნენ შელოცვას ბოროტი ძალის ასარიდებლად. სამოას მკვიდრნი დაცემინებისას ამბობდნენ: „იცოცხლე!“, ხოლო კუნძულ ტონგზე ცხვირის დაცემინება ცუდი ნიშანი იყო სამგზავროდ მზადებისას.

ერთი საყურადღებო შემთხვევა ამერიკის ცხოვრებიდან შეეხება ერნანდო დე სოტის ცნობილ ექსპედიციას ფლორიდაში. მას ეახლა ადგილობრივი მოსახლეობა, ბელადი გუაჩოია და მიესალმა. ამ დროს გუაჩოიამ დააცემინა. მისმა მხლებლებმა, რომლებიც კედლის გასწვრივ, ესპანელების გვერდით, იხდნენ,

უცებ თავი დახარეს, ხელები ჯერ გაშალეს, შემდეგ კი ისევ დაწყვეს. ისინი ძესტებით გამოხატავდნენ მოწიწებასა და პატივისცემას, ლოცავდნენ გუაჩოიას და ამბობდნენ: „მზემ დგიფაროს და დგიცვას, მოგცეს ბედნიერება და გადგიჩინოს!“ გოცებულმა გუბერნატორმა ასე მიმართა ესპანელებს: „ხომ მართალია, რომ მთელი სამყარო ერთნაირია?“ მათ აღიარეს, რომ დალოცვის ასეთი წესი ყველა ხალხისთვის არის ბუნებრივი.

აზიასა და ევროპაში ცრურწმენა დაცემინების გამო ბევრ ხალხში არის გავრცელებული. საბერძნეთისა და რომის კლასიკური ხანისათვის დამახასიათებელია: ტელემაქეს ბედნიერი დაცემინება „ოდისეიადან“; მეომრის დაცემინება და ღმერთების განდიდება, რასაც ქსენოფონტემ ბედნიერი წინასწარმეტყველება უწოდა; არისტოტელეს შენიშვნა, რომ ხალხს ცხვირის დაცემინება ღვთაებრივ მოვლენად მიაჩნდა; ბერძნული ეპიგრამა გრძელცხვირა კაცის შესახებ, რომელსაც დაცემინების დროს არ შეეძლო ეთქვა: „დამიფარე, ზეუსო!“ პეტრონიუს არბიტრის მიერ ნახსენები ჩვეულება დაცემინებლისთვის ესურ-ებინათ „სალვე“ (ანუ იცოცხლე, ჯანმრთელად იყავი); პლინიუსი შეკითხვაზე, „რატომ ვლოცავთ დაცემინების დროს“, შენიშნავს, რომ ადამიანთა შორის ყველაზე პირველში ტიბერიუსიც კი მოითხოვდა ამ ჩვეულების დაცვას.

ასე იქცევიან დაცემინების დროს აღმოსავლეთ აზიაშიც. ინდუსები, როცა ვინმე ცხვირს აცემინებს, ამბობენ: „იცოცხლე!“ ის კი უპასუხებს: „თქვენთან ერთად!“ ებრაული ფორმულა დაცემინებისას ასეთია: „იცოცხლე!“ მაპმადიანი კი ამბობს: „დიდება ალაჰს!“ ეს ჩვეულება თანდათან თანდა გადაეცა კელტებს, სადაც კი ისლამია გავრცელებული.

შუასაუკუნეობრივი ევროპიდან ეს ჩვეულება თანამედროვე ევროპაშიც გადმოვიდა. შეა საუკუნეების გერმანიაში, მაგალითად, ასეთი შეჩვეულება ბატონობდა: „წარმართები ვერ ბედავენ დაცემინებას, რადგანაც ამ ღროს უნდა ითქვას: „ღმერთო, გვიშველე!“ ინგლისელისთვის მაგალითად შეიძლება გამოდგეს ინგლისური ლექსები 1100 წლისა, საიდანაც ჩანს, რომ ინგლისური ფორმულა „ჯანმრთელად იყავი!“ გამოიყენებოდა იმ ავადმყოფობისგან თავის დასაცავად, რომელიც ცხვირის დაცემინების დროს შეიძლება შეეყროდა: „თუ ერთხელ დაცემინებთ, ადამიანები ვარაუდობენ, რომ ეს მათთვის ცუდი იქნება, თუ მაშინვე არ ეტყვით: „იცოცხლეთ!“

ფრანგელიდან ნათარგმნ „თავაზიანობის წესებში“ (1685 წ.) ვკითხულობთ: „თუ მის კეთილშობილება ლორდს დაცემინება მოუხდა, მთელი ხმით არ უნდა უყვიროთ: „ღმერთმა დაგლოცოთ, სერ!“ არავედ ქუდის მოხდით თავაზიანად დაუკრათ თავი და ეს მიმართვა თქვენს გულში წარმოთქვათ“.

ცნობილია, რომ ანბანტიტტებმა და კვაკერებმა უარყვეს როგორც ეს, ისე სხვა შიმართვები, მაგრამ ისინი კვლავ რჩებიან ინგლისური კარგი მანერების კოდექსში, რომელიც განკუთვნილია როგორც მდიდარ, ისე დაბალ კლასებისათვის. ყოველ შემთხვევაში ასე იყო ორმოცდაათი წლის წინათ. ისინი არც ჩვენს დროში არის დავიწყებული და ცხვირის დაცემინების დროს დალოცვა და კეთილი სურვილები ახლაც ისმის ევროპის ყველა ქვეყანაში.

ალბერტუსი [illegible] ამბავი, რომ ამ ტაცნური ჩვეულების არსებობა საუკუნეების [illegible] ბინდში [illegible] ამბავი [illegible] ლეგენდების შემსწავლელისთვის. მათმა ცდებმა ისტორიული ახსნა-განმარტება [illegible] ამ ჩვეულებისათვის, კვალი დატოვეს ბერძნების, ებრაელების და ქრისტიანების ფილოსოფიურ მითებში. ბერძნულ ლეგენდაში პრომეთე ლოცულობს ხელოვნური ადამიანის გადარჩენისათვის, როცა ის თავის

არსებობას დაცემინებით ადასტურებს; ებრაულ ლეგენდაში იაკობი ლოცულობს, რომ სულმა არ დატოვოს ადამიანის სხეული, როცა ის ცხვირს აცემინებს, როგორც ეს სხვა დროს მომხდარა; კათოლიკურ ლეგენდაში პაპი გრიგოლი ლოცულობს მომაკვდინებელი წყლულის ასარიდებლად, რადგანაც პაერი ისე იწამლება, რომ ადამიანები დაცემინებისას იხოცებიან.

ლეგენდების თანახმად, დაცემინების ფორმულები სწორედ ამ წარმოსახვითი მოვლენებისაგან წარმოიშვა.

ეთნოგრაფიის მიზნებისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მთქნარებასთან დაკავშირებული შეხედულებები და ჩვეულებები. ზულუსებს მთქნარება და ცხვირის დაცემინება ბოროტი სულით შეპყრობის მომასწავებლად მიაჩნდათ. ინდუსმა დამთქნარებისას უნდა მოკეცოს დიდი და კიდევ ერთი თითი და ახსენოს რომელიმე ღმერთი, მაგალითად, რამა. ამ ჩვეულებას უგულებელყოფა ისეთივე ცოდვაა, როგორიც ბრაჰმანის მოკვლა. სპარსელებს შეხედულებით, მთქნარება და ცხვირის დაცემინება ბოროტი სულით შეპყრობის ნიშნავს. მუსულმანი მთქნარებისას პირს მარცხენა ხელით იფარავს და ამბობს: „ალაჰ, დამიფარე დაწყეველილი სატანისაგან!“ საერთოდ, მუსულმანთა შეხედულებით, მთქნარებას თავი უნდა აარიდო, რადგანაც ეშმაკს ჩვეულად აქვს პირში ჩაუხტეს მას, ვინც ამთქნარებს. როგორც ჩანს, ეს არის ამ ებრაული ანდაზის აზრიც: „ნუ გაუღებ სატანას პირს!“ ამავე თვალსაზრისს ეწერნობს იოსებ ფლავიუსის მონაყოლიც. მას უნახავს ებრაელი, სახელად ელიეზარი, რომელიც ვესპასიანეს დროს ეშმაკებს დემონის ნესტოებიდან გამოდევნით კურნავდა. ის ამას აკეთებდა ბეჭდით, რომელსაც მისტიკური ძალა ჰქონდა. ამავე თვალსაზრისს შეიცავს მოთხრობები მესალინთა შესახებ. ისინი აფურთხებდნენ და ცხვირს იხოცავდნენ, რათა განედევნათ ეშმაკი, რომელსაც სუნთქვის დროს მათს ცხვირში მოხვედრა შეეძლოთ. ამასვე მოწმობს ჩვეულება, რომელსაც დღესაც იცავენ ტიროლში. ისინი მთქნარების დროს პირჯვარს იწერენ, რათა პირში უკეთური ძალა არ შეუვიდეთ.

ზულუსებისა და ბოფლიოს სხვა ხალხების შეხედულებათა შეჯერება ნათელყოფს, რომ ცხვირის დაცემინება სულების მეოხებით ხდება. როგორც ჩანს, საკითხის გასაღებს ეს შეხედულება წარმოადგენს. თანამედროვე ევროპაში შემორჩენილი ძველი ფორმულების გადმონაშთებიც იმ დროის გაუცნობიერებელი გამოძახილია, როცა დაცემინება ფიზიოლოგიის სფეროს კი არ განეკუთვნებოდა, არამედ „ღვთისმსახურების საფეხურზე“ იდგა.

შოტლანდიაში გავრცელებულია შეხედულება, თითქოს პიქტები, რომელთაც ადგილობრივი ლეგენდა ისტორიამდელი შენობების აგებას მიაწერს, ნაგებობათა საძირკველს ადამიანის სისხლით რწყავდნენ. ლეგენდა მოგვითხრობს, რომ წმინდა კოლუმბამაც კი ჩათვალა საჭიროდ წმინდა ორანი ცოცხლად დაემარხა თავისი მონასტრის საძირკველში, რათა დაეშოშმინებინა მიწის სულები, რომლებიც ღამე ანგრევდნენ იმას, რაც დღის განმავლობაში შენდებოდა. 1843 წელს გერმანიაში, როცა ჰალეში ახალი ხიდი შენდებოდა, ხალხში ამბობდნენ, რომ სასურველი იყო ნაგებობის საძირკველში ბავშვის ჩატანება. შეხედულება, თითქოს ეკლესია, კედელი ან ხიდი სიმტკიცისათვის საჭიროებს ადამიანის სისხლს, ან მსხვერპლის ჩაშენებას, არა მარტო ფართოდ იყო გავრცელებული ევროპის ხალხურ გადმოცემებში, არამედ პრაქტიკულადაც ხორციელდებოდა, ადგილობრივი ქრონიკებით დასტურდება, როგორც ისტორიული ფაქტი.

ასე მაგალითად, როცა 1463 წელს ნოგატეში საჭირო გახდა დანგრეული

კაშხალის აღდგენა, გლეხებმა რჩევისამებრ, უგონოდ დაათვრეს ერთი მათხოვარი და კაშხალში ჩამარხეს. ერთ თიურინგენურ ლეგენდაში ნათქვამია, რომ, ლიბენშტეინის ციხე-სიმაგრე მტკიცე და მიუდგომელი რომ ყოფილიყო, ერთი დედისაგან იყიდეს ბავშვი, რომელიც კედელში უნდა ჩაეტანებინათ. როცა კალატოზები საქმეს შეუდგნენ, ბავშვი ნამცხვარს ჭამდა. მან დედას დაუძახა: „დედა, მე შენ ჯერ გხედავ", ცოტა ხნის შემდეგ: „დედა, მე ისევ გხედავ ცოტათი", ხოლო როდესაც კალატოზებმა უკანასკნელი ქვა დადეს, მან დაიძახა: „დედა, ახლა სულ ვეღარ გხედავ". კოპენჰაგენის კედლები, ლეგენდის მიხედვით, მშენებლობისას რამდენჯერმე ჩამოინგრა. ბოლოს ერთი პატარა უმანკო გოგონა დასვეს მაგიდასთან, რომელზეც ნაირნაირი საქმელი და სათამაშოები ელაგა. ვიდრე ის ჭამდა და თამაშობდა, თორმეტმა კალატოზმა თაღი ამოაშენა. შემდეგ მუსიკის ხმებზე ააშენეს კედელი, რომელიც მას შემდეგ მტკიცედ და შეურყეველად იდგა. იტალიური ლეგენდა მოგვითხრობს მდინარე არტუს ხიდის შესახებ, რომელიც გამუდმებით ინგრეოდა, ვიდრე მასში მშენებლის ცოლი არ ჩააშენეს. სიკვდილის წინ მან დაიწყევლა, რათა ხიდს მუდამ ისე ეცახცახა, როგორც ცახცახებს ყვავილის ღერო.

სლავი თავადები, ძველი წარმართული ჩვეულების თანახმად, საგანგებოდ გზავნიდნენ მსახურებს, რათა მათ დაეჭირათ პირველივე შემხვედრი ბავში და ჩაეშენებინათ შენობის კედელში. ერთი სერბიული ლეგენდა მოგვითხრობს, რომ სამმა ძმამ გადაწყვიტა აეგოთ ციხე-სიმაგრე სკადრე (სკუტარი). მაგრამ ალი ღამით ანგრევდა იმას, რასაც სამასი კალატოზი დღის განმავლობაში აგებდა. საჭირო გახდა მსხვერპლით მისი გულის მოგება. მსხვერპლი უნდა ყოფილიყო სამი ძმის მეუღლეთაგან ის, რომელიც პირველი მოუტანდა მუშებს საჭმელს. სამივე ძმამ ფიცი დადო, რომ ამ საშინელ საიდუმლოს ცოლებს არ გაუმხელდნენ, მაგრამ ორმა უფროსმა ძმამ ფიცი გატეხა. მათ თავიანთი ცოლები გააფრთხილეს. უმცროსი ძმის ცოლი კი, რომელსაც ეშვიც არ აუღია, მშენებლობაზე მივიდა და იგი კედელში ჩააშენეს. მან ითხოვა დაეტოვებინათ ხვრელი, რათა ძუძუ ეკმია შვილისთვის. და ბოლოს, არსებობს ინგლისური ლეგენდა ვორტიგერნის შესახებ, რომელმაც ვერ ააგო თავისი კოშკი, ვიდრე საძირკველის ქვები არ დაასველეს უმამოდ გაჩენილი ბავშვის სისხლით.

როგორც ჩვეულებრივ ხდება მსხვერპლშეწირვის ისტორიაში, ამ შემთხვევაშიც დასტურდება მსხვერპლის შეცვლის ფაქტები. მაგალითად, ცნობილია, რომ გერმანიაში კედლებში ცარიელი კუბოებია ჩატანებული; დანიაში საკურთხევლის ქვეშ დამარხულია ბატკანი, რათა ეკლესია მტკიცედ იდგეს; არსებობს სასაფლაო, სადაც პირველად ცოცხალი ცხენი დამარხეს და სხვ. თანამედროვე საბერძნეთში ამ თვალსაზრისის გადმონაშთი უნდა იყოს რწმენა, რომ პირველი, ვინც ახალ ნაგებობასთან გაივლის პირველი ქვის დადების შემდეგ, წლის განმავლობაში მოკვდება. ამიტომ კალატოზები მსხვერპლის შესაცვლელად პირველ ქვაზე ბატკანს ან შავ მამალს დაკლავენ ხოლმე. გერმანული ლეგენდა, ეყრდნობა რა იმავე იდეას, მოგვითხრობს ბორიტ სულზე, რომელიც ხელს უშლიდა ხიდის აგებას. მას აღუთქვეს სული, მაგრამ შოატყუეს და ხიდზე პირველად მამალი გაუშვეს.

ყოველივე ეს გვაიძულებს ვაღიაროთ, რომ ჩვენს წინაშეა არა მარტო მითოლოგიური თემა, არამედ ზეპირ და წერილობით გადმოცემებში შემონახული მოგონება ბარბაროსულ ჩვეულებაზე, რომელიც არსებობდა წარსულში და საკმაოდ დიდხანს შემორჩა ევროპას. თუ ნაკლებად კულტურულ ქვეყნებს გადავეხედავთ, დავინახავთ, რომ იქ ეს ჩვეულება ახლაც არსებობს. იგი მიზნად

ისახავს მსხვერპლით მიწის სულების გულის მოგებას, ან თავად მსხვერპლის სულის მფარველ დემონად გადაქცევას.

აფრიკაში, გალამში, ახალი გამაგრებული დასახლების მთავარ ჭიშკართან ცოცხლად მარხავდნენ ბიჭსა და გოგონას, რათა სიმაგრე შეუვალი ყოფილიყო. პოლინეზიაში ელისს გაგონილი ჰქონდა, რომ მავის ერთ-ერთი ტაძრის ცენტრალური სვეტი დაიდგა მსხვერპლად შეწირული ადამიანის სხეულზე. ერთი მოგზაურის გადმოცემით, კუნძულ ბორნეოზე ერთი დიდი შენობის აგებისას ამოთხარეს ღრმა ორმო პირველი სვეტისათვის, რომელიც თოკებზე დაკიდეს. ორმოში ჩაუშვეს მონა ქალიშვილი, ნიშანზე გადაჭრეს თოკები, უზარმაზარი ძელი ორმოში ჩავარდა და ქალიშვილი სასიკვდილოდ გასრისა. სენ-ჯონს უნახავს ამ ჩვეულების შერბილებული ფორმა. კუპელი დაიაკების უფროსმა თავის სახლთან დადგა მაღალი ჭოკი, ხოლო მისთვის მომზადებულ ორმოში ჩააგდეს წიწილა, რომელიც ჭოკს უნდა გაეჭყლიტა.

სამხრეთ აზიის უფრო კულტურულმა ხალხებმა ჩვენს დრომდე შემოინახეს სახლის აგებისას მსხვერპლშეწირვის ჩვეულება. XVII საუკუნის ერთ იაპონურ მოთხრობაში ეკითხულობთ, რომ კედელი, რომელიც ნებაყოფლობით მსხვერპლზე დგას, სხვადასხვა უსიამოვნებისგან არის დაცული. ამიტომ, როდესაც დიდი კედლის შენებას იწყებდნენ, რომელიმე უბედური ტყვე გამოთქვამდა მსხვერპლად შეწირვის სურვილს, წვებოდა მისთვის მომზადებულ ორმოში და კედებოდა მძიმე ქვების ქვეშ. მესონს თვითმხილველებისგან ჰქონდა გაგებული, რომ, როდესაც ტენესერიმში ახალი ქალაქის ჭიშკარი შენდებოდა, ყოველ ორმოში, რომლებიც სვეტებისთვის იყო მომზადებული, მფარველი დემონის მსხვერპლად დამნაშავეები ჩაყარეს. ყველა ეს ამბავი, რომელთაც ისტორიული ან მითოლოგიური ფორმა აქვთ, რეალურად არსებულ ჩვეულებას მოგვაგონებს. ინგლისის სამფლობელოშიც იყო ასეთი შემთხვევა, როდესაც რაჯა სენ-ბინი პენჯაბში სიალ-კოტის სიმაგრეს აგებდა, სამხრეთ-აღმოსავლეთის ბასტიონის საძირკველი რამდენჯერმე დაინგრა. რაჯამ მკითხავს მიმართა, რომელმაც დაარწმუნა, რომ ბასტიონი არ აშენდებოდა, ვიდრე ერთადერთი ვაჟის სისხლი არ დაიღვრებოდა.

ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ ეს საზარელი წეს-ჩვეულებები, რომელთა შესახებ ევროპაში მხოლოდ ბუნდოვანი მოგონებაა შემორჩენილი, სრულდება და ინარჩუნებს თავის უძველეს მნიშვნელობას აფრიკის, პოლინეზიის და აზიის იმ საზოგადოებებში, რომლებიც თუ ქრონოლოგიურად არა, განვითარების ხარისხით მაინც წარმოადგენენ კულტურის უძველეს საფეხურს.

ვალტერ სკოტი თავის „მეკობრეში“ მოგვითხრობს ბრეისის შესახებ, რომელსაც არ სურდა გემის დაღუპვისას წყალწაღებული მეზღვაურის გადარჩენა. „ჩკუიდან ხომ არ შეიშალეთ? — ამბობს იგი. — თქვენ, რომელიც ასე დიდხანს ცხოვრობდით შოტლანდიის კუნძულებზე, გინდათ გადაარჩინოთ წყალწაღებული? განა არ იცით, რომ თუ მას სიცოცხლეს დაუბრუნებთ, იგი აუცილებლად მოგაყენებთ ენებას?“

ეს არაადამიანური ცრურწმენა რომ მხოლოდ შოტლანდიაში იყოს შემჩნეული, შეიძლება გვეფიქრა, რომ იგი ადგილობრივი წარმოშობისაა. მაგრამ როდესაც ამგვარი ცრურწმენები გვხვდება სანტა კილდას კუნძულებზეც, დუნაელ მენაველებთანაც და ფრანგ და ინგლისელ მეზღვაურებთანაც, ევროპის გარეთაც და ნაკლებად კულტურულ ხალხებშიც, მათი ადგილობრივი მონაპო-

რით ახსნა შეუძლებელი ხდება. საჭიროა და აუცილებელია მოიძებნოს დაბალ კულტურაში გავრცელებული შეხედულებები ამ საკითხის თაობაზე.

ინდუსები არ გადაარჩენენ ადამიანს, რომელიც წმინდა განგში იხრჩობა. მალაის არქიპელაგის მცხოვრებლებიც იზიარებენ ამ სასტიკ დამოკიდებულებას წყალწაღებულის მიმართ. პრიმიტიულ კამჩადალებთან ამ აკრძალვას ყველაზე შესანიშნავი ფორმა აქვს. მათ, ამბობს კრაშენინიკოვი, დიდ შეცდომად მიაჩნიათ წყალწაღებულის გადარჩენა, რადგანაც ის, ვინც მას გადაარჩენს, თვითონ დაიხრჩობა. შტელერის მონათხრობი კიდევ უფრო უჩვეულოა და. როგორც ჩანს, ეხება მხოლოდ იმ შემთხვევებს, როდესაც მსხვერპლი მართლა იხრჩობოდა. ის ამბობს, რომ თუ ადამიანი შემთხვევით ჩავარდა წყალში, მას დიდ ცოდვად ეთვლებოდა წყლიდან ამოსვლა: თუ მისი ხვედრი დახრჩობაა, თავის გადარჩენით ის ცოდვას ჩადის. მას არავინ შეუშვებს შინ, არავინ დაელაპარაკება, არ მისცემს საკვებს, არ მიათხოვებს ქალს. რადგანაც მკვდრად თვლიან. თუ ადამიანი სხვათა თანდასწრებით ჩავარდება წყალში, მას კი არ დაეხმარებიან, არამედ ძალით დაახრჩობენ.

ეს კამჩადალური სპირიტუალისტური რწმენა, უეჭველია, არის წყალწაღებულის გადარჩენის თაობაზე მათი შეხედულების გასაღები. თანამედროვე ევროპაშიც კი შეიძლება დაიძებნოს ამ რწმენის გადმონაშთი. პოჰემიაში, როგორც არც თუ ძველი (1864 წ.) ცნობა გვაუწყებს. მეთევზეები ვერ ბედავენ წყალწაღებული ადამიანის გადარჩენას. მათ ეშინიათ წყლის სულმა არ წაართვას თევზის ჭერის ღიბალი და თვით ისინი არ დაახრჩოს პირველსავე შემთხვევაში.

ეს აკვიატება წყლის სულთა მსხვერპლის გადარჩენის საწინააღმდეგოდ მრავალი ფაქტით შეიძლება დადასტურდეს, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში არის მოძიებული. მსხვერპლშეწირვის ჩვეულებათა კვლევისას ირკვევა, რომ ჭისთვის, მდინარის, ტბისა თუ ზღვისთვის მსხვერპლის შეწირვა იმიტომ ხდება, რომ მათ წყალი ან მასში დაბუდებული სული დაეუფლოს. შემთხვევით წყალში დამხრჩვალი ადამიანი რომ სწორედ ასეთ ნადავლად ითვლებოდა, ამაზე ველური და ცივილიზებული ხალხების ბევრი შეხედულება მეტყველებს. ინდოელების რწმენით, წყლის ურჩხული თავის მსხვერპლს ნიაღვარში ან მდინარის ჩქერობში ახრჩობს. ახალზელანდიელებს სჯერათ, რომ უზარმაზარი, ზებუნებრივი ქვეწარმავალი ურჩხულები, რომელთაც ტინივგა ჰქვიათ, მდინარეებში ცხოვრობენ და დამხრჩვალებს იტაცებენ. სიამელებს ეშინიათ პნიუკის — წყლის სულისა, რომელიც იჭერს მობანავეებს და თავის ბუნაგში მიჰყავს. სლავთა მიწაზე ამას აკეთებს „დამხრჩობი". ხოლო გერმანიაში, როცა ვინმე იხრჩობა, ხალხი იხსენებს წინაპართა რელიგიას და ამბობს: „წყლის სულმა თავისი ყოველწლიური მსხვერპლი მოითხოვა", ან უბრალოდ: „ნიკსმა წაიყვანა".

აშკარაა, რომ წყალწაღებულის გადარჩენა, ე. ი. წყლის სულისთვის მსხვერპლის წართმევა, ღვთაების გამოწვევაა, რაც შურისძიების გარეშე არ დარჩება. წყალწაღებულის გადარჩენასთან დაკავშირებული ეს შეხედულება ცივილიზებულ სამყაროში თითქმის ან სავსებით გაქრა. მაგრამ ხალხურ თქმულებებსა და პოეზიაში გადასული ეს არქაული თვალსაზრისი ჯერ კიდევ მიუთითებს, რომ პირველყოფილ და ძველთაგან შემორჩენილ შეხედულებებს შორის აშკარა კავშირი არსებობს.

მსოფლიოს სოციალური განვითარების კვალდაკვალ ბევრი ყველაზე მნიშვნელოვანი თვალსაზრისი და ქმედება გადმონაშთად იქცევა. მათი თავდაპირ-

ველი მნიშვნელობა თანდათან განქარდება, ყოველ მომდევნო თაობას სულ უფრო ნაკლებად ეხსომება, ვიდრე საბოლოოდ არ გაქრება ხალხის მეხსიერებიდან. ეთნოგრაფია მეტ-ნაკლები წარმატებით ცდილობს აღადგინოს მათი მნიშვნელობა, რისთვისაც მარცვალ-მარცვალ აგროვებს გაფანტულსა და მიეიწყებულ ფაქტებს. სამავშვო თამაშობანი, ზალხური გამონათქვამები და ანდაზები, გაუგებარი ჩვეულებები პრაქტიკულად, შესაძლოა, უმნიშვნელო იყოს, მაგრამ ფილოსოფიური თვალსაზრისით ისინი არ არიან მნიშვნელობას მოკლებული, რადგანაც განეკუთვნებიან უძველესი კულტურის ერთ-ერთ ყველაზე უურადსაღებ ფაზას. რომელიმე ადამიანის საზარელი და ექსტაზი ცრურწმენები შეიძლება პირველყოფილი ბარბაროსობის ნაშთი აღმოჩნდეს. მაშინ ასეთი ადამიანის აღზრდა იგივეა, რაც შექსპირის მკლავიანა, რომელიც „რაც უნდა მოიშინაურო, ელოლიავო და გაუფრთხილდე, მაინც შეინარჩუნებს თავისი წინაპრების ველურ ცბიერებას“.

წეს-ჩვეულებები და ცერემონიები*

რელიგიური წეს-ჩვეულებები თეორიულად ორ ნაწილად იყოფა; ეს ნაწილები პრაქტიკაში ერთმანეთს ერწყმის. მათ მხატვრულ-სიმბოლური დანიშნულება აქვთ, დრამატულად გამოხატავენ რა რელიგიურ აზრს, ან წარმოად გენენ მის პანტომიმურ ენას. ისინი სულიერ არსებებთან ურთიერთობის, მათზე ზემოქმედების საშუალებაა. ამ თვალსაზრისით წეს-ჩვეულებებს ისეთივე პრაქტიკული დანიშნულება აქვთ, როგორიც ქიმიურ ან მექანიკურ პროცესებს, რადგანაც დოგმა და თაყვანისცემა ისე შეეფარდება ერთმანეთს, როგორც თეორია და პრაქტიკა. ბევრი რამ, რაც ჩვენთვის ცნობილია ველურთა და ბარბაროსთა რელიგიის თაობაზე, მოცემულია ცნობებში ცერემონიალების შესახებ. ზოგი რელიგიური წეს-ჩვეულება გასაოცარი მდგრადობით გამოირჩევა. ხანგრძლივი დროის მანძილზე უცვლელი რჩება მათი ფორმაცა და შინაარსიც: მაგრამ ხანდახან უფრო მკვეთრად ის რელიგიური წეს-ჩვეულებები გარდაიქმნება, რომელთა ფორმა, შინაარსისაგან განსხვავებით, საგულდაგულოდ, შეიძლება მონურადაც კი, დაცულია საუკუნეთა განმავლობაში. გარდაქმნებისათვის თვალის მიდევნება ძნელია, რადგანაც ქურუმთა ფენა ცდილობს მიჩქმალოს, ან საიდუმლო ელფერით შემოსოს ის წეს-ჩვეულებები, რომელთა ბარბაროსული შინაარსი აღარ შეესაბამება ეპოქის სულს. მაგრამ სირთულეები, რომლებიც მკვლევარს რომელიმე რელიგიის შესწავლისას ხვდება, მცირდება რელიგიათა შედარებითი კვლევის დროს. ეთნოგრაფს, რომელიც ერთმანეთს უდარებს რომელიმე წეს-ჩვეულების მაგალითებს კულტურის განვითარების სხვადასხვა სტადიაზე, უფრო ხელეწიფება მისი ახსნა, ვიდრე ქურუმს, რომლისთვისაც წეს-ჩვეულება ბრმა რწმენის საგნად იქცა. ჰქონდა რა მხედველობაში რელიგიის დაბალი ფაზების ახსნა-განმარტებითი მნიშვნელობა მაღალი ფაზებისათვის, ავტორმა ეთნოგრაფიული მიზნებისათვის, როგორც დამატება მოძღვრებაზე რელიგიის შესახებ, შეკრიბა საღვთო წეს-ჩვეულებანი, რომელთაგან თითოეული უაღრესად საყურადღებოა, თუმცა მათი განვითარების გზები განსხვავებულია. ყველა ეს წეს-ჩვეულება რუდიმენტის სახით გვხვდება ველურების კულტურაში, ისინი ცნობილია ბარბაროსულ ეპოქაშიც და, ბოლოს, დღესაც შემორჩენილია.

ლოცვა, „სულის წრფელი სწრაფვა, რომელიც გამოხატულია, ან არ არის გამოხატული გარეგნული ნიშნით", არის სულის მიმართვა სულისადმი. როცა ლოცვით მიმართავენ უსხეულო, გაღმერთებულ სულებს, ეს იგივეა, რაც ადამიანთა ყოველდღიური ურთიერთობის შემდგომი განვითარება. როცა მლოცველი მიმართავს არსებას, რომელიც სამყაროში მასზე გაცილებით მაღლა დგას, მაგრამ მისი სულიერი არსის თარგზეა გამოჭრილი, მისი გონების

* წყაროდან: Э. Тейлор, Первобытная культура, М., 1939, с. 474—517.

მდგომარეობა ისეთია, რომ ლოცვა წარმოადგენს როგორც გონისმიერ, ისე პრაქტიკულ აქტს.

ლოცვის ბუნება იმდენად მარტივი და გასაგებია, რომ მისი შეუწყვეტა არ საჭიროებს ფაქტობრივ წვრილმანებსა და მრავალრიცხოვან ცნობებს, რომლებიც ხშირად აუცილებელია იმ წეს-ჩვეულებათა შესასწავლად, რომლებიც თავისი პრაქტიკული დანიშნულებით გაცილებით ნაკლებმნიშვნელოვანია. გასათვალისწინებელია, რომ ლოცვა არ შეიძლება ჩაითვალოს ანიმისტური რწმენის აუცილებელ შედეგად, რადგანაც კულტურის განვითარების დაბალ საფეხურებზე გვხვდება ბევრი ტომი, რომლებიც აღიარებენ სულების არსებობას, მაგრამ შეუძლებელია დაბეჯითებით ითქვას, რომ ისინი ლოცულობენ, თუნდაც გონებაში. ანიმიზმისა და ლოცვის თავდაპირველი ურთიერთობა შეიძლება გაირკვეს იმ ლოცვების მაგალითზე, რომლებიც ველურ და ბარბაროსულ საზოგადოებებს ეკუთვნის და ზედმიწევნით ზუსტად არის ჩაწერილი. ეს მონაცემები ამართლებენ თვალსაზრისს, რომ ლოცვა არსებობს უკვე კულტურის უმდაბლეს საფეხურზე. დროთა განმავლობაში, როცა მლოცველი კეთილდღეობის თხოვნას ურთავს ვედრებას, დაეხმაროს სიკეთის ქმნასა და ბოროტების დაძლევაში, ლოცვა ზნეობრიობის იარაღი ხდება.

პაპუასების კუნძულ ტანაზე, სადაც მოსავლიანობის მფარველი ღმერთები გარდაცვლილ წინაპართა სულები არიან, ტომის უფროსი, რომელიც ქურუმის უფლებით სარგებლობს, შესწირავს რა ღმერთებს პირველ ნაყოფს, მდუმარე კრებულის წინაშე ხმამაღლა წარმოთქვამს: „მოწყალე მამავ! აი, საკვები მირთვი და გვიბოძე ჩვენც!“ შემდეგ ყველა იმეორებს ამ სიტყვებს.

სამოას კუნძულებზე ვახშმად, ყაინის შეწირვის შემდეგ, ოჯახის უფროსი ასეთ ლოცვას წარმოთქვამს: „აი, ყავა ღმერთებო! თქვენი კეთილი მზერა მიაპყარით ამ ოჯახს, უსურვეთ კეთილდღეობა და გამრავლება. დაგვიფარეთ და მოგვეცით ჯანმრთელობა. მოეცით ნაყოფიერება ჩვენს მინდვრებს, აღმოაცენეთ პური, რათა ულუვად ჰქონდეთ საკვები თქვენ მიერ შექმნილ არსებებს. აი, ყავა, ომის ღმერთებო! დაე, თქვენთვის აღიზარდოს ძლიერი და მრავალრიცხოვანი ტომი. აი, ყავა, ზღვის ღმერთებო! ნუ მოადგებით ჩვენს ნაპირებს; იყოს თქვენი ნება, იცუროთ ოკეანეზე სხვა მიწისკენ!“

ინდიელი სიუ ჩრდილოეთ ამერიკიდან, რომელსაც ამა თუ იმ ზომით გაცდილი აქვს ევროპული ზეგავლენა, ამბობს: „გარდაცვლილთა სულებო, შემიწყალეთ და შემინდეთ!“ შემდეგ სთხოვს იმას, რაც კონკრეტულად სჭირდება, მაგალითად, კარგ ამინდს, ან წარმატებას ნადირობაში. იმის შესახებ, თუ როგორ იქცევიან ალგონკინელი ინდიელები სახიფათო მოგზაურობისას, საინტერესოდ მოგვითხრობს ჯონ ტენერი.

ზულუსები ფიქრობენ, რომ საკმარისია მიმართო წინაპართა სულებს იმის უთქმელად, თუ რა გჭირდება, რადგანაც სჯერათ, რომ სულებმა თვითონ იცან ყველაფერი. ამიტომ მათი ლოცვა ამ შეძახილით შემოიფარგლება: „ჩვენსახლის მამებო!“ როცა ზულუსი აცვემინებს, მისი რწმენით, ისე ახლოს დგას ღვთაებრივ სულებთან, რომ საკმარისია მიანიშნოს, რა სჭირდება, „ისურვოს სასურველი“, როგორც ინგლისური ხალხური რწმენა გადმოგვცემს: ასეთ შემთხვევებში ცალკეული სიტყვები, მაგალითად, ძროხა, შვილები — უკვე ლოცვაა. უფრო სრული ფორმით მათ ასეთი სახე აქვთ: „ჩვენი სახლის მამებო! საქონელი!“; „ჩვენი სახლის მამებო! ბედნიერება და ჯანმრთელობა!“; „ჩვენი სახლის მამებო! შვილები!“ შინაური საქონლის წინაპართათვის მსხვერპლად შეწირვისას ლოცვები ვრცელი სიტყვის ხასიათს იღებენ. დღესასწაულის დამ-

თავრების შემდეგ საყოველთაო სამარისებურ სიჩუმეში ტომის უფროსი წარმოთქვამს: „დიახ, დიახ, ჩვენო მამებო, რომლებმაც ესა და ეს კეთილშობილი საქმეები ჩაიდინეთ, ლოცეთ მოგმართავთ თქვენ. მსხვერპლად შეგწირეთ რა ჩვენი ერთ-ერთი კამეჩი, გთხოვთ კეთილდღეობას. მე არ შემიძლია უარი გითხრათ საკვებზე. რადგანაც საქონელი თქვენ მომეცით, თუ თქვენ ჩემგან საკვებს მოითხოვთ, განა არა ვარ მოვალე მოგცეთ იგი? გთხოვთ საქონელ!. დაე, აივსოს ეს ეზო! გთხოვთ პურს, რათა დიდძალმა ხალხმა მოიყაროს თავი ამ სოფელში, იმხიარულოს და გადიდოს თქვენ! გავედრებთ შვილებს, რათა სოფელი გამრავლდეს და თქვენი სახელი მარადიული იყოს!“

ლოცვების ტიპური ფორმები შეიძლება შეგვხვდეს ახალგინეაში ველურობიდან ბარბაროსობაზე გარდამავალ ხანაში. ბრძოლელი კარენები მსხვერპლს სწირავენ მკის ქალღმერთს პატარა სახლში, რომელიც ბრინჯის ყანაში დგას. ისინი სახლის წინ დებენ ორ თასმას, რათა ქალღმერთმა შეკრას ყველა იმ ადამიანის სული, ვინც მის ყანაში მისვლას ვაბედავს. შემდეგ ასე მიმართავენ მას: „ბებო, შენ იცავ ჩემს ყანას, შენ იცავ ჩემს ნათესებს. ფხიზლად აღევსე თვალი მას, ვინც აქ მოდის. თუ მოვლენ, შეკარი თოკით შეკარი ამ თასმით და არ მოუშვა!“

ეს იყო რამდენიმე ნიმუში ლოცვისა კულტურის უმდაბლეს საფეხურზე. ისინი არანაკლებ სპეციფიკურია უფრო კულტურულ ხალხებში. თუმცა ჩანს, ლები დიდი ხნის წინ ამაღლდნენ ბარბაროსობიდან მათი თავისებური კულტურის დონემდე, მაგრამ მათს კონსერვატიულ რელიგიაში ლოცვები წინასწარმეტყველთა და ბუნების სულების, გულმოწყალე ცის მიმართ წყევის, მოსაყვარლის, ბედიდრისა და ღღეგრძელობის შესახებ თითქმის უცვლელად დარჩა. მსოფლიოს სხვა რელიგიებში ლოცვა თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც ველურობა ლოცვებს წაგავს. ვედებში ასეთი ლოცვას ვხვდებით: „ელვისმფრქვეველო ინდრა. მომეც მე სიმდიდრე, საქონლის სიმრავლე, იმიტომ რომ შენ დიდებული ხარ!“ მაჰმადიანები ასე ლოცულობენ: „ალაჰ! გაათავისუფლე ტყვეობიდან ტყვეები, გაუქმე ვალი მევალეთა! მიეც ამ ქალაქს, ასევე მუსულმანთა ყველა ქალაქს სიმშვიდე და უსაფრთხოება, აკურთხე სიმდიდრითა და დოვლათით. მოგვევლინე უშიშროება და ჯანმრთელობა ჩვენ და ყველა მგზავრს, მლოცველსა და მებრძოლს, შენს მიწასა და ზღვებზე მოვზაურ მუსულმანებს. ყოველ არსებულს, უფალო!“

აქედან ჩანს წეს-ჩვეულებებისა და ჩვევების მდგრადობა და კონსერვატიზმი. ახლა კი თვალი გავადევნოთ ოვალსაჩინო ცვლილებებსა და სიახლეებს, რომლებიც ლოცვებში იჩენს თავს.

ველურებში განკერძოებულობის იდეა ჩანასახის სახით გვხვდება, ბარბაროსობის ეპოქაში კი იგი იმდენად ვითარდება, რომ გამოიხატება ვანსხვავებული რწმენის ადამიანების მტრობაში. ეს გარემოება ლოცვებშიც ჩანს. ასე მაგალითად, რიგ-ვედაში ნათქვამია: „გვიხსენ განსაცდელისაგან! დაე, გავიმარჯვოთ საღვთო ლექსებით მათზე, რომელთაც არ იციან წმინდა სიმღერები! განასხვავე არიელები დასებისაგან (ინდოეთის ადგილობრივი მოსახლეობა). დასაჯე ისინი, ვინც არ იცავს საღვთო წეს-ჩვეულებებს, დაუმორჩილე მათ, ვინც სწირავს მსხვერპლს... ინდრა უმორჩილებს ცოდვილს ღვთისმოსავს, ანადგურებს ურწმუნოებს მორწმუნეთა ხელით!“

ეს ამონარიდი კი წარმოადგენს დასკვნით ლოცვას, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინ კითხულობდნენ ბიეები ქაიროს ბევრ ტაძარში და ახლაც იმავე სახით იკითხება: „მე ვეძებ თავშესაფარს ალაჰთან წყეული სატანისაგან. ო,

ალაჰ! გაანადგურე ურწმუნონი და მრავალღმერთიანნი, შენი მტრები, შენი რწმენის მტრები! ო, ალაჰ! დაიობლე მათი შვილები, შებღალე მათი სახლები, აქცევ მუსულმანთა ნადავლად მათი ოჯახები და ქონება, მათი ცოლები და შვილები, ნათესავები, ძმები და მეგობრები, მათი მამული, მათი ტომი, სიმდიდრე და მიწა! ო, უფალო ყოვლისა ქმნილისა!"

ადამიანთა ურთიერთობის გარკვეული წესებით რეგულირების ტენდენცია უხსოვარი დროიდან გამოიხატებოდა მცდელობაში — მოექცინათ თავიანთ-ცეშის წეს-ჩვეულება მექანიკური რუტინის ჩარჩოებში. ამის გამო ლოცვები, რომლებიც თავდაპირველად თავისუფალი იყო და ადამიანის სულის მიძრაობას გამოხატავდა, გადაიქცა უძრავ ტრადიციულ ფორმულებად. რომელთა სიტყვასიტყვით გამეორება სავალდებულო იყო და რომლებიც თავისი პრაქტიკული დანიშნულებით უკვე შელოცვებს წარმოადგენდა. ღვთისმსახურება ალ-სავსეა ამ ისტორიული პროცესის მაგალითებით. საკმარისია გავაანალიზოთ კრიალოსნის დანიშნულება, მაგალითად, ბუდისტებთან. თუ უძველეს ბუდისტებს ვერ მივაწერთ კრიალოსნის შექმნას, მათ ვერ დავუკარგავთ იმ ამაგს, რომლის წყალობითაც იგი ასრულებს ღვთისმოსაობის გამომთვლელი მანქანის როლს. კრიალოსნის ასრა ბურთულას ახლაც მარცვლავენ ბუდისტის ბიბლიები, ითვლიან რა საღვთო ფორმულებს, რომელთა განმეორება ძალზე მნიშვნელოვანია მათთვის. არა უადრეს შუა საუკუნეებისა კრიალოსანი გადაიღეს მუსულმანებმა და ქრისტიანებმა და მას შემდეგ იგი საყოველთაოდ იხმარება.

იგივე შეიძლება ითქვას, ასე ვთქვათ, მექანიკური რელიგიის მეორე უკიდურესი სახეობის შესახებ. ეს არის ტიბეტელი ბუდისტების სალოცავი წისქვილი. ეს მოწყობილობა, სავსებით შესაძლებელია, თავდაპირველად იყო სიმბოლური „ჩაკრა", ან კანონის ბორბალი. შემდგომ იგი გადაიქცა ცილინდრად, რომელიც თავისი ღერძის გარშემო ტრიალებს. მისი ყოველი ბრუნი შეეფარდება ქაღალდზე შესრულებულ იმ გამონათქვამებს, რომლებიც ცილინდრს აკრავენ. სალოცავი წისქვილები სხვადასხვა ზომისაა. დაწყებული ისეთი მცირეთი, ხელში რომ დაიჭერ, ვიდრე უზარმაზარ დოლამდე, რომლებსაც წყალი ან ქარი ამოძრავებს და რომლებიც ლოცვებს მილიონჯერ წარმოთქვამენ.

ბუდისტურ შეხედულებას, თითქოს ამ ლოცვების გამეორებით ადამიანი ღვთის წინაშე „დამსახურებას" შეიძენს, მივაყენოთ ძალზე მნიშვნელოვანი თვალსაზრისამდე რელიგიისა და ცრურწმენების შესწავლის საქმეში. კერძოდ, გვაფიქრებინებს, რომ შელოცვები და გამოლოცვები შეიძლება აიხსნას ლოცვის განვითარების თეორიით. მართლაც, შელოცვის ფორმულები შემთხვევათა უმრავლესობაში ნამდვილი შელოცვებია. მათი გაგება სწორედ ამ კუთხით შეიძლება.

მსხვერპლშეწირვა, ისევე როგორც ლოცვა, კულტურის განვითარების ადრეულ ეტაპზე იჩენს თავს, იგი სათავეს იღებს ანიმისტურ სისტემაში. მსგავსად იმისა, რომ ლოცვა არის ისეთი მიმართვა ღვთაებისადმი, თითქოს ის ადამიანია, მსხვერპლშეწირვა არის ძღვენის მირთმევა ადამიანად წარმოსახულ ღვთაებისათვის. ლოცვისა და მსხვერპლშეწირვის საყოფაცხოვრებო სახეობანი დღესაც გვხვდება. როდესაც მოზიარენელი მოწიწებით თავს უკრავს თავის უფროსს და, დამცირებული, მის ფეხებთან დებს საჩუქარს, საქმე გვაქვს ერთდროულად მსხვერპლშეწირვისა და ლოცვის ანთროპომორფულ ნიმუშთან. მსხვერპლშეწირვამ, რომელიც თავისი განვითარების ადრეულ საფეხურზე ისევე გასაგები იყო, როგორც ლოცვა, რელიგიის ისტორიის მანძილზე ძალზე იცვალა სახე, თანაც არა მხოლოდ საწესჩვეულებო თვალსაზრისით, არამედ იმ

მოტივებთან მიმართებითაც, რომლებიც მის საფუძველს შეადგენენ. ღვთის-მეტყველები მხოლოდ საწესჩვეულებო მხარეზე ამახვილებენ ყურადღებას. მათ მისტიციზმით გააბუნდოვანეს ისეთი ცერემონიალები, რომლებიც ეთნოგრაფიულად შესწავლისას რაციონალურ ახსნას ექვემდებარებიან.

მსხვერპლშეწირვის კატეგორიების რელიგიის ისტორიის მთელ კონტექსტში განსახილველად ავტორს სასურველად მიაჩნია იმის მიხედვით ააჯგუფოს ფაქტები, თუ როგორ მიართმევენ ძღვენს მორწმუნენი და როგორ ღებულობს მათ ღვთაება. ამავე დროს, მაგალითების შერჩევისას სასურველია წარმოჩნდეს წეს-ჩვეულების მიერ განცდილ გარდაქმნათა ძირითადი მიმართულება. შეხედულება, რომ ღმერთი ღებულობს და აფასებს მსხვერპლს მსხვერპლისათვის, ერთი მხრივ, ვარაუდობს პატივისცემის მომენტს, ხოლო, მეორე მხრივ, გულისხმობს, რომ შემწირველი საკუთარ თავს აკლებს ძვირფასსა და ღირებულს. ამ იდეების საფუძველზე შეიძლება გამოიკვეთოს სამი თეორია: ძღვენის თეორია, პატივისცემის თეორია და უარის თქმის (отречение) თეორია. სამივე შემთხვევაში შეიძლება დავინახოთ, როგორ იქცევა მსხვერპლშეწირვა საკუთრებით რეალური აქტიდან ფორმალურ ცერემონიალად. ძღვენი, თავდაპირველად ძვირფასი, თანდათან იცვლება ნაკლებად ღირებული ნივთებით და ბოლოს დადის უბრალო ნიშნებამდე, ანუ სიმბოლოებამდე, რომელთაც არავითარი ღირებულება არ გააჩნიათ.

ძღვენის თეორიას მათ შორის, რა თქმა უნდა, პირველი ადგილი უჭირავს. ეს არის ძღვენის მირთმევის წმინდა ბავშვური ხერხი, მსხვერპლშეწირვის პირველყოფილი, ჩანასახოვანი ფორმა, რომელიც მოკლებულია კონკრეტულ აზრს იმის შესახებ, თუ როგორ მიიღებს, ან როგორ მოექცევა ძღვენს მისი მიმღები. როდესაც თვალს ვადევნებთ ამ წეს-ჩვეულებების ისტორიას კულტურის ერთი დონიდან მეორემდე, მისი აზრი დიდხანს გაუგებარი რჩება. ძალიან ხშირად ძნელია ბარბაროსისგან შეიტყო, მისი შეხედულებით, რა ბედი ეწევა იმ საკვებს და ძვირფასეულობას, ისინი რომ ღმერთებს მიართმევენ. მაგრამ ის წვრილმანები, რითაც ველურები იწყებენ, ხოლო უფრო კულტურული ხალხები ავრცობენ და ამკობენ მსხვერპლშეწირვის ცერემონიალს, ნათელყოფენ, თუ როგორ ხდება მსხვერპლის გადასვლა ღვთაების განკარგულებაში. თუ ძღვენის გადაცემა ფიზიკურად ხორციელდება, მაშინ ღვთაებას წარმოადგენს განპირობებული წყალი, მიწა, ცეცხლი, ჰაერი ან კიდევ სული — ფეტიში, რომელიც აცოცხლებს და თავის საცხოვრისად აქცევს სათანადო სტრუქტურას. ასეთ შემთხვევაში ღვთაებამ შეიძლება მართლაც მიიღოს და მოიხმაროს კიდეც მსხვერპლი, რომელსაც ამ მატერიალურ გარემოს შესწირავენ. ამ თვალსაზრისს მხარს უჭერს ძველი პერუელების უცნაური და, ამავე დროს, რაციონალური რწმენა, რომ მზე სვამს მირთმეულ ზედაშეს, ან კიდევ მადაგასკარის დღევანდელ მკვიდრთა შეხედულება, რომ ანგატრა (Ангатра) სვამს სასმელს (арак), რომელსაც ფოთლების სასმისით მიართმევენ. განა ისინი ვერ ხედავენ, რომ სითხე ყოველდღე კლებულობს? წყლისთვის მსხვერპლის შეწირვის მაგალითია ჩრდილოეთამერიკელი ინდიელების ჩვეულება — წყალში ჩაგდონ ფეხებშეკრული ძაღლი, რათა მოიგონ ქარიშხლის ღვთაების გული, როცა იგი მათ ტბაზე მოუსწრებს.

გვინეაში შენიშნული ერთი შემთხვევა კარგად ხსნის ამგვარი მსხვერპლშეწირვის არსს. ერთხელ, 1693 წელს, ზღვა უჩვეულოდ აღელდა. ტომის უხუცესებმა მეფეს შესჩივლეს; მეფემ ისინი დააშოშმინა და აღუთქვა, რომ ზღვას ხვალვე დააწყნარებდა. დაპირებისამებრ მეფემ გაგზავნა თავისი მისანი, რო-

მელმაც ზღვას ძღვნად მიართვა დოქით პალმის ზეთი და ლუდი, ტომრით ბრინჯი და პური, ბოთლით არაყი, ბამბის ფერადი ქსოვილი და სხვ. მისანმა ზღვას სიტყვით მიმართა. იგი არწმუნებდა მას, რომ მეფე, რომელსაც უყვარს თეთრი ადამიანები, მისი მეგობარია. თეთრები კეთილი ადამიანები არიან. მათ ჩამოიტანეს საქონელი, რომელიც მეფეს სჭირდება. იგი სთხოვს ზღვას დაშიშმინდეს და არ შეუშალოს თეთრებს ხელი, რათა მათ გადმოზიდონ თავიანთი საქონელი. შემდეგ მისანმა დასძინა, რომ მეფემ პალმის ზეთი გამოუგზავნა და ზღვაში გადააგდო დოქით ზეთი. ასეთივე განმარტებით გადაიყარა ზღვაში ბრინჯი, პური, ბამბის ქსოვილი და სხვ.

ჩრდილოეთამერიკელი ინდიელები მსხვერპლს სწირავენ მიწას. ცნობილია მიწისთვის ადამიანის შეწირვის შემთხვევები. დადასტურებულია ასეთი ფაქტი: ცოცხალ ადამიანს აგლეჯენ ხორცს. ნაწილს ქურუმი ისე მარხავს, რომ აქეთ-იქით არ იხედება. დანარჩენს კი ინაწილებენ ოჯახების უფროსები და თავის მინდვრებში მარხავენ. ცეცხლისთვის მსხვერპლის შეწირვის [illegible] ვხვდებით იაკუტებში, რომლებიც თავისი საკვების არა მარტო პირველ კოვზს სწირავენ მას, არამედ ნარჩენებსაც, რადგანაც თავის თიხის ჭურჭელს ისინი წყლით კი არ რეცხავენ, არამედ ცეცხლით წმენდენ.

ახალ ზელანდიაში არსებობს ჩვეულება, რომელსაც „ქარის დაპირებას" ეძახიან. ამ ჩვეულებას შეიძლება გვერდით ამოვუყენოთ უცნაური აღწერილობა იმისა, თუ როგორ სწირავენ ზანგები ადგილობრივ კერპს ადამიანებსა და საქონელს. ისინი დარწმუნებული არიან, რომ გრიგალი იტაცებს თავის მსხვერპლს ქურუმთა მჭიდრო წრიდან, თუმცა იქ მყოფნი გრიგალს ვერც კი გრძნობენ.

ეს ფაქტები, რომლებიც მოტანილია ნაკლებად კულტურული ხალხის ყოფიდან, ნათელს ჰფენს იმ კითხვებს, რომლებიც ეხება მსხვერპლშეწირვის არსს კლასიკური სამყაროს რელიგიებში. მაგალითად: რატომ გადაყარა ქსერქსემ ჰელესპონტში ოქროს თასი და ხმალი; რატომ გადაყარა ჰანიბალმა ზღვაში ცხოველები პოსეიდონისთვის; რა რელიგიური აზრი უდევს საფუძვლად რომის პატრიოტულ ლეგენდას მარკუს კურციუსის ნახტომის შესახებ.*

ძღვენს, საკვებსა და სასმელს, ზოგჯერ კი სხვა საჩუქრებს, ღებულობენ საღმრთო ცხოველებიც, რომლებიც ღვთაებათა სიმბოლოებს წარმოადგენენ. მაგალითებად შეიძლება გამოდგეს „სამოთხის ჩიტები", რომელთათვის ფლორიდელ აპალაჩებს დანაყილი სიმინდი ან თესლი გამოაქვთ; საღვთო გველები, ალიგატორი დიქსის უბეში, რომელიც ეხმაურება ადამიანის სტვენას და ნახევარი ძილის მანძილზე მიჰყვება, თუ მას ხელში თეთრი ქათამი უჭირავს; ზვიგენი, რომელიც ყოველდღე მოცურდება ხოლმე ნაპირთან, რათა ნახოს, ხომ არ მოუმზადეს სადილად ადამიანი; ძროხები თანამედროვე ინდოეთში, რომელთაც დიდი პატივისცემის ნიშნად ბალახით კვებავენ; ძღვენი მიწის ქალ-

---

* ტიტუს ლივიუსი მოგვითხრობს, რომ 392 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე რომში, ფორუმის შუაგულში, გაჩნდა უფსკრული, რომელიც ვერაფრით ვერ ამოავსეს. მისნებმა ეს ავის მომასწავებელ ნიშნად მიიჩნიეს და რომაელებს ურჩიეს მსხვერპლად შეეწირათ რომის უმთავრესი ძალა. ასეთი იყო ღმერთების ნება და თუ ის აღსრულდებოდა, რომის სახელმწიფო მარად იარსებებდა. რომაელები დიდხანს იტეხდნენ თავს იმაზე, თუ რა არის მათი უმთავრესი ძალა. მაშინ ერთმა ჭაბუკმა, მარკუს კურციუსმა, განაცხადა, რომ ღვთის ნება სავსებით ნათელია. რომაელების მთავარი ძალა იარაღი და მამაცობაა. და იგი, სრული აღფრთოვანებით ცხენზე მჯდარი, გადაეშვა უფსკრულში, რათა აღსრულებინა ღმერთების ნება და თავისი სიკვდილით აერიდებინა ის უბედურება, რომაელთა სახელმწიფოს რომ ელოდა.

ღმერთს, რომელსაც ტურებისთვის დებენ ქვებზე, და სახელგანთქმული ალიგატორები, რომელთაც ტაძრებში ან გუბურებში ამყოფებენ.

საღმრთო ცხოველების წრეში, როგორც ჩანს, ადამიანიც შედის. ასე მაგალითად, მექსიკაში თაყვანს სცემდნენ ტყვე ჰაბუკს, რომელიც ტეცკატლიპოკის ცოცხალ წარმომადგენლად მიაჩნდათ. მის პატივსაცემად მართავდნენ თავაწყვეტილ დღესასწაულს მთელი თვის მანძილზე, ვიდრე მსხვერპლად შესწირავდნენ ღმერთს, რომელსაც იგი განასახიერებდა. ეს გარემოება კიდევ უფრო ნათლად გამოიხატა კორტესის შემთხვევაში. მონტესუმამ მასში დაინახა მიწაზე დაბრუნებული, განსხეულებული კვეტცალკოატლი და, რადგანაც მას სისხლის წყურვილი უნდა ჰქონოდა, კორტესს გაუგზავნეს ადამიანები, რომლებიც მის თვალწინ უნდა დაეკლათ.

თანამედროვე ინდოეთში ქალი, რომელიც რადას განასახიერებს, შაკტიზმის უსირცხვილო ორგიებში სამსხვერპლო ზორავს მიირთმევს. მაგრამ სამსხვერპლო შემოწირულებათა ლომის წილი ეკუთვნის ქურუმს, როგორც ღვთაების მსახურს. ასე მაგალითად, ფიჯის ქურუმი თვითონ ითვისებს კუებსა და ტკბილეულს, მისი ღმერთისთვის რომ მოაქვთ; დასავლეთაფრიკელი ქურუმი, როგორც სულებთან ყველაზე ახლოს მდგომი პიროვნება, თვითონ მიირთმევს მთის, მდინარისა და ტყეებისათვის შეწირულ სამსხვერპლო სანოვაგეს; ბრაჰმანი თვითონ ითვისებს ღვთაებრივი წინაპრებისთვის განკუთვნილ ძღვენს, რადგანაც მთხოვნელს არა აქვს საღვთო ცეცხლი ხოლო „მათთვის, ვინც იცის ვედა, არ არის სხვაობა ბრაჰმანსა და ცეცხლს შორის“.

შეიძლებოდა სხვა მაგალითებიც მოგვეტანა იმის დასტურად, რომ მსოფლიოს ყველა სისტემურ რელიგიაში ქურუმებს, როგორც ღვთაების საგანგებო მსახურებსა და აგენტებს, სამსხვერპლო სანოვაგეში თავისი წილი აქვთ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქურუმი, როგორც ღვთაების წარმომადგენელი, აუცილებლად მოიხმარს მსხვერპლს. იქ, სადაც ამ საკითხის შესახებ არ არსებობს ნათელი განმარტება, აღწერილ ფაქტებს მხოლოდ რიტუალური მნიშვნელობა აქვთ. ეს გარემოება მიუთითებს, რა სიფრთხილეა საჭირო რელიგიური წეს-ჩვეულებების განმარტებისას, რომელთაც ზოგ ადგილას მათი ზოგადი არსისაგან სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეთ.

ოსტიაკებს ჩვეულებად აქვთ თავისი კერპების კვება. ისინი ყოველდღე ასხამენ წვნიანს ჭიქაში, რომელიც კერპის პირთან არის მიმაგრებული; აცტეკები თავის საზარელ კერპს პირში ასხამენ მსხვერპლად შეწირული ადამიანის სისხლს და უდებენ მის გულს. ყოველივე ამას, რა თქმა უნდა, ფორმალური დანიშნულება აქვს. მაგრამ ეს ფაქტები ნათელყოფენ, რომ ღვთაებას მიეწერებოდა სამსხვერპლო შემოწირულებათა მოხმარება. ეს გარემოება ძნელია შეუთავსო პრიმიტიული არსებების თვალსაზრისს, რომ ღვთაება უსხეულო და წულიერია. მიუხედავად ამისა, სჯერათ, რომ ღვთაებრივ არსებას ძალუძს მოიხმაროს საკვები. სინამდვილეში კი ლეგენდა ბელისა და დრაკონის შესახებ ამხელს ცუღლუტ ქურუმს, რომელიც საიდუმლო კარით შედიოდა ღვთაების სამყოფელში და მიირთმევდა ბელისთვის მიძღვნილ სანოვაგეს, ნაცარზე კი ნაფეხურებს ტოვებდა. მსგავს მაგალითს წარმოადგენენ ლაბოდელი ზანგები, რომელთაც ესმით, როგორ ყლაპავს არაყს მათი ღმერთი ჯიმაუონგი; ოსტიაკები თავიანთი ღმერთისათვის ბურნუთს ტოვებდნენ, რომელიც რომელიმე ურწმუნო რუსს მიჰქონდა. მიამიტ ოსტიაკებს კი ეგონათ, რომ მათმა ღვთაებამ შეიყნოსა იგი და სანადიროდ წავიდა.

ყველა ამ შემთხვევაში მოტყუებასთან გვაქვს საქმე, მაგრამ იმ გაუგებ-

რობათა საფუძველი, რომლებისაც ღრმად სჯერათ პრიმიტიულ ტომებს, გულწრფელი შეცდომაა. მათი შეხედულება იმის შესახებ, თუ როგორ მიიღებს ღვთაება ძღვენს, სიცრუეზე კი არ არის დაფუძნებული, არამედ ფაქტებზე. ამიტომ იგი უნდა მივიღოთ, როგორც მკაცრად რაციონალური და კეთილსინდისიერი დასკვნა.

როცა მიაჩნიათ, რომ ღვთაება მართლაც მოიხმარს მისთვის მირთმეულ საკვებსა და სხვადასხვა ნივთებს, უნდა ვიფიქროთ, რომ საქმე გვაქვს ძღვენის აბსტრაქციასთან, ან მის სულთან, რომლის ნივთიერი მხარე შეიძლება მოკვდეს, განადგურდეს, დაინგრეს ან სულაც ხელუხლებელი დარჩეს. შეხედულებათა ამ ჯგუფიდან ყველაზე გულუბრყვილო და თანაც რეალისტურია ის, რომელიც აღიარებს პირველყოფილ შეხედულებას, თითქოს სიცოცხლე სისხლია. ამიტომ ღვთაებას სწირავენ სისხლს და სჯერათ, რომ მას უსხეულო სულებიც მოიხმარენ. ასე მაგალითად, ოდისეევსმა, როდესაც აიდში შედიოდა, უფსკრულში გადაღვარა ჩრდილებისთვის მსხვერპლად შეწირული შავი ცხვრისა და ვერძის სისხლი. მინდარები მალაის ნახევარკუნძულიდან მშობიარეთაგან ბოროტი სულების განსადევნად მათ ცეცხლის სიახლოვეს ათავსებენ. ამას იმიტომ აკეთებენ, რომ მათი შეხედულებით, დემონები სვამენ ადამიანის სისხლს, თუკი იშოვნიან.

ვირჯინიაში ინდიელები მსხვერპლად სწირავდნენ ბავშვებს (ალეგორიულად ან სინამდვილეში) და ფიქრობდნენ, რომ „ოკი“, ანუ სული, მათ სისხლს მათი მარცხენა მკერდიდან გამოსწოვს. ბორნეოს კაიანებს ჩვეულებად ჰქონდათ, როცა რომელიმე ძალიან პატივსაცემი პიროვნება ახალაშენებულ სახლში შესახლდებოდა, მისთვის ადამიანი შეეწირათ მსხვერპლად. უკვე ჩვენს დროში, დაახლოებით 1847 წელს, ამ მიზნით შეიძინეს ახალგაზრდა ტყვე ქალი და სისხლის გამოშვებით მოაკვდინეს. სისხლი სახლის საძირკველსა და სვეტებს შეასხურეს, ხოლო გვამი მდინარეში გადააგდეს.

ასეთსავე ჩვეულებებს ვხვდებით ინდოეთის მკვიდრ მოსახლეობაში, აგრეთვე ჩრდილოეთ ბენგალიასა და დეკანში, სადაც ღვთაებისთვის მხოლოდ სისხლია განკუთვნილი, ხოლო ხორცს შემწირველი მოიხმარს. ამავეს მოგვითხრობენ დასავლეთაფრიკელი ზანგების — ბენინების შესახებ. ისინი თავიანთ კერპს მსხვერპლად სწირავენ მამალს, მაგრამ მას მხოლოდ სისხლს უტოვებენ, ხორცს კი, რომელიც ძალიან უყვართ, თვითონ მიირთმევენ. როცა იორუბები ავადმყოფის სახელზე მსხვერპლად პირუტყვს სწირავენ, სისხლს კედლებს ასხურებენ და ავადმყოფს შუბლზე უსვამენ, რათა მას მსხვერპლის სიცოცხლე გადაეცეს. იუდეველთა კანონი მსხვერპლშეწირვის შესახებ მკვეთრ ზღვარს ავლებს მსხვერპლად სისხლის, როგორც სიცოცხლის და როგორც საკვების შეწირვას შორის. ისრაელის მკვიდრნი არ ჭამდნენ სისხლიან ხორცს, რადგანაც სისხლი სიცოცხლედ წარმოედგინათ. ამიტომ სისხლს, როგორც წყალს, მიწაზე ღვრიდნენ. ეს ჩვეულება გადატანილ იქნა მსხვერპლშეწირვაზეც. სისხლს ასხურებდნენ ტაძარში, სისხლით რწყავდნენ საკურთხევლის კუთხეებს და თვით საკურთხეველს, მაგრამ იგი არ იყო სამსხვერპლო სასმელი.

სული თავისი ჰაეროვანი ბუნების გამო უმდაბლეს ანიმიზმში გაგებულია როგორც ორთქლისა და კვამლის მსგავსი რამ, ამიტომ შეხედულება, რომ სულმა შეიძლება მოიხმაროს ძღვენი, თუ ის ამ მდგომარეობაშია მოყვანილი, გონიერებას არ არის მოკლებული. ეს შეხედულება აშკარად ფიგურირებს საკმევლის კმევაში.

ჩვენთან თამბაქოს წევის ჩვევას არავითარი კავშირი არა აქვს რელიგიას-

თან, მაგრამ ამ ჩვეულების სამშობლოში, სადაც იგი ფართოდ არის გავრცელებული, თამბაქოს წევას რელიგიურ რიტუალებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ოსაგები ყველა ახალ საქმეს ჩიბუხის წევით იწყებენ და ამ ლოცვით მიმართავენ სულს: „დიდებულო სულო, მოდი და, როგორც მეგობარმა, მოსწიე ჩემთან ერთად! ცეცხლო და მიწავ, მოსწიეთ ჩემთან ერთად და დამეხმარეთ დავძლიო მტრები!“ სიუ, როცა ჩიბუხის მოწევას დააპირებდა, მზერას მზეს მიაპყრობდა და ყალიონს რომ მოუკიდებდა ასე მიმართავდა: „მოსწიე, მზეო!“ ინდიელთა ყალიონი არის მზის ან დიდებული სულის ძღვენი, ხოლო თამბაქო წმინდა ბალახი. ამიტომ თამბაქოს მოწევა ღვთისთვის სასურველი მსხვერპლია, რომელიც ჰაერის მეშვეობით აღწევს ღმერთებისა და სულების ადგილსამყოფელამდე. კარიბებთან გრძნეული დემონების გამოძახებისას ჰაერში უშვებს თამბაქოს კვამლს, როგორც სასიამოვნო არომატს, რომელიც იზიდავს სულებს. ბრაზილიელ ინდიელთა გრძნეულები თამბაქოს შეაბოლებენ ავადმყოფს მისი განკურნების მიზნით.

თამბაქოს მოწევა არ უნდა ყოფილიყო მიღებული ჩინეთის ძველ რელიგიაში, მაგრამ თანამედროვე ჩინეთის სახლებსა და ტაძრებში აქვთ სპეციალური არომატული ჩხირები და სასაკმეველეები ყველა ღვთაებრივი არსებისთვის შესაწირად, დაწყებული წინაპართა სულებით და ცისა და დედამიწის დიდებული ღმერთებით დამთავრებული.

საბერძნეთის და რომის რელიგიური კმევის ისტორიაში აშკარა კონტრასტია ადრინდელ ბალახის ან სურნელოვანი ხის ნაჭრების დაწვასა და მოგვიანოდ შემოღებულ აღმოსავლური არომატების — მურისა და სხვ. კმევას შორის.

ძველ ეგვიპტურ ტაძრებში სამსხვერპლო რიტუალების გამოსახულებებზე ნაჩვენებია, როგორ წვავდნენ სასაკმეველეებში ღმერთების გამოსახულებათა წინ სურნელოვან ბურთულებს. პლუტარქეს მიხედვით, ეგვიპტეში მზეს დღეში სამჯერ სწირავდნენ საკმეველს: მზის ამოსვლისას წვავდნენ ფისს, შუადღისას — მურს, ხოლო მზის ჩასვლისას — კუფის. სემიტურ ტომებში ამ ჩვეულებას ფართო გასავალი ჰქონდა. ჰეროდოტე მოგვითხრობს, რომ ქალდეველები ბაბილონში ბელის ყოველწლიურ დღესასწაულზე ტაძარში დიდ საკურთხეველზე ღმერთის ოქროს გამოსახულების წინ ათასი ტალანტის საკმეველს წვავდნენ. ქურუმები სასაკმეველით ხელში მიდიოდნენ ოქროთი მოჭედილ საკურთხეველთან და კიდობნის წინ მდგომნი დღე და ღამე აკმევდნენ საკმეველს.

ცეცხლოვანი მსხვერპლი ჩვეულებრივი მოვლენა იყო ჩრდილოეთამერიკულ ტომებში. ალგონკინების წესად ჰქონდათ დღესასწაულზე პირველი ლუკმა ცეცხლში ჩაეგდოთ. ამით ისინი სულებს საკვების მოპოვებაში დახმარებას სთხოვდნენ. ქეთლინმა აღწერა და დახატა კიდეც, როგორ ცეკვავენ ცეცხლის გარშემო მანდანები ხორბლით სავსე ქოთნის ცეცხლში ჩაგდების შემდეგ. ეს იყო ძღვენი დიდებული სულისათვის დღესასწაულის დაწყების წინ. პერუელების შესახებ მოგვითხრობენ, რომ მზის დიდი დღესასწაულის დაწყებამდე ისინი წვავდნენ შავ ლამას და ათასობით სხვა სამსხვერპლო ცხოველის შიგნეულს, ხორცს კი ლხინში მიირთმევდნენ. იგივე აზრი უდევს საფუძვლად ციმბირელი ტუნგუსებისა და ბურიატების მსხვერპლშეწირვას. ისინი ცეცხლში ყრიან ხორცის, ღვიძლისა და ქონის ნაჭრებს. იმავეს, მაგრამ უფრო კონკრეტული სახით გამოხატავს ჩინელთა მსხვერპლი მზის, მთვარის, ვარსკვლავებისა და თანავარსკვლავედების მიმართ. ისინი წვავენ არა მარტო შეწირულ პირუტყვს, არამედ აბრეშუმსა და ძვირფას თვლებსაც კი, რათა მათი ორთქლი ღვთაებრივ სულებამდე ამაღლდეს.

კომენტატორთა შეხედულება, რომ მსხვერპლშეწირვა, რომელიც მსოფლიო რელიგიური რიტუალი იყო, მიიღო, რეგლამენტი დაუწესა და აკურთხა იუდეველთა კანონმა, საესებით ეთანხმება ეთნოგრაფიულ მონაცემებს. ამ შემთხვევაში მსხვერპლს უკავშირდება არა ძველი, უხეში წარმოდგენა ძღვენზე, რომელსაც ღებულობს ღვთაება და რომელიც მისთვის სასარგებლოა, არამედ ღვთაებრივი თაყვანისცემის ან ცოდვების გამოსყიდვის უფრო მაღალი ხარისხი. ებრაელთა სამსხვერპლო რიტუალს, იქნება ეს ხარის, ცხვრისა თუ უსისხლო მსხვერპლის (ფქვილისა და ცხიმის)დაწვა, ყოველთვის ახლავს რიტუალის მიზნის განმარტება. ეს არის „მსხვერპლი ღვთისათვის, ტკბილი და კეთილსურნელოვანი, რომელიც სრულდება ცეცხლის მეშვეობით". მსხვერპლშეწირვის მრავალრიცხოვანი მაგალითები ძველ აღთქმაში შესაძლებლობას იძლევა თვალი გავადევნოთ ამ რიტუალის გარდაქმნას მწყემსური ტომის მარტივი, პატრიარქალური ფორმებიდან რთულ სისტემამდე, რომელიც მიზნად ისახავს უძველესი ღვთისმსახურება მიუსადაგოს ხალხმრავალი სახელმწიფოს ყოფას.

მათ შორის, ვინც იუდეველთა რელიგიის შესახებ წერდა, უნდა მოვიხსენიოთ სთენლი. მან ცოცხალი ფერებით აღწერა ტაძარი, სადაც ეზოებში ირევიან ცხვრის ფარები და ხარები, სადაც თავმოყრილია სისხლიანი საღვთო სასაკლაოს მსხვერპლი, სადაც უზარმაზარ საკურთხეველზე აწყვია უამრავი პირუტყვი, რომელთა სისხლი საკურთხეველის ქვეშ მდებარე თხრილებში ნიაღვრებად ჩაედინება. ეს ისტორიკოსი, რომელსაც ღვთისმსახურების წინასწარმეტყველური სული უფრო ესიმპათიურება, ვიდრე მისი რიტუალური მხარე, სიყვარულით აღწერს მოგვიანო იუდეველობის დიად მოძრაობას, რომელიც ცდილობდა ზნეობრივი რელიგია საწესჩვეულებო (რიტუალურ) რელიგიაზე მაღლა დაეყენებინა. ებრაელთა ისტორიის ამ ხანაში წინასწარმეტყველები მკაცრად საყვედურობდნენ მათ, ვინც რიტუალის მოთხოვნებს კანონთა მოძღვრებაზე მაღლა აყენებდა: „მე მსურს სიკეთე და არა მსხვერპლშეწირვა, ღვთის შეცნობა და არა ცეცხლოვანი მსხვერპლი. მე არ მახარებს ცხვრების, ბატკნებისა და თხების სისხლი... განიბანეთ, განიწმინდეთ! ჩემს თვალთაგან მოარიდეთ ბოროტება! ნუ იქმთ ბოროტს! ისწავლეთ სიკეთის ქმნა!"

მსხვერპლშეწირვის მნიშვნელობის შესწავლისას განსხვავებული შეხედულებაც გვხვდება. ეს თვალსაზრისი კულტურის უმდაბლეს საფეხურზე არის ცნობილი: თითქოს ღვთაება, რომელიც ვითომდა ხელუხლებლად ტოვებს მისთვის მირთმეულ ძღვენს, სინამდვილეში მისგან იღებს, ასე ვთქვათ, გამოადენს იმას, რასაც შეიძლება ესენცია ეწოდოს. ზულუსები მთელი ღამით ტოვებენ სამსხვერპლო კამეჩს და სჯერათ, რომ მათ ჭამენ ღვთაებრივ წინაპართა სულები, თუმცა მეორე დღეს ყველაფერი ხელუხლებლად ხვდებათ. ეს ჩვეულება ერთმა ზულუსმა მიამიტად განმარტა: „როცა ჩვენ ვკითხულობთ რას ჭამენ „ამადლოზები", თუ დილას ყველაფერი ხელუხლებელია, მოხუცები გვიხსნიან, რომ „ამატონგოები" მათ ლოკავენ. ჩვენ არ შეგვიძლია მათთან კამათი და მოვალე ვართ ჩუმად ვიყოთ, რადგანაც ისინი უფროსები არიან. ისინი გვიამბობენ, ჩვენ კი ვუსმენთ. ისინი გვასწავლიან და ჩვენ უნდა დავეთანხმოთ, მიუხედავად იმისა, გვჯერა თუ არა". ასეთივე შეხედულებები ჰქონდათ ვესტინდოეთის არქიპელაგის მცხოვრებლებს. მაგრამ მსგავსი იდეები არსად არ არის ისე ნათლად გამოხატული, როგორც კარაიბებთან. მათ ესმით კიდევაც, როგორი ხმაურით ჭამენ სულები ღამღამობით მათთვის განკუთვნილ საჭმელს, თუმცა მეორე დღეს ყველაფერი ხელუხლებლად ხვდებათ. ხორცი, რომელსაც შეეხნენ სულები, მათი შეხედულებით, იმდენად წმინდაა, რომ მისი ჭამის უფ-

ლება აქვთ მხოლოდ მოხუცებსა და სხვა პატივსაცემ პიროვნებებს, რომელთაც საგანგებო ფიზიკური სისუფთავე მოეთხოვებათ. კუნძულ პულო აურის მცხოვრებლებს ჰგონიათ, რომ ადამიანის სხეულიდან გამოდევნილი სენის სულები, თუმცა არ მიირთმევენ მათთვის განკუთვნილ ბრინჯს, მაგრამ მის ესენციას შეექცევიან. როცა ციმბირელი ბურიატები მსხვერპლად ცხვარს სწირავენ, მოხარშულ ხორცს შამანის სიმღერის თანხლებით ღმერთებისთვის განკუთვნილ შემაღლებულ ადგილზე დგამენ და მხოლოდ ამის შემდეგ მიართმევენ იქ მყოფთ.

ანიმისტური შეხედულება მსხვერპლშეწირვის შესახებ უკიდურეს სახეს იღებს თვალსაზრისში, თითქოს ღვთაებას გადაეცემა მსხვერპლად შეწირული ცხოველის ან ნივთის სული. ეს შეხედულება სხვადასხვა ფორმით ვლინდება. ასე მაგალითად, ბინუას ტომი თვლის, რომ მდინარის ბორბლ სულებს იმით მოაქვთ ადამიანისთვის ენება, რომ იკვებებიან მისი „სემანგატით“, ანუ არანივთიერი სხეულით (ჩვეულებრივ მეტყველებაში — სულით), რომელშიც მოთავსებულია სიცოცხლე. კარენების დემონი სხეულებს კი არ ნთქავს, არამედ „ლას“, ე. ი. სულს, ანუ სიცოცხლის საწყისს. თუ ის ჭამს ადამიანის თვალებს, მისი ნივთიერი სახე რჩება, ადამიანი კი ბრმავდება. მსგავსი იდეა უდევს საფუძვლად პოლინეზიელების შეხედულებას მსხვერპლშეწირვის შესახებ. მიცვალებულთა სულებს ჭამენ ღმერთები, ან ეშმაკეული არსებები, დემონები. მსხვერპლის სულიერი ნაწილი იჭმევა იმ კერპის სულის მიერ (ე. ი. კერპში განსახიერებული ღვთაების მიერ), რომელსაც ის შეეწირება. კუნძულ ფიჯის მკვიდრთა შეხედულებით, სამსხვერპლო შემოწირულობათაგან ღმერთს, რომელიც, მათი აზრით, ძალიან გაუმაძღარია, მხოლოდ სული ერგება, ხოლო ნივთიერ მხარეს მისი თაყვანისმცემლები მოიხმარენ. კაციჭამიობა ფიჯელთა რელიგიის შემადგენელი ნაწილია და ღმერთები ადამიანის ხორცის მოყვარულებად არიან მიჩნეული.

მსგავს შეხედულებებს ვხვდებით ჩრდილოეთ ამერიკის ტბების მკვიდრ ინდიელთა შორის. ისინი ფიქრობენ, რომ მსხვერპლი, რომელსაც შეჭამენ ან დატოვებენ თაყვანისმცემლები, სულიერი სახით მიდის სულთან, რომლისთვისაც იყო განკუთვნილი. იხ. ამონარიდი ოტავას ტომის ზღაპრიდან უასამოს თავგადასავლების შესახებ, რომელიც ქალწულის სულმა მიიყვანა თავისი მამის, ქვიშის თავთხელის სულის სადგომში ზემო ტბის წყლების ქვეშ. „სიძევ, — თქვა ბებერმა სულმა, — დაბრუნდი შენიანებთან და აუწყე ჩემი სურვილი. ყველას, ვინც ამ მეჩიჩს გადაცურავს, როდი მოაქვს ძღვნად თამბაქო. მაგრამ თუ ამას აკეთებენ, თამბაქო მაშინვე ხვდება ჩემს ხელში. აი, ასე“, — დაუმატა მან. ამ სიტყვებით ხელი გამოყო თავისი სადგომიდან და ხელი დასტაცა რამდენიმე მწიკვ თამბაქოს, რომელიც სულს მოუტანეს, რათა ტბა წყნარი ყოფილიყო, ხოლო მოგზაურობა — მშვიდობიანი. „ხედავ, — თქვა მან, — ყველაფერი, რაც ჩემთვის მიწაზე მოაქვთ, მაშინვე ხვდება ჩემს სადგომში“. უასამომ აგრეთვე ნახა, რომ ქალები რაღაცას იყოფდნენ. მან შეიტყო, რომ ეს იყო მოკვდავთა ძღვენი. მისი სულიერი არსი მაშინ გამოვლინდა, როცა უასამომ ვერ შეჭამა იგი და მის ცოლს — სულს მოუხდა ხელი გამოეყო სადგომიდან, რათა ტბაში ნამდვილი თევზი დაეჭირა და მისთვის მოეხარშა.

ოტავის მეორე ლეგენდა — ნატურალისტური მითი მზისა და მთვარის შესახებ, იმითაც არის საინტერესო, რომ ნათლად მიუთითებს იმ მოტივებზე, რითაც ხელმძღვანელობდნენ ველური ანიმისტები მსხვერპლშეწირვის დროს. აგრეთვე იმ ხერხებზე, რითაც, მათი აზრით, მიიღება მსხვერპლი ღვთაებისგ

მიერ. ონოვუტოკვუტო ჭაბუკი აჯიბვეს ტომიდან, ერთხელ მთვარეს ციურ ველებზე გაჰყვა, რათა მისი მეუღლე გამზდარიყო. მზემ, მთვარის ძმამ, იგი წაიყვანა იმის საჩვენებლად, თუ როგორ შოულობს საკვებს სადილისთვის. მათ ცაში არსებული ხვრელიდან დედამიწაზე ყურება დაიწყეს. მზემ მიუთითა ბავშვებზე, რომლებიც ქოხთან თამაშობდნენ, და ერთ მშვენიერ ბიჭს თავში კენჭი ესროლა. ბავშვი წაიქცა. მათ დაინახეს, რომ იგი სასწრაფოდ ქოხში შეიყვანეს. შემდეგ გაისმა სატკაცუნოს ხმა, ექიმბაშის სიმღერა და ლოცვა შეწყალების შესახებ. ექიმბაშის ამ თხოვნაზე მზემ მიუგო: „გამომიგზავნე თეთრი ძაღლი". ამის შემდეგ მათ დაინახეს, რომ მიწაზე დაიწყეს მზადება დღესასწაულისთვის, დაკლეს და მოხარშეს თეთრი ძაღლი და შეგროვდნენ ქოხთან; ვიდრე ეს ხდებოდა, მზე მიუბრუნდა ონოვუტოკვუტოს და უთხრა: „ქვედა სამყაროში თქვენს შორის არიან ადამიანები, რომელთაც დიდებულ მკურნალებს ეძახიან. ისინი მხოლოდ იმიტომ კურნავენ ადამიანებს, რომ ყური აქვთ ღია და ესმით ჩემი ხმა. ისინი არწმუნებენ ადამიანებს, გამომიგზავნონ ის, რასაც ვთხოულობ. როდესაც თხოვნას შემისრულებენ, მე თავს ვანებებ მათ, ვისაც სენი შევყარე". მზემ რომ ეს თქვა, თეთრი ძაღლი უკვე ლანგარზე იდო. ხალხმა ის იყო ჭამა დაიპირა, რომ ექიმბაშმა თქვა: „ჩვენ ამას შენ გიგზავნით, დიდებულო მანიტო!" იმავ წამს მზემ და მისმა ამხანაგმა დაინახეს, რომ მოხარშულმა და შესაჭმელად გამზადებულმა ძაღლმა ჰაერში ამოსვლა დაიწყო და სადილად მიირთვეს.

ასეთი შეხედულება, ადამიანის მსხვერპლად შეწირვაზეც რომ ვრცელდებოდა, ჩანს იროკეზის ლოცვიდან, რომელმაც ადამიანი შესწირა ომის ღმერთს: „შენთვის ვკლავთ ამ მსხვერპლს, რათა გაძღე მისი ხორცით და მოგვიტანო წარმატება და მტერზე გამარჯვება!" აცტეკების ერთ ლოცვაში კი ლაპარაკია იმაზე, რომ „მზე და დედამიწის ღმერთი ტლატეკუტლი აპირებენ იმხიარულონ. მათ გადაწყვეტილი აქვთ გაუგზავნონ საკვები ცისა და ჯოჯოხეთის ღმერთებს და მოუწყონ ლხინი იმ ადამიანების ხორცითა და სისხლით, რომლებიც უნდა დაეცნენ ამ ომში".

ახლა განვიხილოთ მოტივები, რომლებიც ადამიანს მსხვერპლის შეწირვის სურვილს აღუძრავს. ამ მოტივების გასაღები იმდენად მარტივია, რომ შეიძლება დავკმაყოფილდეთ ძირითადი პრინციპის ზოგადი ფორმულირებით. თუ მხედველობაში მივიღებთ ანიმისტური რელიგიის ძირითად დებულებას, რომ ადამიანის სულის იდეა არის ღვთაების იდეის პირველსახე, მაშინ მსხვერპლშეწირვის მოტივები ადამიანთა ურთიერთობის ანალოგიით უნდა აიხსნას. თუ რიგითი ადამიანის მიერ მაღალი ჩინის პიროვნებისათვს ძღვენის მირთმევის აქტში პიროვნება ღვთაებით შეიცვლება და შესაბამისად შეიცვლება მისთვის ძღვენის მირთმევის წესი, ჩვენ წინაშე წარმოდგება სამსხვერპლო რიტუალების ლოგიკური თეორია, რომელიც თითქმის მთლიანად ხსნის მათს პირდაპირ მიზნებსა და მნიშვნელობას, რომელმაც დროთა განმავლობაში მრავალფეროვანი ცვლილებები განიცადა.

არ არის აუცილებელი მოვიყვანოთ მაგალითები ამ დებულების დასამტკიცებლად. საკმარისია ყურადღებით გადავხედოთ მსხვერპლშეწირვის ზემოთ მოყვანილ შემთხვევებს, რომ აშკარა გახდეს შემდეგი: ღვთაებისთვის შეწირული მსხვერპლი შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს ზუსტად ისე, როგორც ძღვენი ადამიანისა ადამიანისთვის მირთმეული, შემთხვევითი საჩუქრები მოულოდნელი ამბების აღსანიშნავად, პერიოდული ხარკი, რომელსაც ქვეშევრდომები უხდიან თავიანთ მბრძანებელს, რეგალია, რომელიც უზრუნველყოფს სა-

კუთრებას, ან იცავს შეძენილ სიმდიდრეს, — ყოველივე ამას აქვს სავსებით ნათელი ნიმუშები მსხვერპლშეწირვის ყველა სისტემაში. მსხვერპლშეწირვის ამ თეორიის მართებულობა უფრო ნათელი გახდება, თუ ყურადღებას მივაქცევთ როგორი ძლევს შესამჩნევი თანდათანობით ხდება გადასვლა ნივთების ნატურით მირთმევისაგან თაყვანისცემის რიტუალამდე, სულერთია ვინ ღებულობს შესაწირს: ღმერთი თუ ადამიანი. ჩვეულებრივ, ჭირს გავაანალიზოთ განწყობილება, რომელსაც საჩუქარი იწვევს, ანუ გავაცალკევოთ განცდა, რომელსაც ნივთი იწვევს, მადლიერების, პატივისცემის ან კეთილგანწყობის გრძნობისაგან იმის მიმართ, ვინც საჩუქარი მოგვართვა. ასევე ძნელია განისაზღვროს, რამდენად ითვალისწინებს და აღიქვამს გაუნათლებელი ადამიანი ამ განსხვავებას ღვთაებასთან ურთიერთობის დროს. შეიძლება დავუშვათ, რომ უკვე ადრეულ ხანაში წინა პლანზე იწევს გულისმოგების, პატივისცემის, კეთილგანწყობის მოპოვების სულისკვეთება. მსხვერპლშეწირვის ორივე სტადია მკვეთრად ვლინდება, ერთი მხრით, კარენებთან, რომლებიც ღვთაებას მსხვერპლად სწირავენ სასმელს, პურს და სხვა საკვებს, რადგანაც მიაჩნიათ, რომ თხოვნას ნივთიერი დანამატის გარეშე ძალა არა აქვს; ხოლო, მეორე მხრით, სიერა ლეონეს ზანგები, რომლებიც მსხვერპლად ხარს სწირავენ, რათა „ძალიან გაახარონ ღმერთი". არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როცა შემწირველის მიზანი არ სცილდება პატივისცემის რიტუალს. ასეთია, მაგალითად, მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული სამსხვერპლო წეს-ჩვეულება, როცა სადილობის ჟამს ხდება ზედაშეხ და ცეცხლზე ან სხვაგვარად შემზადებული საჭმელის შეწირვა. ეს ჩვეულება, რომელიც გვხვდება ჩრდილოეთამერიკელი ინდიელის რელიგიაში, არც კლასიკური ბერძნებისა და ძველი ჩინელისთვის არის უცხო. იგი თანამედროვე ევროპის გლეხობის ყოფისთვისაცაა დამახასიათებელი.

წეს-ჩვეულებათა მეორე ჯგუფისთვის მარტოოდენ ფორმალური მოწიწება არის დამახასიათებელი. ასეთია, მაგალითად, გვინეელი ზანგის ჩვეულება მდუმარედ ჩაიაროს საღვთო ხის ან გამოქვაბულის წინ და აგდილობრივ სულს ძღვენის სახით ფოთოლი ან ნიკარა გადაუგდოს. ასეთივეა ბირმელი ტალენების ჩვეულება სადილობისას, ჭამის დაწყებამდე, კერძი ჯერ სულს მიართვან. ასეთივეა ბოლოს, ინდუსის ჩვეა ჭამის წინ პეშვით ბრინჯი ასწიოს და გონებაში შივას ან კიშნუს მიართვას.

იგივე შეიძლება ითქვას ფართოდ გავრცელებულ მსხვერპლშეწირვათა შესახებ, რომლებიც დაშორდნენ თავდაპირველ მიზანდასახულებას და დღესასწაულად იქცნენ. ლხინი, სადაც ღვთაებას მხოლოდ წარმოსახვითი, ხოლო მის თაყვანისმცემელს რეალური წილი აქვს, მსხვერპლშეწირვის გამასხარავებას წარმოადგენს. რამდენად მართებულია ამგვარი ლხინის ჩათვლა რელიგიურ რიტუალად, ყველაზე კარგად ერთი ანეკდოტიდან ჩანს.

ერთხელ ჩრდილოეთამერიკელ ინდიელთა მთელმა ჯგუფმა, რომელიც სანადიროდ იმყოფებოდა, სამი დღის განმავლობაში ვერ აღმოაჩინა ნადირი და ძალიან იტანჯებოდა საკვების უკმარისობით. მესამე ღამეს ბელადმა, რომელსაც სახელად საუგანა ერქვა, სიზმარი ნახა. მას ეცნობა მათი ტანჯვის მიზეზი — ისინი სახლიდან ყოველგვარი რელიგიური მომზადებისა და სამსხვერპლო დღესასწაულის გარეშე გამოვიდნენ, „როგორც ამას თეთრი ადამიანი გააკეთებდა". ამის გამო დიადმა სულმა ისინი შიმშილით დასაჯა. ბელადს ებრძანა გაეგზავნა თორმეტი კაცი, რათა მათ, ვიდრე მზე დედამიწის მიმართ გარკვეულ სიმაღლეზე იქნებოდა, ოთხი ირემი მოეკლათ. მონადირეებმა მართლაც დახოცეს ირმები და სამსხვერპლო დღესასწაული მოაწყვეს.

ასეთი საღვთო ტრაპეზის მაგალითები მრავლად შეიძლება მოვიყვანოთ კულტურის ისტორიის სხვადასხვა პერიოდიდან.

საღვთო ძღვენის პატივისცემის ნიშნად გადაქცევასთან ერთად ჩნდება ახალი მოძღვრება, რომლის მიხედვით მსხვერპლშეწირვის არსი ის კი არაა, რომ ღვთაებამ ძვირფასი ძღვენი მიიღოს, არამედ საჭიროა თაყვანისმცემელმა გაიღოს იგი. ეს მოძღვრება, რომელსაც შეიძლება განკარგვის თეორია ეწოდოს, ადვილად აიხსნება, თუ მას განვიხილავთ როგორც ძღვენის თეორიის შედეგს. საკუთარი გამოცდილებით ვიცით, რა სასიამოვნო შეგრძნება ეუფლება ადამიანს, როცა შესაძლებლობა ეძლევა თუნდაც მცირეოდენი მოწყალება გაიღოს. თუ საკითხს ამ კუთხით შევხედავთ, შეიძლება გავუგოთ ინდიელ ასინობოინებს, რომლებიც იმ იმედით ტოვებენ ტყეში შალის საბნებს, ტანისამოსს, სპილენძის ჭურჭელსა და სხვა საოჯახო ნივთებს, რომ მათ იპოვნიან და გამოიყენებენ მეგობარი ტომები. გასაგებია ავათა გრძნობებიც (ისინი ბუდისტები არიან), რომელთაც ტაძარში მიაქვთ მოხარშული ბრინჯი, სხვადასხვა ტკბილეული, ცხიმში შემწვარი ქოქოსის კაკლები და არც კი ფიქრობენ დაეჭრთხონ ყავები და გარეული ძაღლები, რომლებიც მსხვერპლს მათ თვალწინ ნთქავენ.

იგივე შეიძლება ითქვას თანამედროვე მუსულმანთა შესახებ. მექადან დაბრუნებისას, მიაღწევენ რა მუნის ველს, ისინი მსხვერპლად სწირავენ ცხვრებს, ხარებსა და აქლემებს. ამასთან, ღვთისმოსავის მოვალეობად მიაჩნიათ ხელი არ ახლონ მსხვერპლს, მაშინ როდესაც ტაკრურთა ბრბო მზად არის ძერასავით დააცხრეს დახოცილ პირუტყვს და მუსრი გაავლოს.

ღვთაებისთვის მსხვერპლის შეწირვა დროთა განმავლობაში რიტუალურ ვადმონაშთად იქცევა. იზრდება რწმენა, რომ ღვთაება არ საჭიროებს შესაწირავს და არც ძალუძს მოიხმაროს იგი. და თუმცა მსხვერპლშეწირვის წესჩვეულება პრაქტიკულად აქარაციონალურია, მას მაინც იცავენ და შემწირველი მსხვერპლის ხარისხს კვლავ მისი ღირებულებით აფასებს.

არის შემთხვევები, როდესაც შესაწირავის ღირებულება გაცილებით აღემატება მის სავარაუდო ღირებულებას ღვთაებისათვის. ამ სახის გასაოცარ მაგალითებს ვხვდებით სემიტების ისტორიაში. როდესაც მოაბელთა მეფემ დაინახა, რომ გმარჯვება არ არის მის მხარეს, ქალაქის კედელზე მსხვერპლად თავისი უფროსი ვაჟი შესწირა. ღმერთების გულის მოსაგებად ფინიკიელები მსხვერპლად სწირავდნენ ყველაზე საყვარელ და ძვირფას შვილებს. ისინი იმით ზრდიდნენ მსხვერპლის ღირებულებას, რომ მათ ყველაზე კეთილშობილი ოჯახებიდან ირჩევდნენ, რადგანაც ვარაუდობდნენ, რომ მსხვერპლის ღირებულება დაკარგვის სიმძიმით განიზომება. ეს რწმენა იმდენად ღრმა იყო, რომ მსხვერპლად მხოლოდ დედისერთა შვილებს სწირავდნენ. ჰელიოგაბალმა ეს საძაგელი აზიური ჩვეულება იტალიაში გადაიტანა. ის თავის მზიურ ღვთაებას მსხვერპლად სწირავდა ბიჭებს ქვეყნის საუკეთესო ოჯახებიდან. სტუმართმოყვარე იუპიტერისთვის სტუმრების მსხვერპლად შეწირვა ყველაზე ნათლად მიუთითებს სემიტების რწმენაზე, რომ ღვთისთვის მსხვერპლის შეწირვის სასურველობა განიზომება მისი ღირებულებით შემწირველისათვის.

ამგვარად ხდებოდა გადასვლა ძღვენის თეორიიდან განკარგვის თეორიაზე. ეს გადასვლა ენასაც დაეტყო, კერძოდ, სიტყვა „მსხვერპლის“ დღევანდელი მნიშვნელობა საკმაოდ განსხვავდება მისი უძველესი აზრისაგან.

მსხვერპლშეწირვის ისტორია ნათელყოფს, რომ დროთა განმავლობაში ბევრი ხალხი მივიდა იმ აზრამდე, რომ შეიძლება შეიკვეცოს სამსხვერპლო

ხარჯები მისი ქმედითობისათვის ზიანის მიუყენებლად. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა მთელის ნაცვლად ნაწილის შეწირვა. ასეთ ფაქტებს ვხვდებით კუნძულ მადაგასკარზე, სადაც სამსხვერპლო პირუტყვის თავს სარზე ჩამოაცვამენ, მისი სისხლითა და ქონით სამსხვერპლოს მოსვრიან, ხოლო ხორცს თავისთვის, მეგობრებისა და ქურუმებისთვის ინახავენ. ასევე იქცევიან გვინეელი ზანგები. როდესაც კერპს თხას ან ცხვარს სწირავენ მსხვერპლად, თვითონ მეგობრებთან ერთად ხორცს მიირთმევენ, ღვთაებას კი შიგნეულის ნაწილს უტოვებენ. ასე იქცევიან ტუნგუსებიც, რომლებიც ღმერთებს მსხვერპლიდან მხოლოდ ღვიძლისა და ქონის ნაჭერს უტოვებენ, ხოლო ტყავს ტყეში გამოჰკიდებენ. ან მონღოლები, რომლებიც კერპს სამსხვერპლო პირუტყვის მხოლოდ გულს უტოვებენ მეორე დღემდე. ბერძნებიც თავის ღმერთებს სამსხვერპლო ხარების მხოლოდ ძვლებსა და ქონს უწვავდნენ, თვითონ კი ხორცს მიირთმევდნენ. ამ ეკონომიურმა ჩვეულებამ მითის სახე მიიღო ლეგენდაში გაქნილი პრომეთეს შესახებ, რომელიც ზეკვს ღმერთებისა და მოკვდავთათვის განკუთვნილი სამსხვერპლო ხარის ორ ნაწილს სთავაზობდა: ძვლებს, რომელთაც მოხერხებულად ჰქონდათ შემოწყობილი თეთრი ქონი, და საძაგელი ტყავითა და შიგნეულით დაფარულ ხორცს.

გავრცელებული რიტუალია თაყვანისმცემლის სხეულის ნაწილის მსხვერპლად შეწირვა. ასეთი მსხვერპლის მიზანია ან თავის დაცვა რაიმე საფრთხისაგან, ან სხვათა ნაცვლად გამოსასყიდის გაღება. ასე მაგალითად, კუნძულ ნიკობარის მცხოვრებლებს წესად აქვთ სამგლოვიარო მსხვერპლშეწირვის დროს ადამიანის შეცვლა თითის სახსრით. ისინი მიცვალებულთან ერთად მარხავენ მთელ მის ქონებას, ხოლო ცოლს აჭრიან თითის სახსარს (როგორც ჩანს, მის სანაცვლოდ). თუ ის უარს ამბობს ამ მსხვერპლზეც კი, მაშინ მისი სახლის ერთ-ერთ სვეტზე კეთდება ღრმა ჭრილი. უფრო საინტერესოა, როცა თითის მსხვერპლად შეწირვა ხდება არა მიცვალებულის, არამედ ღვთაების პატივსაცემად. ამ იდეას ვხვდებით ტონგის მცხოვრებთა ჩვეულებაში, რომელიც ცნობილია „ტუტუნიმას“ სახელით. ნაჯახით ან მუჭრელი ქვით იკვეთენ ნეკა თითის სახსარს და მსხვერპლად სწირავენ ღვთაებას, მარინერს უნახავს, ხუთი წლის ბიჭები როგორ ეცილებოდნენ ერთმანეთს ამ მსხვერპლის გაღების პატივში.

ინდოეთში ეს ჩვეულება, რომელიც უფრო დრავიდულია, ვიდრე არიული წარმოშობისა, კიდევ უფრო ნათლად არის წარმოდგენილი. მითში შივა თითს იკვეთს კალის დასაშოშმინებლად. დედებიც შვილების დაკარგვის შიშით იკვეთენ თითებს და ღვთაებას სწირავენ. აქვე საკუთარი თითის ნაცვლად ოქროს თითი შეუწირავთ. ე. ი. მომხდარა შენაცვლებულის შენაცვლება.

ახალზელანდიელები თმის კულულებს ჰკიდებენ თავიანთი სასაფლაოების ხეებზე. თმებმა რომ ადამიანი შეიძლება შეცვალოს, ჩანს შემდეგი აღწერილობიდან: მალაბარაში ჯადოქარმა, განდევნა რა ეშმაკი მით შეპყრობილი ადამიანისგან, დემონის გულის მოსაგებად მას თმები მოსჭრა და ერთ კონად შეკრა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ევროპაში გავრცელებული ჩვეულება ბიჭებისთვის შეკრეჭილი თმის კურთხევისა. ამ აქტს შესაძლოა სიმბოლური მსხვერპლის მნიშვნელობა ჰქონდეს.

ნამდვილი მსხვერპლშეწირვა სიმბოლურად დაღვრილი სისხლითაც შეიძლება შეიცვალოს. ასე ხდება კოლომბოში. ქურუმი სამსხვერპლო ბავშვებს შუბით მხოლოდ ნიშანს ადებს. ზუსტად ასევე საბერძნეთში ადამიანის მსხვერპლად შეწირვის უძველესმა ბარბაროსულმა ადათმა ადგილი დაუთმო რამდენიმე წვეთი სისხლის დაღვრის წეს-ჩვეულებას. ჩვენს დროში ვიშნუს თაყვა

ნისმცემელთა შორის ჯერ კიდევ არსებობს რწმენა, რომ თუ ადამიანი შემთხვევით მოკლავს მაიმუნს, ან სათვალეებიან გველს, დანაშაულის გამოსყიდვას მხოლოდ ადამიანის მსხვერპლად შეწირვით შეძლებს. ამიტომ შერჩეული მსხვერპლი ღებულობს ჭრილობას თეძოში, თავს მოიმკვდარუნებს და შემდეგ აღდგება, ხოლო დაღვრილი სისხლი მსხვერპლად ჩაითვლება. სიმბოლური სისხლისღვრის ერთი ყველაზე შესანიშნავი ნიმუში წარმოდგენილია ესტების (ჩრდილოეთ ევროპა) თქმულებაში. მლოცველი ლოცვის წინ საჩვენებელი თითიდან სისხლის რამდენიმე წვეთს გამოიდენს. შემდეგ წარმოთქვამს ლოცვას და განგებას შეწევნასა და წარმატებას სთხოვს.

თითის სახსრის მოკვეთის, თმის შეჭრისა და სისხლის დაღვრის ადათების მოხსენიება საჭირო გახდა მსხვერპლშეწირვასთან მათი კავშირის გამო.

თუ სიცოცხლე სიცოცხლეს შეეწირება, მაშინ სიცოცხლისათვის, რომელიც განსაცდელშია, შეიძლება გაღებულ იქნას ნაკლებად ღირებული რამ. როდესაც პერუში ავად ხდებოდა პატივსაცემი პიროვნება, ის ღმერთს თავის უფროს ვაჟიშვილს სწირავდა. ბერძნები კმაყოფილდებოდნენ დამნაშავეთა ან ტყვეების შეწირვით. ასევე იქცეოდნენ ჩრდილოეთ ევროპის წარმართული ტომები, რომლებიც ამ მიზნით ქრისტიანი ვაჭრებისგან მონებს ყიდულობდნენ. ერთი ყველაზე ტიპური ფაქტი განეკუთვნება პუნიკური ომების დროს. კართაგენელებმა, რომელთაც აგათოკლე ავიწროებდა, დამარცხება ღმერთებისისხვას მიაწერეს. ძველად ისინი კრონოსს მსხვერპლად სწირავდნენ თავისი ხალხის საუკეთესო შვილებს, შემდეგ კი ამ მიზნით ყიდულობდნენ და კვეპავდნენ სხვის შვილებს და ამით გამოხატავდნენ ძვირფასი მსხვერპლის ნაკლებად ღირებულით შეცვლის ბუნებრივ მისწრაფებას. მაგრამ ახლა, უბედურების ჟამს, გადაწყდა მოეწყოთ გრანდიოზული მსხვერპლშეწირვა, რათა გაეთანაბრებინათ ანგარიში და აენაზღაურებინათ ყალბი მსხვერპლი. ამ გადაწყვეტილებას უკეთილშობილესი ოჯახების ორასი ბავშვი შეეწირა. ეს ასე მოხდა: „მათ ჰქონდათ კრონოსის სპილენძის ქანდაკება, რომელსაც ხელები ისე ჰქონდა დახრილი, რომ მათზე მოთავსებული ბავშვები ცვიოდნენ ღრმა ორმოში, რომელიც ცეცხლით იყო სავსე". ფინიკიელთა ღმერთი, რომელიც აქ კრონოსად მოიხსენიება, მოლოხთან არის გაიგივებული.

ადამიანის მსხვერპლი შეიძლება პირუტყვით შეიცვალოს. ამ ვითარების მექანიზმი ნათელი გახდება, თუ გავიხსენებთ, როგორ გამოისყიდიან კიმბუნდები მოკლული მონის სისხლს ხარის მსხვერპლად შეწირვით, რადგანაც ერთის სისხლი მეორის სისხლით ჩამორეცხება.

ადამიანის ცხოველით სამსხვერპლო შენაცვლების მაგალითებად შემდეგ ფაქტებს დავასახელებთ: პოლკოვნიკ მაკფერსონს დაეკალა ბოლო მოეღო ადამიანის მსხვერპლად შეწირვისთვის ორისში კონდებთან. ამის გამო დედამიწის ქალღმერთის თაყვანისმცემლებმა დაიწყეს მსჯელობა ადამიანის რქოსანი პირუტყვით შეცვლის შესაძლებლობაზე. არის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ რიტუალური შენაცვლების ამგვარივე ხერხით შეიძლება აიხსნას კონდების სხვა სექტის ერთი სამსხვერპლო ჩვეულება: ისინი თაყვანს სცემდნენ სინათლის ღმერთს და მის პატივსაცემად მართავდნენ დღესასწაულს, რომელზედაც კლავდნენ კამეჩს იმ დღეთა მოსაგონებლად, როდესაც გამარჯვებული დედამიწის ქალღმერთი მოითხოვდა ადამიანების მსხვერპლად შეწირვას, მაგრამ სინათლის ღმერთმა გამოგზავნა ცეცხლოვანი ღვთაება, რომელმაც დათრგუნა სისხლით გაუმაძღარი დედამიწის ქალღმერთი. მან ტევრიდან გამოიყვანა კამეჩი და ხალხს მიმართა: „გაათავისუფლეთ ადამიანი და მსხვერპლად შეწირეთ

კამეჩი!“ თუ ამ ლეგენდას მითოლოგიურ შეფერილობას ჩამოვაცილებთ, დავრჩება მოგონება ადამიანის მსხვერპლის ცხოველით შეცვლის ფაქტზე.

შენაცვლების კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს არტემიდასთვის ქალწულის ნაცვლად ფურირმის შეწირვა ლაოდიკეაში, ხოლო დიონისესთვის თხის ნაცვლად — ყმაწვილისა პოტნიაში. ცეილონზე შემლოცველი ეკითხება ეშმაკეულს იმ ეშმაკის სახელს, რომლითაც იგი შეპყრობილია. ეშმაკეული უპასუხებს: „მე უარ ესა და ეს, მსურს ადამიანის მსხვერპლი და მის გარეშე არ გამოვალ“. მსხვერპლს აღუთქვამენ, ავადმყოფი თავისუფლდება და რამდენიმე კვირის შემდეგ პირობას ასრულებენ, მაგრამ ადამიანის ნაცვლად სწირავენ ქათამს.

კიდევ ერთი ნაბიჯი მსხვერპლის შეცვლის გზაზე არის ადამიანის ნაცვლად მისი მსგავსის შეწირვა. ყურადღებ ნიმუშს იმისას, თუ როგორ წარმოიშვება ამგვარი შენაცვლება, ნათელყოფენ ძველი მექსიკური ადათები. ტაძრებში წყლისა და მთების წლიურ დღესასწაულებზე სრულდებოდა ადამიანის მსხვერპლად შეწირვის რიტუალი. ამავე დროს ოჯახებში ამ სისხლიანი რიტუალის ნათელი და უბიწო მიბაძვა ხდებოდა. ცომისგან ამზადებდნენ მსხვერპლის გამოსახულებას, რომელსაც ჯერ თაყვანს სცემდნენ. შემდეგ კი გაუხსნიდნენ მკერდს, ამოიღებდნენ გულს, მოკვეთდნენ თავს, ანაწევრებდნენ და ჭამდნენ.

საბერძნეთისა და რომის ანტიკურ რელიგიებში წმინდა რიტუალების შენარჩუნების სურვილი კომპრომისებში გამოიხატა. ადამიანის ნაცვლად სწირავდნენ ბრინჯაოს სტატუებს, ცხოველის ნაცვლად — ცომისა და სანთლის სიმბოლურ ფიგურებს.

ბრაჰმანისტებთან მსხვერპლის შეცვლა ფქვილისა და ცხიმისაგან დამზადებული მოდელებით მოხდა არა ეკონომიის გამო, არამედ სიცოცხლის მოსპობისათვის თავის ასარიდებლად. ჩინეთში ამ მიზნით ქაღალდისგან ჭრიან ადამიანის ფიგურას და აწებებენ ბამბუკის ჯოხზე, რომელსაც არჭობენ ფოლგის ფულიან ტომარაში. სიმბოლო სათანადო შელოცვებით ავადმყოფთან ერთად ქუჩაში გამოაქვთ. ქურუმი პირში დაგუბებულ წყალს ასხურებს ავადმყოფს, გამოსახულებას და ფოლგის ფულს. შემდეგ გამოსახულებასა და ფულს წვავენ, საზოგადოება კი იმ წლის ღვთაების აღსანიშნავად სადღესასწაულო სადილს მიირთმევს.

ქაიროში ჩვეულებად ჰქონდათ ნილოსის ადიდებისას დატბორვის ადგილას დაედგათ მიწის კონუსისებური სვეტი, რომელიც ადიდებულ წყალს მიჰქონდა. ამ ჩვეულებას ჰქვია „არუსეხ“ (პატარძალი). მას ისტორიული მნიშვნელობა აქვს და, როგორც ჩანს, წარმოადგენს ძველი ადათის სახეცვლილ ფორმას. უწინ წყალში აგდებდნენ საზეიმოდ გამოწყობილ ქალწულს ღვთაებისგან წყალუხვობის გამოთხოვნის მიზნით. მსხვერპლის შეცვლა მოხდა მუსულმანობის ჰუმანური გავლენით.

აშკარად მსხვერპლშეწირვის ხასიათი აქვს ავადმყოფის მიერ ღვთაებისათვის თავისი სხეულის დაავადებული ასოების მირთმევას, მიუხედავად იმისა, ხდება ეს გამოჯანმრთელებამდე მისი გულის მოსაგებად, თუ გაჯანსაღების შემდეგ მადლიერების გამოსახატავად. ხელებისა და ყურების მოდელები, რომელთაც აღთქმისამებრ დგამდნენ ძველ ეგვიპტურ ტაძრებში, ერთი მხრივ, სამადლობელ ძღვნად ითვლება, როგორც ეს ხდება სახის, მკერდის, ხელებისა და სხვ. მოდელების დადგმისას ბეოტურ (თუ ბეოტიის?) ტაძრებში. მეორე მხრივ, ცნობილია, რომ დაავადებულ ასოთა მოდელებს ღვთაებას მიართმევდნენ ხოლმე განკურნების თხოვნით. ასე მაგალითად, გერმანიაში ქრისტიანობა

ადრეულ პერიოდში ეკლესიას არაერთხელ მოუხდა დახმარების თხოვნით ადამიანის სხეულის ხისაგან გაშოთლილი ნაწილების კერპებზე დაკიდების წარმართული ჩვეულების წინააღმდეგ გამოსვლა. ხოლო ინდოეთში ღვთაებისთვის განკურნების სათხოვნელად მოსული პილიგრიმი ტაძარში თავის შესაძლებლობების გათვალისწინებით ათავსებს სხეული ასოს ოქროს, ვერცხლის ან სპილენძის გამოსახულებას.

რაც შეეხება მსხვერპლშეწირვის იდეას თანამედროვე ქრისტიანობაში, აქ მას ორი სახით ვხვდებით: როგორც გადმონაშთს ხალხურ თქმულებებში და როგორც ოფიციალური რელიგიის ერთ-ერთ ელემენტს. მისი ერთი შესანიშნავი გადმონაშთი შემორჩენილია ბულგარეთში, სადაც სოფლის მოსახლეობაში ახლაც ხდება ცოცხალი მსხვერპლის შეწირვა. წმინდა გიორგის დღეს მსხვერპლად სწირავენ ბატკანს, რასაც ხსნიან ლეგენდით, რომელშიც შერწყმულია ბიბლიური მოთხრობა ისაკის მსხვერპლად შეწირვისა და სამი ყრმის სასწაულის შესახებ. ქალწულ მარიამის დღესასწაულზე მსხვერპლად სწირავენ ბატკნებს, თიკნებს, თაფლს, ღვინოსა და სხვ., რათა ბავშვები მთელი წლის განმავლობაში ჯანმრთელი იყვნენ.

ევროპის ბევრ ქვეყანაში მიწათმოქმედთა კონსერვატიულმა მეხსიერებამ ხელუხლებლად შემოინახა ქრისტიანობამდელი რელიგიების მემკვიდრეობა. ფრანკონიაში უბრალო ხალხი დალევამდე მიწაზე ღვრის რამდენიმე წვეთს ზედაშეს სახით; ტყეში შესვლისას ქვაზე დებენ პურსა და ხილს, რათა თავიდან აიცილონ ოჩოპინტრეს (ტყის კაცი, ქაჯი) თავდასხმა; ხაბაზები პურის გამოცხობამდე ღუმელში ყრიან ცომის ნაჭრებს და თან ამბობენ: „აი, შენ, ეშმაკო!“ გლეხი კარინტიაში კვებავს ქარს და ხეზე სახლის წინ უდგამს ლანგარს საკვებით, კვებავს ცეცხლს და მასში ყრის ღორის ქონისა და ცხიმის ნაჭრებს. ყოველივე ეს ხდება ქარიშხლისა და ხანძრის ასარიდებლად. გასული საუკუნის დასასრულს, წმინდა ივანეს დღეს, გერმანიაში კერძის ერთ ნაწილს ასხამდნენ ცეცხლში, მეორეს — გამდინარე წყალში, მესამეს ფლავდნენ მიწაში და, ბოლოს, მეოთხეს უსვამდნენ ფოთლებზე, რომლებსაც საკვამლე მილებზე ქარისთვის დებდნენ. ფრანგ გლეხის ქალებს ჩვეად აქვთ სადილობამდე მიწაზე დაღვარონ ერთი კოვზი რძე ან წვნიანი. ანდრიე აღწერს დოფინეს მცხოვრებთა ჩვეულებას, მზის ამოსვლის დროს, ნაბუნიობისას, გამოვიდნენ ხიდზე და მზეს მსხვერპლად ერბოკვერცხი შესწირონ. საუკეთესო ხბოს მიწაში ჩაფლვის შემთხვევა დაავადებული ნახირის გადასარჩენად ჩვენს საუკუნეში მოხდა კორნუელსში.

შოტლანდიაში მთელი გასული საუკუნის მანძილზე ყვებოდნენ ეშმაკისთვის მსხვერპლის შეწირვის შესახებ. მოხუცებს ახლაც ახსოვთ ნაკვეთები, რომლებსაც არ ხნავდნენ, რადგანაც ისინი ეშმაკს ეკუთვნოდა. მაგრამ უკვე მოქმედებდა მისი მოტყუების ჩვეულება და ეშმაკს სამფლობელოდ გამოუსადეგარ მიწებს აძლევდნენ. შვედებს წესად აქვთ ნაშობევს გამოაცხონ გარეული ღორის ფორმის ნამცხვარი. ეს ჩვეულება ღმერთისთვის ღორის შეწირვის გადმონაშთს წარმოადგენს. გერმანული ლოთის ანდაზაში, „ბოლომდე დაუცელელი სასმისი ეშმაკის ძღვენია“, ჯერ კიდევ იგრძნობა ზედაშეს შეწირვის ხსოვნა.

რაც შეეხება სამსხვერპლო რიტუალებს, რომლებიც ოფიციალურად არის მიღებული ქრისტიანობაში, მათ მაგალითად გამოდგება აღთქმის აღსრულების წეს-ჩვეულება. სამღვდელოების წინაღმდეგობა მადლიერების გამოხატვის ამ კლასიკური ფორმის მიმართ, როგორც ჩანს, დროებითი იყო. V საუკუნეში

ჩვეულებად ჰქონდათ განკურნებისათვის მადლიერების გამო წმინდანებისათვის მიერთმიათ თვალების, ფეხების და სხვ. ოქროს ან ვერცხლის მოდელები. XVI საუკუნის დასაწყისში პოლიდორ ვერგილიუსი აღწერს ამ კლასიკურ ჩვეულებას და ამბობს: „როგორც კი აგვტკივდება სხეულის რომელიმე ნაწილი, მაგალითად, ხელი, ფეხი ან მკერდი, აღთქმას ვდებთ ღვთისა და წმინდანთა წინაშე და განკურნებისათვის ძღვნად მიგვაქვს სანთლისგან გამოძერწილი ფეხი ან მკერდი. ეს ჩვეულება ისე გავრცელდა, რომ ასეთ ძღვენს აკეთებენ ცხოველთა ნაცვლად და ტაძრებში დგამენ ხარის, ცხენის, ცხვრის პატარა ფიგურებს. ამის დანახვაზე ყველა თავმდაბალსა და კეთილსინდისიერ ადამიანს შეუძლია იკითხოს: ხომ არ ვმეტოქეობთ წინაპრების რელიგიასა და ცრურწმენებთან?“

ეს ჩვეულება დღემდე ფართოდ იყო გავრცელებული ევროპაში, მაგრამ, ეტყობა, გადაგვარებას იწყებს, რადგანაც გამოსახულებანი, რომლებიც აღთქმისამებრ მიაქვთ, ყალბი ვერცხლისა და სხვა იაფი მასალისგან კეთდება.

წინარექრისტიანულსა და ქრისტიანულ ტაძრებში ერთნაირად იკმევა საკმეველი. რაც შეეხება მსხვერპლშეწირვას, იგი თავიდან არ შედიოდა ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში, მაგრამ ადრეევ დაიკავა თვალსაჩინო ადგილი. როგორც ჩანს, ქრისტიანობა მომხრეებს იკრებდა იმ ხალხებში, რომელთა შეგნებაში ღრმად ჰქონდა ფესვი გადგმული მსხვერპლშეწირვის იდეას. ხოლო მსხვერპლშეწირვის ცერემონიალი ღვთისმსახურების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი იყო. ასე წარმოიშვა ჩვეულება, რომელსაც ქრისტიანობის მიერ წარმართობის გამოდევნის შემდეგ ღვთისმსახურებაში ცარიელი ადგილი უნდა შეევსო. ეს მიღწეულ იქნა არა ახლის შემოტანით, არამედ ძველი წეს-ჩვეულების მომარჯვებით. ადრეული ქრისტიანების ეკლესიტულმა ტაბლამ მსხვერპლშეწირვის ხასიათი მიიღო. მღვდელი საკურთხეველზე აწყობს საჭმელსა და სასმელს, რომელთაც შემდეგ მღვდელი და მორწმუნენი მოიხმარენ.

მსხვერპლშეწირვის ეთნოგრაფიული აღწერის ბუნებრივი დასკვნა უნდა იყოს მითითება სასტიკ განხეთქილებაზე პროტესტანტებსა და კათოლიკეებს შორის, რომლის საფუძველს მსხვერპლშეწირვის საკითხი შეადგენს. არის თუ არა იგი ქრისტიანული წეს-ჩვეულება?

წეს-ჩვეულებათა შემდეგი განსახილველი ჯგუფი არის მარხვა და სხვა ჩვეულებები, რომლებიც იწვევენ ექსტაზს, ანდა ავადმყოფურად აღაგზნებენ ადამიანს რელიგიური მიზნებისათვის. ანიმიზმის განხილვისას უმეტესად შევნიშნავდით ან მივდიოდით იმ დასკვნამდე, რომ ნაკლებად კულტურულ საზოგადოებათა რწმენა ეფუძნება ჩვენებებსა და სიზმრებს, რომლებიც სულიერ არსებებთან რეალური ურთიერთობის ფაქტებად არის გაგებული. რელიგია მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანის სხეულის ექსტატიკურ მდგომარეობასთან. ეს მოვლენა იმ ფილოსოფიური თეორიების მიერ, რომლებიც წინ უსწრებენ თანამედროვე მედიცინის განვითარებას, აიხსნებოდა, როგორც ზებუნებრივი სულიერი ძალის ზემოქმედების შედეგი. უდიდესი ძალა, რომელსაც ხელწიფება სულიერი ფუნქციების მოშლა მიიყვანოს ექსტატიკურ მდგომარეობამდე, არის მარხვა. იგი ბუნებრივ კავშირშია იმ გასაჭირთან, რომელსაც ადამიანი განიცდის ტყეში ან უდაბნოში ხანგრძლივი ჭვრეტითი განმარტოების დროს. ველურ მონადირეს ხშირად უხდება თავის თავზე გამოცადოს ამგვარი არსებობის შედეგი. ის სწრაფად ეგუება მოჩვენებათა ხილვას და მათთან, როგორც ხილვად სულებთან, საუბარს. მას შემდეგ, რაც შეითვისა იმ-

ქვეყნიურ სამყაროსთან ურთიერთობის საიდუმლო, ისღა დარჩენია, მოახდინოს განცდილის აღწარმოება, რათა კვლავ გამოიწვიოს მასთან დაკავშირებული შედეგი.

მარხვის ჩვეულება და მისი ავადმყოფური გამოვლინებები გასაოცარი მაგალითებით ილუსტრირდება ჩრდილოეთ ამერიკის ველურებში. ინდიელებთან (მხედველობაში გვყავს ძირითადად ალგონკინები) ხანგრძლივი მკაცრი მარხვა ორივე სქესის ბავშვებისათვის ადრეული ასაკიდან არის აუცილებელი. ხანგრძლივი მარხვის გაძლება საპატიო საქმედ ითვლება. ამიტომ ისინი არ ჭამენ შვიდი დღის განმავლობაში და მხოლოდ ცოტაოდენ წყალს მიიღებენ. მარხვის დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სიზმრებს. ტანერის მიხედვით, ინდიელი ქალი, სახელად ნეტ-ნო-კვა, თორმეტი წლის ასაკში ათი დღე მარხულობდა, ვიდრე არ მოევლინა კაცი, რომელმაც მისცა ორი ჯოხი და უთხრა: „გაძლევ ყავარჯნებს, რათა იარო, და ისე გაგითეთრებ თმებს, როგორც თრვლს“. ქალმა ირწმუნა, რომ იცოცხლებდა ღრმა სიბერემდე და ეს რწმენა აიმედებდა უბედურებისა და საფრთხის დროს.

ინდიელი ჭაბუკი მომწიფების ჟამს მარხვის, ლოცვისა და განსჯისათვის განმარტოვდება. იქ მას ეწვევა ზმანებები, რაც დაღს აჩნევს მთელ მის შემდგომ ცხოვრებას. ის, უწინარეს ყოვლისა, ელის სიზმარში რომელიმე ცხოველის გამოცხადებას, რომელიც მისი ფეტიში და „მანიტუ“, ანუ მფარველი ხდება. მაგალითად, თუ რომელიმე მეომარმა ჭაბუკობაში სიზმრად ღამურა ნახა, მთელი სიცოცხლე კეფაზე ატარებს ღამურას ტყავს და თვლის, რომ ისევე უვნებელი იქნება, როგორც ღამურა ფრენისას. შემდგომ ცხოვრებაში, როცა ინდიელს რამე სჭირდება, ის მარხულობს, ვიდრე „მანიტუ“ სიზმარში სურვილის შესრულებას არ აღუთქვამს.

მონადირეს, რომელიც მარხულობს სანადიროდ წასვლამდე, სიზმარში ნახულობს ადგილებს, სადაც კარგი ნადირი იცის, ავრეთვე — ხერხები ბოროტი სულების დასაოკებლად. თუ ინდიელს დაესიზმრება დიდი ხნის გარდაცვლილი ინდიელი, რომელიც ეუბნება: „შემომწირე მსხვერპლი და უამრავ ნადირს მოინადირებ!“ — ის უმალ შესწირავს სულს მსხვერპლს: შეუწვავს ან მთელ ირემს, ან მის ნაწილს. ექიმბაში მარხვის დროს იმ თვისებებს შეიძენს, რომლებიც აუცილებელია მისი წმინდა მისიის აღსასრულებლად. წინასწარმეტყველი ქალი, რომელიც ცნობილია კატერინა უაბოზის სახელით, თავისი ბიოგრაფიის გადმოცემისას გვაუწყებს, რომ თავის პატარა სახლში მარხულობდა, ვიდრე ზეცად არ იქნა აყვანილი. იქ პირველად იხილა მბრწყინავი ციფერი ცა. ეს იყო პირველი ზებუნებრივი ურთიერთობა მის, როგორც წინასწარმეტყველის, კარიერაში.

უაღრესად საინტერესოა ალგონკინთა ბელადის ჩინგაუკის მონათხრობი: „ინდიელებს მარხვა საპატიო საქმედ მიაჩნდათ. ისინი ხანდახან ხუთი, ექვსი, შვიდი დღის განმავლობაში მარხულობდნენ, ვიდრე სხეული და სული არ გახდებოდა მსუბუქი და ნათელი, რაც მათ სიზმრებისთვის ამზადებდა. მათი სურვილი იყო სიზმრად ენახათ მზე, რადგანაც მიაჩნდათ, რომ ეს სიზმარი უფლებას აძლევდა ყოველივე ენახათ დედამიწაზე. ისინი, ჩვეულებრივ, აღწევდნენ კიდეც ამას მარხვითა და სასურველ საგანზე ხანგრძლივი ფიქრით. მარხვა და სიზმრები ადრეული ასაკიდან იყო პრაქტიკაში. ჭაბუკი ჭეშმარიტებად აღიქვამს, რასაც ხედავს და განიცდის მარხვის დროს და სიზმარში. იგი ხდება მისი შემდგომი ცხოვრების წარმმართველი ძალა. და წარმატების მოსაპოვებლად ყოველთვის ზეშთაგონებას მიმართავს. თუ ხალხი დაეჯერებს, რომ მას ძა-

ლუძს მომავლის წინასწარმეტყველება, მისთვის ხსნილია უზენაესი აღიარების გზა. წინასწარმეტყველი თავის ძალას თავდაპირველად საიდუმლოდ ინახავს, მხოლოდ ერთი პიროვნების თანდასწრებით ააშკარავებს, რადგანაც წარმატების შემთხვევაში მისი მოწმობა აუცილებელია. იწყებს რა ამ სახის მოღვაწეობას, იგი თავისი სიზმრებისა და ჩვენებების ხატებს ინიშნავს ხის ქერქზე ან სხვა მასალაზე და ამ სახით ინახავს მათს ხსოვნას. თუ მისი წინასწარმეტყველება სრულდება, მოწმე განაცხადებს ამის შესახებ, ხოლო სამახსოვრო ჩანიშვნები მისი წინასწარმეტყველური ძალისა და ხელოვნების მტკიცებულება ხდება. დროთა განმავლობაში მისი ძალა იზრდება და ბოლოს საკითხს მოხუცთა საბჭო წყვეტს. მოხუცები აცხადებენ, რომ ეს ადამიანი დაჯილდოებულია წინასწარმეტყველის ნიჭით, შთაგონებულია სიბრძნით და ხელეწიფება იყოს თავისი ხალხის სულიერი მოძღვარი. ასეთი იყო, მთხრობელის გადმოცემით, ძველი ადათი და ცნობილი წინამძღოლები ამ გზით აღწევდნენ ძალაუფლებას". აქ უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკული ტომების სულიერი მოძღვრები ყონვულსიურ ექსტაზს მარხვითა და ოფლმდენი აბანოებით იწვევდნენ. ისინი ამ მდგომარეობაში აუწყებდნენ ხალხს სულების ნებას.

სხვა არაცივილიზებულ ტომებსა და ხალხებში მარხვის მიზანი, აღწერილობის მიხედვით, ექსტატიკური მდგომარეობის გამოწვევა და ზებუნებრივი ურთიერთობის დამყარებაა. რომან პანე წიგნში „კოლუმბის ცხოვრება" აღწერს ჰაიტელთა ჩვეულებას იმარხულონ, რათა სულებისგან მომავალი შეიტყონ. ერთი თუ ორი საუკუნის შემდეგ მკაცრი მარხვა შეადგენდა იმ ადამიანების გამოცდის ნაწილს, რომლებიც ემზადებოდნენ „ბოიეს", ე. ი. გრძნეულის, მრჩეველის, დამშოშმინებელის და შემლოცველის წოდების მისაღებად. „კიბეტებს", ანუ ინდიელ აბიპონთა შემლოცველებს მიეწერებოდათ სნეულებისა და სიკვდილის გამოწვევის, ახლო და შორეული მომავლის ამოცნობის, აგრეთვე წვიმის, სეტყვის, ქარიშხლის, გარდაცვლილთა სულების გამოწვევის, იაგუარად გადაქცევის და სხვ. უნარი. ასეთი ძალმოსილება ეშმაკეულ საქმედ ითვლებოდა. დობრიცგოფერი ასე აღწერს მისი მოპოვების გზას: „გრძნეულის წოდების პრეტენდენტები უნდა ავიდნენ ძველ ტირიფზე, რომელიც რომელიმე ტბაზეა გადმოკიდებული და რამდენიმე დღე, ვიდრე არ დაიწყებენ მომავლის განჭვრეტას, თავი შეიკავონ ჭამა-სმისაგან. მე ყოველთვის მეგონა, რომ ეს გაიძვერები ხანგრძლივი მარხვის გამო იტანჯებიან გონებრივი სისუსტით, თავბრუსხვევითა და ბოდვის იმ სახეობით, რომელიც აიძულებს წარმოიდგინონ, თითქოს არიან ჯადოქრები და ფლობენ უმაღლეს სიბრძნეს. ისინი ჯერ თავს იტყუებენ, შემდეგ კი სხვებს ატყუებენ".

ზულუსი ექიმი, ურთიერთობა რომ დაამყაროს სულებთან, რომელთაგანაც უნდა მიიღოს დარიგება თავის ხელოვნებაში, ამას აკეთებს საკვებისაგან თავის შეკავების, ტანჯვის, თვითგვემისა და მარტოობის გზით. ყოველივე ეს გრძელდება, ვიდრე ავი ზნე ან ღრმა ძილი არ მიიყვანს სულებთან უშუალო ურთიერთობამდე. საერთოდ, ეს წინასწარმეტყველები ისე ხშირად მარხულობენ, რომ შიმშილობით, რომელიც ზოგჯერ რამდენიმე დღე გრძელდება, თავი სრულ, ან თითქმის სრულ ექსტაზამდე მიჰყავთ და ჰალუცინაციებიც აქვთ. ზულუსების წარმოდგენით, მარხვასა და სულებთან ურთიერთობას შორის იმდენად მჭიდრო კავშირია, რომ მათ ასეთი ანდაზაც კი აქვთ: „კარგად ნაკვებ სხეულს არ ძალუძს საიდუმლოთა ხილვა". ჩასუქებულ წინასწარმეტყველს ისინი არ დაუჯერებენ.

მარხვის შედეგისა კულტურულ ხალხებსაც სწამთ. ამიტომ არ არის გა-

საკვირო, რომ ინდურ ზღაპარში მეფე-დედოფალმა საზეიმო მონანიებისა და საამ-დღიანი მარხვის შემდეგ სიზმარში ნახეს მათთან მოწყალედ მოსაუბრე შივა. არც ის არის გასაკვირი, რომ ინდოელი იოგები მარხვით ისაც იმ ზომამდე მი-ღიან, რომ, როგორც თავად მიაჩნიათ, ხელეწიფებათ ფიზიკურად დაინახონ ღმერთები. საბერძნეთში ქურუმ წინასწარმეტყველებს მიაჩნდათ, რომ მარხვა არის წინასწარმეტყველური სიზმრებისა და ჩვენებების გამოწვევის საშუალე-ბა. თვით დელფოს პითია მარხულობდა შთაგონებისათვის. საუკუნეების შემ-დეგ ეს ჩვეულება ქრისტიანობაშიც გადავიდა. ასე მაგალითად, ერთ მღვდელს, რომელმაც მთელი წელი იმარხულა, მოევლინა მიხეილ მთავარანგელოზი მარ-ჯვენა ხელში ხმლით და მარცხენაში სასწორით. მღვდელი მას ეკითხებოდა, ხომ არ აეგოთ მის პატივსაცემად ტაძარი.

როდესაც თანამედროვე ადამიანი კითხულობს წმინდა ტერეზას ხილვათა შესახებ, ბუნებრივია, ინტერესდება ამ მოვლენათა ფიზიოლოგიური მხარით. მისთვის ცნობილი ხდება, რომ წმინდა ტერეზას ბავშვობიდან ჰქონდა ავადმყო-ფური აგებულება და მიდრეკილი იყო ხილვებისადმი, შემდეგ კი სხეულს იფიტავდა ხანგრძლივი უძილობით, მკაცრი რელიგიური დისციპლინით და მარ-ხვით, რომელიც წელიწადში რვა თვე გრძელდებოდა.

ავტორი საჭიროდ არ თვლის გაგვაცნოს შუა საუკუნეთა სხვა მოთხრობე-ბი მარხვისა და მისი ბუნებრივი შედეგის — სულიერ ხილვათა შესახებ. მარ-ხვის ანიმისტური თვალსაზრისით განხილვისას იგი აუცილებლად მიიჩნევს მო-იხსენიოს ექსტატიკური მდგომარეობის გამოწვევის სხვა ხერხებიც. ერთ-ერთი მათგანია სამკურნალო ნივთიერებათა გამოყენება. კოლუმბმა ვესტ-ინდოეთის არქიპელაგზე ნახა ერთი რელიგიური ცერემონიალი: კერპის თავზე იდგმებო-და ლანგარი კოგობას ფხვნილით. იგი შეისუნთქებოდა ლერწმის ორი ღეროს მეშვეობით, რომლებიც ჩადგმული იყო კერპის ნესტოებში. პანე აღწერს, რო-გორ ურთიერთობს სულებთან ავადმყოფთან მიწვეული კოგობას ნაყნოსი იქაური ქურუმი. ის იმდენად მთვრალია, რომ არ იცის, რას აკეთებს, ამბობს საშინელ სისულელეს, რაც სულებთან საუბრად ითვლება. ამაზონკაზე ომაგ-ვას ტომი დღემდე ხმარობდა ნარკოტიკულ მცენარეს. იგი იწვევდა სიმთვრა-ლეს, რომელიც მთელი დღე-ღამის განმავლობაში გრძელდებოდა და ახლდა არაჩვეულებრივი ხილვები. ერთი ასეთი მცენარისგან ისინი იღებენ ფხვნილს, სახელწოდებით „კურუპი“ და, როგორც თამბაქოს, ლერწმის მეშვეობით ყნო-სავენ. კალიფორნიელი ინდიელები ბავშვებს აძლევენ ნარკოტიკულ სასმელს, რათა მათი ხილვების მეშვეობით მიიღონ ცნობები მტრის შესახებ. მუნდრუ-კუს ტომი ჩრდილოეთ ბრაზილიაში მკვლელების გამოსაშკარავებლად ნათელ-მხილველებს ისეთ სასმელს აძლევდნენ, რომ მათ დამნაშავეები სიზმარში ენა-ხათ. პერუში ქურუმებს, რომლებიც ფეტიშებს ესაუბრებიან, ჩვეულებად აქვთ ნარკოტიკული საშუალებით, რომელსაც „ტონკა“ ჰქვია, თავი ექსტატიკურ მდგომარეობამდე მიიყვანონ. მექსიკელი ქურუმები ხმარობდნენ „ოლოლიუ-კის“ თესლისგან დამზადებულ საცხს ან სასმელს, რომელიც ბოდვასა და ხილ-ვებს იწვევდა. ამავე მიზნით ორივე ამერიკაში იხმარება თამბაქო. უნდა აღი-ნიშნოს, რომ პირველყოფილი ადამიანები თამბაქოს სრული დათრობისთვის ეწეოდნენ და ამ მიზნით კვამლსაც ყლაპავდნენ. ბრაზილიელ გრძნეულებს თამბაქოს წევით თავი ექსტაზამდე მიჰყავდათ და ამ მდგომარეობაში სულებს ხედავდნენ. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ თამბაქოს წმინდა ბალახს ეძახდ-ნენ. ამავე საფუძველზე ჩრდილოეთამერიკელი ინდიელები თამბაქოთი ნარკო-ტიზაციას ზებუნებრივ ექსტაზად, ხოლო ამ მდგომარეობაში ოცნებებს ზეშთ-

გონებად მიიჩნევდნენ. ასეთი შეხედულებები გასაგებს ხდის დალავართა შესანიშნავ ცერემონიალს ცეცხლის ღმერთისა და მისი თორმეტი მომსახურე „მანიტუს“ დღესასწაულზე. სამსხვერპლო სახლში წვერებით შეკრული და საბნებით დაფარული თორმეტი ჯოხისგან აგებდნენ ადამიანის სიმაღლის ქოხს. დღესასწაულის დამთავრების შემდეგ ამ ქოხს, რომელშიც თორმეტი ადამიანი ეტეოდა, გახურებული ქვებით ათბობდნენ. ერთ-ერთი მოხუცი ქვებზე თორმეტ ჩიბუხს აგდებდა. როდესაც ადამიანები თამბაქოსა და სიცხისგან ხრჩობის უკიდურეს ზღვარს აღწევდნენ, უგონოდ მყოფნი ქოხიდან გამოჰყავდათ.

ეს ჩვეულება, რომელმაც გასულ საუკუნემდე მოაღწია, ყურადღებას იპყრობს თავისი მსგავსებით განწმენდის ჩვეულებასთან, რომელიც აღწერილი აქვს ჰეროდოტეს. იგი მოგვითხრობს, რომ სკვითები სამი დახრილი ლატანით, რომლებიც წვერებით იყო შეკრული და ზედ ნაბადი ეფარა, აგებდნენ ქოხს, რომელშიც კედელში დატანებული ხვრელით შეჰქონდათ გაწითლებამდე გახურებული ქვები და ყრიდნენ კანაფის თესლს. ამის გამო ქოხში ბერძნების ორთქლის აბანოზე არანაკლები კვამლი გროვდებოდა და ოფლით გახვითქული სკვითები სიამოვნებისაგან ბღაოდნენ.

ეთნოგრაფი ძველ სამყაროში ექსტაზის გამომწვევი სამკურნალწამლო საშუალებების გამოყენებისას დაბალი კულტურის ზუსტ მიბაძვას ხედავს. ასეთია ნაყენი, რომელიც პლინიუსს აღწერილი აქვს, როგორც ბოდვისა და ხილვების გამომწვევი სასმელი. აგრეთვე, შუა საუკუნეების ჯადოქრების მალამო, რომელიც პაციენტს აძლევდა მოჩვენებათა ხილვის საშუალებას, ან გადაჰყავდა კუდიანთა თავყრილობაზე და აქცევდა მხეცად. მსგავს საშუალებებს დღემდე იყენებენ სპარსი დერვიშები. ეს მისტიკოსები არა მარტო ოპიუმს ხმარობენ თავიანთ თანამემამულეთა უმრავლესობის მსგავსად, არამედ ჰაშიშაც ეწევიან, რითაც თავი მიჰყავთ ეგზალტაციის იმ ზომამდე, რომელსაც ძალიან ცოცხალი და ნათელი ჰალუცინაციები ახლავს. ამ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს პატარა კენჭი უზარმაზარი ქვა ჰგონია, წყალსადინარი თხრილი — ფართო მდინარე, ხოლო ადამიანის ხმა ჭექა-ქუხილად ეთესმის. მას ეჩვენება, რომ აქვს ფრთები და სხვ. ამ ექსტატიკურ ეფექტებს, როდესაც სასწაულები ჩვეულებრივი საქმე ხდება, სპარსეთში უყურებენ, როგორც უზენაეს რელიგიურ გამოვლინებებს, ხოლო ადამიანებს, რომლებსაც აქვთ ასეთი მიდრეკილება, ისევე როგორც მათს საქციელს, ღვთიურ მოვლენად მიიჩნევენ და ჰყავთ კიდეც მიმდევრები.

ექსტაზი და გონების დაკარგვა სწრაფი მოძრაობებით, სიმღერითა და შეძახილებითაც მიიღწევა. რეალური თუ მოჩვენებითი გონების დაკარგვის ღვთისმსახურებით გამოწვევა თავდაპირველად ველურებისთვის იყო დამახასიათებელი და შემდეგ კულტურის უფრო მაღალ საფეხურზე გადაინაცვლა. გვიანის ინდიელებთან ქურუმად ან გრძნეულად კანდიდატების მომზადების პროცესზე დაკვირვებისას შეგვიძლია ვივარაუდოთ, როგორია მათი ფიზიკური და გონებრივი მდგომარეობა. მზადება, უწინარეს ყოველისა, შოიცავს მკაცრ მარხვას და უწყალო თვითგვემას. მარხვის დასასრულს კანდიდატმა გონების დაკარგვამდე უნდა იცეკვოს. გონს მოჰყავთ თამბაქოს წვენისაგან მომზადებული სასმელით, რომელიც საშინელ გულისრევასა და სისხლიან ღებინებას იწვევს. ამ რეჟიმს იცავენ ყოველდღე, ვიდრე კანდიდატი კონვულსიურ მდგომარეობამდე არ მივა. მაშინ ავადმყოფისაგან იგი ექიმად იქცევა.

ერთ-ერთი მაგალითია სულის გამოძახება ცელებესში. ქურუმები მღერიან,

მთავარი ქურუმი მანუვა-გრეხით თვალებს ცისკენ აღაპყრობს და მასში შედის სული, რომელსაც ლემბეის უწოდებენ. მთავარი ქურუმი კვლავ მანუვა-გრეხით შეხტება შემაღლებულ ადგილზე, იქნევს ფოთლების კონას, დახტის, ცეკვავს და მღერის ლეგენდებს ღვთაების შესახებ. რამდენიმე საათის შემდეგ მას სხვა ქურუმი ცვლის, რომელიც ახლა სხვა ღვთაებას უმღერის. ასე გრძელდება ხუთი დღე-ღამის განმავლობაში. შემდეგ მთავარ ქურუმს ენის ნაწილს მოჭკვეტენ. ის უსულოდ ეცემა. ენის მოჭრილ ნაწილს და ქურუმის სხეულს საეცხლურით საკმეველს უკმევენ და ქურუმის სულს იხმობენ. გონს მოსვლის შემდეგ ქურუმი ბობოქარ ცეკვას იწყებს, ოღონდ უკვე უსიტყვოდ. ვიდრე შეუხორცდება ენა და დაუბრუნდება მეტყველების უნარი.

ამგვარად, იმ მდგომარეობას, რომელსაც სასაუბრო მეტყველებაში შეჩერებულობა ან შეშლილობა ჰქვია, ნაკლებკულტურული ხალხის რელიგიაში თვალსაჩინო ადგილი უკავია. ალბათ ამიტომ ხშირად გამოჩნდებიან ხოლმე თაღლითები, რომლებიც ამ მდგომარეობის სიმულირებას ახდენენ. თავისი ავადმყოფური ბუნებით ეს შეტევები ძალიან მოგვაგონებს იმათ, რომელთაც მკვლევრები სენ-მედარდის კონვულსიონერებთან ან სევენის ენთუზიასტებთან ახსენებენ. თუმცა შორს წასვლა არც-არის აუცილებელი: ჯერ კიდევ ერთი თაობის წინ ჩვენს განათლებულ საზოგადოებაში ამგვარი სიმპტომები ღვთის წყალობად მიიჩნეოდა.

რელიგიურ წეს-ჩვეულებათა შესწავლისათვის ძალზე საინტერესოა იმ მდგომარეობათა აღწერილობა, რომელთაც ფანატიკოსი მქადაგებლები ინგლისში, ირლანდიასა და ამერიკაში იწვევენ.

ავტორი გვაცნობს ერთ ასეთ შემთხვევას: „ახალგაზრდა ქალი თვალებდახუჭული და ხელებაწეული იწვა მიწაზე. მისი სხეული კონვულსიურად თრთოდა და ქმნიდა რკალს, რომელიც ერთი მხრიდან ქუსლებით ებჯინებოდა იატაკს, ხოლო მეორე მხრიდან — კეფით. ასე უხმოდ და უმოძრაოდ იგი რამდენიმე წუთის განმავლობაში იმყოფებოდა. შემდეგ, უსაზღვრო შიშით შეპყრობილმა, თითქოს რაღაცა მოიცილა და წარმოთქვა: „ოჰ, ეს უფსკრული!“ ამ პაროქსიზმის დროს ქალს ძლივს აკავებდა სამი ღონიერი მამაკაცი. შინაგანი ხილვებით გაწამებული, ის იქნევდა ხელებს, ნერვიული მოძრაობით გლეჯდა მაღალს და შიშისაგან იკრუნჩხებოდა. ბოლოს დაჭანცული უგონოდ დაეცა.

ამგვარი აღწერილობები ნაკელეოფენ, რომ თანამედროვე ადამიანები, ი რომ ამის შესახებ არაფერი უწყიან, იმეორებენ ამ შეტევებსა და აღზნიანობას, რომელთაც ველური ტომები უხსოვარი დროიდან რელიგიურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. თანამედროვე ევროპაში ამგვარი გამოვლინებები უძველესი რელიგიის გონებრივი აშლილობის რელიგიის აღორძინებას წარმოადგენს.

ავტორი ყურადღებას მიაპყრობს იმ ცერემონიალთა ჯგუფს, რომელთაც ხატოვანი სიმბოლიზმის სახე აქვთ. უძველესი დროიდან ადამიანებში აღმოსავლეთი ასოცირდება როგორც სინათლისა და სითბოს, სიცოცხლის, ბედნიერებისა და დიდებულების იდეა, ხოლო დასავლეთთან დაკავშირებულია სიბნელისა და სიცივის, სიკვდილისა და ნგრევის გაგება. აღმოსავლეთ-დასავლეთის ასეთი დაპირისპირება აისახა წეს-ჩვეულებებშიც, წარმოიშვა რა მთელი რიგი პრაქტიკული მითითებები იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს მიცვალებულის მდებარეობა საფლავში და ცოცხლებისა — ტაძარში.

ჯერ კიდევ ველურ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს მზის ჩასვლის მხარე მიაჩნდათ სიკვდილის მხარედ, ხოლო მზის ამოსვლის მხარე, როგორც ღვთაების ადგილსამყოფელი, მხიარულ ფერებში ეხატებოდათ. მიცვალებულის და-

კრძალვის ორი საპირისპირო წესი, როგორც ჩანს, წარმოიშვა, ერთი მხრით, მზის ჩასვლისა და სიკვდილის და, მეორე მხრით, მზის ამოსვლისა და ახალი სიცოცხლის დასაწყისის ანალოგით. ასე მაგალითად, ავსტრალიაში, ზოგ ადგილას. ადგილობრივ მოსახლეობას ნათელი წარმოდგენა აქვს დასავლეთზე როგორც მიცვალებულთა მხარეზე, მაგრამ წესად აქვთ მიცვალებულის დაკრძალვა მჯდომარე მდგომარეობაში, სახით აღმოსავლეთისაკენ. სამოას და ფიჯის მკვიდრნი კი, ფიქრობენ რა, რომ მიცვალებულთა მხარე შორეულ დასავლეთშია, მიცვალებულს მარხავენ თავით აღმოსავლეთისა და ფეხებით დასავლეთისაკენ, რათა სხეულს, როდესაც წამოდგება, შეეძლოს პირდაპირ სულთა სამყაროს მიმართულებით წავიდეს. იგივე აზრი მკვეთრად იჩენს თავს ჩრდილოეთ ამერიკის ვინებაგოს ტომში. ისინი მჯდომარე მიცვალებულს მარხავენ მხოლოდ მკერდამდე, სახით დასავლეთისაკენ. ხანდახან სამარე ითხრება აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით. და მიცვალებული იმარხება თავით აღმოსავლეთისაკენ, რათა მას „შეეძლოს უყუროს დასავლეთის ბედნიერ მხარეს“.

მსგავსი წესები აქვს სამხრეთ ამერიკის ზოგიერთ ტომს. იუმანები მიცვალებულს მარხავენ მოხრილ მდგომარეობაში, სახით აღმოსავლეთისაკენ, სადაც ბინა აქვს მათს დიდებულსა და კეთილ ღვთაებას, რომელიც, მათი რწმენით, სულებს თავის სამყოფელში მიიღებს. გუარაიოს ტომი კი მიცვალებულს კრძალავს თავით აღმოსავლეთისკენ, რადგანაც მათი ღმერთის „სანადირო სამოთხე“, საითკენაც მიცვალებულები მიემართებიან, ცის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. ხოლო პერუელებს წესად ჰქონდათ დაემარხათ მჯდომარე მიცვალებული სახით დასავლეთისაკენ. ბარბაროსული აზიის თანამედროვე წარმომადგენლები — იესო, აინუ — თეთრად შემოსილ მიცვალებულს კრძალავენ თავით აღმოსავლეთისკენ, რადგანაც „იქ ამოდის შუა“. შუა საუკუნეთა თათრები მიცვალებულის სამარეზე აგებენ მოზრდილ ბორცვს და მასზე დგამენ ქანდაკებას, რომელსაც სახე აღმოსავლეთისკენ აქვს მიქცეული. ბოლოს — თანამედროვე სიამელები, რომელთაც არასოდეს სძინავთ თავით დასავლეთისაკენ, რადგანაც ამ მდებარეობით კრძალავენ გარდაცვლილებს.

ბერძნების ჩვეულება, დაკრძალონ მიცვალებული აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით, წარმოადგენს ერთ რგოლს ამ წეს-ჩვეულების განვითარების ჯაჭვში. ძველი გადმოცემა მოგვითხრობს, თითქოს ქრისტეს სხეული დაკრძალულ იქნა თავით დასავლეთისაკენ, ე. ი. სახით აღმოსავლეთისაკენ. აქედან მომდინარეობს შუა საუკუნეთა ქრისტიანების დღემდე არდავიწყებული ჩვეულება სამარის გათხრისა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. მიცვალებულის თავით დასავლეთისაკენ დასვენების ქრისტიანული წესის მიზანი დამაჯერებლად არის ახსნილი XVI საუკუნის ერთ სასულიერო თხზულებაში: „ყველა უნდა დაიკრძალოს ისე, რომ თავი იყოს მიქცეული დასავლეთისაკენ, ხოლო ფეხები — მიმართული აღმოსავლეთისაკენ. ამ მდებარეობით ის, ასე ვთქვათ, ლოცულობს და გამოხატავს, რომ მზად არის იჩქაროს დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ, დაისიდან აისისკენ, ამ სოფლიდან მარადიულობისკენ“.

იქ, სადაც ნაკლებკულტურულ ხალხებში მზის თაყვანისცემა სისტემატური რიტუალის სახეს იძენს, ტაძარში მლოცველთა ორიენტაცია მკვეთრად არის გამოხატული. როცა კამანჩები, რომლებიც მზეს ეთაყვანებიან, საომრად ემზადებიან, იარაღს ქოხების აღმოსავლეთის მხარეს აწყობენ, რათა ისინი ამომავალი მზის სხივებმა გაანათოს. ახალ მექსიკაში მცხოვრები ინდიელები — პუებლო, რომლებმაც ქრისტიანობა მიიღეს, ინარჩუნებენ მზის თაყვანისცემის

ნაშნებს და აისის ჟამს მზეს მიმართავენ. ლუციზიანელი ნატჩეზების ბელადი ყოველ დილას, მზის ამოსვლის წინ, თავისი სახლის კარებში დგებოდა სახით აღმოსავლეთისკენ და თამბაქოს კვამლს ჯერ აღმოსავლეთის მიმართულებით უშვებდა, შემდეგ კი სხვა მხარეს. ფლორიდელი აპალაჩების ტაძარ-გამოქვაბულების კარი აღმოსავლეთისკენ იღებოდა. სადღესასწაულო დღეებში, განთიადისას, ტაძრის შესასვლელში დგებოდნენ ქურუშები, რათა მზის პირველ სხივებთან ერთად შეესრულებინათ გალობის, კმევის და მსხვერპლის შეწირვის ადათები. ძველ მექსიკაში მზის თაყვანისცემა მთელი მისი რთული რელიგიის არსი იყო. მუხლმოდრეკილ მლოცველებს სახე აღმოსავლეთისკენ ჰქონდათ მიპყრობილი, ხოლო ტაძრის კარი უმრავლეს შემთხვევაში აღმოსავლეთისკენ იყო მიქცეული. პერუელები მზის თაყვანისცემას ძალიან თავისებურად გამოხატავდნენ. ისინი სოფლებსაც კი აღმოსავლეთისკენ მიმართულ ქანობებზე აგებდნენ, რათა მცხოვრებლები თავიანთ ღვთაებას აღმოსავლის ჟამს მისალმებოდნენ. კუსკოში მზის ტაძარში ამ მნათობის ოქროს დისკო დასავლეთის კედელზე იყო მოთავსებული და აღმოსავლეთისკენ იცქირებოდა. მას ეცემოდა ამომავალი მზის პირველი სხივები, რომელთა ანარეკლით დისკო მთელ ტაძარს ანათებდა.

აზიაში მზის ძველარიული თაყვანისცემა არანაკლებ ნათლად გამოიხატება ორიენტაციის წეს-ჩვეულებებში. შათ განეკუთვნება წესები, რომლებიც შეადგენს იმ დამქანცველი ცერემონიალის ნაწილს, ყოველდღე რომ უნდა შესრულოს ბრაჰმანმა. იგი განთიადისას განიბანება, შემდეგ უღრმავდება ფიქრს მზის სხივმოსილ ნათელზე, რომელიც არის ბრაჰმა, უზენაესი სული. შემდეგ იწყებს მზის თაყვანისცემას. დგება ცალ ფეხზე, ხოლო მეორით ეხება ქუსლს. სახე მიპყრობილი აქვს აღმოსავლეთისკენ, მომუჭული ხელები კი წინ აქვს გაშვერილი. შუადღისას ბრაჰმანი ისევ ეთაყვანება მზეს. ჯდება სახით აღმოსავლეთისკენ და კითხულობს ვედას ყოველდღიურ ულუფას. მიართმევს რა ღმერთებს წყალსა და ქერს, ჯერ აღმოსავლეთისკენ მიაპყრობს მზერას. შემდეგ კი ჩრდილოეთისა და სამხრეთისკენ. ცეცხლისა და სამსხვერპლო იარაღის კურთხევისას, რაც რელიგიური რიტუალის მთავარ ნაწილს შეადგენს, სახე უპირატესად აღმოსავლეთისკენ აქვს მიქცეული.

აღმოსავლეთის თაყვანისცემის აზრი უფრო ნათელი გახდება, თუ მოყვანილი ფაქტების გვერდით განვიხილავთ მეორე, უფრო პირქუში რელიგიის წეს-ჩვეულებებს, რომლებშიც გამოხატულია ღვთიური შეძრწუნება სიკვდილის დასავლეთის ქვეყნის წინაშე. მართლმორწმუნე ბრაჰმანებს, რომლებიც აღმოსავლეთს ეთაყვანებიან, უპირისპირდებიან ტუგები, სიკვდილის ქალღმერთის — კალის თაყვანისმცემლები. ამ ქალღმერთის პატივსაცემად მოაკვდინებენ ადამიანებს, მასვე უძღვნიდნენ ბარებს, რითაც დახოცილთა სამარეებს თხრიდნენ. ამ საშინელ იარაღს აკურთხებდა ქურუმი, რომელიც იარაღის წყლით ოთხჯერადი განბანვისა და ცეცხლით შვიდჯერადი განწმენდისას დასავლეთისკენ პირმიქცეული იჯდა. თუ ამ რიტუალის შემდეგ იგი ერთი დარტყმით გატეხდა ჭოჭოსის კაკალს, ითვლებოდა, რომ კურთხევა აღსრულდა. მაშინ იარაღს მიწაზე აწყობდნენ და დამსწრენი, რომელთა მზერა დასავლეთისკენ იყო მიპყრობილი, მათ თაყვანს სცემდნენ.

ეს ორი საპირისპირო წეს-ჩვეულება აღმოსავლეთსა და დასავლეთზე ორიენტაციისა ევროპის თანამედროვე რელიგიაშიც გადმოვიდა და დღემდე შემოინახა. თუ ისტორიული თვალსაზრისით განვიხილავთ ქრისტიანებთან მათს გაჩენას, უნდა გამოირიცხოს იუდეველთა გავლენა. იუდეველთა ტაძარს

შესასვლელი აღმოსავლეთიდან ჰქონდა. ხოლო საკურთხეველი დასავლეთზე იყო ორიენტირებული. მზის თაყვანისცემა იუდეველებს უდიდეს ცოდვად მიაჩნდათ, ხოლო მასთან დაკავშირებული თაყვანისმცემელთა აღმოსავლეთზე ორიენტირება ეწინააღმდეგებოდა იუდეურ ადათებს. თანაც მზის კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები სხვა ხალხებისა, რომლებმაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიეს ადრეულ ქრისტიანობაზე, საკმაოდ დამაკმაყოფილებლად განმარტავენ ქრისტიანებთან აღნიშნული წეს-ჩვეულების წარმოშობას. ერთი მხრივ, ზეგავლენა იქონია მზის თაყვანისცემამ აზიაში, განსაკუთრებით ამომავალი მზის პატივისცემამ ძველსპარსულ რელიგიაში, რომლის ნაშთი შემორჩა თურქეთის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში. აზიის ქრისტიანული სექტები ლოცვისას მზეს მიმართავენ. იეზიდებიც მიმართავენ აღმოსავლეთს და თავიანთ მიცვალებულებს აღმოსავლეთის მიმართულებით კრძალავენ. მეორე მხრივ, ორიენტაცია, როგორც საერთო პრინციპი, არსებობდა საბერძნეთის კლასიკურ რელიგიაში. ათენის მკვიდრთ წესად ჰქონდათ ტაძრის შესასვლელი მოეწყოთ აღმოსავლეთის მხრიდან, რათა ტაძარში მდებარე ღმერთის გამოსახულებას შესძლებოდა ამომავალი მზის დანახვა. ლუკიანეს ეს ჩვეულება აქვს მხედველობაში, როცა საუბრობს მშვენიერი, მუდამ სასურველი სტუმრის ტკბობაზე. მისი აღმობრწყინვებით გახარებასა და მისი ნათელით აღტაცებაზე. აოანაკლებ ნათელია საპირისპირო წეს-ჩვეულების აზრი, რომელზედაც მიუთითებს ვიტრუვიუსი: უკვდავი ღმერთების წმინდა სახლები ისე უნდა მოეწყოს, რომ ტაძარი და შიგ მოთავსებული ქანდაკებები დასავლეთისკენ იყოს ორიენტირებული. მაშინ ყველა, ვინც მიუახლოვდება საკურთხეველს მსხვერპლის შესაწირად, აღთქმისა თუ ლოცვისათვის, ერთდროულად ხედავს ქანდაკებასა და აღმოსავლეთს.

პირველი ქრისტიანებისთვის უცხო იყო აღმოსავლეთისთვის მიმართვის ჩვეულება. იგი მათს რელიგიაში პირველი ოთხი საუკუნის განმავლობაში განვითარდა. ამის შემდეგ დგინდება ლოცვის დროს აღმოსავლეთისთვის მიმართვის წესი. ავგუსტინე ამბობს: „ლოცვისას ჩვენ მივმართავთ აღმოსავლეთს, სადაც აღმართულია ზეცა, იმიტომ კი არა, რომ ღმერთი, მიატოვა რა სამყაროს სხვა ქვეყნები, მხოლოდ იქ იმყოფება, არამედ იმიტომ, რომ შთააგონოს ჩვენს გონს უფრო სრულყოფილებადმი, ღვთისადმი მიმართვის მოთხოვნილება“.

ეს გარემოება ეისახა ქრისტიანულ არქიტექტურაშიც. თუ გავითვალისწინებთ ზოგიერთი ყველაზე ძველი და პატივსაცემი ქრისტიანული ეკლესიის მდებარეობას, დავინახავთ, რომ აღმოსავლეთზე ორიენტაცია არ იყო ქრისტიანული არქიტექტურის ოდენდელი წესი, მაგრამ იგი ადრევე გაბატონდა მასში.

ქრისტიანულ ცერემონიალთაგან აღმოსავლეთისა და დასავლეთისკენ მიმართვა ყველაზე სრულად და ხატოვნად ეისახა ნათლობის წეს-ჩვეულებაში. მოსანათლს აყენებდნენ სახით დასავლეთისკენ. მოითხოვდნენ განშორებოდა სატანას, ხელი გაეშვირა დასავლეთისკენ, სამჯერ შეებერა და გადაეფურთხებინა.

ეკლესიების ორიენტაცია აღმოსავლეთისკენ და მლოცველთა ამავე მიმართულებით განლაგება შენარჩუნებულია როგორც ბერძნულ, ისე რომაულ ეკლესიებში. ინგლისში ამ ჩვეულების კვდომა დაიწყო რეფორმაციის დროიდან და, როგორც ჩანს, სრულად გაქრა მომდინარე საუკუნის დასაწყისში, მაგრამ მან ყველა დაიწყო გამოცოცხლება შუასაუკუნეობრივი ტენდენციების აღორძინების კვალდაკვალ. გავლენა, რომელიც ღვთაებრივ მზეს ჰქონდა თა-

ვის უხეშ პირველყოფილ თაყვანისმცემლებზე, დღემდე ცოცხლობს, მაგრამ უკვე მექანიკური ფორმით, განალაგებს რა ეკლესიის ღერძს და ზღვაცველთა სხეულებს გარკვეული მიმართულებით.

წეს-ჩვეულებათა უკანასკნელი ჯგუფი, რომელიც უნდა განვიხილოთ, არის განწმენდის სიმბოლური ცერემონიალი. მიუხედავად იმისა, რომ მისი ისტორიული განვითარების პროცესში ბევრი გაუგებრობა გაჩნდა, ძირითადი აზრი მაინც ნათელია. ის სხვა არა არის რა, თუ არა თანდათანობითი გადასვლა ზედმიწევნითიდან სიმბოლურ განწმენდამდე, მატერიალური უსუფთაობის მოცილებიდან უხილავი, სულიერი და, ბოლოს, ზნეობრივი ბოროტებისაგან განთავისუფლებამდე. ის, რაც ჩვენთვის მეტაფორაა, დაბალი კულტურის ადამიანებისთვის უძველესი დროიდან ადათი იყო. ისინი გარკვეული წესით განწმენდნენ აზროვნებებსაც და ნივთებსაც, უპირატესად წყალში ჩაშვებით, ან წყლის პკურებით, ან კიდევ ცეცხლის შეხრჩოლებით, ან ცეცხლში გატარებით. ეს ადათი, რომელსაც თავდაპირველად პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა, ახლა წმინდა ფორმალობად იქცა. მაგრამ იგი ახლაც გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა მართლაც აუცილებელია რეალური განწმენდა. ასე მაგალითად, ახალშობილისა და მისი დედის განწმენდა, განწმენდა მკვლელისა, რომელმაც დაღვარა ადამიანის სისხლი, და ადამიანისა, რომელიც წაიბილწა მიცვალებულის შეხებით.

სხვადასხვა ხალხებთან განწმენდის ფორმების შესწავლისას, თუნდაც დაეუშვათ მათი გადატანა ერთი რელიგიიდან მეორეში და ხალხიდან ხალხში, ისეთ მრავალფეროვნებას ვაწყდებით, რომ ძნელია წარმოვიდგინოთ საერთო წყაროს, ძველი სამყაროს ერთი ან რამდენიმე რელიგიის, არსებობა. უფრო საფიქრებელია, რომ ისინი ვითარდებოდნენ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ამოდიოდნენ რა ერთი და იმავე იდეიდან, რომელიც საერთოა მთელი კაცობრიობისთვის.

ახალშობილის განწმენდა ნაკლებად კულტურულ საზოგადოებებში სხვადასხვაგვარად ხდება. მაგრამ დასაშვებია, რომ ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე გვაქვს რიტუალის სხვა უფრო განვითარებული ხალხისგან სესხებაში. უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვისთვის სახელის დარქმევას მის ცერემონიალურ განწმენდას უკავშირებენ. მათ შორის პირდაპირი კავშირი არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ორივე წეს-ჩვეულება სრულდება სიცოცხლის ადრეულ პერიოდში. მათ, ვისაც აინტერესებს ჩვეულების წარმოშობის ისტორია, შეიძლება მივუთითოთ კუნძულ კიშტაკის ადგილობრივ მცხოვრებლებზე, რომლებიც აბანავებენ და სახელს არქმევენ ახალშობილს არა რიტუალური მოსაზრებით, არამედ პრაქტიკული მიზნით. ბრაზილიელი იუმანები ბავშვს, როგორც კი დაჯდომას ისწავლის, აპკურებენ ცნობილი ბალახის ნაყენს და არქმევენ ერთ-ერთი წინაპრის სახელს. მალაის ნახევარკუნძულის ზოგი ტომი ბავშვს დაბადებისთანავე მიარბენინებს უახლოეს მდინარეზე და აბანავებს. შემდეგ სახლში ანთებენ ცეცხლს, რომელშიც აგდებენ არომატული ხის ტოტებს და ბავშვს რამდენჯერმე გაატარებენ კვამლში.

ახალზელანდიელებთან ბავშვის მონათვლა არ წარმოადგენს ახალ ადათს, თვით ადგილობრივ მოსახლეობას შეაჩნია, რომ ის ძველია და აქვს ხანგრძლივი ტრადიცია. არ ვიცით, ეს წეს-ჩვეულება დამოუკიდებლად განვითარდა თუ არა, ყოველ შემთხვევაში ის თავისუფლად ჯდება ადგილობრივი მოსახლეობის რელიგიის სისტემაში. ბავშვს ნათლავდა ქურუში დაბადებიდან მერვე დღეს ან უფრო ადრე მდინარის ნაპირზე ან სხვა ადგილას. იგი ბავშვს ტოტი

აპკურებდა წყალს. ან მთლიანად სვამდა წყალში. განწმენდასთან ერთად ბავშვს სახელსაც არქმევდნენ. ამ მიზნით ქურუმი იმ დროამდე იმეორებდა წინაპართა სახელებს, ვიდრე ბავშვი დაცემინებით არ მიუთითებდა, რომელი სახელი უნდა დაერქმიათ. ცერემონიალს კურთხევის ხასიათი ჰქონდა და სრულდებოდა რიტმულად წარმოთქმული შელოცვების თანხლებით. მომავალ მეომარს მ-ხ-თვის აუცილებელ თვისებებს უსურვებდნენ, ასევე — მომავალ მეუღლეს. ცერემონიალურ განბანვამდე ახალშობილი უწმინდურად ითვლებოდა და მასთან შეხება მხოლოდ განსაკუთრებულ პირებს შეეძლოთ.

მადაგასკარზე ბავშვის შობისას სახლში რამდენიმე დღე ენთო ცეცხლი. შემდეგ ბავშვს აცმევდნენ საუკეთესო ტანსაცმელს და გამოჰყავდათ სახლიდან. მერე ისევ შეჰყავდათ სახლში და, დადგენილი ცერემონიალის თანახმად, აძლევდნენ დედას. თანაც ბავშვს გაატარებდნენ ცეცხლში, რომელიც სახლთან ენთო. აფრიკაში შესაბამისი ცერემონიალების შესახებ შემდეგი შეიძლება ითქვას: სარაკას ტომი ბავშვს დაბადებიდან სამი დღის შემდეგ წმინდა წყლით განბანდა. მანდინგები ბავშვს დაბადებიდან ერთი კვირის შემდეგ კრეჭდნენ თმას. ქურუმი ითხოვდა რა მის დალოცვას, ხელში აიყვანდა, ყურში უჩურჩულებდა, სამჯერ შეაფურთხებდა სახეში და იქ მყოფთა წინაშე ხმამაღლა წარმოთქვამდა მის სახელს. გვინეაში ბავშვის დაბადება საყოველთაოდ ცხადდება. ახალშობილს დაატარებენ ეუჩებში, სოფლის ან გვარის უხუცესები აპკურებენ წყალს, ლოცავენ და უსურვებენ ჯანმრთელობასა და სიმდიდრეს.

ბავშვების ცეცხლით განწმენდას დიდი ეთნოლოგიური მნიშვნელობა აქვს. მიზეზი ის კი არაა, რომ იგი უფრო შეესაბამება ველურის გონებრივ წყობას, არამედ ის, რომ განბანვისა და პკურების ცერემონიალი შესაძლოა ქრისტიანთაგან იყოს ნასესხები. არ არის გამორიცხული ამ ადათის თვითმყოფადობაც, თუმცა ძნელია ეს ვამტკიცოთ ყოველ კერძო შემთხვევაში.

ქალის განწმენდა მშობიარობისა და სხვ. შემდეგ პრიმიტიულ ხალხებში იმგვარად სრულდება, რომ გამორიცხულია უფრო ცივილიზებული ხალხებისგან მისი გადმოღების შესაძლებლობა. ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელებთან ქალის განწმენდის ჩვეულება უდარებდნენ ბიბლიის ებრაანადო დარიგებებს, მაგრამ მათ არა აქვთ საერთო წარმოშობა და შეგავსება კულტურის თანაბარი დონით აიხსნება. სხვადასხვა ხალხებში ამ ადათის დამოუკიდებელი განვითარება აშკარა გახდება, თუ შემდეგ მაგალითებს გავითვალისწინებთ: იროკეზებსა და სიუს ჩრდილოეთ ამერიკაში და ბასუტის სამხრეთ აფრიკაში ქალის გაყვანისას გააქვთ ცეცხლი და შემოყვანისას ანთებენ „ახალ ცეცხლს". ჰოტენტოტებს მშობიარე და ახალშობილი უწმინდურად მიაჩნიათ, ვიდრე არ შესრულდება განბანვისა და ქონით გაპოხვის ადათი. მონღოლები ქალებს აბანავებენ. ხოლო ციმბირში განწმენდა ცეცხლზე გადახტომით ხდება. მალაის ნახევარკუნძულზე მშობიარობის შემდეგ ქალის ბანაობა რელიგიურ ადათად ითვლება. ასევეა ინდოეთის ადგილობრივ მოსახლეობაში. აქ. როგორც ჩრდილოეთის, ისე სამხრეთის პროვინციებში დედის განწმენდა და ბავშვისთვის სახელის დარქმევა ერთსა და იმავე დღეს ხდება. სხვა მაგალითებს ვერეშეც ნათელია, რომ ჩვენს წინაშეა წმინდა პრაქტიკული ჩვეულება, რომელიც ტრადიციით არის განპირობებული და საბოლოოდ რელიგიურ ცერემონიალად გადაიქცა.

თითქმის იგივე უნდა ითქვას განწმენდის შესახებ სისხლის დაღვრის ან გვამთან შეხების შედეგად უწმინდურად ქცევის გამო. დაკოტას ტომი ჩრდილოეთ ამერიკაში ორთქლის აბანოს იყენებს არა მარტო სამკურნალო საშუალებად, არამედ განწმენდისათვის ადამიანის მოკვლის ან გვამთან შეხების

შემდეგ ნავახოს ტომში ადამიანი, რომელმაც დაკრძალა მიცვალებული, თავს უწმინდურად მიიჩნევს, ვიდრე არ განიბანება წყლით, რომელიც საგანგებოდ ამ მიზნით არის ნაკურთხი. მადაგასკარზე ვერავინ, ვინც მონაწილეობა მიიღო დაკრძალვის ცერემონიალში, ვერ გაბედავს ეზოში შესვლას განბანვის გარეშე. უნდა განიწმინდოს მოტირალთა ტანსაცმელიც კი.

სამხრეთაფრიკელ ბასუტოელებთან ბრძოლიდან დაბრუნებული მეომარი აუცილებლად უნდა განიწმინდოს დაღვრილი სისხლისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში მსხვერპლთა ჩრდილები არც დღე და არც ღამე არ მოასვენებენ. ამიტომ მეომრები სრული აღტურვილობით საზეიმოდ მიდიან მდინარეზე, განიბანებიან და განბანენ იარაღსაც. ასეთ შემთხვევებში გრძნეული მდინარეში, საბანაო ადგილის ზემოთ, გაუშვებს მაგიურ წამალს, იმის მსგავსს ნაკურთხი წყლის მოსამზადებლად რომ იყენებს და რომელსაც სახალხო განწმენდის დღესასწაულზე რომელიმე ცხოველის კუდით აპკურებს ხალხს. იგივე ბასუტოელები ალმოდებული ხით განწმენდენ პურის ყანებს და მტრისთვის წართმეულ საქონელს. ცეცხლით განწმენდას მიმართავენ უმნიშვნელო შემთხვევებშიც. მაგალითად, თუ დედა ხედავს, რომ მისმა შვილმა საფლავზე გადაირბინა, სასწრაფოდ დაუძახებს, წინ დაიყენებს და მის ფეხებთან პატარა ცეცხლს დაანთებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ წეს-ჩვეულებებმა თანდათანობით მიიღეს უპირველო დასუფთავებისგან განსხვავებული მნიშვნელობა. კაფრები ბანაობენ რიტუალური განწმენდისათვის, მაგრამ არა აქვთ ჩვეულება დაიბანონ სისუფთავისათვის, ან გარეცხონ ჭურჭელი. შუა საუკუნეებში თათრების ზოგ ტომი შეგნებულად იყო ბანაობის წინააღმდეგი. მათ მიიჩნდათ, რომ განწმენდისათვის საკმარისი იყო ცეცხლში გავლა. ასევე განწმენდენ ხოლმე გარდაცვლილის საოჯახო ნივთებს.

ცივილიზებული ან ნახევრადცივილიზებული სამყაროს სახელმწიფოებრივად მოწესრიგებულ ხალხებთან განწმენდის რიტუალები მკაცრად რეგლამენტირებული ცერემონიალის ნაწილი გახდა. მათ, როგორც ჩანს, შეიძინეს ზნეობრივი აზრი, რომელიც სავსებით, ან თითქმის სავსებით უგულებელყოფილი იყო რელიგიის ჰორიზონტზე მათი გამოჩენისას. ეს გასაგები ხდება მსოფლიოს განვითარებულ რელიგიებში განწმენდის წესების მიმოხილვიდან. ამ მიზნით განვიხილოთ ამერიკის ორი ნახევრად ცივილიზებული ხალხის სათანადო წეს-ჩვეულებები. მართალია, მათ არ მოუხდენიათ პრაქტიკული ზეგავლენა ცივილიზაციის განვითარებაზე, მაგრამ კულტურის გარდამავალი მდგომარეობის კარგ მაგალითს წარმოადგენენ.

პერუს რელიგიაში განწმენდის წეს-ჩვეულება საინტერესო და თავისებურია. ბავშვის დაბადების დღეს წყალს, რომლითაც ის განიბანა, ქურუმის ან გრძნეულის შელოცვების თანხლებით ორმოში ასხამენ. ეს არის ბოროტი გავლენებისაგან რიტუალური განწმენდის მარჯვე მაგალითი. ბავშვისთვის სახელის დარქმევასაც, ჩვეულებრივ, თან ახლდა რიტუალური განბანვა. ზოგ ადგილას, როცა ბავშვს ორი წელი შეუსრულდებოდა, ძუძუს აშორებდნენ, „ნათლავდნენ“, ქვის დანით კრეჭდნენ და სახელს არქმევდნენ. დღემდე პერუელი ინდიელები მონათვლისას ერთ ბღუჯა თმას ჭრიან. უძველეს პერუელებთან აღმოჩენილია მითითება, რომ განწმენდის აზრი ცოდვის მონანიებაა. მონანიების შემდეგ ინკა იბანავებდა მდინარეში და წარმოთქვამდა ამ ფორმულას: „მდინარევ, მიიღე ცოდვები, რომლებიც ვაღიარე დღეს მზის წინაშე, წაიღე ლაინი ზღვაში და ნურასოდეს დაბრუნდებიან!“

ძველ მექსიკაში რიტუალური განწმენდის პირველი აქტი შობისას სრულდებოდა. გამზრდელი წყლის ქალღმერთის სახელით განბანდა ბავშვს, შეუბერავდა წყალს, ისევე განბანდა ბავშვს, რომელიც მარჯვენა ხელით ეჭავა, და შეულოცავდა ცდუნების, უბედურებისა და ცხოვრების სირთულეების დასაძლევად. ამასთან ერთად იგი ეეედრებოდა უხილავ ღმერთს განეწმინდა ბავშვი ცოდვებისაგან და დაეცვა უბედურებისაგან. ცერემონიალის მეორე აქტი სრულდებოდა ოთხი დღის შემდეგ, თუ არ გადაიდებოდა ასტროლოგების რჩევით. სახელის შეკრებაზე, კოცონებს შორის, რომლებიც პირველი ცერემონიალის შემდეგ ენთო, გამზრდელი გახდიდა ბავშვს, ღმერთმა რომ ბოროტებისა და მწუხარების საუფლოში გამოგზავნა მიმართავდა საგანგებო ლოცვებით და სთხოვდა სათნოებასა და კეთილდღეობას. ამ დროს ბავშვს, მისი სქესის გათვალისწინებით, ხელში აძლევდნენ სათამაშო საომარ, სახელოსნო და საოჯახო იარაღებს, სხვა ბავშვები კი მშობლების დარიგებით ახალ ამხანაგს არქმევდნენ ბავშვურ სახელს, რომელიც შომწიფებისას სხვა სახელით იცვლებოდა. აღნიშნავენ, რომ ბავშვს ამ დროს ოთხჯერ გაატარებდნენ ცეცხლში, თუმცა ეს ცნობები არ არის შთლად სანდო.

განბანვას რელიგიური ხასიათი ჰქონდა მექსიკაში, რაც იმით მტკიცდება, რომ იგი შეადგენდა ქურუმების ყოველდღიური მოვალეობის ნაწილს.

რიტუალური განწმენდა ხშირად გვხვდება აღმოსავლეთ და შუა აზიის ხალხებშიც, მაგრამ ეთნოგრაფს უჭირს გაარკვიოს ადგილობრივია ეს ადათი, თუ უცხო რელიგიური სისტემებიდან არის გადმოღებული. მაგალითად: იაპონიაში — წყლით პკურება და სახელდება ბავშვისა ერთი თვის ასაკში; ჩინეთში — რელიგიური ცერემონიალი სამი დღის ბავშვის პირველი განბანვის დროს, ბირმაში — მშობიარის ცეცხლით განწმენდა და წყლის პკურების ყოველწლიური დღესასწაული.

რაც შეეხება ბუდიზმს, კერძოდ, ლამაიზმს, ტიბეტელები და მონღოლები ბავშვს განწმენდენ დაბადებიდან სამი დღის შემდეგ. ლამა აკურთხებს წყალს, სამჯერ ჩასვამს მასში ბავშვს და არქმევს სახელს. ბურიატიაში კურთხევა ხდება სამჯერადი განბანვით. ტიბეტში დაკრძალვიდან დაბრუნების შემდეგ ცერემონიალის მონაწილენი დგებიან ცეცხლის წინ, აღმოდებულ ნაკვერჩხლებზე ხელებს თბილი წყლით იბანენ, თავს კვამლით იხრჩოლებენ და სათანადო ფორმულებს წარმოთქვამენ.

ტიბეტელებისა და მონღოლების ბავშვის „მონათვლის“ წეს-ჩვეულებებს შეიძლება შეეუდაროთ ევროპაში მათი მონათესავე ზოგი ხალხის შესატყვისი ადათები. ლაპარებს თავიანთ ნახევრად ქრისტიანულ მდგომარეობაში მონათვლის ასეთი წესი ჰქონდათ: ბავშვს სამჯერადი პკურებისა და წყლით განბანვის შემდეგ სახელს არქმევდნენ. წყალში დებდნენ თითქოსდა მისტიური ძალის მქონე მურყნის ტოტებს. ეს ცერემონიალი, რომელსაც ლაუგო ერქვა, რამდენჯერმე მეორდებოდა და გაგებული იყო როგორც ადგილობრივი ჩვეულება, სრულიად განსხვავებული ქრისტიანული მონათვლისაგან, რომელსაც ლაპარები ასევე მიმდევდნენ.

ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ორივე, ცენტრალური აზიისა და ჩრდილოეთ ევროპის, ადათის უმარტივესი განმარტება შეიძლება ის იყოს, რომ ისინი წარმოადგენენ ქრისტიანობის მიბაძვას, რომელმაც შექმნა სრულიად ახალი წეს-ჩვეულება, ან სახე უცვალა ძველს.

სხვა აზიურ ქვეყნებში განწმენდა უფრო ერთიანი და თავისებური რელიგიური პროცესია. ბრაჰმანის სიცოცხლე აღსავსეა რიტუალური განწმენდებით.

განწმენდა მისი ამ ქვეყნად მოვლინების დღიდან მოხუცებულობამდე გრძელდება ხან განბანვის, როგორც ყოველდღიური რელიგიური ყოფის შემადგენელი ნაწილის, ხან განბანვისა და პკურების, როგორც სადღესასწაულო რელიგიური აქტის თანმხლები ატრიბუტის სახით, და სრულდება მაშინ, როდესაც მისი დაკრძალვიდან დაბრუნებული ადამიანები წყლით განიწმენდენ თავს მის ნეშტთან შეხების გამო. აღსანიშნავია, რომ თავის მრავალფეროვან განწმენდებში ინდუსი იყენებს წმინდა ძროხის შარდსაც, მაგრამ სხეულისა და სულის განსაწმენდად ყველაზე მეტად წყალი გამოიყენება.

ფარსების რელიგია აწესებს განწმენდის მთელ სისტემას, რომლის სახეობენ ინდუსების შესატყვის წეს-ჩვეულებებთან წყლისა და შარდის თანაბრად გამოყენებაში ვლინდება. წყალში შესვლა, წყლის პკურება და სხვ. წარმოადგენს ყოველდღიური რელიგიური რიტუალის ნაწილს. მას მიმართავენ საგანგებო შემთხვევებშიც, მაგალითად, ახალშობილის სახელდებისას, მშობიარის და აგრეთვე იმ პირის განწმენდისას, რომელიც გვამს შეეხო. მაშინ ნაკურთხი წყლის პკურება ეშმას მთელ სხეულში, სახსრიდან სახსარში ერეკება, ვიდრე არ აიძულებს ისარივით გამოიფრქვა მარცხენა ფეხის ცერიდან.

თანამედროვე ირანელებს ეს ცერემონიალები უკიდურესობამდე მიჰყავთ, ანაც უფრო წინაპართა ადათების ერთგულებით აიხსნება, ვიდრე ისლამის მოთხოვნებით. რიტუალური განწმენდის პრინციპებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით ღვთისმოსავი ადამიანი დაიბანს თავლებს, თუ ის ნეწმინდური გახდა ურწმუნოს ხელის გამო. მას მუდამ თან დაიქვს წყალი განბანვისათვის. ამავე დროს სპარსეთში ხალხი იხოცება ჰიგიენის ელემენტარული მოთხოვნების დაუცველობის გამო. თუ ღვთისმოსავი ადამიანი მოხვდება პატარა გზებურასთან, ის ხელით გადაწმენდს ლაფს, ჩაწვება წყალში და თვლის, რომ რიტუალურად განწმენდილია.

განწმენდის არიულ ადათებს აზიის რელიგიებში შეიძლება დაუპირისპირდეს კლასიკური ევროპის რელიგიების ცნობილი წეს-ჩვეულებები. ბერძნებთან ბავშვის დაბადებიდან დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ ქალი, რომელიც მშობიარეს ეხმარებოდა, ხელებს იბანდა, ხოლო გამზრდელი ბავშვს ცეცხლის გარშემო შემოატარებდა. ამავე დროს ბავშვს არქმევდნენ სახელს. რომაელებთან ბავშვი დაახლოებით ამავე ასაკში განწმინდებოდა და იღებდა პირველ სახელს. ამასთან გამზრდელი ნერწყვით უსველებდა ბაგეებსა და შუბლს.

განბანვა რელიგიური თაყვანისცემის აქტის წინ ყოველ დროში შეადგენდა ბერძნული და რომაული რიტუალის შემადგენელ ნაწილს. წყლისა და მარილის ნაზავი, ჯუჯელი ნაკურთხი წყლით ტაძრების შესასვლელში და ფუნჯი მორწმუნეთა პკურებისათვის ანტიკური რიტუალის მოუცილებელი ატრიბუტია.

რომაელები, მათი ნახირი და მინდვრები ავადმყოფობისა და სხვა უსიამოვნებისაგან განიწმინდებოდა სპეციალური ცერემონიალებით. რომლებიც ახლოს დგას ცეცხლითა და წყლით განწმენდის რიტუალთან. მწყემსებისა და ნახირის ცეცხლში გატარება, დაფნის ტოტებით წყლის პკურება, სურნელოვანი ბალახითა და გოგირდით ხრჩოლება მიწათმოქმედთა დღესასწაულის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა.

რიტუალურ განწმენდას სისხლის დაღვრაც მოითხოვდა. ჰექტორს ეშინია დაუბანელი ხელებით ზეადაშეს შეწირვისა და, სისხლით გასვრილი, ლოცვას

აღავლენს ღრუბლებში გახვეული ზეცის მიმართ. ეზეოსი ვერ ბედავს ხელით შეეხოს შინაურ ღვთაებებს, ვიდრე არ განიწმინდება ცხოველმყოფელ ნაკადში. ოვიდიუსი ძალიან უნდა ამაღლებულიყო, რომ გაეკიცხა თავისი თავქარიანი თანამემამულები, რომელთაც წარმოედგინათ, თითქოს წყალს მართლაც შეუძლია სისხლიანი დანაშაულის ჩამორეცხვა.

მიცვალებულის ნათესავებიც უნდა განწმენდილიყვნენ მიცვალებულით გამოწვეული შებღალვისაგან. ბერძნები იმ სახლთან, სადაც მიცვალებული ესვენა, დგამდნენ წყლის ჭურჭელს, რათა სახლში შემსვლელებს შესძლებოდათ წყალი ეპკურებინათ და განწმენდილიყვნენ. რომაელებთან დაკრძალვიდან დაბრუნებული პიროვნება თავს ორმაგი განწმენდით განიწმენდდა: წყლის პკურებით და ცეცხლზე გადაბიჯებით.

განწმენდა, რომელსაც ძველი აღთქმა გვასწავლის, ეხება ისეთ შემთხვევებს, როგორიც არის მშობიარობა, სიკვდილი და წაბილწვის თუ შებღალვის კანონით გათვალისწინებული სხვა მიზეზები. განწმენდა ხდება განბანვით აგრეთვე ნაცარგარეული წყლის პკურებით. განწმენდა აგრეთვე იყო ქურუმის საღვთისმსახურო მოვალეობის შემადგენელი ნაწილი. მის გარეშე არც ტაძარში შესვლა შეეძლო და არც საკურთხეველთან მსახურება. ებრაელთა ისტორიის მომდევნო პერიოდებში, შესაძლოა იმ ხალხებთან ურთიერთობის შედეგად, რომელთათვისაც განწმენდა ყოველდღიური ყოფის ნაწილად იქცა, ცერემონიალური განწმენდა ძალზე გამრავალფეროვანდა. როგორც ჩანს, ამ პერიოდში წარმოიშვა ცერემონიალი, რომელმაც შემდგომში ესოდენ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქრისტიანობაში. ეს არის ახლადმოქცეულთა ზონათვლის წეს-ჩვეულება.

მუსულმანები წყლით განიწმინდებიან, ხოლო უწყლობის შემთხვევაში — მტვრით ან ქვიშით. ლოცვის წინ განწმენდა ნაწილობრივ სრულდება, ხოლო ცნობილ დღეებში შებღალვის (წაბილწვის) გარკვეული ფორმებისაგან გასათავისუფლებლად — მთლიანად, ე. ი. მთელი სხეულის განბანვით. ამ ადათებს მკაცრად რელიგიური დანიშნულება აქვთ. ისინი აღმოსავლეთის გაბატონებულ წეს-ჩვეულებებს განეკუთვნებიან და რა სახითაც ისლამში ფიგურირებენ, ვერ ჩაითვლებიან იუდაიზმისა თუ ქრისტიანობისაგან ნასესხებად. ხოლო ქრისტიანული განწმენდის წეს-ჩვეულებები განვითარდა იუდეური და წარმართული ადათების შერწყმის გზით.

ცეცხლით განწმენდა, როგორც ადათი, მხოლოდ ზოგ ნაკლებად ცნობილ ქრისტიანულ სექტაში არსებობდა. გარდა ამისა, ევროპაში იცნობდნენ ბავშვების ცეცხლზე გადაყვანის ჩვეულებას. მაგრამ ძნელია დაბეჯითებით ითქვას, არის ეს განწმენდის, თუ მსხვერპლშეწირვის ჩვეულება.

განწმენდის უმთავრეს საშუალებად წყალი ითვლებოდა. ნაკურთხი წყალი ფართოდ გამოიყენებოდა როგორც ბერძნულ, ისე რომაულ ეკლესიაში. მისი მეშვეობით თითქოს ღვთის წყალობა გადმოდის ტაძარში შემავალ მორწმუნეზე. ის განკურნავს სნეულებებს, გათვალავს არიდებს ადამიანებსა და საქონელს, განაძევებს დემონებსა და ეშმაკეულებს, აჩერებს სპირიტის კალამს. წყლით პკურებისას სპირიტების მოძრავი მაგიდები ადედელს ენარცხება. ასეთია ძალა, რომელიც წყალს მიუწერება. ზოგი განსაკუთრებით ფანტასტიკური სასწაული ამ ცოტა ხნის წინათ პაპის სანქციით იქნა დამოწმებული. ნაკურთხი წყლით განწმენდა ისე აშკარად და სრულად აგრძელებს უძველეს კლასიკურ რელიგიურ ტრადიციას, რომ განწმენდის ქრისტიანული და წარმართული ადათების მსგავსების ახსნისას ქრისტიანი აპოლოგეტები ეჭვიანობენ. სატანამ ეს

ადათი ქრისტიანებს ხომ არ მოჰპარია თავისი ბოროტი მიზნების განსახორციელებლად.

რელიგიური ცერემონიალების დასახელებული ჯგუფი ნაკლები სიცხადით იქნა განხილული მაღალგანვითარებული ხალხების რელიგიებში, ვიდრე ამავე ადათების თავდაპირველი ფორმები კულტურის დაბალ საფეხურებზე. ეს გარემოება წმინდა პრაქტიკულმა მოსაზრებამ განაპირობა, რაც კი არ ანელებს ადათის ისტორიული განხილვის ეთნოგრაფიულ მნიშვნელობას, არამედ პირიქით, აძლიერებს კიდეც მას. ადათის ყოველი ფორმა განვითარებისა და სახეცვლილების ყოველ ფაზაში თავისებურად ნათელყოფს შემკვიდრეობითობას, რომელიც არსებობს განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი ხალხების რელიგიურ შეხედულებებში. იგივე ფორმები გვიჩვენებენ, რაოდენ ძნელია განათლებული ადამიანისთვისაც კი შეიცნოს საკუთარი ქვეყნის ადათების არსი, თუკი მისთვის უცნობია ის აზრი, ხშირად ძალზე განსხვავებული, რომელსაც დებდნენ ამ ადათებში შორეული ქვეყნებისა და საუკუნეების, კულტურის სხვადასხვა საფეხურების წარმომადგენლები.

ფრ. ენგელსი

ენგელსი ფრიდრიხ (1820—1895) — მარქსიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საზოგადოებრივ მეცნიერებებში ისტორიული მატერიალიზმის ერთ-ერთი მამამთავარი.

ფ. ენგელსი დაიბადა პრუსიის სამეფოს რაინის პროვინციის ქალაქ ბარმენში. 1838 წელს, ოჯახური პირობების გამო, 18 წლის ფ. ენგელსი ბრემენის ერთ-ერთ ხავაკრო ფირმაში იწყებს ნოკრად მუშაობას. პარალელურად სწავლობს გიმნაზიაში და ეუფლება მეცნიერულ და პოლიტიკურ განათლებას. ახალგაზრდა ფ. ენგელსი ეცნობა იმდროინდელ ლიტერატურას, მონაწილეობს პოლიტიკურ და ლიტერატურულ დაჯგუფებებში.

იმ დროს გერმანიაში გაბატონებული იყო ჰეგელის ფილოსოფია და ფრ. ენგელსიც მხი მიმდევარი გახდა. იგი რევოლუციური დემოკრატიზმის პრინციპებიდან შეიბრძოლა ახალ შელინგიანურ იდეალისტურ ფილოსოფიას; ღრმა კრიტიკის საფუძველზე ფრ. ენგელსმა გამოავლინა საკუთარი მსოფლმხედველობა, როგორც რევოლუციონერ-დემოკრატმა. ეს მკაფიოდ გამოვლინდა 1841—1842 წლებში დაწერილ პამფლეტებში „შელინგი ჰეგელის შესახებ". „შელინგი და გამოცხადება" და სხვ.

1842 წელს, ბერლინში ცხოვრების დროს, ფრ. ენგელსი თანამშრომლობდა „რაინის გაზეთში", რომლის მთავარი რედაქტორი იყო კ. მარქსი. ამ დროს დაიწყო მათი გადასვლა იდეალიზმიდან მატერიალიზმისაკენ და რევოლუციური დემოკრატიზმიდან კომუნიზმისაკენ.

ამის შემდეგ ფრ. ენგელსი ცხოვრობს ინგლისში, ძირითადად მანჩესტერში, სადაც ეცნობა პროლეტარიატს და ხდება პროლეტარული რევოლუციონერი და მატერიალისტი. აქვე იწყებს მეცნიერული კომუნიზმის შემუშავებას, რასაც მოწმობს 1844 წელს „გერმანულ-ფრანგულ წელიწდეულში" გამოქვეყნებული მისი ნაშრომი „ნარკვევები პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის".

1844 წლის გაზაფხულზე, სამშობლოში დაბრუნებისას, იგი შეჩერდა პარიზში, სადაც მეორედ შეხვდა მარქსს. სწორედ აქედან იწყება მათი მეგობრობა და თანამშრომლობა. ამ დროის შესახებ ფრ. ენგელსი მოგვიანებით წერდა: „გამოირკვა ჩვენი სრული თანხმობა ყველა თეორიულ დარგში, ამ დროიდან იწყება ჩვენი ერთად მუშაობა". ახალი მსოფლმხედველობა — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი ამ დროსვე გადმოსცეს ორივემ პირველადი სახით 1844—1845 წლებში დაწერილ ერთობლივ ნაშრომში „წმინდა ოჯახი". მასში გატარებულია ის იდეა, რომ მხოლოდ პროლეტარიატია ერთადერთი კლასი, რომელსაც შეუძლია კერძო საკუთრების მოსპობა.

1844 წლის შემოდგომაზე ფრ. ენგელსი ცხოვრობდა ბარმენში და ეწეოდა სოციალიზმის პროპაგანდას. ამ დროს ეკუთვნის მისი შრომა „მუშათა კლა-

ხის მდგომარეობა ინგლისში“ (1845), რომელიც წარმოადგენს კომუნიზმის შეხაძლებლობის პირველი ფართო დასაბუთების ცდას.

1845 წლის ივნისში კ. მარქსი, როგორც საშიში რევოლუციონერი, საფრანგეთის მთავრობამ პარიზიდან გაასახლა და იგი საცხოვრებლად გადადის ბრიუსელში, სადაც მასთან ერთად ეს წლის შემოდგომაზე ჩადის ფრ. ენგელსი. აქ ისინი ქმნიან ერთობლივ ნაშრომს „გერმანული იდეოლოგია“ (1845—1846), რომელშიც მოცემულია ბრუნო ბაუერის, მაქს შტირნერის და „ჭეშმარიტი სოციალისტების“ იდეოლოგიის გამანადგურებელი კრიტიკა. ამ დროიდან კ. მარქსი და ფრ. ენგელსი საბოლოოდ უალიბდებიან მეცნიერული კომუნიზმის წარმომადგენლებად, რევოლუციური პროლეტარიატის ბელადებად და თეორეტიკოსებად.

1848 წლის აპრილში კ. მარქსი და ფრ. ენგელსი ბერლინში არიან, სადაც ხელმძღვანელობენ „ახალი რეინის გაზეთის“ (1850) გამოცემას. გაზეთის აკრძალვისა და კ. მარქსის პრუსიიდან გაძევების შემდეგ, ფრ. ენგელსი მონაწილეობას ღებულობს შეიარაღებულ სახალხო აჯანყებაში, მაგრამ მისი დამარცხების გამო გადადის ლონდონში.

1851—1852 წლებში ფრ. ენგელსი აქვეყნებს მრავალ სტატიას, რომლებშიც გაანალიზებულია საერთაშორისო პოლიტიკური ცხოვრების საკითხები. აქვე პირველად გადმოსცა მან ომების ისტორიისა და თეორიის მატერიალისტური კონცეფცია.

XIX ს-ის 40-იან წლებში იწყება მუშათა მოძრაობის გამოცოცხლება. მისი შედეგი იყო მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის — I ინტერნაციონალის ჩამოყალიბება, რაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს კ. მარქსმა და ფრ. ენგელსმა.

70—80-იან წლებში ფრ. ენგელსმა გამოაქვეყნა მარქსიზმის მთელი რიგი ფუძემდებლური შრომები, რომლებშიც დაამუშავა ფილოსოფიის, ბუნებისმეცნიერებისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ურთულესი პრობლემები, მწყობრი სახით გადმოსცა და განავითარა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიისა და მეცნიერული სოციალიზმის ძირითადი პრინციპები. ეს ნაშრომებია: „ანტი-დიურინგი“, „ბუნების დიალექტიკა“, „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“, „ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული“ და სხვ.

1883 წელს კ. მარქსის გარდაცვალების შემდეგ ფრ. ენგელსი ეწეოდა გიგანტურ შრომას ინტერნაციონალში, იცავდა კ. მარქსის მოძღვრებას ვულგარიზატორებისაგან, რომლებსაც ეს მოძღვრება ეკონომიკურ მატერიალიზმამდე დაპყავდათ. ფრ. ენგელსმა უდიდესი მუშაობა გასწია კ. მარქსის „კაპიტალის“ II და III ტომების გამოსაცემად, რომლის დამთავრება კ. მარქსმა ვერ მოასწრო.

თავის უკანასკნელ სტატიებსა და წერილებში ფრ. ენგელსი ებრძოდა რევიზიონისტებს, რომლებიც ამახინჯებდნენ მარქსიზმის მთავარ დებულებას — მოძღვრებას პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, ამხილებდა რეფორმიზმის მომხრეებს მუშათა მოძრაობაში.

დაძაბული თეორიული და პრაქტიკული მუშაობის შედეგად ფრ. ენგელსის ჯანმრთელობა 1894 წელს სერიოზულად გაუარესდა. 1895 წლის 5 აგვისტოს იგი გარდაიცვალა. ფრ. ენგელსის ხურვილის თანახმად ურნა მისი ფერფლით ჩრდილოეთის ზღვაში ჩაუშვეს ინგლისის ქალაქ ისტბორნის მახლობლად.

განსაკუთრებით ბევრი გააკეთა ფ. ენგელსმა პირველყოფილი საზოგადოების ისტორიის შესწავლაში. 1870 წელს ძველისლანდიური კანონების და სხვა მასალის ანალიზის შედეგად მან დაადგინა პოლიგამიის უნივერსალური ბუნება პირველყოფილ ხალხებში და გვაროვნული ურთიერთობების განსაკუთრებული მნიშვნელობა მათ საზოგადოებრივ ყოფაში.

ქრესტომათიაში წარმოდგენილია ერთი თავი ფრ. ენგელსის ნაშრომიდან „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა". ამ ნაშრომში ფრ. ენგელსმა მოახდინა სინთეზირება მასალისა ლ. მორგანის წიგნის „ძველი საზოგადოება" (1877), კ. მარქსის შენიშვნებისა ამ წიგნზე და, აქვე, საკუთარი კვლევა-ძიებების შედეგებისა და ჩამოაყალიბა მატერიალისტური შეხედულებები კაცობრიობის პირველყოფილი ისტორიის შესახებ.

ფ. ენგელსის მიერ დასტატული ხურათი პირველყოფილი საზოგადოებისა, მართალია, მოძველდა ზოგიერთ დეტალებში შემდგომი კვლევა-ძიებების შედეგად, მაგრამ მისი ძირითადი დებულებები პირველყოფილი წყობის სოციალური სტრუქტურისა და ევოლუციის შესახებ, კერძოდ, მისი მოსაზრებები პირველყოფილი წყობის განვითარების წინაგვაროვნული და გვაროვნული სტადიების შესახებ, პირველყოფილი — კომუნისტური საოჯახო მეურნეობის, როგორც მისი ეკონომიკური საფუძვლის შესახებ, ოჯახის ევოლუციის შესახებ ჯგუფური ქორწინებიდან წყვილადი ოჯახისა და მონოგამიისაკენ, თავდაპირველი მატრიარქალური გვაროვნული ურთიერთობების პატრიარქალურისაკენ გადასვლის შესახებ, — მთლიანად იქნა შენარჩუნებული ისტორიული მატერიალიზმის მიმდევართა მიერ და წარმოადგენდა ამოსავალ ქვაკუთხედს საბჭოური ისტორიოგრაფიისათვის.

უფრო მეტიც, დღესაც შენარჩუნებული აქვს თავისი მნიშვნელობა ძველი საბერძნეთის, ძველი რომის, კელტების, გერმანელებისა და სხვა ხალხების ისტორიის ცალკეული ფაქტების ფრ. ენგელსისეულ ანალიზს პირველყოფილი თემური წყობილების დაშლის პროცესის, კერძო საკუთრების წარმოშობის, გაცვლის, ქონებრივი უთანასწორობის, კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ და იგი აღიარებულია არა მარტო მარქსიზმის მიმდევართა შრომებში.

ქრესტომათიაში წარმოდგენილია IV თავი („ბერძნული გვარი") ფრ. ენგელსის ნაშრომიდან „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა". მასში ავტორი თანმიმდევრულად განიხილავს ბერძნული გვარისათვის დამახასიათებელ შემდეგ ნიშნებს: წარმოშობა ითვლება მამის უფლების მიხედვით, დაქორწინების აკრძალვა გვარის შიგნით, უფლება გვარის მიერ უცხო პირის შვილად აყვანისა, უხუცესთა არჩევის და გადაყენების უფლება და სხვა.

ბიბლიოგრაფია

ფრ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ., 1978.

ლიტერატურა

1) Степанова Е. А., Фридрих Энгельс, М., 1956.
2) Фридрих Энгельс. Биография, М., 1970.
3) კალანდარიშვილი, ვ., ენგელსი, ქსე, 4, 1979, გვ. 148—149.

ბერძნული გვარი*

ბერძნები, ისევე როგორც პელაზგები და სხვა თვისტომი ხალხები, უკვე წინაისტორიული ხანიდან იყვნენ ორგანიზებულნი იმავე ორგანული რიგის მსგავსად, როგორც ამერიკელები: გვარი, ფრატრია, ტომი, ტომების კავშირი. ფრატრია შეიძლებოდა არ არსებულიყო, როგორც ეს დორიელებში იყო, ტომების კავშირი შესაძლოა ყველგან არ ყოფილიყო განვითარებული, მაგრამ ყველა შემთხვევაში გვარი ძირითად უჯრედს წარმოადგენდა. იმ ხანაში, როცა ბერძნები ისტორიულ არენაზე გამოდიან, ისინი ცივილიზაციის მიჯნაზე დგანან; მათსა და იმ ამერიკელ ტომებს შორის, რომელთა შესახებ ზემოთ იყო საუბარი, განვითარების თითქმის ორი დიდი პერიოდი ძევს, რომლითაც გმირული ეპოქის ბერძნები ირიკეზებს წინ უსწრებენ. ამიტომაც ბერძენთა გვარი უკვე სრულიადაც აღარაა ირიკეზების არქაული გვარი, ჯგუფობრივი ცოლქმრობის კვალი უკვე შესამჩნევადაა წაშლილი. დედის უფლება ადგილს უთმობს მამის უფლებას; და ამით აღმავლობის გზით მიმავალმა კერძო სიმდიდრემ თავისი პირველი იერიში მიიტანა გვაროვნული წყობილების დასანგრევად. მეორე იერიში ბუნებრივი შედეგი იყო პირველისა: რადგან მამის უფლების შემოღების შემდეგ მდიდარი მემკვიდრე ქალის ქონება მისი გათხოვების გამო მისი ქმრის, მაშასადამე, სხვა გვარის ხელში გადავიდოდა, ამიტომ დაანგრიეს მთელი გვაროვნული სამართლის საფუძველი და ახალგაზრდა ქალს არა მარტო ნება დართეს, რომ იგი თავის გვარშივე გათხოვილიყო, არამედ ასეთი შემთხვევისათვის ს ა ვ ა ლ დ ებ უ ლ ო დ ა ც გახადეს, რათა ამ გზით გვარისათვის მისი ქონება შეენარჩუნებინათ.

გროტეს საბერძნეთის ისტორიის მიხედვით, ათენურ გვარს, კერძოდ, აკავშირებდა შემდეგი საფუძველი:

1. საერთო რელიგიური დღესასწაულები და ქურუმების განსაკუთრებული უფლება — შეესრულებინათ საღმრთო წეს-ჩვეულებანი იმ გარკვეული ღმერთის — გვარის ნაკარაუდევი მამამთავრის — პატივსაცემად, რომელიც, როგორც ასეთი, საგანგებო მეტსახელს ატარებდა.

2. საერთო სასაფლაო (შად. დემოსთენეს „ევბულიდები").

3. თანაზიარი მემკვიდრეობის უფლება.

4. ძალადობის შემთხვევაში ერთმანეთისათვის დახმარების, დაცვისა და მხარდაჭერის ურთიერთვალდებულება.

5. თანაზიარი უფლება და მოვალეობა გარკვეულ შემთხვევებში გვარის წევრთან შეუღლებისა, განსაკუთრებით როცა საქმე ობოლ ქალიშვილებს ან მემკვიდრე ქალებს შეეხებოდა.

---

* წაგნიდან: ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ., 1978, გვ. 100—109.

6. მფლობელობა, ზოგიერთ შემთხვევებში მაინც, საერთო საკუთრებისა, საკუთარი არქონტით (გამგებლით) და ხაზინადარით.

შემდეგ რამდენიმე გვარი ერთიანდებოდა ფრატრიად, თუმცა მათი დაკავშირება ნაკლებად მჭიდრო იყო; მაგრამ აქაც ჩვენ ვხედავთ მსგავსივე სახის თანაზიარ უფლებებსა და მოვალეობებს, განსაკუთრებით გარკვეული რელიგიური ცერემონიების ერთობლივ შესრულებას და დევნის უფლებას ფრატრიის წევრის მკვლელობის შემთხვევაში. ერთ ტომში შემავალ ყველა ფრატრიას, თავის მხრივ, საერთო საღმრთო დღესასწაულები ჰქონდა, რომლებიც რეგულარულად მეორდებოდა; ეს დღესასწაულები ტარდებოდა კეთილშობილთა (ევპატრიდთა) წრიდან არჩეული ფილობასილევსის — (ტომის უხუცესის) თავმჯდომარეობით.

ასე ლაპარაკობს გროტე. მარქსი კი შენიშნავს: „მაგრამ ბერძნულ გვარშიც აშკარად გამოიყურება ველური (მაგალითად, იროკეზი)“. მას კიდევ უფრო ნათლად დავინახავთ, თუ ჩვენს გამოკვლევას განვაგრძობთ.

სახელდობრ, ბერძნული გვარის დამახასიათებელია კიდევ შემდეგი ნიშნები:

7. წარმოშობა ითვლება მამის უფლების მიხედვით.

8. დაქორწინების აკრძალვა გვარის შიგნით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დასაქორწინებელი ქალი მემკვიდრეა. ეს გამონაკლისი და მისი ფორმულირება კანონის სახით ადასტურებს, რომ ძველი წესი ჯერ კიდევ ძალაში იყო. ეს გამომდინარეობს აგრეთვე იმ საყოველთაოდ სავალდებულო წესიდან, რომ ქალი, როცა თხოვდებოდა, უარს ამბობდა თავისი გვარის რელიგიურ წეს-ჩვეულებებზე და გადადიოდა თავისი ქმრის რელიგიურ წეს-ჩვეულებებზე, რომლის ფრატრიაშიც იგი ეწერებოდა. ამის მიხედვით, და ასევე დიკეარქუსის ერთი ცნობილი ადგილის თანახმად, შეუღლება სხვა გვარის წევრებთან ჩვეულებრივი წესი იყო, ხოლო ბეკერი „ხარიკლში“ პირდაპირ ამბობს, არავინ ჰქონდა უფლება თავისი გვარის წევრებს შეუღლებოდაო.

9. უფლება გვარის მიერ უცხო პირის შვილად აყვანისა; ეს უფლება ხორციელდებოდა იმ გზით, რომ ამ პირს ოჯახი იშვილებდა ხოლმე, მაგრამ საჯარო ფორმალობათა დაცვით და მხოლოდ გამონაკლისის სახით.

10. უხუცესთა არჩევისა და გადაყენების უფლება. ყოველ გვარს რომ თავისი არქონტი ჰყავდა, ეს ჩვენთვის ცნობილია. იმის შესახებ კი, რომ ეს თანამდებობა გარკვეულ ოჯახებში მემკვიდრეობით გადადიოდაო, არსად არაფერია ნათქვამი. მუდამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ბარბაროსობის ეპოქის დასასრულამდე არ იყო მტკიცედ დაცული თანამდებობათა მემკვიდრეობით გადაცემა, რომელიც სრულიად შეუთავსებელია იმ წეს-წყობილებასთან, როცა მდიდრებსა და ღარიბებს გვარის ფარგლებში სრულიად თანასწორი უფლებები ჰქონდათ.

არა მარტო გროტემ, არამედ ნიბურმაც, მომზენმაც და კლასიკური ეპოქის ყველა სხვა ისტორიკოსმაც დღემდე ვერ გაარკვეს თავი გვარის საკითხს. მართალია, მათ გვარის მრავალი ნიშანი სრულიად მართებულად აღნიშნეს, მაგრამ გვარში ისინი მუდამ ხედავდნენ ოჯახთა ჯგუფს და ამის გამო მათთვის შეუძლებელი იყო გვარის ბუნებისა და წარმოშობის გაგება. გვაროვნული წყობილების პირობებში ოჯახი არასოდეს არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ორგანიზაციული უჯრედი, რადგან ქმარი და ცოლი აუცილებლად ორ სხვადასხვა გვარს ეკუთვნოდნენ. გვარი მთლიანად შედიოდა ფრატრიაში, ფრატრია — ტომში. ოჯახი სანახევროდ ქმრის გვარში შედიოდა, სანახევროდ კი — ცოლის გვარში. არც სახელმწიფოს საჯარო სამართალი

სცნობს ოჯახს; დღემდე ოჯახი მხოლოდ სამოქალაქო სამართლისათვის არსებობს. მიუხედავად ამისა, მთელი ჩვენი ისტორიული მეცნიერება დღემდე მ უაზრო ვარაუდიდან გამოდის, რომელიც განსაკუთრებით XVIII საუკუნეში გახდა უცილობელი და რომელიც ამბობს, მონოგამიური ინდივიდუალური ოჯახი, რომელიც საეჭვოა ცივილიზაციაზე უფრო ხნიერი იყოს, ის ბირთვია, რომლის გარშემო საზოგადოებისა და სახელმწიფოს თანდათანობითი კრისტალიზება მოხდაო.

„ბატონ გროტეს უნდა შევნიშნოთ, — უმატებს მარქსი, — რომ თუმცა ბერძნებს თავიანთი გვარები მითოლოგიიდან გამოჰყავდათ, მაგრამ ეს გვარები უფრო ხნიერი არიან, ვიდრე თვით მათ მიერვე შექმნილი მითოლოგია თავისი ღმერთებითა და ნახევარღმერთებით“.

მორგანი ხშირად იმოწმებს გროტეს, რადგან იგი ავტორიტეტული და თანაც სრულიად საიმედო მოწმეა. გროტე მოგვითხრობს შემდეგ, რომ თითოეული გვარი ათენში იმ სახელს ატარებდა, რომელიც მას ნაგულისხმევი მამამთავრიდან გადმოეცემოდა, რომ სოლონამდე საერთოდ, და სოლონის შემდეგაც, როცა ანდერძი არ არსებობდა, — მიცვალებულის მოგვარეები (gennêtes), მის ქონებას მემკვიდრეობით ღებულობდნენ და მკვლელობის შემთხვევაში პირველად მოკლულის ნათესავების, შემდეგ დანარჩენი მოგვარეების, და, ბოლოს, ფრატრიის წევრების უფლებასა და მოვალეობას შეადგენდა დამნაშავის დევნა სასამართლოს წესით. „ყოველივე ის, რაც ჩვენ უძველესი ათენური კანონების შესახებ ვიცით, გვარებად და ფრატრიებად დანაწილებაზეა დაფუძნებული“.

საერთო წინაპრებისაგან გვარის წარმოშობის ახსნა „სკოლაში განსწავლული ფილისტერებისათვის“ (მარქსი) თავსამტვრევი საკითხი იყო; რადგან ისინი, რა თქმა უნდა, ამ წინაპრებს წმინდა მითად თვლიან, მათ პირდაპირ ვერასგზით ვერ აუხსნიათ, თუ როგორ წარმოიშვა გვარი განცალკეებული ოჯახებისაგან, რომელნიც თავდაპირველად ერთმანეთის ნათესავებიც კი არ იყვნენ, ამასთანავე კი ამ ამოცანის გადაწყვეტა საჭიროა იმისათვის, რათა ახსნილ იქნას მწოლოდ გვარის არსებობა. და აი, სიტყვების კორიანტელის მოჯადოებული წრიდან ისინი ვერ გასცილებიან შემდეგ დებულებას: მართალია, გენეალოგია მითია, მაგრამ გვარი არსებობს სინამდვილეში და, ბოლოს, გროტეს მიხედვით ვღებულობთ შემდეგს: (ფრჩხილებში მარქსის ჩანართია) „ამ გენეალოგიაზე ჩვენ იშვიათად თუ გვესმის რამე, იმიტომ რომ მას საჯაროდ მხოლოდ გარკვეული, განსაკუთრებულად საზეიმო შემთხვევებში იხსენიებენ. მაგრამ უფრო უმნიშვნელო გვარებსაც თავიანთი საერთო რელიგიური წეს-ჩვეულებანი ჰქონდათ (უცნაურია, ბ-ნო გროტე!), საერთო ზეადამიანური მამამთავარიც ჰყავდათ, საერთო გენეალოგიაც გააჩნდათ, სრულიად ისევე, როგორც უფრო სახელგანთქმულ გვარებს (რა ძალიან უცნაური ამბავია ყოველივე ეს, ბატონო გროტე, უფრო უმნიშვნელო გვარებისათვის!); ძირითადი გეგმა და იდეალური საფუძველი (მოწყალეო ხელმწიფეე, არა იდეალური, არამედ კარნალური, უბრალოდ — ხორციელი!) ერთნაირი იყო ყველა გვარისათვის“.

მორგანის პასუხს ამ საკითხზე მარქსი დასკვნის სახით შემდეგნაირად გადმოსცემს: „სისხლით ნათესაობის სისტემა, რომელიც გვარის პირველყოფილ ფორმას შეესაბამება, — ბერძნებს კი, სხვა მოკვდავთა მსგავსად, ეს ფორმა ოდესღაც ჰქონდათ, — უზრუნველყოფდა გვარების წევრთა ერთმანეთს შორის ნათესაურ ურთიერთობათა ცოდნას. ისინი ბავშვობიდანვე პრაქტიკულად

ითვისებდნენ ამ მათთვის უაღრესად მნიშვნელოვან ცოდნას. მონოგამიური ოჯახის წარმოშობისთანავე ყოველივე ეს დავიწყებას მიეცა. გვარის სახელწოდება ქმნიდა ისეთ გენეალოგიას, რომლის გვერდით ცალკეული ოჯახის გენეალოგია უმნიშვნელოდ მოჩანდა. ამიერიდან ამ სახელწოდებას უნდა დაედასტურებინა მის მატარებელთა საერთო წარმოშობის ფაქტი; მაგრამ გვარის გენეალოგია ისე შორს მიდიოდა დროთა სიღრმეში, რომ მის წევრებს უკვე აღარ შეეძლოთ თავიანთი ნამდვილი ნათესაობის დამტკიცება, გარდა მცირეოდენი შემთხვევებისა, როცა მათ უფრო უახლოესი საერთო წინაპრები ჰყავდათ. თვით სახელწოდება საერთო წარმოშობის დამამტკიცებელი საბუთი იყო და თანაც უდავო დამამტკიცებელი საბუთი, თუ არ ჩავთვლით შვილად აყვანის შემთხვევებს. პირიქით, ფაქტიური უარყოფა ყოველგვარი ნათესაობისა გვარის წევრთა შორის, როგორც ამას გროტე და ნიბური ჩადიან, უარყოფა, რომელიც გვარს წმინდა გამონაგონისა და პოეტური შემოქმედების ნაყოფად აქცევს, ღირსია „იდეალური", ე. ი. კაბინეტში ჩაკეტილი მწიგნობარი სწავლულებისა. რადგან თაობათა ურთიერთკავშირი, განსაკუთრებით მონოგამიის წარმოშობის შემდეგ, შორეულ წარსულში გადადის და განვლილი სინამდვილე მითოლოგიის ფანტასტიკურ გამოხატულებებში პოულობს თავის ასახვას, ამიტომ გულუბრყვილო ფილისტერებს დასკვნა გამოჰქონდათ და დღესაც გამოაქვთ, ნამდვილი გვარები ფანტასტიკურმა გენეალოგიამ შექმნაო".

ფრატრია, ისევე როგორც ამერიკელებში, წარმოადგენდა რამდენიმე ქალიშვილისეულ გვარად დანაწევრებულ დედაგვარს, რომელიც აერთიანებდა ამ გვარებს და რომელსაც ყველა ისინი ზშირად ჯერ კიდევ საერთო მამამთავრიდან გამოჰყავდა. მაგალითად, გროტეს მიხედვით, „ჰეკატეოსის ყველა წევრი — ასაკით ტოლნი — მეთექვსმეტე მუხლში ერთსა და იმავე ღმერთს აღიარებდა თავის მამამთავრად"; მაშასადამე, ამ ფრატრიის გვარები ყველანი ძმისეული გვარები იყვნენ ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ფრატრია ჯერ კიდევ ჰომეროსს ჰყავს გამოყვანილი სამხედრო ერთეულის სახით იმ ცნობილ ადგილას, სადაც ნესტორი აგამემნონს ურჩევს: „დააწყვე ადამიანები ტომებად და ფრატრიებად ისე, რომ ფრატრია ფრატრიას მიეშველოს, ტომი კი — ტომს". ფრატრიას, გარდა ამისა, უფლება ჰქონდა და ვალდებულიც იყო შური ეძია ფრატრიის წევრის მკვლელობისათვის; მაშასადამე, უფრო ადრინდელ ხანაში მას სისხლის აღების ვალდებულებაც ეკისრებოდა. შემდეგ, მას ჰქონდა საერთო სალოცავები და დღესასწაულები, და საერთოდ მთელი ბერძნული მითოლოგიის განვითარება ბუნების ძველარიული კულტიდან, რაც მან თან მოიტანა, არსებითად გაპირობებული იყო გვარებითა და ფრატრიებით და ამ უკანასკნელთა ფარგლებში ხდებოდა. შემდეგ, ფრატრიას ჰყავდა უხუცესი (ფრატრიარქი) და, დე კულანჟის მიხედვით, საერთო კრებებს იწვევდა. სავალდებულო გადაწყვეტილებებს ღებულობდა, მის ხელში იყო სასამართლო და ადმინისტრაციული ხელისუფლება. მერმინდელმა სახელმწიფომაც კი, რომელიც გვარს უგულებელყოფდა, ფრატრიას ადმინისტრაციული ხასიათის ზოგიერთი საზოგადოებრივი ფუნქცია დაუტოვა.

რამდენიმე მონათესავე ფრატრია შეადგენს ტომს. ატიკაში არსებობდა ოთხი ტომი, თითოეულ ტომში იყო სამ-სამი ფრატრია, ხოლო თითოეულ ფრატრიაში ოცდაათი გვარი შედიოდა. ჯგუფების ასეთი ზუსტი შემოფარგვლა გულისხმობს შეგნებულ და გეგმაშეწონილ ჩარევას სტიქიურად შექმნილ წყობილებაში. თუ როგორ, როდის და რატომ მოხდა ეს, — ამაზე საბერძნე-

თის ისტორია დუმს, ამაზე თვით ბერძნებსაც მხოლოდ გმირულ ეპოქამდე შერჩათ მოგონებანი.

განსხვავება ენის დიალექტთა შორის ბერძნებში, რომელნიც მჭიდროდ იყვნენ დასახლებულნი შედარებით პატარა ტერიტორიაზე, უფრო ნაკლებად იყო განვითარებული, ვიდრე ამერიკის უზარმაზარ ტყეებში გაფანტულ ტომებში; მაგრამ საბერძნეთშიც ჩვენ ვხედავთ, რომ ერთ დიდ ერთეულად გაერთიანებულნი არიან მხოლოდ ის ტომები, რომელნიც ერთსა და იმავე ძირითად დიალექტზე ლაპარაკობენ; პატარა ატიკაშიც კი ვხვდებით განსაკუთრებულ დიალექტს, რომელიც შემდეგში გაბატონდა, როგორც ბერძნული პროზის საყოველთაო ენა.

ჰომეროსის პოემებში ჩვენ ვხედავთ, რომ ბერძნული ტომები უმეტეს ნაწილად უკვე გაერთიანებული არიან პატარა ხალხებად, რომელთა ფარგლებშიც გვარები, ფრატრიები და ტომები მაინც ჯერ კიდევ მთლიანად ინარჩუნებენ თავიანთ დამოუკიდებლობას. ისინი უკვე გალავნით გამაგრებულ ქალაქებში ცხოვრობდნენ; მოსახლეობის რიცხვი იზრდებოდა ჯოგების გამრავლებასა, მიწათმოქმედების გაფართოებასა და ხელოსნობის წარმოშობასთან ერთად; ამასთან ერთად, იზრდებოდა ქონებრივი განსხვავებანი და ამასთან დაკავშირებული არისტოკრატიული ელემენტიც ძველი, ბუნებრივად აღმოცენებული დემოკრატიის შიგნით. ცალკეული ხალხები დაუსრულებელ ომებს აწარმოებდნენ ერთმანეთში საუკეთესო მიწის ნაკვეთების ხელში ჩასაგდებად და აგრეთვე, რა თქმა უნდა, ნადავლის მოსაპოვებლად; სამხედრო ტყვეების დამონება უკვე მიღებული წესი იყო.

ამ ტომებისა და ხალხების წეს-წყობილება ასეთი იყო:

1. ხელისუფლების მუდმივი ორგანო იყო **ს ა ბ ჭ ო**, **bulê**, რომელიც, თავდაპირველად, ეტყობა, გვარების უხუცესებისაგან შედგებოდა, ხოლო შემდეგში, როცა მათი რიცხვი შეტად გაიზარდა, — საგანგებოდ შერჩეული პირებისაგან; ასეთი შერჩევა კი არისტოკრატიული ელემენტის შექმნისა და გაძლიერების საბაბად იქცა; სწორედ ასეც გვიხატავს დიონისე გმირული ეპოქის საბჭოს, რომ იგი წარჩინებულთაგან (**kratistoi**) შედგებოდაო. საბჭოს გამოჰქონდა საბოლოო გადაწყვეტილება მნიშვნელოვან საკითხებზე, მაგალითად, ესქილეს ცნობის მიხედვით, თებელთა საბჭოს გამოაქვს არსებული სიტუაციის პირობებში გადამწყვეტი დადგენილება — ეთეოკლე პატივისცემით დაასაფლაონ, პოლინიკეს გვამი კი ძაღლებს გადაუგდონ შესაჭმელად. შემდეგში, როცა სახელმწიფო შეიქმნა, ეს საბჭო სენატად გადაიქცა.

2. **ს ა ხ ა ლ ხ ო კ რ ე ბ ა** (**agora**). იროკეზებში ჩვენ ვნახეთ, რომ ხალხი — მამაკაცები და დედაკაცები — გარს ეხვევა საბჭოს კრებას, მონაწილეობს დადგენილი წესრიგის მიხედვით საკითხების განხილვაში და, ამრიგად, საბჭოს კრების გადაწყვეტილებაზე გავლენას ახდენს. ჰომეროსის დროის ბერძნებში ეს „გარშემოხვევა“ („Umstand“), ძველი გერმანული სასამართლოს ტერმინი რომ ვიხმაროთ, უკვე ნამდვილ სახალხო კრებად განვითარდა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა აგრეთვე ძველ გერმანელებში. საბჭო კრებას იწვევდა მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად; ყოველ მამაკაცს შეეძლო სიტყვა აეღო. გადაწყვეტილების მიღება ხდებოდა ხელის აწევით (ესქილეს „მფარველების მთხოვნელნი“) ან შეძახილით. კრებას ეკუთვნოდა საბოლოო ინსტანციაში სუვერენული ხელისუფლება, რადგან, როგორც შემანი ამბობს („საბერძნეთის სიძველენი“), „როცა ლაპარაკია ისეთ საქმეზე, რომლის შესასრულებლად ხალხის დახმარებაა საჭირო, ჰომეროსი ვერ მიგვითითებს ვერც ერთ საშუა-

ლებაზე, რომელიც ხალხს თავისი სურვილის წინააღმდეგ ამას იძულებითი წესით გააკეთებინებს". ვინაიდან იმ ხანაში, როცა ყოველი სრულასაკოვანი მამაკაცი ტომში მეომრად ითვლებოდა, ჯერ კიდევ არ არსებობდა ხალხისაგან გამოცალკევებული საჯარო ხელისუფლება, რომელიც შეიძლებოდა მას დაპირისპირებოდა. პირველყოფილი დემოკრატია ჯერ კიდევ სრულ აყვავებას განიცდიდა და აქედან უნდა გამოვდიოდეთ, როცა მსჯელობა გვაქვს როგორც საბჭოს, ისე ბასილევსის ხელისუფლებასა და მდგომარეობაზე.

3. მ ხ ე დ ა რ თ მ თ ა ვ ა რ ი (basileus). მარქსი შენიშნავს ამის გამო: „ევროპის მეცნიერნი, რომელნიც მეტწილად სამეფო კარის ლაქიები არიან დაბადებიდანვე, ბასილევსს აქცევენ მონარქად, ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით. ამის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებს იანკი — რესპუბლიკელი მორგანი. იგი მეტად ირონიულად, მაგრამ სრულიად სამართლიანად ლაპარაკობს დაშაქრულ გლადსტონზე და მის „ქვეყნიერების სიკაბუკეზე": „ბატონი გლადსტონი გმირული ეპოქის ბერძენ სარდლებს გვიხატავს როგორც მეფეებსა და მთავრებს და თანაც უმატებს, ისინი ჯენტლმენებიც იყვნენო; მაგრამ თვითონვე იძულებულია აღიაროს: საერთოდ ჩვენ ვხედავთ, რომ პირმშოს მემკვიდრეობის უფლება მათს ზნე-ჩვეულებასა თუ კანონში თითქოს საკმაოდ, მაგრამ არც თუ ძალიან მკვეთრადაა გამოხატული", — უნდა ვიფიქროთ, თვით ბატონ გლადსტონსაც პირმშოს მემკვიდრეობის უფლება ისეთად მოეჩვენება, რომელიც საკმარისად, თუმცაღა არც ისე მკვეთრად, მოკლებულია ყოველგვარ მნიშვნელობას.

ჩვენ უკვე დავინახეთ, როგორი მდგომარეობა იყო უხუცესთა ხელისუფლების მემკვიდრეობით გადაცემის მხრივ ირიკეზებსა და სხვა ინდიელებში. ყველა თანამდებობა არჩევითი იყო უმეტესწილად გვარის შიგნით და ამდენად მემკვიდრეობითი ამ გვარის ფარგლებში. განთავისუფლებულ თანამდებობათა დაკავებისას თანდათან უპირატესობა ეძლეოდა უახლოეს მოგვარეთესავს — ძმას ან დის ვაჟს, თუკი რაიმე საფუძველი არ არსებობდა მისთვის გვერდი აეცლოთ. მაშასადამე, თუ ბერძნებში ამის უფლების ბატონობისას ბასილევსის თანამდებობა, ჩვეულებრივ, ვაჟზე ან ერთ-ერთ ვაჟზე გადადიოდა, ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ვაჟებს უფრო მეტი იმედი ჰქონდათ სახალხო არჩევნების გზით მემკვიდრენი გამხდარიყვნენ, და სრულიადაც არ ადასტურებს იმას, თითქოს ასეთი სახალხო არჩევნების გარეშე კანონიერი მემკვიდრეობის წესი არსებობდა. ამ შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ, რომ ირიკეზებსა და ბერძნებს შორის გვარის ფარგლებში საგანგებო წარჩინებულ ოჯახთა პირველი ჩანასახი ჩნდება, ხოლო ბერძნებში, გარდა ამისა კიდევ, მომავალი მემკვიდრეობითი წინამძღოლების, ანუ მონარქიის პირველი ჩანასახი ვითარდება. მაშასადამე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ბერძნებში ბასილევსს ან ხალხი ირჩევდა ანდა იგი ხალხის მიერ აღიარებულ ორგანოებს — საბჭოს ან აგორას — უნდა დაემტკიცებინა როგორც ეს რომის „მეფის" (rex) მიმართ წესად იყო შემოღებული.

„ილიადაში" მამაკაცთა მბრძანებელი აგამემნონი გვეკლინება არა როგორც უზენაესი მეფე ბერძნებისა, არამედ როგორც მთავარსარდალი მოკავშირე ჯარისა ალყაშემორტყმული ქალაქის წინაშე. მის ამ მდგომარეობაზე მიუთითებს პოემის ცნობილ ადგილას ოდისევსი, როცა ბერძნებს შორის შუღლმა იჩიწა თავი: არაა კარგი მრავალთა უფროსობა, ერთი უნდა იყოს მხედართმთავარიო და ა. შ. (ამას მოსდევს პოპულარული, შემდეგში ჩამატებული ლექსი, სადაც მოხსენიებულია სამეფო კვერთხი). „ოდისეფსი აქ ლექციას როდი

კითხულობს მმართველობის ფორმის შესახებ, არამედ მთავარსარდლისადმი მორჩილებას მოითხოვს ომის დროს. ბერძნებს, რომელნიც ტროის გალავანთან მხოლოდ ჯარს წარმოადგენდნენ, სახალხო კრებაზე (agora) საკმაოდ დემოკრატიული წესები ჰქონდათ: აქილევსი, როცა ის საჩუქრებზე, ე. ი. ნადავლის განაწილებაზე ლაპარაკობს, ამ ამოცანას ყოველთვის აკისრებს არა აგამემნონს ან რომელიმე სხვა ბასილევსს, არამედ „აქაველების ვაჟებს", ე. ი. ხალხს. ეპითეტები: „ზევსისაგან შობილი", „ზევსისაგან ნასაზრდოები", არაფერს არ ამტკიცებს, რადგან ყოველი გვარი წარმოდგება ერთ-ერთი ღმერთიდან, ხოლო ტომის მეთაურის გვარი — უკვე „უფრო წარჩინებული" ღმერთიდან, ამ შემთხვევაში — ზევსიდან. პირადად არათავისუფალი ადამიანებიც კი, როგორც, მაგ. ღორების მწყემსი ევმეოსი და სხვ. „ღვთაებრივნი" (dioi და theioi) არიან, და ეს ასეა „ოდისეაში", მაშასადამე, ბევრად უფრო გვიან იმ დროსთან შედარებით, რომელიც აღწერილია „ილიადაში"; იმავე „ოდისეაში" „გმირის" სახელი ეწოდება კიდევ ჰეროლდ მილიოსს, ისევე როგორც უსინათლო მომღერალ დემოდოკოსაც. მოკლედ, სიტყვა basileia, რომელსაც ბერძენი მწერლები ჰომეროსის ე. წ. სამეფო ხელისუფლების აღსანიშნავად ხმარობენ, როცა მის გვერდით მეთაურთა საბჭო და სახალხო კრება არსებობს, მხოლოდ სამხედრო დემოკრატიას ნიშნავს (იმიტომ, რომ ამ ხელისუფლების მთავარ განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს სამხედრო ხელმძღვანელობა)" (მარქსი).

ბასილევსს, გარდა სამხედრო უფლებებისა, ქურუმისა და მსაჯულის სამსახურებრივი უფლებებიც ჰქონდა; უკანასკნელი არ იყო ზუსტად გარკვეული, პირველი კი მინიჭებული ჰქონდა მას როგორც ტომის ან ტომთა კავშირის უმაღლეს წარმომადგენელს. მოქალაქეობრივ უფლებებზე, მმართველობის უფლებებზე არასოდეს ლაპარაკიც კი არაა, მაგრამ, როგორც ჩანს, ბასილევსთანამდებობის ძალით საბჭოს წევრად ითვლებოდა. ამრიგად, ეტიმოლოგიურად სრულიად მართებულია სიტყვა „ბასილევსი" ითარგმნოს გერმანული სიტყვით „König", რადგან König (Kuning) წარმოსდგება Kuni, Künne სიტყვიდან და ნიშნავს „გვარის უხუცესს". მაგრამ სიტყვა „König"-ის (მეფე) თანამედროვე მნიშვნელობას ძველი ბერძნული „ბასილევსი" სრულიადაც არ შეესაბამება. თუკიდიდე ძველ basileia-ს გარკვევით უწოდებს patrilkê-ს, ე. ი. გვარებისაგან წარმოშობილს და ამბობს, მას მტკიცედ განსაზღვრული, მაშასადამე, შეზღუდული უფლებები ჰქონდაო. არისტოტელე კი ლაპარაკობს, გმირული ეპოქის basileia თავისუფალ ადამიანთა წინამძღოლობას ნიშნავდა, ხოლო ბასილევსი მზედარმომთავარი, მსაჯული და უზენაესი ქურუმი იყოო; მაშასადამე, მთავრობის ხელისუფლება, ამ სიტყვის მერმინდელი გაგებით, მას არ ჰქონია.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ გმირული ეპოქის ბერძენთა წყობილებაში ძველ გვაროვნულ ორგანიზაციას ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა სასიცოცხლო ძალა, მაგრამ ვხედავთ უკვე მისი დარღვევის დასაწყისსაც; ეს იყო: მამის უფლება და შვილების მიერ ქონების მემკვიდრეობით მიღება, რაც ხელს უწყობდა სიმდიდრის დაგროვებას ოჯახში და ოჯახის გაძლიერებას გვარის წინააღმდეგ; ქონებრივ განსხვავებათა უკუგავლენა საზოგადოებრივ წყობილებაზე მემკვიდრეობითი დიდკაცობისა და სამეფო ხელისუფლების პირველი ჩანასახების შექმნის შემწეობით; მონობა, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ სამხედრო ტყვეებზე ვრცელდებოდა, მაგრამ რომელიც უკვე იმის შესაძლებლობას იძლეოდა, რომ დაემონებინათ საკუთარი თანამეტომენი და თანამოგვარენიც კი; უკვე დაწყებული გადაგვარება ტომებს შორის ♦რსებული

ძველებური ომისა სისტემატურ ძარცვა-გლეჯად ხმელეთსა და ზღვაზე პირუტყვის, მონებისა და განძეულობის ხელში ჩასაგდებად და მისი რეგულირული შემოსავლის წყაროდ გადაქცევა; ერთი სიტყვით, სიმდიდრის, როგორც უმაღლესი სიკეთის, შექება და თაყვანისცემა და ამ სიმდიდრის ნაძალადევი დატაცების გასამართლებლად ძველი გვაროვნული წეს-წყობილების ბოროტად გამოყენება. ამ ეპოქას მხოლოდ ერთი რამ აკლდა: ისეთი დაწესებულება, რომელიც გვაროვნული წყობილების კომუნისტური ტრადიციების საწინააღმდეგოდ არა მარტო დაიცავდა ცალკეულ პირთა მიერ ახლად შეძენილ სიმდიდრე', რომელიც წინათ ესოდენ ნაკლებად დაფასებულ კერძო საკუთრებას არა მარტო აკურთხებდა და ამ კურთხევას ადამიანთა ყოველი საზოგადოების უმაღლეს მიზნად გამოაცხადებდა, არამედ, რომელიც აგრეთვე საყოველთაო საზოგადოებრივი აღიარების ბეჭედსაც დაასვამდა საკუთრების შეძენის, მაშასადამე, სიმდიდრის განუწყვეტლად გაძლიერებული დაგროვების იმ ახალ ფორმებს, რომელნიც ერთიმეორეზე ვითარდებიან; არ იყო ისეთი დაწესებულება, რომელიც გაამარადისებდა არა მარტო საზოგადოების ახლად დაწყებულ გათიშვას კლასებად, არამედ შეძლებული კლასის უფლებასაც — ექსპლოატაცია გაეწია ღარიბთა კლასისათვის, და შეძლებული კლასის ბატონობასაც ღარიბთა კლასზე.

და ასეთი დაწესებულებაც გაჩნდა. გამოგონებულ იქნა სახელმწიფო.

დ. ანუჩინი

ანუჩინი დმიტრი დმიტრის ძე (1843—1923) — რუსი ანთროპოლოგი, ეთნოგრაფი, არქეოლოგი და გეოგრაფი.

დ. ანუჩინმა უმაღლესი განათლება მოსკოვში მიიღო, სადაც 1867 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი, რომლის პროფესორიც გახდა 1884 წლიდან. მისი ძირითადი სპეციალობა იყო ანთროპოლოგია, რომელიც მას წარმოდგენილი ჰქონდა ფართო გაგებით; კერძოდ, მასში გულისხმობდა, როგორც ეს ჩანს მისი ნაშრომებიდან, ხაბუნებისმეტყველო-ისტორიულ ცნებათა ერთიანობას ადამიანზე მოძღვრების შესახებ: მის ევოლუციას, შედარებით ანატომიას, ბიოლოგიას და მოძღვრებას რასებზე.

დ. ანუჩინის მეცნიერული მეთოდისათვის დამახასიათებელი იყო მკაცრი ისტორიზმი და ანთროპოლოგიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და სხვა მეცნიერებათა მონაცემების კომპლექსური გამოყენება.

დ. ანუჩინი, ამავე დროს, იყო გამოჩენილი გეოგრაფი, მოსკოვის უნივერსიტეტის გეოგრაფიული სკოლის დამაარსებელი. იგი სწავლობდა ზოგადი და რეგიონალური გეოგრაფიის საკითხებს. დ. ანუჩინი არის დამაარსებელი მოსკოვის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიურ-ეთნოგრაფიული მუზეუმისა.

1890 წლიდან დ. ანუჩინი იყო მოსკოვის ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მოყვარულთა საზოგადოების პრეზიდენტი. მანამდე მან შექმნა რიგი თვალსაჩინო ნაშრომები, რომლებმაც დიდი სახელი მოუხვეჭეს. 1898 წ. იგი გახდა აკადემიკოსი.

დ. ანუჩინი ფართო სამეცნიერო-ეურნალისტურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. იგი იყო ერთ-ერთი დამაარსებელი ეურნალებისა — „ეთნოგრაფიული მიმოხილვა“ („Этнографическое обозрение“, 1889) და „მიწათმცოდნეობა“ („Землеведение“, 1894), აგრეთვე „რუსული ანთროპოლოგიური ეურნალისა“ („Русский антропологический журнал“, 1900).

დიდი მნიშვნელობა აქვს დ. ანუჩინის შრომებს აინების შესახებ (გამოქვეყნდა 1876 წელს), ადამიანის თავის ქალის ანომალიების შესახებ (1880); რუსეთში მამაკაცი მოსახლეობის ზრდის გეოგრაფიული განლაგების შესახებ და სხვა. დ. ანუჩინი არის ავტორი მთელი რიგი მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული და ეთნოგრაფიული ნაშრომებისა: „ხელოვნების ისტორიისა და რწმენების შესახებ ურალისპირა ჩუდებში“ („К истории искусства и верований у Приуральской Чуди“, 1891), „ძველი დროის მშვილდისა და ისრების შესახებ“ („О древнем луке и стрелах“, 1887), „მარხილი, ნავი და ცხენები, როგორც დაკრძალვის წეს-ჩვეულების კუთვნილებანი“ (Сани, ладья и кони, как принадлежности похоронного обряда“, 1890) და სხვ.

ქრესტომათიაში წარმოდგენილია დ. ანუჩინის ნაშრომის — „ცეცხლის აღმოჩენა და მისი მოპოვების ხერხები“ („Открытие огня и способы его

добывания") თარგმანი. მასში ავტორს პოპულარული ფორმით, მაგრამ მეცნიერული მეთოდის მომარჯვებით, გადმოცემული აქვს თავისი თვალსაზრისი კაცობრიობის ისტორიაში ამ უმნიშვნელოვანესი აღმოჩენის შესახებ.

ბიბლიოგრაფია

Анучин Д. Д., Открытие огня и способы его добывания, М—Л, 1923.

ლიტერატურა

1) Г. В. Карпов, Путь ученого, М., 1958.
2) М. Г. Левин, Очерки по истории антропологии в России, М., 1960.

ცეცხლის აღმოჩენა და მისი მოპოვების ხერხები*

I

ცეცხლი კულტურის ერთ-ერთი ელემენტარული ნიშანია. არ არსებობს ხალხი, რაგინდ დაბალი იყოს მისი კულტურული დონე, რომ არ იცოდეს ცეცხლის მოპოვება და გამოყენება. უძველესი თქმულებები ადამიანებზე, რომლებმაც არ იცოდნენ ცეცხლის გამოყენება, ცხობა და ხარშვა და ღებულობდნენ მხოლოდ უმ საკვებს, ალბათ ძალიან გაზვიადებულია. ყოველ შემთხვევაში უახლოეს საუკუნეებში ასეთ ცნობებს ვერ ვხვდებით. პირიქით, ზღვაოსნები ცეცხლისა და კვამლის მიხედვით ატყობდნენ, რომ კუნძულებში და ნაპირები, რომლებსაც უახლოვდებოდნენ, დასახლებული იყო, თუმცა ადამიანებს ვერ პოულობდნენ, რადგანაც ისინი გემის დანახვისთანავე გარბოდნენ, ან ტყეში იმალებოდნენ. არქეოლოგებიც ნაცრის, ნახშირისა და დამწვარი ძვლების საფუძველზე, რომელთაც მიწაში, ღია ცის ქვეშ ან გამოქვაბულებში პოულობენ, შეუცდომლად ასკვნიან, რომ ისინი ადამიანს ეკუთვნოდა, თუნდაც იმავე ფენებში არ იყოს არცერთი ნაკეთობა. ცეცხლის გამოყენების კვალი როგორც ახლა, ისე პრეისტორიული ხანიდან პალეოლითამდე, ადამიანის არსებობის უეჭველი ნიშანია. ჩვენ წარმოდგენაც კი არ შეგვიძლია ადამიანისა, მთელი თავისი განმასხვავებელი ნიშნებით, რომელიც არ იცნობს ცეცხლს და არ შეუძლია მისი გამოყენება.

მეორე მხრით, თუ ვაღიარებთ დასაბუთებულად, რომ ადამიანი ევოლუციის შედეგად წარმოიშვა და მისი კულტურა, ისევე როგორც განმასხვავებელი ფიზიკური ნიშნები, თანდათანობით განვითარდა, საეჭვო არ უნდა იყოს, რომ იგი ცეცხლს თავისი განვითარების გარკვეულ საფეხურზე გაეცნო. ისიც კი შეიძლება დავუშვათ, რომ ცეცხლი არ ყოფილა ადამიანის პირველი კულტურული შენაძენი და ცეცხლის მოპოვების პირველყოფილი ხერხები მან მას შემდეგ აღმოაჩინა, რაც ხის, ქვისა და ძვლის იარაღის დამზადება ისწავლა და მათი სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენება დაიწყო. სავსებით დასაშვებია, რომ ადამიანმა ცეცხლი უფრო ადრე გამოიყენა, ვიდრე მისი მოპოვების ხერხს აღმოაჩენდა.

ცეცხლის თვისებებზე, მის ელვარებასა და სინათლეზე, გამათბობელსა და დამწველ ძალაზე ცხოველებსაც აქვთ წარმოდგენა. ცნობილია, რომ ცეცხლის შუქზე მარტო მწერები კი არ მოფრინავენ, არამედ თევზებიც მოისწრაფვიან, რითაც ღამით თევზჭერაა განპირობებული. სტეპში ხანძრისკენ მოიჩქარიან მტაცებელი მხეცები და ფრინველები, რომელთაც იციან, რომ ნახანძრალზე ეპოვიან მსუყე ნადავლს იმ წვრილფეხა ცხოველების დამწვარი ნაშთის სახით, რომლებიც ბუდესა და სოროს ბალახში ან მიწაში იწყობენ. აფრიკაში მოგზა-

---

* Д. Н. Анучин, Открытие огня и способы его добывания, М—Л, 1923.

ურები მოგვითხრობენ, რომ, როდესაც ქარავანი დილას გზას გააგრძელებდა, დატოვებულ კოცონთან მაიმუნები იკრიბებოდნენ და ცეცხლის ჩაქრობამდე თბებოდნენ; ფიჩხისა და გამხმარი ტოტების დამატება კი აზრადაც არ მოსდიოდათ. უეჭველია, ადამიანსაც იზიდავდა ცეცხლი, მაგრამ ცხოველებისაგან განსხვავებით, როგორც ჩანს, მან სწრაფად ისწავლა არა მარტო ცეცხლით სარგებლობა, არამედ მისი შენახვაც. უნდა ვიფიქროთ, რომ ადამიანი ცეცხლს გამოიყენებდა და ინარჩუნებდა გაცილებით ადრე, ვიდრე დაიწყებდა მის მოპოვებას ხახუნის ან დარტყმის მეშვეობით. ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ არსებობენ ხალხები, რომლებმაც არ იციან ცეცხლის მოპოვება და კმაყოფილდებიან გაჩაღებული ცეცხლის შენახვით მასში ფიჩხისა და ტოტების ჩამატების გზით. ცეცხლის შენარჩუნება წესად ჰქონდა ბევრ კულტურულ ხალხს. ისინი აღიარებდნენ ცეცხლის ღვთაებრივ ხასიათს და საჭიროდ მიაჩნდათ მისი შენახვა ტაძარში, ბელადის სახლსა და ყოველ ოჯახში კერიაზე. ბოლოს, ცეცხლის არა ხელოვნურად მიღების, არამედ მისი შემოტანის სასარგებლოდ მეტყველებს ზოგი ხალხური თქმულება (ზღაპარი, მითი, ლეგენდა), რომლებშიც ლაპარაკია ცეცხლის მოტანის თუ მოტაცების შესახებ ფრინველის ან ნადირის, რომელიმე გმირის ან ჯადოქრის მიერ.

ეს თქმულებები და მითები შეიძლება ორ კატეგორიამდე დავიყვანოთ: ერთნი მოგვითხრობენ, რომ ცეცხლი მოპოვებულ იქნა მიწისქვეშეთიდან, მეორენი კი გვარწმუნებენ, რომ ცეცხლი ჩამოვარდა ან მოტანილ იქნა ციდან, საიდანაც ვარდება მეხი და საიდანაც სითბოსა და სინათლეს გვიგზავნის მზე. შუამავლად ხშირად ცხადდება ცნობილი ფრინველი, წითელი ან შავი, უკანასკნელი აუცილებლად წითელი ნიშნით. წითელი ფერი, როგორც ჩანს, განასახიერებს ცეცხლს, ხოლო შავი — ღრუბელს, მასზე წითელი ნიშანი კი ელვის მომასწავებელია. ერთი რომაული თქმულების მიხედვით, რომის მეფემ ნუმა პომპილიუსმა, ნიმფა ეგერიას რჩევისამებრ, დაათრო შავი კოდალა, რომელსაც თავზე წითელი ლაქა ჰქონდა, რათა გამოეძალა ელვის (ცეცხლის) გამოწვევის საიდუმლო. გერმანელები შავ კოდალას ჭექა-ქუხილის განსახიერებად მიიჩნევდნენ და უძღვნიდნენ ჭექა-ქუხილის ღმერთს დონარს. ჩრდილო-დასავლეთ ამერიკის ინდიელების, გაიდას და ტლინკიტების, ერთი თქმულებით, ცეცხლი მბეჟუტავი მუგუზლის სახით ოდესღაც ნისკარტით მოიტანა ყვავმა, რომელმაც არაფერი იცოდა ცეცხლის მხურვალე ძალის შესახებ. მწვავე ტკივილის გამო მუგუზალი გაუვარდა და კლდეზე დაენარცხა, რითაც ქვისგან ცეცხლის დაკვეთების შესაძლებლობას ხსნიან. ზოგჯერ ცეცხლის მოტანას უშუალოდ ადამიანს მიაწერენ, რომელმაც გადაწყვიტა ღმერთებისთვის წაერთმია ეს სასტიკი და კეთილისმყოფელი სტიქიონი. ამ სახის ყველაზე ცნობილი მითია ესქილეს მონათხრობი პრომეთეს შესახებ, რომელმაც უგულებელყო ღმერთების მცნება და ადამიანებს ცეცხლი მოუტანა, რისთვისაც სასტიკად დაისაჯა: მიჯაჭვულ იქნა კავკასიონის ერთ-ერთ მწვერვალზე, სადაც გამუდმებით კორტნიდა არწივი.

მიწისქვეშეთიდან მხოლოდ ვულკანური ცეცხლის მიღება შეიძლება. ვულკანის ამოფრქვევისას ცეცხლისმფრქვეველი მთის კრატერიდან და გვერდითი ბზარებიდან გადმოიღვრება გახურებული ლავა, რომელიც ცეცხლს უკიდებს ყველაფერს, რასაც კი წვა შეუძლია. ლავის ნიაღვრები, რომლებიც ვულკანის ფერდობებზე ჩაედინება, ბოლოსდაბოლოს წყვეტს დინებას, იწყებს გაცივებას და ქერქით იფარება. თავად ლავა კი ძალიან დიდხანს, ზოგჯერ წლების განმავლობაში ინარჩუნებს სიმხურვალეს და ალების უნარს. ვულკანურ ად-

გილებში, სადაც ამოფრქვევა ხშირია, მაგალითად, წყნარი ოკეანის ზოგ კუნძულზე, ვულკანთან ახლოს მცხოვრები ადამიანები ლავის სიმხურვალეს ცეცხლის მოპოვებისათვის, გამოცხობის, შეწვისა და ხარშვისათვის იყენებენ. ლავის სიმხურვალით ზოგი ფრინველიც სარგებლობს. ისინი კვერცხებს ლავის ნიაღვრების სიახლოვეს დებენ, რათა ბარტყების გამოჩეკა გაიადვილონ. პრომეთეს მიერ ცეცხლის მოტაცებაც მითში ვულკანს უკავშირდება: პრომეთემ ცეცხლი თითქოს კუნძულ ლემნოსზე მდებარე ვულკანიდან მოიტანა ასაფეტიდის ღეროთი, რომლის გული ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ახლაც გამოიყენება აბედის მოსამზადებლად. თუ ვულკანური ცეცხლი აშინებდა ადამიანებს და აიძულებდა გაქცეულიყვნენ, ლავის სიმხურვალე, პირიქით, იზიდავდა მათ, რადგანაც მისი მეშვეობით შეეძლოთ ცეცხლის ანთება, მისი სილამაზით დატკბობა, მისი სიმხურვალით გათბობა და საკვების დამზადება.

მაგრამ ვულკანური ცეცხლის გამოყენება მხოლოდ ვულკანურ ადგილებში არის შესაძლებელი, ასეთი ადგილები კი დედამიწაზე შედარებით იშვიათია. თანაც ხალხური მითები უფრო ხშირად საუბრობენ ცეცხლის ზეციდან და არა მიწისქვეშეთიდან მიღებაზე. მაგრამ ციდან დედამიწაზე ცეცხლი მეხის სახით ეცემა, რაც უფრო აშინებს, ვიდრე იზიდავს ადამიანებს. თანაც მეხის ვარდნა მომენტალურია. მაგრამ არის შემთხვევები, როცა მეხი უფრო ხანგრძლივ მოვლენებს იწვევს. ეს მაშინ, როცა მეხი ხანძრის მიზეზი ხდება. თუ მეხი ხმელ ხეს დაეცა, ის ხშირად დიდი ხნის განმავლობაში იწვის. ალბათ ასეთი ცეცხლმოკიდებული ხეც იზიდავდა ადამიანებს. ისინი იკრიბებოდნენ მის სიახლოვეს, ტკბებოდნენ ცეცხლის ელვარებით და თბებოდნენ მისი სიმხურვალით. ხეების ამგვარი აალება, როგორც გვარწმუნებენ, შეიძლება მოხდეს მეხის გარეშეც, ხმელი ტოტების ხახუნის შედეგად. ყოველ შემთხვევაში მალაის არქიპელაგის კუნძულ ბურუს მცხოვრებლები ამტკიცებენ, რომ კინოს ხე მშრალ წლებში ხახუნით ალდება და ტყის ხანძრის მიზეზი ხდება. მართლაც, ერთი ცეცხლმოკიდებული ხიდან ალი შეიძლება მეორეზე გადავიდეს, ცეცხლი მოეკიდოს ბუჩქნარს, ბალახს და ხანძარი დიდ ტერიტორიაზე გავრცელდეს. ზემოთ შევნიშნეთ, რომ ტყის ხანძრით სარგებლობენ მტაცებელი ფრინველები და ცხოველები, მაგრამ ასევე იქცევიან ახლომახლო მცხოვრები ველურებიც. ისინი მიჰყვებიან ნახანძრალს, აგროვებენ ცხოველების დამწვარ გვამებს და ნადირობენ ხანძრით დამფრთხალ გარეულ ღორებზე, კურდღლებსა და სხვა ცხოველებზე. ნადავლი იმდენად უხვია, რომ ბუნებრივი მიზეზებით გამოწვეული ხანძრის არარსებობის შემთხვევაში ველურები მას ხელოვნურად აჩენენ და წელიწადის მშრალ დროს სტეპს ქარის მიმართულებით უკიდებენ ცეცხლს.

ცეცხლის სასიამოვნო და სასარგებლო თვისებების გაცნობის შემდეგ უძველეს ადამიანს უნდა ეზრუნა მის შენახვაზეც ახალ-ახალი საწვავი მასალის დამატებით, რათა „ველური“ ცეცხლი „შინაურ“ ცეცხლად ექცია. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ პირველყოფილი კაცობრიობა დიდხანს სარგებლობდა „მოშინაურებული“ ცეცხლით, ვიდრე აღმოაჩენდა მისი ხელოვნურად მოპოვების ხერხს. ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოება, რომ ახლაც (ან ცოტა ხნის წინათ) არსებობენ ხალხები, რომლებიც იცნობენ ცეცხლს, მაგრამ არ იციან მისი მოპოვება. ისინი მას მბეუტავ მდგომარეობაში ინახავენ და საჭირო შემთხვევაში ხმელი ფოთლების, ფიჩხისა და ტოტების დამატებითა და შებერვით აძლიერებენ. ასეთი ხალხი მსოფლიოს სხვადასხვა

კუთხეში უნახავთ. მათ შესახებ არსებობს სარწმუნო ცნობები, რომლებიც კომპეტენტური მეთვალყურეების მიერ არის შეკრებილი.

ერთ-ერთი ასეთი მეთვალყურე იყო ცნობილი რუსი მოგზაური ნ. ნ. მიკლუხო-მაკლაი, რომელმაც მე-19 საუკუნის 70-იან წლებში კუნძულ ახალ გვინეის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირზე რამდენიმე წელი გაატარა პაპუასებთან. პაპუასების ტომი, რომელიც მიკლუხო-მაკლაიმ დაკვირვებისთვის შეარჩია, ერთ-ერთი ყველაზე პრიმიტიული იყო. იგი ქვის ხანაში არსებობდა. პაპუასები არ იცნობდნენ მეტალებს, ცხოვრობდნენ იზოლირებულად, თუმცა უკვე სარგებლობდნენ კულტურის ზოგიერთი შენაძენით. ჰყავდათ შინაური ცხოველები, ძაღლები და ღორები, რომელთაც საკვებად იყენებდნენ, ნახევრადველური ქათმები, მაგრამ მხოლოდ მათს ფრთებს ხმარობდნენ (მოსართავად). პაპუასები იცნობდნენ მიწათმოქმედებასაც, ჰქონდათ პლანტაციები, მიწას ამუშავებდნენ წვეტწამახული ჯოხებით, მოჰყავდათ ბატატი, იამსი და სხვა ნოყიერი მცენარეები. კალთებისა და ხის ჟურჟლის გარდა ხმარობდნენ თიხის ქოთნებსა და სხვა ჭურჭელს, თევზაობდნენ, ქვის, ძვლის, ხისა და ნიეარებისაგან აკეთებდნენ სხვადასხვა იარაღს. მათთვის არც ხელოვნება იყო უცხო. ჰქონდათ დოლი და დაფი, საყვირი და ფლეიტა. ხისაგან ჭრიდნენ ადამიანისა და ცხოველების გამოსახულებებს. თავიანთ ნაკეთობებს ამშვენებდნენ ჩუქურთმებითა და ორნამენტებით და ა. შ. თავდაპირველად პაპუასები ეშვით, მტრულადაც კი შეხვდნენ მიკლუხო-მაკლაის, მაგრამ მისმა ტაქტიანმა მოპყრობამ, საჩუქრებმა, სამედიცინო დახმარებამ, რომელიც ერთ დაჭრილ პაპუასს გაუწია, კეთილად განაწყო ისინი. აღარ უფრთხოდნენ, არ უმალავდნენ ცოლებს, იწვევდნენ თავიანთ სოფლებში, პატიჟებდნენ ლხინსა და დღესასწაულებზე, მასთან ერთად სეირნობდნენ ზღვაზე და მთებში. საბოლოოდ დარჩენაც კი სთხოვეს და შესთავაზეს, ცოლად შეერთო ნებისმიერი ქალიშვილი. ასეთ პირობებში, მიკლუხო-მაკლაის შესაძლებლობა ჰქონდა, დაწვრილებით შეესწავლა პაპუასების ყოფა, მათი ქოხების მოწყობილობა და ა. შ. იგი დაინტერესდა მათ მიერ ცეცხლის მოპოვების ხერხითაც, მაგრამ, მიუხედავად ყოველგვარი ცდისა, ვერაფერი შეიტყო. პაპუასებს მუდამ ენთოთ ცეცხლი ქოხებში ან ქოხების გარეთ, მუგუზლები მიჰქონდათ პლანტაციებზე, თან ჰქონდათ ზღვასა და ხმელეთზე მოგზაურობისას, მაგრამ მიკლუხო-მაკლაის არასოდეს უნახავს, როგორ მოიპოვებდნენ ცეცხლს. მის შეკითხვებზე ისინი უპასუხებდნენ, რომ ცეცხლის მოპოვება არ სჭირდებოდათ, რადგანაც იგი ჩაუქრობლად ენთოთ. რომ ჩამქრალიყო კიდეც, ნებისმიერ მეზობელს შეეძლო მისი მიწოდება. ასე აღმოჩნდა, რომ „მაკლაის ნაპირის“ პაპუასები არ იცნობდნენ ცეცხლის მოპოვების ხერხებს, ან, უკიდურეს შემთხვევაში, არ იყენებდნენ მათ, რადგანაც არ იყო ამისი აუცილებლობა: ცეცხლს ისინი ყოველ ქოხში ინახავდნენ.

მიკლუხო-მაკლაის ახალი გვინეიდან წამოსვლის შემდეგ „მაკლაის ნაპირი“, ისევე როგორც ამ კუნძულის მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, გერმანელებმა დაიკავეს. მათ იქ შექმნეს კოლონია სახელწოდებით — „იმპერატორ ვილჰელმის მიწები“. ახალი კოლონია ბევრმა უცხოელმა მოგზაურმა მოინახულა. ისინი აგროვებდნენ მონაცემებს ბუნებისა და მოსახლეობის შესახებ. მათ ყურადღება მიაქციეს პაპუასების ყოფას, რომელიც სწრაფად იცვლიდა სახეს ევროპელებისა და ევროპული საქონლის ზეგავლენით. გაჩნდა რკინის იარაღი, გავრცელდა ევროპული ქსოვილები, ჭურჭელი და სხვ. სხვათა შორის, შვედური ასანთიც, რის გამოც აღარ იყო აუცილებელი ცეცხლის შენახვა. შეკითხვაზე, როგორ ანთებდნენ ცეცხლს, როცა არ ჰქონდათ

ასანთი, ისინი უპასუხებდნენ: „ჩვენ მას არ ვაქრობდით“, რითაც ადასტურებ-დნენ ფაქტს, რომელიც 20—25 წლის წინათ გვამცნო მიკლუხო-მაკლაიმ.

ცეცხლის შენახვის ჩვეულება გავრცელებულია მელანეზიისა და პოლინეზიის სხვა კუნძულებზეც, აგრეთვე ავსტრალიასა და აფრიკაში, ცომბირსა და ამერიკაში. ვეილე, რომელმაც აღმოსავლეთ აფრიკის სამხრეთ ნაწილში იმოგზაურა, მის მიერ შესწავლილ ზანგთა ტომებში ამაოდ ეძებდა ცეცხლის მოსაპოვებელ რაიმე ხელსაწყოს. თუმცა მათთვის ცნობილი იყო ხახუნით ცეცხლის მოპოვების ხერხი, მაგრამ თითქმის არასდროს არ მიმართავდნენ მას და კმაყოფილდებოდნენ ცეცხლის შენახვით თავიანთ ქოხებში.

ცეცხლის შენახვის ჩვეულება უფრო კულტურულ ხალხებსაც ჰქონდათ, კერძოდ, ძველ ბერძნებსა და რომაელებს, შუა საუკუნეების გერმანელებსა და სლავებს. ამასთან, შემუშავდა ცეცხლის საოჯახო კულტი. კერია გახდა ოჯახის თავმოყრის ადგილი და ცეცხლის კულტი დაუკავშირდა წინაპართა პატივისცემან. ბელორუსიაში, ზოგ ადგილას, ახლაც ინახავენ ქოხებში ცეცხლს და თუ ოჯახი სხვა სახლში გადადის საცხოვრებლად, თან კერიის ცეცხლი მიაქვს. ბევრ ხალხს, მათ შორის რუს გლეხობას ცეცხლი წარმოუდგენია თავისებურ სულად — „პატრონად“, რომელიც იაკუტებს თეთრწვერა მოხუცად ესახებაო. ცეცხლის ღვთაებრივი ბუნება მისდამი პატივისცემას განაპირობებს: არ შეიძლება ცეცხლში ჩაფურთხება და ა. შ. ცეცხლის პატივისცემა ღუმელზეც ვრცელდება — არც მისი წაბილწვა შეიძლება, ხოლო ზოგ ადგილას ღუმელის წინა მხარეს, რომელსაც „ბუხარს“ ეძახიან, გარკვეულ დღეებში საგანგებოდ რთავენ კიდეც მისი „ქორწილის“ აღსანიშნავად.

კერძო, საოჯახო ცეცხლთან შედარებით უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ გვაროვნულ ცეცხლს, რომელსაც ხშირად ბელადის ცეცხლთან აიგივებენ. ასე მაგალითად, სამხრეთაფრიკელ გერეროებთან ბელადის სახლში მუდამ ანთია საღვთო ცეცხლი, რომელსაც ბელადის ქალიშვილი ან რომელიმე ნათესავი ქალი უვლის. თუ ბანაკი სხვაგან გადადის, თან საღვთო ცეცხლიც მიაქვთ. ქსენოფონტეს გადმოცემით, სპარტის მეფეს ლაშქრობაში თან ახლდა საგანგებო ცეცხლისმტვირთველი და მთელი ლაშქრობის განმავლობაში ახალი ცეცხლი მხოლოდ მისგან ინთებოდა. კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს საღვთო ცეცხლს, რომელიც ტაძარში ინახებოდა ქურუმებისა და ცეცხლის მფარველი მსახური ქალების მეურვეობით. ასე მაგალითად, რომში მარადიული საღვთო ცეცხლი ენთო ვესტას ტაძარში. მისი შენახვა ვესტას მსახური ქალიშვილების მოვალეობა იყო. ცეცხლის ჩაქრობის შემთხვევაში ისინი საკუთარი სიცოცხლით აგებდნენ პასუხს. ქურუმები ამ ცეცხლს ყოველი წლის პირველ მარტს აახლებდნენ ხიდან გამობურღვით. ასეთივე „მარადიული ცეცხლი“ ენთო საბერძნეთში კუნძულ დელოსზე მდებარე ტაძარში, საიდანაც ცეცხლი ყოველწლიურად მიჰქონდათ სხვა ქალაქებში. მარადიული ცეცხლი ენთო ძველი პერუს დედაქალაქში, ლიტვაში, დაგომეაში და თითქმის ყველგან მისი შენახვა ევალებოდათ ქალწულებს. დაგომეაში ისინი იყვნენ ელვის ღმერთის გოხისოს (გო — ჩიტი, სო — ცეცხლი) ქურუმი ქალები. მათ არ შეეძლოთ ქორწინება, მაგრამ არ ეკრძალებოდათ პროსტიტუცია.

ცეცხლის საღვთო, რელიგიური ხასიათი არა მარტო მეხთან, არამედ მზესთან კავშირითაც აიხსნება. ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელთა ზოგი ტომი ახლაც აწყობს საგანგებო დღესასწაულებს იმ დღეებზე, რომლებიც დაკავშირებულია მზის შემობრუნებასთან. ამ დღესასწაულებზე ანთებენ კოცონებს, ახალგაზრდები დარბიან ცეცხლის გარშემო და სხვ. მსგავსი დღესასწაულები იმართ-ებო-

და და ახლაც იმართება ევროპაში, მაგალითად, ივანე კუპალას ღამით, აგრეთვე — შობას, ნაშობევს და აღდგომას.

საყურადღებოა, რომ განვითარებულ რელიგიურ სისტემაშიც კი ცეცხლი არ უკავშირდება რომელიმე მითოლოგიურ სახეს (ღვთაებას), ან თუ უკავშირდება — შედარებით იშვიათად, თანაც მოგვიანო ხანაში. ცეცხლი თავისთავად არის პატივისცემისა და თაყვანისცემის საგანი, როგორც სასტიკი და კეთილისმყოფელი სტიქიონი, მზის ქალიშვილი ან ვაჟი, რომელიც ამ მნათობს დედამიწაზე განასახიერებს.

II

არ არის ცნობილი, რამდენ ხანს გაგრძელდა ცეცხლის მოხმარება მისი ხელოვნურად მოპოვების გარეშე, მაგრამ საფიქრებელია, რომ კაცობრიობა უკვე ქვის ხანაში დაეუფლა ამ ხელოვნებას. ცეცხლის მოპოვების უძველესი ხერხები, ალბათ, ხახუნით ან ჯოხის ნახვრეტებში ტრიალით იყო შემოფარგლული. ამ ხახუნით ხორციელდება ფიზიკის ცნობილი კანონი — მუშაობის სითბოდ გარდაქმნა. ხახუნით ხე იმდენად ხურდება, რომ მისგან შეიძლება აინთოს სწრაფად აალებადი საგნები: ნახერხი, მშრალი ფოთლები, ბურბუშელა. პირველყოფილ ადამიანს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო შეგნებულად, კონკრეტული პრინციპის გამოყენებით მისულიყო ამ აღმოჩენამდე. მან ალბათ შემთხვევით მიაგნო ამ მეთოდს და ცეცხლის მიღება მისთვისაც მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი იყო. როგორც ჩანს, ცეცხლი პირველად ბურღვის შედეგად გაჩნდა, როდესაც ხახუნის ძალის განვითარებამ მშრალი ნახერხის აალება გამოიწვია. ცნობილია, რომ უკვე ადრეულ ქვის ხანაში ადამიანს შეეძლო გამჭოლი ნახვრეტების გაბურღვა ძვალსა და ირმის რქაში. ცხადია, იგი უფრო ადვილად შეძლებდა ხის გაბურღვას, თუმცა, სამწუხაროდ, ხის ნაკეთობანი ჩვენს დრომდე გასაგები მიზეზების გამო არ არის მოღწეული. ბურღვის შედეგად ყველა შემთხვევაში ვითარდება ხახუნის ძალა, რაც გახურებას იწვევს, გახურების შედეგად კი შეიძლება აალება მოხდეს. ერთხელაც ეს შესაძლებლობა განხორციელდა და ადამიანი კი არ შეუშინდა რეზულტატს, არამედ ყურადღება მიაქცია, შეეცადა ესარგებლა აალებით და ცეცხლი შეენახა. ამ თვალსაზრისის სასარგებლოდ ის ფაქტი მეტყველებს, რომ ბურღვით ცეცხლის მოსაპოვებელი ხელსაწყოები სხვადასხვა ხალხს მსგავსი ან ერთნაირიც კი აქვთ.

ბურღვით ცეცხლის მოპოვების ხერხი მთელს მსოფლიოში იყო გავრცელებული. მას ახლაც ბევრი ხალხი იცნობს, მათ შორის ევროპელები. ეს ხერხი შემდეგში მდგომარეობს: იღებენ ხმელი ხის ორ პატარა ჯოხს. ერთ-ერთში კეთდება პატარა ღრუ, რომელშიც იდგმება მეორე ჯოხი. პირველი იდება ჰორიზონტალურად, მეორე — ვერტიკალურად და იწყება მისი სწრაფი ტრიალი. თუ ჯოხს ერთი ადამიანი ატრიალებს, მან უნდა გაითვალისწინოს, რომ ჰორიზონტალურად მდებარე ჯოხი უმოძრაო უნდა იყოს. ამიტომ ორივე მუხლით უნდა დააწვეს. თავად ტრიალი ხდება ხელისგულებით, რომლებიც ამავე დროს ზეწოლას ახდენენ ჯოხზე. ზეწოლა და ტრიალი სასურველია განუწყვეტელი იყოს, რადგანაც გაჩერება აყოვნებს რეზულტატის მიღებას. ეს მეთოდი შესამჩნევად გაუმჯობესდა ირმის რქის ან ფეხის ძვლისგან გაკეთებული პატარა მშვილდის გამოყენებით, რომლის ღარი მარყუჟით იჭერს ვერტიკალურ ჯოხს. ესკიმოსების ტომი ცეცხლის ამ ხერხით მოპოვებისას მარცხენა ხელით აკავებს მიწაზე მდებარე ჯოხს, კბილებით აწვება ვერტიკალურად მდგარი ჯოხის წვერს,

ხოლო მარჯვენა ხელით სწრაფად ამოძრავებს მშვილდს, რომლის ლარი მარ-ყუჟით იჭერს ჯოხს. ამ მეთოდის გამოყენებით ხახუნი უწყვეტად მიმდინარეობს, რაც სწრაფ გახურებას და ალებას იწვევს. ზოგჯერ ხახუნის გასაძლიერებლად ღრუში ქვიშის რამდენიმე მარცვალს ყრიან. მოძრავი ჯოხის ზედა ბოლოზე ესკიმოსები, ჩვეულებრივ, ხის ჯოხს ან ძვალს ამაგრებენ, რომელსაც წინა კბილებით აწვებიან. ამისათვის, რა თქმა უნდა, საღი კბილებია საჭირო და ესკიმოსები ამჯობინებენ, ორმა მოიპოვოს ცეცხლი. ამ დროს ერთი აკავებს ჰორიზონტალურად მდებარე ჯოხს და აწვება ვერტიკალურად მდგარი ჯოხის ზედა ბოლოს, ხოლო მეორე ატრიალებს ამ უკანასკნელს მშვილდის ან თოკის მეშვეობით, რომლის ორივე ბოლო ხელში უკავია, თოკი მარყუჟით აკავებს ჯოხს და მისი მარჯვნივ და მარცხნივ სწრაფი მოძრაობა ჯოხის ტრიალს იწვევს. ამრიგად, ცეცხლის გამობურღვის ხელსაწყო ოთხი ნაწილისგან შედგება. ესენია: ორი ჯოხი (ერთი უძრავი, მეორე მოძრავი), მშვილდი ან თასმა (თოკი) და ზესადები, რომელსაც კბილებით ან ხელით აწვებიან.

ამ სახით ხელსაწყოს ხმარობენ მხოლოდ ესკიმოსები და ჩუქჩები, აგრეთვე, ზოგი ცნობით, კუნძულ ბორნეოზე მცხოვრები დაიაკებიც. მაგრამ ჩუქჩები ჰორიზონტალურად მდებარე უძრავ ჯოხს ცვლიან (უკეთ, ცვლიდნენ, რადგანაც ამჟამად ამერიკელი ვეშაპმჭერები მათ შვედური ასანთით ამარაგებენ) ოთხკუთხოვანი შეშის ღერით, რომელიც ადამიანის უხეშ გამოსახულებას წარმოადგენს. მასში კეთდება ათამდე და მეტი ღრუ. ყველა ისინი განკერძოებულია და არა აქვთ გვერდითი ღარი, მაშინ როდესაც ესკიმოსები ყოველ ღრუს უკეთებენ ღარაკს ნახერხის გამოსაყრელად. ეს მცირე მოწყობილობა, როგორც ამბობენ, აჩქარებს ცეცხლის მოპოვებას.

მეორე გაუმჯობესება, რომელიც გვხვდება ჩუქჩებთანაც, მაგრამ უფრო მეტად ინდიელებთან და პოლინეზიასა და მალაის არქიპელაგის მცხოვრებლებთან, მდგომარეობს ე. წ. ტუმბოიანი ბურღის გამოყენებაში, რომელიც, სხვათა შორის, ფართოდ არის გავრცელებული ევროპაშიც (მას გამოიყენებენ ოქრომჭედლები). ამ ხელსაწყოში მბურღავი ჯოხის ბოლო ნაწილში მაგრდება მოძრავი ბორბალი (წრე), ხოლო ჯოხის ზედა ბოლოდან ორივე მხარეს ეშვება თასმები, რომელთა თავისუფალი ბოლოები ერთდება ჰორიზონტალური ჯოხით, რომელიც ბურღის ღერძისკენ განივად არის მიმართული. თუ ამ თასმებს ბურღს შემოვახვევთ და შემდეგ განივ ჯოხს ისე დავწევთ დაბლა, რომ თასმები ჩამოიშალოს, ხოლო შემდეგ ზევით ავწევთ, რათა თასმები ბორბლის ტრიალის კვალდაკვალ ისევ შემოეჭდონ ღერძს, მივიღებთ სწრაფ ბრუნს, რომელიც იწვევს ძლიერ ხახუნს და რამდენიმე წამში იძლევა ცეცხლს.

ზემოთ აღინიშნა, რომ ცეცხლის „გამობურღვით" მოპოვების ხერხი ფართოდ იყო გავრცელებული მთელს მსოფლიოში. ამგვარად, საკითხი ასე შეიძლება დაისვას: ხომ არ მივიდნენ სხვადასხვა ხალხები ამ აღმოჩენამდე ერთმანეთისგან დამოუკიდებლად? მაგრამ ეს ვარაუდი საეჭვოა. უფრო სარწმუნოა, რომ ეს ხერხი აღმოჩენილ იქნა უძველეს დროში ერთ ადგილას, ერთი ხალხის მიერ და შემდეგ გავრცელდა სხვა ხალხებში. იმის შესახებ, თუ როგორ მივიდა ადამიანი ამ აღმოჩენამდე, რა თქმა უნდა, მხოლოდ ვარაუდი შეიძლება გამოითქვას. ასე მაგალითად, ფონ-დენ-სტეინენმა ივარაუდა, რომ ცეცხლის (ნაპერწკლით) მოპოვება მოხდა ნახერხის დამზადების დროს. უკვე ცნობილი იყო, რომ ნახერხს სწრაფად ეკიდება ცეცხლი და მისი მეშვეობით ცეცხლი ბამბუკით ან ლელქაშით შეიძლება გადატანილი იქნეს ერთი ადგილიდან მეორე ადგილას. სავსებით დასაშვებია, რომ ხახუნით ნახერხის დამზადებისას იგი

სანი პირუტყვის დაცემის შემთხვევებში. ასეთი შემთხვევები იყო შოტლანდიაში 1826 წელს და ჰანოვერში 1828 წელს. რუსეთში ასეთ ცეცხლს უწოდებენ „ცოცხალს“, „ახალს“, „ზაფხულისას“ და „ხისას“. მისი მოპოვება ეპიდემიების ან პირუტყვის დაცემის დროს უკავშირდებოდა სოფლის „შემოხვნას“ და „მოსახლეობისა და პირუტყვის მიწური ჭიშკრიდან გაყვანას“. ამ წეს-ჩვეულების უახლესი აღწერა ეკუთვნის ს. ი. რუდენკოს, რომელიც მას შეესწრო 1907 წელს ჩუვაშებთან სამარის გუბერნიის ბუგულმინის ოლქში.

მოხუცების თქმით, აქ ახალი ცეცხლის მოპოვება ხდებოდა ყოველწლიურად ან, უკიდურეს შემთხვევაში, ყოველ სამ წელიწადში ერთხელ. დათქმულ დღეს ყველგან აქრობენ ცეცხლს. სოფლის ყველა ბცხოვრები ამ დროს შინ უნდა იყოს. დილიდან რამდენიმე კაცი სოფლიდან გადის. ისინი არჩევენ წყლით გადარეცხილ ცხენს ხევში და მასში გაჰყავთ გამჭოლი ხვრელი „დამიანებისა“ და მსხვილი შინაური პირუტყვის გასაყვანად. ყველა იცვამს სუფთა თეთრეულს და შინაური წარმოების ტილოს ხალათს. ახალი ცეცხლის მოსაპოვებლად მიწაში არჭობენ ტირიფის ორ ბოძს. მათ შორის ჰორიზონტალურად დებენ ბოლოებში წამახულ ტირიფისავე ღეროს. ბოძების წვერებს მჭიდროდ კრავენ თოკებით, ხოლო ტირიფის ღეროს ორმაგად ახვევენ თოკს, რომლის ბოლოებს ოთხი (ან მეტი) მამაკაცი წინ და უკან ქაჩავს. დაღლილებს მაშინვე სხვები ენაცვლებიან. ღეროს გამობურღულ ჩაღრმავებებში ჯერ კვამლი ჩნდება, ნახევარი საათის შემდეგ კი — ცეცხლი. როგორც კი ცეცხლი გაჩნდება, მას უკიდებენ აბედს და ემსია (ექიმბაში) ანთებს ორ კოცონს, რომლებიც განლაგებულია მიწური ჭიშკრის ორივე მხარეს. იქვე დგამენ ორ ჭურჭელს წყლით. ამ დროისათვის თავს იყრიან სოფლის მცხოვრებლები. ექიმბაში კითხულობს ლოცვებს და ითხოვს ადამიანებისა და პირუტყვის ავადმყოფობისგან დაცვას. ამის შემდეგ სოფლის მცხოვრებნი ჭიშკარში გადიან. ჯერ მამაკაცები მიდიან. პირველი გადის ოჯახის ერთადერთი ვაჟი. შემდეგ — ქალები, რომელთაც წინ მიუძღვება ქალწული, ოჯახის ერთადერთი ასული. ქალების შემდეგ მიდენიან პირუტყვს, ჯერ ცხენებს, შემდეგ რქოსან საქონელს და ბოლოს ცხვარს. ასე იქცევიან სამჯერ. ამასთან, ემსია (ზოგჯერ ორნი არიან) წყალს აპკურებს ყველა გამსვლელს და ამბობს: „იყავ ჯანმრთელი!“ უკანასკნელად გაჰყავთ ბავი ქათამი, რომელიც ავადმყოფობას განასახიერებს. მას სოფლიდან რაც შეიძლება შორს აგდებენ, რომ აღარ დაბრუნდეს. შემდეგ ყველა შინ ბრუნდება. თან თიხის ჭურჭლით მიაქვთ „ახალი ცეცხლი“, ანუ ნაკვერჩხალი. ამის შემდეგ ასრულებენ სოფლის „შემოხვნის“ ადათს. გუთანში, რომელსაც დედისერთა ქალწული მართავს, 41 ქალიშვილი ებმება, ყველა გაშლილი თმითა და თეთრი პერანგით. მათ ხნული ისე გაჰყავთ, რომ მიწა სოფლის გარეთ იყრება, გუთანზე გამობმულია ძაფის გორგალი, რომელიც თანდათან იშლება. როდესაც მთელ სოფელს შემოხნავენ და დაბრუნდებიან იმ ადგილას, საიდანაც დაიწყეს, ძაფის ბოლოებს გაკვანძავენ და ღებულობენ შეკრულ წრეს. საგანგებოდ დაყენებული დარაჯები თვალყურს ადევნებენ, რომ სოფლიდან არავინ გავიდეს და არც შემოვიდეს. ყველა, ვისაც თოფი აქვს, ისვრის ფუჭ ვაზნებს, რათა დააფრთხოს ავადმყოფობა, შემოხვნის დამთავრების შემდეგ ყველა ქალიშვილი, ვინც ამ ადათის შესრულებაში მონაწილეობა მიიღო, მდინარეში განიბანება.

ცეცხლის ხახუნით მოპოვების სხვა პირველყოფილი ხერხები ნაკლებად არის გავრცელებული. მათ შეიძლება ეწოდოს გამოხერხვა და გამოფხეკა.

ცეცხლს გამოხერხვა ასე ხდება: იღებენ მუშტის სიმსხო ბამბუკის ღე-

რომ ნაჭერს და სიგრძეზე ორად ყოფენ. ერთ ნაწილს, ამობურცული მხარით მაღლა, მიწაზე დებენ, ზედ ადებენ ბამბუკის ფირფიტას, მისგან გამოჭრიან დანას, წინასწარ აკეთებენ ჭდეს და იწყებენ ხერხვას. ბამბუკი შეიცავს კაჟმიწას. ამიტომ ძალიან მაგარია და ხახუნისგან სწრაფად ხურდება. ხოლო მის გულს სწრაფად აალების უნარი აქვს. ამიტომ ღეროდან ამოცლილ გულ-იმ ადგილას აგროვებენ, სადაც ხერხვა მიმდინარეობს. აქვე იყრება ნახერხიც. ზოგ ადგილას ბამბუკს სხვა მაგარი ჯიშის ხით ცვლიან. მაგრამ ცეცხლის მოპოვების ეს ხერხი დამახასიათებელია იმ ადგილებისთვის, სადაც ბამბუკი ხარობს, განსაკუთრებით ინდოეთის ოკეანის ფარგლებში, ინდოეთიდან ავსტრალიამდე. ახალი გვინეის პაპუასების ზოგი ტომი და კუნძულ პალავას (ფილიპინის კუნძულები) მცხოვრებლები ბამბუკს როტანგით ცვლიან.

მესამე ხერხი — გამოფხეკა საპიროებს ორ ნაპობს. ერთში გამოჭრილია წვრილი ღარი, მეორეს აქვს წვეტიანი ჯოხის ფორმა. ამ ჯოხს ორივე ხელით, რაც შეიძლება სწრაფად, 30—35° კუთხით, წინ და უკან ატარებენ ღარში. ღარი თანდათან ღრმავდება, გროვდება ნახერხი, რომელიც რამდენიმე ხნის შემდეგ გამოსცემს ნაპერწკალს, შებერვის შედეგად კი ჩნდება ცეცხლი. ცეცხლის მოპოვების ეს ხერხი პოლინეზიის ბევრ კუნძულზეა გავრცელებული (ჰავაის კუნძულები, სამოა, ახალი ზელანდია), აგრეთვე ზოგ ადგილას მელანეზიაში. მხატვარმა ვასნეცოვმა რატომღაც ცეცხლის მოპოვების ეს ხერხი აირჩია მოსკოვის ისტორიული მუზეუმის ერთ-ერთი დარბაზის ფრიზზე პალეოლითის ადამიანის ყოფის ასახვისას.

კიდევ უფრო შეზღუდულად გამოიყენება ე. წ. „ცეცხლის ფალიაში“ ჰაერის შეკუმშვით ცეცხლის მოპოვების ხერხი.

შეკუმშვით ჰაერის გაცხელების ფაქტი ფიზიკოსებმა XVIII საუკუნეში დაადგინეს და ერთხანს, XIX საუკუნის პირველ ათწლეულებში, სათანადო ხელსაწყოები დასავლეთ ევროპაში საკმაოდ იყო გავრცელებული. ეს ხელსაწყოები შედგებოდა მეტალის (სპილენძის) ცილინდრისაგან, რომელსაც ძირი დახშული ჰქონდა. მასში იდგმებოდა მეტალისვე, ჩვეულებრივ, ტყვიის დგუში, რომელსაც ბოლოში პატარა ღრუ ჰქონდა აბედის მოსათავსებლად. დგუშის ჩქარი მოძრაობის შედეგად ჰაერი სწრაფად ხურდებოდა და აბედის აალებას იწვევდა. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ხელსაწყო უნახავთ ბორნეოს დაიაკებთან, აგრეთვე ბირმაში, სიამში, იავასა და სუმატრაზე. მეტალის ცილინდრი და დგუში აქ შეცვლილია ხის ან კაჟჩის რქის ცილინდრითა და დგუშით. მოცემულ შემთხვევაში „ცეცხლის ფალია“ ხომ არ წარმოადგენს ევროპული ხელსაწყოს მიბაძვას? იქნებ ნიმუში ევროპელმა მეზღვაურებმა შემოიტანეს და იგი ადგილობრივ მცხოვრებლებს მოეწონათ! ყოველ შემთხვევაში ცეცხლის მოპოვების ეს ხერხი გამონაკლისია, ისევე როგორც ცეცხლის მიღება მზის სხივებისგან ორმაგად ამობურცული შუშის ან ჩაზნექილი სარკის მეშვეობით, რომელსაც იყენებდნენ საბერძნეთსა და რომში, აგრეთვე პერუში, სადაც მინას არ იცნობდნენ და სხივების არეკვლა და კონცენტრირება ოქროს ჩაზნექილი სარკით ხდებოდა.

უფრო მეტად არის გავრცელებული ცეცხლის დაკვესება კაჟისა და მეტალის მეშვეობთ. მეტალს (რკინა, ფოლადი) თავდაპირველად ცვლიდა გოგირდის კოლჩედანი (ან პირიტი), რომელსაც ახლაც გამოიყენებენ ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელები და ესკიმოსების ზოგი ტომი, უფრო ადრე კი — ცეცხლოვანი მიწის მცხოვრებნი. დასავლეთ ევროპის ძველ სამარხებში, ნეოლითიდან მოყოლებული ხშირად ნახულობენ კაჟისა და კოლჩედანის ნატეხებს.

ცნობილია რამდენიმე ასეთი აღმოჩენა პალეოლითის პერიოდიდანაც. ასე მაგალითად, პირიტის ნახევრადცილინდრული ბურთულა, დაახლოებით ორნახევარი სანტიმეტრის სიგრძისა, იპოვეს ლეზეიზის გამოქვაბულში და რკინის კოლჩედანის ნატეხი — ტრუ დე-შალეს გამოქვაბულში, ბელგიაში. ვარაუდობენ, რომ ისინი ცეცხლის მოსაპოვებლად გამოიყენებოდა. მაგრამ ცეცხლის გამოკვესვის ხერხი უნდა წარმოშობილიყო მისი ხეზე ხახუნით მიღების უგვიანეს, რადგანაც იგი ვარაუდობს აბედის ცოდნას, რომლის გარეშე შეუძლებელია ნაპერწკლის დაჭერა. ესკიმოსები, რომლებიც გამოიყენებენ კაჟსა და კოლჩედანს, აბედად ხმარობენ ზღვის ფრინველების ბუმბულს, ტირიფის გულს, მშრალ ხავსს და ა. შ. იქ, სადაც ესკიმოსები სახლობენ, კოლჩედანი დიდი რაოდენობით მოიპოვება, ხშირად ოვალური ბურთულების სახით, რომლებიც დამუშავების გარეშე გამოიყენება. ესკიმოსები კოლჩედანს „ცეცხლოვან“ ქვას უწოდებენ, ისევე როგორც გერმანელები — კაჟს (ტალს). კოლჩედანის რკინით შეცვლა შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ რკინის ხანაში, რკინის მადნიდან მისი გამოდნობის ხერხის აღმოჩენის შემდეგ. მაგრამ გაცილებით ადრე ბერძნები და რომაელები ცეცხლის მოსაპოვებლად გამოიყენებდნენ პირიტებს (ანუ ცეცხლისმომცემ ქვებს). სწორედ აქედან მომდინარეობს გოგირდის კოლჩედანის მეცნიერული სახელწოდება. საყურადღებოა, რომ ფილოკრატი სოფოკლესთან ამბობს: „ქვის ქვაზე დარტყმით გაპირვებით მოვიპოვე ფარული ნაპერწკალი“. მაგრამ მოგვიანო ხანაში კოლჩედანმა ადგილი დაუთმო რკინას და ბოლოს — ფოლადს. რკინის ტალ-კვესი აღმოჩენილ იქნა შვეიცარიაში, აგრეთვე ადრეული რკინის ხანის ერთ-ერთ სამაროვანში, სკანდინავიაში. მოგვიანებით მეტალის ტალ-კვესი და კაჟი მრავალ ქვეყანაში გადაიქცა ყველაზე გავრცელებულ ხელსაწყოდ, მათ შორის — აზიისა და ევროპის კულტურულ ქვეყნებში. კაჟი, ჩვეულებრივ, პატარა იყო, კვადრატული, მოგრძო-სწორკუთხა ან მომრგვალო ფორმისა, ხოლო რკინის ტალ-კვესს აძლევდნენ პატარა რკალის ან ბალთის ფორმას. ტალ-კვესს, კაჟსა და აბედს დებდნენ პატარა ტოპრაკში, ზოგჯერ პატარა მაშასაც (ალმოკიდებული აბედისთვის), მეტალის მახათს (ჩიბუხის გასაწმენდად) და ხის ჩხირებს ან ბურბუშელას ნაპრებს ცეცხლის ასანთებად. ჩინელებთან, ტიბეტელებთან და ბურიატებთან, აგრეთვე აღმოსავლეთის სხვა ხალხებთან ტალ-კვესი ზოგჯერ ვერცხლით მორთულ სახელურში მაგრდება, რომელსაც აქვს ჯიბე კაჟისა და აბედისთვის, აგრეთვე — ძეწკვი ქამარზე დასაკიდებლად. ევროპაში ტალ-კვესს ზოგჯერ მეტალის მრგვალ ყუთში დებდნენ. ავსტრალიაში კაჟს ცვლიდნენ კვარციტით, ხოლო მეტალს — ბამბუკით და ა. შ. ასანთის, განსაკუთრებით შვედურის, გავრცელებასთან ერთად ტალ-კვესი ხმარებიდან გამოვიდა, მაგრამ ზოგი მომთაბარე ხალხი მას ახლაც იყენებს, ხოლო ბენზინის სანთებელას გავრცელებით ევროპაში მისი აღორძინება დაიწყო.

დღეს ცეცხლის მოპოვების ყველაზე გავრცელებული ხერხი ქიმიურია, ასანთის მეშვეობით. ამ ხერხს ის უპირატესობა აქვს, რომ ერთ ყუთში (ასანთში) თავმოყრილია ნაპერწკლის მიღების, მისი აბედზე დაჭერის და ალის გაღვივების მოწყობილობები — ყველაფერი, რაც პრიმიტიულ აპარატებში დამოუკიდებელ ოპერაციებს საჭიროებს. ასანთის წინაპარი იყო გოგირდით გაჟღენთილი ჩხირები და ბურბუშელა, რომლებიც გამოიყენებოდა ტალ-კვესით მიღებული ნაპერწკლის ასანთებად (XIX საუკუნის დასაწყისში). გოგირდის ასანთს ის ნაკლი ჰქონდა, რომ საშიში (ადვილად ალდებოდა შემთხვევითი ხახუნით) და ნაკლებად გამძლე (ადვილად ნესტიანდებოდა) იყო. ამასთან, უსია-

მოვნო სუნი ჰქონდა და საკმაოდ ძვირიც ღირდა. წინ გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო ისეთი ასანთის გამოგონება, რომელიც ხახუნის გარეშე ინთებოდა. თავდაპირველად ასეთი ასანთი მზადდებოდა დაჭრილი ჩხირების ბოლოების ჯერ გამდნარ გოგირდში და შემდეგ თხელ წებოში შერეული კალიუმისა და გოგირდმჟავას პასტაში ამოელებით. ქაღალდის პატარა კოლოფში აწყობდნენ ასამდე ასეთ ასანთსა და ქვიშის თხელი ქაღალდის ორ პატარა ფურცელს, რომლებზეც ეს ასანთი ინთებოდა. ანთების დროს იგი რაკეტის მსგავსად ძლიერ ტკაცანს გამოსცემდა, რის გამოც მათ „კონგრეკებს“ უწოდებდნენ. ეს ნაკლი ჩქარა აღმოფხვრეს. 1833 წელს გამოიგონეს ფოსფორის ასანთი, რომელიც ნაკლებ ტემპერატურას მოითხოვდა და ნაკლებად სახიფათო იყო, მაგრამ ვნებდა მის მწარმოებელ მუშებს. ფოსფორის ასანთის წვერი მზადდებოდა ფოსფორისა (აალებადი ნივთიერება) და იმ ნივთიერებათა ნარევისაგან, რომლებიც გათბობისას თავიანთ ჟანგბადს გასცემენ (წებო, გუმფისი, გუმა). ეს უკანასკნელი ხელს უწყობს გოგირდისა და პარაფინის აალებას და ბოლოს აღს ასანთის ღერს გადასცემს. გარდა ამისა, ასანთის ქარხნული წესით დამზადებისას გამოიყენებოდა სხვადასხვა საღებავი, რომლებიც ანელებდნენ ასანთის მასის წვას და ამით ხელს უწყობდნენ საკუთრივ ასანთის ღერის ანთებას. 1847 წელს ამორფული, არაშხამიანი, ძნელადაალებადი ფოსფორის აღმოჩენამ შესაძლებელი გახადა თეთრი ფოსფორის წითლით შეცვლა. მაგრამ 1860-იან წლებში ფოსფორის ასანთი გამოდევნა უხიფათო „შვედურმა“ ასანთმა, რომლის გამოგონება მიეწერება შვედ ლუნდსტრემს 1855 წელს. ამ ასანთის ღერის წვერი საერთოდ არ შეიცავს ფოსფორს და შედგება ბერთოლეს მარილის (ან სხვა ისეთი ნივთიერების, რომელიც ადვილად გასცემს თავის ჟანგბადს) და გოგირდის, გოგირდოვანი სურმის ან პარაფინის ნარევისაგან, რომელიც შეერთებულია ნეიტრალურ საღებავ ნივთიერებებთან. ასეთი ასანთი ინთება ისეთ ზედაპირზე ხახუნით, რომელიც ცოტაოდენი წითელი ფოსფორის შემცველი ნაერთით არის დაფარული. ხახუნისას ფოსფორის ნაწილაკები აალდება და აღს ასანთის ღერის წვერს გადასცემს.

„შვედური“ ასანთი თავდაპირველად კუსტარულად იწარმოებოდა. იგი ჩქარა გადაიზარდა მსხვილ საფაბრიკო წარმოებად, რომელიც ორად იყოფოდა: ღეროს მომზადება და აალებადი ნივთიერების წასმა. ორივე მიზნისათვის, აგრეთვე ყუთების მოსამზადებლად, ბანდეროლების შესაკრავად და ა. შ. გამოიყენებოდა სპეციალური დანადგარები, რომლებიც დღეში საშუალოდ 10 000 000 ასანთს გამოიმუშავებდა.

აალებადი აპარატების პროგრესს თან სდევდა სანათი მოწყობილობების პროგრესი. ძველებური კვარი, ჩირაღდანი, ცხიმები, მცენარეული ზეთი, ქონის სანთელი ადგილს უთმობს „ეკონომიურ“ სტეარინის სანთლებსა და ნავთს, შემდეგ — გაზსა და ელექტროდენს.

ახლა ჩვენ შეგვიძლია ვისარგებლოთ უფრო კაშკაშა სინათლით და აგრეთვე მეყსეულად მივიღოთ, მივაღწიოთ ბევრად მაღალ ტემპერატურას, ვიდრე ადრე იყო შესაძლებელი. მივაღწიეთ რა ასეთ პროგრესს, შეგვიძლია ადუჩად ავიგდოთ პრიმიტიული ველურები, რომლებიც დიდ შრომას ხარჯავდნენ ცეცხლის მოსაპოვებლად და ცდილობდნენ მუდმივად შეენახათ იგი. მაგრამ ცეცხლი და მისი მოპოვება იყო უდიდესი აღმოჩენა კაცობრიობის ისტორიაში. მან კაცობრიობას დააძლევინა უკუნეთი, რომელიც თავზარს სცემდა; ხელი შეუ-

წყო სოციალური ცხოვრების განვითარებას, მისცა სიცოცხლესთან ბრძოლის, ქვების გაუმჯობესებისა და წარმოების სრულყოფის შესაძლებლობა. ცეცხლის აღმოჩენა და მისი გამოყენება მოასწავებდა დიდ ნაბიჯს კაცობრიობის განვითარებაში. მან განაპირობა მნიშვნელოვანი ეტაპი ადამიანის, თუ შეიძლება ასე ითქვას, გაადამიანების ისტორიაში.

ფრ. რატცელი

ფრიდრიხ რატცელი (1844—1904) — გერმანელი გეოგრაფი და ეთნოლოგი, ანთროპოგეოგრაფიული სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი.

ფრ. რატცელი, რომლის სქელტანიანმა ნაშრომებმა დიდი გავლენა მოახდინა XIX—XX სს. მიჯნის გერმანული ეთნოლოგიის განვითარებაზე, თავდაპირველად იყო გეოგრაფიის პროფესორი მიუნხენის უნივერსიტეტში, ხოლო 1886 წლიდან — ლაიფციგის უნივერსიტეტში.

ფრ. რატცელი ფართო ჰორიზონტის, მრავალმხრივ მომზადებული ადამიანი იყო და თავის ნაშრომებში — „ანთროპოგეოგრაფია" (ტ. 1, 2, შტუტგარტი, 1882—1891), „პოლიტიკური გეოგრაფია" (მიუნხენ-ლაიფციგი, 1897. რუსული თარგმანი გამოიცა „Народоведение"-ს („ხალხთმცოდნეობის") სახელწოდებით, ტ. 1, 2, პეტერბურგი, 1902), „დედამიწა და ცხოვრება" (2 ტომი) — მან დახატა საერთო სურათი კაცობრიობის განსახლებისა დედამიწის ზედაპირზე გეოგრაფიულ პირობებთან კავშირში. რატცელმა გამოიკვლია ბუნებრივი პირობებით გამოწვეული განსხვავებანი სხვადასხვა ხალხის კულტურებს შორის და ურთიერთზემოქმედების ფორმები ამ ხალხებს შორის: გადასახლებები, დაპყრობები, გაცვლები და სხვ. ფრ. რატცელისათვის დამახასიათებელია ბიოლოგიურ და საზოგადოებრივ კანონზომიერებათა აღრევა. მან გავლენა მოახდინა კულტურულ-ისტორიული სკოლის დამაარსებლებზე ეთნოლოგიაში.

ქრესტომათიაში წარმოდგენილია ნაწყვეტები ფრ. რატცელის ნაშრომიდან „ხალხთმცოდნეობა", ტომი I, რომლის რუსული თარგმანი დაიბეჭდა პეტერბურგში 1902 წელს. პირველი ნაწყვეტის სახელწოდებაა „ველური ხალხების ადგილი კაცობრიობაში". მასში განხილულია შემდეგი საკითხები: „ველური ხალხის" ცნება, ფიზიკური განსხვავებები, „კულტურული რასის" ცნება, ადამიანის ცხოველებთან მსგავსების ნიშნები, რაში მდგომარეობს კულტურის მონაპოვარი, კაცობრიობის საერთო მონაპოვარი გონებასა, ენასა და რელიგიაში. ფრ. რატცელის აზრით, კულტურულ განსხვავებებში არ გვაქვს აბსოლუტური სხვაობები, სხვაობანი აქ მხოლოდ ხარისხშია.

ფრ. რატცელის „ხალხთმცოდნეობის" მეორე ნაწყვეტია „კულტურის არსი, წარმოშობა და გავრცელება". აქ ავტორს განხილული აქვს შემდეგი საკითხები: ველური და კულტურული ხალხები, ენა და რელიგია წარმოადგენს საერთო მონაპოვარს, ხალხები, რომელთაც მოეპოვებათ და რომელთაც არ მოეპოვებათ ისტორია, მრავალი ხალხის ჩამორჩენის მიზეზები, კულტურის განვითარება განძის დაგროვებაა, ე. წ. ნახევარკულტურა, კულტურული საგანძურის მატერიალური და სულიერი ელემენტები, მატერიალური საფუძვლები და სულიერი მარცვალი, კულტურის განვითარების ბუნებრივი პირობები, მიწათმოქმედებისა და ეწყესების როლი პოლიტიკური კულტურის განვითარებაში, კულტურული ზონები, კულტურის დაცემა.

მესამე ნაწყვეტია „ბუშმენები“, რომელიც დღემდე ითვლება ერთ-ერთ სრულ და ყოვლისმომცველ ნარკვევად ეთნოლოგიაში აფრიკის ამ მეტად პოპულარული აბორიგენი ხალხის შესახებ. ამ ნარკვევში ფრ. რატცელს განხილული აქვს შემდეგი საკითხები: ადგილსამყოფელი და რიცხობრივობა, ფიზიკური აგებულება, შრომისუნარიანობა, სისასტიკე და სიმამაცე, ტანსაცმელი და სამკაული, იარაღი, საცხოვრებელი, ჭურჭლეული, ხელოვნება და ტექნიკა, საოჯახო ცხოვრება, პოლიტიკური ურთიერთობები, რელიგიური წარმოდგენები, დაკრძალვის საშუალებები, ლეგენდები და არაკები.

როგორც ვხედავთ, ამ ნაწყვეტებშიც კი ფართოა იმ საკითხების წრე, რომელსაც ფრ. რატცელი შეისწავლის და განიხილავს თავის უნივერსალური ხასიათის ნაშრომში.

ბიბლიოგრაფია

1) Ратцел Фр., Народоведение, т. 1—2, СПБ, 1900—1901.
2) Ратцел Фр., Земля и жизнь, т. 1—2, СПБ. 1903—1906.

ველური ხალხების ადგილი კაცობრიობაში*

ცნება „ველური ხალხები“ გულისხმობს იმ ხალხებს, რომლებიც უფრო მეტად განიცდიან ბუნების გავლენას, დამოკიდებული არიან მასზე, ვიდრე კულტურული ხალხები. ეს სახელწოდება გულისხმობს სხვაობას ცხოვრების წესსა, გონებრივ შესაძლებლობებსა და ისტორიულ მდგომარეობას შორის. ხალხებს იმიტომ კი არ ვუწოდებთ ველურს, რომ ისინი ახლო კავშირში არიან ბუნებასთან, არამედ იმიტომ, რომ ცხოვრობენ ბუნების ზეგავლენით. კულტურულ და ველურ ხალხებს შორის სხვაობა საძიებელია ბუნებასთან კავშირის ხასიათში და არა ხარისხში. კულტურა ადამიანს ათავისუფლებს ბუნებისაგან არა ყველაფერზე უარის თქმის, არამედ მასთან უფრო მრავალფეროვანი და ფართო კავშირის გაგებით. გლეხი, რომელიც აგროვებს ბეღელში ხორბალს, ისევეა დამოკიდებული კლიმატსა და თავისი მინდვრის ნიადაგზე, როგორც ინდიელი, რომელიც აგროვებს ჭაობში წყლის ბრინჯს, რომელიც მას არ დაუთესია, მაგრამ პირველისათვის ეს დამოკიდებულება ნაკლებ საძნელოა, რადგან მარაგი, რაც მან წინდახედულად გაიკეთა, ათავისუფლებს ზრუნვისაგან, ინდიელს კი ზიანს აყენებს ქარიშხალი, რომელიც წყალში ყრის ყველა თავთავს. ჩვენ ვთავისუფლდებით არა ბუნების გავლენისაგან, არამედ ვცდილობთ მის უკეთ გამოყენებას და შესწავლას. ვთავისუფლდებით მისი პროცესების ცალკეული შემთხვევითობებისაგან, იმის გამო, რომ მასთან კავშირი უფრო მრავალფეროვანი ხდება. სწორედ კულტურის ძალით ახლა უფრო ახლოს ვართ მასთან, ვიდრე მთელი ჩვენი წინა თაობები.

რადგან ველურ და კულტურულ ხალხებს შორის დიდი უფსკრულია, პირველ რიგში, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: თუ რა მდგომარეობა უჭირავს ველურ ხალხს კაცობრიობაში? ეს შავი და წაბლისფერი ადამიანები უცხოდ და უცნაურად გამოიყურებიან, თუმცა რაც უფრო ნაკლებ ცივილიზებული არიან, მით უფრო იზიდავენ ყურადღებას. კუკის, ფორსტერის, ბაროუს გამოკვლევებში თუმცა ხშირად იყო მცდელობა, ღრმად ჩასწვდომოდნენ ხალხის ცხოვრებას, მაგრამ თანამედროვეებში ისინი უმთავრესად რომანტიკულ ინტერესს იწვევდნენ მხოლოდ და ცოტას იძლეოდნენ ფილოსოფიური განსჯისათვის. ერთადერთი მნიშვნელოვანი ბიძგი, რომელიც მოგვცა გასული საუკუნის მოგზაურთა აღწერამ და რომელიც თანდათან იზრდებოდა რაოდენობრივად, მეცნიერული ღირსებით და მიმზიდველობით, არის რწმენის შერყევა ბედნიერი ბუნებრივი მდგომარეობისადმი, რაც რუსოს დროიდან ყველაზე სასურველად ითვლებოდა, და რომელიც შეიძლებოდა განხორციელებულიყო მხოლოდ პირველყოფილ ტყეებსა და ნეტარ კუნძულებზე განმარტოებაში. წარმოიდგინეთ, როგორი იმედგაცრუება იქნებოდა ეს „ინდიელთა ქოხის“ ან გეორგ ფორსტე-

---

* წყაროდან: Фр. Ратцел, Народоведение, т. 1, СПБ., 1900, с. 14—19.

რის მიერ აღწერილი ტაიტელთა სამოთხებრივი ცხოვრების მგრძნობიარე მკითხველთათვის.

გაჩნდა იდეა ფენების შესახებ ხალხთა განვითარებაში, ამასთან, არა იმდენად ფაქტობრივი გაგების, რამდენადაც საერთო შეხედულების საფუძველზე არაკულტურულ ხალხს უნდა შეესრულებინა კაცობრიობის ერთგვარი ფუნდამენტის როლი. საჭირო იყო, განვითარების შესახებ სწავლების სისტემის საფუძველი ფაქტების სამყაროში ეპოვათ, თუმცა ჩვენ ყველგან არ ვეთანხმებით ამას, მაგრამ შეუძლებელია არ ვაღიაროთ, რომ მან ხალხთა შესწავლაში მრავალი ნაყოფიერი ჭეშმარიტება გამოავლინა. საწყისი სტადიის გამოკვლევებ- ყველა სფეროში ძნელია და სწორედ ამ, ოდესღაც უგულებელყოფილ, ამოცანას განვითარების თეორიის მიმდევრები ეთნოგრაფიაშიც შეხედულებათა ერთიანობით მოეკიდნენ. მათი უარყოფითი და დადებითი შედეგები ერთნაირად იმსახურებს მადლიერებას, რადგან მათი დამსახურებაა მეცნიერებისათვის მდიდარი ფაქტობრივი მასალის შეგროვება. მათი გამოკვლევებით იწყება საფუძვლიანი შესწავლა იმისა, რასაც ადრე კაცობრიობის პირველყოფილ მდგომარეობას უწოდებდნენ.

მიუხედავად ამისა, ჩვენ მათ დასკვნებს ვერ დავეთანხმებით. ისინი ყველგან ეძებენ „პირველყოფილ მდგომარეობას“ და „განვითარებას“. ჩვენ განა არა გვაქვს უფლება, რამდენადმე უნდობლობით შევხედოთ ისეთი გამოკვლევის სფეროს, რაც უკვე წინასწარ იციან, რომ მიკვლეული იქნება? გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იქმნება წინასწარაკეიატებული ცნების საფრთხე. ერთ შთაბეჭდილების ქვეშ მყოფი ზოგჯერ ნაკლებ ყურადღებას აქცევ სხვას. თუ განვითარების იდეით გამსჭვალული მკვლევარი ხვდება ხალხს, რომელთაგან ზოგიერთი, შეიძლება ხშირად, თავისი მეზობლების უკან დგას, ეს „უკან“ ძალუნებურად იქცევა „დაბლად“, ე. ი. კიბის ქვედა საფეხურად, საიდანაც კაცობრიობა პირველყოფილი მდგომარეობიდან ავიდა კულტურის უმაღლეს დონემდე. ეს ცალმხრივი იდეის საწინააღმდეგოა, თითქოს ადამიანი აქ ქვევანას ევლინება ცივილიზებულ არსებად, შემდეგ რეგრესულმა გადაგვარებამ გახადა იგი ისეთი, როგორიც გვხვდება არაკულტურულ ხალხებში. ისე როგორც განვითარების ზემოხსენებული იდეა ბუნებისმეტყველთა თანაგრძნობით სარგებლობდა, ადვილად გასაგები მიზეზების გამო, რეგრესის ეს იდეაც პოულობდა ყველაზე კეთილ განწყობილ მომხრეებს ხალხთა რელიგიისა და ენების მკვლევართა შორის. ამჟამად იგი უკანა პლანზეა გადაწეული და ეს უფრო სახიფათოა მკვლევართათვის, ვიდრე საწინააღმდეგო თვალსაზრისი, რომლის თანახმად, კაცობრიობაში არსებობს მხოლოდ წინსვლა, პროგრესი, განვითარება და არავითარი რეგრესი, უკანსვლა, გადაშენება. განა ასეთი შეხედულებიდან არ გამომდინარეობს აზრთა ცალმხრივობა? თუმცა ამ მიმართულებით ასე შორს მხოლოდ რადიკალები მიდიან. დარვინი, იდეათა დიადი შემოქმედი, უსაზღვრო თვალთახედვის მქონე ადამიანი, აღიარებდა, რომ ეკვგარეშეა, მრავალმა ერმა დაიხია ცივილიზაციიდან, ზოგიერთს სრული ბარბაროსობა ემუქრებოდა. თან ფრთხილად უმატებს, რომ უკანასკნელის დამადასტურებელი მაგალითი ჯერჯერობით არ არსებობს, თუმცა თავის „ადამიანის წარმოშობაში“ ცდილობს, კაცობრიობა დაუახლოვოს ცხოველურ სამყაროს უფრო მეტად, ვიდრე ეს ნამდვილად არის.

აქ ჩვენ ვხედავთ ველურ ხალხებზე შეხედულებათა უკიდურესობას. ადვილი გასაგებია, აქედან რა განსხვავებული შედეგები უნდა გამომდინარეობდეს

მათი არსებობის ყველა მხარის შესწავლისათვის, მათი წარსულისა და მომავლის განსახილველად.

პირველ რიგში განვიხილოთ თანდაყოლილი ფიზიკური განსხვავებანი, რადგან მის გადაწყვეტას მივყავართ კაცობრიობაში საერთო განსხვავებათა ხასიათისა და ზომების შესახებ დასკვნამდე. მაგრამ ეს წმინდა ანთროპოლოგიური, ე. ი. ანატომიურ-ფსიქოლოგიური საკითხია, რასაც ჩვენ არ შეეხებით; ეთნოგრაფიული თვალსაზრისით კი, საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ კაცობრიობის მნიშვნელოვანი კულტურული სხვაობა. სასურველია, ცნება კულტურული რასა კაცობრიობასთან მიმართებაში უფრო დაწვრილებით იქნეს გამოკვლეული, ვიდრე ეს აქამდე კეთდებოდა.

ანატომი გუსტავ ფრიტჩი, რომელიც ველურ ხალხებს შეისწავლიდა მათ ბუნებრივ გარემოში, გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ადამიანის სხეულის ჰარმონიული განვითარება შესაძლებელია მხოლოდ კულტურის გავლენით. მის მიერ ჰოტენტოტების, ბუშმენების, კაფრების აღწერილობის მიხედვით, ვასკვნით, რომ მათ შორის იშვიათად ვხვდებით კარგად განვითარებულ, პლასტიკურად ლამაზ სხეულს, ვიდრე ჩვენ შორის, კულტურით გაჯერებულ ხალხში. ერთ ადგილას ის წერს, რომ „ჯანმრთელი, ნორმალურად განვითარებული გერმანელი პროპორციით, ძალითაც და ფორმის სისრულითაც უფრო მაღლა დგას საშუალო აგებულების ადამიანზე, რომელიც მიეკუთვნება ა-ბანტუს". ეს ბანტუ, რომლის შესახებაც არის აქ საუბარი, მიეკუთვნება აფრიკის ყველაზე ძლიერ და გამოწრთობილ ტომს.

ხშირად გაიგონებთ მსჯელობას, ამერიკელი ეთნოგრაფის გამოთქმასაც კი, რომ აპოლონ ბელვედერელის მოდელად შეიძლება გამოდგეს ინდიელი. მაგრამ ეს არასწორია, რადგან ახლა, როცა უფრო ღრმად ჩასწვდნენ საქმის ვითარებას და ძვლების აგებულებაშიც კი იპოვეს განსხვავებანი, ლაპარაკობენ, ერთი მხრივ, კულტურის, მეორე მხრივ კი, არაცივილიზებული ცხოვრების გავლენაზე. ვირხოვი ლოპარებსა და ბუშმენებს პათოლოგიურ რასებად თვლის, ე. ი. შიშველისა და გაჭირვების შედეგად გადაგვარებულად. მაგრამ რასობრივ განსხვავებათა მნიშვნელობის განსაზღვრა მოითხოვს გამოცდილებას, რისთვისაც მეცნიერების მონაცემები ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. იგი შესაძლებელია მხოლოდ მსოფლიო ისტორიის დარგში და, რასაკვირველია, მომავლის საქმეა. ე. წ. დაბალი რასების შეყვანა მაღალი კულტურის წრეში და წინააღმდეგობათა მოსპობა, რაც ეღობება მას, ადამიანების არა მარტო დიდი გმირობაა, არამედ ღრმა მეცნიერული ინტერესის მოვლენაცაა. შავი რასის მილიონობით ადამიანს, რომლებსაც ყველაზე დაბალ რასად მიიჩნევდნენ, პირველად მიეცა საშუალება, გაცნობოდა, უმაღლესი კულტურისათვის დამახასიათებელ ყველა უფლებას და მოვალეობას. არაფერი ეღობება მათ, ისარგებლონ განათლების ყველა საშუალებით, რაც უდავოდ გამოიწვევს გარკვეულ ცვლილებებს (სწორედ ესაა ამ პროცესის ანთროპოლოგიური არსი). თუ ჩვენ დაახლოებით მაინც შეგვეძლება ვთქვათ, რა გამოვა იმ 12 მილიონი ზანგი მონისაგან, რომლებიც უკანასკნელ ოცწლეულში განთავისუფლდნენ ამერიკაში და მიიღეს უფლება, ისარგებლონ უახლესი კულტურის ყველა მიღწევით, მაშინ ჩვენ გადავწყვეტდით საკითხს კულტურის გავლენაზე რასობრივ განსხვავებებში. მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდს უნდა დავჯერდეთ.

რასების უკანასკნელი წლების შედარებითი გამოკვლევებით საგრძნობლად შემცირდა რასობრივი განსხვავებანი, რაც თავდაპირველად ცნებს ანთროპოლო-

გებმა, მაგრამ ისინი ვერ განამტკიცებენ იმ თვალსაზრისს, თითქოს კაცობრიობის ე. წ. დაბალ რასებში შეიძლება მხოლოდ ცხოველიდან ადამიანად გადაქცევის პროცესი დავინახოთ. ამით უარყოფილია არა ადამიანის საერთო ფიზიკური მსგავსება ცხოველთან, არამედ მხოლოდ ვარაუდი, თითქოს კაცობრიობის ზოგიერთი განშტოება მეტად წაგავს ცხოველს, ვიდრე სხვა. თვისებები, რომელთაც შეიძლება უწოდო ცხოველური, გვხვდება ყველა სახის ხალხთა შესწავლისას, რაც შეგვეძლო წინასწარ განგვესაზღვრა. ადამიანმა თავისი სხეულის აგებულებით შეინარჩუნა ისეთი მსგავსება მაიმუნთან, რომ ახალი სისტემატიკოსები ეყრდნობიან მხოლოდ მას და პოულობენ შესაძლებლობას, დაუბრუნდნენ ლინეის ძველ შეპირისპირებას Homo-ს გვარსა და მაიმუნს შორის Primates ერთ რიგში. ამასთან, არავინ საყვედურობს მათ ალოგიკურობას, ამიტომ საკმარისია ადამიანის ბუნებაში სულიერების დაცემა, რომ მრავალ შემთხვევაში ნათლად გამოჩნდეს მისი ცხოველურობა მატერიალურ საწყისებზე. სამწუხაროდ, ყველანი შევეგუეთ იმ შეხედულებას, თითქოს ადამიანში იმალება ცხოველი. „ცხოველისმსგავსი", ცხოველურობა და სხვა ხმარებული ტერმინები მიუთითებს, თუ რა ხშირად მიმართავს ჩვენი ფანტაზია მსგავს შედარებებს. როცა აბორიგენ ავსტრალიელთა მშიერი ოჯახი ძერას ედავება ლეშს, რაც ბუნების ყველა წესით, ყოველთვის ამ უკანასკნელს ეკუთვნოდა, და მსუნაგი ტურების ხროვა ნადავლს ტოვებს მხოლოდ მაშინ, როცა სიმაძღრისაგან ძილი ერევა. მიუთითებს მხოლოდ ცხოვრების წესის გამხეცებაზე და აბშობს ყველა სულიერ მისწრაფებას. ჩვენ არ გვიკვირს, აგრეთვე, როცა აფრიკაში მოხეტიალე ბუშმენთა ურდო ყოველ უცხო ადამიანს — გინდ თეთრი იყოს, გინდ შავი — უყურებს, როგორც მტერს და ამსგავსებს მათ შიმპანზეებისა და ორანგუტანგების გაქცევულ ჯოგს. უნდა მივუტევოთ ამ საცოდავ ველურებს, რადგან ბუნებით მათში ცხოველური მიდრეკილება ისეთივეა, როგორც ჩვენში. არსებობენ მორალურად დაცემული ევროპელებიც, რომლებიც ავსტრალიელებზე დაბლა დგანან. სამწუხაროდ, ცხოველებისადმი დამსგავსების უნარი ყველა ადამიანს აქვს — ზოგს მეტად, ზოგს ნაკლებად. ცხოველურობის გამოვლენის მეტნაკლებობა დამოკიდებულია უმთავრესად ადამიანის მიერ მიღებულ აღზრდაზე, რაც ხშირად განისაზღვრება კულტურის დონით, თვალთმაქცობის უნარით. მხოლოდ კულტურას შეუძლია ზღვარის გავლება ჩვენსა და ველურ ხალხს შორის. მკაცრად უნდა დავადგინოთ, რომ ცნება ვ ე ლ უ რ ი ხ ა ლ ხ ე ბ ი არ შეიცავს თავის თავში არაფერს ანთროპოლოგიურს, არაფერს ანატომიურ-ფიზიოლოგიურს, არამედ არის წმინდა ეთნოგრაფიული ცნება. ველური ხალხები არიან ღარიბი კულტურისა. თითოეული რასის ხალხები განვითარების ყოველ საფეხურზე შეიძლება ჯერ კიდევ არ იყვნენ კულტურის გარკვეულ დონემდე ასული, ან ჩამორჩენილები იყვნენ მისგან. ძველი გერმანელები ან გალები ძველი რომის კულტურასთან შედარებით არანაკლებ ღარიბები ჩანდნენ, ვიდრე ჩვენ გვეჩვენებიან კულტურის თვალსაზრისით კაფრები ან პოლინეზიელები.

სინამდვილეში კაცობრიობის ორი ჯგუფის კულტურა სრულიად არ არის დამოკიდებული მათ უნარზე. მაღალნიჭიერ ხალხებს შეიძლება ჰქონდეთ ღარიბი კულტურა და ამის გამო კაცობრიობაში დაბალ საფეხურზე მდგომნი ჩანდნენ. ჩინელები და მონღოლები ერთსა და იმავე რასას მიეკუთვნებიან, მაგრამ რა დიდი კულტურული სხვაობაა მათ შორის! ეს განსხვავება უფრო დიდია, თუ მონღოლთა ნაცვლად დავაყენებთ ჩინეთის სამაზღვრო პროვინციის რომელიმე

ველურ ტომს ჩრდილოეთ იაპონიის კუნძულების ძირითად მკვიდრთაგან — აინოსთაგან ზოგიერთი ახლოს დგას კავკასიის რასასთან, ვიდრე მონღოლურთან. ამის მიუხედავად, ისინი მონღოლელ იაპონელებსაც კი ველურებად ეჩვენებათ. თავისთავად რასას არა აქვს არავითარი ურთიერთობა კულტურულ მონაპოვართან, თუმცა, რასაკვირველია, უაზრობა იქნებოდა იმის უარყოფა, რომ ამჟამად უმაღლესი კულტურის მატარებელია ე. წ. კავკასიური, ანუ თეთრი რასა; მაგრამ, მეორე მხრივ, არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ითასწლეულების მანძილზე კულტურულ მოძრაობებში ჭარბობს მისწრაფება, ყველა რასა გახადონ მათი ტვირთისა და მოვალეობების მონაწილედ და ამ გზით მიუახლოვდნენ „კაცობრიობის“ ცნების განხორციელებას. ამის შესახებ ლაპარაკობს თანამედროვე სამყარო, რომლის შესაძლებლობა ჯერ კიდევ ბევრს არა სწამს. უნდა ვაღიაროთ, რომ მსოფლიო ისტორიაში ყველა რასის წარმომადგენელი წარსულში მატარებელია პირველყოფილი და ისტორიამდელი კულტურისა.

კულტურის არსი, წარმოშობა და გავრცელება*

რა განსხვავებაა ველურ და კულტურულ ხალხებს შორის? განვითარების თეორეტიკოსები თავისუფლად ეხებიან ამ საკითხს და გადაწყვეტილადაც თვლიან. განა შეიძლება დაეჭვება, რომ ველური ხალხები „კაცობრიობის უძ. ველესი ფენებია, რომლებიც შეიძლება ახლაც შეგვხვდეს?“ ისინი უკულტურო პერიოდის ნარჩენებია, მაშინ, როდესაც კაცობრიობის სხვა ხალხების ნაწილმა არსებობისათვის ბრძოლაში მიაღწია გონიერებას, დაეუფლა უფრო მდიდარ კულტურულ მონაპოვარს და დიდი ხანია, გამოვიდა ამ პერიოდიდან. ამ მდგომარეობას ვუპირისპირებთ კითხვას, რით გამოიხატება ეს კულტურული მონაპოვარი? განა გონება, ყველაფრის საფუძველი და წყარო, კაცობრიობის საერთო მონაპოვარი არ არის? ენასა და რელიგიას სხვა გამოვლინებებთან შედარებით უპირატესობა ენიჭება, როგორც უფრო კეთილშობილს. გამანის გამოთქმით: „ენის გარეშე ჩვენ არ გვექნებოდა გონება, გონების გარეშე — რელიგია; ჩვენი ბუნების ამ სამი არსებითი შემადგენელი ნაწილის გარეშე კ' არც საზოგადოებრივი სული, არც საზოგადოებრივი კავშირი“. უეჭველია, ენამ წარმოუდგენლად დიდი როლი შეასრულა კაცობრიობის სულის გამომუშავებაში. როგორც ჰერდერი ამბობს: „მეტყველების იარაღს უნდა ვუყუროთ როგორც ჩვენი გონების მკვებავს, ხოლო მეტყველებას — როგორც ღვთიურ ნაპერწკალს, რომელმაც ნელ-ნელა გააღვივა ჩვენი გრძნობები და აზრები“.

ასევე უდავოა, რომ ღარიბი კულტურის ხალხებისათვის რელიგია თავისთავში შეიცავს ყველა ჩანასახს, რომლებსაც დროთა განმავლობაში უნდა წარმოექმნათ კულტურულ ხალხთა შესანიშნავი სულიერი ცხოვრება. იგი ერთსა და იმავე დროს მეცნიერებაცაა და ხელოვნებაც, თეოლოგიაცაა და ფილოსოფიაც. ამ ხალხთა ქურუმების შესახებ მთელი სამართლიანობით უნდა ითქვა', რომ ისინი ღვთაებრივი საიდუმლოების მცველები არიან. ხალხში ამ საიდუმლოების შემდგომი გავრცელება, მათი პოპულარიზაცია, ფართო გაგებით, კულტურის პროგრესის ყველაზე ნათელი და ღრმა ნიშანია. არავის ეპარება ეჭვი, რომ გონება ყველა რასისა და განვითარების საფეხურის ხალხთა საერთო საკუთრებაა. ასევე ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს ენების საერთო რაოდენობა. და იმის საწინააღმდეგოდ, როგორც ადრე ეგონათ, დაბალი განვითარების ხალხები ყოველთვის არ ფლობენ ყველაზე უბრალო, ხოლო მაღალგანვითარებულები — ყველაზე მდიდარ ენას. ამასთან, ხშირად ეჭვობდნენ, რომ რელიგია თითქოს ყველა ველურ ხალხში გვხვდება. ეს ვარაუდი არასწორია.

პოლიტიკურ და ეკონომიკურ დაწესებულებებსა და ველურ ხალხთა კულტურულ მონაპოვართა შორის საკმაოდ დიდი განსხვავებაა. ამ უკანასკ-

---

* წყაროდან: Фр. Ратцел, Народоведение, т. 1, СПБ., 1900, с. 20—28.

ნელთან შეგვიძლია ვიპოვოთ არა მარტო საწყისი, არამედ კულტურის პროგრესის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი, რითაც, უეჭველია, აღნიშნული განსხვავება დაიყვანება არა იმდენად განსხვავებულ უნარზე, რამდენადაც არახელსაყრელი განვითარების პირობებზე. განვითარებაში გაცვლა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, მაგრამ მიუკერძოებელი დამკვირვებლისათვის უფრო თვალში საცემი იყო ქცევათა დამთხვევები, ვიდრე განსხვავებანი. დამარების წეს-ჩვეულებათა მკვლევარი ჩაპმენი გაოცებით აღნიშნავს: „საოცარია, რა დამთხვევაა მთელს მსოფლიოში ადამიანთა ოჯახების წეს-ჩვეულებებში! დამარებთანაც კი გვხვდება წეს-ჩვეულებები, რომლებიც ზუსტად ემსგავსება ახალზელანდიელთა წეს-ჩვეულებებს, მაგალითად, წინა კბილების მოტეხვა და ნეკა თითის მოჭრა“. ჩვენთვის ნაკლებ განსაცვიფრებელია, როცა იგივე მოგზაური მიუთითებს, რომ დამარებს უფრო მეტი მსგავსება აქვთ ბეჩუანებთან. კულტურის არსი — ესაა, დააგროვო მრავალი გამოცდილება, შემდეგ კარგად დაცვა, დაბოლოს, უნარი, განვითარო და გაამდიდრო იგი. ამიტომ, პირველ რიგში, უნდა გავიგოთ, როგორ შეიძლება კულტურის პირველი ძირითადი პირობის განხორციელება — კულტურის მიღწევათა დაგროვება უნარის, ცოდნის ძალის თუ კაპიტალის ფორმით? ამ შემთხვევაში პირველი ნაბიჯია, ბუნებისაგან ბოძებული ძღვენიდან შეგნებულ გამოყენებაზე (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა) გადასვლა საკუთარი შრომით. ეს გადასვლა გვიხსნის ყველაზე შორეული პერსპექტივის კარს. მხედველობაშია მისაღები, რომ პირველი ნაბიჯიდან იმ სიმაღლემდე, რომელიც დღემდეა მიღწეული, განვითარების საკმაოდ დიდი მანძილია.

ადამიანის სული, ისევე როგორც მთელი ხალხისა, ამჟღავნებს შემდგომ განვითარებას, როგორც შედეგს მრავალმხრივი ნიჭიერებისას, ისე სხვადასხვა ზეგავლენისას, რასაც ახდენს მათზე გარეპირობები. მერყეობს უმეტესად შინაგანი კავშირი და მასთან ერთად სულიერი უნარის სიმყარე და სიმტკიცე. კავშირის უქონლობა, ამ მონაპოვრის დაშლა უფრო მეტად ახასიათებს დაბალ კულტურულ საფეხურს, ისე როგორც კავშირი, განუყოფლობა დამახასიათებელია მაღალისა. დაბალ საფეხურზე ვხედავთ ტრადიციის სიღარიბეს, რაც საშუალებას არ აძლევს ამ ხალხებს, გაიცნობიერონ თავიანთი წინანდელი ბედი მეტად თუ ბევრად ხანგრძლივ პერიოდში. გაამდიდრონ თავიანთი გონებრივი მონაპოვარი ცალკეული გამოჩენილი მოაზროვნეების შენაძენით ან გარეგანი სტიმულების აღქმითა და დამუშავებით. თუ შეიძლება ამ მოსაზრებას ვენდოთ, აქ ძევს ხალხთა შორის განსხვავების ღრმა მიზეზი. ჩვენ, როგორც ჩანს, ვეხებით მას, როცა ვუპირისპირებთ ერთმანეთს ხალხებს, რომელთაც ისტორია აქვთ, და ხალხებს, რომელთაც ის არ გააჩნიათ. მაგრამ ისტორიული ფაქტები ნუთუ დაკარგულია ისტორიისათვის მხოლოდ იმიტომ, რომ ხსოვნა მათ შესახებ არაა შემონახული დაწერილი ისტორიის სახით? ისტორიის არსი მდგომარეობს თვით მომხდარ ამბავში და არა მის დამახსოვრებასა და დაწერაში. ჩვენ ვამჯობინებთ, ეს განსხვავება დავიყვანოთ დაქუცმაცებული და ორგანიზებული ერების დაპირისპირებამდე, რადგან შინაგანი კავშირი, როგორც ჩანს, უფრო წარმოაჩენს იმ სხვაობას, რაც არსებობს ისტორიის სფეროში, და მაშასადამე, სულიერებაში. როგორც საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი, ისე კაცობრიობის სულიერების ისტორია, უპირველეს ყოვლისა, არის დაქუცმაცებულობიდან თანამოქმედებაზე გადასვლა. გარესამყარო, უპირველეს ყოვლისა, აიძულებს ადამიანის სულს, შეეგუოს მას, განსაზღვროს თავისი ურთიერთობა მასთან. ამის საბოლოო მიზანი კი ისაა, რომ თვით

ადამიანის სული მოწესრიგებულად აღიქვამს ბუნებას, ე. ი. ქმნის პოეზიას, ხელოვნებასა და მეცნიერებას.

ველური ხალხი სხვადასხვა რასას მიეკუთვნება და ვერ ქმნიან ანატომიურ-ანთროპოლოგიურ ეროვნულ ჯგუფს. რადგან ისინი სარგებლობენ ენისა და რელიგიის დარგში კაცობრიობის უმაღლესი კულტურის მიღწევებით, მათი ადგილი და მდგომარეობა არ უნდა იქნეს მიჩნეული კაცობრიობის გენეალოგიაში პირველყოფილად ანუ ბავშვობის ხანად. მოზარდის სწრაფ მოწიფულობასა და არასაკმარისად მომწიფებულ დიდ ადამიანს შორის არსებითი განსხვავებაა. ველური ხალხი ახლოს დგას უკანასკნელთან. მათ ჩვენ ვუწოდებთ კულტურით ღარიბ ხალხებს, რადგან გარეგანმა და შინაგანმა ფაქტორებმა ხელი შეუშალეს მიეღწიათ ისეთივე წარმატებისათვის, რაც ნიშანდობლივია თანამედროვე კულტურული ხალხებისათვის და მიუთითებს კულტურულ პროგრესზე. ჩვენ ვერ გავბედავთ ვუწოდოთ ამ ხალხს კულტურის არმქონენი, რადგან თითოეული მათგანი ფლობს საწყის საშუალებას უმაღლეს საფეხურზე ასასვლელად — ენას, რელიგიას, ცეცხლს, იარაღს, ხელსაწყოს, იცან მათი გამოყენება და სხვა, ჰყავთ შინაური ცხოველები, აშენებენ კულტურულ მცენარეებს, რაც დამახასიათებელია კულტურული ხალხებისათვის.

მრავალი მიზეზის გამო ყველაფერმა ამან სარგებლობა ვერ მოუტანა მათ. მიზეზთა შორის პირველ რიგში ასახელებენ გონებრივი უნარის სიმწირეს. რაც ხელსაყრელია, მაგრამ არასამართლიანი. თანამედროვე ველურ ხალხებში შეიმჩნევა დიდი სხვაობანი ნიჭიერების მიხედვით. მხედველობაშია მისაღები, რომ განვითარების მანძილზე მხოლოდ რამდენიმე შედარებით გონიერმა ხალხმა აითვისა კულტურის მიღწევები, ნაკლებ გონიერები ჩამორჩნენ. საჭიროა გავერკვეთ მათ შეყოვნების მიზეზებსა ან წამახალისებელ მოქმედებათა გარე პირობებში. ველური ხალხების ადგილსამყოფელი უმეტესად გვხვდება ეიკუმენის ყველაზე განაპირა ადგილებში, ცივ და ცხელ ქვეყნებში, შორეულ კუნძულებზე, ჩაკეტილ მთებსა და უდაბნოებში. მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარებისათვის მათ მცირე საშუალება გააჩნიათ. ამით აიხსნება მათი რიცხობრივი სიმცირე, აქედანვე გამომდინარეობს მათი გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების გამოვლინებათა უმნიშვნელო საერთო მასა, გამოჩენილ ადამიანთა იშვიათობა და სხვ.

ველური ხალხი გამსჭვალულია მომთაბარე ცხოვრების სულისკვეთებით. ამით აიხსნება მათი პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტების არასრულფასოვნება, მაშინაც კი, როცა ეს ხალხი გულმოდგინედ იწყებს მუშაობას მიწის გარკვეულ მონაკვეთზე. მიუხედავად კულტურული საშუალებებისა, რაც მათ ხშირად მიენიჭებათ, იწყება დაქუცმაცებული, ძალთა გულმოდგინებას და ნაყოფიერებას მოკლებული ცხოვრება. შინაგანი კავშირის უქონლობის გამო, მათი ცხოვრება სხვა მხრითაც ვერ ვითარდება. ამ ხალხისა და ჩვენი მდგომარეობის შედარებისას, ვასკვნით, რომ კულტურული ურთიერთობის მხრივ ეს ხალხი წარმოქმნის ფენას, რასაკვირველია, ჩვენთან შედარებით დაბალს. ეს ფენა ბუნებრივი წარმოშობით და ჩანასახით ჩვენსას უტოლდება, ზოგჯერ კი არც ისე დაშორებულია ჩვენგან და უნდა განვიხილოთ არა იმ აზრით, რომ ჩვენთან ახლომდგომი განვითარების დაბალი საფეხურებია, რომლებიც გავიარეთ, არამედ იმ აზრით, რომ იმდენსავე უმოძრაო ელემენტს შეიცავს, რამდენსაც სხვა დანარჩენს.

კულტურით ჩვეულებრივ აღვნიშნავთ განსაზღვრული დროის ყველა სულიერ მონაპოვარს. როცა ლაპარაკია კულტურის ხარისხზე — მაღალ და და-

ბალ კულტურაზე, ნახევარკულტურაზე და ერთმანეთს ვუპირისპირებთ ველურ და კულტურულ ხალხებს, ვიყენებთ მასშტაბს, რომელსაც ვიღებთ ჩვენ მიერ მიღწეული კულტურული სიმაღლიდან. ჩვენი კულტურა ნამდვილ კულტურად გვეჩვენება.

ყოველი ხალხისათვის დამახასიათებელია გონებრივი მონაცემები, ამასთანავე იგი ავითარებს თავის ცხოვრებაში რაღაც სულიერს. თავისი ცოდნისა და შესაძლებლობების გარკვეულ რაოდენობას თითოეული უწოდებს თავის კულტურას. განსხვავება მათ შორის არა იმდენად მათ სიდიდეშია, რამდენადაც მათი განვითარების უნარში.

შემთხვევითი არ არის, რომ სიტყვა „კულტურას“ (დამუშავება) და მიწათმოქმედებას ერთნაირი შინაარსი აქვთ. აქაა მისი ეტიმოლოგიური ფუძე. აგრეთვე ფუძე იმისა, რასაც, ფართო გაგებით, კულტურას ვუწოდებთ.

ბუნებრივ პირობებს, რომელზეც დამოკიდებულია სიმდიდრის დაგროვება, ნიადაგის ნაყოფიერებისა და მასზე დახარჯული შრომის წყალობით, დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურის განვითარებისათვის.

ბოკლისთან ერთად ჩვენც ვიზიარებთ იმ აზრს, რომ ისტორიაში არ არსებობს არცერთი ქვეყნის მაგალითი, რომელიც რომელიმე ზემოხსენებული პირობის გარეშე, მხოლოდ თავისი ძალისხმევით მივიდა ცივილიზაციამდე. მექსიკის და ზემო პერუს ზეგანზე ნაკლებ ნაყოფიერი ქვეყნებია, ვიდრე მათ გარემომცველ ბარში. მიუხედავად ამისა ამერიკის ორივე ამ ზეგანზე კულტურამ განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია.

ეს გვაიძულებს ვაღიაროთ, რომ თუმცა კულტურა თავის დასაწყის სტადიაში მჭიდროდაა დაკავშირებული ნიადაგის დამუშავებასთან, მაგრამ შემდგომ განვითარებაში თანაფარდობა მათ შორის არაა აუცილებელი. იმის მიხედვით, თუ როგორ იზრდება ერი, მისი კულტურა სცილდება ნიადაგს და რაც უფრო ვითარდება, მით უფრო უჩნდება ორგანოები, რომლებიც მხოლოდ სამწყათმოქმედო შრომის დახმარებას არ გულისხმობენ. შეიძლება ითქვას, მიწათმოქმედს აქვს თანდაყოლილი სისუსტე, გამოწვეული იარაღის ხმარების მიუჩვევლობით და მიწის დასაკუთრების სურვილით, რაც ასუსტებს მის ვაჟკაცობას. პოლიტიკური ძალის უმაღლეს გამოხატულებას ვხედავთ მონადირეებსა და მესაქონლეებში, განსაკუთრებით ითქმის ეს მწყემსებზე. რომლებსაც გადაადგილებასთან ერთად ემატებათ მასობრივი მოქმედების უნარი და დისციპლინა. აქ მეღავნდება ის, რაც ხელს უშლის მიწათმოქმედს სრულად განავითაროს თავისი ძალები — ბინადრობის ხანგრძლივობის უქონლობა, მოძრაობა, ენერგიის წვრთნა, მამაცობა და იარაღის ხმარების ხელოვნება. ჩვენ ვხედავთ, რომ ე. წ. ნახევრადკულტურული ხალხის ყველაზე ძლიერი ორგანიზაციები ამ ელემენტების შერწყმის შედეგია. მიწათმოქმედი ჩინელები მანჯურიელთა ძალაუფლების ქვეშ არიან, სპარსელები თურქესტანის მფლობელებს ემორჩილებიან, ეგვიპტელები — ჰიქსოსებს, არაბებსა და თურქებს, ე. ი. მომთაბარე ხალხს. მექსიკაში ყველაზე დახვეწილი მიწათმოქმედი ხალხი ტოლტეკები ემორჩილებიან უხეშ აცტეკებს. აქ ჩანს ისტორიის კანონი. ნაკლებ ნაყოფიერი ზეგანები და მათი მიმდებარე ზოლები იმიტომ კი არ უწყობდნენ ხელს უმაღლესი კულტურის განვითარებასა და კულტურულ სახელმწიფოთა წარმოშობას, რომ მიწათმოქმედებისათვის ხელსაყრელი უფრო გრილი ჰაერი ჰქონდათ, არამედ იმიტომ, რომ აქ ერთდებოდა ნომადების დამპყრობლური და დამცველი ძალები, რომელნიც მონდომებით შრომობდნენ კულტურულ ოაზისებში. მაგრამ მიწათმოქმედებისა და სახელმწიფოს შექმნის უნარს მოკლებულნი იყვ-

ნენ. ასრულებდნენ თუ არა ამ დროს ტბები მსგავსი ხახელმწიფოების წარმოქმნისა და კრისტალიზაციის პუნქტების როლს, როგორც, მაგალითად, ტიტიკაკა პერუში, ტესკოკოსა და ჩალკოს ლაგუნა მექსიკაში, უკერევო და ჩადი შიდა აფრიკაში, საინტერესო საკითხია, მაგრამ მეორეხარისხოვანი.

კულტურის ხელშემწყობ და შემაკავებელ ადგილობრივ პირობებზე კლიმატის თავისებურების გავლენის მაგალითზე შეგვიძლია დავინახოთ დიდი სივრცე ერთნაირი კლიმატური პირობებით და კულტურული მხარეები, რომლებიც განლაგებულია დედამიწის ირგვლივ სარტყლის მსგავსად. მათ შეიძლება ვუწოდოთ კულტურული ზონები. ისტორიული გამოცდილების თანახმად, ნამდვილი კულტურული ზონა ზომიერი სარტყელია. უკანასკნელი სამი ათასწლეულის მანძილზე ამ სარტყელში მიმდინარეობდა ყველაზე მნიშვნელოვანი, ორგანულად შეკავშირებული, განუწყვეტელი ისტორიული განვითარება. ეს იყო ძველი ისტორიის ცენტრი ზომიერ სარტყელში ხმელთაშუა ზღვასთან. ზომიერ სარტყელში ისტორიული განვითარება ევროპაში კულტურის განვითარების შემდეგაც გრძელდებოდა. კულტურის საგანძურის ელემენტების ურთიერთობა — გაცვლა, გამრავლება და დამაგრება სწორედ აქ ბოულობდა ყველაზე ხელსაყრელ პირობებს.

უძველესი ნახევარკულტურა, რომლის ნაშთებს ვხვდებით ტროპიკულ ქვეყნებში, იმ ეპოქას მიეკუთვნება, როცა კულტურული შრომა არ მოითხოვდა დიდ ძალისხმევას ცალკეული პირისაგან. ძველი და ახალი კულტურების გეოგრაფიული გავრცელება მიუთითებს, რომ კულტურული ამოცანების ზრდასთან ერთად კულტურული სარტყელი მეჩიდროვდებოდა სწორედ ზომიერ სარტყელში, სადაც შეიმჩნეოდა მეტი ქმედითუნარიანობა. ეს მოსაზრება მეტად მნიშვნელოვანია კაცობრიობის პირველყოფილი ისტორიის და მისი გავრცელების ისტორიისათვის, აგრეთვე ტროპიკულ ქვეყნებში კულტურის ნაშთების შესწავლისათვის. კულტურის დაცემის სხვა სახეობას ვეცნობით დაბალი კულტურის მატარებელი ხალხის მიერ მაღალი კულტურის მატარებელი ხალხის შთანთქმის მაგალითზე. დაბალი კულტურის მატარებელი ხალხი უკეთ ეგუება ცხოვრების მძიმე პირობებს.

ბუშმენები*

ბუშმენები[1] ოდესღაც ჰოტენტოტებთან ერთად იყოფდნენ სამხრეთ-დასავლეთ აფრიკას და მიიწევდნენ აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთისაკენ. ევროპელების მოსვლამდე, მათი გავრცელება, ცხოვრების წესის შესაბამისად, ისეთივე გაფანტული იყო, როგორც მათი გვარის წევრების განსახლება ცენტრალურ აფრიკაში. ევროპელებმა, რომლებიც შეხვდნენ მათ კეთილი იმედის კონცხზე (მულატისმაგვარი კანის ფერი, მახინჯი სახეები, სიგამხდრე და სიმარდე ჯერ კიდევ 1601 წელს აღწერა გეორგ შპილბერგმა და ეს სახელი უწოდა მას), კიდევ უფრო შეუწყვეს ხელი მათ გაფანტვას. მთებსა და უდაბნოებში განდევნილი ეს ხალხი, ჰოტენტოტებისაგან განსხვავებით, გაჭირვებულად არსებობდნენ. მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში არიან შემჭიდროებული და მრავალრიცხოვანი, განსაკუთრებით ბუშმენთა ქვეყანაში ორანჟის მდინარესთან ახლოს. ამ საუკუნის დასაწყისში ისინი ცხოვრობდნენ ჯერ კიდევ ქვემო ბოკეფელდის ჩრდილოეთით, მაგრამ ლიხტენშტეინის დროს უკვე მოსვენებას არ აძლევდნენ როგეფელდს. მათ არ შეუძლიათ ბინადარი ცხოვრება ნაწილობრივ საკუთარი სურვილის, ნაწილობრივ ბურების წინააღმდეგობის გამო. ბუშმენები ფინგუსებთან და ჰოტენტოტებთან ერთად მხოლოდ სტორბერგის მთის ძირში ცხოვრობენ. აუბის ორივე მხარეს ნამაკების ადგილსამყოფელში ისინი გაურბიან დაქვემდებარებას მხოლოდ განთესვისა და უდაბნო ადგილებში ხეტიალის წყალობით. შემდეგ ისინი მოსახლობენ კალაგარის უფრო დიდ ბარაქიან სამხარეო ზოლში, რომლის შუა ნაწილი უკავიათ გაფანტულ ბაკალაგარიებს და სხვა ბეჩუანებს. აქ ისინი ქმნიან ყველაზე დიდ ტომებს საკმაოდ მოწესრიგებული მმართველობით.

ოვამბოებთან (კუნენემდე) მათი მდგომარეობა მეტყეობს დაქვემდებარებასა და თავისუფლებას შორის. ისინი დამოუკიდებლად ცხოვრობენ ტბა ნგა-

---

* წიგნიდან: Фр. Ратцел. Народоведение, т. 1, СПБ., 1900, с. 720—734.

1 სახელწოდება „ბუშმენი" ამ ხალხს კოლონისტებმა უწოდეს. იგი არავითარ ახსნას არ მოითხოვს, მაგრამ არ იქნება ზედმეტი, მივუთითოთ, რომ ეს არის საერთო სახელწოდება დასავლეთ სან

მის დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთისაკენ. აქ შოშონგსა და ზამბეზს შორის განსაკუთრებით ძლიერი და უფრო შავკანიანი მადენასანის ტომი ცხოვრობს. ისინი დაქვემდებარებულ მდგომარეობაში აღმოაჩინა შვედმა მონადირემ ანდერსონმა — ბაიეებისა და ბეჩუანებისაგან ხუთი დღის სავალზე ტბიდან ჩრდილოეთით; ლივინგსტონმა კი — უფრო აღმოსავლეთით. ეს ცვლის მათ საზღვრებს და ყვითელი ხალხის გავრცელებას აფართოებს სამხრეთ აფრიკის ჩრდ. განედის 17°-მდე, ე. ი. იმ ქვეყნამდე, სადაც დამპირის მითითებით ცხოვრობდნენ „მონომოტაპის ჰოტენტოტები“, რომლებსაც აგრეთვე ბუშმენებს ეძახდნენ. მიწისმზომელ ანდერსონს ბუშმენთა ყველაზე ჩრდილოეთი სოფლები გადააქვს სამხრ. განედის 15°-მდე — ზემო კუბანგომდე და მაზარვთა, კაზაკის და კაიკაიბრიოს ოჯახების ბუშმენებს უწოდებს ერთადერთ მუდმივ მკვიდრთ კუბანგო-ჩუბის ქვეყნებსა და ოვამბო-დამარას შორის. აღმოსავლეთში, მერენსკის აზრით, მცირერიცხოვანი ბუშმენები ცხოვრობენ ბრტყელ მაღლობებზე, რომელთაგან სათავეს იღებს ვაადი და ყვითელი მდინარეები. ვანგემანს ჯერ კიდევ 1867 წელს გაუგია, რომ მათ დრაკონის მთიდან მოყოლებული, ხარკი შეუწერიათ ლონგალიბალელეს ჯოგისათვის. ბუშმენთა კრაალის ცალკეული ნანგრევები გვხვდება ორანჟის რესპუბლიკის მთებზე. ამიტომ ისინი აღმოსავლეთით არ სცილდებიან სამხრეთ განედის 25°-სს. 100 წლის წინ შპარმანი მათ ხედებოდა განახლების მდინარესთან და დიდი თევზის მდინარის სათავის მახლობლად და ისე შორიშორს ერთმანეთისაგან, რომ იქ რამდენიმე დღის განმავლობაში შეიძლებოდა არცერთი კრაალი არ შეგვხვედროდა.

შემორჩენილია მათი ყველაზე აღრინდელი სამხრეთული ნახატები კლდეზე. ისინი არცთუ ისე ძველია და გვხვდება დამარალანდში ენგორის მთებში, სადაც ამჟამად არცერთი ბუშმენი არ სახლობს. ისინი ნადირობის სცენას გამოსახავდნენ წითელი რკინაქვით, თანაც ისეთი სიზუსტით, რომ ცხოველის სახე ადვილად შეიცნობოდა.

განთესილი და დაქვემდებარებული ცხოვრებისას ხშირად ხდებოდა აღრეცა. თავი დავანებოთ სამხრეთ აფრიკის დასავლეთ ნაწილის ნამაკ-ბუშმენებს, გადაჯიშებულ ჰოტენტოტთა, მთის დამართა, გერეროსთა და თეთრების აღრეულ შთამომავლებს, ნამდვილი ბუშმენები გვხვდებიან იქ, სადაც ისინი ბუნებრივი სიკვდილით არ იხოცებიან, სადაც მეზობლები ნთქავენ მათ. უკვე მათი ნახევარი შეიძლება ჩაითვალოს აღრეულად. დოქტორ შინცის ცნობით. კალაგარის 5 000 ბუშმენიდან მხოლოდ 3 000—3 500 შეიძლება იყოს წმინდა.

ბუშმენის გარეგნობაში ყველაზე მეტად თვალშისაცემია მისი სიდაბლე. გ. ფრიტჩმა აღრიცხა ექვსი ზრდასრული მამაკაცის საშუალო სიმაღლე, რამაც შეადგინა 144,4 სმ. აღრეულმა არაზუსტმა გაზომვებმა უფრო ნაკლები რეზულტატი მოგვცა, ამის საწინააღმდეგოდ შინცმა კალაგარში ყველაზე პატარა ბუშმენის სიმაღლე განსაზღვრა 1,49 სმ-ით, ხოლო ყველაზე დიდის—1,67 სმ-ით. განსხვავება მამაკაცისა და დედაკაცის სიმაღლეს შორის შეუმჩნეველია. კანქვეშა ცხიმი ორივე სქესის ბუშმენებს უმნიშვნელო აქვს. კანის სიმშრალე ნაწილობრივ წაადგას გათრიმლულ ტარსიკონს და მუცელზე წარმოქმნის დიდ ნაოჭებს. ზანგებისათვის დამახასიათებელი კანის აორთქლება ბუშმენებთან არ შეიმჩნევა. ძირითადი შეფერილობა მოსპილენძისფრო-მოწითალოა.

ნაკლებთმიანობა შეესაბამება კანის უმნიშვნელო სისქეს. ცალკეული თმები იმდენად სვეულია, რომ მარცვლებს წაადგას. თმები სიბერეში თეთრდება. მელოტი თავები იშვიათია. სხეულზე ბუსუსიც კი არა აქვთ. ჩვეულებრივ თმებით დაფარულ ადგილებში მცირე თმიანობა შეიმჩნევა. სახეზე ხშირად

აღინიშნება მხოლოდ ულვაშები. ჩამოკიდებული მუცელი დამახასიათებელია ცალკეული ინდივიდებისათვის, რის გამოც გაკის არე უშნოდ აქვთ გამოწეული. ამიტომ წელის მალები დიდად მოძრავია, რის გამოც მათ შეუძლიათ მცირე ადგილზე ადვილად მოკეცვა. გამხდარ კიდურებზე კუნთები მუმაის მსგავსად გამოიყოფა მოდუნებულ კანზე. ხელის მტევნები და ფეხის ტერფები უფრო პატარა აქვთ, ვიდრე ჰოტენტოტებს. ქალებსაც დუნდულებზე ცხიმი ისე არ უვითარდებათ, როგორც ჰოტენტოტებს. სამაგიეროდ ყველასათვის დამახასიათებელია წარმონაქმნი, რომელსაც „ჰოტენტოტურ წინსაფარს" უწოდებენ.

სახე ფართო შუბლით, უმნიშვნელოდ გამოწეული ყვრიმალებით და ფართო ქვედა ყბით ოთხკუთხედია. თვალები მოთავსებულია ჰორიზონტალურად, ზოგჯერ კი რამდენადმე ირიბად. გამოხედვა მორიდებული და ველური. ცხვირი ფუძეში მიჭყლეტილი, წვეტი — დიდი, პირი — ფართო, ტუჩები — ზომიერად გადმობრუნებული, ყბა — წინ წამოწეული, ნიკაპი — მომრგვალებული, რის გამოც სახის ქვედა ნაწილი ხშირად წინ წამოწეულია ცხოველის მსგავსად. ბუშმენთა თავის ქალა ჰოტენტოტების მსგავსად გრძელი და დაბალია. მცირე განსხვავება აღინიშნება მამაკაცისა და ქალის მენჯებს შორის. შეკუმშული აღნაგობით გამოირჩევა ჩონჩხის ყველა ნაწილი. ალბათ ძელების ნაზი აგებულების შედეგია ის, რომ ბუშმენებში ხშირია მზის დაკვრა. ასევე სწრაფად ავადდებიან მალარიით. მათი ენერგია უფრო მეტად გამძლეობაშია, ვიდრე ფიზიკურ სიძლიერეში. მსუბუქი და ძარღვიანი აგებულების გამო ისინი კარგი შოსიარულენი და სწრაფმავლები არიან. ზოგიერთი სახეობის ნადირს ისინი ადვილად ეწევიან ფეხით. გრძნობების სიმძაფრე ვარჯიშის შედეგია: მხედველობასა და კვალის მიგნებაში მათ სწორი არა ჰყავთ. განვითარებული აქვთ აგრეთვე წყურვილისა და შიმშილის გამძლეობა და სწრაფადვე გამოდიან მდგომარეობიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში ცხოვრების ისეთი წესი, როგორიც მათ აქვთ, უაზრო იქნებოდა.

საკმაოდ რთულია ასეთი ველური ხალხის სულიერი და გონებრივი მონაცემების განსაზღვრა. მათი გონებრივი უნარი მთლიანად მიმართულია სიცოცხლის შენარჩუნებისა და გამოყენებისაკენ. ამიტომ მათ შესახებ ძირითადად შესაძლებელია ვიმსჯელოთ იმ მოხერხებულობის მიხედვით, რასაც ისინი ამყოფავნებენ სიცოცხლისათვის აუცილებელ მოქმედებაში, ე. ი. უმთავრესად ნადირობაში. გარდა ამისა, შეიძლება აღინიშნოს მათი განუვითარებელი აზრები ზებუნებრივ საგნებზე და ზოგიერთი ბუნდოვანი და არეული გადმოცემები. ამით ამოიწურება მათი სულიერი ცხოვრების გამოხატულება. ცხოვრების წესი შეიძლება ჩაითვალოს შემამსუბუქებელ გარემოებად სულიერ ცხოვრებაზე მსჯელობის დროს. ეს კიდევ უფრო მეტად შეიძლება ითქვას ხასიათზე. ძნელი სათქმელია, რა არის აქ თანდაყოლილი და რა შეძენილი. ჰოტენტოტ თანატომელთა თავქარიანობა ბუშმენებთან დამლუპველ უზრუნველობამდე მიდის: მათთან ყველა საქმე წყდება წუთიერი განწყობილებით. ამით აიხსნება ყველა ის წინააღმდეგობა და ნაკლი, რასაც მიაწერენ ამ საძაგელ სამხრეთ აფრიკელებს მათი ფერადი და თეთრი მეზობლები.

ცნება მონადირე ხალხი მთლიანად მოიცავს ყველა ასაკისა და მდგომარეობის ბუშმენთა ცხოვრების შინაარსს. ბუშმენები ყველაზე ცალმხრივ და ამასთან დახვეწილებული მონადირენი არიან. გარეულ ფრინველთან დაკავშირებით ბუშმენი იცვლის ადგილმდებარეობას. ისინი ცხოვრობენ მცირე ჯგუფებად, რადგან დიდი კრებული აფრთხობს ნადირს. ასე ცხოვრება დამლუპველად მოქმედებს მოსახლეობის ზრდაზე. ფეხმძიმე ქალები და მცირეწლოვ-

ვანი ბავშვები მთლიანად იზიარებენ მამაკაცთა ცხოვრების სიმძიმეს, რომლებიც თითქმის სრულიად მოკლებულნი არიან აუცილებელ მოსვენებასა და მოვლა-პატრონობას. ასეთი პირობები ხელს უწყობს ინდივიდის და არა საზოგადოების განვითარებას. ცალკეული პირის უნარი მნიშვნელოვანია, მაგრამ ე. წ. სოციალური ინსტინქტი — საკმაოდ ღარიბი. გრძნობათა სიმძაფრე, ფიზიკური გამძლეობა, ველური თვითშეგნება, ჯიუტი, უაზრო სითამამე, რაც მიდის ცხოვრების სიძულვილამდე ეშმაკობასა და ბუნების ცოდნასთან ერთად, — ასეთია ამ ნამდვილი მონადირე ხალხის ხასიათის მთავარი თვისებები.

ბუშმენს აკეთილშობილებს მხოლოდ ის, რაც დამახასიათებელია ცხოველისთვისაც, — თავისუფლებისადმი სიყვარული. ამ მხრივ იგი ყველა აფრიკელზე მაღლა დგას. ჰოტენტოტისაგან განსხვავებით, ბუშმენი არასოდეს იხრიდა ქედს მონობის უღელქვეშ. ტყეობაში მას არ ასვენებს ველური მისწრაფება თავისუფლებისადმი. ველური სიძულვილის გამოა, რომ იგი იბრძვის ყველაფერი იმის წინააღმდეგ, რაც თეთრ და შავკანიანთა მხრიდან ეწინააღმდეგება ამ მისწრაფებას. სამხრეთ აფრიკელებს შორის ბუშმენი ანარქისტია. თუმცა თეთრკანიანებთან მჭიდრო სამსახურებრივ ურთიერთობაში ისინი მუდამ ნდობით სარგებლობდნენ: ბუშმენი, რასაკვირველია, უფრო მკაცრია, ვიდრე ჰოტენტოტი ან ზანგი. მის სიმკაცრესა და მამაცობაზე საოცარი ისტორიებია. გ. ფრიტჩს ხშირად მოუსმენია მცოდნე ხალხისაგან, რომ დისციპლინირებული 12 ბუშმენი არ შეუშინდება 100 კაფრს.. ბუშმენებისადმი შიშმა გამოიწვია სამხრეთ აფრიკის ტყის მოსპობა: კოლონისტები თავისი საცხოვრებლის ირგვლივ წვავდნენ ტყეს, რათა მტრებს არ ჰქონოდათ მათთან მიპარვის შესაძლებლობა.

მისიონერი კოლეუეი ასე გვაცნობს ბუშმენებს თავის ნარკვევში: „აბატოა სხვა ხალხებზე დაბალია. ისინი იმალებიან ბალახში, სძინავთ ჭიანჭველების გროვაში; გამოდიან ნისლში, ცხოვრობენ მაღალ კლდეებში. არა აქვთ მკვიდრი დასახლების ადგილი. მათი სამშობლო იქაა, სადაც ხოცავენ ნადირს. ისინი მთლიანად სჭამენ მას და აგრძელებენ გზას. ასეთია მათი ცხოვრების წესი. მათი იმიტომ კი არ ეშინიათ, რომ დაბლები და შეუხედავნი არიან, არამედ იმიტომ, რომ ბალახებში ქრებიან. მონადირე მოულოდნელად იგებს აბატოას სიახლოვეს — უკვე მაშინ, როცა ისრით არის განგმირული, მაგრამ იგი ვერ ხედავს მას, ვინც ისარი ისროლა. აბატოას ტომელები ბუზებს ჰგვანან, ვერ გაიგებ, საიდან მოფრინდებიან“.

სამხრეთ აფრიკაში მისიონერობის ისტორიაში ყველაზე წარუმატებელი ბუშმენური მისიაა. შისიონერთა სადგურს ბუშმენების შეკრება შეეძლო მხოლოდ თამბაქოს უხვი საჩუქრებით. პირველი მისიონერის გერმანელი კიხერერის სიცოცხლეს გამუდმებული საფრთხე ემუქრებოდა. 1806 წ. მისია უნდა დახურულიყო. ასევე იყო მისიები ტოორბერგსა და გეფზიბში. მდინარე კალედონზე მისიის აყვავება დაიწყო მხოლოდ მაშინ, როცა იგი ბეჩუანების გახდა.

მკაცრ კლიმატთან შედარებით ბუშმენი ჩაუცმელია. ველურ ხალხში ტანსაცმელი პირველ რიგში მასზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ კულტურის დონეზე. ბუშმენისათვის საკმარისია ტყავის სამკუთხა ნაჭერი, რომელიც ფეხებშუა იჭიმება და ზონარით იკვრება წელზე. ჰოტენტოტებთან მეზობლობაში, განსაკუთრებით ქალები, ბაძავენ მათ ჩაცმულობას. დასავლეთ კალაჰარში, ევროპელ ვაჭრებთან მეზობლობაში შეიძლება შეეხვედეთ ბუშმენებს პანტალონებსა და ქურთუკებში. შრავალი მათგანი დღისით ატარებს მხრებზე გადაგდებულ კაროსს, რომელიც შეკერილია ტყავისაგან, ღამით კი ზედ იფარებს

ტანსაცმლის ნაკლებობის გამო, ბუშმენები მთელ ტანზე ისვამენ ტალახს. სახესა და გამხდარ სხეულს იფარავენ ნახშირისა და ცხიმის სქელი ფენით. ღამით ადვილად თავსდებიან ცხელ ნაცარში ან ქვიშაში ანდა ჭიანჭველების გროვაში.

ქალებს უფრო დიდი წინსაფარი აქვთ, ვიდრე მამაკაცებს. კაროსი მათ ლაბადის მაგივრობას უწევს და ძუძუთა ბავშვებს იფარავს. მამაკაცები ზოგჯერ ტყავის ან ლაფანის სანდლებს ატარებენ. მათი სამკაული ღარიბია და ნაკლებღირებული — რამდენიმე სპილენძის ან რკინის ბეჭედი, მუქი მძივის ძეწკვი, მძივებივით აცმული ხის პატარა ჯოხები და რკინის ან სპილენძის ნაჭრები. უფრო ბუნებრივი სამკაულია მონადირეთა ნადავლი — ფრინველთა ფრთები ან კურდღლის კუდები თმებში, კბილები, ბრჭყალები, რქები და ნიჟარები — კისერსა და ხელებზე. თხის პატარა რქებში ან ხმელეთის კუს მოხდენილ ბაკნებში, რომლებსაც ატარებენ წელზე ან კისერზე, ინახავენ თამბაქოს, საცხებლებსა და საიდუმლო ავგაროზს. ტურის კუდს ხმარობენ მარაოს ან ცხვირსახოცის ნაცვლად.

ბუშმენისათვის ტანსაცმელზე და სამკაულზე უფრო იარაღია საჭირო. იგი მას არსებობისათვის სჭირდება და ამასთანავე წარმოადგენს მისი ტექნიკური უნარის ბრწყინვალე ქმნილებას. ბუშმენს დიდი ხელოვნებით შეუძლია მშვილდ-ისრის ხმარება. მშვილდი დაახლოებით 5 ფუტის სიგრძისაა, ბუშმენზე უფრო დიდი. შედგება მკვეთრად მოხრილი ცოტა ან საერთოდ გაუშალაშინებელი მაგარი ხისაგან და მყესისაგან დაგრეხილი თივის სისქის ლარისაგან. მშვილდის ღერძი თითის სიგრძისაა და გაკეთებულია ლელქაშისაგან. შემოხვეულია ძაფებით, რომ არ დაიშალოს, მიმაგრებულია ქვედა ბოლოზე. მშვილდის ზედა ბოლოზე ჩამოცმულია წაწვეტებული ძვალი უმთავრესად ანტილოპას ან სირაქლემას წვივისა, ანდა ამ ბოლოზე მიერთებულია პატარა სამკუთხედი რკინის ნაჭერი, და მასთან შეკრულია შუალედური ნაწილით ჩიბუხისმაგვარად. ისრები წამახვილებული ლერწმისაა, რითაც წვრილფეხა ცხოველებზე ნადირობენ. ჩაჭრილი ნაწილის შუალედი ღერძს აიძულებს გადატყდეს, როცა ისარი ცხოველს მოხვდება. ისრის ბუნიკზე ჩამოცმულია პატარა მოწამლული დაკბილული ფირფიტა, რაც ადვილად რჩება ჭრილობაში. წინა ბოლო მძიმეა. მისი ცალკეული ნაწილები შეერთებულია მყესებით. გლუვ უკანა ბოლოზე სწორი ფრთა ხელს უწყობს ფრენის სისწორეს. ისრის სიგრძე 2 ან 3 ფუტს შორის მერყეობს.

კაპარჭი კეთდება **Aloë perforata**-ს კანისაგან ან ხის ქერქისაგან. აქვს ძირი და ტყავის სახურავი, ანდა მთლიანად ტყავით არის გადაჭიმული. მასში 30 ისარი თავსდება. სამხედრო ლაშქრობისას ისრები მზადყოფნაშია სასროლად, იმაგრებენ შუბლზე სხივების მაგვარად. ამასთან ერთად სატყორცნ და დამრტყმელ იარაღად გამოიყენება 1/2 მ სიგრძის კომბალი, რომლის თავზე ჟირაფის აკაციისაგან გაკეთებული მუჭის ტოლი გამსხვილებაა. დანები მათთან სხვა ადგილებიდან ხვდება და ამიტომ იშვიათობაა. როგორც გვიამბობენ, ნგამიდან ჩრდილოეთით ცხოვრობს ბუშმენთა ტომი, რომელიც შეიარაღებულია შუბებით; ბუშმენთა შემდგომი აღკაზმულობაა შეუკერავი განიერი ტომარა ანტილოპას ტყავისაგან, ბადე — მიმოზას ბოჭკოსაგან, სირაქლემას კვერცხის ნაჭუჭი, რომლითაც გადაქვთ წყლის მარაგი. ჯოხი — ფესვების ამოსაჩიჩქნად ან მიწაში დამალული ცხოველის ამოსაყვანად. ან მახის დასაგები ორმოს ამოსათხრელად.

ბუშმენები საცხოვრებლად ეძებენ კლდის ნაპრალებსა და გამოქვაბულებს, ანდა გადმოხრილი ქვებით დაცულ ადგილებს; წვებიან მშრალ კვალში

ან ჭიანჭველების მიტოვებულ სოროში. თუ ბუშმენი ხის ტოტების, ხავსის, ბუჩქების საშუალებით იკეთებს ქარის საფარველს და მშრალ ფოთლებსა და ხავსს იგებს საწოლად, ეს უკვე პროგრესად შეიძლება ჩაითვალოს. იშვიათად აგებს ქოხს. იქ, სადაც კარგი სანადირო ადგილებია და რჩება შედარებით დიდხანს, ლატანს აფარებს ტოტებს, ფიჩხსა და ტყავს. ქალები წნავენ უხეშ ჭილოფებს. მაგრამ ბუშმენის ცხოვრების წესისათვის მიუღებელია ასეთი საცხოვრებლის სიმყარე. ბურების რესპუბლიკის კლდოვან ადგილებში ის აშენებს წრიულ კედლებს ნაყარი ქვისაგან. ირგვლივ აყოლებს მახეებს.

სახლის ავეჯზე ლაპარაკი ზედმეტია. ბუშმენს არ სჭირდება ის, რისი წაღებაც არ შეუძლია. შინაური ცხოველებიც კი, როცა მას შეუძლია მოიტაცოს მთელი ჯოგი, ტვირთად აწევს და ცდილობს მის მალე მოშორებას. მონადირე ძაღლს მათთან შეიძლება შემთხვევით წააწყდე. ბაროუს მიხედვით, ეს არის წაგრძელებულდრუნჩიანი პატარა ნაგაზის ჯიში. სამეთუნეო ხელოვნება თითქმის არ არის. შეიძლება იმიტომ, რომ სირაქლემას კვერცხი მოხერხებული ჭურჭელია: კვერცხით წყლის გადატანა და გასაგრილებლად მისი ქვიშაში ჩამარხვა ადვილია. საჭმლისათვის ბუშმენს არ სჭირდება არაფერი, გარდა ცეცხლისა, რასაც ის მოიპოვებს მაგარი და რბილი ხის ხახუნით. ხორცის ნაჭრებს ცეცხლში აგდებენ მცირე ხნით. ნანადირევის შენახვულობა ხშირად მთლიანად არ ამოაქვთ. უმად ბუშმენი ხმარობს მხოლოდ მწერებს და თეთრი ჭიანჭველების კვერცხებს. როცა ნანადირევი არა აქვს, მისი საკვებია: ხვლიკები, გველები, ამბობენ, ისეთებიც, რომლისგანაც იგი იღებს შხამს ისრების მოსაწამლად, ბაყაყები, ჭიაყელები, მუხლუხოები და მატლები. ყველაფერ ამას იგი სიამოვნებით მიირთმევს. თაფლი მისი საყვარელი ტკბილეულია. მის მერე აღმოჩენილ სკას ბუშმენი თავისი ოჯახის ან ურდოს საკუთრებად თვლის. გარეგანი მცენარეული საფარის გახმობის შემდეგ იგი შემორჩენილი ნაწილით იკვებება, ნიადაგზე დარტყმის შედეგად გამოცემული ყრუ ხმით ცნობს ბოლქვებს და ძირ-ძურებს. მწარე გემოს მიუხედავად, იგი ჭამს გარეულ საზამთრის, რომლის წვენიც ხშირად წყურვილის მოკვლის ერთადერთი საშუალებაა. ჰოტენტოტის მსგავსად, ბუშმენი მგზნებარე მწეველია.

ბუშმენი მოხერხებულია, ეშმაკი, შეუძლია თვალთმაქცობა და მიმბაძველობა, ე. ი. ყველაფერი, რაც დამახასიათებელია სუსტი ინდივიდუუმისათვის. ბუნებამ მას, სხვა ხალხებთან შედარებით, ყველაზე ნაკლები უწილადა და ჩააყენა არახელსაყრელ პირობებში არსებობისათვის დაუსრულებელ ბრძოლაში. ამის გამო ორმაგად საინტერესოა იმ საშუალებებისა და გზების შესწავლა, რასაც იგი იყენებდა უდიდეს სიღარიბეში თავის დასახმარებლად.

ბუშმენის შხამიანი ისარი მსხვილფეხა ცხოველებსაც კი კლავს რამდენიმე საათში. მისი მომზადების წესი გასაიდუმლოებულია, მაგრამ ბევრი ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ მისი მთავარი შემადგენელი ნაწილია გველის შხამი. მას ურევენ წვენსა და შხამიანი ამარალისის ბოლქვის წებოვან ნივთიერებაში. შინაცის სიტყვებით, დასავლეთ კალაჰარის ბუშმენები იყენებენ აგრეთვე ჭუპრის წვენს, რომელსაც ისინი თხრიან მიწიდან. მათ თვითონ ეშინიათ ამ შხამების და ცხოველის მყესით შემოხვეული მოწამლული ისრის წვერები დაიქვთ კაპარჭებით. ტოქსიკოლოგების გამოკვლევით, მათი შხამი ნაკლებ ხანგრძლივი მოქმედებისაა, ვიდრე შიდა აფრიკელებისა.

ისინი ისე ოსტატურად აგებენ მახეებსა და კაკანათებს, რომ, ალბათ, უფ-

რო მეტ სირაქლემებს იპერენ, ვიდრე ყველაზე სწრაფ ცხენებზე ამხედრებული თეთრკანიანები თავისი საუკეთესო თოფებით.

მიმბაძველობითი ნიჭი — თავიანთი მოქნილი ენით გამოსცემენ ფრინველების ხმები, უფრო მკვეთრი ხმით — ოთხფეხა ცხოველების ხმები, ეხმარება მათ ნადირის ცთუნებაში. სირაქლემებზე ნადირობისას მხრებზე, უნაგირის მსგავსად, იდებენ ბალიშს, რომელშიც ჩარჭობილია სირაქლემას ფრთები. მასზე ამაგრებენ სირაქლემას თავს და კისერს, ფეხებს ლებავენ თეთრად. რათა უფრო დაემსგავსონ ამ ფრინველს. მარცხენა ხელში მშვილდისარმომარჯვებულები ქარის საწინააღმდეგო მიმართულებიდან უახლოვდებიან გუნდს. ისეთი ბუნებრივი მოძრაობით, რომ 200 ნაბიჯზეც ძნელი გასარჩევია მათი ფანდი. ისინი ბაძავენ აგრეთვე ადამიანებსა და ცხოველებს, მაგრამ გართობის მიზნით. აქვთ ხატვის ნიჭი. წვეტიანი საგნით და საღებავით გამოსახავენ ადამიანთა და ცხოველთა ფიგურებს. მათი ნახატების მცირეოდენი ნაშთი, რომელიც შემორჩენილია ადრეულ ნასახლარებში გამოქვაბულის კედლებზე, გვაძლევს უფრო ნათელ წარმოდგენას მათ მხატვრულ უნარზე, ვიდრე კლდეებზე დაფხაჭნილი ინდიელთა უთვალავი ნახატი. ეს გამოსახულებები შესრულებულია ოთხი საღებავით — თეთრით, შავით, ყვითლით და წითლით (ოხრით) — ნაწილობრივ კლდეებზე, ნაწილობრივ რბილ ქვიშაქვაზე, ნაწილობრივ კი მაგარ ქვაზე. ადამიანთა ფიგურების გარდა ისინი ზუსტად ასახავენ ბევრ დამახასიათებელ ცხოველს— სირაქლემას. ანტილოპას. აგრეთვე რქოსან ცხოველებს. ცხენი, რომელიც გვხვდება ბუშმენთა ამ ნახატებზე, გვიჩვენებს, თუ რა ღრმა შთაბეჭდილება მოუხდენია მათზე ევროპიდან ჩამოყვანილ ამ ცხოველს.

მუსიკალური მონაცემებითა და უნარით ბუშმენი ახლოს დგას ჰოტენტოტებთან. ყველგან, სადაც მას შეუძლია ევროპელთაგან იშოვოს ვიოლინო ან თავისთვის გოგრისაგან გააკეთოს ვიოლინოს მსგავსი ორსიმიანი საკრავი, შეუძლია ამ ინსტრუმენტიდან გამოსცეს საკმაოდ სასიამოვნო ხმები და შესანიშნავად დაუკრას მისიებში ან საცეკვაო შეკრებებზე. გაგონილი მელოდიები. გოგრის ვიოლინოსთან ერთად აყლერებენ დოლს (ტყავით გადაჭიმულ ჭურჭელს, რომელშიც განსაზღვრული რაოდენობის წყალია). ამ მუსიკას თან ახლავს ცეკვები. ხმის მოძრაობა მჭიდროდ არის დაკავშირებული სხეულის მოძრაობასთან. ბუშმენის ნელი ცეკვა შეიძლება კრუნჩხვამდე მისულ თავაწყვეტილ როკვად გადაიქცეს.

ძალიან ცოტა რამ ვიცით ბუშმენის ოჯახურ ცხოვრებაზე. დავაკვაკცებული ბუშმენი ცდილობს ცოლის შერთვას არა იმდენად ვაჭრობით, რამდენადაც საჩუქრებით, რომლებიც ქალის მშობლებს ერგებათ. საჩუქრების მიღება თანხმობის ნიშანია. სასიძოს მშობლებისა და ამხანაგების საჩუქრები და გამასპინძლება ამტკიცებს კავშირს მათ შორის. უპირატესად ძალა და მოხერხებულობა წყვეტს საკითხს — შეიძლება თუ არა ბუშმენს ჰყავდეს რამდენიმე ცოლი. კაევის ტომის ახალგაზრდამ, როგორც ჩანს, ჯერ უნდა დაამტკიცოს თავისი ხელოვნება სოლაში ან სიმარჯვე ნადირობაში, მხოლოდ ამის შემდეგ დართავენ ნებას მონაწილეობა მიიღოს ქალის გარიგებაში. ქორწინება დაუშვებელია ძმა ახლო ნათესავებს შორის, როგორიცაა მშობლები და შვილები და და-ძმა. მემკვიდრეობის საკითხის შესახებ არაფერი ვიცით. სიმამრისა და სიდედრის შეხვედრის თავიდან აცილება, რაც დამახასიათებელია კაფრებისათვის, ბუშმენებთანაც შეიმჩნევა. ყურადღებიანი დამკვირვებლები ბუშმენთა ცხოვრების ჩვეულებს ნაკლებ გარყვნილად მიიჩნევენ, ვიდრე ლიხტენშტეინი და სხვები, რომლებიც

შეხვდნენ მათ ჯგუფებს სრული დემორალიზაციის პერიოდში. ცოლქმრული ურთიერთობის დარღვევისათვის მძიმე სასჯელი არავის ედებოდა.

ხალხის ცხოვრების ასეთი წესის გამო ქალთა მდგომარეობა უაღრესად დაბალ დონეზეა. გადაადგილების დროს მათ მიჰყავთ არა მარტო ბავშვები, არამედ მიაქვთ ტვირთის დიდი ნაწილი. შეჩერების ადგილზე მათი უნდა იზრუნონ ცეცხლზე, საკმელზე, წყალზე, რომლის შოვნა ზოგჯერ ძალიან ძნელია. ჭურჭელზე, ერთი სიტყვით, ყველაფერზე, რაც უშუალოდ არ არის დაკავშირებული ნადირობასთან. საკვების უკმარისობის შემთხვევაში, ისინი პირველნი ზარალდებიან. სუსტი, მოხუცი ან ავადმყოფი ქალი უმეტესად ყოველგვარი დახმარების გარეშე რჩება. მას გვერდით მიუდგამენ წყლიან ჭიქას, ძირხვენებს, ხორცის ნაჭერს და ტოვებენ. გარეული ცხოველები მალე უღებენ ბოლოს ამ საცოდავებს. ბუშმენთა შორის არის გულისამაჩუყებელი სულგრძელობის შემთხვევებიც. მაგრამ ჩვეულებრივია გრძნობების უქონლობა. დედებისა და შვილების დამოკიდებულებაში შეიმჩნევა რაღაც ცხოველური. ბავშვს დიდხანს აწოვებენ ძუძუს, მაგრამ სიცოცხლის პირველი დღეებიდანვე აძლევენ დაღეჭილ ძირხვენებს, ხორცს და სხვა მაგარ საკვებს. ის ადრევე ეჩვევა თამბაქოს ღეჭვას. შან არ იცის სისუფთავე, არავინ უვლის, ხშირად ყოველნაირ ამინდში სრულიად ტიტველია. ბიჭს მამა ადრეულ ასაკში აჩუქებს სროლის საიდუმლოებას, გარეული ცხოველების კვალის აღებას და თაფლის ძებნას. მიუხედავად ამისა, მათ აქვთ ერთი ნივთი, რომელიც თავისი სიკოხტავით შთაბეჭდილებას ახდენს. ეს არის სირაქლემას ფრთებისაგან დამზადებული ქოლგა, რომელსაც დედები წნავენ თავიანთი შვილებისათვის.

ბუშმენების საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ურთიერთობაზე ცოტა რამის თქმა შეიძლება, რადგან ისინი ყველაზე უხეში ინდივიდუალიზმის საფეხურზე დგანან. რომელიმე ტომის კუთვნილებისადმი გარეგნული ნიშანია მხოლოდ სახელი და დიალექტი. ცალკეული ოჯახები ქმნიან სოფელს და თავიანთი წრიდან ყველაზე წარჩინებულს ნიშნავენ „კაპტეინად". მაგრამ აქედან აღარ წარმოქმნილა მყარი და მსხვილი ორგანიზაციები. გარდა ამისა, მათი რიცხობრივად სწრაფი კლების გამო ვერ წარმოიქმნა უფრო დიდი გაერთიანებები. შარმანის დროისათვის ჯერ კიდევ არსებობდა ბუშმენთა ჯგუფი, რომელიც მოიცავდა 100-მდე ოჯახს.

ჩვენ არ უნდა ველოდოთ ბუშმენებისაგან თანმიმდევრულ იდეებს მაღალი არსებების შესახებ, აგრეთვე სიკვდილის შემდეგ სულის არსებობის შესახებ. მათ აქვთ რელიგიური შეხედულებები, მაგრამ არა აქვთ რელიგია. მთელ მათ თაობებში დღემდე გრძელდება გადმოცემების ძაფი, რომელიც აკავშირებს რელიგიური იდეების კვალს. ეს კვალი იმდენად მრავალრიცხოვანია, რომ აღნიშნული იდეების დამოკიდებულებას სხვა კულტურულ მონაპოვართან შეიძლება ეუწოდოთ კეთილსასურველი. მაგრამ ეს იდეები თავისთავად უფრო გამომუშავებულია. აბსოლუტურად ყველა ბუშმენი ატარებს ავგაროზს, რომელმაც უნდა განდევნოს ბოროტი ძალები და წარმატება მოუტანოს. ზოგიერთი ტომი არ ჭამს თხის ხორცს, თუმცა მის სამონადირეო რაიონში თხა ყველაზე ჩვეულებრივი შინაური ცხოველია. მეორენი პატივს სცემენ ანტილოპას, სხვები — მუხლუხა „ნგოს".

მსხვერპლის გაღებას ჰგავს თითების მოჭრა სახსარში. იშვიათია ბუშმენი, რომელსაც მარცხენა ხელზე სრულად ჰქონდეს თითების სახსარი. სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის გაგრძელების რწმენის კვალი შეინიშნება გამოჩენილ ბირთა საფლავების ძეგლებში. უფროსების საფლავზე ყრიან ქვებს. სანამ ახსოვთ.

ამ საფლავების ბორცვებში მოზდევნო თაობები ხედავენ ბოროტი სულების ადგილსამყოფელს და თვითონაც თუ არ ესვრიან ქვებს, სჯერათ, რომ ეს ბოროტი სულები მათ ზიანს მოუტანენ. სულის არსებობის რწმენა უფრო გამოკვეთილად ჩანს დაკრძალვის წესში. სადაც ვინმე გარდაიცვლება, მთელი ოჯახი ტოვებს იმ ადგილს. მიცვალებულს თავზე უსვამენ საცხს, შემდეგ შებოლავენ და დებენ სამარხში გამართულ მდგომარეობაში. მიცვალებულის თავის მიმართულება სინათლისადმი, ხელებისა და ფეხების დაწყობის წესი, როგორც ჩანს, მათთან არ არსებობს. მიცვალებულს აყრიან ქვებს სახურავისებურად, რომ დაიცვან იგი მიწისაგან. ზემოდან აწყობენ ქვებს სიგრძივი მიმართულებით. ზოგჯერ ბუშმენები მიცვალებულს ჩაატანენ, მათი გაგებით, მეტად ძვირფას ნივთს. მაგალითად, გ. ფრიტჩმა კოლესბერგთან ნახა კალის ჯამი, ცხვრის საკრეჭი მაკრატელი, რაც მიცვალებულს გულზე ედო. ველური ბუშმენები მიცვალებულს თან ატანენ მისსავე იარაღს.

მითური წარმოდგენები სხვადასხვანაირია. ჩრდილო-დასავლეთ კალაჰარში სწამთ ცეცხლისფერ-წითელი სავარცხლიანი გველი, რომელსაც კისრის არეში აქვს ფრთები, აქვს მბრწყინავი ზოლიანი კანი, დახშული ხმა, რომელიც ყიყინს უფრო ჰგავს. ჰოტენტოტების ნიანგისებური ალი გერეროსების მიწაზე. როგორც ჩანს, გადაიქცა წყლის ღვთაებად. ევროპელების უცნობი იარაღი ითვლება სულების საცხოვრებლად: საერთოდ თეთრკანიანებს მიაწერენ მრავალ ჯადოსნურ საშუალებას. კაფრების პროფესიონალი ჯადოქრები ბუშმენებთან არ მოხვედრილან, ისინი თვითონ არიან აღჭურვილნი წარმოდგენებით და მათზე არანაკლებ იცნობენ თავიანთ ირგვლივ არსებულ სამყაროს. აფრიკის თითქმის ვერცერთ ხალხთან ვერ ნახავთ უკეთეს ცხოველურ მითებს, ვიდრე ბუშმენებთან. ყველაზე გამოჩენილი ფიგურა, კაპის მხარის ბუშმენთა მონათხრობში, არის კალია. დედალ და მამალ კალიას სხვადასხვა სახელები აქვთ. მათგან წარმოიშვა მაჩვზღარბი, რომელსაც არ სურს მამასთან ცხოვრება და რომელიც ყველაფერს ჭამს, რათა თვითონ არ იქნეს მისგან შეჭმული. მისგან და კვამანისგან წარმოიშვა ჭკვიანი იხნეუმონი, რომელიც ეხმარება თავის ბაბუა კალიას და ააშკარავებს მის ბოროტებას. რითაც თვითონ ასრულებს შესამჩნევ როლს. როცა ზღვის კატები ცუდად მოექცნენ კალიას, მან გაგლიჯა ანტილოპას ბუშტი და ამით წარმოშვა სიბნელე. როცა ძალიან დაბნელდა, მან თავისი ფეხსაცმელი ისროლა ცაში და უბრძანა მთვარედ გადაქცეულიყო. ფეხსაცმელს შერჩა ბუშმენთა მიწის მტვერი, ამიტომ მთვარე წითელია და ცივი, რადგან ფეხსაცმელი ტყავისა იყო.

მითური გმირი ქალი ებრძვის არსებას, რომელსაც თვალები ფეხებში აქვს, ანდა ებრძვის ფოცხვერზე ამხედრებულ მომღერალ კატას, რაც ამტკიცებს, რომ კატა ვერ დარბის ისე სწრაფად, როგორც ფოცხვერი. როცა მას სწვავს გიენას დედა, რომელიც თვითონ უნდა შეეწვა, და როდესაც წყალში ჩადის, მას ისევ ამოეზრდება ფრთები. შემდეგ იგი ებრძვის მკბენარებს, რომლებიც მისი ცხვრების ტყავში არიან დამალული.

საინტერესოა ქვის თხის მოტაცება, რომელიც კალიას სათამაშოს — დედა სპილოს მაგივრობას უწევს, რომელიც თავის ნაცვლად თავის შვილს პატარა სპილოს უტოვებს. ეს უკანასკნელი კი თავისი დაუნაწევრებელი ბრტყელებით ბასცემს თავის თავს, კალია მას კლავს. შემდეგ მას დასდევს დედა სპილო, რომელმაც თხა გადაყლაპა. კალია თავშესაფარს სპილოს მეცელში პოულობს. ბოლოს იგი მშვიდობიანად გაივლის მას, გამოდის გარეთ და ხეზე ბრუნდება.

ბლეეკს ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ ბუშმენებში განვითარდა ცეცხლ მწვანობების თაყვანისცემა. გულმოდგინე დაკვირვებით აღმოჩნდა, რომ მითებისა და ზღაპრების გარდა, ისინი კარგად იცნობენ ვარსკვლავებს და მათ სახელწოდებებს. მზე ცხოვრობდა დედამიწაზე ადამიანებთან ერთად და სინათლეს გამოსცემდა იღლიის ფოსოდან, რომელიც ანათებდა მცირე ფართობს ქოხის მახლობლად. ამიტომ პირველმა ბუშმენებმა გაგზავნეს რამდენიმე ბავშვი, რათა ცაში აეტყორცნათ მზე. მთვარე მამაკაცია, რომელსაც გაეებული მზე თავისი მწვავე სხივებით ნაჭერზე ნაჭერს აგლეჯს, ვიდრე მთვარე არ დაუწყებს ხვეწნას, რომ მის შვილებსაც დაუტოვოს რამე. დარჩენილი ნაწილი იწყებს ზრდას, ვიდრე არ გაივსება. მთვარე კალიას შექმნილია. მასთანაა დაკავშირებული სიკვდილის წარმოშობა. მთვარის შევსების დროს ბუშმენთა ბავშვები მიმართავენ მას სალანძღავი სიტყვებით, თუმცა მშობლები უშლიან. მთვარე შეწუხებული მოძრაობს და ბნელდება, ვიდრე „მისი გული კვლავ არ მოლბება“.

ვარსკვლავებს შორის ბუშმენები ყველაზე კარგად იცნობენ კანოპუსს. მათ იციან მისი ხუთი სახელწოდება. ვარსკვლავთა ჯგუფებს ხატოვან სახელწოდებებს უწოდებენ. ორიონის სარტყელს უწოდებენ ჯიხვზე დაკიდებულ სამ დედალ კუს, კასტორსა და პოლუქსს — დედალ ანტილოპას, პროკიონს — მამალ ანტილოპას, სამხრეთის ჯვრის α-ს, β-ს და Υ-ს — დედალ ლომებს; ამავე თანავარსკვლავედის სხვა ვარსკვლავებს უწოდებენ ლომებს, მაგელანის ღრუბელს — ქვის თხას, ახერნარს — ვარსკვლავის ჯოხის ქვას, ფესვების ამოსაღებად. მათ პლანეტების სახელწოდებებიც აქვთ. მათთან სხვადასხვა მითია დაკავშირებული.

გოგონამ, რომელიც აქ ადრე მცხოვრები ხალხის შვილი იყო, გადაწყვიტა შეექმნა სინათლე, რათა ადამიანებს შეძლებოდათ სახლამდე გზის პოვნა. ამიტომ მან ცაში ატყორცნა გავარვარებული ნაცარი, რომელიც ვარსკვლავებად გადაიქცა.

იყო ფრინველთა ორი წყვილი, მათ შორის ცისფერი წერო, რომლის ორივე მამალი ფრინველი დაწვა ლომმა. დედალმა კიმ უარი თქვა ეჭამა შეთავაზებული ქმრის ხორცი. მაგრამ ცისფერმა დედალმა წერომ აიღო და მაშინვე შეჭამა. თავის ბარტყებთან ერთად კი წავიდა ყვავთან, რომელიც კვრინჩხში ცხოვრობდა. ყვავმა ისინი თხის ტყავისაგან გაკეთებული თოკით აიყვანა, ცეცხლი გააჩაღა და გაახურა ქვები. ლომი გუ, რომელიც წეროს მისდევდა, მივიდა და სთხოვა ყვავს, ისიც აეყვანა. ყვავის რჩევით, კიმ გადაუგდო ლომს თაგვის ნაწლავებისაგან გაკეთებული თოკი. ეს თოკი გაწყდა, ლომი ცეცხლში ჩავარდა, მეორე ლომი ტანე-ტა-გუ მივიდა იქ ხორცის სუნზე. ამასობაში ჩიტები გაფრინდნენ. ტანე-ტა-გუმ ააგლიჯა ბარკლის ნაჭერი თავისი მეგობრისგან, რომელსაც გაეღვიძა და მოინდომა თავისი ხორცის ნაჭრის შეჭმა. მათ ერთად შეჭამეს ხორცი. შემდეგ უშედეგოდ ნადირობდნენ, ვიდრე არ იპოვეს დედალი კუ. გუმ ისე გადაყლაპა კუ, რომ თავის ამხანაგს არ გაუნაწილა. როდესაც გუ მიუახლოვდა წყალს, კუმ დაიძახა, რომ წყალი დამშრალიყო; როცა ახლოვდებოდა ნადირი, კუ ურჩევდა გაქცეულიყო, როცა ხალხი მოდიოდა, კუ სთხოვდა, რომ ლომისთვის ესროლათ ცეცხლმოდებული მუგუზლები. ამრიგად, ლომებს არაფერი ერგოთ. მოხუცი კოჭლი ქალიც კი, რომელიც ახალგაზრდა კურდღელთან ცხოვრობდა, გაექცა მათ. როცა გუ შიმშილით მოკვდა, მეორე ლომმა მხოლოდ მაშინ იშოვა საკვები...

ყველა ამ მოთხრობას თან ერთვის გიენების, ლომების და ტურების

გრძელი მონოლოგები და დიალოგები, აგრეთვე მრავალი პატარ-პატარა იგავი. მაგალითად, მოთხრობილია, რომ ტურა, ძაღლი-აფთარი და სხვ. ოდესღაც ადამიანები იყვნენ; რომ სირაქლემასაგან ჩამოვარდნილი ბუმბულგადაიქცევა მამალ სირაქლემად, რომ მთვარე და მამალი სირაქლემა კვლავ ცოცხლდებიან და ა. შ. ხშირად იხსენიება „ადრინდელი ხალხები", რომლებიც ბუშმენებამდე იყვნენ. მამაკაცები ქალიშვილების შეხედვისას ხეებად იქცეოდნენ, ხოლო ქალიშვილები — ბაყაყებად, კაროსები — ქვის თხებად და ა. შ. ცხოვრებიდან აღებულ ნამდვილ ან შესაძლებელ მოთხრობებს ცხოველებზე თვალსაჩინო ადგილი უკავიათ ამ ზღაპრებში. ბუშმენები თავიანთი უსასრულო საუბრების დროს ამ წყაროს იყენებდნენ. ზოგჯერ აქ ფანტაზია ძლიერად ვლინდება. ლომი პირველ ადგილზეა, ხოლო აფთარი და ტურა — მეორეზე.

ნ. მიკლუხო-მაკლაი

მიკლუხო-მაკლაი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (1846—1888) — რუსი ეთნოლოგი, მოგზაური და ხაზოგადო მოღვაწე.

დაიბადა ნოვგოროდის გუბერნიაში, საგზაო ინჟინრის ოჯახში. 1863 წელს შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, საიდანაც გარიცხეს მომდევნო წელს სტუდენტთა მოძრაობაში მონაწილეობისათვის. საბუნებისმეტყველო განათლების გასაგრძელებლად ლეკციებს ისმენდა ჰაიდელბერგის (1864), ლაიფციგის (1865), და იენის (1866—1868) უნივერსიტეტებში.

ჯერ კიდევ იენაში სწავლის დროს და მისი დასრულების შემდეგაც 1866—69 წწ. იმოგზაურა კანარის კუნძულებზე, კუნძულ მადეირაზე, მაროკოში, წითელი ზღვის სანაპიროზე. ამ ადგილებში იგი უპირატესად სწავლობდა ზღვის ფაუნას, მაგრამ უკვე მაშინ დაინტერესდა მის მიერ შემოვლილი ქვეყნების ხალხთა მატერიალური კულტურით და ყოფით. შემდგომ წლებში ნ. ნ. მიკლუხო-მაკლაი სწავლობდა სამხრეთ-დასავლეთ აზიის, ავსტრალიისა და წყნარი ოკეანის კუნძულების ადგილობრივი მოსახლეობის ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის საკითხებს.

ორნახევარი წლის განმავლობაში (1871—72, 1876—77 და 1888) იგი ცხოვრობდა ახალი გვინეის ჩრდ.-აღმოსავლეთ სანაპიროზე, სადაც ახლო ურთიერთობა დაამყარა ახალგვინეელებთან და მათი ნდობა და სიყვარული მოიპოვა, რაც აუცილებელი პირობა იყო ეთნოლოგიურ სამუშაოთა წარმატებით ჩატარებისათვის. ამავე წლებში მან. მოინახულა ახალი გვინეის სხვა ადგილები და ოკეანეთის მრავალი კუნძული. მოაწყო ორი ძველი და სახიფათო ექსპედიცია კუნძულ მალაკას სიღრმეში; ხანგრძლივად იცხოვრა ინდონეზიასა და ავსტრალიაში.

1881 წელს თავისი მეგობარი პაპუასების კოლონიზატორთა მხრივ ძარცვისა და ძალადობისაგან დაცვის მიზნით, ნ. ნ. მიკლუხო-მაკლაიმ შეადგინა პაპუასთა კავშირის პროექტი, რომელიც გულისხმობდა ახალი გვინეის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაარსებას, ახალი გვინეის სახელწოდებით, მაგრამ უშედეგოდ.

1886 წელს იმავე მიზნით, იმავე ახალი გვინეის ჩრდილო-აღმოსავლეთ ადგილებში იგი შეეცადა უტოპიური სოციალიზმის იდეებზე დამყარებული რუსული დასახლების ჩამოყალიბებას. ეს იდეები მას ამოძრავებდა ჯერ კიდევ ახალგაზრდობის დროიდან, როდესაც იგი ნ. გ. ჩერნიშევსკისა და დ. ი. პისარევის მოძღვრებათა გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ამ პროექტის განხორციელების ნება მას არ მისცა მეფის მთავრობამ.

თავისი სამეცნიერო ექსპედიციებიდან ნ. ნ. მიკლუხო-მაკლაიმ ჩამოიტანა უმდიდრესი ანთროპოლოგიური და ეთნოგრაფიული კოლექციები, რომლებიც

ინახებოდა და ამჟამადაც ინახება პეტერბურგში, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში.

დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს ნ. ნ. მიკლუხო-მაკლაის მიერ ჩატარებულ ანთროპოლოგიურ და ეთნოგრაფიულ გამოკვლევებს. იგი გადაჭრით იცავდა იდეას ადამიანთა რასის სახეობრივი ერთიანობისა და ურთიერთნათესაობის შესახებ. პირველმა აღწერა დაწვრილებით მელანეზიური ანთროპოლოგიური ტიპი; მანვე დაამტკიცა ამ ტიპის ფართო გავრცელება დასავლეთ ოკეანეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კუნძულებზე. პირველმა გააკარწყლა მაშინ ფართოდ გავრცელებული შეხედულება ახალი გვინეის ხვეულთმიანი ნეგროიდების (პაპუასების), როგორც ადამიანთა სხვა რასებისაგან განსხვავებული, განსაკუთრებული სახეობის წარმომადგენელთა შესახებ. მანვე პირველმა დაამტკიცა, რომ ერთი რასის ფარგლებში შეიძლება იყვნენ როგორც დოლიხოკეფალური, ისე ბრაქიკეფალური ტიპები.

დიდად ფასეულია ნ. ნ. მიკლუხო-მაკლაის მიერ შედგენილი აღწერილობები პაპუასების, ოკეანეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სხვა ხალხების მეურნეობის, მატერიალური კულტურის, წეს-ჩვეულებების და სხვ. შესახებ. მანვე დაადგინა, რომ ოკეანიის ხალხები კულტურის განვითარების თვალსაზრისით ჩამორჩნენ მრავალი ისტორიული მიზეზის გამო, მაგრამ ინტელექტუალური და მორალური მონაცემებით ისინი სხვა ხალხების, კერძოდ ევრო პელების, მსგავსნი არიან.

ნ. ნ. მიკლუხო-მაკლაიმ არა მარტო სამეცნიერო პოზიციებიდან გააკრიტიკა რასიზმი, არამედ პრაქტიკულადაც მოღვაწეობდა მის მიერ შესწავლილი ხალხების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვისათვის, ამხელდა კოლონიზატორთა ძალადობასა და მძარცველობას.

ნ. ნ. მიკლუხო-მაკლაი გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა, 42 წლისა, 1888 წელს სანკტ-პეტერბურგში. ამის მიზეზი იყო მძიმე მატერიალური მდგომარეობა, ავადმყოფობა და წარუმატებლობები მის მიერ წამოწყებულ საქმეებში.

ქრესტომათიაში წარმოდგენილია ნ. ნ. მიკლუხო-მაკლაის თხზულებათა III ტომიდან ეთნოლოგიური ჩანაწერები ახალი გვინეის მაკლაის სანაპიროს პაპუასების შესახებ, რომელიც შესრულებულია 1872—1878 წლებში ახალ გვინეაში მისი მოგზაურობის დროს. ნაწყვეტის სათაურია „ახალი გვინეის მაკლაის სანაპიროს პაპუასების ეთნოლოგიური ჩანაწერები". აქედან კი ყურადღება გვაქვს მიქცეული ზოგიერთ მათგანზე, როგორიცაა: მაკლაის სანაპიროს პაპუასების კვების რაციონი, საკვები პროდუქტები, საჭმლის დამზადების, ასევე ეთნოლოგიურად საინტერესო ჩვეულებისა და კანიბალიზმის შესახებ მაკლაის სანაპიროს პაპუასებს შორის.

ბიბლიოგრაფია

1) Миклухо-Маклай Н. Н.. Собрание сочинений. т. 1—5, М—Л., 1950—54.
2) Миклухо-Маклай Н. Н.. На берегу Маклая, М., 1961.

ლიტერატურა

1) Рогинский Я. Я., Токарев С. А., Н. Н. Миклухо-Маклай, как этнограф и антрополог, წიგნში Н. Н. Миклухо-Маклай. Собр. соч. т. 2, М.-Л., 1950.
2) Вальская Б. А.. Борьба Н. Н. Миклухо-Маклая за права папуасов берега Маклая, «Страны и Народы Востока», 1, М., 1959.
3) Бутинов Н. А., Миклухо-Маклай Николай Николаевич. СИЭ, 9, М., 1966, 33. 427.

ახალი გვინეის მაკლაის სანაპიროს პაპუასების ეთნოლოგიური ჩანაწერები*

პაპუასების საკვები

მაკლაის სანაპიროს პაპუასების საკვები უპირატესად მცენარეულია. იგი შედგება ხის ნაყოფისა და ბოსტნეულისაგან, რომელთაც ისინი აგროვებენ მთელი წლის მანძილზე, როგორც პლანტაციებიდან, ასევე საცხოვრებელ ქოხებთან გაშენებული ხეებიდან. მათი ძირითადი საკვებიდან აღსანიშნავია ქოქოსის პალმის ნაყოფი. ქვემოთ ჩამოვთვლი კვების პროდუქტებს, იმისდა მიხედვით, თუ რა მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ მათ პაპუასების ცხოვრებაში.

1. მ უ ნ კ ი (ქოქოსი) პაპუასებთან დიდ როლს ასრულებს, რადგანაც მათ საკმელად ხმარობენ მთელი წლის განმავლობაში, თუმცა ქოქოსის ხეების რიცხვი ასტროლაბიის ყურესთან, ზოგ დასახლებაში ერთობ მცირეა და მცხოვრებლები ცდილობენ გამოძებნონ ქოქოსის კაკალი სხვა სოფლებშიც. მხოლოდ რამოდენიმე მთის დასახლებაში შეიძლება შეეხვდეთ ქოქოსის პალმებს, თუმცა მახლობელ კუნძულებზე ეს ხეები იზრდება დიდი რაოდენობით, მაგრამ ისიც მხოლოდ იქ, სადაც საცხოვრებელი ქოხებია და რომელიც ველურებს მიერაა დარგული. პაპუასების უსაყვარლესი საკმელია ნიუარით გამოფხეკილი ქოქოსის კაკლის ნაყოფის რბილეული, რომელზედაც გადასხამენ ქოქოსის რძეს და რომელიც ფაფას მოგვაგონებს და „მუნკი—ლა"-ს სახელითაა ცნობილი და ყველა ლხინის აუცილებელ ატრიბუტადაა მიღებული. ძველი გახეხილი ქოქოსის კაკალი, რომლის რძე უკვე გამოუსადეგარია დასალევად, იხმარება ყველანაირი საკმლის დასამზადებლად ქონის ან კარაქის ნაცვლად.

პაპუასები არ იცნობდნენ ქოქოსის კაკლისაგან კარაქის დამზადების წესებს. ხშირად ვასწავლიდი სხვადასხვა დასახლებაში ყოფნის დროს, მაგრამ არ ვიცი, ჩემი გამგზავრების შემდეგ აკეთებდნენ თუ არა ამას ველურები;

2. ა ი ა ნ-ი (Dioscorea) დიდი რაოდენობით მოპყავთ პლანტაციებში და ნაყოფს კრეფენ აგვისტოდან იანვრამდე. მას ხარშავენ წყალში და ამ თვეებში იგი წარმოადგენს პაპუასების ძირითად საკვებს. მთებში, სადაც წყლის ამოზიდვა ძნელია დიდი სიმაღლის გამო, აიან-ს აცხობენ ნაცარში. პაპუასები ამრავლებენ აიან-ის ბევრ სახეობას, რომლებიც განსხვავებულია როგორც სიდიდით, ისე გემოთი;

3. ბ ა ე (Coladium esculentum — ტარო) <Aroideae-ს ოჯახიდან> — პაპუასების ძირითადი საკვებია მარტიდან აგვისტომდე. ირგვება იგი ოქტომბ-

---

* წყაროდან: Н. Н. Миклухо-Маклай, Собрание сочинений, т. III, М.-Л., 1951, с. 52-59.

რის დასაწყისში და ზოგიერთ სოფლებში (მაგ. ბოგატიმში) შესაძლოა მისი ნაყოფი შემოინახოს მომავალი წლის ოქტომბრამდე, ე. ი. ერთი წლის განმავლობაში. ბაუ-ს ჭამენ ისევე როგორც აიან-ს, მოხარშული ან შემწვარი სახით. მოხარშულ ბაუ-ს ნაყავენ მცირე ზომის ხის საბეგველით, შემდეგ მასში ურევენ გახეხილ, შემწვარ ქოქოსის კაკალს, ამის შედეგად იღებენ ცომის სახეობას, რომელსაც ნამცხვრის ფორმას აძლევენ და რომელიც ლხინის დროს ძალიან გემრიელ საჭმელად ითვლება. ამ მცენარის (ბაუ-ს) ფოთლები გამოიყენება ასევე საჭმელში (კრაუფორდის მიხედვით, ბაუ-ს წონამ შეიძლება მიაღწიოს 50 ფუნტამდე);

4. დ ე გ ა რ გ ო ლ-ი (Convolvulus). მას, ისევე როგორც ზემოთ ითქვა, ან ხარშავენ, ან აცხობენ. პაპუასები ასხვავებენ დეგარგოლ-ის ორ სახეობას: პირველის ნაყოფი მოწითალოა, მეორისა — თეთრი. დეგარგოლ-ი ძირითადად მოდის სექტემბრისა და ოქტომბრის თვეებში. საჭმელი პროდუქტის ხარისხით იგი პრიორიტეტს უთმობს პირველ ორს (ბოგატიმში მას არ ამრავლებენ).

5. ა უ ს-ი (კუნძულ იავაზე ეძახიან „გრაბუკ"-ს ან „გრუბაკ"-ს Gramineae-ს ოჯახიდან). ამრავლებენ პლანტაციებში, დეკემბრის თვეში, იანვარსა და თებერვალში. მას ხარშავენ ან შეახვევენ ფოთლებში და აცხობენ ნაცარში;

6. მ ო გ ა (ბანანები). თუმცა პაპუასებთან ვნახე ბანანების 8 თუ 9 სახეობა, მას მაინც ძალზე ცოტას ამრავლებენ და მათი ნაყოფი იშვიათობას წარმოადგენს. თუმცა ზოგ დასახლებაში (მაგ., ბოგატიმში) მათ ვხვდებით უფრო ხშირად. პაპუასები ბანანს ჭამენ მოხარშული სახით. ბანანის ღეროს ქვედა ნაწილი და ნორჩი ბანანის ქერქი ასევე იხარშება და იყენებენ საჭმელში;

7. ბ უ ა მ-ი (საგო). ამ სახის პალმის იშვიათობის გამო, საგო აქ უფრო ჩასატკბარუნებელი საჭმელია, ვიდრე საკვები პროდუქტი. საგოს რაოდენობა თითოეულ სოფელზე ძალზე ცოტა მოდის, ამიტომაა, რომ მას მხოლოდ სადღესასწაულო შემთხვევებში მიართმევენ სტუმარს. საგოს დამზადება აქ ისეთივეა, როგორც სერამში (უოლესის აღწერილობით);

8. დ ე ნ-ი (შაქრის ლერწამი). მისი ნაყოფის მოპოვება ოქტომბრის თვიდან თებერვლამდე გრძელდება. მას მამაკაცები, ქალები და ბავშვები მადიანად ღეჭავენ. შაქრის ლერწამი ახალ გვინეაზე იზრდება კარგად და არცთუ იშვიათად მისი სიმაღლე 14 ფუტამდე (საჭმელი ნაწილი) აღწევს;

9. ბ ო ლ ი (პურის ხის ნაყოფი — Artocarpus incisa) ნაკლებ პატივშია პაპუასებში, მაგრამ მაინც კრეფენ და ჭამენ მოხარშული ან შემწვარი სახით;

10. მ ო გ ა რ-ი მომცრო თავთავებია, რომელიც პლანტაციებში მოჰყავთ;

11. ო რ ლ ა ნ-ი (Pangium edule) — ხის ნაყოფი, რომელიც ყველგან არ იზრდება, ასე რომ, არასოდეს არ მინახავს იგი. ნაყოფს ჩამოკიდებენ ხეებზე ტყეში, დიდ კალათებში. ნაყოფის ხორცი უტოლდება გახეხილი ქოქოსის კაკლის მარცვალს, რომელიც სწრაფად დუღილისა და სწრაფლპობადობის გამო, რაღაც მწარე და ძალზე ცუდი სუნის სითხის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომელსაც პაპუასები თვლიან ყველაზე მთავარ დელიკატესად;

12. კ ე ნ გ ა რ-ი (Canarium Commune). მოსავალს იღებენ მაისში, ივნისსა და ივლისში. მზეზე გამომშრალი მათი ნაყოფი ადვილად ცილდება ძირითად გარსს და ინახება ასეთი სახით.

სხვა ნაყოფები, რომელიც გვხვდება მაკლაის სანაპიროზე, მაგ., პანდანუსა, Mangifera და სხვ. გვხვდება უმნიშვნელო რაოდენობით, ამიტომ ძნელია მათ მიეცეს საკვები პროდუქტის მნიშვნელობა. მრავალი მცენარეულობის, არა მარტო ნაყოფი, არამედ ფოთლებიც და ყვავილებიც იხმარება პაპუასების

მიერ საკმლის დამზადების დროს. წლის ყოველ დროს ქოთნებში ხარშავენ ინან-ს ან ბაუ-ს, უმატებენ სხვადასხვა ფოთოლსა თუ ყვავილს და განსაკუთრებით ჭამენ ქალები და ბავშვები, მამაკაცები კი ამჯობინებენ უკეთეს საკმელს.

ხორცეული საკმელი პაპუასებში იშვიათობაა. ყველაზე მეტად აქ იკმევა ღორის ხორცი.

1. ღ ო რ ე ბ ი, რომლებიც სოფლებში ჰყავთ, ახალგვინეური ველური ღორის წინაპარია. წლოვანებისდა მიხედვით ღორები თანდათან შავდებიან. აქვთ აცვეტილი ყურები, წაგრძელებული დინგი და გრძელი ფეხები. პაპუასები ღორებს კლავენ მხოლოდ საზეიმო ვითარების დროს, თანაც დაკლული ერთი ღორი უნდა ეყოს არა მხოლოდ ერთი სოფლის მცხოვრებლებს, არამედ სტუმრებსაც ორი-სამი სოფლიდან. ღორებს ისეთი მზრუნველობით კვებავენ და ეპყრობიან პაპუანი ქალები, რომ ღორები ძაღლების მსგავსად მოშინაურებულნი დარბიან მათ სიახლოვეს. ივლისის თვეში პაპუასები აწყობენ ველური ღორების მორეკვას. მორეკვისას წვავენ მაღალ ბალახს. ხოლო შემთხვევით დაჭერილ ველურ გოჭებს სოფლის მცხოვრებლები აშინაურებენ;

2. ძ ა ღ ლ ე ბ ი. ძაღლები პაპუასებს ჰყავთ, განსაკუთრებით, ხორცისათვის. ძაღლებს კლავენ ნაკლებად მნიშვნელოვანი დღესასწაულების დროს. ძაღლის ხორცი საკმაოდ გემრიელია, მაგრამ ძალზე მშრალი. ძაღლები ჭამენ ყველაფერს, ნადირობენ ზღვის ცხოველებზეც წყლის მიმოქცევისას, ასევე ანადგურებენ ექსკრემენტებს სოფლებში;

3. მ ა ბ-ი (Cuscus). მაბის ხორცი ითვლება პირის ჩასატკბარუნებელ საკმელად. მე ვთვლიდი მას უსიამოვნოდ მძაფრი სუნის გამო. ველურები სიამოვნებით ჭამენ აგრეთვე სხვადასხვა სახის ჩანთოსან ვირთხებს;

4. ფ რ ი ნ ვ ე ლ ე ბ ი. ქათმებს იშვიათად იყენებენ საკმელად. ასევე იშვიათად იყენებენ პაპუასები მათ კვერცხებს, რადგანაც ისინი ცხოვრობენ ტყეში, რომელიც აკრავს სოფელს, და ამდენად იმყოფებიან ნახევრად ველურ მდგომარეობაში. პაპუასებში ჩემი 15 თვიანი ყოფნის დროს მე ვნახე მხოლოდ 2 კვერცხი;

3. ქ ვ ე წ ა რ მ ა ვ ლ ე ბ ი. დიდი კუ (მონიტორები) იხმარება საკვებად მოხარშული სახით, მისი ხორცი გემრიელია, უფრო მეტიც — რბილი, სათუთი. პაპუასები ასევე ჭამენ შემთხვევით დაჭერილ გველებსაც;

6. მ წ ე რ ე ბ ი. უკლებლივ ყველა მწერი, განსაკუთრებით დიდი ხოჭოები, იხმარება პაპუასების მიერ უმი ან მოხარშული სახით;

7. თ ე ვ ზ ე ბ ი. უფრო მოდიდო თევზებს იჭერენ ბადით, პატარა ზომისას კი ღამით იჭერენ ან წვეტანებით, ან კალათებით. თევზის დასაჭერად იყენებენ ი ურ-ს (წვეტანას), რას (ბადეს) და ნენირ-ს (კალათას);

8. მ ო ლ უ ს კ ე ბ ი. მოლუსკებს აგროვებენ ქალები და ბავშვები მარჯნის რიფებზე წყლის უკუქცევის დროს;

რადგანაც ადგილობრივმა პაპუასებმა არ იციან რა არის მარილი, ამიტომ ისინი საკვებს ხარშავენ ზღვის მარილიანი წყლით, რომელსაც აზავებენ მტკნარ წყალში. მთის მოსახლეობა, ჩამოდიან რა სანაპიროზე, არ უშვებენ შემთხვევას, მთებში წაიღონ ზღვის წყლით სავსე ბამბუკის ღეროები, მიუხედავად მინი ზიდვის სირთულისა მთელი დღეების განმავლობაში, დაკლაკნილ ბილიკებზე.

პაპუასები იყენებენ აგრეთვე მარილის სუროგატს, რომელსაც ამზადებენ ზღვის მიერ გამორიყული გამხმარი ფესვებისა და ღეროებისაგან. ისინი

რამდენიმე დღის განმავლობაში ზღვაში ყოფნისას იყლინთება მარილით. პაპუასები რამდენიმე დღის განმავლობაში მზეზე აშრობენ და შემდეგ წვავენ ნელ ცეცხლზე. რჩება საკმაო რაოდენობის თეთრი ნაცარი. ამ, ჯერ კიდევ თბილ, ნაცარს პაპუასები ხარბად მიირთმევენ. იგი საკმაოდ მარილიანია. დასაბანია, რომ არ შეიძლება მისი დიდხანს შენახვა, რადგანაც მარილის საკმაოდ დიდ რაოდენობას შეიცავს, ძალიან ჰიგროსკოპიურია და რამდენიმე საათში გარდაიქმნება შავ ფაფად.

პაპუასებს აქვთ აგრეთვე ძლიერ მათრობელა სასმელი. მაკლაის ნაპირზე არის ბუჩქნარი, რომელსაც ველურები „კეუ"-ს ეძახიან (Piper methysticum). მის ფოთლებს, ღეროებსა და განსაკუთრებით ფესვებს ღეჭავს და როცა ეს მასა საკმაოდ დარბილდება, მას პირიდან ყრიან ქოქოსის კაკლის ნაჭუჭში, რაც შეიძლება მეტი ნერწყვით.ამ დაღეჭილ მასას ასხამენ ცოტაოდენ წყალს, ფილტრავენ და სვამენ ამ ფილტრატს, რომელიც მართალია ძალიან მწარეა, თუმცა არომატულიც. ეს სასმელი არცთუ ძალიან გემრიელია, რასაც მოწმობს პაპუასების სახეებზე გამოხატული მანკვა მისი დალევის დროს. ეს სასმელი ძლიერად მოქმედებს და ათრობს მათ. საკმარისია პატარა ღვინის ჭიქა, რომ ნახევარ საათში მამაკაცი ფეხზე ვეღარ იდგეს.

კეუ-ს დალევა ზრდასრული მამაკაცების პრივილეგიაა. ადათით ქალებისა და ბავშვებისათვის იგი სასტიკად აკრძალულია. სხვათა შორის, ლხინში ბიჭუნები და ახალგაზრდობა იყენებენ კეუ-ს, მაგრამ მხოლოდ დასაღეჭად და რადგანაც დასაღეჭად იგი ძალზე მაგარია, ამიტომ მას წინასწარ ნაყავენ, არბილებენ ქვის საშუალებით.

კეუ-ს დამზადება გვიჩვენებს, რომ ეს სასმელი ისეთივეა, როგორც პოლინეზიური „კავა", მაგრამ პოლინეზიელები მასში უფრო მეტ წყალს აზავებენ. როგორც ვიცი, აქამდე ახალ გვინეაზე არ ყოფილა ცნობილი, რომ მსგავსი სასმელი იხმარებოდეს პაპუასების რომელიმე ტომის მიერ.

საკვების დამზადება

პაპუასებთან საკვების დამზადების ტექნოლოგია უფრო რთულია, ვიდრე პოლინეზიელებთან. ამას ამტკიცებს როგორც საშველების სიმრავლე, ისე ხარშვის დროს თიხის ქოთნების გამოყენება. შეჭამადთა უმრავლესობა, როგორც უკვე იყო აღნიშნული, იხარშება ზღვისა და მტკნარი წყლის შერევით. ველურებმა იციან აგრეთვე ხორცის და თევზის ნაჭრების შეწვა ან ფოთლებში შეხვეული მათი გამოცხობა ცხელ ნაცარში.

ცხელი და ნესტიანი კლიმატის პირობებში არ შეიძლება დამზადებული საჭმლის დიდხანს შენახვა, ამიტომ პაპუასებს აქვთ ჩვეულება შეაფიცხონ ან გამოაცხონ მეორე დღეს დილით ის, რაც მოხარშული იყო წინა დღით, როგორც მაგ. ბაუ, აიანი, ხორცი, ან პირიქით, მოხარშონ ის, რაც იყო ადრე შემწვარი, როგორც მაგ. თევზი, რომელსაც ისინი ღაჭერისთანავე წვავენ ხოლმე და მეორე დღეს ხარშავენ სხვადასხვა ბოსტნეულთან ერთად. ამ ხარშვითა და შეწვით ხდება გაუვნებელყოფა და გაჩერება მილიონობით სოკოსებრი სპორების განვითარებისა, რომლითაც რამოდენიმე საათის განმავლობაში იმსჭვალება მოხარშულიც და შემწვარიც.

საჭმლის დამზადება ეხება ზოგჯერ ქალებს, ზოგჯერ კი მამაკაცებს. ქალები რეცხავენ და წმენდენ ნაყოფს, მოაქვთ შეშა, ანთებენ ცეცხლს, მოაქვთ ბამბუკის ღეროები მარილიანი და მტკნარი წყალი. მამაკაცები ძელის ან ბამბუკის დანებით ჭრიან ნაყოფს, ასხამენ წყალს ქოთანში და დგამენ ცეცხლ-

ზე, ამასთანავე ქოთნებს თავს ახურავენ ახალთახად ფოთლებსა და ქოქოსის კაკლის ნაჭუჭს. როცა საჭმელი მზადაა, მამაკაცები ასხამენ მას ხის თეფშებზე იქ მყოფთა დასაპურებლად. სადღესასწაულო ლხინის დროს ყველა საკვები მამაკაცს მიერაა დამზადებული, ისევე როგორც საპატიო სტუმრის მიღებისას იცან. საერთოდ, ქმარი საჭმელს იკეთებს თავისთვის, ხოლო ცოლი — თავისთვისა და შვილებისათვის. ქმრები და ცოლები არასდროს არ სადილობენ კერიასთან ერთად, ან არ ჭამენ ერთი ჭურჭლიდან. სტუმრად მოსულს საჭმელს უხარშავენ ცალკე და დარჩენილ საჭმელს მასვე ატანენ წასვლისას.

კიდევ რამდენიმე ეთნოლოგიურად საინტერესო ჩვეულების შესახებ ახალი გვინეის, მაკლაის სანაპიროს პაპუასებში*

კეუ-ს გამოყენების გარდა, მაკლაის ნაპირის პაპუასებში ვნახე ზოგიერთი ჩვეულება, რომელიც გვხვდება პოლინეზიის კუნძულების მცხოვრებლებს შორის, მაგრამ ზოგიერთი, რამდენადაც ვიცი, არ იყო ცნობილი მელანეზიელთათვის. აქ ლაპარაკია წინადაცვეთაზე. 13—15 წლის ბიჭებს, ჩემი ძველი მეზობლები უკეთებენ წინადაცვეთას ბასრი კაჟის დანის მეშვეობით (კაჟს ტეხენ, და ნამტვრევებიდან არჩევენ ყველაზე ბასრსა და ძალზე მკრელს). წინადაცვეთა იმაში მდგომარეობს, რომ კაჟის ბასრი პირით praeputium-ის ზედა ნაწილზე აკეთებენ რამდენიმე გასწვრივი სახის დასერვას. განასერი არაა ღრმა და ტოვებს რამდენიმე უმნიშვნელო იარას. წინადაცვეთის ოპერაციას ასრულებენ არა სოფელში, არამედ ტყეში. ოპერატორი ჩვეულებრივ ბიჭის მამაა ან ერთ-ერთი ნათესავთაგანი. წინადაცვეთის შესრულების შემდეგ პაციენტი მამრობითი სქესის თანმხლები ნათესავებით, მეზობლებით ბრუნდება სოფელში ყვირილით, სიმღერითა და მუსიკით. წინადაცვეთის შემდეგ ახალგაზრდა პაპუასს ეძლევა ყველა უფლება, რომელიც მანამდე მისთვის აკრძალული იყო. მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ლხინში, დალიოს კეუ, მისთვის შენდება ახალი ქოხი, მამა ასაჩუქრებს მას პლანტაციის ნაწილით, შეუძლია ცოლი შეირთოს, იქონიოს სრული შეიარაღება, იმეცადინოს მუსიკაში და ასე შემდეგ.

თუმცა მაკლაის სანაპიროზე მცხოვრებ ყველა პაპუასს აქვს ეს ჩვეულება, მაგრამ ზოგიერთი მთიანი სოფლის (მაგ., ტენგუმ-მანა-ს, ენგლამ-მანა-ს, ბარაგუმ-მანა-ს სოფლების მცხოვრებნი) და პატარა კუნძულ ტიარა-ს მცხოვრებნი (ერთ-ერთი მომცრო კუნძული „აკაყოფილი ხალხის“ არქიპელაგისა) ამ ჩვეულებას არ ემორჩილებიან. ხშირად შემიმჩნევია, რომ ჩემი მეზობლები (წინადაცვეთილები) მოსახლეობის ამ უგულებელყოფას დამცინავად უყურებენ და დაცინვითვე საუბრობენ დასახელებული ადგილების მცხოვრებლებზე.

ჩვეულება „ტაბუ“, რომელიც პოლინეზიასა და მიკრონეზიაშია გავრცელებული, წარმოადგენს აკრძალვას, დადებულს ცნობილ საგნებზე, მათი მოხმარების შეზღუდვას, გვხვდება აგრეთვე ახალ გვინეაში. ასე მაგ. მრავალი საგანი მთლიანადაა აკრძალული ქალების, ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის წინადაცვეთამდე. ცნობილ დღეობებსა და დღესასწაულებზე დასწრების უფლება აქვთ მხოლოდ ზრდადასრულებულ მამაკაცებს. საჭმელებთან, რომელიც ლხინის ჩატარების ადგილზე კეთდება, ახალგაზრდებს, ქალებსა და ბავშვებს

---

* წყაროდან: Н. Н. Миклухо-Маклай, Собрание сочинений, т. III, М.-Л., 1951, с. 146—149.

მიახლოებაც კი არ შეუძლიათ. არა თუ დაკვრა. არამედ მუსიკალური ინსტრუმენტის თვალის შეკვლებაც კი ეკრძალებათ მათ. ისინი, ამ ინსტრუმენტების ხმების გაგონებისას, უნდა გაიქცნენ. კეუ-ს გამოყენებაც ასევე დაშვებულია მხოლოდ ზრდადასრულებული მამაკაცებისთვის. ცნობილი ქოხები, სადაც იკრიბებიან მამაკაცები, ანდა ცნობილი შესაკრები ადგილები ტყეში, სადაც იმართება დღეობები, ასევე აკრძალულია ქალებისა და ბავშვებისათვის. მამაკაცები კი თანხმდებიან სხვადასხვა საგნის აკრძალვაზე (სხვადასხვა ტიპის მორთულობებზე, საჭამადზე და ასე შემდეგ).

აკრძალვები იშვიათად ირღვეოდა. პაპუასები დარწმუნებული არიან, თუ ისინი ამას გააკეთებენ, ან ავად გახდებიან, ან მოკვდებიან.

ვერ გავიგე აქვთ თუ არა პაპუასებს განსაკუთრებული საერთო სახელწოდება ამ აკრძალვების აღსანიშნავად, როგორც მისი პოლინეზიური „ტაბუ"-ს ანალოგიური. მე ვფიქრობ, რომ აქვთ, მაგრამ იგი ამოვარდა ჩემი ყურადღებიდან, ჩემი ცოდნა პაპუასების კილოებისა კი არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ ნათლად აღმენიშნა ის, რისი აღნიშვნაც ან ცოდნაც მე მინდოდა. მაგრამ საქმე მხოლოდ სახელწოდებაში არ არის, არამედ ფაქტში, რომელსაც მე ყოველდღიურად ვამჩნევდი.

სახელების გაცვლის ჩვეულება, რომელიც ცნობილია მიკრონეზიის კუნძულების მცხოვრებთათვის, გვხვდება პაპუასებთანაც. მე არაერთხელ შემომთავაზეს, სხვადასხვა სოფლებში, შემეცვალა სახელი, მაგრამ როცა უარს ვეუბნებოდი მათ თხოვნაზე, უკმაყოფილონი რჩებოდნენ.

როცა ნავით ვუახლოვდებოდი სანაპიროზე განლაგებულ ერთ-ერთ სოფელს, მცხოვრებლები მელოდებოდნენ ნაპირთან, თანაც მხოლოდ მამაკაცები (ქალები იმალებოდნენ ხეებს შორის). მამაკაცები ჩაცუცქულები იყვნენ და ამ ზდგომარეობაში მანამდე რჩებოდნენ, სანამ არ ჩამოვედი ნაპირზე. მაშინ უხუცესი პაპუასები დგებოდნენ პირველები, შემდეგ სხვებიც, მოდიოდნენ რიგრიგობით, რათა ჩამოერთმიათ ჩეშთვის ხელი. ასეთი გამოხატულება მოკრძალებისა, საპატიო სტუმრის მიღების დროს, გვხვდება მიკრონეზიაშიაც.

წმინდა ქვები ახალ გვინეაშიც არის, როგორც პოლინეზიაში.

შემეძლო მომეყვანა კიდევ რამდენიმე ჩვეულება, რომელიც საერთოა პოლინეზიელებსა, მიკრონეზიელებსა და ახალი გვინეის მელანეზიელებისათვის, მაგრამ ამას დროის უქონლობის გამო ვდებ შემდგომისათვის, მაკლაის სანაპიროს მცხოვრებთა ჩვევების სრულ აღწერილობამდე.

ბიუტენზორგი,

13 დეკემბერი, 1873 წ.

კაციჭამიობის შესახებ მაკლაის სანაპიროზე

1877 წლის თებერვალში აირუ-ში ყოფნისას სრულიად შემთხვევით გავიგონე პირველად კაციჭამიობის შესახებ. ასევე გავიგე შემდეგი სახელები ადგილებისა, სადაც ჭამენ ადამიანის ხორცს. სახელდობრ: ერემპი, ბალილკ-ი, საუბოგ-ი, საკერ-ი. ამ ადგილებში არის სოფლები: დოდია, ოდოლა, იბუგა, სამპი, ბალა-ბალ-ი, მიტებოგ-ი, კილბა, კაუტიბუ, მატანონ-ი. შემდეგ: დურდეი, ფიედ-ი, ბარილგი, გარუ, გუბუდარ-ი და სხვა.

ერემპის ხალხი, რომლებიც ცხოვრობენ იდუა-ს კონცხთან, მე დავინახე სოფელ ბომასიაში. ისინი გარეგნულად არაფრით არ განსხვავდებიან მაკლაის სანაპიროს სხვა პაპუასებისაგან.

კაციჭამიობის შესახებ გავიგე მხოლოდ ის, რომ ბუნებრივი სიკვდილით მკვდარს მიწაში ფლავენ, ჭამენ მხოლოდ ომში მოკლულებს. ქალები, ისე როგორც მამაკაცები, ჭამენ ადამიანის ხორცს და მსხვერპლისაგან არაფერი რჩებათ, რადგანაც penis-სა და vagina-ს საჭმელში იყენებენ. თავს ხარშავენ თავმოტეხილ ქოთნებში, რადგანაც სხვანაირად იგი ქოთანში არ ეტეოდა.

საინტერესოა, რომ აქაც (ბონგუ) ხალხი მეუბნებოდა, ადამიანის ხორცი გემოთი ახლოსაა ღორის ხორცთანო.

მ. კოვალევსკი

კოვალევსკი მაქსიმე მაქსიმეს ძე (1851—1916) — რუსი საზოგადო მოღვაწე, ეთნოლოგი, სოციოლოგი, სოციალურ-პოლიტიკურ მოძღვრებათა და საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების ისტორიკოსი.

1872 წელს კოვალევსკიმ დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. განათლების გასაღრმავებლად სწავლა გააგრძელა ბერლინში, ვენაში, პარიზსა და ლონდონში. 1878—1887 წლებში მ. კოვალევსკი იყო მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სახელმწიფო სამართლის და სამართლის შედარებითი ისტორიის პროფესორი. როგორც ლექტორი, დიდი პოპულარობით სარგებლობდა და დიდ როლს ასრულებდა უნივერსიტეტის ახალგაზრდა პროფესორთა წრეში.

1879—80 წლებში ვ. მილერთან ერთად დააარსა ჟურნალი „კრიტიკული მიმოხილვა" („Критическое обозрение"). მასთან ერთად მონაწილეობდა კავკასიაში მოწყობილ ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში.

მ. კოვალევსკი რუსეთისა და, განსაკუთრებით, ევროპის სამეცნიერო წრეებისთვის ცნობილი იყო, როგორც უმთავრესად საფრანგეთისა და ინგლისის საზოგადოებრივი, პოლიტიკური და სოციალური ისტორიის მკვლევარი. ამ საკითხებს მან მიუძღვნა მრავალრიცხოვანი, რამდენიმე ტომად გამოცემული ნაშრომი, რომლებიც ქვეყნდებოდა ლონდონში, პარიზში, ბერლინში, მოსკოვსა და პეტერბურგში. ასევე, მ. კოვალევსკი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც დაიწყო რუსეთში სოციოლოგიური კვლევები და შექმნა ამ დარგში ფუნდამენტური ნაშრომები: „თანამედროვე სოციოლოგები" („Современные социологи", СПБ., 1905), „სოციოლოგია" („Социология", т. 1—2, СПБ., 1910) და სხვ.

1905 წელს რუსეთში დაბრუნებული მ. კოვალევსკი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და ფსიქონევროლოგიურ ინსტიტუტში, სადაც სათავეში ჩაუდგა რუსეთში პირველ სოციოლოგიის კათედრას. 1914 წელს მ. კოვალევსკი აირჩიეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

სამეცნიერო მუშაობის პარალელურად მ. კოვალევსკი ფართო მასშტაბის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და პუბლიცისტურ მოღვაწეობას ეწეოდა. დაარსა კონსტიტუციურ-მონარქისტული მიმართულების პარტია და მისი ბეჭდური ორგანო გაზეთი „ქვეყანა" („Страна"). 1906 წელს აირჩიეს პირველ სახელმწიფო სათათბიროში, ხოლო 1907 წელს სახელმწიფო საბჭოში, სადაც გამოდიოდა პ. სტოლიპინის აგრარული რეფორმის წინააღმდეგ, რადგან თვლიდა, რომ ისინი გამოიწვევდნენ გლეხობის მასობრივ პროლეტარიზაციას.

მ. კოვალევსკის მრავალმხრივი და მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ნაშრომებიდან ჩვენი საკითხისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი გამოკვლევები თემური წყობილების და ადათობრივი სამართლის შესახებ.

თემის, თემური მმართველობისა და წყობილების პრობლემები განხილულია მ. კოვალევსკის ამ საკითხებისადმი მიძღვნილ ორ მთავარ ნაშრომში: „ვაადტის კანტონში თემური მიწათმფლობელობის დაშლის ისტორიის ნარკვევები" („Очерк истории распадения общинного землевладения в кантоне Ваадт". Лондон, 1876) და „თემური მიწათმფლობელობა, მისი დაშლის მიზეზები, მსვლელობა და შედეგები" („Общинное землевладение, причины, ход и последствия его разложения", М., 1879). ეს უკანასკნელი აგებული იყო არა მარტო დასავლეთ ევროპისა და სლავური ქვეყნების, არამედ ინდოეთის, ალჟირის, კავკასიის, მექსიკის, პერუს მასალების ისტორიულ-შედარებით შესწავლაზე.

მ. კოვალევსკის ეკუთვნის მნიშვნელოვანი ნაშრომები სასოფლო თემის შესახებ: „თანამედროვე წეს-ჩვეულებები და ძველი კანონი. ოსების ჩვეულებითი სამართალი ისტორიულ-შედარებით შუქზე" („Современный обычай и древний закон. Обычное право осетин в историко-сравнительном освещений", т. 1—2, М., 1886), „კანონი და ჩვეულება კავკასიაში" („Закон и обычай на Кавказе", т. 1—2, М., 1890), „გვაროვნული წყობილება თანამედროვე ახლო და შორეულ წარსულში" („Родовой быт в настоящем, недавнем и отделенном прошлом", т. 1—2, СПБ., 1905) და სხვა.

მ. კოვალევსკის ეთნოლოგიური ნაშრომები პირველ რიგში ეფუძნებოდა მის მიერ შეკრებილ ეთნოგრაფიულ მასალებს ოსებში და კავკასიის სხვა ხალხებში, უმთავრესად დაღესტნელებში. ამ ნაშრომების უმთავრესი მონაპოვარია ის, რომ მ. კოვალევსკიმ დაადგინა დიდი ოჯახის ანუ პატრიარქალურ-ხაოჯახო თემის ისტორიული როლის მნიშვნელობა გვაროვნული წყობილების დაშლის პროცესში.

ქრესტომათიაში წარმოდგენილია ერთი თავი მ.კოვალევსკის ნაშრომიდან „კანონი და ჩვეულება კავკასიაში", რომელსაც „მატრიარქატი" ეწოდება. ამ თავში ავტორს გადმოცემული აქვს საკუთარი შეხედულებები ადათობრივი სამართლის ჩამოყალიბებაში მატრიარქატის როლის შესახებ, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა.

ბიბლიოგრაფია

1) М. М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, т. I, М., 1890.

ლიტერატურა

1) М. М. Ковалевский, Ученый, государственный и общественный деятель и гражданин, П., 1917.
2) Сафронов Б. Г., М. М. Ковалевский как социолог, М., 1960.
3) Б. Г. Вебер, Б. Г. Сафронов, Ковалевский Максим Максимович, СИЭ, 7, М., 1965, зз. 451—455.

მაბრიკარძატი*

უკანასკნელ წლებში სულ უფრო ნათელი ხდება ის მნიშვნელობა, რომელიც აქვს კავკასიაში მცხოვრები ხალხების ყოველმხრივ შესწავლას ეთნოგრაფიისა და სამართლის ისტორიისათვის, რომ არაფერი ვთქვათ ეთნოგრაფიასა და რელიგიის ისტორიაზე.

ინტერესი, რითაც გერმანიაში ფსევოლოდ მილერის „ოსურ ეტიუდებს", აგრეთვე მის საფუძველზე პროფესორ ჰუბშმანის მიერ შედგენილ შრომას შეხვდნენ ოსური ენის ეტიმოლოგიის შესახებ, ისეთი გამოცემების, როგორიც არის „Iurnal des savants", „Englich Archaeological Review" და „Memorials of the Asiatic society" მზადყოფნა — მიიღონ ყოველი სტატია, რომელიც შეეხება კავკასიის არქეოლოგიასა და ყოფის აღწერას, გვარწმუნებს, რომ ევროპული მეცნიერება ისეთივე ინტერესით ეკიდება ჩვენი განაპირა სამხრეთის ხალხურ რწმენებს, ჩვეულებებსა და გადმოცემებს, როგორიცაა ამერიკის აბორიგენი ტომების ან ინდოეთის ესოდენ მრავალფეროვანი მოსახლეობის ეთნოგრაფიასა და სიძველეებს.

ნაშრომები, რომლებიც საკმაოდ შორს დგანან კავკასიოლოგიის უშუალო ამოცანებისაგან, სულ უფრო ხშირად იმოწმებენ ოსების, ჩერქეზებისა და ქართველი მთიელების თანამედროვე წეს-ჩვეულებებს, რაც თავისთავად მიუთითებს იმ ინტერესის წყაროზე, რომელსაც კავკასიოლოგია იწვევს ისტორიისა და სამართლის შედარებითი ისტორიის ისეთ დიდ სპეციალისტებში, როგორიც არიან: დარესტი, ესმენი, პოლ ვიოლე, კოლერი და სხვანი. ევროპელ მეცნიერებს, უწინარეს ყოვლისა, აინტერესებთ, რამდენად ადასტურებს ან უარყოფს კავკასიელი ტომების იურიდიული ყოფის შესწავლა ჰიპოთეზებს თანაცხოვრების უძველესი სტადიებისა და მათ საფუძველზე განვითარებული იურიდიული ინსტიტუტების შესახებ, რომლებიც დასავლეთის ეთნოლოგებმა და იურისტებმა შეიმუშავეს არასრული და ცუდად შემოწმებული, ამიტომ წინააღმდეგობრივი მასალის საფუძველზე. ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასასრულიდან გახდა გასაგები, რომ უძველესი სამართლის შესწავლა შეუძლებელია თანამედროვეობის ველური და ბარბაროსი ხალხების ყოფაზე დაკვირვების გარეშე. ჩვენს დრომდე მოღწეული უძველესი ლიტერატურული და საკანონმდებლო ძეგლები განეკუთვნება უკვე ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრიობის ხანას. ისინი არასრულ წარმოდგენას გვიქმნიან თანაცხოვრების იმ ფორმების შესახებ, რომლებიც წინ უსწრებდა სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. მართალია, მათში გაბნეულია არაერთი მითითება იმის შესახებ, თუ როგორი იყო ის წეს-წყობილება, რომლის წინააღმდეგაც უხდებოდა ბრძოლა განვითა-

---

* წყაროდან: М. М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, т. I. М., 1890, с. 3—27.

რებად სახელმწიფოებრიობას, აგრეთვე გვხვდება ნარჩენები იმ იურიდიული ინსტიტუტებისა, რომელთაც დაკარგეს თავდაპირველი აზრი, მაგრამ ერთიც და მეორეც არ არის საკმარისი სახელმწიფოს წინამორბედი სოციალური ორგანიზაციის ყველა წვრილმანის აღსადგენად.

რათა დაძლეულიყო ის გაურკვევლობა, რითაც თეოლოგები და მეტაფიზიკოსები წარმოაჩენდნენ წინარესახელმწიფოებრივ ყოფას, როცა ხატავდნენ ერთნი როგორც „უბიწოების მდგომარეობას“, ხოლო მეორენი — როგორც „ბუნებრივ მდგომარეობას“, ინგლისელმა ჰობსმა ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში იმის ნათელსაყოფად, თუ რას წარმოადგენდა ეს ყველასაგან განდიდებული წინარესახელმწიფოებრივი ყოფა, შესაძლებლად ჩათვალა ველურთა ყოფის შესწავლა. მას შემდეგ, რაც ლაფიტოს თხზულებაში წითელკანიანთა ხასიათისა და ჩვეულებების შესახებ ისტორიკოსებმა და იურისტებმა იხილეს პირველყოფილი კულტურის პირველი რამდენადმე სისტემატური და სრული აღწერა, შედარებითი ეთნოგრაფია გადაიქცა ერთ-ერთ დამხმარე მეცნიერებად ისტორიისათვის ზოგადად და სამართლის ისტორიისათვის კერძოდ. ფართო განზოგადებებს თანაცხოვრების თავდაპირველი ფორმების შესახებ, რაც უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე გააკეთეს ისეთმა მკვლევრებმა, როგორიც არიან: მენი, ბაჰოფენი, მაკლენანი, მორგანი და სპენსერი, არა აქვთ სხვა საფუძველი, გარდა იმ შეპირისპირებებისა და დამატებებისა, რომლებიც შედარებითა ეთნოგრაფიამ მიცა სამართლის ისტორიას.

რაც მაკლენანისა და მორგანისთვის არის ამერიკელი წითელკანიანების ყოფა, ის მენისა და ლაიელისათვის არის ინდოეთის აბორიგენი, კერძოდ, არიული ტომების ჩვეულებები. თუ მაკლენანი და ბაჰოფენი შესაძლებლად თვლიან წამოაყენონ ჰიპოთეზა მატრიარქატის, როგორც სოციალური წყობის უძველესი ტიპის, ანუ ისეთი თანაცხოვრებითი კავშირების შესახებ, რომელთა გამაერთიანებელი საწყისია დედის მხრიდან ნათესაობა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამერიკელი ველურების ყოფა განმარტავს და ავსებს კიდეც ძველი და შუა საუკუნეების მწერლებისა და პირველი საკანონმდებლო ძეგლების ცნობებს ასევე, თუ მორგანი და ფიზონი გვთავაზობენ სრულიად ახალ თეორიას უძველესი ქორწინების არა როგორც ცალკეულ ინდივიდთა, არამედ ადამიანთა მთელი ჯგუფის თანაცხოვრების შესახებ, ესეც იმიტომ, რომ წეს-ჩვეულებები, რომელთა შესახებ ისტორიულ წყაროებში გადაკვრით ახის საუბარი, სრულად და საფუძვლიანად ილუსტრირდება ამერიკელი და ოკეანელი ტომების ყოფით.

დაბოლოს, მენს შესაძლებლად მიაჩნია ზოგად წესად მიიღოს გვაროვნული, თემური და ფეოდალური წყობილების მემკვიდრეობითობა. მისი ეს თეორია იმიტომ არის დამაჯერებელი, რომ ჯატების, რაჯპუტებისა და ინდოეთის სხვა არიული ტომების ჩვეულებებში მან დაინახა რომის, ინდოეთის, ინგლისისა და ირლანდიის, ერთი შეხედვით, წინააღმდეგობრივი სამართლებრივი ნორმების ახსნის შესაძლებლობა.

მე ვერ ვხედავ იმის მიზეზს, რომ კავკასიის ეთნოგრაფია, რომელიც ოქ მცხოვრები ხალხებისა და კულტურის ტიპების მრავალფეროვნებით შორს მოიტოვებს როგორც ამერიკელი, ისე ოკეანელი და ინდოელი ტომების ყოფა ცხოვრების აღწერას, წარმატებით არ იქნეს გამოყენებული თანაცხოვრების უძველესი სტადიების შესასწავლად. მაგრამ, შესაძლოა, მისი მოხმობა ზედმეტიც იყოს, რადგანაც ეს სტადიები უკვე დადგენილია და ახალ მასალას მხოლოდ უკვე ცნობილის დადასტურება ხელეწიფება. ორი ერთმანეთის გამომრიცხავი

თეორიის არსებობა, რომელთაგან ერთი პირველ ხანებში მატრიარქატის საყოველთაო გავრცელებულობას ეარაუდობს, ხოლო მეორე ქადაგებს, რომ ეს მოვლენა დროითი და ადგილობრივი მიზეზებით არის განპირობებული, იმაზე მეტყველებს, რომ მეცნიერებას „საზოგადოების ეთნოლოგიის“ შესახებ ჯერ კიდევ არ უთქვამს თავისი საბოლოო სიტყვა. ამას უნდა დავუმატოთ, რომ მათ შორისაც კი, ვინც მატრიარქატს თანაცხოვრების თავდაპირველ სტადიად მიიჩნევს, არ არსებობს თანხმობა მისი (ე. ი. მატრიარქატის) წარმოშობის მიზეზთა შესახებ. კომუნალური ქორწინება და უწესრიგო სქესობრივი ცხოვრება; ცოლ-ქმარს შორის რეგულარული კავშირის არარსებობა და, აქედან გამომდინარე, მამის უცნობობა; ურთიერთობა, რომელიც ბავშვებს აკავშირებს დედის ძმასთან, ანუ ბიძასთან დედის მხრიდან; ვალდებულება—შეირთონ ცოლი მხოლოდ საკუთარი ნათესავების წრიდან და საწინააღმდეგო მოთხოვნა — იქორწინონ მხოლოდ სხვა გვარეულობის წარმომადგენლებზე, ანუ „ენდოგამია და ეგზოგამია“; ორივე ნორმის წყარო და მათი მონაცვლეობის წესი; მნიშვნელობა, რომელიც მათ მატრიარქატის განვითარებაში ენიჭებათ; ჯგუფური და ინდივიდუალური ქორწინება; ნათესაობა კლასების ან თაობების მიხედვით; მამის უფლებების წარმოშობა და დედის გვარიდან აგნატურ გვარში გადასვლა — ყველა ეს საკითხი წამოჭრილია და არა გადაჭრილი. ამის აღიარებით სრულიადაც არ მინდა ვთქვა, რომ სამართლის შედარებით ისტორიას შედარებით ეთნოგრაფიასთან ერთად ჯერაც არ დაუდგენია არცერთი რამდენადმე ზოგადი დებულება. მხედველობაში მაქვს მხოლოდ ის, რომ მათ მიერ შემუშავებულ ზოგად დებულებებს შემოწმება ესაჭიროება, შემოწმებისათვის კი ყველაზე საიმედო მასალას კავკასიოლოგია გვაძლევს.

ამ მასალის უპირატესობა ამერიკელი, მალაიელი და პოლინეზიელი ტომების, აგრეთვე ინდოეთის მრავალფეროვანი მოსახლეობის ყოფის შესწავლასთან შედარებით ისაა, რომ საქმე გვაქვს ხალხებთან, რომელთაც ბუნების მიერ ნაბოძები ადგილმდებარეობა ხელსაყრელ პირობებს უქმნის შეინარჩუნონ ძველთაძველი ხასიათი და წეს-ჩვეულებები. ამ ხალხებს უძველესი დროიდან აკვირდებოდნენ და დღესაც აკვირდებიან. მათ შესახებ გვაქვს ისეთი მწერლების ცნობები, როგორებიც არიან ჰეროდოტე და სტრაბონი, რომლებიც მათ იცნობდნენ ბერძენი კოლონისტების მონაყოლის საფუძველზე, შუა საუკუნეების ისტორიკოსები მოსე ხორენელი და მოსე კოგკანტოვაცი, აგრეთვე შუა საუკუნეების მოგზაურები: კონტარინი, პლანო კარპინი და ინტერიანო. ისინი ამ ხალხებს არა მარტო შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე გენუელი კოლონისტების მონათხრობით იცნობდნენ, არამედ საკუთარი ფეხით ჰქონდათ მოვლილი მთელი მათი ქვეყანა. საერთოდ კი ამ ხალხების ყოფის აღწერაში ერთმანეთს ეცილებიან ბიზანტიური და არაბული ქრონიკები, სომები და ქართველი ისტორიკოსები და გეოგრაფები.

XVII საუკუნის კათოლიკე მისიონერები პადრე ლამბერტის მეთაურობით, ფრანგი, გერმანელი და ჰოლანდიელი მოგზაურები, მაგალითად, ტავერნიე და შარდენი, ოლეარიუსი და სტრუისი, იმდენად საფუძვლიანად სწვდებიან მათი ყოფის სილრმისეულ დეტალებს, რომ უკან იტოვებენ წინა საუკუნეების შემთხვევით დაკვირვებებს ან მათ საფუძველზე შედგენილ მოკლე ჩანაწერებს.

კავკასიასთან რუსეთის სამხედრო დაპირისპირების დასაწყისიდან, ადგილობრივი მოსახლეობის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შედეგ მანძილზე მთიელებმა, უწინარეს ყოვლისა, ოსებმა, ჩერქეზებმა და ლეკებმა არა მხოლოდ რეინეგსის ტიპის შემთხვევითი ავანტიურისტების, არამედ ისეთი მეცნიერე-

ბის ყურადღებაც მიიპყრეს, როგორებიც არიან პოტოცკი, პალასი და კლაპროტი. რუსეთის იმპერიასთან მთიელთა თავგანწირულ და უიმედო ბრძოლაში მონაწილეობამ შესაძლებლობა მისცა ინგლისელ ბელისა და პოლონელ ლაპინსკის რამდენიმე წელი გაეტარებინათ აბაზებსა და ყაბარდოელებთან. რამაც ხელსაყრელი პირობები შეუქმნა იმ ინსტიტუტების შინაგანი ბუნებისა და სულის შესასწავლად, რომლებიც მთიელთა მოქალაქეობრიობას შეადგენენ.

ნებაყოფლობით შემოერთებული თუ იარაღით დაპყრობილი პროვინციების მართვის აუცილებლობა რუსეთის მთავრობას აიძულებს მოიპოვოს ზუსტი და სრული ცნობები ადგილობრივი ტომების იურიდიული ადათების შესახებ. ამ მასალებით სარგებლობენ ადგილობრივი ეთნოგრაფები და პერიოდიკასა და საგანგებოდ გამოცემულ კრებულებში ზედიზედ აქვეყნებენ გამოკვლევებს მთიელთა საზოგადოებრივი და იურიდიული წეს-ჩვეულებების შესახებ. ამ აღწერებმა არა მარტო დაადასტურეს წინამორბედი მოგზაურების ცნობები, არამედ ნათელყვეს კავკასიელი ტომების უძველესი ადათებისა და წეს-ჩვეულებების საკვირველი სიცოცხლისუნარიანობა. მათ შესახებ ხომ ჯერ კიდევ ბერძენი და რომაელი ავტორები მოგვითხრობენ.

იურისტ-ეთნოგრაფს, რომელიც თავის დასკვნებს კავკასიური მასალის საფუძველზე აგებს, ხელთ აქვს სხვადასხვა დროის, ერთმანეთის შემავსებელი და ურთიერთმაკონტროლებელი მონაცემები. ნაცვლად იმისა, რომ დაკმაყოფილდეს სუბიექტური ვარაუდებით შესასწავლი წეს-ჩვეულებებისა და ინსტიტუტების საუკუნეობრივი სიძველის შესახებ, მას შესაძლებლობა ეძლევა ამაში დარწმუნდეს ბერძენი და რომაელი, არაბი და ბიზანტიელი, სომეხი და ქართველი გეოგრაფებისა და ისტორიკოსების ცნობების საფუძველზე. თუ ეს მასალა არ დაკმაყოფილებს, მოგზაურთა და მისიონერთა ანგარიშები მისცემს ცნობისმოყვარეობისა და ისტორიული ჭეშმარიტების დადგენის შესაძლებლობას. ერთი სიტყვით, კავკასიური მასალა მეტყველებს ისტორიულ-გეოგრაფიული მონაცემების უპირატესობაზე წმინდა ეთნოგრაფიულ ცნობებთან შედარებით. ეს უპირატესობა არა მხოლოდ ერთი და იმავე მასალის მრავალჯერადი შემოწმების, არამედ ცალკეული ინსტიტუტების ჩასახვისა და განვითარებისათვის თვალის მიდევნების შესაძლებლობას იძლევა, აგრეთვე ხათულყოფს მემკვიდრეობით კავშირს განვითარებადი საზოგადოებრიობის სხვადასხვა სტადიას შორის.

თუ ვიმსჯელებთ იმ შედეგების მიხედვით, რაც საზოგადოების ემპიროლოგიას მისცა ყველაზე უკეთ გამოკვლეული მთიელთა ტომის — ოსების ყოფის შესწავლამ, კავკასიოლოგია არ იმუქრება სოციოლოგიის მიერ უკვე მოპოვებული დასკვნების უგულებელყოფით. ის არ უარყოფს არც გვაროვნული ყოფის ფართოდ გავრცელების ფაქტს, არც ამ ყოფაში განვითარებულ უფრო ადრეული საფეხურების — მატრიარქატის, ან თანაცხოვრების უფრო მოგვიანო ფორმების — თემურისა და ფეოდალურის — ჩანასახების არსებობას. წინაალმდეგ შემთხვევაში შეირყეოდა ნდობა მის მიერ გამოკვანილი დასკვნების მიმართ. გაჩნდებოდა ვარაუდი იმ პირობების განსაკუთრებულობის შესახებ, რომელშიც ჩაისახა კავკასიური მოქალაქეობრიობა. მაშინ კავკასიური ტომების ეთნოგრაფია განვითარების საყოველთაო პროცესს კი არ გააშუქებდა, არამედ დაადასტურებდა მისგან ადგილობრივი გადახრების შესაძლებლობას. რაც უფრო ნაკლებია ეთნოგრაფიული კურიოზები, ანუ ის ადათები და წეს-ჩვეულებები, რომლებიც არ მეორდება სხვა ადგილებში და სხვა ხალხებთან, რაც უფრო მეტ საერთოს შეიცავს კავკასიური ეთნოგრაფია, მით

უფრო ნაკლებია მისი მნიშვნელობა მათთვის, ვისაც სჯერა დაუსრულებელი გადატრიალებებისა საზოგადოებრივ მეცნიერებათა ძირითად თეორიაში. ყველასთვის, ვინც ჩვენთან ერთად ხედავს საზოგადოებათმცოდნეობის მნიშვნელობას უკვე მიღებული შედეგების გადასინჯვაში, განმტკიცებასა და შესწორებაში, დადგენილ დასკვნებში მეტი სიზუსტისა და სინათლის შეტანაში, მათ უფრო სრულ შეთანხმებასა და ერთიან, მწყობრ ფაქტებზე მკვიდრად დაყრდნობილ თეორიად ჩამოყალიბებაში, კავკასიის შესწავლა ერთდროულად აუცილებელიც არის და გარდაუვალიც.

საკითხავია, რა დასკვნებს გვთავაზობს საზოგადოების ეთნოლუციის პრობლემასთან მიმართებით კავკასიური ტომების ეთნოგრაფია? შეეცდებით შეძლებისდაგვარად მოკლედ ვუპასუხოთ. ჩერქეზების, ინგუშების, ოსების, სვანების, ხევსურების, ფშავლებისა და თუშების, აგრეთვე დაღესტნის ტომების უმრავლესობაში, ანუ ეთნოგრაფიულად ჭრელ გარემოში, სადაც წმინდა არიული ელემენტები, რომლებსაც მხოლოდ ოსების სახით ვხვდებით, შერეულია ქართველურთან, ადიღეურთან, ლეზგიურსა და თურქულთან, შეიძლება შევნიშნოთ მთელი რიგი ადათებისა, რომელთა წარმოშობა არ შეიძლება აიხსნას აგნატური წესებით. აუცილებელი ხდება ვივარაუდოთ მატრიარქატისა და მასთან დაკავშირებული ინსტიტუტების არსებობა. ჩამოვთვალოთ ეს ფაქტები და შემდგომისათვის გადავდოთ ყოველგვარი განზოგადება.

აბაზურ ტომებს შორის, რომლებიც შავი ზღვის სანაპიროს მთიან ადგილებზე სახლობენ, პირველად ბელიმ შენიშნა თავისებური საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლის ხასიათს იგი გადმოსცემს სიტყვით „საძმო“. ყოველი „საძმოს“, ანუ „ტლეუხის“, შემადგენლობაში შედის რამდენიმე გვარი („აჩიხი“). ერთი და იმავე საძმოს ქალებისა და მამაკაცების ურთიერთობა დაძმურია, საძმოს წევრებს მიაჩნიათ, რომ საერთო ფესვისაგან წარმოიშვნენ და ამიტომ სისხლით ნათესავები არიან. ერთი და იმავე საძმოს წევრ ქალთა და მამაკაცთა ქორწინება აკრძალულია. ძველად, ბელის მიხედვით, ამ აკრძალვის დამრღვევთ ზღვაში ყრიდნენ, მიმდინარე XIX საუკუნის 40-იან წლებში კი კმაყოფილდებოდნენ ქალის მამისათვის დაბრუნებით და საზღაურით სისხლის აღრეკისათვის. საქორწინო აკრძალვები ვრცელდება არა მარტო ერთი და იმავე გვარის წევრებზე, არამედ საძმოში შემავალი ყველა გვარის წევრზე. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა, საკითხი ეხება გაერთიანების თავისუფალ თუ არათავისუფალ წევრთა ქორწინებას. მონები და მონა ქალები ეკუთვნოდნენ პატრონის „ტლეუხს“ და ამიტომ მათზეც ვრცელდებოდა თავისუფალთათვის დაწესებული ეგზოგამიური აკრძალვები.

მიწის საერთო მფლობელობა და ურთიერთთავდებობა შერისძიებისას, რომელიც მიმართულია საძმოს ნებისმიერი წევრის წინააღმდეგ, ავსებს ხშირად ათასობით ადამიანის მჭიდრო, ამხანაგური ურთიერთობის სურათს. მათ აერთიანებთ წარმოდგენა საერთო წარმოშობის შესახებ, ანდა თავისი გვარეულობები შეადგინეს ხელშეკრულების საფუძველზე. მჭიდრო პოლიტიკურობა, რომელიც ამ შეკავშირების წევრებს შორის არსებობს, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვლინდება, სხვათა შორის, შემდეგში: თუ საცოლის საყიდლად არ არის საკმარისი სახსრები, აუცილებელ ურვადს შეადგენს ყველა ძმის „ნებაყოფლობითი“ შემონატანი. საერთო სახსრებით ნაყიდი ცოლი ქმრის სიკვდილის შემდეგაც მისი გვარისა და საძმოს საერთო საკუთრებაა. ჯერ კიდევ XV საუკუნეში გენუელი ინტერიანო შენიშნავს შემდეგ საყურადღებო დეტალს: ჩერქეზებს, რომელთაც იგი „ზიკებს“ უწოდებს, არ ეუხერხულებათ, ძმის ცოლთან გაატა-

რონ უახლოესი ღამე. მისი გარდაცვალების შემდეგ; ქვრივს არა აქვს უფლება. იქორწინოს სხვა „ტლეუხის“ მამაკაცთან, თუ წინასწარ არ გადაუხადა იმ საძ-მოს, რომელშაც იყიდა.

ბელი ავსებს ამ მონაცემებს და ამბობს, რომ მის დროს, ე. ი. მიმდინარე საუკუნის 40-იან წლებში, ქვრივი, როგორც საძმოს ერთ-ერთი წევრის სახსრე-ბით შეძენილი, უფასოდ გადაეცემოდა გაერთიანების რომელიმე წევრს.

ბარონი სტალი თავის ეთნოგრაფიულ ნარკვევში ჩერქეზი ხალხის შესახებ რამდენიმე დეტალით ავსებს ეგზოგამიური „ძმური“ კავშირის ამ სურათს. იგი ადასტურებს ბელის მონაცემებს ერთი და იმავე საძმოს გათხოვილი ქა-ლებისა და მამაკაცების ხანმოკლე ურთიერთობის შესახებ და შენიშნავს, რომ ერთ-ერთ ჩერქეზულ ტომში, შაპსუგებთან, „მექალთანობა ძველად საყოველ-თაოდ გავრცელებული ჩვეულება იყო“. საყვარლის ყოლა არ იყო ქალისთვის სამარცხვინო და ქმრები ამაყობდნენ კიდეც, რომ მათი ცოლები სხვა მამაკა-ცებს უყვარდათ.

X საუკუნის არაბი მოგზაური აბუ-ელ-კასიმი ლაპარაკობს გათხოვილი ქალების ჰეტერიზმზე, როგორც „კასაგების“, ანუ ჩერქეზების, ყოფის ერთ-ერთ თავისებურებაზე. ამ ჩვენებას ადასტურებს ამავე დროის აგრეთვე არაბი მწერალი მასუდი.

XVII საუკუნეში ამ მონაცემებს ძალზე დამახასიათებელი დეტალებით ავსებენ ტავერნიე და სტრუისი. თუ გათხოვილი ქალი საყვარელს გაიჩენს, ამბობს ტავერნიე ჩერქეზი ქალების შესახებ, და ქმარი ცოლს ფაქტზე წასწრებს, ის მშვიდად გამოდის სახლიდან და ერთი სიტყვითაც არ მოაგონებს მომხდარის შესახებ. რაც უფრო მეტი ურთიერთობები აქვს ქალს, მით უფრო დიდ პატივშია იგი. როცა ქალები ერთმანეთს წაეკიდებიან, ერთურთს აყვედ-რიან, რომ სიმახინჯის ან მრავალშვილიანობის გამო არ ჰყავთ საყვარლები.

„ჩერქეზი ქალები, — წერს სტრუისი, — არ გამოირჩევიან მეუწვდომ-ლობით. ისინი არ ფრთხებიან მამაკაცის დანახვისას და უარს არ ამბობენ მათს ალერსზე. თუ ქალები დამყოლნი არიან, ქმრების შესახებ უნდა ითქვას, რომ ისინი შემწყნარებლობით გამოირჩევიან, ისინი მშვიდად უყურებენ, როგორ ეარშიყებიან მათ ცოლებს, არ ეჭვიანობენ და თავიანთ საქციელს იმით ხსნი-ან, რომ ქალები ჰგვანან ყვავილებს, რომელთა სილამაზეს აზრი არ ექნებო-და, რომ არ იყოს თვალები მათი სილამაზით დასატკბობად და ხელები მოსა-წყვეტად“.

იმის შესაცნობად, თუ რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი ორგანიზა-ციის უძველესი ფორმების საკითხისათვის ჩერქეზებთან საძმოების არსებო-ბას, მოკლედ შეგახსენებთ იმ როლს, რომელსაც მატრიარქატის თეორიაში ასრულებენ ჩერქეზულის მსგავსი ამერიკელ და ავსტრალიელ ტომთა საძმოე-ბი. ფიზონმა და მორგანმა შეძლეს ჩასწვდომოდნენ ამ ორგანიზაციის ყველა წვრილმანს და მიუთითეს, რომ მას საფუძვლად უდევს ეგზოგამიური აკრძალ-ვები. ასე მაგალითად, იროკეზებთან არათუ აკრძალულია ქორწინება ერთი და იმავე გვარის ფარგლებში, არამედ იკრძალება იმ შემთხვევაშიც, როცა საქმრო და საცოლე მიეკუთვნებიან სხვადასხვა გვარეულობებს, მაგრამ იმავდროულად არიან ერთი და იმავე საძმოს წევრები. იროკეზთა კონფედერაციის ერთ-ერთ ტომში, სენეკასთან, ქორწინება აკრძალულია შემდეგი „ტოტემის“, ანუ გვა-რეულობის წევრთა შორის: დათვის, მგლის, კასტორისა და კუს. მათში შე-მავალ ოჯახებს შეუძლიათ იქორწინონ ოთხი „ტოტემის“ წარმომადგენლებზე, რომლებიც აგრეთვე ერთსა და იმავე საძმოს შეადგენენ. ეს ტოტემები ატა-

რებენ შემდეგი ცხოველებისა და ფრინველების სახელებს: ირემლაღი, ჩიბუ-ხა, შევარდენი და ყანჩა.

ფიზონმა ავსტრალიელთა შორის აღმოაჩინა ორგანიზაცია, რომელიც ზე-მოთ აღწერილს ემთხვევა. იგი სამართლიანად შენიშნავს, რომ ამ ორგანიზა-ციის ყველაზე მარტივ ტიპს წარმოადგენს კამილაროის ტომი. ეს ტომი მხო-ლოდ ორად იყოფა. ერთი დანაყოფი ცნობილია კუმიტის, მეორე — კროკის სა-ხელით. ერთი დანაყოფის მამაკაცებს შეუძლიათ ცოლად შეირთონ მეორე და-ნაყოფის ქალები და პირიქით, მაგრამ ერთი და იმავე ჯგუფის ფარგლებში ყველა ქალი და მამაკაცი და-ძმად ითვლება და არა აქვთ ერთმანეთზე დაქორ-წინების უფლება. გაუთხოვარი ქალები მკაცრად იცავენ უმანკოებას და ძმისა-გან, ე. ი. მისი დანაყოფის წევრისაგან, შეურაცხყოფა ისჯება, როგორც სისხ-ლის აღრევა. რაც შეეხება გათხოვილ ქალებს, რომლებიც, როგორც ითქვა, სხვა გვარს ეკუთვნიან, არათუ იცავენ უბიწოებას, არამედ ყოველი კუმიტი თავს ყოველი კროკი ქალის ქმრად მიიჩნევს და პირიქით: ყოველი კროკი მა-მაკაცი თვლის, რომ ყოველი კუმიტი ქალის ქმარია. სტალის აღწერიდან ცნო-ბილი ხდება, რომ წინათ ანალოგიური ვითარება იყო შაპსუგებთან, მაშინ როდესაც მკაცრად იყო აკრძალული თანაცხოვრება ერთი და იმავე საძმოს ქალიშვილებთან, რომელთა უმანკოებას ადათი იცავდა.

ამრიგად, ეგზოგამიაზე დამყარებულ ჩერქეზულ „ტლეუხებში", რომელ-თაც შემოინახეს კომუნალური ქორწინების კვალი, უნდა დავინახოთ იმ წესი-ების გადმონაშთები, რომლებსაც თანამედროვე ეთნოლოგია საზოგადოებრიობის ჩანასახოვან ხანას მიაკუთვნებს. საზოგადოებაში, სადაც უცხო საძმოში ნაყოფ ქალებზე უფლება ძმად სახელდებულ ყველა მამაკაცს აქვს, სავსებით გასაგ-ბია, რომ პიროვნება, რომელსაც მჭიდრო ურთიერთობა აქვს კონკრეტულ ქალთან, თავისი საძმოს წევრთა უკმაყოფილების ასაცილებლად თავს არიდებს ყველაფერს, რაც ცხადყოფს ამ ურთიერთობას, კერძოდ: არ შეხვდება მას სხვათა თანდასწრებით, სახალხოდ არ უწოდებს ცოლს, არ განაცხადებს, რომ არის მისი შვილების მამა. ყველა, ვინც კი ახლოს გაეცნო ჩერქეზთა ყოფას, აღიარებს, რომ ქმარი არა მარტო გაურბის უცხო პირთა თანდასწრებით ცოლ-თან შეხვედრას, არამედ შეურაცხყოფად მიიჩნევს შეკითხვას, როგორ არის მისი მეუღლე. ჩერქეზი, — წერს დიუბუა დე მონპერე, — ვერ გაბედავს სა-ხალხოდ გამოჩნდეს ცოლთან ერთად. იგი მას მალულად ხვდება. უხეშობად ითვლება ელაპარაკო მასზე, როგორც ცოლზე, და გამოიკითხო, როგორ გრძნობს იგი თავს. ეს შენიშნეს ჯერ კიდევ პოტოცკიმ და ბელიმ. პირველი ამტკიცებს, რომ ქმრები მხოლოდ ღამით, თანაც ქურდულად, შედიან ცოლებ-თან, მეორე კი მოგვითხრობს, როგორ გააქცია ქმარი, როცა შევიდა მის ცოლ-თან მისივე ნებართვით.

იგივე მიზეზები უდევს საფუძვლად ჩერქეზთა კიდევ ერთ ჩვეულებას, რომელიც „ათალიკობის" სახელით არის ცნობილი. ამ ჩვეულების მიხედვით. ახალშობილი არ რჩება მშობლების ოჯახში. მასზე მზრუნველობა სხვა, უცხო ოჯახს ეკისრება. ბავშვის კვება და აღზრდა, რომელიც არ სცილდება ცხენოს-ნობისა და იარაღის ხმარების სწავლებას, ათალიკის ოჯახის მოვალეობაა. ხში-რად მასვე ევალება საცოლის შერჩევა. ათალიკსა და ბავშვს შორის, რომელიც მან აღსაზრდელად მიიღო, მამაშვილური ურთიერთობა მყარდება. ამ ურთი-ერთობის ნათესაურ ხასიათს აღიარებს ჩვეულება, რომელიც შეუძლებლად მიიჩნევს აღმზრდელისა და აღზრდილის ოჯახების წევრთა ქორწინებას. ასე რომ, ამ ოჯახებზე ვრცელდება ისეთივე ეგზოგამიური აკრძალვები, რომლებიც

დადგენილია ერთი და იმავე გვარისა და საძმოს მიმართ. ამჟამად ბავშვების სხვა ოჯახში აღსაზრდელად გადაცემა თავად-აზნაურთა წრეშიდა არის შენარჩუნებული და ვრცელდება თითქმის გამონაკლისის გარეშე, მხოლოდ ბიჭებზე, ძველად კი ამ ჩვეულებას საყოველთაო ხასიათი ჰქონდა. პიროვნებას, ვისაც სურდა ათალიკის მოვალეობა ეკისრა, იმის უფლებაც კი ჰქონდა, რომ ძალით დაუფლებოდა ახალშობილს და თავის აულში წაეყვანა. აღსაზრდელის ათალიკის ოჯახში ყოფნისას, ეტიკეტის თანახმად, მშობელი არ უნდა დაინტერესდეს მისი ბედით და არც ყურადღება გამოიჩინოს. როცა აღზრდილი სრულწლოვანი გახდება, ანუ შეეძლება ომში მონაწილეობა, ათალიკს იგი საზეიმოდ მიჰყავს მამასთან. მამა უხვად ასაჩუქრებს აღმზრდელს და შვილს ოჯახში ღებულობს. ამ აქტს წინ უსწრებს ერთი ადათი, რომელიც გაშეილების წინააღმდეგ არის მიმართული. ბელი, რომელიც თავად დაესწრო ათალიკის მიერ შვილის მამისათვის გადაცემას, გვიამბობს, რომ ცხენოსნებზე, რომლებიც ათალიკსა და მის აღზრდილს ახლდნენ, აულის ახალგაზრდობამ, ადათის თანახმად, სახუმარო თავდასხმა მოაწყო. რამდენიმე წუთს გაგრძელდა, რა თქმა უნდა, ფუჭი ვაზნებით სროლა. ბოლოს, როგორც იქნა, ათალიკმა შეძლო გზის გაგრძელება.

ათალიკობა ჩერქეზთა უძველესი ადათია. იგი მოიხსენიება მათი ყოფის პირველსავე აღწერილობებში და, სხვათა შორის, უკვე ნახსენებ გენუელი ინტერიანოს თხზულებაში.

მორგანის მიერ პოლინეზიელთა ჩვეულებების აღწერილობიდან ჩანს, რომ ისინი იცავდნენ იმავე ეგზოგამიურ აკრძალვებს და ცოლთან ურთიერთობის სისტემას, რომელსაც ჩერქეზებთან შევხვდით. პიროვნებები, რომლებსაც დედის მხრიდან ნათესაობა აკავშირებთ, ერთმანეთს და-ძმებად თვლიდნენ და მათ შორის ქორწინება ადათით იყო აკრძალული. მაგრამ იგივე ადათი ერთი ჯგუფის ძმებს სხვა ჯგუფის დების დაუფლების ნებას რთავდა და პირიქით. პოლინეზიის ერთ-ერთი ტომის — მაორის უძველესი ჩვეულების თანახმად, ბავშვებს, როგორც წესი, არ უტოვებდნენ დედებს. ისინი დაბადებისთანავე მიჰყავდათ მამამძუძესა და დედამძუძეს, რომელთაც მათი კვება და აღზრდა ევალებოდათ.

პოლინეზიელი ველურების ეს ჩვეულება ნათელყოფს, რა არის ათალიკობის ჰეშმარიტი წყარო. ჩერქეზები ბავშვებს იმიტომ აძლევდნენ აღსაზრდელად გარეშე პირს, რომელსაც ათალიკობით სურდა მათთან დაახლოება, რომ სადავო იყო მამის საკითხი: ერთი საძმოს წევრებს თანაბრად შეეძლოთ ყოფილიყვნენ ამა თუ იმ ბავშვის დედის ქმრები. მხოლოდ რომელიმე მამაკაცის მიერ ბავშვის შვილად მიჩნევა ანიჭებდა მას მისი შვილობის უფლებას. საკმარისი არ იყო ბავშვის დაბადება ამა თუ იმ ოჯახში. აუცილებელი იყო მისი შვილად მიღება, რაც ათალიკის მიერ მოზრდილი ვაჟის მისი დედის ქმრისთვის გადაცემის ზემოთ აღწერილ ფორმას იღებდა.

კავკასიაში საძმოებს მხოლოდ ჩერქეზებთან არ ვხვდებით. მათ ეპოულობთ ჩეჩნებთან „ტაიპის“ სახელით. ჩეჩნური ტაიპები მეორეხარისხოვან კავშირებად იყოფა. მათი წევრი მამაკაცები „ეოშას“ ძმებად ითვლებიან და მათ შორის ქორწინება მეთორმეტე თაობაშიც კი იკრძალება.

ჩერქეზების მსგავსად, ჩეჩნები სხვა ტაიპში ნაყიდ ქალს ქმრის ოჯახის საკუთრებად თვლიან.

აქედან გამომდინარე, ქმრის სიკვდილის შემდეგ ქვრივი გადადის გარდაცვლილი ძმის ხელში, რომელსაც, სურვილის მიხედვით, შეუძლია იგი ცოლად

შეირთოს, უფლება მისცეს სხვას ეცოლოს, ან საერთოდ აუკრძალოს გათხოვება.

პოტოცკი მოგვითხრობს, რომ მის დროს, ე. ი. XVIII საუკუნის დასასრულს, როცა ყურანის მოძღვრებამ ჯერ კიდევ ვერ შეძლო მთიელთა ჩვეულებების გარდაქმნა, ქვრივი, ქმრის გარდაცვალების შემდეგ, წესისამებრ, მისი ვაჟის ცოლი ხდებოდა. მხოლოდ დედას არ შეეძლო თავისი ვაჟის ცოლობა და გადაეცემოდა მის ბიძას, ანუ გარდაცვლილის ძმას. ეს ჩვეულება პრაქტიკაში ჰქონდა მხოლოდ ერთ ჩეჩნურ ტომს — ინგუშებს. პოტოცკის შენიშვნაზე ამ ჩვეულების უზნეობის შესახებ მისმა მასპინძელმა ინგუშმა თქვა: „მამაჩემი ღამეს დედაჩემთან ატარებდა. მე რატომღა არ შემიძლია მის ცოლთან გავატარო ღამე?“

ჩეჩენი ქალები ქმრის სიცოცხლეშიც იშვიათად არიან მისი ერთგულნი. მოგზაურებისა და რუსი ადმინისტრატორების რწმუნებით, გარყვნილება ჩეჩნური ხასიათის საერთო ნიშანია. ამ თვალსაზრისით, პოტოცკის მონაცემები, რომელიც ერთი რუსი ტყვის მონაყოლის საფუძველზე საუბრობს აღვირახსნილობის შესახებ, რითაც ჩეჩენთა თავყრილობები მთავრდება, ემთხვევა ინგუშთა ადათების ერთ-ერთი შემკრების — ნაგორნის ცნობებს. ზემოთქმულ! შეიძლება დავუმატოთ, გრაბოვსკის თქმით, ინგუშური ხასიათის კიდევ ერთი შტრიხი, რომელიც ზუსტად იმეორებს ჩერქეზთა ყოფაში შენიშნულს: „მშობლები, განსაკუთრებით მამა, შვილების მიმართ გულგრილი არიან. თვითონ ადათი გმობს მშობლიური გრძნობის გამოვლინებას. ინგუშს არათუ ეთაკილება საკუთარი შვილის ხელში აყვანა და მოფერება, არამედ სხვათა თანდასწრებით სახელსაც არ დაუძახებს. ასევე არ არის მიღებული ცოლის სახელით მოხსენიება ან საუბრისას მისი ხსენება“.

ცნობილია, რა როლს ასრულებს მატრიარქატის ბატონობის ხანაში დედის ძმა. ამერიკულ და პოლინეზიურ საზოგადოებებში მას, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მამის ადგილი უკავია. იგივე უნდა ითქვას მალაის და შიდა აფრიკის ტომების მისამართით. ამის გამო გასაგებია, რა მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ინგუშთა ჩვეულებას, რომლის თანახმად, ძმას უფლება აქვს მისი თანხმობის გარეშე განაგოს დის ბედი. საკმარისია ძმამ, ამბობს დუბროვინი, ნადიმის დროს თავისი და ადღეგრძელოს იმ პიროვნებასთან ერთად, რომელსაც მისი ცოლად შერთვა სურს, და მისგან საჩუქარი მიიღოს, რომ და დანიშნულად ითვლება. თუ, მიცემული სიტყვის მიუხედავად, ქალიშვილს არ მიათხოვებენ, ყაქმრო, რომელმაც ძმა დაასაჩუქრა, მას შურის საძიებლად დასდევს. ძმის როლი იესება იმ მოვალეობით, რომელიც მან უნდა შეასრულოს, როცა დისწული (ვაჟი) სრულწლოვანებას მიაღწევს. დისწულს უფლება აქვს ბიძას მოსთხოვოს წესით გათვალისწინებული საჩუქარი, რომელიც „ბარჩის“ სახელით არის ცნობილი, და, ჩვეულებრივ, არის ცხენი. ეს საჩუქარი, რომელიც ნაგორნის მიერ შედგენილ ინგუშური ადათების კრებულში არის მოხსენებული, იმდენად აუცილებელია, რომ დისწულს შეუძლია ბიძას ცხენი ძალით წაართვას, დასტყუოს ან მოჰპაროს კიდეც. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ, როგორც იმავე კრებულიდან ირკვევა, სრულწლოვან ვაჟს აქვს უფლება აიძულოს მამა საერთო ქონებიდან წილი გამოუყოს, თავისთავად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ბარჩის სახით ჩვენს წინაშეა დისწულის მიერ ბიძის ქონებიდან მემკვიდრეობის მიღების უფლება.

გადავდივართ რა კავკასიის ქართველურ ტომებზე, ხევსურების, ფშაველებისა და თუშების თანამედროვე ჩვეულებებში მატრიარქატის არა ერთი

გადმონაშთი შეიძლება დავინახოთ. ხალხის დაყოფა საძმოებად, რომელიც რამდენიმე გვარისაგან შედგება, ქორწინების აკრძალვა არა მარტო ერთი გვარის, არამედ მთელი საძმოს ფარგლებში, ხევსურებთან იმავე ზომით არის წარმოდგენილი, რა ზომითაც დასავლეთი და აღმოსავლეთი კავკასიის ადიღეურ და ჩეჩნურ ტომებში. თუ დავუმატებთ, რომ ხევსურებთან, ისევე როგორც ყველა ხალხთან, რომელიც მატრიარქატის საწყისებს იცავს, დაქორწინების შემდეგ ქმარი ცოლს მთელი წლით და ზოგჯერ ამ ვადის გასვლის შემდეგაც ტოვებს მშობლების ოჯახში, ცოლ-ქმრის თანაცხოვრება ფარულად ხდება და ისინი ერთმანეთს არც უყურებენ და არც ელაპარაკებიან, ყოველ შემთხვევაში ბავშვის დაბადებამდე, მივიღებთ სურათს, რომელიც საკმაოდ ახლოს დგას ჩეჩნებისა და ჩერქეზების წეს-ჩვეულებებთან.

მკაცრი ეგზოგამია და ცოლქმრული ურთიერთობის მალვა არც თუ დიდი ხნის წინათ საქართველოს მთელი გლეხობისთვის იყო დამახასიათებელი. თუ ვინმე გაბედავდა მეზობლისთვის ახალგაზრდა ცოლის ამბავი ეკითხა, შეურაცხყოფის იმედი უნდა ჰქონოდა. ამ მონაცემებს დავუმატოთ კიდევ ერთი დამახასიათებელი დეტალი: დედის ძმა, რომელიც მატრიარქატის პერიოდში იმავე დანიშნულებას ასრულებს, რაც პატრიარქატის დროს მამის მოვალეობაა, ხევსურთა საზოგადოებაში დღემდე ინარჩუნებს პრივილეგირებულ მდგომარეობას. მაგალითად: ქმრის მიერ ცოლის მკვლელობის შემთხვევაში მოკლულის სისხლის საზღაურს ძმა იღებს. მას დისწულის მკვლელობის შემთხვევაშიც აქვს გამოსასყიდის აღების უფლება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იგი მკვლელს დიდი ხნის განმავლობაში არ ურიგდება.

გ. ხუდადოვი ერთ საინტერესო დეტალს შენიშნავს: მკვლელის გვართან შერიგებისას საბოლოო სიტყვის უფლება დედის ძმას ჰქონდა. თუ შერიგება მოხდებოდა, მკვლელის ნათესავები მას ისეთსავე საზღაურს უხდიდნენ, როგორსაც მამის ნათესაობას მთლიანად. ბიძისა და დისწულის მჭიდრო ურთიერთობაზე ისიც მეტყველებს, რომ მამის სიკვდილის შემთხვევაში მეურვედ დედის ძმა ინიშნება.

თუშების ჩვეულებები, რეინეგსის შეფასებით, გასული საუკუნის ბოლოს სავსებით ემთხვეოდა ხევსურებისას.

რაც შეეხება ფშავს და მის ძველ მოსახლეობას — ფხოველებს, რომლებიც ჯერ კიდევ რომის მზედართმთავარ პომპეუსისთვის იყვნენ ცნობილი, ზემოთ დასახელებულ ჩვეულებებს ემატება შემდეგი: მატრიარქატის პირობებში და-ძმის ურთიერთობა განსაკუთრებით მჭიდროა. თუ არ არსებობს ფიზიკური ძმა, მიმართავენ დაძმობილებას. დაძმობილება არის ჩვეულება, რომლის მიხედვით ფშაველი ქალიშვილი უცოლო მამაკაცთაგან ირჩევს „წაწალს“, ანუ ძმად სახელდებულს. წაწალი არათუ მუდამ თან ახლავს დად სახელდებულს, არამედ მშობლების ნებართვით მასთან ერთად სძინავს.

იშვიათად ხელოვნურად დანათესავებული ახალგაზრდების ეს ურთიერთობა შეყვარებულთა ურთიერთობაში გადაიზრდება. იმავეს ვერ ვიტყვით იმ ურთიერთობათა შესახებ, რომლებიც მყარდება თამარ მეფის ვაჟის — ლაშას ყოველწლიურ დღესასწაულებზე. ამ დღესასწაულზე, ამბობს სასლანი, სჩესთა ურთიერთობა თავისუფალზე მეტია. თვით ლაშა, ფშაველების წარმოდგენით, ხან წმინდა გიორგისთან არის გაიგივებული, ხან დიონისეს კულტის წარმომადგენელია.

რელიგიური ჰეტერიზმი, რომლის გამოხატულებას ლაშასადმი მიძღვნილ დღესასწაულზე ვხედებით, თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს ამ დროს

გადმონაშთად, როდესაც მუდმივი ქორწინების არარსებობის გამო სქესთა ურთიერთობა ეგზოგამიური მოთხოვნების მკაცრ დაცვასთან ერთად ღებულობდა დროებითი და თავისუფალი კავშირის სახეს. ეგზოგამიური მოთხოვნები ფშავში იმდენად შორს მიდის, რომ იკრძალება უცხო გვარის ქალიშვილებზე ქორწინება, თუ საპატარძლოს დედა საქმროს გვარის წარმომადგენელი აღმოჩნდება. ამ წესით საცნაური ხდება დედის მხრიდან ნათესაობის უპირატესი მნიშვნელობა და ის თანაფარდობა, რომელიც ეგზოგამიასა და მატრიარქატს შორის არსებობს. რათა წინ აღუდგნენ ე. წ. დებისა და ძმების სისხლის აღრევას, არ რჩება სხვა გამოსავალი, გარდა კოგნატების ქორწინების აკრძალვისა, თუნდაც ისინი სხვადასხვა აგნატურ გვარებს ეკუთვნოდნენ.

ამიტომ ეგზოგამიის უძველეს ფორმად უნდა მივიჩნიოთ არა აგნატური, არამედ კოგნატური გვარების ეგზოგამია. ფშავლების ზემოხსენებულმა ჩვეულებამ ეგზოგამიის სწორედ ეს უძველესი ფორმა შემოინახა.

ქორწინება უცხო გვარის წარმომადგენლებზე, ცოლქმრული ურთიერთობისთვის საიდუმლო ხასიათის მინიჭება, ათალიკობის ჩვეულება — დედის უფლების ყველა ის ნიშანი, რომელიც ადიღეური და ჩეჩნური ტომების ყოფიდან არის ცნობილი, გვხვდება ოსთა შორისაც, რომლებიც კავკასიაში ყველაზე გავრცელებულ არიულ ტომს წარმოადგენენ.

ის გარემოება, რომ მატრიარქატის დროს ცოლი მხოლოდ თავის ქმარს კი არ ეკუთვნოდა, არამედ ნათესავთა მთელ ჯგუფს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო მის ყიდვაში, დღესაც ცოცხლობს ოსეთში გავრცელებული რძლობის, მაზლობისა და ლევირატის ჩვეულებებში.

ოჯახის უფროსი ყიდულობს საცოლეს თავისი მცირეწლოვანი ვაჟისთვის, კავშირს ამყარებს მასთან და თანაცხოვრების შედეგად ნაშობი ბავშვები მცირეწლოვანი მამის შვილებად ითვლებიან. ძველად, თუ ქმარს არ სურდა ან არ შეეძლო ცოლქმრული ურთიერთობის დამყარება, უფლება ჰქონდა შემცველი მოეძებნა თუ პირველი არა, მეორეხარისხოვანი ცოლებისთვის. ქმრის მიერ ნებადართული კავშირის შედეგად გაჩენილი შვილები მის საკუთარ შვილებად იყვნენ მიჩნეული. ქმრის სიკვდილის შემდეგ ოსი ქვრივი ახლაც ხდება გარდაცვლილის უფროსი ძმის ცოლი, ხოლო მისგან ნაშობი ბავშვები გარდაცვლილის შვილებად ითვლებიან. თუ გარდაცვლილს არ ჰყავდა ძმები ან ვაჟიშვილები, მის ქვრივს უფლება ეძლეოდა სახლში მოეყვანა საყვარელი და მისი ვაჟი, რომელსაც „ძაგალზატს“ ეძახდნენ, ღებულობდა კანონიერი შვილის ყველა უფლებას.

დასახელებული ფაქტები ერთხმად მიუთითებენ, რომ ოსების ოდინდელი კანონებით ოჯახის წევრობას ერთი დედისაგან წარმოშობა განაპირობებდა. ისინი უნდა შეივსოს მოვალეობით, რომელსაც დედის ძმა ასრულებდა ქორწილში. დისწულების გათხოვებისას ის ღებულობდა საგანგებო საჩუქარს, რომელიც ცნობილი იყო სახელწოდებით „მადი არვადი ბახ“, რაც ნიშნავს „დედის ძმის ცხენი“. დიგორში პატარძლის მამა მოვალე იყო, შემოსული თანხიდან მის სასარგებლოდ გამოეყო გარკვეული საზღაური, ჩვეულებრივ, ორი ხარის საფასურის ოდენობით.

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმული უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ოსთა შორისაც მატრიარქატი უსწრებდა პატრიარქატისა და აგნატური ნათესაობის განვითარებას.

თუ მხედველობაში მივიღებთ ყველა აღნიშნულ მონაცემს, კერძოდ: ტომის დაყოფას ეგზოგამიურ, ძმურ ჯგუფებად; ამ ჯგუფების ყოველი წევრის

უფლებას უცხო გვარისა და უცხო საძმოებიდან შეძენილ ქალებზე; მჭიდრო ურთიერთობის არარსებობას, ერთი მხრით, მეუღლეთა და, მეორე მხრით, შვილებსა და შვილებს შორის; მოზარდი თაობის აღზრდას უცხო ოჯახებში; გათხოვილი ქალების მამის ოჯახში წლობით ცხოვრებას, ცოლ-ქმრის ფარულ ურთიერთობას და, ბოლოს, იმ როლს, რომელსაც მთიელთა შორის ასრულებს ბიძისა და დისწულების ურთიერთობა, საარაკოდ სრულიადაც არ მოგვეჩვენება სტრაბონისა და სხვა მწერლების მონათხრობი კავკასიაში ჩერქეზების აღმოსავლეთით მცხოვრები მეომარი ქალების, ანუ ამორძალების, შესახებ. ცხადია, ამ ძველი ლეგენდის ყველა წვრილმანი არ არის გასაზიარებელი. სავსებით დასაშვებია, რომ ამორძალები არ იწვავდნენ მარჯვენა მკერდს და გაზაფხულის ორი თვით არ ზღუდავდნენ სქესობრივ ურთიერთობას მეზობელ გარგარიანებთან მათ შუაგამყოფ მთაზე, მაგრამ ზოგი რამ მათი ყოფიდან თანხვდება კავკასიელი ტომების ახლახან აღწერილ ჩვეულებებს: ერთობლივი მსხვერპლშეწირვა, რომელსაც თან ახლავს სქესთა თანაცხოვრება ღამის იდუმალებაში, მოგვაგონებს რელიგიური ჰეტერიზმის გამოვლინებას ლაშას პატივსაცემად გამართულ ყოველწლიურ დღესასწაულებზე, ამორძალებისა და მათი რჩეულების — დროებითი საყვარლების ცალ-ცალკე ცხოვრება მოგვაგონებს ხევსურთა ჩვეულებას, ქორწინების პირველი წელი ქალმა დედის სახლში გაატაროს.

ამორძალებისა და გარგარიანელების თანაცხოვრების შედეგად შობილი გოგონებისა და ბიჭების დაცალკევება, ბიჭების მამისთვის, ხოლო გოგონების დედისთვის მიკუთვნება თავისებური ფორმით მიუთითებს წარსულში არსებული ისეთივე მკაცრი აკრძალვების შესახებ, რომლებიც ჩერქეზთა შორის ჩვენს დროშიც არსებობს ერთი და იმავე ეგზოგამიური კავშირის წევრი „ძმებისა და დების“ ქორწინებათა შესახებ.

ზემოთქმულის გამო უჩვეულოდ არ მიმაჩნია რეინეგსის მიერ მოწოდებული ფაქტი, რომ თქმულება ამორძალების შესახებ ჩერქეზთა შორის ჯერ კიდევ მის დროს იყო მოარული, თუმცა ძველი მწერლებისაგან რამდენადმე განსხვავებული სახით.

ჩერქეზი ქალების დამოუკიდებლობა და თავისუფლება, მათი მზადყოფნა, მხარში ედგნენ მეუღლეს შრომასა და საფრთხეში, აიძულებდა მთიელებს ნდობით მოპყრობოდნენ ლეგენდებს, სადაც ქალები უფრო მეტი უფლებებით სარგებლობენ, ვიდრე დღეს. ჩერქეზები რეინეგსს უამბობდნენ მეომარი ქალწულების შესახებ, რომლებსაც „ემეჩებს“ უწოდებდნენ, რაც სიტყვასიტყვიო ქალისაგან წარმოშობილს ნიშნავს. ეს არის საგანგებოდ აღსანიშნი დეტალი, რადგანაც მასში ჩანს კავშირი ჩერქეზულ ამორძალობასა და მატრიარქატს შორის.

ლეგენდის მიხედვით, ჩერქეზებთან ომის დროს ამორძალებმა მათთან მოლაპარაკება გადაწყვიტეს. ამორძალების წინამძღოლმა რამდენიმე საათი დაყო ჩერქეზთა მხედართმთავრის თავად ტულმეს კარავში, საიდანაც გამოვიდა მტკიცე გადაწყვეტილებით: მტრობა უნდა შეწყდეს. მან გამოუცხადა ლაშქარს, რომ დებს ზავს და ცოლად მიჰყვება ყოფილ მოწინააღმდეგეს. მან თავის მეგობრებსაც ურჩია, მტრობა ჰიმენეის ბორკილებით შეეცვალათ. მისი რჩევა მიღებულ იქნა და ამორძალებმა ჩერქეზებზე იქორწინეს.

აი, რა სახით შემოინახეს მთიელებმა ხსოვნა მატრიარქატის კანონების საბოლოო მსხვრევის შესახებ. ცხადია, ამ ლეგენდაში ისევე ძნელია დავინახოთ მითითება კონკრეტულ ისტორიულ ფაქტზე, როგორც ათინთა თქმულე-

ბაში კეკროპსის შესახებ, რომელსაც ქორწინების დაკანონება მიეწერება. იგი ჩვენთვის იმით არის ფასეული, რომ ნათელყოფს კავკასიის მთიელთა წარმოდგენას ქმრისა და მამის ძალაუფლების შესახებ: იგი არ არის ოდინდელი; ზოგიერთ საზოგადოებაში უცნობია სისხლის სხვა ფილაცია გარდა იმისა, რომელს წყარო არის დედა; არამონათესავე, მკაცრად ეგზოგამიური ჯგუფების წევრი ქალისა და მამაკაცის დროებითი კავშირი წინ უსწრებდა ოჯახის წარმოშობას და ახალ წესრიგზე გადასვლა მოხდა მუდმივი თანაცხოვრების დაფუძ-ვნით, ანუ ქორწინებით.

ჩვენს თვალსაზრისს ოდესღაც კავკასიაში მატრიარქატის არსებობის შესახებ არ ეწინააღმდეგება ძველი მწერლების უკიდურესად ბუნდოვანი ცნობები ლოშისებისა და ტიბარენების, ანუ „ალოშკებისა“ და „თოვლის მცხოვრებთა“ შესახებ, რომელთაც პომპენიუს მელა მიაკუთვნებს ტერიტორიას შავი ზღვის აღმოსავლეთით, მდინარეების მტკვრისა და ჭოროხის ზემო წელში. პომპონიუსის ცნობა, რომ ლოშისებს „ყველას ერთად, განურჩევლად ღია ცის ქვეშ ეძინათ“, ბუნდოვანების მიუხედავად, მიუთითებს კომუნალური ქორწინების არსებობაზე, ე. ი. ქალების ურთიერთობაზე ერთი და იმავე ჯგუფის ან საძმოს წევრ მამაკაცებთან. ხოლო ტიბარენთა შორის ფართოდ გავრცელებული ჩვეულება „კუვადა“ იმაში მდგომარეობს, რომ ცოლის მშობიარობისას ქმარი წვება საწოლში და ახდენს შობის აქტის სიმულირებას, რაც მიუთითებს, რომ მათ წრეში ის იყო ისახებოდა მამის ძალაუფლება. ეს ჩვეულება, რომლის ფართოდ გავრცელების შესახებ ჯერ კიდევ მაკლენანი მიუთითა, ჩერნოგორიისა და სმოლენსკის ოლქის გლეხობაშიც დადასტურდა. იგი იმით არის საინტერესო, რომ ლაპარაკობს სიმბოლური ქმედებების აუცილებლობაზე მამის უფლებების მოსაპოვებლად. ეს გარემოება ნათელყოფს, რომ თავდაპირველად არ არსებობდა მამის ძალაუფლება და მისი მოპოვება მოხდა დროთა განმავლობაში იმ ნიმუშის საფუძველზე, რომლის პრიორიტეტი მხოლოდ დედას ეკუთვნოდა ბავშვის ფიზიკურად შობის ძალით.

თუ, დასასრულ, დავსვამთ კითხვას, რა წარმოდგენას გვიქმნის მატრიარქატის შესახებ კავკასიური ეთნოგრაფიის მონაცემები, იძულებული გავხდებით ვაღიაროთ, რომ ეს მონაცემები არ უპერს მხარს არც ბაჰოფენის მოძღვრებას ოდესღაც ქალთა ძალაუფლების არსებობის შესახებ, არც სპენოფის თვალსაზრისს თავდაპირველად სქესობრივი ინსტინქტების შეუკავებლობის შესახებ. ძალაუფლება დედის გვარში თავმოყრილი იყო არა ქალის, არამედ მამაკაცი კოგნატების — ბიძისა და ძმის ხელში. ისინი იკავებენ ზოგჯერ უცნობი, უფრო ხშირად კი არარსებული მამის ადგილს; შურს იძიებენ დისწულისთვის მიყენებული წყენისა თუ ზიანის გამო; ასრულებენ მეურვეებისა და მზრუნველების ზოგიერთ ბოლეობას და სრულწლოვანების მიღწევისას აძლევენ წილს თავისი ქონებიდან. თავის მხრით, დისწულებსა და მათს შვილებს ეავალებათ დაემორჩილონ ბიძას დედის მხრიდან და შური იძიონ მისთვის, რა თქმა უნდა, თუ ეს საჭირო იქნება. ტაციტუსის სიტყვები იმ პატივის შესახებ, რომელსაც ძველი გერმანული საზოგადოება მიაგებდა პაპას დედის მხრიდან, ახალ ილუსტრაციას პოულობს კავკასიაში. მეორე მხრით, ძნელია უწესრიგო სქესობრივ თანაცხოვრებად მონათლო ეგზოგამიის საწყისების მკაცრი დაცვა, რომლის დროსაც ერთი და იმავე საძმოს წევრები მოკლებული არიან ურთიერთმეუღლეობის უფლებას. ტერმინები: პოლიგამია, პოლიანდრია და მონოგამია ნაკლებად მიესადაგება კავკასიის საქორწინო წესებს. განხილული ფაქტების საფუძველზე საქმე გვაქვს ხქესთა ურთიერთობის სახესთან, რომელსაც ჯერ მორგანმა და

შემდეგ ფიზონმა უწოდეს „ქორწინება ჯგუფების მიხედვით“. ასეთი ქორწინება აუცილებლად ვარაუდობს ეგზოგამიურ აკრძალვებს და გაუთხოვარი ქალიშვილების მიერ ზნეობრიობის მკაცრ დაცვას, რომელიც ადვილად იგუებს გათხოვილი ქალების სქესობრივ თავისუფლებას, იკრძალება თანაცხოვრება სხვა გვარის წევრებთან, გარდა იმ გვარისა, რომელშიც ქალი შევიდა მოტაცების ან ყიდვის გამო. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ სტუმრის მიმართ, რადგანაც იგი ითვლება იმ ოჯახისა და გვარის დროებით წევრად, რომელმაც შეიფარა. ამასთან, მასპინძელი ინარჩუნებს მემკვიდრეობის უფლებას იმ ქონებაზე, რომელიც სტუმარს თან აქვს. მასვე შეუძლია მიიღოს საზღაური სტუმრის მკვლელობის შემთხვევაში. შესაბამისად, ჩვეულება სტუმარს ანიჭებს „ნათესავისა“ და „ძმის“ ყველა უფლებას.

ე. დიურკჰეიმი

დიურკჰეიმი ემილ (1858—1917) — ფრანგი ფილოსოფოსი, პედაგოგი და სოციოლოგი, ეთნოლოგიაში ფრანგული სოციოლოგიური სკოლის დამაარსებელი.

ე. დიურკჰეიმი დაიბადა 1858 წლის 15 აპრილს ჩრდილო-აღმოსავლეთ საფრანგეთის ქ. ეპინალში, შთამომავლობითი რაბინის საშუალო შეძლების ოჯახში. ბავშვობიდან მას რაბინად ამზადებდნენ და ამ მიზნით სწავლობდა ძველებრაულ ენას, ძველ აღთქმას და თალმუდს. მაგრამ იგი მალე დაშორდა ოჯახურ ტრადიციას, რაშიც, როგორც მისი ბიოგრაფები თვლიან, გარკვეული როლი შეასრულა მისმა სკოლის მასწავლებელმა კათოლიკე ქალმა. მართალია, ამის გამო ე. დიურკჰეიმი კათოლიკე არ გამხდარა, მაგრამ იგი არც ათეისტად არ ჩამოყალიბებულა. მთელი ცხოვრება ე. დიურკჰეიმი დარჩა აგნოსტიკოსად — თავის მოძღვრებად მან დაისახა მეცნიერება, კერძოდ, სოციალური მეცნიერება.

ორი წარუმატებელი ცდის შემდეგ, 1879 წელს 21 წლის ე. დიურკჰეიმი ჩაირიცხა პარიზის უმაღლეს ნორმალურ სკოლაში (L' Ecole normall). ამ დროს მასთან ერთად აქ სწავლობდნენ შემდეგში ცნობილი ფილოსოფოსი ანრი ბერგსონი და საფრანგეთის სოციალური მოძრაობის ბელადი ჟან ჟორესი. ე. დიურკჰეიმი ამ უკანასკნელთან მეგობრობდა კიდეც.

პარიზის ნორმალურ სკოლაში მის დროს ასწავლიდნენ ცნობილი ისტორიკოსი ფიუსტელ დე კულანჟი და ფილოსოფოსი ემილ ბუტრუ, რომელთაც გავლენა იქონიეს ე. დიურკჰეიმის შეხედულებების ჩამოყალიბებაზე.

1882 წელს ე. დიურკჰეიმმა დაამთავრა ნორმალური სკოლა და დაიწყო ფილოსოფიის სწავლება პროვინციულ ლიცეუმში. 1885—1886 წლებში სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა გერმანიაში, სადაც სწავლობდა ფილოსოფიისა და სოციალური მეცნიერების მდგომარეობას. აქ იგი გაეცნო გამოჩენილ ფსიქოლოგსა და ფილოსოფოსს ვ. ვუნდტს — მსოფლიოში პირველი ექსპერიმენტული ლაბორატორიის შემქმნელს, რომელმაც ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ე. დიურკჰეიმზე.

1887 წელს ე. დიურკჰეიმი დაინიშნა „სოციალური მეცნიერებისა და პედაგოგიკის" მასწავლებლად ბორდოს უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. იქვე 1896 წელს იგი სათავეში ჩაუდგა „სოციალურ მეცნიერებათა" კათედრას, რომელიც ფაქტობრივად პირველი სოციოლოგიური კათედრა იყო საფრანგეთში. 1898 წლიდან ე. დიურკჰეიმი ხელმძღვანელობდა ჟურნალ „სოციოლოგიური წელიწდეულის" გამოცემას, რომლის 12 ტომიც გამოვიდა 1913 წლამდე. სწორედ ამ ჟურნალის გარშემო შეიკრიბა თანამშრომელთა ჯგუფი, რომელთაც შექმნეს დიურკჰეიმის იდეებით გამსჭვალული ფრანგული სოციოლოგიური სკოლა.

1902 წლიდან ე. დიურკჰეიმი ლექციების კითხვას შეუდგა სორბონაში, სადაც სათავეში ჩაუდგა აღზრდის შესახებ მეცნიერებისა და სოციოლოგიის კათედრას. იგი იყო შესანიშნავი ორატორი, კარგი ლექტორი, რომელიც დაძაბულ პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა — მრავალი მისი ხელნაწერი ნაშრომი სწორედ სალექციო კურსების შედეგადაა შექმნილი.

პირველმა მსოფლიო ომმა მძიმე დარტყმა მიაყენა ფრანგულ სოციოლოგიურ სკოლას და ეჭვქვეშ დააყენა თვითონ დიურკჰეიმის თეორიის ოპტიმისტური პათოსი. მისი სკოლის რამდენიმე გამოჩენილი მოღვაწე ომის ფრონტზე დაიღუპა და მათ შორის მისი შვილი ანდრეც — ბრწყინვალე ახალგაზრდა ლინგვისტი და სოციოლოგი, რომელშიც მამა ხედავდა თავისი საქმის გამგრძელებელს. შვილის დაღუპვამ ძალზე იმოქმედა მამაზე და 1917 წლის 15 ნოემბერს 59 წლის ე. დიურკჰეიმი თვითონაც გარდაიცვალა. ასე რომ, მრავალი ჩანფიქრი განუხორციელებელი დარჩა. დაკრძალულია ე. დიურკჰეიმი ფონტენბლოში, პარიზის ახლოს.

ე. დიურკჰეიმის უმთავრესი სამეცნიერო ნაშრომები შეიქმნა XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის I ათეულში. მათ დიდი გავლენა მოახდინეს იმ დროის მეცნიერულ შეხედულებებზე საზოგადოების განვითარების შესახებ. ე. დიურკჰეიმის ძირითადი ნაშრომებია: „საზოგადოებრივი შრომის დანაწილების შესახებ“ (1893), „სოციოლოგიის მეთოდი“ (1895), „თვითმკვლელობა“ (1897), „რელიგიური ცხოვრების ელემენტარული ფორმები“ (1912) და სხვ.

ქრესტომათიაში წარმოდგენილია ორი ნაწყვეტი ე. დიურკჰეიმის ცნობილი შრომისა „სოციოლოგიური მეთოდის წესები“, ან შემოკლებით, „სოციოლოგიის მეთოდი“. ეს მისი ერთ-ერთი ცნობილი და ძირითადი სამეცნიერო ნაშრომია, რომელიც საფრანგეთში სამჯერ გამოიცა (ორჯერ ავტორის სიცოცხლეში) და ასევე რამდენჯერმე სხვადასხვა ენაზე სხვადასხვა ქვეყანაში (მათ შორის ორჯერ რუსეთში რუსულად). პირველი ნაწყვეტის სათაურია: „რა არის სოციალური ფაქტი?“, ხოლო მეორე წარმოადგენს წიგნის საერთო დასკვნას. ამ ნაწყვეტებში ყველაზე მკაფიოდ და ამავე დროს ხელმისაწვდომად არის წარმოდგენილი ავტორის შეხედულებები მეცნიერებაში მის მიერ ჩამოყალიბებულ სოციოლოგიურ მეთოდზე.

ბიბლიოგრაფია

1) Э. Дюркгейм, О разделении общественного труда, Одесса, 1900, II გამოცემა, М., 1991.
2) Э. Дюркгейм, Правила социологического метода, Киев-Харьков, 1899, II გამოცემა, М., 1991.
3) Э. Дюркгейм, Самоубийство, СПБ., 1912.

ლიტერატურა

1) М. Туровский, Дюркгейм, Философская энциклопедия, т. 2, М., 1962, с. 99—100.
2) С. А. Токарев, История зарубежной этнографии, М., 1987, с. 206—219.
3) А. Б. Гофман, О социологии Эмиля Дюркгейма, წიგნში: Э. Дюркгейм, О разделении труда. Метод социологии, М., «Наука», 1991, გვ. 533—535.
4) Хрестоматия по истории психологии, М., 1980, გვ. 211.
5) ს. ჭანტურიშვილი, ეთნოლოგია, თბ., 1993, გვ. 143—145.

რა არის სოციალური ფაქტი*

ვიდრე მოვეძებნიდეთ მეთოდს, რომელიც სოციალური ფაქტების შესასწავლად გამოგვადგება, მნიშვნელოვანია გავიგოთ, რას წარმოადგენს თვით ეს ფაქტები.

საკითხის მნიშვნელობას აძლიერებს ის, რომ ხსენებული ტერმინი ჩვეულებრივად არცთუ მთლად ზუსტად გამოიყენება.

ამ ტერმინით ხშირად აღნიშნავენ საზოგადოებაში მიმდინარე თითქმის ყველა მოვლენას, რომელნიც ასე თუ ისე ზოგად სოციალურ ინტერესს იწვევენ. მაგრამ ასეთი გაგების შემთხვევაში, ასე ვთქვათ, არ არსებობს ისეთი ადამიანური მოვლენა, რომელსაც არ შეიძლება ეწოდოს სოციალური. ყოველი ინდივიდი ჭამს, სძინავს, სვამს, მსჯელობს და საზოგადოება ძალზე დაინტერესებულია, რომ ყველა ეს ფუნქცია რეგულარულად სრულდებოდეს.

ყველა ეს ფაქტი სოციალური რომ ყოფილიყო, სოციოლოგიას არ ექნებოდა საკუთარი საგანი და მისი სფერო ბიოლოგიისა და ფსიქოლოგიის სფეროებს შეერწყმოდა. მაგრამ სინამდვილეში ყოველგვარ საზოგადოებაში არსებობს მოვლენათა გარკვეული ჯგუფი, რომელიც მკვეთრად გამოკვეთილი თვისებებით განსხვავდება იმ მოვლენებისაგან, რომელთაც სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი სწავლობენ. როდესაც მე ვმოქმედებ როგორც ძმა, მეუღლე, მოქალაქე, როდესაც მე ვასრულებ მოვალეობას, რომელიც ჩემ და ჩემი მოქმედებების გარეშეა განსაზღვრული სამართლითა და ჩვეულებებით, მაშინაც კი, როდესაც ისინი ეთანხმებიან ჩემს საუკეთესო გრძნობებს და როდესაც მე შინაგანად ვაღიარებ მათ რეალობას, ეს უკანასკნელი მაინც ობიექტურად რჩება, რადგანაც ისინი მე კი არ შემიქმნია, არამედ აღზრდის მეშვეობით შევითვისე.

როგორც ხშირად ხდება, ასეთ შემთხვევებში, ჩვენთვის უცნობია ჩვენზე დაკისრებული მოვალეობანი და მათ გასაგებად იძულებული ვართ, მივმართოთ კოდექსს და მის განმარტებლებს. ზუსტად ასევე, მორწმუნეს დაბადებისთანავე განსაზღვრული ხვდება თავისი რელიგიური რწმენა და ჩვეულებანი და თუკი ისინი მანამდე არსებობდნენ, ე. ი. საერთოდ არსებობენ მის გარეშე. ნიშანთა სისტემა, რომლითაც მე ვსარგებლობ ჩემი აზრების გამოსახატავად, ფულადი სისტემა, რომელსაც ვიყენებ ვალების გადასახდელად, კრედიტის საშუალებანი, რომელიც ჩემს კომერციულ ურთიერთობებს ემსახურება, ჩემი პროფესიული ჩვევები და ა. შ. ფუნქციობენ იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორ ვიყენებ მე მათ. ყოველივე თქმული შეიძლება გავიმეოროთ სათითაოდ საზოგადოების ყველა წევრისათვის. აქედან გამომდინარე, აზროვნების, მოქმედებისა

---

* წყაროდან: Э. Дюркгейм, Правила социологического метода, М., 1991, с. 411—421.

და შეგრძნებების ეს საშუალებანი გამოირჩევიან იმ თვისებით, რომ ისინი ინ-დივიდუალური ცნობიერების გარეშე არსებობენ და არა მარტო იმყოფე-ბიან ინდივიდის გარეთ, არამედ აღჭურვილნი არიან იძულების ძალით, რის გამოც მათ თავს ახვევენ ინდივიდს მისი სურვილის მიუხედავად. რასაკვირვე-ლია, როდესაც მე საკუთარი სურვილით ვესადაგები მათ, ეს იძულება ზედმე-ტი ხდება და ძალზე მცირედ ან თითქმის არ იგრძნობა. მიუხედავად ამისა, იგი ამ ფაქტების დამახასიათებელი თვისებაა და ეს დასტურდება იმით, რომ ჩემი წინააღმდეგობის მცდელობისთანავე თავს იჩენს. თუ მე ვცდილობ, დავარღვიო საზოგადოებრივი ნორმები, ისინი მაშინვე რეაგირებენ ჩემ წინააღმდეგ და თუკი კიდევ დარჩენილია დრო, წინ აღუდგებიან ჩემს მოქმედებას ან ანადგურებენ და აღადგენენ მათ ნორმალური ფორმით, თუკი ეს უკვე მომხდარია და შეიძლება მისი გამოსწორება, ანდა საბოლოოდ მაიძულებენ, მოვინანიო ეს მოქმედება, თუკი უკვე არაფრის გამოსწორება აღარ შეიძლება. ითქმის თუ არა იგივე წმინდა ზნეობრივი ნორმების მიმართ?

საზოგადოებრივი სინდისი ზღუდავს მოქალაქეებს მათი შეურაცხმყოფე-ლი ყოველგვარი მოქმედებისაგან მათსავე საქციელზე განსაკუთრებული ზედა-მხედველობისა და დასჯის საშუალებათა მეშვეობით, რომელთაც იგი ფლობს. სხვა შემთხვევებში იძულება შედარებით სუსტია, მაგრამ მაინც არსებობს. თუ მე დამცინებენ და გამრიყავენ იმის გამო, რომ არ ვემორჩილები საზოგადოე-ბის მოთხოვნებს და რაცმისას მხედველობაში არ ვიღებ ჩემი ქვეყნისა და კლასის ჩვეულებებს, ეს, მართალია, უფრო სუსტად, მაგრამ ისევე მოქმედებს როგორც დასჯა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. წინააღმდეგ შემთხვევაში ვიღებთ იძულებას, თუმცა არაპირდაპირს, მაგრამ მაინც მოქმედს. მე არა ვარ ვალდებული, ფრანგულად ველაპარაკო ჩემს თანამემამულეებს ან გამოვიყენო დაწესებული ვალუტა, მაგრამ მე არ შემიძლია სხვაგვარად მოვიქცე; თუ მე შეეცდებოდი თავის დაღწევას ამ აუცილებლობისაგან, ჩემი ცდა მარცხით დამთავრდებოდა.

თუ მე მრეწველი ვარ, ვერავინ დამიშლის ვიმუშაო გასული საუკუნის მე-თოდებითა და საშუალებებით, მაგრამ თუ ამას გავაკეთებ, ალბათ, გავკოტ-რდები; თუ მე შევძლებ ფაქტობრივად გავთავისუფლდე ამ წესებისაგან და დავარღვიო ისინი, ამას მხოლოდ მათთან ბრძოლის შემდეგ მოვახერხებ. თუკი, ბოლოს და ბოლოს, ისინი დამარცხდებიან, მათი იძულების ძალა მაინც იგრ-ძნობა მათ მიერ გაწეულ წინააღმდეგობაში. არ არსებობს ისეთი ნოვატორი, იღბლიანიც კი, რომელიც არ შეჯახებია ამგვარი სახის ოპოზიციას.

ამგვარად, ასეთია იმ ფაქტების კატეგორია, რომლებიც ძალზე სპეციფი-კური თვისებებით გამოირჩევიან. იგი შედგება ინდივიდის გარეთ მყოფი აზ-როვნების, მოქმედებისა და შეგრძნების საშუალებათაგან, რომლებიც აღჭურ-ვილნი არიან იძულების ძალით, რისი მეშვეობითაც მათი ინდივიდისათვის თავს მოხვევა ხდება. ამიტომ არ შეიძლება მათი არც ორგანულ მოვლენებში არევა, რამდენადაც ისინი წარმოდგენებისა და მოქმედებისაგან შედგებიან და არც ფსიქიკურში, რომლებიც არსებობენ მხოლოდ ინდივიდუალურ ცნობიერებაში და მისი მეშვეობით. ამდენად ისინი წარმოადგენენ ახალ სახეობას და სწორედ მათ შეიძლება ეწოდოთ სოციალური. ეს სახელწოდება მათ სავსებით მიესა-დაგება, რამდენადაც ნათელია, რომ თუ მათი სუბსტრატი ინდივიდი არაა, მათ არ შეიძლება გააჩნდეთ სხვა სუბსტრატი, გარდა საზოგადოებისა, იქნება ეს პოლიტიკური საზოგადოება მთლიანობაში, თუ მისი შემადგენელი ცალკე-ული ჯგუფები: რელიგიური გაერთიანებები, პოლიტიკური და ლიტერატურუ-

ლი სკოლები, პროფესიული კორპორაციები და ა. შ. მეორე მხრივ, იგი გამოსაყენებელია მხოლოდ მათ მიმართ, რადგან სიტყვა „სოციალურს“ გარკვეული აზრი მხოლოდ მაშინ გააჩნია, როდესაც იგი აღნიშნავს განსაკუთრებულ მოვლენას, რომელიც არ შედის უკვე განსაზღვრული და სავალდებულო ფაქტების არც ერთ კატეგორიაში; ამდენად სწორედ ისინი შეადგენენ, კერძოდ, სოციოლოგიის სფეროს. მართალია, სიტყვამ — „იძულება“, რომლის მეშვეობითაც ჩვენ მათ განვსაზღვრავთ, შეიძლება შეაშფოთოს აბსოლუტური ინდივიდუალიზმის მგზნებარე მომხრეები, რადგან ისინი ინდივიდს სრულიად ავტონომიურად აღიარებენ და ყველა შემთხვევაში ეჩვენებათ, როდესაც მას ავგრძნობინებენ, რომ მხოლოდ საკუთარ თავზე არ არის დამოკიდებული, ამცირებენ, მაგრამ რამდენადაც ახლა უკვე უეჭველია, რომ ჩვენი იდეებისა და მისწრაფებების უმრავლესობა ჩვენ მიერ კი არაა შემუშავებული, არამედ გარედან მოგვეწოდება, მათი შემოღწევა ჩვენში შეიძლება მხოლოდ მათივე აღიარების შემთხვევაში. აი ყველაფერი ის, რასაც გამოხატავს ჩვენი განსაზღვრება. გარდა ამისა, ცნობილია, რომ სოციალური იძულება აუცილებლად არ გამორიცხავს ინდივიდუალურობას[1].

მაგრამ, რამდენადაც ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითები (იურიდიული და ზნეობრივი ნორმები, რელიგიური დოგმები, ფინანსური სისტემები და ა. შ.) ყველა უკვე ჩამოყალიბებული ადათებისა და რწმენებისაგან შედგება, ნათქვამის საფუძველზე შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ სოციალური ფაქტი შეიძლება იყოს მხოლოდ იქ, სადაც არის განსაზღვრული ორგანიზაცია. მაგრამ არსებობს სხვა ფაქტებიც, რომლებიც თუმცა არ წარმოადგენენ ასეთ დაკრისტალებულ ფორმებს, იგივე ობიექტურობა და ინდივიდზე ზემოქმედების უნარი გააჩნიათ. ესაა ე. წ. სოციალური ნაკადები.

ასე მაგალითად, მრავალრიცხოვან შეკრებებზე აღმოცენებული ენთუზიაზმის, აღშფოთების, თანაგრძნობის დიადი მოძრაობანი არ იბადებიან ცალკეულ ცნობიერებაში. ისინი თითოეულ ჩვენგანთან გარედან მოდიან და შეუძლიათ გაგვიტაცონ ჩვენივე ნების საწინააღმდეგოდ. რა თქმა უნდა, შეიძლება, თუკი ძალიან მივენდობი მათ, აღარ ვიგრძნობ დაწოლას, რომელსაც ისინი ჩემზე ახდენენ, მაგრამ იგი მაშინვე მეღავნდება, თუკი შეეცდები შევეწინააღმდეგო. თუ რომელიმე ინდივიდი შეეცდება შეებრძოლოს რომელიმე ამ კოლექტიურ მანიფესტაციას, მაშინვე მისგან უარყოფილი გრძნობები მისსავე საწინააღმდეგოდ შემობრუნდებიან. თუკი გარეგანი იძულების ეს ძალა ასე მკაფიოდ მეღავნდება წინააღმდეგობის შემთხვევაში, ე. ი. ის არსებობს, თუმცა შეუცნობლად, საპირისპირო შემთხვევაშიც. ამგვარად, ჩვენ მსხვერპლი ვართ ილუზიისა, რომელიც გვაიძულებს დავიჯეროთ, რომ შეეგმენით ის, რაც სინამდვილეში გარედანაა თავსმოხვეული. მაგრამ თუმცა მზადყოფნა, რომლითაც ჩვენ ვვარდებით ამ ილუზიაში, ნიღბავს განცდილ დაწოლას, იგი არ სპობს მას. მაგ., ჰაერს მაინც გააჩნია წონა, თუმცა ჩვენ ვერ ვგრძნობთ მას. მაშინაც კი, თუ ჩვენ ჩვენი მხრიდან ხელი შევუწყვეთ საერთო გრძნობის აღმოცენებას, ჩვენ მიერ მიღებული შთაბეჭდილება უფრო სხვაგვარი იქნება, ვიდრე იმ შემთხვევაში განვიცდიდით, მარტონი რომ ვყოფილიყავით. ამიტომ, როდესაც თავყრილობა დაიშლება, ეს სოციალური მოვლენები შეწყვეტენ ჩვენზე ზემოქმედებას და ჩვენ მარტო დავრჩებით საკუთარ თავთან, ჩვენ მიერ

---

1 ეს არ ნიშნავს, რომ ყოველგვარი ძალდატანება ნორმალურია. ჩვენ ამას შემდგომში ვიტყვიდით.

განცდილი გრძნობები უცხოდ მოგვეჩვენება, მათში საკუთარ თავს ვერ ვიცნობთ. მაშინ შევამჩნევთ, რომ ჩვენ ისინი უფრო მეტად განვიცადეთ, ვიდრე შევქმენით. ისეც ხდება, რომ ისინი ჩვენში საშინელების განცდას იწვევენ, ისევნად უცხო არიან ჩვენი ბუნებისათვის. ასე მაგალითად, ჩვეულებრივ პირობებში სრულიად უვნებელი ინდივიდი, ბრბოში ჩართული შეიძლება გადაიქცეს სისასტიკის აქტის მონაწილედ. ის, რასაც ჩვენ ამ წამიერი აფეთქების შესახებ ვამბობთ, მიესადაგება იმ უფრო ხანგრძლივ საზოგადოებრივი აზრის მოძრაობებსაც, რომლებიც გამუდმებით წარმოიქმნებიან ჩვენ გარშემო ან მთელს საზოგადოებაში; ან უფრო შეზღუდულ წრეებში რელიგიური, პოლიტიკური, ლიტერატურული, მხატვრული თუ სხვა საკითხების გამო.

სოციალური ფაქტის ეს განსაზღვრება შეიძლება დადასტურდეს კიდეევ ერთი დამახასიათებელი — ბავშვის აღზრდაზე — დაკვირვებით. თუკი ჩვენ ფაქტებს ისე განვიხილავთ, როგორიცაა ისინი და როგორიც იყვნენ ყოველთვის, თვალში გვეცემა, რომ აღზრდა — ესაა, შევაჩვიოთ ბავშვი, ხედავდეს, გრძნობდეს და მოქმედებდეს ისე, როგორც დამოუკიდებლად ვერ მიეჩვეოდა. მისი ცხოვრების პირველივე დღეებიდან ჩვენ ვაიძულებთ მას, ჭამოს, სვას და ეძინოს განსაზღვრულ საათებში, ეჩვეეთ სისუფთავეს, სიწყნარესა და დამჯერობას. მოგვიანებით ჩვენ ვაიძულებთ მას, იმუშაოს, ანგარიში გაუწიოს სხვებს, პატივი სცეს ადათებს, წესებს და ა. შ. თუ დროთა განმავლობაში ეს იძულება აღარ იგრძნობა, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი თანდათანობით ჩვევებში გადადის, წარმოშობს შინაგან მიდრეკილებას, რომელიც იძულებას უსარგებლოს ხდის. მართალია, სპენსერის მიხედვით, რაციონალური აღზრდა უნდა უარყოფდეს ასეთ მეთოდს და ბავშვს სრულ თავისუფლებას აძლევდეს, მაგრამ რამდენადაც ეს პედაგოგიური თეორია პრაქტიკაში არც ერთ ცნობილ ხალხს არ გამოუყენებია, იგი მხოლოდ ავტორის desideratum-ს წარმოადგენს და არა ფაქტს, რომელიც შეიძლებოდა დაგვეპირისპირებინა უკვე აღნიშნული ფაქტებისათვის. ეს უკანასკნელნი კი განსაკუთრებით აღმზრდელობითია იმიტომ, რომ მიზნად აქვთ სოციალური არსების აღზრდა. მათში ზოგადად შეიძლება დავინახოთ, როგორ ჩამოყალიბდა ეს არსება ისტორიაში. ეს დაწოლა, ბავშვის მიერ ყოველწამიერად განცდილი, სხვა არაფერია, თუ არა სოციალური გარემოს დაწოლა, რომელიც ცდილობს, იგი თავის მსგავსად ჩამოაყალიბოს და წარმომადგენლად და შუამავლებად მშობლები და მასწავლებლები ჰყავს.

ამრიგად, სოციალურ მოვლენათა დამახასიათებელ ნიშანს არ წარმოადგენს მათი განვრცობადობა, თითოეული ინდივიდის ცნობიერებისათვის დამახასიათებელი რომელიმე აზრი, რომელიმე მოქმედება, რასაც ყველა იმეორებს, არ იქცევა ამის გამო სოციალურ ფაქტად. სოციალურ ფაქტებს მიეკუთვნება რწმენა-წარმოდგენები, მისწრაფებანი, ჩვეულები კოლექტიურად აღებული ჯგუფისა. რაც შეეხება ფორმებს, რომელსაც იღებს კოლექტიური მდგომარეობა ინდივიდზე გადაცემისას, ეს სხვა სახის მოვლენაა. მათი ბუნების ორმაგობა დასტურდება იმით, რომ ამ ფაქტების ორივე კატეგორია ხშირად გვხვდება განცალკევებულ მდგომარეობაში. მართლაც, ზოგიერთი ამ აზრებიდან ან მოქმედებიდან განმეორებადობის საფუძველზე იძენს გარკვეულ მდგრადობას, რომელიც მათგან დანალექს ქმნის და მათივე ამსახველი ცალკეული მოვლენებისაგან გამოყოფს მათ. ისინი ერთგვარად იძენენ განსაკუთრებულ სხეულს, მათთვის დამახასიათებელ განსაკუთრებულ გრძნობად ფორმას და წარმოადგენენ რეალობას Sui Generis, მკვეთრად განსხვავებულს მისი ხორცშემსხმელი ინდივიდუალური ფაქტებისაგან. კოლექტიური ჩვევა არსებობს არა მხოლოდ

როგორც მისგან განსაზღვრული მოქმედებების იმანენტური როლაც, არამედ პრივილეგიით, რომელიც არ გვხვდება ბიოლოგიურ სფეროში. ერთხელ და სამუდამოდ მოცემული გამოსახულება რომელიმე ფორმულაში, რომელიც გადაეცემა ზეპირად, აღზრდით და წერილობითაც კი, ფიქსირდება. ასეთია იურიდიული და ზნეობრივი ნორმების, ხალხური აფორიზმებისა და თქმულებების, სარწმუნოებრივი დოგმების წარმოშობის ბუნება, რომელშიც რელიგიური ან პოლიტიკური სექტები მოკლედ გამოხატავენ თავიანთ შეხედულებას, ლიტერატურული სკოლების მიერ დადგენილ გემოვნების კოდექსს და ა. შ. მათი არსებობა არ ამოიწურება ცალკეული პირების მიერ ცხოვრებაში მათი გამოყენებით, რადგანაც ისინი არსებობენ მაშინაც, თუ მათ მოცემულ დროში არ იყენებენ.

რა თქმა უნდა, ეს დისოციაცია ყოველთვის ერთნაირად მკვეთრად არ ვლინდება. მაგრამ საკმარისია მისი უეჭველი არსებობის დადასტურება ჩვენ მიერ დასახელებული მრავალრიცხოვანი და მნიშვნელოვანი შემთხვევებით, რათა დავასაბუთოთ, რომ სოციალური ფაქტი განსხვავდება მისი ინდივიდუალური ხორცშესხმისაგან. გარდა ამისა, მაშინაც კი, როდესაც მასზე უშუალო დაკვირვება შეუძლებელია, იგი შეიძლება გამომეღავნდეს ზოგიერთი ხელოვნური მეთოდის მეშვეობით. ამ ოპერაციის განხორციელება აუცილებელიც კია, თუ გვსურს, სოციალური ფაქტები გავათავისუფლოთ ყოველგვარი მინაერთისაგან და დავაკვირდეთ მას სუფთა სახით. ასე მაგალითად, არსებობს საზოგადოებრივი აზრის უამრავი მიმდინარეობა, რომელიც სხვადასხვა ინტენსიურობით, დროისა და ქვეყნის თავისებურებათაგან გამომდინარე, გვაძლევს ჩვენ, მაგალითად, ქორწინებას, თვითმკვლელობას, ასე თუ ისე, მრავალშვილიანობას და სხვა. ერთი შეხედვით, ისინი მოუცილებლია იმ ფორმებისაგან, რომელთაც გარკვეულ შემთხვევაში იღებენ, მაგრამ სტატისტიკა გვაძლევს მათი იზოლირების საშუალებას. სინამდვილეში ისინი საკმაოდ ზუსტად გამოიხატება შობადობის, ქორწინებისა და თვითმკვლელობათა რიცხვით, ე. ი. ციფრით, რომელსაც ვიღებთ ქორწინების, დაბადებისა და საკუთარი სურვილით სიკვდილის საშუალო წლიური შედეგის გაყოფით ორ ადამიანების რიცხვზე, რომლებსაც ასაკობრივად შეუძლიათ იქორწინონ, გამრავლდნენ ან თავი მოიკლან[2]. რამდენადაც თითოეული ამ რიცხვიდან განურჩევლად მოიცავს ყველა ცალკეულ შემთხვევას, ინდივიდუალური პირობები, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ მოვლენის წარმოშობაზე, ნეიტრალიზებულია და ამის შედეგად ვერ განსაზღვრავენ მოცემულ ციფრებს. ისინი მხოლოდ ასახავენ კოლექტიური სულის მდგომარეობას.

აი რა არის სოციალური მოვლენები, რომლებიც გათავისუფლებულია ყოველგვარი გარეშე ელემენტისაგან. რაც შეეხება მათ კერძო გამოვლინებას, მათში არის რაღაც სოციალური, რამდენადაც ისინი ნაწილობრივ ასახავენ კოლექტიურის ნიმუშს, მაგრამ თითოეული მათგანი უფრო მეტად დამოკიდებულია ცალკეული ინდივიდის ფსიქოორგანულ კონსტიტუციასა და განსაკუთრებულ პირობებზე, რომლებშიც იგი იმყოფება. ამდენად, ისინი მიეკუთვნებიან არა საკუთრივ სოციოლოგიურ მოვლენებს, არამედ ერთდროულად ორ სფეროს და შეიძლება ეწოდოთ სოციოფსიქოლოგიური. ისინი აინტერესებენ სოციოლოგს, თუმცა არ შეადგენენ საკუთრივ სოციოლოგიის საგანს. ზუსტად

---

[2] ყველა ასაკში ერთნაირი სიხშირით არ იკლავენ თავს.

ასევე, ორგანიზმში გვხვდება შერეული სახის მოვლენები, რომელთაც სწავლობს შერეული მეცნიერებანი, მაგალითად ბიოქიმია.

მაგრამ შეიძლება გვითხრან, რომ მოვლენა შეიძლება იყოს საზოგადოებრივი იმ შემთხვევაში, როდესაც იგი დამახასიათებელია საზოგადოების ყველა წევრისათვის, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მათი უმრავლესობისათვის, ე. ი. მხოლოდ საერთო საზოგადოებრივის პირობით. უეჭველია, იგი საერთოა მხოლოდ იმიტომ, რომ სოციალურია (ე. ი. ასე თუ ისე აუცილებელია) და არა სოციალურია იმიტომ, რომ საერთოა. ესაა ჯგუფის ისეთი მდგომარეობა, რომელიც მეორდება ინდივიდთან, რადგანაც მასზე თავსმოხვეულია. იგი ყველა ნაწილში იმყოფება, რადგანაც მთელში იმყოფება. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა ადათებისა და რწმენა-წარმოდგენების მიმართ, რომლებიც უკვე ჩამოყალიბებული სახით გადმოგვეცემა წინა თაობებიდან. ჩვენ ვღებულობთ მათ და ავითვისებთ იმიტომ, რომ ისინი, როგორც კოლექტიური და საუკუნეობრივი შემოქმედების ნაყოფი, აღჭურვილი არიან განსაკუთრებული ავტორიტეტით, რომელსაც ჩვენ, როგორც მიჩვეულნი ვართ აღზრდის შედეგად, პატივი უნდა ვცეთ და ვაღიაროთ. საინტერესოა, რომ სოციალურ მოვლენათა უდიდესი უმრავლესობა ჩვენამდე ამ გზით აღწევს. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც სოციალური ფაქტი ნაწილობრივ ჩვენი პირდაპირი ხელშეწყობით იქმნება, მისი ბუნება უცვლელია. შეკრებაზე აღმოცენებული კოლექტიური გრძნობა გამოხატავს არა მხოლოდ იმას, რაც საერთოა ინდივიდუალურ გრძნობათა შორის, როგორც აღვნიშნეთ, იგი სრულიად განსხვავებული რამაა, იგი თანცხოვრების შედეგია, მოქმედებისა და უკუქმედების პროდუქტია, რომელიც ინდივიდუალურ ცნობიერებათა შორის აღმოცენდება. და თუ იგი აისახება თითოეულ მათგანში, ეს იმ განსაკუთრებული ენერგიის წყალობით, რომელიც მას გააჩნია კოლექტიური წარმოშობის შედეგად. თუ ყველა გული უნისონში ძგერს, ეს ხდება არა თვითნებური და შეწყობილი თანხმობის გამო, არამედ იმიტომ, რომ მათ ამოძრავებთ ერთი და იგივე ძალა ერთი და იმავე მიმართულებით. თითოეულს მიჰყვება ყველა.

ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია ზუსტად წარმოვიდგინოთ სოციოლოგიის სფერო. იგი მოიცავს მოვლენათა მხოლოდ გარკვეულ ჯგუფს. სოციალური ფაქტი გამოიცნობა მხოლოდ იმ გარეგანი იძულების ძალით, რომელიც მას გააჩნია, ან შეუძლია გააჩნდეს ინდივიდზე. ხოლო ამ ძალის არსებობა თავის მხრივ შეიცნობა რომელიმე განსაზღვრული სანქციის არსებობით ან წინააღმდეგობით, რომელსაც ეს ფაქტი ამეღავნებს, როცა ცდილობს, ინდივიდის ყველა ქმედების შემთხვევაში წინ აღუდგეს მას. იგი შეიძლება შეიცნოთ აგრეთვე ჯგუფის შიგნით გავრცელების მიხედვით, მხოლოდ თუ წინა შენიშვნებს გაითვალისწინებთ, მეორადი ძირითადი ნიშნის სახით მას შეემატება ის, რომ იგი არსებობს იმ ინდივიდუალური ფორმისაგან დამოუკიდებლად, რომელსაც გავრცელებისას იღებს. ზოგიერთ შემთხვევაში ეს უკანასკნელი კრიტერიუმი უფრო ადვილად გამოსაყენებელია, ვიდრე მეორე. მართლაც, იძულების კონსტატირება უფრო ადვილია, როდესაც იგი გამოიხატება საზოგადოების არაპირდაპირი რეაქციის მეშვეობით, როგორც ეს არის სამართალში, მორალში, რწმენაში, ადათებსა და ზოდაშიც კი. მაგრამ იგი ძნელადშესამჩნევია მხოლოდ ირიბი ზემოქმედებისას, მაგალითად, ეკონომიკურ ორგანიზაციაში. მაშინ უფრო ადვილად დასადგენია საერთოობა ობიექტურობასთან ერთად, თანაც ეს მეორე განსაზღვრება მხოლოდ პირველის სხვა ფორმაა, იმდენად, რამდენადაც თუ ინდივიდუალური ცნობიერების გარეთ არსებული ქცევის ნორმები

საერთო ხასიათს იღებს, იგი ასეთად შეიძლება გადაიქცეს მხოლოდ იძულების გზით[3].

შეიძლება გაჩნდეს კითხვა, სრულია თუ არა ეს განსაზღვრება. მართალია, ამ განსაზღვრებისათვის განკუთვნილი ყველა ფაქტი მოქმედების სხვადასხვა საშუალებას წარმოადგენს, ამასთან ერთად არსებობენ ასევე კოლექტიური ყოფიერების ფორმები, ე. ი. ანატომიური ან მორფოლოგიური ხასიათის სოციალური ფაქტები, სოციოლოგიას არ შეიძლება არ აინტერესებდეს, თუ რა აყალიბებს კოლექტიური ცხოვრების სუბსტრატს. მაგრამ იმ ძირითადი ელემენტების რაოდენობა და ხასიათი, რომლებიც ქმნიან საზოგადოებას, მათი შეთავსების საშუალებანი, მათი სიმჭიდროვის ხარისხი, მოსახლეობის განაწილება ტერიტორიაზე, საცხოვრებლის ფორმები და ა. შ. ერთი შეხედვით არ შეიძლება დაყვანილ იქნეს მოქმედების, გრძნობისა და აზროვნების საშუალებებზე. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ამ მრავალფეროვან მოვლენებს გააჩნიათ იგივე დამახასიათებელი ნიშნები, რომელნიც ჩვენ სხვა მოვლენათა განსაზღვრისას გვემსახურებიან. ყოფიერების ეს ფორმები ინდივიდებს ისევე თავსმოეხვევა, როგორც მოქმედების ის ფორმები, რომელზეც უკვე ვილაპარაკეთ. მართლაც, თუ გვინდა შევიცნოთ საზოგადოების პოლიტიკური დაყოფა, მისი ცალკეული ნაწილების შემადგენლობა, მათ შორის არსებული ასე თუ ისე მჭიდრო კავშირი, ამის მიღწევა არ შეიძლება მატერიალური დათვალიერებით ან გეოგრაფიული მიმოხილვის მეშვეობით, რადგან დაყოფა იდეალურია მაშინაც კი, როდესაც მისი ზოგიერთი საფუძველი ფიზიკურ ბუნებაშია ჩადებული მხოლოდ ხალხური სამართლის შესწავლის მეშვეობით შეიძლება შევიცნოთ ეს ორგანიზაცია, რადგანაც სწორედ ეს სამართალი განსაზღვრავს ჩვენს საოჯახო და სამოქალაქო ურთიერთობებს, ამდენად იგი არანაკლებ აუცილებელია. თუ ჩვენი მოსახლეობა ქალაქის სივიწროვეში იტანჯება, იმის მაგვრად, რომ სოფლად გაიფანტოს, ეს იმიტომ, რომ არსებობს კოლექტიური აზრი, რომელიც აიძულებს ინდივიდს ასეთ კონცენტრაციას. ჩვენ არ შეგვიძლია ისევე ავირჩიოთ საცხოვრებლის ფორმა, როგორც ტანსაცმლის მოდელი. პირველი ისევე აუცილებელია, როგორც მეორე. კავშირგაბმულობის საშუალებანი განსაზღვრავენ მიმართულებას, რომელშიც ხდება შინაგანი მიგრაცია და გაცვლა და ა. შ. აქედან გამომდინარე, ჩვენ მიერ უკვე ჩამოთვლილ მოვლენათა რიგს, რომელ-

---

3 სოციალური ფაქტის ეს განსაზღვრება, როგორც ხედავთ, ძალზე დაშორებულია იმ განსაზღვრებისაგან, რომელიც ტარდის გონებამაზვილური სისტემის საფუძველს წარმოადგენს. პირველ ყოვლისა, უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენმა გამოკვლევებმა საშუალება არ მოგვცა მოგვეხდინა იმ უპირატესი გაელნის კონსტატაცია, რომელსაც ტარდი მიაწერს მიბაძვას. წინამდებარე განსაზღვრებიდან, რომელიც წარმოადგენს არა თეორიას, არამედ უშუალო დაკვირვებათა მონაცემების უბრალო შედეგს, მგონი ნათლად გამომდინარეობს, რომ მიბაძვა არა მარტო ყოველთვის არ გამოხატავს. არამედ არასდროს არ გამოხატავს იმას, რაც სოციალური ფაქტების არსს და დამახასიათებელ თავისებურებებს შეადგენს. რა თქმა უნდა, ყოველი სოციალური ფაქტი მიბაძვით ვრცელდება, როგორც მივუთითეთ, მას მიბაძვის ტენდენცია აქვს, მაგრამ ეს იმიტომ, რომ იგი სოციალურია ე. ი. აუცილებელია. მისი უნარი — გავრცელდეს, მიზეზი კი არა, შედეგია მისივე სოციალური ხასიათისა. სოციალური თვისება მხოლოდ ფიზიკურ რომ იწვევენენ ამ შედეგს. მიბაძვიდ მათი ახსნა ლ არ. ყოველ შემთხვევაში. განსაზღვრა მაინც იქნებოდა შესაძლებელი. მაგრამ მიბაძვით გამოკვლეული ინდივიდუალური მოგომარეობა მაინც რჩება ინდივიდუალურ მოგომარეობად. ეგრეთ ამისა. შეიძლება ითქვა — შესაფერისი ენა სიტყვა მიბაძვა იძულებით გამოწვეული ინდივიდუალების ასახსნელად. ამ გამოთქმით ერთნაირად ეხმიშნავენ ერთმანეთის არამსგავს მოვლენებს. რომელიც ეცილობდა უნდა განეასხვავოთ.

თაც გაიჩნიათ სოციალური ფაქტისათვის დამახასიათებელი განმასხვავებელი ნიშნები, შეიძლება მიემატოს კიდევ ერთი კატეგორია, მაგრამ რადგანაც ეს ჩამოთვლა არ იყო ამომწურავი, შეიძლება მისგანაც შევიკავოთ თავი. მეტიც, იგი უსარგებლოც კია, რადგან ყოფიერების ეს ფორმები მხოლოდ ჩამოყალიბებული მოქმედების ნორმების არსია. საზოგადოების პოლიტიკური სტრუქტურა მხოლოდ ის საშუალებაა, რომლითაც საზოგადოების შემადგენელი ცალკეული სეგმენტები ერთმანეთთან ცხოვრებას შეეჩვევნენ. თუ ეს ურთიერთობები ტრადიციულად მჭიდროა, სეგმენტები მიისწრაფვიან შერწყმისაკენ, საწინააღმდეგო შემთხვევაში ისინი განცალკევებას ცდილობენ. ჩვენი საცხოვრებლის ტიპი არის ის საშუალება, რომლითაც სახლების მშენებლობას შეეკვეენენ ყველანი ჩვენ გარშემო და ნაწილობრივ ჩვენი წინა თაობები. კავშირგაბმულობის საშუალებები წარმოადგენენ მხოლოდ იმ კალაპოტს, რომელიც შექმნა ერთი და იმავე შიმართულებით რეგულარულად მიმდინარე მიგრაციამ და გაცვლამ.

რა თქმა უნდა, მორფოლოგიური ხასიათის მოვლენები რომ ასეთი მდგრადი იყოს, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ისინი განსაკუთრებულ სახეობას წარმოადგენენ, მაგრამ იურიდიული წესები არანაკლებ მდგრადი და მუდმივია, ვიდრე არქიტექტურული ტიპი და, ამავე დროს, ეს ფიზიოლოგიური ფაქტია.

უბრალო ზნეობრივი მაქსიმა, რა თქმა უნდა, ცვალებადია, მაგრამ მისი ფორმები უფრო მდგრადია, ვიდრე ბროფესიული ჩვევები ან მოდა. იმასთან ერთად, არსებობს გარდამავალი საფეხურების მთელი რიგი, რომლითაც თავისი სტრუქტურით უფრო სპეციფიკური სოციალური ფაქტები შეეჩვეწყმიან სოციალური ცხოვრების იმ თავისუფალ დინებებს, რომლებიც ჯერ არ ჩამოყალიბებულან განსაზღვრულ ფორმად. აქედან გამომდინარე, ისინი მხოლოდ სიმტკიცის ხარისხით განსხვავდებიან. ერთიც და მეორეც ასე თუ ისე გაკრისტალებულ ფორმას წარმოადგენენ. რა თქმა უნდა, შეიძლება სასარგებლო იყოს სოციალური სუბსტრატის შემადგენელი სოციალური ფაქტებისათვის დატოვებულ იქნეს სახელწოდება მორფოლოგიური, მაგრამ ამ შემთხვევაში მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ თავისი ბუნებით ისინი სხვა ფაქტების მსგავსია. ჩვენი განსაზღვრება სრული იქნება, თუ ვიტყვით: სოციალურ ფაქტს წარმოადგენს მოქმედების ყველა საშუალება — მყარი ან არამყარი, რომელსაც შეუძლია ინდივიდზე გარეგანი ძალდატანება ან სხვაგვარად: მოცემული საზოგადოების მთელ სივრცეზეა გაშლილი და ამავე დროს ინდივიდუალური გამოვლინებისაგან დამოუკიდებელი საკუთარი არსებობის მქონეა.

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ*

მთლიანობაში ჩვენ ზიერ გადმოცემული მეთოდი შემდეგი ნიშნებით გამოირჩევა:

ჯერ ერთი, სოციოლოგია დამოუკიდებელია ყოველგვარი ფილოსოფიისაგან, მაგრამ რადგანაც დიდი ფილოსოფიური დოქტრინებისაგან წარმოიშვა, შეინარჩუნა ჩვევა, დაეყრდნოს რომელიმე სისტემას, რომელთანაც იგი დაკავშირებული ხდება. ამიტომ იგი თანმიმდევრობით იყო პოზიტივისტური, ევო-

---

* წყაროდან: Э. Дюркгейм. Правила социологического метода. М., 1991, с. 523—527.

ლუციონისტური, სპირიტუალისტური, მაშინ როდესაც მხოლოდ სოციოლოგიად უნდა დარჩენილიყო. თუმცა ჩვენ მას ნატურალისტურსაც კი ვერ ეუწოდებთ, ამ ტერმინით რომ არ მივანიშნებთ მის შესაძლებლობაზე — სოციალური ფაქტები ახსნას ბუნებრივი მიზეზებით. ეპითეტი უსარგებლოა სხვა შემთხვევაშიც, რადგან იგი მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ სოციოლოგი მისტიკოსი კი არა, მეცნიერია. მაგრამ ჩვენ უარვყოფთ ამ სიტყვას, თუ მას დოქტრინის მნიშვნელობა ეძლევა და სოციალური მოვლენების არსს წვდება, თუ, მაგალითად, იგულისხმება, რომ ეს უკანასკნელი შეიძლება დაყვანილ იქნეს სხვა კოსმოსურ ძალებამდე. სოციოლოგია არ უპერს მხარს რომელიმე დიდ მეტაფიზიკურ ჰიპოთეზას. მას არ სჭირდება არც თავისუფლების და არც დეტერმინიზმის მტკიცება, მხოლოდ მოითხოვს აღიარებას — რომ სოციალურ მოვლენას ესადაგება მიზეზობრიობის პრინციპი. ამ პრინციპსაც კი იგი აყენებს არა როგორც გონების უცილობელ პოსტულატს, არამედ როგორც ემპირიულ პოსტულატს, მართლზომიერი ინდუქციის შედეგს. იმდენად, რამდენადაც მიზეზობრიობის კანონი ბუნების სხვა სფეროებისთვისაც ცნობილია და მისი ბატონობის არეალი თანდათან ფართოვდებოდა, ვრცელდებოდა ფიზიკურ-ქიმიური მოვლენების სამყაროდან ბიოლოგიურზე, ამ უკანასკნელიდან ფსიქიკურ მოვლენათა სამყაროზე, ჩვენ შეგვიძლია დავუშვათ, რომ იგი მისაღებია სოციალური სამყაროსთვისაც. ამასთან, ისიც შეიძლება დავამტკიცოთ, რომ ამ პოსტულატის საფუძველზე ჩატარებული გამოკვლევებიც, როგორც ჩანს, ამასვე ადასტურებს. მაგრამ საკითხი იმის შესახებ, გამორიცხავს თუ არა მიზეზობრივი კავშირის ბუნება ყოველგვარ შემთხვევითობას, ამით არ წყდება.

ამასთან, თვით ფილოსოფიაც ძალზე დაინტერესებულია სოციოლოგიის გათავისუფლებით. სანამ სოციოლოგია ბოლომდე არ გათავისუფლებულა ფილოსოფიის გავლენისაგან, იგი სოციოლოგიურ მოვლენებს განიხილავს მხოლოდ ზოგადი მხრიდან, იმ მხრიდან, რომლითაც ისინი უფრო მეტად ემსგავსებიან სამყაროს სხვა მოვლენებს. თუკი ამ მდგომარეობაში მყოფ სოციოლოგიას არ შეუძლია ფილოსოფიურ დებულებათა ილუსტრირება საინტერესო ფაქტებით, მაშინ მას არ შეუძლია გაამდიდროს იგი ახალი შეხედულებებით, რამდენადაც შესასწავლ ობიექტში არაფერს ახალს არ აღმოაჩენს. სინამდვილეში კი თუ სხვა სფეროთა ძირითადი ფაქტები სოციალურ მოვლენათა სფეროშიც მეღავნდება, მხოლოდ განსაკუთრებული ფორმით, რომელიც მათ ბუნებას უფრო გასაგებს ხდის იმიტომ, რომ ისინი შისი უმაღლესი გამოხატულებაა. მაგრამ იმისათვის, რომ ისინი ამ მხრიდან დავინახოთ, უნდა გავცილდეთ ზოგიერ დებულებათა ფარგლებს და ფაქტების დეტალურ შესწავლას მივმართოთ. და იმის შესაბამისად, როგორ მოხდება სოციოლოგიის სპეციალიზაცია, იგი იპოვის სულ უფრო ორიგინალურ მასალას ფილოსოფიური მსჯელობისათვის. ზემოთაც ვნახეთ, რომ ისეთი არსებითი ცნებები, როგორიცაა სახეობა, ორგანო, ფუნქცია, ჯანმრთელობა, ავადმყოფობა, მიზეზი, მიზანი, სრულიად სხვა შუქზე წარმოჩნდება. ამასთან ერთად, განა სოციოლოგია არ არის მოწოდებული, უფრო რელიეფურად გამოსახოს ასოციაციის იდეა, რომელიც შეიძლება იყოს არა მხოლოდ ფსიქოლოგიის, არამედ მთლიანად ფილოსოფიის საფუძველი?

რაც შეეხება პრაქტიკულ მეცნიერებას, ჩვენი მეთოდი გვთავაზობს, და იძლევა კიდეც, დამოუკიდებლობის საშუალებას. ამგვარად გაგებული სოციოლოგია არ იქნება არც ინდივიდუალისტური, არც კომუნისტური, არც სოციალისტური იმ მნიშვნელობით, რომელიც ჩვეულებრივ ამ სიტყვებს ეძლევა.

იგი პრინციპულად უარყოფს ამ თეორიებს, რომელთა მეცნიერული ღირებულებაც შეუძლებელია არ ეცნოთ, რადგან ისინი პირდაპირ მიისწრაფვიან, არა ასახონ, არამედ გადაასხვაფერონ ფაქტები. უკეთეს შემთხვევაში, თუ იგი დაინტერესდება ამ თეორიებით, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათში დაინახავს სოციალურ ფაქტებს, რომლებიც შეიძლება დაგვეხმარონ სოციალური რეალობის გაგებაში, და თუ აღმოაჩენს მოთხოვნილებას, რომელიც საზოგადოებას აღელვებს. ეს, სხვათა შორის, არ ნიშნავს, რომ იგი არ უნდა იყოს დაინტერესებული პრაქტიკული საკითხებით, პირიქით, შეიძლება შევნიშნოთ, რომ ჩვენ გამუდმებით ვცდილობთ, ისე მოვახერხოთ მისი მიმართვა, რომ შეიძლებოდეს პრაქტიკული დასკვნების გაკეთება. თავისი გამოკვლევების ბოლოს იგი აუცილებლად შეეჯახება ამგვარ პრობლემას. მაგრამ უკვე იმის წყალობით, რომ ეს პრობლემები მის წინაშე მხოლოდ იმ მომენტში წამოიჭრებიან და ამდენად გამომდინარეობენ ფაქტებიდან და არა ვნებებიდან, შეიძლება განემარტოთ, რომ ისინი სოციოლოგიის წინაშე სრულიად განსხვავებული სახით წარმოდგებიან, ვიდრე ბრბოს წინაშე და რომ მის მიერ შეთავაზებული გადაწყვეტილებები, თუმცა ნაწილობრივ, არ შეიძლება ემთხვეოდეს რომელიმე პარტიის გადაწყვეტილებებს. მაგრამ ამ თვალსაზრისით სოციოლოგიის როლი სწორედ იმით უნდა გამოიხატებოდეს, რომ გაგვათავისუფლოს ჩვენ ყველა პარტიისაგან არა იმდენად ერთი დოქტრინის მეორესთან დაპირისპირებით, არამედ იმით, რომ მიაჩვიოს გონება ამ საკითხებისადმი განსაკუთრებულ-ბოზიციის დაკავების, რომლის ჩანერგვა შეუძლია მხოლოდ მეცნიერებას საგნებთან უშუალო შეხების მეშვეობით. მხოლოდ მას შეუძლია გვასწავლოს, პატივით, მაგრამ გაფეტიშების გარეშე, მოვეპყროთ ისტორიულად ჩამოყალიბებულ ინსტიტუტებს, როგორიც არ უნდა იყვნენ ისინი, მიგვითითოს ჩვენ, რა არის მათში აუცილებელი და დროებითი, როგორია მათი მდგომარეობა და უსასრულო ცვალებადობა.

მეორე — ჩვენი მეთოდი ობიექტურია. იგი მთლიანად გამსჭვალულია იდეით, რომ სოციალური ფაქტები საგნების არსია და უნდა განვიხილოთ როგორც ასეთი. რა თქმა უნდა, ეს პრინციპი, თუმცა სახეცვლილი ფორმით, დეკარტისა და სპენსერის დოქტრინათა საფუძველში, თუმცა ამ დიდმა მოაზროვნეებმა უფრო თეორიული ფორმულა მოგვცეს, ვიდრე გამოიყენეს იგი პრაქტიკაში და რომ ის გაქვავებულ აზრად არ დარჩენილიყო, არ კმაროდა მხოლოდ განცხადება, საჭირო იყო მისი გადაქცევა საფუძვლად დისციპლინისა, რომელიც „დაეუფლებოდა“ მეცნიერს სწორედ იმ მომენტში, როდესაც იგი თავისი საგნის კვლევას იწყებდა და რომელიც გამუდმებით თანმდევი იქნებოდა ყველა მისი ცდისა. სწორედ ასეთი დისციპლინის დამკვიდრებას მოვკიდეთ ჩვენ ხელი. ვიჩვენეთ, როგორ უნდა ცდილობდეს სოციოლოგი, თავიდან მოიშოროს წინასწარ არსებული წარმოდგენა ფაქტებზე, რათა პირისპირ აღმოჩნდეს მათთან, როგორ უნდა იპოვოს მან ისინი მათთვის დამახასიათებელი ობიექტური ნიშნების მიხედვით და თვით მათში ეძიოს ნიშნები, რომლის მიხედვითაც შეიძლება დაიყოს ავადმყოფ და ჯანსაღ ფაქტებად და ბოლოს, როგორ უნდა გაიმსჭვალოს იგი იმავე პრინციპით მის მიერ მოცემულ ახსნაში და ამ ახსნის დასაბუთებაში. როცა ეცოდინებათ, რომ საქმე აქვთ საგნებთან, აღარ დაიწყებენ მათ ახსნას უტილიტარული გაანგარიშებებით და რაღაც მსჯელობებით. ყოველივე ამის შედეგად ძალზე თვალსაჩინო ხდება ნაპრალი მსგავს მიზეზებსა და შედეგებს შორის. საგანი არის ძალა, რომელიც შეიძლება შვას მხოლოდ მეორე ძალამ. შედეგად, იმისათვის, რათა აიხსნას სოციალუ-

რი ფაქტები, უნდა მოიძებნოს ენერგია, რომელსაც შეუძლია მათი წარმოშობა. ამ პირობებში იცვლება არა მხოლოდ ახსნა, არამედ მისი დასაბუთების პროცესიც, უფრო სწორად, მხოლოდ მაშინ იგრძნობა მათი დასაბუთების აუცილებლობა. თუ სოციოლოგიური მოვლენები არსია მხოლოდ ობიექტივისტური იდეების სისტემისა, მაშინ მათი ახსნა ნიშნავს მათ ზელახლა განხილვას ლოგიკური თანამიმდევრობით და ასეთი ახსნა საკუთარი თავის დასაბუთებას წარმოადგენს. რჩება გასაკეთებელი ყველაზე მთავარი — ესაა მისი დასაბუთება რამდენიმე მაგალითით. მხოლოდ მეთოდურად სწორი ცდებით შეიძლება საგნების საიდუმლოებაში ჩაწვდომა.

თუ სოციალურ ფაქტებს მაინც განვიხილავთ როგორც საგნებს, მხოლოდ და მხოლოდ სოციალურად უნდა წარმოვიდგინოთ ისინი. სწორედ ეს — რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ სოციოლოგიურია — არის ჩვენი მეთოდის მესაძე არსებითი ნიშანი. ხშირად ეს მოვლენები თავისი განსაკუთრებული სირთულის გამო არ ექვემდებარებიან მეცნიერულ კვლევას და კვლევის ობიექტად მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქცნენ, თუ დაიყვანებიან ელემენტარულ ფსიქიკურ ან ორგანულ მოვლენებზე, ე. ი. დაკარგავენ დამახასიათებელ თავისებურებებს. ჩვენ უარიც კი ვთქვით, მათთვის დამახასიათებელი არასტაბილურობა sui Generis დაგვეყვანა ფსიქოლოგიური მოვლენების რთულ არასტაბილურობამდე. მით უმეტეს, თავს უფლებას ვერ მივცემდით, იტალიური სკოლის მსგავსად, გაგვეთქვიფა იგი ორგანიზებული მატერიის საერთო თვისებებში. ზემოთ ვაჩვენეთ, რომ სოციალური ფაქტი შეიძლება აიხსნას მხოლოდ სხვა სოციალური ფაქტით და იმავე დროს ვაჩვენეთ, როგორაა შესაძლებელი, აიხსნას ეს სხვაობა სოციალური ევოლუციის მთავარ მამოძრავებელ ძალად შინაგანი სოციალური გარემოს აღიარებით. ამდენად, სოციოლოგია არ არის რომელიმე მეცნიერების დანამატი, იგი წარმოადგენს განსაკუთრებულ და ავტონომიურ მეცნიერებას და სოციალური რეალობის სპეციფიკის შეგრძნება სოციოლოგისთვის იმდენად აუცილებელია, რომ მხოლოდ განსაკუთრებულ სოციოლოგიურ კულტურას შეუძლია მიიყვანოს იგი სოციალური ფაქტების გაგებამდე.

ჩვენი აზრით, ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც გასაკეთებელი აქვს სოციოლოგიას. რა თქმა უნდა, როდესაც მეცნიერება ჩასახვის პროცესშია, მისი შექმნისათვის აუცილებელია მხოლოდ უკვე არსებული მოდელებისადმი, ე. ი. ჩამოყალიბებული მეცნიერებებისადმი, მიმართვა. იქ იმყოფება უკვე ჩატარებული ცდების საგანძური, რომელთა გამოუყენებლობაც სიგიჟე იქნებოდა. მიუხედავად ამისა, მეცნიერება მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს ჩამოყალიბებულად, როდესაც იგი დამოუკიდებელი ხდება. მართლაც, მას მხოლოდ მაშინ აქვს არსებობის უფლება, როდესაც მის საგანს წარმოადგენს ფაქტების კატეგორია, რომელიც არ შეისწავლება სხვა მეცნიერებების მიერ. ამასთან, შეუძლებელია, რომ ერთი და იგივე ცნებები ერთნაირად გამოსადეგი იყოს არსებითად სხვადასხვა საგნებისათვის.

ასეთია ჩვენი წარმოდგენით სოციოლოგიური მეთოდის პრინციპები.

წესების ეს ერთობლიობა შეიძლება ზედმეტად რთული მოგვეჩვენოს ჩვეულებრივ გამოყენებულ მეთოდებთან შედარებით. მთელი ეს მომზადება და წინასწარი გაფრთხილება შეიძლება ძალზე რთულად გამოიყურებოდეს იმ მეცნიერებისათვის, რომელიც მისთვის თავშეწირული ადამიანებისაგან აქამდე მხოლოდ ზოგად და ფილოსოფიურ კულტურას მოითხოვდა. მართლაც, პრაქტიკაში მსგავსი მეთოდის გამოყენებამ არ შეიძლება გაზარდოს ინტერესი სოციო-

ლოგიური მეცნიერებისადმი. როდესაც ადამიანებისაგან წინასწარ ითხოვენ პირობას, უარი თქვან იმ ცნებებზე, რომელთა მისადაგებასაც ამა თუ იმ მოვლენისათვის ისინი მიეჩვივნენ, ხელახლა გადასინჯონ ისინი, არ შეიძლება მრავალრიცხოვანი თანამოაზრის იმედი გქონდეს. მაგრამ ჩვენ არც მივისწრაფვით ამისკენ, პირიქით, ვფიქრობთ, რომ სოციოლოგიისათვის დადგა დრო, უარი თქვას საზოგადოებრივ წარმატებებზე და მიიღოს მეცნიერებისთვის შესაფერისი ხასიათი. ამდენად, იგი მოიგებს ღირსებისა და ავტორიტეტის თვალსაზრისით, მაგრამ ეს მოხდება პოპულარობის ხარჯზე. მართლაც, სანამ იგი ჩათრეულია პარტიათა ბრძოლაში, სანამ იგი იმით კმაყოფილდება, რომ ბრბოზე მეტი ლოგიკით ამუშავებს ზოგადად მიღებულ იდეებს და ამიტომ, ბუნებრივია, არ მოითხოვს არავითარ განსაკუთრებულ კვალიფიკაციას, მას არა აქვს უფლება, ისე ხმამაღლა ილაპარაკოს, რომ ჩაახშოს ვნებები და ცრურწმენები. რა თქმა უნდა, ჯერ შორს არის ის დრო, როდესაც იგი შეძლებს შეასრულოს ეს ამოცანა, მაგრამ ოდესმე რომ შეძლოს, აქედანვე უნდა ვიმუშაოთ.

ზ. ფროიდი

ფროიდი ზიგმუნდ (1856—1939) — ავსტრიელი ექიმი, ფსიქოპათოლოგი და ფსიქოლოგი, ფსიქოანალიტიკური თეორიის ფუძემდებელი.

ზ. ფროიდი დაიბადა მორავიის ქალაქ ფრეიბურგში 1856 წლის 6 მაისს. განათლება მიიღო ვენაში, სადაც სწავლობდა გიმნაზიაში, ხოლო შემდეგ ვენის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე; იგი დაამთავრა 1881 წელს მედიცინის დოქტორის ხარისხით. უნივერსიტეტში სწავლის დროს ზ. ფროიდი დინტერესებული იყო ბოტანიკითა და ქიმიით, ხოლო მოგვიანებით — შედარებითი ანატომიით და ფიზიოლოგიით. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ უნდოდა ლიტერატურულ საქმიანობას შედგომოდა, ხოლო მოგვიანებით ნევროლოგიის დარგში თეორიული გამოკვლევებისათვის მიეყო ხელი, მაგრამ იძულებული შეიქნა კლინიკური და საექიმო პრაქტიკული საქმიანობით ყოფილიყო დაკავებული.

1885—1886 წლებში ზ. ფროიდი სწავლობდა იმ დროის ცნობილ ფრანგ ნევროლოგ შარკოსთან პარიზში, შემდეგ რამდენიმე ფსიქიატრთან (ბრიუკე, ბრეიერი) და გამოცადა ნევროზისა და ფსიქოზის მკურნალობის სხვადასხვა მეთოდები. თავისი მოღვაწეობის ადრეულ პერიოდში ზ. ფროიდი ფსიქოპათოლოგიური მკურნალობისათვის წარმატებით იყენებდა ჰიპნოზს ი. ბრეიერთან თანამშრომლობით. შემდეგში, 1895 წლისათვის ზ. ფროიდი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ჰიპნოზის გარეშეც შეიძლება ფარული „დინამიკური ტრავმის“ მიკვლევა და ავადმყოფის ცნობიერებამდე მისი დაყვანა. ამის საშუალებას წარმოადგენს ხიზმრების ახსნა, „თავისუფალი ასოციაციები“ და „გარდახასვები“. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ზ. ფროიდი ანიჭებდა ხიზმრების ახსნას. ამ მეთოდის შესახებ 1900 წელს მან გამოსცა სქელტანიანი წიგნი — „ხიზმრების ახსნა“. იგი გახდა ფსიქოანალიზის თეორიის ძირითადი დებულებების ამოსავალი ნაშრომი. რამდენადაც ხიზმარს ნახულობს ყველა ადამიანი, ჯანმრთელიც და ავადმყოფიც, მოზრდილიც და ბავშვიც, ზ. ფროიდი თვლიდა, რომ ხიზმარი წარმოადგენს ყველაზე ნაყოფიერ წყაროს ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების კანონზომიერებათა შესაცნობად.

ზ. ფროიდი მიდის დასკვნამდე, რომ „ხიზმარი არის ხურვილის ასრულება“. ყველა ხიზმარი ყოველთვის წარმოადგენს იმას, რასაც ადამიანი უმეტეს შემთხვევაში ფარულად და გაუცნობიერებლად თავის თავს უსურვებს. მაგრამ ადამიანი ხომ ნახულობს „საშინელ“ ხიზმრებსაც, განიცდის ხიზმარში ტკივილს, შიშს, სირცხვილს და სხვ. ზ. ფროიდის აზრით, უნდა განვასხვავოთ თვითონ ხიზმრის შინაარსი, რომელიც ხშირად მართლაც არის არასასიამოვნო, მტანჯველი და ის, თუ რა იმალება ამ შინაარსის მიღმა, ე. ი. ლატენტური (ფარული) შინაარსი. სწორედ ამისთვისაა საჭირო ხიზმრის ახსნა, რომ გაგებულ იქნეს მისი ლატენტური აზრი.

1901 წელს გამოცემულ თავის მომდევნო წიგნში „ყოველდღიური ცხოვრების ფსიქოპათოლოგია“, რომელმაც განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა მის ნაშრომებს შორის, ზ. ფროიდი შეეცადა „გაძღვებული იმპულსების“ მსგავსი თეორიის საფუძველზე აეხსნა ყოველდღიური ცხოვრების განმეორებადი ყოფითი მოვლენები: უნებური თქმები, წაცდომები, ცილისწამებები, შეცდომები, სახელების დავიწყებები და სხვ. 1905 წელს გამოვიდა ზ. ფროიდის წიგნი „გონებამახვილობა და მისი მიმართება არაცნობიერთან“, რომელშიც იგივე მეთოდი გამოყენებულია ხუმრობების, მახვილსიტყვაობის, ანეკდოტების ასახსნელად. 1910 წელს ზ. ფროიდი აქვეყნებს ნაშრომს ლეონარდო დავინჩის შემოქმედების შესახებ, რომელშიც მოცემულია ახალი ცდა ფსიქოანალიტიკური მეთოდის გამოყენებისა და კულტურული მოვლენების ასახსნელად. 1913 წელს გამოქვეყნდა ზ. ფროიდის მორიგი წიგნი „ტოტემი და ტაბუ (პირველყოფილი კულტურის და რელიგიის ფსიქოლოგია)“, რომელიც წარმოადგენს ეთნოგრაფიასთან პირდაპირ დაკავშირებულ ნაშრომს; მისი ორი ნაწყვეტი წარმოდგენილია ქრესტომათიაში და მის შესახებაც ქვემოთ კიდევ შევჩერდებით.

1909 წელს ზ. ფროიდმა მიწვევა მიიღო ამერიკიდან, ვორესტერში, კლარკის უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვის შესახებ. მან იქ წაიკითხა ხუთი ლექცია, რომელმაც საფუძველი დაუდო ამერიკაში ფსიქოანალიზის გავრცელებას. ამ ლექციების საფუძველზე 1910 წელს გამოიცა ზ. ფროიდის წიგნი „ფსიქოანალიზის შესახებ. ხუთი ლექცია“, რომელიც წარმოადგენს სრულ, თუმცა მოკლე გადმოცემას ფსიქოანალიზისას მისი ჩასახვისა და განვითარების გზაზე.

ფსიქოანალიზის შესახებ ზ. ფროიდის საუკეთესო და ამ თეორიის ყველაზე სრულად გადმომცემ ნაშრომად ითვლება ორ ტომად გამოცემული „ფსიქოანალიზის შესავლის ლექციები“, რომელიც წარმოადგენს ექვემდებარეთვის 1915—1917 წლებში წაკითხული ლექციების ჩანაწერებს (1932 წელს ზ. ფროიდმა მას მესამე ტომიც დაუმატა).

1920-იანი წლებიდან ზ. ფროიდის კონცეფცია განიცდის საფუძვლიან ცვლილებას და ხდება ფილოსოფიურად სრულყოფილი. პირველი მსოფლიო ომის მოვლენების გავლენით იცვლება მისი მოძღვრება მიდრეკილებათა, გატაცებათა შესახებ. პიროვნების სტრუქტურა უკვე წარმოდგენილია სამ ინსტანციაში მოძღვრების სახით (ნაშრომი „მე და ეგო“, 1922). მთელ რიგ ნაშრომებში ზ. ფროიდი ავრცელებს თავის თეორიას კულტურის ცნების გაგებაზე და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე: რელიგიაზე, ანთროპოლოგიაზე, სოციალურ ფსიქოლოგიაზე, ცივილიზაციის პრობლემებზე და სხვ. ამ დროისათვის ფსიქოანალიზი ჩამოყალიბდა ფილოსოფიურ სისტემად, რომელიც განიხილებოდა სხვა ბურჟუაზიულ ირაციონალისტური ფილოსოფიური მიმდინარეობების ჯგუფში.

მთელი თავისი ცხოვრება, მცირე გამონაკლისის გარდა, ზ. ფროიდმა ვენაში გაატარა. 1938 წელს ავსტრიის ნაცისტურ გერმანიასთან შეერთების შემდეგ, ნაცისტური დევნისაგან თავის დაღწევის მიზნით, ზ. ფროიდი იძულებული შეიქნა, დაეტოვებინა სამშობლო. 82 წლის პროფესორი თავისი თანამშრომლისა და ბიოგრაფის ერნსტ ჯონესის დახმარებით გადასახლდა ლონდონში, სადაც გარდაცვალა 1939 წლის 23 სექტემბერს.

ქრესტომათიაში, როგორც აღინიშნა, წარმოდგენილია ორი ნაწყვეტი

ზ. ფროიდის „ყველაზე ეთნოლოგიური“ ნაშრომიდან — „ტოტემი და ტაბუ“, რომელიც 1913 წელს გამოიცა.

ძირითადი იდეა, რომელზედაც აგებულია ზ. ფროიდის ეს წიგნი, ისაა, რომ არსებობს რაღაც არსებითი მსგავსება ეთნოლოგიური აღწერილობებით ცნობილ „პირველყოფილი ხალხების ფსიქოლოგიასა“ და „ნევროტიკების ფსიქოლოგიას“ შორის; მისი ახსნა, განმარტება შეიძლება ფსიქოანალიზით. აქედან გამომდინარე, შეიძლება „ეთნოლოგიური“ ფაქტების ინტერპრეტაცია ნევროლოგიურ კლინიკებში მიღებული ფსიქოანალიზური მონაცემების საფუძველზე. მასზე დაყრდნობით ზ. ფროიდი გვთავაზობს ფსიქოანალიტიკურ განმარტებას ზოგიერთი ისეთი მოვლენისას, რომელთა ახსნა ეთნოლოგებსაც უჭირთ: ეგზოგამიის წეს-ჩვეულება, მაგია, ანიმიზმი, ტაბუს ზოგიერთი სახე, ტოტემიზმი და სხვ.

ბიბლიოგრაფია

1) Фрейд, Тотем и табу. М.-П., [1915].

ლიტერატურა

1) Уоллс Г. К. Зигмунд Фрейд и его учение, „Вопросы философии“, 6, 1956.
2) Фрейдизм в этнографии, წიგნში: Токарев С. А., История зарубежной этнографии, М., 1978, зз. 182—201.
3) Психоанализ, წიგნში: Хрестоматия по истории психологии, М., 1980, зз. 146—148.
4) ხ. ჭანტურიშვილი, ეთნოლოგია, თბ., 1993, გვ. 139—142.

ტაბუ და გრძნობათა ამბივალენტობა*

ტაბუ ძველად სათარგმნი პოლინეზიური სიტყვაა, რომლით აღნიშნული ცნებაც ჩვენ არ გაგვაჩნია. იგი ჯერ კიდევ ძველი რომაელებისათვის იყო ცნობილი; მათი sacer-ი იგივეა, რაც პოლინეზიელთათვის ტაბუ, ასევე ბერძენთა ἅγιος და ძველი ებრაელების Kodausch-ს, როგორც ჩანს, იგივე მნიშვნელობა უნდა ჰქონოდათ, რასაც პოლინეზიელები თავიანთი ტაბუს მეშვეობით გამოხატავენ, ამერიკის, აფრიკის (მადაგასკარი), ჩრდილოეთ და ცენტრალური აზიის ხალხები კი ანალოგიური დასახელებით.

ჩვენთვის ტაბუს მნიშვნელობა ორი საპირისპირო მიმართულებით ვითარდება. ერთი მხრივ, იგი აღნიშნავს წმინდას, დალოცვილს (განწმენდილს), მეორე მხრივ — საშიშს, აკრძალულს, უწმინდურს. ტაბუს საწინააღმდეგოს პოლინეზიურად ნოა (noa) — ჩვეული, ხელმისაწვდომი ეწოდება. ასე რომ, ტაბუს უკავშირდება წარმოდგენა, რომ ესაა რაღაც, რასაც მოფრთხილება სჭირდება, არსებითად ტაბუ გამოიხატება აკრძალვებსა და შეზღუდვებში. ჩვენი სიტყვით, შეთანხმება „წმინდა კრძალვა“ ხშირად თანხვდება ტაბუს.

ტაბუს შეზღუდვები სხვა არაფერია, თუ არა რელიგიური ან მორალური აკრძალვები. ისინი ღმერთის მცნებამდე კი არ დაიყვანებიან, არამედ თავისთავად იკრძალებიან. მორალური აკრძალვებისაგან ისინი განსხვავდებიან სისტემასთან მიუკუთვნებლობით, რომელიც საერთოდ თავშეკავებას მოითხოვს და ამ მოთხოვნისათვის საფუძველიც მოჰყავს. ტაბუს აკრძალვები ყოველგვარ დასაბუთებას მოკლებულია. მათი წარმოშობა უცნობია. მართალია, ისინი ჩვენთვის გაუგებარია, მაგრამ მათთვის, ვინც მათ ექვემდებარება, თავისთავად გასაგები ჩანან.

Wundt-ი ტაბუს კაცობრიობის უძველეს საკანონმდებლო კოდექსს უწოდებს. ფართოდაა გავრცელებული შეხედულება, რომ ტაბუ ღმერთებზე ძველია და ყველანაირი რელიგიის წინა პერიოდს უკავშირდება.

„რადგანაც ჩვენ ტაბუს შიუკერძოებელი აღწერა გვჭირდება, რათა მისი ფსიქოანალიტიკური კვლევა ჩავატაროთ, მე მომყავს ციტატა სტატიიდან „ტაბუ“ — „ენციკლოპედია ბრიტანიკადან“, რომლის ავტორიცაა ანთროპოლოგი Northeote W. Tomas.

„ზუსტად რომ ვთქვათ, ტაბუ მოიცავს მხოლოდ ა) პირის ან საგნის წმინდა (ან უწმინდურ) თვისებას; ბ) ამ თვისებიდან გამომდინარე შეზღუდვებს, რაობას და გ) სიწმინდეს (ან უწმინდურობას), რაც ამ აკრძალვის დარღვევის შედეგია. ტაბუს საწინააღმდეგო რამ პოლინეზიაში „noa“-ა, რაც ნიშნავს „ჩვეულს“ ან „საერთოს“...

„ამასთან განირჩევა ტაბუს ცალკეული სახეები: 1. ბუნებრივი ანუ პირ-

---

* წყაროდან: З. Фрейд, Тотем и Табу, М.-П., 1915, с. 32—35.

დაპირი ტაბუ, რომელიც რომელიმე პირთან ან რაიმე ნივთთანაა დაკავშირებული და ზებუნებრივი ძალის (Mana) შედეგია; 2. გადმოცემული, ანუ არაპირდაპირი ტაბუ, რომელიც იმავე ძალისაგან მომდინარეობს, მაგრამ ა) შეძენილია ან ბ) ღვთისმსახურების, ბელადის ან სხვა ვინმეს მიერ არის გადმოცემული; დაბოლოს 3. ტაბუ, რომელიც საშუალო საფეხურია ამ ორი სახის ტაბუს შორის, კერძოდ, როდესაც ორივე ფაქტორია მხედველობაში, მაგალითად, როდესაც მამაკაცი ითვისებს თავისთვის ქალს. სახელწოდება ტაბუ იხმარება აგრეთვე რიტუალის სხვა შეზღუდვებთან, ოღონდ ყველაფერი, რასაც შეიძლება რელიგიური აკრძალვა ვუწოდოთ, ტაბუს არ მიეკუთვნება".

„ტაბუს მიზნები მრავალმხრივია. პირდაპირი ტაბუს მიზანია: ა) დაიცვას მნიშვნელოვანი პირები, ბელადები, მღვდლები, საგნები და ა. შ. შესაძლო დაზიანებისაგან; ბ) დაიცვას სუსტები — ქალები, ბავშვები და საერთოდ ჩვეულებრივი ადამიანები — ძლევამოსილი Mana-სგან (მაგიური ძალისაგან); გ) ღვთისმსახურები და ბელადები; დაიცვას საშიშროებისაგან, რაც დაკავშირებულია გვამებთან ან საკვების შეხებასთან და ა. შ.; დ) დაიცვას მნიშვნელოვანი სასიცოცხლო აქტები, როგორიცაა მშობიარობა, ზრდასრული მამაკაცის განდობა, ქორწინება, სექსუალური ქმედება; ე) დაიცვას ადამიანები ღმერთებისა და დემონების ძალის ან რისხვისაგან, ვ) დაიცვას დაუბადებელი და პატარა ბავშვები სხვადასხვა საშიშროებისაგან, რაც მათ ემუქრებათ მათი მშობლებისაგან სიმპათიური დამოკიდებულების შედეგად, მაგალითად, თუ მშობლები ასრულებენ ისეთ მოქმედებებს ან იღებენ ისეთ საკვებს, რაც ბავშვებს განსაკუთრებულ თვისებებს მიანიჭებს. ტაბუს მეორე გამოყენებაა, დაიცვას რომელიმე პირის საკუთრება, მისი იარაღი, მისი მინდორი ქურდებისაგან" და ა. შ.

„ტაბუს დარღვევისათვის დასჯა თავდაპირველად შინაგანი ავტომატურად მოქმედი ორგანიზაცია იყო. დარღვეული ტაბუ შურს თავად იძიებს. თუკი ტაბუსთან დაკავშირებულია ღმერთები და დემონები, მაშინ მათი ძალმოსილებისაგანაა მოსალოდნელი ავტომატური დასჯა. სხვა შემთხვევებში, როგორც ჩანს, ცნების შემდგომი განვითარების შედეგად, საზოგადოება თავის თავზე იღებს ურჩის დასჯას, რომლის დანაშაულიც თანამომეთათვის საფრთხეს შეიცავს. ამგვარად, კაცობრიობის პირველი დასჯის სისტემები ტაბუსთანაა დაკავშირებული".

ვინც დაარღვია ტაბუ, ამის წყალობით თავად იქცა ტაბუდ. ტაბუს დარღვევის შედეგად მოსალოდნელი საშიშროებანი შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული მონანიებისა და რელიგიური ცერემონიების დახმარებით.

„ტაბუს წყაროდ ითვლება განსაკუთრებული ჯადოსნური ძალა, რომელიც ადამიანებსა და სულებშია და მათგან შეიძლება გადატანილ იქნეს უსულო საგნების მეშვეობით. პირები ან საგნები, რომლებიც ტაბუს წარმოადგენენ, შეიძლება შევადაროთ ელექტროობით დამუხტულ საგნებს; მათში საშინელი ძალაა თავმოყრილი, რომელიც მიკარებისას ელინდება საშინელი მოვლენის სახით, თუკი ის ორგანიზმი, რომელიც განმუხტვას იწვევს, მეტად სუსტია იმისათვის, რომ მას გაუმკლავდეს. ამიტომ ტაბუს დარღვევის შედეგი მარტო ტაბუ — ობიექტის მაგიური ძალის ინტენსიობაზე კი არაა დამოკიდებული. არამედ Mana-ს ძალაზეც, რომელიც ამ ძალას ეწინააღმდეგება დამნაშავეში. ასე მაგალითად: მეფეები და ღვთისმსახურები ფლობენ საშიშ ძალას და მათთან უშუალო შეხება სიკვდილს ნიშნავს მათი ქვეშევრდომებისათვის. მაგრამ მინისტრს ან სხვა პირს, ვინც Mana-ს ჩვეულებრივზე მეტი ზომით ფლობს, შე-

უძლიათ მათთან ურთიერთობაში იყვნენ და, თავის მხრივ, ამ შუამავლებს შეუძლიათ სიახლოვის ნება დართონ თავიანთ ქვეშევრდომებს საშიშროების დატეხვის გარეშე. ასევე გადაცემული ტაბუ თავისი მნიშვნელობით დამოკიდებულია იმ პირის Mana-ზე, რომლისგანაც იგი მომდინარეობს, თუ ტაბუს ადებს მეფე ან ღვთისმსახური, იგი უფრო მოქმედია, ვიდრე ტაბუდადებული ჩვეულებრივი ადამიანი".

ტაბუს გადაცემა იყო, როგორც ჩანს, ის თავისებურება, რომელმაც საბაბი მისცა მის აღკვეთას გამოსყიდვის ცერემონიის საშუალებით.

„ტაბუ არსებობს მუდმივი და დროებითი. ღვთისმსახურები და ბელადები, ასევე გარდაცვლილები და ყველაფერი, რაც მათ ეკუთვნოდათ, პირველი სახის ტაბუს მიეკუთვნებიან. დროებითი ტაბუ უკავშირდება ცნობილ მდგომარეობებს, მენსტრუაციას და მშობიარობას, მეომრის წოდებას ლაშქრობამდე და ლაშქრობის შემდეგ, მეთევზის, მონადირის და ა. შ. საქმიანობას. საერთო ტაბუ შეიძლება ასევე გავრცელებული იყოს დიდ რაიონზე საეკლესიო ინტერდიქტის მსგავსად და უცვლელი იყოს წლების მანძილზე".

ა) ტოტემიზმის წარმოშობა

საკითხი ტოტემიზმის წარმოშობის შესახებ შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: როგორ მივიდნენ პრიმიტიული ადამიანები იქამდე, რომ თავიანთ თავს (თავიანთ ტომებს) ცხოველთა, მცენარეთა და უსულო საგანთა სახელები მიანიჭეს?

შოტლანდიელმა Mac Lenan-მა, რომელმაც აღმოაჩინა მეცნიერებისათვის ტოტემიზმი და ეგზოგამია, თავი შეიკავა რაიმე მოსაზრებისაგან, რაც ტოტემიზმის წარმოშობას შეეხებოდა. A. Langa-ს მიხედვით, იგი გარკვეული პერიოდი ტოტემიზმის წარმოშობას ტატუირების ჩვეულებას უკავშირებდა. ტოტემიზმის წარმოშობის შესახებ გამოქვეყნებულ თეორიებს მე სამ ნაწილად დავყოფდი, ესენია: α) ნომინალისტური, β) სოციოლოგიური და γ) ფსიქოლოგიური.

α) ნომინალისტური თეორიები

ამ თეორიების გადმოცემისას დავინახავთ, რომ მიზანშეწონილია მათი ერთი თავის ქვეშ გაერთიანება.

უკვე Gazcilaso de la Vega, პერუელი ინკების შთამომავალი, რომელმაც XVII საუკუნეში დაწერა თავისი ხალხის ისტორია, ტოტემისტური ფენომენების არსებობა ახსნა ტომების მოთხოვნილებით, განსხვავებულიყვნენ ერთმანეთისაგან სახელებით. ასი წლის შემდეგ იგივე აზრი გაუჩნდა ეთნოლოგ A. R Keane-ს: ტოტემები წარმოიშვნენ „heraldic badges"-დან (ღერბების აღნიშვნებიდან), რომლის საშუალებითაც ოჯახები და ტომები ცდილობდნენ განსხვავებულიყვნენ ერთმანეთისაგან.

Max Müller-მა იგივე აზრი გამოთქვა ტოტემის მნიშვნელობაზე თავის „Contribytions to the science of mythology". ტოტემი წარმოადგენს: 1) კლანის აღმნიშვნელს, 2) კლანის სახელს, 3) კლანის წინაპრის სახელს, 4) კლანის მიერ თაყვანისცემი საგნის სახელს. მოგვიანებით, 1899 წელს I. Pikler-ი წერდა: ადამიანები საჭიროებენ მუდმივად წერილობით ფიქსირებად სახელს თანამეგობრობებისა და ინდივიდებისათვის... ამგვარად, ტოტემიზმი რელიგიიდან კი არ მომდინარეობს, არამედ კაცობრიობის საღი, ყოველდღიური მოთხოვნილებიდან. ტოტემიზმის ბირთვი, დასახელება, წერის პრიმიტიული ტექ-

ნიკის შედეგია. ტოტემის ხასიათი შეესატყვისება წერილობით იოლად გამოსახატავ ნიშანს. მაგრამ რადგანაც ველურები ცხოველების სახელებს ატარებდნენ, მივიდნენ დასკვნამდე, რომ მათ ამ ცხოველთან ნათესაური კავშირები გააჩნიათ.

Herbert Spencer-იც გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა დასახელებას ტოტემიზმის წარმოშობაში. მისი თქმით, ცალკეული ინდივიდები თავიანთი თავისებურებების წყალობით ითხოვდნენ, რომ მათთვის მიეცათ ცხოველთა სახელები, და ამგვარად მიიღეს საპატიო სახელები ან მეტსახელები (თიკუნები — ს. ჯ.), რომლებიც მათ შთამომავლებსაც გადაეცათ. პრიმიტიული ენების გაურკვეველობის გამო ეს მეტსახელები მომდევნო თაობების მიერ გაგებულ იქნა, როგორც მტკიცება ამა თუ იმ ცხოველიდან მათი წარმოშობისა. ამგვარად, ტოტემიზმი წინაპართა გაუგებარ თაყვანისცემად იქცა.

სწორედ ასევე მსჯელობს ტოტემიზმის წარმოშობაზე Lord Avebury (უფრო მეტად ცნობილი თავისი ძველი სახელით John Lubbock), თუმცა ხაზს არ უსვამს იმას, რასაც გულისხმობს: თუკი ჩვენ გვსურს ავხსნათ ცხოველთა თაყვანისცემა, ჩვენ არ უნდა დავიიწყოთ თუ რამდენად ხშირადაა ნასესხები ადამიანთა სახელები ცხოველებისაგან. იმ ადამიანის შვილებსა და შთამომავლებს, რომელსაც დათვს ან ლომს უწოდებენ, რასაკვირველია, აქედან გამოჰყავდათ ტომის სახელი. აქედან გამომდინარეობდა, რომ თვითონ ცხოველი ზდებოდა გარკვეული პატივისცემისა და ბოლოს თაყვანისცემის ობიექტი.

ტოტემის ინდივიდთა სახელით ახსნის ჩვენი შეხედულებით უეჭველი უარყოფა მოგვცა Fison-მა, ავსტრალიური მონაცემების მიხედვით. მან გვიჩვენა, რომ ტოტემი ყოველთვის ადამიანთა ჯგუფის ნიშანია და არასოდეს მხოლოდ ერთი ადამიანისა. სხვანაირად რომ იყოს და ტოტემი რომ ერთი ადამიანის სახელი იყოს, დედობრივი მემკვიდრეობითობის სისტემის ბატონობის პირობებში ეს სახელი ვერასოდეს ვერ გადაეცემოდა მის შვილებს.

თუმცა, აქამდე მოწოდებული თეორიები აშკარად დაუსაბუთებელია (უსაფუძვლოა). ისინი ხსნიან პრიმიტიული ხალხების ტომთა ცხოველების სახელების დარქმევის ფაქტს, მაგრამ ვერ ხსნიან იმ მნიშვნელობას, რაც მიიღო ამ დასახელებამ — ტოტემისტურ სისტემას. ამ ჯგუფის თეორიისაგან ყველაზე ყურადსაღებია A. Lang-ის თეორია, რომელიც გადმოცემულია მის წიგნებში — Social origins (სოციალური საწყისები) 1903 წ. და The secret of the Totem (ტოტემის საიდუმლოება) 1905 წ. ეს თეორია პრობლემის არსს ჯერ კიდევ დასახელებაში ხედავს, მაგრამ აყენებს ორ საინტერესო ფსიქოლოგიურ მომენტს და ამგვარად ტოტემიზმის საიდუმლოს საბოლოო ახსნაზე აცხადებს პრეტენზიას.

A. Lang-ი თვლის, რომ არა აქვს მნიშვნელობა თავდაპირველად როგორ მივიდნენ კლანები ცხოველთა სახელებამდე. დავუშვათ, ერთ მშვენიერ დღეს, მათში გაიღვიძა შეგნებამ, რომ მათ ასეთი სახელი აქვთ, მაგრამ რატომ — ამის ახსნა არ შეეძლოთ. **ამ სახელების წარმოშობა დავიწყებულია.** ასეთ შემთხვევაში ისინი ალბათ ცდილობდნენ სხვადასხვა გზით შეეტყოთ რაიმე ამის შესახებ და იმ რწმენის არსებობის შემთხვევაში, რომ ამ სახელებს მნიშვნელობა აქვთ, ისინი უნდა მისულიყვნენ იმ აზრებამდე, რომლებიც ტოტემისტურ სისტემას შეადგენენ. პრიმიტიული ხალხებისათვის, ისევე როგორც თანამედროვე ველურებისა და ჩვენი შვილებისათვის, სახელები არ წარმოადგენენ რაღაც უმნიშვნელო და პირობით რამეს, როგორც ეს ჩვენ გვგონია, არა-

მედ რაღაც მნიშვნელოვანსა და არსებითს. ადამიანის სახელი მისი პიროვნების ძირითად შემადგენელ ნაწილს და შესაძლებელია მისი სულის ნაწილსაც კ ქმნიდეს. ცხოველთან საერთო სახელის ქონას პრიმიტიული ხალხები უნდ მიეუვანა აზრამდე, რომ არსებობს საიდუმლო (გამოუცნობი, აუხსნელი — ს. ჭ.) და მნიშვნელოვანი კავშირი ამ ცხოველის მოდგმასა და მათ პიროვნებას შორის. სხვა რა სახის კავშირი შეიძლებოდა ეს ყოფილიყო, თუ არა სისხლისმიერი ნათესაობა? რადგანაც სახელის მსგავსების საფუძველზე დასაშვები იყო ასეთი ნათესაობის არსებობა, მაშინ როგორც სისხლისმიერი ტაბუს პირდაპირი შედეგი, აქედან გამომდინარეობდა ყველა ტოტემისტური მითითება, ეგზოგამიის ჩათვლით.

სწორედ ეს სამი რამ — გაურკვეველი წარმომავლობის ჯგუფი ცხოველთა სახელებისა, ერთი და იგივე სახელის ყველა მატარებელი — ადამიანთა და ცხოველთა შორის უზენაესი კავშირის არსებობის რწმენა, სისხლის ზნეობრივი მნიშვნელობის რწმენა — იწვევდა ყველა ტოტემურ წარმოდგენასა და ქმედებას, ეგზოგამიის ჩათვლით (The Secret of the Totem, გვ. 126).

Lang-ის ახსნა იყოფა, ასე ვთქვათ, ორ პერიოდად დროის თვალსაზრისით. მისი თეორიის ერთი ნაწილი ტოტემისტურ სისტემას ფსიქოლოგიურ აუცილებლობით ხსნის, ტოტემის დასახელების ფაქტიდან გამომდინარე, იმ პირობით, რომ დავიწყებულია ამ დასახელების წარმომავლობა. თეორიის მეორე ნაწილი კი ცდილობს გაარკვიოს ამ სახელების წარმომავლობა. ჩვენ ვნახავთ, რომ იგი სრულიად სხვა ხასიათისაა.

Lang-ის თეორიის ეს მეორე ნაწილი არსებითად დიდად არ განსხვავდება სხვა, ჩემ მიერ „ნომინალისტურად" წოდებული თეორიებისაგან. განსხვავების პრაქტიკულმა მოთხოვნილებებმა აიძულეს ცალკეული ტომები, აეღოთ სახელები, და ამიტომ ისინი თანხმდებოდნენ იმ სახელებზე, რომლებსაც მათ სხვა ტომები აძლევდნენ. ეს „naming from without" (დასახელება გარედან — ს. ჭ.) შეადგენს Lang-ის კონსტრუქციის თავისებურებას. არაფერია საოცარი იმაში, რომ ასეთი გზით მიღებული სახელები ცხოველებისაგან იყო ნასესხები და პრიმიტიულ ხალხებს არ შეიძლებოდა ისინი ლანძღვად ან დაცინვად მიეღოთ. თუმცა, Lang-მა მიუთითა არა ერთეულ შემთხვევებზე, ისტორიის უფრო მოგვიანო პერიოდებში, როდესაც სხვების მიერ თავდაპირველად სწორედ დაცინვის მიზნით შერქმეული სახელები მიღებულ იქნენ იმათ მიერ, ვისაც ისინი დაარქვეს და სიამოვნებითაც ატარებდნენ მათ (გეზები, ვიგები და ტორები). შეხედულება, რომ ამ სახელთა წარმოშობა დროთა ვითარებაში დავიწყებულ იქნა, Lang-ის თეორიის მეორე ნაწილს უკავშირდება, გადმოცემულ მანამდე.

β) სოციოლოგიური თეორიები

S. Reinach-მა, რომელიც წარმატებით იკვლევდა ტოტემისტური სისტემის ნარჩენებს მოგვიანო პერიოდების კულტსა და შეხედულებებში, მაგრამ ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა ტოტემის ცხოველიდან წარმოშობის მომენტს, ერთ ადგილას უშიშრად განაცხადა, რომ ტოტემიზმი მას მხოლოდ სოციალური ინსტინქტის ჰიპერტროფიად ესახება („une hypertrophie de l'instinct social").

იგივე შეხედულება გამოსჭვივის E. Durkheim-ის ახალ ნაშრომში Les formes élementaires de la vie religieuse. Le système totémigue en Australie, 1912 წ. (რელიგიის ელემენტარული ფორმები. ტოტემური სისტემა ავსტ-

რალიაში). ტოტემი ამ ხალხების სოციალური რელიგიის აშკარა წარმომადგენელია. იგი განასახიერებს საზოგადოებრიობას, რაც თაყვანისცემის ნამდვილ საგანს წარმოადგენს.

სხვა ავტორები ცდილობდნენ უფრო დეტალურად დაესაბუთებინათ შეხედულება ტოტემისტური ინსტიტუტების წარმოშობაში სოციალური მისწრაფებების მონაწილეობის შესახებ. მაგალითად, A. C. Haddon-ი თვლიდა, რომ თავდაპირველად ყოველი პრიმიტიული ტომი იკვებებოდა ცხოველთა და მცენარეთა გარკვეული ჯიშებით, შეიძლება ეწეოდა კიდეც ამ საკვები პროდუქტებით ვაჭრობას და სხვა ტომებს უცვლიდა მათ. ამგვარად, შესაძლებელია ტომები ცნობილი ხდებოდნენ სხვა ტომებისათვის იმ ცხოველთა სახელით, რომელიც ასეთი მნიშვნელოვანი იყო მათ ცხოვრებაში. ამასთანავე ამ ტომს უნდა განვითარებოდა განსაკუთრებული სიახლოვე ამ ცხოველთან და გარკვეული ინტერესიც მის მიმართ, რაც დაფუძნებული იყო მხოლოდ ერთ ფსიქიკურ მოტივზე, ყველაზე ელემენტარულ და აუცილებელ ადამიანურ მოთხოვნაზე — შიმშილზე.

ტოტემის ყველა თეორიათაგან ამ ყველაზე რაციონალური თეორიის საწინააღმდეგოდ მიუთითებენ, რომ არსად არაა აღმოჩენილი კვების ასეთი მდგომარეობა პრიმიტიულ ხალხებში, და ალბათ ეს ასე არც არასოდეს არ ყოფილა. ველურები ყველაფერს ჭამენ და, მით უმეტეს, რაც უფრო დაბალია მათი განვითარების დონე. ამასთან გაუგებარია, ასეთი დიეტისაგან როგორ შეიძლება განვითარებულიყო თითქმის რელიგიური დამოკიდებულება ტოტემისადმი, რაც უმაღლეს გამოხატულებას პოვებს ყოველგვარი საკვებისაგან თავის შეკავებაში.

ტოტემიზმის წარმოშობის შესახებ Frazer-ის მიერ გამოთქმული სამი თეორიიდან პირველი ფსიქოლოგიური იყო. მეორე თეორია, რომელზეც აქ გვექნება საუბარი, წამოიჭრა ცენტრალური ავსტრალიის აბორიგენების შესახებ ორი მკვლევრის მიერ გამოქვეყნებული მნიშვნელოვანი შრომების შთაბეჭდილების შედეგად.

Spencer-მა და Gillen-მა აღწერეს ტომის ერთი ჯგუფის ეგრეთ წოდებული Arunta-ს ერის რიგი უცნაური ჩვეულებები, ინსტიტუტები და შეხედულებები და Frazer-ი დაეთანხმა მათ აზრს, რომ ამ თავისებურებებში უნდა დავინახოთ პირველსაწყისი მდგომარეობა, და რომ მათ შეუძლიათ ახსნან ტოტემიზმის თავდაპირველი და ნამდვილი არსი.

Arunta-ს ტომის (Arunta-ს ერის ნაწილის) ეს თავისებურებანი შემდეგში მდგომარეობს:

1. იგი იყოფა ტოტემის კლანებად, მაგრამ ტოტემი მემკვიდრეობით კი არ გადადის, არამედ ინდივიდუალურად აირჩევა (არჩევის ხერხის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი);

2. ტოტემის კლანები არაეგზოგამიურია. საქორწინო შეზღუდვები ყალიბდება მაღალგანვითარებულ საქორწინო კლასებად დაყოფის წყალობით და არაფერი აქვს საერთო ტოტემთან;

3. ტოტემური კლანის ფუნქციაა შეასრულოს ცერემონიალი, რომლის მიზანიცაა მაგიური გზით შეუწყოს ხელი საკვებად ეარგისი ტოტემური ობიექტის გამრავლებას (ამ ცერემონიალს ჰქვია ინტიჩიუმა — Intichiuma);

4. Arunta-ს გააჩნია თავისებური თეორია ჩასახვისა და აღდგენის შესახებ. ისინი თვლიან, რომ მათი ქვეყნის გარკვეულ ადგილებში ერთი და იმავე ტოტემის გარდაცვლილ წევრთა სულები ელიან თავიანთ აღდგენას და აღწევენ

იმ ქალთა სხეულებში, რომლებიც ამ ადგილებთან გაიკლიან. ბავშვის გაჩენის შემთხვევაში დედა უთითებს სულთა იმ სამყოფელს, რომლისგანაც, მისი აზრით, მას ჩაესახა ბავშვი. ამის მიხედვით ისაზღვრება ბავშვის ტოტემიც. ასევე ითვლება, რომ სულები (გარდაცვლილთა და აღდგენილთა) დაკავშირებული არიან თავისებური ქვის ამულეტებით (სახელად Churinga (ჩურინგა), რომლებიც ამ სამყოფელშია.

როგორც ჩანს, ორმა მომენტმა გადააწყვეტინა Frazer-ს, რომ Arunta-ს ინსტიტუტებში ტოტემიზმის უძველესი ფორმებია დაცული. ჯერ ერთი სხვადასხვა მითების არსებობა, რომლებიც ამტკიცებენ, Arunta-ს წინაპრები ყოველთვის თავიანთი ტოტემით იკვებებოდნენ და მხოლოდ თავიანთი ტოტემის ქალებზე ქორწინდებოდნენ. მეორეც, ის გარემოება, რომ მათ შეხედულებაზე ჩასახვის შესახებ სქესობრივი აქტი მეორე პლანზეა გადაწეული. ადამიანები, რომლებმაც ჯერ არ იციან, რომ ჩასახვა სქესობრივი აქტის შედეგია, შეიძლება მივიჩნიოთ კაცობრიობის ყველაზე ჩამორჩენილ და პრიმიტიულ წარმომადგენლებად.

ტოტემიზმის შესახებ თავისი მსჯელობის ინტიჩიუმა-ს ცერემონიალზე დაყრდნობით Frazer-მა ტოტემისტური სისტემა განსხვავებულად დაინახა, როგორც აბსოლუტურად პრაქტიკული ორგანიზაცია ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად (შეადარე ზემოთ მოყვანილ Haddon-ის თეორიას). სისტემა აღმოჩნდა უბრალოდ გრანდიოზული „cooparatif magic" (მაგიური კოოპერატივი). პრიმიტიულმა ხალხებმა ჩამოაყალიბეს, ასე ვთქვათ, მაგიური საწარმოო-მომზმარებლური საზოგადოება. ტოტემის ყოველმა კლანმა თავის თავზე აიღო ამოცანა ეზრუნათ გარკვეული საკვები საშუალებების საკმარის რაოდენობაზე. თუ საქმე ეხებოდა საკვებად უვარგის ტოტემს, მაგალითად, როგორიც იყო მავნე ცხოველები, წვიმა, ქარი და ა. შ., მაშინ ტოტემური კლანის ამოცანა იყო, დაემორჩილებინათ ბუნების ეს ნაწილი და აეცდინათ მისგან ზიანი. ყოველი კლანის მიღწევა სხვისთვის სასარგებლო იყო, რადგანაც კლანს არ შეეძლო ეჭამა ტოტემი, ან შეეძლო გამოეყენებინა მხოლოდ მისი მცირედი ნაწილი და იგი ამ ძვირფას პროდუქტს სხვებისთვის მოიპოვებდა, მათგან კი მარაგდებოდა იმით, რაც მათ უნდა მოეპოვებინათ მათი სოციალურ-ტოტემისტური მოვალეობის შესაბამისად. Intichium-ის ცერემონიაზე დაფუძნებული ამ შეხედულების მიხედვით Frazer-ს ეგონა, რომ ტოტემის ჭამის აკრძალვამ დაჩრდილა და უკანა პლანზე გადაწია ურთიერთობის უფრო მნიშვნელოვანი მხარე, კერძოდ საკვებად ვარგისი, რაც შეიძლება მეტი ტოტემის მოპოვება სხვათა მოთხოვნილებისათვის.

Frazer-ი უშვებს, რომ Arunta-ს ყოველი ტოტემური კლანი, ტრადიციის მიხედვით, თავდაპირველად იკვებებოდა თავისი ტოტემით, შეზღუდვის გარეშე. მაგრამ მაშინ ძნელდება შემდგომი განვითარების გაგება, როცა კლანი კმაყოფილდებოდა იმით, რომ ტოტემით სხვას ამარაგებდა, თავად კი უარს ამბობდა მის მიღებაზე. Frazer-ის აზრით, ეს შეზღუდვა სულაც არ წარმოშობილა რელიგიური პატივისცემის წყალობით, არამედ იმ დაკვირვებიდან გამომდინარე, რომ არცერთი ცხოველი არ ჭამს თავის მსგავსს, ასე რომ, ტოტემთან გაიგივების ეს დარღვევა შეარყევდა ძალაუფლებას, რომლის მოპოვებაც სურდათ ტოტემზე. ან შეზღუდვა წარმოიშვა შისწრაფებიდან დაემსაზურებინათ იმ არსების კეთილგანწყობა, რომელსაც თვითონ დაინდობდნენ. მაგრამ Frazer-ი არ უმალავს თავს ამ ახსნის სიძნელეებს და არ ცდილობს მიუთითოს, თუ რა გზით იქცა ტოტემის საზღვრებში ქორწინების ჩვეულება, Arunta-ს მითიოებით დამტკიცებული, ეგზოგამიად.

Frazer-ის Intichiuma-ზე დამყარებული თეორია მთლიანად ეფუძნება Arunta-ს პრიმიტიული ბუნების ინსტიტუტების აღიარებას. მაგრამ Durkhiem-ისა და Lang-ის მიერ მოტანილი უარყოფის შემდეგ შეუძლებელი ჩანს ამის დამტკიცება. Arunta, პირიქით, როგორც ჩანს, თავიანთ განვითარებაში ყველა სხვა ავსტრალიურ ტომებზე უფრო შორს წავიდნენ და წარმოადგენენ უფრო ტოტემიზმის დაშლის სტადიას, ვიდრე მის საწყისს. მითები, რომლებმაც ასეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს Frazer-ზე, რადგანაც ისინი დღეს არსებული ინსტიტუტების საწინააღმდეგოდ ხაზს უსვამდნენ ნებართვას ეჭამათ ტოტემი და ექორწინათ ტოტემის საზღვრებში, ადვილად იხსნებიან როგორც ფანტაზიები, რომლებიც ოქროს საუკუნის შესახებ მითის მსგავსად გამოხატავენ სურვილს და პროეცირდებიან წარსულზე.

Y) ფსიქოლოგიური თეორიები

პირველი ფსიქოლოგიური თეორია Frazer-ისა, რომელიც ჯერ კიდევ Spencer-ისა და Gillen-ის დაკვირვებების გაცნობამდეა შექმნილი, ემყარება „შინაგანი სულის“ არსებობის რწმენას. ტოტემში წარმოადგენდა საიდუმლო სამალავს სულისათვის, იქ იგი იმალება, რათა თავი აარიდოს განსაცდელს თუ პრიმიტიული ადამიანი თავის სულს ტოტემში მალავდა, ამის წყალობით იგი თავადაც ხელშეუხებელი ხდებოდა, და რასაკვირველია თვითონ გაურბოდა ზიანის მიყენებას საკუთარი სულისათვის. რადგანაც მან არ იცოდა თუ ცხოველთა ჯიშის რომელი ეგზემპლარი იყო მისი სულის მატარებელი, მისთვის სავსებით ბუნებრივი იყო დაენდო მთელი ჯიში. მოგვიანებით Frazer-ს თვითონ უარყო აზრი ტოტემიზმის სულის რწმენიდან მომდინარეობა.

Spencer-ისა და Gillen-ის ნაშრომების გაცნობის შემდეგ მან შექმნა უკვე მოცემული სოციოლოგიური თეორია, მაგრამ შოგვიანებით თავად მივიდა დასკვნამდე, რომ მოტივი, საიდანაც მას ტოტემიზმი გამოჰყავდა, ერთობ „რაციონალური“ იყო და ამასთან გულისხმობდა რთული სოციალური ორგანიზაციის არსებობას, რასაც პრიმიტიულს ვერ ვუწოდებთ. მაგიური კოოპერატიული საზოგადოებები მას ახლა უფრო გვიანდელ წარმონაქმნად ეჩვენებოდა, ვიდრე ტოტემიზმის ჩანასახად. იგი ამ წარმონაქმნის უკან პრიმიტიული ცრურწმენის უფრო მარტივ ელემენტს ეძებდა, რათა იქიდან ამოეყვანა ტოტემიზმი. ეს პირველსაწყისი მომენტი მან იპოვა Arunta-ს ჩასახვის საოცარ თეორიაში.

როგორც უკვე ითქვა, Arunta უარყოფს ჩასახვის კავშირს სქესობრივ აქტთან. თუკი ქალი დედობას გრძნობს, ეს იმას ნიშნავს, რომ აღდგენის მომლოდინე რომელიმე სულმა უახლოესი სამყოფელიდან შეაღწია ქალის სხეულში და მის მიერ იშვება ბავშვის სახით. ამ ბავშვს იგივე ტოტემი აქვს, რაც იმ სულებს, რომლებიც გარკვეულ ადგილას შეეფარნენ. ჩასახვის ეს თეორია ვერ ხსნის ტოტემიზმს, რადგანაც წინასწარვე გულისხმობს მის არსებობას, მაგრამ თუ კიდევ ერთ ნაბიჯს გადავდგამთ უკან და დავუშვებთ, რომ ქალს თავდაპირველად სჯეროდა, რომ ცხოველი, მცენარე ან სხვა საგანი, რომელიც მისი ყურადღების საგანი იყო იმ მომენტში, როცა მან პირველად იგრძნო თავი დედად, მართლა შეეიდა მასში და შემდეგ კი იბადება ადამიანის ფორმით, მაშინ ადამიანის იდენტურობა მის ტოტემთან მართლაც მიიღებდა საფუძველს, დედის ამ რწმენის წყალობით და აქედან ადვილად გამომდინარეობს ყველა სხვა ტოტემური მცნება (ეგზოგამიის გამოკლებით). ადამიანი უარს იტყოდა ეჭამა ესა თუ ის ცხოველი თუ მცენარე, რადგან ასეთ შემთხვევაში თავის თავს შეჭამდა. მაგრამ მას ექნებოდა სურვილი ზოგჯერ განსაკუთრებული ცერემო-

ნიის სახით გაესინჯა თავისი ტოტემი. ამით იგი გაამყარებდა თავის იგივეობას ტოტემთან, რაც არის კიდეც ტოტემიზმის არსი. W. H. R. Rivers-ის დაკვირვებანი თითქოს ადასტურებენ ადამიანების პირდაპირ გაიგივებას მათ ტოტემთან ჩასახვის ასეთი თეორიის საფუძველზე.

ამგვარად, ტოტემიზმის ბოლო წყარო მდგომარეობდა ველურთა არცოდნაში, თუ როგორ აგრძელებენ გვარს ადამიანები და ცხოველები. განსაკუთრებით კი უცნობი იყო მამრის როლი განაყოფიერებისას. ეს არცოდნა მტკიცდებოდა განაყოფიერების აქტისა და ბავშვის დაბადებას (ან იმ მომენტს, როცა პირველად იგრძნობენ ბავშვის მოძრაობას) შორის არსებული ინტერვალის სიდიდით. ამდენად, ტოტემიზმი არის ნაყოფი არა მამაკაცური, არამედ ქალური სულისა. შის ფესვებს ქმნის ფეხმძიმე ქალის „სურვილები" (sick fancies). მართლაც, რაც მოსდის ქალს მისი ცხოვრების გამოუცნობ მომენტში, როცა იგი პირველად იგრძნობს თავს დედად, ადვილად შეიძლება გაუიგივდეს უკვე ბავშვს მის საშოში. დედის ასეთი ფანტაზიები, ასეთი ბუნებრივი და ფართოდ გავრცელებული. როგორც ჩანს, იყო ტოტემიზმის საფუძველი.

Frazer-ის ამ მესამე თეორიის საწინააღმდეგოდ იგივე არგუმენტები მოაქვთ, რაც მისი მეორე — სოციოლოგიური თეორიის საწინააღმდეგოდ. Arunta, როგორც ჩანს, ტოტემიზმის საწყისიდან შორს წავიდა მათ მიერ მამის როლის უარყოფა, როგორც ჩანს, არ ეფუძნება, პრიმიტიულ არცოდნას და ზოგიერთ შემთხვევაში მამის ხაზით მემკვიდრეობითობაც კი აქვთ. მათ. როგორც ჩანს, მამის როლის მნიშვნელობა მიუტანეს მსხვერპლად წინაპართა სულებიხ პატივისცემას. თუკი მითი სულის წყალობით უბიწო ჩასახვის შესახებ ჩასახვის საერთო თეორიად აქციეს, ძნელად შეიძლება მივაწეროთ მათ გვარის გაგრძელების პირობების არცოდნა, ისევე როგორც ქრისტიანული მითების გაჩენის ეპოქას ძველ ხალხებში.

ტოტემიზმის წარმოშობის სხვა თეორია შექმნა ჰოლანდიელმა G. A. Wilcken-მა. ეს თეორია ტოტემიზმის სულთა გადასახლებასთან ნაერთს წარმოადგენს: „ცხოველი, რომელშიც, ფართოდ გავრცელებული რწმენის მიხედვით, გადასახლდებოდნენ გარდაცვლილთა სულები, იქცეოდა სისხლით ნათესავად, წინაპრად და ასევე სცემდნენ თაყვანს". მაგრამ სულთა ცხოველებში გადასახლების რწმენა თვითონ უნდა იყოს ტოტემიზმიდან წარმოშობილი და არა პირიქით.

შესანიშნავი ამერიკელი ეთნოლოგები Fr. Boas-ი, Hill-Tout-ი და სხვები, ტოტემიზმის სხვა თეორიას იზიარებენ. იგი გამომდინარეობს ინდიელთა ტოტემურ ტომებზე დაკვირვებისაგან და ამტკიცებს, რომ ტოტემი თავდაპირველად იყო წინაპრის სული — მფარველი, რომელიც მას ძილში გამოეცხადა და ამ წინაპარმა იგი შთამომავლებს მემკვიდრეობით გადასცა. ჩვენ ადრე უკვე ვნახეთ, თუ რა ძნელია ტოტემიზმის ახსნა ერთი ადამიანის მემკვიდრეობითობით, ამასთან ავსტრალიური დაკვირვებანი არ იძლევიან საფუძველს ტოტემის სულ-მფარველთან გაიგივებისას.

Wundt-ის მიერ გამოთქმული ბოლო ფსიქოლოგიური თეორიისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა იმ ფაქტებს ჰქონდათ, რომ ჯერ ერთი, ტოტემის პირველსაწყისი და ყველაზე გავრცელებული ობიექტი ცხოველი იყო, და მეორეც, რომ ტოტემთა შორის ცხოველების პირველსაწყისები ცხოველ-სულები იყო. ცხოველი-სულები — ჩიტები, გველი, ხვლიკი, თაგვი, მოძრაობის უნარის წყალობით, ჰაერში ფრენისა და სხვა თვისებების მეოხე-

ბით, ქმნიან უჩვეულო და საზარელ შეგრძნებას და ყველაზე შესაფერისი არიან, რათა სწორედ მათში დაინახონ ის არსებანი, რომლებშიც სახლდება სულა სხეულის დატოვების შემდეგ. ცხოველი-ტოტემი, სულის ცხოველში გადასახლების დერივატს წარმოადგენს. ამგვარად, Wundt-ისათვის ტოტემიზმი ერწყმის უშუალოდ სულების რწმენას, ანუ ანიმიზმს.

ეგზოგამიის წარმოშობა და მისი მიმართება ტოტემიზმთან*

საკმაოდ დაწვრილებით გადმოვეცი ტოტემიზმის თეორია და მაინც არის საშიშროება, რომ შთაბეჭდილება არასრული იქნება. მკითხველთა ინტერესებიდან გამომდინარე, შემდგომ კითხვებთან დაკავშირებით თავს ნებას მივცემ უფრო მოკლედ მოგახსენოთ. ტოტემური ხალხების ეგზოგამიის შესახებ კამათი განსაკუთრებით რთულდება, ფართოვდება და შეიძლება ითქვას იბნევა, იმ მასალის ხასიათის გამო, რითაც გვიხდება ოპერირება. ამ სტატიის მიზანია მომეცეს საშუალება მოკლედ განვიხილო ზოგიერთი მთავარი მიმართულება და საგნის უფრო საფუძვლიანი კვლევისათვის მივუთითო სპეციალური ლიტერატურა.

ავტორის პოზიცია ეგზოგამიის მიმართ დამოკიდებულია ტოტემის ამა თუ იმ თეორიისადმი მიმართებაზე. ტოტემის ახსნის ზოგიერთი თეორია აბსოლუტურად მოწყვეტილია ეგზოგამიას და ორივე ინსტიტუტი უბრალოდ ერთმანეთისაგან გამოყოფილია. ასე რომ, აქ ორი შეხედულება უპირისპირდება ერთმანეთს — ერთი, რომ ეგზოგამია ტოტემიზმის შემადგენელი ნაწილია და მეორე, რომელიც უარყოფს ამ კავშირს და უშვებს ამ ორი ინსტიტუტის შემთხვევით თანხვედრას. Frazer-ი თავის ბოლო ნაშრომებში ამ უკანასკნელ აზრს ატარებს: „მე მიხდება ვთხოვო მკითხველს, არ გაუშვას მხედველობიდან, რომ ორივე ინსტიტუტი — ტოტემიზმი და ეგზოგამია სრულიად დამოუკიდებელი არის წარმოშობისა და თავისი ბუნების თვალსაზრისით, თუმცა ზოგიერთ ტომში ისინი შემთხვევით ერევიან ერთმანეთს“ (Totem and Ex. I).

იგი ამტკიცებს, რომ საწინააღმდეგო აზრი სიბნელისა და გაუგებრობაა შედეგია. ამის საწინააღმდეგოდ სხვა ავტორებმა ეგზოგამია უცილობლად ტოტემისტური შეხედულებების შედეგად მიიჩნიეს. Durkheim-მა თავის შრომებში მიუთითა, თუ ტოტემთან დაკავშირებულმა ტაბუმ როგორ მოიტანა აკრძალვა სქესობრივი აქტისათვის იმავე ტოტემის ქალთან. ტოტემი იმავე სისხლისაა, რაც ადამიანს აქვს, ამიტომ სიკვდილით დასჯის შიშით (მხედველობაში მიიღება დეფლორაცია და მენსტრუაცია) აკრძალულია იმავე ტოტემის ქალთან სქესობრივი ურთიერთობა. ამ საკითხში A. Lang-ი ეთანხმება Durkheim-ის აზრს და იმასაც თვლის, რომ არაა საჭიროება სისხლისმიერ ტაბუში აიკრძალოს იმავე გვარის ქალებთან ქორწინება. ტოტემის საერთო ტაბუ, რომელიც, მაგალითად, კრძალავს ტოტემის ხის ჩრდილის ქვეშ ჯდომას, სავსებით საკმარისი იქნებოდა. A. Lang-ი ამასთანავე იცავს ეგზოგამიის წარმოშობის სხვა თეორიას (იხ. ქვემოთ) და ეჭვის ქვეშ აყენებს ამ ორივე ახსნის ურთიერთმიმართებას.

რაც შეეხება ისტორიულ თანმიმდევრობას, ავტორთა უმრავლესობა იმ

---

* წიგნიდან: З. Фрейд. Тотем и Табу, М.—П., 1915, с. 129—136.

ახრს გთანხმება, რომ ტოტემიზმი უფრო ძველი ინსტიტუტია და რომ ეგზოგამია მას გვიან შეუერთდა.

ეგზოგამიის ტოტემიზმისაგან დამოუკიდებლად ახსნის თეორიებიდან მივუთითებთ მხოლოდ რამდენიმეს, რომელნიც სხვადასხვა ავტორის განსხვავებულ დამოკიდებულებას გვიჩვენებს ინცესტისადმი.

Mac Lennan-ი გონებამახვილურად ხსნის ეგზოგამიას, როგორც ძველად არსებული ქალების მოტაცების ჩვეულების ნარჩენს. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ პირველყოფილობის პერიოდში საერთოდ აღიარებული ჩვეულება იყო, მოეპოვებინათ ქალები სხვა გვარისაგან და საკუთარი გვარის ქალთან ქორწინება თანდათან აიკრძალა, რადგანაც უჩვეულო იყო. ეგზოგამიის ამ ჩვეულების მოტივს იგი ეძებდა ქალების სიმცირეში პრიმიტიულ ხალხებში იმის გამო, რომ ახალშობილი გოგონების უმეტესობას ისინი კლავდნენ. ამჯერად ჩვენ არ გვაინტერესებს, თუ რამდენად სწორია Mac Lennan-ის მოსაზრებანი ფაქტიური მასალის მიხედვით. უფრო საინტერესოა დასკვნა, რომ, თუ დავუშვებთ, ავტორი სწორია, მაინც აუხსნელი რჩება, რატომ ამბობენ მამაკაცები უარს თავიანთი გვარის მცირერიცხოვან ქალებზე და რატომ არ მიიღება მხედველობაში ინცესტის პრობლემა.

ამის საწინააღმდეგოდ და უფრო მეტი უფლებით სხვა ავტორები ეგზოგამიას ინცესტის თავიდან აცილების ინსტიტუტად თვლიან.

თუ გადავხედავთ ქორწინების შეზღუდვის თანდათანობით გაზრდილ სირთულეებს, მოგვიწევს დავეთანხმოთ Morgan-ს, Frazer-ს, Howitt-ს, Baldvin-ს, Spencer-ს, რომ ეს ინსტიტუტები წინასწარგააზრებული მიზანშეწონილი ხასიათის არიან („deliberate design" Frazer-ის მიხედვით), და მათ უნდა მიეღწიათ იმისათვის, რასაც რეალურად ესწრაფოდნენ. „არ არსებობს სხვა გზა, ერთდროულად ასეთი რთული და ზუსტი სისტემების დეტალებში ახსნისა".

საინტერესოა აღინიშნოს, რომ პირველი შეზღუდვები ეხებოდა უმცროსი თაობების სექსუალურ თავისუფლებას, ე. ი. ინცესტს და-ძმებს შორის და ვაჟებსა და დედებს შორის, მაშინ როცა ინცესტი მამებსა და ქალიშვილებს შორის მხოლოდ გარკვეული ღონისძიებების შემდეგ აიკრძალა.

მაგრამ სექსუალობის ეგზოგამიური აკრძალვების ახსნა წინასწარი კანონმდებლობით არაფერს არ გვაძლევს ამ ინსტიტუტების შემქმნელი მოტივების გასაგებად. საიდან მოდის ინცესტის შიში, რაშიც, უნდა ვაღიაროთ, დევს ეგზოგამიის საფუძველი? ამ შემთხვევაში არაა საკმარისი, მივუთითოთ ინსტინქტურ ზიზღზე, დაამყარონ სექსუალური ურთიერთობა სისხლით ნათესავებთან, შითუმეტეს, სოციალური გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ინცესტის ინსტიტუტი სრულებით არაა იშვიათი მოვლენა ჩვენს საზოგადოებაშიც კი. ხოლო ისტორიული გამოცდილება გვაცნობს შემთხვევებს, როდესაც უპირატესობის მქონე პირების ქორწინება მოითხოვს კიდეც ინცესტუალურ ქორწინებას.

ინცესტის შიშის ასახსნელად Westermarck-ი მიუთითებს, რომ „ადამიანებს შორის, რომლებიც ბავშვობიდან ერთად ცხოვრობენ, ბატონობს მტრული დამოკიდებულება სექსუალური ურთიერთობისადმი, და რადგანაც ეს ადამიანები ჩვეულებრივ სისხლით ნათესავები არიან, მათი ეს გრძნობა ბუნებრივად აისახება მათ წესებსა და კანონებზე". Havelock Ellis-ი უარყოფს, რომ ამ ზიზღს სწრაფვის ხასიათი ჰქონდეს, მაგრამ თავის „Studies in the psychology of sex" ფაქტიურად ეთანხმება ამ ახსნას და ამბობს: „როცა საქმე ეხება

ძმებსა და დებს, ან ერთად მცხოვრებ ბიჭებსა და გოგონებს, ნორმალური სქესობრივი სწრაფვის არარსებობა წმინდად უარყოფითი მოვლენაა, რომელიც იქიდან მომდინარეობს, რომ ასეთ პირობებში არ არსებობს ის წინაპირობები, რაც სქესობრივ ლტოლვას იწვევს... ბავშვობიდან ერთად გაზრდილ პირებს შორის ჩვეულ აჩლუნგებს ყველა გრძნობად გამღიზიანებელს, მხედველობას, სმენას და შეხებას, და აცლის მათ ძალას ეროტიული აღგზნებისას, რაც აუცილებელია სქესობრივი ტუმესცენციის გამოსაწვევად".

მე უცნაურად მეჩვენება, Westermarck-ი რომ ამ დაბადებიდან მოყოლებულ ზიზღში ხედავს ბიოლოგიური ფაქტის ფსიქიკურ გამოხატულებას, რომ ინცესტს ზიანი მოაქვს გვარისათვის. ასეთი ბიოლოგიური ინსტინქტი არ შეცდებოდა ფსიქოლოგიურ გამოხატვაში და არ შეეხებოდა სრულიად უვნებელ ამ თვალსაზრისით კერისა და სახლის მეგობრებს, სისხლით ნათესავების მაგივრად. მაგრამ მე ვერ ვიტყვი უარს, მოვიტანო Frazer-ის შესანიშნავი აზრები, Westermarck-ის საწინააღმდეგოდ გამოთქმული. Frazer-ი გაუგებრად თვლის, თუ რატომ არ ეწინააღმდეგება დღეს სექსუალური გრძნობა კერის მეგობრებთან ურთიერთობას, მაშინ, როცა თითქოსდა ინცესტის შიში უნდა წარმოშობილიყო ამ ზიზღისაგან, რომელიც ასე გაიზარდა. აქვე მოვიყვან Frazer-ის სხვა შენიშვნებს, რომლებიც ძირითადად ემთხვევიან ტაბუს შესახებ ჩემს სტატიაში გამოთქმულ დასკვნებს.

„ძნელია გაიგო, რატომ საჭიროებს ადამიანში ღრმად ფესვგადგმული ინსტინქტი დაკანონებას. არ არსებობს კანონი, რომელიც მიუთითებდეს ადამიანებს, ჭამონ ან სვან, ან აუკრძალოს მათ ცეცხლში ხელის ჩაყოფა. ადამიანები ჭამენ და სვამენ და ცეცხლისაგან შორს უჭირავთ ხელები ინსტინქტურად, ბუნებრივი და არა კანონიერი დასჯის შიშით, რასაც მოიტანს ამ კანონების უგულებელყოფა. კანონი უკრძალავს ადამიანებს მხოლოდ იმას, რაც მათ შეუძლიათ გააკეთონ თავიანთ სწრაფვებს აყოლილებმა. რასაც თავად ბუნება კრძალავს და სჯის, არაა საჭირო კანონმა აკრძალოს. ამდენად, ჩვენ იოლად შეგვიძლია დავუშვათ, რომ კანონით აკრძალული დანაშაულებანი, ისეთი დანაშაულებებია, რასაც ადამიანები სიამოვნებით ჩაიდენდნენ ბუნებრივი მოთხოვნილებების შესაბამისად. ასეთი მისწრაფებები რომ არ არსებობდეს, არც დანაშაულებები იქნებოდა... ხოლო თუ დანაშაულებები არ ხდება, მაშინ არაა საჭირო არც მათი აკრძალვა. ამიტომ, იმის მაგივრად, რომ კანონით ინცესტის აკრძალვის გამო დავასკვნათ მისდამი ბუნებრივი ზიზღი, უნდა დავასკვნათ, ბუნებრივი ინსტინქტი ინცესტს არ ეწინააღმდეგება და თუ კანონი კრძალავს ამ მოვლენას, სხვა ბუნებრივი სწრაფვების მსგავსად, მაშინ არის საფუძველი ცივილიზებული ხალხების შეხედულებისა, რომ ასეთი ბუნებრივი სწრაფვების დაკმაყოფილება ზიანის მომტანია საზოგადოებისათვის".

Frazer-ის ამ ღირებულ არგუმენტებს მე შეიძლება დავუმატო მხოლოდ, რომ ფსიქოანალიზის მონაცემები სრულიად უარყოფენ თანდაყოლილ ზიზღს ინცესტუალური სქესობრივი აქტისადმი. ისინი, პირიქით, გვიჩვენებენ, რომ უმაწვილის პირველი სექსუალური სწრაფვანი თავისი ბუნებით ყოველთვის ინცესტუალურია და რომ მისწრაფებათა ასეთი გამოდევნა დიდ როლს ასრულებს გვიანდელი ნევროზების ჩამოყალიბებაში.

ინცესტის შიშისადმი, როგორც თანდაყოლილი ინსტინქტისადმი დამოკიდებულება უკუგდებულ უნდა იქნეს. საქმე უკეთესად არც ინცესტის მეორე ახსნასთან გვაქვს, რომელსაც მრავალრიცხოვანი მომხრეები ჰყავს, რომელთი

აზრით, პრიმიტიულმა ხალხებმა ადრე შეამჩნიეს, რომ სისხლის აღრევა დიდ საშიშროებას უქმნის გვარს, და ამიტომ მათ საკმაოდ გაცნობიერებულად და მიზანშეწონილად აკრძალეს ინცესტი. ამ შეხედულების საწინააღმდეგოდ უამრავი აზრი ჩნდება. ინცესტის აკრძალვა მესაქონლეობაზე ადრინდელი არ უნდა იყოს, როცა ადამიანს შეეძლო დარწმუნებულიყო სისხლის შერევის გავლენაზე რასის თვისებების ჩამოყალიბებაში და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, სისხლის შერევის მავნე შედეგები დღემდე არაა უეჭველად დამტკიცებული და ადამიანთან მიმართებაში ამის დამტკიცება ძალიან ძნელია. ამასთან, იმის მიხედვით, რაც ჩვენთვის ცნობილია თანამედროვე ველურებზე, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ მათი წინაპრები ფიქრობდნენ შთამომავალთა გვიანდელ ზიანის აცილებაზე. სასაცილო ჩანს, როცა ამ დიდ ბავშვებს, რომლებიც ყოველგვარი ფიქრის გარეშე ცხოვრობენ, სურთ მიაწერონ ჰიგიენური ან ევგენიური მოტივები, რომლებიც ჩვენს თანამედროვე კულტურაშიც კი ძლივს მიიღებიან მხედველობაში.

ბოლოს, აუცილებელია ხაზი გაესვას იმას, რომ ჰიგიენური და პრაქტიკული მოტივებიდან გამომდინარე, სისხლის აღრევის აკრძალვიდან არაა საკმარისი ავხსნათ ღრმა ზიზღი ინცესტის წინააღმდეგ, რაც ჩვენს საზოგადოებაშია გავრცელებული. როგორც მე დავამტკიცე სხვა ადგილას, ინცესტის ეს შიში დღეს მცხოვრებ პრიმიტიულ ხალხებში უფრო ძლიერი და აქტიურია, ვიდრე ცივილიზებულ ხალხებში.

იმ დროს, როცა შეიძლებოდა გვქონოდა იმედი, რომ ინცესტის წარმოშობის ახსნაში გვაქვს არჩევანი სოციოლოგიურ, ბიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ჰიპოთეზებს შორის, ამასთან ფსიქოლოგიურ მოტივებში შეიძლებოდა ბიოლოგიური ძალების გამომხატველთა დანახვა — თავს იძულებულად გრძნობ დაეთანხმო ფრეზერის უპრეტენზიო გამონათქვამს: „ჩვენთვის უცნობია ინცესტის შიშის წარმოშობის საფუძველი და ჩვენ ისიც კი არ ვიცით, რა ვიფიქროთ. აქამდე მოყვანილი არცერთი ახსნა არ გვეჩვენება დამაკმაყოფილებლად“.

უნდა ვახსენო აგრეთვე ინცესტის წარმოშობის სრულიად განსხვავებული მცდელობა. მას შეიძლება ვუწოდოთ ისტორიული.

ეს მცდელობა დაკავშირებულია Ch. Darwin-ის ჰიპოთეზასთან ადამიანის პირველყოფილი სოციალური მდგომარეობის შესახებ. უმაღლესი მაიმუნების ჩვევებიდან გამომდინარე Darwin-ი ასკვნის, რომ ადამიანი პირველად ცხოვრობდა პატარა ჯგუფებად, რომელშიც ყველაზე უფროსი და ძლიერი მამრის ეკვიანობა არ უშვებდა სქესობრივ აღრევას: „იქიდან გამომდინარე, რაც ჩვენთვის არის ცნობილი ყველა ძუძუმწოვრის ეკვიანობის შესახებ, რომელთაგან ზოგიერთი მეტოქეებთან ბრძოლის სპეციალურ იარაღსაც ფლობს, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სქესთა აღრევა ბუნებრივ მდგომარეობაში საკმაოდ არარეალური ჩანს... თუ დროის მდინარებაში უკან გავიხედავთ და ადამიანის, როგორიც დღეს არსებობს, სოციალური ჩვევების შესახებ ვიმსჯელებთ, ყველაზე მისაღები იქნება აზრი, რომ ადამიანი თავიდან ცხოვრობდა პატარა საზოგადოებებად, ყოველი მამაკაცი ქალთან, ან თუ მას ჰქონდა ძალა-უფლება, რამდენიმესთან, რომლებსაც იგი ეკვიანად იცავდა სხვა მამაკაცებისაგან. ან იგი არ იყო სოციალური ცხოველი და მაინც ცხოვრობდა ერთი ბევრ ცოლთან, როგორც გორილა: ცნობილია, რომ გორილათა ჯგუფში მხოლოდ ერთი მოზრდილი მამრი შეიძლება შეგვხვდეს. როდესაც ახალგაზრდა მამრი იზრდება, იწყება ბრძოლა ძალაუფლებისათვის და უფრო ძლიერი ხდება თემის უფროსი, იგი კლავს ან აგდებს სხვებს (Dr.

Savage in Boston, Journal of Natur. Hist. V. (1845—1847 წწ.). უმცროსი მამრები, ასეთი გზით გამოგდებულები, მარტოდ დაეზეტებიან და როდესაც ბოლოსდაბოლოს პოულობენ მდედრს, ისინიც არ უშვებენ სისხლის აღრევას ერთი და იმავე ოჯახის წევრებს შორის.

Atkinson-მა პირველმა შეამჩნია, რომ Darwin-ის პირველყოფილი ჯოგის ეს პირობები, პრაქტიკულად ახორციელებდნენ ახალგაზრდა მამაკაცთა ეგზოგამიას. ყოველ მათგანს შეეძლო დაეარსებინა მსგავსი ჯოგი, რომელშიც ასეთივე აკრძალვა იქნებოდა სქესობრივ ურთიერთობებში, უფროსის ეჭვიანობის წყალობით და დროთა ვითარებაში ამ გარემოებებიდან ჩამოყალიბდა შეგნება, როგორც კანონი, წესი: არანაირი სქესობრივი ურთიერთობა კერის ამხანაგებთან. ტოტემიზმის გაჩენის შემდეგ ამ წესმა სხვა ფორმულირება მიიღო. არანაირი სქესობრივი ურთიერთობა ტოტემის ფარგლებში.

A. Lang-ი შეუერთდა ეგზოგამიის ამ ახსნას. იგი იმავე წიგნში სხვა (Durkheim-მისეულ) თეორიასაც იცავს, რომელიც ეგზოგამიაში ტოტემის კანონთა შედეგს ხედავს. არაა ადვილი ორივე შეხედულების შეერთება; პირველ შემთხვევაში ეგზოგამია ტოტემიზმამდელია, მეორეში კი იგი ტოტემიზმის შედეგია.

ფრ. ბოასი

ბოასი ფრანც (1858—1942) — ამერიკელი ლინგვისტი, ეთნოლოგი და ანთროპოლოგი, ამერიკის ყველაზე მნიშვნელოვანი ეთნოლოგიური სკოლის დამაარსებელი.

ფრ. ბოასი დაიბადა 1858 წელს მინდენში (გერმანია, ვესტფალია). იგი სწავლობდა ჰაიდელბერგის, ბონისა და კილის უნივერსიტეტებში. 1881 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1883—1884 წელს მონაწილეობდა ჩრდილო ამერიკაში მოწყობილ დიდ სამეცნიერო ექსპედიციაში, რომლის დროსაც დაინტერესდა ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით ესკიმოსების ყოფით, რომელთაც მიუძღვნა რამდენიმე სტატია, ხოლო 1888 წელს მათ შესახებ გამოსცა სოლიდური მონოგრაფია „ცენტრალური ესკიმოსები".

1884 წელს, ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ, ფრ. ბოასმა მუშაობა დაიწყო ბერლინის აღმოსავლეთმცოდნეობის მუზეუმში. მალე ბერლინში ჩამოიყვანეს ჩრდილო-დასავლეთის ამერიკელ ინდიელთა ბელა-კულას ჯგუფი მათი ყოფის საგნებთან ერთად. ფრ. ბოასს ამით შესაძლებლობა მიეცა ბერლინშივე შეესწავლა ამერიკელი ინდიელები და მან ეს შესაძლებლობა კარგად გამოიყენა — დაიწყო მათი ენის ლინგვისტური შესწავლა და ამის შესახებ ორი სამეცნიერო სტატიაც გამოაქვეყნა.

1886 წელს ფრ. ბოასი ამერიკაში გაემგზავრა, სადაც თითქმის წელიწადი გაატარა ჩრდილო-დასავლეთის სანაპიროს ინდიელებში და ამის შემდეგ საცხოვრებლად დარჩა ამერიკაში. ამ დროიდან თავისი შრომების დიდი ნაწილი მან მიუძღვნა ჩრდილო-დასავლეთის სანაპიროს ინდიელების, განსაკუთრებით კვაკიუტლის ტომის შესწავლას.

1896 წლიდან, 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ფრ. ბოასი მოღვაწეობდა კოლუმბიის (ნიუ-იორკი) უნივერსიტეტში. მანამდე კი მას სხვადასხვა დროს ეკავა დოცენტის და პროფესორის თანამდებობები ამერიკის სხვადასხვა უნივერსიტეტში. გარდა ამისა, იგი თანამშრომლობდა სხვადასხვა მუზეუმში: ჩიკაგოში, ფილადელფიასა და ბუნებისმეტყველების ისტორიის მუზეუმში ნიუ-იორკში.

1928 წელს ფრ. ბოასმა დააარსა ამერიკის ლინგვისტური საზოგადოება და გახდა მისი პრეზიდენტი. იგი არის ერთ-ერთი დამაარსებელი აღწერითი ლინგვისტიკის ამერიკული სკოლისა. მანვე შეიმუშავა ინდიელთა ენის ფორმალური აღწერის მეთოდი.

ამერიკის მკვიდრი მოსახლეობის ეთნოგრაფიის, ლინგვისტიკის და ანთროპოლოგიის შესახებ ახალ-ახალი ნაშრომების — სტატიებისა და მონოგრაფიების გამოქვეყნების კვალობაზე ფრ. ბოასის სამეცნიერო ავტორიტეტი სულ უფრო და უფრო ზრდებოდა. მას ირჩევენ ამერიკისა და ევროპის სხვადასხვა

სამეცნიერო აკადემიებისა და საზოგადოებების წევრად, ან პრეზიდენტად. იგი იყო დამაარსებელი და რედაქტორი რიგი სამეცნიერო ჟურნალებისა.

სამეცნიერო მუშაობასთან ერთად ფრ. ბოასი ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. გამუდმებით იბრძოდა რასობრივი დისკრიმინაციისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, ხოლო სიცოცხლის ბოლო წლებში მიტლერიზმის წინააღმდეგ.

ფრ. ბოასს ჰყავდა მრავალრიცხოვანი მოწაფეები და მიმდევრები, რომელთაგან ბევრი თვითონ გახდა შემდეგში გამოჩენილი ეთნოლოგი. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ეთნოგრაფიის საბჭოური სკოლის წარმომადგენლებთან. ითვლება, რომ მისი თანამედროვე სხვადასხვა ბურჟუაზიული ეთნოლოგიური მიმდინარეობის გაკრიტიკებისას, იგი ხშირად სტიქიური მატერიალიზმის პოზიციებზე იდგა.

ფრ. ბოასი გარდაიცვალა 1942 წელს, ნიუ-იორკში, 84 წლის ასაკში.

1888 წელს გამოქვეყნებულ თავის პირველსავე თეორიული ხასიათის პრინციპულ ნაშრომში — „ეთნოლოგიის ამოცანების შესახებ", ფრ. ბოასი წერდა, რომ ამ მეცნიერების საერთო ამოცანას შეადგენს „სოციალური ცხოვრების მთელი ერთობლიობის შესწავლა", ე. ი. შესწავლა „ენის, წეს-ჩვეულებების, მიგრაციის, სხეულის ნიშნებისა" და ამ შესწავლამ მთლიანობაში უნდა შეადგინოს „კაცობრიობის ისტორია", ისტორია არა მარტო ცივილიზებული ერებისა, არამედ სწორედ მთელი კაცობრიობისა და მისი ისტორიის ყველა პერიოდისა, გამყინვარების დროიდან დაწყებული თანამედროვეობამდე. იგი თვლიდა, რომ ამისათვის საჭიროა ყოველი ხალხის და მისი თავისებურებების ცალკე შესწავლა და რომ, ამგვარად, ეთნოლოგიამ უნდა შეადგინოს „კულტურის ისტორიის ნაწილი" და რომ „მეცნიერების ყველაზე მნიშვნელოვან და საბოლოო მიზანს შეადგენს სოციალური განვითარების ზოგადი კანონების აღმოჩენა".

ქრესტომათიაში წარმოდგენილია ბოასის ერთ-ერთი ადრინდელი ნაშრომის — „პირველყოფილი ადამიანის გონება" — ორი თავის თარგმანი, რომელიც შესრულებულია 1926 წლის რუსული გამოცემიდან.

ამ ნაშრომში ფრ. ბოასს მოჰყავს მეტად დამაჯერებელი მონაცემები, რასობრივ ცრუ შეხედულებათა წინააღმდეგ, ძირითადად კაცობრიობის ერთიანობის, ადამიანური ფსიქიკისა და ინტელექტის ერთიანობის შესახებ. მისი მტკიცებით, რასობრივი განსხვავებანი ადამიანებს შორის გამოწვეულია არა რომელიმე რასის წარმომადგენელთა გონებრივი ჩამორჩენილობით, არამედ გეოგრაფიული გარემოს, ვარჯიშების, დიეტის, რასობრივი შერევებისა და ა. შ. გავლენით.

ბიბლიოგრაფია

1) Boas Fr., Social organisation and secret societies of the Kwakiutl Indians, Washington 1897.
2) Boas Fr., Mind of primitive man, N. Y., 1911.
3) Boas Fr., Anthropology and modern life. New-York, 1928.
4) Boas Fr., Language and culture, New York, 1940.
5) Боас Фр., Задачи антропологического исследования, „Советская Этнография", 1933, № 3—4.
6) Боас Фр., Ум первобытного человека, М-Л, 1926.

ლიტერატურა

1) Аверкиева Ю П., Франц Боас (1858—1942), „Краткие сообщения Института этнографии АН СССР", вып. I, 1946.
2) Токарев С. А. История зарубежной этнографии, М., 1978, с. 249—260.

ევოლუციური თვალსაზრისი*

ზოგიერთი ავტორი, მაგალითად, გობინო, კლემი, კარუსი, ნოტი და გლიდონი, ადამიანთა რასებს შორის დამახასიათებელი გონებრივი სხვაობის არსებობას ვარაუდობდნენ. ასეთი შეხედულებები წარმოიქმნა თანამედროვე ნაციონალიზმის განვითარების შედეგად. ნაციონალიზმისა, რომელიც მეტისმეტად აღფრთოვანებულა ტევტონური რასის ღირსებებით, მისი პანსლავიზმითა და სხვა მსგავსი სიმპტომებით, რაც ვითარდებოდა მსოფლიოს სხვა ნაწილებში, მაგრამ ეს შეხედულება მიუკერძოებელი კვლევის შედეგებით არ დასტურდება.

თუმცა განსახილველია ერთი თვალსაზრისი, რომელიც შეიძლება გამოდგეს კვლევის საფუძვლად. ფორმათა მრავალფეროვნებას, რომლებშიც გვხვდება ძირითადი იდეები, დიდი ზანია საერთო შთაბეჭდილებებს უკავშირებენ, რომლებიც მიეკუთვნება ცივილიზაციის გარკვეულ საფეხურებს. ამასთან, ყურადღება ექცეოდა მთელ მსოფლიოში მსგავსი ფორმების განმეორებას, რომლებიც, როგორც ჩანს, შეესაბამებოდა კულტურის სირთულის ზრდას. ამან ანთროპოლოგები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ადამიანთა კულტურის ტიპები წარმოადგენენ ევოლუციურ რიგს. თანამედროვე პირველყოფილი ტომები კულტურული განვითარების შედარებით უფრო ძველი სტადიაა, რომელიც ადრინდელ პერიოდში განვლეს უფრო მოწინავე კულტურის ტიპებმა. თუ ეს ასეა და თუ შეიძლება ჩვენება იმისა, რომ ცალკეული ტომები დამოუკიდებლად ვითარდებიან, მაშინ, რასაკვირველია, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნაკლებ ხელსაყრელ პირობებში აღმოჩნდებოდნენ ის რასები, რომლებშიც ხშირად გვხვდებიან კულტურის უფრო ადრინდელი ტიპები, ხოლო განვითარების უფრო გვიანდელი სტადიები იშვიათად შეინიშნება, ამიტომ ჩვენს გამოკვლევაში ადამიანთა ცივილიზაციის ერთგვაროვანი განვითარების თეორია უნდა განვიხილოთ როგორც ურთიერთობა რასობრივ ტიპებსა და კულტურულ პროგრესს შორის.

ტეილორის, ბაჰოფენის, მორგანისა და სპენსერის გამოკვლევებმა ყურადღება გაამახვილეს ანთროპოლოგიის მონაცემებზე, რაც ადასტურებს ცივილიზაციის საფეხურებრივ (თანდათანობით) განვითარებას. ანთროპოლოგიის ამ ნაწილის განვითარება წინ წაწია ჩ. დარვინისა და მის მიმდევართა შრომებმა. მისი ძირითადი იდეები უნდა გავიგოთ მხოლოდ როგორც ბიოლოგიური ევოლუციური თეორიის გონებრივ მოვლენებთან მისადაგება. შეხედულება, რომლის თანახმად, ეთნიკური ცხოვრების გამოვლინებები არის რიგი, რომელიც განვითარდა მარტივი საწყისიდან და მიაღწია თანამედროვე ცივილიზაციის რთულ ტიპამდე, ანთროპოლოგიური მეცნიერების ამ მიმართულების ძირითადი აზრი იყო.

---

* წიგნიდან: Ф. Боас. Ум первобытного человека, М.-Л., 1926, с. 97—109.

ამ თეორიის სასარგებლო არგუმენტი, რომლის თანახმადაც, ცივილიზაციის განვითარება ყველგან მსგავსი გზით მიმდინარეობდა, ისე რომ, პირველყოფილ ტომებში ჯერ კიდევ შეგვიძლია აღმოვაჩინოთ სტადიები, რომელიც გაიარა ჩვენმა ცივილიზაციამ, მნიშვნელოვანწილად დაფუძნებულია კულტურის ტიპების მსგავსებაზე, რასაც ვპოულობთ მსოფლიოს განსხვავებულ რასებში, აგრეთვე ჩვენსავე ცივილიზაციაში ისეთი განსაკუთრებული ჩვეულებების არსებობით, რომელნიც შეიძლება გაგებულ იქნენ, როგორც მხოლოდ გადმონაშთი (ტაილორი) უფრო ადრეული წეს-ჩვეულებებისა და რომელთაც უფრო ღრმა მნიშვნელობა ჰქონდათ ადრეულ ეპოქაში, როცა ჯერ კიდევ ცხოვლად მოქმედებდნენ პირველყოფილ ადამიანებში.

უკიდურეს შემთხვევაში აუცილებელია მიეუთითოთ ამ საერთო პრობლემის ზოგიერთ მხარეზე, რათა გაირკვეს კაცობრიობის ცივილიზაციის ევოლუციური თეორიის მნიშვნელობა.

ბევრ ქვეყანაში პირველყოფილ სოციალურ ორგანიზაციაში ვლინდება მსგავსი ნიშან-თვისებები. ნაცვლად იმისა, რომ წარმომავლობა განისაზღვროს ისე, როგორც ამას ჩვენ ვაკეთებთ, ბევრ ტომში ბავშვი მიაჩნიათ მხოლოდ დედის ოჯახის წევრად და სისხლით ნათესაობას მხოლოდ დედის ხაზით მიიჩნევენ. ასე რომ, დეიდაშვილ-ბიძაშვილები (ვაჟები) დედის მხრიდან ახლო ნათესავებად ითვლებიან, ხოლო ბიძაშვილები (ვაჟები) მამის მხრიდან — შორეულ ნათესავებად. სხვა ტომებში არსებობს მამისეული ორგანიზაცია — ბავშვი მიეკუთვნება მხოლოდ მამის ოჯახს და არა დედისას. ზოგიერთი ტომი ხელმძღვანელობს იმავე პრინციპით, როგორც ჩვენ — ნათესაობას ორივე მხრიდან თვლიან. ამ ჩვეულებებთანაა დაკავშირებული ახალშეუღლებულთა საცხოვრებლის ამორჩევა — ცხოვრება ცოლის ან ქმრის ტომსა და ოჯახში. როდესაც შეუღლებული წყვილი დასახლდება იმ სოციალურ ჯგუფთან, რომელსაც ცოლი მიეკუთვნება, ხშირად მამაკაცს როგორც უცხოს ეჭცევიან, ვიდრე არ დაიბადება პირველი ბავშვი. ეს მოვლენები ყოველმხრივ იქნა შესწავლილი და აღინიშნა, რომ საცხოვრებელ ადგილთან და წარმომავლობასთან დაკავშირებული ზნე-ჩვეულებები, როგორც ჩანს, მჭიდრო ურთიერთკავშირშია (ტაილორი). ამ გამოკვლევათა შედეგად გაკეთდა დასკვნა, რომ დედისეული ინსტიტუტები ყველგან წინ უსწრებს მამისას, და კაცობრიობის სოციალური ორგანიზაცია ისეთი იყო, რომ თავდაპირველად შესაძლოა არავითარი გარკვეული ორგანიზაცია არც არსებობდა. შემდეგ განვითარდა დედის ინსტიტუტები, რომელსაც მოჰყვა მამის ინსტიტუტები, მოგვიანებით კი განვითარდა სისტემა, რომელიც ერთნაირად თვლიდა ნათესაობას დედის ხაზითაც და მამის ხაზითაც.

მსგავსი შედეგები იქნა შიღებული ადამიანთა გამოგონებების შესწავლისას. მაიმუნთა სხვადასხვა ჯიში თავდაცვისთვის ზოგჯერ ქვებს იყენებს და ცხოველთა ხელოვნური თავშესაფარი რამდენადმე გამოგონებათა ჩანასახზე მიუთითებს. ამ თვალსაზრისით, ცხოველთა შორის შეგვიძლია ვეძებოთ იარაღისა და სხვადასხვა საგნის წარმომავლობა.

უძველეს დროში, რომლისგანაც მიწის ზედაპირზე მხოლოდ ადამიანის ნაშთები დარჩა, ვიგებთ, რომ ადამიანები იყენებდნენ მარტივ, უბრალო ქვის იარაღს, რომლებიც უხეშად იყო დამუშავებული. იარაღის ფორმათა მრავალფეროვნება თანდათან იზრდება. ეს იარაღი, შესაძლოა, მზადდებოდა არამყარი მასალისაგან, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ძალზე ადრეულ ეპოქაში იყენებდნენ მხოლოდ იმ არცთუ ისე ბევრ ქვის საგანს, რომელთა პოვნა ახლა შეიძლება.

რასაკვირველია, ეს იარაღი მცირერიცხოვანი და შედარებით მარტივი იყო. მას შემდეგ სულ უფრო და უფრო იზრდებოდა ცეცხლის გამოყენების წესი და საჭრელი, დასარტყმელი, საფხეკი და სახვრეტი იარაღის რაოდენობა და მათი სირთულეც. შეიძლება თვალი გავადევნოთ პირველყოფილი ადამიანის თანდათანობით განვითარებას მარტივი იარაღიდან ჩვენი დროის რთულ მანქანებამდე. ყველა რასისა და ურიცხვი ინდივიდის გამომგონებლურმა გენიამ ხელი შეუწყო ტექნიკის ახლანდელი დონის მიღწევას.

ცივილიზაციის განვითარების ზოგადი თეორიის შესანიშნავი მაგალითია მიწათმოქმედებისა და ცხოველთა მოშინაურების ევოლუციის თეორია, რაც შესანიშნავადაა გადმოცემული ოტის ტ. მეზონის, ვ. მაკ-ჯისა და განის მიერ. მათ გამოიკვლიეს, სოციალური განვითარების საწყის ეტაპზე ცხოველი, მცენარე და ადამიანი როგორ ცხოვრობდნენ ერთად განსაზღვრულ გარემოში. ცხოვრების პირობების წყალობით, როგორ მრავლდებოდნენ გარკვეული მცენარეები, ქრებოდნენ მეორენი, როგორ ეგუებოდნენ ადამიანთა ბანაკების მეზობლად გარკვეულ ცხოველთა არსებობას. ურთიერთშემწყნარებლობისა და ინტერესების ურთიერთწახალისების წყალობით განვითარდა, თუ შეიძლება ამ შემთხვევაში ვიხმაროთ ეს ტერმინი, უფრო მჭიდრო ასოციაცია მცენარეებსა, ცხოველებსა და ადამიანებს შორის. დაბოლოს, ამ ასოციაციამ მიიყვანა ადამიანი მიწათმოქმედების საწყისამდე და ცხოველთა ნამდვილ მოშინაურებამდე.

მსგავს შედეგამდე მივიდა კვლევა ხელოვნებაშიც. მკვლევრები ცდილობდნენ ეჩვენებინათ, რომ იმის შემდეგ, რაც საფრანგეთში გამოქვაბულთა ბინადარნი ირმის ძვლებსა და რქებზე ხატავდნენ ირმისა და მამონტის გამოსახულებებს, ადამიანი ცდილობდა, პიქტოგრაფიულ ნახატებზე აესახა იმ ადგილის ცხოველები, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. მრავალი ხალხის მხატვრულ ნაწარმოებებში ნაპოვნია ნახატები, რომლებიც ადვილად შეიძლება დაეუკავშიროთ პიქტოგრაფიულ გამოსახულებებს, რომლებმაც უკვე დაკარგეს მათთვის დამახასიათებელი ფორმის რეალიზმი და თანდათან პირობითად გადაიქცნენ. ამრიგად, ბევრ შემთხვევაში წმინდა დეკორატიული მოტივი აიხსნებოდა როგორც რეალისტური პიქტოგრაფიიდან განვითარებული, რომელიც ესთეტიკური მოტივების გავლენით თანდათანობით კარგავს პირვანდელ ხასიათს. წყნარი ოკეანის კუნძულებზე, ახალ გვინეაში, სამხრეთ ამერიკაში, ცენტრალურ ამერიკაში, წინაისტორიულ ევროპაში ნაპოვნია განვითარების ამ მიმართულების ნიმუშები (იხ. მარჩი, ჰადონი, ფონ-დენ-შტეინენი, ჰოლმსი), ამიტომ იგი მიიჩნიეს დეკორატიული ხელოვნების ევოლუციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ტენდენციად.

რელიგია ევოლუციის სხვა მაგალითია, რაც დამახასიათებელია ადამიანის აზროვნებისათვის. ადამიანმა ადრე დაიწყო ფიქრი ბუნების მოვლენების შესახებ. მას ყველაფერი ანთროპომორფული ფორმით წარმოედგინა. ასე წარმოიქმნა პირველი პრიმიტიული შეხედულებები სამყაროზე, რომელშიც ქვა, მთა, ცის მნათობები აღიქმებოდა როგორც განსულიერებული, ანთროპომორფული არსებები, დაჯილდოებული ნებისყოფით და რომელთაც სურვილი ჰქონდათ, დახმარებოდნენ ადამიანს გასაჭირში ან საშიშროებით დამუქრებოდნენ მას. ადამიანის დაკვირვებამ საკუთარი სხეულის მოქმედების გამოცდილებაზე და გონებაზე, გამოიწვია სულის იდეის წარმოქმნა, რომელიც სხეულისაგან დამოუკიდებელია. ცოდნისა და ფილოსოფიური აზრის განვითარებასთან ერთად, ამ მარტივი საწყისებიდან განვითარდა მეცნიერება და რელიგია.

მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში ამ მოვლენათა ერთგვარობა ითვლებოდა

არა მარტო ადამიანთა ყველა რასის გონების ძირითადი ერთიანობის, არამედ ცივილიზაციის ევოლუციის თეორიის ჭეშმარიტების საბუთადაც. ამრიგად, ჩვენი ახლანდელი ცივილიზაცია ყველა ადამიანური რასის მოქმედების აუცილებელი შედეგია, რაც წარმოგვიდგება ერთ გრანდიოზულ პროცესიაში, რომელმაც დაიწყო კულტურის უმარტივესი ჩანასახებიდან, გაიარა ბარბაროსობის პერიოდი და მოვიდა ცივილიზაციის დღევანდელ სტადიამდე. ეს სვლა ერთნაირად სწრაფი არ იყო. ზოგიერთი რასა ჩამორჩა, მაშინ, როცა სხვები შეუპოვრად გაემართნენ წინ და საერთო პროგრესში პირველი ადგილი დაიკავეს.

სასურველია, უფრო ზუსტად გამოვიკვლიოთ კულტურული განვითარების პარალელიზმის ამ თეორიის აზრი. იგი, ალბათ, ასე გადმოიცემა: კაცობრიობის სხვადასხვა ჯგუფი, რომელთათვისაც საერთო ამოსავალი იყო კულტურის არარსებობა, ძალიან ადრეულ ეპოქაში გაუდგა განვითარების გზას. ადამიანთა გონების ერთიანობისა და მისგან გამომდინარე გარეგან და შინაგან სტიმულებზე რეაქციების მსგავსების წყალობით, ისინი ერთსა და იმავე მიმართულებით ვითარდებოდნენ, აკეთებდნენ ერთნაირ აღმოჩენებს და უვითარდებოდათ მსგავსი წეს-ჩვეულებები და რწმენები. როგორც ჩანს, ეს თეორია ასევე გულისხმობს გარკვეულ შესაბამისობას საწარმოო და სოციალურ განვითარებას შორის და აქედან გამომდინარე გარკვეულ თანმიმდევრობასაც, რომლითაც ერთი გამოგონება მოჰყვებოდა მეორეს, ისევე როგორც ორგანიზაციისა და რწმენის ფორმები.

მთელ მსოფლიოში პირველყოფილი ადამიანის უძველესი ისტორიის ისტორიული მონაცემების უქონლობის გამო, ამ ვარაუდის შემოწმებისათვის მხოლოდ სამი წყარო გაგვაჩნია: წყაროები, რომელსაც შეიცავს ძველი სამყაროს ცივილიზებულ ხალხთა უძველესი ისტორია, თანამედროვე ცივილიზაციაში შემონახული გადმონაშთები და არქეოლოგია. უკანასკნელზე დაყრდნობა ერთადერთი მეთოდია, რომლის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია მივუდგეთ იმ ხალხებთან დაკავშირებულ პრობლემას, რომელთაც არა აქვთ ისტორია.

რასაკვირველია, შეიძლება მოიძებნოს კულტურის ტიპების ანალოგიები, რომელთა წარმომადგენლები პირველყოფილი ადამიანები არიან, და იმავე პირობებით, რომლებიც არსებობდნენ ახლანდელი ცივილიზებული ხალხების წინაპრებში ისტორიის გარიჟრაჟზე. ამასთან ეს ანალოგიები დასტურდება ცნობებით, რომლებიც შემონახულია გადმონაშთებში, მაგრამ არქეოლოგიური მონაცემები არ იძლევა სრული განზოგადების საშუალებას. თუ პარალელური განვითარების თეორიას აქვს რაიმე აზრი, მაშინ აღმოჩენები კაცობრიობის ყველა გვარის განშტოებებში ერთმანეთს უნდა მისდევდეს, უკიდურეს შემთხვევაში მიახლოებით ერთნაირი თანმიმდევრობით მაინც, თანაც მნიშვნელოვანი ხარვეზის გარეშე. ამჟამად ცნობილი ფაქტები სრულიად ეწინააღმდეგება ამ თვალსაზრისს. მაგალითად, ვპოულობთ უზარმაზარ სივრცეებს, დასახლებულს ადამიანებით, რომლებიც ყოფით ხელოვნებაში საკმაოდ დაწინაურებულები არიან. მაგრამ რომელთაც არასოდეს გამოუგონიათ თიხის ჭურჭელი, რაც ყველაზე არსებითი ნაბიჯია ცივილიზაციის განვითარებაში. თიხის ჭურჭელი არ გვხვდება აფრიკის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში, ავსტრალიაში, ჩრდილო-აღმოსავლეთ ციმბირში, ჩრდილო ამერიკის მთელ ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში და სამხრეთ ამერიკის უკიდურეს სამხრეთში. ზემოთქმულის თანახმად, ძველ სამყაროში თიხის ჭურჭლის გავრცელების არეალი, როგორც ჩანს, დაახლოებით ემთხვევა ტერიტორიებს, რომლებიც ხასიათდებიან ზემოთ ნათქვამი თვისებებით. მაშინ,

როდესაც ამერიკაში მისი ცენტრი კონტინენტის შუა ნაწილში — კულტურის დარგში უფრო წინ წაწეულ მხარეში — მდებარეობს. ამრიგად, ჩრდილო-დასავლეთ ამერიკის მნიშვნელოვნად წინ წაწეულ ტომებს არა აქვთ თიხის ჭურჭელი და მისი არსებობა ან არარსებობა, როგორც ჩანს, დიდად არის დამოკიდებული გეოგრაფიულ მდებარეობაზე, ვიდრე ზოგად კულტურულ მიზეზებზე.

ივიეე შეიძლება ითქვას ლითონის გამოყენებაზე. მეტალურგიის აღმოჩენა, ევროპის ცივილიზაციის მნიშვნელოვანი პროგრესის მაჩვენებელი, როგორც ჩანს, არ იყო დაკავშირებული განვითარების ანალოგიურ საფეხურებთან მსოფლიოს სხვა ნაწილებში. მსგავსი შენიშვნები შეიძლება გაკეთდეს მიწათმოქმედებისა და ცხოველთა მოშინაურების განვითარებასთან დაკავშირებით. ზოგიერთ ხალხში, რომლებიც უნდა ჩაითვალოს კულტურის ერთნაირ საფეხურზე მდგომად, განვითარებულია მიწათმოქმედება, სხვებს მოშინაურებული ცხოველები ჰყავთ, სხვები კიდევ ზღვის სიუხვეზე არიან დამოკიდებულნი, ანდა იმ ადგილების ბუნებრივ მცენარეულ პროდუქტებზე, რომლებშიც ისინი ცხოვრობენ.

სხვადასხვა რასის საწარმოო მიღწევების კვლევისას, საწარმოო განვითარების პარალელიზმი არ იჩენს თავს რომელიმე დეტალში. რჩება მხოლოდ საწარმოო განვითარების ერთი საერთო თვისება, კერძოდ, ცოდნის ძირითადი კაპიტალისათვის ახალი ელემენტების მუდმივი მატება და მეთოდებისა და შედეგების სულ უფრო მზარდი სრულყოფა.

ამრიგად, როგორც ჩანს, არასარწმუნოა, რომ ყველა ხალხს, რომელმაც ცივილიზაციის განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია, აუცილებლად უნდა გაევლო განვითარების ყველა სტადია, რომელთაც ვხედებით მსოფლიოს კულტურის ტიპებში.

უფრო სერიოზული სადავო აზრი დაფუძნებულია მეორე შენიშვნაზე: კაცობრიობის ევოლუციის ერთნაირობის აღიარება ემყარება ვარაუდს, რომლის მიხედვით, ერთნაირი კულტურული ნიშნები ყოველთვის ვითარდება ერთნაირი მიზეზების გავლენით, და ევოლუციის ერთნაირი ტიპის ყველა ვარიაცია მხოლოდ მნიშვნელოვანი დეტალია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განსახილველი თეორიის ლოგიკურ საფუძველს წარმოადგენს ვარაუდი, რომლის თანახმად, ერთნაირი ეთნიკური მოვლენები მუდამ ერთნაირი მიზეზებითაა განპირობებული. ამრიგად, ზემოთ ნახსენები დასკვნა დედობრივი ინსტიტუტების მამისეულით შეცვლის შესახებ ემყარება განზოგადებას, რომელიც იუწყება, რომ, ვინაიდან რამდენიმე შემთხვევაში მამისეული გვარი განვითარდა დედისეულიდან, შესაბამისად ყველა მამისეული გვარი ერთნაირად განვითარდა. თუ ჩვენ ვივარაუდებთ, რომ ერთნაირი მოვლენები ყველგან ერთნაირად ვითარდებოდა, ასევე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მამისეული გვარი აღმოცენდა დედისეული ინსტიტუტიდან, სხვა შემთხვევაში — სხვა გზით.

ასევე კეთდება დასკვნა, რომ რადგან მომავალი ცხოვრების შესახებ მრავალი ცნება, როგორც ჩანს, განვითარდა სიზმრებისა და ჰალუცინაციებისაგან, ამგვარი ყველა ცნების წარმოშობაც ასევე მოხდა. ეს მართებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეიძლება ვაჩვენოთ, რომ არავითარ სხვა მიზეზს არ შეიძლებოდა გამოეწვია იმავე იდეების წარმოშობა.

მოვიყვანოთ სხვა მაგალითი. ამტკიცებდნენ, რომ არიზონის ინდიელებთან მეთუნეობა განვითარდა კალათების დამზადებისაგან, აქედან კეთდება დასკვნა, რომ მეთუნეობა კაცობრიობის კულტურულ განვითარებაში ყოველთვის

მოგვიანებით ჩნდება, ვიდრე კალათების დამზადება. ნათელია, რომ ამ დასკვნას არ შეიძლება დავეთანხმოთ, რადგან მეთუნეობა სხვა გზითაც შეიძლება განვითარდეს.

სინამდვილეში შეიძლება მრავალი შემთხვევის მოყვანა, როდესაც სხვადასხვა ამოსავალი პუნქტიდან დაწყებულმა ერთ წერტილზე დაყვანილმა ევოლუციამ მიგვიყვანა ერთსა და იმავე შედეგამდე. მე უკვე მოვიტანე პირველყოფილი ხელოვნების მაგალითი და გავიხსენე თეორია, რომლის მიხედვითაც, გეომეტრიული ფორმა ვითარდება რეალისტური გამოსახულებიდან, რომელსაც სიმბოლური პირობითობიდან მივყავართ წმინდა ესთეტიკურ მოტივებამდე. აქვე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ამ გზით სხვადასხვანაირ ობიექტს შეუძლია გამოავლინოს ერთი და იგივე დეკორატიული მოტივი. ასე რომ, ერთი და იგივე დეკორატიული მოტივის შენარჩუნებით არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მას ჰქონდა ერთი და იგივე რეალისტური წარმომავლობა. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია შესაძლებლობა, აღვნიშნოთ, რომ ერთნაირი ტიპის გეომეტრიული მოტივები განვითარდა მხატვრის ტენდენციიდან — თავისი ტექნიკით მანიპულირებდეს ზუსტად ისე, როგორც ვირტუოზი უკრავს თავის ინსტრუმენტზე; რომ კალათის წვნაში დაოსტატებულმა პირებმა წვნის დროს კომბინაციათა ცვლილებით მიაღწიეს გეომეტრიული ნახატების იმავე ფორმების განვითარებას, რომლებიც განვითარდა სხვა ადგილებში რეალისტური გამოსახულებიდან. უფრო მეტიც შეგვიძლია ვთქვათ, ვაღიაროთ, რომ ტექნიკიდან განვითარებულმა გეომეტრიულმა ფორმებმა შთააგონა მხატვარს ცხოველური ფორმები, რომლებიც შემდეგში ისე იქნა სახეშეცვლილი, რომ მიიღეს რეალისტური ფორმა. ასე რომ, დეკორატიულ ხელოვნებაში ერთნაირი ფორმები შეიძლება შეგვხვდეს როგორც ფორმათა რიგის დასაწყისში, ისე ამ რიგის ბოლოსაც.

მოვიტანოთ მეორე მაგალითი. ნიღბებს მრავალი ხალხი იყენებს. ამ ჩვეულების წარმოშობა ყველა შემთხვევაში გაურკვეველია, მაგრამ ადვილია განვასხვავოთ მათი გამოყენების რამდენიმე ტიპური ფორმა. ნიღბებით იგულისხმება სულების მოტყუება ამ ნიღბების მატარებელ პიროვნებათა მიმართ. ანდა ნიღაბი შეიძლება განასახიერებდეს იმის სულს, ვის სახესაც გამოხატავს. ამგვარად აფრთხობს ზებუნებრივ მტრებს. სხვა ნიღაბი დაწესებულია ხსოვნისათვის და ამ ნიღბის მატარებელი განასახიერებს თავის გარდაცვლილ მეგობარს. ნიღბები გამოიყენება აგრეთვე თეატრალურ წარმოდგენებში მითოლოგიურ მოვლენათა ილუსტრირების დროს (რ. ანდრეე). რასაკვირველია, საჭირო არ არის ვივარაუდოთ, რომ ეს განმარტება, რომელსაც იძლევა ნიღბის მატარებელი პიროვნება, გამოხატავს ჩვეულების ნამდვილ ისტორიულ განვითარებას, მაგრამ თვით ეს ახსნა მიგვახვედრებს ზემოთქმული ჩვეულების ერთი და იმავე წარმოშობის დაუჯერებლობის შესახებ.

სხვა მაგალითი: პირველყოფილი ტომები ხშირად იყოფიან გარკვეული რაოდენობის ჯგუფებად. ძნელია ეჭვი შეიტანო იმაში, რომ სოციალური ორგანიზაციის ეს ფორმა მრავალჯერ დამოუკიდებლად წარმოიშვა. შეიძლება დავასკვნათ, რომ ადამიანის ფსიქიკური თავისებურებები ხელს უწყობენ საზოგადოების ასეთი ორგანიზაციის არსებობას, მაგრამ ზემოთქმულიდან არ გამომდინარეობს, რომ იგი ყველგან ერთნაირად განვითარდა. დოქტორმა ვაშინგტონ მატიუსმა გვაჩვენა, რომ ნავახას ტომის ინდიელთა ჯგუფები წარმოიქმნა დამოუკიდებელი ასოციაციის წყალობით. კაპიტანმა ბერკენ მიუთითა, რომ მსგავსმა მოვლენებმა გამოიწვია აპაჩების (აპაჩების?!) ჯგუფთა წარმო-

ქმნა, დოქტორი ფუქსი იმავე დასკვნამდე მივიდა ზოგიერთ იმ ტომთან დაკავშირებით, რომლებიც პუებლოსებში (შიწათმოქმედ ინდიელთა სოფლები აშშ-ის სამხრეთ ნაწილში, მდ. რიო-გრანდეს ნაპირებზე. — მთარგმნელის შენიშვნა) ცხოვრობენ. მეორე მხრივ, ჩვენ გვაქვს მტკიცებები იმისა, რომ ასეთი ჯგუფები შეიძლება გაყოფის შედეგად წარმოიქმნას. ასეთივე მოვლენებს ჰქონდა ადგილი წყნარი ოკეანის ჩრდილოეთ სანაპიროს ინდიელებში (ბოასი).

ტომთა სხვა დაყოფის წარმომავლობა, როგორც ჩანს, სულ სხვაგვარი იყო ასეთია, მაგალითად, ტომთა ორმხრივი ეგზოგამიური გაყოფა, რომელიც ხშირად გვხვდება და საკმაოდ დამაჯერებლად შეიძლება აიხსნას ეგზოგამიური კანონების გამოყენებით შედარებით მცირე თემში. სხვადასხვაგვარმა მიზეზებმა გამოიწვია იგივეობრივი შედეგები.

ამ მიმართულებით შემდგომი დასკვნების გაკეთებას ხელს უშლის ის, რომ მონაცემები აღმოჩნდება შეუდარებელი (რომლებიც შედარებას არ ექვემდებარება). ძირითადად ყურადღებას ამახვილებდნენ ეთნოგრაფიული მოვლენების მსგავსებაზე, მაშინ როცა ინდივიდუალურ ვარიაციებს არ ითვალისწინებდნენ. საკითხის ამ მხარეზე ყურადღების გამახვილებისას ეთნოგრაფიულ მოვლენათა ერთნაირობა უფრო ზედაპირული აღმოჩნდება, ვიდრე ღრმა და სრული, უფრო მოჩვენებითი, ვიდრე რეალური. მოულოდნელი მსგავსებები იმდენად იპყრობდა ჩვენს ყურადღებას, რომ მხედველობიდან გვრჩებოდა განსხვავებანი. ამასთან, ისევე როგორც განსხვავებული სოციალური ჯგუფის ფიზიკური ნიშან-თვისებების შესწავლისას, აღმოჩნდება გონების საპირისპირო ტენდენცია. რადგან ადამიანური ფორმის მთავარ ნიშან-თვისებათა მსგავსება თვალსაჩინოა, ჩვენი ყურადღება მიმართულია წვრილმან განსხვავებებზე მოსაგებულებაში.

ადვილია მოვიყვანოთ მაგალითი იმისა, როცა მონაცემები შედარებას არ ექვემდებარება. როცა ვსაუბრობთ საიქიო ცხოვრების იდეაზე, როგორც ერთ-ერთ იმ იდეათაგანზე, რომლებიც ადამიანთა საზოგადოებაში ჩნდებიან ფსიქოლოგიური აუცილებლობის გამო, ჩვენ საქმე გვაქვს მონაცემთა უაღრესად რთულ ჯგუფთან. ხალხების ერთ ნაწილს სჯერა, რომ სული განაგრძობს იმ ფორმით არსებობას, რომელიც მოცემულ პიროვნებას ჰქონდა სიკვდილის დროს; მეორეს სჯერა, რომ სული ხელახლა დაიბადება ამ ოჯახის წევრის შვილში; მესამეს — რომ სულები ჩასახლდებიან ცხოველთა სხეულში; სხვებს კი სჯერათ, რომ აჩრდილები განაგრძობენ ადამიანურ ქმედებებს და ელოდებიან შორეულ მომავალში ჩვენს სამყაროში კვლავ დაბრუნებას. ემოციური და რაციონალური ელემენტები ამ მრავალფეროვანი წარმოდგენებისა სრულიად განსხვავებულია და ჩვენ იოლად ვიგებთ ამ შეუდარებელი ფსიქოლოგიური პროცესების წყალობით, როგორ შეიძლებოდა წარმოშობილიყო მომავალი ცხოვრების იდეის განსხვავებული ფორმები. ვიხრები იმ აზრისაკენ, რომ ერთ შემთხვევაში მსგავსება შვილსა და მათ გარდაცვლილ მშობლებს შორის, სხვა შემთხვევაში მოგონება იმისა, თუ როგორ ცხოვრობდა გარდაცვლილი თავისი ცხოვრების უკანასკნელ დღეებში, სხვა შემთხვევებში სიყვარული შვილისა, მშობლისა თუ ნათესავისა, დაბოლოს, სიკვდილის შიში. — ყველა ამ მოტივს, ერთს ერთ შემთხვევაში, სხვას მეორე შემთხვევაში, ერთად აღებულს შეიძლებოდა ხელი შეეწყო საიქიო ცხოვრების იდეის წარმოქმნისთვის.

ამ თვალსაზრისს ამტკიცებს სხვა მაგალითი: სოციალური ორგანიზაციის ერთ-ერთი შესანიშნავი ფორმა, რომელიც ერთმანეთისაგან დაშორებულ ბევრ

ქვეყანაში გვხვდება, არის ე. წ. „ტოტემიზმი“, ე. ი. საზოგადოებრივი ფორმა, რომელშიც გარკვეული სოციალური ჯგუფები თვლიან, რომ ისინი ზებუნებრივი ძალების შედეგად ენათესავებიან ცხოველთა გარკვეულ სახეობებს ან ობიექტთა გარკვეულ კლასს. ჩემი აზრით, ასეთია საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება „ტოტემიზმისა“, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ განსახილველი მოვლენა ამ ფორმით არ წარმოადგენს უბრალო ან მარტივ ფსიქოლოგიურ პრობლემას, არამედ მოიცავს ყველაზე მრავალფეროვან ფსიქოლოგიურ ელემენტებს. ზოგიერთ შემთხვევაში ადამიანებს სწამთ, რომ ისინი არიან შთამომავალნი იმ ცხოველისა, რომელიც მათ მფარველობს. მეორე შემთხვევაში, ცხოველი ან რაიმე სხვა ობიექტი შეიძლებოდა მოვლენოდა მოცემული სოციალური ჯგუფის წინაპარს და შეეპირებოდა მას მფარველობას, შემდეგ კი მეგობრული დამოკიდებულება ცხოველსა და წინაპარს შორის მის შთამომავლობას გადაეცემოდა. სხვა შემთხვევაში ვარაუდობდნენ, რომ გარკვეული სოციალური ჯგუფი ტომში ფლობდა მაგიურ თვისებებს და ძალიან ადვილად შეეძლო მოეპოვებინა გარკვეული სახეობის ცხოველთა მფარველობა ან გაემრავლებინა ამ ცხოველთა რაოდენობა და ეს ზებუნებრივი ურთიერთობა ამ გზით შეიძლებოდა დამყარებულიყო. უნდა ვაღიაროთ, რომ აქ გარეგნულად ისევ და ისევ ერთნაირი ანთროპოლოგიური მოვლენები ფსიქოლოგიურად სრულიად განსხვავებული აღმოჩნდება. ასე რომ, აქედან გამომდინარე, არ შეიძლება გამოვიყვანოთ ფსიქოლოგიური კანონები, რომლებსაც ყველა ეს მოვლენა დაექვემდებარებოდა (გოლდენვეიზერი).

ზედმეტი არ იქნებოდა მეორე მაგალითის მოყვანაც. მორალური მასშტაბების ზოგადი განხილვის დროს ჩვენ ვამჩნევთ, რომ ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად ხდება ქცევათა შეფასების თანდათანობითი ცვლა. პირველყოფილ ადამიანებში ადამიანის სიცოცხლეს არ უფრთხილდებიან და მას იმეტებენ უმნიშვნელო გაღიზიანების დროსაც კი. სოციალური ჯგუფი, რომლის წევრები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან რაიმე ალტრუისტული მოვალეობებით, ძალზე პატარაა. ამ ჯგუფის გარეთ ყოველი ქმედება, რომელსაც შეუძლია პირადი გამორჩენის მოტანა, არა თუ ნებადართულია, არამედ მოწონებითაც სარგებლობს. თუ ამ საწყისი პუნქტიდან ამოვალთ, დავინახავთ, რომ ადამიანის სიცოცხლე სულ უფრო ფასდება და ჯგუფის მოცულობა, რომლის წევრები ერთმანეთთან ალტრუისტული ვალდებულებებით არიან დაკავშირებული, სულ უფრო იზრდება. ერთა შორის თანამედროვე ურთიერთობები გვიჩვენებს, რომ ამ ევოლუციას თავისი საბოლოო სტადიისათვის ჯერ არ მიუღწევია, ამიტომ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ საზოგადოებრივი სინდისის დამოკიდებულების შესწავლას ისეთი დანაშაულის მიმართ, როგორიც არის მკვლელობა, შეიძლება ჰქონდეს ფსიქოლოგიური მნიშვნელობა და მიგვიყვანოს მნიშვნელოვან შედეგებამდე ეთიკური ღირებულებების წარმომავლობის კვლევისას. თუმცა აქ შეიძლება გაჩნდეს ისეთივე საწინააღმდეგო აზრი, როგორც ზემომოყვანილი, სახელდობრ, არარსებობა ურთიერთშესადარი მოტივებისა. ადამიანი, რომელიც, მიყენებული ზარალის გამო, შურისძიებისათვის მტერს კლავს ან ახალგაზრდა, რომელიც საკუთარ მამას კლავს მანამდე, ვიდრე იგი დაჩაჩანაკდება, რათა შესაძლებლობა მისცეს იმქვეყნად აქტიური ცხოვრებისა, მამა, რომელიც შვილს კლავს, როგორც მსხვერპლს თავისი ხალხის კეთილდღეობისათვის — ყველანი იმდენად განსხვავებული მოტივებით მოქმედებენ, რომ მათი ქმედებების შედარება ფსიქოლოგიურად სრულიად დაუშვებლად წარმოგვიდგება. თითქოსდა უფრო მართებულია შურისძიების

ძიზნით მტრის მოკვლა შეუადაროთ ამავე მიზნით მისი საკუთრების განადგურებას, ანდა ტომისათვის ბავშვის შეწირვა სხვა რამე ქმედებას, რომელიც ჩადენილია ძლიერი ალტრუისტული მოტივების გავლენით, ვიდრე შედარების საფუძვლად ეიგულისხმოთ მკვლელობის ზოგადი ცნება (ვესტერმარკი).

ეს მცირე მონაცემი საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ ერთი და იგივე ეთნიკური მოვლენა სხვადასხვა საწყისიდან შეიძლება წარმოიშვას, და შეგვიძლია დავასკვნათ: რაც უფრო მარტივია დასაკვირვებელი ფაქტი, მით უფრო სარწმუნოა, რომ იგი ერთ შემთხვევაში ერთი საწყისიდან განვითარდა, მეორე შემთხვევაში — მეორიდან.

კვლევისას თუ ამ დაკვირვებებს დავემყარებით, მაშინ შესაძლოა სერიოზული საწინააღმდეგო აზრი გაგვიჩნდეს იმ ვარაუდის მიმართ, თითქოს ადამიანთა ყველა რასაში კულტურის სტადიები ერთმანეთს მისდევს ერთი და იგივე თანმიმდევრობით. ჩვენ უფრო მეტად ვცნობთ სხვადასხვა წეს-ჩვეულებათა და რწმენა-წარმოდგენათა განსაკუთრებულ ტენდენციას, რომლის ძალითაც ისინი მსგავს ფორმებამდე მიდიან. სწორად რომ გავიაზროთ განსხვავებული წეს-ჩვეულებებისა და წარმოდგენების ფორმათა მსგავსება, აუცილებელია გამოვიკვლიოთ მათი ისტორიული განვითარება. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ისტორიული განვითარება სხვადასხვა ადგილას ერთნაირია, შესაძლებელია განსახილველი მოვლენები ეკვივალენტურად ჩავთვალოთ. ამ თვალსაზრისით კულტურული კონტაქტის ფაქტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

მნიშვნელოვანმა თეორიულმა მოსაზრებამ ასევე შეარყია ჩვენი რწმენა ევოლუციური თეორიის, როგორც მთლიანის, სისწორისა. ერთ-ერთი არსებითი მხარე ამ თეორიისა ისაა, რომ საერთოდ ცივილიზაცია ვითარდებოდა მარტივი ფორმებიდან რთულზე გადასვლის გზით და რომ ადამიანთა კულტურის ფართო სფეროები ვითარდებოდა მეტ-ნაკლებად რაციონალური იმპულსების გავლენით. უკანასკნელ წლებში ჩვენ იმის აღიარებას ვიწყებთ, რომ ადამიანთა კულტურა ყოველთვის არ ვითარდება მარტივიდან რთულისაკენ გადასვლის გზით, მაგრამ ბევრ მხარესთან დაკავშირებით ხდება ორი ტენდენციის გადაჯვარედინება: ერთი ტენდენციაა განვითარება რთულიდან მარტივისაკენ, მეორე კი — მარტივიდან რთულისაკენ. ნათელია, რომ საწარმოო განვითარების ისტორიაში თითქმის ყოველთვის ვლინდება მზარდი სირთულე. მეორე მხრივ, ადამიანური ქმედების იმ სახეებში, რომლებიც არ არის დამოკიდებული ლოგიკურ მსჯელობაზე, ამ სახის ევოლუცია არ ვლინდება.

ყველაზე ადვილია, ეს აზრი განვმარტოთ ენის მაგალითზე, რომელიც ადამიანის განვითარების ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საბუთია. პირველყოფილი ენები ზოგადად რთულია. წვრილმანი განსხვავებანი თვალსაზრისში გრამატიკული ფორმების საშუალებით გამოიხატება და გრამატიკული კატეგორიები ლათინურისა და, მითუმეტეს თანამედროვე ინგლისური ენისა, მოუქნელად გვეჩვენება პირველყოფილი ენების ფსიქოლოგიური და ლოგიკური ფორმების სირთულესთან შედარებით; ფორმებისა, რომლებიც სრულიად უცნობია ჩვენი მეტყველებისათვის. საერთოდ, ენათა განვითარება, როგორც ჩანს, ისეთია, რომ უფრო დახვეწილი ფორმალური განსხვავებანი ენაში იკარგება. ეს პროცესი იწყება რთული ფორმებიდან და მთავრდება მარტივით. თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ვლინდება საწინააღმდეგო ტენდენციებიც (ბოასი).

მსგავსი შენიშვნების გაკეთება შეიძლება პირველყოფილი ადამიანის ხელოვნებაზეც. მუსიკაში, ისევე როგორც დეკორატიულ ნახატში, ეპოლობთ რიტმული სტრუქტურის ნაცვალ სირთულეს, რომ მას ამ მხრივ ვერ შეადარებ

თანამედროვე ხალხურ ხელოვნებას. ეს სირთულე მუსიკაში, ჩანს, ისე დიდია, რომ მისი მიბაძვის მცდელობით ფასდება გამოცდილი ვირტუოზის ხელოვნება (შტუმპფი). რადგან გაირკვა, უბრალოება და სიმარტივე ყოველთვის არ არის სიძველის საბუთი, უკვე ადვილია დავინახოთ, რომ ცივილიზაციის ევოლუციის თეორია, გარკვეული ხარისხით, ლოგიკურ შეცდომას ემყარება. ანთროპოლოგიის მონაცემების კლასიფიკაცია მათი სიმარტივის შესაბამისად ახსნილი იქნა როგორც თანმიმდევრობა, რომელშიც ეს მონაცემები ისტორიულად ერთმანეთს მისდევდნენ და, ამასთან, არ ცდილობდნენ, საჭიროებისამებრ ეჩვენებინათ, რომ უფრო მარტივი წინ უსწრებს უფრო რთულს.

ამრიგად, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ვარაუდი განსხვავებული ადამიანური რასისა და ყველა ტომობრივ ერთეულში კულტურის განვითარების ერთგვაროვნობისა მართებულია მხოლოდ განსაზღვრული აზრით. შეგვიძლია ვაღიაროთ გარკვეული ცვლილებები გონებრივი მოღვაწეობის სახეებისა კულტურის ფორმათა ცვლილების დროს, მაგრამ ის ვარაუდი, რომლის თანახმადაც ერთი და იგივე ფორმები აუცილებლად უნდა განვითარდეს ყოველ დამოუკიდებელ სოციალურ ერთეულში, ძნელად თუ შეიძლება იქნეს გამართლებული. ასე რომ, კითხვაზე: შეიძლება თუ არა მტკიცება იმისა, რომ სხვადასხვა რასის წარმომადგენლები კულტურის დაბალ საფეხურზე დგანან, ხოლო სხვა რასის წარმომადგენლები — მაღალ დონეზე, შეიძლება უარყოფითი პასუხი გავცეთ. თუ ჩვენ შევეცდებოდით, ადამიანთა სხვადასხვა ტიპები დაგველაგებინა მათი საწარმოო განვითარების შესაბამისად, მაშინ აღმოჩნდებოდა, რომ ერთსა და იმავე უდაბლეს დონეზე იმყოფებიან ისეთი სრულიად განსხვავებული რასები, როგორებიცაა: სამხრეთ-აფრიკის ბუშმენები, ცეილონის (შრი-ლანკა მთარგმნელი) ვედები, ავსტრალიელები და ცეცხლოვანი მიწის ინდიელები. ხოლო რამდენიმე საფეხურით უფრო მაღლა აღმოჩნდებოდნენ სხვადასხვა რასის წარმომადგენლები, მაგ., ცენტრალური აფრიკის ზანგები, სამხრეთ-დასავლეთ პუებლოსების ინდიელები და პოლინეზიელები. ახლანდელ პერიოდშიც შეიძლება მოვძებნოთ სხვადასხვა რასის წარმომადგენლები, რომლებიც მიეკუთვნებიან ცივილიზაციის უმაღლეს ტიპებს. ამგვარად, ჩანს, რომ არ არსებობს ზუსტი შესაბამისობა რასასა და კულტურას შორის.

პირველყოფილი კულტურის ზოგიერთი ნიშან-თვისება[1]

ახლა უნდა მოვახდინოთ პირველყოფილ ცივილიზებულ ადამიანთა აზროვნების ფორმებს შორის განსხვავების უფრო ზუსტი ფორმულირება რასობრივი წარმოშობის მიუხედავად. ზედაპირული დაკვირვებაც გვიჩვენებს, რომ ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც განსხვავებულ სოციალურ ფენებს მიეკუთვნებიან, ერთნაირად არ იქცევიან, რუსი გლეხი თავის გრძნობით გამოცდილებაზე ისე არ რეაგირებს, როგორც ავსტრალიელი აბორიგენი, ხოლო განათლებული ჩინელისა და განათლებული ამერიკელის რეაქცია კი სულ სხვაგვარია. ყველა ამ შემთხვევაში რეაქციის ფორმა შეიძლება უმნიშვნელო ხარისხით დამოკიდებული იყოს მემკვიდრეობით, ინდივიდუალურ და რასობრივ შესაძლებლობებზე, მაგრამ ბევრად უფრო მეტად იგი განისაზღვრება იმ საზოგადოების ჩვეულებრივი რეაქციებით, რომელსაც მიეკუთვნება განსახილველი ინდივიდი.

---

[1] წყაროდან: Ф. Боас. Ум первобытного человека, М.,-Л., 1926, с. 119—122.

ამიტომ ჩვენი გამოკვლევის ბოლოს აუცილებელია განვსაზღვროთ და გა-
მოვიკვლიოთ ის გონებრივი რეაქციები, რომლებიც პირველყოფილ ადამიანს
განასხვავებს ყველა რასის ცივილიზებული ადამიანისაგან.

ჩვენი განხილვა უნდა შემოიფარგლოს ძირითადი ფსიქოლოგიური ფაქ-
ტების არცთუ ისე ბევრი მაგალითით. პირველყოფილი ადამიანების აზრების
ერთ-ერთი ყველაზე მეტად დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა ცნებათა გან-
ცალკევების განსაკუთრებული უნარი და მათი სხვაგვარ წესრიგში მოყვანა,
მაშინ, როცა ეს ცნებები მსგავსი და ურთიერთკავშირში მყოფი გვეჩვენება.
ჩვენი თვალსაზრისით, ცისა და ამინდის ფაქტორის ყველა ელემენტი უსულო
საგნებია, ხოლო პირველყოფილი ადამიანის გონებას ეჩვენება, რომ ისინი
ორგანულ სამყაროს მიეკუთვნებიან. ადამიანსა და ცხოველს შორის არ არის
გაელებული მკვეთრად განმასხვავებელი ზღვარი. ის, რასაც ჩვენ ობიექტის
მდგომარეობად მივიჩნევთ, მაგალითად, ჯანმრთელობა და ავადმყოფობა, პირ-
ველყოფილი ადამიანის მიერ დამოუკიდებელ რეალობად აღიქმება. ერთი სი-
ტყვით, საზოგადოების სხვადასხვა ფორმაში მცხოვრებ ადამიანებში მთელი
კლასიფიკაცია ხდება სრულიად განსხვავებული მიმართულებებით.

კლასიფიკაციის აუცილებლობა წინა თავში განვმარტე, როდესაც ესაუბ-
რობდი ენისა და კულტურული განვითარების დამოკიდებულებაზე. ამასთან,
მივუთითე კლასიფიკაციის პრინციპების შეუსაბამობაზე, რაც ვლინდება სხვა-
დასხვა ენაში.

პირველყოფილი ადამიანის ქცევის ყაიდა ნათელყოფს, რომ ყველა ეს
ლინგვისტური კლასები არასოდეს ყოფილა გაცნობიერებული და, აქედან გა-
მომდინარე, მათი წარმომავლობა უნდა ვეძიოთ არა რაციონალურ, არამედ
სრულიად გაუცნობიერებელ გონებრივ პროცესებში. ისინი, როგორც ჩანს,
წარმოიშობიან გრძნობითი შთაბეჭდილებებისა და ცნებების დაჯგუფების წყა-
ლობით, რაც არავითარ შემთხვევაში არ ვლინდება ნებელობით, მაგრამ ვი-
თარდება სრულიად განსხვავებული ფსიქოლოგიური მიზეზების გავლენით.
ლინგვისტური კლასიფიკაციების დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა, რომ ისინი
შეგნებულად არასდროს არ ყალიბდებიან, მაშინ როდესაც სხვა კლასიფიკაციები
ხშირად შეგნებულად იქმნება, თუმცა მათ შორისაც ჭარბობს ასეთივე გაუც-
ნობიერებელი წარმომავლობა. საკუთრივ შესაძლებელია, რომ მაგ., ისეთი ძი-
რეული რელიგიური წარმოდგენები, როგორიცაა წარმოდგენა ნებელობისა,
რომელიც უსულო საგნებს ახასიათებს, ანდა ანთროპომორფული ხასიათი
ცხოველებისა, დასაწყისში ისევე ნაკლებად ცნობიერია, როგორც ენის ძირ-
თადი იდეები. მაგრამ, ამავე დროს, ენას ისე ავტომატურად იყენებენ, რომ
არასდროს არ ჩნდება საბაბი, ძირითადი ცნებები გამოყენებულ იქნეს
ცნობიერად, რაც ძალიან ხშირად ხდება რელიგიასთან დაკავშირებულ ყველა
მოვლენაში.

ეს შენიშვნები შეიძლება მივუსადაგოთ ამ ცნებათა სხვა ჯგუფებსაც.

ამ გამოკვლევებში უპირველეს ყოვლისა საჭიროა იმ ძირითადი კატეგო-
რიების განსაზღვრა, რომელთაც ადამიანი მიაკუთვნებს მოვლენებს კულტურის
განსხვავებულ საფეხურებზე. ამ სახის განსხვავებები საკმაოდ ნათლად ვლინ-
დება მარტივი გრძნობითი აღქმების სფეროში. დაკვირვებით აღმოჩნდება, რომ
ფერები, მათი მსგავსების მიხედვით კლასიფიცირდებოდა სრულიად განსხვავე-
ბულ ჯგუფებად. ამასთან არ ჩანდა ფერთა ნიუანსების განსხვავების უნარ-
ის, რასაც ჩვენ მწვანეს ან ცისფერს ვუწოდებთ, ხშირად ერთიანდებოდა რაი-
მე ტერმინით. მაგ., „ნაღველის ფერი“, ანდა ყვითელი და მწვანე ფერი ერთი-

ანდებოდა ერთ ცნებად, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „ნორჩი ფოთლების ფერი“. გადაჭარბებული არ იქნება, ვაღიაროთ იმ ფაქტის მნიშვნელობა, რომ ამ ფერთა სახელწოდებები გონებაში და ენაში იწვევენ სრულიად განსხვავებული ჯგუფის შეგრძნებათა შთაბეჭდილებებს.

კატეგორიათა მეორე ჯგუფია ობიექტისა და ატრიბუტის კატეგორიები. პირველყოფილი ადამიანის წარმოდგენათა განხილვისას ირკვევა, რომ იდეათა კლასები, რომლებშიც ატრიბუტებს ვითვალისწინებთ, ხშირად მიიჩნევა დამოუკიდებელ ობიექტებად. ყველაზე ცნობილი ამგვარი მაგალითი, რომელიც ერთხელ უკვე ვახსენე, არის ავადმყოფობა. მაშინ, როდესაც ჩვენ ავადმყოფობას ორგანიზმის მდგომარეობად მივიჩნევთ, პირველყოფილი ადამიანისა და თვით ჩვენი საზოგადოების ბევრი წევრისთვისაც იგი ობიექტია, რომელიც შეიძლება შევიდეს სხეულში და რომელიც შეიძლება მოაცილო მას. ამის მაგალითად შეიძლება გამოდგეს მრავალრიცხოვანი შემთხვევები, როცა ხდება დაავადების სხეულიდან გამოწოვით ან სხვა საშუალებებით მოცილება. ეს არის რწმენა იმისა, რომ ეს დაავადება შეიძლება გაავრცელო ხალხში ანდა მოათავსო ხეში, რათა თავიდან იქნეს აცილებული მისი დაბრუნება. სხვა შემთხვევებშიც ამგვარად მოქმედებენ. მაგალითად, შიმშილი, გამოფიტვა და მსგავსი სხეულისმიერი შეგრძნებები გარკვეული პირველყოფილი ტომების მიერ აღიქმება, როგორც დამოუკიდებელი ობიექტები, რომლებიც სხეულზე მოქმედებენ. სიცოცხლეც კი მატერიალურ ობიექტად აღიქმება, რომელსაც შეუძლია მოსცილდეს სხეულს.

ზემოთ აღვნიშნე, რომ ანთროპომორფიზმის ცნება პირველყოფილი აზრის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ძირითადი კატეგორიაა. როგორც ჩანს, მოძრაობისა და ობიექტის მოძრაობაში მოყვანის უნარმა გამოიწვია ადამიანის და მოძრავი ობიექტების ერთ კატეგორიაში ჩართვა, ამასთან მოძრავ ობიექტურ სამყაროს ადამიანური თვისებები მიეწერება.

ამასთანავე, მაშინ, როცა ბევრ შემთხვევაში შეიძლება ავხსნათ წარმოდგენები და ცნებები, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ კატეგორიებს, სხვა შემთხვევებში ისინი სრულიად გაუგებარია. მაგალითად, ცნება ჯგუფისა, რომელშიც მიღებულია სისხლის აღრევა, ცნება იმ ჯგუფებისა, რომელშიც მკაცრად აკრძალულია დაქორწინება — უნივერსალურია. მაგრამ ჯერ არ არის გაცემული დადებითი პასუხი და არ არის განმარტებული ტენდენცია — ამ თვალსაზრისს დაემორჩილოს სისხლით ნათესაობის გარკვეული ხარისხი.

მეორე ძირითადი განსხვავება პირველყოფილი და ცივილიზებული ადამიანის გონებრივ ცხოვრებას შორის მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ შეეძელით ჩვენი ცოდნის შედეგების ამ გამოუმუშავებელი, გაუცნობიერებელი კლასიფიკაციებიდან, შეგნებული აზროვნების გამოყენების გზით, ჩამოგვეცილებინა უკეთესი სისტემები, მაშინ, როცა პირველყოფილმა ადამიანმა ეს არ გააკეთა. პირველყოფილი ადამიანის რწმენა-წარმოდგენების შესწავლიდან მიღებული პირველი შთაბეჭდილება ასეთია: მისი გრძნობითი აღქმები ჭარბობს, ხოლო ამ აღქმათა ლოგიკური ახსნის უნარი კი არ არის საკმარისი. ჩემი აზრით, შეიძლება ვაჩვენოთ, რომ ეს ფაქტი განპირობებულია პირველყოფილი ადამიანის გონების არა ძირითადი თავისებურებით, არამედ ტრადიციული იდეების ხასიათით, რომელთა მეშვეობითაც აიხსნება ყოველი ახალი შეგრძნება და აღქმა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმ ტრადიციული იდეების ხასიათით, რომლებთანაც ასოცირდება ყოველი ახალი აღქმა. ჩვენს საზოგადოებაში ბავშვს გადაეცემა უამრავი დაკვირვება და აზრი. ეს აზრები შედეგია ჩვენი თანამედ-

როვე და წინაბარი თაობების გულდასმითი დაკვირვებისა და გონითი ხედვისა. მაგრამ ინდივიდთა უმრავლესობას ისინი გადაეცემა როგორც ტრადიციული მასალა, რომელიც უმეტესად ისეთივე ხასიათისაა, როგორც ფოლკლორი. ბავშვი ახდენს ახალი აღქმების ასოცირებას მთელ ამ ტრადიციულ მასალასთან და მისი საშუალებით ხსნის თავის დაკვირვებებს. ჩვენი აზრით, ვარაუდი, რომლის თანახმადაც, გააზრება ყოველი ციელიზებული ინდივიდის მიერ სრული ლოგიკური პროცესია, მცდარია. ჩვენ ვახდენთ მოვლენის ასოცირებას რამდენიმე ცნობილ ფაქტთან, რომელთა გააზრებაც ცნობილად ივარაუდება და ვკმაყოფილდებით ამ წინასწარ ნაცნობ ფაქტზე ახალი ფაქტის დაყვანით. მაგ., თუკი საშუალო ინდივიდმა შეიტყო აქამდე მისთვის უცნობი ქიმიური პრეპარატის აფეთქების შესახებ, იგი მსჯელობს ასეთნაირად: ზოგიერთი ნივთიერების შესახებ ვიცით, რომ მათ აქვთ შესაბამის პირობებში აფეთქების უნარი და აქედან გამომდინარე ამ უცნობ ნივთიერებასაც იგივე თვისება აქვსო. იგი კმაყოფილდება ასეთი მსჯელობით. ჩვენ კი არ მივმართავთ შემდეგ მსჯელობებს და ვცდილობთ სრულად ავხსნათ აფეთქების მიზეზები.

პირველყოფილი ადამიანისა და ციელიზებულის აზროვნებას შორის განსხვავება, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანწილად მდგომარეობს იმ ტრადიციულ მასალის განსხვავებულ ხასიათში, რომელთანაც ასოცირდება ახალი აღქმა. განათლება, რომელიც ეძლევა პირველყოფილი ადამიანის შვილს, არ ემყარება საუკუნეობრივ სისტემურ გამოცდილებას, იგი რიგი თაობების დაუშუშავებელი გამოცდილებაა, როდესაც პირველყოფილი ადამიანის გონება ითვისებს ახალ გამოცდილებას, ე. ი. იგივე პროცესი, რომელსაც ვაკვირდებით ციელიზებულ ადამიანებში, იწვევს ასოციაციათა სრულიად სხვა რიგს და ამიტომ ახსნის სულ სხვა ტიპი მიიღება. მოულოდნელი აფეთქება, შესაძლებელია, მის გონებაში ასოცირდება იმ გადმოცემებთან, რომლებიც მას გაუგონია სამყაროს მითურ ისტორიასთან დაკავშირებით, ამიტომ ეს აფეთქება მასში იწვევს ცრურწმენულ შიშს. როცა ვუშვებთ, რომ არც ციელიზებულ და არც პირველყოფილ ადამიანებში საშუალო ინდივიდს მოვლენათა მიზეზობრივი ახსნის ცდა ბოლომდე კი არ მიჰყავს, არამედ მხოლოდ სხვა, მანამდე ცნობილი ფაქტების ამალგაციამდე დაჰყავს, ჩვენ ვაღიარებთ, რომ მთელი პროცესის შედეგი სავსებით დამოკიდებულია ტრადიციული მასალის ხასიათზე. აზროვნების განსაზღვრისას — ესაა ფოლკლორის დიდი მნიშვნელობა, ესაა მოარული ფილოსოფიური წარმოდგენების უდიდესი გავლენა ხალხთა მასებზე და გაბატონებული მეცნიერული თეორიის გავლენა სამეცნიერო ნაშრომის ხასიათზე.

ამაო იქნებოდა ცდა, თანამედროვე მეცნიერების განვითარება გაგვეგო თანამედროვე ფილოსოფიის შეგნებული გააზრების გარეშე; ამაო იქნებოდა ცდა, რომ შუასაუკუნეობრივი მეცნიერების ისტორია აგვეხსნა შუასაუკუნეობრივი თეოლოგიის ცოდნის გარეშე, ასევე ამაოა ცდა იმისა, რომ პირველყოფილი მეცნიერება გავიგოთ პირველყოფილი მითოლოგიის გააზრებულ ცოდნის გარეშე. „მითოლოგია“, „თეოლოგია“ და „ფილოსოფია“ სხვადასხვა ტერმინებად გვევლინებიან, რომლებიც აღნიშნავენ ერთსა და იმავე გავლენებს და რომლებიც განაპირობებენ ადამიანური აზროვნების მიმართულებას, განსაზღვრავენ ხასიათს ადამიანის მცდელობისა, ახსნან ბუნების მოვლენები. პირველყოფილ ადამიანს, რომელიც მიჩვეულია ცის სხეულები სულიერ არსებებად მიიჩნიოს და ყოველი ცხოველი ადამიანზე უფრო ძლიერად მიაჩნია, მთებს, ხეებსა და ქვებს ცოცხალ არსებებად აღიქვამს, სულ სხვაგვარი ახსნა მოიპოვება, ვიდრე ჩვენ ვხსნით, რადგან ჩვენი დასკვნები ემყარება მატერიის

და იმ ძალების არსებობას, რომლებიც წარმოქმნიან იმ შედეგებს და რომ-ლებსაც ვაკვირდებით. ჩვენ რომ შესაძლებლად არ მიგვაჩნდეს რიგ მოვლენა-თა ახსნა მხოლოდ მატერიისა და ძალის შედეგით, მაშინ ბუნების ყველა მოვ-ლენის ახსნა სხვა სახეს შიიღებდა.

მეცნიერული გამოკვლევისას ნათლად უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ჩვენს განმარტებაში ყოველთვის მოიპოვება ზოგიერთი ჰიპოთეზა და თეორია და რომ ჩვენ ნებისმიერი მოცემული მოვლენის ანალიზი ბოლომდე არ მოგვყავს. მართლაც, თუ ამას გავაკეთებთ, შეუძლებელი იქნებოდა პროგ-რესი. მოვლენის სრული განხილვისათვის უსასრულოდ ბევრი დრო დაგვჭირ-დებოდა, რადგან ჩვენ მიდრეკილი ვართ ვიფიქროთ, რომ დავივიწყოთ ზოგადი და უმრავლესობისათვის წმინდა ტრადიციული თეორიული საფუძველი, რომე-ლიც ჩვენი აზროვნების ფუნდამენტია, აგრეთვე მიდრეკილი ვართ ვივარაუ-დოთ, რომ ჩვენი აზროვნების შედეგი აბსოლუტური ჭეშმარიტებაა. ამავე დროს, ჩვენ იმავე შეცდომას ვუშვებთ, რომელსაც უშვებდნენ და უშვებენ ყველა ნაკლებად ცივილიზებული ხალხები. ისინი უფრო ადვილად კმაყოფილ-დებიან, ვიდრე ჩვენ, მაგრამ ამასთანავე ტრადიციული ელემენტი მათი ახსნისა ჭეშმარიტებად მიაჩნიათ და ამიტომ აბსოლუტურ ჭეშმარიტებად მიიჩნევენ მასზე დამყარებულ ყველა დასკვნას. ცხადია, რომ ჩვენს აზროვნებაში რაც უფრო ნაკლები რაოდენობაა ტრადიციული ელემენტებისა და რაც უფრო მე-ტად ვცდილობთ გავარკვიოთ ჩვენი აზროვნების ჰიპოთეზური ნაწილი, მით უფრო ლოგიკური იქნება ჩვენი დასკვნები. ცივილიზაციის პროგრესი უეჭვე-ლად შეიცავს ტრადიციული ელემენტების მოცილებისა და ჩვენი აზროვნების ჰიპოთეზური საფუძვლის სულ უფრო მეტად გამოკვლევის ტენდენციას. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად აზროვნება სულ უფრო ლოგიკური ხდება, არა იმიტომ, რომ ყველა ინდივიდი ლოგიკუ-რად აზროვნებს, არამედ იმის გამო, რომ ტრადიციული მასალა, რომელიც ყოველ ინდივიდს გადაეცემა, უფრო სრულია და უფრო გულდასმითაა გააზ-რებული და დამუშავებული. მაშინ, როდესაც პირველყოფილ ცივილიზაციაში ტრადიციული მასალა ძალიან ცოტა ინდივიდში აღძრავს ეჭვს და ცოტა ვინმე თუ იკვლევს მას, და მოაზროვნეთა რიცხვი, რომლებიც ცდილობენ თავი და-აღწიონ ტრადიციის ბორკილებს, იზრდება ცივილიზაციის პროგრესთან ერთად.

იმის მაგალითად, რაც აგვიხსნის ამ პროგრესსა და შის ნელ მიმდინარეო-ბას, შეიძლება გამოგვადგეს სხვადასხვა ტომის ინდივიდებს შორის დამოკიდებუ-ლება. არსებობს ისეთი პირველყოფილი ურდოები, რომლებისთვისაც ყოველი უცხო ადამიანი, რომელიც არ არის ამ ურდოს წევრი, მოწინააღმდეგეა, და სადაც სამართლიანად ითვლება ამ მოწინააღმდეგეს რაც შეიძლება მეტი ზენება მიაყენო და მოკლა კიდეც. ეს ჩვეულება მნიშვნელოვანწილად ემყარება ურ-დოს სოლიდარობის იდეას და იმ გრძნობას, რომლის თანახმადაც, ურდოს ყოველი წევრის მოვალეობაა, გაანადგუროს ნებისმიერი მოწინააღმდეგე; ამი-ტომ ყოველი პირი, რომელიც არ არის ურდოს წევრი, განიხილება როგორც სრულიად სხვა კლასის წარმომადგენელი და მას ამის შესაბამისად ექცევიან. ჩვენ შეიძლება დავაკვირდეთ ამხანაგური გრძნობის თანდათანობით ზრდას ცივილიზაციის პროგრესის განმავლობაში. ურდოში ამხანაგობის გრძნობა გა-დადის ტომის ერთიანობის გრძნობაში, იმ კავშირების აღიარებაში, რომელიც შეიქმნა მეზობლის წყალობით, და შემდეგ, მეგობრობის გრძნობაში ერის წევრებს შორის. როგორც ჩანს, ასეთია ჩვენს დროში ადამიანთა ამხანაგობის ეთიკური ცნების ზღვარი. როდესაც ვაანალიზებთ ჩვენს დროში არსებულ

ესოდენ ძლიერ ნაციონალურ გრძნობას, ვაღიარებთ, რომ იგი მნიშვნელოვანწილად მდგომარეობს იმ საზოგადოების უპირატესობის იდეაში, რომლის წევრებიც ჩვენ ვართ, გვირჩევნია ჩვენი ენა, ჩვენი წეს-ჩვეულებანი, ტრადიციები და გვწამს, რომ ჩვენს საზოგადოებას უფლება აქვს, შეინარჩუნოს თავისებურებები და თავს მოახვიოს იგი დანარჩენ სამყაროს. ნაციონალური გრძნობა იმ სახით, როგორც იგი აქ არის გამოხატული, და ურდოს სოლიდარობის გრძნობა ერთი და იმავე მოვლენათა არსია, თუმცა სახეცვლილია ამხანაგური იდეის თანდათანობითი გაფართოების წყალობით; მაგრამ ეთიკური თვალსაზრისი, რომელიც ჩვენს დროში ამართლებს ერთი ერის კეთილდღეობის ზრდას მეორის ხარჯზე, ტენდენციები — საკუთარი ცივილიზაცია დაიყენოს უფრო მაღლა, ვიდრე დანარჩენი კაცობრიობის ცივილიზაცია, ისეთივეა, რომლითაც ხელმძღვანელობს თავის ქცევებში პირველყოფილი ადამიანი და რომელიც ყოველ უცხო ადამიანს მოწინააღმდეგად მიიჩნევს და არ დაკმაყოფილდება მანამდე, სანამ არ მოკლავს. ჩვენ გვეძნელება იმის აღიარება, რომ ღირსება, რომელსაც საკუთარ ცივილიზაციას მივაწერთ, განპირობებულია ამ ცივილიზაციაში ჩვენი მონაწილეობის ფაქტით და ყველა ჩვენი ქცევა დაბადებიდან მისი ზეგავლენის ქვეშაა. თუმცა სავსებით შესაძლებელია, რომ არსებობდეს ცივილიზაციის სხვა ფორმები, რომლებიც შესაძლოა ემყარება სხვა ტრადიციებს, სხვა წონასწორობას გრძნობასა და გონებას შორის, და რომ ეს ფორმები არანაკლებ ღირებულია, ვიდრე ჩვენ-და რომ ჩვენ არც შეგვიძლია მათი შეფასება, რადგან არა ვართ მათი გაცნობილნი. ადამიანის მოქმედებათა შეფასების ზოგადი თეორია, რომელიც ანთროპოლოგიური გამოკვლევებიდან გამომდინარეობს, გვასწავლის უფრო ამაღლებულ შემწყნარებლობას, ვიდრე ახლა გაგვაჩნია.

ამგვარად, ვრწმუნდებით, რომ ტრადიციული ელემენტების მნიშვნელოვანი ნაწილი შედის როგორც პირველყოფილი, ისე ცივილიზებული ადამიანის აზროვნებაში და უფრო მომზადებულნი ვართ იმისათვის, რათა გავიგოთ ზოგიერთი სპეციალური ტიპური განსხვავება პირველყოფილი და ცივილიზებული ადამიანის აზროვნებაში.

პირველყოფილი ცხოვრების ხასიათი, რამაც ადრევე მიიქცია მკვლევართა ყურადღება, გონებრივი ქმედების სახეობათა შორის მჭიდრო ასოციაციების არსებობაა, რაც ჩვენ სრულიად განსხვავებულად გვეჩვენება. პირველყოფილ ცხოვრებაში რელიგია და მეცნიერება, მუსიკა, პოეზია და ცეკვა, მითი და ისტორია, ეთიკა და ჩვეულება ერთმანეთთან განუყოფელ კავშირშია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პირველყოფილი ადამიანი ყოველ მოქმედებას უყურებს არა მარტო როგორც თავისი მიზნის მიღწევის საშუალებას, ყოველ აზრს — არა მარტო როგორც მისგან გამომდინარე მთავარ დასკვნასთან კავშირში მყოფს, როგორც ამას ჩვენ ვუყურებთ, არამედ იგი ახდენს მათ ასოცირებას სხვა იდეებთან, რომლებსაც ხშირად რელიგიური ან სიმბოლური ხასიათი აქვთ. ამგვარად, იგი მათ უფრო მაღალ მნიშვნელობას ანიჭებს. ვიდრე ჩვენ აზრით, ისინი იმსახურებენ ამას. ყოველი ტაბუ ასეთი ასოციაციის მაგალითია, როგორც ჩანს, ნაკლებმნიშვნელოვანი ქცევების ისეთ იდეებთან ასოციაციისა, რომლებშიც იმდენად წმინდად ესახებათ, რომ ჩვეულებრივი ქცევიდან გადახრა იწვევს საშინელების ძლიერ განცდას. ორნამენტების, როგორც თილისმების ახსნა, დეკორატიული ხელოვნების სიმბოლიზმი ასევე შეიძლება გამოდგეს იდეათა ასოციაციის მაგალითებად, რაც ჩვენი აზროვნებისათვის საერთოდ უცხოა.

იმ თვალსაზრისის გამოსარკვევად, რომლითაც შესაძლოა ეს მოვლენები აიხსნას, განვიხილავთ, ჩვენი ცივილიზაციიდან გაქრა თუ არა აზროვნების ამგვარ ფორმათა ყველა კვალი. ჩვენს დაძაბულ ცხოვრებაში, სადაც ისეთი ქმედება გვიხდება, რომელიც თხოულობს ჩვენი გონებრივი შესაძლებლობების სრულ გამოყენებასა და ემოციური ცხოვრების დათრგუნვას, მივეჩვიეთ, რომ გულგრილად და საქმიანად შევხედოთ ჩვენს ქცევებს, მათ გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებს. თუმცა შეიძლება დავაკვირდეთ სულიერ განწყობილებებს, რომლებიც ხასიათდება ცხოვრებაზე სხვაგვარი შეხედულებით. თუ ზოგიერთ ჩვენგანს თვალთახედვა შეზღუდული აქვს სტაციონარული მოტივებითა და მიზნებით, ამ დროს სხვები, რომლებიც განზე დგანან და შშვიდ ჭვრეტას მისცემიან, ცხოვრებაში ხედავენ იმ იდეალური სამყაროს ანარეკლს, რომლებიც თავიანთ შეგნებაში ააგეს. მხატვრისათვის გარესამყარო სილამაზის სიმბოლოა, რომელსაც იგი გრძნობს; რელიგიურად განწყობილი სულისათვის გარე სამყარო ტრანსცენდენტური ჭეშმარიტების სიმბოლოა, რომელიც მის აზრს ფორმას აძლევს. ინსტრუმენტული მუსიკა, რომელიც ერთ ადამიანს ატკბობს, როგორც წმინდად მუსიკალური ხელოვნება, მეორე ადამიანის გონებაში იწვევს გარკვეულ ცნებებს, რაც დაკავშირებულია მუსიკალურ თემებსა და შესრულებასთან, მხოლოდ მით გამოწვეულ ემოციურ მდგომარეობასთან მსგავსებით. სინამდვილეში ერთსა და იმავე სტიმულზე ინდივიდთა რეაქციების განსხვავება და ერთი და იმავე გრძნობითი შთაბეჭდილებებით გამოწვეული ასოციაციების განსხვავებულობა სხვადასხვა ინდივიდში იმდენად თვალსაჩინოა, რომ ისინი არ საჭიროებენ განსაკუთრებულ შენიშვნებს.

ჩვენი გამოკვლევისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ არსებობს გარკვეული სტიმულები, რომლებზეც ჩვენ, ერთსა და იმავე საზოგადოებაში მცხოვრენნი, ერთნაირად ვრეაგირებთ ისე, რომ, არ შეგვიძლია ჩვენი ქცევის მოტივირება. ამის კარგ მაგალითად გამოდგება სოციალური ეტიკეტის დარღვევა. ქცევა, რომელიც არ შეესაბამება ჩვეულებრივ მანერებს და მკვეთრად განსხვავდება მათგან, საერთოდ უსიამოვნო ემოციებს იწვევს; ჩვენი მხრიდან საჭიროა გარკვეული ძალდატანება იმის გასარკვევად, რომ ასეთი ქცევა მორალის მოთხოვნებს არ ეწინააღმდეგება. იმ პირებში, რომლებიც არ არიან ჩვეული გაბედულ და მკაცრ აზროვნებას, ხშირად გვხვდება აღრევა ტრადიციული ეტიკეტისა, ე. ი. ე. წ. კარგ მანერებსა და ზნეობრივ ქცევას შორის. ქცევის გარკვეულ მხარეებში იმდენად მჭიდრო ასოციაცია არსებობს ტრადიციულ ეტიკეტსა და ზნეობრიობას შორის, რომ ყველაზე ძლიერ მოაზროვნესაც კი უძნელდება, უარი თქვას მასზე: ეს შეიძლება მივუსადაგოთ, მაგალითად, ისეთ აქტებს, რომლებიც ითვლება წესიერების დარღვევად. ძალიან ზედაპირულადაც კი რომ გადავავლოთ თვალი კოსტიუმების ისტორიას, აღმოჩნდება: ის, რაც ერთ დროს სადად ითვლებოდა, სხვა დროს თვალში სალამად გადაიქცეოდა. სხეულის გარკვეული ნაწილების დაფარვის ჩვეულება მუდამ იწვევდა გრძნობას, რომ ამ ნაწილების გაშიშვლება უწესობაა. წესიერების ეს გრძნობა იმდენად ცვალებადი და მერყეევია, რომ კოსტიუმი, რომელიც ერთ შემთხვევაში მისაღებად ითვლება, უწესო და მიუღებელია სხვა შემთხვევაში, მაგალითად, გამოსასვლელი კაბის ჩაცმა ქუჩაში, სამუშაო საათებში. თუ რა სახის სიშიშვლე ტოვებს უწესობის შთაბეჭდილებას, ყოველთვის მოდაზეა დამოკიდებული. სავსებით ცხადია, რომ მოდა არ არის ნაკარნახევი თავშეკავებულობითა და მორიდებულობით, მაგრამ კოსტიუმის ისტორიული განვითარება განისაზღვრება სხვადასხვაგვარი მიზეზებით. მოდები ნა-

ინც ტიპურად უკავშირდება მორიდებულობის გრძნობას. ისე რომ, უჩვეულო სიშიშვლე იწვევს უწესობის არასასიამოვნო შთაბეჭდილებას. იმაზე არ მსჯელობენ, თუ რატომ არის ერთი ფორმა წესიერი და მეორე უწესო, მაგრამ ზემოაღნიშნული გრძნობა პირდაპირ და უშუალოდ გამოწვეულია საზოგადოდ მიღებულ ფორმებთან კონტრასტულობით. თითოეული ადამიანი ინსტინქტურად გრძნობს, რა ძლიერი წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდებოდა მას, თუნდაც სხვა საზოგადოებაში, თუ მოსთხოვდნენ ჩაედინა ისეთი საქციელი, რომელსაც ჩვენ მოურიდებლობად და უწესობად ვთვლით, და რა ემოციები შეიძლება განეცადა, თუ მოხვდებოდა ისეთ საზოგადოებაში, რომელშიც მორიდებულობაზე წარმოდგენა ჩვენი წარმოდგენისაგან განსხვავებულია.

რომ არაფერი ვთქვათ ძლიერ ემოციებზე, რომლებიც დაკავშირებულია მორიდებულობასთან, დავინახავთ, რომ არსებობს სხვადასხვა მიზეზი, რომელთა გამოც ტანსაცმლის გარკვეული სახეობები უადგილოდ და შეუფერებლად გვეჩვენება. ორი საუკუნის წინანდელი ჩვენი წინაპრის მოდაზე ჩაცმულები საზოგადოებაში თუ გამოვჩნდებით, ეს სრულიად შეუფერებელი და სასაცილო იქნებოდა. ჩვენ ვიღიზიანდებით, როცა ვინმე სახლში ქუდს არ იხდის. ეს უხეშობად ითვლება. მისი დახურვა ეკლესიაში ან გასვენებაში კი უფრო ძლიერ უკმაყოფილებას გამოიწვევდა იმ გრძნობათა დიდი ემოციური მნიშვნელობის გამო, რომელსაც ამ საქციელით ვეხებით.

მოვიყვან მაგალითს, რომელიც ახსნის, თუ რა მაქვს მხედველობაში. ადვილია ვაღიაროთ, რომ სუფრასთან ჩვენი ქცევის მანერები უმეტესად წმინდად ტრადიციულია და არ შეიძლება მათი ოდნავ მაინც დამაკმაყოფილებლად ახსნა. ტუჩების წკლაპუნი ზიზღის გრძნობას იწვევს და უზრდელობად ითვლება, მაშინ, როცა ინდიელებში უზრდელობად ითვლება, თუ სადილზე მიწვეული ტუჩებს არ გააწკლაპუნებს, რადგან მასპინძელს შეიძლება ეგონოს, რომ სტუმარი სადილით უკმაყოფილოა. როგორც ინდიელს, ისე ჩვენც გამუდმებით ვასრულებთ რა ისეთ მოქმედებებს, რომლებშიც დახვეწილი მანერები ვლინდება, მართლაც არ შეგვიძლია სუფრასთან სხვაგვარად მოვიქცეთ. ემოციური დაუკმაყოფილებლობა გვეუფლება, როცა ვხედავთ, რომ სხვები ჩვეულებისამებრ არ იქცევიან. როდესაც ჭამა გვიხდება ისეთ ადამიანებთან, რომელთა სუფრასთან ქცევის მანერები ჩვენი მანერებისაგან განსხვავებულია, ეს აღძრავს უკმაყოფილების გრძნობას, რომელმაც ისეთ ინტენსივობას შეიძლება მიაღწიოს, რომ გულისრევა გამოიწვიოს. ამასთან დაკავშირებით ხშირად ისეთ განმარტებებს იძლევიან, რომლებიც ალბათ გამომდინარეობენ არსებული მანერების მხოლოდ ახსნის ცდიდან, მაგრამ არ ხსნიან მათ ისტორიულ განვითარებას. ხშირად გვესმის, რომ დანით ჭამა უწესობაა, რადგან შეიძლება პირი გავიჭრათ. მაგრამ ეჭვი მეპარება, რომ ამ მოსაზრებას რაიმე კავშირი ჰქონდეს ზემოაღნიშნული ჩვეულების განვითარებასთან, რადგან ძველი ტიპის წვეტიან ჩანგლებსაც ადვილად შეეძლოთ პირის გაჭრა.

ჩვენი უარყოფითი დამოკიდებულება უჩვეულო ქცევის მიმართ კიდევ რამდენიმე მაგალითით უნდა ავხსნათ, რომლებიც განაპირობებენ იმ გონებრივ პროცესებს, რომელიც გვიბიძგებს მოვახდინოთ ჩვენი კონსერვატივიზმის საფუძვლის ფორმულირება.

ერთ-ერთი იმ შემთხვევათაგანი, რომლებშიც ყველაზე უკეთ შეიძლება დავაკვირდეთ ისეთი მოტივების განვითარებას, რომლითაც, როგორც ამტკიცებენ, შეიძლება ქცევის ახსნა, არის ტაბუ. ჩვენში არა მგონია არსებობდეს გარკვეული ტაბუ, მაგრამ უცხო დამკვირვებელს ადვილად შეუძლია ამ თვალ-

საზრისით შეხედოს იმას, რომ ჩვენ საკვებად არ ვიყენებთ ყოველ ცხოველს. თუ ძაღლის ხორცის ჭამას ჩვეული ადამიანი დაინტერესდებოდა, თუ რატომ არ ვჭამთ ძაღლის ხორცს, ჩვენ ალბათ ვუპასუხებდით, რომ ჩვენ ეს არ გვესიამოვნება, და მასაც ასევე უფლება ექნებოდა ეთქვა, რომ ჩვენ ძაღლზე ტაბუ გვაქვს დადებული, ისევე როგორც ჩვენ უფლება გვაქვს ვილაპარაკოთ პირველყოფილი ადამიანების ტაბუზე. თუ მოგვთხოვდნენ იმ მიზეზთა განმარტებას, თუ რატომ არ ვიყენებთ საკვებად ძაღლსა და ცხენს, ჩვენს ზიზღს ავხსნიდით იმით, რომ რა საკადრისია იმ ცხოველთა ჭამა, რომლებიც ჩვენს გვერდით ცხოვრობენ და რომლებთანაც ვმეგობრობთ. მეორე მხრივ, ჩვენ უარს ვიტყოდით მატლების (მუხლუხოები) ჭამაზე ზიზღის გამო. კანიბალიზმი კი ჩვენში ისეთ შემაძრწუნებელ გრძნობას იწვევს, რომ ძნელია დაარწმუნო საკუთარი თავი და ეს გრძნობა იმ სახის ზიზღის გრძნობების რიცხვს მიაკუთვნო, რასაც ზემოთ ნახსენები. იმ ფაქტთაგან, რომ ცხოველთა უმრავლესობა თავიხი მოდგმის ცხოველს არ ჭამს, უნდა გამოვყოთ კანიბალიზმი, როგორც ჩვეეა, მიჩნეული ადამიანური ბუნების ერთ-ერთ ყველაზე შემაძრწუნებელ გარყვნილებად.

ზიზღის ამ სამი ჯგუფიდან, როგორც ჩანს, ჩვენში უწინარესად ზიზღს იწვევს ის, როცა ვრეაგირებთ ცდუნებაზე — გავსინჯოთ ამ სახის საკვები. ზიზღს სხვადასხვა მიზეზით ვხსნით, იმ იდეათა ჯგუფების მიხედვით, რომლებთანაც ასოცირდება ჩვენს გონებაში აქტი, რომლისკენაც მოგვიწოდებენ. პირველ შემთხვევაში არ არსებობს სპეციალური ასოციაცია, ჩვენ ვკმაყოფილდებით ზიზღის გრძნობის უბრალო გამოხატვით; მეორე შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანი საფუძველი, როგორც ჩანს, ემოციურია, თუმცა, როცა გვეკითხებიან, თუ რას ემყარება ჩვენი აპათია, შეიძლება გაგვიჩნდეს მიდრეკილება, მივუთითოთ ზემოხსენებულ არსებათა ქცევებზე, რომლებიც, როგორც ჩანს, ამართლებს ჩვენს ზიზღს; მესამე შემთხვევაში კი კანიბალიზმის მხოლოდ უზნეობაც უკვე საკმარისი საფუძველია.

სხვა მაგალითებად შეიძლება გამოდგეს მრავალრიცხოვანი, ჯერ კიდევ არსებული ზნე-ჩვეულებანი, რომელთაც თავდაპირველად ჰქონდათ რელიგიური და ნახევრადრელიგიური ხასიათი და აიხსნებოდნენ მეტ-ნაკლებად სარწმუნო უტილიტარული თეორიებით. ასეთია მთელი ჯგუფი ზნე-ჩვეულებებისა, რომლებიც დაკავშირებულია სისხლის აღრევის ცნებასთან. მაშინ, როდესაც სისხლის აღრევის ცნებაში ნაგულისხმევი ჯგუფის მოცულობა მატერიალურ ცვლილებებს განიცდიდა, ქორწინება არსებული ჯგუფის შიგნით ისეთივე ზიზღს იწვევდა, როგორც ყოველთვის; მაგრამ რელიგიური კანონების ნაცვლად ჩვენი გრძნობების საფუძვლად მოჰყავთ ეთიკური წარმოდგენები, რომლებიც ხშირად უტილიტარული ცნებებით აიხსნება. ოდესღაც საზიზღარი სენით დაავადებულ ადამიანებს ერიდებოდნენ და სწამდათ, რომ ისინი ღმერთმა დასაჯა, ახლა კი ერიდებიან დაავადების გადადების გამო. ინგლისში სიძვას თავს არიდებდნენ რელიგიური რეაქციის გავლენით, შემდეგ კი კარგად აღზრდის საკითხად იქცა.

შეიძლება კიდევ სხვა მაგალითის მოყვანა, რაც არცთუ შორეულ წარსულს მიეკუთვნება. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ რელიგიურ დოგმებთან უთანხმოება დანაშაულად ითვლებოდა. რაიმე რელიგიური შეხედულების შეუწყნარებლობა და ის ენერგია, რომელიც ვლინდებოდა ერესის დევნისას, გასაგები ხდება მხოლოდ მაშინ, როცა ვითვალისწინებთ აღშფოთების ძლიერ გრძნობას, რაც გამოწვეული იყო ეთიკური პრინციპების ხელყოფითა და აზრ-

თა ჩვეულებრივი მიმართულებისაგან გადახვევით. საქმე სულაც არ ეხებოდა ახალი იდეის ლოგიკურ უმართებულობას. გონება აღშფოთებული იყო აზრის ჩვეულებრივი ფორმის ოპოზიციით, რომელიც ყოველ ინდივიდში იმდენად ღრმად იყო ფესვგადგმული, რომ იგი მისი გონებრივი ცხოვრების არსებით ნაწილად იყო ქცეული.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ყველა ზემოდასახელებულ შემთხვევაში ცვლილებებით გამოწვეული ოპოზიციის რაციონალისტური ახსნა ემყარება ცნებათა იმ ჯგუფს, რომლებთანაც მჭიდრო კავშირშია აღძრული ემოციები. თუ საქმე ეხება კოსტიუმს, მოჰყავთ საფუძველი, რომელიც მიუთითებს, თუ რატომ არის ახალი ფასონი უადგილო და შეუსაბამო. ერესის შემთხვევაში ამტკიცებენ, რომ ახალი დოქტრინა თავდასხმაა მარადიულ ჭეშმარიტებაზე. ასევეა ყველა სხვა შემთხვევაშიც.

თუმცა ეფიქრობ, ღრმა და ზუსტი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეს მიზეზები მხოლოდ ცდაა, ავხსნათ ჩვენი უკმაყოფილების გრძნობა. ჩვენი აზრით, ოპოზიცია სულაც არ არის ნაკარნახევი შეგნებული აზროვნებით, არამედ ძირითადად იმ ემოციური ეფექტით, რასაც ახდენს ახალი იდეა და იწვევს დისონანსს იმასთან, რასაც უკვე შეჩვეულები ვართ.

ყველა ამ შემთხვევაში ჩვეულება იმდენად ხშირად და რეგულარულად სრულდება, რომ ჩვეული მოქმედება ავტომატურად იქცევა, ე. ი. მის შესრულებას ჩვეულებრივ არ ახლავს შეგნებულობის რაიმე ნიშანი. აქედან გამომდინარე, ამ მოქმედებათა ემოციური მნიშვნელობა ასევე მცირეა. თუმცა აღსანიშნავია, რომ, რაც უფრო ავტომატურია რაიმე მოქმედება, მით უფრო ძნელია საწინააღმდეგო მოქმედების შესრულება. ამ უკანასკნელისათვის საჭიროა მეტად მნიშვნელოვანი ძალისხმევა და ჩვეულებრივ მას ახლავს უკმაყოფილების ძლიერი გრძნობა. შეინიშნება აგრეთვე, რომ, როდესაც უჩვეულო მოქმედებას დაუფარავად ასრულებს ვინმე სხვა პირი, ეს ძლიერ ყურადღებას იქცევს და იწვევს უსიამოვნებას. ამგვარად, როცა ირღვევა წეს-ჩვეულება, იღვიძებს ყველა იმ ჯგუფის იდეათა ცნობიერება, რომელთანაც ასოცირდება მოქმედება. ძაღლის ხორცისაგან დამზადებული კერძი გამოიწვევდა პროტესტს, რაც გამომდინარეობს თანაცხოვრების ყველა იდეიდან; კანიბალურ ნადიმობა აღშფოთებას გამოიწვევდა ყველა იმ სოციალური პრინციპის დარღვევის გამო, რომელნიც ჩვენს მეორე ბუნებად არის ქცეული. რაც უფრო ავტომატურად ვცეულა ამა თუ იმ ქმედების რიგი ან აზრის გარკვეული ფორმა, მით უფრო ძნიშვნელოვანია შეგნებული ძალისხმევა, რომელიც დაგჭირდებოდა ჩვეულ მოქმედებებსა და აზრებზე უარის სათქმელად, და მით უფრო მნიშვნელოვანია უკმაყოფილება ან უკიდურეს შემთხვევაში გაკვირვება. რასაც იწვევს სიახლის შემოტანა. მის წინააღმდეგ ანტაგონიზმი რეფლექსური მოქმედებაა, რასაც ახლავს ემოციები, რომლებიც არ არის გამოწვეული შეგნებული აზროვნებით. როცა ვაცნობიერებთ ამ ემოციურ რეაქციას, მის ახსნას ვცდილობთ აზროვნების პროცესით. ეს ახსნა აუცილებლად დავმყარება იმ იდეებს, რომლებიც ცნობიერდება მყარი ჩვეულების დარღვევით; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენი რაციონალური ახსნა დამოკიდებული იქნება ასოცირებული იდეების ხასიათზე.

ამიტომ მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, საიდან წარმოდგება ასოცირებული იდეები და განსაკუთრებით კი ის, თუ რამდენად შეგვიძლია იმის ვარაუდი, რომ ეს ასოციაციები მდგრადია. ჩვენს ცივილიზაციაში ასეთი ასოციაციების შეცვლის გარკვეული მაგალითების მითითება არ არის ადვილი, რადგან

საზოგადოდ ჩვენი დროის რაციონალურმა ტენდენციებმა მოსპო ასოციაციათა ბევრი სახეობა იქაც კი, სადაც რჩება ემოციური ეფექტი. ასე რომ, ეს ცვლილება ისეთია, რომ ასოციაციათა არსებობისაგან წარმოდგება მათი ქრობისკენ სვლა.

ჩვენ შეგვიძლია ამ შენიშვნებს რეზიუმე გავუკეთოთ და ვთქვათ, რომ მაშინ, როცა ყოველი ჩვეულება არის ისტორიულ მიზეზთა შედეგი, იგი დროთა განმავლობაში შეიძლება ასოცირებულ იქნეს სხვადასხვა იდეასთან. რაც უფრო სწრაფად გავიცნობიერებთ ასოციაციას ჩვეულებებსა და გარკვეული ჯგუფის იდეებს შორის, უფრო ჩქარა მივალთ ახლანდელი ასოციაციის ჩვეულებების ახსნამდე, რომლებიც ალბათ განსხვავდებიან იმ დროის ასოციაციებისაგან, როდესაც ეს ჩვეულება ჩამოყალიბდა.

ახლა გადავიდეთ ანალოგიური მოვლენების განხილვაზე პირველყოფილ ცხოვრებაში. იქ უარყოფითი დამოკიდებულება ამ ქვეყნის ჩვეულებებისაგან გადახვევის მიმართ კიდევ უფრო ძლიერად არის გამოხატული, ვიდრე ჩვენს ცივილიზაციაში. ასე მაგალითად, არ არის მიღებული სახლში ძალი ცეცხლისაკენ მიშვერილი ფეხებით. ამ წეს-ჩვეულების დარღვევისა ეშინიათ და ერიდებიან მას. გარკვეულ საზოგადოებაში ერთი და იმავე კლანის წევრები ერთმანეთზე არ ქორწინდებიან; ასეთი ქორწინებები ძლიერ ზიზღს გამოიწვევდა. არ არის საჭირო სხვა მაგალითების მოყვანა. რადგან კარგად არის ცნობილი ის ფაქტი, რომ რაც უფრო პირველყოფილია ხალხი, მით უფრო შებორკილია იგი წეს-ჩვეულებებით და ეს არეგულირებს მათ მოქმედებებს ყოველდღიურ ცხოვრებისეულ ყველა დეტალში. პირადი გამოცდილებიდან შეიძლება დავასკვნა, რომ როგორც ჩვენთან, ისე პირველყოფილ ტომებთან წინააღმდეგობა მტკიცედ დამკვიდრებული ჩვეულებებისაგან გადახრისადმი გამოწვეულია ემოციური რეაქციით და არა შეგნებული აზროვნებით. ეს არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ პირველი სპეციალური აქტი, რომელიც დროთა განმავლობაში ჩვეულებად იქცა, შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო შეგნებული გონითი პროცესით; მაგრამ უფრო სარწმუნოდ მიმაჩნია, რომ ბევრი ჩვეულება წარმოიშვა ყოველგვარი შეგნებული ქმედების გარეშე. მათ განვითარებას ისეთივე ხასიათი უნდა პქონოდა, როგორც ენათა მორფოლოგიაში აღბეჭდილ კატეგორიებს და რომლებიც სამუდამოდ უცნობი შეიძლება დარჩენილიყო ამ ენებზე მოლაპარაკეთათვის. მაგალითად, თუ ჩვენ მივიღებთ კუნოვის თეორიას, რომელიც ეხება ავსტრალიური სოციალური სისტემების წარმოშობას[1], ჩვენ, რასაკვირველია, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თავდაპირველად ყოველი თაო-

---

1 ზოგიერთი ავსტრალიური ტომი იყოფა ოთხ ეგზოგამიურ ჯგუფად. ეგზოგამიური კანონები მოითხოვს, რომ პირველი ჯგუფის წევრი დაქორწინდეს მეორე ჯგუფის წევრზე, ხოლო მესამე ჯგუფის წევრი — მეოთხე ჯგუფის წევრზე. კუნოვი ხსნის ამ ჩვეულებებს, როცა გვიჩვენებს: როდესაც ჩვეულება ადგენს რომ ტომში, რომელიც გაყოფილია ორ ეგზოგამიურ ერთეულად და რომელშიც მხოლოდ ერთსა და იმავე თაობის წევრებს აქვთ უფლება ერთმანეთზე დაქორწინებისა, ბუნებრივია, შეიქმნება ისეთი პირობები, როგორიც სახეზეა ავსტრალიაში, თუკი ყოველ ჯგუფს აქვს სახელწოდება და თუ სახელწოდებათა ერთი წყება აღნიშნავს პირველ, მესამე, მეხუთე თაობებს, ხოლო მეორე წყება — მეორე, მეოთხე, მეექვსე თაობებს და ა. შ. თუ ჩვენ ორ ტომობრივ ქვედანაყოფს აღვნიშნავთ ასოებით A და B, ხოლო თაობებს 1 და 2, მაშინ ქვედანაყოფს სახელწოდებები იქნება A_1, A_2, B_1 და B_2; ქორწინებებში, რომლებშიც პირველ ადგილზე მითითებულია სქესი, რომელიც განსაზღვრავს ჯგუფს, და რომელსაც მიეკუთვნება შთამომავლობა, ეხებოდეთ, რომ A_1 უნდა დაქორწინდეს B_1-თან და მათი შვილები იქნებიან A_2. B_1 უნდა დაქორწინდეს A_1-თან და მათი შვილები იქნებიან B_2. A_2 უნდა დაქორწინდეს B_2-თან და მათი შვილები იქნებიან A_1. B_2 უნდა დაქორწინდეს A_2-თან და მათი შვილები იქნებიან B_1.

ბა იზოლირებულად ცხოვრობდა, ამიტომ ორი ერთმანეთის მომდევნო თაობაცა წევრებს შორის ქორწინება შეუძლებელი იყო, რადგან მხოლოდ ერთი თაობის ქალებსა და მამაკაცებს ექნებოდათ ქორწინებისა და სქესობრივი ურთიერთობების შესაძლებლობა. უფრო გვიან, როცა ორი შემდეგი, ერთმანეთის მომდევნო თაობა უკვე ისე აღარ განსხვავდებოდა ასაკით და მათი სოციალური დაყოფა შეწყდა, წეს-ჩვეულება უკვე დამკვიდრდა და არ გამქრალა პირობების შეცვლისას.

ხდება, როცა უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ახალი გარემოს გაელენით ძველი წეს-ჩვეულებები ტაბუში გადაიზრდება. ჩემი აზრით, მეტად სარწმუნოა ესკიმოსების ტაბუ, რომელიც კრძალავს საკვებში კანადური ჩრდილოეთის ირმისა და სელაპის ერთსა და იმავე დღეს გამოყენებას ქვეყნის შიგნით და სანაპიროებზე. როდესაც ესკიმოსები ქვეყნის შიგნით ნადირობენ, მათ არა აქვთ საკვებად სელაპის ხორცი და ამიტომ შეუძლიათ ჭამონ მხოლოდ ჩრდილოეთის ირემი. როდესაც სანაპიროზე ნადირობენ, არ მიუწვდებათ ხელი ირმის ხორცზე და ამიტომ მიირთმევენ სელაპის ხორცს. ის უბრალო ფაქტი, რომ წლის ერთ დროს მხოლოდ ჩრდილოეთის ირმების ხორცის ჭამა შეიძლება, ხოლო სხვა დროს მხოლოდ სელაპისა, ადვილად გამოიწვევდა წინააღმდეგობას ამ ჩვეულების შეცვლის მცდელობისადმი. ასე რომ, იმ ფაქტიდან, რომ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შეუძლებელი იყო ერთსა და იმავე დროს ორი სახის საკვების მიღება, განვითარდა კანონი, რომლის თანახმადაც, არ შეიძლება ორი სახის საკვების ერთსა და იმავე დროს გამოყენება. ჩემი აზრით, ასევე სარწმუნოა, რომ ტაბუ, რომელიც თევზზე აქვთ დადებული ზოგიერთ სამხრეთ-დასავლეთ ინდიელ ტომებს, შეიძლება გამოწვეული იყოს იმ ფაქტით, რომ ეს ტომები დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდნენ ისეთ ადგილზე, სადაც არ იყო თევზი და იმის გამო, რომ შეუძლებელი იყო თევზის შოვნა, წარმოიშვა წეს-ჩვეულება, რომელიც თევზის ჭამას კრძალავს. ეს ჰიპოთეზური შემთხვევები ნათელყოფს, რომ ჩვეულების არაცნობიერი წარმოშობა საესებით შესაძლებელია, თუმცა, რასაკვირველია, არ არის აუცილებელი, რომ ასე იყოს, მაგრამ სარწმუნოა, როდესაც შეგნებულმა აზროვნებამ გამოიწვია ამა თუ იმ წეს-ჩვეულების შემოღება, იგი მალე არაცნობიერი გახდა, ამის ნაცვლად ჩვენ ვაწყდებით უშუალო ემოციურ წინააღმდეგობას წეს-ჩვეულების დარღვევის მიმართ.

სხვა ქცევები, რომლებიც წესიერად ან უწესოდ არის მიჩნეული, განაგრძობენ მოქმედებას მხოლოდ ჩვეულებების გამო, ისე რომ, მათი ჩადენის დროს არ მიუთითებენ არავითარ საფუძველზე, თუმცაღა წეს-ჩვეულების დარღვევას შეუძლია გამოიწვიოს ძლიერი რეაქცია. ვანკუვერის კუნძულზე მცხოვრებ ინდიელებში უწესობად ითვლება ახალგაზრდა ქალისათვის, რომელიც მაღალ წოდებას მიეკუთვნება, პირის ფართოდ გაღება და სწრაფად ჭამა და ამ წეს-ჩვეულებებიდან გადახვევა ისეთსავე ძლიერ შთაბეჭდილებას დატოვებდა, როგორც უწესო საქციელი, რაც დამნაშავის საზოგადოებრივ მდგომარეობაზე ძალზე უარყოფითად იმოქმედებდა. იმავე ჯგუფის გრძნობებია შეურაცხყოფილი, როდესაც მაღალი წოდების წევრი, ევროპაშიც კი, იქორწინებდა მასზე დაბლა მდგომ პირზე. სხვა უფრო უმნიშვნელო შემთხვევებში, წეს-ჩვეულების დამრღვევი, სცილდება რა დადგენილ საზღვრებს, მხოლოდ სასაცილო ჩანს შეუფერებელი საქციელის გამო. ფსიქოლოგიურად ყველა ეს შემთხვევა მიეკუთვნება ემოციური რეაქციების ერთსა და იმავე ჯგუფს გაბატონებული ავტომატური ჩვევების დარღვევათა მიმართ.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ პირველყოფილ საზოგადოებაში ძნელად წარმოსადგენია არსებობდეს საბაბი ძლიერი ემოციური წინააღმდეგობის გასაცნობიერებლად, რაც გამოწვეულია წეს-ჩვეულებების დარღვევით, რადგან მათ მკაცრად იცავენ. მაგრამ არსებობს საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი სფერო, რომელშიც ვლინდება ტენდენცია ჩვეულ მოქმედებებთან კონსერვატიული მიჯაჭვულობის დაცვისა, სახელდობრ ახალგაზრდობის აღზრდა. ბავშვი, რომელსაც ჯერ არა აქვს შეთვისებული მის გარემოში გაბატონებული ქცევა, ბევრ რამეს არაცნობიერი მიბაძვის გზით ითვისებს ამ ჩვევებიდან. მაგრამ ბევრ შემთხვევაში მისი ქმედებათა ხასიათი ხშირად განსხვავებული იქნება ჩვეულებრივისაგან და მას გაუსწორებენ უფროსები. პირველყოფილი ცხოვრების ყველა მცოდნესათვის ცნობილია, რომ ბავშვებს გამუდმებით მიუთითებდნენ, მიბაძონ უფროსების მაგალითს და ყველა კრებულში, სადაც გულდასმით არის აღწერილი ტრადიციები, გვხვდება უამრავი რჩევა მშობლებისა შვილებისათვის, რომლებსაც მოვალეობად ჩაჰაგონებენ ტომის ჩვეულებათა დაცვას. რაც უფრო ძლიერი ემოციური მნიშვნელობა აქვს წეს-ჩვეულებას, მით უფრო ძლიერია სურვილი, ჩანერგონ იგი მოზარდთა გონებაში, ასეთნაირად წარმოიშობა უამრავი შემთხვევა, რომლებიც იწვევენ შეგნებულ წინააღმდეგობას წეს-ჩვეულებების დარღვევის მიმართ.

ვფიქრობ, ეს პირობები ძლიერ გავლენას ახდენენ წეს-ჩვეულებათა განვითარებაზე და შენახვაზე, რადგან თუ აცნობიერებენ, რომ წეს-ჩვეულება ირღვევა, შეიძლება იყოს ისეთი შემთხვევა. როდესაც ადამიანებმა ბავშვების შეკითხვების ან საკუთარი მიდრეკილების გამო ახსნან მიზეზი; ისინი იძულებული ხდებიან აღიარონ ის ფაქტი, რომ არსებობს გარკვეული იდეები, რომლებზეც სხვა განმარტებას ვერ იძლევიან. სურვილი იმისა, რომ გაიგონ საკუთარი გრძნობები და ქმედებები ან გაარკვიონ სამყაროს საიდუმლოებანი, ძალიან ადრე ჩნდება, ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ კულტურის ყველა საფეხურზე ადამიანი იწყებს ფიქრს თავის ქცევათა მოტივებზე.

როგორც უკვე ავხსენი, ბევრი ამ ქცევისათვის არ შეიძლება არსებობდეს რაიმე ცნობიერი მოტივი, ამიტომ ვითარდება ტენდენცია გაიხსნას ის მოტივები, რომლითაც შეიძლება განისაზღვროს ჩვენთვის დამახასიათებელი ქცევა. სწორედ ამიტომაც კულტურის ყველა სტადიაში ჩვეული ქმედებებისათვის პოულობენ მეორად ახსნას, რომლებიც სრულებით არ ეხება მათ ისტორიულ წარმოშობას, მაგრამ წარმოადგენენ ისეთ დასკვნებს, რომლებიც ემყარებიან მოცემული ხალხის საერთო ცოდნას. ჩვეულ ქცევათა ასეთი მეორადი ახსნის არსებობა მიმაჩნია ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ანთროპოლოგიურ მოვლენად და, როგორც დავინახეთ, ეს მოვლენა, საეჭვოა, ნაკლებ დამახასიათებელი იყოს ჩვენი საზოგადოებისათვის, ვიდრე პირველყოფილი საზოგადოებისათვის. ჩვეულებრივ შეიმჩნევა, რომ ჯერ გვსურს ან ვმოქმედებთ, შემდეგ კი ვცდილობთ, გავამართლოთ ჩვენი სურვილები და მოქმედებანი. როდესაც მიღებული აღზრდის გავლენით, მხარს ვუჭერთ რომელიმე პოლიტიკურ პარტიას, უმრავლესობა ამას აკეთებს არა იმიტომ, რომ მტკიცედ სწამს ამ პარტიის პრინციპების სამართლიანობა, არამედ ასე იქცევა იმიტომ, რომ ასწავლეს, პატივცათ ამ პარტიისათვის, როგორც ისეთისთვის, რომელსაც უნდა დაუჭიროს მხარი, მხოლოდ ამის შემდეგ ვცდილობთ გავამართლოთ ჩვენი თვალსაზრისი და დავუმტკიცოთ ჩვენს თავს, რომ ეს პრინციპები სწორია. ამგვარი მსჯელობის გარეშე სრულიად გაუგებარი იქნებოდა პოლიტიკური პარტიებისა თუ

სარწმუნოებების მდგრადობა და გეოგრაფიული განლაგება. მიუკერძოებელი თვითანალიზი გვარწმუნებს, რომ უმეტეს შემთხვევაში საშუალო ადამიანის ქცევები არ განისაზღვრება გააზრებით, და რომ იგი ჯერ მოქმედებს და შემდეგ ამართლებს ან ხსნის თავის მოქმედებებს ისეთი მეორადი მოსაზრებებით, რომლებიც საყოველთაოდ მიღებულია ჩვენში.

აქამდე განვიხილეთ მხოლოდ ის ქცევები, რომლის დროსაც წეს-ჩვეულებებთან წინააღმდეგობა იწვევს იმ საქციელის ემოციური მნიშვნელობის შეგნებას, რომელზეც არის საუბარი და ძლიერ წინააღმდეგობას ცვლილების მიმართ, რომელიც მოტივირებულია შემდგომ გარკვეული მოსაზრებებით, რომლებიც კრძალავენ ცვლილებას. დავინახეთ, რომ ის ტრადიციული მასალა, რომელითაც ოპერირებს ადამიანი, განსაზღვრავს იმ ამხსნელი იდეის განსაკუთრებულ ტიპს, რომელიც ასოცირდება ემოციურ სულიერ მდგომარეობასთან. პირველყოფილი ადამიანი თავისი წეს-ჩვეულებების ამ ახსნას საფუძვლად უდებს ცნებებს, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული საყოველთაო მოწყობის შეხედულებებთან. წეს-ჩვეულების საფუძვლად ამ გარკვეული ქმედების თავიდან ასაცილებლად შეიძლება ჩაითვალოს რაიმე მითოლოგიური იდეა, ანდა წეს-ჩვეულებას შეიძლება მიეცეს სიმბოლური მნიშვნელობა, ანდა სულაც შეიძლება უბრალოდ დაუკავშირდეს უბედურებას. ჩანს, რომ ამ უკანასკნელი სახის ახსნები იგივეა, რაც ჩვენში შემონახული მრავალი ცრურწმენის ახსნა.

ამ გამოკვლევის მნიშვნელოვან შედეგად გვეკლინება ის დასკვნა, რომ წყარო, რომლიდანაც წარმოიშვა პირველყოფილი ადამიანის წეს-ჩვეულებები, არ შეიძლება ვეძიოთ რაციონალურ პროცესებში. მკვლევართა უმრავლესობა ცდილობს რა ახსნას წეს-ჩვეულებებისა და ტაბუს ისტორია, გამოთქვამს შეხედულებას, რომლის მიხედვითაც, ამ წყაროს წარმოადგენს ადამიანსა და ბუნებას შორის ურთიერთობის განსჯა; პირველყოფილ ადამიანს მიაჩნია, რომ სამყაროში ყველგან ვლინდება ზებუნებრივი ძალების მოქმედება, რომლებსაც შეუძლიათ ადამიანს ყოველგვარი გაღიზიანების დროს ავნონ, ხოლო ამ ძალებთან კონფლიქტის თავიდან აცილების ცდები იწვევს უამრავ ცრურწმენას. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს პირველყოფილი ადამიანის წეს-ჩვეულებები და შეხედულებები შეგნებული განსჯის წყალობით ჩამოყალიბდა. მაგრამ თვალსაჩინო ხდება, რომ ყველაფერი თანმიმდევრული იქნებოდა, თუკი ვივარაუდებდით, რომ ყველა პროცესი ქვეცნობიერია.

თუკი ვცნობთ კიდეც ამას, ვფიქრობ, რომ ეს თეორიები უფრო ფართოდ უნდა განვმარტოთ, რადგან ამ სახის ბევრი შემთხვევა, როგორც ჩანს, შესაძლებელი აღმოჩნდებოდა ყოველგვარი განსჯის გარეშე, ცნობიერის თუ არაცნობიერის; მაგალითად, ის შემთხვევები, სადაც წეს-ჩვეულებები ჩამოყალიბდა ცხოვრების საერთო პირობების წყალობით და შეგნებული გახდა, როდისაც ეს პირობები შეიცვალა. სულაც არ მეპარება ეჭვი, რომ არსებობს შემთხვევები, როდესაც წეს-ჩვეულება წარმოიშვა მეტ-ნაკლებად შეგნებული განსჯის წყალობით; მაგრამ ასევე დარწმუნებული ვარ იმაშიც, რომ სხვა ჩვეულებები წარმოიშვა ამის გარეშე, და რომ ჩვენმა თეორიებმა უნდა ახსნან ერთიცა და მეორეც.

პირველყოფილი ცხოვრების კვლევა ავლენს უამრავი სხვა ტიპის ასოციაციის არსებობას, რომელთა ახსნა არც ისე ადვილია. ასოცირებული იდეების ამგვარი ფორმები შეიძლება შევნიშნოთ ყველა ტიპის კულტურაში.

მუქი ფერები და უხასიათობის შეგრძნება მჭიდროდ არის დაკავშირებული

ერთმანეთთან ჩვენს გონებაში, თუმცა არა იმ ხალხების გონებაში, რომელთა კულტურაც ჩვენთვის უცხოა. ხმაური უადგილოა იქ, სადაც დარდი გამოიხატება, თუმცა პირველყოფილ ადამიანებში მოტირალის ხმამაღალი მოთქმა უბედურებისა და დარდის ბუნებრივი გამოხატულებაა. დეკორატიული ხელოვნება გულისხმობს თვალისათვის სასიამოვნო შთაბეჭდილებას, მაგრამ ისეთმა ნახატმა, როგორიც არის ჯვარი, შეინარჩუნა თავისი სიმბოლური მნიშვნელობა.

საერთოდ, ასეთი ასოციაციები იმ იდეათა ჯგუფებს შორის, რომლებიც, როგორც ჩანს, ერთმანეთთან არ არის კავშირში, იშვიათია ცივილიზებულ ცხოვრებაში. ისინი რომ ადრე არსებობდნენ, დასტურდება როგორც ისტორიული ცნობებით, ისე გადმონაშთებით. რომლებშიც უძველესი იდეები გამქრალია, თუმცა გარეგნული ფორმა შემონახულია. პირველყოფილ ცხოვრებაში გვხვდება უამრავი ასეთი ასოციაცია. მათი განხილვა შეიძლება დავიწყოთ იმ მაგალითებით, რომელთაც ჩვენს ცივილიზაციაში ანალოგიური შემთხვევები მოეძებნება. და რომლებიც ამიტომ ჩვენთვის ადვილი გასაგებია.

უფართოესი სფერო, რომელშიც შემონახულია ეს ჩვეულებები, არის ადათები. ჩვენ ვხვდებით მრავალრიცხოვან დადგენილ საწესჩვეულებო ფორმებს, რომლებიც თან ახლავს მნიშვნელოვან ქმედებებს და რომლებიც გამოიყენება გამუდმებით, თუმცა მათი პირველსაწყისი მნიშვნელობა სრულად დაკარგულია. ბევრი მათგანი იმდენად ძველია, რომ მათი წარმომავლობა უნდა ვეძიოთ ძველ და წინარეისტორიულ დროშიც კი. ახლანდელ დროში წეს-ჩვეულებათა გამოყენება დავიწროებულია, მაგრამ პირველყოფილ კულტურაში მათით გაჟღენთილია მთელი ცხოვრება. არ შეიძლება შესრულდეს რამდენადმე მაინც მნიშვნელოვანი ქმედება, რომლებსაც არ ახლდეს წეს-ჩვეულებები, რომელთა ფორმა მეტ-ნაკლებად გამომუშავებულია. ბევრ შემთხვევაში მტკიცდება, რომ წეს-ჩვეულებები მათ ახსნებზე ბევრად უფრო მყარია; სხვადასხვა ხალხში და სხვადასხვა დროს ისინი წარმოადგენენ სხვადასხვა იდეის სიმბოლოებს. წეს-ჩვეულებათა მრავალფეროვნება იმდენად დიდია და იმდენად ფართოდ არის გავრცელებული, რომ აქ აღმოჩნდება უაღრესად მრავალფეროვანი ასოციაციები.

მგონია, რომ ამ თვალსაზრისით შეიძლება შევხედოთ პირველყოფილი ცხოვრების ბევრსა და შედარებით ყველაზე უფრო ძირითადსა და აუხსნელ თვისებებს, და თუ ჩვენ მათ განვიხილავთ როგორც სხვადასხვაგვარ აზრებსა და მოქმედებებს შორის წარმოქმნილ ასოციაციებს, უფრო ადვილად გავიგებთ მათ წარმოშობასა და ისტორიას.

თანამედროვე საზოგადოებაში მსოფლიოში მიმდინარე მოვლენათა განხილვა გამუდმებით ასოცირდება მცდელობებთან — მივცეთ მათ ადეკვატური ახსნა, რომელიც ემყარება მიზეზობრივ პრინციპს. პირველყოფილ საზოგადოებაში კი იმავე მოვლენების განხილვას მივყავართ რამდენიმე ტიპურ ასოციაციამდე, რომლებიც განსხვავებულია ჩვენი ასოციაციებისაგან, მაგრამ შესანიშნავი რეგულარობით ვლინდება იმ ტომებში, რომლებიც მსოფლიოს ყველაზე შორეულ ნაწილებში ცხოვრობენ. ამ ტიპის ასოციაციების შესანიშნავი მაგალითია რეგულარული ასოციაცია დაკავირვებებისა, რომელნიც შეეხებიან სამყაროში მიმდინარე მოვლენებს წმინდა ადამიანური თავგადასავლებით; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბუნებასთან დაკავშირებული მითების არსებობა. მე მგონია, რომ ბუნებასთან დაკავშირებული მითების დამახასიათებელი თვისებაა ასოციაცია იმ მოვლენებსა, რომლებსაც ვაკვირდებით სამყაროში, და იმას შორის, რასაც შეიძლება რომანტიული ინტრიგა ვუწოდოთ, რომლის საფუძველ-

შიც დევს ადამიანებისათვის ცნობილი საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმა. ინტრიგა, როგორც ასეთი, შეიძლებოდა განვითარებულიყო თვით ადამიანებშიც; მაგრამ მისი ასოციაცია ციურ სხეულებთან, ჭექა-ქუხილთან ან ქართან, მას აქცევს მითად, რომელიც ბუნებას უკავშირდება. ერთადერთი განსხვავება ხალხურ თქმულებასა და ბუნებასთან დაკავშირებულ მითს შორის მდგომარეობს მხოლოდ ამ უკანასკნელის იმ მოვლენებთან ასოციაციაში, რომლებიც სამყაროში ხდება. ეს ასოციაცია თავისთავად არ წარმოიშობა თანამედროვე საზოგადოებაში. თუკი იგი მაინც გვხვდება აქა-იქ, მაშასადამე, მას საფუძვლად უდევს ტრადიციული მითის გადმონაშთი, რომელიც ბუნებასთან არის დაკავშირებული. პირველყოფილ საზოგადოებაში კი იგი, პირიქით, გამუდმებით გვხვდება. ამ ასოციაციის საფუძვლის გამოკვლევა ძალიან მიმზიდველი პრობლემაა, რომლის გადასაწყვეტად მხოლოდ მარჩიელობა თუ შეიძლება.

ზოგიერთი სხვა შემთხვევა დაგვიმტკიცებს, რომ ზემოაღნიშნული სახის ასოციაციები სრულიად ჩვეულებრივია პირველყოფილ ცხოვრებაში. შესანიშნავ მაგალითად გამოდგება ცნობილი დამახასიათებელი ფორმები პირველყოფილი დეკორატიული ხელოვნებისა. ჩვენში დეკორატიული ხელოვნება თითქმის ყოველთვის ესთეტიკურ მიზნებს ემსახურება. ჩვენ გვსურს საგნის შემკობა, ვაღიარებთ გარკვეულ შესაბამისობას დეკორატიულ მოტივებს, საგნების დანიშნულებასა და დეკორატიული მოტივების ემოციურ ეფექტებს შორის. პირველყოფილ ცხოვრებაში კი პირობები სრულიად სხვაგვარი აღმოჩნდება. დეკორატიული ხელოვნების ფართო გამოკვლევებმა მსოფლიოს ყველა მხარეში დაამტკიცა, რომ დეკორატიული ნახატი პრაქტიკულად ასოცირდება გარკვეულ სიმბოლურ მნიშვნელობასთან. არ მოიძებნება ისეთი შემთხვევა, როდესაც პირველყოფილი ტომი რაიმე ახსნას არ მისცემდა გამოყენებულ ნახატებს. ზოგიერთ შემთხვევაში სიმბოლური მნიშვნელობა შეიძლება მეტისმეტად სუსტად იყოს გამოხატული, მაგრამ საზოგადოდ იგი ძლიერ განვითარებულია. ასე, მაგალითად, სამკუთხედებში და ოთხკუთხედებში, რომლებსაც ხატავენ ამერიკის დაბლობებში მცხოვრები ინდიელები, თითქმის ყოველთვის გამოხატულია გარკვეული სიმბოლური აზრი. მათ შეუძლიათ უკვდავყონ მეომართა გმირობანი, ან წარმოადგინონ მოტივები, ანდა რაღაცნაირად გამოხატონ იდეები, რომლებიც ზებუნებრივთან არის დაკავშირებული. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ პირველყოფილ ტომებში თითქმის არ არსებობს დეკორატიული ხელოვნება ხელოვნებისათვის. ერთადერთ ანალოგიას ახლანდელ დეკორატიულ ხელოვნებაში წარმოადგენს დროშის, ჯვრის ან რაიმე საიდუმლო საზოგადოებების ემბლემათა გამოყენება დეკორატიული მიზნებით; მაგრამ მათი რიცხვი უმნიშვნელოა პირველყოფილი ხელოვნების საერთო სიმბოლურ ტენდენციებთან შედარებით. ამგვარად, შეიძლება დავინახოთ, რომ მოცემულ შემთხვევაში, ჩვენ ისევ და ისევ ვპოულობთ პირველყოფილ საზოგადოებაში ასოციაციის ტიპს, რომელიც სრულიად განსხვავებულია იმ ასოციაციათა ტიპისაგან, რომლებიც ჩვენში გვხვდება. პირველყოფილ ადამიანებში ესთეტიკური მოტივის კომბინირება ხდება სიმბოლურთან, მაშინ, როდესაც თანამედროვე ცხოვრებაში ესთეტიკური მოტივი ან სრულიად დამოუკიდებელია, ანდა უტილიტარულ იდეებთან ასოცირდება.

წყნარი ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილის ამერიკის სანაპიროზე ნახატი ცხოველების გამოსახულება, რომელიც მსოფლიოს ბევრ სხვადასხვა ადგილას გვხვდება, მყარად ასოცირდებოდა ტოტემიზმის იდეასთან და გამოიწვია ცხოველთა მოტივების არნახული გავრცელება. ამას შეეძლო ხელი შეეწყო ასეთი

ხელოვნების რეალისტური ხასიათის შენარჩუნებისათვის. სიუქსების ტომში სამხედრო სიქველის მაღალმა შეფასებამ და ჩვეულმ ჩაედინათ სამხედრო გმირობანი ტომის თანდასწრებით, მამაკაცებს სტიმული მისცა თავისი ტანსამოსის მორთულობა დაეკავშირებინათ სამხედრო მოვლენებთან; ასე რომ, მათში განვითარდა მხედრული სიმბოლიზმი, მაშინ როდესაც ამავე ტომის ქალები სრულიად სხვაგვარად ხსნიან იმავე ნახატს (კ. უისლერი). მე მეჩვენება, რომ მოცემულ შემთხვევაში ჩვენ ადვილად შეგვიძლია თვალი გავადევნოთ იმ აზრთა მსვლელობას, რომლებმაც წარმოშვეს ასოციაციები დეკორაციის ფორმებსა და სამხედრო იდეებს შორის, თუმცა ჩვენს გონებას ბევრად უფრო დიდი დაძაბვა უხდება, ვიდრე პირველყოფილი ადამიანისას. დეკორატიული სიმბოლიზმის თითქმის ყველგან არსებობის ფაქტი გვიჩვენებს, რომ ეს ასოციაცია ავტომატურად და არაცნობიერი განსჯის შედეგად უნდა გაჩნდეს.

როგორც მორფოლოგიაში, ისე ხელოვნებაში შეიმჩნევა ტენდენციის განსაკუთრებული ასოციაციების რაციონალური ახსნა, რომლებიც განვითარდა ხელოვნებისა და მითების სტილის სესხების შემთხვევებში. ის ფაქტი, რომ პირველყოფილ ადამიანებში დეკორატიული ხელოვნება თითქმის ყველგან სიმბოლურია, არ გამორიცხავს ნახატების ან მოცემული ადგილის საერთო სტილის ნასესხობის შესაძლებლობას სხვა ადგილას მცხოვრები ხალხისაგან. ასე იყო მაგალითად ამერიკის ჩრდილო-დასავლეთ დაბლობებში მცხოვრებ ტომებში, რომლებმაც სამხრეთით მცხოვრები მეზობლებისაგან ბევრი რამ ისესხეს თავიანთ ხელოვნებაში, მაგრამ ამავე დროს არ აითვისეს მათი სიმბოლური მნიშვნელობები და თავისი საკუთარი გამოიგონეს. მე მგონია, რომ ეს არის გონებრივი პროცესის შედეგი, რომელიც მაშინ დაიწყო, როცა ნახატები მოეწონათ. პირველყოფილი აზროვნების საერთო ხასიათიდან გამომდინარე, მოსალოდნელი იყო მათი სიმბოლური გაგება. ასეთი რამ გააზრებული იქნა და მოგონილი იმ იდეებთან შესაბამისობაში, რომლებიც ამ ტომში იყო გავრცელებული.

იმავეს შეიძლება დავაკვირდეთ პირველყოფილ მითოლოგიაშიც. ერთნაირი სახის თქმულებები გავრცელებულია დიდ ტერიტორიაზე, მაგრამ მათი მითოლოგიური გამოყენება სხვადასხვა ადგილას სრულიად განსხვავებულია. ასე, მაგალითად, ჩვეულებრივი თავგადასავალი, რომელიც ეხება რაიმე ცხოველს, ემსახურება მისი ზოგიერთი დამახასიათებელი თავისებურების ახსნას. სხვა შემთხვევებში იგი შეიძლება გამოიყენონ გარკვეული ჩვეულების ასახსნელად, ან თვით ცის გარკვეულ თანავარსკვლავედთა წარმოშობის ასახსნელად. სრულებით არ მეპარება ეჭვი იმაში, რომ მოთხრობა, როგორც ასეთი, უფრო ძველია, ვიდრე მისთვის მიკუთვნებული მითოლოგიური მნიშვნელობა. ბუნებასთან დაკავშირებული მითის განვითარების მნიშვნელოვანი თვისებები იმაში მდგომარეობს, რომ, ჯერ ერთი, მოთხრობა ასოცირებული იყო სამყაროში არსებული ბირობის ახსნის ცდასთან (ამაზე უკვე ითქვა); და, მეორეც, როდესაც პირველყოფილმა ადამიანმა შეიგნო სამყაროს პრობლემის მნიშვნელობა, მან გადასინჯა ყველა თავისი მოპოვებული ცნობა, სანამ არ იპოვა რაღაც გამოსადეგი მოცემული პრობლემის გადასაწყვეტად, ხახელდობრ, ისეთი რამ, რაც მას მისცემდა ახსნას და რომელიც მის ცნობისმოყვარეობასა და გონებას დააკმაყოფილებდა, მაშინ როდესაც ცნებათა კლასიფიკაცია, ასოციაციათა ტიპები და ავტომატური აქტების ცვლილებით გამოწვეული წინააღმდეგობა არაცნობიერად განვითარდა, ბევრი რამ მეორადი ახსნებიდან მოგონილია გაცნობიერებული გააზრებით.

მოვიყვან პირველყოფილი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ასოციაციის ფორმის კიდევ ერთ მაგალითს, თანამედროვე საზოგადოებაში სოციალური ორგანიზაცია ოჯახთა ჯგუფების ჩართვით არსებითად ემყარება სისხლით ნათესაობასა და სოციალურ ფუნქციებს, რომელთაც ყველა ინდივიდი ასრულებს. გარდა იმისა, რომ ეკლესიას საქმე აქვს დაბადებასთან, ქორწინებასთან და გარდაცვალებასთან, არავითარი სხვა კავშირი სოციალურ ორგანიზაციას და რელიგიურ რწმენას შორის არ არსებობს. ეს პირობები სულიად სხვაგვარია პირველყოფილ საზოგადოებაში, სადაც ეპოულობთ განუყოფელ ასოციაციას იდეებისა და წეს-ჩვეულებებისას, რომლებიც მიეკუთვნებიან საზოგადოებასაც და რელიგიასაც. მსგავსად იმისა, როგორც ხელოვნებაში ფორმა ავლენს მისთვის სრულიად უცხო იდეებთან ასოციაციისადმი ტენდენციას, ასევე სოციალური ერთეულიც ავლენს სხვადასხვა შთაბეჭდილების ასოციაციის ტენდენციებს, რომლებსაც ახდენს ბუნება, განსაკუთრებით კი ცხოველთა სამყარო. ასოციაციის ეს ფორმა წარმოდგება ტოტემიზმის ძირითად თვისებად იმ სახით, როგორც ის გვხვდება ბევრ ამერიკულ ტომში და აგრეთვე ავსტრალიაში, მელანეზიასა და აფრიკაში. ზემოთ აღვნიშნე მისი დამახასიათებელი თვისება, რომელიც მდგომარეობს განსაკუთრებულ კავშირში ობიექტთა ცნობილ კლასსა, ჩვეულებრივ ცხოველებსა და გარკვეულ სოციალურ ჯგუფს შორის. შემდგომი ანალიზი არკვევს, რომ ერთ-ერთ იდეად, რომელიც ტოტემიზმის საფუძველში დევს, წარმოგვიდგება ადამიანთა გარკვეული ჯგუფების არსებობა, რომელთა შორის ქორწინება დაუშვებელია. და რომ შეზღუდვები ამ ჯგუფებისათვის განისაზღვრება სისხლით ნათესაობასთან დაკავშირებული მოსაზრებებით. რელიგიური იდეები, რომლებიც ტოტემიზმში აღმოჩნდება, ეხება ადამიანის პირად დამოკიდებულებას გარკვეული სახის ზებუნებრივ ძალებთან; და ტოტემიზმის ტიპურ თვისებას წარმოადგენს ზებუნებრივი ძალების გარკვეულ სახეთა ასოციაცია გარკვეულ სოციალურ ჯგუფებთან. თუ ამას ვაღიარებთ, მაშინ ზებუნებრივ სამყაროსთან ასოციაციის დამყარება გასაგები მაინც ხდება. ევროპული არისტოკრატიის განსაკუთრებულობა და ნაციონალური ემოციების საკმაოდ მკვეთრად გამოხატული ფორმები საკმარისი საბუთია იმისათვის, რომ ასეთი გრძნობები სრულიად შესაძლებელია და არაიშვიათი. ძნელი არ არის იმისი გაგება, თუ როგორ შეიძლება თემის მედიდური აღფრთოვანება საუკეთესო ღირსებებით გადაიქცეს ძლიერ ემოციად ან ვნებად, რომელიც სამყაროს რაციონალური ახსნის გარეშე გამოიხატება თემის წევრთა მისწრაფებაში — დაამყარონ ასოციაცია ყოველივე კარგთან და დიდებულთან. ამიტომ ფსიქოლოგიურად ტოტემიზმი შეგვიძლია შევადაროთ ჩვენში ცნობილ იმ საზოგადოებრივ ფორმებს, რომლებშიც ზოგიერთი კლასი პრეტენზიას აცხადებს პრივილეგიაზე, რომელიც მათ თითქოს ღმერთის მიერ აქვთ მინიჭებული, ანდა სადაც თემის წმინდა მფარველი იცავს მის წევრებს. ჩანს, რომ პირველყოფილ საზოგადოებაში ისევ ეპოულობთ ისეთი ასოციაციის ტიპს, რომელიც ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად სრულიად შეიცვალა.

რა სახითაც არ უნდა მყარდებოდეს ეს ასოციაციები, უეჭველია, რომ ისინი არსებობენ, რომ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მათი ხასიათი ზემოთ განხილული ასოციაციების ხასიათის მსგავსია; და რომ რაციონალისტური ახსნისაკენ მიდრეკილმა ადამიანის გონებამ მალე დაკარგა ისტორიული კავშირი და დამყარებული წეს-ჩვეულებები გადაიზარდა თავისი კულტურისათვის დამახასიათებელი საერთო აზროვნების შესაბამისად. ამიტომ უფლება გვაქვს გავაკეთოთ დასკვნა, რომ ეს წეს-ჩვეულებებიც პრაგმატული მეთოდით უნ-

და იქნეს შესწავლილი, რადგანაც ახლანდელ დროში მათთან დაკავშირებული ასოციაციები ორიგინალური კი არა, არამედ უფრო მეორადია.

ძალზე სარისკო ჩანს ახლანდელ დროში ამ ტიპის ასოციაციების წარმოშობის განხილვა; მაგრამ შეიძლება დროულია, შევჩერდეთ ზოგიერთ შედარებით **განზოგადებულ** ფაქტზე, რომლებიც, როგორც ჩანს, პირველყოფილ კულტურას უფრო ახასიათებს ცივილიზაციასთან შედარებით. ჩვენი აზრით, პირველყოფილი კულტურის შესანიშნავ თვისებას წარმოადგენს ასოციაციათა დიდი რაოდენობა სრულიად განსხვავებული ჯგუფების მოვლენებს შორის, როგორიცაა ბუნების მოვლენები და ინდივიდუალური ემოციები, სოციალური დაჯგუფებები და რელიგიური წარმოდგენები, დეკორატიული ხელოვნება და სიმბოლური გააზრება. ეს ასოციაციები ავლენენ გაქრობის ტენდენციას ჩვენი ახლანდელი ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად. თუმცა გულდასმითი ანალიზი ამტკიცებს, რომ ბევრი მათგანი განაგრძობს არსებობას და ყოველი ავტომატური მოქმედებისათვის დამახასიათებელია ტენდენცია საკუთარი ასოციაციების დამყარებისა იმ აზრობრივი კავშირების შესაბამისად, რომელთა არსებობის პირობებშიც ეს მოქმედება რეგულარულად სრულდება. ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდი ცვლილება შესაძლოა ყველაზე უკეთ გამოიხატოს იმ ფორმით, რომ პირველყოფილ კულტურაში გარე სამყაროდან მიღებული შთაბეჭდილებები მჭიდროდ ასოცირდება იმ სუბიექტურ შთაბეჭდილებებთან, რომლებსაც ისინი რეგულარულად იწვევენ, მაგრამ რომლებიც მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება ინდივიდის სოციალური გარემოთი. თანდათანობით აღიარებენ, რომ ეს კავშირები ნაკლებ სარწმუნოა, ვიდრე სხვები, რომლებიც ერთნაირი რჩებიან მთელი კაცობრიობისათვის და ყოველგვარი სოციალური გარემოს ფორმებში. ამრიგად, ერთიმეორის მიყოლებით ხდება სუბიექტური ასოციაციების მოცილება, რომლებიც მთავრდება თანამედროვე მეცნიერული მეთოდით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როდესაც ჩვენი ყურადღება მიპყრობილია გარკვეულ ცნებაზე, რომელსაც აქვს მასთან დაკავშირებული რიგი გვერდითი ცნება, ჩვენ მაშინვე ვახდენთ მის ასოციაციას იმ ჯგუფთან, რომელიც წარმოდგენილია მიზეზობრივი კატეგორიით. როდესაც იგივე ცნება პირველყოფილი ადამიანის გონებას წარმოუდგება, იგი ასოცირდება იმ ცნებებთან, რომლებიც მას უკავშირდებიან ემოციურ მდგომარეობათა მეშვეობით.

თუკი ეს სწორია, მაშინ პირველყოფილი გონების ასოციაციები განსხვავებულია, ხოლო ჩვენი — ერთგვაროვანი, და ისინი ძირეულად წარმოგვიდგება მხოლოდ ჩვენი თვალსაზრისით. პირველყოფილი ადამიანის გონებას რაციონალურად შეიძლება წარმოუდგეს მხოლოდ თავისი ასოციაციები. ჩვენი ასოციაციები მას ისეთივე განსხვავებულად შეიძლება მოეჩვენოს, როგორადაც მისი ასოციაციები წარმოგვიდგება ჩვენ, რადგანაც სამყაროში მიმდინარე მოვლენებს შორის კავშირი იმ სახით, როგორც წარმოგვიდგება ემოციური ასოციაციების მოცილების შემდეგ, რაც ცოდნის დაგროვებასთან ერთად ხდება, მისთვის (პირველყოფილი ადამიანისთვის) არ არსებობს, როდესაც ჩვენ უკვე ვეღარ ვიგრძნობთ იმ სუბიექტურ ასოციაციებს, რომლითაც ხელმძღვანელობს მისი გონება.

ასოციაციის ეს თავისებურება წარმოადგენს პირველყოფილი კულტურის კონსერვატიზმისა და ჩვენი ცივილიზაციის მრავალი თვისების ცვლადობის გამოვლინებას. ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ შეცვლის მიმართ წინააღმდეგობა მნიშვნელოვანწილად გამომდინარეობს ემოციური საწყისიდან და რომ პირველყოფილ კულტურაში ემოციური ასოციაციები გა[illegible]ონებულ ტიპს

წარმოადგენს. ამით აიხსნება სიახლისადმი წინააღმდეგობა. მეორე მხრივ, ჩვენს ცივილიზაციაში ბევრი მოქმედება სრულდება მხოლოდ და მხოლოდ როგორც რაციონალური მიზნის მიღწევის საშუალება. ამ მოქმედებებს ჩვენი გონება იმდენად ღრმად არ ითვისებს, რომ დამყარდეს კავშირები, რომლებიც მათ ემოციურ მნიშვნელობას მიანიჭებდა; აქედან გამომდინარეობს ჩვენი მზადყოფნა ცვლილებებისადმი. თუმცა ვაღიარებთ, რომ სერიოზული ემოციური წინააღმდეგობების გარეშე, ჩვენ ვერ ვცვლით გონების ან მოქმედების რომელიმე ძირითად მიმართულებას, რომელსაც განსაზღვრავს ბავშვობაში ჩვენ მიერ მიღებული აღზრდა და რომლებიც ქმნიან ყველა ჩვენი მოქმედების ქვეცნობიერ საფუძველს.

პირველყოფილ ტომებში განსჯას არ ძალუძს გადალახოს ეს ემოციური წინააღმდეგობა საშუალო ინდივიდში, და ამიტომ ცვლილების მოსახდენად საჭიროა არსებული ემოციური ასოციაციების უფრო ძლიერი საშუალებებით დანგრევა. ეს შეიძლება მოხდეს ისეთი მოვლენის საშუალებით, რომელიც ღრმად შესძრავს ხალხის გონებას ან ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნებით, რომელთაც შეუძლებელია წინააღმდეგობა გაუწიო. ცივილიზაციაში არსებობს მუდმივი მზადყოფნა იმ სახის ქმედებათა შესაცვლელად, რომელთაც არა აქვთ ემოციური მნიშვნელობა. ეს მართებულია არა მარტო იმ სახის ქმედებათა მიმართ, რომლებიც პრაქტიკული მიზნების მიღწევას ემსახურება, არამედ სხვა სახის ქმედებათა მიმართაც, რომელთაც დაკარგეს მათთვის დამახასიათებელი ასოციაციები და მოდას დაემორჩილნენ. მაგრამ რჩება სხვა ასოციაციებიც, რომლებიც საკმაო სიჯიუტით განაგრძობენ არსებობას განსჯის საწინააღმდეგოდ, რადგან მათი ძალა მდგომარეობს მათ ემოციურ მნიშვნელობაში. მეცნიერების პროგრესის ისტორია წარმოგვიდგენს წინააღმდეგობის ძალების მრავალ მაგალითს, რომლებიც ახასიათებენ ძველ იდეებს მას შემდეგაც კი, როცა სამყაროს შესახებ ცოდნამ მათ ნიადაგი გამოაცალა. ისინი არ იყვნენ უარყოფილი, ვიდრე ახალი თაობა არ გამოჩნდა, რომლისთვისაც სიძველე უკვე აღარ იყო ძვირფასი და მახლობელი.

გარდა ამისა, არსებობს მრავალი სახის ქმედება და აზროვნების ფორმა, რომლისგანაც შედგება ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება და რომელთაც ჩვენი გონება სრულებითაც არ უწევს ანგარიშს მანამ, სანამ ჩვენ სხვა ტიპის ცხოვრებას არ შეეხებით, ანდა სანამ არ დაგვიშლიან, ჩვენი წეს-ჩვეულების მიხედვით ვიმოქმედოთ, რაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს უფრო გონივრულად, ვიდრე სხვები და რომელთაც ჩვენ მაინც მივდევთ. ცივილიზებულ კულტურაში ისინი, როგორც ჩანს, არცთუ ნაკლებ მრავალრიცხოვანია, ვიდრე პირველყოფილში, რადგან ისინი ქმნიან მყარი ჩვეულებების რიგს, რომელთა შესაბამისადაც ვმოქმედებთ ყოველდღიურ ცხოვრებაში და მათი ათვისება ხდება არა იმდენად სწავლით, რამდენადაც მიბაძვით.

ამ დასკვნების გამოხატვა შეგვიძლია სხვა ფორმითაც: მაშინ, როდესაც ლოგიკურ გონით პროცესებში ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად აღმოვაჩენთ ტრადიციული ელემენტების მოცილების გარკვეულ ტენდენციას, ჩვენს ქმედებაში ვერ ვიპოვნთ ტრადიციული ელემენტების ასეთ აშკარა შესუსტებას. ჩვენში ისინი კონტროლდება ადათის იმავე ხარისხით, როგორც პირველყოფილ ადამიანებში. ჩვენ უკვე დავინახეთ, რატომ უნდა იყოს ეს ასე. გონებრივი პროცესები, რომელთა წყალობითაც ხდება მსჯელობათა განვითარება, მნიშვნელოვანწილად ემყარება წინამავალ მსჯელობებთან ასოციაციებს. ასოციაციის პროცესი ერთნაირია როგორც პირველყოფილ, ისე ცივილიზებულ

ადამიანებში, განსხვავება მნიშვნელოვანწილად მდგომარეობს ტრადიციულ მასალის ცვლილებაში, რომელსაც უერთდება ჩვენი ახალი წარმოდგენები. ხოლო მოქმედებისათვის პირობები ცოტა სხვაგვარია. აქ ტრადიცია ვლინდება მოქმედებაში, რომელსაც ინდივიდი ასრულებს. რაც უფრო ხშირად მეორდება მოქმედება, მით უფრო მყარად იქნება იგი ათვისებული, და მით უფრო ნაკლები აღმოჩნდება ამ მოქმედების თანმხლები შეგნებული ეკვივალენტი; ასე რომ, ჩვეულებრივი, ხშირად განმეორებული მოქმედებები სრულიად არაცნობიერი ხდება. შეგნების ამ კლებასთან ხელიხელჩაკიდებული მიდის ემოციური მნიშვნელობის ზრდა, რომელიც ამ მოქმედებათა შეუსრულებლობას ეძლევა და მით უმეტეს ისეთი მოქმედებების ჩადენას, რომელიც წეს-ჩვეულებას ეწინააღმდეგება. ბევრად უფრო მეტი ძალა და ნებისყოფა სჭირდება მტკიცედ ათვისებული მოქმედების გადაჩვევას, თანაც ამ ნებისყოფის დაძაბვას თან ახლავს ძლიერი უკმაყოფილების გრძნობა.

ამრიგად, პირველყოფილი კულტურიდან ცივილიზაციაზე გადასვლის დროს მნიშვნელოვანი ცვლილება, როგორც ჩანს, იმით გამოიხატება, რომ ხდება თანდათანობითი მოცილება იმისა, რასაც შეიძლება ეწოდოს გრძნობითი შთაბეჭდილებებისა და ქმედებათა სახეობების სოციალური ასოციაციები, რომლებიც თანდათანობით იცვლებიან ინტელექტუალური ასოციაციებით. ამ პროცესს თან სდევს კონსერვატიზმის შეწყვეტა. მაგრამ ეს არ ეხება ჩვეულებრივი სახის ქმედებათა სფეროს, რომლებიც შეგნებულად არ იქცევა, და მხოლოდ ოდნავ ეხება იმ განზოგადებებს, რომლებიც წარმოადგენს განათლების გზით მიღებულ ყოველგვარი შემეცნების საფუძველს.

ლ. შტერნბერგი

შტერნბერგი ლევ იაკობის ძე (1861—1927) — რუსი საბჭოთა ეთნოგრაფი, ეთნოგრაფიის საბჭოთა სკოლის ერთ-ერთი შემქმნელი.

ლ. შტერნბერგი სწავლობდა პეტერბურგის (1881—82) და ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტებში (1883—1886). ნაროდნიკულ ორგანიზაციებში მონაწილეობისათვის 1886 წელს დააპატიმრეს და სახალინზე გადაასახლეს, სადაც ცხოვრობდა 1889—1897 წლებში. აქ მან ხელი მოკიდა ადგილობრივი მოსახლეობის ეთნოგრაფიული ყოფის შესწავლას; ძირითადად, იგი სწავლობდა ნივხების (გილიაკების) ყოფას. მან ნივხებში დაადგინა გვაროვნული წყობის არსებობა ჯგუფური ქორწინების გადმონაშთებით.

1901 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ლ. შტერნბერგი მუშაობდა პეტერბურგის ეთნოგრაფიისა და ანთროპოლოგიის მუზეუმში. 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ლ. შტერნბერგი გახდა ეთნოგრაფთა საბჭოთა სკოლის ერთ-ერთი შემქმნელი და უმაღლეს სასწავლებლებში ეთნოგრაფიული განათლების ორგანიზატორი. 1918 წლიდან ლ. შტერნბერგი იყო პეტროგრადის (ლენინგრადის) უნივერსიტეტის პროფესორი. 1924 წელს იგი აირჩიეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. იგი აქტიურ და ხაქმიან მონაწილეობას ღებულობდა რუსეთის ტომობრივი შემადგენლობის შესწავლის კომისიის მუშაობაში და ჩრდილოეთის ხალხთა ხელშეწყობის კომიტეტში.

თავისი თეორიული შეხედულებებით ლ. შტერნბერგი თანმიმდევრული ევოლუციონისტი იყო. ამ პოზიციებიდან ცდილობდა იგი კაცობრიობის ერთიანობის დასაბუთებას. ეთნოგრაფია მას ესმოდა, როგორც პირველყოფილი ხალხების კულტურის შესწავლის მცნება.

ლ. შტერნბერგი ხალხთა კულტურასა და ისტორიას — სოციალურ ურთიერთობებს, საოჯახო-გვაროვნულ ურთიერთობებს, რწმენა-წარმოდგენებს შეისწავლიდა კომპლექსურად; ამ მიზნით იგი იყენებდა მომიჯნავე მეცნიერებათა, კერძოდ, ენათმეცნიერებისა და ანთროპოლოგიის მონაცემებს. განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვის მას სახალინისა და ჩრდილოეთის ხალხების რელიგიის შესწავლაში; აქ იგი ახლოს იდგა ე. ტეილორის ანიმისტურ თეორიასთან. ლ. შტერნბერგის შრომები გამოირჩევა ფაქტობრივი მასალის სიუხვით და განზოგადებათა სიმრავლით; ისინი ხასიათდებიან იდეალისტური ხალხსნური მსოფლმხედველობით.

ქრესტომათიაში წარმოდგენილია ნაწყვეტები (დამთავრებული, დამოუკიდებელი ნარკვევები) ლ. შტერნბერგის 1933 წელს ლენინგრადში გამოცემული წიგნიდან „ოჯახი და გვარი ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიის ხალხებში“. პირველი ნაწყვეტია „ბიძაშვილებს შორის ქორწინება“ («Кузенный брак»). მასში განხილულია ეთნოლოგიური, და არა მარტო ეთნოლოგიური, ლიტერატუ-

რაში არსებული მოსაზრებები ამ თავისებური ქორწინების შესახებ. იგი ერთგვარი შესავალია მეორე ნაწყვეტისა „ქორწინება ბიძაშვილებს შორის და გილიაკების საქორწინო ნორმები". ლ. შტერნბერგის ნაშრომის აქ წარმოდგენილი მესამე ნაწყვეტია „ურვადი და მზითევი", რომელშიც განხილულია ამ ინსტიტუტის არსებობა გილიაკებში, გარკვეულია ურვადის ობიექტები და გადახდის პირობები. მეოთხე და მეხუთე ნაწყვეტებში, რომელიც დამატების სახით ერთვის ლ. შტერნბერგის დასახელებულ წიგნს, განხილულია ზოგადი ეთნოგრაფიის საკითხები — „გვაროვნული ყოფის თეორია" და „ენდოგამია და ეგზოგამია".

ბიბლიოგრაფია

1) Штернберг Л. Я., Материалы для изучения гиляцкого языка и фольклора, СПБ., 1910.
2) Штернберг Л. Я., Первобытная религия в свете этнографии, Л., 1936.
3) Штернберг Л. Я., Семья и род у народов северо-восточной Азии, Л., 1933.

ლიტერატურა

1) Памяти Л. Я. Штернберга 1861—1927. Л., 1930.
2) Богораз В. Г., Л. Я. Штернберг как этнограф, «Сборник Музея антропологии и этнографии", т. 7, 1928.
3) Штернберг Лев Яковлевич, СИЭ, т. 16, М., 1976, с. 350—351.

ბიძაშვილებს შორის ქორწინება*

გილიაკებთან შეუღლების ძირითადი ფორმაა ქორწინება დის ვაჟიშვილსა და ძმის ქალიშვილს შორის. ამრიგად, გილიაკური შეუღლების ტიპი ე. წ. ბიძაშვილების ქორწინების ნაირსახეობას წარმოადგენს. როგორ წარმოიშვა იგი? აქ ძალაუნებურად, უნდა გავიზიაროთ ბიძაშვილების ქორწინების პრობლემა (cousin marriage), რაც, საერთოდ, ქორწინების ევოლუციის მნიშვნელოვან სტადიას წარმოადგენს.

ჯერ კიდევ 1900 წ. რუსეთის გეოგრაფიულ საზოგადოებაში წაკითხულ მოხსენებაში და ამის შემდეგ დაწერილ სტატიებში — „გვაროვნული ყოფის თეორია“ და „ენდოგამია და ეგზოგამია“ — ქორწინების გილიაკური ფორმის ანალიზის საფუძველზე ვამტკიცებდი, რომ ბიძაშვილების ქორწინება ეგზოგამიის პირველად ფორმას წარმოადგენს, რომ მან წარმოშვა ქორწინების კლასიფიკატორული სისტემა, ჯგუფური ქორწინება და გვარის ინსტიტუტი. აქვე აღვნიშნავდი, რომ ეგზოგამიური ინსტიტუტი მარტო აკრძალვათა ინსტიტუტს კი არ წარმოადგენს, არამედ, მისი უმთავრესი დანიშნულება იყო არსებული ნათესაური კავშირის უზრუნველყოფა ცოლების მუდმივი ფონდით, სადაც ის პირნი უნდა ყოფილიყვნენ, რომლებიც ერთმანეთთან ნათესაურ კავშირში იმყოფებოდნენ; ამას კი, საზოგადოებრიობის სხვადასხვა საფეხურზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

უკანასკნელი დროის მკვლევრებმა, განსაკუთრებით კი Rivers-მა, Crawicy-მ და Frazer-მა, თავიანთ ნაშრომებში განიხილეს წინამორბედ მეცნიერთა Frison-ისა და Howitt-ის, Spencer-ისა და Gillen-ის, Kohler-ისა და სხვათა ნაშრომები ავსტრალიურ და დრავიდულ ქორწინებათა სფეროდან და ამ ფორმის ქორწინების არა მარტო ჩვენს დროში ფართო გავრცელების სურათი დაგვიხატეს, არამედ, ავსტრალიური ქორწინების მაგალითებზე დაყრდნობით დაამტკიცეს, რომ ბიძაშვილური ქორწინება არის პირველი გონივრული ცდა, რომელიც ზღუდავს და-ძმის შეუღლებას. ამავე მეცნიერებმა გვაჩვენეს, რომ ქორწინების მთელი შემდგომი ევოლუცია წარმოადგენდა თანდათანობით ქორწინებათა შეზღუდვას I ხარისხის ბიძაშვილებს შორის. ამ პრობლემასთან დაკავშირებული ერთი კარდინალური საკითხი, შეიძლება ითქვას, დღესაც ღიაა. კერძოდ, ისმის კითხვა, რატომ მოითხოვს ბიძაშვილური ქორწინება ძმისა და დის შვილებს შორის შეუღლებას და, ამავე დროს, კრძალავს ქორწინებას ძმებისა და დების შვილებს შორის? თუმცა რივერსი კი პირდაპირ ერიდება ამ საოცარი ფაქტის ახსნას: „ბიძაშვილური ქორწინება, — ამბობს იგი — როგორც ჩანს, გადმონაშთია. ძალიან ძნელია მოვნახოთ ის ფსიქოლოგიური სა-

---

* წყაროდან: Л. Я. Штернберг, Семья и род у народов северо-восточной Азии. Л., 1933, с. 111—117.

ფუძველი, რაც ახსნიდა იმის მიზეზს, თუ რატომ არის სასურველი ქორწინება ძმისა და დის შვილებს შორის, მაშინ როცა ორი ძმის ან ორი დის შვილებს შორის შეუღლება სასტიკად აკრძალულია".

სხვები ცდილობენ ახსნან ეს ფაქტი, მაგრამ განმარტებანი მექანიკურია. Kohler-ი მაგალითად, ამ ფაქტის ახსნას საზოგადოების ორპირ ორგანიზაციაში ხედავს. ეს ახსნა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, უცნაურია, რადგან ორპირი ორგანიზაცია თვითონ არის ბიძაშვილური ქორწინების ინსტიტუტის შედეგი. Crawley-ც ამ თვალსაზრისზე დგას. და ამიტომაც უშვებს იმავე შეცდომას, რასაც Kohler-ი. იგი ბიძაშვილური ქორწინების ამ ფორმას იმ ფაქტის შედეგად თვლის, რომ ოჯახის სახელწოდება მემკვიდრეობითია, ძმისა და დის შვილებს შეუღლება შეუძლიათ, რადგან თავიანთი სახელწოდებით ისინი სხვადასხვა ფრატრიებს ეკუთვნიან.

ასეთსავე თვალსაზრისს გამოთქვამს Frazer-იც, იგი ამბობს, რომ „მიზეზი იმისა, თუ რატომ ეკრძალებათ ქორწინება ორი ძმისა თუ ორი დის შვილებს, ისაა, რომ ისინი ერთსა და იმავე ეგზოგამიურ კლასს ეკუთვნიან და ამიტომ შეზღუდულნი არიან იმ ძირითადი კანონით, რომელიც კაცს უკრძალავს შეირთოს ქალი თავისივე საკუთარი ეგზოგამიური კლასიდან".

ამ მკვლევართა ძირითადი შეცდომა ისაა, რომ შედეგს მიზეზად მიიჩნევენ, სახელდობრ ის, რომ ე. წ. ჯვარედინი ბიძაშვილური ქორწინება, cross cousin marriage, ე. ი. ქორწინება ძმისა და დის შვილებს შორის, საზოგადოების 2 ეგზოგამიურ კლასად დაყოფის შედეგია, მაგრამ ეს მკვლევარნი არ კითხულობენ, თუ რამ შექმნა ეს ორმაგი დაყოფა. ორ ეგზოგამიურ კლასად ორმაგი დაყოფა გამოიწვია ძმისა და დის შვილებს შორის ქორწინების ახალმა ინსტიტუტმა, რაც ძველ, ენდოგამიურ სისხლისმიერ ქორწინებას შეენაცვლა.

მანამდე გაუყოფელი იყო ჯგუფი — გვარის ფუძემდებელი ქალის შთამომავლობა; ქორწინება ხდებოდა ჯგუფის წევრებში, როგორც წესი, ძმასა და დას შორის და მხოლოდ მაშინ, როცა ასეთი ქორწილები საზიანოდ მიიჩნეს. შესაძლებლად ცნეს ქორწინება ძმისა და დის შვილებს შორის და პირველად ერთიანი საზოგადოება გაიყო ორ ეგზოგამიურ ნახევრად: პირველ მათგანში აღმოჩნდნენ ძმები, თავიანთი ცოლებითა და შთამომავლებით, მეორეში აღმოჩნდნენ დები, თავიანთი ქმრებითა და შთამომავლებით. ამრიგად, ორმაგი დაყოფა ჯვარედინი ბიძაშვილური ქორწინების შედეგია და ამიტომ, ამ სახის ქორწინების სსენებული რეგლამენტაციის მიზეზი სხვა რამეში, კერძოდ, იმ ფსიქოლოგიურ გარემოში უნდა ვეძიოთ, სადაც მოხდა სისხლისმიერი ქორწინების შეცვლა ეგზოგამიური ქორწინების ბიძაშვილური ფორმით (cousin marriage). ავსტრალიური კლასების შესწავლა, უპირველეს ყოვლისა, მორგანის აზრს ადასტურებს, რომელიც დიდხანს იყო საკამათოდ მიჩნეული. მორგანის აზრით, ეგზოგამია იმის შედეგია, როცა უკვე გაიცნობიერეს, რომ სისხლიერი ქორწინება ძმებსა და დებს შორის საზიანო იყო. მანვე გვიჩვენა, რომ ეგზოგამიურ ფორმებზე გადასვლა უაღრესად ნელა, თანდათან ხდებოდა, რაც პირველყოფილი ადამიანის კონსერვატიზმით შეიძლება ავხსნათ და, განსაკუთრებით, ისეთ ინსტიტუტთან მიმართებაში, როგორიც ქორწინებაა, რომელიც მეტად მჭიდროდაა დაკავშირებული რელიგიურ იდეებთან. კონსერვატიზმის ფსიქოლოგია ისეთია, რომ ძველი ინსტიტუტის ყველანაირი ცვლილების დროს ცდილობს შეინარჩუნოს თუნდაც ძველი ფორმა მაინც, და ახალი ინსტიტუტი ამ ფორმით წარმოაჩინოს. სწორედ ამან მიგვიყვანა ამ ერთი შეხედვით პარადოქსულ ფაქტამდე: ინსტიტუტმა, რომელმაც შეიგნო სისხლისმიერი ქორწინების

მავნებლობა, შესაძლებლად დაადგინა შეუღლება I ხარისხის ბიძაშვილებს შორის. თანაც, მხოლოდ დისა და ძმის შვილებს შეეძლოთ ერთმანეთში ქორწინება, ძმათა ან დათა შვილებს კი ეს უფლება აეკრძალათ. თუმცა, სისხლისმიერი სიახლოვის თვალსაზრისით, მეორენი პირველთაგან თითქმის არაფრით განსხვავდებიან.

როგორ მოხდა ეს? საქმე ისაა, რომ ჯვარედინი ბიძაშვილური ქორწინება, უეჭველია, იმ სტადიას შეენაცვლა, როცა გავრცელებული ორთოდოქსული ფორმა იყო ქორწინება და-ძმას შორის. ამ ფორმის ქორწინების დროს არა მარტო მეუღლეები იყვნენ და-ძმანი, არამედ, აგრეთვე, მათი მშობლებიც და და ძმა იყვნენ. ამრიგად, ასეთი ქორწინების ფორმულა იმით გამოიხატებოდა, რომ შეუღლება ხდებოდა დისა და ძმის შვილებს შორის. და-ძმა კი, ამავე დროს, მეუღლეები იყვნენ.

სწორედ ამიტომ, როდესაც აუცილებელი გახდა ამ ფორმის ქორწინების შეცვლა ბიძაშვილური ქორწინებით, პირველყოფილი ადამიანის კონსერვატიულმა გონებამ ამოარჩია ის ფორმა, რომელიც გარეგნულად ყველაზე ახლოს იდგა ძველ, საუკუნეებითა და რელიგიით ნაკურთხ ფორმასთან. ამოირჩია სწორედ ის ფორმა, რომლის დროსაც ორთოდოქსულად იყო მიჩნეული ქორწინება ძმისა და დის შვილებს შორის (თუმცა უკვე და და ძმა მეუღლეები აღარ იყვნენ) და არა ორი ძმის ან ორი დის შვილებს შორის; ამდენად, შენარჩუნებული იყო ფორმა, რომელიც პირველყოფილი ადამიანის თვალში პირველხარისხოვან როლს ასრულებდა. ფორმის გადარჩენით, ეს უკანასკნელი ფიქრობდა, რომ ღვთაებას ამ ახალი ცვლილების არსს დაუშალავდა. ეს არის ღმერთის „მოტყუების“ ჩვეულებრივი ხერხი.

სწორედ ამრიგად ღვიძლმა და გარეშე ძმებმა და მათმა შთამომავლობამ, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, დებმა და მათმა შთამომავლობამ, ძველი ერთიანი საზოგადოების ორი ეგზოგამიური ნახევარი წარმოქმნეს.

მეორე, ნაკლებად კარდინალური, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი შეკითხვა, რომელზეც ბიძაშვილური ქორწინების მკვლევრები პასუხს ვერ იძლევიან, შემდეგია: თუ ბიძაშვილურ ქორწინებას ავხსნით როგორც ეგზოგამიის პირველ სტადიას, როგორც პირველ საშუალებას, მაშინ რატომ არის იგი აუცილებელი, თითქმის ძალდატანებითი? თითქოს პირიქით უნდა ყოფილიყო. რადგან უკვე იცოდნენ, რომ ეგზოგამია სასარგებლო იყო, უფრო ლოგიკური იქნებოდა წაეხალისებინათ ქორწინება ნაკლებად ნაცნობ, ანდა სრულიად უცნობ ადამიანებს შორის. ბიძაშვილებს შორის ქორწინება კი მხოლოდ პირველ ხანებში უნდა დაეშვათ, როგორც გამოუვალი ბოროტება, malum necessarium, იმ იმედით, რომ სრულიად აღმოფხვრიდნენ ყოველდღიური ცხოვრებიდან, როგორც ანტისოციალურ ინსტიტუტს.

ამ უცნაური ფაქტის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ქორწინების ევოლუცია ავსტრალიის ხალხებში. თუ გავითვალისწინებთ მათი კლასების ორგანიზაციასა და პირად განცხადებებს, ამ ხალხებს ძალიან კარგად ჰქონიათ გააზრებული, რომ ქორწინება ახლო ნათესავებს შორის მავნებელია და მათ დიდი გამჭრიახობაც გამოიჩინეს, რათა ამდაგვარი ქორწინება არ დაეშვათ. ასეთი გამჭრიახობით მათ სხვა ხალხებსაც გადააჭარბეს. ისეთი რთული სისტემა, როგორიცაა arunta-ს ტომის რვაკლასიანი სისტემა, სპეციალურად მოიგონეს, რათა შეუძლებელი ყოფილიყო ქორწინება I ხარისხის ბიძაშვილებს შორის. აქედან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ მეტი გასაქანი უნდა ჰქონოდა ქორწინებას უფრო და უფრო შორეულ ნათესავებს შორის, ხოლო II ხარისხის

ბიძაშვილთა შორის ქორწინება უნდა ჩათვლილიყო როგორც მხოლოდ მოსა-თმენი მოვლენა, მაგრამ მათთან III ხარისხის ბიძაშვილებიც კი ძალიან შორეულად ითვლებიან და ამაზე უფრო მეტად შორეულ ნათესავებს შორის ქორწინება აკრძალულია.

ამდენად, გამოდის, რომ ქორწინება ახლო ნათესავებს შორის არა თუ დაშვებულია, არამედ სავალდებულოდაც არის მიღებული.

შემდეგ, თუ ბიძაშვილური ქორწინება ეგზოგამიის მხოლოდ პირველი სტადიაა, როგორ მოხდა, რომ მან თავისი თავი აქამდე შეინარჩუნა მრავალ ტომში, მათ შორის, ისეთ მრავალრიცხოვანში, როგორიცაა დრავიდებისა? ჩვენ ხომ ვიცით, რომ ბიძაშვილური ქორწინების არსებობიდან დღემდე უსაშველოდ დიდი დრო გავიდა. დრავიდებთანაც კი, ისევე როგორც ავსტრალიის ტომებში, ქორწინება შეზღუდულია მხოლოდ I ხარისხის ბიძაშვილებს შორის, მაგრამ პრინციპი კი, როგორც დავინახეთ, მაინც ხელშეუხებლად არის შენარჩუნებული — III ხარისხის ბიძაშვილთა იქით ქორწინება აღარ დაიშვება. სერიოზული ფსიქოლოგიური საფუძველი უნდა ჰქონდეს პრინციპის ასე ჯიუტად გატარებასა და ვალდებულების გზით მისი უკვდავყოფისათვის ასეთ დაჟინებულ სწრაფვას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბიძაშვილური ქორწინების ძალა ეფუძნება ორ ფსიქოლოგიურ მომენტს: პირველი, — ეს არის ყოველი ნათესაური ჯგუფის, კერძოდ კი, ყოველი დედის სწრაფვა, რათა ცოლებით უზრუნველყოს თავისი შთამომავლობა. ადამიანის განვითარების პირველყოფილ სტადიაზე, სქესობრივ ურთიერთობაში, ბრძოლის ელემენტი ისეთივე დიდ როლს ასრულებდა, როგორც საერთოდ, ზოოლოგიურ სამყაროში. და ადამიანთა თანაარსებობისათვის აუცილებელი იყო ამ ბრძოლის შეძლებისდაგვარად ელიმინირება. ამა თუ იმ რეგლამენტაციის გზით.

ქორწინების ინსტიტუტი, თანაც სავალდებულო, გარკვეული ჯგუფის პირთა შორის გახდა სწორედ სქესობრივი რეგლამენტაციის ის ფორმა, რომელსაც უნდა უზრუნველეყო ადამიანთა თანაარსებობის ზემოთ ხსენებული მოთხოვნები. ეგზოგამიურობის დადგენამდე ამ მოთხოვნათა დაკმაყოფილება შეეძლოთ შიდა სისხლისმიერ ქორწინებებს, სავალდებულოს ძმებსა და დებს შორის. ეგზოგამიურობის პრინციპის დადგენასთან ერთად, ჯვარედინი ბიძაშვილური ქორწინება ყველაზე უფრო დადებითად წყვეტს ამ ამოცანას. უკვე დაბადებიდანვე, ქალის ვაჟიშვილები — მისი ძმის ქალიშვილების ქმრები არიან, ძმების ვაჟიშვილები კი — მისი ქალიშვილების ქმრები. ასეთი კომბინაცია ასევე აკმაყოფილებს ოჯახის შამას, რადგან მისი შვილები, მის დის შვილებზე ქორწინდებიან.

ბიძაშვილური ქორწინების შემდეგი მოტივი რელიგიურობაა: ასეთი ქორწინების დროს ოჯახის კერასთან, მის ღმერთებ-წინაპრებთან თავს იყრის სისხლით არა უცხო, არამედ მამითა და დედით საერთო წარმოშობის ხალხი და ორივე მეუღლეს ერთნაირად აქვს საერთო ღმერთებისა და წინაპრების კეთილგანწყობილების იმედი. ამას კი უპირველესი მნიშვნელობა აქვს ადამიანისთვის, რომლისთვისაც ღმერთების დალოცვა და რელიგიური რიტუალების შესრულება ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეა, არსებობისათვის ბრძოლის უმთავრესი საშუალებაა. სწორედ ამიტომ, ქორწინების ეს ფორმა გახდა არა მარტო უსაყვარლესი, არამედ რელიგიურად აუცილებელიც. სწორედ ამიტომ არის, რომ დღევანდლამდე მრავალ დრავიდულ ტომში ქორწინება იძულებითია, თუ ძმას ქალიშვილი ჰყავს, დას კი ვაჟიშვილი. სწორედ ამიტომ არის, რომ როგორც ავსტრალიური ტომების მაგალითზე ვნახეთ, ბიძაშვილუ-

რი ქორწინების შეზღუდვის მიუხედავად, იგი III ხარისხის იქით აკრძალულია. აქედან გამომდინარე, ქორწინება II ხარისხის ბიძაშვილებს შორის სავალდებულოა. ამიტომ არის, რომ მონგოლები, ტომი. სადაც ქორწინების უსაყვარლეს ფორმად ითვლება ერთმანეთისათვის უცხო პირთა შეუღლება, ძმისა და დის შვილებს შორის ქორწინებას „თეთრ ცოდვას“ უწოდებენ, ე. ი. ასატანად თვლიან, ხოლო ერთი გვარის ძალიან დაშორებულ პირებს შორის ქორწინებაც კი — „შავ ცოდვად“, ე. ი. ყოველად დაუშვებლად მიაჩნიათ. მაგალითების მოყვანა რომ აღარ გავაგრძელოთ, დავამთავროთ გილიაკებით, ვისთანაც, მათი ტომის მცირერიცხოვნების მიუხედავად, სუფთა ქორწინებად ითვლება მხოლოდ ის ქორწინება, როცა დის ვაჟიშვილი ირთავს ძმის ქალიშვილს.

ამ წინასწარი შენიშვნების შემდეგ, შეგვიძლია განვიხილოთ საკითხი, თუ რა ადგილი უჭირავს გილიაკური ქორწინების ნორმას, წესს, საერთოდ ქორწინების ევოლუციის ისტორიაში.

ბიძაშვილების ქორწინება და გილიაკური საქორწინო ნორმები

ბიძაშვილების ქორწინება, როგორც დავინახეთ, მას შემდეგ დამკვიდრდა, როცა შეიგნეს, რომ ქორწინება სისხლით ახლო ნათესავებს შორის საზიანოა. ჩვენ დავინახეთ, აგრეთვე, რომ მთელი რიგი მოტივების მიხედვით, როგორიცაა კონსერვატიზმი, წინაპართა კულტთან დაკავშირებული რელიგიური იდეები და დასასრულ ქორწინების მშვიდობიანად ორგანიზებისადმი ლტოლვა, პირველყოფილი ადამიანი სისხლიერ დასა და ძმას შორის ქორწინებიდან მაშინვე არ გადასულა სისხლით შორეულ ნათესავებს შორის ქორწინებაზე და, აგრეთვე, არც სისხლით ერთმანეთისთვის სრულიად უცხო პირებს შორის ქორწინებაზე გადასულა მაშინვე. სისხლიერ-ნათესაობრივი ქორწინების მთელ ორომტრიალში ზედმიწევნით იყო დაცული თანდათანობითობა. ამდენად, როგორც ვნახეთ, დღესაც კი ავსტრალიის ხალხებში მიღებულია ეგზოგამიის ფორმა — სავალდებულო ქორწინება დისა და ძმის შვილებს შორის. რადგან ასეთი სახის ქორწინება თაობიდან თაობაში ერთნაირად მიმდინარეობდა, საზოგადოება დაიყო ორ ნაწილად, რომლებიც თანაზიარად, ერთნაირად, თაობების რიგის მიხედვით აძლევენ ერთმანეთს თავიანთ ქალებს. ცალკეული ოჯახების მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, ეს წესი იმით გამოიხატება, რომ ძმის ვაჟიშვილი ირთავს დის ქალიშვილს, და პირიქით, დის ვაჟიშვილი ირთავს ძმის ქალიშვილს. მეუღლეები ერთმანეთის მიმართ პირველი ხარისხის ბიძაშვილები არიან, ყოველი კაცის ცოლი კი, ერთი მხრივ, მამამისის დის ქალიშვილია, მეორე მხრივ კი მისი დედის ძმის ქალიშვილი, იმიტომ, რომ მეუღლეთა მამები ერთმანეთის დებზე არიან დაქორწინებულნი.

ასეთი იყო შეზღუდვის პირველი სტადია, რომელიც ზღუდავდა ქორწინებას სისხლით ახლო ნათესავებს შორის. სხვა შეზღუდვები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად მიმდინარეობდა. ავსტრალიაში შეზღუდვის ყველაზე მარტივი გზა მონახეს: პირველი ხარისხის ბიძაშვილებს შორის ქორწინებიდან მეორე ხარისხის ბიძაშვილთა შორის ქორწინებაზე გადავიდნენ, ხოლო წინანდელი ქორწინება პირველი ხარისხის ბიძაშვილთა შორის აკრძალეს.

ასეთი წეს-ჩვეულების მიხედვით სოციალურ სტრუქტურაში არაფერი შეცვლილა. საზოგადოება გაყოფილი იყო კვლავ ორ ნაწილად, რომლებიც ერთმანეთში ცვლიდნენ ქალებს. განსხვავება ის იყო, რომ კაცი ირთავდა არა თა-

ვისი მამის დის ქალიშვილს, არამედ მისი პირველი ხარისხის ბიძაშვილის ქალიშვილს. ასე რომ, ძმისა და დის შთამომავლობას მხოლოდ მეორე თაობაში შეეძლო ერთმანეთში შეუღლება. მეუღლეები ერთი საფეხურით დასცილდნენ ერთმანეთს, როგორც მამის, ისე დედის მხრიდან. ხელშეუხებელი დარჩა ქალების გაცვლის პრინციპი, რაც ბიძაშვილური ქორწინების მთავარი მომენტია. სამაგიეროდ, დაირღვა ის პრინციპი, რომლის მიხედვითაც. სავალდებულო იყო ქორწინება ძმისა და დის შვილებს შორის. ორივე პრინციპის სუფთად დაცვა შეუძლებელი აღმოჩნდა.

ანალოგიური პირობების მიუხედავად, სხვაგვარად წარიმართა ევოლუციის პროცესი იმ ხალხებში, ვისთანაც ქორწინება გილიაკური ქორწინების პრინციპზეა აგებული. კონსერვატიული შეხედულებებიდან გამომდინარე. მათ მიიჩნიეს, რომ პირველ პრინციპზე მეტად, მეორე პრინციპის შენარჩუნება იყო აუცილებელი.

და ამ ჯგუფის ხალხმა, რომელთა ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები გილიაკები არიან, გადაწყვიტეს, შეეზღუდათ ქორწინება პირველი ხარისხის ბიძაშვილებს შორის და დაედგინათ შეუღლეთა ნათესაობის უფრო შორეული საფეხური, მაგრამ მათ არ მოისურვეს იმ პრინციპის უარყოფა, რომელიც, როგორც ჩანს, ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნდათ. კერძოდ, როცა დედა თავისი ვაჟიშვილის საცოლედ მიიღებს მისი ძმის ქალიშვილს. ეს პრინციპი მათ მართლაც შეინარჩუნეს. მაგრამ რომ შეუღლეთა შორის ნათესაური სიახლოვე შეეზღუდათ, ჯვარედინი ბიძაშვილური ქორწინება აკრძალეს.

როგორც ვიცით, ვაჟიშვილი ირთავს დედის ძმის ქალიშვილს, მაგრამ ძმის ვაჟიშვილი ვერ შეირთავს დის ქალიშვილს. ეს აკრძალულია. საბოლოოდ, შეზღუდული გამოდის შეუღლება ახლო ნათესავებს შორის. მეუღლეები პირველი ხარისხის ბიძაშვილები არიან მხოლოდ ერთი მხრივ, ქმრის დედის მხრიდან, მაგრამ არა ცოლის დედის მხრით. უწინ კი, ჯვარედინი ბიძაშვილური ქორწინების დროს, მეუღლეები ერთმანეთისთვის პირველი ხარისხის ბიძაშვილები იყვნენ, როგორც დედების, ისე მამების მხრიდან. მაგრამ ამავე დროს შენარჩუნებული აქვთ ძველი ძირეული პრინციპი — დის ვაჟიშვილი ირთავს ძმის ქალიშვილს და მეუღლეები ერთმანეთის მიმართ, კვლავინდებურად, პირველი ხარისხის ბიძაშვილები არიან, თუმცა ცალმხრივად.

პირველი ხარისხის ბიძაშვილთა შორის შეუღლების ასეთმა შეზღუდულმა ფორმამ დააცილა ისინი ავსტრალიური ხალხების ტიპს და საზოგადოების ორგანიზაციაში ძირეული ცვლილება გამოიწვია. ორად დაყოფილი საზოგადოება თავისი კლასებით ოთხ გვაროვნულ ფრატრიად დაიყო, როგორც ეს გილიაკებთან დაეინახეთ.

ახლო ნათესავებში ქორწინებათა შეზღუდვის ავსტრალიური სისტემის დროს, რაგინდ შორს არ უნდა იყოს წასული ეს შეზღუდვა ჩვენს დროში, იგი მეორე ხარისხის ბიძაშვილებს შორის ვრცელდება, იმის იქით აღარ. საზოგადოება, ქორწინების თვალსაზრისით, შეუცვლელად არის გაყოფილი ორ ეგზოგამიურ ჯგუფად, რომლებიც გამუდმებით ცვლიან ერთმანეთში ქალებს. არსობრივად, ყოველი დანაყოფი არის გვარი, იმიტომ, რომ დანაყოფის გვერდით დადგენილია კლასების რთული სისტემაც, მაგრამ ამ უკანასკნელს არაფრის შეცვლა არ შეუძლია, რადგან რომელ კლასსაც არ უნდა ეკუთვნოდეს ადამიანი, იგი თავის დანაყოფში რჩება, ვინაიდან კლასები ვერ ცვლიან გვარში ადამიანის მდგომარეობას; კლასები მხოლოდ მნემონიკური ტიტულებია, რომლებიც ზღუდავენ პირადად ადამიანს (და არა მის შთამომავლობას) ნათესაო-

ბის გარკვეული ხარისხის მიხედვით, ქალების შერჩევის დროს (ოთხ კლასიანი სისტემის დროს — მხოლოდ პირველი ხარისხის ბიძაშვილებს შეუძლიათ შეუღლება, 8 კლასიანი სისტემისას — მეორე ხარისხის ბიძაშვილებს). სინამდვილეში, კლასები არც არის ავსტრალიური ორმაგი დაყოფის აუცილებელი კუთვნილება. dieri-ს ტომში, მაგალითად, აკრძალულია ქორწინება პირველი ხარისხის ბიძაშვილებს შორის, ისევე როგორც arunta-ს ტომში, მაგრამ თუ ამ უკანასკნელთ მნემონიკისათვის რვა კლასი აქვთ დადგენილი, dieri-ს ტომში არავითარი კლასებად დაყოფა არ არსებობს.

ცხადია, რომ ავსტრალიურ სისტემაში, იმის გამო, რომ აქ ქალების გაცვლის პრინციპია შენარჩუნებული, ჯვარედინი ბიძაშვილური ქორწინება მხოლოდ ორ გვარად დაყოფას მოითხოვს; საზოგადოება ორგვაროვნულ ფრატრიას წარმოადგენს.

გილიაკური სისტემა ამ ორგვაროვნულ ფრატრიაზე ვერ შეჩერდა. მას შემდეგ, რაც აიკრძალა ჯვარედინი ბიძაშვილური ქორწინება, ანუ ქორწინება ძმისა და დის შვილებს შორის, ორგვაროვნული ფრატრია საკმარისი აღარ აღმოჩნდა: ერთ გვარს მიჰყავდა მეორე გვარის ქალები, ამ უკანასკნელს კი, ქალები სხვაგან უნდა მოეძია. მეორე მხრივ კი, მოცემული ეთნიკური ჯგუფის მიღმა ქორწინება აკრძალული იყო (როგორც ავსტრალიის მაგალითზე ვხედავთ). ისღა რჩებოდა, რომ თვითონ ორგვაროვნული ფრატრია, მრავალგვაროვნულად გარდაექმნათ.

ცალმხრივ ბიძაშვილურ ქორწინებას, რომელიც ადვილად შეიძლება ავხსნათ ჯვარედინი ბიძაშვილური ქორწინების გაცილებით უფრო ძველ ფორმათა ევოლუციის შუქზე, მეცნიერები ყურადღებას სულ არ აქცევდნენ. ბევრი მეცნიერი ამ ინსტიტუტს უნდობლობითაც უყურებდა, რადგან იგი არასარწმუნოდ მიაჩნდა. ასე მაგალითად, ჩემს მიერ ამ ინსტიტუტის დადგენის შემდეგ (1901 წ.) თითქმის თანადროულად, ცნობილმა მეცნიერმა Kohler-მა, თავისი კორესპონდენტის საშუალებით, ჰოტენტოტებთან ასეთივე ინსტიტუტის არსებობის კონსტატირება მოახდინა, მაგრამ ამ ცნობას უნდობლობით მოეკიდა. ზუსტად ასევე, L' Anne'e Sociologique-ს მიმომხილველმა, გადმოსცა რა ამ სტატიის შინაარსი, ამ ინსტიტუტის მიმართ ისეთივე დამოკიდებულება გამოამჟღავნა, როგორც Kohler-მა. უნდობლობის მიზეზი ძალიან უბრალოა. თუ არ იცი ამ ინსტიტუტის გენეზისი და არც ის, თუ რა ადგილი უჭირავს მას ბიძაშვილური ქორწინების ევოლუციაში უახლესი მონაცემების მიხედვით, როცა აგრეთვე, ამ ინსტიტუტის არც სხვა ნიშუშები მოგვეპოვება ქორწინებათა აკრძალვის გადმონაშთების გარდა, ძნელია გაიგო ცალმხრივი აკრძალვის მიზეზი, თუ რატომ არის, რომ დის ვაჟიშვილს შეუძლია შეირთოს ძმის ქალიშვილი, ხოლო დის ქალიშვილი კი ვერ გაჰყვება ცოლად თავისი დედის ძმის ვაჟიშვილს, თუმცა სისხლისმიერი ნათესაობის სიახლოვის ხარისხი ორივე შემთხვევაში ერთნაირია. ყოველივე ამის გამო, ცალმხრივი აკრძალვა უფრო ანომალია ეგონათ, ვიდრე ცოცხალი ინსტიტუტის ნორმალური ნიშან-თვისება.

მეცნიერთა ასეთი უნდობლობის წყალობით, ამ ინსტიტუტს, ძალიან ხშირად, იგნორირებას უკეთებდნენ ადამიანის ქორწინებაზე დაწერილ ტრაქტატებში და იგი გაურკვეველი რჩებოდა. ასე მაგალითად, ფრეზერის ნაშრომში „Totemism and Exogamy“ ბიძაშვილური ქორწინების ეს ტიპი არც კი არის განმარტებული, როგორც ქორწინების ევოლუციის დამოუკიდებელი ფორმა. ამავე დროს კი, ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში იმის საკმაო მონაცემებს ვპოულობთ, რომ სრულიად განსხვავებულ ხალხებში. ამ ტიპის ქორწინება ფარ-

თოდ ყოფილა გავრცელებული და რომ იგი ჯერ კიდევ მაკ-ლენანისთვის იყო ცნობილი. მისი ნაკვალევი განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია ინდონეზიაში და ინდოეთის დრავიდულ ხალხებს შორის, რომლებთანაც (მაგალითად, toda-ს ტომშიც კი) ჯგუფური ქორწინებაა შენარჩუნებული. ისეთი ავტორიტეტული მკვლევარი, როგორიცაა Wilken-ი, ინდონეზიიდან შემდეგს იუწყება: „ბატაკებს, რედჟანგებსა (rejangs) და ამბოინის მკვიდრთა შორის, — ამბობს იგი — დის ვაჟიშვილს ნება აქვს შეირთოს ძმის ქალიშვილი, ძმის ვაჟიშვილი კი ვერ შეირთავს დის ქალიშვილს; ინდონეზიის უახლესი მკვლევარი I. S. Neumann-ი ამ საქორწინო ჩვეულებას კიდევ უფრო თვალნათლივ აღწერს: „თუკი — ამბობს იგი — კაცი არ შეირთავს დედამისის ძმის ქალიშვილს, ღმერთები გაბრაზდებიან. მეორე მხრივ კი, ქორწინება მამის დის ქალიშვილთან არა თუ აკრძალულია, არამედ დასჯასაც ექვემდებარება“.

აფრიკაში, როგორც ზემოთ ვნახეთ, ცალმხრივი ბიძაშვილური ქორწინება ჰოტენტოტებთან არსებობს, მონაცემები დედამიწის სხვა კუთხეებიდან თუმცა ძალიან მცირე მოგვეპოვება, მაგრამ ეს მხოლოდ დროს შეიძლება დავაბრალოთ. ასე მაგალითად, ლიტერატურაში არავითარი მონაცემები არ არსებობს ჩრდილო და ცენტრალური აზიიდან, დღეს კი მე გარკვეული მონაცემები გამაჩნია ბიძაშვილური ქორწინების გადმონაშთების შესახებ ბურიატებსა და ზოგიერთ სხვა ურალ-ალტაის ტომებში. უეჭველია, როცა ამ ინსტიტუტის მნიშვნელობა გაირკვევა კარგად, სხვა მონაცემებსაც მივიღებთ.

ამ წესს შეესატყვისება ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინოლოგიაც: მაგალითად, ბატაკებთან სუმატრაზე, ცოლს ან შეუყვარებულს ჰქვია Iblbere-re datang, ე. ი. დედის ძმის ქალიშვილი.

უკვე 1870-იანი წლებიდან, ინდოეთის დრავიდთა ტომებში, ამ ინსტიტუტის კიდევ უფრო გარკვეული ფორმით კონსტატირება შოხდა. ასე, მაგალითად, ცენტრალური ინდოეთის პროვინცია Sathpuras-ის, Gond-ი და Bygar-ის ტომში, ქორწინება ბიძაშვილებს შორის იძულებითია, როცა ძმას ქალიშვილი ჰყავს, დას კი — ვაჟიშვილი.

ძველ გამოკვლევებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მრავალი მონაცემი მოიპოვება უახლესი დროის ლიტერატურაშიც; კერძოდ, ასეთი მონაცემები გვხვდება რივერსის სტატიაში ბიძაშვილური ქორწინების შესახებ ინდოეთში.

ურვადი და მზითევი*

მეტისმეტად დამახასიათებელია ის ტერმინი, რომელსაც გილაკები უწოდებენ ურვადის ინსტიტუტს, ანუ პატარძლის გამოსასყიდს. მე ვფიქრობ, რომ ეს ტერმინი შუქს ჰფენს თვით ამ ინსტიტუტის წარმოშობას. გილიაკურ ენაზე ურვადს გამოხატავენ სიტყვით azr, azimind, რაც სიტყვასიტყვით „ჩუქებას" ნიშნავს, az, azr არის „საჩუქარი", ძღვენი, რომელსაც საქმროს ოჯახი ან გვარი პატარძლის ოჯახს ან გვარს მიართმევს. ეს ტერმინი რომ შემთხვევით არ წარმოიშვა, შემდეგიდან ჩანს; სხვა საწესჩვეულებო შემთხვევებში, როცა ფასეულობით ანაზღაურება აუცილებელია, მაგალითად ვირას დროს, გატაცებული ქალის გამოსყიდვის შემთხვევაში, ან მოკლულისათვის გადახდილი თანხის აღსანიშნავად იხმარება ტერმინი juskind, რაც ნიშნავს „გადახდას". საინტერესოა, რომ თვით juskind სიტყვა uskind-ისაგან არის წარმომდგარი, რომელიც სიტყვა uxmund-ის სინონიმია, რაც ბრძოლას ნიშნავს; სხვაგვარად რომ ვთქვათ, juskind-ი სიტყვა თავდაპირველად იყო შურისძიების ინსტიტუტის აღმნიშვნელი, რომელიც შემდეგ შეცვალა, ვირამ—გამოსასყიდით შერიგებამ. ეპოსში დღესაც შეიმჩნევა ეს ევოლუცია. ჩემ მიერ ჩაწერილ ერთ პოემაში, სადაც გმირი გაემგზავრა, რათა მოკლული მამის გამო შური ეძია. მას დაბრუნებისთანავე ეკითხებიან: „Pitk uskind jexolo? — მამის გამო შეასრულე, შური იძიე?" პაუხობს: „sik xuxaral — ყველანი დაეხოცე". აქ ტერმინი uskind სისხლიან შურისძიებას აღნიშნავს. სხვა პოემაში კი, იგივე ტერმინი, ვირას მნიშვნელობით არის ნახმარი. „Ivn nafx uskind — მათ (მოკლული ამხანაგისთვის) გამოსასყიდი, ვირა გადაიხადეს".

ყოველივე აქედან ჩანს, რომ ურვადი თავისი პირვანდელი მნიშვნელობით სულაც არ ნიშნავდა პატარძლის შესაძენად მიღებულ საფასურს. იგი ძღვენს ნიშნავდა, რომელიც საგალდებულო იყო. ეს თვალნათლივ ჩანს იმის გამო, რომ ეს ძღვენი არ იყო ცალმხრივი. პატარძლის მამას, ქალიშვილის გამზითვებასთან ერთად, ევალებოდა ქორწილის შემდეგ საქმროსათვის საჩუქარი მიერთმია. ამავე დროს, რამდენიმე წლის განმავლობაში, სხვადასხვა ღირებულების საჩუქრები, ტანსაცმელი უნდა ეძლია და. როგორც წესი, ეს ურვადზე ნაკლები არ იყო. სამარცხვინოდ ითვლებოდა, თუ ქალის მამა საქმროს ისეთივე ღირებულების საჩუქრებს არ მიართმევდა, როგორც საქმრომ მიართვა. გილიაკი, რომელიც ამ წესს დაარღვევდა, საყოველთაო დაცინვის საგანი ხდებოდა. საქმროსთვის საჩუქრების გაგზავნასთან ერთად, მამა მოვალე იყო, ქალიშვილისთვის მზითევი გაემზადებინა, რაც ურვადის ტოლფასი უნდა ყოფილიყო. მზითევი კი არსობრი-

---

* წყაროდან: Л. Я. Штернберг, Семья и род у народов северо-восточной Азии, Л., 1933, с. 140—144.

ვად ქალიშვილისთვისაც იყო განკუთვნილი და მისი ქმრისთვისაც, რომელიც ამით ცოლის რჩენისათვის საჭირო დიდი ხარჯებისაგან თავისუფლდებოდა.

ამგვარად ცხადია, რომ გილიაკებთან მაინც (მრავალი საფუძველი არსებობს, რომ იგივე ხდება სხვა ხალხებთანაც) ურვადი არ გვეელინება მოტაცების გზით ქორწინების შემცველად, როგორც ამას დღესაც ბევრი ამტკიცებს, სულ ცოტა ხნის წინ კი ეს აქსიომადაც იყო მიჩნეული. გილიაკთა მართლშეგნებაში ქორწინება, რომელსაც ურვადიც თან ახლავს, არ წარმოადგენს ყიდვა-გაყიდვის აქტს; ამას ისიც მოწმობს, რომ ერთმანეთისაგან ცოლების ყიდვა სრულიად აკრძალულია.

ისღა გვრჩება, პასუხი გავცეთ შეკითხვას, თუ რატომ არ გვხვდება ურვადი ორთოდოქსული ქორწინების პრაქტიკაში. საქმე ისაა, რომ უკანასკნელ შემთხვევაში ქორწინება ხდება პირებს შორის, რომლებიც როგორც მამის, ისე დედის მხრიდან საერთო სისხლით არიან დაკავშირებულნი; ქორწინება სოციალური თუ რელიგიური მხრიდანაც სანქციირებულია. მაგრამ როცა ქორწინდებიან ერთმანეთისათვის უცხო გვარის წარმომადგენლები, საჩუქრების ერთმანეთში გაცვლას (მავნე მაგიური ძალებისაგან ურთიერთდაცვის გარანტია) მაგიური და სოციალური მნიშვნელობაც ენიჭება. საჩუქრები მეგობრობის სიმბოლოდ იქცევა, ისევე როგორც ძმადნაფიცობის დროს. ახალ ურთიერთობათა ასეთ სიმბოლიზმს გილიაკები რომ სოციალურ-რელიგიურ მნიშვნელობას ანიჭებენ, დავინახავთ იმ წეს-ჩვეულებებიდან, რომლებსაც პატარძალი საქმროს სახლში შესვლისას იცავს.

შესაძლებელია, აგრეთვე, რომ ურვადის კონცეფციაში არა მარტო მაგიური, ან ამად წმინდა რელიგიური ელემენტებიც იყო შეტანილი. ქალის გათხოვება სხვა გვარში, რომელიც ორთოდოქსულად არ იყო მისთვის განკუთვნილი, წარმოადგენს ტაბუს. ტაბუს ყოველნაირი დარღვევა კი, პრიმიტიული ადამიანის ლოგიკით, რაღაცით უნდა გამოისყიდოს; თუ სისხლით არა, მაშინ— ფასეულობით. ურვადი ამ თვალსაზრისით ხარკს წარმოადგენს, რომელიც წინაპართა შეურაცხყოფილი სულების დასაწყნარებლად არის საჭირო. სულები იმიტომ არიან შეურაცხყოფილი, რომ დაირღვა გვაროვნული ტაბუ. მხოლოდ ამით შეიძლება ავხსნათ ის, რომ გილიაკებს ქალის გამო ურვადის გადაუხდელობისათვის ისეთივე რეაქცია აქვთ, როგორც მაშინ. როცა ნათესავს ულკავენ. ორივე შემთხვევაში, გვარი მესამე თაობამდე ვერ მოისვენებს, თუ მისი მოთხოვნები არ დააკმაყოფილეს. ამის მისაღწევად ხალხი მზად არის ყოველგვარი გაჭირვება მოითმინოს და ისეთივე რისკზე წავიდეს, როგორც შურისძიების სისხლიანი აქტის შესრულებისას. ეპიკურ ნაწარმოებთა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სიუჟეტია ასეთ ადამიანთა შორეულ, სახიფათო მოგზაურობათა და საგმირო საქმეების აღწერა.

ურვადის ობიექტები და გადახდის პირობები. ურვადისათვის გამოიყენება ძვირფასეულობის განსაკუთრებული სახე Sui generis-ის ე. წ. sagind-ის საგნები. ამ ფასეულობებს ვაჭრობის გზით იძენენ ძირითადად იაპონელებისა და ჩინელებისაგან. ასეთ საგნებს განეკუთვნება: ჩინური აბრეშუმის ტანსაცმელი და ნაჭრები, ჩინური ქურქები, ნეფრიტის ზოგიერთი ნაკეთობა, ვერცხლით ინკრუსტირებული მანჯურული შუბები, იაპონური ხმლები და აგრეთვე, დიდი თუჯის ქვაბები. ამასთანავე, მელიისა და სიასამურის ქურქები, ქალის ძვირფასი სამკაულები. ძველად, როგორც ჩანს, ნაჯახებიც, ჯერ ქვის, შემდეგ კი რკინის sagind-ის საგნებს მიეკუთვნებოდა.

ამ საგნების გარეშე არ შეიძლება extra commercium. მხოლოდ გა-

მონაკლის შემთხვევაში, უკიდურესი სიღატაკისა ან ნათესავების არყოლის დროს, ეპატიება კაცს, არ ჰქონდეს sagind-ის კატეგორიის საგნები, ან შეიძლება არ ჰქონდეს ამ საგნების მხოლოდ ნაწილი. ასე მაგალითად, ერთმა ღარიბმა ქვრივმა სოფელ პინეკაში, რომელმაც თავისი ერთადერთი ქალიშვილი გაყიდა, კითხვაზე — თუ რას უზამდა sagind-ს — მიპასუხა: „ნაწილს გავყიდი, ნაწილს კი საიქიოში წავიღებ". ამ საგნებს მისი მფლობელი სიცოცხლეში მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევისთვის ინახავს. მაგ., ვირას გადახდისთვის მკვლელობის დროს, ან ვაჟების დაქორწინებისთვის, როცა ურვადია გადასახდელი, ან როცა ქალიშვილები არიან გასამზითვებელი. მფლობელის სიკვდილის შემდეგ კი, საგნები მის საიქიოში გასამგზავრებლად გამოიყენება. მდიდარი ხალხის ურვადში მხოლოდ ძვირფასი საგნები ფიგურირებს, შედარებით ღარიბებთან კი — ნავები, თოფები, ძაღლები და ა .შ.

შეძლებულთ, რომლებიც მდიდარი ურვადის ძიებაში არიან, უპირველეს ყოვლისა, პატივმოყვარეობა ამოძრავებთ, იმიტომ, რომ მდიდრული ურვადის მიღება მათი საკუთარი სიმდიდრის ყველაზე უტყუარი დამადასტურებელია. ღარიბისათვის ურვადი ხშირად ერთადერთი შანსია, რათა საკუთარ მეურნეობას მოეკიდოს. მაგრამ აქვეა მედლის მეორე მხარეც — ღარიბი კაცისთვის თითქმის შეუძლებელია ოჯახის შექმნა და საკუთარი მეურნეობის წარმოება. მაგრამ აქ მას გარკვეულწილად ეხმარება ჯგუფური ქორწინების უფლება და ის, რომ შეუძლია მეურნეობა ძმებთან ერთად აწარმოოს. მაინც ყველა იმაზე ოცნებობს, რომ საკუთარი ოჯახი შექმნას. როგორც წესი, ღარიბ კაცს გვარი ეხმარება, — მდიდარი ნათესავები. მაგრამ ყველა გვარში არ არიან მდიდრები და თანაც, არის ხალხი, რომლებსაც მთელი გვარი ამოუწყდათ. ამათ ისღა დარჩენიათ, ცოლი შრომით მოიპოვონ. როგორც წესი, ასეთ გარიგებაზე მიდის ის ოჯახი, სადაც მამრობითი სქესის შთამომავლები არ არიან და სიძეს მიიღებენ, როგორც ნაშვილებ ვაჟიშვილს, თუმცა ის, როგორც უცხო გვარის წარმომადგენელი, ნამდვილი შემკვიდრე ვერ იქნება. პრაქტიკაშია, აგრეთვე, სხვადასხვა საშუალებანი, რომლებიც ურვადის გადასახადს ცოტას ამსუბუქებს. სრულწლოვანებამდე ურვადის საგნებს ნაწილ-ნაწილ იძენენ, ყოველწლიური გადასახადით. ერთბაშად ბევრის შეძენის დროსაც შეიძლება თანხის ნაწილ-ნაწილ გადახდა. გააჩნია, როგორ შეთანხმდებიან.

საინტერესო შემთხვევაა, როცა ჰპირდებიან ჯერ კიდევ გაუჩენელი ქალიშვილისათვის ურვადის მიცემას. მე ვიცი ასეთი შემთხვევა: გილიაკმა კანკამ შეირთო მცირეწლოვანი პლეტუნკას და. ურვადი არ გადაუხდია, მაგრამ შეპირდა, რომ დედამისს — ქვრივს, საჭმელს აჭმევდა და მას კი, პლეტუნკას, თავისი მომავალი ქალიშვილის ურვადს მისცემდა. პირობა შეასრულა კიდეც. ოცი წლისა იყო პლეტუნკა, როცა კანკამ თავისი ქალიშვილი გააათხოვა და მთელი ურვადი პლეტუხკას მისცა.

ურვადი პრინციპულად გვარს ეკუთვნის. ცხოვრების მძიმე წუთებში, მაგალითად, თუ ვირას გადახდა იქნება საჭირო, ყოველ ნათესავს მოუხდება თავისი sagind-ით მონაწილეობის მიღება. მაგრამ ჩვეულებრივ, ურვადი ძმებს შორის ნაწილდება, თუმცა ეს განაწილება არაპროპორციულია: ყველაზე უმცროსი ძმისათვის ცოლს უფროსი ძმა ყიდულობს თავის ქორწინებამდე და ამდენად, უმცროს ძმას ურვადისათვის saging-ი არ ესაჭირება.

ურვადის ოჯახურად განაწილებასთან ერთად, შემონახულია სრულიად განსხვავებული ადათ-წესი, რომელიც თვალნათლივ ადასტურებს ქორწინების ძველ, ორთოდოქსულ ფორმას. სწორედ ურვადის ნაწილი ეძლევა „ბებერ

axmalk"-ს, ე. ი. იმ axmalk-ს, რომელთანაც არსებულმა ოჯახმა ორთოდოქსული მატრიმონიალური კავშირები დაამყარა. ასე, მაგალითად, თუ რამდენიმე თაობის მანძილზე ა—ოჯახს ცოლები მოჰყავდა ბ—ოჯახიდან, ე. ი. დების ვაჟები ყოველ თაობაში ძმების ქალიშვილებს ირთავდნენ, ხოლო როცა ა—ოჯახი რომელიმე თავის ქალს ათხოვებს, ეს ქალები კი, როგორც ვიცით, ცალმხრივი ქორწინების წყალობით აკრძალულნი არიან ბ—ოჯახის ვაჟებისთვის, ა—ოჯახი ურვადს ღებულობს და ამ ურვადის ნაწილს იგი ბ—ოჯახის უფროსს აძლევს, — როგორც წესი, გათხოვილი ქალის დედის ძმას, უფრო იშვიათად კი— დედის მამას, თუკი ის ცოცხალია. საყურადღებოა, რომ ამ ძღვენს, როგორც ურვადის ნაწილს, ბებერ axmalk-ს მიართმევს საქმროს ოჯახი. პრაქტიკაშია, აგრეთვე, ამ წესის სხვა ფორმაც. დედის ძმას აძლევენ თავის მცირეწლოვან დას, ან თავის ქალიშვილს ცოლის ძმას იმ მიზნით, რომ შემდეგ, ამ პირებმა, მათი გათხოვებით ურვადი მიიღონ და ამაში მათ ვერავინ ვერ შეეცილება. „ბებერ axmalk-ს, სანამ თვითონ მოგვთხოვდეს, ჯობია ჩვენვე შევთავაზოთ საკუთარი ქალიშვილი ან და", — ამბობენ გილიაკები, როცა ამ ადათ-წესზე ყვებიან ხოლმე. თუ დედას რამდენიმე ძმა ჰყავს და ძმისშვილს — რამდენიმე და, ეს დები თითო-თითო უნდა მისცეს დედის ძმებს. რით აიხსნება ეს უცნაური ჩვეულება? ზუსტად ანალოგიური წესი აქვთ თამილებსაც, რომლებთანაც, ქალის გათხოვებისას, დედის ძმა აგრეთვე ურვადის ნაწილს ღებულობს. მაგრამ თამილებთან ბიძაშვილური ქორწინება ორმხრივია, ასე რომ, თუკი და თავის ქალიშვილს ცოლად არ აძლევს თავისი ძმის ვაჟიშვილს, ამით იგი წესს არღვევს, მაგრამ გილიაკებთან ბიძაშვილური ქორწინება ცალმხრივია და ძმის ვაჟიშვილისათვის დის ქალიშვილის შერთვა აკრძალულია. მაშ, რატომ აქვს დედის ძმას ასეთი უპირატესობა? ეს ორნაირად შეიძლება ავხსნათ: შესაძლოა, რომ ეს მატერნიტეტის გადმონაშთია, როცა დედის ძმა პრივილეგიით სარგებლობდა, ანდა ცალმხრივი ბიძაშვილური ქორწინების თანამედროვე ინსტიტუტი გილიაკებთან შეენაცვლა უფრო ძველ, ორმხრივ ბიძაშვილურ ქორწინებას, როცა ყოველი ქალიშვილი აუცილებლად მიჰყვებოდა ცოლად დედის ძმის ვაჟიშვილს. ამგვარად, ეს ადათ-წესი ქორწინების უფრო ძველი წესის გადმონაშთია.

მზითევი. გადავდიოარ მზითევზე — მეორე უმთავრეს ვალდებულებაზე, რაც ქორწინების ინსტიტუტს თან ახლავს.

მზითევისთვის გილიაკებს აქვთ ტერმინი jox son, რაც სიტყვასიტყვით არის „პატარძლის, ქალის მოტანილი". მზითევში უმთავრესად სხვადასხვაგვარი ტანსაცმელი და სამკაული შედის. მდიდარი ქალის მზითევი მელიისა და სიასაშურის ძვირფასი ქურქების ასორტიმენტისგან შედგება; აგრეთვე მათ შორისაა ვერცხლის სამაჯურები, ძვირფასი საყურეები, ჩინური ჩიბუხები, მდიდარი ორნამენტებითა და ჩუქურთმებით შემკული ჭურჭელი. მხატვრული ორნამენტებით გაფორმებული არყის ხის კოვზები. დედა, როგორც წესი, აძლევს ქალიშვილს თავის სამკაულებს, ზოგჯერ ლოგინსაც, მაგრამ რატომღაც არ შეიძლება ბალიშების მიცემა. მზითევს გოგონას ძალიან ადრე ასაკიდან უგროვებენ და ასე გრძელდება გათხოვებამდე. ამას ჰქვია jox wax — „პატარძლის მომზადება". შეძლებულ ოჯახში მზითევს ადრიდანვე აწყობენ საგანგებო სკივრებში, ოჯახის ძვირფასეულობასთან ერთად. მზითვის ოდენობა, ჩვეულებრივ, ურვადის პროპორციული უნდა იყოს. როცა ჭორიკანა ქალები ამა თუ იმ ქორწილს არჩევენ, საუბრობენ „მდიდრულ და ღარიბულ მზითევზე". ნივთების გარდა, საამაყოდ ითვლებოდა მონა ქალის ან მონა კაცის მიცემა. ერთი ჩემი ნაცნობი გილიაკის, იუსკინის გვარში, ქალიშვილს მზითევში გააყოლეს მონა ქალი (აჰ),

რომელსაც იაპონური ხმალი ჩააბარეს, რათა თავისი ქალბატონისთვის ჩექმის ლანჩები ეწმინდა. განსაკუთრებით პატივმოყვარე მდიდრები. საპატარძლოდ გამზადებულ ქალიშვილს, ცალკე სახლს აძლევდნენ, მსახურად მონასაც მიუჩენდნენ ხოლმე, რომელსაც შემდეგ მზითევში ატანდნენ.

მზითევი, მართალია, ურვადის კომპენსაციას ახდენს, რადგან ქმარს ცოლისათვის მოსახმარი დიდი ხარჯებისაგან ათავისუფლებს, მაგრამ მზითევი, მაინც, უშუალოდ პატარძლის საჩუქარია, მისი პირადი კუთვნილებაა, რაზედაც ქმარს არავითარი უფლებები არა აქვს. ქალს შეუძლია მისი გაყიდვა, ან ქალიშვილებისთვის მზითევში გატანება. ქალის სიკვდილის შემდეგ, მზითევი ქალიშვილების ხელში გადადის, ხოლო თუ ქალიშვილები არა ჰყავს, შეუძლია ვინმეს უანდერძოს, ანდა ძმები მიიღებენ.

ურვადზე შეთანხმების შემდეგ. მოლაპარაკება ურვადის შესახებ ორ საკითხს შეეხება — რაოდენობასა და დროს. ხდება ხოლმე, რომ ურვადს მოლაპარაკებისთანავე გაიღებენ და მაშინ, ქორწინებას წინ აღარაფერი ეღობება, მოიყვანენ საქმროს და პატარძალს, ეტყვიან, რომ ერთად ჰამონ და მოსწიონ. პატარა ქეიფს აწყობენ სასმელით. საღამოს კი პატარძლის დედა საქმროს ეტყვის, რომ თავისი ცოლის ლოგინში ჩაწვეს და საქორწილო სარეცელზე გატარებული ღამის მერე ახალდაქორწინებულს, გარკვეული ცერემონიით, რაზედაც ქვემოთ ვისაუბრებთ, მეუღლე თავის სახლში მიჰყავს. ბაგრამ ასეთი შემთხვევები იშვიათია. ეს მაშინ ხდება ხოლმე, როცა საქმრო და პატარძალი არ არიან შეძლებული ოჯახებიდან და ურვადი იმდენად მცირეა, რომ იგი მაშინვე მოაქვთ; პატარძლის მზითევი კი, მისი მხოლოდ ყველაზე საპირო პირადი ნივთებით არის შემოსაზღვრული და არავითარი გამზადება არ ესაჭიროება. მდიდარ ოჯახებში პატარძალი მაშინვე იმ შემთხვევაში მიჰყავთ, როცა საქმრო ძალიან შორს ცხოვრობს, როცა ამ ქორწინებას მეტისმეტად უფრთხილდებიან, ან პატარძლის მშობლების დიდგვაროვნობის გამო, ან იმის გამო, რომ პატარძალი განთქმულია თავისი ღირსებებით („მთელ ქვეყანაზე განთქმული ქალიშვილი") ან ქორწინების გადადება საშიშია, რათა უფრო მდიდარი კონკურენტი არ გამოუჩნდეს. ასეთ შემთხვევებში, მაშინვე რამდენიმე ნავით მოდიან ხოლმე, მთელი ურვადით, ყველაზე უფრო წარჩინებული ნათესავების თანხლებით და ურვადის მოტანის შემდეგ, იმართება ქეიფი და ზოგიერთი ცერემონია, ხოლო შემდეგ კი მოჰყავთ პატარძალი თავისი მზითვით. ბაგრამ ვიმეორებ, რომ ასეთი შემთხვევები იშვიათია. როგორც წესი, ასეთ დროს ქორწილს გადადებენ ხოლმე. ურვადს ნაწილ-ნაწილ იხდიან. მაშინვე მხოლოდ ერთ საგანს ტოვებენ, უფრო ხშირად ქვაბს. სხვა ყველაფერი ან უშუალოდ პატარძლის წაყვანის წინ მოაქვთ, ან თუკი ურვადი ძალიან დიდია, მისი ნაწილი პატარძლის წაყვანის შემდეგაც კი მოაქვთ, დათქმულ დროს.

ქორწილს ზოგჯერ მზითევის გამო გადადებენ ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ პატარძალს მზითევს ბავშვობიდანვე უმზადებენ, შემოტანილი ურვადის მიხედვით ზოგჯერ, ახალი მზითევის გამზადებაა საჭირო. მოლაპარაკების ბოლო მომენტი ქორწილის დანიშვნაა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, იმიტომ, რომ, საქმროს მოსვლის დროისთვის მზითევი გამზადებული უნდა იყოს. მზად უნდა იყოს აგრეთვე მრავალრიცხოვანი სანოვაგე, არა მარტო საქორწილო სუფრისთვის, არამედ იმისთვისაც, რომ პატარძალმა საქმროს ოჯახისთვის საჩუქრად წაიღოს.

ორ ოჯახს შორის დადებული მოლაპარაკება, ორ გვარს შორის დადებულ მოლაპარაკებად ითვლება და თვით პატარძალიც, იმ დროიდან, გვარის საკუთ-

რებად არის მიჩნეული. პატარძლისაგან უარის თქმის შემთხვევაში, ან თუ მშობლები იტყვიან უარს, გვარი ქალის ხელში ჩაგდებას იარაღის ძალით მოინდომებს.

მოლაპარაკების შესრულება მეორე მხარისთვისაც აუცილებელია, მაგრამ აქ არავითარი სანქციები არაა საჭირო, ვინაიდან უარის თქმის შემთხვევაში, საქმრო თავის გაღებული ქონების ნაწილს კარგავს (ჩვეულებრივ, ურვადის ნახევარს). იშვიათად ისიც ხდება, რომ საქმრო ერთი დის მაგივრად, მეორეს მოიითხოვს, მაგრამ ეს აბსოლუტურად დაუშვებელია. ამ შემთხვევაში მას პასუხობენ: „თუ ერთი არ მოგწონს, ესე იგი ორივე (ერთიც და მეორეც) არ მოგწონს. როცა საქმე ძაღლებს ეხება, შენ კარგი გინდა და მეც კარგს გაძლევ, თუ ერთი შენთვის ცუდია, მაშინ შენთვის ორივენი ცუდები იქნებიან. როცა გიმასპინძლდებიან, თუ პირველი კერძი ბოლომდე შეჭამე, მეორეს შემოგთავაზებ“.

სხვანაირად რომ ვთქვათ, შეიძლება ითხოვო ორი ქალიშვილი, მაგრამ ერთის მაგივრად რომ მეორე ითხოვო, ეს დაუშვებელია.

როცა ბოლოს და ბოლოს დათქმული დღე დადგება, საქმრო თავის მშობლებთან ერთად ჩამოდის ზაფხულში ნავებით, ზამთარში — ნარტებით. თან ჩაშოაქვთ დაპირებული ურვადის ნაწილი და სასმელ-საჭმელი. ეტიკეტით აკრძალულია ფეხით მოსვლა, თუნდაც პატარძალი ახლო მეზობლობაში ცხოვრობდეს. ამ დროისთვის პატარძლის ოჯახი ურვადის საგნებს ნათესავების სანახავად გამოფენს და სუფრა ეწყობა ორივე გვარის უფროსი წარმომადგენლებისთვის. ქალები პატარძალს თავს დასტრიალებენ, ანუგეშებენ, რჩევას აძლევენ, თუ როგორ უნდა იცხოვროს უცხობაში და თუკი პატარძალი საქმროს უკმაყოფილოა, ყოველნაირად ცდილობენ ქორწინებაზე დაითანხმონ. გამოსათხოვარი ქეიფის დროს, საქმრო პატარძლის გვერდით ზის. ისინი ერთი ჭურჭლიდან ჭამენ და ერთი ჩიბუხიდან ეწევიან, მაგრამ დღის განმავლობაში ჩვეულებრივ არ ლაპარაკობენ. საქმრო საერთოდ მთელი დღე მორიდებით უნდა იყოს, არ უნდა ლაპარაკობდეს. გვიან საღამოს, როცა ქეიფი დამთავრდება, პატარძლის დედა ეტყვის საქმროს, რომ პატარძლის ლოგინში ჩაწვეს და სრულდება საქორწილო აქტი. მეორე დღეს, უკვე ახალდაქორწინებულ პატარძალს თავისი მეორე ნახევრისათვის საჭმელ-სასმელი მოაქვს და „ქმარს“ უწოდებს. დილითვე მიემგზავრებიან. გამგზავრების წინ უკანასკნელად მიუსხდებიან სუფრას. ამ დროს ახალდაქორწინებულთა მშობლები ერთმანეთს ლოცავენ და სიკეთეს უსურვებენ. აი ამურზე ჩაწერილი ასეთი დალოცვის ნიმუშები: „ვისაც ღმერთი ბედნიერებას მიანიჭებს, ცხოვრებას ბედნიერად გაივლიან, თუ ბედნიერების გარეშე ტოვებს, ცუდია მათი ცხოვრება. ღმერთო, გააკეთე ისე, რომ ჩვენი შვილების ცხოვრება ბედნიერი იყოს!“

ამის შემდეგ მამა, ან საქმროს ნათესავი ღმერთს ევედრება: „ღმერთო, ბედნიერები ამყოფე ჩვენი შვილები მთელი მათი სიცოცხლე. ჩვენც ბედნიერად ვიყოთ, ჩვენი ერთობლივი ცხოვრება ბედნიერი იყოს!“.

როცა ამ ლოცვა-კურთხევას წარმოთქვამენ, ცისკენ და სხვადასხვა მიმართულებით არაყს აპკურებენ. უშუალოდ გამგზავრების წინ ეწყობა ცერემონია, რომელსაც ეწოდება „ქვაბის ტკეპნა“. იგი შემდეგში მდგომარეობს: კარავში ზღურბლთან დგამენ დიდ, ხუთყურიან მანჯურულ ქვაბს (რომელსაც ძაღლების საჭმელისთვის ხმარობენ) საქმროს ურვადიდან, გარეთა მხრიდან კი, ასევე ზღურბლთან, პატარძლის მშობლების პატარა ქვაბს

დგამენ. კარავიდან გამოსვლისას რიგრიგობით. ჯერ პატარძალი, ძერე კი საქმრო, ერთ ფეხს დიდ ქვაბში ჩადგამენ, მეორეს — პატარაში ისე, რომ ზღურბლს არ ტეეპნიან. ეს ცერემონია ურთიერთკვებისა და ურთიერთმეგობრობის სიმბოლურ კავშირს ამყარებს ორი მშობლიური კერის — „ზღურბლის მოხუც დიასახლისებსა და კარის იქით მდგომ დიასახლისებს“ შორის. უურადსაღებია, რომ „ქვაბის ტეეპნის“ ასეთივე ცერემონია აქვს ტუნგუსის ტომს— ნეგდას. ეს ხალხი ძველთაგანვე გილიაკებზე ქორწინდებოდნენ და ეს წესიც, უეჭველია, მათგან აქვთ გადაღებული.

ქორწილიდან ერთი წლის შემდეგ ახალდაქორწინებულები, ჩვეულებრივ, უკვე ბავშვთან ერთად ჩამოდიან ცოლის ოჯახში საცხოვრებლად და როდესაც კვლავ უკან მიემგზავრებიან, ისევ იწყება „ქვაბის ტეეპნის“ ცერემონია, მაგრამ ამჯერად ქვაბის მაგივრად ჯამები ფიგურირებს.

გვაროვნული ყოფის თეორია*

გვაროვნული ყოფის თეორია — ასე ეწოდება ისტორიკოსებისა და იურისტების ცნობილი სკოლის სწავლებას, რომლის მიხედვითაც არიელ ხალხთა ისტორიისა და სამართლის ამოსავალი საწყისი მომენტი იყო სისხლით ნათესავთა თავისებური კავშირი, რომელსაც გვარს უწოდებდნენ. მეორე ამის საწინააღმდეგო სკოლა ამტკიცებდა, რომ ასეთ მომენტად ითვლებოდა პატრიარქალური ოჯახი, სოჯახო ან სამეზობლო თემი (ძველი გერმანისტები, მენის სკოლა). 60-იანი წლებიდან დაწყებული, ბაჰოფენის, მაკ-ლენანის, მორგანისა და სხვა მკვლევართა მთელი რიგი გამოკვლევების წყალობით, რომლებიც პირველყოფილ ტომებში, განსაკუთრებით ავსტრალიელებში, სოჯახო და გვაროვნულ ყოფა-ცხოვრებას იკვლევდნენ და აგრეთვე თანამედროვე არიულ ხალხთა შესწავლის წყალობით, რომელთაც მათი იზოლირებული მდგომარეობის მეშვეობით ყველაზე პრიმიტიული ფორმები ან განცდები ჩამოუყალიბდათ (კავკასიელები, ავღანელები, სამხრეთ სლავები), საბოლოოდ დაიმსხვრა ძველი წარმოდგენები პატრიარქალურ ოჯახზე, როგორც საზოგადოებრივ ემბრიონზე და ამასთანავე, რადიკალურად შეიცვალა მოძღვრება გვარის შესახებ. ოჯახი მიჩნეული იყო, როგორც გვიანდელი წარმონაქმნი, გვარი კი — ადამიანურ საზოგადოებათა უპრიმიტიულეს ფორმად, რომლიდანაც წარმოიქმნა შემდგომში სხვა, კიდევ უფრო რთული ფორმები. გვაროვნული ყოფის თეორია ვიწრო, ცალკეული სკოლის ცალმხრივი სწავლებიდან გადაიზარდა დამოუკიდებელ სწავლებად პირველყოფილ საზოგადოებათა სოციალური წყობის შესახებ, გადაიზარდა ერთგვარ საზოგადოებრივ ემბრიოლოგიად, რომელიც ერთნაირად მნიშვნელოვანი იყო ისტორიკოსისათვის, იურისტისათვის, სოციოლოგისა და ეკონომისტისათვის. ამ სწავლების წრეში შედის შემდეგი საკითხები: გვარის გენეზისი, მისი პირველადობა და უნივერსალურობა, გვარის კავშირი ოჯახის წესწყობილებასა და რელიგიასთან, გვაროვნული კავშირის ძირითადი ნიშნები და შინაარსი, გვაროვნული კავშირების ევოლუცია და ფორმათა კლასიფიკაცია, რთული კავშირები. გვარისა და სხვადასხვა სახის სასოფლო თემთა

* წყაროდან: Л. Я. Штернберг, Семья и род у народов северо-восточной Азии, Л., 1933, с. 159—166.

მემკვიდრეობითობა (საოჯახო და სამეზობლო), გვარის გავლენა სახელმწიფოებრიობის ზრდასა და ფორმებზე, გვარის დაშლა და მისგან დატოვებული გადმონაშთები.

რაში მდგომარეობს გვარის გენეზისი? ყველაზე ველურ ტომებთანაც კი, გვარი ეგზოგამიური კავშირია, ე. ი. სისხლით ნათესავთა ჯგუფია, რომელთა შორის, სქესობრივი კავშირი და ქორწინება დაუშვებელია. და მართლაც, მორგანიდან დაწყებული, რომელმაც პირველმა აღმოაჩინა ეს თავისებურება, ეგზოგამიურობა გვარის ძირითად ნიშნად არის მიჩნეული. მაგრამ ისეთი მაგარი და ხანგრძლივი კავშირის შესაქმნელად, როგორიცაა გვარი, უნდა ერსებულიყო რაღაც კიდევ უფრო ძლიერი, ვიდრე მხოლოდ ერთი საყოველთაო აკრძალვა. ეს ძლიერი სტიმული გამოდგა სქესობრივ ურთიერთობათა წესების ერთობლიობა, რომელთა ურთიერთდაცვისა და გარანტიებისათვის, პირველყოფილი ადამიანები მჭიდრო ნათესაურ კავშირებში ერთიანდებოდნენ. დღესაც კი, პირველყოფილ ადამიანთა უმეტესობას ერთ გვარში სქესობრივ ურთიერთობათა წესების ერთობლიობა აერთიანებს. დედამიწის სხვადასხვა კუთხეში, მთელ რიგ ტომებში, გვარის ყოველი წევრი ჯერ კიდევ დაბადებიდანვე მიჩნეულია, როგორც მეორე, გარკვეული გვარის სათანადო პირთა ქმარი ან ცოლი. მათ იციან, რომ ეს პირები მათ უნდა ერგოთ და არა სხვას. წესების ეს ერთობლიობა კიდევ უფრო გაღრმავდებოდა ხოლმე გვარის შიგნით მეუღლეთა კოლექტიური უფლებების მეშვეობით. ბევრ ტომში, რომლებიც უკვე დაწყვილებულ ქორწინებებზე გადავიდნენ და ნათესაობას მამის ხაზით მისდევენ, ნათესავები ჯერ კიდევ სარგებლობენ ხოლმე კოლექტიური ქორწინების ამა თუ იმ უფლებებით (ძმების ურთიერთუფლებები, სქესობრივი კავშირი იქონიონ ერთმანეთის ცოლებთან [ეგილიაკები], ძმისშვილების უფლება მამის უმცროსი ძმების ცოლებზე [ოლჩები]). სხვა ტომებში, რომლებთანაც ეს წეს-ჩვეულებები აღარ არის, შეიმჩნევა მისი გადმონაშთები ნათესაურ ნომენკლატურაში. ისტორიულ ხალხებთანაც კი, ეს ძველებური უფლებები ლევირატის უნივერსალურ ინსტიტუტში კვლავ არსებობდა და აღმოიფხვრა მას შემდეგ, რაც უფლება დამამძიმებელ მოვალეობად იქცა. ეგზოგამიურობა, როგორც გვარის არსებითი ნიშანი, გვაროვნულ წყობილებას ბოლომდე შემორჩა: რომში ოჯახები, რომლებიც ერთ გვარს ატარებდნენ, ერთძმანეთში ვერ შეუღლდებოდნენ; დღესაც აკრძალულია შიდა ქორწინება, მაგრამ თუ უგვიანეს პერიოდში ეგზოგამიურობა გვარის წევრთა სქესობრივი რეგლამენტაციის ერთადერთი უარყოფითი ნიშანია, უფრო ადრეულ პერიოდში, რელიეფურად, მისი დადებითი მხარეებიც მოჩანდა. დღესაც კი, ბევრ პირველყოფილ ტომში ნორმალური ქორწინება — წყვილადი ან კოლექტიური,—ხდება აუცილებლად გარკვეული ჯგუფის პირებს შორის, რომლებზეც გვარის წევრებს თავისი განსაკუთრებული უფლებები აქვთ (უპირატესად ქორწინება მაშიდების ქალიშვილებზე და ა. შ.); ქორწინება მოტაცების გზით ძვირი ჯდება, რის გამოც, გვარის წევრები კიდევ უფრო უფრთხილდებიან და იცავენ თავიანთ ნორმალურ საქორწინო წესებს. ამგვარად, ვინც გვაროვნულ კავშირში შედიოდა, ნორმალური ქორწინების პრივილეგიებით შეეძლო სარგებლობა. რომშიც კი ადამიანი, რომელიც არავითარ გვაროვნულ კავშირს არ მიეკუთვნებოდა, მისი ქორწინება უკანონო იქნებოდა, connubium, a contbernium. რელიგიამ, თავისთავად, უმკაცრესი ტაბუთი შემოსაზღვრა ნათესავთა შორის სექსუალური ურთიერთობის წესები და მოვალეობანი. ეგზოგამიურობის გარდა, გვარი სხვა ნიშნებითაც ხასიათდება. გვარის წევრე-

ბი თავიანთ წარმომავლობას ერთი საერთო წინაპრიდან ითვლიან, მამაკაცისა ან ქალისაგან და იმის შესაბამისად, თუ რა სქესისაა პიროვნება, რომლიდანაც ნათესაობას ითვლიან, ეღებულობთ ნათესაობის ამა თუ იმ ტიპს — კოგნატურს (დედის) ან აგნატურს (მამის), რომლებიც არ უნდა ავურიოთ მატრიარქატსა და პატრიარქატში. გვარის პირველი ფორმა უძველესად ითვლება და პრიმიტიულ წყობას უკავშირდება, როცა წარმოშობას, უეჭველია, მხოლოდ დედის მხარეს მიაწერდნენ. ბოლო დროს, გვარის ამ ორი ფორმის აუცილებელი მონაცვლეობა საკამათო გახდა. სხვათა შორის იმის გამო, რომ ეს ორივე ფორმა გვერდიგვერდ გვხვდება ისეთ ტომებში, რომლებიც განვითარების ერთნაირ საფეხურზე დგანან, თუმცა კი უეჭველია, რომ დედის გვარიდან გადმონაშთები მამის გვარში გვხვდება, საპირისპირო შემთხვევები კი არსად არა ჩანს, რაც, თავისთავად დედის გვარის პრიორიტეტზე მეტყველებს. ყოფა-ცხოვრების საოჯახო პირობების შეცვლამ და მოტაცებით ქორწინების შემთხვევათა სიხშირემ მამის გვარზე გადასვლა გამოიწვია, პირველად შუალედური ფორმით — მაგ., როცა შვილების ნაწილი ნათესაობას მამიდან ითვლის, ნაწილი კი დედიდან, აგნატობის სუფთა ფორმებით გათავებული. სუსტად ორგანიზებულ ტომებთან, რომლებიც ველურ მდგომარეობაში იმყოფებიან, დედის გვარის გვერდით ვხედავთ მამის გვარსაც (ავსტრალია); სხვა ტომებთან, რომლებიც კულტურის დონით თუმცა შედარებით მაღალ საფეხურზე ავიდნენ, დედის გვარი ხელშეუხებელი დარჩა. ეს მოხდა ძლიერი ტომობრივი ორგანიზაციის წყალობით, რომელმაც თავის შინაგან წყობაში უხეში ცვლილებები არ დაუშვა (იროკეზები). არიელ ხალხებში დედის გვარი ჯერ კიდევ ისტორიამდელ პერიოდში გაქრა. გვარის უმნიშვნელოვანესი გარეგნული ნიშანია — საერთო ტერიტორიაზე თანაარსებობა, სადაც ეკონომიკური პირობები ამის საშუალებას იძლევა. ნათესავები ყველა ღონეს ხმარობენ, რათა, რაც შეიძლება ახლოს იყვნენ ერთმანეთთან. როცა მდგომარეობის გამო, ნათესავებს ერთმანეთისაგან შორ იანძილზე დაცილება უხდებათ, მაშინ ფორმალურად, გვარის გაყოფა ხდება. გილიაკები ასეთ შემთხვევაში საგვარეულო კვესს ტეხავენ; ამასვე აკეთებდნენ ბერძნებიც, როდესაც კოლონიებში გასახლების წინ, ოჯახის კერიის ცეცხლს იყოფდნენ. საერთო ტერიტორიის არსებობის დროს არ იგულისხმება, რომ აუცილებლად ისარგებლონ ამ ტერიტორიით. ერთსა და იმავე ტერიტორიაზე, ერთსა და იმავე სოფელშიც კი, ხშირად განსხვავებული გვარის ოჯახები ცხოვრობენ, რომლებიც წარმოშობით ერთმანეთთან ახლოს დგანან, უმეტეს შემთხვევაში საქორწინო კავშირებით არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. მაგრამ მოსახლეობის ზრდასთან ერთად, როცა გვარი ტომად გადაიქცევა ხოლმე, როცა აუცილებელი ხდება ძირძველი ტერიტორიის შენარჩუნება, ეს უკანასკნელი გვარის საკუთრებად ცხადდება; მოსაზღვრე ტერიტორიებს შორის ნეიტრალური ზოლია. ეს უნივერსალური ადათწესი ერთნაირად შემოიღეს ჩრდილო ამერიკის ინდიელებმა (იროკეზებმა), ძველმა გერმანელებმა და სლავებმა. ბევრ არატოტემურ ტომში გვარი ტერიტორიის სახელს ატარებს.

გვაროვნული კავშირის ყველაზე ძლიერი დუღაბი იყო ის, რომ მათ საერთო ღმერთები ჰყავდათ, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ერთ გარკვეულ გვარს მფარველობდნენ. გვარის ასეთი ღვთაებები იყვნენ ერთი მხრით გამორჩეული ნათესავები, რომლებიც სიკვდილის შემდეგ ამა თუ იმ ღვთაებას მიაკუთვნეს, მეორე მხრით კი — ტოტემები, ე. ი. ხილული ბუნების ესა თუ ის

ობიექტები (ცხოველები, მცენარეები), რომლებიც პირველყოფილ რწმენის თანახმად, როდესაც პართენოგენეზისი სწამდათ, არსებული გვარის დედამიწაზე გაჩენის წყაროდ ითვლებოდნენ. ყველა ტოტემური გვარი, დაწყვილებული ქორწინების დროსაც კი, ნათესაურ კავშირს დედის მხრიდან ითვლის (დედისეული გვარები), რადგან ტოტემიდან წარმოშობილი ქალი მიაჩნდათ გვარის პირველ წინაპრად — ტოტემიზმი ოდესღაც უნივერსალური გვაროვნული რელიგია იყო. ტოტემური ორგანიზაცია ეგვიპტეში ჯერ კიდევ ისტორიულ დროს (ნომები) არსებობდა. ტოტემიზმი უდიდეს როლს ასრულებს გვარის შედეგაბეჭდში, რაც კარგად ჩანს გვაროვნული მოლაპარაკების ჩვეულების მაგალითზე, რომლის მიხედვითაც გვარის წევრები ტოტემსა და ურთიერთშორის განუყრელ კავშირს საკუთარი სისხლით ამყარებდნენ. ნათესავების თაყვანისცემა, რომლებიც ღვთაება-ცხოველებად გარდაქმნენ, ისევე როგორც ტოტემიზმი, ხილული ბუნების კულტის შესუსტებასთან ერთად, შეიცვალა ცალკეულ პიროვნებათა გაღმერთებით, და ბოლოს, საერთოდ წინაპართა კულტით, რომელიც მყარად შენარჩუნებულ კულტთან — გვარის ცეცხლთან (ოჯახის კერიასთან) ერთად, დღემდე შენარჩუნებულია ევროპის გლეხურ მოსახლეობაში (განსაკუთრებით საოჯახო თემებში). საგვარეულო კულტში მონაწილეობის მიღება მხოლოდ და მხოლოდ გვარის წევრებს შეეძლოთ; სისხლით ახლო ნათესავებიც კი (ცოლები მამების გვარში და ქმრები დედის გვარში) მასში მონაწილეობას ვერ ბიიღებდნენ. ამაში მდგომარეობს გენეზისი იმ უცნაური მოუთმენლობისა, ჭეშმარიტი მოქალაქეობრივი თავისუფლებისა და საოცარი უთანასწორობისა, რაც ასე გვაოცებს ძველი სამყაროს კლასიკურ რესპუბლიკებში; ყოველი სხვა გვარის წარმომადგენელი, როგორც პიროვნება, რომელიც არ იყო გვარის ტომობრივი კულტის თანაზიარი, ტომობრივი კავშირის მიღმა იდგა და ამიტომ, გვაროვნულ საწყისზე დაფუძნებულ სახელმწიფოში ვერ ისარგებლებდა ვერც პოლიტიკური, ვერც მოქალაქეობრივი უფლებებით. გვარი, ზოგჯერ, მართალია, სხვა გვარის პიროვნებების ადაპტირებას ახდენდა. ამისათვის სისხლიერი ნათესაობის სიმულაციას მიმართავდა (სისხლის გადასხმით ან გვარის ქალის მკერდსა თუ genitatia-სთან შეხებით და სხვ. მსგავსი წეს-ჩვეულებებით), მაგრამ ეს იმდენად იშვიათად ხდებოდა, რომ გვარის კარჩაკეტილობაში კორექტივებს ვერ შეიტანდა. გვაროვნული კულტის გამოხატულება იყო გვაროვნული, გვაროვნებათაშორისი და ტომობრივი მსხვერპლშეწირვა და რელიგიური ცერემონიები (sacra gentilicia), რომელთაგანაც თანდათან ჩამოყალიბდა ის ეროვნული დღესასწაულები, რომლებიც, ოლიმპიური და სხვა თამაშობების სახით, მეტად მნიშვნელოვანი და შემაკავშირებელი იყო საბერძნეთში. გვარის ღმერთები თანდათან ერის ღმერთები გახდნენ, მაგრამ ისევე ისე განსაკუთრებულნი იყვნენ: ახლაც, ცივილიზებულ ხალხებს შორის ომის დროს, ყოველი მხარე შესთხოვდა ღმერთებს გამარჯვებას და მიმართავდა მას როგორც მხოლოდ და მხოლოდ თავის მფარველს. განსაკუთრებული რელიგიურ-გვაროვნული კავშირები არც სიკვდილის შემდეგ წყდებოდა. გვარის საერთო სასაფლაო მიუწვდომელი იყო სხვა გვარის წარმომადგენლებისთვის, მიცვალებულთა სამეფოში ყოველი გვარი, ისევე როგორც მანამდე, თავის თვითმყოფად არსებობას განაგრძობდა. გვარის წევრთა ინტიმურმა კავშირმა და იმან, რომ ერთმანეთთან და ტოტემთან სისხლით იყვნენ დაკავშირებულნი, გვარის წევრებს გამოუმუშავა ერთმანეთის უშიშროების დაცვა, რაც რელიგიის მიხედვით აუცილებელი იყო. ამან შექმნა შურისძიების წმიდათაწმიდა ინსტიტუტი, რომელიც სახელმწიფოებრიობის ეპოქაში სისხლის სამართლის დანაშაულად იქცა. ეს ინსტიტუტი

თავისი არსებობის მთელი ხნის განმავლობაში რელიგიური ხასიათისა იყო. მისი წმიდათაწმიდა მოვალეობა იყო არა მარტო ნათესავების სიცოცხლისა და პირადულობის დაცვა, არამედ, აგრეთვე, იმის ხელშეუხებლად შენარჩუნება, რაც რელიგიურად წმიდათაწმიდად იყო მიჩნეული. ასეთი იყო მაგ.: ოჯახის კერია, გვარის ღმერთები, განსაკუთრებული უფლება ქალებზე და ა. შ. მაგრამ ეს არ ვრცელდებოდა ქონებაზე, თუ მასზე განსაკუთრებული ტაბუ არ იდო. შურისძიების ინსტიტუტი განსაკუთრებით მაშინ ამოქმედდებოდა ხოლმე, როცა ნათესავს კლავდნენ, თუნდაც ეს მკვლელობა არაგამიზნული, შემთხვევითი ყოფილიყო. შურისძიება ცხოველებზეც ვრცელდებოდა, ხეებზეც, რომლებიც, პირდაპირ თუ ნაწილობრივ, იყვნენ სიკვდილის მიზეზი. მკვლელობისათვის პასუხისგება მოეკითხებოდა არა მარტო მკვლელს, არამედ მთელ გვარს, ისევე, როგორც მოკლულის მთელ გვარს მოეთხოვებოდა შურისძიება. სტიმული შურისძიებისთვის იყო მოვალეობა და არა გაბრაზების უშუალო გრძნობა: ქმარი საყვარელი ცოლისათვის არ იძიებდა შურს და მამა დედის გვარში — ვაჟიშვილისათვის. შურისძიების მოვალეობა თაობიდან თაობას გადაეცემოდა. და ხშირად ისეთ პიროვნებებს ხვდებოდა წილად, რომლებსაც მოკლულთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ. როცა თვითონ მკვლელზე ვერ იძიებდნენ შურს, საკმარისი იყო მისი ნებისმიერი ნათესავის მოკვლა, თუნდაც ეს ნათესავი ძუძუმწოვარა ბავშვი ყოფილიყო. ვირას დაწესებასთან ერთად, ამ უკანასკნელის გადახდასა და განაწილებაში, ისევ და ისევ გვარის ყველა წევრი მონაწილეობდა. შურისძიებასა და ნათესავების დაცვაში სოლიდარობა, უგვიანესი პერიოდის მრავალ გადმონაშთში არის შენარჩუნებული (თანანაფიცი მსაჯულები და სასამართლოში თავდები პირები და ა. შ.). გვაროვნული შურისძიება ომის პირველადი ფორმა იყო, რომელიც პირველ ხანებში ანგარებითა და მტაცებლობით არ გამოირჩეოდა. შურისძიების მიზეზი პირველად შემთხვევითი მკვლელობა იყო ხოლმე, შემდეგ კი პაექრობა ქალების გამო. ასეთი შეტაკებები, როგორც წესი, მეზობელ გვარებს შორის ხდებოდა, რომლებიც ერთმანეთთან, ჩვეულებრივ, სისხლიერად იყვნენ დაახლოებულნი. ყოველივე ამან ერთად შექმნა საერთო სამხედრო სამართლის ინსტიტუტი, რომელმაც საგრძნობლად შეარბილა სისხლიანი მტრობა — ინსტიტუტი, რომელსაც ბარბაროსთა საერთაშორისო სამართალი შეიძლება ვუწოდოთ. ყოველ ომს წინ უსწრებდა წინასწარი მოლაპარაკება მშვიდობის დასამყარებლად, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ფორმალურად ომის გამოცხადება, ვადის დანიშვნით; ელჩები ხელშეუხებლად ითვლებოდნენ. მოლაპარაკებები რელიგიური ცერემონიის ხასიათისა იყო. ყველა ღონეს ხმარობდნენ, რომ თვით ომის დროს სისასტიკე ნაკლები ყოფილიყო (ორთაბრძოლა, მოკლულთა რიცხვის რეგლამენტაცია, ქალებისა და ქონების შეწყალება და ა. შ.). ომში უკიდურესი სისასტიკე ბარბაროსებთან უფრო გვიანი წარმოშობისაა, ძველი გვართაშორისი სამართლის გამოძახილს (jus belli et pacis) რომაელთა სამხედრო ადათ-წესებშიც კი ვპოულობთ, რომლებიც საერთოდ სიმკაცრით გამოირჩეოდნენ. სვიატოსლავის ცნობილი „მოვდივარ თქვენზე“ რაინდობის, ან გულკეთილობის შედეგი კი არ იყო, არამედ გვაროვნული ყოფის ტრადიციას წარმოადგენდა. საერთაშორისო მოლაპარაკებათა წმიდათაწმიდა პრინციპსაც საფუძველი იმავე გვაროვნულ პერიოდში ჩაეყარა, როცა მშვიდობის დამყარების აქტს თან სდევდა საერთო სისხლის შესმის წმიდათაწმიდა პროცედურა, რომელიც მოწინააღმდეგეთა შორის ურყევი ძმობის სისხლისმიერ კავშირს ამყარებდა (მაგალითები: სკვითები, ძველი მა-

დიარები, სამხრეთ-სლავური ძმობა). გვაროვნული პერიოდის ბოლოს, როცა გახშირდა შეტაკებანი ტერიტორიის გამო, როცა ხალხს სამხედრო პატივმოყვარეობისა და სისასტიკის ინსტინქტები გამოუმუშავდა, ომმა მოხალისე რაზმების თავდასხმის ხასიათი მიიღო, რომლის ტიპური ფორმებიც ერთნაირად გვხვდება ირიკეზებთან, გერმანელებთან, სლავებთან და საერთოდ იმ ტომებთან, რომლებიც ბარბაროსობის ყველაზე დაბალ საფეხურზე იდგნენ. უმძიმეს წუთებში, როცა საშიშროება მთელ ტომებს ემუქრებოდა, აგრეთვე გადასახლების პერიოდებში, გვევლინება სახალხო მეომართა ის ტიპი, როცა ტომები ებრძოდნენ ერთმანეთს, ხოლო გვარები მწყობრ რიგად გამოდიოდნენ (generatim).

ეკონომიკური თვალსაზრისით, გვარის წყობას ერთ რომელიმე გარკვეულ ტიპს ვერ მივაკუთვნებთ. წყვილადი ქორწინების პერიოდიდან მოყოლებული, მეურნეობის ორგანიზაციის ყოველნაირ ტიპს ვხვდებით: შერეულიდან დაწყებული, წმინდა ინდივიდუალურით დამთავრებული, ბუნებრივი პირობების, მეურნეობის ფორმის, მოსახლეობის სიმჭიდროვის, სამხედრო ორგანიზაციის ხარისხის გათვალისწინებით და ა. შ. რაც უფრო დაბლა ჩამოვყვებით გვარის კიბეს და პრიმიტიულ ტიპებს დაეუახლოვდებით, მით უფრო ხშირად წავაწყდებით მეურნეობის ინდივიდუალურ ფორმებს. ამ დროს კომუნისტური ორგანიზაცია არ არის, იმიტომ, რომ იგი ზედმეტია. მას ცვლის გვაროვნული კომუნისტური სული, რომელიც გაჭირვების დროს ნათესავებს ძმური სოლიდარობით აერთიანებს. ასეთი განწყობით ისინი ერთმანეთს სტუმართმოყვარულად უწვდიან ხელს გაჭირვების დროს და უბედურების წუთებში იზოლირებულად, მარტო არ ტოვებენ უმწეო მდგომარეობაში. მეთევზეები და მონადირენი კოოპერაციას ძხოლოდ საგანგებო შემთხვევებში მიმართავენ, მაგ., ზვავის დროს, ან ზღვის მსხვილ ცხოველებზე ნადირობისას. ჩვეულებრივ კი, თითოეული ოჯახი, რისკის მიუხედავად, დამოუკიდებელ მეურნეობას აწარმოებს. ცალკეული საოჯახო-სამეურნეო ჯგუფის შიგნითაც კი შესაძლებელია ახალი რამის მოპოვება დაიწყონ. თუ ამ პერიოდში კომუნისტური თანაშეგობრობის ჩვეულება შეინიშნება (მაგ., ესკიმოსებთან), ესაა და ეს, საქმე ამით მთავრდება; საერთო საცხოვრებლების შიგნით თითოეული ოჯახი დამოუკიდებლად ბატონ-პატრონობს. გვხვდება აგრეთვე დიდი ოჯახების საერთო მეურნეობები, მაგრამ ასეთი მოვლენები გამონაკლისს წარმოადგენს. სადაც მესაქონლეობას მისდევენ, იქ გვარს საერთო საძოვრები აქვს, მაგრამ უშუალოდ მეურნეობის წარმოება ყოველთვის ინდივიდუალურია. სამიწათმოქმედო სტადიაზე ტიპების უფრო მეტი მრავალფეროვნება შეინიშნება. ყველაზე პრიმიტიულ საწყის ეტაპზეც კი ვხვდებით საკარმიდამო და საუბნო ადგილ-მამულებს (მელანეზია). მაშინ, როცა საერთო აქვთ სათადარიგო ager publicus, საძოვარი და დარგული ხეების საკუთრების უფლებაც აქვთ. ნასვენ მიწაზე მუშაობისას საერთოა ნიადაგის გასუფთავება და დამუშავება, ისევე, როგორც პროდუქტების განაწილებაც. კომუნისტური ტიპის ორგანიზაციები, რომლის ნიმუშადაც შეგვიძლია დავასახელოთ გვაროვნული საზოგადოებები Pclaw-ის კუნძულებზე, როგორც ჩანს, სამხედრო ორგანიზაციის შედეგია. ამაზე მიუთითებს თუნდაც ის, რომ აქ სოფლები მაღალი მესრებით არის გარშემორტყმული, იმავე სამხედრო ორგანიზაციას უნდა მივაწეროთ აგრეთვე ფეოდალიზმის ის საწყისი ნიშნები, როცა მიწის ნაკვეთების განაწილება ნათესავებს შორის უფროსზე არის დამოკიდებული (მაგ. ბაზუტებთან). მეურნეობის ფორმისაგან დამოუკიდებლად, სამიწათმოქმედო ტერიტორიაზე საკუთრების უფლება პრინციპულად გვარს ეკუთ-

ვნის და მისი გამგებლობის გარეშე არ იქნება. ეს სამიწათმოქმედო გვარების ძირითადი წესია, რომელმაც გვარის დაშლასაც გაუძლო და სამეზობლო თემობრივ წყობას დაედო საფუძვლად. რაც შეეხება თანადგომა — ურთიერთობას, იგი, როგორც გვარის ცალკეულ ჯგუფთა მეურნეობის ტიპი, ეპვგარეშეა, რომ გვაროვნული წყობის დროსაც არსებობდა, თუმცა ზოგიერთი ნიშანთვისება, რომელიც გვარს აახლოვებს, მან გაცილებით გვიან მიიღო, გვაროვნული კავშირის დაშლის შემდეგ.

მემკვიდრეობის უფლებაც მეურნეობის ტიპთან არის კავშირში. ძირითადი წესი არის ის, რომ ქონება გვარის მფლობელობაში უნდა იყოს. იმ იშვიათ შემთხვევებში, როცა მეურნეობას კომუნისტურ საწყისებზე წარმართავენ, მემკვიდრეობაზე ლაპარაკი ზედმეტია, იმიტომ, რომ მესაკუთრე-სამხედრო თემი არ კვდება, იცვლება მხოლოდ ის პირი, რომელიც მეურნეობას მეთვალყურეობას უწევს. უფრო ხშირად ეს პირები არჩევენი დროს იცვლებიან ხოლმე, იშვიათად კი,— უფროს-უმცროსობის მიხედვით. როცა საქმე გვაქვს ინდივიდუალურ მეურნეობასთან, აქ მემკვიდრეობა გადაეცემა იმ პრინციპით, რომელიც უბრალოდ და ნათლად არის გამოხატული XII ტაბულაში: Si suos heredes nonhabet, gentiles familiam habento. მემკვიდრეობა გადადის მათზე, ვინც მფლობელის გვერდი-გვერდ ცხოვრობდა და მუშაობდა, ხოლო როცა ასეთი პირები არ არიან, მემკვიდრე ხდება ის ნათესავი, რომელიც სიახლოვის ხარისხით ყველაზე ახლოს დგას გარდაცვლილთან. ყველაზე პრიმიტიულ გვარებშიც კი, მემკვიდრეობას ფორმალურად ერთი პიროვნება ღებულობს, ის, რომელსაც უნარი შესწევს მოუაროს ქონებას, მაგრამ ეს პირი არ არის სამემკვიდრეო ქონების მეპატრონე. იგი მხოლოდ მისი მცველი და გამგებელია. მემკვიდრეობის უფლებასთან კავშირშია, აგრეთვე, მთელი გვარის ურთიერთთავდებობის ინსტიტუტი, რომელიც ყოველი ნათესავის ვალების საქმეს აგვარებს.

მეურნეობის ტიპის მიუხედავად, გვარის სოციალური წყობა სრულიად განსხვავდება თანამედროვე საზოგადოებათა სოციალური წყობისაგან. ნათესაური და რელიგიური კავშირები, რომლებიც გვარის წევრებს აკავშირებს, ყოველგვარი ფორმალური ორგანიზაციის გარეშე, ქმნის სოციალურ ატმოსფეროს, რომელიც ყოველ ადამიანს — სუსტსა თუ ძლიერს, ნიჭიერსა თუ უნიჭოს, იმის გარანტიას აძლევს, რომ საერთო საცხოვრებლის ყველა სიკეთით ისარგებლოს.

ადამიანს, რომელიც გვაროვნულ კავშირს მიეკუთვნება, ვერც წარუმატებულობა, ვერც უბედური გარემოება ან ავადმყოფობა ვერ მიიყვანს შიშშილის პირამდე, მათხოვრობამდე ან იმის იძულებამდე, რომ მეზობელს დაემონოს, ანდა მთავრობას გამოსთხოვოს წყალობა. ყოველ გაჭირვებულსა და მის ოჯახს ბუნებრივი სტუმართმოყვარეობით დახვდებიან ყოველი შეძლებული ნათესავის კარავში და ეს სტუმართმოყვარეობა არავის არ ამცირებს იმიტომ, რომ პირველყოფილ საზოგადოებაში წარუმატებლობისაგან არავინ არის გარანტირებული და ყველას ერთნაირად ეძლევა იმის საშუალება, რომ შეძთხვევით დარღვეული კეთილდღეობა აღადგინოს. მდიდრის მთელი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მას შესაძლებლობა აქვს, თავისი სიმდიდრე უხვად მასპინძლობაში, ქეიფებსა და ა. შ. დახარჯოს. არა მარტო მისაწვდომია, ყველასათვის სავალდებულოცაა უმაღლეს სოციალურ დროსტარებაში მონაწილეობა, რაც რელიგიური დღესასწაულებითა და საზოგადოებრივი ქეიფებით არის გამოწვეული.

სოციალური სხვაობა მხოლოდ და მხოლოდ იმით გამოიხატება, რასაც თვითონ ბუნება, ან ღმერთების ნება ქმნის, რომლებმაც არათანაბრად გაანაწილეს სულიერი საჩუქრები. სოციალური ჯგუფების აღმართვა დაიწყო მხოლოდ მაშინ, როცა გაცვლა შემოიღეს, როცა ლითონის გაცვლა-გამოცვლის ნიშნები გაჩნდა, როცა ზრდა იწყო სამხედრო ორგანიზაციამ.

პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი თვალსაზრისით, გვაროვნული კავშირი წარმოადგენს თავისებურ ორგანიზმს, რომლის ფუნქციები უფრო მეტის მომცველია და შინაგანი სოლიდარობა უფრო მტკიცეა, ვიდრე სახელმწიფოში, მაგრამ გარეგანი ძალაუფლების ელემენტები და ძალდატანება მეტისმეტად მოისუსტებ:: უმარტივეს ფორმებში კი, რომლებიც არც სამხედრო წეს-ჩვეულებებით არის დამახინჯებული, არც ეკონომიკური კონტრასტებითა და კონფლიქტებით, ისინი თითქმის სულ არ არის. საზოგადოებრივი ორგანიზმი თავს ინარჩუნებს მხოლოდ ბუნებრივი წონასწორობის წყალობით, რომელიც გამოწვეულია არსებობის პირობათა უბრალოებით, მსოფლმხედველობის მთლიანობითა და შინაგანი მართლშეგნებით,: ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ს ქ მ ნ ი ს ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ი თ ა ვ ი-ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა დ ა ყ ვ ე ლ ა ზ ე მ ჰ ი დ რ ო ს ო ლ ი დ ა რ ო ბ ი ს ჭ ე-რ მ ო ნ ი ა ს. სხვა საზოგადოებრივ ფორმებს შეჩვეული ადამიანისათვის გვარის პოლიტიკური ცხოვრება სრულიად გაუგებარია. ნორდენშილდი, ჩუქჩების აღწერისას, გაოცებული იყო, რომ „ამ ხალხთან სრული ანარქია გამეფებული. და მიუხედავად ამისა, ისინი მშვიდობიანად და თანხმობით ცხოვრობენ“. მან ვერ შენიშნა, რომ მოჩვენებითი ანარქია გვარის რთული ორგანიზმია, რომელსაც საფუძვლად უდევს ყველასათვის საერთო მართლშეგნება. ამ ორგანიზმს არა აქვს მზრუნველობის ორგანოები, მაგრამ სამაგიეროდ ყოველი ადამიანი მზად არის, თავშესაფარი მისცეს და აჭამოს გაჭირვებულს. არ არის პოლიცია, მაგრამ თუ სამართლიანობა დაირღვა, ყველა მზად არის, რომ დაიცვას იგი. თუ ნათესავი (თანამემამულე) მოკლეს, ყველა მზად არის, იარაღით ხელში შური იძიოს. ნათესავთან კამათის დროს, განაწყენებული პოულობს ხალხს, რომელთა ავტორიტეტიც მის უფლებებს აღადგენს. თუ საზოგადოებრივი მძიმე გადასახადია საჭირო, ყოველ კაცს, ძალდატანებისა და კონტროლის გარეშე მოაქვს იმდენი, რამდენიც შეუძლია და აბარებს იმ ყველასათვის ცნობილ ავტორიტეტულ პიროვნებას, რომელიც ამის თადარიგს იჭერს. (პოლინეზიაში „მეფეები“ საზოგადოებრივი დღესასწაულების წინ თვითონ ჩამოიელიან ხოლმე თავიანთ „ქვეშევრდომებს“ და ნებაყოფლობით შემონატანს აგროვებენ). და ასეა ყველაფერში. ნათესავი — თანამემამულე ბავშვობიდანვე ისე უყურებს ყველა თავის მოვალეობას, როგორც ბუნებრივს, აუცილებელსა და გადაუდებელ საქმეს, ისე როგორც რელიგიურ იმპერატივს. ამისდა მიუხედავად, უკვე ადრეულ ეტაპებზეც არსებობს ძალაუფლების ელემენტები, მომავალი საზოგადოებრიობის ჩანასახები. რაც არ უნდა ყველასათვის ერთნაირი იყოს გარემო პირობები, მაინც ყოველთვის მოიძებნება უფრო ნიჭიერი, ტალანტური, იღბლიანი პიროვნებები. ტალანტებიცა და წარმატებებიც ღმერთების ნაბოძებია. სწორედ ეს იღბლიანი მდიდრები, — „პატრონები“, როგორც მათ ჩვენი სხვა ერის წარმომადგენლები უწოდებენ, გვაროვნული კავშირის პირველ ბუნებრივ თავკაცებს წარმოადგენენ. ომში ისინი სარდლები არიან, მშვიდობიანობის დროს — ავტორიტეტული პირები, რომლებსაც პატივს სცემენ ღმერთების მფარველობის გამო, ჭკუისათვის და ბოლოს, უხვი მასპინძლობისთვის. მათი ავტორიტეტი, ჩვეულებრივ, მათსავე სიცოცხლეში მთავრდება. პირველყოფილ საზოგადოებებში ტალანტებთან დაკავშირებული სიმდიდრე მემკვიდრეო-

ბით არ გადადის. ჩვეულებრივ ასეთი ხალხისაგან შედგება სამხედრო ტრიბუნალი, მათ არც ირჩევენ და არც ნიშნავენ; მათი ფუნქცია იწყება მაშინ, როცა დაინტერესებული პირები მიიწვევენ. თვითონ ისინი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში გამოაცხადებენ ხოლმე ინიციატივას. მათი მოქმედება და მსჯელობა ხდება საჯაროდ, გვარის ყველა დამსწრე წევრის თვალწინ. გადაწყვეტილებას ერთხმად ღებულობენ. სამსჯავროში ცოტა თუ ბევრი პიროვნების მონაწილეობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მნიშვნელოვანია გადასაწყვეტი საქმე. (ტუნგუსის ტომების მცირე და დიდი სასამართლო მოგვაგონებს ინგლისელთა დიდ და მცირე ჟიურის). მოსამართლისა ან მეთაურის კომპეტენტურობისათვის ასაკს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს: ჭკუა, სიმდიდრე და მჭევრმეტყველება პირველ პლანზეა,—მაგრამ, როგორც წესი, ყველა ეს თვისება თავშეყრილად ასაკოვან ხალხს გააჩნია, ამ ელემენტებისაგან თანდათან წარმოიქმნება ის ინსტიტუტები, რომლებიც სხვადასხვა ფორმებითა და სახელწოდებებით (ბასილევსები, ბულე, გერუზები, სახალხო კრებები და ა. შ.) გვევლინებიან ისტორიაში სახელმწიფოებრიობის გარიჟრაჟზე. გვარის ხელმძღვანელთა დანიშვნის ფორმა თანდათან თანმიმდევრობით იცვლებოდა. აქედან ყველაზე მარტივი ფორმა იყო ის, როცა გვარის ხელმძღვანელებსა და წარმომადგენლებს წინ წამოწევდნენ ხოლმე საერთო უსიტყვო შეთანხმებით, ყოველ-გვარი წინასწარი მსჯელობის გარეშე, ბუნებრივად, როგორც საქმე მოითხოვდა ხოლმე: საუკეთესო ხალხი, რომელთაც არავითარი განსაკუთრებული წოდება არ ჰქონდა. ფაქტობრივად, საჭიროებისდა მიხედვით წარმოჩნდებოდნენ ხოლმე ხელმძღვანელების როლში. ამას მოჰყვებოდა არჩევნები, დანიშვნა უფროსობის მიხედვით და ბოლოს, მემკვიდრეობის მიხედვით. ეს უკანასკნელი ფორმა ხშირად ღებულობს ხოლმე ერთპიროვნული სამხედრო დესპოტიზმისა ან არისტოკრატიული ოლიგარქიის სახეს; მისი გენეზისი დაკავშირებულია: 1) ,სიმდიდრის დაგროვებასთან, რომელიც მემკვიდრეობით თაობიდან თაობას გადაეცემა. და დაკავშირებულია გვარის სამხედრო ორგანიზაციასა და მონობასთან; 2) პირველყოფილ რწმენასთან, რომ გამორჩეულობა და ზებუნებრივი ნიჭი მემკვიდრეობით გადაეცემა, რის გამოც, გვარის წინაშე დიდი დამსახურების მქონე ბელადების შთამომავლები მემკვიდრეობით ღებულობენ ბელადობას და ამასთანავე იქმნება ,წმინდა—საღმრთო დინასტიის ფუძემდებლის კულტი.

მაგრამ გვარი არ არის თვითდამთრგუნველი ერთეული. ჯერ ერთი, როგორც ეგზოგამიური ჯგუფი, იგი მუდამ ინტიმურად და ხშირად სისხლიერადაც დაკავშირებულია იმ გვარებთან, საიდანაც ცოლები მოჰყავთ ან რომელთანაც ქალების გაცვლა-გამოცვლას აწარმოებს. მეორე მხრივ, გვარი გაზრდასთან ერთად ნაწევრდება და ეგზოგამიურ ჯგუფებსაც კი ქმნის, მაგრამ ამ დანაწევრებულებს შორის მჭიდრო კავშირია, როგორც ნათესაური, ისე რელიგიური, რადგან საერთო ჰყავს ოდესღაც გვარის, ახლა კი ფრატრიის ღმერთები, რომელთა მიმართ მსხვერპლშეწირვას, როგორც უწინ, ისე ახლაც, ერთად აწარმოებენ და მათ საპატივცემულოდ საერთო ღღესასწაულებს მართავენ. სოლიდარობის საერთო ტრადიციები, ურთიერთდახმარება, ურთიერთთავდებობა შურისძიების დროს, საერთო წარმოშობა, საქორწინო ურთიერთობები,—ყოველივე ეს მჭიდრო კავშირს ქმნის მომძე გვარებს შორის. წარმოიქმნება ფრატრია. ეს უკანასკნელი, გაზრდასთან ერთად, ქმნის ფრატრიათა კავშირს—ტომს, ხოლო გაზრდილი ტომისგან წარმოიქმნება ტომთა კავშირი, რომლის ორგანიზაციის შთავარი უჯრედი და პროტოტიპი არის გვარი. მთავარი შემაკავშირებელი ძალა არის ნათესაობა, საერთო წარმოშობა, საერთო კულტი, სოლიდარობა, ასეთი

კავშირები ორგანიზაციებს მოითხოვენ, რომლებიც საერთო ბრძოლისა ან თავდაცვის მოთხოვნილებათა გავლენით იქმნება, ტომთა კავშირის სამხედრო ორგანიზაციის ტიპიურ ნიმუშებს ვხედავთ იროკეზებთან. მათ ჩამოაყალიბეს ხუთი ტომთა კავშირი, რომლებიც ფრატრიებად და გვარებად არის დაყოფილი. ყოველი გვარის სათავეში მშვიდობიანობის დროს იდგა ეგრეთ წოდებული სახემი, რომლის არჩევაცა და გადარჩევაც გვარის უფროს წევრთა საერთო კრებაზე ხდებოდა; ყველა მნიშვნელოვანი საქმე სახემს უნდა გადაეწყვიტა. სახემს მუდამ ფრატრიათა თანხმობით ირჩევდნენ და მის დამტკიცებაში ტომის ყველა დანარჩენი გვარი მონაწილეობდა, ფრატრია შუალედურ რგოლს წარმოადგენდა გვარსა და ტომს შორის. იგი განსაკუთრებულ კორპორაციას ქმნიდა ტომის საბჭოში, გვარის სახელით გამოდიოდა შურისძიებათა მოთხოვნისას, ქმნიდა რელიგიურ საზოგადოებას და ჰქონდა თავისი განსაკუთრებული საბჭო, რომელიც მასში შემავალი გვარების სახემებისაგან შედგებოდა. ტ ო მ ი ს ს ა ბ ჭ ო შედგებოდა ცალკეული გვარების ყველა სახემისა და მხედართმთავრისაგან. მისი თათბირები ტარდებოდა საჯაროდ. ტომის ყველა წევრის თანდასწრებით, ვისაც კი უფლება ჰქონდა, კამათში მონაწილეობა მიეღო. საბჭო, ისევე როგორც რომის სენატი, ღებულობდა ელჩებს, ომს აცხადებდა, მშვიდობას ამყარებდა და მოლაპარაკებას აწარმოებდა. სამხედრო თვალსაზრისით, რაიმე ძალდატანებითი ელემენტი არ არსებობდა. ლაშქრობებს, ჩვეულებრივ, მოხალისეები აწყობდნენ ბელადების ინიციატივით, რომლებიც სამხედრო ცეკვას იწყებდნენ. უფრო სერიოზულ შემთხვევებში ტომი სრული შემადგენლობით გამოდიოდა, გვარების მიხედვით, რომლებიც თავთავიანთ განსაკუთრებულ ფორმებში იყვნენ გამოწყობილნი. მოდიოდნენ თავიანთი დროშებით, მოუძღოდნენ თავთავიანთი წინამძღოლები. ჩვეულებრივ დროს ტომს არ ჰყავდა განსაკუთრებული ხელმძღვანელი. მხოლოდ საგანგებო შემთხვევებში, როდესაც საჭირო ხდებოდა სასწრაფო ზომების მიღება, დროებით ირჩევდნენ ხოლმე ერთ-ერთ სახემს (ასე ვთქვათ, რომის დიქტატორის მსგავსს). რომელიც ტომის საბჭოს შეკრებამდე, თავის ძალმოსილებას ინარჩუნებდა. ტომის ერთიანობა, საერთო საბჭოს გარდა, გამოიხატებოდა საერთო ტერიტორიის, საერთო დიალექტისა და ტომის რელიგიური დღესასწაულებისა თუ ცეკვების ქონებაში. ყველა ხუთი ნათესაური ტომის კავშირის ორგანო იყო საბჭო, რომელიც შედგებოდა 50 სახემისგან (თითო გვარიდან თითო), რომლებიც კავშირის მთელ საქმეებს წყვეტდნენ. ყოველი ტომი, რომელიც კავშირში შედიოდა, სრულ შინაგან თავისუფლებას ინარჩუნებდა; საბჭოში ყველა ტომი ერთნაირი უფლებებით სარგებლობდა; საბჭოში ხმას ტომების მიხედვით აძლევდნენ; დადგენილება რომ უტყუარი ყოფილიყო, გადაწყვეტილება ერთხმად უნდა მიეღოთ, როგორც ყოველი ტომის სახემებს, ასევე ტომის წევრებს. დამოუკიდებლობის დიდი გარანტიის მიზნით, კავშირის საბჭოს ნება არ ჰქონდა, საკუთარი ნებით შეკრებილიყო: იგი შეიძლება მოწვეული ყოფილიყო მხოლოდ ამა თუ იმ ტომის მოთხოვნით. საბჭო ირჩევდა ორ უმაღლეს წინამძღოლს, ერთნაირი უფლება-მოვალეობებით (შდრ. ორი მეფე სპარტაში, ორი კონსული რომში). კავშირის შემადგენლობაში შედიოდა იროკეზთა 20 000-მდე კაცი. ამ ხალხმა საკავშირო ორგანიზაციის წყალობით, არა მარტო თავისი დამოუკიდებლობა შეინარჩუნა, არამედ თანდათან გაფართოვა კიდეც თავისი ტერიტორია, მას შემდეგ, რაც ზოგი დაიპყრო და ზოგიც მოხარკედ გაიხადა. იროკეზ ტომთა კავშირი არ არის გამონაკლისი ფაქტი, არამედ ეს არის ჩვენს დრომდე შენარჩუნებული ნიმუში იმ დროს უნივერსალური ორგანიზაციისა, რომელმაც გვარები და ტომე-

ბი ერებად და სახელმწიფოებად გარდაქმნა. გვაროვნული ორგანიზაციის ეს უმაღლესი ფორმა გვიხსნის ძველი ისტორიის მრავალ ბნელით მოცულ საკითხს. მან ფარდა ახადა ისეთი კოლოსალური სახელმწიფოების ჩამოყალიბების საიდუმლოს, როგორიცაა ჩინეთი, ეგვიპტე, სპარსეთი. ლეგენდები, მსგავსი იმისა, რომ ჩინეთის სახელმწიფო ასი ოჯახისაგან წარმოიქმნა, ტომებისა და გვარების კავშირის ფაქტს ადასტურებს. ამ კავშირების მიხედვით შეგვიძლია ავხსნათ სხვა მხრივ გაუგებარი ისეთი ფაქტები, როგორიცაა, მაგალითად, ჩინგისხანის უზარმაზარი ურდოების უეცარი წარმოქმნა და ასევე უეცარი დაშლა, ხალხების გადასახლება და ბარბაროსთა შემოსევები. ეს კავშირები გვიხსნის ბერძნული და რომაული ცივილიზაციის წარმოქმნის ისტორიას. საბერძნეთის მთელი ისტორია კლისფენამდე გვაროვნული ორგანიზაციის მეტად დამახასიათებელ ევოლუციას წარმოადგენს, რომელმაც თანდათან გზა დაუთმო სახელმწიფოებრიობის წარმოქმნას. მისთვის ბოლო დარტყმა იყო კლისფენის კანონმდებლობა, რომელმაც გვაროვნული წყობის ის ანარეკლიც კი გააუქმა, რომლის შენარჩუნებასაც ცდილობდა სოლონი 400-თა კავშირის სახით, რომელშიც ყოველი ტომიდან ას-ასი შედიოდა. რომის ისტორია მთლიანად ტომთა კავშირის ისტორიაა, რომელიც populus romanus-ის სახელით, თავიანთი მეფეებით, კონსულებით, კურიებითა და გვარებით (gentes), თავისი ორგანიზაციის ძალისხმევით მთელ რიგ ტომებსა და ხალხებს თავისი უღელი დაადგა და თვითონაც ჩრდილოელ ბარბაროსთა გვაროვნული ორგანიზაციის შემოტევის შედეგად დაიღუპა. შუა საუკუნეების მთელი ისტორია—ეს არის გამარჯვებულ ბარბაროსთა გვაროვნული წყობის ბრძოლა რომის სახელმწიფოებრიობის ძველ საწყისებთან. გვარების ტომობრივი ორგანიზაციის დაღუპვა გარდაუვალი იყო. წყობა, რომელიც საფუძვლად ედო სისხლით ნათესაობას, საერთო რწმენას და ძმურ თანასწორობას, უნდა დანგრეულიყო და ამას ხელს უწყობდა მრავალი რამ: ომები, თავისი მუდმივი თანმგზავრებით — მონობითა და სხვათა ტერიტორიების ექსპროპრიაციით, გამარჯვებულთა კულტითა და გამარჯვებულთა დამარცხებულებთან აღრევით; გაცვლისა და მრეწველობის ზრდა, რომელსაც მუდამ თან სდევს სიმდიდრის კონცენტრაცია სოციალური უთანასწორობით, სიმდიდრისა და ძალაუფლების მემკვიდრეობით მიღებით, ხალხთა დიდი გადასახლებით; ქალის მდგომარეობის ძირფესვიანად შეცვლა, როცა იგი, საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი, გახდა ქმრის მონა. ქმარი კი, თავისთავად, გვარის უბრალო წევრიდან გახდა პატრიარქალური ოჯახის უპასუხისმგებლო მბრძანებელი. გვარმა თავისი არსებობით ტომს გადააჭარბა, მაგრამ პატრიარქალურ ოჯახებად დაიშალა თვითმპყრობელური Pater familias-ით თავში, მშობლიური კერით, რომელთა წინაშეც გაფერმკრთალდნენ გვარის ძლევამოსილი ღმერთები, რომლებიც ნათესავებთან კავშირს სისხლით ადუღაბებდნენ. მხოლოდ სამიწათმოქმედო დასახლებების სიწყნარეში საოჯახო თემები ჯერ-ჯერობით ინარჩუნებდნენ საძმო გვარის ტრადიციებს. საოჯახო თემები თანდათან მეზობელ თემებად გადაიქცა — გერმანული მარკები, შვეიცარიის ალმენდები, სლავური თემები, რომლებშაც მიწის საერთო მფლობელობის გვაროვნულ პრინციპთან ერთად გადმონაშთების სახით მემკვიდრეობით მიიღეს თემის სხვა ინსტიტუტებიც — ურთიერთთავდებობა, თანაფიცობა, მეზობლური გამოსყიდვის უფლება, ხელისუფლების არჩევა და ა. შ.

ენდოგამია და ეგზოგამია*

ენდოგამია და ეგზოგამია (ბერძ. სიტყვებიდან: ενδον — შიგნით, — ευβα — გარეთ — εξω- —ქორწინება; სიტყვასიტყვით: შინაგანი ქორწინება, გარეთა ქორწინება) — პირველყოფილი სამართლის, ტერმინები, შემოღებული 1865 წ. მაკ-ლენანის მიერ, მის თხზულებაში „Primitive marriage" და დამკვიდრებული მეცნიერებაში. თვით ეს მოვლენები, რომლებსაც მაკ-ლენანმა სახელი მისცა, უწინაც ცნობილი იყო. ჯერ კიდევ XIX ს-ის 30-იან წლებში ჯორჯ-გრეი ავსტრალიელთა იმ წეს-ჩვეულებებს აღწერდა, რომლებიც კრძალავდნენ ქორწინებას იმ პირებს შორის, რომლებსაც ერთი გვაროვნული სახელი ან საერთო ტოტემური ნიშანი ჰქონდათ. ამასთანავე იგი მიუთითებდა, რომ ასეთივე წეს-ჩვეულება ჰქონდათ ჩრდილო-ამერიკელ ინდიელებსაც, რომლებიც ტოტემურ ჯგუფებად იყვნენ დაყოფილნი და შეუღლება შეეძლოთ მხოლოდ არა თავისი ტოტემის პიროვნებასთან. პირველყოფილ ტომებს შორის გავრცელებულ ამ წეს-ჩვეულებას მაკ-ლენანმა შეარქვა ეგზოგამია, ხოლო ამის საწინააღმდეგო წეს-ჩვეულებას კი, როცა შეუღლება საეალდებულოა მხოლოდ საკუთარი ჯგუფის შიგნით (მაგ., მანჯურებთან, რომლებთანაც აკრძალული იყო ქორწინება სხვადასხვა გვარის წარმომადგენლებს შორის), შეარქვა ენდოგამია. თვითონ მაკ-ლენანს კი ცოტა არ იყოს ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა ამ ინსტიტუტთა ბუნებაზე და არა იშვიათად უპირისპირებდა მათ ერთმანეთს იმ შემთხვევებშიც, როცა ისინი ერთნაირ მოვლენებს განასახიერებდნენ. მისთვის, მაგ., ინდური კასტები ენდოგამიურ კავშირებს წარმოადგენდა; თუმცა, ამასთანავე, თვითონვე აღნიშნავდა, რომ კასტის სხვადასხვა ქვედანაყოფებში ქორწინება საკუთარი ჯგუფის გარეთ იყო სავალდებულო, ასე რომ, კასტა ერთსა და იმავე დროს ენდო და ეგზოგამიურ კავშირს წარმოადგენდა. მაკ-ლენანის სწავლების მთავარი შეცდომა ის არის, რომ ამა თუ იმ ჯგუფის ენდოგამიურობასა და ეგზოგამიურობაზე მსჯელობისას, იგი ზუსტად არ განსაზღვრავს ამ ჯგუფის ბუნებას, ერთმანეთში ურევს სრულიად სხვადასხვა ფორმებს და, როგორც წესი, ვერ არჩევს მაგ., ტომსა და გვარს ერთმანეთისგან. პირველი, რომელმაც ამ ინსტიტუტების მართებული ბუნება გამოარკვია, ეს იყო მორგანი. მან დაამტკიცა, რომ ამ ორ ინსტიტუტს შორის არ არის ისეთი რადიკალური განსხვავება, როგორც მაკ-ლენანს მიაჩნდა. ხშირ შემთხვევაში ისინი ერთი და იმავე მოვლენის ორი სხვადასხვა მხარეა. ყველა ის სპეციალური ჯგუფი, რომელთაც მაკ-ლენანი ეგზოგამიურს უწოდებს, სინამდვილეში მხოლოდ და მხოლოდ ის გვარებია, რომლებსაც მაკ-ლენანი ფრატრიებში, ტომებში, ხალხებში და ა. შ. ურევდა. სინამდვილეში კი, ყველა კარგად შესწავლილ პირველყოფილ ხალხებში მხოლოდ ის გვარი ან ტოტემია ეგზოგამიური, რომლის შიგნითაც ქორწინება აბსოლუტურად აკრძალულია; ტომის სხვა გვარებში კი პირიქით, ტომის გარეთ ქორწინება არ ხდება და ზოგიერთ ტომში აკრძალულიცაა. მორგანი სავსებით სწორი იყო, როცა ამტკიცებდა, რომ მაკ-ლენანმა თავს წიგნში „ეგზოგამიური ტომის" არც ერთი შემთხვევა არ დაამტკიცა. სხვათა შორის, მორგანს ძველდელბიდან გამორჩა ეგზოგამიის პირველადი ფორმები, ამავე დროს, ენდოგამიასაც აუცილებლად მოითხოვდა არა მარტო ტომის შიგნით, არამედ ტომის ერთ ან რამდენიმე გარკვეულ გვარშიც. ეგზოგამიის ყველაზე პრიმიტი-

---

* წყაროდან: Л. Я. Штернберг, Семья и род у народов северо-восточной Азии, Л., 1933, с. 175—178.

ული ფორმები მოითხოვდა ქორწინებას ძმის გვარისა და იმ გვარის შვილებს შორის, სადაც და გათხოვდა. ეგზოგამიური ტომების მასაში—მაგ., ჰოტენტოტებთან, გილიაკებთან; ბატაკებთან, — ქორწინება იძულებითია დის ვაჟიშვილსა და ძმის ქალიშვილს შორის, ამ აუცილებელმა ენდოგამიამ გარკვეულ გვარებში შედარებითი ეგზოგამიურობა წარმოშვა. ზემოთ დასახელებულ ტომებში (გილიაკები და ა. შ.) ორ გვარს შორის ურთიერთქორწინება დაუშვებელია, ე. ი. დის ვაჟიშვილს შეუძლია ან უნდა ითხოვოს ძმის ქალიშვილი, მაგრამ ძმის ვაჟიშვილის დის ქალიშვილთან შეუღლება დაუშვებელია. ეგზოგამიის ფორმები საგრძნობლად გაართულა პირველყოფილი ადამიანის ჩვეულებამ, პოპულარულად ახსნას ყოველი აკრძალვა, მაგ., ამერიკული ფრატრიები, ე. ი. გვარების ჯგუფები, რომლებიც ერთი გაზრდილი გვარის ბუნებრივ განაყოფებს წარმოადგენს,—ეგზოგამიურია და შესაფერის პირობებში შეიძლება ეგზოგამიურ ტომად ჩამოყალიბდეს.

და კიდევ, ხშირად, ტოტემური აკრძალვანი ვრცელდება არა მარტო იმ პირებზე, რომლებიც ერთ ტოტემურ გვარს ეკუთვნიან, არამედ იმ გვარებზეც, რომლებიც შემთხვევით ატარებენ ერთ ტოტემურ მეტსახელს. ახალ გრენადაში პანჩებთან ერთ სოფელში მცხოვრებთა შორისაც კი აკრძალულია ქორწინება; მაგრამ თუ ქალი სხვა სოფელში დაიბადა, საკუთარ ძმასაც კი შეუძლია მისი შერთვა. ძირითადი პრინციპი, საიდანაც ყველა ეს და მისი მსგავსი გართულებები მომდინარეობს—გვარის ეგზოგამიურობაა; პირველყოფილ ტომებში ენდოგამიური გვარები არ არსებობს. გვაროვნული წყობის დაცემასთან ერთად ეგზოგამიაც ქრება. მისი გადმონაშთები მხოლოდ ახლო ნათესავებს შორის ქორწინების აკრძალვის სახით არის დარჩენილი. ენდოგამიის ის შემთხვევები, რომლებზეც მაკ-ლენანი საუბრობს, ან ისეთ გვიანდელ წარმონაქმნებს მიეკუთვნება, როგორიც კასტებია, რომლებიც ბოლოს და ბოლოს გვარების კონგლომერატს წარმოადგენს და ხელოვნურად, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებების წყალობით იზღუდავს თავს კასტის გარეთა ქორწინებისაგან, ან განაკუთვნება ისეთ იშვიათ შემთხვევებს, როგორიცაა შიდა ქორწინებები სამეფო ოჯახებში (მაგ., პერუში, სადაც მეფეები თავიანთ დებზე ქორწინდებოდნენ). ენდოგამიას ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ე. ი. როცა პირველადი ნათესაური ჯგუფის შიგნით დაშვებული ან აუცილებელია ქორწინება (როცა მაგ., დაშვებული იყო ქორწინება ძმებსა და დებს შორის და ა. შ.) უახლესი მკვლევრები იმ დროს მიაკუთვნებენ, რომელიც გვარის წარმოშობას წინ უსწრებდა. შორგანი მას „ჰიპოტეტური მალაის ოჯახის ეპოქას მიაკუთვნებს, რომელიც „პუნალუას“ სისტემაში გადავიდა, შეწყვიტა ქორწინება ღვიძლ ძმებსა და დებს შორის და, თავის მხრივ, ადგილი დაუთმო ტურანულ ოჯახსა და წმინდა ეგზოგამიური ხასიათის დედის გვარს. პირველყოფილი ენდოგამიური კავშირების მაგალითებს ავსტრალიელ ზანგთა შორის ასახელებს კუნოვი. იგი აღნიშნავს, რომ, ყოველ ტერიტორიულ ჯგუფში კაცები და ქალები დაყოფილნი არიან კლასებად ასაკის მიხედვით, და ამ კლასების შიგნით ქორწინება არაფრით არ არის შეზღუდული, ძმებსა და დებს შორისაც კი.

ენდოგამიის საპირისპიროდ, ეგზოგამია უნივერსალურად გავრცელებულია და პირველყოფილი წყობის ძირითად და ამასთანავე ყველაზე არეულ-დარეულ პუნქტს წარმოადგენს. ამ ინსტიტუტის წარმოშობის საკითხი ჯერ კიდევ არ არის დადგენილი. მის გენეზისს მაკ-ლენანი მიაწერდა პირველყოფილ ადამიანებში ძალიან გავრცელებულ გოგონების მოკვლის ჩვეულ, ვინაიდან ისინი, ძალი აზრით, არსებობისთვის ბრძოლის უმძიმეს პირობებში ზედმეტ ბარგს

წარმოადგენდნენ. აქედან, ქალების მოტაცების აუცილებლობა წესია, რომელიც ხშირად გახშირებადი ფაქტიდან თანდათან გადაიქცა ეგზოგამიურობის დროით ნაკურთხ რელიგიურ-სოციალურ ფორმად. ის ტომები კი, რომლებიც არსებობის უფრო კარგი პირობების გამო, ან იმიტომ, რომ იზოლირებულნი იყვნენ ძტრულად განწყობილი მეზობლებისაგან, გოგონებს არ კლავდნენ და ენდოგამიურ ტომებად რჩებოდნენ. ასეთი ახსნა თავისთავად მოიხსნა; გოგონების მოკვლის თვით ეს ჩვეულება გამონაკლისი მოვლენა იყო და მის საფუძველზე ვერ აღმოცენდებოდა თითქმის უნივერსალური ინსტიტუტი. სპენსერმა, რომელიც საფუძვლიანად უარყოფდა მაკ-ლენანის თეორიას, თვითონაც არანაკლებ სათუო თეორია, წარმოადგინა., რომლის მიხედვითაც სხვა ტომებიდან ქალების მოტაცება მუდმივი და სარფიანი ნადავლი იყო და ამიტომ პირველყოფილი ადამიანები, რომელთა თვალშიც ომებსა და მის ნაალფარში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ქალის მოტაცებას, როგორც ცოლის შერთვის საპატიო საშუალებას, რომელმაც თანდათან ყველა სხვა ხერხი გამოდევნა. ამის საწინააღმდეგოდ საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ეგზოგამია სულაც არ ნერგავს პრაქტიკაში ქორწინებას უცხო ტომელებთან, არამედ სწორედ ახლო, სისხლით მონათესავე გვარებს შორის ქორწინებაა მიღებული (ყველაზე ხში-რად ძმებისა და დების შვილებს შორის). ლებოკი კი ასევე უსაფუძვლოდ, პირიქით, აშორიშორებს ეგზოგამიასა და მოტაცებას. ყველაზე მეტი წარმატება წილად ხვდა მორგანს, რომლის მსჯელობაც ბუნებრივ ისტორიულ თვალსაზრისს ეყრდნობოდა. მისი აზრით, პირველყოფილმა ადამიანებმა, რომლებიც დაკვირვების შედეგად დარწმუნდნენ, რომ სისხლით მონათესავეთა ქორწინება მავნებელი იყო შთამომავლობისათვის, დაიწყეს თანდათან ქორწინებათა შეზღუდვა ჯერ აღმავლებსა და დაღმავლებს შორის, მერე ძმებსა და დებს შორის და ამ ძიზხით ბოლოს ეგზოგამიური გვარებითა და კლასებით შემოიფარგლნენ. ამის დასამტკიცებლად მას მოჰყავს თვით ველურების შეხედულებები და ლეგენდები, რომლებიც ცხადყოფს, რომ მათ კარგად გაიაზრეს ახლობლების ერთმანეთში ქორწინების მავნებლობა. მაგრამ ეს თეორიაც მრავალ საწინააღმდეგო აზრს წააწყდა, რომელთაგან ყველაზე ძლიერი ის იყო, რომ ეგზოგამია სულაც არ გამორიცხავს ახლობელთა ქორწინებას: ნათესაურ სიახლოვეს მხოლოდ ერთი ხაზით ითვლიან, აგნატურში ან კოგნატურში, და ამიტომ, მაგ., მამით ერთი ძმებისა და დების ქორწინება დედის გვარში დაშვებულია, მაშინ, როცა ქორწინება ყველაზე შორეულ ნათესავებს შორის სისხლის აღრევად ითვლება. კაუტსკიმ „სიმპათიის“ თეორია წამოაყენა, რომლის მიხედვითაც, ახლო ნათესავები, რომლებიც ხშირად ხედავენ ერთმანეთს, ერთიმეორეში ვერ აღძრავენ ისეთ ინტენსიურ სქესობრივ ლტოლვას, როგორც ერთმანეთისთვის უცნობი პირები: ამის საწინააღმდეგოდ საკმარისია აღვნიშნოთ, რომ პირველყოფილ ხალხებში, ძალიან ბევრთან, დაქორწინება ლამის აკვნიდან იწყება, მომავალი მეუღლეები ერთად იზრდებიან და ეს მათ სრულიად არ უშლის ხელს, რომ მოსიყვარულე მეუღლეები იყვნენ (შტერნბერგი). იმაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, რომ მხოლოდ სიმპათიით ქორწინებათა წახალისების მიზნით კაცობრიობა არ დაიწყებდა სისხლით ახლო ნათესავთა შორის ქორწინების უმკაცრესი ზომებით ჩახშობას. სტარკე ეგზოგამიის მიზეზს იმაში ხედავს, რომ პირველყოფილი ადამიანი ცოლში დაქვემდებარებულ არსებას ეძებს, მოსამსახურეს, მუშას, როგორიც მან მხოლოდ სხვა ჯგუფში შეიძლება მონახოს: ქალი საკუთარი ჯგუფიდან მისი თანასწორი არსებაა, რომელიც არ დაუშვებს, რომ მასზე იბატონონ. მაგრამ სტარ-

კეს მხედველობიდან გამორჩა, რომ ეგზოგამიის დროს ცოლები სულაც არ შოჰყავთ სხვა ჯგუფებიდან. არამედ, უპირატესად, ქალებს უახლოესი ნათესაური წრიდან ირჩევდნენ (ქორწინება ძმისა და დის შვილებს შორის); ამასთანავე, ქალიშვილები და დები, ჩვეულებრივ, მამებისა და დების მიმართ ისეთივე დაქვეშდებარებულ მდგომარეობაში არიან, როგორც ცოლები ქმრების მიმართ. უკანასკნელ დროს ეგზოგამიის მოტივების ძებნა დაიწყეს რელიგიურ წარმოდგენებში, კერძოდ ტოტემიზმსა და მათთან დაკავშირებულ ტაბუში. ამ აზრს პირველად რობერტსონ სმიტი და ფრეზერი გამოთქვამდნენ; დაწვრილებითი თეორია განავითარა დიურკჰეიმმა. ტოტემიზმის იმ უეკველი დებულებებიდან გამომდინარე, რომ თაყვანსაცემი ტოტემისა და ტოტემური კავშირის ყველა წევრის სისხლი ერთია, ტოტემის სისხლი ტაბუა, ყოველი მიკარება მასთან სასიკვდილოა, და ქალიც მენსტრუაციის პერიოდში ამავე საფუძველზე ტაბუ ხდებოდა. მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ეგზოგამია, როგორც ქორწინების აკრძალვა საკუთარი ტოტემის პირებთან საკუთარი ტოტემის ქალის სისხლის ტაბუს მოშლის პირდაპირი შედეგია, საქორწინო ურთიერთობათა ბუნებრივი ინტიმურობის დროს. ერთი შეხედვით ეს თეორია ლოგიკურია, მაგრამ მის დასადასტურებლად აუცილებელია იმის დამტკიცება, რომ ტოტემიზმი წინ უსწრებდა ასკობრივი კლანების დადგენას, და ისეთივე უნივერსალური სტადია იყო, როგორც ეგზოგამიაა. ამასთანავე, თეორია არ შეესაბამება ბევრ ფაქტს, მაგ., მამასა და ქალიშვილს შორის სქესობრივი კავშირის აკრძალვას დედის გვარში, სადაც ისინი სხვადასხვა ტოტემებში ირიცხებიან. მამამთილსა და რძალს შორის და ა. შ. რუს ეთნოგრაფს ნ. ხარუზინს, რომელიც სტარკეს თეორიისა და ტოტემიზმის თეორიის კომბინირებას ახდენს, გამოჰყავს ქალი ქორწინებაში უუფლებო მდგომარეობისა და საკუთარი ტოტემის წევრზე ძალადობის აკრძალვიდან: ადამიანი შეგნებით ირჩევს ცოლს სხვა ტოტემიდან, რადგან ამ უკანასკნელისგან სამაგიეროს გადახდის შიში არა აქვს და ქალის მიმართ სრული ბატონ-პატრონობა შეუძლია გამოიჩინოს. თავისი თეორიის საუკეთესო დამადასტურებლად ხარუზინს ის ფაქტი მიაჩნია, რომ ზოგიერთ ტომში თავისუფლად არის დაშვებული სქესობრივი ურთიერთობა იმ ქალებთან, რომლებთანაც ქორწინება აკრძალულია, ვინაიდან, მისი აზრით, უბრალო სქესობრივი კავშირი არ არის დაკავშირებული ქალზე ბატონობის იდეასთან. სტარკესა და დიურკჰეიმის თეორიის საწინააღმდეგოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ეგზოგამია, საერთო კანონის მიხედვით, ტოტემის შიგნით მარტო ქორწინებას კი არა, უბრალოდ სქესობრივ კავშირსაც კრძალავს. ედ. ტაილორს მიაჩნია, რომ ეგზოგამია არის პირველყოფილ ადამიანთა მშვიდობისაკენ შეგნებული სწრაფვის შედეგი. ეს მშვიდობა კი თავისთავად, გაცვლითი ქორწინებით იყო გარანტირებული. „ველურ ტომებს — ამბობს იგი, — თვალწინ ჰქონდათ პრაქტიკული ალტერნატივა გარეთა ქორწინებასა და ურთიერთგანადგურებას შორის“. ის, რომ ეგზოგამიამ დადებითი გავლენა მოახდინა სოციალურ ურთიერთობებზე — ეს უეკველია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ძალიან საეჭვოა, რომ მშვიდობის მოტივებს ეგზოგამია შეექმნათ. მშვიდობის მისაღწევად გაცვლებით მიზანშეწონილი იყო ტერიტორიული შეზღუდვები (ე. ი. შეზღუდვები ერთი და იმავე ტერიტორიული ჯგუფის პირებს შორის), ვიდრე ნათესაური; ამასთანავე, საქორწინო აკრძალვაში მეზობლობა და სიშორე არავითარ როლს არ თამაშობს. და კიდევ, მშვიდობის დამყარების მიზნით არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს მექორწინე ტომებში აღმავალთა და დაღმავალთა გარჩევა, ქორწინების ზოგთან დაშვება და ზოგთან აკრძალვა, ძმისა და დის შვილებს შორის გარჩე-

ვა; ბოლოს, მოსალოდნელი იყო გვეფიქრა, რომ ნათესაობით ერთმანეთისგან ძალიან დაშორებულ ქორწინებათა წახალისებაა ტაილორისეული კონსტატირება, რომ ეგზოგამიის ყველაზე სუფთა ფორმა—ეს არის ქორწინება ძმებისა და დების შვილებს შორის. ამდენად, მეცნიერებამ ვერც ერთი დამაკმაყოფილებელი თეორია ვერ წამოაყენა ეგზოგამიის წარმოშობის შესახებ. ერთი რამ ირკვევა ახლა პირველყოფილ ხალხებთან ქორწინების შესწავლისას: ეგზოგამიური რეგლამენტაცია არ არის შემოსაზღვრული მხოლოდ შიდა ქორწინებათა შეზღუდვებით, მაგრამ ამავე დროს საკალდებულო ქორწინებას მოითხოვს მკაცრად განსაზღვრულ ნათესაურ ჯგუფებში. გარდა ამისა, როგორც ეს ტაილორმა გამოარკვია, ავსტრალიურ ტომებთან დაკავშირებით, წინამდებარე სტატიის ავტორმა კი ამურის კუთხის მცხოვრებ სხვა ტომებთან მიმართებით და, რაც სხვა პირველყოფილი ხალხების შესახებ მონაცემებითაც დასტურდება, ეგზოგამიის ყველაზე საყვარელი და ხშირად აუცილებელი ფორმები იყო — ქორწინება ძმებისა და დების შთამომავლებს შორის, ე. ი. სისხლით მეტად ახლოს მდგომ პირთა ქორწინება. ასე რომ, ეგზოგამიური რეგლამენტაციის მიზანი შეიძლება ყოფილიყო სწორედ სწრაფვა, რომ გვაროვნულ კავშირში გაეერთიანებინათ საერთო წარმოშობის კაცები და ქალები. ასეთ სწრაფვას ადვილად ავსხნით, თუ გავითვალისწინებთ კულტის როლის მნიშვნელობას გვაროვნულ კავშირში და, აქედან გამომდინარე, ქორწინების გზით სხვა სისხლის პირთა გვარში შემოსვლის შიშს (შტერნბერგი). თუ გავითვალისწინებთ წინაპართა კულტის ინსტიტუტის უნივერსალურობას და მის უდიდეს როლს გვარის ცხოვრებაში, მაშინ ეგზოგამიის წარმოშობაში მისი როლი საკმაოდ გასაგები გახდება.

ლ. ფრობენიუსი

ფრობენიუსი ლეო (1873—1938)—გერმანელი ეთნოლოგი, აფრიკანისტი, კულტურის მორფოლოგიის თეორიის ავტორი.

ლ. ფრობენიუსმა 1904 წლიდან 12 ექსპედიცია მოაწყო აფრიკის კონტინენტზე. გამოიკვლია თითქმის მთელი აფრიკა და შეკრიბა უზარმაზარი მასალა აფრიკის ხალხების არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ისტორიის შესახებ. ეს მასალა დაედო საფუძვლად მის მრავალრიცხოვან ნაშრომებს აფრიკის ხალხთა ეთნოლოგიის საკითხებზე. იგი ამთავითვე კატეგორიულად ილაშქრებდა ამ მეცნიერთა წინააღმდეგ, რომელთა მიხედვითაც კოლონიამდელი პერიოდის აფრიკის ხალხები წარმოადგენდნენ ბარბაროსებს; მან ერთ-ერთმა პირველმა გამოავლინა ამ ხალხების მდიდარი თვითმყოფადი კულტურა და წარსულის მაღალი ცივილიზაცია. იგი იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აფრიკის ხალხების კულტურის თვითმყოფადობას, რომ საჭიროდ არ თვლიდა მათ ზიარებას თანამედროვე ცივილიზაციასთან; მიაჩნდა, რომ საჭირო იყო ამ კულტურების ანაქრონისტული ტრადიციების შეზღუდვა, მისი გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევა.

დიდძალი ფაქტობრივი, ამჟამად უკვე უმეტეს შემთხვევაში, საბოლოოდ განადგურებული და თანამედროვე ცივილიზაციის მიერ წალეკილი, მასალა, რომელიც თავმოყრილია ლეო ფრობენიუსის შრომებში, მათ მუდმივ სამაგიდო წიგნებად აქცევს არა მარტო აფრიკის წარსულის, არამედ ზოგადი ეთნოლოგიის შესწავლისათვის.

ლეო ფრობენიუსის შრომებში და მის თეორიაში კულტურის მორფოლოგიის შესახებ, გატარებულია თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც ყოველი კულტურა წარმოადგენს დამოუკიდებელ, ცალკე არსებულ ორგანიზმს, რომელიც მისტიკურ ხაზეყისს — „სულს“ შეიცავს. ხალხი, ლ. ფრობენიუსის მიხედვით, განიხილება არა როგორც კულტურის შემქმნელი, არამედ მისი მატარებელი.

ქრისტომათიაში წარმოდგენილია ოთხი თავი ლეო ფრობენიუსის წიგნიდან „კაცობრიობის ბავშვობა“. ამ თავებში განხილულია ზოგადი ეთნოლოგიის შემდეგი საკითხები: წინაპართა თაყვანისცემა და ფეტიშიზმი, ცეცხლის მოპოვება, მისი აღმოჩენა და ნარკვევი კაციჭამიების (კანიბალების) შესახებ. თითოეული ეს ნარკვევი ეყრდნობა მდიდარ ეთნოგრაფიულ მასალას — როგორც სულიერი, ასევე მატერიალური კულტურის ძეგლებს, მრავალრიცხოვან ილუსტრაციებს და კარგად გადმოსცემს ლეო ფრობენიუსის, როგორც მკვლევარისა და მეცნიერ-ეთნოლოგის მუშაობის მეთოდს.

ბიბლიოგრაფია

1) L. Frobenius. Und Afrika sprach, Bd-1—3, Berlin, 1912—1913.
2) L. Frobenius, Kultyrgeschichte Afrikas, Zurich, 1954.
3) Л. Фробениус, Детство человечества, СПБ [без. указ. года издания].

ლიტერატურა

1) С. П. Толстов, Расизм и теория культурных кругов, «Наука о рассах и расизм», М-Л., 1938.
2) Б. И. Шаревская, Фробениус Лео. СИЭ. 15, М., 1974, с. 443—444.

ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲗᲐ ᲒᲐᲚᲕᲔᲠᲗᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲤᲔᲢᲘᲨᲘᲖᲛᲘ*

სული ახლა თავისუფლად დაქრის იმ ქვეყნად. სად არის ეს სამყარო?

თუ ადამიანი დამარხულია ხის ქვეშ, ბაობაბის ვეებერთელა ფესვებსა თუ რომელიმე ფუღუროში, ადვილი დასაშვებია, რომ ფოთოლთა შრიალში ისმოდეს მიცვალებულის ხმა. ასეთ შემთხვევაში ამ ხის ტოტებზე კიდებენ სხვადასხვა სახის მცირე შესაწირავ საჩუქრებს: გოგრებს — ავსებულს სხვადასხვა საკვებით ან სასმელით, ხისგან გამოთლილ ყოველდღიური ყოფის საგნებს. გამვლელები, რომელთა გზაც ამ ხესთან გადის, შიშით შესცქერიან მიცვალებულის ამ სასუფეველს. ნათესავები კი, რომლებიც მას დარჩნენ — ვაჟი ან ქალიშვილი, მიდიან ხე-გიგანტთან, რომ გული გადაუხსნან მას, შესთხოვონ რაიმე მოკრძალებით ან უბრალოდ ტირილით გული მოიოხონ. თუ ვინმე თეთრკანიანი მოგზაური ჩაივლის და ხის ძირში დაინახავს მიწაყრილს, ტოტებზე დაკიდებულ გოგრებს, დღიურში ჩაინიშნავს: „ხე-ფეტიში“.

ახალ ადგილზე გადასახლებისას, თუ რომელიმე ტომს უწევს მდინარეზე გადასვლა, ზოგჯერ თავიანთ მიცვალებულებს ასაფლავებენ მდინარის ნაპირას ან პირდაპირ მდინარეში ჩაუშვებენ. ეს კეთდება იმისათვის, რომ სულებმა იპოვონ გზა იმ ადგილისაკენ, სადაც ადრე ცხოვრობდა ტომი, რადგან სულებს ყოველთვის ენატრებათ წინაპრების ნაცხოვრები ადგილები. მდინარე, რომელშიც აგდებენ მიცვალებულებს, ხდება სათაყვანებელი. მასთან მიაქვთ შესაწირავები — წყალში ყრიან ცხოველებს. მდინარეში ბინადარ ნიანგებს წმინდა არსებებად თვლიან, რადგან ისინი წმინდა წყალში ცხოვრობენ.

ბაგოსები მდინარეს „მამების გზას“ უწოდებენ. ისინი ნიანგებს მიმართავენ სიტყვებით: „მამის მეგობრებო!“

ევროპელი, რომელიც გაივლის ბაგოსების მიწას და ხედავს, როგორ ერეკებიან ადგილობრივნი მდინარეში ღორებს, რომლებსაც შემდგომ ჭამენ ნიანგები, თავის წიგნაკში იწერს: „დიდი მდინარე ფეტიში. ფეტიშებს წარმოადგენენ ნიანგები“.

საფლავში ხშირად ესობა ძელი რამდენიმე ჭრილით, რომელიც ოდნავ გვაგონებს ადამიანის სახეს. ეს უნდა ნიშნავდეს იმას, რომ აქ არის მიცვალებულის სასუფეველი. ძელი ყოველთვის არ რჩება საფლავზე, და არც პირველად ფორმას არ ინარჩუნებს. გვერდებზე და ქვემოდან ჩნდება გრძელი ღარები, რომლითაც გამოიყოფა სხეულის ნაწილები. ყველაზე ბოლოს იქმნება განსხვავება ქალისა და მამაკაცის ფიგურებს შორის, — ადამიანი იწყებს თავის მსგავსი ფიგურის შექმნას.

ეს კარიკატურული გამოსახულება ყოველთვის არ რჩება ღია ცის ქვეშ. რადგან მიცვალებულის თავის ქალა ადგილსამყოფელს პოვებს სანათესაო

* წყაროდან: Л. Фробениус, Детство человечества, СПБ, [без года изд.], с. 121—156.

ქოხში, ამიტომ წინაპრის გამოსახულება — ხის ფიგურაც თავსდება რომელიმე ცოცხლად დარჩენილი ნათესავის საცხოვრებლის მყუდრო კუთხეში.

ხის გამოსახულება არა მარტო ხის ნაჭერია, მის შიგნით იმყოფება გასულიერებული, ცოცხალი არსება. მასალას შეიძლება არ ჰქონდეს არანაირი ფასი, მაგრამ შიგთავსი არის ყველაზე წმინდა, რაც იცის ზანგმა.

რა გზით ხვდება სული ხეში?

გამოსახულებას თავში ყოველთვის აქვს ხვრელი, რომელიც ამოვსებულია წებოვანი მასით. ეს მასა შეიცავს მიცვალებულის თმის რამდენიმე ღერს, ფრჩხილებს ან რაიმე მსგავსს. ეს არის მიცვალებულის სხეულის წმინდა ნაწილები. სწორედ ეს არის მაცოცხლებელი სუბსტანცია.

სხვა მაგალითი. ხის ფიგურას, რომელიც გამოსახავს მიცვალებულს, აქვს ამოღრუტნული დიდი თავი; მასში ჩადგმულია იმ მიცვალებულის თავის ქალა, რომელმაც უნდა გააცოცხლოს იგი. ძნელია „გაცოცხლების“ ამ იდეის უფრო ცოცხლად წარმოდგენა.

ხშირად წინაპართა ასეთი გამოსახულება ერთიანდებოდა ერთ ჯგუფში. ამის წყალობით მათდამი მსახურება მარტივდება, წარმოდგენა — ფართოვდება. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ხის ფიგურები, რამდენადაც მისი წარმოშობა და მნიშვნელობა გამოკვლეულ იქნა, ყველან წინაპართა გამოსახულება იყო. ევროპელი მოგზაურები ბევრს ჰყვებოდნენ კერპთაყვანისმცემლობის და ფეტიშიზმის რთულ სისტემებზე. მაგრამ ეს არ არის აღგილობრივ მკვიდრთა მიერ შექმნილი რელიგიები, არამედ თვით ევროპელთა ვარაუდია. განვიხილოთ. რა არის ფეტიშიზმი და როგორ შეიქმნა იგი.

ფეტიშიზმი

სიტყვა ფეტიშიზმი წარმოდგება პორტუგალიური „fettito“-სგან (ჯადოსნობა). თვით სიტყვაც არ არის აფრიკული. როცა ხედავდნენ, თუ როგორ ხსნიდა ზანგი კედლიდან ხის ფიგურას, იწყებდა სულის შებერვას, ფურთხებას და რაღაცის ბუტბუტს, საჭმლის წასმას, ევროპელები მაშინვე ასკვნიდ ნენ: „ეს ჯადოსნობაა“.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რა დროს შეიქმნა ფეტიშიზმის რწმენა. ეს იყო დრო, როცა შუა საუკუნეების ევროპაში ჯადოქრებს დევნიდნენ. პორტუგალიელი ზღვაოსნები თავიანთ ქვეყანაში მიეჩვევნენ ყველაფრის დანახვას იმ ადამიანის თვალებით, რომელსაც სჯეროდა ჯადოქრობის და ჯადოსნობის. უნდა ვაღიაროთ, რომ შუა საუკუნეების ეს დამახასიათებელი თვისება მათი გონებრივი სისუსტის დამადასტურებელია. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ადამიანები, რომლებმაც შექმნეს ფეტიშიზმი აფრიკის დასავლეთ სანაპიროზე, თავიანთი საკუთარი გაგებით აღწერდნენ ზანგთა ქცევებს და წინაპართა კულტის საკუთარი მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, საუკუნეების მანძილზე ზანგებს აბრალებდნენ იმას, რისიც თვითონ უნდა შერცხვენოდათ.

სინამდვილეში მანიზმი ანუ წინაპრებისადმი მსახურება გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე ჯადოქრობის რწმენა შუა საუკუნეებში. პირველყოფილ ადამიანებში წმინდა წინაპართ მსახურება, მათი ღრმა რწმენა სულის უკვდავებისა, მზადყოფნა მსხვერპლშეწირვისათვის ვლინდებოდა ყოველთვის, როდესაც მიცვალებულს სჭირდებოდა რაიმე; მათი მშიდი, ღრმა და გულწრფელი ერთ-

გულება მიცვალებულთადმი — ყველაფერი ეს შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის სულის ერთ-ერთ ყველაზე მშვენიერ თვისებად.

საშინელებაა, როცა ვაჟი თავის მამას სწირავს ადამიანის სიცოცხლეს მისი საიქიო ცხოვრებისათვის; ან როდესაც ცოლი სამარეში მიჰყვება გარდაცვლილ ქმარს; ან როცა ქალიშვილი ღამე თხრის დედის საფლავს, რათა ამოიღოს მისი თავის ქალა, აკოცოს და თხელ ბადეში გახვეული მუდამ თან ატაროს. ამაში უდავოდ ბევრი ველურობაა, მაგრამ არის გარკვეული სიდიადეც.

რწმენის პირველყოფილი სურათის შესახებ წარმოდგენის შემდეგ შეიძლება გადავიდეთ მისი დაშლის განხილვაზე.

მანიზმის დაშლის აუცილებლობა წვრილმანი ცრურწმენის სახით და იდეის საცოდავად დაშახინჯება უკვე მის ჩანასახშივე დევს. მაგალითად, ვიდრე წინაპართა გამოსახულების მფლობელებს ახსოვთ იმ მიცვალებულთა სახელები და სახე, რომელსაც გამოსახულებები ატარებენ, მანამდე მათდამი დამოკიდებულება შეინარჩუნებს თავის პირველყოფილ შინაარსსა და აზრს. თუ მათი ხსოვნა წაიშლება, ხოლო, გამოსახულებები დარჩება, ხის ფიგურები მალე წმინდანებად შეირაცხებიან. მაგალითად, ხის ფიგურა კუილუდან, რომელიც ეკუთვნოდა დოქტორ ბრანდტს. ხის ეს ფიგურა ლურსმნითაა დაჩხვლეტილი. მოგზაურს, რომელმაც იგი მოიპოვა, განუმარტეს, რომ ეს არის მოლოკო, ამ სოფლისათვის ომის ღმერთის მსგავსი რამ. მოლოკოს უნდა ეზრუნა ყველა სამხედრო წარმოების წარმატებაზე. გარდა ამისა, მას არ უნდა დაეშვა მოსაზღვრეთა არანაირი კამათი. თუ მოლოკო უყურადღებო იყო, მთავარი განგა (ქურუმი), რომელიც ამავე დროს სოფლის პატარა მეფე და ყველაზე დიდი ვაჭარია, აჭედებდა მას ლურსმანს, რათა მეტი გულმოდგინება გამოეჩინა. სოფელი, როგორც ჩანს, დიდად ბედნიერი არ იყო, რადგან მოლოკოს ფიგურა მთლიანად ლურსმნებით იყო დაჭედილი.

ასეთი ამბის მოსმენის შემდეგ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ზანგებს ჰყავთ ომის ღვთაება. მაგრამ ეს მცდარი აზრია და მოლოკოს წარმომავლობა უნდა ვეძიოთ მანიზმში, როგორც ეს დაადგინა ჩვენმა მოგზაურმა. როდესაც მან გამოიკითხა ამ ტომის ისტორია, ერთმა მოხუცმა ქალმა უამბო, რომ ოდესღაც ეს ხალხი მათ ახლანდელ საცხოვრებელზე მოვიდა დიდი ბელადის მოლოკოს წინამძღოლობით. იგი საოცარ ამბებს ჰყვებოდა მოლოკოს შესახებ. ცხადია, ვიდრე იგი ცოცხალი იყო, მისი ტომი ფლობდა მთელ იმ კვეყანას.

წინამძღოლის ხსოვნა შემონახულია ძალიან სუსტად. მალე იგი მთლიანად გაქრება. ხის ფიგურა ჯერ კიდევ ატარებს მის სახელს, მას ჯერ კიდევ მიეწერება ის თვისებები, რომელსაც ფლობდა მებრძოლი ბელადი. ამრიგად, ეს ხის ნაჭერი თავისი ლურსმნებით წარმოგვიდგება საგზაო სვეტად კერპთაყვანისმცემლობისაკენ, ე. ი. გამოსახულების გაღმერთებისაკენ; მათი არსი და მნიშვნელობა მისთვის მლოცველი ხალხისათვის უკვე გაუგებარია.

მეორე მხრივ, არ შეიძლება ყველა რელიგიური შეხედულებისა და გამოხატულების მანიზმამდე დაყვანა, — გარდა ამისა, არის კიდევ მრავალი საყურადღებო რამ. როცა ზანგი ხედავს მისთვის რაიმე უცნობ ნივთს, მაშინვე შიშის გრძნობა ეუფლება და იგი მზად არის დაიჯეროს, რომ ამ საგანში გამოხატულია რაღაც გარკვეული ძალა, უფრო მძლავრი, უცნაური, ვიდრე ეს საგანია მისთვის. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ზანგი ზებუნებრივ ძალას მიაწერს მისთვის ყოველ ახალ მოვლენას, განსხვავებულს მისთვის ჩვეულისაგან, ნაცნობისა და გასაგებისაგან. მაგალითად, რომელიმე ხეს ეზრდება თავისებური ფორმის ფესვი. ზანგი ჭრის მას, მიაქვს სახლში, ამსგავსებს ადამიანის

ფიგურას და იწყებს ამ საგანთან შესაწირავების მიტანას. ამ მომენტიდან ეს საგანი მისთვის წმინდაა. ასეთი რამ ხშირად ხდება, მაგრამ ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ვილაპარაკოთ ფეტიშიზმის უაზრობაზე. ამ გაგებით, ყველა დროის ხალხი მისდევდა ფეტიშიზმს, თანამედროვე ევროპელიც კი, როდესაც იგი ხელის გულის სხვადასხვა, მეტ-ნაკლებად განსხვავებული ხაზებით წინასწარმეტყველებს თავისი ცხოვრების განსაკუთრებულ მოვლენებს. დაუჯერებელია, როგორ არის გავრცელებული მსგავსი ხუმრობები: ხელის გულზე მკითხაობა, სიზმრების ახსნა და ა. შ. და თუ ამაზე სერიოზულად დავფიქრდებით, დავკარგავთ ყველანაირ უფლებას, დავცინოთ ზანგების ფეტიშიზმს.

მართალია მხოლოდ ის, რომ დასავლეთ აფრიკის ხალხები, რომელთა ცხოვლმხედველობისათვისაც მეცნიერებაში შეიქმნა და დამკვიდრდა გამოთქმა „ფეტიშიზმი", ამჟამად არიან თანმიმდევარი და ჭეშმარიტად მორწმუნე მანისტები. ისინი იმყოფებიან სულიერი განვითარების ისეთსავე დაბალ საფეხურზე, როგორზედაც იყვნენ შუა საუკუნეების ქრისტიანები, მაგრამ ამაზე პასუხისმგებლობა არ შეიძლება მხოლოდ მათ დაეკისროს. გარკვეულწილად ამაში დანაშაული მიუძღვით შუა საუკუნეების ევროპელ მისიონერებს. ესენი იყვნენ თავიანთი მაღალი და დიდებული მოწოდებისათვის შეუფერებელი ადამიანები. ისინი ჯადოსნობის რწმენით მოვიდნენ დასავლეთ აფრიკაში. შემდგომ თვითონ დაიჯერეს ზანგების ჯადოსნური ხიბლი. თავიანთი მისიონერული მოღვაწეობა დაასრულეს ცეცხლითა და მახვილით ორგანიზებული ლაშქრობით ამ ჯადოსნობის თუ ფეტიშიზმის წინააღმდეგ. როცა მათი რწმენით, ეშმაკი დამარცხებული იქნა ნაკურთხი წყლის მეშვეობით, წმინდანთა გამოსახულებები გამოფინეს. კელეპტრებითა და ჯვარცმებით. როზგისა და ცოხის მუქარით მოქცეულ ზანგებს მისცეს წმ. მარიამისა და სხვა წმინდანთა ხატები და აიძულეს თაყვანი ეცათ მათთვის. ზანგები ემორჩილებოდნენ. ყველგან რჩებოდა წმინდანთა გამოსახულებები და მათდამი მეტ-ნაკლებად უაზრო თაყვანისცემა.

რა შეემთხვა ამ წმინდანებს?

მისიონერები, რომლებიც კეთილი სურვილებით მიემართებიან მათთან, ხშირად გაოცებულები არიან ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ცნებათა აღრევით. წმინდანებზე და წინაპრებზე წარმოდგენათა შერწყმით წარმოიქმნა საშიხელი კერპთაყვანისმცემლობა.

ევროპელი ახლაც მიდრეკილია იმისკენ, რომ ზანგებთან ყველგან ფეტიში აღმოაჩინოს. წინაპართა გამოსახულების გარდა, მათთან შეიძლება სხვა მრავალ ფიგურას შეხვდეთ, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო მანიზმთან. მას შემდეგ, რაც ზანგმა ისწავლა ადამიანის ფიგურის გამოსახვა, მან დაიწყო ყველანაირი საგნის შემკობა ადამიანის ფიგურით ან თავით; ევროპელი კი, რომელიც ადამიანის ყოველ პლასტიკურ გამოხატულებაში „ფეტიშის" დანახვას შეეჩვია, ჩქარობს ყოველ ასეთ ნივთს „ჟურნალი — ფეტიში" უწოდოს. ამ სახის ნივთებია: კომბალი, თოხი, ჩიბუხი, თასი, კვერთხი, ზარი, უმთავრესად კი სათუთუნეები. ყველას აქვს ნიშანი „ფეტიში".

თუ საგანზე გამოსახულია ადამიანის ფიგურა, ადამიანის სახე, მაშასადამე ეს ფეტიშია. გამოსახვა იაფია, მუზეუმში კი, თუ ამ რომელიმე საგანს ფეტიშის მნიშვნელობა აქვს, შეიძლება მისი უფრო ძვირად გაყიდვა. უკვე დიდი ხანია დროა, სამუდამოდ „დავმარხოთ ფეტიში".

აქვე ვათავსებ პატარა თავს კიდევ ერთ ფართოდ გავრცელებულ ჩვეულებაზე, რომელიც ადამიანის გრძნობებზეა დაფუძნებული. ესაა ღვთის განაჩენი, ორდალიები, ორაკულები და ა. შ.

ადამიანს სურს გაიგოს ბევრი რამ თავის წარსულსა და მომავალზე. ამისათვის ბერძნებს დელფოსში ჰქონდათ ცნობათა ბიუროს მსგავსი რამ, ხოლო შუა საუკუნეებში ამ მიზნისათვის სარგებლობდნენ წმინდანებით. ზანგებს მხოლოდ თავიანთი ორდალიები ჰქონდათ. ცნობილ მწერალს ევგენი ცინდგრაფს აღწერილი აქვს მსგავსი ცერემონია მთელს ქვემო კონგოში; გარდა ამისა, სხვა ზანგებსაც აქვთ განაჩენის მსგავსი რამ — ორდალია, „კასკის“ ან „კასის“ გადაყლაპვა. „კასკა“ არის ერთ-ერთი ხის ქერქი. მას აქუცმაცებენ და ამრგვალებენ ბურთულებად, რომელიც შემდეგ დაშნაშავემ უნდა გადაყლაპოს. ამ ქერქს მიაწერენ შხამიან თვისებას. თუ ბრალდებულს გულის რევა დაეწყება, ბრალშდებელმა უნდა გადაიხადოს ჯარიმა. თუ „კასკა“ დამნაშავის კუჭში გარკვეული დრო დარჩება, მაგალითად, მზის ჩასვლამდე, მას დამნაშავედ თვლიან და მიუსჯიან სიკვდილს წყალში ან ცეცხლში. უკანასკნელი სასჯელი გამოიყენებოდა ქალებისადმი.

ამტკიცებენ, რომ „კასკის“ მიღების შემდეგ გულის რევა დამოკიდებულია იმაზე, დაალევინეს თუ არა ბრალდებულს მანამდე ცხიმი. ამას ასრულებს „ფეტიჩეირო“ („განგა“, ანუ ქურუმი), რომელიც ხელმძღვანელობს ამ რიტუალს. საქმე ისაა, შეიძლება თუ არა „ფეტიჩეიროს“ მოსყიდვა. ბრალმდებლისაგან საფასურის მიღების მოლოდინში მრავალი ბრალდებული სიხარულით ყლაპავდა ამ აბებს.

ბრალდებები დაახლოებით ისეთივეა, როგორც ჯადოსნობის პროცესის დროს. რომელიმე ადამიანს თითქოს ურთიერთობა აქვს ბოროტ ძალებთან და ამის წყალობით შეუძლია ჩაიდინოს ზებუნებრივი საქციელი. მსგავსი ქმედების მიზანია, მოიცილონ არასასურველი პიროვნება: მოხუცი (ზანგებში იშვიათად შეხვდებით ჭაღარა მოხუცს, რადგან მათ, როგორც საზოგადოებისათვის უსარგებლო წევრებს, უმეტესად შხამიან აბს აწვდიან), ან არასასურველი ცოლი, ან რომელიმე დამნაშავე, რომელსაც გარკვეულ სამხილს ვერ წაუყენებენ. დავესწარით ასეთ სასამართლო პროცესს კონგოს სამხრეთ სანაპიროზე ბუსერონგებთან. შემთხვევით ორი ბუსერონგის საუბრიდან გავიგე, რომ მეზობელ სოფელში ტარდება „კასკის“ ყლაპვის ცერემონიალი. თეთრებს არ ეკრძალებოდათ დასწრება და გავეშურე სამსჯავროსაკენ.

ტყის პირას მომზადებული იყო მრგვალი მოედანი. მოედანზე მხოლოდ ფეტიჩეირო და მისი თანაშემწეები იყვნენ. შუაში ჩასობილი იყო პალმის ოთხი ჯოხი, დაახლოებით მეტრნახევარი სიგრძის. ერთ კუთხეში, სადაც რამდენიმე კალათი იდგა ფეტიჩეიროს ნივთებით, მიწაში ჩასობილი იყო ცხენოსნის ძველი ხშალი. მოედნის ირგვლივ ნელ-ნელა მოგროვდნენ ადგილობრივი მკვიდრნი — ქალები, კაცები და ბავშვები. ბოლოს გამოჩნდა ბრალდებული. ეს იყო 28—30 წლის ქალი, რომელსაც ახლდა ახალგაზრდა ქალიშვილი. ორივეს სახე წითლად ჰქონდათ შეღებილი.

დოლების ყრუ ხმებზე ფეტიჩეირომ დაიწყო ცეკვა სამსჯავროს ირგვლივ. იგი იქნევდა ხმალს და რაღაც საიდუმლო სიტყვებს ბუტბუტებდა. შემდეგ მან მიწაზე დადო „კასკიანი“ კალათი სასამართლო ადგილის აღმოსავლეთ შესასვლელთან. დაიჩოქა მის წინ, სახეზე მიწა წაისვა და სამჯერ ემთხვია მიწას. იგივე გაიმეორა მეორე შესასვლელთან, შემდეგ დაიწყო ცეკვა, თან რაღაც სიტყვებს ბუტბუტებდა. მის ნიშანზე მუსიკა შეწყდა, ბრალდებულმა ქალებთან ერთად უკან დაიხია. ბოლოს ფეტიჩეირო თანაშემწეებთან ერთად შეუდგა „კასკის“ დამზადებას.

სავსე კალათიდან ამოიღო მუშტისოდენა ქერქი, გულმოდგინედ გაწმინდა,

გარეცხა, დაპრა ნაპრეზად და მრგვალი ქვით დასრისა ქვისავე თასში, რომელიც ხმარებისაგან ამოღრეტნული იყო. ფეტიჩეირომ დაასველა ყავისფერი ფხვნილი და მიღებული მასისაგან დაამზადა ქათმის კვერცხისოდენა სამი ბურთული, რომლებიც იდო თეთრ ქსოვილდაფარებულ ქვის თასში.

მზადების პერიოდში უკანა პლანზე ჩოჩქოლი ატყდა, მოიტანეს მთავარი ფეტიში. ბრალდებულმა ფიცი დადო, რომ იგი მხოლოდ სიმართლეს იტყოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მოკვდებოდა არაბუნებრივი სიკვდილით. ამის შემდეგ, ფეტიჩეირომ ფეტიშს ჩაასო ლურსმანი ამ მომენტის აღსანიშნავად. ბრალმდებელმა გამოაცხადა (ბრალდებული ამ დროს იქ არ იყო, იყო მხოლოდ მისი ძმა), რომ ეს ქალი ჯადოქარია და შეეპარა მისი ახლახან გარდაცვლილი ძმის სული. „მოიოს“ უწოდებდნენ როგორც გულს, ისე სულს — იმ მფეთქავ სიცოცხლეს, რომლის ადგილსამყოფელი ადამიანის შიგნით არის. შეიძლება ბრალმდებელს ამით უნდოდა ეთქვა, რომ ქალი დამნაშავეა მისი ძმის ავადმყოფობასა და სიკვდილში.

ხეში ლურსმნის ჩასობის შემდეგ ყველა შეიკრიბა სასამართლოს ადგილას. დოლის ხმაზე ფეტიჩეირომ ნეკზე ხელი ჩაავლო ფეხზე ძლივს მდგარ ქალს და დაიწყო მისი ტარება ერთი კუთხიდან მეორეში. შემოიარა მოედანი, ბერე დასვა შუაში. ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე. უეცრად წრეში შემოვიდა ძალ-ღონით სავსე ორი მუსერონგი. ესენი იყვნენ ორი მეზობელი სოფლის ბელადები, რომლებმაც მოისურვეს სასამართლოზე დასწრება.

ფეტიჩეირომ გაიმეორა წაყენებული ბრალდება, რომელსაც ქალი უარყოფდა და ცხარე ცრემლებით ტიროდა. განზე მჯდარი ბრალმდებელი, დაბალი ხნიერი კაცი, აშკარა თაღლითის იერით, შიგადაშიგ რაღაცას ბუტბუტებდა თავისთვის.

ფეტიჩეირომ ჩამოუთვალა ქალს წარსულის ყველა ცოდვა: დაკრძალვის შემდეგ მან არ დაიბანა, ერთხელ სისხლიანი ხელებით ჭამა, მეორეჯერ, ვიღაც უცხო კაცს მიაწოდა წყალი ისე, რომ ჯერ თვითონ არ მოსვა და ა. შ. ბრალდების ჭეშმარიტების გამოსაცდელად მან ქალს მიაწოდა „კასკის“ პირველი აბი და უბრძანა მისი შეჭმა. აცახცახებულმა ქალმა დაიწყო აბის ძალით ყლაპვა, ამასთან დროდადრო ისმოდა დოლის ხმა, ფეტიჩეირო კი ერთ-ერთ ცეკვას ასრულებდა.

მაყურებელს თითქოს უნდა შეენარჩუნებინა გარკვეული სერიოზულობა, მაგრამ ასე არ იყო. ასეთი პროცესი ხშირად ტარდებოდა, ზოგჯერ რამდენიმე ადამიანი ერთდროულად ყლაპავდა „კასკის“. ყველა ლაყბობდა და ხარხარებდა, როგორც დღესასწაულზე. ზემოთ აღწერილი ორი კაცი დან ერთ-ერთმა ენამახვილობაც კი დაიწყო, მეორე კი მოღუშული ერთ წერტილს ჩასჩერებოდა.

ოცი-ოდე წუთის შემდეგ ქალმა შესამე აბიც გადაყლაპა. ფეტიჩეირომ ქალს ადგომა უბრძანა. მას წინ და უკან უნდა ე�eდრე სასამართლო განაჩენს გამოიტანდა. ფეტიჩეირომ უხეი საბოძვარი მიიღო: რამდენიმე ბოთლი რომი, რომელიც ხელიდან ხელში გადადიოდა. ამით დამთავრდა მთავარი ნაწილი. იქიდან წამოსულ მწერალს დიდხანს ესმოდა დოლის ყრუ ხმები. მან ვერ გაიგო ქალის საბოლოო ბედი.

ფეტიჩეირო ახალგაზრდა კაცი იყო. იგი არაფრით გამოირჩეოდა სხვებისაგან. მისი სახე ეშმაკობას გამოხატავდა, იგი სულ იღიმებოდა. მისი ღიმილი რომაელი ავგურის (ავგურის ღიმილი ითქმის ისეთ ადამიანებზე, რომლებიც ერთმანეთს პირში ატყუებენ) ღიმილს ჰგავდა. ცხადია, აქ მთვლემარე ბრბოს

წინაშე ტყუილი თამაშდებოდა, მაგრამ ამ წრის ზოგიერთი ღირსეული მამაკაცი ალბათ ხვდებოდა ამას.

ეს დრომოჭმული ეპოქის სურათია და ოდესღაც ყველა ხალხს განუცდია მსგავსი რამ.

კაციჭამიობა*

კაციჭამიობას საერთოდ უყურებენ როგორც საშინელებას, ყველაზე აღმაშფოთებელ ფაქტს, დანაშაულს დანაშაულთა შორის. იმასაც კი ამტკიცებენ, რომ ბუნების საწინააღმდეგო ცოდვაა, თუ ცხოველი იკვებება მისივე სახეობის არსებებით, მით უმეტეს ეს ითქმის ადამიანზე.

ჩვენ გამოვიკვლიეთ ადამიანთა ომების ისტორია, საბრძოლო საშუალებები, რომელთაც ადამიანები ხმარობდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ. ვნახეთ, რა როლს ასრულებდა მკვლელობა, ამდენად კაციჭამიაობა არ უნდა მოგვეჩვენოს შეუძლებლად და აღმაშფოთებლად. მაგრამ ჩვენ წინაშე დგება კანიბალიზმის საკითხი.

კითხვა: „რით აიხსნება კაციჭამიობა?“ — ხალხთმცოდნეობის ყველაზე სადავო საკითხია.

კაციჭამიობის დასასაბუთებლად ძრავალი ძიზეზი ძოჰყავთ: ხსნიდნენ, რომ კანიბალიზმი აღმოცენდა რელიგიურ ნიადაგზე, რომ იგი განვითარდა ადამიანის მსხვერპლად შეწირვასთან ერთად, მეორენი ამტკიცებდნენ, რომ დახვეწილმა გასტრონომიულმა გემოვნებამ მიიყვანა ადამიანები კაციჭამიობამდე. მესამენი ხსნიდნენ სიძულვილით, მეოთხენი — შიმშილით და ა. შ.

ეს საკითხი არც ისე რთულია, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სუსტი, ტემპერამენტს მოკლებული, არაენერგიული, მეტ-ნაკლებად წყნარი ხალხები არასოდეს არ არიან კანიბალები. სამაგიეროდ ნამდვილ ველურებს შორის უფრო აქტიურები, არსებობისათვის ბრძოლაში გაზრდილნი, ენერგიით გამორჩეულები უმეტეს შემთხვევაში კაციჭამიები არიან. მაგალითად ავსტრალიის მატერიკის ახალპოლანდიელები. სამხრეთით არიან წყნარი, რბილი და განაზებული, ზარმაცი, მაგრამ კეთილი ტომები. ისინი არ იყვნენ კაციჭამიები. მათ საწინააღმდეგოდ დავასახლებთ კვინსლენდებს, რომელთა შესახებ ლუმჰოლცი გვიამბობს შემდეგს:

„ჰერბერტ-რივერთან ზოგჯერ მთელი ექსპედიციები ეწყობა ადამიანის ხორცის საშოვნელად. ამ მიზნისათვის იკრიბება ყველაზე ძლიერ მამაკაცთა ბცირე რაზმი, რომლებიც თავიანთი მამაცობით დიდი პატივით სარგებლობენ. ისინი ცოტანი არიან, რადგან თავს ესხმიან პატარა ოჯახებს, რომლებიც 4—6 კაცისაგან შედგებიან. ლაშქრობა ტარდება დაყოვნებით, სურსათს გზაში იძენენ. როცა შესაფერ ოჯახს იპოვნიან, საღამოს ცოტა მოშორებით დაბინავდებიან. თავს ესხმიან მზის ამოსვლამდე მძინარე ადამიანებს, რომლებიც წინააღმდეგობასაც ვერ უწევენ. მამაკაცები თავიანთ ცოლ-შვილსაც ვერ იცავენ. თითოეული თავის თავზე ფიქრობს. ყველაზე ცუდ დღეში მოხუცები არიან, მათ იმწამსვე კლავენ და სანსლავენ. საუკეთესო ნანადირევად ქალი ითვლება. თუ ის ახალგაზრდაა, მაშინვე არ კლავენ, თუ მოხუცია, ვერ ასცდება საერთო ბედს — კლავენ და მიირთმევენ.

---

* წყაროდან: Л. Фробениус, Детство человечества. СПб, [без года изд.]. с, 349—365.

ამრიგად, ჩრდილოეთ კვინსლენდის და ბევრი სხვა ადგილის მკვიდრნი კაციჭამიები არიან. ჩემი ხალხი ამის დაფარვას არც ცდილობდა. პირიქით, საღამოობით ისინი ჩვეულებრივ სასაუბროდ ამ თემას ირჩევდნენ, რაც ჩემში ზიზღსა და შიშს იწვევდა. ავსტრალიელი ზანგებისათვის ადამიანის ხორცზე გემრიელი არაფერია. ჩემს შეკითხვაზე, ადამიანის რომელი ნაწილი უფრო მოსწონთ, ისინი ყოველთვის ბარკლებზე ირტყამდნენ ხელს. არ ჰამენ თავს, არც შიგნეულს. ყველაზე კარგი კი თირკმლის ქონია. ჰგონიათ, რომ მისი შეჭმით მათ გადაეცემათ გარდაცვლილის ძალა. ამ მხრივ უფრო კარგია თვით თირკმელი.

დიდი ხნის წინ ველურები თავს დაესხნენ თეთრ პოლიციელს. მანამდე ურტყეს კეტები, სანამ არ ჩათვალეს, რომ იგი მკვდარია. შემდეგ ამოაცალეს თირკმლები და გაიქცნენ. ეს კაცი ცოტა ხნით გონს მოვიდა და სიკვდილამდე ყველაფერი თქვა.

ჰერბერტ-რიკერის ადგილობრივი მკვიდრნი ძალიან აფასებენ მოკლული მტრის ქონს. ისინი არა მარტო ჰამენ მას, არამედ ბალახში გახვეულს ან კალათში ჩადებულს ავგაროზივით ყელზე იკიდებენ. მათ სჯერათ, რომ ეს მოუტანს ნადირობაში წარმატებას. ერთი კაცი ყვებოდა, რომ ადამიანის ქონის ნაჭერი თან წაიღო და მიადგა ერთ ხეს, სადაც იპოვა საკვებად ვარგისი დიდი გველი.

თავიანთ ტომელებს ავსტრალიელები არ ჭამენ, მაგრამ მე ვიცი მაგალითები. როცა დედები საკუთარ შვილებს ჭამენ.

მისტერ უაიტმა მაცნობა, რომ კარპენტარიის ყურის სამხრეთით მცხოვრები ველურებიც გარკვეულწილად კაციჭამიები არიან. მაგრამ ისინი არავის არ კლავენ ამ მიზნით. სამაგიეროდ ქალები ჭამენ ყველას, ვინც ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვლება. მორეტო-ბესთანაც ნათესავები ჭამენ გარდაცვლილის ხორცს.

თეთრ ადამიანს მაინცდამაინც არ ეტანებიან. ჩემს შეკითხვაზე — უჭამიათ თუ არა თეთრი ადამიანის ხორცი, გაკვირვებით შემხედეს და მიპასუხეს: „რას ბრძახებთ, სიძაგლობაა“.

ამავე დროს ზანგი დაიღრიჯა და კისერზე ხელი მოიკიდა, რათა გამოეხატა ზიზღი თეთრი ადამიანის ხორცისადმი, დანარჩენი ზანგებიც ამ აზრისანი იყვნენ. შემდეგ გავიგონე, რომ თეთრის ხორცი უგემურია და მართლაც შეიძლება იფიქრო, რომ თეთრი ადამიანი აქ იკვებება მარილიანი ხორცით, ჩაით და პურით და მის ხორცს შეიძლება სხვანაირი გემო ჰქონდეს, ვიდრე ზანგის ხორცს, რომელიც მხოლოდ ბოსტნეულით იკვებება. ცივილიზებული ზანგები მეუბნებოდნენ,რომ თეთრის ხორცს მარილიანი გემო აქვს, რასაც ზანგები ვერ იტანენ.

მათ ძალიან მოსწონთ ჩინელების ხორცი, რომელთა საკვები ბრინჯი და სხვა მცენარეულია. ჩემი ავსტრალიაში ყოფნის დროს კვინსლენდის ჩრდილოეთის ზანგები მასობრივად კლავდნენ ჩინელებს. ერთხელ რამდენიმე დღის მანძილზე მათი საკვები მხოლოდ ჩინელების ხორცი იყო. ყველა უცხოელი, ოთხელიც რომელიმე ტომის ქვეყანას გაივლიდა, რასაკვირველია, მათი მტერი იყო, როგორც თეთრი, ისე ჩინელი. უკანასკნელთ უყურებენ როგორც შავკანიანთა განსაკუთრებულ სახეს შორეული ქვეყნიდან და ხელსაყრელ დროს კლავდნენ. თუმცა ადამიანის ხორცი ავსტრალიელი ზანგის ჩვეულებრივი საკვ�b არ ატის, იგი უფრო იშვიათი ჩასატკბარუნებელი რამაა. ჰერბერტ რიკერში ჩემი ყოფნისას მხოლოდ ორი შეკვანიანი მოკლეს და შეჭამეს. ვრთი მათგანი

ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი იყო, მეორე — მოხუცი, რომელმაც ვერ შეძლო გაქცევით ეშველა თავისი თავისათვის, როცა მის ტომს დაესხნენ თავს. მისი ხორცი ჰერბერტ-ვალში კალათით მოიტანეს.

აქ ჩვენ წინაშეა კაციჭამიობის ,ყველაზე დაბალი ხარისხი. ავსტრალიელი ზანგი ერთნაირი სიამოვნებით მიირთმევს როგორც ბალახისმჭამელ კენგურუს, ასევე ბალახისმჭამელ მეზობელს, მაგრამ ევროპელის მარილიანი ხორცი ზიზღს ჰგვრის.

ამბობენ, რომ უზნეობაა და დანაშაული თავისივე სახეობის არსებების ჭამა. ბუნებაში შეიძლება ეს დასაშვებია, მაგრამ ადამიანებისათვის, რომელთა მთელი სულიერი ცხოვრება მიმართულია ბუნებასთან ბრძოლისაკენ, ადამიანისათვის, როგორც კულტურის ობიექტისათვის, ეს მიუღებელია.

ადამიანისათვის, რომელმაც დატოვა კულტურის ყველაზე დაბალი საფეხური და რომელიც რამდენადმე მაღლა დგას, მისთვის „სხვა სახეობა“ იწყება მეზობელი სოფლიდან. ამას .გვასწავლის ამ, რამდენადმე მაღლა მდგომ, ხალხთა მსოფლმხედველობა.

გერმანელმა მოგზაურმა ფონ-ბრენერმა თავის დღიურში შემდეგი ჩაწერა:

„სი-გილაკი, ყველაფრიდან ჩანს, რომ მდიდარი ბელადია, კბილები მოოქროვილი აქვს, ბამბუკის სათუთუნეში კი, რომელიც წარწერით იყო დაფარული, ინახებოდა ოქროს სამკაული, უაღრესად ლამაზი ნაკეთობის ყელსაბამი, რომელსაც სიამოვნებით გვაჩვენებდა, მაგრამ მისი გადახატვის ნებას არ გვაძლევდა. სათუთუნის სახურავში ჩადგმული იყო კბილი, რომელიც ეკუთვნოდა მის მიერ მოკლულ და შეჭმულ მტერს, რომელიც სასტიკად სძულდა და სიკვდილის შემდეგაც იძიებდა მასზე შურს, რადგან სათუთუნის დახურვისას იგი ურტყამდა კბილს და გვიმტკიცებდა, რომ ახლაც სიამოვნებდა ეს, თითქოს თავის მტერს სახეში ურტყამდა.

მიუხედავად .ამისა, იგი ამასთანავე კეთილი კაციჭამიას შთაბეჭდილებას ტოვებდა, რადგან ნებას იძლეოდა, ეხუმრათ მასზე. ტაბანელები დასცინოდნენ მის ნელ და გაწელილ ლაპარაკს. იგი ხშირად თვითონაც იცინოდა სხვებთან ერთად.

ჩვენს შეკითხვაზე, თუ მისი სამშობლოს დათვალიერებისას ჩვენც ხომ არ შეგვჭამენ და ჩვენს თავის ქალებს ნადავლის სახით ხომ არ გამოკიდებენ, მან გვიპასუხა, რომ სრულიად მშვიდად შეგვიძლია ვიყოთ, „თქვენი თავიდან ერთი ღერი თმაც არ ჩამოვარდებაო“.

რამდენიმე წლის შემდეგ მესნერი შეხვდა ბატაკს, რომელიც აპირებდა მისთვის მიეტანა თავის ქალა და შებოლილი ხელი. რელიკვიის ,ყიდვისას მესნერმა გამოიკითხა მათი წარმოშობა, ხოლო მისმა ერთ-ერთმა თანმხლებმა სიტყვასიტყვით ჩაიწერა ეს საუბარი. ასე რომ, შეგვიძლია გავიგოთ სი-გილაკის შემდგომი ბედი, რომელსაც ასე უყვარდა სათუთუნის დაკეტვა, რადგან ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს სახეში ურტყამდა მტერს.

მესნერმა ჰკითხა:

„საიდან არის ეს თავი და გამხმარი ხელი, რომელიც თქვენ მოიტანეთ?“

„ისინი ეკუთვნის მტერს, რომელიც სამი წლის წინ ჩაგვივარდა ხელში“,— შიუგო ბატაკმა.

„და რომელიც ალბათ შეჭამეთ?“

„რასაკვირველია, სხვანაირად როგორღა მოვიქცეოდით?“.

„ვინ შეჭამა იგი?“

„ჩემმა სიძემ და მისმა ხალხმა“.

„შიაბბე, როგორ, რატომ? რა ერქვა მას?“

„მას ერქვა სი-კემატ-სი-გილაკი. იგი გაიქცა ცოლთან, დედასთან და ძმასთან ერთად თავისი ქვეყნიდან, სადაც იგი რაჯა იყო. მაშინ ჩემმა სიძემ ომი გამოუცხადა და დაამარცხა იგი“.

„თქვენ შეტაკება გქონდათ?“

„შეტაკება? არა. ჩვენ იგი ტყვედ ავიყვანეთ. რამდენიმე დღე ვუდარაჯებდით გზასთან ბრინჯის მინდორში დამალულები, სანამ მარტო არ მოვიხელთეთ. დავიჭირეთ, გავთოკეთ და მოვიყვანეთ ჩვენს ბელადთან. რომელმაც ბრძანა ძისი ხუნდებში ჩასმა“.

„ძისი ძმა?“

„ძმა ბრძოლაში დაეცა“.

„ომში? განა მარტო არ იყო?“

„როცა მას ეძინა, ჩვენ ვესროლეთ, ტყვია მარჯვენა ხელში მოხვდა; იგი თავს იცავდა დანით, რომელიც მარცხენა ხელში ჰქონდა, ჩვენ მაინც გავიმარჯვეთ, მოვკალით იგი და თავი გაუგზავნეთ ჩვენს ბელადს. შენ ამას ომს არ უძახი?“

„რა უქეხით ძის სხეულს?“

„ძევეპაძეთ“.

„თავს რაღა უქეხით?“

„ძისი თავი ჩვენმა ბელადმა ცხვირწინ დაუდო სი-კემატ-სი-გილაკს, რათა ძას სცოდხოდა, რაც ელოდა“.

„მას არ შეეძლო თავის გამოხსნა გამოსასყიდით?“

„გამოსყიდვა? არავითარ შემთხვევაში. ის უნდა მომკვდარიყო“.

„იგი არ ყვიროდა?“

„როგორ არა, მაგრამ ამან არ უშველა, ის ხომ შეკრული იყო“.

„შემდეგ?“

„ცხადია, ჩვეხ იგი შევეპამეთ“.

„როგორ მოხდა ეს?“

„მეორე დღეს, როცა მზე ჯერ კიდევ არ იყო ამოსული, ჩვენ მოვიყვანეთ კემატი, დავაგდეთ მიწაზე სახით ზევით და ჩემმა სიძემ თავი მოჭვეთა... მან მიიღო გული და იმდენი ხორცი, რამდენიც უნდოდა; სხვები, ვისაც უნდოდა, იწვავდნენ ცეცხლზე ნაჭრებს და მიირთმევდნენ, რაც დარჩა, ჩვენ მოვხარშეთ წიწაკათა და მარილით და სახლში ვეპამეთ (?). დიდი ძვლები შევკარით ერთად და ჩამოვკიდეთ მინდორში სხვებთან ერთად. მეორე დღეს მისი თავი ჩავმარხეთ მინდვრიდან მიმავალ გზაზე, რათა მის მეგობრებსაც დაებიჯებინათ მისთვის ფეხი“.

„რა მოუვიდა მის ცოლს?“

„მე ვავყიდე ჩემი სიძისათვის ბაზარზე და მივიღე 120 დოლარი“.

„მაშასადამე, მან დაფარა ყველა სამხედრო ხარჯი?“

„რასაკვირველია, გარდა ამისა წმინდა მოგებაც მიიღო“.

„რა ბედი ეწია დედამისს?“

„დედა!.. გურუმ თქვა, რომ იგი ისეთივე საძაგელი იყო, როგორც მისი შვილები, ამიტომ ერთი თვის შემდეგ ყელი გამოვეჭერით“.

„და შესანსლეთ“?.

„რასაკვირველია“.

„რატომაც თავის ქალაში ასე ცოტა ტვინი?“

„ჩვენმა ხალხმა ამოაძრო, სათუთუნის სახურავში ჩასასმელად“.
„რისთვის?“

„როცა ისინი კეტავენ სათუთუნეს, ისეთი გრძნობა უჩნდებათ, თითქოს სახეში ურტყამენ სი-კეშატას“.

უფრო კარგად დაიკების კაციჭამიობის ახსნა შეუძლებელია. აქ განსაკუთრებით ძვირფასია შენიშვნა ომის შესახებ.

ისე როგორც აქაა აღწერილი — ეს არის წმინდა წყლის მკვლელობა, ესაა არასაჭირო ადამიანის მოსპობის აუცილებლობა, — ყველაფერი ეს ტიპურია იმ ეპოქის ისტორიისათვის, როცა „მეორე სახეობა“ ყოველთვის იწყება მეზობელი სოფლიდან. ამ თვალსაზრისით უნდა ვიმსჯელოთ კაციჭამიობის შესახებაც. მაშინ აღარ არის საჭირო რომელიღაც შორეული მოტივების ძებნა.

იმის მსგავსად, როგორც თავის ქალების კულტში შერეულია სამხედრო და რელიგიური მომენტები, თავის ქალა წარმოადგენს, ერთი მხრივ, სამხედრო ნადავლს, ხოლო მეორე მხრივ, თავის ქალას მოიპოვებენ იმისათვის, რათა სული გაგზავნონ იმქვეყნად მონად, რადგან კაციჭამიობაში სამხედრო და რელიგიური იდეები არეულია ერთმანეთში ჩვეულებათა განუყოფელ ჯგუფებად.

ცნობილია, რომ დაბალ საფეხურზე მდგომ ხალხთან, ე. წ. ველურებთან არ შეიძლება გამოარჩიო რელიგიური ცხოვრება ჩვეულებრივი ცხოვრებისაგან, რადგან მიზანსწრაფულობის უქონლობას, სიმბოლიზმს მთელ სულიერ ცხოვრებაში შეაქვს დიდი არეულობა. ვხედავთ, ცეცხლის აღმოჩენის ისტორია როგორ ირევა მზის მითოლოგიაში, მჭედლობა როგორ იქცევა წმინდა საქმედ, სინათლე ფასობს პრაქტიკული ცხოვრების არა ბუნებრივი, ფაქტობრივი მონაცემებით, არამედ სულიერი ღირებულებით, ცხოველთა ღირებულების კანონით, მანიზმით.

ამიტომ ჩვენ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ კაციჭამიობაც ასრულებს როლს არა მარტო პრაქტიკულ სამხედრო მოქმედების სფეროში, არამედ რელიგიურ ცხოვრებაშიც. თავის ქალის კულტთან, რიგ წეს-ჩვეულებებთან, რომელთაც ძალიან ბევრი საერთო საფუძველი აქვთ კაციჭამიობასთან, თვალში გვეცემა, რომ სამხრეთ გვინეის ხალხი სიამოვნებით მიირთმევს რომელიმე პატივცემული თანატომელის ტვინს, რათა ამ გზით მიიღონ გარდაცვლილის სული და ძალა. ეს უკვე კაციჭამიობის დასაწყისია. იგი ვლინდება უფრო საშინელი ფორმით, როცა მიცვალებულის ნათესავები ჭამენ ხრწნად გვამში წარმოქმნილ მატლებს. ეს მატლები მათ ეჩვენებათ გამოკრისტალებულ „სიცოცხლედ“. ამ აზრამდე მისვლა ძნელი არ არის. ამასთან ახლოს დგას ჩვეულება—გვამისგან გამოწურული წვენის დალევა. ეს ხშირად გვხვდება ოსტ-ინდოეთის არქიპელაგის ხალხებში და დასავლეთ აფრიკაში, შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთ ბრაზილიაში.

გავიხსენოთ, საიდუმლო კავშირის წევრები როგორ მიისწრაფვიან, მიიღონ სხვისი სული. ამის მიღწევა უნდათ იმით, რომ ყლაპავენ სხვა ადამიანის რომელიმე ნაწილს. ყველაფერი ამის განსენებით აღარ მოგვეჩვენება უჩვეულოდ შემზეგი ნაბიჯიც, კერძოდ ის, რომ ეს ადამიანები ჭამენ თავიანთი თანატომელების გვამს.

ამ მანისტური შეხედულების საფუძველზე გამომუშავდა კაციჭამიობის ჩვეულება, რაც კარგად შეიძჩხევა ჩრდილო-დასავლეთ ამერიკელებთან. იქ ხშირად გვხვდება სასულიერო პირთა, ქურუმთა ან შამანთა ჯგუფი, რომელთაც „ხამეცებს“ უწოდებენ, ეს სიტყვა წარმოსდგება „ხამ“-ისაგან — შთანთქმა.

ამ ხალხს ეძახიან კიდეც „ჰემიებს“, გ. ო. „კაციჰამიებს“. იაკობსონი მათ შესახებ წერს:

„ბრიტანეთის კოლუმბიის კუნძულების სანაპიროებზე კოლუშებისა და ტლინკიტების სამხრეთით მცხოვრებ ინდიელ ტომებში, როგორც ჩანს, კაციჰამიობა უკანასკნელ დრომდე არსებობდა. 1860 წელს ინგლისელთა დაპყრობილ ვანკუვერში ერთ-ერთი ევროპელის თანდასწრებით რომელიღაც დღეობაზე ბოძზე მიბმულ ერთ სამხედრო ტყვეს გაუფატრეს მუცელი, რის შემდეგაც ინდიელები მუშებით ხვრეტდნენ მჩქეფარე სისხლს. შემდეგ ალბათ მთელი გვამიც შეჭამეს. ამ შემთხვევაში ინგლისის მთავრობამ ისე ენერგიულად დასაჯა მოსახლეობა, რომ ამის შემდეგ მსგავსი რამ არ მომხდარა, თუმცა ადრიანე იაკობსონმა 1882 წელს ვანკუვერის დასავლეთ სანაპიროზე ნახა პანტომიმით გამოხატული მსგავსი სცენა.

სამაგიეროდ კაციჭამიობის მეორე, საოცარი გადმონაშთი შემონახულია დღემდე. ამ ინდიელებში უმაღლესი სოციალური საფეხური უჭირავთ განსაკუთრებულ წმინდანებს, რომლებსაც ყოველი ტომი სხვადასხვა სახელს უწოდებს. მაგალითად, ვანკუვერში კვაკიუტლის ტომები ხამეცებს უწოდებენ. მის რიგებში შესვლა შეუძლია მხოლოდ საპატივცემულო და მდიდარი ოჯახის წევრებს, რომელთაც აქვთ შალის საბნის დიდი რაოდენობა. თუ იგი თავისი წარმოშობის ღირსია, მან უნდა გაიაროს ოთხწლიანი გამოცდა ძალიან ძნელი განსაცდელითა და წვალებით. ამ გამოცდის უკანასკნელი ოთხი კვირა მარტო უნდა გაატაროს ტყეში, რათა ფიზიკური გაჭირვებით მოამზადოს თავისი თავი ორდენში შესვლის ცერემონიისათვის. დანარჩენ მკვიდრთა თვალში იგი უკვე მაღალი რანგის არსებაა, რომელშიაც ცხოვრობს და რომელსაც განაგებს ჩვეულებრივ ჰაერში მცხოვრები ღმერთი პე-პე-კვალა-მიზიკა. მას ყველა გულის კანკალით არიდებს თავს, თუ მოესმათ ბუჩქიდან მისი ფლეიტის ან ბუკის ხმა.

ორდენში შესვლის აქტი იმაში მდგომარეობს, რომ ხამეცი უეცრად ტყიდან გამოვარდება სოფელში, ანდა სხვა ხამეცების მიერ წინასწარ მომზადებულ დღესასწაულზე, ერთ ან რამდენიმე თანატომელს მკლავიდან კბილებით ააგლეჯს ხორცს და ალაპავს გამოწოვილ სისხლთან ერთად, ან ძაღლებს გადაუღრღნის ყელს. კურთხევის პირველი ფორმის დროს ხალხი არ ეწინააღმდეგება გაცოფებულ მდგომარეობაში მყოფ ხამეცს, რადგან არ უნდათ ეომონ მასში მყოფ ღმერთს და გარდა ამისა, იმიტომაც, რომ ამისათვის მათ უხდიან უამრავ საბანს, ზოგჯერ 40 ცალსაც.

ხამეცების მონაწილეობა რომელიმე დღესასწაულში სასურველია, მაგრამ ამისათვის ოთხმა ბელადმა ოთხჯერ საზეიმოდ უნდა მიიწვიოს ისინი. ამრიგად მიპატიჟებული ხამეცი შიმშილითა და თავისი სახლის ყველაზე ბნელ კუთხეში განმარტოებით ემზადება ზეიმისათვის, რადგან ჩვეულება თხოულობს, რომ ასეთი წმინდანი ფერმკრთალი და გამხდარი უნდა იყოს. შემდეგ, როცა იგი ხალხით სავსე დღესასწაულის ადგილისაკენ მიემართება ოთხი ბელადის წინამძღოლობით, ძლივძლივობით ამოძრავებს ფეხებს, ნელ-ნელა დგამს ერთ ფეხს შეორის წინ. ასიოდე ნაბიჯის გავლას იგი რამდენიმე საათს უნდება. ამ კუს ნაბიჯებით მოარულ ხამეცს თანასოფლელები მდუმარედ დიდი მოკრძალებით თვალიერებენ. დღესასწაულზე იგი საერთო ყურადღებისა და პატივისცემის საგანია. იგიც საკუთარი ღირსების შეგნებით ღებულობს ყველა პატივს.

ხამეცის უმაღლესი უფლება იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლია მონაწილეობა თავისი ამხანაგების გვამის ჭამაში. ასეთ ნადიმში მონაწილეობა

თანატომელთა თვალში უფრო ზრდის მის წმინდანობას. კანიბალური ტრაპეზისათვის ხამეცები შორს, ტყის სიღრმეში იყრიან თავს. მასზე დასწრება გარეშეს არ შეუძლია. იქ ისინი ხსნიან ხის ყუთში ჩადებულ ან ძელზე გადებულ ჰაერის შოქმედებით გამომშრალ ერთ-ერთ გვამს, ალბობენ წყალში და ბოლოს და ბოლოს ჭამენ მუმიას — ყლაპავენ დიდ ნაჭრებს. თუ გვამი საკმაოდ ძველია, ე. ი. 1—2 წლის წინ არის გარდაცვლილი, მისი ჭამა ცუდად არ მოქმედებს მათ ჯანმრთელობაზე, სამაგიეროდ, არავრთხელ მომხდარა, რომ ხამეცები მომკვდარან სისხლის მოწამვლით, როცა შეუჭამიათ შედარებით ახალი მიცვალებულის გვამი. ასეთ საშინელ ტრაპეზში მონაწილეობის დასტურად ხამეცი იღებდა ხისგან ოსტატურად გამოკვეთილ თავის ქალას, რომელსაც ატარებდა როგორც სამკაულს ყელის დიდ რგოლზე. ამ საოცარი ჩვეულების ნამდვილ წარმომადგენელს, რომელსაც თავის დროზე უჩვენებდნენ გერმანიის სხვადასხვა ქალაქში, რვა ასეთი მედალი ჰქონდა.

პირადად მე ორჯერ ვიყავი ხამეცთა დღესასწაულის მომსწრე: ერთხელ, როცა ხამეცმა ხუთ ადამიანს გამოგლიჯა ხორცი, მეორეჯერ მან თექვსმეტ ძაღლს გადაუღრღნა ყელი. პირველ დღესასწაულზე ხამეცმა იმღერა და ოთხი ცეკვა შეასრულა, რომელიც მიღებული იყო ამ შემთხვევისათვის. მეოთხე ცეკვის შესრულებისას იგი გაგიჟდა და ცოფიანი დათვივით დაიმუსა. შემდეგ შემოგლიჯა ყველა საბანი, რომლებშიც იყო გახვეული და დაეგერა ახლოს მდგომ ინდიელს. ეს უკანასკნელი ეწინააღმდეგებოდა და საკმაოდ კარგადაც. მაგრამ ხამეცმა, რომელსაც გაცოფებამ თითქოს ზებუნებრივი ძალა მიანიჭა, მოწინააღმდეგე მიწაზე დააგდო, მკლავიდან საკმაოდ დიდი ნაჭერი ხორცი გამოგლიჯა და გადაყლაპა.

ასევე მოექცა იგი სხვა თავის თანატომელებს, ვიდრე არ უკბინა ხუთ კაცს. სხვებს ეს ალბათ საკმარისად მოეჩვენათ, რადგან ხამეცები მის დაშოშინებას ცდილობდნენ. მაგრამ იგი თავზე ახტებოდა იმათ, ვინც მის დაკავებას ცდილობდა. მასთან შერკინების არავითარი შესაძლებლობა არ იყო. მაშინ გაიქცნენ შამანთან, ანუ „ექიმთან“, რომელიც მეოთხედი საათი სხვადასხვანაირად მოქმედებდა გაცოფებულ ხამეცზე, ვიდრე იგი არ დაწყნარდა. ყველაფერი ეს საზიზღარ სანახაობას წარმოადგენს. მთელი სიცოცხლის მანძილზე ვერ დავივიწყებ ამას. განსაკუთრებით ამაზრზენი იყო აგზნებული ხამეცის ყურება, როცა ახალ სამსხვერპლოს ეძებდა. იგი მე მომიახლოვდა და ისეთი შესახედაობა მიიღო თითქოს უნდა დამჯახებოდა, მაგრამ მე მოვემზადე დასარტყმელად. შეიძლება მან ამოიცნო ჩემი აზრი, რადგან მომშორდა და სხვა სამსხვერპლო აირჩია... შიშისაგან ბევრი ინდიელი გაიქცა.

დღესასწაულის დამთავრების შემდეგ დაზარალებულებთან ანგარიში გაასწორეს. ჩვეულებისამებრ, მისცეს უამრავი შალის საბანი მიყენებული ჭრილობებისა და იმ შიშისათვის, რაც მათ განიცადეს. ამ საშინელმა სანახაობამ საინტერესო აღმოჩენის შესაძლებლობა მომცა: კერძოდ, მე დავინახე, რომ ხამეცი მარტო კბილებით კი არ გლეჯს ხორცს ადამიანის მკლავიდან. არამედ ზოგჯერ დანითაც. შორს მდგომი მაყურებელი დანას ალბათ ვერ ხედავს, რადგან ძიწაზე გართხმულ მსხვერპლსა და მის მწვალებელს ვიწრო წრედ ერტყმის რამდენიმე ხამეცი.

მეორე დღესასწაულზე ხამეცმა უკბინა 16 ძაღლს ისე, რომ თითოეულს ამოაცალა ყელის ნაჭერი. ძაღლზე ნადირობისას იგი ატარებდა დიდ ნიღაბს, რომელიც მგლის თავს წარმოადგენდა; მისი ქვედა ყბა და თვალები მოძრავი იყო. როდესაც ახლომახლო აღარ იყო დასახიჩრებული ძაღლების გარდა სხვა

ძაღლი, ხამეცი თითქოს ცუდად გაწდა და მგლის ხახიდან ისროდა საბნის ქვეშ დამალული ხორცის დიდ ნაჭრებს. მეორე ხამეცი კი კბილებით გლეჯდა საკმაოდ დიდ ნაჭრებს, რომელიც ეჩხირებოდა ვიწრო ხახაში. დასასრულს ბევრმა ინდიელმა მიიღო მონაწილეობა ცეკვაში, რომელიც გამოსახავდა მგლის ფორმას, და თანდათანობით იზრდებოდა სიგრძეში იმის წყალობით, რომ საბნის ქვეშ მატულობდა ადამიანთა რიგი, ბრბო კი მას არ უშვებდა. ეს ყველაფერი წარმოუდგენელ ხმაურში ხდებოდა".

ზემოაღწერილ სცენებში აშკარად ჩანს რელიგიური კანიბალიზმი. ეს ჩვეულებები ადვილად შეგვიძლია გამოვყოთ სამხედრო ჩვეულებების სფეროდან და დავუპირისპიროთ სი-ვილაკის ისტორიას, რომელიც, თავის მხრივ, სამხედრო კანიბალიზმის საუკეთესო დადასტურებაა.

სამხედრო კაციჭამიობაზე ცოტა რამ კიდევ მინდა აღვნიშნო, საოცარია, რომ სწორედ ის ხალხი, ვინც ყველაზე მეტად აქტიურობდა სხვა სფეროში, არიან ყველაზე თავზეხელაღებული და გამოუსწორებელი კაციჭამიები. შემიძლია მოვიყვანო მაგალითები აფრიკიდან: აზანდები ანუ ნიამ-ნიამები, მანგბატები, ბისონგები და ბაკუბები ფლობენ საოცარ მხატვრულ მრეწველობას. ამ ხალხის მიერ მოწოდებული ხავერდის ქსოვილები, მოჩუქურთმებული ნაკეთობანი, რკინის ნახელავი, კალათები ამ მხარეში ე. წ. ველურების მიერ გაკეთებულთაგან საუკეთესოა.

მიუხედავად ამისა, ისინი კაციჭამიები არიან!

როგორ ავხსნათ ეს?

ამის შესახებ მხოლოდ ერთს ვიტყვი. შევადარებდი ამას აღორძინების ეპოქის ზნეობის დონეს. აღორძინების ხანაში ეთიკური ძალა გამოიხატებოდა ზნეობის ყველა კანონის კრახში. მხატვრულობის ძლიერი, თავისუფალი გრძნობით დაჯილდოებულმა ადამიანებმა, რომლებიც განთავისუფლდნენ ხელოვნებაში ყველანაირი შაბლონისაკენ, მოიშორეს ზნეობის უღელიც და მკვლელობის, მოტაცების, ძარცვისა და ვერაგობის სფეროში მიაღწიეს დიდ წარმატებას, თუკი რაიმე მიზნისათვის იყო ეს საჭირო. ასეთია ეთიკური ძალის ქმედითი მონაწილეობა ეთიკური განთავისუფლების პროცესში.

ალბათ ამის მსგავსი რამ ხდებოდა აფრიკელ ველურებში, შავი მატერიკის ამ დიდებულ ქმნილებებში—ეთიკური ძალის ასეთივე ქმედითი მონაწილეობა მეფეების—მუნზისა და გაპეჩის კანიბალურ ნადიმებში არის რაღაც საშინელი და მთელ ამ საზიზღრობაში რაღაც დიდებული.

მე მგონია, რომ ამ კანიბალიზმში მოიპოვება ზოგიერთი ისტორიული დოკუმენტიც. თუ ვარაუდი სწორია, რომ კანიბალიზმს უნდა შევხედოთ არა მარტო როგორც გაველურებული ადამიანების დანაშაულებრივ ჩვეულებას, არამედ ზოგჯერ როგორც ეთიკური აღმატებულებისა და მეომართა უკიდურესი თავაწყვეტილობის სიმპტომს, მაშინ უნდა დავაკავშიროთ იგი .სოლარული მსოფლმხედველობის პირველი ეპოქის ადამიანთა სისხლიან მსხვერპლთან, გადავხედოთ დედამიწას და დავუსვათ კითხვა საკუთარ თავს ამ .მოვლენათა კავშირის შესახებ და პასუხი იქნება საოცარი:

დედამიწაზე დადგა დრო უდიდესი სოლარული იდეების დაბადებისა, მითოლოგიის უმაღლესი აყვავების დრო, სწორედ ის დრო, როცა მომქრალ, გაწითლებულ ჩამავალ მზესთან მიაქვთ სამსხვერპლოზე ადამიანთა სისხლი, დრო, როდესაც აღმართება ქვის გამოსახულებები, .დრო, როდესაც პირველ ქსოვილს იხვევს ადამიანი ტანზე, დრო პირველი მშვენიერი მხატვრული ღირებულების მქონე ნაწარმოებებით ტკბობისა, სწორედ ის დრო, როდესაც ძლიერ

ხალხებზე ბატონობენ ძლიერი მეუფენი, როცა ადამიანები ბრგუნავენ ერთმანეთს და ძალაუფლების ველური ვნება გადაიზრდება კანიბალურ ნადიმებში. ეს დროა მეფე მუნზისა და გაპეჩისა.

ეს არის კაცობრიობის აღორძინების პირველი ეპოქა, პირველი ეპოქა, როდესაც ეთიკის გრძნობამ გადასძლია ყოველდღიურობის ბატონობას. ამ ეპოქის არსებობის დასამტკიცებლად შეიძლება გამოგვადგეს მუნზისა და გაპეჩის კანიბალური ნადიმები.

ფრ. გრებნერი

გრებნერი ფრიც (1877—1934) — გერმანელი ეთნოლოგი, „კულტურულ-ისტორიული სკოლის“ მამამთავარი.

თავდაპირველად ფრ. გრებნერი ისტორიკოსი-მედიევისტი იყო. მისი შეხედულებების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა ე. ბერნჰეიმის კაპიტალურმა ნაშრომმა „ისტორიული მეთოდის სახელმძღვანელო“. 900-იანი წლებიდან იგი დაინტერესდა ეთნოგრაფიით, უფრო ზუსტად პრიმიტიული კულტურების შესწავლით და შეეცადა ამ სფეროში ისტორიული მეთოდის გამოყენებას.

პირველი მოხსენება თავისი ცნობილი „კულტურული წრეების“ შესახებ მან გააკეთა 1904 წელს ბერლინის ანთროპოლოგიის, ეთნოლოგიისა, წინარეისტორიის საზოგადოების სხდომაზე; მომდევნო წელს იგი გამოქვეყნდა კიდეც ცნობილ „Zeitschrift für Ethnologie“-ში.

თავდაპირველად მან კვლევის ობიექტად აიღო ავსტრალია და ოკეანეთი და მისი მოსაზრებით აქ აღმოაჩინა 6-დან 8-მდე ცალკე, დამოუკიდებელი „კულტურული წრე“, რომელთაგან თითოეული შედგებოდა 5-დან 20-მდე კულტურის ელემენტისაგან. მათ რიცხვს ფრ. გრებნერი აკუთვნებს, როგორც მატერიალური კულტურის ფორმებს, ისე საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სულიერი კულტურის ზოგიერთ მოვლენას.

ამ მეთოდის გამოყენებით ფრ. გრებნერმა მარტო ავსტრალიასა და ოკეანეთში შემდეგი „კულტურული წრეები“, ანუ „კულტურები“ აღმოაჩინა: 1. ტასმანიური, 2. ბუმერანგის კულტურა, 3. ტოტემური, 4. ორკლასობრივი, 5. მშვილდ-ისრის მელანეზიური კულტურა, 6. პროტომელანეზიური, 7. ახალპოლინეზიური, 8. ინდონეზიური.

შემდეგში ფრ. გრებნერმა გააფართოვა თავისი მეთოდის გამოყენების არეალი და 1909 წელს „ანთროპოსში“ გამოქვეყნებულ ვრცელ სტატიაში „მშვილდ-ისრის მელანეზიური კულტურა და მისი მონათესავეობა“ — იგი შეეცადა თავისი კვლევის ჩარჩოების გაფართოებას მთელი დედამიწის მასშტაბით და „მშვილდ-ისრის მელანეზიური კულტურის ნიშნების“ აღმოჩენას ქვეყნიერების სხვადასხვა მხარეში, თვით ევროპის ჩათვლით.

1911 წელს გამოიცა ფრ. გრებნერის წიგნი „ეთნოლოგიის მეთოდი“, რომელშიც ავტორმა ზოგადისტორიული მეთოდოლოგიის ბაზას მოარგო თავისი „კულტურული წრეების“ მეთოდი. აქ მან ამოსავალ საფუძვლად გამოიყენა ე. ბერნჰაიმის „ისტორიული მეთოდის სახელმძღვანელო“, რომლის პრინციპები მიუყენა ეთნოლოგიის სფეროს. ამ წიგნში იგი დიდ ადგილს უთმობს „კულტურულ მსგავსებათა“ კრიტერიუმების დადგენას, რაც მან ესმის მსგავსი კულტურული მოვლენების ერთ ამოსავალ ფორმამდე დაყვანად. იგი გამოყოფს ასეთ კრიტერიუმს: „ფორმის კრიტერიუმი“, ე. ი. დედამიწის სხვადასხვა

გეოგრაფიულ მხარეებში მსგავსება დიდი რაოდენობის დეტალებისა კულტურულ მოვლენებში.

1928 წელს კოლექტიურ გამოცემაში „თანამედროვეობის კულტურა“ ფრ. გრებნერმა მოათავსა ვრცელი სტატია „ეთნოლოგია“, რომელშიც ყველაზე სრულად გადმოსცა თავისი შეხედულებანი და მრავალწლიანი გამოკვლევების შედეგები: იგი შეეცადა „კულტურული წრეების“ გავრცელებისათვის თვალი მიედევნებინა მთელი დედამიწის მასშტაბით. საინტერესოა, რომ თავისი სქემების განმეორებასთან ერთად, მას აქ უკვე წარმოდგენილი აქვს უფრო რეალისტური გადმოცემა კაცობრიობის კულტურის ცალკეული მხარეებისა.

მომდევნო, 1924 წელს გამოქვეყნდა ფრ. გრებნერის ახალი ნაშრომი „პრიმიტიული ხალხების მსოფლმხედველობა“, რომელშიც მოცემულია მისი ადრინდელი მშრალი სქემების დაძლევის ცდები. ამ წიგნში ფრ. გრებნერი საკითხს აყენებს სხვადასხვა ტიპის კულტურის ხალხთა ფსიქიკურ წყობასა და მსოფლმხედველობის თავისებურებათა შესახებ. ამასთანავე, აქ განხილულია არა ფიქტიური „კულტურული წრეები“, არამედ სავსებით რეალური კულტურული ტიპები: პრიმიტიული მონადირეები — ავსტრალიელები და ბუშმენები; ხალხები პატრიარქალურ-სამართლებრივი წყობით; არქტიკის ხალხები; მაღალი კულტურის ხალხები.

ცხოვრების ბოლო წლებში ფრ. გრებნერი ბელნიდან ბერლინში გადასახლდა და არაფერი დაუწერია. იქვე გარდაიცვალა 1934 წელს.

ქრესტომათიაში წარმოდგენილია ნაწყვეტი (პირველი თავი) ფრ. გრებნერის უკანასკნელი ნაშრომიდან „პრიმიტიული ხალხების მსოფლმხედველობა“. ამ ნაწყვეტში დეტალურად არის განხილული პირველყოფილ ადამიანთა მაგიური მსოფლმხედველობა ავსტრალიელებისა და ბუშმენების მაგალითზე. შეხავალ ნაწილში იგი გადმოსცემს ზოგად დასკვნებს თავის დაკვირვებათა საფუძველზე ტასმანიელთა მსოფლმხედველობის შესახებაც.

ფრ. გრებნერი ამ ნაშრომშიც მიმართავს იმავე თავისი ცნობილი „კულტურული წრეების“ გამოყოფას. მისი დასკვნით, რადგან აზროვნების და აღქმის ერთი და იგივე ფორმები ერთნაირადაა გაბატონებული განუვითარებელ, პრიმიტიულ ხალხებში, არსებობს საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ეს ფორმები ზოგადადამიანური თვისებებია და ადამიანთა მოდგმის უძველეს ხანას მიეკუთვნება.

ბიბლიოგრაფია

1) Gräbner Fr., Das Weltbild der Primitiven, München, 1924.
2) Gräbner Fr., Methode der Ethnologie Hdlb., 1911.

ლიტერატურა

1) Золотарева А. М., Фриц Гребнер, СЭ, 1, 1936.
2) Токарев С. А. История зарубежной этнографии, М., 1978, с. 144—151.

პირველყოფილ ადამიანთა მაბიური მსოფლმხედველობა*

თუ პრობლემის ამეამინდელ დასმას გავითვალისწინებთ, ბუნებრივად ჩნდება კითხვა იმ უძველესი ადამიანის მსოფლმხედველობის შესახებ, რომელიც ახლოს იდგა კაცობრიობის სათავეებთან. თან, ალბათ, კარგა ხნით უნდა დავჯერდეთ მიახლოებით ცოდნას ამის თაობაზე, რადგან ჩვენ ვერ დავიჩემებთ, რომ რომელიმე ცოცხალი ან არც თუ ისე დიდი ხნის წინათ გადაშენებული ხალხი, ე. ი. მეცნიერული ანალიზისათვის მისაწვდომი ესა თუ ის ხალხი, კაცთა მოდგმის უძველეს სურათს გვიჩვენებდეს. მართალია, შემოგვრჩა განსაცვიფრებლად ძველი, პრიმიტიული კულტურის ნაშთი სულ რაღაც ნახევარი საუკუნის წინ გამქრალ ტასმანიელთა კულტურის სახით, მაგრამ ადამიანური კულტურის საწყისები უთუოდ არც აქაა შემონახული. განა შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ თავდაპირველად ყველა ადამიანი ცხოვრობდა ტასმანიელთა პირობებში, იმათებური ცოდნითა და შეხედულებებით? ალბათ, ისინიც და მათი კულტურაც უკვე განვითარების ცალკე სახეობაა, თუნდაც ეს უკანასკნელი შედარებით დიდად არ შორდებოდეს კაცთა მოდგმის საერთო საფუძველს. ამიტომაც არის, რომ ჩვენ კარგად ვიცით ტასმანიელთა საოცრად მარტივი ტექნოლოგიური კულტურა, მაგრამ მეტისმეტად არასაკმარისია ჩვენი წარმოდგენები მათი სულიერი წყობის, მათი მსოფლმხედველობის შესახებ, რადგან გადაწყვეტილ ხედა ვერ ჩასწვდება იმას, თუ გადაშენებამდე რა სულიერი პრობლემები ამოძრავებდა მათ და თანაც არც სამეცნიერო განათლების მქონე სწავლულთა რიმე ჩანაწერებია შემორჩენილი.

საბედნიეროდ, მათი აზროვნების წესის შესახებ მოპოვებული მწირი ცნობები განეკუთვნება იმ კატეგორიებს, რომლებსაც ჩვენ მერე ვპოულობთ ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილ მომდევნო, ახალ კულტურათა წრეებში მკაფიოდ ჩამოყალიბებული სახით. და ვინაიდან აზროვნებისა და ჭვრეტის (ადექმის) ერთი და იგივე ფორმები, როგორც ჩანს, არა მარტო გაბატონებულია ყველა სხვა განუვითარებელ ხალხში, არამედ დიდ როლსაც ასრულებს, ამიტომ საკმაო საფუძველი გვაქვს, ვივარაუდოთ, რომ ისინი ქმედითია (ძალის მქონეა) ტასმანიელ ხალხშიაც და, როგორც საკმაოდ ზოგადადამიანური თვისებები, ჩვენი მოდგმის უძველეს ხანის მიეწერება.

1. ავსტრალიელნი

ხსენებული კულტურის ჯგუფი, რომელიც, კულტურათა განლაგების მხრივ, დედამიწის სამხრეთ ნაწილებში, მის განაპირა კიდეებში, ტასმანიურის შემდეგ, უფრო ახალ კულტურად ადექმება, ძირითადად შედგება ე. წ. „ძველავსტრა-

---

*. წყაროდან: Fr. Gräbner, Das Weltbild der Primitiven München, 1924, S. 14—32.

ლიური“ კულტურისაგან, რომელიც გამსაკუთრებით დამახასიათებელია დედამიწის მეხუთე ნაწილისათვის, და აფრიკის „ნეგრიტული“ კულტურისაგან, რომელიც კულტურის ასაკით პირველს შეესაბამება და ცალკეულ დეტალებშიაც ენათესავება. მათი შედარებით წმინდა, ახალზეგავლენათაგან ნაკლებად ხელყოფილი შტო გახლავთ ბუშმენების კულტურა სამხრეთაფრიკულ კალაჰარიში. ბუშმენებს კულტურის მხრივ ენათესავება შიდა აფრიკის პიგმეათა სხვადასხვა ტომები. ოღონდ ესენი და, უფრო კი, აზიელი პიგმეები უკვე საკმაოდ კარგად თავსდებიან უფრო ახალი კულტურის სფეროში, ან უახლოვდებიან ამ სფეროს. სახელდობრ, ისინი არასოდეს, ან თითქმის არასოდეს ლაპარაკობენ კულტურის საკუთარ ენაზე, რის გამოც მათი შეხედულებები და ურთიერთობები დიდი სიფრთხილით უნდა მივუსადაგოთ უძველესი კულტურის საკითხებს და, რა თქმა უნდა, მსოფლმხედველობის საკითხებსაც.

დიდი მიხვედრა არ სჭირდება იმას, რომ ზემოთ ნახსენებ კულტურათა წარმომადგენლები უმჭიდროეს კავშირში არიან ბუნებასთან. სამეურნეო თვალსაზრისით, ისინი, პირველ ყოვლისა ავსტრალიელნი, მკრეფავნი, შემგროვებელნი (ქალები) და მონადირენი (მამაკაცები) არიან: ისინი საკვებს იღებენ უშად, რასაც კი წაიწყდებიან და არ ეზიზღებათ არაფერი, თვით ჭიებიც კი. ამიტომ ითვლებიან ნომადებადაც თავიანთი სოციუმის სფეროში. ვინაიდან ისინი სრულიადაც არ ცხოვრობენ უწესრიგოდ (ეს და სამეურნეო ხასიათის დაკვირვებები ეხება ტასმანიელებსაც), გარეთ სოლიდარულად იცავენ თავიანთ მყარ გეოგრაფიულ საზღვრებს, ხოლო შიგნით, მარტივი ღონისძიებებით ამყარებენ მშვიდობას, ისინი ერთგვარ მცირე სახელმწიფოებს ქმნიან. ამ სახელმწიფოთა შიგნით ერთიანდებიან ოჯახები, ნამდვილი, ჩვენებური, პატარა ოჯახები, მტკიცე ქორწინებით შეკრულნი, მეტწილად მონოგამიურნი, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, განსაკუთრებით, სამეურნეო მოთხოვნილებათა გამო, იკვრებიან მცირე, ან დიდ საერთო ორგანიზაციებად.

ამ ავსტრალიელთა, როგორც კულტურის განსაკუთრებით დაბალი ფორმის მქონე ხალხთა, აზროვნების წესს ბევრჯერ მიუყურია მკვლევართა უურადღება. ვ. ვუნდტის ზოგად შეხედულებათა მიდევნებით, ა. ფირკანდტმა, პრიმიტიულ ხალხთა უპირატესად ასოციაციური აზროვნება დაუპირისპირა კულტურულ ხალხთა ლოგიკურ აზროვნებას. აღმოჩნდა, რომ (ამის შესახებ უკვე მოგახსენეთ), განსაკუთრებით ავსტრალიელებს ჰქონიათ პრეანიმისტური მსოფლმხედველობა, რაც უმთავრესად გამოიხატება მაგიურ რწმენასა და ჩვევებში. ბოლოს კი,ლევი-ბრიულმა ამგვარი აზროვნებისა და ჭვრეტის უნარი ნიშანდობლივად ჩათვალა ყველა პირველყოფილი ხალხისათვის.

თუმცა ლევი-ბრიული ამგვარ აზროვნებას მისტიკურს უწოდებს და ფიქრობს, რომ, მიუხედავად გრძნობისა და ნებელობის იმპულსთა დიდი როლისა, შეხედულებათა მთელ სფეროს გამსჭვალავს წარმოდგენები ზებუნებრივ ან გარებუნებრივ მოვლენათა შესახებ, რაც ამ სფეროს სპეციფიკურ-ტიპურ ნიშნებს ანიჭებს. მე მიმაჩნია, რომ ამით მცდარი ორიენტაცია ეძლევა. ყოველ შემთხვევაში, იმ ობიექტის კვლევას მაინც, რომელსაც სრულიად პრიმიტიულს ვუწოდებთ. ავსტრალიელი ბუნებრივს კი არ აღიქვამს ზებუნებრივად, არამედ, პირუკუ, ზებუნებრივი მიაჩნია ბუნებრივად. ამ მხრივ საგულისხმოა სნეულებებთან მათი მიდგომის ცნობილი წესი. სნეულებათა ბუნებისა და მიზეზების შესახებ ადგილობრივმა მკვიდრმა არაფერი იცის და მათ, როგორც სიკეთლის შემთხვევებს, განიხილავს რაღაც ჯადოქრობის ნაყოფად. მაგრამ რა სახისაა ეს ჯადოქრობა, ეს მაგია? ჩვეულებრივ, მათ ასე წარმოუდ-

გენიათ: ვიღაცას სხეულის სხეულში მაგარი საგანი ჩაუგდია და, აი, ეს საგნობრივად გაგებული მიზეზი ტკივილისა თუ სხვა რამ ცუდი შეგრძნებისა სხეულიდან უნდა იქნეს ამოგდებული. სხეულიდან გაძევება ხდება კვლავ მეტად ბუნებრივი საშუალებით, ხელის გადასმით, მასაჟით, უფრო კი, წუწნის ძეშვეობით; ბოლოს გვიჩვენებენ ძვლის ან ქვის ნატეხს, როგორც სხეულიდან ამოღებულ ბოროტმოქმედს. ასეთივე ტლანქი გაგება დასტურდება ტასმანიელებთანაც, როშლებიც, ავადმყოფობის შემთხვევაში, საკუთარ სხეულს ჭრილობებს აყენებდნენ, რადგან სწამდათ, რომ სნეულების მიზეზი, როგორც ერთგვარი მასალა (ნივთიერება), ორგანიზმიდან გამოვიდოდა სისხლთან ერთად. ჭრილობების მიყენება, ე. წ. დასერვით ტატუირება, ანუ სკარიფიცირება, ტასმანიელებთან გავრცელებული იყო, აგრეთვე, როგორც საინიციაციო ზნე-ჩვეულება იმ მიზნით, რომ ბავშვები მოზრდილებად ექციათ. ეს ჩვეულება მერე ფართოდ გავრცელდა ავსტრალიასა და სხვა პრიმიტიულ ხალხებში. ბავშვის სისუსტე, მოზრდილი კაცის ლონიერებასთან შედარებით, აქ რა-თავითვე აღიქმებოდა ერთგვარ სნეულებად, რომელიც სხეულიდან უთუოდ უნდა გამოდევნილიყო. უეჭველია, ამავე მიზანს ემსახურება, ძველავსტრალიურ კულტურაში, კბილების ჩამტვრევაც. კბილებს შორის გაჩენილი ხვრელი ასევე მიუთითებს დაჭამაკაცების ცერემონიაზე. ხოლო ავსტრალიელებს, განსაკუთრებით კი მაგიაში დახელოვნებულთ, რომ ცხვირში ლურსმნის მაგვარი ჯოხი აქვთ გაყრილი, აქ ის განზრახვა მოჩანს, რომ ამით გარედან დაუხშონ კარი საეჭვო ზემოქმედებას სხეულის განსაკუთრებით მგრძნობიარე, ღია ასოზე. კვლავ აშკარაა ტლანქი საგნობრივი აღქმა ჯადოსნური საფრთხისა, რაც მოგვიანებით თავს იჩენს სხეულის სხვა ღია ნაკვთთა მორთვა-მოკაზმვაშიაც.

ყველა ამ შემთხვევაში თალნათლივ მოჩანს გამოცდილებით შეძენილი უაღრესად მყარი ასოციაციები გარკვეულ მიზეზებსა და შედეგებს შორის, თანაც, ეს ისე მტკიცეა, რომ ამიერიდან, გამოცდილების გარეშეც, გარკვეულ შედეგთა გამოჩენისთანავე ცნობიერებაში მყისვე ჩნდება გარკვეული მიზეზობრივი კავშირები. ეს ასოციაციები, რა თქმა უნდა, არ უნდა გავიგოთ ლევი-ბრიულისებურად, თითქოს ამგვარი ასოციაციის ცალკეული შემადგენელი ნაწილები უთუოდ წინასწარ, ცალ-ცალკე იდო ცნობიერებაში. საქმე ეხება ერთიან წარმოდგენებსაც, რომელთა შემადგენელი ნაწილებიც ჯერ მყარად არიან ასოცირებულნი ერთმანეთთან და, გარკვეული ვითარების გამო, მხოლოდ შემდეგ თუ გამოეყოფიან ურთიერთს, ანალიზის შედეგად. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დამოუკიდებლად უნდა იქნეს გამორკვეული, თუ რომელ მოვლენასთან გვაქვს საქმე — პირველთან, თუ მეორესთან. ამ სფეროს მთლიანად მომცველი ცნება სწორედ ასოციაციის ცნებაა, თუ მას მეტისმეტად ვიწროდ არ განვიხილავთ. ამ გაგებით, სათანადო სულიერ-გონითი მოვლენა გადამწყვეტი სხვა მაგიური წარმოდგენებისთვისაც. ეს ეხება, სახელდობრ, პირის მოჯადოებას (Personenzauber), სადაც ასოციაციის ორივე ფორმა გარკვეულ როლს ასრულებს — ანალოგიისა და შეხების საფუძველზე. ავსტრალიელებში გავრცელებულია ჯერ კიდევ უფრო ახალ კულტურებში ხშირად დადასტურებული წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ამა თუ იმ პირის გამოსახულების ბედი თვით ამ პირს ეწევა. საგანი, რომელსაც ავსტრალიელი იყენებს მოწინააღმდეგის გამოსახატავად და რომელსაც იგი ცეცხლში წვავს, ან წყალში ალპობს, რათა ამით მტერი დაასნეულოს, ან მოკლას, საერთოდ დიდად არა ჰგავს ორიგინალს. მაგრამ ადგილობრივმა მისანმა იგი თავად აირჩია ამა თუ იმ მოწინააღმდეგის წარმომადგენლად. მის წარმოდგენაში იგი მტერია და ასოციაციაც სრულყო-

ფილია. ამ აზრით, ყოველ ნებისმიერ საგანს ძალუძს, მტერს შეენაცველოს. იმპულსური განრისხების ჟამს ჩვენ მუშტს დავარტყამთ ხოლმე მაგიდას, ან სკამს, ან რაც ხელთ მოგვხვდება იმას. მაგრამ ეს ჩვენთვის პირწმინდად გრძნობის გაძოხატვაა, ხოლო ავსტრალიელისათვის ისეთი მჭიდრო კავშირია მტრის წარმოდგენასა და გრძნობის ამგვარ გამოსახვას შორის, რომ მისთვის უსულო საგანი მტრის იდენტურია. ამიტომაც შესაძლებელია, მისნობისას ბტოული ზემოქმედება მოხდეს სათანადო ობიექტის იქ არყოფნის შემთხვევაშიაც (დაუსწრებლად). მაგალითად, სამხრეთ-აღმოსავლელი ან ცენტრალური ავსტრალიის მკვიდრი მოშორებით მყოფი მსხვერპლის მიმართულებით არპობს წვეწამახულ (წვეტიან) ძვალს ან ხის ნაჭერს და, თან, შელოცვით აჯადოებს მას, განსაკუთრებით, სიკვდილის მისთვის სასურველი სახეობის დასახელებით. მტრის უშუალო არსებობა ცნობიერებაში, რაც ვნებითაა გაძლიერებული, მისნის მოქმედებას — თავდაპირველად მაინც — უშუალო მკვლელობის სახეს აძლევს. ასეთ შემთხვევებში ზოგჯერ არსებული წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ადამიანის თმის თასმას ძალუძს ჯადოსნურ ძვალში გადაიტანოს როშელიმე მშველელის ძალა, ან ვნება, კვლავ და კვლავ მიუთითებს მათ მიერ სულიერ-გონით თვისებათა ტლანქ გააზრებაზე.

იდენტურ წარმოდგენამდე მისული ამგვარივე მჭიდრო ასოციაციები იძლევიან ანალოგიური მისნური ოპერაციების ჩატარების საშუალებას შეხების საფუძველზე. სამხრეთ-აღმოსავლეთის მკვიდრი ავსტრალიელი მტრის ხატის, ან სხვა რამ რეპრეზენტანტის მაგივრად, მისთვის ზიანის მიყენების მიზნით, იყენებს მტრის თმასაც. ან მისი სამოსის, თუნდაც ბეწვის მოსასხამის ნაჭერს. ან რაღაცას მისი საშვილიდან, ან კიდევ ძვალს, რომელიც მას დაეკარგა. გრძნეული ჯადოთი შეკრავს მტრის სხეულს, ან მის ნაფეხურში კვარცის ნაჭრებს ჩააწყობს, რომელშიაც, მისი წარმოდგენით, ერთი და იგივე კაცი მეორედ ფეხს ვეღარ ჩადგამს. განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენს ამა თუ იმ პირის (Personeuzauber) მოჯადოება იმ ადგილას, სადაც ის მოისაქმებს. დასასრულ, ფართოდაა გავრცელებული ანტიპათია საკუთარი სახელის, ან მეგობარი კაცის სახელის წარმოთქმის მიმართ, რადგან, მათი გაგებით, სახელიც პიროვნების ნაწილია და სახელით გამოწვეული გრძნება მტერზე ზემოქმედებას ახდენს.

პირის მოჯადოებისნაირი წარმოდგენები უდევს საფუძვლად ნადირობის შელოცვას. თუ მიწაზე დახატავენ სასურველი გარეული მხეცის სურათს და მას ისრით დაჩხვლეტენ. ეს ბედნიერი ნადირობის გარანტიას იძლევა. ამავე მიზანს აღწევენ ამა თუ იმ ცხოველის, ან თვით ნადირობის მომიკული წარმოდგენითაც. თუ ცხოველის ნაკვალევში ცხელ ნახშირს ჩაყრიან, ამით გამოდევნებულ ნადირს დაღლიან. აქაც ნადირობისა და ნადავლის ხელში ჩაგდების ჟინი წარმოადგენს ამ ასოციაციის სიმტკიცისა და ცხოველმყოფელობის მიზეზს. ასეთივე გააზრება ახლავს შელოცვისა და ჯადოსნობის სხვა ფორმებს. მაგალითად სამხრეთ-აღმოსავლეთში წვიმას იმით იწვევენ, რომ წყალს ღვრიან იმ მიმართულებით, საიდანაც ჩვეულებრივ წვიმის ღრუბლები მოემართებიან. დიერის ტომში მოხუცები (წყლის ნაცვლად) სისხლს ღვრიან. ღრუბლები, მათი წარმოდგენით ქვები ან წყალში გახსნილი თაბაშირია. ცენტრალურ ავსტრალიაში ჩატარებული ცერემონიების დროს, ვეგეტაციას რომ ეძღვნება და მიზნად ისახავს ცხოველებისა და მცენარეთა გამრავლებას (რაც შედარებით უფრო ახალია და ამიტომ მას მოკლედ შევეხებით), მიმიკით გამოხატავენ მრავალფეროვან სცენებს ცხოველთა და მცენარეთა ცხოვრებიდან, რადგან ყოველი ტოტემი

შეესაბამება რომელიმე ცხოველის ან მცენარის სახეობას. ისიც ხდება, რომ ამა თუ იმ საკრალურ საგანს, რომელიც კავშირშია სათანადო ბუნების მოვლენასთან, განსაკუთრებული მხრუნველობითა და სიყვარულით ეპყრობიან, ქონს უსვამენ ან წითლად ღებავენ და ა. შ. იგივე გვხვდება სამხრეთ-აღმოსავლეთშიაც, სადაც კულტურის უფრო ძველ ფორმებს ვადასტურებთ.

შორაულია ის წარმოდგენა, თითქოს ცოცხალი არსების ნაწილები, თმა, ძვლები, ქონი, ცხოვრების ნირი და ჯანმრთელობის თვისებები შეხებით გადადიოდეს. მაგალითად, ტასმანიაში ადამიანის ძვლებს ამულეტებად ხმარობდნენ, განსაკუთრებით, ავადმყოფობის დროს. ავსტრალიაში თითქმის ყველგან სჩვევიათ ადამიანის თმის გამოყენება სარტყლად ან სხვა რამ ნივთის მოსართავად. თმის ღვედი (თოკი) განსაკუთრებულ როლს ასრულებს ზოგიერთი მისნური ჩვეულების დროს. უდიდეს ფასეულობას წარმოადგენს თირკმლის ქონი, ადამიანის, ან ცხოველის სხვა ორგანოებთან შედარებით. კენგურუს ქონი დიდ ძალას აძლევს კურნაის სამისნო ნივთებს. თუ მისნობით სურთ სამაგიერო მიუზღონ ამ ტომის რომელიმე წევრის სიკვდილისათვის, ისინი მკვდრის ქონს უსვამენ სამისნო ძვალს, რითაც მას ანიჭებენ ცხოველმყოფელობის უნარს. ადამიანის, უფრო კი, ცოცხალი ადამიანის ქონი ისე დიდ როლს ასრულებს მისნობაში, რომ სხვადასხვა ტომის მისნებმა ხერხებიც კი იციან, თუ რა გზით ჩაიგდონ ხელში თავიანთი მსხვერპლის ქონი მისი სიკვდილის წინ, როგორც ჩანს, ისინი იმ აზრისა არიან, რომ ადამიანის სასიცოცხლო ძალა დამღუპველად და ამაღორძინებლად მოქმედებს ქობის (განსაკუთრებით, თირკმლის ქონის) გამოყენებით. ეს ასოციაცია თვალნათლივ ჩანს იმ მაგალითიდან, როცა ვაქელბურელ ბიუნას შეაჭამეს კუს ენა, სწრაფად რომ ამოედგა ენა. ავსტრალიაში გაკცელებული ენდოკანიბალიზმის (შინაგანი, ტომის შიგნით რომ ხდება — მთარგმნ.) ჩვეულება მომდინარეობს ერთი აზროვნების ტიპიდან. ხდება რა ამა თუ იმ საგნის რომელიმე თვისების, ვთქვათ ჰაბუკური ძალის, ჭკუისა და ა. შ., შეთვისება, უფრო ხშირად ჭამენ ყმაწვილებს, აგრეთვე მოხუც მამაკაცებსაც.

ხსენებულ შემთხვევებში ასოციაციათა სუგესტიური (სუგენსტია — ზეგავლენის მოხდენა, ნების გადატანა — მთარგმნ.) სიმტკიცე განპირობებულია ვნებიანი წადილით, ან ცხოველი სურვილით მაინც. მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ეინი ყველა მაგიურ წარმოდგენას თან ახლავს, მაგალითად, ისეთს, როცა ვოტიობალუკელის (ვოტიუბალუკის ტომის) წარმოდგენით, თუ სწორ თითს ცისარტყელასაკენ გაიშვერ, იგი მოგეკაკვება, გაგიმრუდდება. ამიტომ ვ. ვუნდტი უთუოდ მეტისმეტად შორს მიდის, როცა ამგვარი ნებელობითი ელემენტის თანამოქმედება მიაჩნია აუცილებელ წინაპირობად მითოსური აზროვნების წარმოშობისთვისაც. ის უთუოდ მართალია, როცა ამტკიცებს, რომ აქაც საქმე გვაქვს უმთავრესად ასოციაციურ მოვლენებთან. მაგრამ მითების წარმოშობის წინაპირობად გვეელინება ადგილობრივ მკვიდრთა მიერ გამოთქმული, თუმცა კი შეზღუდული მოთხოვნილება მიზეზის მოძიებისა; შეზღუდული იმიტომ, რომ იგი ვიზეზთა ჯაჭვში მხოლოდ ერთი ნაბიჯით იხევს უკან ასახსნელი მოვლენიდან და არასოდეს არ სვამს კითხვას იმის შესახებ, თუ როგორ გაჩნდა თვით ეს პირობა ან პირობათა წყება. მას თუმცა აქვს მიზეზის პოვნის მოთხოვნილება, მაგრამ არ აზროვნებს ისტორიულად. საკმაოდ გავრცელდა ის შეხედულება, რომ დღევანდელ მდგომარეობას წინ სხვა მდგომარეობა უძღოდა. რომ, მაგალითად, ადამიანს წინ უსწრებდა ცხოველი, ცხოველს კი — ადამიანი, ან ადამიანისა და ცხოველის მსგავსი რაღაც შერეული არსება, რომელმაც

შემდეგ სახე იცვალა. ხშირად იმასაც სჯერდებიან, რომ უბრალოდ ალნუსხავენ ხოლმე ასეთი გარდაქმნის ფაქტს, ხოლო როცა ამხსნელ ისტორიას ჰყვებიან, იგი ცხადად ემყარება გამოცდილებით ნანახ მოვლენებთან ასოციაციას — ან კაცის, ან ცხოველის ცხოვრებიდან.

ერთი შეხედვით გასაგებია, როცა მდინარის დინება დაპყავთ გველის ან თევზის მოძრაობაზე, ხოლო მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაინც ხმელეთის ცხოველები; მათ მოეპოვებათ არაერთი ისტორია (მოთხრობა, თქმულება, მითი), რომლებიც ხსნიან ხმელეთის ცხოველთა გარეგნობას, ან ცხოვრების ტიპს. მაგალითად, კაკადუს ან ქორის (მიმინოს) ბუმბულის წითელი ლაქები მომდინარეობს დიდი ცეცხლიდან, ნახვრეტი ვეშაპისა, საიდანაც ის წყალს ამოასხურებს — ისრის ნაჩხვლეტიდან, რომელიც მას ოდესღაც — როცა ის ჯერ კიდევ ადამიანი იყო — კეფაში მოხვედრია. ზღვის ნაპირზე მორბენალმა (strandläuter) ერთმა ჩიტმა, ჩიბუხამ (პატარა, ღონიერი ჩიტია, რუს. Окáс — მთარგმნ.) მაშინ შეიძინა თავისი სიარულის მანერა — გაიქცევა, გაჩერდება, მერე ისევ გაიქცევა, გაჩერდება, — როცა ის შეუმჩნევლად მისდევდა წყლის პატრონს (მფარველს, დარაჯს) და ჯერ გაეკიდებოდა, ხოლო როგორც კი წყლის მცველი მობრუნდებოდა, იქვე გაქვავდებოდა, რომ მას არ შეემჩნია. განა ასევე არ იქცევა თვით ტომის წევრი, ნადირობისას რომ გაქვავდება ხოლმე, თუ ნადირმა შეამჩნია? მეტად დამახასიათებელია კურნაის მკვიდრთა მონაყოლი, თითქოს თავდაპირველად მთელი წყალი დიუ ბაყაყს ჩაეყლაპოს და ქვეყანა რომ უწყლობისაგან ეხსნათ, ბაყაყი გააცინეს. ასევე, პირველყოფილ ხალხთათვის ესოდენ მნიშვნელოვანი მოვლენის — ცეცხლის — მოპოვების შესახებ, ჩვეულებრივ, მხოლოდ იმ ისტორიას ჰყვებიან, რომ ვიღაცამ იგი პირადი სარგებლობისათვის დამალა და მერე მას ძალითა და ეშმაკობით გამოსტაცეს. დროდადრო რომ სიცილს ახსენებენ, როგორც საშუალებას მეორე კაცის ყურადღების სხვა რამეზე გადასატანად, ეს ხომ შავკანიანთა ჩვეული ხრიკია.

ციური სამყაროც გამოცდილების შესაბამისადაა ახსნილი, ოღონდ არა ლოგიკური მსჯელობის გზით, არამედ, უბრალოდ, იმით, რომ რასაც ზემოთ, ცაში ხედავენ, მათს ცნობიერებაში ასოცირდება მიწაზე ნანახ მოვლენებთან. ვარსკვლავები აღიქმება ან იმ სხვა ადგილას მყოფ ადამიანებად, რომლებიც აქ, ქვეშოთ, გარდაიცვალნენ, ან მათ წვად, გიზგიზად, ანუ მათ კოლონიებად. ცალკეული ხომლიც აღიქმება ხოლმე ადამიანებად. ეს განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან გრძელდება ანტიკური მითი ორიონისა და პლეადების შესახებ: სამხრეთ ავსტრალიაში ვარსკვლავთა ეს ჯგუფი გაგებულია შვიდ გოგონად, რომლებსაც მონადირე — აქ ალდებარანი — მისდევს. ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი კონცეფციაა გადმოცემული მსოფლიო წარღვნის მითში, რომელიც თამამად შეგვიძლია მივაკუთვნოთ უძველეს ავსტრალიურ კულტურას. ძველ ავსტრალიაშიცა და სხვა პრიმიტიულ ფორმებშიც ეს მითი ცოტა სხვაგვარად არის წარმოდგენილი, ვიდრე ჩვენ ვიცით. უპირველეს ყოვლისა, საკუთრივ წარღვნას წინ უსწრებს დიდი ხანძარი, მსოფლიო ხანძარი. ამ სახით ეს მითი ფაქტიურად არის, უბრალოდ, გულუბრყვილო, ასოციაციურად დანახული ცის მითი, არსებითად, ცისკრის მითი. ადამიანები კვლავ ვარსკვლავებია, რომლებსაც ჯერ ცისკარი შემოუვლის და მერე მათ ღღის წყალნათელ ტბორში ჩაძირავს. საღამოს კვლავ აღმოხდება ზოგიერთი მათგანი და თანდათან ცას ყველანი მოეფინებიან. სავსებით სწორი არ უნდა იყოს ის მოსაზრება, თითქოს ამ მითის უძველეს ფორმას განეკუთვნებოდეს ნივ-

ში მჯდომი ადამიანისა თუ ადამიანთა წყვილის გადარჩენა, თუმცა ეს უკახასკნელი ამგვარივე აზროვნების შედეგია. მთვარის ნავი ხომ ფაქტიურად ერთადერთია, რომელიც ღამის ციდან დღეს შემორჩება და დღისითაც ხილულია. ასე რომ, ავსტრალიაში მსოფლიო წარღვნის მომვლენს აშკარა დაღი აზის მზის მითოლოგიური ფიგურისა. ერთი სრულიად ძველი კულტურის წარმოდგენით, წარღვნის მომვლენი, ოღონდ სხვაგან, ცეცხლის ქვეყანაში, მზესთან არის გაიგივებული. საგულისხმოა, თუ როგორ ასოცირდება ეს ფართოდ გავრცელებული თქმულება ლოკალურ ბუნების მოვლენებთან. მაგალითად, ვიქტორიაში, სადაც უფრო ხშირია სამხრეთული ნათება, ეს უკანასკნელი გაგებულია მუნგან-ნგაუასად, ღვთის ცეცხლად და მისი გამოჩენა კვლავ იწვევს მოსალოდნელი კატასტროფის საფრთხეს. მზეცა და მთვარეც ერთ-ერთ ასეთსავე ძველ კულტურაში, ჩვეულებრივ, პიროვნულად არის გაგებული (პერსონიფიცირებულია), როგორც წინანდელი ადამიანები, რომლებიც, რაღაც მიზეზით, ცად ამაღლდნენ. მზე საღამოობით დედამიწის ორმოში ჩაყვინთავს ხოლმე და ღამ-ღამობით, სამხრეთის შემოვლით, თავისი ამოსვლის ადგილს უბრუნდება. ეუალაის ტომში ასეთი მითია: მზე მთვარეს მისდევს, რომელმაც მზე ზიზღით უარყო (მზე გაექცა) და მზე აიძულებს ვარსკვლავებს, მთვარე შეაჩერონ (რათა ამით ახსნან მთვარის შენელება-შეყოვნება). მრავალი მითი, თავისი მიზეზობრივი კავშირების მიხედვით, მეტად უფერული, უღიმღამოა. მათ გვერდით, ავსტრალიაში, თუმცა კი იშვიათად, გვხვდება არაპერსონიფიცირებული ინტერპრეტაციებიც, როგორიცაა, მაგალითად, მონტ ელიოტისა, რომლის თანახმადაც, მზეს ბურთივით გასტყორცნიან აღმოსავლეთის ადამიანები დასავლეთის ადამიანებისაკენ. იქ, სადაც პიროვნული გაგება ჭარბობს, მაგალითად, ნარინიერის ტომში, მთვარის ფაზები განხილულია გახდომად — უზნეო ცხოვრების გამო — და გასუქებად — ღონიერი საკვების მიღების შედეგად.

ცხადი წარმოდგენა ცისა, როგორც რაღაც ჩაკეტილი, მიწაზე მდგომი (დამხობილი) ზარისა, უცხო არ არის სამხრეთ-აღმოსაველ ავსტრალიელთათვის, მაგრამ იგი ხშირად უკავშირდება ცის ზემოთ აწევის უფრო ახალ იდეას, ასე რომ, საეჭვოა, ძველავსტრალიურ კულტურას მიეკუთვნება იგი თუ არა. ყოველ შემთხვევაში, ჩაკეტილობა არ არის მთლად სერიოზულად ნაგულისხმეი; იმ მხარეს (მიღმა) ცხოვრობენ სხვა ადამიანები, ვთქვათ, მიცვალებულნი და ურთიერთობაც მათთან აშკარად არ არის გაძნელებული. ძველ ავსტრალიურ კულტურაში სამყაროს მტკიცე ჩაკეტილობის იდეა რაიმე როლს არ ასრულებს, ავსტრალიელთა მსოფლხედვისათვის. სწორედ ისაა ტიპური, რომ ცოცხლად და მყარად აქვთ წარმოდგენილი ურიცხვი დეტალი და ცალკეული მიმართებანი, თანაც, არ გვხვდება დიდი სისტემებისა და კავშირების მოაზრების მცდელობა. შეიძლება კიდევაც ითქვას, რომ ცალკეულ ობიექტზე თუ ვიმსჯელებთ, მისი ესა თუ ის თვისებები, მოქმედებანი, სხვა ობიექტებთან მიმართებანი უფრო ცხოვლად აღიბეჭდება ცნობიერებაში (ისინი ხომ პრაქტიკულადაც ახლოს არიან ადამიანთან), ვიდრე ეს ობიექტი თავის სუბსტანციაში. აკი ამის ემყარება სწორედ ასოციაციათა დაუჯერებელი სიმსუბუქე. რის თაობაზეც უკვე ჭქონდა ლაპარაკი, უმთავრესად კი, ბუნების მთავარ კატეგორიათა სრული გათეშეფა და ურთიერთგარდასვლა ადგილობრივი მკვიდრის აზროვნებაში. როგორიცაა: ადამიანი, ცხოველი, მცენარე, უსულო საგნები... ამგვარ აზროვნებაში, შეიძლება ითქვას, ადამიანური აზროვნების ორსავე უმნიშვნელოვანეს კატეგორიათა შორის, რასაც მიზეზობრივ-კაუზალური და სუბსტანციური კატეგორიები ჰქვია, პირველი მეორეზე ბევრად უფრო ქმედითია, რად-

გან ავსტრალიელის ცოდნის უმტკიცესი მონაპოვარია მიზეზობრივ წყებათა წარმოდგენები, თუნდაც ისინი მოპოვებულნი იყვნენ ანალოგიის საფუძველზე. ამის საბუთია არცთუ ისე მცირე შემთხვევები, როცა რწმენა, ჯადოთი ვარ შეკრულიო, ზემოქმედებს ძალით (სუგესტიურად) სიკვდილს იწვევს ან გადარჩენას, თუ არსებობს რწმენა ჯადოს მოხსნისაც.

ეს ტიპი აზროვნებისა, რასაც ჩვენ პირველყოფილს ვეძახით და იგი არა მარტო საკუთრივ ავსტრალიურია, არამედ უფრო ძველი კულტურის ტასმანიელებთანაც გვხვდება, მე უკვე დავასურათე დასერვით ტატუირებისა და ძვლის ამულეტების მაგალითებით. აღვნიშნე ქვების გამოყენებაც, ადამიანის ნაცვლად, მაგიური რიტუალის შესრულებისას, ოღონდ აქ მიზანია არა მოსპობა, არამედ ქვებზე უზრუნველობით იქ არმყოფთა დაცვა-პატრონობა.

დასასრულ, ის დასკვნა გამოგვაქვს, რომ პირველყოფილი ადამიანი ერთგვარად მწერის თვალით იყურება, რადგან არსებითად ცალკეულ მიმართებებს სედავს, რომელთა (ამ მიმართებათა) გაერთიანება-შეკავშირებაც მხოლოდ ასეთივე ადამიანური აღქმის ცენტრში შეღწევითაა შესაძლებელი; აი, ამ დასკვნას თითქოს ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ პრიმიტიულმა ხალხებმაც იციან უზენაეს არსებათა შესახებ, რომელთა მოქმედების სფეროც, გარკვეული აზრით, მოიცავს მთელ სამყაროს, ან ამ სამყაროს უმეტეს ნაწილს მაინც. ტასმანიელის წარმოდგენით, მიწიერ საგნებზე ძალაუფლება განაწილებულია ორ არსებას შორის (დუალისტური გაგებით): კეთილ, სამეგობროდ განწყობილსა და ბოროტ, სამტროდ განწყობილ არსებას შორის. პირველი ღღის მოთავეა, მეორე ღამის მმართველია. ერთ-ერთი ღმერთის, ვთქვათ ღამის, გაჩენა პრიმიტიულის თავში ადვილი გასაგებია. შიშის მომგვრელ მოვლენათა მიზეზები ჩისთვის საკმაოდ ცხადი არ არის მარტოოდენ მტრის გრძნეულ მოქმედებათაგან ამოსვლით. ტასმანიელთა ფანტაზია, ასევე, სხვა ავსტრალიელებისაც, აჩენს გაურკვეველ სურათებს (წარმოდგენებს) ამგვარ შემაძრწუნებელ მოვლენათა პირველმოქმედებისას. მერე ეს საშიშსახეები ლოკალიზდება წყლის ღრმულთა, კლდის ნაპრალთა, ულრან ტყეთა სახით, ან ამა თუ იმ შემზარავი ცხოველის (არსების) სახით, რომლის გარეგნობაც მათთვის უკვე ნაცნობია. მეორე მხრივ, სწორედ საფუძვლად მდებარე გრძნობის ბუნდოვანი ხასიათი იწვევს იმას, რომ ამ კითხვის ქვეშ მდგომ არსებას არა მარტო გაურკვეველ გარეგნობას მიაწერენ, არამედ — იმასაც, რომ სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული ერთი და იგივე გრძნობა ერთსა და იმავე არსებაზე დაჰყავთ, ანუ ისეთ სახეს ქმნიან, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრი „ეშმაკს“ უწოდებს, ამ ცნების სწორედ ევროპული გაგებით. ასეთია, მაგალითად, ბრევინი — ვიქტორიაში ან ციენგანიუ-ნორიკიაში—დასავლეთ ავსტრალიაში. ყველაზე შემაძრწუნებელი კი პირველყოფილი ადამიანისათვის მაინც ღამეა, სიბნელეა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ შეს ვერც აიძულებ, თავისი კოცონი მიატოვოს ჩაუქრობელი მუგუზლის გარეშე. ასეთი სულიერი განწყობილება, რომლის თანახმადაც ღამე ბოროტებაა, ხოლო ღამის ღმერთი ბოროტ ძალად არის გაგებული, გრძნობათა ამ ჯგუფიდან თუ ამოვალთ, გასაგებია, რომ მთვარეც, როგორც ღამის მეუფე, ბოროტ არსებად იქნეს აღქმული. თუმცა არ დასტურდება, რომ პირველყოფილი არსების წარმოდგენაში მთვარე ღამის ღმერთს ერწყმოდეს, რომ ბოროტი ღმერთი თავად იყოს მთვარე, მთვარის სახით გვეევლინებოდეს. საკუთრივ ავსტრალიურ კულტურაში აკი მრავალგზის იჩენს თავს გრძნობათა სხვა, უკვე ნახსენები, ჯგუფის პრიმატი, რომლის თანახმადაც, მთვარე, რომელიც უმნიშვნელოვანესია ადამიანურად გააზრებულ ღამის მნიშვნელობა

შორის, პირველ ადამიანს წარმოადგენს. ყოველ შემთხვევაში, ტასმანიელს ეპვი არ ეპარება, რომ ღმის ღმერთის ყოვლისმომცველი სახე გრძნობის ბუნდოვანი სამყაროდან მომდინარეობს. მართალია, აქ აშკარად მოჩანს ცხოველი ასოციაცია, მაგრამ მას აკლია მკაფიოდ შემოხაზული ცალკეული ფორმები, რაც ნიშანდობლივია ყოველდღიური გამოცდილების საგნებისათვის. ალბათ, არ შევცდებით, თუ ვივარაუდებთ, რომ კეთილი ღმერთის სახე თავის გაჩენას უმადლის ღმის ღმერთთან დაპირისპირებას, სახელდობრ, გრძნობის რეაქციას ღამის განწყობილებაზე, რადგან კეთილის, სასიამოვნოს, სასარგებლოს ცნება მუდამ უპირისპირდება ბოროტის, უსიამოვნოს, მავნებლის ცნებას.

ამ ორ ტასმანიურ ღვთაებაზე უფრო ყოვლისმომცველია „ყოველთა მამის“ (Allvater), ავსტრალიელთა დიდი შემოქმედის, სახე, როგორც ის გვეელინება, პირველ ყოვლისა, დედამიწის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სწორედ ტასმანიელთა შემდეგ ერთ-ერთი უძველესი კულტურის წიაღში; ესაა მუნგან-გაუასი, ბუნდიილსი. ბაიამესი, ნურუნდერესი. მის გვერდით ვხვდებით მეორე, ძლიერ, მაგრამ დაქვემდებარებულ არსებას, რომელიც მის ვაჟად (ძედ) ითვლება, უფრო ხშირად კი — ადამიანის წინაპრად. ზოგჯერ, კურნაის მსგავსად, დიდ ღმერთს ცოლი არა ჰყავს, ან ერთი ცოლი ჰყავს, ისიც უხილავი; შესაბამისად, ერთი ძე ჰყავს, უცოლოდ გაჩენილი. იგი, პირველ ყოველისა, შემოქმედია, ყოველ შემთხვევაში, ადამიანისათვის მნიშვნელოვან საგანთა პირველმიზეზია, პირველდამამზადებელია უმნიშვნელოვანესი ხელსაწყოებისა, მაგალითად, ბუმერანგისა, ჯადოქარია (მოგვია, გრძნეულია), რომლის ძალაც უნაპირო, ცის მბრძანებელია. მის შესახებ ცნობებს მამაკაცები გადასცემენ ჭაბუკებს, მათი მამაკაცებად კურთხევის საზეიმო ცერემონიალის დროს. ამ ორ-ორ დღესასწაულს ხშირად ერთად მართავენ მეზობელი ტომები. მათ საზეიმო ადგილას იწვევენ ელჩებს (კურიერების, მაცნეთა) მეშვეობით და მთელი ზეიმის მანძილზე ღვთაებრივი სიმშვიდე და კეთილგანწყობილებაა. რაც იქ ვეხვდება, ეს არის ამფიქტიონის უპრიმიტიულესი ფორმა. გარდა ამისა, მეტად საყურადღებოა ის, რომ დიდი ღმერთი აღიქმება არა მარტო ყველა საკნის შემოქმედად და მაფორმებლად (სახის მომცემად), არამედ — ტომის ზნე-ჩვეულებათა დამცველადაც, სწორედ იგია, ვისზედაც ჰყვებიან, რომ ძველად, როცა ადამიანებმა კეთილი ზნე-ჩვეები დაკარგეს (დაივიწყეს), მან დამსჯელად მსოფლიო წარღვნა და ხანძარი მოუვლინა მათ. მე უკვე ვისაუბრე ამის შესახებ, თუ რა შიშით ძრწიან დღესაც კურნაელნი სამხრეთული სინათლის გამოჩენისას და ცეცხლის ცერემონიას, რომელიც ტარდება ცენტრალურ ავსტრალიაში, ვარამუნგას ტომის მიერ, ის აზრი აქვს, რომ იგივე მოვლენა და იგივე შიში ჭაბუკებს გადასცენ, მათ ჩაუნერგონ. რაც შეეხება დიდი ღმერთის არსებასა და საზრისს, პირველად ის უნდა ითქვას, რომ მისი არსებობა საბოლოოდ აკმაყოფილებს ადგილობრივ მკვიდრთა ცხოველ მოთხოვნილებას მიზეზის მოძიებისას, მაგრამ, ალბათ, პროსიი მართალია, როცა ასეთ ეპვს გამოთქვამს: განა შესაძლებელია, რომ ისეთი აბსტრაქტული ცნება, როგორიცაა prima causa (პირველმიზეზი) გამოდგეს პრიმიტიული ადამიანების მიერ შექმნილ ეგზომ ცხოველმოსილი სახის (Gastalt) გამომწვევად? ეს უკანასკნელი რა თქმა უნდა, ზნე-ჩვეულებათა და ჯადოსნობათა ავტორიცაა (წამომწყებიცაა), რითაც ადამიანი ბუნებას ეუფლება და დღესაც მისი არსებობა განამტკიცებს კაცთა მოდგმის სიმყარეს, შემდგომობას. მე ისიც ვახსენე, რომ prima causa-ს იდეა მასში (ამ სახეში) შეგრწყა დღის მნიშვნელობა მეტად რეალურ მოვლენას.

მზე დილით კვლავ ნათლად წარმოაჩენს ყველა საგანს და, გარკვეული აზრით, ყოველ დილით ხელახლა ქმნის მათ. მზე გახლავთ ის, რომელიც ჩრდილო-დასავლეთ ავსტრალიაში ბუმერანგივით მოისვრის, გასტყორცნის მთვარეს, რათა შემდეგ იგი კვლავ უკან დაიბრუნოს. მზე გახლავთ ისიც, რომელიც — ვიქტორიაში — მთვარეს თავისი თავიდან შობს მესამე არსების ჩაურეველად. აქ საკმაოდ ნათლად მოჩანს ასოციაციათა თამაში ღვთაებათა ამ სახის აღმოცენებისას. და მაინც, იგი (მზის სახე) თავის უპირატეს მნიშვნელობას, თავის ცხოველმყოფელობას, ამ ძველ კულტურაში უმადლის მეორე ფაქტორსაც, სახელდობრ, ეთიკურს. ღმერთი უზრუნველყოფს არა მარტო ადამიანის ფიზიკურ არსებობას, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის სოციალურ არსებობას, რითაც უზრუნველყოფს საკუთარ არსებასაც.

თუ ყოველდღიური ცხოვრება, არსებობისათვის სამეურნეო ბრძოლა პირველყოფილ ადამიანს აყენებს სულ სხვადასხვა მდგომარეობაში, სრულიად სხვადასხვა წარმოდგენებისა და მიმართებების წინაშე, სოციალური არსებობა — რაც მისთვის ეთიკური არსებობის იდენტურია — დიდი მთლიანობაა, სადაც, მისი წარმოდგენით, ერთმანეთს შერწყმია ცხოვრების ყველა ცალკეული შინაარსი. რაგინდ სუსტადაც უნდა გვეჩვენებოდეს ის კავშირები, რომლებიც პირველყოფილ საზოგადოებას კრავენ, ისინი მაინც საკმაოდ მტკიცეა. თუ ინდივიდუალური არსებობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას პრიმიტიული ადამიანი სწავლობს ერთგვარი ავტომატური მიბაძვით, ერთად ცხოვრების სოციალური კანონები მას ჩაენერგება აღზრდის შთამბეჭდავი ღონისძიებების შემწეობით, ე. წ. ინიციაციის დღესასწაულებზე, რომლის ძალითაც ბიჭუნა ან ჭაბუკი მამაკაცი ხდება. ამ მიზანს აღწევენ არა მარტო ფიზიკურად, მაგიური ქმედებებით, არამედ სიფხიზლითა და მარხვით გაწვრთნილ სულს, რომელიც მზადაა შეიწოვოს ყველა შთაბეჭდილება, მამაკაცთა სამყაროს შესახებ უფრო მაღალი ცოდნის მოპოვების გზით, უპირველეს ყოვლისა, ჩაენერგება ტომში უკვე დაწესებული ზნე-ჩვეულებები, პირველ რიგში კი, მოწიწება და მორჩილება უფროს მამაკაცთა მიმართ, ანუ — სუგესცია, რომელიც თავის ძალას არ კარგავს მთელი მათი სიცოცხლის მანძილზე.

თუ ყოველივე ამას შევაჯამებთ, ასეთ სურათს მივიღებთ: ავსტრალიელთა მსოფლმხედველობა, ტასმანიელთა ჩათვლით, მოიცავს საკმაოდ ურთიერთდაუკავშირებელ, მოუწესრიგებელ ცალკეულ წარმოდგენათა და ცალკეულ მიმართებათა დიდ მასას. გამოცდილების გაღრმავება (ცოდნის განვრცობა) არსებითად ხდება ასოციაციურ პროცესთა საფუძველზე, სადაც მიზეზის მოთხოვნილება დიდ როლს ასრულებს, ხოლო ამ პროცესთა წარმოქმნის სიმსუბუქე-სიადვილე მიუთითებს სუბსტანციური კატეგორიის ნაკლებ ქმედითობაზე. თუ აქ იმპულსურ და ნებელობით მოვლენებს დიდი წვლილი მიუძღვის ასოციაციური ხატის სამყაროში, მსოფლხედვის, (weltbild) მთლიან მოაზრებაში, ერთი ან რამდენიმე კუთხით, არსებითად მონაწილეობს გარეინტელექტუალური ფაქტორები, ბუნდოვანი გრძნობები და ეთიკური მოთხოვნილებები.

ამა თუ იმ ხალხის შეხედულებები ასახავს მის ხელოვნებაში. ტასმანიელნი, რა თქმა უნდა, ნაკლებად არიან შეპყრობილნი ამგვარი საქმეებით. ერთადერთი ის არის ტატუირება და მსგავსი რამეები, რაც მიუთითებს რიტმის გრძნობის არსებობაზე; ეს გრძნობა მათს ცეკვებშიაც მოჩანს. საპირისპიროდ ამისა, მატერიაზე მცხოვრებმა ავსტრალიელებმა, გარდა ორნამენტიკისა, იცან სახვითი ხელოვნების ორი მხარე, რაც სავსებით ნათლად შეესაბამება მათი მსოფლმხედველობის ორ მთავარ მხარეს. ერთი მხარეა — განსაკუთრებით

სამხრეთ-აღმოსავლეთსა და ჩრდილო-დასავლეთ ავსტრალიაში — საყოველ-დღეო ცხოვრების ცალკეულ მოვლენათა გამოსახვა სიბრტყული ფერწერით, რომელიმე ფერადი მასალის გამოყენებით, მეტწილად — კლდეზე, გამოქვაბულებშიაც. ხატავდნენ, უმთავრესად, ცხოველებს, ადამიანებს, იარაღს და ხელსაწყოებს. ნახატები ტლანქია, მაგრამ ძალიან კარგად გადმოსცემენ, განსაკუთრებით, ცხოველთა დამახასიათებელ ნიშნებსა და მიმოხრას. ერთსა და იმავე სიბრტყეზე შესრულებული სრულიად სხვადასხვა ნახატი, როგორც წესი, არავითარ კავშირში არ არის ერთმანეთთან. ზოგჯერ ისინი ერთმანეთსაც ფარავენ. მეორე მხარეა — დიდი ღმერთის გამოსახვა ხშირად გოლიათად, ოღონდ გაძოსახულება მეტად ტლანქია, ტანის ნაკვთების უმარტივესი მინიშნებით. ზოგჯერ ის მხოლოდ ხის ღეროა გარდიგარდმო ძვლებითა (მკლავებით) და ქოჩრით. ამგვარი ფიგურები, პირველ ყოვლისა, ემსახურებიან თვალსაჩინოებას საინიციაციო დღესასწაულებში; უფრო მსუბუქი ფიგურები ზურგით დაა-ქვთ, უმეტესად, ცეკვის დროს, ჩალის თოჯინები კი, ჩრდილო-დასავლეთში, თავზე ჰყავთ შემოსმული.

2. ბუშმენები

როგორც უკვე მოგახსენეთ, მატერიკზე მცხოვრებ ავსტრალიელებს კულტურულად ენათესავებიან ბუშმენები, რომლებიც დღემდე დაეხეტებიან სამხრეთ აფრიკაში, განსაკუთრებით, კალაჰარის უკაცრიელ მხარეებში. მათი კულტურა უთუოდ ავლენს წინსვლას, მათი შავკანიანი ძმებისაგან განსხვავებით, რომლებიც აღმოსავლეთით ცხოვრობენ. ისინი უმთავრესად იარაღად ხმარობენ მშვილდს შხამიანი ისრებით. ალბათ, ამას უკავშირდება ის, რომ სამხრეთ აფრიკაში ვერ ვპოულობთ ავსტრალიურის მსგავს ისეთ იარაღს, როგორიც ზემო ნილოსის პარიების ფარია. სამაგიეროდ, სამეურნეო თუ სოციალური თვალსაზრისით, ისინი ავსტრალიელთა პოზიციაზე დგანან. აქ და იქ ერთმანეთს ემთხვევა ისეთი სამეურნეო წვრილმანები, როგორიცაა ე. წ. წყალმწოვი (წყალშქაჩი) ჭების გამოყენება გვალვების დროს. ისინი ცხოვრობენ ერთნაირ, ფუტკრის სკის მაგვარ ქოხებში. წინათ ავსტრალიელთა სრულიად განსაკუთრებულ უმაღლეს მონაპოვრად ითვლებოდა ე. წ. მაცნეს (ელჩის, კურიერის) ნაჭდევებიანი ჯოხი, რომელსაც ელჩს ატანდნენ საკრედიტაციოდ. ეს ჯოხი ახლახან აღმოაჩინეს ბუშმენებთან. საერთოდ კი, მათი მიუწვდომლობის გამო, ბუშმენთა სულიერ კულტურაზე, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა რამ ვიცით, კიდევ კარგი, რომ არსებობს მოთხრობათა კრებული ბუშმენურ ენაზე, თარგმანითურთ, რაც კარგად გვიხსნის ამ ხალხის აზროვნების სტილს; აქ არის მითოსური თქმულებები, ყოველდღიური ცხოვრების ისტორიები, სამართლის საქმეთა გარჩევა და ა. შ. მეტად საყურადღებოა ამ მოთხრობათა მთლიანი სტილი: ისინი ლაკონურად, სიტყვაძუნწად კი არ მოსჭრიან სათქმელს, არამედ დინჯად და ტაატით ჰყვებიან, ნაბიჯ-ნაბიჯ, აზრიდან აზრზე გადადიან და წინ ფრთხილად მიიწევენ. ის, რაც მათთვის უფრო მნიშვნელოვანია, რამდენჯერმე მეორდება, ან ვარიანტების სახითაა მოცემული, რაც ხელს უწყობს, მეხსიერებაში და წარმოდგენაში მათ უკეთ ჩაბეჭდვას.

სპეციფიკური შინაარსი ამეღვნებს ახლო შეხებას ავსტრალიური კულტურის უკვე გაანალიზებულ შინაარსებთან. ასოციაციის საკუთარი ფორმა იმ წესიდან მოჩანს, .რომ ბავშვებს ეკრძალებათ ტურის გულის ჭა-

მა, რათა ისინი არ გახდნენ ტურისავით მხდალები. სანადირიოდ წასულ-ნი არ ჰამენ სწრაფი, ან საერთოდ მეტად მოძრავი ცხოველის ხორცს, ვთქვათ, როგორიცაა „მხტუნავი თხის“ (spingbock) ხორცი, რადგან სისწრაფის თვისება შეიძლება ნანადირევს შეეყაროს (გადაედოს). ისიც კი საეჭვოა, რომ ამ ცხოველის ხორცს ხელით შეეხო, რადგან ნადირობისას ამავე ხელში უჭირავთ მშვილდ-ისარი. ვინაიდან აქ საქმე გვაქვს უკვე მეტად შორს წასულ წარმოდგენით ასოციაციასთან, ამიტომ ამგვარი ასოციაციის ზემოქმედება ნათლად იკვეთება ერთ აკრძალვაში. მონადირეს ეკრძალება მთვარის შეხედვა; მთვარის შეხედვას აქ აფერხებს მთელი წყება ასოციაციებისა: ჯერ ერთი, მთვარე საერთოდ არ არის კეთილი, არამედ ბოროტი არსებაა, მსგავსად ზოგიერთი ავსტრალიური წარმოდგენისა; მეორეც, თუ ნადირობისას მონადირე მთვარეს შეხედავს, ნადირი ნანადირევს შეუჭამს; მთვარეც თანდათან დაილევა, გამოიფიტება; მესამეც, მთვარის შუქი, ბუჩქებს რომ ეფინება, თხელ თაფლს ჰგავს; დაჭრილი ნადირი თაფლს დაეწაფება და მორჩება; თაფლი ძალას დაუკარგავს შესაბამისი ისრის მოქმედებას; მეოთხეც ის, რომ ნანადირევი იძენს მთვარის მაცდურებას და მონადირეს უწყალო უდაბნოში შეიტყუებს. აქ მნიშვნელოვანია ის, რომ მთვარის დასწრებას (იქ ყოფნას) ეს შედეგები არ მოჰყვეს. პირიქით, მთვარიანი ღამე ბუშმენი მონადირისათვის, ალბათ, სასიამოვნოც კია. მთავარი მხოლოდ ის არის, რომ მთვარეს არ შეხედოს და მთვარის წყეული თვისებები მასაც არ გადაედოს.

მაგიური ზემოქმედებისა ბუშმენს ისევე სჯერა, როგორც ავსტრალიელს. იგი თილისმად ატარებს სხვადასხვა ცხოველის ნაწილებს, რათა მათი თვისებები გადმოედოს, ან იგი ხიფათისაგან დაიფაროს. აქ სნეულებებიც ავსტრალიურად იკურნება. სულ რამდენიმე წელია, რაც შევიტყეთ, რომ ბუშმენებთან ვხვდებით ამა თუ იმ პირის მოჯადოებას, საკვლევი ავსტრალიურ სახეობებს. მეტად გავრცელებულია ე. წ. ბუშმენური რევოლვერი და მკირე ზომის მშვილდ-ისარი; ისინი წინათ ნაწილობრივ ითვლებოდა სიკვდილის იარაღად, თუმცა ამ მიზნით სრულიად გამოუსადეგარია; დღეს კი ვიცით, რომ ისინი იმავე ძალისა არიან, რა ძალისაც ავსტრალიელთა მაგიური ძვლებია. თუ მინიატურულ ისარს, შელოცვის თანხლებით, გაისვრიან სათანადო პირის მიმართულებით, მას გრძნეული ძალით მოუტანენ ვნებას ან სიკვდილს. დასასრულ, ამგვარი ქმედების სახით ზეტად ნიშანდობლივია სქესობრივ ცეკვათა შესრულება გოგონათა ინიციაციის დროს.

ცის მოვლენებსაც ბუშმენი ავსტრალიელის თვალით უყურებს. მაგალითად, მზის შესახებ, უბრალოდ, ამბობენ, რომ იგი ერთ დროს ბავშვებმა გასტყორცნეს ცაში. მაგრამ აზროვნების ამ ზოგად თვისებათა გვერდით ბუშმენს ისევე არ აკლია მსოფლხედვის მითოსური მწვერვალები, როგორც ავსტრალიელებს, თუმცა კაგენი არ უნდა იყოს სამხრეთ-აღმოსავლელ ავსტრალიელთა დიდი ღმერთივით ზეამაღლებული. მისი ეთიკური დანიშნულების შესახებ არაფერი ეიცით. აქ ისეა აღრეული ადამიანური და ცხოველური სამყარო, რომ კაგენი თავად გვეელინება ცხოველად (Matis scheuschreck საშუალო ზომის ცხოველია, უკანა ფეხებს მსგავლი ბარძაყები აქვს, რომ კარგად იხტუნოს—მთარგმნ.) და ცხოველებთან ღვიძლ ნათესაობაშია. მაგრამ იგი შემოქმედია, უდიდესი ჯადოქარია, ძალუძს სურვილისამებრ სახე იცვალოს, თავისი თავი კიდევაც დაშალოს და კიდევაც უცბად აღადგინოს. მას ჰყავს ერთი ვაჟი, რომელსაც პავიანები — აქ ესენი უთუოდ ვარსკვლავებია—სეცემენ; პავიანები და კაგენი მისი თვალებით ბურთს თამაშობენ. მამა ვაჟის თვალს მაინც მაღლავს, წყალში ჩა-

დებს და სამი დღის შემდეგ ვაჟი კვლავ განკურნებული აღდგება. ბურთის თამაშმა გამახსენა დედამიწის განაპირა მხარეებში მობინადრე ხალხები, რომლებიც, ასევე, მზითა და მთვარით ბურთს თამაშობენ, აგრეთვე — ჩრდილოდასავლეთ ავსტრალიელთა ღმერთი, რომელიც მთვარეს ცაზე ბუმერანგივით გასტყორცნის. ამ ისტორიის დასასრული თავისებურად სახეცვლილი წარღვნის თქმულებაა, სადაც ამ ცნობილი ჟამის სამი დღე მთვარის უხილავობას შეესატყვისება. თუმცა ცნობილია, რომ ბუშმენები თაყვანს სცემენ მზეს და მთვარეს, მაგრამ სრულიადაც არ არის გამორიცხული, რომ მზის ღმერთი კაგენი იყოს; თუ ასეა, მაშინ ხელთ გვექნება ახლებური შეხება ხსენებულ ავსტრალიურ წარმოდგენებთან.

რას ნიშნავს დიდი ღმერთის ფიგურაში ეთიკური ელემენტის უკან დახევა? ნიშნავს იგი ამ ელემენტის თავდაპირველ არქონას, თუ იგი ერთგვარად შემდგომი განვითარების ნაყოფია? ამაზე პასუხს გაგვცემს სხვა დანარჩენ კულტურათა თვალსაზრისების განხილვა. მატერიალურ კულტურაში, როგორც აღენიშნეთ, მშვილდის არსებობა — ასევე, მუსიკალური მშვილდისა — შემდგომი განვითარების ნიშანია. ამასვე ეპოულობთ ხელოვნებაშიაც. მარტივი პლასტიკური გამოსახულებების არქონა ან არცოდნა ემთხვევა მხოლოდ ხსენებული უკან დახევის ფაქტს. ბუშმენთა სახელგანთქმული გამოქვაბულთა ფერწერული ნახატები არსებითად იმავე ხასიათისაა, როგორიც ავსტრალიური, ოღონდ ისინი ბევრად უფრო ცოცხალია და ბუნების ერთგული. მათი ცნობილი ნიშნებია უფრო მკაფიო ფორმა, ცხოველთა სამყაროსაგან გადმოღებული შეფერილობა, სხეულის უფრო რთული ფორმების გადმოცემა, ეთქვათ, ზურგის მხრიდან და სხვა. ბუშმენებთან, თუმცა კი იშვიათად, ვხვდებით მთელი სცენების გამოსახვას. ხშირია ასახვა ნადირობის სცენებისა ფარშავანგებზე, აგრეთვე, ჩარების გატაცება, რაც გავრცელებულია ბუშმენთა ბანდებში, კაფრებთან (კაფრები — ბანტუს ტომებია სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრიკაში) თანმხლები შეტაკებითურთ, რაც იმას ნიშნავს, რომ საგრძნობლად მოიმატა ურთიერთკავშირში ბყოფ მოვლენათა უფრო დიდი ჯგუფების აღქმა-გაგების უნარმა, ცალკეულ ინდივიდში მაინც. ეს მდგომარეობა გადაჭრით მიგვანიშნებს ავსტრალიელთა აზროვნების წინა სტადიაზე, რომ ამგვარი ვითარება (რაც ავსტრალიაში გვხვდება) სხვა შემთხვევებშიაც უნდა ჩავთვალოთ უფრო ადრინდელად. ერთიანობის დანაზვის მზარდმა უნარმა შეძლებისდაგვარად გზა მისცა მსოფლმხედველობაში ერთიანობის ეთიკური მომენტის დასუსტება-შემცირებას, ოღონდ— არა თვით ეთიკურ-სოციალურ მოთხოვნილებათა შემცირებას, რადგან მტკიცე, ერთიანობის (სოციალობის) გრძნობა, საინიციაციო აღზრდასთან ერთად, ისევე ცოცხალია ბუშმენებში, როგორც ავსტრალიელებში.

ბრ. მალინოვსკი

მალინოვსკი ბრონისლავ კასპარ (1884—1942)—ეთნოლოგი და სოციოლოგი, ეთნოლოგიაში ფუნქციონალიზმის მამამთავარი.

ბრ. მალინოვსკი დაიბადა კრაკოვში (პოლონეთი). უმთავრესი საველე სამუშაოები ჩაატარა მელანეზიაში, ტრიბიანის კუნძულზე 1914—1918 წლებში. ამ პერიოდს განეკუთვნება და იმ დროს შეკრებილ მასალებს ეყრდნობა მისი შრომები: „The natives of Mailu", Adelaida, 1915 („მაილუს ადგილობრივი მოსახლეობა"): „Argonauts of the western. Pacific", London („წყნარი ოკეანის დასავლეთი ნაწილის არგონავტები").

მისი, როგორც ეთნოლოგიაში ფუნქციონალური სკოლის დამაარსებლის თეორიული საფუძვლები გადმოცემულია შრომებში: „A scientific theory of cultur and other esseys", London, 1944 („კულტურის მეცნიერული თეორია და სხვა ესეები"); Dinamics of culture change", London, 1945 („კულტურული ცვლილებების დინამიკა"). ფუნქციონალური თეორიის ჩამოყალიბებისას მან შემოქმედებითად გამოიყენა პრაგმატიზმისა და ფროიდიზმის მიღწევები და მონაცემები. სწორედ ფროიდიზმის ძლიერი გავლენითაა გამსჭვალული მისი ისეთი ცნობილი ნაშრომები, როგორიცაა „Sexual life of savages in Northwestern Melanesia", London, 1929 („ველურების სექსუალური ცხოვრება ჩრდილო-დასავლეთ მელანეზიაში"); „Crime and custom in savage society", London, 1926 („დანაშაული და წეს-ჩვეულებანი ველურების საზოგადოებაში") და სხვ. თავის მხრივ ბრ. მალინოვსკის შრომებმა, რომლებიც უამრავ ფაქტობრივ მასალას შეიცავენ და დაწერილია მათზე დაყრდნობით, დიდი გავლენა მოახდინა XX ს-ის I ნახევრის ინგლისურ და ამერიკულ ეთნოლოგიაზე და შექმნა მთელი მიმართულება—ფუნქციონალიზმი, რომელიც მძლავრი სამეცნიერო სკოლის სახითაა ამჟამადაც წარმოდგენილი.

ეთნოლოგიაში ფუნქციონალური მეთოდის მთავარი მოთხოვნაა ნებისმიერი ხალხის კულტურისა და ყოფის განხილვა, როგორც ერთიანი მთელის, როგორც ურთიერთდაკავშირებული ნაწილების სისტემის, სადაც ყოველი ნაწილი ასრულებს თავის გარკვეულ როლს, თავის „ფუნქციას".

თავისი სამეცნიერო შეხედულებები და სამეცნიერო მეთოდი სისტემატური ფორმით, ბრ. მალინოვსკიმ გადმოსცა შედარებით გვიან გამოქვეყნებულ ნაშრომებში, კერძოდ „კულტურის მეცნიერულ თეორიაში".

ამ მეთოდის მიხედვით, „ანთროპოლოგიის" შესწავლის ძირითად საგანს წარმოადგენს კულტურა მთელი თავისი განშტოებებით. ამ „განშტოებებში" ბრ. მალინოვსკი გულისხმობდა ფიზიკურ ანთროპოლოგიას, არქეოლოგიას, ეთნოლოგიას და საველე ეთნოგრაფიას, თვითონ კულტურის ცნებას მის შეხედულებებში აქვს ფართო, მაგრამ, ამავე დროს, საკმაოდ ზუსტი მნიშვნელობა. მისი შეხედულებით, კულტურა ბიოლოგიური მოვლენაა, იგი ეყრდნობა ბიოლო-

გიურ ბაზისს: ადამიანი არის ცხოველი და ამიტომ პირველი ამოცანა, რომელსაც იგი გადაწყვეტს — ეს არის მარტივი ბიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. მის დასაკმაყოფილებლად ადამიანი მოიპოვებს საკვებს, სითბოს, იშენებს საცხოვრებელს, იკეთებს ტანსაცმელს და ა. შ. ამით ადამიანი თავისთვის ქმნის ახალ, მეორად, მწარმოებლურ გარემოს; სწორედ ეს გარემო არის კულტურა.

ქრისტომათიაში წარმოდგენილია ნაწყვეტები ბრ. მალინოვსკის წიგნებიდან: „წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილის არგონავტები" და „ოჯახი ავსტრალიელ აბორიგენებში". თვითონ ავტორის დახასიათებით, „წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილის არგონავტების" შინაარსი შეზღუდულია—იგი ტომთა შორის გაცვლით ურთიერთობებს და რიტუალურ გაცვლას — „კულას" ეძღვნება ძირითადად, მაგრამ, „მასში ადგილი აქვს სოციალური ორგანიზაციის, მაგიის ძალის, მითოლოგიის, ფოლკლორის და არსებითად ყველა ასპექტის მუდმივ დამოწმებებს". მართლაც, ამ წიგნში გადმოცემულია დაწვრილებითი ცნობები ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე, წეს-ჩვეულებებზე, რწმენა-წარმოდგენებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ტრობიანელების კუნძულელთა ცხოვრებაში, რადგან თითოეული ამ მხარეთაგანი ასე თუ ისე დაკავშირებული აღმოჩნდა ტომთაშორის გაცვლების სისტემასთან.

მეორეა ნაწყვეტი წიგნიდან „ოჯახი ავსტრალიელ აბორიგენებში", ქრისტომათიაში წარმოდგენილია მისი ბოლო თავი, სადაც შეჯამებულია კვლევის შედეგები და მიღებული დასკვნები. კერძოდ, ავტორის მიხედვით, ავსტრალიის კონტინენტზე ტომობრივი სტრუქტურის ერთეულს ინდივიდუალური ოჯახი წარმოადგენს; ეს უკანასკნელი გულისხმობს ურთიერთობებს, როგორც ცოლსა და ქმარს შორის, ისე მშობლებსა და შვილებს შორის. ინდივიდუალური დანიშნულება გამოიხატება კავშირების მთელი სისტემით, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ოჯახებში ორ საპირისპირო (ცოლისა და ქმრის) ჯგუფებს. მნიშვნელოვანია, რომ ეს კავშირები, პირველ რიგში, განისაზღვრება ვალდებულებებით. იგი შედგება საჩუქრებისა და ნანადირევის მომარაგების მოვალეობისაგან. ბრ. მალინოვსკის დასკვნით, ინდივიდუალური ქორწინება ავსტრალიელ აბორიგენებში ახალ რამეს, ნოვაციას არ წარმოადგენს; პირიქით, იგი აქ ადრევე არსებულა და მას გააჩნია ღრმად ფესვებგადგმული ინსტიტუტი.

ბიბლიოგრაფია

1) Malinowski B., A scientific theory of culture, New-York, 1960.
2) Malinowski B., Argonauts of the Western Pacific, London, 1966.
3) Malinowski B., The Family among the australian aborigines, New-York, 1963.

ლიტერატურა

1) Токарев С. А. История зарубежной этнографий, М., 1978, с. 229—238.
2) Малиновский Б., СИЭ, т. 8.

შეჯამება და დასკვნები*

წინა გვერდების მიზანს ავსტრალიური ინდივიდუალური ოჯახის ზუსტი აღწერა წარმოადგენდა, მთავარი პრაქტიკული სიძნელე მონაცემების მეთოდოლოგიური დამუშავებაა; სხვა სიტყვებით, მასალის რაც შეიძლება სრული გამოყენება ისე, რომ სავარაუდო ელემენტები შემთხვევით არ იქნეს შემოტანილი. ჩვენ დავადგინეთ დაწყებული სამუშაოს აუცილებლობა შემდეგი ფაქტების მითითებით: 1) წინააღმდეგობრივობა, ნაკლულობა და უზუსტობა ინდივიდუალური ოჯახის აღწერისას, რომელსაც ველზე მომუშავე ეთნოგრაფები იძლევიან, და რომლებიც, ზოგჯერ, ისე შორს მიდიან, რომ ამგვარი ინსტიტუტის არსებობას უარყოფენ, რაც ეფუძნება არა დაკვირვებას, არამედ გონებაჭვრეტით დასკვნებს; 2) საკითხად დაყენებული პრობლემის ან მისი შემადგენელი ნაწილების (ქორწინება, ნათესაური სისტემა; წარმომავლობა და ა. შ.) განხილვა, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე ეთნოგრაფიულ და სოციოლოგიურ ნაშრომებში, ძირითადად ეხება აღნიშნული ინსტიტუტის ადრინდელ საფეხურებს და, როგორც წესი, მხედველობიდან რჩება მნიშვნელოვან საკითხთა მთელი წყება, რომელიც მის ფაქტიურ მოქმედებას ეხება და რომლისკენაც ყურადღების მიპყრობა წინამდებარე კვლევის მიზანს შეადგენდა. ამრიგად, აღნიშნული ეთნოლოგიური მასალის მხედველობაში მიღება, რაც ქორწინებისა და ოჯახის ისტორიას ეხება, და კერძოდ კი ავსტრალიის კონტინენტიდან, ყველა ზოგად თეორიაში ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს. რამდენადაც ავსტრალია ყველაზე უკეთაა შესწავლილი და ყველაზე დიდი ქვეყანაა პრიმიტიული რასით დასახლებულთა შორის, აქ ოჯახური ცხოვრების ფაქტების ფრთხილი გამოკვლევა იქნებოდა საჭირო; 3) როგორც ჩანს, ზუსტი გამოკვლევა ამ მიმართულებით საინტერესო იქნებოდა, როგორც ინდივიდუალური ოჯახის სწორი სოციოლოგიური განსაზღვრების მაგალითი მოცემულ საზოგადოებაში. ამისათვის ფრთხილად უნდა შეიკრიბოს და კლასიფიკაცია გაუკეთდეს მასალას, რათა ნაჩვენები იქნეს, რომელი ფაქტები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს ამ ინსტიტუტის სტრუქტურასა და ფუნქციებში.

სოციალური ფენომენების ნაჩქარევი შედარებითი კვლევა და, კერძოდ, მწერლის განწყობა, დაინახოს ყველგან ანალოგიები და იგივეობა სათანადო კრიტიკის გარეშე, ძალიან ხშირად აზვიადებს არაარსებით თვისებებს და სათანადოდ არ აფასებს არსებით ნიშნებს მოცემულ არეალში. ნებისმიერი სოციალური ინსტიტუტის ადეკვატური სურათის მისაღებად, თუნდაც ისეთი ნათლად

---

* წიგნიდან: B. Malinowski, The Family among the Australian aborigines, New-York, 1963, p. 292—304.

გამოხატული ფიზიოლოგიური ფაქტებით, როგორიცაა ინდივიდუალური ოჯახი, აუცილებელია აიხსნას მოცემული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ნიშნები, შემდეგ აუცილებელი ხდება აღნიშვნა ზოგიერთი ფაქტისა, რომელიც იმის მაჩვენებელია, რომ ინდივიდუალური ოჯახის ინსტიტუტი ღრმადაა დაკავშირებული ავსტრალიური საზოგადოების ჩვევების, რწმენისა და ფუნდამენტური ფენომენების მთელ წყებასთან, და ამის გამო იგი ღრმად ფესვებგადგმული ჩანს სოციალურ ინსტიტუტებში. სხვა სიტყვებით, ინდივიდუალური ოჯახი წარმოადგენს კარგად განსაზღვრულ, კატეგორიულ, კოლექტიური იდეების კომპლექტს. აღნიშნული მოკრძალებული ამოცანა სწორი და დეტალური აღწერისა, რომელიც საკმარისი ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე იქმნება, წარმოადგენდა წინამდებარე კვლევის მთავარ მიზანს.

პირველ რიგში რამდენიმე სიტყვა შეიძლება ითქვას პრაქტიკულ სიძნელეებზე, რომელსაც წავაწყდით მონაცემებთან დაკავშირებით, როგორც განყვრეტილ და განხილულ იქნა მეთოდოლოგიის შესახებ თავში. იქ გადმოცემული შეხედულებები, მოკლედ რომ ითქვას, შემდეგნაირი იყო: შეუძლებელია მონაყოლის გამოყენება დაუმუშავებლად და, შესაბამისად, მათ უნდა მივუდგეთ კრიტიკულად. ასევე, მონაცემებიდან დასკვნების გაკეთების დროს აუცილებელია სიფრთხილე. შედეგებმა ნათლად დაამტკიცეს ეს შეხედულებები. ასე რომ, ჩვენ ხშირად ვაწყდებოდით ბევრ უზუსტობას—მაგ., ისეთ გამოთქმებში, როგორიც არის ტომი, ტომური, თემი, ჯგუფი, ოჯახი და ყოველთვის ფრთხილად ვიყავით მათი მნიშვნელობების დადგენისას, როდესაც აბორიგენული ცხოვრების მოდელს ვეხებოდით. რიგ შემთხვევებში შეეძლით მათი რეალური მნიშვნელობის დადგენა; ზოგჯერ მონაყოლი მთლიანად ან თითქმის, გამოუსადეგარი იყო აღრევის გამო. უფრო მეტიც, ყოველი კვალიფიცირებული, განმარტებული გამოთქმა, რომელიც ცოლ-ქმრულ ქცევასა და ურთიერთობას ან სექსუალურ მორალსა და სხვ. ეხებოდა, უაღრესად არაზუსტი იყო. მთელი კვლევის მანძილზე იგრძნობოდა მონაცემის ტექსტის კრიტიკულად განხილვის აუცილებლობა.

მეორე ადგილზე ყოველთვის უნდა გაგვეანალიზებინა ინფორმაცია და დაგვესვა მთელი წყება განსაზღვრული შეკითხვებისა. ასე რომ, მაგ., ოჯახის სქესობრივი ცხოვრების კვლევისას ჩვენი პრობლემა სამ ძირითად საკითხად დავყავით და ისინი, თავის მხრივ, კვლავ ქვეთავებად. და კიდევ ერთხელ ურთიერთობები ცოლ-ქმარს შორის განხილულ იქნა სამართლებრივი თვალთახედვით (ქმრის ავტორიტეტი), ფსიქოლოგიური თვალთახედვით (ერთგულება) და მათი ფუნქციონალური ასპექტიდან (ქცევა და მოპყრობა). ურთიერთობები მშობლებსა და შვილებს შორის დაყოფილ იქნა რამდენიმე ქვესათაურად (ერთგულება, მოპყრობა, განათლება და სხვ.) და ა. შ. ზოგიერთ ამ კონკრეტულ საკითხზე შესაძლებელი გახდა გარკვეული პასუხის მოპოვება. იქ, სადაც უიმედო წინააღმდეგობრიობა იყო, ფრთხილად აღინიშნა. ამდაგვარადვე სიფრთხილით აღინიშნებოდა სანდო, მაგრამ აშკარად უჩვეულო მონაყოლი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი მთელი დანარჩენი ინფორმაციისაგანაც განსხვავდებოდა. ზოგადად, მთავარ მეთოდოლოგიურ წესს მონაცემების გამოყენებაში ერთიანი არგუმენტის კლასიფიკაცია და დასკვნის რაც შეიძლება ნათლად გაკეთება წარმოადგენდა. ამ მიზნით მთელი წყება მონათხრობებისა, რომელიც უარყოფდა ან ადასტურებდა რომელიმე შეხედულებას, ყოველთვის იყო მოცემული. მოცემული დასკვნის შესაბამისობა ავსტრალიური სოციოლოგიის კარგად დადგენილ ფაქტებთან გამოკვლეული იქნა; და experimentum erucis, ასე რეკო-

შენდებული შტაინმეტცის მიერ, მისადაგებულ იქნა შეძლებისდაგვარად. ასევე, ყურადღება მიექცა გეოგრაფიულ თვალთახედვას. სადაც კი შესაძლებელი იყო სხვაობების დადგენა წეს-ჩვეულებებში, რწმენებსა და ინსტიტუტებში, ან სადაც შესაძლებელი იყო იმის ჩვენება, რომ ამგვარი სხვაობები ლოკალიზდებოდა უფრო ფართო სივრცეში, ზომები იქნა მიღებული მის აღსანიშნავად. აშკარა შეცდომაა „ავსტრალიელი აბორიგენები“ ეთნიკურ ერთეულად ჩათვალო. თუმცა, მრავალი ზოგადი, ფუნდამენტური თვისება ოჯახური ცხოვრებისა უდავოდ ერთია (საერთო) ყველა ტომისთვის.

ინდივიდუალური ოჯახი გულისხმობს ურთიერთობებს, როგორც ცოლსა და ქმარს შორის, ასევე, მშობლებსა და შვილებს შორის[1]. ეს ორი კავშირი, აშკარად, ისე ინტიმურადაა დაკავშირებული, რომ ერთის ინდივიდუალობას შედეგად მოსდევს მეორის ინდივიდუალობა; ყოველი დამახასიათებელი ნიშანი ერთისა ფუნქციონალურ კავშირშია მეორის რომელიმე დამახასიათებელ ნიშანთან. ორივე ეს ურთიერთობა და მათი ურთიერთზე დამოკიდებულება რამდენიმე მიმართებაში იქნა შესწავლილი.

მთელი რიგი ფაქტებისა იქნა მოტანილი იმის დასამტკიცებლად, რომ ინდივიდუალური კავშირი ცოლ-ქმარს შორის უეჭველად აისახება ადგილობრივთა კოლექტიურ რწმენა-წარმოდგენებში.

ფაქტები, რომლებიც უმთავრესად დაკავშირებული იყო ცოლების შერთვასთან (ასევე დაკრძალვასა და გლოვასთან) გულისხმობდა კიდევ უფრო დეტალიზებულ რწმენა-წარმოდგენებს: მტკიცებას, რომ ქმარს გააჩნდა მთელი რიგი ინდივიდუალური უფლებებისა და მოვალეობებისა ცოლის მიმართ; სხვა სიტყვებით, რომ არსებობდა ორმხრივი პერსონალური დანიშულება ცოლ-ქმარს შორის. ზოგიერთი დეტალიდან გამომდინარე, როგორც მაგ. „ცოლის შერთვის“ („მოპოვების“) შემთხვევაში იყო, ინდივიდუალური დანიშნულების იდეა აშკარად შეიძლება შეგროვდეს. ოჯახი განასხვისებს ქალს და, ამიტომ მოგებაშია; გასხვისება ხდება ჩვილი ყრმობის ასაკში; ასე რომ, ქალთა უმრავლესობა ყოველთვის წინასწარი წილის ყრითაა დარიგებული („დანიშნული“). ინდივიდუალური დანიშნულება, ასე ვთქვათ, მუდმივი სტატუსია, რომელიც ვრცელდება არა მარტო გათხოვილ ქალებზე, არამედ ყველა ქალზე ტომში. მხოლოდ რომელიმე კაცი, რომელიც ძლიერაა შეყვარებული, იძულებულია რაიმე სასოწარმკვეთი მიზეზის გამო ფარულად გაიქცეს ქალთან ერთად ან მოიტაცოს იგი. ეს ყოველთვის დანაშაულად ითვლება და ან ისჯება, ან გამოისყიდება. მიუხედავად ამისა, ფარული გაქცევა ძალიან ხშირად გვხვდება და აქვს ლეგალიზაციის ფიქსირებული ფორმები. საქმის ასეთი ვითარება ნათლად გამოხატავს ინდივიდუალური დანიშნულების იდეას უძლიერესი და ყველაზე გარკვეული მანერით. ინდივიდუალური დანიშნულება შემდეგ გამოიხატება კავშირების მთელი სისტემით, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ოჯახთა ორ საპირისპირო ჯგუფს და განსაკუთრებით აკავშირებს ადამიანს მის მომავალ სიდედრ-სიძეებრთან.

ამ უკანასკნელ შემთხვევაში კავშირები, პირველ რიგში, შედგება ვალდებულებებისაგან, უმთავრესად საჩუქრებისა და ნანადირევით მომარაგების მოვალეობისაგან. ეს ვალდებულებანი და ფართოდ გავრცელებული წესი ქალის გაცვლისა, როგორც ჩანს, სყიდვითი ქორწინების რუდიმენტული ფორმაა. აქე-

---

[1] უფრო ვიწრო მნიშვნელობით იხმარება ამ წიგნში. „დიდი ოჯახი“ Gross Familie, ეფრო შორეულ ნათესაურ კავშირს მოიცავს.

დან გამომდინარე, კვლავ დასტურდება, რომ ინდივიდუალური საქორწინო უფლებები კარგად ცნობილი და გაცნობიერებულია. სყიდვითი ქორწინება გულისხმობს ინდივიდუალური დანიშნულების საკმაოდ კარგ ცოდნას და მაჩვენებელია იმისა, რომ იგი მეტად ღირებულია მოცემულ საზოგადოებაში. ავსტრალიაში „ცოლის ფულს“ იხდის ინდივიდი და არა ჯგუფი. ჩვენ ვპოულობთ ნიშნობისა და საქორწინო ცერემონიალის რიგ მონაცემებს, რომლებიც თავის თავში შეკავშირების უნარს ატარებენ. ასეთ ცერემონიებს ის მნიშვნელობა აქვს, რომ მის საფუძველზე არსებული რწმენა-წარმოდგენები ღრმადაა ფესვგადგმული ისეთ საზოგადოებებში, სადაც ცერემონიები არსებობს. ამ შემთხვევაში საფუძველში არსებული რწმენა-წარმოდგენებია ის აზრი, რომ ცოლი და ქმარი ერთმანეთთან მტკიცედ შეკავშირებულნი ხდებიან ცერემონიის მეშვეობით. ყველა აღნიშნული ფაქტი ძალიან მნიშვნელოვანია. ისინი მიუთითებენ არა მარტო იდეებზე ლეგალური ან არალეგალური საქორწინო კონტრაქტების შესახებ — პერსონალურ ინდივიდუალურ დანიშნულებაზე და საქორწინო უფლებებში მაღალი ღირებულების მინიჭებაზე — რომლებიც ავსტრალიაში არსებობს. მაგრამ ძალიან ძნელია მათთან ერთად გაიზიარო შეხედულება, რომ ინდივიდუალური ქორწინება ავსტრალიაში რაღაც ახალი, ინოვაციის სახისაა; ან რომ ის ადგილობრივთა მიერ განიხილებოდა, როგორც რაღაცა, რაც ამორალურია, უკანონოა, ჯგუფის ინდივიდის უფლებების ხელყოფაა; ან ის, რომ ეს რაღაც უმნიშვნელოა, მეორეხარისხოვანია, უბრალოდ დროებითია.

პირიქით, როგორც ჩვენ აღმოვაჩინეთ, იგი არსებულია, მას გააჩნია ღრმად ფესვებგადგმული ინსტიტუტი. ყველა აღნიშნული დასკვნა, ასევე, დამოუკიდებლად კეთდება საშგლოვიარო წეს-ჩვეულებების ზოგადი თვისებებიდან და რიგი დეტალებიდან გამომდინარე. ასე რომ, აღნიშნული წეს-ჩვეულებების განხილვამ დამატებითი საბუთი მოგვცა იმისა, რომ საქორწინო კავშირები ძალიან ძლიერად ითვლება, და რომ ქორწინების ინსტიტუტი წარმოადგენს განსაზღვრული კოლექტიური რწმენა-წარმოდგენების საგანს, შესაბამისად იგი მტკიცედ ეფუძნება სოციალურ ორგანიზაციას. მას სოციალური სანქცია გააჩნია და საკმარისად მუდმივია.

აღნიშნული ფაქტები საკმარისია ქორწილისა და ცოლის მიმართ ქმრის ინდივიდუალური უფლებების ფორმალურად განსასაზღვრავად.

ამ განსაზღვრებისათვის სრული კონტექსტის მისაცემად და მის უფრო დეტალურად დასახასიათებლად, ერთი მხრივ, უნდა გამოვიკვლიოთ მეუღლეთა ერთმანეთთან ქცევის ზოგადი ხასიათი და გრძნობები, რომელზეც ეს ქცევა მიუთითებს. მეორე მხრივ, საჭიროა განისაზღვროს აღნიშნული კოლექტიური რწმენა-წარმოდგენები, რომლებიც გამოხატავენ ამ ურთიერთობებს მისი ლეგალური ასპექტით. თუმცა, ეს გარკვეულ სირთულეებს ქმნის ცოლ-ქმრული ურთიერთობის ემოციური მხარის განსაზღვრებისას. შედეგები საკმაოდ უარყოფითი აღმოჩნდა; როგორც გაირკვა, ჩვენ ვერ მივიღებთ ვერანაირ უკიდურეს შეხედულებას—ვერც ცუდი მოპყრობისას, ან სიყვარულის სურვილისას და ვერც საპირისპირო აზრს, რომ ურთიერთობები იდეალური ხასიათისაა. ზოგადად გრძნობათა ბუნებრივი სიმრავლის მხედველობაში მიღებით, როგორც ეტყობა, ერთგულებაზე გრძნობათა უპირატესობა კანონს წარმოადგენს. მეტი გარკვეულობისაა შედეგები, რომლებიც მიიღწევა ცოლის მიმართ ქმრის ფაქტობრივი უფლებების მეშვეობით. მისი ავტორიტეტი უკიდურესად იზღუდება მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში და ძნელია იმის თქმა, ვინ ჩაერიოდა მასში და როგორი იქნებოდა ამგვარი ჩარევის ლეგალური ფორმა.

ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ავსტრალიაში ქალებისადმი დამოკიდებულება უფრო მეტად პირადი გრძნობებით განისაზღვრება, ვიდრე ლეგალური ნორმებით და რომ ეს უკანასკნელი ქალს მხოლოდ იცავს უკიდურესად ცუდი მოპყრობის შემთხვევაში. პირად გრძნობებთან დაკავშირებით ნათქვამის მიხედვით, როგორც ჩანს, ქალებისადმი მოპყრობა ისეთი უხეში არ ყოფილა, როგორც ჩვეულებრივად ითვლებოდა. ქმრის სექსუალური უფლებები უფრო იმ აზრით უნდა იქნეს გაგებული, რომ ქმარი თავისი ცოლის შესაკუთრეა და დროდადრო შეუძლია მბრძანებლობდეს მასზე, არა მარტო სექსუალური დაშვების აზრით. უბიწოების იდეა არ არსებობს და, შესაბამისად, ეჭვიანობაც არ არსებობს იმ აზრით, როგორც ჩვენს საზოგადოებაშია მიღებული.

მაგრამ იგი არსებობს იმ იდეებისა და გრძნობების ფორმით, რაც ამტკიცებს ქმრის მხრიდან გარკვეული კონტროლის უფლებას საკუთარ ცოლზე და ადგილობრივნი ძლიერ კიცხავენ რაიმე დარღვევას ქმრის თანხმობისა და წესჩვეულების სანქციის გარეშე. ყოველგვარი სექსუალური ურთიერთობა რეგულირდება და ექვემდებარება მკაცრ კანონებს. შესაბამისად, რწმენა-წარმოდგენები იმის შესახებ, თუ რა არის მართებული და რა არა, სექსუალურ საკითხებში საკმაოდ კარგადაა განსაზღვრული. სხვა სიტყვებით, არსებობს მეტ-ნაკლებად განსაზღვრული კოდი სექსუალური მორალისა, რომელსაც საკუთარი ასპექტი გააჩნია, რამდენადაც მისი საწინააღმდეგო დანაშაული ისჯება საზოგადოების მიერ რეგულირებული გზით.

ინდივიდუალურ ქორწინებასა და ინდივიდუალურ ოჯახთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ინსტიტუტების ინდივიდუალური ხასიათი არ აქცენტირდება, პირველ რიგში სექსუალური უფლებების გამონაკლისობით. სექსუალურ პრობლემებთან დაკავშირებით ექსკურსი გაკეთდა pirraru-ს ჩვეულებებზე, რათა დამტკიცებულიყო, რომ ურთიერთობას, რომელიც აქაა ჩართული, საქორწინო თვისებები არ გააჩნია, რამდენადაც იგი თითქმის ყველა არსებით საკითხში სრულიად განსხვავდება ავსტრალიელთა ქორწინებისაგან. გარდა ამისა, pirraru-ს ურთიერთობები, როგორც ჩანს, არ მოიცავს ოჯახური ცხოვრების ფაქტებს, მისი ზუსტი გაგებით.

იმისათვის, რომ ეს უკანასკნელი დეტალურად იქნეს შესწავლილი, ე. ი. მშობლებისა და შვილების და ცოლ-ქმრული ურთიერთობებით, განვიხილეთ ოჯახის ერთეულის მიმართება ადგილობრივთა ტერიტორიულ ვანთავსებასთან. აღმოჩნდა, რომ ცხოვრების მორდელი თითოეული ოჯახის სრულ იზოლაციაზე მიუთითებს; ზოგი ტომი გაფანტულად ცხოვრობს ძალიან პატარა ჯგუფებად, 1-დან 3 ოჯახამდე საშუალოდ. სხვა ტომები უფრო ფართოდ ცხოვრობენ, მაგრამ ისინი აუცილებლად შერეული ან დაუყოფელი ჯგუფებია. იქ არსებობს ბანაკის კანონები, რომლებიც მიუთითებენ ოჯახის იზოლაციაზე ლოკალურ ჯგუფში; და ჩვეულებითი წესები ინდივიდის შესაგუებლად ოჯახში — ცეცხლის გარშემო დაბანაკების, კვების დროს და სხვ. ეს წესები და ოჯახთა იზოლაცია დასტურდება განსაკუთრებით სამხრეთ-აღმოსავლეთის ტომებში, სადაც შესაძლოა იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ ლოკალური ჯგუფები უფრო მრავალრიცხოვანია; ასე რომ, მთელ კონტინენტზე, როგორც ჩანს, ტომური სტრუქტურის ერთეულ ინდივიდუალური ოჯახი წარმოადგენს.

ოჯახის კონცეფციიდან ხანგრძლივი გადახვევის შემდეგ განხილულ იქნა ურთიერთობა ბავშვებსა და მშობლებს შორის. აღმოჩნდა, რომ ამ ურთიერთობისათვის დამახასიათებელია შვილების მიმართ მშობლის სიყვარული და ფრთ-

გულება, როგორც მამის, ასევე დედის მხრიდან. მჭიდრო კავშირი დედასა და ბავშვს შორის მყარდება პირველი მზრუნველობის—ფეხმძიმობისა და ძუძუს წოვების დროს. მამას, როგორც წესი, ასევე ძალიან უყვარს თავისი შვილები: მისი დამოკიდებულება მათთან ნამდვილად ხასიათდება ლეგალური ავტორიტეტით ან ტირანული ძალით, მაგრამ მისი სიყვარულით. მამაცა და დედაც ორივე სქესის შვილებს ეპყრობიან ძალიან ფაქიზად და აძლევენ მათ განათლების რაღაც ელემენტებს.

ყურადღება ექცევა ფაქტს, რომ შვილების მიმართ საერთო ერთგულება და დიდი სიყვარული ორივე მშობლის მხრიდან ცოლ-ქმარს შორის მყარ შემაკავშირებელ ხიდს უნდა წარმოადგენდეს. მიუხედავად ყოველივე ამისა, ოჯახის ერთეული მშობლებითა და ბავშვებით იზღუდება მოწიფულობის ასაკამდე. თუმცა კავშირები მშობლებსა და შვილებს შორის მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძელდება, მაინც მოწიფულობის მიღწევის შემდეგ ბავშვები ახალ ურთიერთობებში შედიან, რომელიც წინა ურთიერთობებს დაემატება. ეს ახალი კავშირები გოგონებისთვის გამომდინარეობს გათხოვებიდან, ბიჭებისათვის საიდუმლო საზოგადოებაში (ინიციაცია და უცოლოთა ბანაკში ცხოვრება) შესვლიდან.

ეკონომიკური ფაქტების განხილვამ აჩვენა, რომ საკმაოდ განვითარებულია სამუშაოს დაყოფა სქესის მიხედვით; რომ კაცისა და ქალის წილი ოჯახური მეურნეობის შენარჩუნებაში კარგად განსაზღვრული და განსხვავებულია. შემდგომ აღმოვაჩენთ, რომ ქალის სამუშაოს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური ერთეულის — ოჯახის — მეურნეობის არსებობისათვის.

ფაქტების ფრთხილმა შემოწმებამ გარკვეულ დასკვნებამდე მიგვიყვანა. რომლებიც შეიძლება აღინიშნოს. ასე მაგ., ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ ქორწინების განხილვისას, სექსუალური ფაქტების მნიშვნელობა არ უნდა იყოს ზედმეტად გაზვიადებული. ტომთა უმრავლესობაში სექსუალური ფაქტები, როგორც ჩანს, არ ასრულებს რაიმე როლს ნათესაური კავშირების შექმნაში. ცნება—სისხლით ნათესაობის შესახებ ამ ტომებში არ არსებობს და, ამის გამო. სექსუალური ურთიერთობა ცოლ-ქმარს შორის კარგავს თავის მთავარ ზეგავლენას ოჯახის ერთეულზე. მეორე მხრივ, სექსუალური უფლებები ქმრისა თუმცა ძალიან კარგადაა განსაზღვრული, ხშირად, ისე გადაეჯვარედინება სხვა წეს-ჩვეულებებს, რომ იგი არ უნდა გახდეს ქორწინების სოციოლოგიური განსაზღვრის ნაწილი. ოჯახური ცხოვრების ეკონომიკური საწყისები და საერთო სიყვარული ბავშვებისადმი უფრო მეტადაა ჩადებული მის საფუძველში. მთელი კვლევის დროს აქცენტი გაკეთდა ჩვენი სპეციალური პრობლემის კავშირის მნიშვნელობაზე საზოგადოების ზოგად სტრუქტურასთან. როგორც ზემოთ აღინიშნა, ყოველი დასკვნა ექვემდებარებოდა გარკვეულ ტექსტს, თუ რამდენად ეთანხმება ან ეწინააღმდეგება იგი კარგად დამკვიდრებულ ცნობილ ფაქტებს. მთავარ საკითხებს, რომელშიც მიკვლეულია ინდივიდუალური ოჯახის დამოკიდებულება სოციალური ფაქტებთან, წარმოადგენდა ინდივიდუალური ოჯახის კავშირი ტერიტორიულ და ტრიბალურ სტრუქტურასთან, (კავშირი) მოდელთან, რომელშიც მიწის მფლობელობა ზოგიერთ შემთხვევაში განსაზღვრავს ოჯახს, როგორც ერთეულს, ეკონომიკური კომუნიზმის ზეგავლენა ინდივიდუალური ოჯახის ეკონომიკაზე და სხვ. მაგრამ საშუალება, რომლითაც საზოგადოება ყველაზე უშუალოდ ზემოქმედებს ნებისმიერ ინსტიტუტზე, მრავალრიცხოვან ნორმებში ძველ, მორალში, ჩვეულებითსა

ოუ ლეგალურში, რომლის მეშვეობითაც საზოგადოება არეგულირებს მოცემული ინსტიტუტის ასპექტებს. ამგვარი სოციალური წესების მნიშვნელობას ხაზგასმით ამტკიცებს პროფ. დიურკჰეიმი: [„ყოველი ფაქტიურად სისხლით ერთიანთაგან შემდგარი ერთობა, რომელთა წევრები ერთად ცხოვრებისთვის არიან შოწყობილნი, მაგრამ ისე, რომ ნებისმიერ გარკვეულ ვალდებულებას არ იცავდნენ სხვის მიმართ და თითოეულს თავისი სურვილისამებრ შეუძლია თავისუფლად გამოსვლა მისგან, არ წარმოადგენს ოჯახს... იმისათვის, რომ იგი ოჯახი იყოს, არ არის საკმარისი სისხლით ერთიანობა. საჭიროა კიდევ, რომ უფლება-მოვალეობანი სანქცირებული იყოს საზოგადოების მიერ, რომლებიც აერთიანებენ ოჯახის წევრებს, ოჯახი არსებობს მხოლოდ სოციალური ინსტიტუტის სახით, რომელიც ერთდროულად იურიდიული და მორალურია, რომელსაც გარშემო მყოფი კოლექტივი მფარველობს".

მიუხედავად იმისა, რომ ეს აზრი აშკარად გაზვიადებულია*, იგი საკმაოდ მართებულად აკეთებს მახვილს ინდივიდუალური ოჯახის სოციალური რეგულაციის მნიშვნელობაზე**.

ამგვარი ნორმების და განსაკუთრებით კი ლეგალურობის მნიშვნელობა ნათლად გამოჩნდა წინამდებარე კვლევაში. ამ საკითხის ადეკვატურად განხილვის მიზნით, ზუსტი მნიშვნელობები კონცეფციებისა „კანონი" და „ლეგალური",

---

* რადგან „თანაცხოვრება", ერთად ცხოვრება, წარმოადგენს ოჯახის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს (პირობას). გარდა ამისა, არ შეიძლება არსებობდეს „Communauté de Fait". სოციალურ ჯგუფს არ შეუძლია იარსებოს გარშემო მყოფი საზოგადოების სანქციის გარეშე და ეს კი ქმნის ვალდებულებებს ჯგუფის წევრებს შორის.

** ჩვენ აშკარად ვერ დავეთანხმებით პროფ. დიურკჰეიმს, როდესაც იგი ამბობს ავსტრალიურ ოჯახზე: ...ავსტრალიური ოჯახი არის არა შემთხვევითი, არამედ ლეგალური ასოციაცია, რამდენადაც იგი არ ექვემდებარება ინდივიდთა ,ახირებას; იგი არც მაშინ იქმნება, როდესაც და როგორც ისინი მოისურვებენ. არსებობს ნორმები, ვალდებულება-მოვალეობანი, რომლებიც ბატონობენ მის ფორმირებაზე — სანამ იგი არსებობს და მაშინაც კი, როცა იგი იშლება ბუნებრივი მიზეზით, ისეთით, როგორიცაა მაგ., ქმრის გარდაცვალება. ყველ ეს ნორმა, ვალდებულება და მოვალეობა ლეგალურია (შდრ. ლეგალურის დეფინიციას, გვ. 11), რამდენადაც მათი აღსრულება იწვევს ,საზოგადოების ჩარევას. და ისინი პირდაპირი მაჩვენებელია, რომ საზოგადოება ამართულს ამ ინსტიტუტს. პროფ. დიურკჰეიმის მსჯელობა — რომელიც ჩამოთვლის შინაურ 4 უფლებასა და ვალდებულებას (სისხლის აღება, მემკვიდრეობის კანონი, სახელი და კულტი) და დასძენს, რომ აღნიშნული ფუნქციები მიეწერება კლანს—ძალიან სერიოზული შეკამათებისთვისაა ღია. უპირველეს ყოვლისა, ,ეჭვს იწვევს, თუ რამდენად შეადგენს აღნიშნული 4 მოვალეობა პრიმიტიული ოჯახისთვის კანონს. ეკონომიკური ფუნქციები, მოვალეობანი და კანონები, სხვადასხვაგვარი მოვალეობანი ბავშვის მიმართ, სამგლოვიარო მოვალეობანი რელიგიური ხასიათისა — ყველა ეს ლეგალური ფუნქცია, რომლებიც წარმოადგენენ ოჯახის უფლება-მოვალეობებს ჩვენს საზოგადოებაშიც კი, როგორც ნაჩვენები იყო, არსებობდა ავსტრალიაშიც. ისინი ეკუთვნიან ოჯახს და არა გვარს (კლანს). მეორე მხრივ, როდესაც სისხლია ასაღები მეორე ლოკალური ჯგუფის წევრებზე, მაშინ ის ლოკალური ჯგუფია შეურაცხყოფილი, რომელმაც სისხლის აღება უნდა განახორციელოს. შიგაჯგუფური გასამართლების შემთხვევები ძალიან მცირეა, რადგან შეიც მაგიას ყოველთვის ეძებენენ შორს და თითქმის არავითარი ინფორმაცია არ გაგვაჩნია გასამართლების შესახებ თვითონ ლოკალურ ჯგუფში. ამ თვალსაზრისით, ყველაზე ნეტი ვიცით ლოკალური ჯგუფის და არა კლანის შესახებ. მემკვიდრეობა, პირადი ქონების უმნიშვნელობიდან გამომდინარე, მეტად დამოკიდებულ როლს ასრულებს. ექვსი შემთხვევიდან რომელიც ვიცრის მიერაა შეგროვებული, 3 პიროთითებს მემკვიდრეობაზე კლასის შესაბამისად, სამი — მემკვიდრეობაზე ოჯახის შესაბამისად. როგორც ვნახეთ, მიწა არ წარმოადგენდა კლანის კუთვნილებას. პროფ. დიურკჰეიმის ლეგალური წეს-ჩვეულებიდან რჩება სახელი (გვარი) და კულტი. კულტი აშკარაა, რომ შეიძლება იყოს როგორც სახალხო, ასევე საოჯახო ინსტიტუტი; გვარი საკმარისი არაა იმის საჩვენებლად, რომ კლანი ოჯახის ერთადერთ ლეგალურ ფორმას წარმოადგენდა.

როგორითაც ისინი შეიძლება იყოს ნახმარი ავსტრალიაში, განსაზღვრულ და მოხაზულ იქნა. უფრო მეტიც, ყველა განხილულ საკითხში ვეცადეთ დაგვედგინა, იყო თუ არა რომელიმე ნორმა სანქცირებული საზოგადოების მიერ, და რა ფორმას იღებდა ეს სოციალური ზეწოლა ყოველ მოცემულ შემთხვევაში. გამოჩნდა, რომ თითქმის ყოველი მხარე ოჯახური ცხოვრების, რომელიც შორსაა იქიდან, რომ მიჰყვებოდეს თავის დინებას, მეტ-ნაკლებად ექვემდებარება მორალის ჩვეულებითი თუ ლეგალური ხასიათის გარკვეულ ნორმებს. შესაძლებელი გახდა ქორწინების ლეგალური ასპექტის დადგენა ნიშნობა-ქორწილის მოდელების გაანალიზებით და ქვრივის მოვალეობის ანალიზის შედეგად, როგორც ეს სამგლოვიარო ცერემონიებში იყო ნაჩვენები. ცოლ-ქმრულ ურთიერთობას, რომელშიც თუმცა უკანასკნელი დიდი ავტორიტეტით ხასიათდებოდა, მიუხედავად ყოველისა, გააჩნდა საკუთარი ლეგალური საფუძველი. რადგან ქმრის ავტორიტეტი, გარკვეული ხარისხით, იზღუდება გარეფაქტორებით (ტრიბალური მმართველობა, ქალის ნათესაობა) და უნდა შეეწყოს გარკვეულ ნორმებს (მას უფლება აქვს დასჯოს ცოლი გარკვეული დანაშაულისათვის გარკვეული გზით); და იგი იძენს თავის ავტორიტეტს ლეგალური გზით (ლეგალური საქორწინო კონტრაქციით— II „ნიშნობით“). სექსუალური საკითხები ზოგადად, და სექსუალური უფლებები ქმრისა, ასევე, კარგად განსაზღვრული და რეგულირებულია. ჩვეულებითი (ან ლეგალური) კანონები მართავენ ოჯახის ცხოვრების მოდელს, საკვების განაწილებას ოჯახის შიგნით, სამუშაოს დაყოფას სქესის მიხედვით, კავშირი მშობლებსა და შვილებს შორის და, კერძოდ, მშობელთა ავტორიტეტი რაიმე ლეგალური ასპექტით წამოდგენილი არ არის. მაგრამ მთლიანობაში, ავსტრალიაში ინდივიდუალური ოჯახის განსაზღვრება, როგორც ლეგალურისა, სრულიად კანონზომიერი და აუცილებელი ჩანს, რადგან ამ ინსტიტუტის მრავალი ასპექტი ექვემდებარება ლეგალურ ნორმებს. და სრულიად უმართებულო იქნებოდა, პროფ. დიურკჰეიმთან ერთად გვეწოდებინა ამ ერთეულებისათვის „agrégat de fait, sans Liens de droit, désapprouve même le plus souoent par la loi et par L'opinion“.

ავსტრალიურ სოციოლოგიაში მეორე საკითხიც დგას, რომელიც ყველაზე უშუალოდაა დაკავშირებული ინდივიდუალურ ოჯახთან. მე ვგულისხმობ ნათესაური ორგანიზაციის სხვა ფორმებს: ეგზოგამიურ კლასს, ტოტემურ კლანს, შესაძლოა, ასევე, სხვა დაყოფებსაც, რომლებიც აღწერილია ბატონ რ. ჰ. მეთიუს და მისის პარკერის მიერ („სისხლით ნათესაობა“ და „სისხლის აღება“ და ა. შ.). ამ საკითხში წინამდებარე კვლევა, აშკარად არასრულია, რამდენადაც ნათლად არ აფიქსირებს დემარკაციის ხაზს ინდივიდუალურ და ჯგუფურ ნათესაობას შორის, არც გადაწყვეტას იძლევა რომელიმე სირთულისა თუ დაპირისპირებულობის, რაც დასაწყისშივეა მინიშნებული. რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად. თუ რომელიმე საზოგადოებაში არსებობს ორი ძალიან მსგავსი ინსტიტუტი, როგორიცაა ავსტრალიაში ინდივიდუალური ოჯახი, რომელიც ინდივიდუალურ კავშირებს წარმოშობს და სხვადასხვა ნათესაური ორგანიზაციები, რომლებიც ჯგუფურ ნათესაურ სისტემას ქმნიან, ერთადერთი გზა მათი მოქმედებაში გაგებისათვის არის ყოველი მათგანის სოციალური ფუნქციების ზუსტად აღწერა. ეს გაკეთდა ინდივიდუალური ოჯახისათვის წინამდებარე გვერდებზე; ეს მომავალში უნდა გაკეთდეს ნათესაური ჯგუფებისათვის.

. სოციალური ინსტიტუტები პირველ რიგში, უნდა განისაზღვრონ თავიანთი სოციალური ფუნქციებით; თუ ტოტემური კლასის, ეგზოგამიური კლასის და

სხვა დანაყოფების ფუნქციები (რელიგიური, მაგიური, ლეგალური, ეკონომიკური და სხვ.) ცნობილი და შედარებული იქნება ინდივიდუალური ოჯახის ფუნქციებთან, გამოჩნდება, რომ თვითეულს ამ .ინსტიტუტთაგან უკავია განსაზღვრული ადგილი სოციალურ ორგანიზაციაში და განსაზღვრულ როლს ასრულებს თემის ცხოვრებაში. და ასეთი ცოდნა მისცემდა მტკიცე საფუძველს შემდგომ ვარაუდებს.

წინამდებარე კვლევაში გამოვტოვეთ პრობლემის ეს მხარე, ნაწილობრივ მონოგრაფიის მოცულობის ზრდის თავიდან ასაცილებლად, მაგრამ უფრო მეტად იმის გამო, რომ შეგვძლებოდა უფრო ნათლად გაგვეკითარებინა აღწერილი ინსტიტუტის ნიშნები.

ნაჩვენები იქნა, რომ ინდივიდუალური ოჯახი წარმოადგენს ერთეულს, რომელიც მნიშვნელოვანი ნაწილის როლს ასრულებს ადგილობრივთა სოციალურ ცხოვრებაში და რომელიც კარგად განსაზღვრული იყო მთელი რიგი მორალური, ჩვეულებითი და ლეგალური ნორმებით. უფრო ღრმადაა განსაზღვრული შრომის სქესის მიხედვით განაწილება, აბორიგენული ცხოვრების მოდელი და განსაკუთრებით ინტიმური ურთიერთობა შვილებსა და მშობლებს შორის. ინდივიდუალური ურთიერთობა ცოლ-ქმარს შორის (ქორწინება) ფესვგადგმულია ოჯახის ერთეულში, უფრო მეტიც, იგი გამოხატულია ფაქტების მთელი სერიით, რომელიც იმ მოდელებთანაა დაკავშირებული, რომელშიც ქორწილი განხორციელებული და კარგად განსაზღვრულია, თუმცა ქმარს ყოველთვის არ გააჩნია გამორჩეული სექსუალური უფლებები ცოლზე.

კულას მნიშვნელობა*

ჩვენ მივყვებოდით კულას სხვადასხვა გზასა და განშტოებას, გულდასმითა და გამოწვლილვით ვაანალიზებდით მის კანონებსა და ზნე-ჩვეულებებს, რწმენასა და პრაქტიკას და მასთან დაკავშირებულ მითოლოგიურ ტრადიციებს, ვიდრე ინფორმაციის დასასრულს მიღებულ შედეგებს შევაჯამებდით.

ახლა შორიდან შევავლოთ თვალი საკვლევ ობიექტს. ერთიანად მოვაკლოთ მზერა მთელ ინსტიტუტს, რათა გარკვეული ფორმით წარმოჩნდეს ყი ჩვენ წინაშე. ეს ფორმა გაგვაოცებს თავისი უჩვეულობით, რაღაც ისეთით, რაც ეთნოლოგიურ გამოკვლევებში დღემდე არ შეგვხვედრია. კარგი იქნებოდა, თუკი შევეცდებოდით, მისთვის ადგილი მიგვეჩინა სისტემატური ეთნოლოგიის სხვა სუბიექტებს შორის, შეგვეფასებინა მისი მნიშვნელობა, გაგვეზიარებინა, რამდენი რამ შევისწავლეთ მისი გაცნობით.

ბოლოს და ბოლოს, მეცნიერებისათვის არა აქვს მნიშვნელობა ცალკე აღებულ ფაქტებს, როგორი განსაკუთრებული და უჩვეულოც არ უნდა მოგვეჩვენოს ისინი თავისთავად. ჭეშმარიტი მეცნიერული კვლევა განსხვავდება ეშვიათობაზე უბრალო ნადირობისაგან იმით, რომ ეს უკანასკნელი ეძებს .ორიგინალურს, ერთადერთს და უცნაურს, ისწრაფვის რა სენსაციურობისა და შეგროვების მანიისაკენ, რაც ორმაგი სტიმულით საზრდოობს. მეცნიერებამ, მეორე მხრივ უნდა გააანალიზოს და დაჯგუფოს ფაქტები, რათა მათ ორგანულ მთლიანობაში მიუჩინოს ადგილი, ერთ სისტემად ჩამოაყალიბოს ისინი და რეალობის სხვადასხვა ასპექტის კლასიფიკაციას შეეცადოს.

---

* წყაროდან: B. Malinowski, Argonauts of the Western Pacific, London, 1966. p. 509—518.

მე, რასაკვირველია, არ შევუდგები მსჯელობას, ან რაიმე ჰიპოთეზური ვარაუდების დამატებას იმ ემპირიულ. მასალაზე, რომელიც წინა თავებში წარმოდგენილი. ინსტიტუტის ყველაზე უფრო ზოგად ასპექტზე მხოლოდ ცალკეული მოსაზრებებით შემოვიფარგლები და შევეცდები უფრო ნათლად გამოვხატოთ ზოგიერთი რამ, რაც აზროვნების თავისებურებად მეჩვენება კულას სხვადასხვა წეს-ჩვეულებათა სფეროში.

კულას მსგავს ფენომენზე ეს ზოგადი თვალსაზრისი, ვფიქრობ, გათვალისწინებულ უნდა იქნეს და შემოწმდეს, კულას მონათესავე საგანზე საველე მუშაობისას, აგრეთვე თეორიული კვლევის დროს. ასეთი ფორმით მან შეიძლება ნაყოფი გამოიღოს მომავალ სამეცნიერო მუშაობაში. ამრიგად, შეიძლება დავუშვათ, რომ უჩვეულო ფენომენის აღმწერის უპირატესობაა, გადასცეს ის ძომდევნო მკვლევართ განსასჯელად. თუმცა ეს უპირატესობა, ამავე დროს, მისი მოვალეობაცაა, რადგან ფაქტების უშუალო გაცნობის გარდა, თუკი მისი მოსაზრება კარგია, ის ვალდებულია თავისი ცოდნის საუკეთესო ნაწილი მკითხველს უწილადოს. ეთნოგრაფიული ფენომენის დახასიათებები და ძირითადი ასპექტები, რომლებიც ზოგად ხასიათს ატარებს, ნაკლებ ემპირიული როდია. ამიტომ, აღმწერლის ამოცანაა, საკუთარი მოსაზრება აღწერილი ინსტიტუტის შესახებ, ამოშწურავად და კომპლექსურად coup dœil დაასრულოს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კულა, გარკვეული ასპექტით, ჩანს, ეთნოლოგიური ფაქტის ახალ ტიპს წარმოადგენს. მისი სიახლე ნაწილობრივ, მისი სოციოლოგიური და გეოგრაფიული სივრცით არის განპირობებული. ტომებს შორის დიდი ნათესაობა, რომელიც აერთიანებს განსაზღვრულ სოციალურ ჯგუფებსა და ადამიანთა დიდ რაოდენობას უზარმაზარ სივრცეზე, განსაზღვრავს მათ ურთიერთლტოლვას ორმხრივი ვალდებულების საფუძველზე და აიძულებს მათ ყველაზე უმნიშვნელო წესებსა და შეხედულებებსაც კი გულდასმით მისდიონ. კულა უაღრესად რთული და დიდი ზომის სოციოლოგიური მექანიზმია, თუ მხედველობაში მივიღებთ კულტურის იმ დონეს, რომელზეც ის იმყოფება. სოციოლოგიური ურთიერთკავშირისა და კულტურული გავლენის ეს ქსელი ამჟამად არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ეფემერული, ახალი ან შემთხვევითი. მათი მაღალგანვითარებული მითოლოგია და მაგიური რიტუალი მიგვანიშნებს, თუ რა ღრმადა აქვს მას ფესვები გადგმული აბორიგენების ტრადიციაში და რა უძველესი განვითარებისა უნდა იყოს იგი.

სხვა უცნაური თავისებურებაა, თავისთავად, მორიგებათა ხასიათი, რომელიც კულას ჰეშმარიტ არსს წარმოადგენს. ნახევრად კომერციული, ნახევრად რიტუალური გაცვლა მათთვის დიდი საწადელის მიღწევას ნიშნავს — ფლობას, დასაკუთრებას. მაგრამ ესეც არ არის ჩვეულებრივი დაუფლება. იგი განსაკუთრებული ხასიათისაა, რომლის დროსაც ადამიანი ფლობს ხანმოკლე ვადით და ალტერნატიული სახით საგანთა ორი ჯგუფის ცალკეულ სახეობას. თუმცა პერმანენტულობის თვალსაზრისით, დასაკუთრება არ არის სრულყოფილი, წარმატებული; რაოდენობის თვალსაზრისით კი იგი მონაცვლეობით იზრდება და შეიძლება მას კუმულაციური ფლობა ვუწოდოთ.

სხვა დიდ, იქნებ უდიდესი მნიშვნელობის მქონე ასპექტსაც კი, რომელიც, ალბათ, საუკეთესოდ გამოხატავს კულას უჩვეულობას, წარმოადგენს ქონებრივი ხიშხებისადმი აბორიგენთა აზროვნების მიმართება. ეს უკანასკნელი არ გამოიყენება და არც განიხილება როგორც ფული ან მიმოქცევის საშუალება და ამგვარ ეკონომიკურ ინსტრუმენტებს მხოლოდ მცირედით თუ ჩამოგვანან, თუკი აქ დასაშვებია საერთოდ რაიმე მსგავსებაზე ლაპარაკი, გარდა იმისა, რომ ფულიც და

vaygu'a-ც წარმოადგენს კონდენსირებულ ქონებას, vaygua' არასოდეს არ გამოიყენება, როგორც გაცვლის საშუალება, ან როგორც ღირებულების საზომი, რაც ფულის ან მიმოქცევის ორ ყველაზე მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს. კულას ტიპის vaygu'a-ს თითოეული ელემენტის არსებობის ერთი მთავარი მიზანია ფლობა და გაცვლა. მას ერთი მთავარი ფუნქცია აკისრია და ერთ მთავარ მიზანს ემსახურება — იტრიალოს კულას გარშემო, მოიპოვებოდეს და გამოიყენებოდეს განსაზღვრული წესით, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ. გაცვლა, რომელსაც vaygu'a-ს თითოეული შემადგენელი ელემენტი მუდმივად განიცდის, განსაკუთრებული ხასიათისაა. შეზღუდულ გეოგრაფიულ სივრცეში, რომელშიც მას შეიძლება ჰქონდეს ადგილი, ადამიანთა მკაცრად განსაზღვრულ სოციალურ ფენაში, რომელშიც შეიძლება ხდებოდეს — ის არის ყოველგვარი სახის მკაცრი წესების დაცვისა და რეგულირების საგანი. მას ვერც ბარტერს ეუწოდებთ და ვერც საჩუქრების მარტივ აღებ-მიცემობას. ეს არც გაცვლითი თამაშია, ან ჩვენთვის დღემდე ცნობილი გაცვლის რაიმე სხვა სახეობა. ფაქტიურად, ეს არის კულა. სრულიად ახალი ტიპის გაცვლა და სწორედ ამ გაცვლისას ისინი იქცევიან მუდმივად სასურველი მეტოქეობის საგნად, შურის აღძვრის საშუალებად, სოციოლოგიური გამორჩეულობისა და სახელის მიმნიჭებლად და აღწევენ უდიდეს ღირებულებას. მართლაც, აბორიგენთა ცხოვრებაში ისინი ერთ-ერთი ძირითადი ინტერესის საგანს შეადგენენ და მათი კულტურის აღწერისას ერთ-ერთი მთავარი ადგილი ეთმობათ. ამრიგად, კულას ეს ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და უჩვეულო თავისებურება — უწყვეტი მიმოქცევა და ცვალებადი ღირებულება vaygu'a-ს არსს წარმოადგენს. სწორედ ამ მიმოქცევისა და გაცვლის ხასიათის გამო, მას მუდამ გააჩნია ღირებულება.

შესაძლოა, ფასეულობათა გაცვლის აქტები გარკვეულ კოდს შეესაბამებოდეს. მთავარი პრინციპიდან გამომდინარე, ნათელია, რომ მორიგება არ წარმოადგენს სავაჭრო გარიგებას. აუცილებელია, გასაცვლელი ფასეულობის ეკვივალენტურობა. მაგრამ იგი გადამხდელის შეგნების შედეგი უნდა იყოს, რასაც წეს-ჩვეულება და პირადი ღირსება განაპირობებს. რიტუალი, რომელიც მიცემის აქტს ახლავს, vaygu'a-ს ტარებისა და ხელში დაკავების მანერა გარკვევით გვიჩვენებს, რომ ეს რაღაც სხვა, ჩვეულებრივი ვაჭრობისაგან განსხვავებული რამაა. მართლაც, აბორიგენებისათვის ეს არის რაღაც ისეთი, რაც აღამაღლებს და რის გამოც მას მოწიწებითა და სიყვარულით ეპყრობიან.

მორიგების ჩვეულება ცხადყოფს, რომ vaygu'a მათ წარმოუდგენიათ არა მხოლოდ როგორც დიდი ფასეულობის ფლობა, არამედ როგორც რიტუალის შედეგად მიღებული სიამოვნება, რაც მათ ემოციურ განწყობილებას მაღლა წევს. ეს გარემოება მტკიცდება და ღრმავდება vaygu'a-ს ზოგიერთი სხვა ფუნქციის განხილვისას, სადაც სხვა ფასეულობები გამოიყენება, ისეთი, როგორიც არის kaloma-ს ქამრებისა და ქვის ფართო ნიჩბების დანიშნულება კულას სხვა ნივთებთან ერთად, ასე რომ, როდესაც ბორიტ სულს tauva'u (იხ. თავი II, ნაკვეთი VII) გველის ან ხმელეთის კიბორჩხალას სახით, სოფელში ან მის გარეთ იპოვნიან, ზოგიერთ vaygu'a-ს მათ წინ დებენ — რიტუალის ფორმით, და ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ მსხვერპლი გაიღონ საჩუქრის სახით და მოისყიდონ იგი, არამედ უფრო იმიტომ, რომ უშუალოდ იმოქმედონ მის გონებაზე, სწორი მიმართულება უჩვენონ მას და კეთილმოსურნედ აქციონ. ყოველწლიური დღესასწაულებისა და ცეკვის დროს კულა ისეთივე ფასეულია თემისათვის, როგორც პერმანენტული vaygu'a, როგორც ქვის ნიჩბები, koloma ქა-

ზარი და ologa საკიდი. ისინი გამოფენილია განსაზღვრულ ადგილზე, როგორც სულებისათვის მსხვერპლად გაღებული შესაწირი. ამ წეს-ჩვეულებასა და მის განხორციელებას yolova ეწოდება (შეად. II თავი ,VII ნაკვეთი). ამრიგად, vo-ygu'a წარმოადგენს უფრო ეფექტურ საშუალებას, რომელსაც სულს სთავაზობენ და რითაც თავიანთ გონებას სასიამოვნო გაანწყობილებას უქმნიან; „თავიანთ გონებას ხდიან კარგს", როგორც აბორიგენთა სტერეოტიპული ფრაზა მიგვანიშნებს. yolova-ში სულებისადმი შეთავაზება ხდება, რასაც გაცილებით დიდი სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, აჩრდილებად მოვლენილ მნახველებს განზრახული აქვთ წაიღონ სული ან vaygu'a კერის ნაწილი და ამით გააკეთონ tenarere თუ მას სანაპიროზე, ზუსტად ისევე როგორც კულას წვეულება გამოხატავს tenarere-ს შეძენილი ძვირფასეულობის დაუფლებისას თავიანთ კერაზე (თავი XV, ნაკვეთი IV). ყოველივე ამაში ნათლად არის გამოხატული აბორიგენთა აზროვნების დონე, რაც vaygu'a-ს წარმოგვიდგენს, როგორც უმაღლეს სიკეთეს თავისთავად და არაკონვერტირებად ქონებას, ან როგორც პოტენციურ საძკაულებს, ან თქვენ წარმოიდგინეთ, ძალაუფლების ინსტრუმენტებსაც კი. vaygua'-ს ფლობა, თავისთავად, გამაძლიერებელი, მოხერხებული, დამამშვიდებელია. ისინი უყურებენ და ხელში უჭირავთ vaygu'a საათების განმავლობაში. მისი შეხებაც კი, ამ პირობებში, ღირსების საქმეს წარმოადგენს.

ეს უფრო ნათლად არის გამოხატული სიკვდილთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებათა ანალიზისას. მომაკვდავს გარშემო და ზემოდან ადებენ ძვირფასეულობებს, რომლებიც მოაქვთ მის ნათესავებსა და მოყვრებს დროებითი სარგებლობისათვის, რათა უკან წაიღონ, როდესაც ყველაფერი დამთავრდება. თუმცაღა ადამიანის საკუთარი vaygu'a გარდაცვალების შემდეგ რაღაცა დროის მანძილზე სხეულზე რჩება (იხ. ნაკვეთი LXV). ამ წეს-ჩვეულებების სხვადასხვა გონივრული ვერსიები და გამართლებებია მითითებული. ნათქვამია, რომ ეს არის ტუპილეტის, ქვესკნელის მცველის საჩუქარი, ან კიდევ ის, რომ იგი წაღებული იქნება როგორც სული, რათა თუმაში მაღალ სოციალურ საფეხურს მიაღწიოს, ან უბრალოდ, იმიტომ ადევს ის, რომ უკანასკნელ წუთებში შეამკოს და უფრო ბედნიერი გახადოს მომაკვდავი. ეჭვი არ არის, რომ ყველა ეს რწმენა ერთმანეთის გვერდი-გვერდ არსებობს, თანაარსებობს და სწორედ რომ ზუსტად ასახავს ემოციურ მდგომარეობას, რომელიც უდევს საფუძვლად ძვირფასეულობის დამამშვიდებელ მოქმედებას. ის მიმართულია მომაკვდავისაკენ, როგორც რაღაც .სიკეთით სავსე, როგორც სასიამოვნო ქმედებაში, რაღაც ვარჯიში, ამავდროულად ნუგეშის მომნიჭებელი და გამამხნევებელი. ისინი მას ადებენ შუბლზე, ნიკაპზე, მუცელსა და ნეკნებს უზელენ მისი დახმარებით, ცხვირწინ უქანავებენ vaygu'a-ს. მე ხშირად მინახავს, თუ როგორ ხდება ეს. ფაქტიურად, მე მათ საათობით ვადევნებდი თვალს და დარწმუნებული ვარ, რომ მას საფუძვლად უდევს კომპლექსური, ემოციური და ინტელექტუალური დამოკიდებულება, სურვილი, შთაბეჭდილება მას სიცოცხლე და, ამავე დროს, სიკვდილისათვის ძოამზადონ ის, სიმტკიცე შემატონ მას და აღუურვონ იმქვეყნიური ცხოვრებისათვის.

ყველაფერთან ერთად, აქ იმის ღრმა შეგნებაა, რომ vaygu'a იმ უმაღლეს ნეტარებას წარმოადგენს, რომელიც ადამიანს თან ახლავს მისთვის ყველაზე უბედურ წუთებშიც კი, რათა ეს წუთები მისთვის ნაკლებ უბედური გახადოს. აზროვნების ისეთივე დონეა წეს-ჩვეულების საფუძველში, რომლის მიხედვითაც, ქვრივის ძმები აძლევენ vaygu'a-ს გარდაცვლილის ძმებს. იგივე vaygu'a უნდა დაუბრუნონ მათ იმავე დღეს, მაგრამ ის საკმაოდ დიდხანს ინახება, რათა ანუ-

გეშოს ისინი, ვისზეც აბორიგენთა მსგავსი იდეების თანახმად, სიკვდილი უფრო სწრაფად იმარჯვებს.

ყველაფერში იმავე ტიპის აზროვნების გამოხატულებას ვხედავთ. უსაზღვროდ დიდი შეფასება ეძლევა კონდენსირებულ ქონებას, სერიოზული, მოწიწებულია დამოკიდებულება მის მიმართ, ფიქრი და განცდა იმისა, რომ ის უმაღლესი სიკეთის წყაროს წარმოადგენს.

vaygu'a-ს სრულიად განსხვავებული ღირებულება ენიჭება, ჯიდრე იმას, რასაც ჩვენ ქონებას ვანიჭებთ. ბიბლიური სიმბოლო, ოქროს ხბო უკეთ მიესადაგება მათ დამოკიდებულებას, ვიდრე ჩვენსას. მაგრამ მაინც შევცდებოდით, თუკი ვიტყოდით, რომ ისინი ეთაყვანებიან vaygu'a-ს, რადგან ისინი არაფერს არ ეთაყვანებიან საერთოდ. vaygu'a-ს შესაძლოა ვუწოდოთ „საკულტო საგნები" იმ გაგებით, როგორც ეს კულაშია გამოხატული. სწორედ ფაქტებითა და შონაცემებით მტკიცდება, რომ აბორიგენთა ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი აქტები ის არის, რომელსაც რიტუალის სახე აქვს მიღებული.

ამდენად, რამდენიმე ასპექტით, კულა ჩვენ წინაშე ახალ ფენომენად წარმოჩნდება, რომელიც კომერციისა და რიტუალის საზღვარზე იმყოფება და აზროვნების რთულსა და საინტერესო წყობას გამოხატავს. მაგრამ უჩვეულობის ბიუხედავად, ძნელად სარწმუნოა, რომ იგი უნიკალური იყოს. რადგან საეჭვოა ვივარაუდოთ, რომ ამ საფეხურზე მდგომი სოციალური ფენომენი, ჩვეულებრივ, ასე ღრმად დაკავშირებული ადამიანური ბუნების სიღრმისეულ პლასტებთან შეიძლება მხოლოდ ნორმიდან გადახრას ან ახირებას წარმოადგენდეს, როშელიც დედამიწის მარტო ერთ ნაწილშია მიკვლეული. რადგან ერთხელ მივაკვლიეთ ახალი ტიპის ეთნოლოგიურ ფაქტს, შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ იგივე, ან მისი მსგავსი სხვაგანაც აღმოჩნდება. ჩვენი მეცნიერების ისტორიისათვის ძრავალი შემთხვევაა ცნობილი, როდესაც ისეთი ახალი ტიპის ფენომენი აღმოჩნდება, რომელიც თეორიულად უკვე დაშვებული, განსჯილი და გაანალიზებული იყო და შემდგომ მოგვიანებით იქნა მიკვლეული. tabu პოლინეზიური სიტყვაა და პოლინეზიური წეს-ჩვეულება გამოყენებულ იქნა როგორც პროტოტიპი და ეპონიმი მსგავსი წეს-ჩვეულებებისა, რომლებიც აღმოჩნდა ყველა ველურ და ბარბაროსს შორის, ისევე როგორც ცივილიზებულ რასებში. ტოტემიზმი, რომელიც პირველად ჩრდილო ამერიკის ინდიელთა ერთ ტომში აღმოჩნდა და ფრეზერის მუშაობის შედეგად იქნა დღის სინათლეზე გამოტანილი, მოგვიანებით ისე ვრცლად და სრულად იქნა ყველგან დადასტურებული, რომ მისი ადრეული მცირე ზომის წიგნის ხელახლა დაწერისას, მისმა ისტორიკოსმა უკვე ოთხ ტომამდე შეძლო მისი გავრცობა.

mana-ს კონცეფციამ, რომელიც პატარა მელანეზიურ თემში იქნა მიკვლეული, ჰუბერტისა .და მაუსის შრომებით, მარეტისა და სხვების შემწეობით, ფუნდამენტური მნიშვნელობა განიმტკიცა. და ეჭვი არ არის, რომ mana. იქნება თუ არ იქნება, იგი დასახელებულად ფიგურირებს და ფიგურირებს ვრცლად ყველა აბორიგენთა ჯადოსნურ რწმენებსა და პრაქტიკაში.

ესენია საუკეთესო, კარგად ცნობილი კლასიკური მაგალითები, რომელთა რიცხვიც, შესაძლებელია, საჭიროების შემთხვევაში, სხვების მიერ იქნეს გაზრდილი. „ტოტემის მსგავსი", „მანას მსგავსი" ან „ტაბუს მსგავსი" ფენომენი ყველა ეთნოგრაფიულ არეალში მოიძებნება, რადგან თითოეული ეს ცნება გამოხატავს ფუნდამენტურ მიმართებას ველურებისა სინამდვილისადმი.

ამგვარად, თუკი კულა უჩვეულო, მაგრამ არა ნამდვილად ახირებული ადამიანური ქმედებისა და გონებრივი წყობის ძირითადი ტიპია, შეგვიძლია იმედი

ვიქონიოთ, რომ მსგავსსა და მონათესავე ფენომენს მრავალ სხვა ეთნოგრაფიულ არეალშიც მივაკვლევთ. იქნებ სიფრთხილეც გამოვიჩინოთ იმ ეკონომიკური გარიგებებისადმი, რომელიც გამოხატავს მოწიწებასა და თაყვანისცემას იმ ძვირფასეულობათა მიმართ, რომელიც იცვლება ან რომელსაც ხელით ეხებიან და თავისთავად წარმოადგენს უცნაური სახის კუთვნილებას, დროებითს, მონაცვლეობითსა და ერთობლივს, რომელიც შეეხება ეკონომიკურ წარმოებათა სისტემების უკიდეგანოდ რთულ სოციალურ მექანიზმს, რომლის საშუალებითაც იგი ხორციელდება.

ასეთია კულას ტიპის ნახევრად ეკონომიკური, ნახევრად რიტუალური საქმიანობები; ეჭვი არ არის, ამაოა იმაზე ფიქრი, რომ ამ ინსტიტუტის ზუსტი ასლები სადმე იმავე დეტალებით, იმგვარად აღმოჩნდება, როგორიც ეს წრიული გზაა, რომელზეც ძვირფასეულობები ინაცვლებს და ის მიმართულებაა დაფიქსირებული, რომლითაც თითოეული კლასი მიემართება და მსხვერპლშეწირვისათვის განკუთვნილი საშუამავლო საჩუქრები იმყოფება. ყველა ეს ტექნიკური მხარე მნიშვნელოვანი და საინტერესოა, მაგრამ ისინი ერთი ან რომელიმე სხვა გზით შესაძლოა უკავშირდება კულას ადგილობრივ, განსაკუთრებულ პირობებს. შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ მსოფლიოს სხვა ნაწილში ჩვენ აღმოვაჩენთ კულას ძირითად იდეებს და მისი სოციალური მოწესრიგების ძირითად ზაზს და ველზე მომუშავე შესძლებს თვალი ადევნოს მათ.

თეორეტიკოსი მკვლევარი, რომელიც ძირითადად ევოლუციის პრობლემებით არის დაინტერესებული, კულამ შეიძლება მოამარაგოს ფასეულობათა და ღირებულებათა წყაროების, ვაჭრობისა და ეკონომიკური ურთიერთობების ზოგიერთი იდეით. მას აგრეთვე შეუძლია შუქი მოჰფინოს რიტუალური ცხოვრების განვითარებას, ეკონომიკური მიზნების გავლენას, ტომებს შორის ურთიერთობის ევოლუციას და პრიმიტიული ხასიათის საერთაშორისო კანონებს. მეცნიერები, რომლებიც კულტურული კონტაქტების თვალთახედვით განიხილავენ ეთნოლოგიურ პრობლემებს და საჭიროდ თვლიან ინსტიტუტების განშტოებებს, დაინტერესებულნი არიან როგორ გადაიცემა წეს-ჩვეულებები და საგნობრივი ობიექტები, ასეთი მეცნიერებისათვის კულა არანაკლებ საინტერესო უნდა იყოს. ეს არის თემისა და ტომთაშორის ურთიერთობის ახალი სახეობა, ოდნავ, მაგრამ მაინც გარკვეულწილად განსხვავებული კულტურის თვალსაზრისით. ეს არის ურთიერთობა არა ცვალებადი ან შემთხვევითი, არამედ რეგულირებული და მუდმივი. როდესაც მოიძიებენ ფაქტებს იმის ასახსნელად, თუ როგორ ჩამოყალიბდა კულას ტიპის ურთიერთობა სხვადასხვა ტომებს შორის, პარალელურად კულტურული კონტაქტების სხვაგვარი პრობლემებიც წარმოჩინდება.

ვფიქრობ, საკმარისია ეს მცირეოდენი შენიშვნები, რადგან არ ვაპირებ რაიმე თეორიულ მსჯელობას. შევხვდით კულას ერთ ასპექტს, რომელსაც ყურადღება უნდა მიექცეს მისი თეორიული მნიშვნელობის გამო. ჩვენ დავინახეთ, რომ ეს ინსტიტუტი ერთიმეორეზე გადაჯაჭვულობისა და ურთიერთგავლენის რამდენიმე ასპექტს შეიცავს. მხოლოდ ორი მათგანი რომ ავიღოთ — ეკონომიკური წარმოება და მაგიური რიტუალის ფორმა, დავინახავთ, რომ ერთი განუყოფელია მთელისაგან. მას გააჩნია ძლიერი რწმენა მაგიურ ძალებში და სწრაფვა ადამიანთაშორისი ურთიერთობისაკენ. თუ როგორ ხდება ეს, წინა თავებშია დეტალურად აღწერილი.

მაგრამ მე ვფიქრობ, რომ უფრო ღრმა ანალიზისა და მანერების შედარებას, რომლითაც კულტურის ორი ასპექტია ფუნქციურად დაკავშირებული ერ-

თმანეთთან, თეორიული მსჯელობისათვის საინტერესო მასალის მოცემა შეუძლიათ. მართლაც, ვგონებ, აქ მოიძებნება რაღაც საშუალება ახალი ტიპის თეორიის ჩამოყალიბებისათვის. დროში მიმდევრობა და წინა საფეხურის მომდევნოზე გავლენა ევოლუციური ნაშრომების მთავარ თემას წარმოადგენს. იმ ნაშრომებისა, რომელთაც ეხვდებით ბრიტანული ანთროპოლოგიის კლასიკურ სკოლაში (ტაილორი, ფრეზერი, ვესტერმარკი, სიდნი ჰარტლენდი, კროული). ეთნოლოგიური სკოლა (რატცელი, ფროი, გრებნერი, ვ. შმიტი, რივერსი და ელიოტ სმიტი) შეისწავლის კულტურათა გავლენას კონტაქტისა და გადაცემის მეშვეობით. გარემომცველი გარემოს ეკოლენას კულტურის ინსტიტუტებსა და რასაზე შეისწავლის ანთროპო-გეოგრაფია (რატცელი და სხვები). ინსტიტუტის სხვადასხვა ასპექტის ურთიერთგავლენა, იმ სოციალური და ფსიქოლოგიური მექანიზმის შესწავლა, რომელსაც ინსტიტუტი ეყრდნობა, თეორიული კვლევის სახეობას წარმოადგენს, რომლებიც დღემდე ფართოდ იყო პრაქტიკაში დანერგილი მხოლოდ ექსპერიმენტის სახით, მაგრამ მე გავბედავ ეიწინასწარმეტყველო, რომ ადრე თუ გვიან ისინი არსებობის უფლებას მოიპოვებენ. ამ სახის კვლევა გზას გაუკაფავს სხვებს და შეუმზადებს მათ მასალებს.

წინა თავებში, ერთგან თუ ორგან, ნაწილობრივ დეტალური წიაღსვლა გაკეთდა იმ მიზნით, რათა გაგვეკრიტიკებინა თვალსაზრისი პირველყოფილი ადამიანის ეკონომიკური ბუნების შესახებ. როგორც ეს აზროვნების ჩვენეული გაგებით არის შეფასებული და ზოგიერთ სახელმძღვანელოში შეტანილია — რაციონალური არსებობის კონცეფცია ითვალისწინებს, რომ ელემენტარულ მოთხოვნათა დაკმაყოფილების გარდა არაფერი არ არის საჭირო და ამის მიღწევა შეიძლება ეკონომიკური პრინციპის მეშვეობითა და უმცირესი ძალისხმევით.

მეურნემ ყოველთვის ზუსტად იცის, რაში გამოიხატება მისი მატერიალური ინტერესი და სწორხაზოვნად მოქმედებს მის მისაღწევად. ისტორიაში ეგრეთწოდებულ მატერიალისტურ კონცეფციას საფუძვლად უდევს ადამიანური ყოფისათვის დამახასიათებელი იდეა, რომ ადამიანი ყველაფერში, რასაც შექმნის და რასაც მისდევს, მხოლოდ წმინდა უტილიტარული ხასიათის მატერიალურ სარგებლობას ეძებს. ვიმედოვნებ, ეთნოლოგიისათვის, კულტურის მთავარი მეცნიერებისათვის, კულას მნიშვნელობა შეიძლება წარმოადგენდეს საშუალებას, რომელიც გაფანტავს პირველყოფილ ადამიანთა მოდგმის შესახებ ასეთ .უმწიფარ რაციონალისტურ შეხედულებებს და ორივე, მოაზროვნეცა და მკვლევარიც. რომელნიც ეკონომიკურ ფაქტებს შეისწავლიან, .ღრმა ანალიზს ჩაატარებენ. კულა გვიჩვენებს, რომ მთელი ეს კონცეფცია ნამდვილად პრიმიტიულ ხასიათს ატარებს. ძალზე არაძართებული ჩვეულა, ყველა ღირებულება „ფულითა“ და „ფულადი მიმოქცევით“ განისაზღვროს. პრიმიტიული ვაჭრობისა და პრიმიტიული მესაკუთრეობის ყველა თანამედროვე გაგებას სჭირდება გადასინჯვა ჩვენი ინსტიტუტის კვლევის ფონზე.

წიგნის დასაწყისში, შესავალში, .სხვათა შორის, მკითხველს შევპირდი, რომ მიიღებდა ცოცხალ შთაბეჭდილებას მოვლენებისაგან, რაც მას საშუალებას მისცემდა, დაენახა ისინი პერსპექტივაში თავიანთი ადგილისა და ჩვეულების გათვალისწინებით, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ძირითადი მეთოდი, რომლითაც ინფორმაციას ვიძენ, ოდნავ მაინც შეიცვლებოდა. შევეცადე. ყველაფერი, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, კონკრეტული ფაქტების ტერმინებით გადმომეცა. აბორიგენთა მეტყველება ისე დავტოვე, როგორიც იყო, წარ-

შოვაჩინე მათი საქმეები, ჩვევა-ქცევები მკითხველის გონებრივი განსჯის წინაშე. შეეცადე, ჩემი თვალსაზრისისათვის ფაქტებითა და დეტალებით გამეკვლია გზა, ისინი აღვპურვე დოკუმენტებით, მონაცემებით, ფაქტობრივი შემთხვევების ცალკეული მაგალითებით. მაგრამ მწამდა, ისევ და ისევ ვიმეორებ, რომ რეალური კვლევის საგანი არც დეტალებია და არც ფაქტები, არამედ მათი მეცნიერული გამოყენებაა. კულას დეტალები და ტექნიკური მხარეები ძხოლოდ იმდენად იძენს მნიშვნელობას, რამდენადაც ადორიგენთა აზროვნების უმთავრეს არსს გამოხატავს და ეს აფართოებს ჩვენს ცოდნას, აფართოებს ჩვენს თვალსაწიერს და აღრმავებს ადამიანური ბუნების ჩვენეულ აღქმას.

რა მაინტერესებს რეალურად, როდესაც შევისწავლი ადორიგენთა შეხედულებებს საგნებზე, მსოფლმხედველობას, ცხოვრებისეულ სუნთქვას, მაინტერესებს ყველაფერი, რითაც ის ცოცხლობს. ყოველი ადამიანური კულტურა მის წევრებს სამყაროს განსხვავებულ ხედვას შეასწავლის, ცხოვრებისადმი განსხვავებულ ინტერესს უღვიძებს. როდესაც ადამიანის და საერთოდ დედამიწის ისტორიას მიმოვიხილავთ, შესაძლოა, სხვადასხვაგვარად აღვიქვათ სამყარო და ცხოვრება. მე უმეტესად მხიბლავდა თითოეული კულტურის თავისებურება, რაც სხვა ტიპის ცხოვრებაში შეღწევის ბუნებრივ სურვილს აღძიძრავდა.

დროებით შევჩერდეთ უჩვეულო და თავისებური ფაქტის წინაშე. რათა თავი შევიქციოთ და დავაკვირდეთ მის გარეგან უცნაურობებს. მას როგორც კურიოზს ისე შეეხედოთ და თავი მოვუყაროთ ვინმეს მეხსიერების მუზეუმში ან ანეკდოტების სალაროში — ასეთი აზროვნული წყობა ყოველთვის უცხო და აუტანელი იყო ჩემთვის. ზოგიერთ ადამიანს არ შესწევს უნარი, სწრაფად აღიქვას ყოველივე იმის შინაგანი არსი და ფსიქოლოგიური რეალობა, რაც უცნაურია გარეგნულად და ერთი შეხედვით გაუგებარი, განსხვავებულია კულტურებთან მიმართებაში. ეს ადამიანები ეთნოლოგებად არ დაბადებულან. ეთნოლოგობა საბოლოო სინთეზის სიყვარულშია, რაც ყველა ცალკე აღებული ასპექტის ასიმილაციითა და მასში წვდომით მიიღწევა; ეთნოლოგობა სხვადასხვა კულტურათა ურთიერთდამოკიდებულების მრავალფეროვნებით დაინტერესებაში ჩანს და ჰეშმარიტი ადამიანის, მეცნიერის, ნამდვილი მკვლევრისათვის გამოცდას წარმოადგენს.

ასეა თუ ისე, აქ უფრო ღრმად მნიშვნელოვანი საერთო თვალთახედვაა, ვიდრე ცხოვრების გამოცდის, ადამიანური მოდელების მრავალფეროვნების სიყვარული. თუმცა, შესაძლოა, ის ჩვენი დროის რაღაც მონაკვეთის სახით მოგვეცეს, რათა ველურების სულში შეაღწიოთ და დანარჩენი სამყარო მათი თვალთახედვით შეიგრძნოთ. ჩვენი მიზანია, ჯერ საკუთარი ხედვის არეალი გავაღრმავოთ და გავაფართოოთ, შეიცნოთ საკუთარი ბუნება და უფრო მშვენიერი, უფრო ინტელექტუალური და შემოქმედებითი გავხადოთ, რათა გავიგოთ, რას გრძნობენ ისინი. ველურების მიმართაც კი ჩვენ მოწიწება და თანაგრძნობა გვმართებს, ისევე როგორც სხვებზე ჰეშმარიტი დაკვირვებისა თუ მათი სწრაფი აღქმის დროს. სხვაგვარად არ შეგვიძლია, რადგან ვერ მივაღწევთ საბოლოო სოკრატესეულ სიბრძნეს საკუთარი თავის შეცნობის შესახებ, თუ არა ცოდნის არეალის გაფართოებით.

თუ არ უკუვაგდებთ ჩვენს ჩვეულებებს, რწმენებსა და ცრურწმენებს, როშლითაც ყოველი ადამიანი იბადება, თუ არ გამოვიმუშავებთ აზროვნებით ჩვევას, მათივე თვალით შეეხედოთ სხვა ადამიანთა რწმენებსა და ფასეუ-

ლობებს, ვერანაირად ვერ მივიღებთ გაკვეთილს ამ უსაზღვრო მნიშვნელობის მქონე საქმიდან. ცივილიზებულ ჰუმანურობას ისე არასოდეს არ სჭირდებოდა ტოლერანტობა, როგორც ახლა, როდესაც ცრურწმენა, ავი ზრახვები და შურისძიების გრძნობა ევროპელ ერს ასე თიშავს ერთმანეთისაგან, როდესაც ქარს გავატანეთ ყველა იდეა, რომლებითაც გავიზარდეთ და ცივილიზაციის, მეცნიერებისა და რელიგიის უმაღლეს მონაპოვრად გამოვაცხადეთ.

მეცნიერებას ადამიანის შესახებ, უფრო რაფინირებული და ღრმა გაგებით, უნარი შესწევს წარგვიძღვეს ისეთი ცოდნისა, ტოლერანტობისა და დიდსულოვნებისაკენ, რომელიც სხვა ადამიანის შეხედულებათა გაგებას ეფუძნება.

ეთნოლოგიური მეცნიერება, რომელიც სწორედ მის მიმდევრებს ხშირად ერევათ კურიოზებში, ველურებს შორის ფანტასტიკურ ფორმათა და ზნე-ჩვეულებათა უმწიფარ ცრურწმენებში, შესაძლოა ყველაზე ღრმა ფილოსოფიად იქცეს, რომელიც აამაღლებს მეცნიერულ კვლევას.

სამწუხაროდ, ეთნოლოგისათვის დრო ხანმოკლეა. ეს შეშმარიტება იქნებ თავისი რეალური არსითა და მნიშვნელობით სინათლის მომფენი იყოს, სანამ ჯერ კიდევ ძალიან გვიან არ არის.

მ. მოსი

მოსი მარსელ (1872—1950) — ფრანგი ეთნოგრაფი და სოციოლოგი.

მ. მოსი, ისევე როგორც მისი ბიძა, ფრანგული ეთნოგრაფიული სკოლის ხახელგანთქმული დამაარსებელი ე. დიურკჰეიმი, კაბინეტური მეცნიერი იყო, რომელსაც საველე მუშაობა არასოდეს არ უწარმოებია. თავდაპირველად იგი მორჩილად იზიარებდა ე. დიურკჰეიმის შეხედულებებს და მიჰყვებოდა მის გზას, მაგრამ შემდეგში მან თავისი დამოუკიდებელი გზაც გაიკვლია ეთნოლოგიაში.

მ. მოსის ადრინდელი ნაშრომები ეძღვნებოდა სულიერი კულტურის საკითხებს. 1897—1898 წლებში „სოციოლოგიურ წელიწდეულში“ ანრი იუბერის თანაავტორობით მან გამოაქვეყნა იტიუდი მსხვერპლშეწირვის, ხოლო 1902—1903 წლებში — მაგიის შესახებ.

მ. მოსის მეცნიერული კარიერა მეტად წარმატებული იყო, რაც მას ხელს უწყობდა ფართოდ გაეშალა სოციოლოგიური და ეთნოლოგიური კვლევა-ძიება. 1900 წლიდან მ. მოსი განაგებდა არაცივილიზებული ხალხების რელიგიის ისტორიის კათედრას უმაღლესი გამოკვლევების პრაქტიკულ სკოლაში, ხოლო 1931 წლიდან იყო სოციოლოგიის პროფესორი კოლეჟ დე ფრანსში. პოლიტიკური შეხედულებებით მ. მოსი ჟ. ჟორესის მომდევარი იყო, მონაწილეობა აქვს მიღებული გაზეთ „ჰუმანიტეს“ დაარსებაში, რომლის რედაქციის მდივნის ფუნქციებსაც ასრულებდა ერთ დროს.

1906 წ. მ. მოსმა გამოაქვეყნა სტატია ესკიმოსების შესახებ, რომელშიც აჩვენა ცვლილებები ესკიმოსური საზოგადოების სტრუქტურაში სამეურნეო საქმიანობის სეზონური მონაცვლეობის შესაბამისად.

განსაკუთრებით გაუთქვა სახელი მ. მოსს 1925 წელს „სოციოლოგიურ წელიწდეულში“ გამოქვეყნებულმა ნაშრომმა „ესსე საჩუქრის შესახებ. გაცვლის ფორმა და საფუძველი არქაულ საზოგადოებაში“. ამ ნაშრომში დიდძალ ეთნოგრაფიულ და ისტორიულ მასალაზე დაყრდნობით ნაჩვენებია, რომ სასაქონლო ურთიერთობათა განვითარებამდე გაცვლის უნივერსალურ საშუალებას წარმოადგენდა საჩუქრები, რომლებიც ფორმალურად ნებაყოფლობითი იყო, სინამდვილეში კი — მკაცრად სავალდებულო.

მეტად თავისებურია მ. მოსის ერთ-ერთი გვიანდელი სტატია — „სხეულის ტექნიკის შესახებ“ („La technique du corps“), რომელშიც ავტორი განიხილავს მანამდე უველასაგან შეუსწავლელ ეთიკურ, სქესობრივ, ასაკობრივ თავგადასავლებურებებს, განსხვავებებს ადამიანთა ელემენტარულ ყოფით საქმიანობაში: ხიარულის მანერა, ხირბილი, ხტომები, ცურვა, ტარება, დაჯახება, გადაგდება, ხაგნის აღება, ხელის დამუშვა, სხვადასხვა პოზა მშობიარობის დროს, ბავშვების კვებისა და ტარების სხვადასხვა ხერხი, პირადი ბიგიენის წესები, ჭამისა და სმის ტექნიკა და სხვ. მ. მოსი აყენებს საკითხს მათ შორის სხვაობათა კა-

ნონზომიერების შესახებ, მათი დამოკიდებულების შესახებ სოციალურ პირობებზე, აღზრდაზე, რელიგიურ შეხედულებებზე.

1947 წელს გამოქვეყნდა მ. მოსის „ეთნოგრაფიის სახელმძღვანელო" („Manuel d'ethnographie", P., 1947), რომელიც წარმოადგენს 1926—1930 წწ. მის მიერ წაკითხული ლექციების კურსის ჩანაწერებს. ფრანგი ეთნოგრაფების არაერთი თაობა აღიზარდა და ახლაც ამ წიგნზე იზრდება. მასში უხვად მოიპოვება სასარგებლო რჩევები საველე ეთნოგრაფიული სამუშაოების ჩასატარებლად: მოთხოვნა უწვრილმანესი დეტალებისადმი ყურადღების გამახვილების შესახებ, დაკვირვებათა ზუსტად ჩაწერა, მათი მკაცრად ობიექტურად დაფიქსირება საკუთარი შეხედულებებისა და შეფასებათა ჩართვის გარეშე. მოვლენის ყოველმხრივ გამოკვლევა და სხვ. აქვე მ. მოსს გადმოცემული აქვს სოციალურ მოვლენათა შესახებ თავისი პრინციპული თვალსაზრისი.

ქრესტომათიაში წარმოდგენილია ერთი თავი („საშინაო ორგანიზაცია") მ. მოსის „ეთნოგრაფიის სახელმძღვანელოდან". მასში მ. მოსი განიხილავს შინაური (ოჯახური) ორგანიზაციის (ანუ სტრუქტურის) იხეთ საკითხებს, როგორიცაა: ვენდეტა (სისხლის აღება), ნათესაობითი კავშირები, ჯგუფები, კლანები, ოჯახი (დიდი ოჯახი, პოლიანდრია, ავნატური), ქორწინება, ქორწინების ცერემონიალი, მატრიმონიალური ოჯახი, გაყრა, ქვრივობა, მორალური ფენომენები ქორწინებაში.

ბიბლიოგრაფია

1) Mauss M., Essai sur le don, „Année Sociologique", n. s. v. I, P., 1925.
2) Mauss M., Manuel d'ethnographie, P., 1947.
3) Mauss M., Oeuvres, t. 1—3, P., 1968—69.
4) Mauss M., Sociologie et anthropologie, 4 ed., P., 1947.

ლიტერატურა

1) Мосс М., БСЭ, 17, М., 1947, გვ. 53.
2) Гофман А. Б., Социологические концепции Марселя Мосса, «Концепции зарубежной этнологии (Критические этюды)», М., 1976.
3) Токарев С. А., История зарубежной этнографии, М., 1978, გვ. 219—221.

საშინაო ორგანიზაცია*

ფრანგული კოლონიების ყველა საზოგადოება ძირითადად შედგება საოჯახო, პოლიტიკურ-საშინაო ორგანოებისაგან. არსად დიდი ოჯახი, თვით კლანებიც კი, არ ყოფილა გამქრალი. პოლიტიკური ერთეული ინდივიდი კი არა, არამედ ოჯახია. ოჯახი, რომელსაც ჩვენს დასავლურ ქვეყნებში აქვს მხოლოდ კერძო მდგომარეობა, ფაქტობრივად და სამართლებრივად არის ნამდვილი სოციალური ერთეული.

რაც შეეხება პოლიტიკურ ერთიანობას, ოჯახი წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს ამ საზოგადოებების პოლიტიკურ უფლებასა და მკაცრ საოჯახო უფლებას შორის. გერმანიკული სამართლის შიხედვით, რომელიც გრძელდებოდა კაროლინგების დინასტიის დასასრულამდე, მკვლელის დევნა ევალებოდა ოჯახს და არა სახელმწიფოს. სწორედ ოჯახი და არა სახელმწიფო იღებდა გადაწყვეტილებას. მკვლელს გარკვეული თანხა უნდა გადაეხადა მშობლებისა და თავისი მსხვერპლის დედისათვის.. მსხვერპლის მშობლებს უფლება ჰქონდათ და თავს მოვალედაც კი თვლიდნენ მიჰყოლოდნენ ბოლომდე მკვლელს. ეს იყო ვენდეტა. ჩვენი სისხლის სამართლებრივი და ზარალის ანაზღაურების სისტემა არაფრით არ შეესაბამება ამ საზოგადოებების სისტემებს.

ჩვენ ცოტა რამ ვიცით ამ საკითხებზე. კარგად ცნობილი ავსტრალიური საზოგადოებების თანაფარდობა არ აღემატება ორმოცდაათიდან ერთს. ჩვენ არაფერი ვიცით მრავალ რეგიონზე (გვიანა, მადაგასკარის დიდი ნაწილი).

ჩვენს დასავლურ საზოგადოებაში ოჯახი ფაქტობრივი მდგომარეობაა, საიდანაც გამომდინარეობს უფლებები. სხვაგან, თითქმის ყველგან ოჯახი სამართლებრივი მდგომარეობაა, საიდანაც გამომდინარეობს ზოგიერთი ფაქტი. 50 წელი დასჭირდა იმას, რომ დიურკჰეიმის თეზისი ამის თაობაზე ყოფილიყო მიღებული. იქ, სადაც შთამომავლობა დედის ხაზით განისაზღვრება, ნათესაობა მხოლოდ დედის ხაზით ითვლება. სხვაგან შთამომავლობა მამის ხაზით განისაზღვრება. რომაული სამართლით დედა ითვლება თავისი შვილების ნათესავად მხოლოდ ლეგალური ფიქციით: იგი მიიჩნევა როგორც თავისი ქმრის ქალიშვილი. ოჯახს ქმნის არა ფაქტობრივი, არამედ სამართლებრივი მდგომარეობა.

თუმცა არ არსებობს ოჯახი, რომ არ ჰქონდეს ფაქტობრივი მდგომარეობის ფიქცია. ფაქტობრივი მდგომარეობა არ განისაზღვრება მხოლოდ ფაქტით, იგი განისაზღვრება სამართლებრივი ფაქტით. თუმცა მიუხედავად ამისა დასა-

---

* წყაროდან: M. Mauss, Manuel d'etnographie, Paris, 1947, p. 124—142

წყისში არის ზოგიერთი ფაქტი, განსაკუთრებით შთამომავლობის ცნების შესახებ. ოჯახი აკავშირებს ერთი სისხლის მქონე ადამიანთა ჯგუფებს ბუნებრივად ან ხელოვნურად, რომელსაც აერთიანებს ურთიერთზიარი უფლებების მთელი რიგი. იგი აღინიშნება ერთი საერთო სახელით — გვარით. მაორის კლანში, ისევე როგორც შოტლანდიის კლანში, ერთადერთი ადამიანი, რომელსაც გვარი ნამდვილად გააჩნდა, იყო კლანის ბელადი; მაგრამ კლანის ყველა წევრი გარკვეულწილად მონაწილეობდა მასში.

გვარი, სიმართლე რომ ვთქვათ, ახალი ფენომენია, რომელიც თარიღდება ფეოდალიზმის ხანიდან; უფრო ხშირად ვხვდებით სახელებს, რომლებიც კლანთა საკუთრებას წარმოადგენდა. ეს სახელები მემკვიდრეობით გადმოვიდა და შეესაბამება ხშირ გარდასახვას.

ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ ყველა შემთხვევაში თუ არა, უმეტესში მაინც დამკვირვებელი აღმოაჩენს ისეთ ოჯახებს, რომლებიც ჩვენგან განსხვავებული პრინციპებითაა შექმნილი. ფრანგული კოლონიების საზოგადოებებში მოიძებნება პოლიტიკურ-საშინაო ორგანიზაციის ყველა შესაძლებელი ფორმა, ხშირად მეტად შერეული. აუცილებელი არ არის ვეძებოთ ერთადერთი ორგანიზაცია იმ ქვეყნებში, სადაც წესი არის არა უფლებათა ერთიანობა, არამედ, პირიქით, მისი სიმრავლე. ვხვდებით პრიმიტიულ ფორმებს შერეულს განვითარებულ ფორმებთან: დასავლეთ აფრიკის ერთი დიულელი[1] ვაჭარი, მთელი თავისი მოგზაურობის დროს, ცხოვრობდა განცალკევებით და დამოუკიდებლად; მაგრამ საკუთარ სოფელში დაბრუნებისას თავის ოქროს ფხვნილს ოჯახის პატრიარქს აძლევს, ის მას აღარ ეკუთვნის დაბრუნების დღიდან. იგივე ფაქტებს ვხვდებით ტიბეტურ სამართალშიც. ფორმათა არევა ნორმალური მოვლენაა. იგი აიხსნება ნათესაობის სიმრავლის ფუნდამენტური ცნებით; ძველი რომაული სამართლის მემკვიდრეობითი სისტემა, XII სქემის კანონის სიტყვებით, აღიარებს მემკვიდრეობის სამ კანონს: საკუთარი მემკვიდრე, მამით მემკვიდრეობა, ოჯახით მემკვიდრეობა.

განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი: ჩინეთი დაყოფილია 12 კლანად და ერთი განსაზღვრული კლანის ყველა წევრი თავს თვლის ერთმანეთის ნათესავად. ინდოეთში არსებობს მეტად მნიშვნელოვანი ფორმები, რომლებიც კიდეც არიან და თან არ არიან კასტები. საჭიროა განვასხვაოთ ნათესაობის სხვადასხვა ერთიანობა.

ბიოგრაფიები და ავტობიოგრაფიები ამ შემთხვევაში გვიწევენ სასარგებლო სამსახურს. მრავალი ბიოგრაფიის შედარება გვაძლევს სახელთა და გვართა გარკვეულ რაოდენობას. ფაქტიურად, ჭეშმარიტი გვარი ინახება საიდუმლოდ. უფრო მეტად ცნობილია ზედმეტი სახელი.

რომაული ნომენკლატურა: nomen, კლანის გვარი, praenomen et cognomen — სახელი შესაძლებელია აქ იქნეს ხმარებული. სახელი არის პერსონალური და მემკვიდრეობითი; ჩვეულებრივ, მხოლოდ ერთ ინდივიდს შეიძლება ერქვას ამგვარი სახელი კლანის შიგნით, ხოლო თითოეულ ჯგუფს გააჩნია განსაზღვრული სახელები; ზედმეტი სახელები, დამატებული სახელზე, გახდა კლანის შიგნით ოჯახის მკაცრი საკუთრება.

ყველაზე მარტივი ჰიპოთეზა ისაა, რომელიც საზოგადოებას ყოფს ორ ნაწილად, ორ ჯგუფად, სადაც თითოეულის შიგნით, შთამომავლობა აითვლება

---

1 დიული — შავი ხალხი. ვაჭარი სპილოს ძვლის სანაპიროდან და ზემო ეოლტიდან (ბანდინგის ან ბანდენგის); ეთნიკური ჯგუფი დასავლეთ აფრიკიდან, უმრავლესობა მუსულმანი.

ერთი ხაზით — მამრობითით ან მდედრობითით; განსხვავება თაობებს შორის ბადებს მეორე განაყოფს, განსხვავება სქესებს შორის — მესამე განაყოფს.

ამ ჰიპოთეზის მიხედვით, თუ შთამომავლობა ითვლება დედის (დედით ერთნი) ხაზით, მამა, რომელიც ეკუთვნის I თაობის A ჯგუფს, ბადებს ვაჟს, რომელიც მიეკუთვნება II თაობას B ჯგუფიდან; შვილიშვილი ვაჟი იქნება A3, რომელიც ეკუთვნის იმავე ჯგუფს (ერთი კლანის ან ტომის შიგნით), ასაკის იმავე კლასს, რომელსაც მიეკუთვნება მისი ბაბუა დედის მხრიდან.

დიდი სიძნელეა ნათესაობის კავშირის განსხვავებაში. A კავშირშია B-სთან, მაგრამ ისინი ყველანი არ არიან B-თა ნათესავები (ან მშობლები). ზოგიერთ შემთხვევაში ისინი საერთოდ არ არიან ნათესავები. ამ განსხვავების აღსანიშნავად მორგანმა, შემდეგ რივერმა, განასხვავეს ერთმანეთისაგან სისხლით ნათესაობა და ნათესაობა. იმ საზოგადოებაში, სადაც შთამომავლობა ითვლება სისხლით ნათესაობის ხაზით, ჩემი ცოლის მშობლები არიან ჩემი მოკავშირეები და მე ვარ მოკავშირე მხოლოდ ჩემი შვილებისათვის; იმ საზოგადოებაში, სადაც შთამომავლობა ითვლება მამაკაცის მხრიდან, ჩემი ცოლი მხოლოდ მოკავშირეა ჩემი შვილებისათვის. ერთი მხრივ, ეს არის სუფთა ნათესაობა, სისხლით ნათესაობა; მეორე მხრივ — უბრალო მოკავშირეობა, ნათესაობა.

როდესაც შთამომავლობა ითვლება მხოლოდ მამის (მამაკაცის) მხრიდან, ცოლი არაფერს არ გასცემს, არავითარ ტოტემს, არავითარ მემკვიდრეობას. როდესაც შთამომავლობა ითვლება ქალის მხრიდან, კაცი შთამომავლობის პარაზიტად ითვლება. სიძნელე მდგომარეობს ორი შთამომავლობის კომბინაციაში. ვარამუნკასთან ეს პრობლემა გადაწყდა. მათ მიაჩნდათ, რომ ქალებს არ ჰქონდათ სული, მაშასადამე, ისინი არ გარდაისახებოდნენ და არაფერს არ გადასცემდნენ. სუბის სამართლით, განსხვავებით საქსონიის სამართლისაგან, ქალი არ იღებს მემკვიდრეობას და არც მისგან იღებენ მემკვიდრეობას.

ზოგადად ორივე ხაზი — მამრობითიც და მდედრობითიც — გვთავაზობს განსხვავებულ მნიშვნელობას. მხოლოდ გეიანი ინდოევროპული და პოლინეზიური სამართლის მიხედვით, ორივე ხაზი ითვლება ზუსტად ერთნაირად. ჯერ კიდევ ლათინებთან მემკვიდრეობა მხოლოდ მამის მხრიდან ითვლებოდა; ჩვენ არ ვიქნებით ჩვენი დედების ნათესავები, თუკი ჩვენი წინაპრები არ იცნობდნენ გერმანიკულ ოჯახს.

თუმცა ორ ჯგუფად დაყოფა მხოლოდ მარტივი ჰიპოთეზაა; უფრო ხშირად გვხვდება რამდენიმე კლანი, რომლებიც გაყოფილია ჯგუფებად ან გვხვდება სისხლით ერთი განუყოფელი დიდი ოჯახი, სათაევში ბელადით, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობს. ინდივიდუალური ოჯახი, რომელიც ასე დიდ როლს ასრულებს საზოგადოებაში, აქ ბევრად უმნიშვნელოა. აქედან გამომდინარეობს კლასიფიკატორული ნათესაობის არსებობა, ე. ი. ისეთი ნათესაობის არსებობა, სადაც ერთი და იგივე ტერმინი აღნიშნავს არა მხოლოდ ერთ ინდივიდს, არამედ მთელ სანათესაო ჯგუფს. სანათესაო კლასიფიკაცია ჩვენთან არსებობს მხოლოდ ბიძაშვილების, ბიძებისა და დეიდა-მამიდა-ბიცოლების აღსანიშნავად; ჩვენ ვავლებთ განსხვავებას ძმასა და ბიძაშვილს შორის. მაგრამ იმ საზოგადოებაში, სადაც შეინიშნება სანათესაო კლასიფიკაცია, მე ვუწოდებ ძმებს ყველა მამაკაცს, რომელიც ეკუთვნის ერთსა და იმავე ოჯახს და იმავე შთამომავლობას, რომელსაც მე ვეკუთვნი; მე ვუწოდებ მეუღლეს ჩემი ცოლის ყველა დას, ე. ი. ყველა ქალიშვილს, რომელიც ეკუთვნის იმავე ოჯახს და იმავე შთამომავლობას. სამაგიეროდ ჩემი ცოლი უწოდებს ყველა ჩემს ძმას — „ჩემი ქმრები". ორი სანათესაო კლასის წევრები არიან

თანაბარნი და იმყოფებიან თანაბარ მდგომარეობაში ერთიმეორის მიმართ. ნათესაო კლასიფიკაცია აღწერს სიმეტრიულ პოზიციებს ერთი ჯგუფის შიგნით, ან იმ ორ ჯგუფს შორის, რომლებიც ერთმანეთის მიმართ დაპირისპირებულ მდგომარეობაში არიან.

ნათესაური კლასიფიკაცია ხშირად ორმხრივია: შვილიშვილსა და ბაბუას უწოდებენ ერთსა და იმავე სახელს, მამას და შვილს ჰქვია ერთი და იგივე სახელი. უფრო ზუსტად, არსებობს მხოლოდ ერთი სიტყვა „მამა-შვილის“ მიმართების გამოსახატავად.

შეუძლებელია წამოვიწყოთ ოჯახის შესწავლა ისე, რომ არ დავაკვირდეთ და არ აღვწეროთ უფლებათა შესაძლებელი პოზიციები საზოგადოებაში.

ნათესაური კლასიფიკაცია ხსნის განსაკუთრებულ ჩვევათა გარკვეულ რაოდენობას ე. წ. პრიმიტიულ საზოგადოებაში. დედამთილის (სიდედრი, დედინაცვალი) ტაბუ, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, ძალიან ადვილად იხსნება ზემოთ მოცემული სქემის მიხედვით: ერთმა A2-მა შეიძლება შეირთოს მხოლოდ ერთი B2; დედამთილი არის ერთი B1, იგი ეკუთვნის ნებადართული ჯგუფის აკრძალულ შთამომავლობას; მეორე მხრივ, სიძეს (ქალიშვილის ქმარი), რომელსაც მართებს მისი ცოლის სისხლი, ამის გამო მის მიმართ მუდმივ ვალშია. მეორე უკრაძსაღები პოზიცია ეხება ერთი სისხლის ძმისშვილს მამის შთამომავლობიდან: ერთმა A2-მა აუცილებლად უნდა შეირთოს ერთი B2, B1-ის ქალიშვილი; ის ირთავს სისხლით ერთი ბიძის ქალიშვილს. ზოგიერთ საზოგადოებაში ძმისშვილმა უნდა გააკეთოს ყველაფერი, რაც შეუძლია თავისი ბიძისათვის — მომავალი სიმამრისათვის; ეს ზოგჯერ ჰომოსექსუალურ კავშირებამდე მიდის Kiwai-ს პაპუასებთან ან Marind Anim-ებთან, სადაც ბავშვი მთლიანად იზრდება სისხლით მონათესავე ბიძასთან. თუმცა კუნძულ ფიჯიზე, სისხლით მონათესავე ძმისშვილს ყველანაირი უფლება აქვს თავის სისხლით მონათესავე ბიძასთან, მას შეუძლია იგი მთლიანად გაძარცვოს.

ყველა შემთხვევაში ჩვენ შევეცდებით განვასხვავოთ ფაქტიური ნათესაობა და სამართლებრივი ნათესაობა. ეს განსხვავება საშუალებას გვაძლევს ადვილად გადავჭრათ საკითხი პრიმიტიული ახლო ურთიერთობების შესახებ. ფაქტიურად არ არსებობს პრიმიტიული ახლო ურთიერთობა, არსებობს მხოლოდ ქორწინების უფლება. შემთხვევები, როდესაც ახლო ურთიერთობებია, საქმე ეხება განსაკუთრებულ სექსუალურ ნებართვას, რომელიც ნებადართულია ზოგიერთ საზეიმო დღეებში. ავსტრალიაში და მალაგაშის ანსამბლში სისხლის არევის ყველაზე ცუდი ფორმები აღინიშნება ამ დღესასწაულების დროს. ისინი მკაცრად აკრძალულია წელიწადის დანარჩენ დროს.

ოჯახის შესწავლა ხდება ბიოგრაფიებითა და ავტობიოგრაფიებით. ისინი საშუალებას გვაძლევენ, მივმართოთ გენეალოგიურ მეთოდს, რომელიც თვითონ გამოამჟღავნებს შესწავლილ საზოგადოებაში ნათესაობის ნომენკლატურის ზუსტ ტიპს. გენეალოგიური მეთოდი მდგომარეობს იმაში, რომ შეკრიბოთ ნათესაობის ყველა სიტყვა, ხმარებული განსაზღვრული ინდივიდის მიერ მისი ოჯახის სხვადასხვა წევრების მიმართ, რომლის ზუსტი ნათესაური კავშირი ცნობილია ინფორმატორთან. ეს სიტყვები, რომლებიც გადატანილია შესწავლილი ოჯახის გენეალოგიურ ხეზე, გამოაჩენს ნათესავების სხვადასხვა კლასს; მამათა კლასში იგულისხმება მამის ყველა ძმა; ძმათა კლასი მოიცავს ყველა ბიძაშვილს მამისა თუ დედის მხრიდან და ა. შ. ისტორია მრავალი ინდივიდისა, რომელიც ეკუთვნის იმავე ჯგუფს, საშუალებას მოგვცემს აღვადგინოთ თვით ამ ჯგუფის ისტორია. გარდა ამისა, ჩვენ ამრიგად მოვიპო-

ვებთ ცნობებს საკუთრებაზე და მის გადაცემაზე, მემკვიდრეობაზე და ა. შ.

ქორწინების შედეგია, როგორც ეს უკვე ვნახეთ, ოჯახის შექმნა. ეს არის შედეგი და არა მიზეზი. ინდივიდუალური ოჯახი მხოლოდ მოგვიანებით ხდება უფლებიანი ოჯახი; კლანი, განუყოფელი დიდი ოჯახი, უფრო მნიშვნელოვანია. ოჯახის ადგილი ჩვენს ცხოვრებაში თანდათან მნიშვნელოვანი ხდება.

პოლიტიკურ-საშინაო ჯგუფებზე დაკვირვება ხშირად წარმოადგენს დამკვირვებლის ძირითად სამუშაოს: მნიშვნელოვანი ფაქტები ვითარდება არა ინდივიდუალური ან ტომობრივი ცხოვრების საფეხურზე, არამედ, უპირველეს ყოვლისა, სეგმენტების საფეხურზე, რომლისგანაც შედგება საზოგადოება.

დასავლეთის ქვეყნებში ძნელია მოხაზო ერთი პროვინცია ისე, რომ არ შეეხო მნიშვნელოვნად მთელი საზოგადოების ცხოვრებას. ზოგიერთ პოლიტიკურ-საშინაო წყობაში შეიძლება გამოიყოს უზარმაზარი მასა, მაგრამ საზოგადოება მაინც არსებობს: მალაის ერთ კლანს მთლიანად შეუძლია ემიგრირება, ტომი კი რჩება; დიდი ოჯახი ტოვებს კლანს, კლანი კი განაგრძობს ცხოვრებას. ეს სეგმენტური ხასიათი ჩვენთანაც არსებობს, მაგრამ ინდივიდის საფეხურზე; სეგმენტებად იყოფა ინდივიდები და არა ჯგუფები.

ჩვენი სამუშაო ჰიპოთეზა, რომელიც გულისხმობს საზოგადოების დაყოფას ორ ამორფულ ეგზოგამიურ კლანად, თავიდან იცილებს ლუის ჰენრი მორგანის ურდოს, რომელიც ხასიათდებოდა ნათესაობით და პრომისკუიტეტური ქორწინებით. მორგანმა ირწმუნა პრიმიტიული ახლო ურთიერთობები ერთი შთამომავლობის მქონე ადამიანთა შორის ყოველგვარი სხვაობის გარეშე. მისი აზრით, ამ სოციალურ სტადიაზე ყველას შეეძლო შეერთო თავისი და, თვითეულს ჰქონდა აბსოლუტური უფლება სექსუალური კავშირი დაემყარებინა ყველა დასთან, რომლებიც იყვნენ ავრეთვე მათი ცოლები. სინამდვილეში მორგანმა განაზოგადა ერთი შემთხვევა, კერძოდ, ჰავაის კუნძულების პუნალუას ნათესაობა, სადაც მამაკაცი მხოლოდ დროებითი მფლობელი იყო თავისი ცოლისა; ეს უკანასკნელი შესაძლებელია მოეტაცა რომელიმე ძმას. ე. ი. ეგზოგამია წინ უსწრებდა კლანს.

კლანზე ეგზოგამიის ანტერიულობის თეზისი, რომლის დროსაც საზოგადოება უბრალოდ დაყოფილი იყო ორ მატრიმონიალურ კლასად, წარმოდგენილია ავრეთვე გრებნერის მიერ.

ჩვენ დიდხანს გვეგონა, რომ საზოგადოება დაყოფილი იყო ორ ამორფულ ეგზოგამიურ კლანად: ამგვარად, სამხრეთ-აღმოსავლეთ ავსტრალიის ყველა საზოგადოება, ეფიქრობდით, დაყოფილი იყო „შევარდნებად“ და „ყვავებად“. პრაქტიკულად დღეს ჩვენ ვიცით, რომ არ არსებობს საზოგადოება, რომელიც არ ცნობდეს ორ ამორფულ ეგზოგამიურ კლანს. საზოგადოება, რომელიც ყველაზე მეტად უახლოვდება ამ მდგომარეობას, არის ტოდას საზოგადოება ინდოეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით; მაშ, თუ ტოდელები გაყოფილნი არიან ორ მკაცრად ეგზოგამიურ ჯგუფად, მაშინ ისინი წარმოადგენენ კულმინაციურ წერტილს იმისას, რაც უნდა ყოფილიყო დრავიდული ცივილიზაცია — ისინი ლაპარაკობდნენ დრავიდულ ენაზე — მაშასადამე, შეუძლებელია ვიხმაროთ აქ სიტყვა პრიმიტივი.

ჯგუფები. თვითეული კლანი დაყოფილია სამ შთამომავლობად მაინც. ეს ორგანიზაციის ის ტიპია, რომელსაც ვხვდებით ყველაზე ხშირად როგორც ავსტრალიურ საზოგადოებებში, ასევე ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში, ავრეთვე აფრიკის ყველაზე დიდ ნაწილში. აცტეკის მთელმა ანსამბლმა იარსება ჯგუფი-

დან ჯგუფამდე. ჩრდილო ამერიკის პოტლახტები წარმოადგენენ ჯგუფებს, ვიდრე კლანებს. ეგზოგამია კიდევ უფრო მოწესრიგებულია ჯგუფებს შიგნით, ვიდრე კლანებს შიგნით. ჯგუფი ყოველთვის ეგზოგამიური რჩება. თუმცა ათენში ჯგუფები არ იყო ამგვარი ხასიათის და მისი არსებობა, ამ ფაქტიდან გამომდინარე, უფრო ძნელი აღმოსაჩენი იყო.

ყველაზე ხშირად ვხვდებით კლანებად, ქვეკლანებად და განუყოფელ ოჯახებად დაყოფილ ჯგუფებს. ამ დანაყოფებს შიგნით წარმოდგენილია უფლებით ნათესაობა და კლასიფიკატორული ნათესაობა, რომელიც ფაქტიური ნათესაობაა. ორგანიზაცია ყოველთვის საკმაოდ გართულებულია.

ყოველთვის ეგონათ, რომ ავსტრალიური ტომები ერთმანეთთან დაკავშირებული იყო ენსტებისა და საიდუმლო ენით. სინამდვილეში არსებობს ენსტების ენა განვითარებულ ავსტრალიურ ტომებში. მაგრამ ავსტრალიელი მგზავრის პირველი საზრუნავი ახალ ტომში მისელისას არის ის, რომ დაასახელოს მისი ჯგუფი და ამ უკანასკნელის შიგნით რომელია მისი მატრიმონიალური კლასი. როგორც კი ეს გაირკვევა, მას აქვს უფლება კლასის დასახელებისა, რაც ავსტრალიურ ყოველ საზოგადოებას აძლევს ერთი ოჯახის იერს.

ყველაფერი ეს შეიძლება გადმოცემულ იქნეს იურიდიულად მკაცრი და განსაკუთრებული სახით. ზოგადად ჩვენ არ ვილაპარაკებთ ეგზოგამიაზე, არამედ გადაგვარებაზე (დეგენერაციაზე), ოჯახის კოლექტიური ფორმების ფერარქიაზე, ინდივიდუალური ფორმის საწინააღმდეგოდ, რომელიც დღესდღეობით არ არსებობს.

კლანი

კლანი შეიძლება განისაზღვროს როგორც დიდი ოჯახი, რომელიც შედგება სხვადასხვა თანასწორი თაობისაგან და არა მთლიანად კლანის მიმართ თანასწორი თაობებისაგან. კლანში წარმოდგენილია ძმობის ცნება. ესაა გერმანიკული ზიპი, რომელიც შეესაბამება სანსკრიტულ სიტყვას sapa, და აქვს ასამბლეის სახლის უფლება. ინდოევროპულ საზოგადოებაში ასამბლეის სახლი არის განუყოფელი დიდი ოჯახის სახლი და ზიპი არის განუყოფელი დიდი ოჯახი გერმანიკული უფლებით.

კლანი აღინიშნება სრულყოფილი სისხლით ნათესაობის ცნებით. ყველას აქვს ერთი და იგივე სისხლი, ერთი და იგივე ცხოვრება. არაბულად სიტყვა, რომელიც აღნიშნავს კლანს, ითარგმნება აგრეთვე სიტყვებით: „ცხოვრება“, „სისხლი“. ხალხს, რომელიც მიეკუთვნება ერთსა და იმავე კლანს, აქვს ერთი და იგივე ბუნება. ცხოვრების, სისხლის, სულის ამ ერთიანობის გამოხატვა არის გვარი: ერთმანეთის ნათესავები არიან ისინი, ვინც მათი გვარისაა. ყველა ფაბიელი ერთი და იმავე სისხლის ხალხია, ყველა იულიუსს აქვს უნარი გახდეს კეისარი, კლანი — ესაა ცხოვრება, ესაა სისხლი.

კლანის პირველი ნიშანი გვარია. იქ, სადაც გვარია, არის ოჯახიც. უფრო ხშირად კი კლანიც. ვხვდებით გვარიან კლანებს და უგვარო ოჯახებს. კლანი გულისხმობს საერთო სისხლს, საერთო ცხოვრებას, საერთო სულს, საერთო შთამომავლობას. ეს ყოველთვის საგვარეულო გვარია და არა ინდივიდუალური; ინდივიდუალური გვარი ახალი გამონაგონია.

საგვარეულო გვარი გამოიხატება ღერბით. ღერბი შეიძლება იყოს ელემენტარული, შედგებოდეს მხოლოდ ტატუირებისაგან, ან შეიძლება იყოს

უზარმაზარი მოცულობის. ამერიკის მთელი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ყველაფერს თავისი ღერბით რთავს.

კლანი ამეღავნებს იმ რწმენას, რომ ისინი არიან ადამიანის, ცხოველთა ან მცენარეთა განსაზღვრული სახეობის საერთო შთამომავალნი, რაც ქმნის ტოტემიზმს. თუმცა, შეიძლება შევხვდეთ კლანებს უტოტემოდ, მაგრამ არა ტოტემს უკლანოდ. კავშირი ტოტემთან არის ძალიან ზოგადი, მაგრამ არა აბსოლუტურად აუცილებელი. ზოგიერთ საზოგადოებაში მხოლოდ ჯგუფთა ტოტემებია. ტოტემიზმი აღინიშნება ნათესაური საშუალების წყაროებით ადამიანსა და თაყვანსაცემ სახეობას შორის, ცხოველსა და მცენარეებს შორის.

გვარი, ღერბი, ტოტემი — აი კლანის სამი იდეოლოგიური მახასიათებელი.

კლანი შეღავნდება აგრეთვე უფლების კავშირებით. თავდაპირველად ძმობით, თანასწორობით მის წევრებს შორის. დიურკჰეიმს, მართალია, საკმაოდ არ განუსხვავებია შთამომავლობები კლანებში, მაგრამ მან გადაჭარბებით შეაფასა ეს ამორფიზმი, თუმცა, ბოლოს და ბოლოს, ამორფიზმი არსებობს და ერთი და იმავე შთამომავლობის შიგნით აბსოლუტურია: ყველა ძმა ძმაა, ყველა მამა რაღაც ხარისხით მამაა. სიუებთან ყველაფერი წესრიგშია ორივე მხარეს, ასაკის კლასით და ქვეტოტემით. მაშასადამე, მთელი კლანის და მთელი ჯგუფის მიმართებითი ძმობა და მიმართებითი თანასწორობა არის ის, რომ: შერიფის ყველა ვაჟი არის შერიფი და აგრეთვე მისი ძმები.

კლანი ხშირად ფლობს აგრეთვე საერთო ტერიტორიას; ის ფლობს ყოველთვის თავის საკუთრებველს, საერთოს ყველა წევრისათვის. ბერბერულ კლანს აქვს აგრეთვე თავისი დღესასწაული.

უფლების არსებობა (იგულისხმება საკუთრების უფლება), რომელიც კლანის საერთო მფლობელობაშია, აღწევს შესამჩნევ შედეგებს. კლანი არის ადგილი, სადაც არ ხდება კონფლიქტთა საჯარო რეგულირება. სისხლით შურისძიება (სისხლის აღება) არ არსებობს კლანის შიგნით, ვინაიდან კლანი არის სისხლი; ეს უბედური შემთხვევაა. კლანს აქვს უფლება, ყველა წევრს გამოუტანოს სასიკვდილო განაჩენი, გადაწყვიტოს უმნიშვნელოვანესი საკითხები და ასევე წვრილმანი საკითხები; არცერთ უცხოელს არა აქვს უფლება შეამოწმოს ეს განაჩენი.

სისხლის აღება ხდება კლანებს შორის. სწორედ ამას უწოდეს ცუდი სახელი, კოლექტიური პასუხისმგებლობა; მართლაც, ის, რაც არსებობს, ესაა ორი კოლექტივი, რომელიც შეიძლება იყოს ომის მდგომარეობაში ერთმანეთთან. ისინი იღებენ სისხლს და ამასთან ერთად გასამრჯელოს.

არსებობს კიდევ კლანის სხვა მახასიათებლებიც, ნაკლებ აუცილებელი, მაგრამ საკმაოდ განსაკუთრებული. ჩვენ წინაშეა სეგმენტური საზოგადოებები; თითოეულ კლანს აქვს თავისი დამოუკიდებლობა, რომელიც განაპირობებს კლანში შესვლის შესაძლებლობას ხელოვნური ნათესაობის ყველა სისტემით, განსაკუთრებით შვილად მიღებისას. მრავალრიცხოვან შემთხვევაში, კლანში ჩნდება სულთა განსაზღვრული რიცხვი, განსაზღვრულ სახელთა რიცხვი და ცხოველთა გარკვეული რაოდენობა, რომელიც ცხოვრობს კლანთან.

ბოლოს დგება საკითხი მნიშვნელოვანი უფლებებისა და ინდივიდუალური უფლებებისა.

კლანი ან კლანები შეიძლება იყოს სხვადასხვა სახისა. დაწყებითი კლანები, რომლებიც ჯგუფებს შეესაბამება, ყველგან მეტ-ნაკლებად გამქრალია. სხვათა შორის, ზოგიერთ კლანს აქვს უკიდურესად განსაზღვრული ადგილობრივი ინსტიტუტები: პატრილოკალური ან მატრილოკალური. იმისდა მიხედვით,

შთამომავლობა განისაზღვრება მამით თუ დედით, კლანიც განისაზღვრება მამრობითი თუ დედით ერთსისხლიანი შთამომავლობით. ეგზოგამია საყოველთაოა და ენდოგამიური კლანები გამონაკლისია. ენდოგამიური კლანი თითქმის ყოველთვის შეესაბამება კასტას, როგორც სამეფო ოჯახები. ჩვეულებრივად, ნათესაობის ხარისხი ხელის შემშლელია ქორწინებაში.

კლანი შეიძლება იყოს კიდევ ლოკალური ან უბრალოდ ნომინალური. ამ შემთხვევაში ის ჯგუფებს სხვადასხვა დასახლებულ პუნქტში გაფანტულ ინდივიდებს, სადაც მათ ცნობენ თავიანთი პატრონიმიით (მამის სახელი). დიდი ტოტემური კლანები ყოველთვის რაღაც ხარისხით ან ნომინალურია ან ლოკალური. მაგრამ არსებობს აგრეთვე ლოკალური კლანები, მეტად მნიშვნელოვანი, როგორიცაა შოტლანდიური კლანი. ზოგან ერთი კლანი შეიცავს ინდივიდთა ძალიან მცირე ჯგუფს, მაგალითად, ავსტრალიის არუნტას კლანი. კლანმა, რომელიც დღეს უმნიშვნელო ჩანს, ზოგიერთ რეგიონში შეიძლება შეასრულოს მნიშვნელოვანი ისტორიული როლი.

დოქტრინა, რომელსაც სურს, რომ ეგზოგამია იყოს კლანის მახასიათებელი, წამოაყენეს ფრეზერმა და დიურკჰეიმმა. სინამდვილეში ეგზოგამია არ არის აუცილებელი იყოს კლანის ეგზოგამია, რადგან ზოგან კლანი გადაგვარდა და არის მხოლოდ უბრალო ნათესაობა.

შთამომავლობა კლანში ითვლება ერთი ხაზით და დგება პრობლემა სისხლით ერთ შთამომავლობასა და მამით (მამრობით) შთამომავლობაზე. კლანს, სადაც ნათესაობა განისაზღვრება ერთი სისხლით, საფუძველს უდებს ქალი, რაც სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ქალია ბატონ-პატრონი, არამედ იმას, რომ ქალი გამრავლების საშუალებაა. სისხლით ერთი შთამომავლობა არ ნიშნავს, რომ გაბატონებული ქალია, არამედ ეს ნიშნავს იმას, რომ იგი კლანის ხაზი და საწყისია. დიდი შეცდომა იქნება, თუ ერთმანეთში ავურევთ მატრიარქატსა და ერთი სისხლით შთამომავლობას, მაშინ, როდესაც პიროვნება, რომელიც მბრძანებლობს ერთი სისხლით შთამომავლობიან ოჯახში, არის სისხლით ერთი ბიძა, დედის ძმა. სისხლით ერთი შთამომავალი გამოიცნობა სისხლით ერთი ბიძის მნიშვნელოვანი როლით, ან სისხლით ერთი ძმისშვილის როლით. XIX საუკუნის ბოლოს თეორეტიკოსები ფიქრობდნენ, რომ ადამიანთა საზოგადოება დაიწყო სისხლით ნათესაობით. მათი აზრით, პრიმიტიული ნათესაობის ფორმა იყო ნათესაობა ქალის მხრიდან. საკითხი, რომელიც დიდხანს საკამათო იყო, წარმოადგენს მხოლოდ თეორიულ ინტერესს. პრაქტიკაში ძირითადი დაყოფა ექვემდებარება სქესსა და შთამომავლობას; საჭიროა, რომ მამაჩემი არ იყოს იმ ფუძიდან, რომლიდანაც დედაჩემია და საჭიროა, რომ დედაჩემი არ ეკუთვნოდეს იმავე შთამომავლობას, რომელსაც მე ვეკუთვნი. მაშასადამე, მე მექნებოდა უფლება, ვყოფილიყავი მისი ქმარი. ყველა საზოგადოებაში სქესის გაყოფის შემდგომ ერთდროულად არსებობს შთამომავლობა ერთი სისხლით და შთამომავლობა მამის მხრიდან: ოღონდ ეს ორი შთამომავლობა ერთნაირად არ მიიღებოდა. პრობლემა, რომლის შესახებაც კამათობდნენ 30 წელზე მეტი, არარსებულია. მემკვიდრეობის უფლება შეიძლება იყოს როგორც ქალის, ისე კაცის მხრიდან, მაგრამ მემკვიდრეობას არ იღებენ ორივე ხაზიდან: ასანტის ქვეყნებში ბავშვი დედისაგან მემკვიდრეობად იღებს სისხლს, ხოლო მამისაგან — სულს.

უფრო მნიშვნელოვანი დაყოფები შესაძლებელია გამომდინარეობდეს ასაკობრივი განსხვავებიდან. ასაკთა კლასები წყვეტს განსხვავებას ჯგუფებსა და კლანებს შორის.

ხშირ შემთხვევაში ერთი საზოგადოება, რომელიც დაყოფილია პატარა კლანებად, მიმოფანტულია ვრცელ ტერიტორიაზე. ეგზოგამიის წესის თანახმად, თითოეულ ადგილზე მრავალი კლანია წარმოდგენილი და თითოეული კლანი ცდილობს შეინარჩუნოს უპირატესი მნიშვნელობა. ესაა ფუნდამენტური საკითხები, რომლებიც ერთდროულად ეხება როგორც საჯარო, ისე პირად ინტერესებს. კავშირი კლანებს შორის ხშირად მუდმივია. მიღებულია, რომ კლანი A თავის საცოლეებს ეძებს კლანში A′, რომელიც ოპოზიციურ ჯგუფს ეკუთვნის. ირიკეზულ ანსამბლში „დათვი“ ირთავს „ძუ მგელს“. როდესაც ვნახავთ, რომ უმრავლესობა დათვია და სისხლით ერთი შთამომავალნი მგლები, აქ შეიძლება ვილაპარაკოთ სისხლით ერთ კლანზე. აქ კაცები ითვისებენ ქალებს; თუმცა სისხლით ერთნი — ბიძები მიიჩნევენ (თავს შეაყვარებენ) თავიანთ ძმისშვილებს (დისშვილებს) და მომავალ სიძეებს.

უფლებები პიროვნებებზე გამოიხატება საკუთრების უფლებებით; ესა თუ ის საკუთრება ჭრება ამა თუ იმ ხაზთან ერთად. მთავარია საკუთრება, აგრეთვე სისხლის აღება. საკითხი გასარკვევია, თუ ვაჟმა მიატოვა დედა, იიმოს მამის კლანში, თუ პირიქით?

სოციალური მდგომარეობა აიხსნება აგრეთვე გლოვით, მგლოვიარეების მოსვლით, რომლებიც ერთ შემთხვევაში სისხლით ნათესავები არიან, მეორეში კი მამის მხრიდან. სისხლით ერთი ნათესავები, რომლის მნიშვნელობაშიც ეჭვი არ გვეპარება, შეიძლება ამგვარად გამოჩნდეს დასაფლავების დროს.

საჭიროა ამ ნომინალურ კლანებში განვასხვავოთ კლანის დიდი ოჯახი. საყურადღებოა არა ინდივიდთა რაოდენობა, არამედ რიცხვი, ნათესაობის გამოთვლა.

ბოლოს, ძალიან ხშირად ვადგენთ ორი სახის კლანის შეჯვარებას, რომელსაც თან სდევს ორი შთამომავლობის შეჯვარება. ერთსა და იმავე საზოგადოებაში კრობერმა აღმოაჩინა ორი სახის კლანი, ერთნი გადაიცემოდნენ სისხლით, მეორენი — გონებით.

მეორე მხრივ, კლანები შეიძლება დანაწევრდეს, დაიყოს ქვეკლანებად, რომლებიც, თავის მხრივ, კიდევ იყოფიან. სწორედ ეს შეამჩნია ჰადონმა ტოსეს სრუტეში და აღწერა სახელწოდებით — გადაჯაჭვული ტოტემები. აქედან გამომდინარე, კლანებისა და გვარების იერარქია და კლანის დაყოფა შეესაბამება სამყაროს იერარქიას, ჰეშმარიტ კოსმოლოგიას.

კლასიფიკაციის ეს ფორმები არის პუებლოს სამყაროში, სიერა და ირიკეზულ სამყაროებში, თითქმის მთელ ამერიკაში. კარგად ჩანს, რომ მსგავსი კოსმოლოგია არსებობდა მექსიკასა და პერუში; ტოტემი პირველად ნახსენებია გარსილასო დე ლა ვეგაში.

შესაძლებელია აღმოვაჩინდეთ რიგი ტოტემის წინაშე, ე. ი. ქვეკლასების წინაშე. ქვეკლანები ხშირად შედარებულია ხის ტოტებთან: საქმე ეხება ჩიტის მოთავსებას ხეზე. ქვეტოტემებად დაყოფამ შეიძლება მიგვიყვანოს ჯგუფს მითური ცხოველის შექმნამდე: ზუნებთან „იაგუარის მარჯვენა თვალი“ ნორმალურად თავსდება „მარჯვენა ნესტოს“ უკან და „მარცხენა თვალის“ მარჯვნივ; მიწაზე კლანის წევრები ხატავენ წმინდა იაგუარს. იგივე მდგომარეობაა ირიკეზული საბჭოს შეკრებებზე, რიგი ძალიან გამოკვეთილია. მეტ-ნაკლებად მრავალრიცხოვან ქვეკლასებად დაყოფას მიეყავართ ინდივიდის ლოკალიზაციამდე.

კლანი ბოლოს შეიძლება გაჭრეს, მაგალითად, როდესაც ყველა ქვეკლანი ამაღლდება კლანის ღირსებამდე. ეგზოგამია უფრო ძნელად ჭრება, ვიდრ

ტოტემი; ხშირად კლანი მხოლოდ თავისი გვარით არსებობს, რომელიც ანიჭებს მათ, ვინც მას ატარებს, ნათესაობას. ზოგან ის არსებობს სამხედრო ორგანიზაციის ფორმით: რომში ცენტურიონებისა და ტომების კომიციები შეესაბამება ერთ შემთხვევაში გვარს (შთამომავალს ან ტომს), მეორე შემთხვევაში — არმიას. აქ საქმე ეხება სამხედრო ორგანიზაციასა და მამაკაცთა საზოგადოებებს.

ლოკალური კლანი უფრო ხშირად პატრილოკალურია, ვიდრე მატრილოკალური. ხშირად იგი წარმოქმნილია ერთ-ერთი ამ ქვეკლანიდან, რომლის მამრობითი წარმომადგენლები რჩებიან ჯგუფებად და, ასე რომ ვთქვათ, გამორიცხავენ სისხლით ერთიან შთამომავლობას. ეგზოგამია აქ უკიდურესად ლოკალურია. შეიძლება ადამიანს ჰქონდეს გვარი და ლოკალური მიკუთვნება მამის მხრიდან, ამავე დროს შეიძლება ჰქონდეს დედის გვარიც.

საორგანიზაციო სისტემა გამოჩნდება ნათლად უხუცესთა შეკრებაზე ან მამაკაცთა სახლის სეანსებზე, როდესაც ყველა მამაკაცი იკრიბება მათი ჯგუფის სახლში. მაშინ შეიძლება ითქვას, რომ პარლამენტი მოქმედებს მუდმივად. რომაული სენატი და გვარის კრება შეესაბამება ამ სესიებს.

კლანში სისხლით გაერთიანებულ წევრებს ემატებათ მონები, განთავისუფლებულია თუ არა, კლიენტები, ტყვეები და ა. შ.

ხშირად ტომის სამხედრო ორგანიზაცია დაყოფილია ასაკისა და კლანების მიხედვით. ამ შემთხვევას ვხვდებით პოლონეთის არმიაში XV საუკუნემდე.

ბოლოს, დგება ურთიერთობის საკითხი კლანსა და ტომს შორის.

ოჯახი

დიდი ოჯახი ან განუყოფელი ოჯახი არის კლანის ან, უფრო ზუსტად, ქვეკლანის თავმოყრა. ეს არ დაწყებულა პირველყოფილი წყვილებით, არამედ დაიწყო მასებით, მეტ-ნაკლებად დიდი მასებით, რომლებმაც ნელ-ნელა მოიყარეს თავი; ევოლუცია განხორციელდა მეტ-ნაკლებად ვიწრო ნათესაური წრეების დადგენით. განუყოფელი ნათესაობა კი არ უნდა აიხსნას ოჯახის გამრავლებით, არამედ პირიქით, შეუღლებული ოჯახი უნდა აიხსნას განუყოფელი ნათესაობით.

დიდი ოჯახი შედგება ერთსისხლიანი ჯგუფისაგან, რომელსაც აქვს ერთი და იგივე გვარი და ცხოვრობენ ერთად განსაზღვრულ ტერიტორიაზე. ემორჩილებიან შთამომავლობის ყველაზე მოხუც მამაკაცს; მემკვიდრეობა ეკუთვნის უმცროს ძმას და არა ვაჟიშვილს: ნეპალის მეფემ, თავისი ვაჟისათვის რომ დაეტოვებინა სამეფო, ამოწყვიტა ყველა თავისი ძმა. ეს ისაა, რასაც ჩვენში უწოდებენ გაჩუმებულ თემს, დამორჩილებულ, ჩუმ თემს, რომლის წევრები აერთიანებენ ყველაფერს პატრიარქის ხელმძღვანელობით. ვაჟებს მემკვიდრეობას აძლევს თემი და არა მათი მამა; პატრიარქი არის განუყოფელი ქონების ადმინისტრატორი.

მეინის წიგნში „ძველი კანონები“ დიდი ოჯახის აღწერა უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო. მეინმა აღმოაჩინა ოჯახის იდენტურობა პენჯაბში და ირლანდიაში. მას შემდეგ ჩვენ ვამტკიცებთ დიდი ოჯახის არსებობას თითქმის მთელ ინდოევროპულ სამყაროში. ბალკანების ზადრუგა არის ჩრდილო კელტების მთელ სამყაროში. რომში მამით მემკვიდრეობის ჯგუფი ძალიან ძლიერი იყო; იგი მოიცავდა ერთი და იმავე მამრობითი წინაპრის ყველა შთამომავალს; აქ იგულისხმება ქალებიც, მაგრამ არა ამ უკანასკნელთა ვაჟიშვილები.

დიდი ოჯახის მახასიათებელი ნიშნები იგივეა, რაც კლანისა. მათ აქვთ საერთო გვარი. თითოეულ შთამომავლობას აქვს კავშირი ოჯახის შიგნით. შთამომავლობის შიგნით არსებობს აბსოლუტური თანასწორობა: ყველანი ერთმანეთის ძმები არიან, რომლებიც მიეკუთვნებიან ერთსა და იმავე შთამომავლობას წინაპართან მიმართებაში, ყველანი არიან რაღაც ხარისხით ამ წინაპრის ვაჟები. ეს შეიმჩნევა ქორწინებაში, რომლის ერთი განსხვავებული, მაგრამ ძალიან ძლიერი ფორმა არის დური პოლიკინია ან ძმური პოლიანდრია — მრავალქმრიანობა.

ყველაზე მნიშვნელოვანი ნიშანი განუყოფელ ოჯახში არის საერთო წინაპრის ცნება, რომლის ცოცხალი წარმომადგენელი პატრიარქია. აქ დიდი ოჯახი მკვეთრად განსხვავდება კლანისაგან, რომლის შიგნითაც წინაპრის კულტი საკმაოდ იშვიათია.

დიდი ოჯახის შიგნით მემკვიდრეობის უფლება ხორციელდება შთამომავლობით. თითოეული შთამომავლობის ხალხს შორის თანასწორობა აბსოლუტურია გარდა პატრიარქის ავტორიტეტისა; განაწილება არ ხდება გვარის (წინაპრის) მიხედვით, არც მემკვიდრეობის წარდგენის მიხედვით. განაწილება ხდება მხოლოდ სულადობის მიხედვით თითოეული შთამომავლობის შიგნით. საერთოდ, ამ სტადიაზე არის მხოლოდ დიდი ოჯახის ეგზოგამია.

გაუყოფელი საკუთრება რჩება საგვარეულო მამულში. თუ ადგილი აქვს მის გაყოფას, ის არის ყოველთვის თანაბარი. სინამდვილეში არ არის მემკვიდრეობა, რომელიც ოჯახის შიგნით არსებობს, თუმცა ინდივიდუალური ოჯახი იქმნება თითოეული თაობისათვის.

დიდი ოჯახის შიგნით პატრიარქი ანაწილებს მინდვრის სამუშაოებს, მართავს უძრავ და მოძრავ ქონებას. ხანდახან ადგენენ აგრეთვე ინდივიდუალურ ფულად დახმარებას, მეტ-ნაკლებად შეზღუდულს. თანასწორობა ყველას შორის არ ნიშნავს ურთიერთთანხმობას ყველას შორის; ის, რაც არსებობს, არ არის კომუნიზმი, მაგრამ მთლიანი ურთიერთთანხმობაა: ჯგუფის წევრები ელოდებიან არა ქონების, არამედ სამსახურის ერთიანობას.

დაბოლოს, მიღება გათანაბრებულ ჯგუფში შედარებით თავისუფალია; ოჯახის წევრებს შეუძლიათ გაწყვიტონ მამით მემკვიდრეობასთან კავშირი, რათა დააფუძნონ ახალი ოჯახი.

დიდი ოჯახის არსებობა მტკიცდება მიწაზე კედლებით შემოღობილი დიდი ან გრძელი სახლის არსებობით.

ზოგადი თვისებები იგივე რჩება. ეს დიდი ოჯახი შეიძლება იყოს მამის ან დედის ხაზით; ან კიდევ იცავენ ორივე შთამომავლობას. მალაიურ დიდ ოჯახში გათხოვილი ქალიშვილები რჩებიან ადგილზე და ღამ-ღამობით იღებენ თავიანთ ქმრებს. ამას ჰქვია ფარული (საიდუმლო) ქორწინება. ასხვავებენ ორი სახის დიდ ოჯახს: განუყოფელი თავისი მამის მხრიდან; ინდოევროპული ოჯახის ტიპი, სადაც განაგებს ყველაზე უხუცესი მამის მხრიდან. განუყოფელი დიდი ოჯახი დედის მხრიდან, მაგალითად, გერმანიკული ოჯახის ერთი ნაწილი. ამ გარემოების თანახმად, უძრავი ქონების უფლება გადაეცემა ან მამის მხრიდან, ან დედის მხრიდან. მოძრავი ქონება უფრო მიეკუთვნება ინდივიდს, პიროვნებას. მაგრამ მამით მემკვიდრეობა არ გამორიცხავს დედის მხრიდან მემკვიდრეობას. დედის მხრიდან განუყოფელ ოჯახში, პატრიარქი არის ყველაზე უფრო ასაკოვანი ცოლი შთამომავლობიდან: მადაგასკარზე დედოფლის ქმარი არის პირველი მინისტრი (ე. ი. დედოფალი თხოვდება პირველ მინისტრზე), სხვაგან კი — ძმა, დედის მხრიდან უხუცესი ბიძა. მაგრამ დედის მხრიდან

შთამომავლობის აღნუსხვა სულ არ ნიშნავს, რომ ოჯახი მატრიარქალურია, ე. ი. ისეთი ოჯახი, სადაც ქალი მბრძანებლობს. უბრალოდ ეს იმას ნიშნავს, რომ მამაკაცები იერარქიაში ერთიანდებიან დედის ხაზით.

ოჯახები დედის ხაზით გამოიცნობა დედის მხრიდან ბიძების პოზიციით. დედის მხრიდან ბიძა არის მფარველი, ჩვეულებრივი მეურვე. ქალის პოზიცია (მდგომარეობა) აღინიშნება კიდევ სახლის მოწყობაში. დიდ სახლში თითოეულ ოჯახს აქვს თავისი ბინა. მაშასადამე, დედის ოჯახში ქმარი არ არის თავის სახლში, ზოგჯერ ის მხოლოდ ღამღამობით მალულად ნახულობს თავის ცოლს.

ბავშვების საკუთრებაზე უფლება დედის ოჯახში ეკუთვნის ბაბუას ან ბიძას დედის მხრიდან. ქმარი ითვლება მობინადრედ, ხშირად მისი ვაჟისთვისაც locum tenes-ად. ქმარი არის მისი ვაჟისა და აგრეთვე მისი სიმამრის ნაცვალი.

პოლიანდრია (მრავალქმრიანობა) რეგულარულია ზოგიერთ საზოგადოებაში: სკვითებთან და ნუმიდებთან. იგი არსებობს აგრეთვე ტიბეტში, სადაც ერთ ქალს ჰყავს რამდენიმე ძმა როგორც ქმარი და, სადაც თითოეული ოჯახი შედგება რამდენიმე ქალისაგან.

საერთოდ ქონების ადმინისტრაცია ხდება სახლში ერთ-ერთი ცოლის უფროსი ძმის და არა ქმრის მიერ.

მამის (მხრიდან) ოჯახი არ ქმნის ძალიან განსხვავებულ სურათს იმ გაგებით, რომ ორივე შემთხვევაში ყოველთვის კაცები არიან პორტუპეიები (ხმლის ჩამოსაკიდის მატარებლები). მამაკაცთა როლი არ განსხვავდება, მხოლოდ მათი ადგილი იცვლება. მამით შთამომავლობის დროს, პირიქით, ქალებია უცხო ოჯახისათვის, ისინი მხოლოდ ბავშვების შწარმოებლები არიან. მამით შთამომავლობის განუყოფელ ოჯახს, რომაული სამართლით, გააჩნია ნათესაობა, ბინა, როდესაც გენოსი საბერძნეთში არის რაღაც შუამავლის მსგავსი კლანს, ოჯახსა და პატრიარქულ ოჯახს შორის, დიდი ოჯახის ზეგავლენით. მამით შთამომავლობის ეს ოჯახი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ინდო-ირანულ და მთელ კელტურ სამყაროში, მაშინ როდესაც გერმანიკულ პირველსაწყის უფლებაში დედის მხრიდან განუყოფელმა ოჯახმა შეასრულა მნიშვნელოვანი როლი. მამით შთამომავლობით ოჯახი არსებობს კიდევ ჩრდილოეთ ამერიკის ზოგიერთ საზოგადოებაში; ამ შემთხვევაში ქალი არ არის მისი ბავშვის მშობელი, იგი უბრალოდ მათი ნათესავია, ნაყიდი ქმრის მიერ, რათა ჰყავდეს ბავშვები. აქედან მომდინარეობს მცდარი შეხედულება ქორწინებაზე, სადაც ქალი არის ქმრის მონა.

აგნატიკურ (მამის მხრიდან) ოჯახში ქალი ფლობს მხოლოდ თავის საკუთარ ქონებას, გათხოვილი ქალის ქონებას (რომელიც არ არის მზითვის ნაწილი), მაგრამ ამ ქონებაზე მას გააჩნია დიდი უფლებები. შეცდომა იქნებოდა, რომ არსებობდეს მხოლოდ ერთი უფლება, რომელიც მიესადაგებოდა ყველა ქონებას და ყველა მესაკუთრეს, როგორიც არ უნდა იყოს ის. უფლებათა სიმრავლე არის ამ წესის საპირისპირო.

მამის ოჯახში ყველაფერი ისე ხდება, როგორც დედის ოჯახში. განაწილება ხდება სულადობით და არა შთამომავლობით ერთსა და იმავე თაობის ინდივიდებს შორის. კომუნიზმი არ არის, მაგრამ თანაზიარობა არის პირდაპირი ან არაპირდაპირი.

მამის დიდი ოჯახის შიგნით შეიძლება არსებობდეს ორმაგი პოლიგამია, ე. ი. ერთი ოჯახის მთავარი ქორწინების აუცილებლობა (იძულება) სხვა ჯგუფისა თუ სხვა კლანის ოჯახთან. ეს ორმაგი პოლიგამია შეესაბამება დედის ოჯახების

პოლიანდრიას. ლევირატი (გარდაცვლილის ძმა ირთავს უშვილო ქვრივს) ამ-ს გადმონაშთია.

დაუნაწევრებელი დიდი ოჯახი ჩაწერილია მიწაზე ისლანდიური უფლებით, ნორმანდიული ღობით. ვაჟს აქვს უფლება აიშენოს სახლი მამის ნაკვეთზე, მაგრამ მას არა აქვს ამ სახლის გაყიდვის უფლება. ნაკვეთი არის ქვით ან ხით შემოსაზღვრული სივრცე. კრაალი (სოფელი, შემოღობილი სივრცე ცხოველებისათვის სამხრეთ აფრიკაში) არის კლანის, სოფლის ან დიდი ოჯახის. მაგრამ არასოდეს არ არის ინდივიდუალური ოჯახი.

რაც შეეხება საქონელს, საკუთრება განუყოფელია, საქონელი მიეკუთვნება აგნატთა ჯგუფს. უძრავი საკუთრება განუყოფელია, როდესაც საქმე ეხება წიაღს. იგი არ არის განუყოფელი, როცა საქმე ეხება მიწის ზედაპირს, განსაკუთრებით მინდვრებს და ბაღებს.

ძირითადად სოლიდარობა აბსოლუტურია, როცა საქმე ეხება ოჯახში არსებულ ბორტმოქმედებას.

დაბოლოს, ჩვენ მივადექით ოჯახის ყველაზე ძველ ფორმას, რომელიც იურიდიული თვალსაზრისით სინამდვილეში უფრო ახალია: ცოლ-ქმრული ოჯახი სწორედ რომში მიიჩნიეს კანონიერად, მაგრამ იგი არ აღიარებდა ქალის მხრიდან ნათესაობას.

ნამდვილი ცოლ-ქმრული ოჯახი არსებობს ყველგან, ინდივიდებმა იციან ყოველთვის, რომელია მათი ნამდვილი მამა და ნამდვილი დედა და ასხვავებენ მათი სიკვდილის შემდეგაც; სიყვარულის ურთიერთმიმართება და ა. შ. უფრო ვიწროა ნამდვილ მშობლებსა და შვილებს შორის. მაგრამ ცოლ-ქმრული ოჯახი უფლებით იშვიათადაა აღიარებული.

უმეტეს შემთხვევაში ვხვდებით ცოლ-ქმრული ოჯახისა და განუყოფელი დიდი ოჯახის თანაარსებობის ფაქტებს. ნამდვილი ცოლქმრული ოჯახი არსებობს ავსტრალიიდან. ესაა უფლებიანი ოჯახი, რომელიც განიცდის ცვლილებათა უზარმაზარ ამპლიტუდას, რომლებიც ჩვენ ეს-ესაა აღვწერეთ: საჭირო იქნება დავაკვირდეთ ოჯახს რეალურად. ესკიმოსებთან და აზიის ჩრდილოეთის დიდ ნაწილში ორგანიზაცია იცვლება სეზონების მიხედვით: ინდივიდუალური ოჯახი ცალკევდება ზაფხულში ნადირობის დროს; ზამთარში დიდი ოჯახის ყველა წევრი იკრიბება საერთო დიდ სახლში. ავსტრალიური ჯგუფი ჩვეულებრივად შედგება სამი ან ოთხი ოჯახისაგან, რომლებიც ცხოვრობენ სამ ან ოთხ ჭერქვეშ და გადაადგილდებიან სანადირო ადგილის ამოწურვის შესაბამისად. ტომთა, ჯგუფთა და კლანთა დიდ კონცენტრაციებს ადგილი აქვთ მხოლოდ წლის განსაზღვრულ დროებში ზუსტი მიზნებისათვის.

ცოლქმრული ოჯახი მამის ხაზითაა თუ დედის? ჩინეთში მე არა მყავს არცერთი ნათესავი, გარდა მამის წინაპრებისა; ქალები აღმერთებენ ქმრის წინაპრების გამოსახულებებს და არა თავის წინაპრებს. შვილები ნათესავები არიან მხოლოდ მამის ხაზით. მატრიარქატი, ასევე გადახრილი ფორმით, არსებობს ინდოეთში, განსაკუთრებით ბრაჰმანების მაღალ კასტებში. იგი რეგულარულია მიკრონეზიაში.

ცოლ-ქმრულ ოჯახში განსაკუთრებით შეეისწავლით მამის როლს. აქვს თუ არა მას თავისი შვილების მოკვლის უფლება? ყველა საზოგადოებაში მამა ყოველთვის იხრება იმისკენ, რომ თავისი უფლებები გადასცეს ვაჟიშვილებს და თან შეუნარჩუნოს ის უფლებები, რაც დედისგან გააჩნიათ. ესაა ყველა სამეფო ოჯახის, ყველა ქორწინების ისტორია. თითქმის ყველგან შეიმჩნევა კონფლიქტები აგნატიკურ (მამის) და კოგნატიკურ (დედის) შთამომავლებს შორის.

ქორწინება არის სამართლებრივი კავშირი, რომელიც აერთიანებს ორ პიროვნებას იმ მიზნით, რომ შექმნან ოჯახი, რომელიც მთავრდება სამართლებრივი მდგომარეობით, როცა საქმე შეეხება შვილებს. ესაა სექსუალური მორალის სანქცია. იმ საზოგადოებებში, რომლებიც ჩვენ გვაინტერესებს, ქორწინება არაა ოჯახის საწყისი, ეს მხოლოდ ერთი მომენტია, ერთი შემთხვევაა. საოჯახო უფლების ევოლუციას მეთლიანად მივყავართ ცოლ-ქმრული ოჯახის ევოლუციისაკენ. ქორწინება იწყება არაფრიდან, რომ მიაღწიოს თითქმის ყველაფერს; usucpio (რამის შეძენა) ამ თვალსაზრისით მხოლოდ VIII საუკუნეში იქნა გაუქმებული.

მიღებული არ არის ის პრობლემური საკითხი, რაც პრიმიტიულ ახლო ურთიერთობებს ეხება და საჭიროა განსხვავება მოხდეს ფაქტობრივად, სამართლებრივად. ქორწინების იდეა, რომელიც ხდება ჯგუფურად (ძმათა ჯგუფი, დათა ჯგუფი), მცდარი იდეაა. ის, რაც არსებობს, ესაა შესაძლებელი სექსუალური დამოკიდებულებები, რომელსაც შეუძლია მიაღწიონ ფაქტობრივი მდგომარეობებით, მაგრამ ის ყოველთვის შემთხვევითი და მკაცრად მოწესრიგებულია, თუმცა ვერასოდეს აღწევს სამართლებრივ მდგომარეობას. ჯგუფურ ქორწინებას ადგილი აქვს მხოლოდ პატარა ჯგუფებს შორის, რომელიც შეზღუდულია ასაკითა და სქესით; ხშირ შემთხვევაში მე და ჩემს ძმებს შესაძლებლობა გვაქვს შევირთოთ ბიძაშვილები დედის მხრიდან. სამართლებრივი მდგომარეობა წინ უსწრებს ფაქტობრივ მდგომარეობას.

ლუის მორგანს ეგონა, რომ ჰავაიში აღმოაჩინა ჯგუფური ქორწინება ძალიან ფართო საფეხურზე: იგი მომდინარეობდა პუნალუას ნათესაობიდან, სადაც ყოველ კაცს შეუძლია უწოდოს „ცოლი“ მისი შთამომავლობის (თაობის) ყველა ქალს; და სადაც სექსუალური ურთიერთობები შესაძლებელია ერთი შთამომავლობის (თაობის) შიგნით. აქედან გამომდინარე, მორგანი მივიდა პრიმიტიული ახლო ურთიერთობების (პრომისკუიტეტი) დასკვნამდე. ჰავაიზე სექსუალური ნებართვა სავალდებულოა წლის პირველ თვეს და ერთი კვირის მანძილზე დიდ დღესასწაულებზე. ამის შემდეგ იგი აკრძალულია. მეორე მხრივ, ჰავაიზე არ არსებობს განსხვავება სიტყვა „ცოლსა“ და სიტყვა „დას“ შორის. დაბოლოს, ქორწინება აძლევს მეფეს ცოლად შეირთოს დედით ერთი და; სისხლის აღრევის მნიშვნელობით საშეფო დინასტია იმეორებს ცისა და მიწის სახეს, რომელიც ხსნის მემკვიდრეობის საკითხს. ის, რაც მორგანისთვის ქმნიდა ჯგუფური ქორწინების საფუძველს, შეესაბამება მხოლოდ განსაზღვრული პერიოდით შემოფარგლულ სექსუალური ლიცენზიის პერიოდს, მეორე მხრივ, შეეხება მეფის სისხლის აღრევის ქორწინებას.

ქორწინების რეგლამენტაცია და განსაკუთრებით მატრიმონიალური კლასების შექმნა მიზნად ისახავს დააწესოს მატრიმონიალური აკრძალვები შთამომავლებს შორის. თითქმის მთელი შავი საზოგადოება იცნობს მატრიმონიალურ 4 კლასს, რომელიც თითოეულ ჯგუფში შეესაბამება 2 შთამომავლობას. ზოგიერთ საზოგადოებაში უფრო რთული კლასიფიკაცია ამცირებს ქორწინების შესაძლებლობას ვიწრო ჯგუფებში, რაც საბოლოოდ გვარწმუნებს წინაპრის გარდასახვაში. ამგვარად, შეიძლება გვქონდეს 8 მატრიმონიალური კლასი.

მატრიმონიალური კლასების შექმნა ბევრად უფრო გავრცელებულია. ვიდრე ჩვენ ეს გვგონია. მსგავსი კლასების არსებობა აღსანიშნავია განსაკუთ-

რებული პოზიციით, რომელიც უპირავს სიდედრს (დედამთილს) და ნათესაობას.

კლასები ხშირად ხან უპირისპირდებიან ერთმანეთს, ხანაც სცილდებიან, რათა საშუალება მისცენ გერონტოკრატიის არსებობას; ასაკიანი მამაკაცები უფრთხილდებიან ახალგაზრდა ქალებს. მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, ამ კლასების ორგანიზაცია დაკავშირებულია თუ არა ტოტემიზმთან; ძალიან ხშირად ორი ჯგუფი ატარებს ტოტემის ერთ სახელს.

ტყუილუბრლოდ არ უპირისპირებენ ეგზოგამიას და ენდოგამიას. ოჯახური ეგზოგამია თითქმის ყოველთვის შეესაბამება კლანურ ენდოგამიას; ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ ერთმანეთზე დაქორწინება ჩვენ შთამომავლობაში აკრძალულია. ეგზოგამიის კანონების დარღვევა — ინცესტი არის საჯარო დანაშაული. ის იწვევს საშინელებას, თუნდაც უნებურად იყოს ჩადენილი (ოიდიპოსი). ზოგჯერ ინცესტს ეძებენ კიდევაც, რადგან მხოლოდ იგი გვაძლევს სისხლის აბსოლუტურ სიწმინდეს (სამეფო ოჯახი ჰავაიზე; ფარაონები).

რაც შეეხება პოლიგამიასა და მონოგამიას, აბსოლუტური მონოგამია არსებობს მხოლოდ კანონში (უფლებაში). დური პოლიეინია (ტიბეტში) და ძმური პოლიანდრია (აფრიკაში) იხსნება თითქმის ყოველთვის ეკონომიკური მიზეზებით. პოლიეინია ნორმალურია იმ რაიონებში, სადაც ქმარსა და ცოლს არ შეუძლიათ ჰქონდეთ სექსუალური კავშირები თითოეული ბავშვის დაბადებიდან ძუძუს წოვების შეწყვეტამდე.

ქორწინების პერმანენტულობის საკითხი უფრო დიდხანს შეაჩერებს დამკვირვებლის ყურადღებას. კავშირი, რომელიც აახლოებს მეუღლეებს, არის უფლების კავშირი; მაგრამ რა სახის? არის ეს საცხოვრებლის გაყიდვის ან დაგირავების კონტრაქტი? შერჩევითი ქორწინების დროს იბეევენ ბავშვებს დაბადებამდე. სინამდვილეში საქმე ეხება მის გაცვლას ჯგუფიდან ჯგუფზე. საერთოდ, ქორწინება ამყარებს კავშირებს ორივე მხარის მშობლებს შორის (მძახლებს შორის). არსებობს პასუხისმგებლობების საინტერესო უთანაბრობა და განსხვავებანი საზოგადო კანონსა და კერძო კანონში, კაცის უფლება ქალზე არ შეესაბამება ქალის უფლებას მამაკაცზე. უფლებათა დაყოფის ეს საკითხი, რომელიც შრომის დაყოფის პარალელურია, ჩნდება ბავშვების მიმართ.

ქორწინების ცერემონიალი. ქორწინება არის კერძო აქტი, რომელიც არაფერს არ ცვლის შეუღლებულთა სამოქალაქო მდგომარეობაში. ქორწინების რიტუალების მიზანია, თავიდან აიცილოს ის უხერხულობანი, რაც შეიძლება ორი სხვადასხვა ადამიანის თანაცხოვრებისაგან გამომდინარეობდეს. საცოლის „შესყიდვის ფასი" შეესაბამება ზუსტად საცხოვრებლის ფასს. ერთი ოჯახის მამაკაცს უთმობენ მეორე ოჯახის კუთვნილ ქალს და რომელიც უფლებას აძლევს მამაკაცს, უზრუნველყოს თავისი შთამომავლობა. თვითონ ცერემონია კრიზისია, რომელიც უნდა გადაილახოს. ზოგიერთ შემთხვევაში დეფლორაცია არის რიტუალი, რომელსაც საჯაროდ ახორციელებს მღვდელი, მაგალითად, სამოაში. სხვაგან, უბრალოდ გადაიყვანენ საცოლეს საქმროსთან. ნიშნობის რიტუალები ძალიან გრძელია (მაგალითად, სამხრეთ აფრიკაში). ქორწილის ღამე არ არის აუცილებელი, იყოს შეუღლების ღამე, ხშირად ბევრი მცდელობაა. მელანეზიაში ქალიშვილების სეირნობა შეესაბამება იმას, რასაც მკვლევრები წინათ უწოდებდნენ „რეგულარულ პროსტიტუციას". ყველაფერი ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ არსებობს ქორწინების ცერემონიალი. თანაცხოვრების ფაქტს — ქალის ყოფნას კაცის გვერდით, ბავშვების დაბადებას, ყველაფერ

ამას ცვლილება შეაქვს შეუღლებულთა რელიგიურ სტატუსში; ან ქმარი მიდის საცხოვრებლად ცოლთან, ან პირიქით.

რაც შეეხება ვალდებულებას, ასხვავებენ მატრიმონიალურ კლასებს. ვის ვისთან აქვს სასიყვარულო კავშირი (ქორწინება), ან ნათესავებს შორის დადებული სახელშეკრულებო კონტრაქტის ფორმები, რაც ძალიან ხშირია ავსტრალიაში. ნ. დავი იქ თავიდანვე ხედავდა ყველა კონტრაქტის შესაძლებელ საწყისს. ნიშნობების აღწერა შეიძლება დაიწყოს შეუღლებამდე; ნიშნობების ტაბუ, გადასახადი, რომელიც კაცმა უნდა მისცეს თავის მომავალ სიდედრ-სიმამრს, არის ქორწინების საფუძველი ყველა იმ საზოგადოებაში, რაც აღინიშნება ეთნოგრაფიაში. ხშირია ქორწინება დატყვევებით ან მოტაცებით. იგი უკვე არსებობს ავსტრალიის კურნებთან. ღირსეული ვაჟების ბრძოლას კიდევ აქვს ადგილი საფრანგეთის ბევრ სოფელში. აღნიშნავენ მოტაცების რიტუალებს, გაერთიანების რიტუალებს: საერთო სადილი, ორივე ოჯახის ალტერნატიული ვიზიტები. შემდეგ მოდის საქმროს ტაბუები, რასაც უწოდებენ საიდუმლო ქორწინებას. ამ დროს საქმრო მხოლოდ ფარულად ნახულობს თავის ცოლს. დაბოლოს, ზღურბლის ყველა რიტუალი, წინაპრებთან შეყვანა. მადაგასკარში კონტრაქტის ცნება გამოკვეთილია. მზითვის არქონას აღნიშნავენ, ამ ტერმინს კი საერთოდ არ ხმარობენ. უფრო ლაპარაკობენ ფულის გადასახადზე, რომელიც ქმარმა უნდა მისცეს ცოლის მშობლებს — ეს არის ფასი ცოლით სარგებლობისათვის. რელიგიური ფენომენები საერთოდ მეორეხარისხოვანია. აღვნიშნოთ ადგილისა და დროის პირობები; ხშირად ირთავენ ქალს, რომელიც ბედმა არგუნათ, რომელიც მათთვის იყო წინასწარ განსაზღვრული.

მატრიმონიალური ცხოვრება. ხანგრძლივია თუ დროებითი? ცოლის ოჯახშია თუ ქმრის? რელიგიური წესები, რომლებიც ეხება მენსტრუაციას, ძუძუს წოვებას, ნადირობას, ომს, ოჯახში აკრძალულ ქმედებებს; ქმარი და ცოლი იშვიათად ჰამდნენ ერთად. ქალის მდგომარეობა ოჯახში, სამუშაოს დაყოფა, კაცის ქონების არსებობა და ქალის ქონების არსებობა. აქ ქალი მთლიანად მესაკუთრეა; იქ კი არაფერს ფლობს. თავი ავარიდოთ იმ აზრს, რომ ქალი არის სასაპალნე ცხოველი, ქმრის მონა, მაგრამ განვასხვავოთ ქალები, რომლებიც სხვების ნამდვილი მონები ან ტყვეებია. იმ მდგომარეობის შესწავლა, რომელიც უჭირავს პირველ ცოლს, აყენებს ეჭვიანობის საკითხს დანარჩენი ცოლების მიმართ; შვილების მკვლელობა, ნაადრევი მშობიარობა და ა. შ.

ქორწინება უნდა შეისწავლებოდეს სტატისტიკურად: ღალატი (ცოლ-ქმრული) (ჩიჩისბეის ინსტიტუტები რეგულარულია შავკანიანთა ქვეყნებში); ქალის თხოვება (საწინდარი ან უბრალოდ მიცემა), გაცვლა, გაქირავება. ადიულტერთა რეგლამენტაცია და დროებითი ქორწინება, მაგალითად, ქმრის ხანგრძლივი არყოფნის შემთხვევაში (დიულებთან სუდანში). მეპატრონის უფლება, პრინცის უფლება და ა. შ.... შემთხვევა, რაც ღალატითაა გათვალისწინებული. სოლიდარობა ქმარსა და ცოლს შორის დანაშაულისა და სამოქალაქო თვალსაზრისით ხშირად ძალიან სუსტია. მაგალითად, ქმრის ურთიერთობა თავისი ცოლის მშობლებთან და განსაკუთრებით ცოლისძმებთან.

გაყრა. ვის შეუძლია საქორწინო კავშირის დარღვევა? შავკანიანებთან უფრო ხშირად ქალს, სემიტებთან კი — კაცს. რომელ შემთხვევაში? განქორწინება გაყრის ჩვეულებრივი ფორმაა. გაყრა ემთხვევა იმ ქონების დაბრუნებას, რაც ქმარმა მისცა სიდედრ-სიმამრს. გაყრის შემთხვევების სტატისტიკუ-

რი შესწავლისას სამსახურს გაგვიწევს ბიოგრაფიული მეთოდი, ბავშვების (შვილების) ბედი.

ქვრივობა. კაცის დაქვრივება ძირითადად უმნიშვნელოა, ქალისა კი უფრო სერიოზული; ქალს ხშირად ბრალი ედება ქმრის მკვლელობაში. ქალი უფრო მეტად სუბიექტია გლოვისა, ვიდრე ობიექტი. ქვრივი ქალის შეწირვა, ქვრივი ქალის თვითმკვლელობა იშვიათი არაა. აკრძალვები აწევს ქვრივ ქალს. უმეტეს შემთხვევაში ქვრივი ქალი შეწირულია მიცვალებულის დასაფლავების განმავლობაში გლოვის დამთავრებამდე. ხშირად ქალი მემკვიდრეობის ობიექტია, ვაჟიშვილი მემკვიდრეობით იღებს მისი მამის ცოლებს (დედის გარდა). ზუსტი განსხვავება კაცისა და ქალის ქონებას შორის თითქმის ყოველთვის უშლის ხელს ქმრის მემკვიდრეობის უფლებას ცოლის ქონებაზე, ცოლისას — მისი ქმრის ქონებაზე.

ფენომენები ყოველთვის გარშემორტყმულია ფენომენთა ბაკმით, რომლებიც მკაცრად სანქცირებულნი არ არიან; ამას მორალს უწოდებენ. ჩვენს საზოგადოებაში მორალი და სამართალი ერთმანეთშია არეული, განსაკუთრებით რაც შეეხება ქორწინებასა და სექსუალურ ცხოვრებას. მაგრამ უმწიკვლობა, მორალი პირობითია. აქტებს, რომლებსაც ჩვენ უარყოფითად მივიჩნევთ, სხვაგან, პირიქით, ადათითაა ნაკარნახევი. მორალურია სოლომონის ქალიშვილისათვის აირჩიოს თავისი შეყვარებული. იმთავითვე აუცილებელია შეწყდეს მორალის ნორმების ყველა სუბიექტური ახსნა. ახალ კალედონიაში ცნობილია ძალიან მკაცრი ტაბუ დების მიმართ. თითქმის ყველგან ზიარების დროს ახალგაზრდა კაცს არა აქვს უფლება დაენახოს ქალებს. ის ცხოვრობს უღრან ტყეში, გაურბის ქალების სიახლოვეს. ბევრ შემთხვევაში ქალის შეხება აკრძალულია, რადგან მნიშვნელოვანია, რომ კაცური და ქალური სუბსტანციები კონტაქტში მხოლოდ გააზრებულად შეეიდნენ. სუბსტანციის ამ იდეაზე მიუთითა დიურკჰეიმმა. ამის საწინააღმდეგოდ ნებადართული ზოგიერთი ფაქტი ძალიან შორს მიდის: მაგალითად, ქურუმ ქალთა პროსტიტუცია „მონასტრებში". ქურუმები შესაძლებელია იყვნენ მამრობითი სქესისაც. სტუმართმოყვარეობის პროსტიტუცია სინამდვილეში არის სტუმართმოყვარეობის ზიარება. ზოგიერთ ცერემონიაში ყველა ბიჭი სინჯავს ყველა ქალიშვილს. პროსტიტუცია იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც ჩვენ გვესმის ეს სიტყვა, ძალიან იშვიათია; ალბათ სემიტური წარმოშობისაა. ინვერტირებული კავშირები ქალებს შორის განსაკუთრებულია, კაცებს შორის საკმაოდ იშვიათია გარდა ახალი გვინეასი, სადაც ისინი მაქსიმუმს აღწევენ (კავშირები სისხლით ერთი ძმისწულისა ბიძასთან და თავის მომავალ სიმამრთან). ფალიკური კულტები.

ი. ლიპსი

ლიპსი იულიუს (1895—1950)— გერმანელი ეთნოლოგი, ფ. გრებნერის მოწ-ფევარი და კულტურულ-ისტორიული სკოლის ერთ-ერთი ნაყოფიერი წარმომადგენელი.

ი. ლიპსი დაიბადა საარის ოლქში, რომელიც გერმანული და ფრანგული კულტურების გზაჯვარედინს წარმოადგენს. უმაღლესი განათლება მიიღო ლაიფციგის უნივერსიტეტში, რომელიც XX ს-ის დასაწყისში ეთნოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი იყო. უნივერსიტეტში სწავლისას ი. ლიპსმა მიიღო ფართო განათლება და ეთნოგრაფიის გარდა დაინტერესებული იყო საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა მხარით. კერძოდ, ამ დროს ეკუთვნის მისი შემდეგი ნაშრომები: „სტუდენტთა ინტერნაციონალური მოძრაობა ომის შემდეგ“ (1921), „ფერდინანდ ლასალი“ (1924), „თომას ჰობსის დამოკიდებულება პოლიტიკური პარტიებისადმი ინგლისის დიდი რევოლუციის დროს“ (1927) და სხვ.

მალე ი. ლიპსი დაუახლოვდა ფ. გრებნერისა და მისი „კულტურულ-ისტორიული“ სკოლის წარმომადგენლებს და დაიწყო ინტენსიური მუშაობა ეთნოლოგიაში. იგი მუშაობდა კელნის ეთნოგრაფიულ მუზეუმში უშუალოდ ფ. გრებნერის ხელმძღვანელობით და კითხულობდა ეთნოლოგიის კურსს კელნის უნივერსიტეტში.

20-იანი წლების დასასრულს ი. ლიპსმა მოაწყო ექსპედიციები ჩრდილოეთ და დასავლეთ აფრიკაში—ტუარეგებსა და კამერუნის ხალხებში. აქ მან შეკრიბა მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა ამ ხალხების ტალხური შემოქმედების, სამართლებრივი წეს-ჩვეულებების და სხვ. შესახებ, რომელიც შემდეგში საფუძვლად დაედო მის არაერთ ნაშრომს.

1933 წელს, გერმანიაში ნაცისტური რეჟიმის დამყარების გამო, ი. ლიპსი საზღვარგარეთ გაემგზავრა. მალე მასვე გაჰყვა მისი მეუღლე ევა ლიპსი, რომელმაც მოახერხა მეუღლის მეტად ფასეული სამეცნიერო მასალების გესტაპოსაგან გადარჩენა და საზღვარგარეთ გატანა. ი. ლიპსი ჯერ პარიზში დამკვიდრდა, ხოლო მომდევნო 1934 წელს ფრანც ბოასის მიწვევით ნიუ-იორკში გადასახლდა.

ამერიკაში ი. ლიპსმა დაჰყო 14 წელიწადი—1934—1948 წლები, სადაც ინტენსიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად ეწეოდა ფართო საექსპედიციო მუშაობას. იგი ეთნოლოგიის კურსს კითხულობდა კოლუმბიის უნივერსიტეტში, ნიუ-იორკში, ვაშინგტონის ზანგების უნივერსიტეტ ბიუორდში. მან მოაწყო რამდენიმე სამეცნიერო მოგზაურობა ამერიკელ ინდიელებში — ლაბრადორზე, დაკოტაში და ოჯიბვეში, რეზერვაციებში მცხოვრებ ინდიელებში. მას განსაკუთრებით აინტერესებდა იმ ხალხების მატერიალური კულტურა, რომლებიც საოცრად მოხერხებულად იყო მორგებული ადგილობრივ მკაცრ ბუნებრივ გარემოს. განსაკუთრებით ფასეულია ი. ლიპსის ნაშრომი ლაბრადო-

რის ინდიელების მიერ მოწყობილი ხსვადასხვა სანადირო მახეების შესახებ (1930), ასევე ნაშრომები მათი წეს-ჩვეულებების, ურთიერთდამოკიდებულების, საკუთრებისადმი დამოკიდებულების და სხვათა შესახებ.

1948 წელს ი. ლიპსი მეუღლესთან ერთად ამერიკიდან სამშობლოში დაბრუნდა. მას იწვევდნენ კელნის უნივერსიტეტში — მისი თავდაპირველი მუშაობის ადგილას, მაგრამ მან სოციალისტურ გერმანიაში გადასვლა ამჯობინა და მუშაობა დაიწყო თავისი თავდაპირველი განათლების ადგილას—ლაიფციგის უნივერსიტეტში. იგი ხათავეში ჩაუდგა უნივერსიტეტთან ჩამოყალიბებულ „ეთნოლოგიისა და შედარებითი სამართალმცოდნეობის ინსტიტუტს", რომელსაც შემდეგში მისი სახელი მიენიჭა. 1949 წელს იგი აირჩიეს ლაიფციგის უნივერსიტეტის რექტორად. 1950 წლის იანვარში, მეცნიერისათვის შედარებით ახალგაზრდა ასაკში, 55 წლისა, ი. ლიპსი გარდაიცვალა.

ი. ლიპსს დარჩა მდიდარი და მრავალფეროვანი სამეცნიერო მემკვიდრეობა.

1937 წელს, ინგლისსა და ამერიკაში გამოქვეყნდა იმ დროისათვის უკვე ემიგრაციაში მყოფი ი. ლიპსის პირველი მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული ნაშრომი „ველური დარტყმაზე დარტყმით პასუხობს" („The savage hits back"). ნაშრომში წარმოდგენილია ერთი ნაწილი იმ მასალისა, რომელიც ავტორმა მოიპოვა ჩრდილოეთ და დასავლეთ აფრიკაში მოწყობილი ექსპედიციების დროს. საერთოდ, ცნობილია, რომ ი. ლიპსი განსაკუთრებული ხიმპათიებითა და კეთილგანწყობილებით იყო გამსჭვალული ადგილობრივი, სოციალური განვითარების შედარებით დაბალ დონეზე მყოფი ხალხებისადმი. ამ ნაშრომშიც ი. ლიპსს თავმოყრილი აქვს მასალა ამ ხალხთა შესახებ, თუ როგორ აღიქვამენ კოლონიების ხალხები ევროპელებს და მათი კულტურის საგნებს. მკაცრ მეცნიერულ ფაქტებზე დაყრდნობით ი. ლიპსს ამ ნაშრომში ნაჩვენები აქვს, რომ კოლონიის ჩაგრული ხალხები უდრტვინველი და მორჩილი მონების მასას კი არ წარმოადგენენ, არამედ ღრმა თავისებურად, კრიტიკულად ეპყრობიან თავიანთ ბატონებს, დასცინიან მათ და ვაჟრნიათ მათ მიმართ ფარული სიძულვილი.

ი. ლიპსის უმთავრესი სამეცნიერო ეთნოლოგიური ნაშრომია „ხალგანთა წარმოშობა", რომელშიც მის მიერ შეკრებილ მასალებზე დაყრდნობით,წარმოდგენილია განზოგადებული სურათი კაცობრიობის კულტურის განვითარების სხვადასხვა გამოვლინებისა. ნაშრომის ძირითადი მიზანია, წარმოადგინოს კაცობრიობის კულტურული განვითარების ზოგადი სურათი და დასახოს მისი შემადგენელი ძირითადი ნაწილების შემდგომი განვითარების გზები. ნაშრომი ორჯერ გამოქვეყნდა ინგლისურ ენაზე („The origin of Things") ნიუ-იორკსა (1947) და ლონდონში (1949) და ი. ლიპსის გარდაცვალების შემდეგ, მისი გერმანული თარგმანი, შესრულებული ი. ლიპსის მეუღლის მიერ ლაიფციგში 1952 წელს. გერმანული გამოცემა დასურათებულია ევა ლიპსის მიერ. მანვე ზოგიერთი ავტორისეული ფორმულირება და ტერმინები გადააკეთა და მოარგო სოციალისტური გერმანიის იდეოლოგიას. სხვათა შორის, თვითონ ი. ლიპსიც გერმანიაში გადასახლების შემდეგ, სიცოცხლის ბოლო წლებში გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის წევრი იყო. ორი წლის შემდეგ, 1954 წელს, მოსკოვში გამოქვეყნდა ი. ლიპსის ნაშრომის რუსული თარგმანი („Происхождение вещей"), შესრულებული გერმანული გამოცემიდან ვ. ბახტის მიერ, ცნობილი ხაბეჭოთა ეთნოგრაფის პროფ. ს. ტოკარევის რედაქციითა და წინასიტყვაობით.

ი. ლიპსის ეს უმთავრესი ნაშრომი შედგება 15 თავისაგან, რომელშიც ზოგადად საკმაოდ ორიგინალური და თავისებური დასათაურებით, განხილულია კა-

ცობრიობის კულტურის, მისი განვითარების გზების სხვადასხვა მეტად მრავალფეროვანი საკითხი; ესენია: სახლი და კერა, ველურების ხილამაზის სალონი, პირველი მანქანა-იარაღები, მიწის ნაყოფი, გამოგონებანი და ხელოსნობის დარგები, საზოგადოებრივი გართობანი, გზების, ხიდების, საზიდრებისა და გემების შესახებ, ნიყარა-ფულებიდან ჩეკის წიგნაკებისაკენ, სასიგნალო დაფდაფიდან გაზეთამდე, სკოლები სახელმძღვანელოების გარეშე, პირველი თეატრი, ტომიდან სახელმწიფოსაკენ, მაგიის ძალა და სულების სამყარო (სულეთი), „დიდი ხნის წინათ", მიცვალებულთა სამეფო.

თავისთავად ცხადია, რომ ი. ლიპსის წიგნი გამსჭვალულია ყულტურულ-ისტორიული ხასიათის იდეებითა და შეხედულებებით — იგი ხომ თვითონ იყო ამ ხასიათის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. ამდენად, ი. ლიპსის წიგნს თავიდან ბოლომდე ნითელ ზოლად გასდევს ერთი მთავარი, ძირითადი აზრი, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: პირველყოფილი ხალხები არიან კაცობრიობის კულტურის ბეშმარიტი შემქმნელები; ყველა მნიშვნელოვანი ფუნდამენტური აღმოჩენა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ცივილიზაციას, გაკეთდა ჯერ კიდევ პირველყოფილ ეპოქაში და მთელი მომდევნო ისტორია კულტურისა არის მხოლოდ ხრულყოფა ამ საფუძვლისა, ისე რომ, თვისებრივად ახალი რამ არც შექმნილა; ამიტომაც თანამედროვე „ველური" (კულტურულად ჩამორჩენილი) ხალხები უკლებლივ მატარებელნი არიან იმ კულტურული ღირებულებებისა, რაც ცივილიზებულ ხალხებს გააჩნია, ოღონდ განსხვავებული ფორმით.

ქრესტომათიაში წარმოდგენილია მესამე თავის თარგმანი ი. ლიპსის წიგნიდან—„პირველი მანქანები". ი. ლიპსი პირველი მანქანა-იარაღების შექმნას ადამიანის მიერ საკვების მოპოვებისათვის საჭირო საშუალებების გამონახვას უკავშირებს. ადამიანის მიერ გამოგონებულ პირველ მანქანად, რობოტად, როგორც ის უწოდებს, მას მიაჩნია მახე. ამ თავში მას მეტად გონებამახვილური დაკვირვებების შედეგად, გამოაყოფილი აქვს მახის რამდენიმე სახეობა და თითოეული მათგანის გავრცელების არეალი.

ბიბლიოგრაფია

1) Julius E. Lips, The origion of Things, N-Y, 1947; London, 1949.
2) Julius E. Lips, Vom usprung der Dinge, Leipzig, 1952.
3) Ю. Липс, Происхождение вещей. Из истории культуры человечества, М., 1954.

ლიტერატურა

1) С. Токарев, Предисловие — წიგნში: Ю. Липс, Происхождение вещей, М., 1954.
2) Липс Ю., СИЭ, т.8, с. 695.

პირველი მანქანები*

ცოცხალი არსების ცხოვრება ძნელია უბირ ბუნებაში, მაგრამ ადამიანი, რომელიც თავისი თანამოძმეებისაგან, ცხოველებისაგან განსხვავებით, დაჯილდოებულია გონებით, თავიდანვე ცდილობდა იარაღებისა და ხელსაწყოების გამოგონების მეშვეობით თავისთვის იმაზე უკეთესი ცხოვრების პირობები შეექმნა, რომელშიც ცხოველები იმყოფებიან.

ხელსაწყოებისა და იარაღების გამოგონება ხომ ადამიანის ცხოველისაგან განმასხვავებელი ნიშანია?

ადამიანი იმთავითვე ცდილობდა, რომ თავისი მძიმე შრომის უღელი სხვადასხვა დამხმარე ძალების გამოყენებით შეემსუბუქებინა. შესაძლო რომ იყოს, — ოცნებობდა ის, — გონებით ძალების ჯადოსნური ლამპარის გახეხვა, მაშინ, ალბათ, გამორჩნდებოდა ჯინი, რომელსაც ის თავის სასარგებლოდ ამუშავებდა, მაგრამ ადამიანი, თავისი ოცნებისაგან განსხვავებით, არ ცხოვრობდა ზღაპრების ქვეყანაში. ადამიანს ნიჭიერი მონის ყოლის შესაძლებლობა რომ ჰქონოდა, მაშინ იგი მას თვითონ გამოიგონებდა და საკუთარი ხელით შექმნიდა. ეს მონა იქნებოდა მანქანა, ადამიანის ხელით შექმნილი პირველი რობოტი და რარიგ ესაჭიროებოდა ადამიანს ასეთი ჯადოსნური მანქანა! ეს ყველაზე მეტად კი ესაჭიროებოდათ იმ ტომებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყვნენ დარწმუნებული, რომ სახვალიოდ საკვები ექნებოდათ. მათი მონოტონური და ერთფეროვანი ცხოვრება საკვების მუდმივ ძიებაში — შეგროვებასა და ნადირობაში მდგომარეობდა, რაც აფერხებდა განსჯასა და გამომგონებლობას. ხშირად მრავალი საათი იხარჯებოდა იმისათვის, რომ მაღლა ხის კენწეროზე ველური ფუტკრის ბუდე მოეძებნათ და იქიდან გაჭირვებით თაფლი ამოეღოთ. ადვილი არ იყო ფრინველის მოკვლა მისი ფრენის დროს, ბუჩქებში შემალვა და მათ ახლოს მომავალი მხეცის დარაჯობა, ან წყალში შუბშემართული დგომა, რათა მონადირეს სწრაფად დაეჭირა თევზი ცურვის დროს. საკვების მოპოვების ყველა ეს ხერხი მოითხოვდა დიდ ამტანობას და განსაკუთრებულ უჩვეულო მოქნილობას. შესაძლებელია, რამდენიმე დღეს გაევლო იმის ცდაში, სანამ სანადირო ცხოველი იმდენად ახლოს მოვიდოდა, რომ ის მოეკლათ; ხოლო რადგან მაშინ ადამიანს ჯერ კიდევ შეგნებული არ ჰქონდა, რომ სიუხვის დღეებში მომდევნო დღეების საჭიროებაზედ უნდა ეზრუნა და მომავლისათვის საკვები მოემარაგებინა, ხშირად ის უაღრეს გაჭირვებას განიცდიდა.

ეს გარემოება აიძულებდა ძველ ხალხებს, ცხოველების დასაჭერად იმაზე უკეთესი იარაღები გამოეგონებინათ, ვიდრე თავდაპირველად იყენებდნენ. ისინი ცხოველებზე ნადირობისას კეტებისა და ქვების ნაცვლად ხმარობდნენ

---

* წყაროდან: Ю. Л и п с, Происхождение вещей. Из истории культуры человечества, М., 1954, с. 78—84.

ისარს, ბარჯს, ლასოს, ბოლას, სასროლ ბადეს და ხელით გადასაცმელ ყულფებს, მაგრამ ყველა ეს გაუმჯობესება კვლავ მოითხოვდა მონადირის უშუალო მონაწილეობას და დაძაბულ ყურადღებას. ისინი შველოდნენ ადამიანს იმაში, რომ ხელის მოქმედების მანძილი გაედიდებინა და დაჭრილი ან დაჭერილი ნადირი იმდენ ხანს შეეკავებინა, სანამ მას ხელთ არ იგდებდა. ზოგიერთი ჯალგამოგონილი იარაღი მონადირეს შესაძლებლობას აძლევდა ერთდროულად რამდენიმე ნადირი მოეკლა. ასე რომ, შეჯგუფებულ მონადირეებს, რომლებიც ჯერგით ნადირობისას ერთმანეთს ეხმარებოდნენ, შეეძლოთ ერთობლივად ბადე ესროლათ რამდენიმე ნადირისათვის, ან ფრინველთა გუნდისათვის — ხერხი, რომელსაც ფარაონ ჰარემჰების მეფობის ხანიდან დღემდე იყენებენ. ჯერ კიდევ მწყურებსა და სხვა ფრინველებს ქვებით დამძიმებულ გაშლილ ბადურაში ერეკებიან. ამგვარადვე იჭერენ ბორნეოს დაიაკები ჯოგად მავალ გარეულ ირმებს, რომლებსაც ერეკებიან ნახევარწრედ მოვლებული დაჭიმული ბადეებისაკენ, ხოლო ვაშამბაად წოდებული აღმოსავლეთ აფრიკის მკვიდრნი—ანტილოპებსა და არჩვებს. ამავე მეთოდს იყენებენ ბერინგის სრუტის ესკიმოსები კურდღლების დასაჭერად. ყველა ამ ცხოველს მდევრები ჯერ ბადეში მოაქცევენ და შემდეგ კლავენ. ნადირობის ეს მეთოდი წარმოადგენს წინგადადგმულ ნაბიჯს, ერთეულ ცხოველებზე ნადირობის ძველ და ძნელ მეთოდებთან შედარებით, თუმცა იგი კვლავ მოითხოვდა მონადირისა და მისი თანაშემწეების მონაწილეობას ნადირობაში.

ფრიად გავრცელებულია ფრინველების ბადეებით დაჭერა. ციმბირელები ამგვარად იჭერენ გარეულ ბატს, ხოლო იუკონ ესკიმოსები ასეთივე ხერხით ნადირობენ თეთრ კაკბებზე, მათ იჭერენ ორაგულის ბადეებით. ჯერგით ნადირობა, თუ ამ დროს ბადეს იყენებენ, მოითხოვს რამდენადმე განსხვავებულ მეთოდს. ასე, მაგალითად, ჩრდილო ამერიკელი პრერიის ინდიელები ჩვეულებრივ ბიზონების ჯოგებს შერეკავდნენ იმ უფსკრულისაკენ რიგებად მიმართულ ღობეებს შორის, რომელშიც ცხოველები ცვივოდნენ.

ნადირობის, განსაკუთრებით ფრინველების დაჭერის სხვა პრიმიტიული მეთოდები თითქმის დღემდეა შემონახული. ასე, ჩვენ დღესაც კი გარეულ ბატებს ან სხვა ფრინველებს მათი ხმის მიბაძვით ვიტყუებთ. ბუჩქს ან ხეს ამოფარებულ მონადირეს ზონრის მეშვეობით მოქმედებაში მოჰყავს მექანიზმი, რათა ცხოველი გოდორში, გალიაში ან ბადეში მოემწყვდეს.

მაშინ, როცა წარმატებული ნადირობის შესაძლებლობა სხვადასხვა გაუმჯობესებათა მეშვეობით იზრდებოდა, მთავარი პრობლემა, რომელიც გულისხმობს ამ შესაძლებლობის განხორციელებას, მეტ-ნაკლებად დადებითი რეზულტატების მოპოვებას მონადირის არყოფნისას იქ, სადაც ნადირის დაჭერა ხდება, ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი რჩებოდა. მონადირის შრომის ნამდვილი შემსუბუქება, მისი სრული განტვირთვა შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ, თუ იარსებებდა ისეთი სანადირო მექანიზმი, რომელიც ადამიანს გაათავისუფლებდა იმის საჭიროებისაგან, რომ დალოდებოდა ნადირს, მოქმედებაში მოეყვანა მისი დასაჭერი ან მოსაკლავი მანქანა და შეეკავებინა დაჭერილი ნადირი. ასეთი მექანიზმის ანუ აპარატის გამოგონება მონადირეს საშუალებას მისცემდა ეკეთებინა სხვა საქმეები, რომლის დროსაც ნადირი მისთვის დაჭერილი იქნებოდა. გარდა ამისა, მას შეეძლო ცხოველი სხვადასხვა ალაგას ერთდროულად დაეჭირა, ამის შედეგად მოპოვებული თავისუფალი დროის განმავლობაში მონადირეს შეეძლო თავისი ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად დაემზადებინა შინსახმარი საგნები ან სახლში ყოფილიყო, ემღერა, ეცეკვა და დრო ეტარებინა.

და მართლაც, დადგა დღე, როცა დიდხანს ოცნების საგნად ქცეული გადატრიალების მომხდენი ეს გამოგონება განხორციელდა: ადამიანმა პირველად შექმნა მანქანა, რომელიც უმისოდ მუშაობდა, ადამიანის ინტელექტმა მოიგონა რობოტი, რომელმაც თავისი მექანიკური სიზუსტით მისი ადგილი დაიკავა. ასეთი ჯადოსნური იარაღი არის მახე.

ნამდვილი მახე ასრულებდა ბადის, კეტის, ქამანდის და ლარით გასროლილი ისრის ფუნქციებს, თანაც ისარზე ზუსტად მოქმედებდა და უკეთეს შედეგებს იძლეოდა. გარდა ამისა, შეეძლო უფრო მძლავრად ემოქმედა, ვიდრე ადამიანის ხელს. გენიალურად მოწყობილი ამამუშავებელი მექანიზმის კონსტრუქციის წყალობით, რომელიც დამყარებულია ბერკეტის პრინციპზე, უზადო ხაფანგი ოდნავ შეხებისას ავლენს მნიშვნელოვან, ზოგჯერ უზარმაზარ ძალას, რომელიც საკმარისია დასაჭერი ცხოველის დასაძლევად.

თუმცა კულტურის დაბალ საფეხურზე მდგომ ხალხში აღზრდილ გამომგონებელს ფიზიკის პრინციპების შესახებ არავითარი სასკოლო ცოდნა არ გააჩნდა და მექანიკური მოვლენების მიზეზებს არ იცნობდა, მაგრამ ის მაინც ბეჯითად აკვირდებოდა ყოველივეს, რაც ბუნებაში ხდებოდა და რასაც ხედავდა, იმას მექანიკურად ბაძავდა. ფიზიკური მოვლენების სფეროში პრიმიტიული ადამიანის მასწავლებლები იყვნენ: შემთხვევით გადაზნექილი ტოტი, რომელიც მყისვე უბრუნდება თავის ბუნებრივ მდგომარეობას, ქარიშხალისაგან მოთხრილი თავქვე მგორავი ხის ტოტების სიმძიმე, ფოთლებწაფარებულ ორმოში ჩავარდნილ საფრთხე. და ის გულისხმიერად იყენებდა ყოველივე იმას, რაც თავის „მასწავლებლებისაგან“ ჰქონდა ნასწავლი. პირველყოფილი ადამიანი, ამჩნევდა რა, რომ მის მიერ გამოყენებული ბუნების ძალების მოქმედებაზე დაფუძნებული მექანიზმები ნამდვილად მუშაობდა, არ ქმაყოფილდება ერთი სახის მახის გამოგონებით. ის მექანიკის სფეროში მოპოვებულ ცოდნას უფარდებდა თავისი კუთხის კლიმატსა და სანადირო ცხოველების ჩვევებს, იგონებდა ასნაირ მახეს, რომელთაგან ყოველი უაღრესი სიზუსტით შეხამებული იყო გარემოს თავისებურ პირობებთან.

ადამიანი თავისი რობოტის მოქმედების სრულყოფისათვის იყენებდა ნაკადთა სისწრაფეს, ყინულის სიგლუვეს, მწყურვალი, წყაროსაკენ მლტოლვარე ჯუნგლის ცხოველების ქცევას, დათვის მიდრეკილებას ტკბილისადმი, ბუს მტაცებლურ ინსტინქტს, ღამით მოქმედი არსებების სიმხდალეს და ფოცხვერის სიმაყეს, რომელიც მახეში გაბმისას მხოლოდ ერთჯერ გაიბრძოლებს და, თუ ამით თავი ვერ იხსნა, მორჩილად ელოდება სიკვდილს. ის (ადამიანი) თავის გარემომცველ სამყაროში არსებული ცხოველების თავისებურებათა ზუსტი ცოდნის ფარგლებში ყურადღებას ამახვილებდა ნადირისათვის დამახასიათებელი სუნის აღების საოცარ უნარზე და სპობდა მახესთან ადამიანის შეხების ყოველგვარ კვალს, რისთვისაც რუჯავდა მახის შესამზადებელ ხეს, იყენებდა ბუნებრივ შემწეპებელ და შემაკავშირებელ საშუალებებს და მახეში დებდა სატყუარას, რომელსაც ფისის, სისხლის ან თახვის დუმის სუნი ჰქონდა. ამის წყალობით ადამიანის სუნი ქარწყლდებოდა. ნადირის თვალის სასახვევად ადამიანი დაგებულ მახეს ნიღბავდა ხელოვნური ტოტებდაფარებული ღობურებით, ხოლო ფოთლებითა და ველის ბალახით ხურავდა ნადირის საჭერ ღრმა ორმოებს.

ბამბუკის მცირე, სათაგურებად გამოყენებული ცილინდრებიდან დაწყებული ჟირაფების და სპილოების დასაჭერად უზარმაზარ მოწყობილობებამდე კულტურის დაბალ საფეხურზე მდგომმა ხალხებმა გამოიგონეს ნადირის და-

ჭერის ასნაირი მეთოდი, რომლებიც კვლავ აოცებს, ხოლო ზოგჯერ საგონებელში აგდებს მეცნიერებს. მრავალი მუზეუმი ფლობს მკვლევართაგან მოპოვებულ მახეების კოლექციებს ან მახეების ნაწილებს, რომელთა ასეთად ცნობაც კი, მით უფრო სწორად აწყობა, ზოგჯერ ძნელია. კულტურის დაბალ საფეხურზე მდგომი ხალხების მიერ არაიშვიათად გენიალურად გაკეთებული მახეების იდენტიფიკაცია და რეკონსტრუირება მოითხოვს ფრიად საფუძვლიან სპეციალურ განათლებას. ხშირ შემთხვევაში ეს მიიღწევა ამა თუ იმ ტომის მთელი კულტურის გულმოდგინედ შესწავლის შემდეგ და მოცემული ზონისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური კლიმატური პირობების ან ზოოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებასაც მოითხოვს. თუმცა პირველი რობოტის აგებისას კაცობრიობა სხვადასხვა მექანიკური პრინციპით ხელმძღვანელობდა, მაინც ყველა ნამდვილ მახეს — დაჭერის იმ მეთოდებისაგან განსხვავებით, რომლებიც დაფუძნებული იყო მსგავს პრინციპებზე და მოითხოვდა მონადირის ფიზიკურ მუნყოფნას—აქვს ის საერთო თვისება, რომ ისინი წარმოადგენს ისეთ მოწყობილობას, რომლის მექანიზმი მოქმედებაში მოდის თვით დასაჭერი ობიექტის (ცხოველის) მეშვეობით მონადირის მონაწილეობის გარეშე. ამ მოქმედების მყისიერ შედეგს წარმოადგენს ცხოველის საიმედოდ დატყვევება ან სიკვდილი. ამ ერთობლივი დახასიათებიდან გამომდინარე, კულტურის დაბალ საფეხურზე მდგომ ხალხთა მახეები მათი აგების კონსტრუქციულ და მექანიკური პრინციპების მიხედვით შეიძლება დანაწევრდეს ოთხ უმთავრეს ჯგუფად. ამ ჯგუფების გულმოდგინედ განხილვა შესაძლებლობას გვაძლევს განვეკვრიტოთ იმ მაღალი გონივრულობის მაუწყებელი სურათი, რომელსაც ჯერ კიდევ უძველესი ადამიანი ავლენდა თავისი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვასა და მის შესატყვის მიზანშეწონილ ქმედებაში. არსებობს ამ ოთხი უმთავრესი ტიპის მახეთა ურიცხვი ვარიანტი, რომელთაგან მრავალი კომბინირებულია, რათა მექანიზმის მოქმედების ეფექტი იყოს უკეთესი, მაგრამ მათი შექმნისათვის გამოყენებული ძირითადი პრინციპი ყოველთვის შეიძლება ნათლად შევიცნოთ.

სიმძიმის ძალით მოქმედი მახე ანუ სარეგვავი, როგორც მისი სახელწოდებიდან ჩანს, დამყარებულია დასაჭერი ცხოველის წონის მოტორულ პრინციპზე ანუ ცხოველის მიერ გათავისუფლებული, ამასთან ვარდნილი ობიექტისათვის დამახასიათებელი სიმძიმის ძალის გამოყენებაზე.

პირველი გვარის ერთადერთი მახე არის ნადირსაჭერი ორმო, რომელიც, როგორც წესი, არის ღრმა და ითხრება ნადირის ნაკვალევ არეში. ორმოს ღობი იხურება ფოთლიანი ტოტებით, ფიჩხით, ხავსით ან მათი მსგავსი მასალით, ასე რომ, შეუეჭვებელი ცხოველი ფეხს დგამს მაცდურ ალაგას და ინთქმება. ორმოს სიდიდე საკმაოდ შეესაბამება დასაჭერი ცხოველის სიდიდეს. იმისათვის, რომ მსხვერპლმა თავი ვერ დაიძვრინოს, მიმართავენ მრავალნაირ საიმედო ღონისძიებას. ცხოველს ორმოდან ამოხტომის ან ამოფოფხების შესაძლებლობა იმითაა შეზღუდული, რომ ორმო არის ან ფრიად ღრმა, ან ქვემოთ შევიწროვებული. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ცხოველი ვარდნისას საკუთარი წონის ზემოქმედებით ორმოში იჭედება. ზოგჯერ ორმოს ფსკერზე ასობენ მარგილებს, რომლებიც ცხოველს გმირავს და კლავს ან კოდავს.

ბუშმენები ჟირაფების დასაჭერად აკეთებენ ისეთ ორმოს, რომელიც მის ფსკერზე მდგომი, საგანგებოდ დატოვებული მიწის სვეტის მეშვეობით ორ ნაწილად იყოფა. დაჭერილი, უმწეოდ შთენილი ცხოველი შეკავებულია ამ მიწის სვეტით და მას არ შესწევს ძალა, რომ თავისი გრძელი ფეხები ორმოდან

აშოიღოს. ასეთი მახე-ორმოები ხშირად დიდი რაოდენობით იმართება ერთმანეთისაგან განსაზღვრული მანძილით ნადირთ შესარეკი ზღუდეების გასწვრივ ან იმ გზებზე, რომლებითაც გარეული ცხოველები წყალსალვევისაკენ მიდიან. ორმოებთან არაიშვიათად მიემართება საკმაოდ გრძელი „კუთხური" ზღუდეები.

სიმძიმის ძალაზე დაფუძნებული ამგვარივე მახე-ორმოები ხშირად იყო გამოყენებული მეორე მსოფლიო ომის დროს. „ცხოველი, რომელიც საკუთარი წონით ვარდება", იყო თანამედროვე დინოზავრი — ტანკი, რომელიც მრავალ ფრონტზე ვარდებოდა კარგად შენიღბულ ტანკსაწინააღმდეგო თხრილებში.

მეორე ტიპის ზემოხსენებულ მახეებში მამოძრავებელ ძალად, ცხოველის წონის ნაცვლად, გვევლინება თვით ცხოველის მიერ ამოძრავებული ქვის, ხის ღეროს ან კომბინირებული ობიექტების მიზიდულობის ძალა. ხელოვნურად შექმნილი სიმაღლეები იმის გამოცდილებას ემყარებოდა, რომ ვარდნილი კლდის ქვა ან ვარდნილი მორი წარმოშობს ძალას, რომელიც ვარდნის სიმაღლესთან ერთად იცვლება. ამგვარი უმარტივესი დამცემი მახე არის ჯოხის მეშვეობით ლაბილურ მდგომარეობაში შეკავებული ქვა. აღმართული ჯოხი, რომელიც ქვას იჭერს, ამასთანავე არის გამშვები მექანიზმი სატყუარითურთ: ცხოველი, წეწავს მისატყუებელ საჭმელს, რითაც იწვევს ქვის ჩამოვარდნას, ე. ი. ათავისუფლებს ნადირის მოსაკვდინებელ ძალას.

ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთმა გამშვებმა მექანიზმმა შეიძლება არ იმოქმედოს, თუ საგანი, რომლის ვარდნამ ცხოველი უნდა იმსხვერპლოს, ფრიად მძიმეა. ამ შემთხვევაში ტვირთი, რომელიც მხოლოდ ერთ საყრდენზეა დაყრდნობილი, მახის ქმედებას აქვეითებს ან სავსებით აუქმებს. ცხოველს შეუძლია შეჭამოს სატყუარა ისე, რომ არ ამოქმედოს მახე. ამიტომ პირველყოფილ ადამიანს იმაზედაც მოუხდა ფიქრი, რომ მახის ამამოქმედებელი ძალა შეემცირებინა და ამით აემაღლებინა მისი ეფექტურობა. ეს მოხდა ბერკეტულ გადაცემათა ძალის შემამცირებელი სისტემის მეშვეობით და ამის საჭიროებამ ადამიანი მიიყვანა მოსაპერებისა და საწნეხელების შექმნამდე. ამგვარი მახეები შენდება მთელ მსოფლიოში და უწინარეს ყოვლისა არქტიკული კულტურის მქონე ხალხების მიერ.

დამცემ მორზე ყოველთვის მძიმე ობიექტები იყო დახვავებული, ხოლო ტვირთის მატების შესაბამისად რთულდებოდა გამშვები მექანიზმის კონსტრუქცია. მიღწეული შედეგები საოცარია. მონტანია და ნასკაპი ინდიელები ლაბრადორში, მაგალითად, აგებენ დათვის სარეგვავებს, რომლებიც დატვირთულია ოთხიდან ხუთი მძიმე ხის ტოტით და მაინც სატყუარას მყნოსველი ცხოველის დრუნჩის ოდნავი შეხებით სარეგვავი მყისვე მოქმედებაში მოდის.

მას შემდეგ, რაც სიმძიმის ძალით მოქმედმა მახემ თავის ტექნიკურ სრულყოფას მიაღწია, პრიმიტიულმა მონადირემ დაიწყო ბუნების სხვა კანონების შესწავლა. ასე, მაგალითად, ის თვალყურს ადევნებდა როგორ ებმებოდნენ ზოგჯერ ცხოველები ხელუხლებელი ტყის ლიანების სქელ ბადეში და იხრჩობოდნენ მის დაშვებულ ხლართებში. კულტურის დაბალ საფეხურზე მდგომი ხალხების ს ა ხ ლ ა რ თ ა ვ მ ა ხ ე ე ბ შ ი ეს პრინციპი გამოყენებულია თანძმიდევრულად. მარტივ სახლართავ მახეში (საჭერ ყულფში) ამამოქმედებელ და ძალის პრინციპს წარმოადგენს მოძრაობა ცხოველისა, რომელიც ცდილობს თავის დაღწევას. მეტწილად სახლართავი მახეების დაგება ხდება ვერტიკალურ სიბრტყეში, ვინაიდან მონადირე ცდილობს, ცხოველის წინსვლით ისარგებლოს.

რადგან მრავალი სანადირო ცხოველის ყველაზე მგრძნობიარე ადგილი არის კისერი, ყულფიან მახეს აგებენ ნადირის სავალ გზაზე იმრიგად, რომ ცხოველმა თავი გაყოს ყულფში, რის შემდეგ ყულფი მაგრად, როგორც ქამანდი, შეშოეკირება კისერზე.

იმისათვის, რომ ყულფი ღია დარჩეს და დამაგრდეს, იყენებენ სხვადასხვა დამხმარე მოწყობილობას: არის შემთხვევა, რომ ყულფს მომართავენ ცხოველთათვის ჩვეულ გზაზე, როგორც ეს კეთდება ჩვენს „ჯილყვავთა ბილიკებზე". ზოგჯერ მას მიამაგრებენ სახელდახელოდ შერჩეულ ჯიგოებზე, რომელთა მეშვეობით ყულფი ღია რჩება. ყულფებს მეტწილად იყენებენ ნადირთა ზღუდეებთან ერთად; მათ ათავსებენ ამ ზღუდეთა ღიობებში.

ძველი სამყარო ს მრავალ ნაწილში ჯერ ისევ გამოყენებულ სახლართავ მახეს წარმოადგენს ეგრეთ წოდებული „თვითმჭერი". მის მოსაწყობად მრავალ თავწამახულ მცირე ელასტიკურ ჯოხს ურჭობენ მცენარეული ბოჭკოსაგან მოწნულ „გვერგვს" გარედან ისე, რომ მათი წვეტები თავს იყრიან ცენტრში. ეს მახე მაგრდება ნადირთ სავალ ბილიკზე მყოფ ხეზე ან ბოძზე, ხშირად მცირე თხრილის ზემოთ. მყისვე, როგორც კი მსხვერპლი, უფრო ხშირად ანტილოპა, ფეხს დააკარებს ასეთ მახეს, ელასტიკური წვეტები გაერჭობიან მის .მგრძნობიარე ბარკლებში, და მით უფრო ღრმად, რაც უფრო მეტად ცდილობს ცხოველი გათავისუფლდეს. „თვითმჭერი" ხშირად კომბინირებულია ყულფთან, რომელიც ცხოველს არ აძლევს წასვლის შესაძლებლობას.

მახეების მესამე უმთავრეს სისტემას განეკუთვნება ზამბარული მახეები. ასეთი მახეები დღესაც სისტემატურად გამოყენებულია აფრიკის, აზიის და ამერიკის მრავალ ტომში. ეს მახე დაფუძნებულია ელასტიკური ტოტის ან ხის ამსხლეტი (მაზამბარებელი) ძალის გამოყენებაზე. ამ შემთხვევაში მექანიკურ პრინციპს წარმოადგენს მოქნილობა და სიჩქარის ძალა ზამბარად გამოყენებული მასალისა, რომელიც ისწრაფვის აღადგინოს თავისი ძველი მდგომარეობა (წონასწორობა). იმისათვის, რომ ზამბარად გამოყენებულმა ობიექტმა ანუ ძალის მატარებელმა მახის დანიშნულების შესაბამისად იმოქმედოს, საჭიროა ის ჯეროვნად იყოს დაკავშირებული მსხვერპლის შემპყრობ მოწყობილობასთან. ასეთია ყულფი. ამგვარი მოწყობილობის მქონე ზამბარული მახეები ყველაზე ხშირად გეხვდება მიწათმოქმედ ტომებში, რომლებიც მათ იყენებენ მცირე ცხოველების დასაჭერად. ამ ტომებს თავიანთი ცხოვრების მკვიდრი ხასიათი შესაძლებლობას აძლევს ბეჯითად დააგონ ეს მახეები და ყოველნაირად სრულყონ მათი გამშვები მექანიზმი. თანამედროვე ინჟინერი, რომელიც დასაქმებულია, მაგალითად, მოძრაობის თეორიის პრობლემებით ან მანქანების ამამოძრავებელ მოწყობილობათა საკითხებით. კულტურის დაბალ საფეხურზე მდგომი ხალხების ზამბარულ მახეებში გაურჯელად შეიცნობს პირველ რელე-ჩამრთველებს, რომელთა გვიანდელი ფორმები თანამედროვე ტექნიკაში .ასრულებს უაღრესად მნიშვნელოვან როლს.

მოქნილობის პრინციპზე დაფუძნებული მახის ხმარება არ არის შემოფარგლული მარტოოდენ ცხოველების ჭერით, და თავისი ბუნებრივი მდგომარეობიდან გამოყვანილი, ხელოვნურად გადაღუნული ტოტის ან ხის სიჩქარის ძალა შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა დარგებშიც. ასე, მაგალითად, ცენტრალური კონგოს ოლქში ეგზეკუციები მონებსა და სამხედრო ტყვეებს რკალური ზამბარით სჯიან. ბორნეოსა და ჰინდუსტანში ადგილობრივი მკვიდრნი რკალურ ზამბარას ხმარობენ რკინის სადნობი მაღალი ღუმელებისათვის (ბრძმედებისათვის) გამოყენებულ საბერველთა ასამუშავებლად, — წესი, რომელიც ჯერ

კიდევ შეინიშნება ჩრდილოეთ ევროპაში, სადაც გლეხები ამგვარად აღვიევებენ ცეცხლს თავიანთ ღუმელებში. აღმოსავლეთ აზიაში მამაპაპური საქსოვი დაზგები ხშირად ზამბარის დახმარებით მოდის მოქმედებაში.

ზოგჯერ ზამბარულ მახეებს იყენებენ თევზების საჭერად, ამასთან ამ შემთხვევაში ყულფის ადგილს იკავებს ანკესი ან გოდორი. ზამბარული მახის პრინციპის სხვაგვარი გამოყენება ხელს უწყობდა ნადირობის ხერხების, სამხედრო იარაღისა და სამშვიდობო გასართობ საშუალებათა გაუმჯობესებას, ვინაიდან რკალურ-ზამბარული მახე არის არამხოლოდ მშვილდისა და არბალეტის, არამედ აგრეთვე ყველა სიმებიანი ინსტრუმენტის ხემის წინამორბედი. რომელიმე სარეზონანსო ობიექტზე, მაგალითად, ისეთებზე, როგორიცაა ამოცარიელებული გოგრა, მონტირებული ლარი გახდა მუსიკალური მშვილდი, როცა მას დაემატა სხვა ლარები, გარდაიქმნა სიმებიან ინსტრუმენტად, რომელიც წარმოადგენს ჩვენი თანამედროვე ვიოლინოს, ვიოლონჩელისა და ა. შ. წინაპარს. სანადირო მშვილდიც და არბალეტიც (ბოძალი), როგორც იარაღები, წარმოქმნილია რკალურ-ზამბარული მახიდან. არბალეტი ჩინეთში უკვე ძვ. წ. მეთორმეტე საუკუნეში იყო ცნობილი. ამ იარაღის რევოლუციური გავლენა ძველად გამოყენებული ომის წარმოების შეთოდებზე ყველასათვის, ვინც ისტორია იცის, ცნობილია. მტკიცება, რომ უარბალეტოდ რომის იმპერიის ძლიერება შეუძლებელი იქნებოდა, სრულიადაც არ არის გადაჭარბებული. მაგრამ ამ იარაღის შექმნა შეუძლებელი იქნებოდა იმ პრიმიტიული მახეების ცოდნის გარეშე, რომლებიც დამყარებულია იმავე პრინციპზე, რაზედაც მშვილდი და არბალეტი.

მახის უკანასკნელი უმთავრესი ტიპი, საგრეხი მახე, ემყარება სხვა არაერთგზის გამოყენებული ძალის პრინციპს. ადამიანი მიხვდა, რომ გრეხილი ელასტიკური მასალა ლამობს, დაუბრუნდეს თავის პირველსაწყის მდგომარეობას და თუ ეს დაბრკოლდა, იგი განავითარებს მნიშვნელოვან ძალას. გრეხისას მოკლდება მასალად გამოყენებული ცხოველის ძარღვები, ძირები ან მცენარეული ბოჭკოები, და ძალის ეფექტი იმდენად დიდია, რამდენადაც მეტია სათანადო დამხმარე საშუალებებით მიღწეული დაძაბულობა. გრეხის ძალა, რომელიც მახის ასამოქმედებლად არის გამოყენებული, ბერკეტული სისტემის მეშვეობით გადაეცემა დამკვრელ მექანიზმს. ეს შეიძლება იყოს ფიცარი, რომელშიც გარჭობილია წვეტიანი ძვლები ან რკინის ლურსმნები და იგი უზარმაზარი ძალით ემხობა ცხოველს, ან ბრუნვითი მოძრაობით ამოქმედებული ჩარჩო ხშირად ბადესთან დაკავშირებული, რომელიც ცხოველს მძლავრად უჭერს ან იპყრობს.

ყველა საგრეხი მახის მოქმედების რადიუსი მცირეა. მხოლოდ ფრიად ვიწრო არეში შეიძლება ამ მოქმედებას წარმატება მოჰყვეს.

მახის ეს ტიპი წარმოქმნილია მაღალი კულტურის მქონე აზიისა და აფრიკის ოლქებში, საიდანაც ის გადასულია ამ კულტურის გავლენის ზონებში. იქ, სადაც ამ ტიპის მახეს იყენებენ პრიმიტიული ტომები, როგორც, მაგალითად, ესკიმოსები და ჩუქჩები, არის მეორადი, ნასესხები კულტურის ელემენტი და არა საკუთარი გამოგონების ნაყოფი. ამ მახეების კონსტრუქცია ისეთივეა, როგორიც თანამედროვე ფოლადის ხაფანგებისა, ისინი მხოლოდ მათ შესამზადებლად გამოყენებული მასალით განსხვავდებიან. ყველა ფოლადის მახე. სათაგურებიდან დათვის ხაფანგამდე, რომელსაც ჰუდზონის კომპანია ყიდის, არის ნამდვილი საგრეხი დასასხლეტი მახე (სარეგვავი), რომელიც უძველესი ძოდელებისაგან მხოლოდ მასალით განსხვავდება.

ბერძნებმა გრეხის პრინციპი ისესხეს აღმოსავლეთის ხალხებისაგან, ხო-

ეფ რომაელებმა გააუმჯობესეს ის თავიანთი უზარმაზარი კატაპულტებისა და სასროლი მანქანების კონსტრუქციის პროცესში. ელასტიკურ მასალად გამოყენებული იყო ცხოველთა დაგრეხილი ძარღვები, ზუსტად ისეთივე, როგორიც იხმარება დღესაც ნორტონ-საუნდის ესკიმოსების მიერ მგლებისა და მელიების სარეგელებისათვის. კლასიკური ხანიდან მოღწეული ბალისტიკური საგრეხი მანქანები იმდენად ეფექტურია, რომ ევროპის სხვადასხვა მთავრობამ პირველი იმპერიალისტური ომის დროს ისინი მუზეუმებიდან გამოიტანეს და, როგორც ზალმმტყორცნელები, არმიის სამსახურში ჩააყენეს.

არ შეიძლება უარვყოთ ის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც პირველყოფილი ხალხების მიერ გამოყენებულ მახეებს ჩვენი თანამედროვე ტექნიკისათვის აქვს. პირველი მახის გამოგონებას კაცობრიობის კულტურის ისტორიაში იმაზე მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე თვით ბორბლის გამოგონებას. საპერი მახეების მოწყობის წყალობით მოპოვებული ფიზიკური ცოდნის გამოყენებას ჰქონდა გაცილებით შორსმწვდომი შედეგები, ვიდრე ყველა სხვა გამოგონებას ტექნიკის დარგში.

როგორია ადამიანის ხელით შექმნილი ამ პირველი რობოტის ხანდაზმულობა? პირველად როდის მოახერხა ადამიანმა ბუნების ძალების მოთოკვა, როდის დაუმორჩილა ისინი თავის ნებას? ეს მოხდა მრავალი ათასი წლის წინ. არ არსებობს დედამიწაზე ისეთი ტომი, რომელიც არ იცნობდეს, უკიდურეს შემთხვევაში, მახის რამდენიმე ტიპს. ეთნოლოგიური მონაცემებით, თვით უძველესი კულტურის შემქმნელი ადამიანები ფლობდნენ მახეების აგების ხელოვნებას. როგორც გამყინვარების ხანის მონაპოვრები გვიჩვენებს, ადამიანებმა უკვე იმ დროს იცოდნენ მხეცების დასაპერად ხაფანგების მოწყობა და მათ მიერ გამოყენებული მოდელებიდან ზოგიერთი დღესაც კი შეგვიძლია შევიცნოთ და განვასხვავოთ.

როგორც ვიცით, სამხრეთ საფრანგეთში, მდ. გარონის აუზში, განსაკუთრებით დორდონის მიდამოებში, ისევე როგორც პირენეების მიღმა, ბასკების პროვინციაში — ბისკაიაში, აღმოჩნდა პრეისტორიული გამოქვაბულები, რომელთა მიმართ მტკიცედ დადგენილი იყო, რომ ისინი წარმოადგენდნენ რელიგიური კულტმსახურების ადგილებს და ევროპული გვიანი პალეოლითის ადამიანების საცხოვრებელ ბინებს. ამ გამოქვაბულთა კედლები დაფარულია საუცხოო, ოსტატურად შესრულებული ცხოველების სურათებით, რომელთა შორის ყველაზე ხშირად კამეჩები და მამონტები გვხვდებიან. ამ სურათების ორიგინალური ფერები, — წითელ-ყავისფერი და ყანგმიწა-ყვითელი, — რომლებიც ფიქსირებულია მრავალი ათასი წლის წინ, დღემდე მშვენივრად შენახულა. გამოსახულებათა კომპლექსი შესრულებულია ცხოველთა ნატურალისტური სურათების სრულიად განსაზღვრულ ხაზოვან სიმბოლოებთან ძნელად შესაცნობი კომბინირებით. ეს სიმბოლოები ზოგჯერ თვით ცხოველთა კონტურებშია ჩახატული. ამ ფერწერის ერთი ფრიად დამახასიათებელი თავებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის არასოდეს გამოქვაბულის შესასვლელში არ გვხვდება, არამედ მისგან დაშორებით, ისეთ ადგილას გამოქვაბულის შიგნით, სადაც დღის სინათლე ვერ აღწევს და მისი ხილვა შეიძლება მხოლოდ ხელოვნური განათების მეშვეობით. ფერწერის ნიმუშების ასეთ ფარულ ადგილას კეთების პრაქტიკა აშკარად მოწმობს, რომ ისინი გამყინვარების პერიოდის ხელოვნების ქმნილებათა თავისებური გამოფენისათვის არ იყო განკუთვნილი. მრავალი წლის განმავლობაში სწავლულები ამაოდ ცდილობდნენ გამოეცნოთ მათი კეთების საზრისი. გულმოდგინე ძიების წარმატებით დაგვირგვი-

ნება სწავლულებმა მოახერხეს რიგ გარემოებათა მეოხებით. ჯერ ერთი, დამტკიცდა, რომ გამყინვარების პერიოდის მეურნეობის მთავარი ფორმა იყო ნადირობა და რომ ამიტომ ნადირის დაჭერა ადამიანის ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული. მეორე მხრივ, დღესაც არსებობს ტომები, როგორიცაა, მაგალითად, სამხრეთ აფრიკის ბუშმენები, ავსტრალიელი აბორიგენების უმეტესობა და არქტიკის ხალხები, რომელთა მეურნეობის ფორმები სავსებით შეესატყვისება გამყინვარების პერიოდის ამავე ფორმებს. ამიტომ მათი ჩვეულებები და ტრადიციები ჩვენ შესაძლებლობას გვაძლევს გავაკეთოთ ზოგიერთი დასკვნა წინაისტორიული კულტურის შესაბამისი ფორმების შესახებ.

ახლაც კი დიდმნიშვნელოვანი სანადირო ოპერაციის შესრულების წინ, როცა შესაღამოვდება, აფრიკელი ბუშმენები და ავსტრალიელი ტომები ჯადოქრული აქტების შემსრულებელი ქურუმების თაოსნობით იკრიბებიან იმისათვის, რომ საიდუმლო რიტუალებისა და მაგიური ცეკვების შესრულების მეშვეობით უზრუნველყონ მისი (ნადირობის) წარმატება. უაღრესად ნატურალისტურად დახატული სანადირო ცხოველის, იქნება ის ანტილოპა თუ კენგურუ, სურათი ან ქვიშაზეა მოხაზული ან კლდეზე ჟანგმიწით დახატული. მონადირეები თავს იყრიან ამ მაგიური სურათის ირგვლივ, რათა სიმბოლურად გამოსახული ცხოველი „განგმირონ“ და „მოკლან“. ეს ხალხები მტკიცედ დარწმუნებული არიან იმაში, მათ ამ ცერემონიის გარეშე არ შეუძლიათ ხელთ იგდონ რომელიმე ნადირი, ვინაიდან პრიმიტიული ადამიანების წარმოდგენაში არ არსებობს არავითარი განსხვავება საგანსა და მის გამოსახულებას შორის, მათთვის ცხოველი და მისი გამოსახულება იდენტურია. ამიტომ მათი რწმენის თანახმად, ცხოველი უკვე წინასწარ სალამოს, როცა ისინი მის სურათს ჩხვლეტენ, შეუძლიათ მოკლან და ნადირობა, რომელიც მეორე დღეს სრულდება, გარდა ფორმალობისა სხვა არაფერია.

ამიტომ სავსებით ლოგიკურია, რომ პრეისტორიულ გამოქვაბულთა, სადაც ერთნაირი მეურნეობისა და კულტურის ფორმების მქონე ადამიანები ცხოვრობდნენ, კედლის მხატვრობა მიეიჩნიოთ მიმბაძველობითი სამონადირეო მაგიის გამოსახულებად. ეს ახსნა მით უფრო საჩინო გახდება, თუ ყურადღებას მივაქცევთ ცხოველებთან ერთად გამოსახულ მოცეკვავე ჯადოქრებს, რომლებსაც ისეთივე ნიღბები აქვთ და ისევე მოძრაობენ, როგორიც შეიძლება ვიხილოთ ამჟამად მცხოვრები ტომების იმ ცეკვების შესრულებისას, რომლებიც ასოცირებულია ნაყოფიერებასთან და მიძღვნილია გარეული ცხოველების გამრავლებისათვის. მაგრამ როგორ ახერხებდა გამყინვარების ხანის ადამიანი თავისი პრიმიტიული იარაღებით ესოდენ დიდი ცხოველების მოკვლას, როგორიცაა კამეჩი ან იყო მამონტი? თანამედროვე მეცნიერებას შეუძლია ამ საკითხის ახსნაც. სახელდობრ იშვიათ გეომეტრიულ სურათებს, რომლებსაც გამოქვაბულის ფერწერაში სანადირო ცხოველების გამოსახულებებთან ერთად ვხედავთ და ოდესღაც ეწოდებოდა „signes obscures“ (ბნელი, გაუგებარი ნიშნები), ახლა უკვე სწორი ახსნა მოეპოვება. დღეს საერთაშორისო მეცნიერებაში (in der internationalen Wissenschaft) არავითარი ეჭვი არ არის იმისა, რომ ეს „ბნელი ნიშნები“ („dunklen Zeichen“) სხვა არაფერია, თუ არა ნადირთა მახეების გამოსახულება, რომლებიც ათასეული წლების წინ იმდენად ნატურალისტურად იყო შესრულებული ევროპის ძველი მცხოვრებლების მიერ ესპანეთისა და საფრანგეთის გამოქვაბულებში, რომ დღესაც შეგვიძლია შევიცნოთ მათი კონსტრუქციის დეტალები და მათი მოდელების ნაირსახეობა. ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანის პირველი რო-

ბოტი, მისი პირველი მანქანა-მახე ათი-თორმეტი ათასი წელია, რაც არსებობს. გამოქვაბულის მხატვრობა განეკუთვნება მესამე გამყინვარებისა და მის შემდგომ ხანას, რომელიც მოიცავს პერიოდს 20 000-დან 8 000 წლამდე ჩვ. ერამდე.

ახლა ჩვენთვის ძნელი არ არის ამ უძველესი კედლის ნახატთა კრებულში შეეცნოთ სიმძიმის ძალის პრინციპის მიხედვით კონსტრუირებული მახე, როგორიც, მაგალითად, ფონ დე გომის (Font de Gaume) გამოქვაბულში ჩახაზულია უზარმაზარი ბიზონის სხეულში და რომლის კონსტრუქციი არ განსხვავდება ამჟამად მცხოვრები დაბალი კულტურის მქონე ხალხების მიერ გამოყენებული ასეთივე ტიპის მახეებისაგან.

ასეთივე მახით იჭერენ სამხრეთაფრიკელი ბუშმენები აფთრებს, ჩრდილოამერიკელი ტალტანინდიელები — მგელს, შავფეხა ინდიელები — ტურას, ლაბრადორელი ინდიელები — დათვს და მაკონდის პლატოზე მცხოვრები აღმოსავლეთაფრიკელი ტომები — ანტილოპას.

თავისი ფართო გავრცელებისა და დიდი ხანდაზმულობის გამო, შესაძლებელია მახის ფორმებიდან ყველაზე საინტერესო აღმოჩნდეს „თვითმვერის“ ტიპის ბორბლისებური მახე. ჩვენ მის მკაფიო გამოსახულებას ვპოვებთ მრავალ პრეისტორიულ გამოქვაბულში და ავრეთვე ეგვიპტის სამარხებში. სამაგალითოდ შეიძლება მივუთითოთ ჰიერაკონპოლისის კედლის ფერწერულ მხატვრობაზე. შვედმა სწავლულმა გერჰარდ ლინდბლომმა მიაკვლია და დაადგინა, რომ ეს მახე არსებობს აფრიკასა და აზიაში, მისი გავრცელების საზღვრები აღწევს ყარაყორუმამდე, ენიცეიოლამდე და ამურამდეც კი. ფრობენიუსმა ასეთი მახის გამოსახულება აღმოაჩინა ფეცანში კლდეზე ნახატ პრეისტორიულ სურათებს შორის და გამოაქვეყნა, ხოლო ბრეილის ნახატები ტაბელ ბალადან მიგვითითებს მის ფართო გავრცელებაზე სპანეთში.

რაოდენ უცნაურად არ უნდა ეჩვენებოდეს ეს აზრი მას, ვინც არ იცის კაცობრიობის პირველი მანქანის წარმოშობის ისტორია, ჩვენ მაინც დანამდვილებით ვიცით, რომ უმთავრესად ჩვენს თანამედროვე ტექნიკაში გამოყენებული ძალის ოთხი პრინციპი არის გამყინვარების ხანის უცნობ და უსახელო გამოძგონებელთა მონაპოვარი, რომელნიც ჩვენამდე მრავალი ათასწლეულის წინათ ცხოვრობდნენ დედამიწაზე, მათ არქიმედის დაბადებამდე ბევრად ადრე შეიცნეს ბერკეტის კანონები და მათი გამოყენება რთულ რელე და გამშვებ მექანიზმებში, რომლებიც პრინციპში უცვლელი დარჩა, თუმცა, ბუნებრივია, ისინი გაუმჯობესებული და მოდერნიზებულია.

სიმძიმის ძალაზე დაფუძნებული მახის კონსტრუქცია უკვე ეგვიპტელების მიერ გამოყენებული იყო მათ თავისებურ „ავტომატებში“, რომლებშიც ნაკურთხი („წმინდა“) წყალი იყო. მათი გამოსახულება ჩვენთვის ცნობილია ჰერონ ალექსანდრიელის სურათის მეშვეობით. ასეთ ავტომატში ჩაგდებული მონეტა ეცემოდა „მახის“ გამშვებ მექანიზმზე, რომელიც აღებდა ონკანთან მყოფ სარქველს და უშვებდა წყალს გადახდილი ფასის შესატყვისი ოდენობით. ჩვენ დღესაც ვიყენებთ სიმძიმის ძალით მოქმედი მახის პრინციპს, როცა ავტომატში მონეტას ვაგდებთ იმისათვის, რომ ამის სამაგიეროდ მივიღოთ ფუნთუშა, საფოსტო მარკა ან შოკოლადი. ჩაგდებული მონეტა აქ ასრულებს, ტექნიკის თვალსაზრისით, ცხოველის როლს, რომლის ვარდნის სიმაღლით რეგულირებული წონის ძალას მოქმედებაში მოყავს გამშვები მექანიზმი. სათამაშო ავტომატები, ფულის დამხურდავებელი ავტომატები მეტროში, მუსიკალური ავ-

ტომატები, ნაირნაირი აირმთვლელები — ყველა კონსტრუირებულია ამავე პრიხციპის მიხედვით.

მათგან განსხვავებით ორ თანამედროვე მახეს არ მოეპოვება პრიმიტიული წინაპარი: ეს არის ეგრეთწოდებული „ელექტრული თვალი“, სელენური ფოტოელემენტი, რომლის სხივთა კონა, მოახლოებული ადამიანის ჩრდილით გადაღობილი, ავტომატურად აღებს კარებს, და ვირთხების სენსაციური „ელექტრონული მახე“, რომელსაც მსგავსი ფოტოელექტრული მექანიზმი აქვს. ორივე ნამდვილი მახეა და არა ისეთი მოწყობილობა, რომელიც ახორციელებს „მახის მსგავს დაჭერის მეთოდს“, იმიტომ რომ მათ ასამოქმედებლად არ არის საჭირო ადამიანის მასთან ყოფნა. ორივე აპარატის მოქმედება წარმოადგენს მეოცე საუკუნეში გამოკვლეული ელექტრონების მაგიური ძალის გამოვლინების ნაგალითს. მაგრამ ოცნება რობოტის გამოგონებაზე, რომელიც ადამიანისათვის საჭირო სამუშაოს დამოუკიდებლად შეასრულებს მისი მასთან არ ყოფნის დროსაც, სათავეს იღებს გამყინვარების ხანაში.

გ. ჩიტაია

ჩიტაია გიორგი სპირიდონის ძე (1890—1986) — ქართველი ეთნოლოგი, ქართული მეცნიერული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებელი.

გ. ჩიტაია დაიბადა ქ. ფოთში 1890 წელს. 1907 წელს დაამთავრა ფოთის საქალაქო სასწავლებელი, ხოლო 1911 წელს თბილისის II ვაჟთა გიმნაზია. იმავე წელს სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. 1917 წელს დაბრუნდა საქართველოში და დაიწყო მუშაობა პედაგოგად ფოთის გიმნაზიაში.

1922 წლიდან გ. ჩიტაია მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ხოლო 1936 წლიდან აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში ეთნოგრაფიის სექციის ხელმძღვანელად.

1941 წლიდან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსებისა და მის სისტემაში ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ჩამოყალიბების დროიდან, ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების გამგეა. 1961 წლიდან გ. ჩიტაია ამ ინსტიტუტის საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიის სექტორის გამგე, ხოლო 1970 წლიდან საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელია.

1944 წელს გ. ჩიტაია აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1960 წელს—აკადემიკოსად. 1960 წელს მას მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 1963 წელს პროფესორის წოდება.

სამეცნიერო მუშაობის პარალელურად გ. ჩიტაია ეწეოდა ფართო სამეცნიერო-ორგანიზატორულ მუშაობას. მისი თაოსნობით 1940 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა ეთნოგრაფიის კათედრა, 1936—1939 წ.წ. — ებრაელთა ეთნოგრაფიული მუზეუმი თბილისში, 1966 წელს — საქართველოს ხალხური სუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი („მუზეუმი ღია ცის ქვეშ") თბილისში, რომელიც ამჟამად მის სახელს ატარებს.

გ. ჩიტაიამ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოაწყო პრობლემურ-თემატური, რეგიონალური და საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენები. იგი ხელმძღვანელობდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმების დაარსებას საქართველოში.

დიდია გ. ჩიტაიას, როგორც მეცნიერის და სამეცნიერო სკოლის შემქმნელის როლი. მან შექმნა პირველი სალექციო კურსი ეთნოლოგიაში და ზოგადი ეთნოლოგიის შესავალი. საფუძვლიანად შეისწავლა ქართველი ხალხის სამეწარმოო-მეურნეობრივი კულტურა, დაადგინა სახვნელი იარაღების განვითარების ძირითადი ფორმები, ქართული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების სტრუქტურული კლასიფიკაციის პრინციპები; გამოყო ქართული ხალხური ორნამენ-

ტის ორი სტილი — მთური და ლაზური. დიდია მისი წვლილი ქართველი ხალხის ეთნიკური ისტორიისა და ეთნოგენეტიკური პრობლემების კვლევაში. მანვე შეიმუშავა საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის შედგენის მეთოდები და პრინციპები.

მაგრამ რაც ყველაზე მთავარია და არსებითი, გ. ჩიტაიამ შეიმუშავა და პრაქტიკაში დანერგა ეთნოლოგიური კვლევა-ძიების ახალი ე. წ. „კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი". 1930-იან წლებში შემუშავებული ეს მეთოდი დაედო საფუძვლად ქართული მეცნიერული ეთნოლოგიური სკოლის მუშაობას. ამ მეთოდის ძირითადი პრინციპები გ. ჩიტაიამ თვითონვე ჩამოაყალიბა ᲐᲡᲡᲡ-ში გამოქვეყნებულ ვრცელ სტატიაში „ეთნოგრაფია".

„ეთნოგრაფიული მოვლენები შეისწავლება ინტენსიურად, კომპლექსურად, ბაზისური და ზედნაშენური მოვლენების ერთიანობის, ისტორიზმის პრინციპის დაცვით. ამ მეთოდის თვალსაზრისით, ეთნოგრაფიული დაკვირვების ხიღრმე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიფართოვე, უმჯობესია მცირე რაიონის ღრმად შესწავლა, ვიდრე ეთნოგრაფიული მოვლენების გავლით ფიქსირება ვრცელ ტერიტორიაზე. მეთოდი ითვალისწინებს ცალკეული პატარა და დიდი სოციალური ერთეულების (ოჯახი, გვარი, უბანი, სოფელი, თემი და სხვ.) ღრმად შესწავლას. ამ მეთოდის მიხედვით, ყოველი ხალხის (ეთნოსის) ეთნოგრაფიული ხინამდვილე რთული წინააღმდეგობებით აღსავსე მოვლენათა კომპლექსია, რომელშიც მიმდინარეობს ბრძოლა ძველისა ახალთან, პროგრესულთან. ამასთან, მოვლენების ფიქსაციის დროს, ნაცვლად მათი სუბიექტურ-რაოდენობრივი აღწერილობისა, აუცილებელია ობიექტურ-ხარისხობრივი აღწერილობა. იმთავითვე იქნა უარყოფილი კონცეფცია, თითქოს ეთნოგრაფია პრიმიტივიზმის მეცნიერებაა და მხოლოდ „უკულტურო" ხალხებს სწავლობს... ამასთანავე, გადმონაშთები მიიჩნევა არა როგორც გაქვავებული, არამედ როგორც ცოცხალი და ცვალებადი".

ამ მეთოდის საფუძველზე ფართოდ გაიშალა საქართველოში საველე შეგროვებითი მუშაობა მთის, მთისწინა და ბარის ზოლის მოსახლეობაში, მოეწყო მრავალი კომპლექსური ეთნოგრაფიული ექსპედიცია, რომლის შედეგად დაგროვდა მდიდარი მასალა, მათ შორის სამუზეუმო კოლექციები ქართველი ხალხის ისტორიის, ეთნოგრაფიის, სამეურნეო ყოფის, სოციალური ურთიერთობების, ნივთიერი და სულიერი კულტურის თავისებურებების შესახებ.

ქრესტომათიაში წარმოდგენილია გ. ჩიტაიას 1920 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი „ქართული ეთნოლოგია".

„ქართულ ეთნოლოგიაში" ავტორს ჩამოყალიბებული აქვს ის თეორიული პრინციპები და პრაქტიკული ამოცანები, რომლებიც უნდა გადაეჭრა ახალფებადგმულ ქართულ ეთნოლოგიურ მეცნიერებას. ამ საკითხებს ავტორი განიხილავს ზოგად ეთნოლოგიაში, როგორც რუსეთში, ისე ევროპაში იმ დროისათვის არსებული მეცნიერული დონის ფონზე და ამ მიზნით წერილში უხვად არის წარმოდგენილი უახლეს ეთნოლოგიურ და მომიჯნავე სამეცნიერო დარგებში გამოცემული ლიტერატურა. ეს ნაშრომი საყურადღებოა იმ მხრივ, რომ პირველად მასში არის გამოყენებული რუხული მეცნიერების მიერ უარყოფილი ტერმინი „ეთნოლოგია", რომელიც შემდეგში ასევე ხელაღებით იქნა უარყოფილი საბჭოური მეცნიერების მიერ, როგორც დასავლეთის ბურჟუაზიულ მეცნიერებაში მიღებული და, ამდენად, იმთავითვე მცდარად მიჩნეული.

ბიბლიოგრაფია

1) გ. ჩიტაია, ქართული ეთნოლოგია, „მიმომხილველი“, I, ტფ., 1926, გვ. 247—261.
2) Читая Г. С., Земледельческие системы и пахотные орудия грузии. «Вопросы этнографии Кавказа», Тб., 1952.
3) გ. ჩიტაია, ეთნოგრაფია, ქსე, 4, 1979, გვ. 54—58.

ლიტერატურა

1) გ. ჩიტაია, ჩემი ცხოვრების გზებსა და ბილიკებზე, თბ., 1991.
2) თ. ცაგარეიშვილი, გიორგი ჩიტაია, თბ., 1993.
3) მისივე, გ. ჩიტაია, ქსე, 11, 1987, გვ. 139.

ქართული ეთნოლოგია*

(1917—1926)

§ 1. არ არსებობს მეცნიერება ფაქტების გარეშე. ფაქტი კი სინამდვილის, არსებული ობიექტური სინამდვილის, ასახვაა. და რამდენადაც ზედმიწევნით სწორადაა სინამდვილე აქმნილი ფაქტების რგოლში, — იმდენად მასზე დაყრდნობილი მეცნიერება სწორია და მისი პოსტულატები — სახე — სრული ჭეშმარიტება. მართალია თვით ობიექტური სინამდვილე არ არის მუდმივი და უცვლელი რამ, მაგრამ როგორც ვიცით არა მარტო შესაცნობი სინამდვილე, არამედ ადამიანის შემეცნებაც თავის-თავად მუდმივ ცვალებაშია.

ეთნოლოგიური მეცნიერებაც პირველ-ყოვლისა ფაქტების მეცნიერებაა. უწინარეს ყოვლისა მასაც სპირია უტყუარი, შედარებით ურყევი და დადგენილი ფაქტები, თუ თანამედროვე ეთნოლოგია, რომელმაც ესე მძლავრად გაშალა ფრთები, ნახევარი საუკუნის მანძილზე გასაოცრად დაწინაურდა, რომელმაც მრავალი მიმართულება და სკოლა შექმნა, ავიდა გონების სპეკულაციის უმაღლეს საფეხურზე, ჩაუღრმავდა პირველ-ყოფილი ადამიანის ალოღიკურ აზროვნებას, რომელიც კომპლექსური მეთოდით კულტურის კომპლექსებს არკვევს და თვით სახელგანთქმული აინშტაინის რელატივობის თეორიასაც იშველიებს,— ყოველივე ეს იმ გარემოების შედეგია, რომ მის განკარგულებაშია საუცხოო ეთნოგრაფიული აღწერილობები, ნაყოფი მრავალ ეთნოგრაფთა ხანგრძლივი, თავგამოდებული შრომისა და ბევრ შემთხვევაში უტყუარი და მყარი ეთნოგრაფიული ფაქტები. ცხადია, სამეცნიერო თეორიები მხოლოდ ასეთ ფაქტებზე დაყრდნობით შენდება. ამიტომ ბუნებრივია და გასაგებია, რომ ეთნოგრაფიული ფაქტები უდიდესი ყურადღებით უნდა იქნეს შეგროვილი. ყოველივე აღწერა გარკვეული მეთოდოლოგიური მიდგომით და განსაზღვრული ამოცანების მიხედვით უნდა ხდებოდეს. მხოლოდ ასეთ აღწერილობას ეძლევა მნიშვნელობა და შემდეგ გამოსადეგია სამეცნიერო თეორიების დასადგენად.

ჩვენი ეთნოლოგიური მეცნიერება უპირველეს ყოვლისა სწორედ ასეთ ეთნოგრაფიულ აღწერილობებს საჭიროებს. მისი მოთხოვნილებაა უტყუარი, ურყევი და დადგენილი ეთნოგრაფიული ფაქტები ეთნოლოგიის ყველა დარგიდან.

მას შემდეგ, რაც ქართული ეთნოლოგია არსებობს, მას ერთი ძირითადი ნაკლი ახასიათებს. თეორიები და დასკვნები მუდამ ბევრი იყო, მხოლოდ ფაქტები მეტად მცირე და ცალმხრივი. საკმარისია მოვიგონოთ ისეთი პირველხარისხოვანი მეცნიერები, როგორიც იყვნენ ს ე ნ მ ა რ ტ ე ნ ი, მ. კ ო ვ ა ლ ე ვ ს კ ი და კ. ი ნ ო ს ტ რ ა ნ ც ე ვ ი, რომ ეს დებულება ურყევად მივიჩნიოთ. მთელი მეცხრამეტე საუკ. მანძილზე და მეოცის დასაწყისში ეთნოგრაფიული ფაქტები უფრო მეტად შემთხვევით გროვდებოდა, ყოველივე სისტემის გარეშე, ხოლო შეგროვების სტაციონალურ ხასიათზე ლაპარაკიც მეტია. ამას-

* ვ. ნ ი ტ ა ი ა, ქართული ეთნოლოგია „მეამბოხეელ“, ტ. I, 1926.

თანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართული ეთნოგრაფიული მასალების შეგროვება ჩვენს ეთნოლოგიურ სინამდვილეში სადა და უბრალო საქმე როდია. ერთი ხელის ძოსმით აქ ვერც ევროპის ეთნოლოგიურ მეცნიერების ის მეთოდები გაძოგვადგება, რომლებსაც პირველყოფილ ხალხთა ყოფა-ცხოვრების შესწავლის დროს იყენებენ.

საქართველოსა და კავკასიაში, მის მკვიდრ ხალხთა შორის პირველ-ყოფილი ხალხები არ არის. აქ მხოლოდ შენახულია პირველ-ყოფილობის რელიქტიური მოვლენები, რომელთა გვერდით მაღალი კულტურული მიღწევებია და მრავალი ისტორიული ფაქტები. ამიტომ ამ ხალხთა შესწავლისათვის საჭიროა ორმაგი — ეთნოლოგიური და ისტორიულ-კულტურული მეთოდი, ხოლო თვით ეთნოგრაფიული მასალების შეგროვება ამგვარსავე რთული ხასიათის მიდგომას მოითხოვს.

სიძნელე სხვათა შორის მდგომარეობს იმაში, რომ ეთნოგრაფიული ფაქტები: ფიზიკური ტიპი, ენა, სარწმუნოება, ბინა, ტანსაცმელი, სამკაული, ხალხური სიტყვიერება და სხვა — გამოკვლეული უნდა იქნეს ერთის მხრივ ხალხურ-კულტურული თავისებურებების ნიადაგზე, ხოლო მეორეს მხრივ წოდებრივ, სამოქალაქო-სარწმუნოებრივ კულტურულ-ისტორიულ ქანში. დაახლოებით აღწერილობითი კვლევა აქ იმავე მიდგომით უნდა იწარმოოს, როგორც ეს ხდება ევროპის ისტორიის მქონე ხალხების ეთნოგრაფიის შესწავლის დროს. მაგრამ აქვე უნდა შევხიზნოთ, რომ ქართული და კავკასიური ეთნოლოგიური მასალა ზოგიერთი თავისებური, დამოუკიდებელი ქვალიტატივობის გამო — განსაკუთრებულ მიდგომასაც საჭიროებს. და იქ, სადაც ეს თავისებურება აშკარად იჩენს თავს, ჩვენის ფიქრით, ფაქტების აღქმა სხვა შეფარდებით უნდა მოხდეს და მეთოდოლოგიური განხრაც აუცილებელი იქნება.

მაშასადამე, ეთნოგრაფიული ფაქტების, განსაკუთრებით ინდივიდუალური ფაქტების, დეტალური სისრულით შეგროვება წინათ გარკვეული მიდგომის მიხედვით, მათი სტაციონარული შესწავლა და ამრიგად ეთნოგრაფიული სინამდვილის უტყუარი ასახვა — აი, ის ამოცანა, რომელიც ქართული ეთნოლოგიის წინაშე დგას და რომელიც უნდა შესრულდეს შესაძლებელი სისწრაფით და კარგად. ვიდრე ეს შეგროვებითი ხანა არ გაგვიელია, რასაკვირველია, ძნელია და შეუძლებელი ფაქტების ანალიზზე, მათ სინთეზზე, თეორიებზე და ეთნიკურ გენეტიკაზე ყოველგვარი ლაპარაკი. ყოველ შემთხვევაში თეორიების შექმნისათვის დრო ნაადრევია, მით უფრო თუ გავიხსენებთ ფ ი უ ს ტ ე ლ დ ე-კ უ ლ ა ნ ჟ ი ს სიტყვებს, რომ „pour un jour de synthese, il faut des années d'analyse".

და თუ ასეთი უნდა იყოს ქართული ეთნოლოგიის სადღეისო მოთხოვნილება — ვიკითხოთ, თუ დღეს დღეობით რა კეთდება ქართულ ეთნოლოგიაში.

§ 2. როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, ჩვენში ეთნოგრაფიული მასალის შეგროვებას სისტემატური ხასიათი არ ჰქონია. ის შემთხვევითი გამელელების დროს მოხალისეთა ხელით კეთდებოდა. რასაკვირველია ამ შრომაში არა ერთი და ორი ნიჭიერი, მუყაითი და დაკვირვებული მუშაკიც იღებდა მონაწილეობას (ხ ი ზ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ჯ ა ნ ა შ ი ა, ს ა ხ ო კ ი ა, ამ უკანასკნელის ქართულრუსულ წერილებს გარდა ნახე: La kulte de la petite verole en Georgie, Paris 1903; Les proverbes Georgiens, Paris 1903, ორივე Extrait de la Revue Traditions Populars, 1903. Paris და სხვები), რომელთა მასალები მართლადაც სანდოა. მაგრამ მასალების უმრავლესობა ნაკლები ღირსებისაა და მათი გამოყენება უკონტროლოდ არ შეიძლება.

უგეგმობის და უსისტემობის ბრალია, რომ ჩვენ არ მოგვეპოვება მთლიანი და ამომწურავი ეთნოგრაფიული მასალა ჩვენი ქვეყნის თუ გინდ ერთი პატარა კუთხისაც კი. წარმოდგენილი მასალის ცალმხრივობის ნიმუშია სხვათა შორის ის გარემოება, რომ სრულიად ყურადღება არ ჰქონია მიქცეული ჩვენი ხალხის ფსიქო-ფიზიოლოგიურ ხასიათს და ამ მხრივ არც რაიმე მასალაა შეგროვილი. როგორც ვიცით ზოგადი ეთნოლოგიისათვის ამგვარ მასალას ბიოლოგიური მომენტების ჩართვით ხალხის კულტურული განვითარების მიზეზების გამოსაკვლევად დიდი ღირებულება აქვს.

თვით ისეთ სპეციალურ ორგანოში, როგორიც საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულებია — ეთნოლოგიური მასალის შეგროვებას სისტემატური ხასიათი არ ჰქონია; ამ მხრივ 1924 წ. ლაიფციგში გამოცემულს ჟურნალს Kaukasica-საც არა დაუყენია რა. ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია. თუმცა ლინგვისტური თვალსაზრისით შეგროვილი, პეტროგრადში გამოცემული მასალა. სერიაში Материалы по яфетическому языкознанию. მაგალითად: ა რ ს ე ნ ა ი ჯ ო ნ ი ა ნ მესხეთში, ლუშნუ ამბავი ლელაშხუ შუმი ნიწმ. IX, 1917. აგრეთვე И. К и п ш и д з е, Грамм. минг (ивер.) яз. с хрестоматиею и словарем, Птг. წიგ. VII. რომლის ლექსიკონში ეთნოგრაფიული მასალის შესახებ ლიტერატურაც არის დასახელებული. ზოგი ეთნოგრაფიული მასალა მოიპოვება: ვ. ბ ე რ ი ძ ი ს სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა. პეტ. 1912 და ი ლ. ჭ ყ ო ნ ი ა ს სიტყვის კონა. პეტ. 1910. და სხვ. საგულისხმო ეთნოგრაფიული მასალაა აკ. შანიძის რედაქტორობით დაბეჭდილი ბ ე ს ა რ ი ო ნ ჯ ა ბ უ ა ნ ი, ხევსურული მასალები, ქართული საენათ. საზ. წელიწდეული I—II, 1923—1924, ტფ. გვ. 119—336 და სხვა. ძველი ხანის ეთნოგრაფიული მასალების შემცველია ჩვენი უნივერსიტეტის გამოცემა: M. Полиевктов, სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკ ივლევის ელჩობა იმერეთში, ტფ. 1926, ე. გ ა ბ ლ ი ა ნ ი ს, ძველი და ახალი სვანეთი (ტფილისი 1925), ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს, ფშაური წაწლობა და ხევსურული სწორფრობა (ტფ. 1925) და ლ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ს ქართული ანდაზები (ტფ. 1926 წ.) — ბევრში იმერებენ ძველს უკვე დაბეჭდილ მასალას და სამეცნიერო ჩაწერის ნიმუშად ვეღარ გამოდგებიან. ამ მასალებთან ერთად დასახელებულ უნდა იქნეს ნიკო დ ა დ ი ა ნ ი ს ძველი რომანიდან დაბეჭდილი ნაწყვეტი („ლომისი" 1922, № 156), რომელშიაც მრავალი საეთნოგრაფიო ტერმინი გვხვდება. მეტად საინტერესოა მასალის მხრივ ს. შ ა ნ შ ი ა შ ვ ი ლ ი ს ლეკი დალი, ქართული ღმერთების პანთეონი, (ს. შანშიაშვილი, ტომი 1. ტფ. 1925, გვ. 113). აღსანიშნავია „რაჟაბადინ ბელადის და ერეკლე მეფის" აღდგენილი ტექსტის გამოცემა ცავკასიონი, № 1—2, ტფ. 1924, გვ. 83).

ამ მხრივ ბევრია გასაკეთებელი, წინ დიდი სამუშაო გვიძევს და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ უნივერსიტეტის ეთნოლოგიური კათედრის, მუზეუმების და ჩვენი საზოგადოების ორგანოს მ ი მ ო მ ხ ი ლ ვ ე ლ ი ს შეერთებული ძალღონით მოხდება ჩვენი მრავალფეროვანი ქვეყნის ეთნოგრაფიული მასალის სისტემატური შეგროვება და აღწერა. რასაკვირველია ამ საქმისათვის გამოყენებული უნდა იქნას ნ. მ ა რ ი ს წამოწყების გამოცდილება (იხ. Н. Марр, Племенной состав населения Кавказа, ТКИПСНР, 3, Птг, 1920, გვ. 1—6, წინასიტყვაობაში) და აგრეთვე მხედველობაში მიღებული მწერალთა კავშირის დადგენილება, პ. იწგოროყვას მოხსენების გამო, ხალხური სიტყვიერების შეგ-

როვების შესახებ (იხ. ქართველ მწერალთა ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში. სახელგამი, ტფილ. 1926, გვ. 223. § 3).

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ეთნოგრაფიული ყოველმხრივობის სისტემატური შესწავლა საშინაო საქმეა, ჩვენ გვაქვს ამ ხანად გამოცემული რამდენიმე ნაშრომი, რომლებიც ჩვენს ეთნოგრაფიულ მასალებს იკვლევენ.

§ 3. დავიწყოთ ა. ლ ა ი ს ტ ე რ ი ს და გ. ჩ ო ر ს ი ნ ი ს **География Кавказа**-თი (Тиф. 1924). ამ წიგნში ეთნოგრაფიული ნაწილი საკუთრივ გ. ჩურსინს ეკუთვნის. იგი უკვე დიდი ხანია, რაც კავკასიურ ეთნოგრაფიულ მასალებზე მუშაობს და ბევრი ნაშრომიც აქვს დაბეჭდილი. მაგრამ მისი შრომების მთავარი ნაკლია წინასწარ გამომუშავებული ნორმების მორგება კავკასიის ეთნოგრაფიულ სინამდვილეზე და კომპლექსური მეთოდის უგულებელყოფა. ეს ამ წიგნშიც აშკარად ჩანს.

ამ ნაშრომში ავტორს ზოგი ისეთი დებულება აქვს წამოყენებული, რომ მათი გადაჭრა დაუკითხავად საქართველოს ისტორიის ფაქტებისა და განათხარი მასალების გარეშე — ყოველად შეუძლებელია.

კერძოთ სადავოა ის ძირითადი საკითხი, რომელიც კავკასიის ხალხთა კლასიფიკაციას შეეხება. ნ. მ ა რ ი ს მიერ წამოყენებული ლინგვისტური კლასიფიკაციის (ისიც როგორც სამუშაო პროსპექტის) გადმოტანა ეთნოგრაფიული ხასიათის შრომაში, როგორც ამას ჩვენი ავტორი სჩადის — ვერას გზით ვერ იქნება გამართლებული. მეორეს მხრივ, თუმცა ჩვენ გვაქვს კავკასიის ხალხთა ანთროპოლოგიური კლასიფიკაციის ცდები (უკანასკნელად ნახე ალ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, კავკასიური მოდგმა, ტფ. უნ. მოამბე, ტ. III, გვ. 53—81), ვინ გადასწყვიტა, რომ იაფეტელები უძველესი ძირითადი მოსახლეობაა კავკასიაში. ამ საკითხის შესახებ ჯერ ხომ ამოწურვით დაკითხული არ არის არქეოლოგიურ სინამდვილესთან. გამოკვლევამ შეიძლება აქა-იქ კიდეც აღმოაჩინოს კავკასიის ავტოხტონების ნაშთები, ან იქნებ ეგრეთწოდებულნი იაფეტიანები არცკი არიან ანთროპოლოგიურად ერთი მოდგმისა (შეადარე: ნატუხელები, ავარები, ტალიშები).

ერთი შეხედვით ვ. ჩურსინის ამ ძირითადი შეცდომისაგან თითქოს თავისუფალია A. Byhan'-ის ნაშრომი: Kaukasus, Ost—und Nordrussland. Finland. გვ. 661 და შემდ., როდესაც ის კავკასიის ენობრივი კლასიფიკაციის (დამყარებული A. Dirr-ზე) დამატებით ანთროპოლოგიურ საფუძველსაც იშველიებს (დაყოფა: ჯგუფი საკუთრივ კავკასიური, პონტური — ამაში შედის მოსახლეობა საქართვ. სამხედრო გზიდან ტამანის ნახ. კუნძულით ფოთამდე, ირანული და ურალ-ალტაური). მაგრამ ეს დაყოფაც წინააღმდეგობაში ვარდება და ჩერქეზები, ავტორის შეხედულებით წმინდა პონტური ტიპი, საკუთრივ კავკასურ ჯგუფშიც თავს ყოფს.

მაგრამ ეს ცოტაა, B y h a n'-ი ეთნოლოგიური აღწერისათვის საქართველოს ყოფს ორ ნაწილად: მთისა და ბარის მოსახლეობად; ეს დაყოფა უსათუოდ მიზან-შეწონილად უნდა მივიჩნიოთ; მას ერთგვარი ტრადიციაც აქვს ჯერ კიდევ სტრაბონის დროიდან (Strabo Geografhica XI, 33). მაგრამ ცოტა არ იყოს ძნელია ჩვენი ზოგიერთი კუთხეების მთისა თუ ბარისათვის მიკუთვნება და სადემარკაციო ხაზის მკაფიოდ გავლება. საქართველოს ეთნოგრაფიულ აღწერას ავტორი წინ უმძღვარებს ისტორიულ მიმოხილვას. აქ ის უმწეობას იჩენს, ქართული ისტორიოგრაფიის მეოცე საუკუნის მიღწევები ავტორისათვის ცხრაკლიტულში დაბეჭდილი წიგნია. ბროსეს დროის საისტორიო ცოდნის გამოყენებით კი ჩვენს ხანაში ბევრი არა გაკეთდება რა.

მით უფრო ასეთი საისტორიო ცოდნით ვერაფერი ქართული ეთნოლოგია დაიწერება. აქ საჭიროა, როგორც ეთნოგრაფიული, კიდევ უფრო მეტად ისტორიული და არქეოლოგიური ფაქტები. განსაკუთრებით ისტორიული ფაქტებია მიუცილებელი. და თუ მკვლევარს ხელთ არა აქვს ასეთი და „საძირკველი დანგრეულია, მაშინ კედლების აშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია“.

საკვირველი კია, რომ იქვე იმავე კრებულში, სადაც Byhan'-ის შრომაა დაბეჭდილი, ევროპის ხალხთა ეთნოლოგიას არკვევს ორი მკვლევარი M და A. Haberland'-ები, რომლებიც მშვენივრად იყენებენ ისტორიულ და არქეოლოგიურ ცნობებს ამ ხალხთა ეთნოლოგიის დასადგენად. კავკასიის ეთნოლოგიამ რაღა დააშავა — უნებლიედ ისმება საკითხი.

საილუსტრაციოდ მოგვყავს ერთი-ორი მაგალითი, თუ როგორ აშუქებს ავტორი ჩვენს ეთნოლოგიურ საკითხებს. საქართველოში ისტორიის ადრინდელი და ისტორიის უძველესი ხანის ბინების არსებობის შესახებ Byhan'-ი შეხიშხავს:

ამ დროისთვის ბარად მიწურები იყო, ხოლო მთებში გამოქვაბულები და ამ უკანასკნელთ ასახელებს მცხეთასთან, თელავთან და აგრეთვე უფლისციხეს. უნდა მოგახსენოთ, რომ გამოქვაბულებთან ერთ ხაზზე უფლისციხის მოხსენება ყოვლად მიუღებელია. მაშინ, როდესაც გამოქვაბულები ქვის ხანის ნაშთები უნდა იყვეს, აშკარაა, უფლისციხე, ვარძია და ვანის სამეფოს დასავლეთის ნაწილის მღვიმეები დაწინაურებული ისტორიული ეპოქის კუთვნილებაა. ამ უკანასკნელთა შესახებ საკითხი დიდი ხანია, რაც დასმულია მეცნიერებაში, ის დეტალურ შესწავლას მოითხოვს და მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება გადაწყდეს.

მაგრამ თვით გამოქვაბულების საკითხიც არ ჩაითვლება ჯერჯერობით გადაწყვეტილად. გვაქვს ცნობები მხოლოდ ზოგიერთების შესახებ, ისიც მეტად მცირე ნაწილის; ასე.—გვარჯილას კლდე რგანთან (მუსტიეს ეპოქის კულტურა), რუდოლფ-ვირხოვის ქვაბული და უვაროვის და ბარათაშვილის გროტები მოწამეთასთან (პალეოლითი); აგრეთვე ქვახრელი, თვით მიწიერების ხსენების დროს დავიწყებული არ უნდა იქნეს მათი სხვადასხვა სახეები. ერთი მათგანია გლეხური დარბაზი, საცხოვრებელი ბინების ძველი ტიპი, რომელთა შესახებ გ. ჩუბინაშვილმა ჯერ კიდევ 1922 წელს გერმანულ ჟურნალში გამოაქვეყნა თავისი შენიშვნები, გამოსცა გეგმები და ნახაზები იმავე წელს (ნახ. გლეხის დარბაზი დიღომში ტ. 1922) და რომელთა სარწმუნოებრივი და სოციალური დანიშნულება თანდათან აშკარავდება.

შევეხოთ Byhan'-ის შეხედულებას ქართველთა სარწმუნოების შესახებ. ავტორის აზრით ბარის საქართველოს სარწმუნოება ამოიწურება ქრისტიანობით, რომელსაც პირველ ორ საუკუნეში ებრძოდა ზარატუსტრის რელიგია, ხოლო „voriranische und vorchristliche einheimische u Religion verherte einen obersten Gutt Armas, Naturkrafte und Ahnen seelen“ (გვ. 714). რაში მდგომარეობს ეს „einheimische Religion“, ან რამდენად ქართული ღვთაებაა არმაზი.—ამის საბუთებს ავტორს ნუ მოსთხოვთ. ის ერთი ფრაზით კმაყოფილდება: „Mancherlei Reste davon findet sich im kult und Glauben des Swanen, Pschawen, Tuschen und Ossen“ (იქვე, შეადარე აგრეთვე გვ. 739—743).

ამ საკითხის ასე იოლად თავიდან აცილება, როდესაც ჩვენ გვაქვს ივ. ჯავახიშვილის კლასიკური ნაშრომი, სადაც აღდგენილია ქართული წარმართობის დროინდელი პანთეონი; ამავე საკითხის შესახებ ო. ფონ ვენდონკის ამომწურავი წიგნი; მ. წერეთლის შრომა: ხვთის ქეეყანა, მისი ხალ-

ხები, ენები, ისტორია და კულტურა (გამოცემა კონსტ. ქ. კ. სავანისა. კონსტანტინოპოლი 1924 წ. გვ. 91 და შემდეგი; აგრეთვე მ ა რ ი ს: Боги языческой Грузии ამათ შემდგომ მეტი რომ არა ვთქვათ უკანდახევა და ჩამორჩენილობაა ოცი წლით მაინც.

განა მარტო ამ საკითხში იჩენს ჩვენი ავტორი ჩამორჩენილობას, სამწუხაროდ ეს აშკარავდება სხვა საგნებშიც. მაგალითად იგივე ავტორი დღესაც იმეორებს ძველ ზღაპარს, თითქოს ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება პირწავარდნილი ბიზანტიური რიგისა იყოს (გვ. 713); ამის თქმა მას შემდეგ, რაც ჩვენ დღეს გ. ჩუბინაშვილის შრომები გვაქვს, ვერაფრით ვერ გამართლდება.

მაგრამ ყველა ზემოთ მოყვანილ გარემოებასთან ერთად, საკვირველია, რომ Byhan'-ს თვით ეთნოგრაფიულ აღწერაში ისეთი მხარეები აქვს გამოტოვებული, რომ ვერ აგვიხსნია, თუ როგორ მოუვიდა ეს ავტორს. ჩვენ სახეზე გვაქვს ხალხის ფსიქო-ფიზიოლოგიური თვისებები. ამ მხრივ ერთი სიტყვაც არ არის დაძრული. ამის მიზეზი ის გარემოება უნდა იყოს, რომ Byhan'-ი უმთავრესად ძველი ეთნოგრაფიული აღწერილობებით სარგებლობდა, სადაც ამგვარი მასალა მეტად მცირეა, ხოლო საკუთარი დაკვირვებები და კვლევა-ძიება ან სრულიადაც არ უწარმოებია, ან კიდევ მეტად მცირე მასშტაბით და მცირე დროით. ამდენად საკმარისად მიგვაჩნია რაც აქ ბ ი ჰ ა ნ ი ს შრომას შევეხეთ.

კერძო ეთნოგრაფიული კავკასიურ-ქართული კოსტიუმების, საკითხს ეხება თავის შრომაში Max Tilke, Orientalische Kostüme im Schnit und Farbe. Brl. 1923, სადაც თარგებში და ფერებით წარმოდგენილია მრავალი ჩვენი ტანსაცმელი. ამ წიგნით ჩვენებური ტანსაცმელი პირველად ხდება წმინდა მეცნიერული კვლევის ობიექტად და ჩვენ მოუთმენლად მოველით ავტორის მიერ შეპირებულს ამავე ნაშრომის შემდეგ გაგრძელებას.

ზოგად კავკასიური ტიპის ერქვანის საკითხს გაკვრით ეხება Paul Leser-ი Pflüge von Wehr „Abhand. d. Ethn. u. Urgesch. der Frank. Ges". B. il, Festschrift, Frankfurt am Main, 1925.

ჩვენი ხალხური მუსიკის საკითხები გარკვეულია დ. ა რ ა ყ ი შ ვ ი ლ ი ს, ქართულ მუსიკაში, ქუთაისი, 1925 წ.

მატერიალური კულტურის ერთი კერძო საგანი დამუშავებულია გ. ჩ ი ტ ა ი ა ს ეთნოლოგიურ შენიშვნებში: სვანური „საკურცხილ" (საქ. მუზ. მოამბე ტ. II, 1925).

§ 4. შევჩერდეთ მითოლოგიის ცნობილი მკვლევრის დანიელი მეცნიერის ა ქ ს ე ლ ი ლ რ ი კ ი ს ნაშრომზე, რომელიც გერმანულად გამოვიდა 1922 წ. ამ სათაურით: Ragnarök, die Sagen wom weltuntergang. Untersuchung von A. Olrik, Übertragen von W. Ranisch, Brl. u. Leipzig. 1922, გვ. 484. +1—XIV.

ამ წიგნის ერთი მესამედი კავკასიური მითოლოგიური მასალების გარჩევას უჭირავს. მეტად საყურადღებოა ავტორის საკვლევი საგნის მეთოდოლოგიური მხარე. ის ტექსტების დადგენით და მათი კრიტიკით იწყებს; სადაც კი შესაძლებელია არქეოლოგიურ მასალებს მიმართავს; ამის შემდეგ იძიებს თქმულებში ჩარჩენილი ბუნებრივი წარმოდგენების ფენებს და ამათი გამოყოფისას გადადის მეორე საფეხურის მასალაზე, ხალხურ-მითიურ წარმოდგენებზე. თქმულებების შედარებას აწარმოებს არა მარტო აბსტრაქტული იდეების მიხედვით, არამედ მათი პლასტიური მიმართებით.

ასეთი სწორი მეთოდოლოგიური მიდგომით Olrik'-ი ამირანის ლეგენდასთან დაკავშირებული თქმულებების ქართულ (ავტორი ქართულად გულისხმობს საძწუხაროდ მხოლოდ ქართლს და კახეთს) ვერსიაში არჩევს უძველეს კავკასიურ ელემენტებს, სპარსული მითის და ქრისტიანული ხანის გავლენებს. ავტორი კავკასიურს იმ წარმოდგენებში ხედავს, რომელიც ბუნებრივ მოვლენას, მიწის ძვრას (მითი იალბუზის გარშემო), მთებში დატყვევებული გმირების შეტორტმანებას მიაწერს (გვ. 287), თუმცა ამასთანავე შენიშნავს, ქართულ ვერსიაში მაინც და მაინც არ ჩანს მკაფიოდ ეს შეხედულება, ვინაიდან ქართველების შეხედულებით მიწის-ძვრის მიზეზი ის ვეშაპია, რომელზედაც დედამიწაა დაყრდნობილი (გვ. 219). აქ ჩვენ უნდა შევნიშნოთ, რომ თუ საზოგადოდ გამართლდა, რომ ამირანის თქმულება რაიმე სახით ბუნებრივ მოვლენებს უკავშირდება (მიწის-ძვრა-ვეშაპი), — შესაძლებელი იქნება ამირანის მამის სულა-კალმახის მეორე ნაწილის სახელის ახსნაც. ამირანი კალმახს, ღვთაება თევზს დაუკავშირდება და მისი ღვთაებრივი თვისებებიც გასაგები გახდება, ხოლო თვით კალმახი ვეშაპ-ღვთაებასთან ახლო იქნება დასაყენებელი.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ სვანურ ვერსიაში მოხსენებული ღვედჭაპანი უკვე მიწის დამუშავებაზე მიგვითითებს და ამდენადვე თქმულებას აშორებს მთებს და უფრო ბარს უკავშირებს.

K. Krohn'-ის მიხედვით ჩვენი ავტორიც იმ აზრისაა, რომ ამირანის სახელი სპარსულ აპრიმან'-იდანაა წარმომდგარი. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს შეფარდება მისაღები არ არის. მარმა და ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ მ ა გამოარკვიეს, რომ ამირანს სპარსულ აპრიმანთან კავშირი არა აქვს, არც თავისი მახასიათებელი თვისებებით და არც სახელწოდებით. ქართული ამირანი აფხაზურ A-berskil და სომხ. Meher-თან არის დაკავშირებული, ხოლო აფხაზურიდან ნათლად ჩანს, რომ ამირანი მზე-გმირია და არა სპარსული მითის ავი სული.

ბევრი სხვა დებულებაც საკამათოა ამ მეტად საგულისხმო წიგნებში, მაგრამ ჩვენ მათ ვეღარ გამოვეკიდებით. საკამათოა თვით ტექსტების კრიტიკაც, ვინაიდან ავტორი რუსულიდან თარგმნილებით სარგებლობს და არა თქმულების დედნებით. მიუხედავად ამისა გაწეულია დიდი შრომა, მოხდენილია ამირანის ლეგენდის კლასიფიკაცია და თუ ამასთან ერთად გავიხსენებთ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს გამოკვლევას — შემდეგი ზედმიწევნითი კვლევა-ძიებისათვის კორდი გატეხილია და ნიადაგი გასუფთავებული.

ამირანის თქმულების შესწავლის შემდეგი მუშაობა სხვათა შორის არქეოლოგიური მასალების დაგროვებითაც უნდა მოხდეს. ამ მხრივ ბევრი უკვე აღმოჩენილი ძეგლები ჩვენს მუზეუმებში აუხსნელი ძევს და კიდევ უფრო მეტი შეგროვებას საჭიროებს. მათი ამეტყველება სპეციალისტების შრომას მოითხოვს.

ამ მხრივ საყურადღებოა И. Мещанинов'-ის მუშაობა, რომელიც ამ მიმართულებით იკვლევს კავკასიური მატერიალური კულტურის განათხარ მასალებს. მაგრამ მის ნაშრომებს ჯერ-ჯერობით ერთი ნაკლი ახლავს, რაც მის ნამუშევარს ცარავს და მნიშვნელობას უკარგავს. ის წინასწარ აღებული იაფეტიდოლოგიური თვალსაზრისის მიხედვით უდგება საკითხების დამუშავებას. ეს კი პირველყოვლისა საზოგადოდ დაუშვებელია, ხოლო მეორეს მხრივ რამდენადაც იაფეტური თეორია ჯერჯერობით ძიების და დადგენის პროცესშია, მასზე დაყრდნობა მაინც ნაყოფიერი ვერ გამოდგება.

§ 5. დასასრულ ჩვენ გვინდა გაკვრით შევეხოთ ერთ საკითხს, სახელ-

დობრ — საგვარეოვნო წეს-წყობილებას, რომელიც ჩვენი მკვლევარების საფ-ლეისო ძიების საგნად არის გადაქცეული.

ამ საკითხს ეხება თავის გამოკვლევაში ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე (ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, „საისტორიო მოამბე", ტ. I, ტფ. 1925 წ. გვ. 90—91 და სხვა), რომლის დებულებების დეტალურ განხილვას ჩვენ აქ ვერ შევუდგებით. ვიტყვით, მხოლოდ, რომ ავტორი მაინცდამაინც ირანიზმის გავლენას ქართველთა უძველესი ხანის, როგორც სოციალურ წეს-წყობაზე, ისე მის სარწმუნოებაზე მეტის-მეტად დიდ როლს მიაკუთვნებს, მაშინ, როდესაც ჩვენ ვიცით, რომ თვით პირველი ავტორი ქართლზე ირანული გავლენის თეორიისა ნ. მ ა რ ი, რომლის თხზულებასაც უმთავრესად ემყარება ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე — უკვე ამ შეხედულებას არ იზიარებს.

გრ. ნ ა თ ა ძ ე თავის ნაშრომში — საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა, ტფ. 1925, ნაწ. I, თავი IV, გვ. 58. საგვარეოვნო წეს-წყობილების საკითხში უმთავრესად გამომდინარეობს ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს უკვე დაბეჭდილი შეხედულებებიდან და ამიტომ ახალს თითქმის არაფერს არ შეიცავს.

როგორც ვიცით, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ მ ა თავისი შეხედულება ძველი საქართველოს საგვაროვნო წეს-წყობილების შესახებ პირველად ჩამოაყალიბა თავის სადისერტაციო მონოგრაფიაში და შემდეგ შეიტანა თავის „ქართველი ერის ისტორიაში" (ტფ. 1913 წ.). ამ ძველ შეხედულებასთან ერთად საინტერესოა, რომ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხს (იხ. მისი საისტორიო საეთხოგრაფიო საზოგადოებაში წაკითხული მოხსენება: ძველი და გაერთიანებული ხანის ქართული სახელმწიფო და სოციალური წყობილების მთავარი საკითხები, — ამ წლის 17 აპრილის სხდომის ოქმი, №421). ამ მოხსენებაში ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი წინანდელთან შედარებით კიდევ უფრო აფართოებს საგვაროვნო წეს-წყობილების მასალების გამოძიებას, უკვე მეტი ნდობით ეპყრობა ქართულ საისტორიო წყაროებს და საგვაროვნო მოვლენების უფრო ღრმა ანალიზს ახდენს.

„შეყრილობის წიგნების" განხილვით მომხსენებელი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ჩვენს მთაში შენახული ეგრეთწოდებული გვაროვნული წეს-წყობილების ნაშთები უკუქცევითი პროცესის შედეგია. მეორადი მოვლენაა და მათი გამოყენება ქართლის ძველი ხანის სოციალური ცხოვრების აღსადგენად შეუძლებელია. საკითხავია თვით სტრაბონის დროინდელი საგვაროვნო წყობილება, ხომ .არ წარმოადგენს ამგვარსავე მეორად პროცესს? მომხსენებელი გაკვრით შეეხო მატერნიტეტის საკითხს, რომელიც ნ. მ ა რ მ ა წამოაყენა იაფეტიანთა მახასიათებელ ინსტიტუტად და რომელსაც მხარს უჭერს ლ. შ ტ ე რ ნ ბ ე რ გ ი ც და ახალი კომენტარი მოგვცა „მოქცევაი ქართლისაი"-ს ცნობის 8 და 10 სახლის დედა — და მამამძუძეთა მოსვლის შესახებ.

რასაკვირველია, ეს გამოკვლევა მეტად საგულისხმოა, იგი ახალს პერსპექტივებს ქმნის და ახალს მიმართულებას იძლევა ჩვენი სოციალური ინსტიტუტების კვლევისათვის. მაგრამ ამასთანავე ამ გვარი კვლევა-ძიებისათვის მეტად მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ, კერძოდ, ძირფესვიანად იყოს შესწავლილი მთაში დაცული სოციალური წეს-წყობილების ნაშთები, ვინემ ეს დღეს არის და საზოგადოდ ჩვენი ეთნოგრაფიული სინამდვილე ზედმიწევნით და სტაციონალურად და არა შემთხვევით და გზადაგზა, იყოს შესწავლილი; მომხდარიყოს ეთნოგრაფიული ფაქტების კლასიფიკაცია და სხვადასხვა საფეხურის ფენების გამორკვევა, რომ მტკიცე ეთნოგრაფიული ფაქტების გამოყენებით და მათი

ისტორიულ და არქეოლოგიურ მასალებთან გადაჯვარედინება — კონვერგენციის გზით შესაძლებელი შეიქმნეს ჩვენი წარსულის ბნელით მოცული საკითხების დამაკმაყოფილებლად გადაჭრა. სამწუხაროდ ჯერჯერობით ჩვენ სწორედ ეს მტკიცე ეთნოგრაფიული ფაქტები გვაკლია. ქართული ეთნოგრაფიის გარდუვალი მოთხოვნილებაა სისტემატურად და სათანადო სისწრაფით ამგვარი ფაქტების შეგროვება, რაზედაც ჩვენ ამ წერილის დასაწყისში მოგახსენეთ.

ს. მაკალათია

მაკალათია სერგი იოსების ძე (1896—1974) — ქართველი ეთნოლოგი, საზოგადო მოღვაწე.

ს. მაკალათია დაიბადა 1898 წელს აბაშის რაიონის სოფელ სეფიეთში. 1910 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, ხოლო 1929 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი.

1921—1935 წწ. ს. მაკალათია მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1930 წლიდან იგი სისტემატურად სწავლობდა საქართველოს ცალკეული რეგიონებისა და ხეობების ისტორიულ ეთნოგრაფიას. მონაწილეობდა სამხარეთმცოდნეო მუზეუმების დაარსებაში: მესტიაში, გორში, ცაგერში, ყაზბეგსა და კასპში, ხოლო 1937—1948 წლებში იყო გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი.

1946 წელს ს. მაკალათიას მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 1950 წელს—პროფესორის და 1967 წელს—საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდებები.

ს. მაკალათია კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბათუმის, თელავის, გორის, ცხინვალის და ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. იგი იკვლევდა საქართველოს ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ისტორიის, ნუმიზმატიკისა და ხელოვნების ისტორიის საკითხებს.

ქრესტომათიაში წარმოდგენილია პროფ. ს. მაკალათიას ერთ-ერთი ადრინდელი ნაშრომი—„ფალოსის კულტი საქართველოში". რომელიც მოხსენებად წაუკითხავს ავტორს საქართველოს ხალხთმცოდნეობა-საეთნოგრაფიო საზოგადოების საჯარო სხდომაზე 1928 წლის 2 იანვარს.

ავტორის აზრით, „ფრიად დიდი სწავლულობა აქვს ხალხური სექსუალური წესების შესწავლას, რომლებშიც დაცულია სოციალური და სარწმუნოებრივი განცდების უძველესი ნაშთები". ქართულ სინამდვილეში, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე ფალოსის კულტის არსებობის შესწავლამდე, ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ამ კულტის ფართო გავრცელებას მსოფლიოს მრავალ ძველ და დიდი კულტურის მქონე ხალხებში: იაპონელებში, ინდოელებში, სირიაში, ძველ საბერძნეთსა და რომში; ევროპაში, კავკასიის ხალხებში (მაგ., დაღესტნელებში), მას მოიყვანს ამ კულტის წარმოშობის შესახებ მეცნიერებაში არსებული ოვალსაზრისები. შემდეგ იგი გადადის ქართული ეთნოლოგიური მასალის განხილვაზე. მნიშვნელოვანია ავტორის დასკვნა ამის შესახებ, რომ ქართული ყეენობა და ბერიკაობა უძველეს წარმართ წინაპრებში ფალოსის კულტის არსებობის მკრთალ ანასახს წარმოადგენს.

მისივე დასკვნით, „ქართულში მას ეს სახელწოდება (სვანურში შემონახული „ხაქმისაჲ"—ს. ჯ.) დაუკარგავს და ჯერ კიდევ გამოსარკვევ რაღაც დიდ ისტორიულ მომენტთან დაკავშირებით მას ყეენობა დარქმევია".

ბიბლიოგრაფია

1)ს. მაკალათია, ახალწელიწადი საქართველოში, ტფ., 1927.
2) მისივე, ფალოსის კულტი საქართველოში, „მიმომხილველი", I, 1926, გვ. 122—136.
3) მისივე, ფშავური წაწლობა და ხევსურული სწორფრობა, ტფ., 1925.
4) მისივე, თუშეთი, ტფ., 1933.
5) მისივე, მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1938.
6) მისივე, მთის რაჭა, ტფ., 1930.
7) მისივე, ხევსურეთი, თბ., 1935.
8) მისივე, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.

ფალოსის კულტი საქართველოში*

ქართველთა სარწმუნოებრივი განცდების და უძველეს სოციალურ შემეცნებათა გამოსარკვევად უაღრესი მნიშვნელობა აქვს მათშივე დღემდე დაცული რიტუალური ხასიათის ზნეჩვეულებების შესწავლას, მაგრამ ამ მიმართულებით მომუშავე მკვლევარისათვის ქართულ მატიანეებზე დამყარება სამწუხაროდ უიმედოა, რადგანაც ისინი ან მცირე ცნობებს გვაწვდიან, ან სრულიად სდუმან. მხოლოდ არქეოლოგიურ და ეთნოლოგიურ აღმოჩენებს თუ შეუძლია ამ მხრივ მკვლევარს ერთგვარი დახმარება გაუწიოს და მეცნიერების ამ ორი დარგის მომარჯვებით, განსწავლულ ეთნოლოგს ოდნავ მაინც შეუძლია გააშუქოს ჩვენი წინაპრების წყვდიადით მოცული რწმენის სამყარო. მაგრამ ამისათვის პირველყოვლისა საჭიროა, რომ მკვლევარი ქართველ ხალხში იმყოფებოდეს და უშუალოდ ეცნობოდეს იმ განცდებს, რომლებსაც ჩვენი მდაბიო ხალხი თავის ხატობა-დღეობებში ასახიერებს.

სამწუხაროდ, დღეს ჩვენში იმ მიმართულებით მუშაობა მოისუსტებს და ამიტომ ჩვენს მუზეუმებს და სამეცნიერო დაწესებულებებს მართებთ განსაკუთრებული ყურადღებით ხელი შეუწყონ ქართველთა ეთნოლოგიურ შესწავლას.

ამ მხრივ, სხვათა შორის, ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხური სექსუალური წესების შესწავლას, რომლებშიაც დაცულია სოციალური და სარწმუნოებრივი განცდების უძველესი ნაშთები, ამგვარ მუშაობას ჩვენ ვაწარმოებდით ფშავ-ხევსურეთში და მათი წაწლობა-სწორ-ფრობის წესების შესწავლამ გამოარკვია, რომ მათში არსებულა და დღემდე დაცულია ჰეტერიზმის, ენდოგამიური შეუღლების და საღმრთო როსკიპობის წესებიც. ამ რიტუალურ სექსუალურ წესებთან ერთგვარი კავშირი ფალოსის კულტსაც აქვს, რომლის რწმენის ჩვენში არსებობას, არქეოლოგიური აღმოჩენების გარდა, თვით ჩვენს ხალხშივე დღემდე დაცული ეთნოლოგიური წესებიც მოწმობენ. მაგრამ სანამ ჩვენ ამის განხილვაზე გადავიდოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ აღვნიშნოთ, თუ რაში გამოიხატებოდა ფალოსის რწმენა და სად იყო მისი კულტი გავრცელებული.

ღვთაება ფალოსის კულტი დიდად გავრცელებული იყო ძველ წარმართულ მსოფლიოში. მის სიმბოლოს წარმოადგენდა მამაკაცის და დედაკაცის სქესობრივი ასო (ფალოს და კტეის). ფალოსს, როგორც ადამიანისა და დედამიწის განმანაყოფიერებელ ღვთაებას, განსაკუთრებულ თაყვანსა სცემდენ და ის ხალხის რწმენაში ორსქესოვან არსებად იყო წარმოდგენილი, რომელსაც ამიტომ

---

* ს. მაკალათია, ფალოსის კულტი საქართველოში, „ მიმომხილველი“, I, თბ., 1926, გვ. 122—135.

ხშირად ქალის სხეულით და მამაკაცის ასოთი აქანდაკებდენ. ფალოსის თაყვანისცემასთან დაკავშირებული იყო აგრეთვე სამლრთო როსკიპობაც.

თანამედროვე კულტურულ ერთა შორის ფალოსის კულტი ჯერ კიდევ იაპონიაშია დაცული და მიუხედავად მთავრობის განკარგულებისა მისი აკრძალვის შესახებ, იაპონიის მდაბიო ხალხი მას დღესაც თაყვანსა სცემს. იქ მოიპოვებიან სხვადასხვა სახის ფალოსები, უმეტესად ცხვირწამოზიდული კლდეების და გრძელი ნახევარკუნძულების განსახიერებით. ფალოსის ამგვარი რწმენა გამომდინარეობს იაპონიის ხალხურ — „შინტო"-ს სარწმუნოებრივი თქმულებიდან, რომლის თანახმად მათ მთავარ ღვთაებებს იაზანაგსა და იზანამიას თავმოოქრული ფალოსის რევით ზღვაში კუნძულები გაუჩენიათ; შემდეგ ზეცამდე აღმართული ფალოსის გარშემო შემორბენით სულიერი არსებანი გააჩინესო. იაპონიაში ფალოსს აკეთებენ სხვადასხვა ზომისა და ნივთიერებისაგან და თან ატარებენ, როგორც თილისმას. მათიე რწმენით ფალოსი და კტეისი ადამიანს ჰკურნავს სასქესო ორგანოს ტკივილებისაგან და ორსულს შობიარობას უმსუბუქებს.

გარდა ამისა იქ ფალოსი მეძავთა მფარველად ითვლება და მის გამოხატულებას ხშირად საროსკიპოებში აკრავენ. ამასთანავე, უნაყოფო და სქესობრივად დაავადებული ქალები ფალოსს ნიჟარებს სწირავენ. მის სიმბოლოდ ითვლება სოკო და ღორის ეშვი.

ფალოსის კულტი ინდოელებშიაც გავრცელებულია — ბუდიზმი მისი რწმენითაა გაჟღენთილი, რაც აშკარად გამოხატულია ინდოელების ღვთაებათა სექსუალურ მხატვრობა-ქანდაკებაში. მაგრამ ფალოსი განსაკუთრებით დაკავშირებული იყო ინდურ ღვთაება „სივა"-სთან, როგორც ჩასახვის და აღორძინების ღვთაებასთან, რომლის სიმბოლოდაც ის იქცა.

ფალოსის კულტი აგრეთვე გავრცელებული იყო ძველად სირიაში და მცირე აზიაში.

სირიაში ღვთაება ასტარტის და ატისის ტაძრის შესავალ კარიბჭეს ფალოსის ქანდაკებით ამკობდნენ და მათ თაყვანისცემასთან დაკავშირებული იყო საღმრთო როსკიპობაც.

ძველ საბერძნეთში და რომშიაც გავრცელებული იყო ფალოსის თაყვანისცემა, სადაც ქალები ძვირფასი ნივთიერებისაგან გაკეთებულ პატარა ფალოსს ატარებდნენ გულზე, როგორც საღმრთო სამკაულს. ფალოსის რწმენა ბერძნულ-რომაულ პერიოდში უმთავრესად დაკავშირებული იყო დიონისესა და აფროდიტესთან. დიონისეს მისტერიებში, რომელიც იმართებოდა შემოდგომაზე ყურძნის აკრეფისას და ყოველ გაზაფხულზე, უმთავრეს როლს ფალოსის ქანდაკება თამაშობდა, რომელსაც წითელი ტყავისაგან აკეთებდნენ და ჯოხზე წამოცმულს შუა პროცესიაში ატარებდნენ. ამ მისტერიაში მონაწილეებს სახეზე ნიღბები ჰქონდათ გაკეთებული და ჭრელი სამოსი ეცვათ. ამასთანავე ყელზე და გვერდებზე ეკიდათ პატარა ფალოსები. საბერძნეთში და რომში ფალოსს თილისმის ძალას აძლევდენ და ავთვალის წინააღმდეგ ხმარობდენ. ფალოსს იქ აგრეთვე სოფელ-სოფელ ატარებდნენ, რომ ნათესი ავსულებისაგან დაეცვათ. ქორწილში პატარძალს სვამდენ ფალოსზე, რომელსაც ის ვითომდა ამით სწირავდა თავის უმანკოებას. გარდა ამისა იქ არსებობდა ფალოსის ღვთაების სადიდებელი სიმღერები და სათამაშოებიც და ჯერ კიდევ არისტოტელი თავის „პოეტიკაში" ამ ფალოსის სიმღერებიდან და პროცესიიდან წარმოშობილად თვლიდა კომედიას.

ერთი სიტყვით, როგორც აღვნიშნეთ, ღვთაება ფალოსის კულტი ძლიერ

გავრცელებული იყო ძველ წარმართულ მსოფლიოში და დღესაც მისი რწმენის ნაშთები მკრთალად დაცულია ჩამორჩენილ ერთა შორის, მაგალითად: გილიაკები დიდის მოწიწებით ეპყრობიან დათვის ტყავისაგან ამოჭრილ ასოს. აინები თავიანთ მიცვალებულთა სამარხებზე დიდს ხისაგან გაკეთებულ ფალოსს აღმართავენ. ბუშმენები თავიანთ ღვთაებებს ფალოსის სახით აქანდაკებენ და მისივე ატრიბუტებით ამკობენ და სხვა.

გარდა ამისა, თითქმის ყველგან გავრცელებული წინდაცვეთის, დასაპურისების და ასოს მოკვეთის წესებიც ფალოსის ღვთაების რწმენასთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, ძველ რომში ღვთაება კიბელის და ატისის საგაზაფხულო დღესასწაულზე, რომელიც ბუნების განაყოფიერების სიმბოლურ წესებს შეიცავდა და საზოგადოდ 22 მარტიდან იწყებოდა, სპრიდენ ფიჭვის ხეს, რომელსაც ყვავილებით და სხვადასხვა სამკაულებით ამკობდნენ, მის შუა ტანზე კი ახალგაზრდა ვაჟის გამოხატულებას მიაკრავდენ. 24 მარტს იმართებოდა ღვთაების დღესასწაული დიდის ზეიმით, დამაყრუებელი მუსიკით და თავბრუდამსხმელი თამაშობა-მოძრაობით, რომელსაც მორწმუნენი ექსტაზში მოჰყავდა. ღვთაებისადმი შეწირულნი თავიანთ სასქესო ასოს იჭრიდნენ, რომლებსაც შემდეგ აგროვებდენ და კიბელის მღვიმეებში ინახავდენ. ეს წესი, მათი რწმენით, ხელს უწყობდა ბუნების განახლება-განაყოფიერებას.

ამავე ხასიათის მატარებელი იყო სირიის უდიდესი ღვთაების ასტარტის დღესასწაული ჰიერაპოლისში, სადაც შეწირულნი თავიანთ სასქესო ასოს იჭრიდნენ და მას ხელით ატარებდენ.

საკითხი იმის შესახებ, თუ საიდან და როგორ წარმოიშვა ადამიანში ფალოსის ამგვარი რწმენა, მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. გერმანელი მეცნიერის ე. ჰ ა ნ ი ს აზრით ფალოსის გაღმერთება და თაყვანისცემა გამომდინარეობს ადამიანის იმ პრიმიტიული რწმენიდან, როდესაც მან უკვე იცოდა სქესობრივი ასოს, როგორც განმანაყოფიერებელი ძალის მნიშვნელობა, და დედამიწა წარმოდგენილი ჰქონდა მას, როგორც დედა-ღვთაების სქესობრივი ორგანო, სახნისი კი, რომლითაც ის მიწის წიაღს ჰკვეთავდა და ანაყოფიერებდა,—როგორც მამაკაცის ასო (ფალოს). მაგრამ მკვლევართა უმრავლესობა ფალოსის კულტს ანიმისტურ რწმენას უკავშირებს, როდესაც პირველყოფილ ადამიანს. მთელი ბუნება გასულიერებულად ჰქონდა წარმოდგენილი და თავისი სხეულის ყოველ ნაწილში ის გრძნობდა ცალკე სულის არსებობას. ამ მხრივ მას თავისი სქესობრივი ასო მეტ საბაბს აძლევდა, რომ წარმოედგინა მისი ცალკე და დამოუკიდებელი არსებობაც, მით უმეტეს, რომ მან იცოდა სასქესო ასოს გახმახაყოფიერებელი ძალა, მისი ხშირი თვითნებური გაღიზიანება და იმპულსიური მოქმედებანი. ამგვარი შეგრძნებიდან, მეცნიერთა აზრით, უნდა წარმოშობილიყო სასქესო ასოს გაღმერთება, როგორც ნაყოფიერების შიზეზის, და ამიტომ მას პრიმიტიული რწმენაც სასწაულებრივ ძალას ანიჭებდა. ადამიანის სქესობრივი ასოს ამგვარი გაღმერთება შემდეგში გადატანილ იქნა. ცხოველებზე და მცენარეებზედაც, რომელთა განაყოფიერების და გამრავლების პროცესი ადამიანისაგან თითქმის არაფრით არ განსხვავდება. ამიტომ ფალოსის მისტერიები და მისი თაყვანისცემა იმართებოდა გაზაფხულზე, როდესაც ბუნება იღვიძებდა და ნაყოფიერდებოდა. აგრეთვე შემოდგომაზედაც, როდესაც დამწიფებული ნაყოფი იკრიფებოდა და საზამთრო პურეული ითესებოდა. ამ გარემოებას ე. ფრეზერი ამგვარად ხსნის: დიონისეს მაგვარი ღმერთები მცენარეულობისა და პურეულობის ღვთაებანი არიან, რომელთა შემოქმედებითი ძალისაგან დამოკიდებულია სარჩოს მოსავალი და ცხოველების გამ-

რავლება. ამიტომ, რომ ზეგავლენა მოეხდინათ ამ ღვთაებაზე, წლის მთავარ მოძენტებში, გაზაფხულზე და შემოდგომაზე ადამიანები მართავენ დიდის ზეიმით საღმრთო როსკიპობას, რაც მათი რწმენით იწვევდა აღნიშნულ ღვთაებათა გაღიზიანებას, და ბუნების განაყოფიერებასო. აი ასეთი იყო მოკლედ ღვთაება ფალოსის რწმენის შინაარსი და მისი ხილული სახიერება.

ჩვენს ამოცანას წარმოადგენს გამოვარკვიოთ, არსებობდა თუ არა საქართველოშიაც ფალოსის კულტი და ამ რწმენის რა ნაშთებს მოუღწევიათ ჩვენამდის?

ტფილისის მუზეუმებში დაცულია მრავალი სხვადასხვა სახის ბრინჯაოს ფალოსები. ზოგს მათგანს ცხოველის სახე და ადამიანის ასო აქვს გამოყვანილი. მაგრამ სამწუხაროდ უცნობია მათი აღმოჩენის ადგილი და დრო, მხოლოდ აღნიშნულია, რომ ისინი კავკასიაში არიან ნაპოვნი, უმეტეს შემთხვევაში, სახელდობრ, დაღესტანში, ამ უკანასკნელ. ცნობებს ა. პ ა ნ ტ ი უ ხ ო ვ ი ც ადასტურებს თავის გამოკვლევაში კავკასიის უძველესი მღვიმეების და სადგომების შესახებ, რომელშიაც სხვათა შორის ჩართულია დაღესტანში, ანდის ოლქში, აღმოჩენილი ბრინჯაოს ფალოსების სხვადასხვა სახის ქანდაკებათა სურათები. საქართველოში ფალოსის ნაშთის არსებობის პირველი ცნობა დაკავშირებულია ი. რ ო ს ტ ო მ ა შ ვ ი ლ ი ს არქეოლოგიურ მოგზაურობასთან ახალქალაქის მაზრაში, წარსული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში. ი. . როსტომაშვილის ცნობით ქ. ახალქალაქიდან სამხრეთით 4 თუ 5 ვერსის მანძილზე მდებარეობს სოფ. მურჯახეთი; ეს სოფელი ცნობილია თავისი ქვის სვეტით, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები „ძუძუს ქვა“-ს უწოდებენო. ამ ძუძუს ქვაზე ამობურცულად ამოჭრილია შამაკაცის ასო — ფალოსი, რომელსაც სასწაულებრივ ძალას ანიჭებენ ძუძუს რძის მოცემა-მომატებაში, ამიტომ ქალები მას თაყვანსა სცემენ, საკმელს უკმევენ და ზედ ქონს ან ზეთს სცხებენო. მისივე. ცნობით, ამ ფალოსიანი სვეტის ცოტა მოშორებით მოიპოვება მეორე ამგვარი ქვა. რომელიც ნახევრად მიწაში ყოფილა ჩაფლული.

ის ივ. როსტომაშვილს ხელის შეყოფით გაუსინჯავს, და სვეტს თურმე ორი ჩაღრმავებული ადგილი ჰქონია. მეორე სვეტს მცხოვრებლები პირველის ძმას უწოდებენო. ხალხური გადმოცემით ერთხელ მურჯახეთს მტერი შემოსევია და ერთი ახალგაზრდა ვაჟი ტყვედ ჩაუგდიათ. როდესაც ის მიჰყავდათ, მას დაი დასდევნებია და უთქვამს: ღმერთო გამაქვავეო! ორივე და-ძმა გაქვავებულანო. ამავე ცნობებს იმეორებს ექვ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი მურჯახეთის ძუძუს ქვის შესახებ, თავის 1902 წლ. ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში არქეოლოგიური მოგზაურობის აღწერილობაში. ე. თაყაიშვილს ეს ქვის სვეტი გაუსინჯავს და ფოტოგრაფიული სურათიც გადმოუღია, რომელიც ჩართულია მისი მოგზაურობის მასალებში. ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, ამ სვეტზე გამოხატული მამაკაცის სასქესო ასო საქართველოში ფალოსის კულტის არსებობის ნაშთიაო. შემდეგში ი. ს მ ი რ ნ ო ვ მ ა, ს. ლ ო მ ი ა მ და ნ. მ ა რ მ ა ამაში ეჭვი შეიტანეს და მურჯახეთის ქვის სვეტი ქვის ვეშაპად გამოაცხადეს. სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ არ გვქონია საშუალება მურჯახეთის ძუძუს ქვა დაგვეთვალიერებინა, რომ საკუთარი აზრი შეგვედგინა მისი ფალოსობისა თუ ვეშაპობის შესახებ. მაგრამ, რომ საქართველოში ფალოსის კულტი უნდა არსებულიყო, ამას მოწმობს 1913 წელს სოფ. ზეკარში (იმერეთი, ბაღდადის რაიონში) აღმოჩენილი ფალოსის ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც ფრიად საყურადღებო ნიშნების მატარებელია. მისი სიმაღლე 23 სანტიმეტრია, ბეჭებშუა სიგრძე — 10 სანტ. და წონით 6 გირ. და 70 მისხ. ქანდაკება წარმოადგენს ორსქესოვან

არსებას, რომელსაც ტანი ქალის აქვს და ამასთანავე აქტიურ მდგომარეობაში ნამაკაცის ასო. მას მკლავი მოკაკული და მუშტები შეკრული აქვს. მისი ყელი და მკლავი მრუდე ხაზებითაა მოხატული. სახე უწვერულვაშო, მაგრამ მამაკაცის გამომეტყველებით, თმა კი ქალურად უკან დახვეული აქვს. ერთი სიტყვით, ზეკარში აღმოჩენილი ქანდაკება ყველა თავისი დამახასიათებელი ნიშნებით და გამოხატულებით ფალოსის ღვთაებაა. რასაკვირველია, ძნელია გადაჭრით თქმა, თუ სად არის ფალოსის ეს ქანდაკება ჩამოსხმული, ან ის ქართველებს ეკუთვის თუ უცხოელებს, მაგრამ ის მაინც უდავოა, რომ მის თაყვანისმცემელ ერს საქართველოში უცხოვრია.

ამიტომ საჭიროა ამ უტყვი ქანდაკების ამეტყველება ქართული ეთნოლოგიური მასალებით, რომ ჩვენთვის გასაგები და ცხადი იყოს წარმართულ საქართველოში ფალოსის ღვთაების რწმენის არსებობა. თუ ჩვენ ამ მიზნით თვალს გადავავლებთ ქართულ წარმართული ხასიათის დღესასწაულებს, რომლებიც დღეს უკვე გასართობებად არიან ქცეული, მათი სექსუალური ხასიათის წესებისა და შესრულების დროის მიხედვით, ფალოსის კულტს უნდა დავუკავშიროთ ჩვენებური ბერიკობა და განსაკუთრებით ყეენობა. სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება ამ დღესასწაულთა ძველი და სრული აღწერილობა, რომ შესაძლებელი იყოს მათი პირვანდელი სახის აღდგენა და გაგება.

მაგრამ იმ ნაკლული და მცირე ცნობებიდან, რომლებიც მოიპოვებიან ჩვენს პერიოდულ გამოცემებში და აგრეთვე ჩემ მიერ შეკრებილი ზოგიერთი მასალებიდან ირკვევა, რომ ბერიკობა და ყეენობა, რომლებიც ჩვენში იმართებიან გაზაფხულის პირზე, თავიანთი ეროტიულ-სექსუალური წესებით ფალოსის მსგავსად ბუნების განაყოფიერების სიმბოლური გამომხატველნი არიან.

ყეენობის დროს, მაგალითად, თვით ყეენს მახინჯად ჰკაზმავენ და ხისაგან გაკეთებულ მამაკაცის სასქესო ასოსაც ჩამოჰკიდებენ, რომელსაც „კონკილა“-ს უწოდებენ. ყეენი კონკილას ამოძრავებით მაყურებელთა შორის სქესობრივ გაღიზიანებას იწვევს. მცხეთელი გლეხის ზურაბ ვ ა რ თ ა ნ ე ზ ა ვ ი ლ ი ს ცნობით, ძველად მცხეთაში ყეენობის წინ მთელი სოფელი თურმე ორ ჯგუფად იყოფოდა და იერიშის მიტანის დროს რომელი მხარეც დასძლევდა, გამარჯვებულიც ის იყო. ყეენი ბრძოლას მაღალი კოშკიდან უმზერდა. შემდეგ მორთული ყეენი კოშკიდან ჩამობრძანდებოდა და კონკილას მოძრაობით მაყურებლებს საარშიყო სცენებს უმართავდა. ეს საყეენო კონკილა მცხეთაში ერთ ოჯახს ჰბარებია და ყეენობას სადემონსტრაციოდ გამოჰქონდათ.

ვასილ ბ ა რ ნ ო ვ ი ს გადმოცემით, წარსული საუკუნის სამოციან წლებში ტფილისის მიდამოებში და განსაკუთრებით სოფ. კ ო დ ა შ ი თურმე დიდი ყეენობა იმართებოდა. იქ ყეენს კანჭის ძვალს ჰკიდებდნენ, რომლის მოძრაობით მაყურებლებს ის ეროტიულ სცენებს უმართავდა. დასასრულს ყეენს ბდინარე წყალში გადაგდებდნენ, ეს უკანასკნელი მომენტი, ფალოსის რწმენის პირვანდელი გაგებით, ნაბის მოცემასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამასთანავე, ქართლში ერთგვარი ტკბილი ნამცხვარიც არსებობს „ფალუსტაკად“ წოდებული, რომელიც ჩვენთვის, გარდა თავისი სახელწოდებისა, უმეტესად იმით არის საყურადღებო, რომ ამ ნამცხვარს განსაკუთრებით ახალ სიძეს მიართმევენ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მხრივ ქართული ხალხური ქორწინების წესი, რომელშიაც დღემდე დაცულია ფალოსის რწმენის მრავალი რიტუალი, ჯერ სრულიად შეუსწავლელია. გარდა ამისა, თ. სახოკიას თავის მეგრული ქორწინების ნარკვევის ერთ-ერთ შენიშვნაში აღნიშნული აქვს, რომ სამეგრელოში სასქესო ასოსათვის საგანგებო სალოცავიც კი არსებულა, რომელსაც

ოჯახის დიასახლისი თურმე წელიწადში ერთხელ იხდიდა და ფალოსის ღვთაებას მამაკაცისა და დედაკაცის სასქესო ასოს საღობას შესთხოვდა. სამურზაყანოში ამავე სალოცავის შესრულება დაკავშირებული ყოფილა ერთგვარ სექსუალურ რიტუალთან, რომელსაც თურმე აშკარად ასრულებდენ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული წარმართული ფალოსის რწმენა განსაკუთრებით შეტანილია წმ. გიორგის კულტში. წმ. გიორგი ჩვენი ხალხის რწმენით ნაყოფიერების ღვთაებაა და ვედრებითაც მიმართავენ მას საქონლისა და ადამიანის გასამრავლებლად. ამ მხრივ, საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მოიპოვება წმ. გიორგის ნიშ-სამლოცველო, რომელსაც უშვილონი ნაყოფიერებას შესთხოვენ. მაგალითად, ზემო — სვანეთში, სოფ. ჰ ა დ ი შ შ ი, დღესაც არსებობს სამლოცველო „გვრაგ ჩანიშიშ“-ად წოდებული (წმ. გიორგი ჭანეთისა), ‘ადაც ყოველწლიურად „ლი-ჩანიშობა“-ს ან ჭანეთობას, კვირიკობის თვეში, როდესაც მისი ხატობაც იმართება, სვანეთის სხვადასხვა კუთხეებიდან ძრავალი უძეოდ და უშვილოდ დარჩენილი სვანი მიეშურება შესაწირავებით და წმ. გიორგის შესთხოვს შვილის მოცემას. ამასთანავე ფშაური წაწლობაც ხომ ლაშას და ციხე გორის წმ. გიორგის ნიშთანაა დაკავშირებული, სადაც ხატობაში საზოგადო წოლაც კი იმართება.

მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებო მასალები სვანეთში მოიპოვება, სადაც მე 1925 წ. საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიული განყ. მიერ მივლინებული ვიყავი ეთნოლოგიური მასალების შესაკრებად. სვანეთში დღემდე არსებულ სახალხო წესებში ფალოსის კულტის ნაშთად ჩვენ მიგვიჩნია: „ჰარიკელა“, „ადრეკილი“, და განსაკუთრებით „საქმისაი“. ჰ ა რ ი კ ე ლ ა ს ზემო სვანეთში მეისარობის პარასკევს იხდიან და ამ დღისათვის მსხვერპლად გოჭს ჰკლავენ და ღმერთს შესთხოვენ ოჯახის მავნე სულებისაგან დაცვას, გათენებისას ყოველი ოჯახიდან ტიტველა ვაჟი სახლიდან კარში გამოვარდება და იძახის:

„ჰარინკიანი, მარიანკიანი, მი ტიტელ ხუი, ამჟინე ალტუეტლელი მიშგუ კუმში ამახუ“. (ჰარინკიანი და მარინკიანი მე რომ ტიტველი ვარ, ისე გაატიტვლე ჩემი საქონლის მტერიო). ჰარიკელას ამ რიტუალურ წესში ვაჟის სიტიტვლე და ასოს უამოჩნენა ფალოსის რწმენის ნაშთია, რადგანაც ჩვენ უკვე ზემოთ გვქონდა აღნიშნული, მამაკაცის ასოს — ფალოსს, როგორც თილისმას, ავთვალისა და მავნე სულების წინააღმდეგ ხმარობდნენ და ამიტომ მის გამოსახულებას ძორწეხეები ხშირად ყელზე ატარებდნენ.

შემდეგ ფალოსის რწმენის ამგვარივე ნიშნების მატარებელი ქვემო სვანური „ა დ რ ე კ ი ლ ა ი“-ს წესებია, რომელიც თავისი სახელწოდებით, შესრულების დროით და სექსუალური ხასიათის ფერხულით, როდესაც მოთამაშეები სასქესო ორგანოებსაც კი იტიტვლებდენ, ფალოსის კულტის უტყუარ ნაშთს უნდა წარმოადგენდეს.

მაგრამ ფალოსის რწმენის ცოცხალ და საუკეთესო გამომხატველად მაინც ზემოსვანური „ს ა ქ მ ი ს ა ი“ უნდა ჩაითვალოს, რომლის წესების გამოკვლევასაც მე პირადად ვაწარმოებდი ზემოსვანეთში და საშუალებაც მომეცა ხელში ჩამეგდო ის ხის ფალოსი, რომელსაც „საქმისა“ იკიდებს. დღეს ეს ნიეთი საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების საკუთრებას შეადგენს.

„საქმისაი“-ს წესების გარკვევა ჩვენთვის იმ მხრივაც საინტერესოა, რომ ის თავისი რიტუალით არამც თუ ენათესავება ქართულ ყენობას, არამედ.

ჩვენის აზრით, მასში დაცული უნდა იყოს ქართული ყეენობის უძველესი წარმართული სახეც. რომ ეს ასე უნდა იყოს, ამაში ჩვენ დავრწმუნდებით, როდესაც მოკლედ გავეცნობით თვით საქმისაის წარმართულ წესებს.

სვანური საქმისაის შესახებ ცნობები მოიპოვება რაფ. ერისთავის და ეგნ. გაბლიანის სვანეთის აღწერილობაში.

განსვენებული რ. ერისთავი საქმისაის შესახებ სამართლიანად შენიშნავს, რომ „საქმისაის წესები სექსუალური სცენებით ენათესავებიან ბერძნულ დიონისე — ვაკხის და ვენერის მისტერიებსო“.

„საქმისას“ წესებს ძველად მთელს ზემოსვანეთში თურმე ასრულებდენ, მაგრამ დღეს ისინი დაცულია მხოლოდ მულახის საზოგადოების სამ სოფელში: ჩვაბიანში, ცალდაში და ჟაბეშში. თვით ხის ფალოსი, რომელსაც საქმისას უწოდებენ, მამაპაპიდან ინახება სოფ. ჟაბეშში მცხოვრები ივანე კახიანის სახლში და ყველიერში სვანეთის სხვადასხვა კუთხეებიდან ჯაბეშში მიდიან საქმისობის სანახავად. ყველიერის ხუთშაბათიდან ჯერ დაიწყებენ თოვლის კოშკის „მურყვამ“-ის აშენებას, კოშკის თავზე ჩასვამენ ნაძვის ხეს, რომელზედაც ჩამოკიდებენ ძველ კალათას, „ფარა“-ს ე. ი. საცერის ძირს, რომელიც მათი რწმენით ნაყოფიერების სიმბოლოა, აგრეთვე ორი ხის ხმალს (დაშნარი) და ხისაგან გაკეთებულ მამაკაცის სასქესო ასოს. ძველად თურმე ჩალის ადამიანის ქანდაკებასაც ზედ წამოაცმევდენ. შემდეგ ამ თოვლის კოშკზე ფერხულს მართავენ აღნიშნული სამი სოფლის მცხოვრებნი. ბოლოს ჩამოვლენ, იყოფიან ორ ჯგუფად და ორივე მხრივ აწვებიან კოშკს და რომელ მხარეზედაც კოშკი წაიქცევა, მათ კარგი მოსავალი მოუვათ. კვირას დილიდანვე შეუდგებიან საქმისას დღესასწაულში მოქმედი პირების არჩევას. პირველად საქმისას ირჩევენ, მას მახინჯად კაზმავენ, უკეთებენ ჩალის კუზს, სახეზე მურს წაუსვამენ, განიერ და დაგლეჯილ შარვალს აცმევენ. მას მამაკაცის ხის ასოს ჩამოჰკიდებენ და ხელში გაცვეთილ ცოცხს მისცემენ. საქმისას ეძლევა ექვსი მხლებელი „მოახარ“-ი. შემდეგ ირჩევენ „ყაინს“, რომელსაც შესაფერისად მორთავენ და მასაც აგრეთვე ხის ასოს ჩამოჰკიდებენ. მას ხელში ხის ხმალი „დაშნარ“-ი უჭირავს და თან ორი ქალურად მორთული პირი ახლავს, რომლებსაც დედოფლებს „დედფალარ“-ს უწოდებენ. ამგვარად მორთულნი ისინი სოფლის მოედანზე გამოდიან და მათი მთელი მოქმედება სქესობრივ-ეროტიულ მოძრაობებში გამოიხატება. საქმისა ქალებს დასდევს, წვეტიანი ჩხირით მათ ჩხვლეტს და ეარშიყება. ამასთანავე ის ხის ასოს ათამაშებს და ამით ქალებს აღიზიანებს, ოხუნჯობს და მათ დასაჭერად დასდევს. ამავე დროს ყაინი წამოწვება, გვერდზე თავის დედოფლებს მიიწვენს, კოცნის, ეარშიყება და ზედ აწვება. საქმისა მას ეპარება, ყაინი საქმისას ხის ხმლით იგერიებს, მაგრამ ბოლოს საქმისა დედოფალს მაინც მოსტაცებს და ეხვევა. მაყურებელნი ყიჟინას სცემენ, არის სიცილი და თამაში. ბოლოს იმართება სმა და ფერხული. ერთი სიტყვით, თუ ჩვენ ზემოაღნიშნულ საქმისაის წესებს შევადარებთ სხვაგან არსებულ წარმართული ფალოსის ღვთაებათა მისტერიებს, მრავალ საგულისხმიერო მსგავსებას აღმოვაჩენთ.

საქმისაის წესებში გარკვეულად მოცემულია ბუნების და ადამიანის განაყოფიერების სიმბოლური გამოხატულებანი, რაც უმთავრესად ყველგან და ყოველთვის ღვთაება ფალოსის კულტს ახასიათებდა. გარდა ამისა, სხვა არა იყოს რა, თვით ის ხისაგან გაკეთებული მამაკაცის ასო, რომელიც საქმისას და ყაენს ჰკიდიათ და მათს მთავარ დამახასიათებელ ატრიბუტებს შეადგენს, საქართველოში ფალოსის კულტის არსებობის უტყუარ მოწმედ უნდა ჩაითვა-

ლოს. მაგრამ თუ ჩვენ, მეორეს მხრივ, სვანური საქმისაის და ადრეკილაის წესებს უკვე გადაგვარებულ ქართულ ყეენობას შევადარებთ, მათ შორის საგულისხმო მსგავსებას აღმოვაჩენთ, რაც მათი თავდაპირველი ერთობის მაჩვენებელია. ჯერ ერთი, ამ სვანური ფალოსის წესების სახელწოდებანი წმინდა ქართული, სქესობრივი დამოკიდებულების აღმნიშვნელი, ტერმინებია; აგრეთვე დღესაც სქესობრივი დამოკიდებულების აღსანიშნავად ჩვენში ხშირად იტყვიან ხოლშე, ამ ვაეს იმ ქალთან საქმე აქვსო. რაც შეეხება ადრეკილაის, რომელიც აფხაზეთშიაც გამოითქმის „ალგრკგრა"-დ, აღსანიშნავია არა მარტო თავისი ქართული სახელწოდებით, არამედ იმით განსაკუთრებით, რომ მისი შესრულების დროს გამართულ სექსუალური ხასიათის ფერხულში, ადრეკილაის შაირი გამოითქმის ქართულად და სვანურად, რაც ფრიად საყურადღებო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. გარდა ამისა, სვანურ საქმისაიში და ქართულ ყეენობაში, ყეენი ერთგვარად არის მორთულ-მოკაზმული და ისინი თითქმის ერთსა და იმავე რიტუალურ წესებს ასრულებენ, მხოლოდ სვანურში უპირატესობა ჯერ-ჯეროობით, ყეენთან შედარებით, საქმისას შერჩენია, რომლის სახელწოდებასაც ეს ხალხური მისტერია დღესაც ატარებს.

ქართულში კი მას ეს სახელწოდება დაუკარგავს და ჯერ კიდევ გამოხარკვევ რაღაც დიდ ისტორიულ მომენტთან დაკავშირებით მას ყეენობა დარქმევია.

ერთი სიტყვით, როგორც ჩვენში აღმოჩენილი ფალოსის ქანდაკების და ქართული ეთნოლოგიური მასალების შედარებითი შესწავლიდან ირკვევა, ფალოსის ის პრიმიტიული რწმენა, რომელიც გამოიხატებოდა ადამიანის ასოს, როგორც განაყოფიერების სიმბოლოს, თაყვანისცემაში, ჩვენს წარმართ წინაპრებსაც „საქმისაი"-ს სახით განუცდიათ, რომლის მკრთალ ანასახს ქართული ყეენობა და ბერიკობა ატარებენ. მაგრამ დროთა ვითარებაში მისი წესები თანდათანობით მოსპობილა და მხოლოდ ზემო სვანეთის მიუვალ მთებში დაცულა და იქაც მხოლოდ სოფელ ჟაბეშში შენახულა. გარდა ამისა, ფალოსის სვანურ-ქართული წესების შინაგანი და გარეგანი მსგავსება, სვანურის ქართული სახელწოდებანი და ფერხულში ქართულ-სვანური შაირების შენაცვლება გვაფიქრებინებს, რომ წარმართობის ამ საფეხურზე ქართველ ტომებს სარწმუნოებრივი ერთობა უნდა ჰქონოდათ, რასაც უაღრესი მნიშვნელობა აქვს ჩვენ შორეულ წინაპართა სარწმუნოებრივი შემეცნების და კულტურული შემოქმედების ისტორიის შესასწავლად.

ტ. ჰეიერდალი

ჰეიერდალი ტურ (თურ) დაიბადა 1914 წელს — ნორვეგიელი მეცნიერი, მოგზაური და მწერალი.

ტ. ჰეიერდალი დაიბადა ნორვეგიის ქალაქ ლარვიკში. 1933—1939 წლებში იგი სწავლობდა ოსლოს უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიულ ფაკულტეტზე. მეორე მსოფლიო ომის წლებში მონაწილეობდა ნორვეგიის წინააღმდეგობის მოძრაობაში.

ომის შემდგომ წლებში ტ. ჰეიერდალი გაეტაცა ძველ და ახალ სამყაროს შორის ტრანსოკეანური მიგრაციების შესაძლებლობის თეორიამ. ამ მიზნითვე მან დაიწყო კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა. იმის დასამტკიცებლად, რომ შეიძლებოდა პოლინეზიის კუნძულებზე თავდაპირველად ამერიკიდან მოსულები დასახლებულიყვნენ, 1947 წელს 5 თანამგზავრთან (სხვადასხვა ხალხების წარმომადგენლებთან) ერთად გადაცურა წყნარი ოკეანე პერუდან არქიპელაგ ტუამოტუმდე ტივით „კონ-ტიკი“.

1953 წელს ბალაპაგოსის კუნძულებზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოაჩინა ინკებამდელი პერიოდის ნასახლარის ნაშთები. 1955—1956 წლებში არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა აღდგომის, რაპანუის და მარკეზის კუნძულებზე, რომლის დროსაც განსაზღვრა მათი დასახლების ხანა — ძვ. წ. IV საუკუნე.

1969 და 1970 წლებში ტ. ჰეიერდალმა პაპირუსის ნავებით „რა“ და „რა-2“ მოაწყო ექსპედიციები (ისევე ინტერნაციონალური, როგორც „კონ-ტიკით“ მოგზაურობის დროს) მაროკოს დასავლეთ ნაპირებიდან ამერიკის აღმოსავლეთ ნაპირებისაკენ, ატლანტის ოკეანის გადაცურვით.

ტ. ჰეიერდალი თავგამოდებული მომხრეა ტრანსოკეანური მიგრაციების შესაძლებლობის თეორიისა, რომლის დამტკიცებასაც მიუძღვნა მან როგორც თავისი პრაქტიკული საქმიანობა, ისე მრავალრიცხოვანი თეორიული ნაშრომები — ევროპულ ენებზე გამოქვეყნებული სტატიები და სამეცნიერო წიგნები, მათ შორის სამეცნიერო-მხატვრული ნაწარმოებები.

ტ. ჰეიერდალი ეკუთვნის იმ ეთნოლოგთა ჯგუფს, რომლებიც იცავენ პოლინეზიელების წარმოშობის ამერიკულ ჰიპოთეზას. ამ ჰიპოთეზის მიხედვით წყნარი ოკეანის კუნძულები დასახლებულ იქნა სამხრეთ ან ჩრდილოეთ ამერიკიდან და არა აზიიდან მისული ხალხით. პოლინეზიელების ამერიკული წარმოშობის დამტკიცებას ტ. ჰეიერდალმა მიუძღვნა უფრო ვრცელი, სოლიდური მეცნიერული გამოკვლევა, რომლის გამოცემის ხარჯების გაღება არავის არ სურდა, მაგრამ „კონ-ტიკით“ ექსპედიციის წარმატების შემდეგ, ეს გამოკვლევა გამდიდრებული ახალი მასალებით, გამოქვეყნდა 1952 წელს.

ქრისტიანიაში დაბეჭდილია ტურ ჰეიერდალის მოხსენება, წაკითხული სტოკჰოლმში 1962 წლის 24 აპრილს შვეციის ანთროპოლოგიისა და გეოგრა-

ფიის ხაზოვადოების ხსდომაზე. იგი შემდეგში დაიბეჭდა ცალკე სტატიად, ხოლო აქ იბეჭდება მისი თარგმანი, 1969 წელს ლენინგრადში გამოცემული ტურ ჰეიერდალის ხამეცნიერო შრომების კრებულიდან „Приключения одной теории". ეს კრებული მიძღვნილია ტრანსკონტინენტური კულტურული მიგრაციების თეორიის ისტორიისა და დამტკიცების შესაძლებლობებისადმი.

ტ. ჰეიერდალის სტატიაში „აღდგომის კუნძულების ქანდაკებები — პრობლემები და შესწავლის შედეგები", წარმოდგენილია კუნძულის შესწავლის ისტორიის მიმოხილვა და ნაჩვენებია ის მჭიდრო კავშირი, რომელიც არსებობს ამ ისტორიასა და იმ ტრაგიკულ მოვლენებს შორის, რომლის შედეგად მოისპო უკანასკნელი კულტურა ამ კუნძულზე.

ბიბლიოგრაფია

1) ტურ ჰეიერდალი, მოგზაურობა „კონ-ტიკით", ტივით პერუდან პოლინეზიამდე, თბ., 1957.
2) Тур Хейердал, Путешествие на «Кон-Тики», М., 1956.
3) Тур Хейердал, В поисках рая, М., 1964.
4) Тур Хейердал, Приключения одной теории, М., 1969.
5) Тур Хейердал, Аку-аку. Тайна острова Пасхи, М., 1959.
6) Тур Хейердал, Искусство острова Пасхи, М., 1982.

აღდგომის კუნძულის ქანდაკებები — პრობლემები და შეხვაკლის შედეგები*

ძნელია მოიძებნოს დედამიწაზე ადგილი, სადაც გეოგრაფიასა და ეთნოლოგიას შორის ისეთი პარადოქსული თანაფარდობაა, როგორიც აღდგომის კუნძულზე. ამ ერთ მტკაველ გვალვიანსა და უნაყოფო მიწაზე, რომელიც ყველაზე განცალკევებულია მთელ წყნარ ოკეანეში, უფრო მეტი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლია, ვიდრე დასავლეთით მდებარე ნებისმიერ უფრო დიდ, ნაყოფიერ და ადვილადმისაღწევ კუნძულსა თუ არქიპელაგზე. ბუნებრივია, რომ გეოგრაფიული თავისებურებების გამო წყნარი ოკეანე (დასახლებული კუნძულების უმეტესობა გაბნეულია ფართობზე, რომელსაც მთელი დედამიწის ნახევარზე მეტი უჭირავს) ეთნოლოგების წინაშე უფრო მეტ პრობლემას აყენებს, ვიდრე სხვა რომელიმე ოკეანე. მაგრამ მოულოდნელია და შეუსაბამო, რომ ზუსტად აღდგომის კუნძულმა, წყნარი ოკეანის კუნძულებიდან ყველაზე განცალკევებულმა და ძნელადმისაღწევმა, თავისებური არქეოლოგიური ძეგლების სიუხვით საერთო ყურადღება მიიპყრო. ასევე საოცარია, რომ კუნძულზე, რომელსაც გეოგრაფიული და არქეოლოგიური თვალსაზრისით სრულიად განსაკუთრებული მდებარეობა აქვს, არქეოლოგიური გამოკვლევები ექსპედიციის ჩასვლამდე არ ჩაუტარებიათ.

ევროპელთაგან პირველად აღდგომის კუნძულზე 1864 წ. ფრანგი მისიონერი ეჟენ ეირო დასახლდა. მას და მის კოლეგებს კონგრეგაციიდან — „იესოსა და მარიამის წმინდა გული“ — წილად ხვდათ კუნძულის თავდაპირველი ისტორიის ფურცლები გადაეშალათ. დამთავრდა ბოლო, ყველაზე გასაოცარი დრამის ტრაგიკული აქტი, რომელიც ოდესმე ოკეანის კუნძულზე გათამაშებულა.

უცხოელთაგან არავის უნახავს პირველი აქტები. მაყურებლები მაშინ ჩავიდნენ აღდგომის კუნძულზე, როდესაც უკანასკნელი მოქმედება მიმდინარეობდა. მხოლოდ არქეოლოგიასა და სხვა წარსულის შემსწავლელ მეცნიერებებს შეუძლიათ აღადგინონ კუნძულის აყვავებისა და დიდებულების ხანა. ახლა ჩვენ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ, როდესაც პირველი ევროპელი გამოჩნდა კუნძულებზე, სამწუხარო ეპილოგის ბოლო სურათები მიმდინარეობდა. იგი რამდენიმე საათით ჩავიდა ნაპირზე და ძველ სამყაროში კუნძულის აღმოჩენად იქნა აღიარებული. ჰოლანდიელი ადმირალი როგევენი 1722 წელს, აღდგომა დღის საღამოს, მიუახლოვდა უცნობ კუნძულს.

მეორე დილას, როცა მზემ ჰორიზონტიდან გამოანათა, კუნძულს სამი გემი მიუახლოვდა და მეზღვაურებმა დაინახეს კუნძულელები—სხვადასხვა ფერადკანიანი ხალხით. ისინი კოცონებთან ისხდნენ, რომლებიც ვეებერთელა ქანდაკე-

---

* წიგნიდან: Тур Хейердал, Приключения одной теории, Л., 1964, с. 128—148.

ბების მწკრივის გასწვრივ იყო გაჩაღებული. კუნძულელები თავდახრილნი ლოცულობდნენ. მზე ამოვიდა თუ არა, ისინი პირქვე დაემხნენ. კოცონები კი ისევ ენთო. უკვე მაშინ, ქანდაკებები იმდენად ძველი იყო, წვიმისა და მზისგან იმდენად იყო დაზიანებული, რომ როგვეენმა შეძლო, მოეტეხა ნაწილი ერთ-ერთ მათგანზე. მან დასკვნა, რომ ქანდაკებები გაკეთებული იყო ქვაში არეული თიხისა და მიწისაგან. ჰოლანდიელებმა კუნძულზე მხოლოდ ერთი დღე დაჰყვეს.

თითქმის ორმოცდაათი წლის შემდეგ, ესპანელმა ფილიპე გონსალესმა და მისმა თანამგზავრებმა ხელახლა აღმოაჩინეს კუნძული. 1770 წელს პერუს ვიცე-ხელმწიფემ გაგზავნა ორი ხომალდი ბრძანებით: ეპოვათ და დაეპყროთ კუნძული, რომელზეც პერუში ლაპარაკობდნენ, რომ იგი მდებარეობდა მატერიკიდან 600 მილზე, კოპაპოს განედზე, რომელიც სწორედ ის კუნძული შეიძლება ყოფილიყო, როგვეენმა რომ აღმოაჩინა. ესპანელები არ დაკმაყოფილდნენ ქანდაკებების ზედაპირული დათვალიერებით, მათ მოსინჯეს გამძლეობა და მოეჩვენათ, რომ ისინი გამოქანდაკებულნი იყვნენ ძალზე მყარი ღა მტკიცე ქვისაგან. ესპანელების ჩანაწერებით, ათმეტრიანი ქანდაკებების თავები დაბოლოებული იყო სხვა სახის ქვის დიდი ცილინდრებით, რომლებზეც ადამიანის ძვლები ეწყო. აქედან გაკეთდა დასკვნა, რომ ქანდაკებები არა მარტო კერპები იყო, არამედ მიცვალებულთა დასასვენებელი ადგილიც.

ჰოლანდიელებმა და ესპანელებმა აღნიშნეს, რომ აღდგომის კუნძულზე ასეთი უზარმაზარი ქანდაკებების აღსამართავად საკმარისი რაოდენობის არც ტყეები და არც ბაგირი იყო. როგვეენი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თვლიდა, რომ სკულპტურები გამოქანდაკებული იყო თიხისაგან, მაგრამ ესპანელები უარყოფდნენ მის აზრს. მათგან გაოცებულმა მსოფლიომ პირველად გაიგო უამრავი ქვის ქანდაკებების შესახებ, რომლებიც მდებარეობდნენ უტყეო, პრიმიტიული ხალხით დასახლებულ, უახლოესი ხმელეთიდან ათასეული კილომეტრით დაშორებულ კუნძულზე. ორნახევარი საუკუნის განმავლობაში აღდგომის კუნძულის საიდუმლოება ხალხის ყურადღებას იპყრობდა.

ესპანელების ყოფნიდან ოთხი წლის შემდეგ კუნძულზე ჩავიდა კაპიტანი კუკი, ხოლო შემდეგ ფრანგები ლაპერუზის მეთაურობით. ყველა წინამორბედი მოგზაური ხაზს უსვამდა, რომ ქანდაკებები ძალზე ძველი იყო, ხოლო კუნძულზე მცხოვრებ პრიმიტიულ ხალხს მათ აღმართვაში მონაწილეობა არ მიუღია. კუკმა შეამჩნია, რომ ზოგი ქანდაკება დამხობილია, და საკურთხევლის მსგავს დანგრეული კვარცხლბეკების გვერდით გდია, მაგრამ კუნძულელები არ ზრუნავენ მათ აღდგენაზე.

კუკს ჰყავდა პოლინეზიელი მთარგმნელი; იგი ძლივს იგებდა ადგილობრივთა ენას, მაგრამ შეამჩნია, რომ ქანდაკებები გამოსახავდნენ გარდაცვლილ მეფეებსა და ბელადებს. ჰოლანდიელების გარდა არავის უნახავს, რომ აღდგომელები ლოცულობდნენ კერპებზე, მაგრამ ინგლისელებმა და ფრანგებმა იპოვეს ქანდაკებების გვერდით ჩონჩხები და ამიტომ აღწერეს ისინი, როგორც უძველესი სამარხები.

მოსახლეობა აღდგომის კუნძულის ქანდაკებებს კვარცხლბეკებიდან აგდებდა.

1804 წელს აღდგომის კუნძულზე აღმოჩნდა რუსი მეზღვაური ლისიანსკი. მან ჩაიწერა, რომ კუკის უბეში ქვის პლატფორმებზე იდგა 4 ქანდაკება, ვინაპუში — 7. თორმეტი წლის შემდეგ, 1816 წელს კუნძულზე ჩავიდა კიდევ ერთი რუსეთის ექსპედიცია, კოცებუს ხელმძღვანელობით. მან დაადგინა, რომ

კუკის უბეში ყველა ქანდაკება დანგრეულია, ხოლო ვინაძეს შვიდი სკულპტურიდან გადარჩა მხოლოდ ორი.

უკანასკნელი ცნობები ქანდაკებების შესახებ მოიპოვება დიუ პტი-ტუარის ჩანაწერებში, რომელმაც 1838 წელს ნახა კუკის ყურის ჩრდილოეთით ცხრა ბუმბერაზი ქვის პლატფორმებზე. მოგვიანებით ისინიც დაინგრა. როდესაც 1864 წელს პირველი ევროპელი ეყენ ეირო დასახლდა აღდგომის კუნძულზე, მრავალ პლატფორმაზე არ იყო ქანდაკება, ამასთანავე უმეტესობა დაცემის დროს დასკდა, ხოლო უზარმაზარი ცილინდრები მათი თავებიდან ფერდობებზე ჩაცურდა. აღდგომელებმა მხოლოდ მიწაში ნახევრად ჩაფლული იმ ქანდაკებების დამხობა ვერ შეძლეს, რომლებიც კუკის რაზმმა რანო რაბალურ კრაშერში აღმოაჩინა, ძველთაძველი სახელოსნოს ძირას.

ეირომ და მისიონერებმა, აგრეთვე მისმა კოლეგებმა უცხოელთაგან პირველებმა შეისწავლეს აღდგომელების ენა. ისინი ცდილობდნენ, კუნძულელებისაგან მიეღოთ ინფორმაცია აღდგომის კუნძულის საიდუმლოზე. მათ მხოლოდ ის აცნობეს, რომ ძველად ყველა ქანდაკება ერთ ადგილზე იდგა, მაგრამ შემდგომში შემქმნელი ღმერთის — მაკემაკვს სურვილით, ისინი თვითონ გაიფანტნენ კუნძულის სხვადასხვა ბოლოებში.

შვიდი წლის შემდეგ მისიონერები აიძულეს, დაეტოვებინათ კუნძული. მალე აქ გამოცხადდა ტაიტელი მეცხვარე სალმონი, მერე კი ჩილელი მეტეოროლოგი მარტინესი. ისინი შვიდრო ურთიერთობაში იყვნენ აღდგომელებთან. მათი მეშვეობით ჩვენამდე მოაღწია უაღრესად საინტერესო გადმოცემებმა.

ამ გადმოცემების მიხედვით, კუნძულის მოსახლეობის წინაპრები იყვნენ „მოკლეყურიანები". ისინი აღდგომის კუნძულზე მივიდნენ თავიანთ ბელად ტუუ-კო-იჰუსთან ერთად, კუნძულ პოლინეზიიდან. მათ აღმოაჩინეს, რომ ახალი მიწა უკვე დასახლებულია სხვა ხალხით — „გრძელყურებიანებით", რომლებიც პირველაღმომჩენი ხოტუ მატუას მეთაურობით მოვიდნენ საპირისპირო მხრიდან — აღმოსავლეთიდან. სამოცი დღის განმავლობაში მოცურავდნენ ისინი დიდი ქვეყნიდან, რომელიც მდებარეობდა იქ, საიდანაც მზე ამოდის და სადაც ცხელა. „გრძელყურიანებმა" მაშინვე დაიწყეს მოაიების — ქანდაკებების აღმართვა. ორასი წლის განმავლობაში „მოკლეყურიანები" ეხმარებოდნენ „გრძელყურიანებს" ახუს აშენებასა და ქანდაკებების გამოკვეთაში. მაგრამ მალე მშვიდობიანი თანაარსებობა ომით შეიცვალა, რომლის განმავლობაშიც „მოკლეყურიანებმა" დახოცეს „გრძელყურიანები" — შეყარეს ისინი გრძელ საცავ თხრილში, რომელშიც ცეცხლი ენთო. მათგან დატოვეს მხოლოდ ერთი. შემდეგ უთანხმოება დაიწყო თვითონ „მოკლეყურიანთა" შორის. ყველა კერპი კანაფებისა და სოლების მეშვეობით ჩამოაგდეს, რის შესახებაც მოგვითხრობენ გადმოცემებში.

კუნძულის არქეოლოგიური გამოკვლევა დაიწყო 1914 წელს, როდესაც ინგლისელი ქეთრინ სკორესბი რაუტლეჯი ჩავიდა იქ იახტით. მართალია, მისის რაუტლეჯს არ ჩაუყვანია იქ გამოცდილი არქეოლოგები. მისი მეცნიერული ჩანაწერები სამწუხაროდ დაკარგულია, მაგრამ მისი პოპულარული წიგნი მოგზაურობაზე, სავსეა უძვირფასესი მეცნიერული დაკვირვებებით და ბოლო დრომდე რჩება აღდგომის კუნძულზე ზოგადი ცნობების ძირითად წყაროდ.

ოცი წლის შემდეგ, 1934 წელს, კუნძულს ეწვია საფრანგეთ-ბელგიის ექსპედიცია. სამწუხაროდ ფრანგი არქეოლოგი გზაში გარდაიცვალა და ანრი ლავაშერს — მის ბელგიელ კოლეგას, მარტო უნდა გამოეკვლია აღდგომის კუნძულის ყველა ძველი ძეგლი. მან დაიწყო ადრე უცნობი კედლის გამოსახუ-

ლებების შესწავლა, ხოლო ფრანგმა ეთნოლოგმა ალფრედ მეტრომ ჩაატარა არანაკლებ მნიშვნელოვანი გამოკვლევა თავის სფეროში. მაგრამ ამ ექსპედიციას, როგორც მის წინამორბედ რაუტლეჯის ექსპედიციას, არ ჩაუტარებია სისტემატური გათხრები. ყველა თვლიდა, რომ უტყეო კუნძულზე არ იქნებოდა ნეშომპალა, რომელიც დაფარავდა წარსულის კვალს.

რაუტლეჯი თვლიდა, რომ პოლინეზიელებამდე კუნძულზე ცხოვრობდა უცნობი, უკვე გადაშენებული, შესაძლოა მელანეზიური წარმოშობის, ხალხი. მაგრამ მეტრო გადაჭრით ამტკიცებდა, რომ გადაკარგული ერთი გოჯა მიწა დაუსახლებელი იყო, ვიდრე XII—XIII სს-ში აქ არ დასახლდნენ პოლინეზიელები. მან ჩამოაყალიბა თეორია, რომელიც შემდგომში ყველასათვის მისაღები გახდა. თეორიის თანახმად, აღდგომელებმა აღმართეს უზარმაზარი ქანდაკებები ქვისაგან, რადგანაც კუნძულზე აღმოჩნდა ჭრისათვის საჭირო მასალა. ეს თეორია საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურებოდა და ამიტომ არქეოლოგები აღარ ჩადიოდნენ კუნძულზე, რადგან თვლიდნენ, რომ აზრი არ ჰქონდა სტრატიგრაფიული გათხრების ჩატარებას.

იყო თუ არა აღდგომის კუნძული ასეთი უტყეო, როგორც ამტკიცებდნენ ეთნოლოგები, როდესაც პირველად აღმოაჩინეს იგი ადამიანებმა? ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ პასუხს გავცემდით ამ შეკითხვას და თან მოვიტანეთ უახლესი აღმურვილობა, მტვრიანის სინჯის ასაღებად.

ახლა შესაძლებელია გამოკვლევების შედეგების გაცნობა, რომლებიც ჩატარებულია კუნძულის ჩამქრალი ვულკანების — რანო რარაკუსა და რანო კაოშის კრატერულ ტბებზე. შეგროვდა მდიდარი მასალა, რომლის შესწავლაზეც მუშაობდა სტოკჰოლმის საბუნებისმეტყველო ისტორიის სახელმწიფო მუზეუმის პროფესორი ულუფ სელინგი. შესაძლებელი გახდა იმის დადგენა, რომ ბუნებრივი გარემო, რომელშიც აღმოჩნდნენ პირველმოსახლენი, არ ჰგავდა 1722 წელს აქ მოხვედრილი ევროპელი აღმომჩენების მიერ მოცემულ აღწერილობას. ამჟამად კუნძული ღარიბია მცენარეულობით, ადრე კი აქ იყო უფრო მდიდარი ფლორა, იზრდებოდნენ ხეები. ხეებს შორის სხვადასხვა სახის ბუჩქნარი იზრდებოდა. მთლიანად, მცენარეულობა რამდენადმე, როგორც ჩანს, დაბლობის პირველყოფილ ფლორას მოგვაგონებდა.

მანამ, სანამ მოქანდაკეები რანო რარაკუს კრატერში მუშაობას დაიწყებდნენ, კუნძულის ახლა შიშველი ფერდობები დაფარული იყო პალმებით, რომელთა სახეობაც დღეს არ არის კუნძულზე. კრატერული ტბის ფენები ამჟამადაც სავსეა ამ პალმის მტვრიანებით. ერთ-ერთი ყველაზე მოულოდნელი აღმოჩენაა იმ ბუჩქნარის მტვერი, რომელიც წიწვიანთა მონათესავეა. ასეთი ბუჩქნარი ადრე საერთოდ არ აღმოჩენილა წყნარი ოკეანის კუნძულებზე. მაგრამ, სამაგიეროდ, იგი ახლოსაა სამხრეთამერიკულ ჯიშთან. ულუფ სელინგმა აღმოაჩინა ასეთივე სახის მტვერი მარკიზის კუნძულებზე.

აღდგომის კუნძულზე მტვრის რვამეტრიანი სვეტის გამოკვლევა საშუალებას იძლევა, თვალი გავაყოლოთ, თუ როგორ ქრებოდა თანდათანობით მცენარეულობა. ძველი, ღია კრატერული ტბების გარშემო ჯერ კიდევ იზრდებოდა მწვანე საფარი, როდესაც აქ მოულოდნელად გაჩნდა ამერიკული მტკნარწყლიანი **polygonum amphibium.** სავარაუდოა, რომ იგი, როგორც სამკურნალო მცენარე, პირველმოსახლეებმა სამხრეთ ამერიკის სანაპიროებიდან ჩამოიტანეს. მას შემდეგ ნალექებში ჩნდება ნაცრის ნაწილაკები და სწრაფად ღატაკდება თავდაპირველი მცენარეულობა. სავარაუდოა, რომ ნაცრის ნაწილაკები ხან-

რის შედეგია, ხოლო ხანძრის გამჩენნი კი პირველმოსახლენი იყვნენ. იზრდებოდა მოსახლეობა, ხალხს ესაჭიროებოდა მიწა საცხოვრებლებისა და ბოსტნებისათვის. შემდეგ კი, ომების შედეგად დაიწყო ტყის განადგურება. უტყეო კუნძული მალე დაფარა ბალახმა და გვიმრამ.

დეკორაციის ამგვარი ცვლილება აღდგომის კუნძულზე მხოლოდ ბოტანიკოსებისათვის როდია საინტერესო. გადმოსახლებულთა პირველი ტალღა, რომლებიც ბაზალტის უზარმაზარ ფილებს თლიდნენ და მშენებლობისათვის იყენებდნენ, მოხვდა კუნძულზე, რომელიც სრულიად არ იყო უტყეო. ისინი იძულებულნი იყვნენ მოეჭრათ ხეები, რათა გაეთავისუფლებინათ გზა ქვის სამტეხლოებისაკენ. ეს აღმოჩენა უარყოფს ძველ ჰიპოთეზას აღდგომელებზე, რომლის მიხედვითაც კუნძულელებმა იმიტომ დაიწყეს მთის კალთების ტეხვა, რომ არ იყო შესაძლებლობა ხეზე ჭრისათვის.

აღდგომის კუნძულის ქანდაკებების საკითხში კიდევ ერთმა მტკიცებამ შეიტანა არეულობა. მას საფუძვლად ედო რაუტლეჯის ექსპედიციის დაკვირვებების არასწორი გაგება. ქეთრინ რაუტლეჯმა გაასუფთავებინა ქვეშისა და ხრეშისაგან რამდენიმე კერპის საფუძველი, რომლებიც ნახევრად ჩამარხული იყო რანო რარაკუს ქვის სამტეხლოსთან. თავის წიგნში მან დაწერა, რომ ერთ-ერთ ქანდაკებას ჰქონდა წაწვეტებული ძირი. იგი ვარაუდობდა, რომ სკულპტურას სპეციალურად ჩაუთალეს ძირი, რათა ჩაერჭოთ მიწაში და არ დაედგათ ახუზე, ამიტომ მეტრომ შეუმოწმებლად ჩათვალა, რომ ყველა (სამოცივე) ქანდაკებას წამახვილებული ჰქონდა ბოლო. მან თავის ნაშრომში აღდგომის კუნძულის ეთნოლოგიაზე განაცხადა, რომ ქანდაკებები კუნძულზე, ორი სახითაა: ქვემოთ წამახვილებული ქანდაკებები კრატერ რანო რარაკუს ძირთან და ქანდაკებები ბრტყელ საფუძველზე, რომლებიც ამკობდნენ მრავალრიცხოვან ახუს. პოლინეზიის კულტურის ავტორიტეტულმა სპეციალისტმა პიტერ ბაკმ, რომელიც თვითონ არ ყოფილა აღდგომის კუნძულზე, უფრო გააძლიერა ეს არეულობა, როდესაც გამოიტანა დასკვნა, რომ მეტრო თვლიდა წამახვილებულძირიანებად, ე. ი. მიწაში ჩასარჭობად გამიზნულად იმ 170 დაუშთავრებელ ქანდაკებასაც, რომლებიც ქვის სამტეხლოში ელაგა. საბოლოო ჯამში ერთი (დეფექტური) ქანდაკება პუბლიკაციებში გადაიქცა ორასოცდაათად.

პოლინეზიისადმი მიძღვნილ წიგნებიდან ყველაზე უფრო პოპულარულ წიგნში — „მზიანი აისის მეზღვაურები“ პიტერ ბაკი წერდა: „ქანდაკებები წაწვეტებული ძირებით არ იყო განკუთვნილი რიტუალურ ქვის პლატფორმებზე დასადგმელად, მათ მიწაში არჭობდნენ, როგორც უხრწნელ სამკაულებსა და ნიშნებს, რომლებიც მიდამოების გზებსა და საზღვრებს აღნიშნავდა. რადგან ქვის სამტეხლოებში დარჩენილ ყველა ქანდაკებას ძირი წაწვეტებული აქვს, უნდა ვივარაუდოთ, რომ შეკვეთები პლატფორმისათვის მთლიანად იყო შესრულებული და აღდგომელები გზების გამშვენებას შეუდგნენ“.

დიდი სიძნელეების გარეშე დადასტურდა, რომ რანო რარაკუს ქვის სამტეხლოში დარჩენილი დაუშთავრებელი ქანდაკებებიდან არცერთი არ ყოფილა ძირისკენ წამახვილებული, თუმცა შოლსვოლდმა, რომელიც ხელმძღვანელობდა ამ გათხრებს, იპოვა კიდევ 50 აღუწერელი ქანდაკება. ჩვენ შევუდექით მიწაში ნახევრად ჩაფლული გოლიათების გათხრას და აღმოვაჩინეთ, რომ მათაც, ერთი დეფექტური ეგზემპლარი რომ არ ჩავთვალოთ, ბრტყელი ფართო საფუძველი აქვთ და გრძელი ხელების წვრილი თითები გვხვდება მუცლის ქვედა ნაწილზე. ყველა ეს სკულპტურა ახუზე დასადგმელად იყო განკუთვნილი.

ჩვენმა გამოკვლევებმა უჩვენა, რომ ყველა ცნობილი ქანდაკება (დაახ-

ლოებით 600) ერთნაირია. გამოქანდაკების პროცესი შეიძლება დაიყოს ოთხ სტადიად. პირველ სტადიაზე ქანდაკების ზურგი კვლავ შეერთებული იყო საფუძველთან, მიმდინარეობდა წინა მხრისა და გვერდების დამუშავება-გაპრიალება, მხოლოდ თვალის ბუდეები აკლდა. მეორე სტადიაზე ფიგურას აცალკევებდნენ საძირკველისაგან, დგამდნენ ეულკანის ძირთან, რათა დაემთავრებინათ ზურგის დამუშავება და მასზე გამოესახათ სიმბოლური გამოსახულებანი. ციცაბო ფერდობზე ძნელი არ იყო ქანდაკების დადგმა დაუმუშავებელი ქვებისაგან გაკეთებულ მოედანზე. მესამე სტადიაზე ჯერ კიდევ უთვალო ქანდაკებებს კვლავ მიწაზე აწვენდნენ და გადაჭონდათ ეულკანიდან. მხოლოდ მეოთხე სტადიაზე, როდესაც მას დადგამდნენ თავის ადგილზე, თვალებს უკეთებდნენ, ხოლო თავზე ადებდნენ დიდი წითელი ქვისაგან გამოთლილ ცილინდრს, რომელსაც აღდგომელები უწოდებდნენ ჰუკაოს, ანუ თმების კონას.

ამ აღმოჩენამ მაშინვე გაამარტივა პრობლემა. მოქანდაკეები აქანდაკებდნენ მხოლოდ ერთმანეთის მსგავს სკულპტურებს, რათა განეთავსებინათ ისინი მთელი სანაპიროს გასწვრივ. მაგრამ ჯერ კიდევ მრავალი ამოცანა რჩებოდა მოუხსნელი.

ვიდრე შოლსეოლდი სამუშაოებს აწარმოებდა რანო რარაკუს მახლობლად, ამერიკელმა არქეოლოგებმა, პროფესორებმა მელოიმ და სმიტმა ქანდაკებების დანგრეული საფუძვლების სისტემური გამოკვლევები ჩაატარეს. მათ აღმოაჩინეს, რომ ნაგებობის ზედა ფენებში იმალებოდა უფრო ძველი ნაშენი, რომლებიც ნაწილობრივ ხელახლა იყო აშენებული, ნაწილობრივ კი გაფართოებული და გამაგრებული. თავდაპირველი ნაგებობები არ გამოდგებოდა მძიმე ქანდაკებების კვარცხლბეკებად.

ამ გათხრების შედეგად ნათლად დამტკიცდა, რომ კუნძულის განვითარების წინაისტორიული პერიოდი შეიძლება დაიყოს სამ განსხვავებულ. — ძველ, შუალო და **გვიან პერიოდებად.**

ადრეულ პერიოდში არ აკეთებდნენ ქანდაკებებს საყრდენებზედ (axy). საკულტო ნაგებობები წარმოადგენდნენ ამაღლებებს, რომლებიც საკურთხეველებს მოგვაგონებენ; ისინი გამოქანდაკებული იყო ძალიან დიდი, სხვადასხვა ფორმის ქვისაგან.

ფასადი ზღვას უყურებდა, ხოლო საპირისპირო მხარეს გადაჭიმული იყო მიწაში გათხრილი საკულტო მოედანი. ყველა ქანდაკება ზუსტად იყო ორიენტირებული მზეზე. ეჭვგარეშეა, რომ აქ მუშაობდნენ დახელოვნებული ქვის მთლელები, რომლებმაც კარგად შეისწავლეს მზის წლიური მოძრაობა და მას დაუმორჩილეს რელიგიური არქიტექტურა. მოედანზე დგამდნენ სხვადასხვა ხახის საშუალო ზომის სკულპტურებს.

მხოლოდ საშუალო პერიოდში დადგეს პლატფორმებზე ჩვენთვის ცნობილი გიგანტური ქანდაკებები. თავდაპირველი ნაგებობები დაანგრიეს და გადაკეთეს, მათზე დააშენეს ახალი და კარგად ცნობილი არაორიენტირებული axy. მათზე ზურგით ზღვისკენ და პირით ძველი საკულტო მოედნისაკენ მწკრივებად აღიმართნენ ქვის ბუმბერაზები.

გვიანი პერიოდის დასაწყისი ხასიათდება რანო რარაკუს ქვის საჭრელში სამუშაოების უცაბედი შეწყვეტით. დამთავრდა ქანდაკებების ტრანსპორტირებაც გზებზე. ქანდაკებებს ერთიმეორის მიყოლებით ყრიდნენ საყრდენებიდან (axy). შედარებით პრიმიტიული კულტურის წარმომადგენლნი, რომლებიც ხეზე ჭრის საუცხოო ოსტატები იყვნენ, მაგრამ არ იცოდნენ სკულპტურების კეთება, თავიანთ მიცვალებულებს ასაფლავებდნენ უწესრიგოდ დაყრილი ქვე-

ბის ქვეშ. გვიანი პერიოდი მთელ კუნძულზე იყო დაცემის, ომებისა და ნგრევის ხანა. ამ პერიოდის შრეებში დევს მახვილების ობსიდიანის ბუნიკები, მანამდე კი კუნძულზე იარაღი ან საერთოდ არ იყო, ან იშვიათობას წარმოადგენდა.

საშუალო პერიოდის არქიტექტორებმა და მოქანდაკეებმა მთელი თავიანთი ძალები და ყურადღება დაუთმეს ტუფის უზარმაზარი ქანდაკებების მშენებლობას რანო რარაკუს ქვის სამტეხლოებში; მათგან განსხვავებით, აღდგომელები ძველ პერიოდში უფრო ხელოვნურად თლიდნენ და აწყობდნენ უზარმაზარ ბაზალტის ნაწილებს საკურთხევლისმაგვარი საკულტო ნაგებობებისათვის.

ამგვარად, დამტკიცდა სხვადასხვა კულტურის მონაცვლეობა აღდგომის კუნძულზე. უკვე საჭიროა, გადაისინჯოს ადგილობრივი კულტურის თანმიმდევრობაზე ჩამოყალიბებული წინანდელი ჰიპოთეზები. მართალია, რაუტლეჯი თვლიდა, რომ კუნძული (axy) ძველად სხვაგვარად გამოიყურებოდა და შემდგომში გადაკეთდა, მაგრამ მეტრომ და ლავაშერმა უარყვეს მისი აზრი და განაცხადეს, რომ აღდგომის კუნძულის კულტურა ერთგვარია, მასში არ არის სხვადასხვა ფენები. ყველანი აღნიშნავდნენ აღდგომის კუნძულის ყველაზე დიდისა და შენახული ახუს საყრდენების ფასადების მსგავსებას ანდების რაიონის ამგვარივე ნაგებობებთან, მაგრამ თვლიდნენ, რომ აღდგომის კუნძულზე საუკეთესო კედლები უფრო გვიან გაჩნდა პოლინეზიელთა ადგილობრივი დამოუკიდებელი ქვის მთლელთა ხელოვნების აყვავების ხანაში. პოლინეზიელები არ ფლობდნენ ამ ხელოვნებას, როცა აქ მოვიდნენ, მაგრამ უტყეო კუნძულზე ცხოვრების გამო, ისე შეძლეს ამ საქმეში დახელოვნება, როგორც საუკეთესო ქვის მთლელმა ოსტატებმა სამხრეთ ამერიკაში.

მაგრამ მალე ყველაფერს ადგილი შეეცვალა. აღმოჩნდა, რომ პირველმოსახლეებმა, გაათავისუფლეს თუ არა ნაკვეთები ტყისაგან, მაშინვე დაიწყეს იმგვარივე ტიპის კედლების მშენებლობა, რომლებიც ცნობილია პერუსა და ანდების რაიონის მიმდებარე ნაწილებში. მეორე, საშუალო პერიოდში ხალხი არ ფლობდა ამ ხელოვნებას, ისინი შემოიფარგლებოდნენ უზარმაზარი სკულპტურების გამოქანდაკებით. აღდგომის კუნძულის ისტორიის მესამე პერიოდში ქვის საქმის ყოველგვარი ევოლუცია შეჩერდა, ყველაფერი ის, რაც შექმნა ორმა წინანდელმა კულტურამ, დაინგრა და მოისპო.

ახლა უკვე აღარ შეიძლებოდა გამორიცხულიყო ქვისმთლელობის სამხრეთ ამერიკული კულტურის გავლენა, რადგანაც წყნარი ოკეანის სანაპიროებზე არსად არ შეიძლებოდა შეეთვისებინათ ეს სრულიად განსხვავებული ქვის დამუშავების ტექნიკა, რომელსაც ფლობდნენ პირველმოსახლენი.

აღდგომის კუნძულის ნაირგვაროვნება გამოვლინდა არა მარტო საკულტო ნაგებობებში, არამედ აბორიგენების საცხოვრებლებშიც. როდესაც გაეცნო ძეგლებს, ფერდონმა ივარაუდა, რომ კუნძულზე შემოინახა სხვადასხვა ტიპის საცხოვრებლის ნარჩენები. აქამდე ეთნოლოგები და არქეოლოგები თვლიდნენ, რომ აღდგომის კუნძულზე გამოქვაბულების გარდა, მხოლოდ ერთი ტიპის საცხოვრებელი იყო: ლელქაშის მოგრძო ქოხები, რომლებიც გადაბრუნებულ ნავს მოგვაგონებდა. ხარიხებს, ლელქაშისა და ბალახის საცხოვრებლების კარკასისათვის, არჭობდნენ ქვის ფუნდამენტის ხვრელებში. ფუნდამენტი კი ასევე ნავს ჰგავდა.

ჩვენი (ტურ ჰეიერდალის) ექსპედიციის არქეოლოგებმა დაიწყეს იმით, რომ გათხარეს ასეთი ფუნდამენტების მთელი რიგი. აღმოჩნდა, რომ ისინი

ამენდა კუნძულზე ევროპელების ჩასვლამდე ან შემდეგ, ე. ი. მოგვიანო პერიოდში. ფერდონმა და შოლსვოლდმა შეისწავლეს წრიული ქვის გალავანი, რომელიც ძალიან ბევრია კუნძულზე. უწინ არქეოლოგებსა და ეთნოგრაფებს სჯეროდათ ადგილობრივი მცხოვრებლების მონათხრობისა, რომ უტყეო კუნძულზე ეს კედლები იცავდნენ ქარისაგან წინაპრების მეურნეობას.

ბოტანიკოსმა სკოტსბერგმა, რომელმაც აღდგომის კუნძული 1917 წელს მოინახულა, დაადასტურა, რომ კედლებით იცავდნენ პლანტაციებს, ამას ადასტურებს ილუსტრაციაც მის სტატიაში აღდგომის კუნძულის ფლორის შესახებ. მოგვიანებით მეტრომ აღადგინა ეს ილუსტრაცია თავის ნაშრომში. ჩვენმა გათხრებმა დაადასტურა, რომ კედლებს ბოსტანთა დასაცავად მაშინვე კი არ იყენებდნენ, არამედ მხოლოდ მესამე პერიოდში. თავდაპირველად ეს იყო ლელქაშით გადახურული მრგვალი საცხოვრებლები. ქვის იატაკებში ვიპოვეთ მრავალი ნაკეთობა და ნაგავი — ადამიანთა ხანგრძლივი ცხოვრების კვალი; კერა ან იატაკის შუაგულში იყო მოთავსებული, ან კედლის ახლოს გარედან. შოლსვოლდის მიერ მოძიებული ერთ-ერთი ღუმელი, რომელიც როგორც ჩანს, მის პატრონებს სიჩქარეში მიუტოვებიათ, სავსე იყო შაქრის ლერწმისა და ბატატების დანახშირებული ნარჩენებით.

ანალიზმა უჩვენა, რომ ეს არაპოლინეზიური საცხოვრებლის ტიპი გავრცელებული იყო კუნძულზე შუა კულტურულ პერიოდში, როდესაც გამოაქანდაკეს სკულპტურები. ზოგიერთი სახლი მესამე პერიოდშიც იდგა, ნავისებური საცხოვრებლების გვერდით. ფერდონმა, რომელმაც კარგად იცოდა სამხრეთ ამერიკის არქეოლოგია, აღნიშნა, რომ მრგვალი სახლები, რომლებიც არ იცოდნენ დანარჩენ პოლინეზიაში, დამახასიათებელი იყო ანდების ოლქის იმ ნაწილისათვის, რომელიც ყველაზე ახლოსაა აღდგომის კუნძულთან.

გათხრების დროს ვანაპუს ახლოს აღმოჩნდა მესამე, აგრეთვე თავისებური საცხოვრებლის ტიპის — ქვის მასიური ფილებით გადახურული სახლი, რომელზეც მიწა ეყარა. შემდეგი თაობები ასეთ სახლს იყენებდნენ როგორც აკლდამას თავგაჭრილი კაცის გვამისთვის. მთელი სოფელი, ასეთივე ქვის სახლებით, განლაგებული იყო კუნძულის ყველაზე მაღალი ვულკანის წვეროზე. ჯერ კიდევ პირველმა ევროპელებმა დაადგინეს, რომ აქ მდებარეობდა უმნიშვნელოვანესი საკულტო ცენტრი — ორონგო, ყოველ წელს, გაზაფხულის ბუნიობის დროს ორონგოში იკრიბებოდა კუნძულის ყველა მცხოვრები და უყურებდნენ ტრადიციულ შეჯიბრებებს. ამ შეჯიბრებების მონაწილენი ლელქაშის მოგრძო ნავებით მიცურავდნენ ახლომახლო ჩიტების კუნძულებზე, რათა წელიწადის პირველი კვერცხი მოეპოვებინათ. შეჯიბრებაში გამარჯვებული ადამიანი იღებდა ჩიტის წმინდა ტიტულს.

რაუტლეჯიცა და მეტროც დიდ ყურადღებას უთმობდნენ ამ თავისებურ ყოველწლიურ რიტუალს, რომელიც შენარჩუნდა წინაისტორიულ დრომდე. ორონგოს გათხრებს ხელმძღვანელობდა ფერდონი, რომელმაც აქაც იპოვა კულტურის განცალკევების ნიშნები. ვულკანის მწვერვალზე განლაგებული თავისებური ნაგებობები, რომლებიც შემორჩენილია როგორც სარიტუალო ობიექტები, სინამდვილეში ადრეული პერიოდის გადაკეთებული საცხოვრებლებია. ფერდონმა დაასკვნა, რომ ნაგებობების ეს ტიპიც უცნობია პოლინეზიის სხვა წაწილებისთვის და დაკავშირებულია ძველ პერუსთან და ანდის ოლქთან მიმდებარე ტერიტორიებთან.

კიდეთა შვერილები ორონგოში დაფარულია ადამიანი-ჩიტის გამოსახულებებით, რომელიც ასეთი ტიპურია აღდგომის კუნძულისათვის. ესაა ადამია-

ნის ფიგურა ჩიტის თავით და დიდი მოხრილი ნისკარტით. ერთ-ერთ მათგანს ხელში უპირავს მზე. ფერდონმა აღმოაჩინა მანამდე უცნობი მოხატულობები კედლებსა და ჭერზე. მათ შორის ჭარბობდა ლელქაშიანი ნავის გამოსახულებები, ორფერდიანი ნიჩბები და ძველი ამერიკული კულტურებისათვის დამახასიათებელი „მტირალი თვალი“ (მრგვალი თვალები, საიდანაც ცრემლები მოედინება წვეთებისა და ვერტიკალური ხაზების სახით, რაც შემქმნელი ღმერთისაგან გამოგზავნილი წვიმის სიმბოლოა). პოლინეზიის სხვა ნაწილებში არ მოიპოვება ამის მსგავსი რამ.

აღდგომის კუნძულის ყველაზე მაღალი ვულკანის მწვერვალზე განლაგებული დასახლება ყველა სამი პერიოდის განმავლობაში წარმოადგენდა კუნძულის კულტურის ცენტრს. ფერდონმა დაბალ ფენებში იპოვა მზის ობსერვატორია, რომელიც განსაზღვრავდა ამომავალი მზის მდებარეობას დეკემბრისა და ივნისის ნაბუნიობისა და ბუნიობის დროს. აქ აღმოჩნდა მზის სიმბოლოები და პატარა ქანდაკება, რომლის ტიპიც უცნობია. ამ ობსერვატორიის მსგავსი აქამდე არაერთი უპოვიათ პოლინეზიაში.

საშუალო პერიოდში მზის ობსერვატორია, რომლის წყობა შესრულებულია გათლილი ქვებისგან, გადაფარული იყო ტაძრით, რომელიც ჩამოჰგავდა axy-ს. მის გვერდით გაჩნდა დასახლების ქვის საბლები და, მოულოდნელად, სრულიად დასრულებული ფორმით გამოჩნდა ჩიტ-ადამიანის კულტი. პირველად იგი შეთანხმებული იყო მის წინამორბედ მზის თაყვანისცემასთან, შემდეგ კი მთლიანად გამოდევნა იგი. საშუალო პერიოდის დასაწყისში, ორონგოს საკულტო ცენტრში გაჩნდა დიდი ხელოვნებით შესრულებული მუქი ბაზალტის ქანდაკება (იგი ისტორიკოსებისათვის ცნობილია ხოა-ხაკა-მანა-პას სახელით, ინახება ამჟამად ბრიტანეთის მუზეუმში). სავარაუდოა, რომ ძველ პერიოდში იგი წარმოადგენდა მზის ღმერთს. კერპის ზურგზე ამოტვიფრულია მზისა და ცისარტყელას გამოსახულება. შემდეგ კი, ძველებური სიმბოლოების ზემოთ ამოტვიფრული იყო ჩიტ-ადამიანისა და ნიჩბების გამოსახულებები; რაუტლეჯმა პირველმა დაწერა ამის შესახებ. მაგრამ არ ცდილა აეხსნა ასეთი მონაცვლეობა.

ორონგოს ქანდაკება განსხვავებულია კუნძულის ყველა ცნობილი ქანდაკებისაგან იმით, რომ შესრულებულია არა ტუფისგან, არამედ მაგარი შავი ბაზალტისაგან, ე. ი. იგი გამოქანდაკებული არაა რანო რარაკუს ქვის სამტეხლოში. როგორც შემდეგში ვნახავთ, იგი პროტოტიპია ყველა იმ სკულპტურისა, რომლებიც მოგვიანებით გამოქანდაკდა.

ვაკეზეც აღმოაჩინეს მანამდე უცნობი სახეობის ქანდაკებები. ამ ადრეულ ნაკეთობათაგან ზოგიერთი შეგნებულად ყოფილა გატეხილი, მათი ნატეხები კი საშუალო პერიოდის მრგვალი სახლების ნაგებობებზე იპოვეს. სხვა ქანდაკებები მთლიანად გამოუყენებიათ როგორც ბლოკები კვარცხლბეკებისათვის, რომლებზეცაც საშუალო პერიოდის გოლიათები აღმართეს. ადრეულ შეურაცხყოფილ ქანდაკებებს შორის იყო რანო რარაკუს ქვის სამტეხლოების შავი ბაზალტისაგან, წითელი და მონაცრისფრო-მოყვითალო ტუფისაგან გამოკვეთილი ქანდაკებები.

ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი ადრეული პერიოდისათვის დამახასიათებელი ქანდაკებები შეიძლება მივაკუთვნოთ ოთხ სხვადასხვა სახეობას. პირველს ეკუთვნის ბრტყელი, სწორკუთხედი ქვის თავი უტანოდ, რომელიც ჩამოჰგავს ორონგოს მზის ცენტრში ნაპოვნ ქანდაკებას; მეორეს — სვეტისმაგვარი ფიგურა მთელი ტანით; მესამეს — ძალზე რეალისტური მუხლმოყრილი ფი-

გურა, რომელსაც ხელები მუხლებზე უწყვია, მზერა კი ცისკენა აქვს მიმართული. სკულპტურების სამივე სახეობა არ გვხვდება სხვა კუნძულებზე და ეკუთვნის სახეობას, რომელიც, როგორც ბენეტი თვლის, დამახასიათებელია ანდების ტიაუანაკოს კულტურული ცენტრისათვის. სამაგიეროდ, ქანდაკებების მეოთხე სახეობა ტრადიციულია: თეძოებთან გადაჭრილი ბიუსტი, რომლის ხელებიც ერთდება მუცლის ქვემოთ. ეს ადგილობრივი ტიპია, კუნძულის საშუალო პერიოდისათვის დამახასიათებელი ქანდაკებების მსგავსი.

შოლსვოლდის მიერ რანო რარაკუს ქვის სამტეხლოებში ნაპოვნი აღდგომის კუნძულის ადრეული პერიოდის მუხლმოდრეკილი ქანდაკებების სრული მსგავსება ტიაუანაკოს მუხლმოდრეკილ ქანდაკებებთან, რომლებიც ბონეტომ ამ მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრის წინარეკლასიკური პერიოდს მიაკუთვნა, ამდენად აშკარაა, რომ შოლსვოლდმა დასკვნა: „საეჭვოა, რომ ეს უბრალო შემთხვევითობა იყოს, უფრო სწორია, ახლო ნათესაობაზე ვისაუბროთ, რადგან აშკარაა კავშირი ანდებისა და აღდგომის კუნძულის ამ ძველი ქვის ქანდაკებებს შორის“.

ადრეული პერიოდის მეოთხე სახის ქანდაკებას არა აქვს პარალელები არც პოლინეზიაში და არც სამხრეთ ამერიკაში. სავარაუდოა, რომ ეს არის ქანდაკებების ადგილობრივი სახეობა, რომლებიც გავრცელებული იყო ადრეული პერიოდის ბოლოს. ასეთი ბიუსტის პრიმიტიული პროტოტიპები ქანდაკებოდა წითელი ტუფისა და შავი ბაზალტისაგან, ხოლო საბოლოო კლასიკურ ვარიანტს წარმოადგენდა ორონგოს ქვის სახლის ბაზალტის ქანდაკება. აღდგომის კუნძულის შემდეგ, საშუალო პერიოდის ყველა „სერიულ“ ქანდაკებებში განმეორებულია ორონგოს ქანდაკება. მათ განასხვავებს მხოლოდ საგრძნობლად დიდი ზომა, მასალა (რანო რარაკუს ტუფი მკვრივი ბაზალტის მაგივრად) და ბრტყელი საფუძველი, რაც საშუალებას იძლევა კერპის axy-ზე მოსათავსებლად.

ქანდაკებების ამ სხვადასხვა სახეობების მეშვეობით შეიძლება წარმოვიდგინოთ აღდგომის კუნძულის ქანდაკებების ევოლუცია. აქამდე ცნობილი იყო მხოლოდ ერთმანეთის მსგავსი საშუალო პერიოდის სკულპტურები, რომლებსაც არაფერი საერთო არა აქვთ არც დასავლეთის კუნძულების და არც აღმოსავლეთში კონტინენტზე არსებულ ქანდაკებებთან. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ასე გაუგებრად ეჩვენებოდათ ქანდაკებების ამ განმარტოებულ აღდგომის კუნძულზე ყოფნა. უკვე გაირკვა, რომ ადრეულ ხანაში პირველი კუნძულელები ექსპერიმენტს ატარებდნენ სხვადასხვა მთის სახეობებზე (ამათგან სამი კარგად იყო ცნობილი აღმოსავლეთის უახლოესი კუნძულის კულტურულ ცენტრში). ადრეული პერიოდის ბოლოს კი განვითარდა მეოთხე, წმინდა აღდგომის კუნძულისეული სახეობა. იგი მიღებულია აუცილებელ ნიმუშად ასეული ქანდაკებისათვის, რომლებიც შემდგომ კულტურულ პერიოდში შეიქმნა კუნძულზე.

რატომ? ამ ევოლუციის ასახსნელად, საჭიროა მივმართოთ ეთნოლოგებს. არავითარი საფუძველი არ არსებობს, ეჭვი შევიტანოთ იმ ინფორმაციებში, რომლებიც მიიღეს კუკმა, ლაპერუზმა და სხვა მოგზაურებმა კუნძულელებისაგან მოგვიანო პერიოდში, როდესაც ბევრი ქანდაკება ჯერ კიდევ იდგა თავის axy-ზე. ქანდაკებები წარმოადგენდნენ არა კერპებს, არამედ ძეგლებს, რომლებიც აღმართული იყო მეფეების, ბელადებისა და სხვა მნიშვნელოვან პირთა საფლავებზე.

თითოეული ქანდაკება გამოქანდაკებული იყო განსაზღვრული გარდაცვ-

ლილ ადამიანის პატივსაცემად. ზოგიერთ კუნძულელ მოხუცს ჯერ კიდევ ახსოვდა გამოქანდაკებული ბელადების სახელები. ადრეული პერიოდის მზეზე ორიენტირებულ საკურთხევლისმაგვარ ნაგებობებში, რომლებიც არ იყო მორთული ქანდაკებებით, არ ასაფლავებდნენ, მაგრამ ფასადის წინ აღმოჩნდა კოლექტიური კრემაციის კვალი. ეს აღმოჩენაც სრულიად მოულოდნელი იყო, რადგანაც მანამდე არ არსებობდა ცნობები კუნძულზე კრემაციის შესახებ.

აქ იბადება ბუნებრივი კითხვა: რატომ სურდათ საშუალო პერიოდის ბელადებს, რომ მათ საფლავებზე აღმართული ყოფილიყო ორონგოს სკულპტურის სტერეოტიპული ასლები? შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ ქანდაკებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ესაა ერთადერთი სკულპტურა გამოზნექილი ძირით, რომელიც დადგმულია იატაკზე შენობის შიგნით, მხოლოდ ეს ერთადერთი ქანდაკება არ იქნა შებილწული ყველა სამი კულტურული პერიოდის მანძილზე. არ უცდიათ მისი დაგდება ან დაზიანება. ბოლოს კი, ესაა ერთადერთი მონუმენტი, რომელსაც თაყვანს სცემდა მთელი მოსახლეობა, მიუხედავად მათი ტომობრივი განსხვავებისა. სხვა ქანდაკებები axy-სთან ერთად ცალკეულ გვარებს ეკუთვნოდა, ამიტომაც გვიანი პერიოდის ომების დროს ყველა ის დაიმსხვრა და განადგურდა, რაც შურისძიების თვისებური აქტიყო.

რანო რარაკუს ქვის სამტეხლოების ქვეშ მიწაში ჩადგმულ ქანდაკებებს, დაუმთავრებლებსაც კი ემჩნევათ ღრმა ჭრილობები, რაც იმის დამადასტურებელია, რომ უნდოდათ თავის მოკვრა, ვინაიდან ვერ დააგდეს. ორონგოს ქვის სახლში კი კერპი ხელშეუხებლად იდგა საშუალო და გვიან პერიოდშიც. თითქმის მისიონერების მოსვლამდე, წინა საუკუნის მეორე ნახევრამდე, ამ ქანდაკებასთან იყო დაკავშირებული ნაყოფიერების კულტი და მნიშვნელოვანი რიტუალები, რაც საერთო იყო კუნძულის ერთმანეთისათვის მტრულად განწყობილი ტომებისათვის. გათხრების დროს ვიპოვეთ ბევრი ხის ნახშირი — რიტუალური კოცონების კვალი დიდი ცენტრალური ქვის სახლის შესასვლელთან, სადაც ბაზალტის ქანდაკება იდგა.

როგორც ჩანს, ყველაზე მაღალი ვულკანის მწვერვალზე არსებული ქანდაკება ადრეულ პერიოდში დაკავშირებული იყო აღდგომის კუნძულის მზის თაყვანისცემასთან. მის ზურგზე ამოტვიფრული იყო მზისა და ცისარტყელას სიმბოლური გამოსახულებანი. საშუალო პერიოდში სკულპტურა შეიტანეს ახალ ქვის შენობაში და მის ზურგზე გაჩნდა ამ ხანისათვის დამახასიათებელი ადამიანი-ჩიტის გამოსახულება. განასახიერებდა რა შემოქმედ ღმერთს ან ნაყოფიერების ღმერთს, ეს კერპი ინარჩუნებდა ცენტრალურ პოზიციას კუნძულის კულტებში; მას თაყვანს სცემდნენ გაზაფხულის ბუნიობის ყოველწლიურ დღესასწაულებზე. თუ დანარჩენი კერპები გამოსახავდნენ ცალკეულ ადამიანებს, ორონგოს სკულპტურა რჩებოდა საერთო ღვთაებად, რომელსაც თაყვანს სცემდა ყველა კუნძულელი. რადგანაც ბელადები და მეფეები თავს თვლიდნენ უმაღლესი ღვთაების პირდაპირ მემკვიდრეებად, გასაგებია, რომ თითოეულს სურდა გამოესახა იგი მიმსგავსებული ღვთაებრივ ხატებთან. ერთადერთ დასაშვებ გადახრას წარმოადგენდა ქანდაკების ზომა, რადგანაც ყველას სურდა, რომ მისი სკულპტურა ყოფილიყო ყველაზე დიდი.

ასე გამოვლინდა ცნობილი ბუმბერაზების ადგილი აღდგომის კუნძულის რთული ისტორიის ქრონოლოგიაში. ისინი ეკუთვნიან საშუალო პერიოდს; ეს ქანდაკებები კუნძულზეე განვითარდნენ, ზომით პატარა სკულპტურებისაგან, რომლებიც უფრო ძველ ხანას განეკუთვნებიან. როცა საშუალო პერიოდი დამ-

თავრდა, მათი გამოქანდაკება შეწყვიტეს და, ბოლოს, ყოველგვარი პატივისცემის გარეშე ჩამოაგდეს ყველა სამგლოვიარო axy-დან კუნძულის გვიან პერიოდამდე.

შესაძლებელია თუ არა, თუნდაც მიახლოებით დავათარიღოთ სამი სხვადასხვაგვარი კულტურული ეპოქა აღდგომის კუნძულზე. პირველი მცდელობა. დაეთარიღებინათ ადრეული დასახლებები, ეყრდნობოდა ადგილობრივი მეფეების გენეალოგიას. ამასთან, ყველაზე ძველი „მეფეების რიგი“ — ორმოცდაცამეტი თაობა — უარყვეს უფრო მოკლე გვარის სასარგებლოდ, რომელიც ითვლიდა ოცდაათ სახელს. თავდაპირველად ხომ ყველა თვლიდა, რომ აღდგომის კუნძული აღმოაჩინეს აზიიდან ჩამოსულებმა და ყველაზე ბოლოს აქ წყნარი ოკეანის კუნძულებიდან დასახლდნენ, რადგანაც იგი ყველაზე ახლოს მდებარეობს სამხრეთ ამერიკასთან.

რაუტლეჯი თვლიდა, რომ კუნძულზე ჩავიდა ადრეული წარმოშობის ემიგრანტების ორი ნაკადი, ამასთან პოლინეზიელები მოვიდნენ დაახლოებით 1400 წელს. კნოხესაც მიაჩნდა, რომ კუნძულზე სხვადასხვა დროს ორი სხვადასხვა ხალხი მოვიდა. პირველები XI და XIII საუკუნეებს შორის. ლავაშერი და მეტრო კი თვლიდნენ, რომ აღდგომის კუნძული აღმოჩენილ იქნა XII—XIII საუკუნეებში და მისი კულტურა ახალი და ერთგვაროვანი მიაჩნდათ. ენელერტს დასაშვებად მიაჩნდა ორი კულტურის შერწყმა, მაგრამ ვარაუდობდა, რომ ვერც ერთი მათგანი ვერ გაჩნდებოდა 1575 წელზე ადრე.

ჩვენმა (ტურ ჰეიერდალის) გათხრებმა უჩვენეს, რომ უკვე 380 წელს კუნძულზე მრავალრიცხოვანი მოსახლეობა არსებობდა, რომლებიც დაკავებული იყვნენ თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობით. ეს თარიღი ათასი წლით წინ უსწრებს ყველა მანამდე ნავარაუდევს, აქამდე პოლინეზიის არც ერთ კუნძულზე არ მიუღიათ ასეთი ძველი თარიღი. შეგროვდა ძველი ნახშირისა და ძვლების ნარჩენები და ჩვენ მივიღეთ ჩვიდმეტი რადიონახშირბადის თარიღი. მათ შორის ორი (განსაკუთრებით საინტერესო) იმ ლეგენდარული თხრილიდან, რომელიც ყოფს ნახევარკუნძულ პოიკეს. კუნძულელები უყვებოდნენ ევროპელებს, რომ ამ ადგილას მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა მათ წინაპრებსა და „გრძელყურიანებს“ შორის. „გრძელყურიანები“ დაწვეს თავიანთ თავდაცვით თხრილში, რომელიც ორ კილომეტრზე მეტი სიგრძის იყო.

გეოლოგებიც და არქეოლოგებიც თხრილს მიიჩნევდნენ ბუნებრივ გეოლოგიურ ფორმირებად. მეტრო და ლავაშერი თვლიდნენ, რომ კუნძულელებმა მოიგონეს ლეგენდა, რათა აეხსნათ ბუნებრივი მოვლენა. თანამედროვე ეთნოლოგები და არქეოლოგები მიიჩნევდნენ გადმოცემებს „გრძელყურიანებისა“ და „მოკლეყურიანების“ შესახებ გამონაგონად. მაგრამ პირველივე შურფმა უჩვენა, რომ თხრილი სავსე იყო ხის ნახშირით, რომ აქ დაახლოებით 1676 წელს დიდი კოცონი ენთო. ეს ემთხვეოდა იმ თარიღს (1680 წელი), რომელიც სებასტიან ენგლერტმა უფრო ადრე განსაზღვრა, კუნძულელების მონათხრობების მიხედვით.

სმიტის გათხრებმა შესაძლებელი გახადა დაედგინათ, რომ თავდაცვითი თხრილი უცბად არ გაუკეთებიათ. 1680 წლისთვის იგი უკვე ძველი ნაგებობა იყო. მის ფსკერზე სმიტმა იპოვა ობსიდიანის ნამსხვრევები. ღორღით იყო დაფარული დიდი კოცონი, რომლის ნარჩენებითაც შესაძლებელი გახდა იმის დადგენა, რომ კლდეებით გარშემორტყმული კუნძულის გამაგრება დაახლოებით 380 წლიდან დაუწყიათ. შესაძლებელია, კუნძულის მკვიდრნი ვერ ეწყობოდნენ ერთმანეთს, ან შეიძლება თავდასხმებისა ეშინოდათ იმ ქვეყნიდან, სა-

დანაც მოვიდნენ, — მონაყოლს მდევარი მტრის შესახებ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აღდგომის კუნძულის უძველეს გადმოცემებში.

რანო რარაკუს ქვის სამტეხლოს ახლო მდებარე გორაკები, რომლებიც ბალახითაა დაფარული, ადრე ითვლებოდა ბუნებრივ წარმონაქმნებად. ერთ-ეროი მათგანის თავზე იდგა წმინდა საცხოვრებლის ფუნდამენტი ყოველ წელს არჩეული ადამიანი-ჩიტისათვის. რაუტლეჯი და მეტრო ამ ფუნდამენტს უკავშირებდნენ კუნძულელების ძველებურ რიტუალს. შოლსეოლდის გათხრებმა უჩვენეს, რომ გორაკები ბუნებრივი წარმონაქმნები კი არაა, არამედ გრუნტის ნაყარია. ქვის სამტეხლოებიდან აქ, ფერდობზე მოჰქონდათ მონატეხი, გაჩეხილი მასალა, ფერფლი. ოდესღაც ყრილზე დანთებული კოცონების ფერფლს ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა, დაგვეთარიღებინა საშუალო პერიოდის ის მონაკვეთი, როცა რანო რარაკუს ქვის სამტეხლოებში კიდევ მიმდინარეობდა სამუშაოები. აღმოჩნდა, რომ ადამიანი-ჩიტის საცხოვრებელი გვიანდელი ნაგებობაა. იგი ააშენეს საშუალო პერიოდის ნაყარზე, მაშინ, როცა აღარ მიმდინარეობდა სკულპტურების გამოქანდაკება.

არქეოლოგებმა შეძლეს აღდგომის კუნძულის სამი კულტურული ეპოქის დათარიღება. ადრეული ხანა დაიწყო 380 წლამდე და დამთავრდა დაახლოებით 1100 წელს, საშუალო პერიოდი გრძელდებოდა 1100 წლიდან 1680 წლამდე, გვიანი ხანა დაიწყო დაახლოებით 1680 წ. და გრძელდებოდა 1868 წლამდე, როდესაც მისიონერებმა ქრისტიანობა შეიტანეს კუნძულზე.

ქრონოლოგიური და ტიპოლოგიური შეპირისპირებისათვის საფუძველი რომ მიეღოთ ექსპედიციამ აღდგომის კუნძულის შემდეგ მოინახულა: პიტკერნი, რაივავაე, ასევე მარკიზის არქიპელაგის ორი კუნძული — ჰივა-ოა და ნუკუ-ჰივა. მთელ პოლინეზიაში მხოლოდ ამ ოთხ კუნძულზე, აღდგომის კუნძულის გარდა, აღმოჩნდა მონუმენტური ქანდაკებები.

პიტკერნსა და რაივავაეზე იპოვეს საშუალო ზომის სკულპტურები, რომლებიც მოგვიანო პერიოდს განეკუთვნებიან, მაგრამ არაფინ ცდილა დაემტკიცებინა, რომ ისინი წარმოადგენდნენ აღდგომის კუნძულის მოქანდაკეთათვის შთაგონების წყაროს. მაგრამ ბაკი და სხვები პრიმიტიულებად თვლიდნენ აღდგომის კუნძულის სრულყოფილი ქანდაკებების წინამორბედ მოუქნელ ქანდაკებებს, რომელთა ადამიანის ზომის გროტესკული ფიგურები მარკიზის კუნძულების ორ ტაძარში იყო მოთავსებული. მარკიზის კუნძულები კი მდებარეობს ისე შორს აღდგომის კუნძულებიდან ჩრდილოეთ-დასავლეთით, როგორც პერუ აღმოსავლეთში. შოლსეოლდმა მოახერხა ეპოვა ხის ნახშირი ჰივა-ოას ქვის პლატფორმის ქვეშ მდებარე ფენაში, ხოლო მელოიმ და ფერდონმა — ნუკუ-ჰივას მონუმენტების საყრდენების ქვეშ. მეცნიერებმა შეიტყვეს, რომ მარკიზის კუნძულების ქანდაკებები დაიდგა XIII, XIV და XV საუკუნეებში, ე. ი. აღდგომის კუნძულის საშუალო პერიოდის დროს. ამრიგად, მარკიზის კუნძულების სკულპტურები ვერ იქონიებდნენ გავლენას აღდგომის კუნძულის იმ მოქანდაკეებზე; როგორც დავინახეთ, აღდგომის კუნძულზე გამოქანდაკება დაიწყეს ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში, მარკიზის კუნძულების ქანდაკებების გაჩენამდე ათასი წლის წინ. ვერც სტილისტურად და ვერც ქრონოლოგიურად XIII—XV საუკუნის ეს ქანდაკებები ვერ მოახდენდა გავლენას იმ აღდგომის კუნძულებზეც კი, რომლებმაც საშუალო პერიოდში axy-სთვის კერპების წარმოება მასიურად წამოიწყეს: საშუალო პერიოდი დაახლოებით 1100 წელს დაიწყო. სამაგიეროდ აღდგომის კუნძულის ქანდაკებების ზეგავლენა მარკიზის კუნძულთა ქანდაკებებზე ქრონოლოგიურად არ არის გამორიცხული.

როგორც ცნობილია, ოროროინის ერთ-ერთმა შთამომავალმა (ერთადერთმა „გრძელყურიანმა“, რომელიც გადაურჩა პოიკეს თხრილში გაჩაღებულ ცეცხლს), უჩვენა ჩვენს ექსპედიციას, თუ როგორ კვეთდნენ უხეშად წაწვეტიანებული იარაღით კრატერ რანო რარაკუს ფერდობზე უზარმაზარ ქანდაკებებს კუნძულზე მცხოვრებნი, ამ თორმეტი თაობის წინათ. აჩვენა, თუ როგორ შეეძლო რამდენიმე ასეულ ადამიანს ქანდაკებების დაბლობზე გადატანა და თანაც, როგორ შეეძლო თორმეტ კუნძულელს, რომლებიც მხოლოდ კანაფებით, მორებითა და ქვებით იყვნენ შეიარაღებულნი, თვრამეტ დღეში axy-ზე დაახლოებით 20 ტონის ბუმბერაზის დადგმა.

საბოლოო ჯამში რა არის ჩვენთვის ცნობილი აღდგომის კუნძულის გამოცანის შესახებ?

ოდესღაც, 380 წლამდე, აღდგომის კუნძულზე გადასხდნენ პირველმოსახლენი. მათ აღმოაჩინეს აყვავებული მიწა, რომელზეც იზრდებოდა სხვადასხვა სახის ხეები, ბუჩქები და პალმები. ხალხმა გაათავისუფლა ნაკვეთები საცხოვრებლებისათვის, ქვის ტაძრებისა და ქვის სამტეხლოებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ კუნძულზე არ იყო ტყის ნაკლებობა, ეს ხალხი პოლინეზიელებისაგან განსხვავებით, აშენებდა სახლებს არა სარებისა და თივისაგან, არამედ ქვისაგან. აგებდნენ მრგვალ სახლებს, ნავისებურებს — ფილებისაგან, რომლებსაც უსწორმასწოროდ აწყობდნენ. ხშირად სახურავებზე ამოდიოდა ტოტორას ლელქაში, მცენარე, რომლის ძირებიც, უეჭველია, რომელიღაც ნაყოფიერი მიწიდან იყო ჩამოტანილი სამხრეთ ამერიკის გვალვიან სანაპიროზე და დანერგილი მტკნარწყლიან კრატერულ ტბებში სხვა ამერიკულ მცენარეებთან — Polygonum amphibium-თან და თუმცა ტყე უხვად იყო, თავის უჩვეულო ხომალდებს მოსახლენი ტოტორის ლელქაშისაგან წნავდნენ; ასეთივე ხომალდები დაცურავდა ტიაუანაკოს საზღვაო გზებზე ძველი პერუს წყნარი ოკეანის სანაპიროს მიყოლებით, ტუფამდე რომ მიეღწიათ, რომლის წარაფებიც მაშინ რანო რარაკუს ჩამქრალი ვულკანის ფერდობებს ფარავდა. ამ ტუფისა და აგრეთვე სხვა ქვის სამტეხლოების ტუფისა და ბაზალტისაგან, ამერიკული ტიპის საჩეხურებით ოსტატურად კვეთდნენ სხვადასხვა ზომის უზარმაზარ ბლოკებს, ამუშავებდნენ მათ და ისე აწყობდნენ, რომ ქვებს შორის ხაზში დანის პირიც კი არ გადიოდა.

ქვის წყობის მათთვის ჩვეული ტექნიკა უცნობია პოლინეზიის სხვა მხარეებისათვის, მაგრამ დამახასიათებელია ძველი პერუსათვის. უეჭველია, რომ პირველმოსახლენი მზისთაყვანისმცემლები იყვნენ, რადგანაც მათი საკურთხეველისმაგვარი საკულტო ნაგებობები ორიენტირებული იყო მზეზე. სწორედ ამიტომ, აღდგომის კუნძულის ყველაზე მაღალ მწვერვალზე მათ ააშენეს მზის ობსერვატორია და ტაძარი. პოლინეზიელებისაგან განსხვავებით, აღდგომელები არ მისდევდნენ ხეზე ჭრას, ისინი აქანდაკებდნენ სკულპტურებს მაგარი ბაზალტისა და ტუფისაგან, შემდეგ დგამდნენ მათ ტაძრებში. ამ ქანდაკებებს შორის გვხვდება თავისებური სახის სკულპტურები, რომლებიც უცნობია წყნარი ოკეანის კუნძულებისათვის, მაგრამ ცნობილია ტიაუანაკოს კულტურული ცენტრისათვის. თავდაცვითი ნაგებობები გამოჰყოფდა კუნძულისაგან პოიკეს ნახევარკუნძულს, სავარაუდოა, გადმოსახლებულებს ეშინოდათ, რომ მათ გაწცალკევებულ თავშესაფარში შეიჭრებოდნენ ისინი, ვინც ჯერ კიდევ სამშობლოში სდევნიდა.

ჩვენთვის უცნობია, რა შეემთხვათ იმ ადამიანებს, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს უძველესი პერიოდის კულტურას. როგორც ვინაპუში, ასევე

ორონგოში, არქეოლოგებმა იპოვეს ტაძრების დროებითი მიტოვების ნიშნები. ცნობილია, რომ ხალხი, რომელიც მოგვიანებით მოვიდა აქ, მტრულად იყო განწყობილი თავისი წინამორბედებისადმი. მათ დაანგრიეს ქვის სკულპტურებიც, ხოლო მათი ნანგრევები გამოიყენეს axy-ს ახალი არქიტექტურული მშენებლობისათვის.

მიუხედავად წინამორბედებისადმი მტრობისა და რელიგიური წარმოდგენების აშკარა განსხვავებისა, ახალი კულტურა ისე ახლოს იყო წინამორბედთან, რომ მისი ფესვები იმავე გეოგრაფიულ გარემოში უნდა ვეძებოთ. შესაძლებელია, საშუალო ეპოქის დამაარსებელმა გადმოსახლებულებმა იცოდნენ, სად მდებარეობდა აღდგომის კუნძული. ჩამოვიდნენ თუ არა აქ 1100 წელს, მათ შემოიტანეს ადამიანი-ჩიტის კულტი. ამ კულტთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული გარდაცვლილთა კულტი. უზარმაზარმა სკულპტურებმა, რომლებიც წინაპრებს გამოსახავდნენ, მთავარი ადგილი დაიკავეს კუნძულელების არქიტექტურასა და ყოველდღიურ საქმიანობაში, ხოლო სხვადასხვა სამარხები გადაიქცა ამა თუ იმ გვარის საკულტო ცენტრებად. თითქმის ექვსასი წლის განმავლობაში რანო რარაკუს კრატერის უტყეო ფერდობებზე გამოქანდაკდა ექვსასზე მეტი უზარმაზარი სკულპტურა. პრესტიჟის შესანარჩუნებლად აქანდაკებდნენ სულ უფრო დიდსა და მონოლითურ ძეგლებს. გარეშე მტერი არ ემუქრებოდა განცალკევებულ კუნძულს. საშუალო პერიოდის ბოლოს მთელი კუნძული დაიფარა ქვის სკულპტურებით, რომლებიც პირით შებრუნებული იყვნენ ტაძრისაკენ, ზურგით — ზღვისკენ. ამავე პერიოდის დასასრულს (axy)-ს წინ კრემაციის მაგივრად, დაიწყეს კოლექტიური დამარხვები, თვით axy-ს შიგნით, ან მათზე. ეს ჩვეულება მოგვიანო ხანაშიც ბარბობდა.

როდესაც ქანდაკებების წარმოებამ კულმინაციას მიაღწია (საშუალო პერიოდის უეცარი დასასრულის წინ), აღდგომელმა ოსტატებმა უკვე იცოდნენ 12 მეტრიანი მონოლითური სკულპტურების აღმართვა, რაც ოთხსართულიანი სახლის სიმაღლეს შეესაბამება. ყველაზე დიდი ქანდაკება იწონიდა 80 ტონაზე მეტს, მისი სიმაღლე 10 მეტრი იყო, ხოლო თავზე ეხურა წითელი ქვის 12 ტონიანი ცილინდრი. ქვისსამტეხლოში უკვე მიმდინარეობდა სამუშაოები ოცმეტრიანი ქანდაკების გასაკეთებლად (შვიდსართულიანი სახლის სიმაღლე), მაგრამ დაახლოებით 1680 წელს მოხდა კატასტროფა, სამუშაოები შეჩერდა და აღარასოდეს განახლებულა. პირველად დაიწყეს შუბის წვერების დამზადება ობსიდიანიდან, რომლითაც სავსეა ყველა შემდგომი კულტურული შრე. ქანდაკებები დაამხეს, დაწვეს ლელქაშიანი ქოხები, დაანგრიეს საყრდენი კედლები.

გამარჯვებული გამოვიდა პოლინეზიელი, რომელიც არ იყო შეჩვეული სკულპტურების გამოქანდაკებასა და ქვისგან შენებას. იგი აშენებდა სახლებს ლატანისა და თივისაგან და აგროვებდა სანაპიროზე ფარფლს, რათა, როგორც ეს მიღებულია მთელ პოლინეზიაში, ამოეჭრა ხის ფიგურები. აღდგომის კუნძულზე უმნიშვნელოვანესი ხის ნაკეთობა გახდა უცნაური ფიგურა ღონემიხდილი ადამიანისა, მახვილი ნიკაპით, არწივისებური ცხვირით და გრძელი, მხრებამდე დაშვებული ყურებით. აღდგომელების სიტყვით, ასე გამოიყურებოდნენ ადამიანები, რომლებიც მათმა წინაპრებმა ნახეს კუნძულზე და დაწვეს პოიკეს თხრილში.

პოლინეზიელებმა, რომლებმაც აღდგომის კუნძულზე მოსცურეს, თან არ წამოიღეს არც ფილთაქვები nou-ს მოსამზადებლად, არც ჩაქუჩები ტაფისათ-

ვის — საოჯახო მეურნეობის ეს ორი უმნიშვნელოვანესი საგანი, რაც საერთო პოლინეზიური კულტურისათვის არის დამახასიათებელი.

დღემდე ნაპოვნი არ არის მატერიალური კვალი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა, განგვესაზღვრა, რომ ისინი შეეგუენ არაპოლინეზიურ რწმენასა და ჩვეულებებს. შეუძლებელია იმის განსაზღვრაც, თუ რომელი კუნძულიდან იყვნენ ისინი. მათ წინასაუკუნოვან ჩანაწერებში ნათქვამია, რომ ისინი მოვიდნენ აქ კარაუ-კარაუდან, ე. ი. პოიკეს ბრძოლამდე ორასი წლით ადრე. ეს კარგად ესადაგება რაუტლეჯისა და სხვათა მოსაზრებებს, რომლებიც ეფუძნებოდა აღდგომის კუნძულის ორი გენეალოგიიდან უფრო მოკლეს (მასში ჩამოთვლილია 22 თაობა, ხოტუ (ჰოტუ) მატუას შესახებ კი ნათქვამია, რომ იგი აღმოსავლეთიდან მოვიდა 57 თაობის წინათ).

პოლინეზიელები თავიანთი ნებით არ მოსულან განცალკევებულ კუნძულზე „გრძელყურიანი“ კუნძულელების დასახმარებლად. შესაძლებელია ისინი ტყვედ ჩაიგდეს და კუნძულზე ჩამოიყვანეს საშუალო პერიოდის აღდგომელებმა, თუ მათ მოინახულეს მარკიზის კუნძულები დაახლოებით XIV საუკუნეში.

ასეა თუ ისე, ახალმოსულები მარტონი ცხოვრობდნენ ნანგრევებს შორის გაშიშვლებულ აღდგომის კუნძულზე (თავის წრეში უცხო

კ. ლევი-სტროსი

ლევი-სტროსი კლოდ (დაიბადა 1908 წელს) — ფრანგი ეთნოლოგი, ფოლკლორისტი და ფილოსოფოსი, ეთნოლოგიური სტრუქტურალიზმის უფროსი.

კ. ლევი-სტროსი დაიბადა ბელგიაში, ბრიუსელში, ებრაული წარმოშობის ფრანგი მხატვრის ოჯახში. პირველი მსოფლიო ომის წლებში იგი ცხოვრობდა საფრანგეთში, ვერსალში, დედის ხაზით პაპის ოჯახში, რომელიც რაბინი იყო. სიტუაცია პაპის ოჯახში არ იყო ერთგვაროვანი — ერთი მხრივ, ებრაული რელიგიური ცხოვრების ნორმები სკრუპულოზურად იყო დაცული და, მეორე მხრივ, მომავალი ეთნოლოგის დედედა თავისუფალ მოაზროვნე პიროვნებას წარმოადგენდა და ბავშვებსაც ამ სულისკვეთებით ზრდიდა. კლოდ ლევი-სტროსის მშობლები ერთმანეთს უთავსებდნენ პატივისცემას ეროვნული რელიგიური ტრადიციებისადმი და ფართო საერო ინტერესებს, ხელოვნებითა და მუსიკით გატაცებას. ამით იყო განპირობებული, რომ კ. ლევი-სტროსმა ბავშვობიდანვე მიიღო საფუძვლიანი მუსიკალური განათლება. ბავშვობაში იგი რ. ვაგნერის მუსიკაზე აღიზარდა, ხოლო მოგვიანებით რ. ვაგნერშივე აღმოაჩინა თავისი წინამორბედი მითების სტრუქტურულ შესწავლაში. შემდეგში იგი გატაცებული იყო ი. სტრავინსკის მუსიკით. 20—30-იან წლებში იგი გაეტაცა მაშინ ერთობ მოდურმა ფსიქოანალიზმა და ზიგმუნდ ფროიდის მოძღვრებამ.

კ. ლევი-სტროსის სტრუქტურალიზმი ჩამოყალიბდა ხაზოგადოების შესახებ ე. დიურკჰეიმის მოძღვრებისა და სტრუქტურული ლინგვისტიკის მამამთავრის ფერდინანდ დე სოსიურის (1857—1913) შეხედულებათა საფუძველზე. იგი შეეცადა ლინგვისტიკის ფორმალური მეთოდების გადატანას ეთნოლოგიაში. დიდი გავლენა მოახდინა მისი შეხედულებების ჩამოყალიბებაზე თანამედროვე სტრუქტურული ლინგვისტიკის მამამთავრის რ. იაკობსონის და მისი შრომების გაცნობამ კ. ლევი-სტროსის ამერიკაში ცხოვრების დროს 40-იან წლებში.

საერთოდ, როგორც ერთხმად აღნიშნავენ კ. ლევი-სტროსის ბიოგრაფიისა და შემოქმედების მკვლევარები, მისმა შეხედულებებმა და ცხოვრებამ ერთობ რთული გზა გაიარეს.

სორბონის ფილოსოფიის ფაკულტეტზე ჩარიცხული 16 წლის კ. ლევი-სტროსისათვის პირველ მსოფლმხედველობით გატაცებას წარმოადგენდა სოციალიზმი როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ გამოხატულებაში, რაც განპირობებული იყო კ. მარქსის ნაშრომების კითხვით. კ. ლევი-სტროსის პირველ გამოკვლევას წარმოადგენდა მისი სადისერტაციო ნაშრომი ისტორიული მატერიალიზმის კონცეფციის ფილოსოფიური წანამძღვრების ანალიზის შესახებ. სტუდენტობის დროს, კ. მარქსის ნაშრომების კითხვისას, კ. ლევი-სტროსმა აღმოაჩინა გერმანული კლასიკური ფილოსოფია კანტისა და ჰეგელის სახით. სა-

ერთოდ, ინტერესი კ. მარქსის მოძღვრებისადმი, როგორც თვითონვე აღნიშნავს ავტობიოგრაფიულ ნაშრომში „მწუხარე ტროპიკები“ (1958), მას არასოდეს განელებია და სანამ რომელიმე თავისი ნაშრომის წერას შეუდგებოდა, ხშირად გადაუკითხავს „თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა“ და „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“.

როგორც აღინიშნა, კ. ლევი-სტროსი პრაქტიკულადაც მონაწილეობდა სოციალისტურ მოძრაობაში, თუმცა, ოჯახი, რომელშიც იგი აღიზარდა, ყოველთვის გაურბოდა პოლიტიკურ საქმიანობას. სტუდენტობის წლებში კ. ლევი-სტროსი აქტიურად მონაწილეობდა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის საქმიანობაში. 1932 წლის კანტონალურ არჩევნებში იგი წარმოდგენილი იყო კანდიდატად ამ პარტიისაგან და საავტომობილო კატასტროფა რომ არა, ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა კ. ლევი-სტროსის, როგორც პოლიტიკური მოღვაწის, გზა. შემდეგში იგი ჩამოშორდა პოლიტიკურ საქმიანობას, თუმცა ინტერესი კ. მარქსის ნაშრომებისადმი, როგორც აღინიშნა, დიდხანს არ განელებია.

სორბონაში გამოსაშვები, ხოლო შემდეგ საკანდიდატო გამოცდების ჩაბარებით დაიწყო კ. ლევი-სტროსის პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა; ჯერ სამსასური არმიაში, ხოლო შემდეგ მასწავლებლობა რამდენიმე წლის განმავლობაში ლიციუმში. მას და მის ჯოლს მასწავლებლობა უხდებოდათ არა პარიზში, არამედ სხვა ქალაქებში, თანაც სხვადასხვა ქალაქში, ისე რომ, ახალდაქორწინებულები კვირაში მხოლოდ ორიოდე დღით თუ ხვდებოდნენ ერთმანეთს პარიზში კ. ლევი-სტროსის მშობლების სახლში.

1934 წელს ახალგაზრდა ცოლ-ქმარი გაემგზავრა ბრაზილიაში, სადაც პარიზის უმაღლესი სკოლის მაშინდელი დირექტორის სელესტიენ ბუგლის წარდგინებით, რომელიც დიდად წყალობდა ლევი-სტროსს, იგი მიიწვიეს სან-პაულუს ახალშექმნილ უნივერსიტეტში, რომელიც ძალზე საჭიროებდა ევროპული მომზადების კადრებს. სან-პაულუში პირველი სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ. შვებულების საფრანგეთში გატარების ნაცვლად, ახალგაზრდა ცოლ-ქმარი კადიუვეიუს და ბორორროს ტომებში გაემგზავრა, სადაც კ. ლევი-სტროსის მიერ პირველი სავალე ეთნოგრაფიული მასალები იქნა შეკრებილი. მოპოვებული ეთნოგრაფიული კოლექცია — ხანადირო იარაღები, ნივთები (ავეჯი, ჭურჭელი), დეკორატიული კერამიკული საგნები და სხვა, წარმოდგენილ იქნა პარიზში ახალგაზრდა შემგროვებლის მიერ მოწყობილ გამოფენაზე. გამოფენამ დიდი ინტერესი გამოიწვია და ადამიანის მუზეუმმა და სამეცნიერო გამოკვლევების ეროვნულმა ცენტრმა ფინანსური დახმარება აღმოუჩინეს ახალგაზრდა მკვლევარს სამეცნიერო საქმიანობისათვის. ამის შემდეგ კ. ლევი-სტროსი ბრაზილიაში დაბრუნდა არა როგორც სოციოლოგიის მასწავლებელი, არამედ როგორც ეთნოლოგი-მკვლევარი.

საფრანგეთში გერმანელების შეჭრის, „რასისტული კანონების“ მიღების შემდეგ კ. ლევი-სტროსს საფრანგეთში ცხოვრება ძალზე გაუჭირდა; ევროპელი ინტელექტუალების გადარჩენის როკფელერის ფონდის მიერ იგი მიიწვიეს ამერიკაში. ნიუ-იორკში კ. ლევი-სტროსმა დაიწყო ლათინური ამერიკის ქვეყნების სოციოლოგიის კურსის კითხვა სალამოს უნივერსიტეტში მოზრდილებისათვის, ხოლო შემდეგ ასწავლიდა ეთნოლოგიას ფრანგ ემიგრანტებს უმაღლეს გამოკვლევათა ახალ სკოლაში.

ომის დამთავრების შემდეგ, 1947 წლის დასასრულამდე კ. ლევი-სტროსს მოუხდა ამერიკაში დარჩენა, როგორც საფრანგეთის ელჩის თანამშრომელს, მრჩეველს კულტურის საკითხებში. ამავე წლებში სამოლოოდ ჩამოუყალიბდა

მას უდამწერლობო კულტურების შესწავლის ახალი მეთოდი, რაშიც დიდად დაეხმარა ნაციონალური ბიბლიოთეკის შესანიშნავი ფონდების გაცნობა. ძირითადი მასალა მისი პირველი მნიშვნელოვანი ნაშრომისათვის — „ნათესაობის ელემენტარული სტრუქტურები", მან მოიპოვა ნიუ-იორკის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. 1947 წელს დასრულებული ეს ნაშრომი 1949 წელს ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა საფრანგეთში და ავტორმა იგი წარადგინა სადოქტორო დისერტაციად. ამავე წლებში კ. ლევი-სტროსმა, უკვე სავსებით ჩამოყალიბებულმა მომწიფებულმა მეცნიერმა-მკვლევარმა საბოლოოდ გაიცნობიერა, რომ იგი წარმოადგენს „ბიბლიოთეკის ადამიანს", ე. ი. „კაბინეტურ მეცნიერს" და მისი ძირითადი საქმიანობა უნდა იყოს საველე მუშაობის შედეგად მოპოვებული უზარმაზარი მასალის თეორიული დამუშავება და განზოგადება.

მიუხედავად იმისა, რომ კ. ლევი-სტროსს აშშ-ში სთავაზობდნენ ხელსაყრელ და მომგებიან კონტრაქტებს, იგი სამშობლოში ბრუნდება. აქ მისი პროფესიული კარიერა იმთავითვე წარმატებით წარიმართა. თავდაპირველად მას შესთავაზეს ხელმძღვანელობა ერთ-ერთი მიმართულებისა სამეცნიერო გამოკვლევათა ეროვნულ ცენტრში (CNRS), შემდეგ მან მიიღო ეთნოლოგიის დარგში დირექტორის მოადგილის თანამდებობა ადამიანის მუზეუმში, ხოლო შემდგომში, 1959 წლის დასასრულამდე განაგებდა უდამწერლობო ხალხების რელიგიის კათედრას უმაღლესი გამოკვლევების სკოლაში (Ecole des Hautes Etudes). ამის პარალელურად, 1958 წლიდან იგი ახრულებდა სოციალურ მეცნიერებათა დარგში გენერალური მდივნის მოვალეობას იუნესკოში შემავალ ერთ-ერთ ორგანიზაციაში. ამავე წლებში გამოდის მისი კულტუროლოგიური გამოკვლევები „რასა და ისტორია" (დაწერა იუნესკოს დაკვეთით), მთელი რიგი სტატიებისა და მათ შორის „ზითების სტრუქტურა" (1955), რომლებიც მოგვიანებით შევიდა მის სახელგანთქმულ „სტრუქტურულ ანთროპოლოგიაში" (1958).

განსაკუთრებით ფართოდ წარმოჩნდა კ. ლევი-სტროსის როგორც სამეცნიერო, ისე ორგანიზატორული შესაძლებლობები კოლეჟ დე ფრანსში მუშაობის პერიოდში 1960—1982 წწ., რომელშიც იგი მესამე ცდის შემდეგ მოხვდა, რადგან ამ სახელგანთქმული სასწავლებლის კონსერვატიული ადმინისტრაცია დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა ახალი კადრების მიღებას.

1960 წლის იანვარში კ. ლევი-სტროსი სათავეში ჩაუდგა კვლავ აღდგენილ სოციალური ანთროპოლოგიის კათედრას, რომელსაც საუკუნის დასაწყისში ხელმძღვანელობდა ე. დიურკჰეიმის მოწაფე მარსელ მოსი. ამავე დროს კოლეჟ დე ფრანსში კ. ლევი-სტროსის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ანთროპოლოგიის ლაბორატორია, რომელშიც გაიშალა ფართო სამეცნიერო და ექსპედიციო-ორგანიზაციული საქმიანობა.

1973 წელს ლევი-სტროსი აირჩიეს საფრანგეთის აკადემიის წევრად, რაც ნიშნავდა მისი ფუნდამენტური წვლილის აღიარებას ეროვნულ და მსოფლიო მეცნიერებაში. ნიშანდობლივია, რომ კ. ლევი-სტროსი მანამდე არჩეული იყო ინსტიტუტის წევრად.

კ. ლევი-სტროსის მეცნიერული შემოქმედება სტატიებისა და წიგნების სახით გამოქვეყნებულ რამდენიმე ასეულ სამეცნიერო ნაშრომს მოიცავს. კიდევ უფრო მეტია გამოქვეყნებული თვით ამ ნაშრომებისა და კ. ლევი-სტროსის შეხედულებათა შესახებ (1976 წელს გამოქვეყნებულ სპეციალურ ბიბლიოგრაფიულ კრებულში, რომელშიც 1950—1976 წლების მონაცემებია წარმოდგენილი, კ. ლევი-სტროსის შესახებ ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, იტალიურ,

ესპანურ და პორტუგალიურ ენებზე გამოქვეყნებულია 1984 ნაშრომი, მათ შორის 48 მონოგრაფიის ან სტატიების კრებულის სახით).

კ. ლევი-სტროსის უზარმაზარ სამეცნიერო შემოქმედებაში კლასიკურადაა აღიარებული მისი ორი ნაშრომი „სტრუქტურული ანთროპოლოგია" („Anthropologie structurale", Paris, 1958) და 1964—1971 წლებში ოთხ ტომად გამოცემული „მითოლოგიურები" („Mythologiqus", t. 1—4, Paris, 1964—1971). ამას გარდა, კ. ლევი-სტროსის მნიშვნელოვან სამეცნიერო ნაშრომებად ითვლება მისი წიგნები: „მწუხარე ტროპიკები" (1955), „პირველყოფილი აზროვნება" (1962), „სტრუქტურული ანთროპოლოგია მეორე" (1973), „თანამედროვე ტოტემიზმი" (1962), „ნიღბების გზა" (1975), და ბოლო ხანებში გამოქვეყნებული „შორიდან ყურება" (1983), „ეგვიანი მექოთნე" (1985) და „ფოცხვერის ამბავი" (1991).

ქრესტომათიაში წარმოდგენილია კ. ლევი-სტროსის „სტრუქტურული ანთროპოლოგიის" XV თავის თარგმანი — „სტრუქტურის ცნება ეთნოლოგიაში". პირველად ეს დამოუკიდებელი ნაშრომი გამოქვეყნდა 1953 წელს ინგლისურად, ჩიკაგოში, ხოლო შემდეგ მისი ფრანგული თარგმანი შევიდა „სტრუქტურული ანთროპოლოგიის" 1958 წლის ფრანგულ გამოცემაში და 1983 და 1985 წლების რუსულ გამოცემებში. ქრესტომათიაში ამ თავის ჩართვა საჭიროდ იმის გამო მივიჩნიეთ, რომ მასში ავტორს მოკლედ, მაგრამ ამომწურავად წარმოდგენილი აქვს თავისი შეხედულებები ეთნოლოგიაში სტრუქტურალიზმის შესახებ (უფრო დაწვრილებით კ. ლევი-სტროსის ნაშრომებისა და მისი შეხედულებების შესახებ იხ. ხ. ჭ ა ნ ტ უ რ ი ა შ ვ ი ლ ი, ეთნოლოგია, თბ., 1993, გვ. 158—171).

ბიბლიოგრაფია

Л е в и-С т р о с К., Структурная антропология, М., 1985.

ლიტერატურა.

1) И в а н о в Вяч. Вс., К. Леви-Строс и структурная теория этнографии, წიგნში: Л е в и-С т р о с К., Структурная антропология, М., 1985, გვ. 327—421.

2) О с т р о в с к и й А. Б. Этнографический структурализм Клода Леви-Строса, წიგნში: Л е в и-С т р о с К. Первобытное мышление, М., 1994, გვ. 3—14.

3) ჭ ა ნ ტ უ რ ი ა შ ვ ი ლ ი ხ., ეთნოლოგია, თბ., 1993, გვ. 157—171.

სტრუქტურის ცნება ეთნოლოგიაში*

სოციალური სტრუქტურის ცნება იმდენად ფართო და ზოგად პრობლემებს ეხება, რომ მისი განხილვა ერთ სტატიაში თითქმის შეუძლებელია. გარდა ამისა, როცა საუბარია სოციალურ სტრუქტურებზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოციალურ მოვლენათა ფორმალურ მხარეებს. ამასთანავე, ჩვენ არ ვკმაყოფილდებით ჩვეულებრივი აღწერით და ისეთი ცნებები შემოგვაქვს, რომლებიც კერძოდ ეთნოლოგიას არ განეკუთვნება, მაგრამ მაინც საინტერესო იქნებოდა მათი აღწერა. ამგვარ ხერხს სხვა სამეცნიერო დისციპლინებშიც მიმართავენ. მათი პრობლემები, რა თქმა უნდა, თავისი შინაარსით, ჩვენი დისციპლინისაგან განსხვავებულია, მაგრამ მაინც ვთვლით, რომ მათთან ძიახლოება ფასაშვებია, თუკი ფორმალიზაციის მსგავს ხერხებს გამოვიყენებთ. სტრუქტურული გამოკვლევები სწორედ იმიტომაა საინტერესო, რომ უფლებას გვაძლევს პრობლემათა გადაწყვეტის მოდელები და ხერხები უფრო განვითარებულ სამეცნიერო დისციპლინებს დავესესხოთ.

რას გულისხმობს სოციალური სტრუქტურა, რით განსხვავდება მისადმი ძიძღვნილი შრომები სოციალურ ურთიერთობათა აღწერის, ანალიზისა თუ თეორიებისაგან, რომლის დროსაც მათი გამოკვლევა ემთხვევა თავად ანთროპოლოგიის საგანს? ავტორები ბოლომდე არ ეთანხმებიან ერთმანეთს ამ ცნების განსაზღვრაში. ისინი კი, ვინაც ხელი შეუწყო მისი როგორც ცნების შემოტანას, ახლა, ალბათ, ნანობს კიდეც. ასე მაგალითად: კრიობერი თავისი ნაშრომის — „ანთროპოლოგიის“ მეორე გამოცემაში ამბობს: „სტრუქტურის ცნება ძოდას აყოლაა და სხვა არაფერი: სრულიად გასაგები ტერმინი, მაგალითად, სიტყვა „აეროდინამიკა“ რაღაც უცნაური პოპულარობით სარგებლობს. მიუხედავად იმისა, საჭიროა თუ არა, მას მაინც იყენებენ; ალბათ, იმიტომ, რომ ეს სიტყვა საკმაოდ კეთილხმოვანია. უდავოა, რომ ნებისმიერი ტიპური პიროვნება შესაძლოა განიხილებოდეს მისი სტრუქტურის თვალსაზრისით, არადა, ასევე შესაძლოა განიხილებოდეს ფიზიოლოგიაც, ნებისმიერი ორგანიზმიც, ნებისმიერი საზოგადოება, ყველა კულტურა, კრისტალები და მანქანები. ყველაფერს, რაც გნებავთ (თუკი ის ამორფული არ არის), გააჩნია სტრუქტურა. ამრიგად, ტერმინი „სტრუქტურა“ რაიმე ახალი აღმოჩენა კი არ არის. უბრალოდ პიკანტური სანელებელია“.

ამ ციტატაში საუბარია ე. წ. „პიროვნების ძირითადი ტიპის სტრუქტურაზე“, მაგრამ იგი გულისხმობს კიდევ უფრო რადიკალურად კრიტიკულ დასკვნებსაც, რომლებიც ეხება ანთროპოლოგიაში თავად სტრუქტურის ცნების ხმარებას.

---

* წყაროდან: К. Л е в и-С т р о с, Структурная антропология, М., 1985, с. 245—285.

სტრუქტურის განსაზღვრის შემუშავება აუცილებელია არა მხოლოდ იმიტომ, რომ მიმდინარე ლიტერატურაში ამ საკითხზე ჯერ კიდევ უამრავია გასარკვევი, ან ტერმინს „სოციალური სტრუქტურა“ საერთოდ არა აქვს აზრი, ანდა თავად ეს აზრი უკვე სტრუქტურაა. უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ ცნების სტრუქტურას უნდა ჩავწვდეთ, რათა არ ჩავეფლოთ სოციალური ურთიერთობისადმი მიძღვნილი წიგნებისა თუ სტატიების დასახელებებში, რომელთა ჩამოთვლაც უფრო მეტ ადგილს დაიკავებდა, ვიდრე თავად ეს სტატია. მომდევნო ეტაპზე ჩვენ შევძლებთ შევადაროთ ჩვენი განსაზღვრება სხვა ავტორების მიერ აშკარად თუ ფარულად დაშვებულ განსაზღვრებებს.

I. მეთოდის განსაზღვრა და პრობლემები

ძირითად პრინციპად მივიღოთ, რომ სოციალური სტრუქტურის ცნება განეკუთვნება არა ემპირიულ მოღვაწეობას, არამედ ემპირიული მოღვაწეობის მსგავსად აგებულ მოდელს. ამგვარად აღმოჩნდება განსხვავება ორ ერთმანეთის მსგავს ცნებას შორის: სოციალური სტრუქტურის ცნება და სოციალურ ურთიერთობათა ცნება — მათ ხშირად ურევენ ერთმანეთში. სოციალური ურთიერთობები ძირითადი მასალაა იმ მოდელების ასაგებად, რომელთა საშუალებითაც უნდა გამოვლინდეს თავად სოციალური სტრუქტურა. სოციალური სტრუქტურა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავაიგივოთ იმ სოციალურ ურთიერთობებთან, რომლებზეც მოცემულ საზოგადოებაში ხდება დაკვირვება. სტრუქტურების გამოკვლევას სხვა საზოგადოებრივ მოვლენათა გამოკვლევებში რაიმე განსაკუთრებული ადგილი არ უკავია. ის უფრო მეთოდია, რომლის გამოყენება შეიძლება სხვადასხვა ეთნოლოგიური პრობლემების შესწავლისას. თანაც იგი ახლოსაა სტრუქტურულ მიდგომებთან სხვა სამეცნიერო დისციპლინებში.

ე. ი. საუბარია იმაზე, რომ გაირკვეს, რისგან შედგება სტრუქტურული ანალიზის ობიექტად ვარგისი მოდელები. პრობლემა ეხება არა ეთნოლოგიას, არამედ ეპისტემოლოგიას, რამდენადაც შემდგომი განსაზღვრებები ჩვენი გამოკვლევის პირველად მასალებს არანაირად არ უკავშირდება.

ჩვენ ვთვლით, იმისათვის, რომ მოდელებს სტრუქტურის სახელი დავარქვათ, აუცილებელი და საკმარისია 4 პირობის შესრულება:

1) უპირველესად, სტრუქტურა არის რაღაც სისტემა, შემდგარი ისეთი ელემენტებისაგან, როცა ერთ-ერთი მათგანის შეცვლა ყველა დანარჩენის შეცვლას იწვევს.

2) ნებისმიერი მოდელი მიეკუთვნება გარდასახვების ჯგუფს და ყოველი მათგანი შეესაბამება ერთი და იმავე მოდელის ტიპს, ასე რომ, ამ გარდასახვათა სიმრავლე ქმნის მოდელების ჯგუფს.

3) ზემოხსენებული თვისება უფლებას გვაძლევს გავითვალისწინოთ, თუ რაგვარი რეაგირება ექნება მოდელს მისი ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტის ცვლილების შემთხვევაში.

4) მოდელი იმგვარად უნდა იყოს აგებული, რომ მისი გამოყენება მოიცავდეს ყველა დასაკვირვებელ მოვლენას.

ა) დაკვირვება და ექსპერიმენტი

ამ ორი კატეგორიის განსხვავება ყოველთვის უნდა შეგვეძლოს. მოდელების ასაგებად საჭირო მოვლენათა დაკვირვება და მეთოდის შემუშავება არ უნდა აგვერიოს თავად მოდელებზე ჩატარებულ ექსპერიმენტებში. ტერმინში „ბოდელებზე ექსპერიმენტი" ვგულისხმობთ იმ მეთოდების ერთობლიობას, რომელთა საშუალებითაც ირკვევა, თუ როგორ რეაგირებს მოცემული მოდელი სხვადასხვა ცვლილებაზე და ხდება ერთი და იმავე თუ სხვადასხვა ტიპის მოდელების ერთმანეთთან შედარება. ამის განსხვავება აუცილებელია, რათა გაურკვეველობას არ ჰქონდეს ადგილი. განა არაა წინააღმდეგობა ყოველთვის კონკრეტულ და ინდივიდუალიზებულ ეთნოგრაფიულ დაკვირვებებსა და აბსტრაქტული და ფორმალური ხასიათის მქონე სტრუქტურულ გამოკვლევათა შორის? მაგრამ, როგორც კი მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ეს, ერთი შეხედვით, ურთიერთგამომრიცხავი თვისებები მიეკუთვნება გამოკვლევათა ორ ეტაპს, წინააღმდეგობაც ქრება. დაკვირვებისას ძირითად, თუ არა ერთადერთ, წესად, მიჩნეულია დაკვირვების სიზუსტე და ყველა ფაქტის აღწერა. ამავე დროს, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაშვებულ იქნეს ფაქტთა ბუნებისა და მნიშვნელობის დამახინჯება. ამ წესიდან გამომდინარეობს მეორე წესიც: მოვლენების კვლევა ხდება როგორც თავისთავად (რა კონკრეტული პროცესებითაა ისინი გამოწვეული), ასევე ფაქტებთან კავშირში (ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი ცვლილება, რომლის დაკვირვებაც ერთ აღგილას ხდება, უნდა მიესადაგებოდეს სხვა შემთხვევებში მისი წარმოშობის ყველა გარემოებას).

ეს წესები და ძიებები მკაფიოდ ჩამოაყალიბა კ. გოლდშტეინმა ფსიქოფიზიოლოგიურ კვლევათა სფეროში. ისინი გამოიყენება სტრუქტურული ანალიზის სხვა სახეობებთან მიმართებაშიც. ჩვენი აზრით, ისინი გვაძლევენ საშუალებას გავიგოთ, რომ ეთნოგრაფიული აღწერისათვის დამახასიათებელ კონკრეტულ დეტალებზე ზრუნვასა და მოდელის ასაგებად საჭირო უეჭველობისა და განზოგადებულებას შორის არსებობს არა ურთიერთგამომრიცხაობა, არამედ შინაგანი კავშირი. მართლაც, შეიძლება წარმოვიდგინოთ განსხვავებული მოდელები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო ძოსახერხებელია მოვლენათა ჯგუფების აღწერისა და ახსნისათვის, მიუხედავად ამისა, ყოველთვის საუკეთესო იქნება ჰეშმარიტი მოდელი, ანუ ის მოდელი, რომელიც არის ყველაზე უბრალო და უპასუხებს ორმაგ პირობას: გაითვალისწინებს მხოლოდ დადგენილ მოვლენებს და მხედველობაში მიიღებს აბსოლუტურად ყველა მოვლენას. პირველი ამოცანა ისაა, რომ გაირკვეს, როგორია ეს მოვლენები.

ბ) შეცნობადი და შეუცნობადი

მოდელები შეიძლება იყოს შეცნობადი და შეუცნობადი, იმ დონის მიხედვით, რომლითაც ისინი ფუნქციონირებენ. ბოასმა, რომლის დამსახურებაა ამ სხვაობის დადგენა, გვიჩვენა, რომ მოვლენათა ჯგუფი სტრუქტურულ ანალიზს უფრო კარგად ემორჩილება იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოებას არ გაარჩია გააზრებული მოდელი მათი ახსნისა თუ დასაბუთებისათვის. შესაძლოა, ბოასის, როგორც სტრუქტურალიზმის ერთ-ერთი მეტრის, ციტირებამ გაკვირვებაც კი გამოიწვიოს. ზოგიერთმა ეს ციტირება მის მოწინააღმდეგეებსაც ნე-

იძლება მიაწეროს. მე შევეცადე, ჩემს სხვა შრომაში მეჩვენებინა, რომ სტრუქ-ტურალისტების თვალსაზრისით ბოასის მარცხი აიხსნება არა გაუგებლობით ან მტრობით. სტრუქტურალიზმისათვის ბოასი უფრო წინამორბედი იყო, თუმცა-ღა სტრუქტურულ გამოკვლევებს იგი ზედმეტად მკაცრ მოთხოვნებს უყენებ-და, მისი მიმდევრებისათვის ზოგიერთი პირობა ალბათ, მისაღები იყო, მაგრამ სხვა დანარჩენი იმდენად მკაცრი და ძნელად შესასრულებელი აღმოჩნდა, რომ ნებისმიერი სფეროს მეცნიერულ პროგრესს უნაყოფოდ აქცევდა.

ნებისმიერი მოდელი შეიძლება იყოს შეცნობადი და შეუცნობადი, მაგ-რამ ეს პირობა მის ბუნებაზე არ მოქმედებს. შეიძლება მხოლოდ ითქვას, რომ სტრუქტურა, რომელიც ჩაფლულია შეუცნობად სფეროში, უფრო შესაძ-ლებელს ხდის მოდელის არსებობას, რომელიც, როგორც შირმა, გამოჰყოფს ამ სტრუქტურას კოლექტიური აზროვნებისაგან. მართლაც, შეცნობადი მოდელე-ბი (მათ, როგორც წესი, „ნორმებს“ უწოდებენ) ყველაზე ღარიბია, რამდენა-დაც მათი ფუნქციაა რწმენისა და წეს-ჩვეულებების დასაბუთება და არა სა-ფუძვლების ახსნა. ასე ეჯახება სტრუქტურული ანალიზი პარადოქსულ სიტუ-აციებს, რომელთაც ლინგვისტები კარგად იცნობენ: შედარებით აშკარა აღ-მოჩნდა, გარე სტრუქტურა, შინაგანი კი უფრო ძნელი გასაგები, რადგანაც შეც-ნობადი და დეფორმირებული მოდელები დგანან დამკვირვებელსა და მისი დაკ-ვირვების ობიექტს შორის.

ეთნოლოგმა ორი სიტუაციიდან ერთ-ერთი უნდა აირჩიოს. მან შეიძლება მიზნად დაისახოს იმ მოდელის აგება, რომელიც იმ მოვლენებს ეპასუხება, რომელთა სისტემაც საზოგადოების მიერ შესწავლისას გაფურკვეველი დარჩა. ეს შედარებით უბრალო სიტუაციაა, რომელსაც ხაზს უსვამს ბოასი და აღნიშ-ნავს, რომ სწორედ იგია განსაკუთრებით ვარგისი ნიადაგი ეთნოლოგიური გა-ნოკვლევებისათვის. თუმცაღა სხვა შემთხვევებში ეთნოლოგს საქმე აქვს არა მარ-ტო დაუმუშავებელ მასალებთან, არამედ იმ მოდელებთანაც, რომლებიც უკვე შექმნა შესასწავლმა კულტურამ. უკვე აღვნიშნე, რომ ამგვარი მოდელები შე-ძლება ძალზე არასრულყოფილი იყოს, მაგრამ ეს ყოველთვის არ ხდება. მრა-ვალმა ე. წ. პრიმიტიულმა კულტურამ შეიმუშავა ისეთი მოდელები (მაგ., საქორწინო წესები), რომლებიც პროფესიონალი ეთნოლოგების მიერ შექმნილ მოდელებზე უკეთესი აღმოჩნდა. ორი საფუძველი გვაქვს იმისათვის, რომ ყუ-რადღებით მოვეპყრათ ამ „აბორიგენულ“ მოდელებს. უპირველესად, ისინი შეიძლება მართებულნი იყვნენ ან ბოლოს და ბოლოს, სტრუქტურებისაკენ გაგ-ვიკვლიონ გზა. ყველა კულტურას თავისი თეორეტიკოსები ჰყავს, რომელთა შე-მოქმედება არანაკლებ ყურადღებას იმსახურებს, ვიდრე თანამედროვე ეთნო-ლოგების დიდი შრომები. გარდა ამისა, მოდელები მცდარი ან არაზუსტიც რომ იყოს, დასაკვირვებელი შეცდომების ტენდენციებისა და ხასიათის შესწავლა მა-ინც უნდა ხდებოდეს. ამასთანავე, გამორიცხული არ არის, რომ ისინი აღმოჩნ-დებიან განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფაქტთა შორის. თუმცა, როდესაც ეთ-ნოლოგის ინტერესს იწვევს ადგილობრივი კულტურების მიერ შექმნილი მო-დელები, მან არ უნდა დაივიწყოს, რომ კულტურული ნორმების მიჩნევა სტრუქტურებად ავტომატურად არ შეიძლება. ესენი უფრო საჭირო სიგნალე-ბია, რომლებიც გვეხმარებიან მათ გამოვლენაში. ზოგჯერ ისინი წარმოადგენენ ნედლ მასალას, ზოგჯერ — თეორიულ შეხედულებებს, თავად ეთნოლოგების ძიერ შექმნილი შეხედულებების მსგავსად.

დიურკჰეიმი და მოსი მიხვდნენ, რომ აბორიგენული მოსახლეობის გაან-

რებული წარმოდგენები ყოველთვის უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებენ, ვიდრე თეორიები და მკვლევართა მიერ შექმნილი გააზრებული წარმოდგენები. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ხშირად ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს, პირველი ნაბიჯები გადადგეს ადგილობრივ მოსახლეთა აზროვნების შეუცნობადი კატეგორიების შესწავლის საქმეში, ისე რომ, მათი პოზიციის ღირებულებასა და ნოვატორობას ჩრდილი არ მივაყენოთ. უნდა ვაღიაროთ, რომ დიურკჰემი და მოსი ამ მიმართულებით არცთუ ისე შორს წავიდნენ. საქმე ისაა რომ რამდენადაც საინტერესო ჭნდა იყოს ადგილობრივ მოსახლეთა გააზრებული წარმოდგენები, ისინი მაინც ისევე შორს დგანან შეუცნობადობის ჰეშმარიტებისაგან, როგორც ყველა სხვა.

გ) სტრუქტურა და განზომილება

ზოგჯერ ამბობენ, რომ სტრუქტურის გაგება შესაძლებლობას იძლევა, ეთნოლოგიაში რაოდენობრივი დახასიათებები ვაწარმოოთ. ამგვარი აზრი, შესაძლოა, იმიტომაც გაჩნდა, რომ ეთნოლოგიაში რიგ ბოლოდროინდელ შრომებში გამოყენებული იყო მათემატიკური ფორმულები (ანდა მისდაგვარი რაღაცეები), ზოგიერთ შემთხვევაში, მართალია, მუდმივ სიდიდეებს მიაწერდნენ რიცხობრივ შნიშვნელობებს. ეს შეიმჩნევა, მაგალითად, კრიობერის შრომებში ქალთა მოდის ევოლუციის შესახებ, რომელიც მიჩნეულია სტრუქტურული გამოკვლევების ისტორიის გვირგვინად.

მიუხედავად ამისა, არ არსებობს აუცილებელი კავშირი რაოდენობრივი დახასიათებისა და სტრუქტურის ცნებებს შორის. სტრუქტურული გამოკვლევები საზოგადოებრივ მეცნიერებებში ირიბი გზით ანუ თანამედროვე მათემატიკის სფეროში არსებული ზოგიერთი მიმართულების კვალდაკვალ შემოვიდა, რადგანაც, ტრადიციული მათემატიკისაგან განსხვავებით თანამედროვე მათემატიკა უფრო მეტად იყენებს რაოდენობრივ კატეგორიებს და უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ხარისხობრივ კატეგორიებს. სხვა სფეროში: მათემატიკურ ლოგიკაში, მრავლობითობის თეორიაში, ჯგუფისა და ტოპოლოგიის თეორიებში. დადგინდა, რომ არის პრობლემები, რომელთა რიცხობრივი ამოხსნა არ ხერხდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი ზუსტ აღწერას მაინც ექვემდებარებიან.

დ) მექანიკური და სტატისტიკური მოდელები

უკანასკნელი განსხვავება მოდელთა სკალისა და მოვლენათა სკალის შედარებისას გამოიკვეთება. მოდელს, რომლის შემადგენელი ელემენტები მიეკუთვნება მოვლენათა სკალას, „მექანიკური“ ეწოდება, ხოლო „სტატისტიკური“ ის მოდელია, რომლის ელემენტებიც თავად მოვლენის სკალისაგან განსხვავდება. მაგალითისათვის მოვიხმობთ საქორწინო წესებს. პირველყოფილ საზოგადოებაში არსებული ეს წესები შეიძლება წარმოვიდგინოთ მოდელებად, რომლებიც გამოხატავენ ინდივიდთა ფაქტობრივ დაჯგუფებას ნათესაობებისა და კლანების მიხედვით. ეს მექანიკური მოდელები. ჩვენს საზოგადოებაში შეუძლებელია ამგვარი მოდელი მოვიშველიოთ, რადგანაც ქორწინების სხვადასხვა ტიპი აქ დამოკიდებულია უფრო ზოგად ფაქტორებზე: პირველადი და მეორადი ჯგუფების სიდიდეზე, რომლებსაც მიეკუთვნება დასაშვები წყვილები, სხვადასხვა სოციალურ ფენათა დინებაზე, ინფორმაციის რაოდენობაზე და

სხვა... ჩვენს მატრიმონიალურ სისტემაში (რისი გაკეთებაც ჯერ კიდევ არ უცდიათ) მუდმივი განზომილებების განსაზღვრისათვის დაგვჭირდებოდა შუა და გარეთა განზომილებების დადგენა: შესაბამის მოდელს, ალბათ, სტატისტიკური ხასიათი ექნებოდა. ამ ორ ფორმას შორის, უდავოა, არსებობს შუალედური ფორმებიც. ასე მაგალითად, ზოგიერთი საზოგადოება (მათ შორის ჩვენიც) ნათესაობის ხარისხის დასადგენად იყენებს მექანიკურ მოდელს, რომელიც ითვალისწინებს დაუშვებელ ქორწინებებს და მიმართავს სტატისტიკურ მოდელს, როცა საუბარია დასაშვებ ქორწინებებზე. მოკლედ, ერთი და იგივე მოვლენები შეიძლება აიხსნას ორი სხვადასხვა ტიპის მოდელების საშუალებით, იმისდა მიხედვით, თუ როგორ აჯგუფებენ მათ ერთმანეთთან მიმართებაში ან როგორ გაუთანაბრებენ მათ სხვა მოვლენებს. იმისათვის, რათა დამაკმაყოფილებელი ახსნა მივცეთ სისტემას, სადაც კეთილგანწყობით ეკიდებიან ნათესავებს შორის ქორწინებებს, მაგრამ, სადაც ამ იდეურ ფორმულას შეესაბამება რეალური ქორწინებების მხოლოდ რაღაც ნაწილი, საჭიროა ერთდროულად ორი მოდელით — მექანიკურით და სტატისტიკურით სარგებლობა. სტრუქტურული გაშოკვლევები სულაც არ იქნებოდა საინტერესო, რომ არ ყოფილიყო შესაძლებლობა, სტრუქტურები გადაგვექცია მოდელებად, რომელთა ფორმალური თვისებები შეგვიძლია შევადაროთ ერთმანეთს მათი შემადგენელი ელემენტებისგან დამოუკიდებლად. სტრუქტურალისტის ამოცანა ისაა, რომ გამოავლინოს და ცალკე გამოიყოს სინამდვილეთა დონეები, რომელთაც, მისი თვალსაზრისით, სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ, სხვა სიტყვებით—ის დონეები, რომელთა წარმოდგენაც შეიძლება მოდელების სახით, როგორ ტიპებსაც არ უნდა განეკუთვნებოდნენ ისინი, ზოგჯერ შეიძლება ერთდროულად განვიხილოთ სხვადასხვა თვალსაზრისით წარმოდგენილი ერთი და იგივე მონაცემები, სადაც ყოველ მათგანს თავისი სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია, მიუხედავად იმისა, რომ მათი შესაბამისი მოდელები შეიძლება იყოს მექანიკური ან სტატისტიკური. ზუსტი მეცნიერებისათვის ცნობილია ამგვარი სიტუაციები. მაგ., მოძრავი სხეულის თეორია მიეკუთვნება მექანიკას, თუკი განსახილველი ფიზიკური სხეულები მცირერიცხოვანია; თუმცა, თუ მათი რიცხვი უფრო მეტია, ვიდრე განსაზღვრული სიდიდე, მაშინ პიმართავენ თერმოდინამიკას ანუ ადრინდელ მექანიკურ მოდელს ცვლიან სტატისტიკურით, თუკი ამ დროს მოვლენათა ბუნება ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა.

ამგვარი სიტუაციები ხშირად ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებებშიც გვხვდება. მაგ., ავიღოთ თვითმკვლელობა. მისი გაანალიზება ორი თვალსაზრისით შეიძლება. ცალკეული შემთხვევების ანალიზი საშუალებას გვაძლევს ავაგოთ, თუ შეიძლება ასე ითქვას, თვითმკვლელობის მექანიკური მოდელი, რომლის ელემენტებიც იქმნება მსხვერპლის პიროვნების ტიპით, მისი ინდივიდუალური ისტორიით, პირველადი და მეორადი ჯგუფების თვისებებით, რომლის წევრიც თავად იყო და სხვ. თუმცა შეიძლება სტატისტიკური მოდელის აგებაც, რომელიც დაფუძნებულია რომელიღაც მოცემულ პერიოდში ერთ ან რამდენიმე საზოგადოებაში, აგრეთვე სხვადასხვა ტიპის პირველად და მეორად ჯგუფებში თვითმკვლელობის სიხშირეზე. მიუხედავად იმისა, თუ რომელ თვალსაზრისს ავირჩევთ, მაინც გამოიყოფა დონეები, სადაც აღინიშნება თვითმკვლელობის სტრუქტურული გამოკვლევა, სხვა სიტყვებით, — საღაც იგი გვაძლევს საშუალებას ავაგოთ მოდელები, რომელთა შედარებაც შესაძლებელია: 1) თვითმკვლელობის რამდენიმე ფორმისათვის, 2) სხვადასხვა საზოგადოებისათვის, 3) სოციალურ მოვლენათა სხვადასხვა ტიპისათვის. სა-

მეცნიერო პროგრესი არა მარტო ისაა, რომ გამოვლინდეს ყოველი დონის მუდმივი დახასიათებები, არამედ ისიც, რომ გამოიკვეთოს ჯერ კიდევ დაუდგენელი დონეები, სადაც მოცემულ მოვლენათა გამოკვლევა ინარჩუნებს სტრატეგიულ დანიშნულებას. მაგ., ფსიქოანალიზის გაჩენამ მიგვიყვანა მოდელის აგების მეთოდთან, რაც კვლევის ახალი სფეროა: პაციენტის ფსიქიკური ცხოვრება ძთელი თავისი მთლიანობით.

ეს მსჯელობები ყველაზე უკეთ დაგვეხმარება გავიგოთ სტრუქტურული გაშოკვლევების ორმაგი (შეიძლება უფრო სწორი იყოს ურთიერთსაწინააღმდეგო) ხასიათი. პირველ რიგში საჭიროა გამოვლინდეს ნიშნადი დონეები, რისთვისაც ჯერ უნდა გამოვყოთ თავად მოვლენა. ამ თვალსაზრისით ყოველი ტიპის სტრუქტურულ გამოკვლევას პრეტენზია აქვს დამოუკიდებლობაზე, იმაზე, რომ ისინი არ ექვემდებარებიან ყველა სხვა ან იმავე ფაქტების აღწერას, რომლებიც სხვა მეთოდებზეა დაფუძნებული, მაგრამ ჩვენს შრომებს მხოლოდ ერთი მიზანი აქვს: ისეთი მოდელების შექმნა, რომელთა ფორმალური თვისებები შედარებისა და ახლნის საშუალებით შეიძლება გავუთანაბროთ სხვა მოდელების თვისებებს, რომლებიც სხვადასხვაგვარ სტრატეგიულ დონეებს მიეკუთვნება.

ამ ვითარების საილუსტრაციოდ მოვიტანთ ასეთ მაგალითს: ისტორიისა და ეთნოლოგიის პრობლემა, არცთუ ისე დიდი ხანია, მრავალი დისკუსიის საგანი იყო. ეს შეიძლება ასე ავხსნათ: ჯერ ერთი, ეთნოგრაფია და ისტორია განსხვავდება ეთნოლოგიისა და სოციოლოგიისაგან იმით, რომ პირველი ორი შეცნიერება ეფუძნება მასალების შეკრებასა და სისტემატიზაციას, ხოლო მეორე ორი—უფრო მოდელების შესწავლას, რომლებიც აგებულია ამ მონაცემების საფუძველზე და მათივე დახმარებით. მეორე, ეთნოგრაფია და ეთნოლოგია შეესაბამება ერთი და იმავე გამოკვლევის ორ ეტაპს, რომლებიც, საერთო ჯამში, მექანიკური მოდელებით მთავრდება, მაშინ, როდესაც ისტორია — სტატისტიკური მოდელებით. ჩვენ მიერ აღნიშნულ ოთხ დისციპლინას შორის ურთიერთობა შეიძლება განპირობებულ იქნეს ორი ოპოზიციით, თანაც, ოპოზიცია ემპირიულ დაკვირვებებსა და მოდელის აგებას შორის ახასიათებს გამოკვლევის პირველ ეტაპს, ხოლო მეორე ოპოზიცია — მოდელების სტატისტიკურ და მექანიკურ ხასიათს შორის — მიეკუთვნება ამ პროცესის საბოლოო შედეგს. აღვნიშნოთ პირობითად ყოველი ოპოზიციის პირველი წევრი „+“ ნიშნით, ხოლო მეორე — „—“, მივიღებთ:

	ისტორია	სოციოლოგია	ეთნოგრაფია	ეთნოლოგია
ემპირიული დაკვირვება მოდელების აგება	+	—	+	—
მექანიკური მოდელები სტატისტიკური მოდელები	—	—	+	+

აქედან გასაგები ხდება, თუ როგორ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან დროის ორი კატეგორიის გამოყენებით სოციალური მეცნიერებები, რომლებმაც აუცილებლად უნდა მიიღონ ესა თუ ის პერსპექტივა დროში.

ეთნოლოგია იყენებს „მექანიკურ“ დროს ანუ შექცევადსა და არამიმართულს, ხოლო ისტორიის დრო, პირიქით, „სტატიკურია“. ის შეუქცევადია და

ერა აქვს რაიმე განსაზღვრული მიმართულება. ევოლუცია, რომელიც თანამედროვე იტალიურ საზოგადოებას რომის რესპუბლიკამდე მიიყვანდა, ისეთივე უაზრობაა, როგორც იმ პროცესების შექცევადობა, რომლებიც თერმოდინამიკის მეორე კანონს ექვემდებარება.

წინა დისკუსია აკონკრეტებს ფიორისის მიერ სოციალური სტრუქტურებისა (სადაც დრო არავითარ როლს არ ასრულებს) და სოციალური ორგანიზაციების (სადაც დროს განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს) ცნებებს შორის განსხვავებებს. იგივე შეიძლება ითქვას ბოასისა და ლესლი უაიტის ანტიევოლუციონიზმის მომხრეთა შორის გაუთავებელ კამათზე, ბოასისა და მისი სკოლის ძირითად ყურადღებას იპყრობდა მექანიკური მოდელები, სადაც ევოლუციის ცნებას არ ჰქონდა ევრისტიკული ფასეულობები. ეს ცნება მთლიანად თავის მნიშვნელობებს სოციოლოგიისა და ისტორიის სფეროებში იძენს. მაგრამ იმ პირობით, რომ ელემენტები, რომლებსაც ის მიესადაგება, არ აღინიშნებოდეს კულტუროლოგიური ტიპოლოგიისათვის დამახასიათებელი ტერმინებით, რომელიც მხოლოდ მექანიკური მოდელებით სარგებლობს. პირიქით, საჭიროა ამ ელემენტების გამოაშკარავება უფრო ღრმა დონით, იმისათვის, რათა დავრწმუნდეთ, რომ ისინი თავიანთ მნიშვნელობას ინარჩუნებენ იმისდა მიხედვით, თუ რომელ კულტურულ კონტექსტში აღმოჩნდებიან (როგორც იდენტური ელემენტების მქონე გენები, რომლებსაც უნარი გააჩნიათ გამოჩნდნენ სხვადასხვა კომბინაციაში, რომელთა შედეგიცაა რასობრივი ტიპები; ე. ი. სტატიკური მოდელები).

ბოლოს, საჭიროა შევადგინოთ გრძელი სტატისტიკური მწკრივები. ბოასსა და მის სკოლას ყოველგვარი საფუძველი გააჩნია იმისა, რომ არ მიიღონ ევოლუციის ცნება: ის არაფერს არ ნიშნავს მათ მიერ მიღებული სუფთა მექანიკური მოდელების დონეზე და უაიტი ტყუილუბრალოდ ცდილობს ხელახლა შეშოიტანოს ევოლუციის ცნება, რამდენადაც ის ჯიუტად განაგრძობს იმავე მოდელებით სარგებლობას, რითაც მისი მოწინააღმდეგეები. ევოლუციონისტებისათვის, ალბათ, უფრო ადვილი იქნებოდა თავიანთი პოზიციის აღდგენა, თუ ისინი თანახმანი იქნებოდნენ მექანიკური მოდელები შეეცვალათ სტატისტიკურით, სადაც ელემენტები არ იქნებოდა დამოკიდებული კომბინაციებზე და იდენტური დარჩებოდა საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე.

მექანიკურსა და სტატისტიკურ მოდელებს შორის სხვაობის დადგენას კიდევ ერთი დადებითი მხარე აქვს: ის საშუალებას იძლევა გააშუქოს შედარების მეთოდის როლი სტრუქტურულ გამოკვლევებში.

რადკლიფ-ბრაუნი და ლოუი აღნიშნულ საკითხში ცოტათი აჭარბებდნენ. ბრაუნი წერდა: „თეორიულ სოციოლოგიას ხშირად მიიჩნევენ ინდუქციურ მეცნიერებად. ინდუქცია, ჭეშმარიტად. ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, რომელიც საერთო დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა ცალ-ცალკე აღებული მაგალითების განხილვიდან. პროფესორი ევანს-პრეჩარდი..., როგორც ჩანს, ხშირად ვარაუდობს, რომ ლოგიკური ინდუქციური მეთოდი, რომელისც სარგებლობს შედარებით, კლასიფიკაციითა და განზოგადებით, ვერ პოულობს გამოყენებას ადამიანური და სოციალური ცხოვრების მოვლენებთან... რაც შემეხება მე, ვთვლი, რომ ეთნოლოგია ემყარება ბევრი საზოგადოების სისტემატურ შედარებით კვლევებს“.

ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომში რადკლიფ-ბრაუნი რელიგიაზე შემდეგი აზრის იყო: „ექსპერიმენტული მეთოდი, რომელიც რელიგიის სოციოლოგიაში

შიღებული, იმის დამადასტურებელია, რომ ჩვენ უნდა შევამოწმოთ საკუთარი ჰიპოთეზები საკმაოდ ბევრი სხვადასხვა რელიგიით, ანდა ცალკეული რელიგიური კულტებით, რომლებიც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში იმ საზოგადოებას უპირისპირდებიან, რომელშიც მათ აქვთ ადგილი. მსგავსი მეთოდი აღემატება ერთ კვლევის შესაძლებლობებს და ბევრი მეცნიერის თანამშრომლობას მოითხოვს.

იგივე აზრს ხაზს უსვამს ლოუი, როცა ამბობს: „ეთნოლოგიური ლიტერატურა სავსეა სავარაუდო კორელაციებით, რომელთაც ერთი ბეწო ექსპერიმენტული საფუძველი არ გააჩნიათ". იგი დაჟინებით მოითხოვს ჩვენი განზოგადებების „ინდუქციური ბაზის გაფართოებას" (635, გვ. 68). ამრიგად, ორივე ავტორი ხაზს უსვამს ეთნოლოგიისათვის ინდუქციური საფუძვლის მიცემის აუცილებლობას. ამაში ისინი ემიჯნებიან არა მარტო დიურკჰეიმს (იგი ამბობს, რომ, თუ კანონი დადგინდა კარგად მოცემული ექსპერიმენტების საფუძველზე, მაშინ ეს კანონი ჭეშმარიტი იქნება ნებისმიერ სხვა შემთხვევებშიც) (269, გვ. 59), არამედ გოლდშტეინსაც. ეს უკანასკნელი ხშირად უკეთებდა ფორმულირებას იმას, რასაც შეიძლება ეწოდოს „სტრუქტურული მეთოდის წესები". თანაც მან საკმაოდ ფართო თვალსაზრისი წამოაყენა, რაც საშუალებას იძლევა, ჩაითვალოს ეს წესები ვარგისად იმ სფეროს ფარგლებს გარეთაც, რომელშიც მან ისინი თავიდან გამოიყენა.

თუმცა, განა შეიძლება ასეთ ვიწრო საფუძველზე დაყრდნობით ისეთი დასკვნების გამოტანა, რომლებიც შეიძლება მოერგოს ყველა სხვა შემთხვევას? იგი (გოლდშტეინი) პასუხობს: „უამრავი ფაქტის დაგროვება არაფრად ღირს, თუ ისინი არაზუსტად იყო დამტკიცებული; ამით ვერ შევძლებთ ამ მოვლენების შეცნობას, რომლებიც დღეს ხდება... საჭიროა ისეთი შემთხვევების შერჩევა, რომლებიც გადამწყვეტი დასკვნების გამოტანის საშუალებას მოგვცემს. თანაც, ის, რაც ერთი შემთხვევის მიმართ იქნება დამტკიცებული, გარკვეულწილად უნდა მიესადაგებოდეს სხვებსაც".

ალბათ, ასეთ მსჯელობას ბევრი ეთნოლოგი არ დაეთანხმებოდა. ამის მიუხედავად, სტრუქტურული გამოკვლევები უნაყოფო აღმოჩნდებოდა, თუ მთლიანად არ გაირკვეოდა გოლდშტეინის დილემა: ან ზედაპირულად უნდა იქნეს შესწავლილი მრავალი შემთხვევა, თანაც მნიშვნელოვანი შედეგების გარეშე, ანდა უნდა შემოვიფარგლოთ არცთუ ისე ბევრი შემთხვევის ღრმა ანალიზით და ამით დავამტკიცოთ, რომ ერთი კარგად ჩატარებული ექსპერიმენტი, საბოლოოდ, ერთ მტკიცებად ღირს.

რით აიხსნება ამდენი ეთნოლოგის შედარებითი მეთოდისადმი ლტოლვა? განა ისინი სწორედ აქ არ ურევენ ერთმანეთში მექანიკური და სტატისტიკური მოდელების აგებისა და შესწავლის საშუალებებს? დიურკჰეიმისა და გოლდშტეინის პოზიცია პირველი მოდელებისადმი (მექანიკურისადმი) უდავოა; ამავე დროს, ნათელია, რომ არ შეიძლება სტატისტიკური მოდელების შექმნა სტატისტიკური მონაცემების ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ძალიან დიდი რაოდენობის ფაქტების დაგროვების გარეშე. თუმცა, ამ შემთხვევაშიც კი, მეთოდს არ შეიძლება ეწოდოს შედარებითი. დაგროვილ მასალას მაშინ აქვს ფასი, როცა ყველა ის ერთი და იმავე ტიპის მოვლენას მიეკუთვნება. ერთადერთი გახსხვავება ძდგომარეობს „შემთხვევის"არჩევაში, რომლის შემადგენელი ელემენტებიც მიეკუთვნება საპროექტო მოდელის ან სხვა რომელიმე სკალას.

აქამდე ჩვენ ვცდილობდით გაგვეშუქებინა ზოგიერთი პრინციპული საკითხი, რაც თავად სოციალური სტრუქტურის ბუნებას შეეხებოდა. ახლა უფრო ადვილი იქნება კვლევის ძირითადი ტიპების ჩამოთვლა და მათი ზოგიერთი შედეგის განხილვა.

II. სოციალური მორფოლოგია ანუ ჯგუფური სტრუქტურები

ამ თავში ტერმინი „ჯგუფში“ აღნიშნავს არა სოციალურ ჯგუფს, არამედ უფრო ფართო ცნებას — ერთმანეთს შორის მოვლენათა დაჯგუფებების მეთოდს.

სივრცე და დრო ათვლის ორი სისტემის თემებია, რომლებიც საშუალებას იძლევიან განვიხილოთ სოციალური მოვლენები ერთად და ცალ-ცალკე. ეს განზომილებები დროსა და სივრცეში არ უნდა აგვერიოს იმ განზომილებებში, რომლებსაც სხვა მეცნიერებები იყენებენ. ისინი „სოციალურ“ განზომილებასა და „სოციალურ“ დროში მდგომარეობენ, ეს კი იმას ნიშნავს,რომ სოციალური მოვლენების შემავსებელ თვისებებს შეიცავენ. საზოგადოებები ამ განზომილებებს წარმოიდგენდნენ თავიანთი სტრუქტურის შესაბამისი სხვადასხვა სახით. ეთნოლოგს არ უნდა აღელვებდეს ის გარემოება, რომ მას ხანდახან მისთვის შეუჩვეველი ტიპებით სარგებლობა მოუწევს.

უკვე აღინიშნა, რომ დროებითი კონტინუუმი შეიძლება **უკუქცევადი** და მიმართულებითი იყოს იმ დონის მიხედვით, რომელიც მცირეოდენ სტრატეგიულ ფასეულობას ფლობს, რაშიც ის უნდა მოთავსდეს ჩასატარებელი კვლევის თვალსაზრისით. შესაძლებელია თავი იჩინოს სხვა შემთხვევებმაც: დრო, განუსაზღვრელი და დამოუკიდებელი დამკვირვებლის დროისაგან; დრო, განსაზღვრული და დამოკიდებული დამკვირვებლის ბიოლოგიურ დროზე; დრო, დანაწილებული და დაუნაწილებელი (გაშლილი, განლაგებული) ერთგვაროვან ადგილ სხვადასხვა ხასიათის ელემენტებად და ა. შ.

რაც შეეხება სივრცეს, დიურკჰეიმმა და მოსმა პირველებმა გვიჩვენეს მისი თვისების ცვალებადობა, რისი მხედველობაში მიღებაც საჭიროა მრავალრიცხოვანი, ე. წ. პირველყოფილი საზოგადოებების სტრუქტურების განმარტებისას, მაგრამ თავდაპირველად ისინი ხელმძღვანელობდნენ კაშინგის იდეებით. ფრანკ ჰამილტონ კაშინგის შრომები მეტყველებენ მის, როგორც შესანიშნავი სოციოლოგის, გამჭრიახობასა და გამომგონებლობაზე, რაც ნებას აძლევს მას დაიკავოს საპატიო ადგილი მორგანისა და კვლევის სტრუქტურული მეთოდის სხვა დიდ წინამორბედთა გვერდით.

სოციალური დრო და სივრცე ერთმანეთისაგან შეიძლება შესაბამის სკალაზეც განსხვავდებოდნენ. ეთნოლოგი სარგებლობს „მაკროდროით“ და „მიკროდროით“, „მაკროსივრცით“ და „მიკროსივრცით“. სტრუქტურული კვლევები საკუთარი კანონიერად გადმოიღებს თავის კატეგორიებს როგორც პირველყოფილი საზოგადოების ისტორიისაგან, არქეოლოგიისა და დიფუზიონისტთა თეორიებისაგან, ისე ლევინის მიერ დაარსებული ფსიქოლოგიური ტიპოლოგიისა და მორენოს სოციომეტრიისაგან. ეს შესაძლებელია, რადგანაც ერთი და იმავე ტიპის სტრუქტურები შეიძლება შეგვხვდეს სრულიად სხვადასხვა დროსა და სივრცეში და სრულიადაც არაა გამორიცხული, რომ სტატისტიკური მოდელი უფრო სასარგებლო აღმოჩნდეს მსოფლიო ისტორიის ცივილიზაციისათვის მისაღები ანალოგიური მოდელის ასაგებად, ვიდრე ის მოდელი, რომელიც შექმნილია ამ ერთადერთ სფეროში ნასარგებლები ფაქტების საფუძველზე.

აქედან გამომდინარე, ჩვენ საკმაოდ ვშორდებით იმ აზრს, რომ ისტორიულ და გეოგრაფიულ მოსაზრებებს სტრუქტურული კვლევებისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც ამას ჯერ კიდევ ვარაუდობენ ისინი, ვინც თავიანთ თავს ფუნქციონალისტები უწოდეს. ფუნქციონალისტი მთლიანად ეწინააღმდეგება სტრუქტურალისტს. ამის ნათელ მაგალითად გამოგვადგება ბ. მალინოვსკი და, პირიქით, ჟ. დიუმეზილი და კრიობერი თავის ნაშრომებში ამტკიცებენ, რომ ისტორიული მეთოდი მთლიანად შეეთავსება სტრუქტურულ მიდგომას.

სინქრონული მოვლენები ხანდახან გამოავლენენ ხოლმე შედარებით ერთგვაროვნებას, რის გამოც მათი შესწავლა უფრო ადვილი ხდება, ვიდრე დიაქრონიკული მოვლენებისა, ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ მორფოლოგიის კვლევის თვალსაზრისით, ხელმისაწვდომი აღმოჩნდება ის პრობლემები, რომლებიც შეეხება სოციალური სივრცის ხარისხობრივ, განუზომელ თვისებებს. ამ მხრივ, ე. წ. ჩიკაგოს სკოლამ და ამ სკოლის შრომებმა ქალაქის ეკოლოგიაში საკმაოდ დიდი იმედები ჩაგვისახეს, მაგრამ შემდგომში ვერ გაამართლეს. ამ შემთხვევაში დავაზუსტებ კავშირებს მხოლოდ ,ეკოლოგიის ცნებასა და სოციალურ სტრუქტურას შორის. ორივე შემთხვევაში ლაპარაკია სოციალური მოვლენების განაწილებაზე სივრცეში. თუმცა სტრუქტურული კვლევები ითვალისწინებს მხოლოდ სოციოლოგიურ სივრცეს, ე. ი. სივრცეს, რომელიც არაა დამოკიდებული ისეთ ბუნებრივ ფაქტორებზე, რომლებსაც შეისწავლის გეოლოგია, კლიმატოლოგია, ფიზიოგრაფია და სხვ. ე. წ. ქალაქის ეკოლოგიური გამოკვლევა ეთნოლოგისათვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს; ქალაქის სივრცე საკმაოდ შემოსაზღვრულია და ერთგვაროვანია (სოციალურის გარდა ყველა თვალსაზრისით) იმისათვის, რომ მისი ხარისხობრივი თვისებები უშუალოდ მიეწეროს შინაგან ფაქტორებს, რომლებიც თავიანთი ხარისხით ერთდროულად ფორმალური და სოციალურია.

ნაცვლად იმისა, რომ მარსელ მოსს ხელი მოეკიდა რთული საზოგადოებებისათვის, იგი უფრო ჭკვიანურად მოიქცა, და არც თუ ისე დიდი და შედარებით იზოლირებული საზოგადოებებით შემოიფარგლა, რომლებთანაც ეთნოლოგიას უფრო ხშირად აქვს საქმე. ამ საკითხთან დაკავშირებით ცნობილია რამდენიმე ნაშრომი, მაგრამ ისინი ხშირად სცილდებიან სუფთა აღწერის ფარგლებს. არავინ ცდილა სერიოზულად გამოერკვია, თუ როგორი კორელაციები შეიძლება არსებობდეს ჯგუფების სივრცობრივ კონფიგურაციასა და ფორმალურ თვისებებს შორის, რაც მათი სოციალური ცხოვრების სხვა მხარეს მიეკუთვნება.

ეს მართლაც დასაბანია, რამდენადაც მსოფლიოს ბევრ ნაწილში არსებობს აშკარა კავშირი დაბების, სოფლებისა და მომთაბარეთა სადგომების სოციალურ სტრუქტურასა და სივრცობრივ სტრუქტურას შორის. სხვა პრობლემები წარმოიქმნება რეგიონების შედარებისას, სადაც ახალშენთა სხვადასხვა სტრუქტურული ტიპები შეესაბამება სოციალური ურთიერთობების სხვადასხვა ტიპებს. მე არ ვამტკიცებ, რომ სოფლელთა სივრცობრივი განლაგება ყოველთვის სარკესავით ასახავს სოციალურ ორგანიზაციას. ეს მტკიცება უსაფუძვლო იქნებოდა ძალიან ბევრი საზოგადოებისათვის, მაგრამ განა არ არის რაღაც ნაზი, რაც საერთოა ყველა საზოგადოებისათვის, სადაც შეინიშნება კავშირი სივრცით განლაგებასა და სოციალურ სტრუქტურას შორის? უფრო მეტიც: ეგებ არსებობს კიდეც საზოგადოებებს შორის ისეთი საერთო რამ, სადაც სივრცითი კონფიგურაცია „გამოავლენს“ სოციალურ სტრუქტურას?

ამრიგად, არსებობს სოციალური და ფსიქიკური მოვლენების შესწავლის მეთოდი გარეგნული ფორმით მათი ობიექტური გამოვლინების საფუძველზე. მსგავსი შესაძლებლობები იქმნება არამარტო ისეთი ფიქსირებული სივრცითი კონფიგურაციების გამოკვლევისას როგორიც, მაგალითად, სოფელია; არაფიქსირებული, მაგრამ განმეორებადი კონფიგურაციების გამოკვლევისასაც შეიძლება ასეთი მეთოდის გამოყენება. ეს ეხება ცეკვას, რიტუალებს და ა. შ.

თუ შევუდგებით ჯგუფების რაოდენობრივ დახასიათებას, რაც დემოგრაფიაში ქმნის კვლევათა ტრადიციულ სფეროს, აღმოჩნდებით გამოხატვის მათემატიკური მეთოდების სიახლოვეს. მიუხედავად ამისა, უკვე რამდენიმე წელია, რაც სხვადასხვა მიმართულების მკვლევრები — დემოგრაფები, სოციოლოგები, ეთნოლოგები—სხვადასხვა კუთხით უდგებიან ახალი დემოგრაფიისათვის საფუძველს ჩაყრას, რასაც შეიძლება ხარისხობრივი ეწოდოს. ის უფრო ნაკლებ ყურადღებას უთმობს ადამიანთა ჯგუფების შიგნით მიმდინარე ცვლილებებს.

როგორც არასდროს, ეთნოლოგებმა ახლა უნდა გამოიჩინონ ინტერესი სტრუქტურული ხასიათის დემოგრაფიული გამოკვლევისადმი. ასეთია სწორედ ლივის გამოკვლევები, რომლებიც ეძღვნება მინიმალურად იზოლირებული საზოგადოების ფორმალურ თვისებებს, ანდა მასთან ახლო მდგომი დალბერგის შრომები. იმ პოპულაციების რაოდენობა, რომლებითაც ჩვენ ვართ დაკავებულნი, შეიძლება ძალიან ახლოს იყოს ლივის მინიმუმთან, ზოგჯერ კი — ნაკლებიც. გარდა ამისა, ფუნქციონირების ტიპსა და სოციალური სტრუქტურის ხანგრძლივობას შორის არსებობს განსაზღვრული კავშირი — ეს ერთი მხრივ, ხოლო მოსახლეობის რაოდენობას შორის — მეორე მხრივ. განა არ შეიძლება აღმოვაჩინოთ ჯგუფების რაიმე ფორმალური თვისებები, რომლებიც პირდაპირ და უშუალოდ იქნება დამოკიდებული (სხვა ფაქტორებზე დამოუკიდებლად) მოსახლეობის აბსოლუტურ რიცხვზე? ამ კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში საჭირო იქნებოდა თვისებების განსაზღვრა და მისთვის ათანადო ადგილის მინიჭება სხვა თვისებების ინტეგრაციისას.

შემდეგ საჭიროა შევუდგეთ რაოდენობრივი ხასიათის განხილვას, რაც ეხება არა ჯგუფებს (რომლებიც განისაზღვრება როგორც მთლიანობა), არამედ ქვეჯგუფებს. ამ შემთხვევაში ეთნოლოგისათვის საინტერესოა კვლევის ჩატარება ორი მიმართულებით:

1) გამოკვლევები, რომლებიც დაკავშირებულია ქალაქის სოციოლოგიის ცნობილ კანონთან — ე. წ. rank—sizle. ეს კანონი საშუალებას იძლევა გარკვეული რაოდენობისათვის დაწესდეს კორელაცია ქალაქების აბსოლუტურ სიდიდესა და იერარქიულ მდგომარეობას შორის მოცემულ ერთობლიობაში ისე, რომ ერთ-ერთი ელემენტის გამოყენა შეიძლებოდეს მეორის საფუძველზე.

2) უფრო უშუალო დამოკიდებულებაშია ეთნოლოგიასთან ფრანგი დემოგრაფების სატერისა და ტაბას შრომები, რომლებმაც გამოიყენეს დალბერგის მონაცემები იმის შესახებ, რომ იზოლატის (ერთმანეთზე დასაქორწინებელი ხალხის) ზომები შეიძლება განისაზღვროს კროსკუზენთა შორის ქორწინებების სიხშირით. აქედან გამომდინარე გამოთვალეს იზოლატის საშუალო ზომა ყველა ფრანგულ დეპარტამენტში. ამან გაუადვილა ეთნოლოგებს საქორწინო სისტემის გაგება თანამედროვე რთულ საზოგადოებაში. ფრანგული იზოლატის „საშუალო სიდიდე" მერყეობს 1000-დან 2800 ადამიანის ფარგლებში. ამრიგად, აღმოჩნდა, რომ ინდივიდების რაოდენობა, რომლებიც ნათესაობითაა დაკავშირებული, თანამედროვე საზოგადოებაშიც კი უფრო ნაკლებია,

ვიდრე ეს შეიძლებოდა გვევარაუდა. ყველაზე პატარა, ე. წ. პრიმიტიული საზოგადოების მსგავს, ჯგუფებში მხოლოდ ათჯერაა მეტი, ე. ი. ორივე შემთხვევაში სიდიდის წესი (რიგი) ერთი და იგივეა. შეიძლება კი ამის საფუძველზე გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ქორწინებების ქსელი თავისი სიდიდით თითქმის შუდმივია ყველა საზოგადოებაში?

სატერმა და ტაბამაც გვიჩვენეს, რომ ყველა პატარა იზოლირებული საზოგადოება გვხვდება არა მარტო ისეთ შორეულ რაიონებში, როგორიც, მაგალითად, მთაგორიანი დასახლებებია, არამედ (და უფრო ხშირადაც) დიდ საქალაქო ცენტრებში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე. ამაზე დაყრდნობით ეთნოლოგს შეუძლია იმედი იქონიოს, რომ თანამედროვე და რთულ საზოგადოებაში აღმოაჩენს უფრო პატარა მოცულობის ერთეულებს, რომლებიც იმავე ნიშნებით ხასიათდება, როგორითაც ის ერთეულები, რომელთა კვლევაც მას ხშირად უხდება. ამის მიუხედავად, დემოგრაფიული მეთოდი, თუ მას ეთნოლოგიური თვალსაზრისით მივუდგებით, უნდა შეივსოს. იზოლირებული საზოგადოების აბსოლუტური სიდიდე ვერ ამოწურავს პრობლემებს. საჭირო იქნება, საქორწინო ციკლების განსაზღვრაც. ყველა პროპორციის შენარჩუნების შემდეგაც არცთუ ისე დიდი იზოლირებული საზოგადოება შეიძლება შედგებოდეს ხანგრძლივი ციკლების ქსელისაგან, ხოლო დიდი იზოლირებული საზოგადოება — მოკლე ციკლებისაგან. თუმცა მაშინ აღმოცენდება გვარტომობის დადგენის აუცილებლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ თუნდაც სტრუქტურალისტი, დემოგრაფი ვერაფერს გახდება ეთნოლოგიის გარეშე.

ეს თანამშრომლობა დახმარებას გაუწევს სხვა თეორიული ხასიათის პრობლემის გამორკვევას. ლაპარაკია კულტურის ცნების კანონიერებაზე და მნიშვნელობაზე, რაც უკანასკნელ წლებში ამერიკელ და ინგლისელ ეთნოლოგებს შორის გაცხოველებული დისკუსიის საგანი გახდა. ოკეანის გაღმელმა ეთნოლოგებმა თავიანთ ძირითად ამოცანად დაისახეს კულტურის შესწავლა. როგორც რადკლიფ-ბრაუნი წერდა, ჩანს, ისინი ცდილობდნენ „აბსტრაქცია რეალობად ექცეთ“. ამ უდიდესი ინგლისელი მეცნიერისათვის „ევროპული კულტურის იდეა ისეთივე აბსტრაქციაა, როგორც ამა თუ იმ აფრიკული ტომის კულტურის იდეა“. არაფერი არ არსებობს, გარდა ადამიანებისა, რომლებიც ერთმანეთთან რიგი დაუსრულებელი სოციალური ურთიერთობების წყალობით არიან დაკავშირებულნი.

ალბათ მეტად საინტერესო იქნებოდა კულტურის ცნების განხილვა იზოლატის გენეტიკური და დემოგრაფიული ცნების თვალსაზრისით. ჩვენ ნებისმიერ ეთნოგრაფიულ სიმრავლეს კულტურას ვუწოდებთ. თუ შევეცდებით განვსაზღვროთ არსებითი გადახრა ჩრდილოეთი ამერიკისა ევროპისაგან, მაშინ საჭირო იქნება მათი ცალ-ცალკე კულტურებად განხილვა. თუ ყურადღებას მივაპყრობთ არსებით სხვაობას, მაგალითად პარიზსა და მარსელს შორის, მაშინ ეს ორი ქალაქური კომპლექსი ორ კულტურულ ერთეულად უნდა წარმოვიდგინოთ. ინდივიდთა ერთი და იმავე გაერთიანებას, თუკი ის დროსა და სივრცეში ობიექტურად არსებობს, ყოველთვის აქვს ურთიერთობა სხვადასხვა კულტურულ სისტემებთან: საერთაშორისო, კონტინენტური, ეროვნული, პროვინციული, ადგილობრივი და სხვ., ოჯახური, პროფესიული, კონფესიური, პოლიტიკური და სხვ.

მაგრამ პრაქტიკაში ამ ნომინალიზმის ბოლომდე მიყვანა შეუძლებელი იქნებოდა. ჭეშმარიტად, ტერმინი „კულტურა“ გამოიყენება მრავალი. ნიშნადი განსხვავების აღსანიშნავად. ამაკე დროს, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ

მათი საზღვრები მიახლოებით ერთმანეთს ემთხვევა. იმ ფაქტმა, რომ ეს დამთხვევა აბსოლუტური არასოდეს არ არის, ხელი არ უნდა შეგვიშალოს „კულტურის“ ცნების ხმარებაში. „კულტურა“ ეთნოლოგიაში ფუძემდებელია, რომელიც, ამავე დროს, ევრისტიკულ მნიშვნელობასაც ფლობს ისევე, როგორც „იზოლატი“ დემოგრაფიაში. მოკლედ, თავად ფიზიკოსებიც გვაქეზებენ, რომ შევინარჩუნოთ „კულტურის“ ცნება.

III. სოციალური სტატიკა, ანუ კომუნიკაციის სტრუქტურები

საზოგადოება შედგება ერთმანეთთან ურთიერთობაში მყოფი ინდივიდებისა და ჯგუფებისაგან. კომუნიკაცია არ შემოიფარგლება საზოგადოების საზღვრებით, უფრო სწორად, ლაპარაკია არა მკაცრად შემოფარგლულ საზღვრებზე, არამედ ზღურბლებზე, რომელთა ფარგლებშიც კომუნიკაცია მინიმალურ დონეს აღწევს. მსგავსი მდგომარეობა საკმაოდ მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ საზღვრების შიგნით და გარეთ მყოფმა მოსახლეობამ შეიცნოს ეს. საზოგადოების საზღვრების გარკვევა, ერთი მხრივ, სულაც არ ნიშნავს, რომ ეს შეცნობა აშკარა იყოს, რადგანაც მსგავსი პირობა შესრულდება მხოლოდ საკმაოდ ნათლად შემოსაზღვრულ და მტკიცე საზოგადოებაში.

ნებისმიერ საზოგადოებაში კომუნიკაცია უკიდურეს შემთხვევაში ხორციელდება სამ დონეზე: ქალთა კომუნიკაცია, ქონებისა და მომსახურების კომუნიკაცია და უწყებების კომუნიკაცია. ამ გამოკვლევის შედეგად ნათესაობითი, ეკონომიკური და ენობრივი სისტემები გარკვეულ ურთიერთობაში ერთმანეთს ჰგვანან. ყოველი ამ სამი სისტემის გამოკვლევა ერთსა და იმავე მეთოდს ექვემდებარება. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ იმ სტრატეგიული დონით, რომელიც მათი კომუნიკაციის რომელიღაც ერთიან შინაგან სამყაროს შეესაბამება. შეიძლება დავუმატოთ, რომ ნათესაობის (კანონები) და საქორწინო წესები განსაზღვრავენ კომუნიკაციის მეოთხე ტიპს: ესაა კომუნიკაციის წესი ფენოტიპებს შორის გენების მეშვეობით. კულტურა შედგება არა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი კომუნიკაციის ფორმებისაგან (როგორიცაა მაგ. ენა), არამედ (და შეიძლება ყველაზე მეტადაც) იმ წესებისგანაც, რომლებიც გამოიყენება ბუნებასა და კულტურაში მიმდინარე ყველა სახეობის კომუნიკაციური თამაშებისას.

ზემოაღნიშნული ანალოგია ნათესაობის სოციოლოგიასა, ეკონომიკასა და ლინგვისტიკას შორის უშვებს სამ შესაბამის არსებით სხვაობას საკომუნიკაციო ტიპებს შორისაც. თუ გადავხედავთ საქორწინო კავშირებსა და უწყებების გაცვლას, კომუნიკაციისათვის მათი როლის თვალსაზრისით, რომელიმე განსაზღვრულ საზოგადოებაში, ვნახავთ, რომ ისინი ერთიმეორისაგან სიდიდის რიგით განსხვავდებიან. ქორწინებიდან თუ ენაზე გადმოვინაცვლებთ, მაშინ მოხდება შენელებული ტემპის კომუნიკაციიდან უფრო სწრაფი ტემპის კომუნიკაციაზე გადასვლა. მსგავსი სხვაობა ადვილად აიხსნება: ქორწინებაში კომუნიკაციის ობიექტი და სუბიექტი თითქმის ერთი და იმავე ბუნებისაა (შესაბამისად ქალები და მამაკაცები), მაშინ, როდესაც ენაში ის, ვინც ლაპარაკობს და ის, რასაც ლაპარაკობს, ყოველთვის სხვადასხვაა. ჩვენ აღმოვჩნდებით ორმაგი ოპოზიციის პირისპირ: პიროვნება და სიმბოლო; ფასეულობა და ნიშანი. ამრიგად, უფრო გასაგები ხდება ეკონომიკური გაცვლა-გამოცვლის შუალედური მდგომარეობა სხვა ორი ფორმის მიმართ: საქონელი და მომსახურება პიროვნებებს არა, მაგრამ ფასეულობას წარმოადგენენ და მიუხედავად იმისა, რომ ისინი არც სიმ-

ბოლოგია და არც ნიშნები, მათი გაცვლისათვის იქმნება აუცილებლობა სიმბოლოგსა და ნიშნებში, როგორც კი ეკონომიკური სისტემა მიაღწევს სირთულის განსაზღვრულ დონეს.

სოციალური კომუნიკაციის ჩვენეული ახსნა-განმარტებიდან გამომდინარეობს სამი შედეგი:

1) ეკონომიკურ მეცნიერებასა და სოციალურ სტრუქტურებს შორის თანაფარდობა შეიძლება განისაზღვროს უფრო გარკვევით. აქამდე ეთნოლოგები ეკონომიკურ მეცნიერებას დიდი უნდობლობით ეკიდებოდნენ იმის მიუხედავად, რომ ამ ორი დისციპლინის დაახლოებისას მათ შორის ყოველთვის თავს იჩენდა მჭიდრო კავშირი. ყველა მსგავსმა გამოკვლევამ მოსის ნოვატორული შრომებიდან დაწყებული და მალინოვსკის წიგნით დამთავრებული, რაც კულას, მის შედეგის მიეძღვნა, გვიჩვენა, რომ ეთნოლოგიური თეორია ეკონომიკური მოვლენების ანალიზის წყალობით ლამის უფრო დამაჯერებელ კანონზომიერებებს აღმოაჩენს იმათი რიცხვიდან, რომელთა დადგენაც აღნიშნულ თეორიას შეუძლია.

ალბათ ეთნოლოგი უნდა გასცილდეს იმ ატმოსფეროს, რომელშიც ეკონომიკური მეცნიერება განვითარდა, რადგანაც ეს უკანასკნელი დოქტრინებს შორის გააფთრებული შეხლა-შემოხლის სფეროა. ყოველივე ეს ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს, ეკონომიკური მეცნიერება ძირითადად აბსტრაქციებით შემოიფარგლება. როგორი კავშირი შეიძლება არსებობდეს რეალურად დასაკვირვებელ, კონკრეტულად არსებულ ადამიანთა გაერთიანებებსა და ისეთ ცნებებს შორის, როგორიცაა ფასი, სარგებლიანობა და მოგება?

ნეიმანისა და მორგენშტერნის მიერ მოცემული ეკონომიკური პრობლემების ახალ ფორმულირებას თითქოს ბიძგი მიეცა ეთნოლოგებისა და ეკონომისტებისათვის ურთიერთთანამშრომლობისაკენ. პირველ ყოვლისა და იმის მიუხედავად, რომ აღნიშნულ ავტორთა შრომებში ეკონომიკური მეცნიერება სიზუსტისაკენ მიისწრაფვის, მის ობიექტს წარმოადგენს არა აბსტრაქტული ცნებები, არამედ კონკრეტული ჯგუფები, ანდა ინდივიდები, რომლებიც თვიანთ თავს თანამშრომლობის, ანდა მეტოქეობის ემპირიულ ურთიერთობებში გამოხატავენ. რაც არ უნდა მოულოდნელად ზოგვეჩვენოს მსგავსი შედარება, ეს ფორმალიზებული სისტემა ახლოსაა მარქსიზმის ზოგიერთ დებულებასთან.

შემდგომში, იმავე მიზეზით, ჩვენ პირველები ვპოულობთ იმ ტიპის მექანიკურ მოდელებს, რომელსაც იყენებს ეთნოლოგია და ლოგიკა; მათ შეუძლიათ შუამავლის როლი შეასრულონ ამ ორ დისციპლინას შორის; ნეიმანის მოდელები წარმოიშობა თეორიის თამაშებიდან, მაგრამ მოდელებს წაგვანან, რომლებსაც ეთნოლოგები ნათესაობითი სისტემის მიმართ იყენებენ. კრიობერმა, თუმცა, უკვე შეადარა ზოგიერთი სოციალური დადგენები „გამოყენებით საბავშვო თამაშობებს.

მართლაც, სოციალურ თამაშობებსა და საქორწინო წესებს შორის დიდი სხვაობაა: პირველი მათგანის დანიშნულებაა, რომ იგი უფლებას აძლევს თითოეულ მოთამაშეს მოიპოვოს მისთვის უფრო სასარგებლო დიფერენციული გადახრები თავდაპირველად მოცემული სტატისტიკური კანონზომიერებების საფუძველზე. საქორწინო წესები მოქმედებენ საწინააღმდეგო მიმართულებით: მათი მიზანია სტატისტიკური კანონზომიერებების აღდგენა იმ დიფერენციული გადახრების მიუხედავად, რომლებიც აღმოჩნდება ინდივიდებსა და თაობებს შორის. მათ შეიძლება ეწოდოს „თამაშები პირიქით“, რაც ხელს არ უშლის მათ მიმართ იმავე მეთოდების გამოყენებას.

მოკლედ, ორივე შემთხვევაში წესების დადგენის შემდეგ ყოველი ინდივიდი, ანდა ჯგუფი ერთი და იმავე სახით ცდილობს გათამაშებას, ე. ი. ცდილობს გაზარდოს თავისი სარგებელი სხვის ხარჯზე. საქორწინო ურთიერთობებისას ეს ფაქტი იმით გამოიხატება, რომ დაქორწინება ხდება ესთეტიკური, სოციალური და ეკონომიკური კრიტერიუმების გათვალისწინებით მეუღლის არჩევის დროს. რამდენადაც ფორმალური სოციოლოგია არ ჩერდება რომანტიკული სფეროს ზღურბლთან, იგი შიგნითაც იკრება და არ უშინდება გრძნობებისა და ქცევების სხვადასხვა სახეობების ლაბირინთებში გაბმას. განა ფონ ნეიმანმა არ შემოგვთავაზა, შეიძლება ითქვას, სუბიექტური ქცევის ისეთი თეორია, როგორიცაა პოკერის თამაშის დროს ბლეფი?

2) თუ შეიძლება იმედოვნება, რომ სოციალური ანთროპოლოგია, ეკონომიკური მეცნიერება და ლინგვისტიკა ოდესმე გაერთიანდება ერთი საერთო დისციპლინის შესაქმნელად, და ეს იქნება მეცნიერება კომუნიკაციაზე, მაშინ საჭიროა ვაღიაროთ, რომ იგი ალბათ ძირითადად წესებისაგან იქნება შემდგარი. ეს წესები არ ორის დამოკიდებული იმ პარტნიორთა (ინდივიდების, ანდა ჯგუფების) ხასიათზე, რომელთა თამაშებსაც ისინი მართავენ. ამის შესახებ ნეიმანი წერდა: „თამაში შედგება წესთა ერთობლიობისაგან, რომლებიც მას აღწერენ". „თამაშის" ცნების გარდა შეიძლება სხვა ცნებების შემოტანაც: „პარტია", „არჩევანი", „სტრატეგია". ამ თვალსაზრისით მოთამაშეთა ხასიათს არა აქვს მნიშვნელობა, მხოლოდ საჭიროა იმის ცოდნა, თუ როდის შეუძლია მოთამაშეს არჩევანის გაკეთება და როდის არა.

3) ამრიგად, ნათესაობის და ქორწინებების საკითხების კვლევაში საჭიროა კომუნიკაციის თეორიის მიერ გაჩენილი ცნებების შემოტანა. „ინფორმაცია" საქორწინო სისტემაში დამოკიდებულია ალტერნატივათა რაოდენობაზე, რომლებიც დამკვირვებლის განკარგულებაშია რომელიღაც ინდივიდის გარკვეული პრეტენდენტის მიმართ მატრიმონიალური მდგომარეობის განსაზღვრისათვის. ეგზოგამიურ წყვილთა სისტემაში ეს ინფორმაცია ერთეულის ტოლია. სხვადასხვა ტიპების ქორწინებების სისტემებში, რომლებიც დასაშვებია ავსტრალიურ აბორიგენულ საზოგადოებებში, ინფორმაცია იზრდება საქორწინო კლასების რაოდენობის ლოგარითმის შესაბამისად. პანმიქსიის (სადაც ყველას იმაზე შეუძლია დაქორწინება, ვისზეც სურს) თეორიულ სისტემას ალბათ არ ექნებოდა „სიუხვე", რამდენადაც ყოველი საქორწინო არჩევანი წინაზე დამოუკიდებელი აღმოჩნდებოდა, მაშინ როდესაც საქორწინო წესები აღნიშნულ სისტემაში „სიუხვეს"" ქმნიან. ამრიგად, შესაძლებელია გამოვითვალოთ „თავისუფალი" (არა სრულიად თავისუფალი, არამედ ზოგიერთი ჰიპოთეზურად პოსტულირებული პირობების თვალსაზრისით თავისუფალი) არჩევანის პროცენტი ზოცემულ საქორწინო პოპულაციაში და განესაზღვროთ მისი შეფარდებითი და აბსოლუტური „ენთროპიის" რაოდენობრივი მნიშვნელობა.

ამის შედეგად გაჩნდება სხვა შესაძლებლობა: სტატისტიკური მოდელების შექანიკურად გარდაქმნა და, პირიქით, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამგვარად იქნება ამოვსებული დემოგრაფიისა და ეთნოლოგიის გამყოფი თხრილი და შეიქმნება შესაბამისი აქტიური მოქმედებისათვის და პროგნოზირებისათვის თეორიული ბაზა. მაგალითისათვის მივმართოთ ჩვენს საკუთარ საზოგადოებას; მეუღლის თავისუფალი არჩევა აქ სამი ფაქტორითაა განპირობებული: ა) ნათესაური კავშირით აკრძალული; ბ) იზოლირებული საზოგადოების სიდიდით;

ბ) ქცევის მიღებული წესებით, რომლებიც ზღუდავს იზოლირებული საზოგადოების შიგნით ზოგიერთი არჩევანის შედარებით სიხშირეს.

ამ მონაცემების საფუძველზე შეიძლება სისტემის ინფორმაციის რაოდენობის გამოთვლა, ე. ი. სუსტად ორგანიზებული მატრიმონიალური სისტემა (იგი ძირითადად ეყრდნობა საშუალო არითმეტიკულ სიდიდეებს) შეიძლება გადავაქციოთ მექანიკურ მოდელად.

თუ ჩვენ ძირითად ყურადღებას უკანასკნელ საზოგადოებებს მივაპყრობთ, მაშინ საკმაოდ დიდი რაოდენობის ინდივიდებში საქორწინო არჩევანის სტატისტიკური გამოკვლევა საშუალებას მოგვცემს გადავჭრათ ისეთი სადავო პრობლემები, როგორიცაა ავსტრალიურ ტომებში საქორწინო კლასების რაოდენობის დადგენა. მათ ხშირად არამართებულად მურნგინსაც უწოდებენ. ზოგიერთი ავტორი აღნიშნულ ტომებში 32, 7, (ნაკლებსაც) და 3 საქორწინო კლასს ასახელებს, ვიდრე ბოლო დროის გამოკვლევებმა ეს უკანასკნელი ციფრი არ დაამტკიცეს.

უკანასკნელ წლებში სოციალური ანთროპოლოგია ძირითადად დაინტერესებული იყო ნათესაობის სისტემებით. ლუის მორგანის შრომა „სისხლისმიერი ნათესაობის სისტემები და ადამიანთა ოჯახების თვისებები“ საფუძვლად დაედო სოციალური ანთროპოლოგიისა და ნათესაობის სისტემების კვლევას ერთდროულად, და ნათელი გახადა, თუ რატომ ანიჭებს პირველი (სოციალური ანთროპოლოგია) მეორეს (ნათესაური სისტემა) ასეთ დიდ მნიშვნელობას. ყველა საზოგადოებრივი მოვლენიდან ისინი, რომლებიც მიეკუთვნებიან ნათესაობასა და ქორწინებას, გამოავლენენ განსაკუთრებით მტკიცე და სისტემატურად ძუდმივ თვისებებს, რომლებიც მეცნიერულ ანალიზს ემორჩილება. მორგანის მსჯელობებს დავუმატებთ, რომ ნათესაობის სისტემის სფერო კომუნიკაციის უდიდესი სამყაროს შიგნით ეთნოლოგიის საკუთარ საგანს ეკუთვნება.

ნათესაობის სისტემის გამოკვლევების განვითარების მიუხედავად, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი ფაქტობრივი მასალა არცთუ ისე დიდია. თუ ისტორიულ ცნობებს მოვიშველიებთ და დღევანდელ მდგომარეობას შევაფასებთ, დავინახავთ, რომ მსოფლიო, არცთუ ისე დიდი ხანია, რაც სამიდან ოთხი ათასამდე სხვადასხვა საზოგადოებისაგან შედგებოდა. მერდოკი კი ვარაუდობს, რომ ჩვენ მხოლოდ 250 საზოგადოებაზე ვფლობთ უტყუარ ცნობებს. ვფიქრობთ, რომ ეს ციფრი ძალზე აჭარბებს სინამდვილეს. იქნებ იმიტომ, რომ ადრე ამ საკითხით ნაკლებად იყვნენ დაინტერესებულნი? ან ეგებ, პირიქით, ეს ინდუქციის როლის შეცნობითი წარმოდგენების შედეგია? ყურადღება იფანტებოდა საკმაოდ დიდი რაოდენობის კულტურებზე, ბევრი ზედაპირული ცნობებიც დაგროვდა, რომელთა გამოყენებაც უსარგებლო. ასეთ ვითარებაში გასაკვირი არაა, რომ ყოველმა სპეციალისტმა თავისი ტემპერამენტის მიხედვით მონახოს გამოსავალი. ზოგიერთი უპირატესობას ანიჭებს მცირე რაოდენობის რაიონების შესწავლას, რომელთა შესახებაც საკმაო ინფორმაციას ფლობენ. ზოგი თავისი კვლევის სფეროს უფრო აფართოებს, ზოგიც შუალედურ დასკვნებს ეძიებს.

განსაცვიფრებელი ვითარება შეინიშნება პუებდოსთან: მთელ მსოფლიოში ძნელად თუ მოინახება ისეთი რაიონი, რომელზეც საეჭვო სიზუსტის ასეთი ზღვა მასალა არსებობდეს. ხანდახან ამ მასალათა სიუხვეს სასოწარკვეთამდეც კი მივყავართ; მათი გამოყენება შეუძლებელია (ლაპარაკია ვოტის, ფიუჯის, დორსის, პარსონსისა და უკანასკნელ დრომდე — სტივენსონის მიერ დაგროვილ მასალებზე); ეს ავტორები უფრო მასალების დიდი რაოდენობით დაგრო-

ებას ეშურებოდნენ და არ დაფიქრებულან მათ მნიშვნელობაზე. არც არავითარ ჰიპოთეზებს არ აგებდნენ; არადა სწორედ ეს ჰიპოთეზები დაგვეხმარებოდა ამ მასალათა სისწორის გარკვევაში. ლოუის და კრიობერის შრომების გამოჩენით მდგომარეობა შეიცვალა, მაგრამ ზოგიერთი ხარვეზი მაინც დარჩა, მაგალითად, ხელთ არა გვაქვს ქორწინებების შესახებ სტატისტიკური მონაცემები, რომელთა შეგროვებაც შეიძლებოდა ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში. ამის მიუხედავად, არცთუ ისე დიდი ხნის წინ გამოცემული ფრედ ეგანის ნაშრომი მეტყველებს რომელიღაც შემოსაზღვრულ სფეროში ჩატარებული ინტენსიური კვლევების ღირსებაზე. ავტორი აანალიზებს მოპირისპირე ფორმებს, რომელთაგანაც თითოეული ინარჩუნებს მისთვის დამახასიათებელ სტრუქტურულ კანონზომიერებას, თუმცა მათ შორის თავს იჩენს წყვეტილობა, რომელიც მნიშვნელობას იძენს მისდარ წყვეტილობასთან შედარებისას, რომელიც განეკუთვნება ისეთ სფეროებს, როგორიცაა კლანური ორგანიზაცია, რელიგიური რწმენები და სხვა.

ეს მეთოდი, რომელსაც შეიძლება „გალილეური“ ეწოდოს, იმედს გვაძლევს, რომ ოდესმე ჩვენ ანალიზის ისეთ დონეს მივაღწევთ, სადაც სოციალური სტრუქტურა განიხილება სტრუქტურის სხვა ტიპების (მაგ., სულიერი და განსაკუთრებით — ენობრივი) მსგავსად. შემოვიფარგლებით ერთი მაგალითით: ხოპის ნათესაობის სისტემა იყენებს დროის სამ სხვადასხვა მოდელს: 1) „ცარიელი“ დრო, სტატიკური და შეუცვლადი, რომელიც ილუსტრირებულია მამის დედისა და დედის მამის ხაზებით, სადაც იდენტური ტერმინები მექანიკურად მეორდება რამდენიმე თაობაში; 2) პროგრესული დრო, შეუქცევადი ეგოს Ego (ქალის) ხაზში შემდეგი ტიპის თანმიმდევრობით: ბებია>დედა>და>ქალიშვილი>შვილიშვილი (გოგო); 3) ტალღისებური, ციკლური, შეუქცევადი დრო ეგოს (მამაკაცის) ხაზში, რომელიც განისაზღვრება ორი ტერმინის — „და“ და „დისშვილი“—მუდმივი შესაბამისი მონაცვლეობით.

ეს სამი განზომილება სწორაზობრივია. ყველა ერთად აღებული ეწინააღმდეგება ეგოს (ქალის) ცირკულარული სტრუქტურის ხაზს ზუნებთან, სადაც სამი ტერმინი: დედის დედა (ანდა ქალიშვილის ქალიშვილი), დედა და ქალიშვილი—განლაგებულნი აღმოჩნდებიან ჩაკეტილი რგოლის სახით.

ანთროპოლოგია, ალბათ, უფრო დიდ წარმატებებს მიაღწევდა, მის მიმდევრებს რომ შეძლებოდათ სტრუქტურის ცნების მნიშვნელობაზე და გამოყენებაზე შეთანხმება. სამწუხაროდ, ეს არ მოხდა, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ოდესმე მაინც მოხერხდება. ახლა შევეცდებით შევეხოთ უფრო გავრცელებულ კონცეფციებს და შევადაროთ ისინი ამ თავის დასაწყისში მოცემულ კონცეფციებს.

ტერმინი „სოციალური სტრუქტურა“ ჩვენს მეხსიერებაში მომენტალურად ამოატივტივებს ა. რ. რადკლიფ-ბრაუნის (გარდაიცვალა 1955 წელს) სახელს. მისი მოღვაწეობა, ბუნებრივია, მარტო ნათესაობის სისტემის კვლევით არ შემოიფარგლება. როცა ჩვენ ნათესაობის სისტემას ვიკვლევთ, — წერდა იგი,— შემდეგ ამოცანებს ვისახავთ მიზნად: 1) შევადგინოთ სისტემატური კლასიფიკაცია; 2) გამოვარკვიოთ ყოველი სისტემის თვისება; ა) ან ყოველი თვისება ერთ ორგანიზებულ მთლიანობას დავუკავშიროთ. ბ) ანდა აღმოვაჩინოთ კიდევ ერთი კერძო შემთხვევა უკვე დადგენილ მოვლენათა კლასიდან; და ბოლოს 3) მივაღწიოთ ადამიანთა საზოგადოებების მიერ ბუნების შესახებ მიღებულ განზოგადებებს. აი კიდევ ერთი დასკვნა: „ანალიზის მიზანია როგორმე მოაწესრიგოს 200 ან 300 ნათესაობის სისტემის მრავალფეროვნება. ყველა ამ

ძრავალფეროვნების ნიადაგზე შეიძლება მართლაც გამოვლინდეს ძირითად პრინციპთა განსაზღვრული რიცხვი, რომელთა მიღებაც და კომბინირებაც სხვადასხვაგვარად შეიძლება".

ასეთ ნათელ პროგრამას ვერაფერს დავუმატებთ, მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ რადკლიფ-ბრაუნმა თავისი ავსტრალიური სისტემის კვლევისას ეს პროგრამა მთლიანად შეასრულა. მან შეაგროვა კოლოსალური რაოდენობის მონაცემები, მოაწესრიგა ის, რაშიც მანამდე ქაოსი სუფევდა, განსაზღვრა ისეთი ძირითადი ცნებები, როგორიცაა ციკლი, წყვილი და ცოლ-ქმარი. რადკლიფ-ბრაუნის „ნათესაობისა და ქორწინების აფრიკული სისტემის" „შესავალი" სხვა ღირსებებსაც მოიცავს: ეს ჭეშმარიტად „ტრაქტატი ნათესაობაზე" შეძოკლებული სახით დასავლური სისტემების საერთო თეორიაში შეტანის (ჩართვის) მცდელობის განხორციელებაა.

რადკლიფ-ბრაუნის დამსახურების გახსენებისას, თავს ვალდებულად ვთვლი ხაზი გავუსვა, რომ მისი სოციალური სტრუქტურის კონცეფცია განსხვავდება წინამდებარე ნაშრომში წამოყენებული კონცეფციისაგან. მისთვის სოციალური სტრუქტურის ცნება სოციალურ ანთროპოლოგიასა და ბიოლოგიის ცნებებს შორის რაღაც შუალედურს წარმოადგენს. რადკლიფ-ბრაუნი შორსაა ჩემი მოსაზრებისაგან, რომ ნათესაობის სისტემის კვლევის დონე აიყვანოს კომუნიკაციის თეორიამდე და მას იგი მორფოლოგიისა და ფიზიოლოგიის აღწერითობამდე მოჰყავს. ამრიგად, იგი ინგლისური სკოლის ნატურალისტური სულის ერთგული რჩება. მაშინ, როდესაც კრობერი და ლოუი უკვე მიგვითითებდნენ ნათესაობისა და საქორწინო წესების კანონთა ხელოვნურ ხასიათზე, რადკლიფ-ბრაუნი მაინც იმ მოსაზრებაზე დარჩა, რომ ბიოლოგიური კავშირები ყველა ტიპის ნათესაური კავშირების წყაროცაა და მოდელი ერთდროულად.

ამ პრინციპული მოსაზრებიდან გამომდინარეობს ორი შედეგი: რადკლიფ-ბრაუნის ემპირიული პოზიციიდან ჩანს, რომ მას აშკარად არ სურს ნათლად განასხვაოს სოციალური სტრუქტურა სოციალური ურთიერთობებისაგან. მართლაც, ბრაუნის ყველა ნაშრომში სოციალური სტრუქტურა დაიყვანება იმ სოციალური ურთიერთობების ერთობლიობამდე, რომლებიც არსებულ საზოგადოებაშია. იგი, ბუნებრივია, ზოგჯერ აღნიშნავს სხვაობას სტრუქტურასა და სტრუქტურულ ფორმას შორის, თუმცა ამ უკანასკნელ ცნებას ხშირად სუფთა დიაქრონიკულ როლს მიაწერს. თავისთავად ეს სხვაობა ფორტესის კრიტიკას ვერ ვადაურჩა. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „სტრუქტურას არ შეუძლია აღქმულ იქნეს უშუალოდ, კონკრეტულ სინამდვილეში"... „სტრუქტურის განსაზღვრის მცდელობისას გვიხდება, ასე ვთქვათ, გრამატიკისა და სინტაქსის და არა სალაპარაკო ენის დონეზე დადგომა".

რადკლიფ-ბრაუნმა შემოგვთავაზა სოციალური სტრუქტურის ცნების სოციალურ ურთიერთობებში აღრევა, რაც იძულებულს ხდის მას ეს სტრუქტურები ელემენტებად გახლიჩოს. იგი ამბობს: „ნებისმიერი საზოგადოების ნათესაობის სტრუქტურა ორმაგი ურთიერთობების განუსაზღვრელი რაოდენობისაგან შედგება... ავსტრალიურ ტომში ნებისმიერი სოციალური სტრუქტურა დაიყვანება ამ ტიპის ურთიერთობების ქსელამდე, რომელთაგანაც თითოეული ერთ ადამიანს მეორესთან აკავშირებს"... მაგრამ განა ეს ორმაგი ურთიერთობები სოციალური სტრუქტურის დასაბამს შეადგენენ? იქნებ ისინი უფრო ნარჩენი მოვლენებია, რომლებიც უფრო რთული (ბუნების) სტრუქტურის იდეალური ანალიზის შედეგად მიიღება?

ამ მეთოდოლოგიურ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ შეგვეძლო მეტი აგვეღო სტრუქტურული ლინგვისტიკიდან. ბეიტსონი და მიდი რადკლიფ-ბრაუნის მიერ მითითებული მიმართულებით მუშაობდნენ. ბეიტსონი თავის გამოკვლევაში ნავენის შესახებ გასცილდა სუფთა ორმაგი ურთიერთობების ფარგლებს და შეეცადა მოეხდინა მათი კლასიფიკაცია კატეგორიების მიხედვით. ამგვარად, დასაშვებად მიიჩნია სოციალურ სტრუქტურაში ორმაგი ურთიერთობების გარდა კიდევ რაღაცის არსებობა, რა არის ეს, თუ არა სტრუქტურა, რომლის არსებობაც სავარაუდოა ურთიერთობების არსებობით?

როგორც რადკლიფ-ბრაუნს ესმის, ორმაგი ურთიერთობები ქმნის ჯაჭვს, რომელიც ახალი ურთიერთობების მიმატებით უსასრულოდ გრძელდება. აქედან გამომდინარეობს სწორედ მისი სურვილი, რომ არ აღიქვას სოციალური სტრუქტურა როგორც სისტემა. მისი ფილოსოფია ეფუძნება კონტინუუმის ცნებას; მისთვის ყოველთვის უცხო იყო წყვეტილობის იდეა. ამით აიხსნება კიდეც უკვე აღნიშნული კულტურის ცნებისადმი მისი მტრული და ლინგვისტების მიერ შემოთავაზებული გაკვეთილებისადმი გულგრილი დამოკიდებულება.

შესანიშნავი მკვლევარი, ანალიტიკოსი და განუმეორებადი კლასიფიკატორი — რადკლიფ-ბრაუნი — იმედს გვიცრუებს მაშინ, როდესაც ცდილობს თეორეტიკოსის პოზიციის დაკავებას. იგი მხოლოდ ბუნდოვანი ფორმულირებებით შემოიფარგლება, რომლებიც ძლივს ფარავენ თავიანთ შინაგან წინააღმდეგობებს. განა შეიძლება მის მიერ საქორწინო აკრძალვების ახსნა-განმარტების ჭეშმარიტებად მიჩნევა, როცა იგი აცხადებს, რომ მათ არავითარი სხვა ფუნქცია არ გააჩნიათ ნათესაობის შესაბამისი სისტემის აღდგენის გარდა? ვფიქრობ, ეს ყველაფერი უკვე საკმარისია იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ რატომ აკრიტიკებენ რადკლიფ-ბრაუნის შრომებს მათი ღირსებებისდა მიუხედავად.

მერდოკისათვის რადკლიფ-ბრაუნის მსჯელობა სხვა არაფერია, თუ არა „სიტყვიერი აბსტრაქციების პირველმიზეზად წარმოჩენა". დაახლოებით იმავე აზრისაა ლოუიც. რადკლიფ-ბრაუნსა და ლოურენსს შორის, ერთი მხრივ, და ბრაუნსა და მერდოკს შორის, მეორე მხრივ, არცთუ ისე დიდი ხნის წინანდელი უთანხმობა ახლა უკვე ისტორიულ ინტერესს წარმოადგენს, მაგრამ ის მაინც აშუქებს მეცნიერების მეთოდოლოგიურ პოზიციებს. 1949 წელს ლიდ უორნერმა მოგვცა ავსტრალიის ნათესაობის სისტემის კარგი აღწერა, მაგრამ არსებობდა ზოგიერთი გაურკვევლობა ე. წ. სისტემის „კარჩაკეტილობის" მიმართ, რამეთუ სისტემა აღწერილი იყო როგორც არატრანზიტული.

საოცარია, რომ რადკლიფ-ბრაუნისათვის მსგავსი პრობლემა არ არსებობს. თუ ნებისმიერი სოციალური ორგანიზაცია დაიყვანება ხალხთა შორის ურთიერთობების კონგლომერატამდე, მაშინ სისტემას შეუძლია მუდმივად გაფართოვდეს: მამრობითი სქესის ნებისმიერი ინდივიდისათვის უკანასკნელ შემთხვევაში თეორიულად არსებობს ერთი ქალი, რომელიც მასთან იქნება როგორც დედის ძმის ქალიშვილი (შეუღლის სახით). ამის მიუხედავად პრობლემა გადაუჭრელი რჩება თუნდაც სხვა ასპექტში, რამდენადაც აბორიგენებში მიღებული იყო ადამიანებს შორის ურთიერთობების გამოხატვა კლასების სისტემის მეშვეობით, ხოლო უორნერის აღწერა (როგორც თავად აღიარა) საშუალებას არ გვაძლევს დავადგინოთ, თუ, თუნდაც ზოგიერთ შემთხვევაში, როგორ შეუძლია ინდივიდს ერთდროულად კლასების სისტემისა და ნათესაობის სისტე-

მის მოთხოვნილების დაკმაყოფილება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ის მიეკუთვნება ნათესაობის განსაზღვრულ ხარისხს, მაშინ ის არ მოხვდება შესაბამის კლასში და, პირიქით.

ამ სირთულის დასაძლევად ლოურენსმა და მერდოკმა შექმნეს სისტემა, რომელიც ამასთანავე ემთხვევა უმჯობესი ქორწინების წესს. ასეთ ვითარებაში ისმის კითხვა: ფარული ანდა უცნობი სისტემა, რომელიც შეძლებს გაითვალისწინოს შეცნობილი, მაგრამ მოუხერხებელი მოდელი, ნასესხები მურნგინების მიერ ძეზობლებისაგან, რომელთა საქორწინო წესები მკვეთრად განსხვავდება მათი საკუთარისაგან, ხომ არ უნდა იყოს ამ უკანასკნელზე უფრო მარტივი და არა რთული?

მერდოკის სისტემატიზებული და ფორმალისტური პოზიცია უპირისპირდება რადკლიფ-ბრაუნის ემპირიულ და ნატურალისტურ პოზიციას. თუმცა მერდოკისათვის, ისევე როგორც მისი მოწინააღმდეგისათვის, დამახასიათებელია ფსიქოლოგიური და ბიოლოგიური ორიენტაციაც, რაც აიძულებს გამოიყენოს ანთროპოლოგიის მიმართ ისეთი პერიფერიული დისციპლინები, როგორებიცაა ფსიქოანალიზი და ქცევის ფსიქოლოგია. შეძლებს კი იგი ამგვარად თავის დახსნას ემპირიზმისაგან, რომლის ძლიერ გავლენას განიცდის რადკლიფ-ბრაუნის მსჯელობები? ნაცვლად იმისა, რომ მერდოკმა ნათესაობის სისტემები განიხილოს საზოგადოების საშუალებად, რომელიც მოწოდებულია სოციალური ფუნქციის შესასრულებლად, იგი მათ აღიქვამს როგორც ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური წანამძღვრების შედეგს.

მერდოკის წვლილი სტრუქტურების კვლევაში შეიძლება განვიხილოთ ორი კუთხით: პირველ ყოვლისა, მას სურდა გაეახალგაზრდავებინა სტატისტიკური მეთოდი. ტეილორი უკვე სარგებლობდა ამით სავარაუდო კორელაციების შემოწმებისა და ასლების აღმოჩენის პერიოდში. თანამედროვე ტექნიკური აპარატის გამოყენებამ მერდოკს საშუალება მისცა ამ მიმართულებით გარკვეული წარმატებებისათვის მიეღწია.

მერდოკი ჟიისწრაფოდა, აგრეთვე, აღედგინა ნათესაობის სისტემის ისტორიული ევოლუცია ან, უკიდურეს შემთხვევაში, განესაზღვრა, დაუჯერებელი ფაქტების გამოკლებით, ევოლუციის შესაძლებელი ან შოსალოდნელი გზები, ამგვარად მან შეძლო განსაცვიფრებელი შედეგების მიღწევა: უფრო ხშირად, ვიდრე ამის გაფიქრება მისაღები იყო უკანასკნელ დროს (მას შემდეგ, რაც ლოუი თავს დააცხრა ლუის მორგანის მსგავს ჰიპოთეზას). „ჰავაის“ ტიპის ნათესაობის სისტემა წარმოადგენს საწყის ფორმას. მაინც დავძინოთ, რომ მერდოკს მხედველობაში ჰყავს არა რეალურად არსებული საზოგადოება, არამედ აბსტრაქციები და თანაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, — მეორე რიგის აბსტრაქციები: პირველად იგი განაცალკევებს სოციალურ ორგანიზაციას კულტურის სხვა გამოვლენებისაგან, ზოგჯერ კი — ნათესაობის სისტემას — სოციალური ორგანიზაციისაგან; შემდეგ იგი თვითნებურად აქუცმაცებს სოციალურ ორგანიზაციას (ანდა ნათესაობის სისტემას) მსხვილ და პატარა ნაწილებად და იმ პრინციპით ხელმძღვანელობს, რომელიც უფრო ეთნოლოგიური თეორიის ტრადიციული კატეგორიებით სულდგმულობს, ვიდრე თითოეული ჯგუფის რეალური ანალიზით. ასეთ შემთხვევაში მისი ისტორიული რეკონსტრუქცია სუფთა იდეოლოგიური რჩება; იგი მდგომარეობს ელემენტების აბსტრაჰირებაში: სავსებით გასაგებია, რომ მსგავსი მეთოდი ერთაღერთ შედეგამდე ჰიგვიყვანს: შეტნაკლებად დიფერენცირებული ფორმები უფრო ძველად

ძოგვეჩვენება, ხოლო რთული ფორმები მათი სირთულის ზრდასთან ერთად, თანაშედროვე დროსთან სულ უფრო და უფრო ახლოს აღმოჩნდება.

მერდოკმა ისეთი დიდი რაოდენობის მონაცემები შეაგროვა, რომლებიც ჯანამდე უყურადღებოდ იყო დატოვებული; მან შეადგინა პრობლემათა მწკრივი, მაგრამ მისი კვლევის ხერხი უფრო პრობლემის დასმისთვისაა გამოსადეგი, ვიდრე მისი გადაწყვეტისათვის. მერდოკის მეთოდი ჯერ ისევ არისტოტელეს სულითაა განმსჭვალული, შესაძლოა ეს გზა ნებისმიერმა მეცნიერებამ უნდა გაიაროს. ყოველ შემთხვევაში, მერდოკი ჩვენს წარმოსახვაში არისტოტელეს ერთგული მიმდევარია.

მკითხველი, ბუნებრივია, შენიშნავს, რომ რადკლიფ-ბრაუნი სავსებით შესაძლებლად მიიჩნევს დაკვირვებისა და ექსპერიმენტის ცნებების ერთმანეთში აღრევას, მაშინ როდესაც მერდოკი არ უშვებს საკმაოდ აშკარად სხვაობას სტატისტიკურ და მექანიკურ მოდელებს შორის. ცდილობს მექანიკური მოდელების აგებას სტატისტიკური მეთოდის დახმარებით, რაც შეუძლებელია, მითუმეტეს იმ გზით, რომელსაც მერდოკი ადგას.

ამავე დროს, ლოუის შრომები შეიძლება ჩაითვალოს როგორც დაკინებული ცდა ერთადერთ კითხვაზე პასუხის გაცემისა. როგორია ფაქტები? ზემოთ გვქონდა საუბარი იმაზე, რომ სტრუქტურალისტმაც კი უნდა უპასუხოს პირველ რიგში ამ კითხვას, რადგან სწორედ ის ახდენს გავლენას სხვა საკითხების წამოყენებასა და გადაჭრაზე. ლოუიმ საველე გამოკვლევები და თეორიული მსჯელობები იმ დროს დაიწყო, როცა ეთნოლოგია თითქოსდა ფილოსოფიური ცრურწმენებით იყო სავსე და სოციოლოგიური მისტიციზმის შარავანდით მოსილი. მაშინ უპირველესი ამოცანა იყო ფაქტთა უკმარისობის დამტკიცება და ლოუიც გაბედულად შეუდგა ამ ამოცანის განხორციელებას. ამრიგად, მან გამოათავისუფლა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩვენ მიერ ჯერ კიდევ ამოუწურავი ინტელექტუალური ენერგია. შესაძლოა ლოუის დადებითი წვლილის დადგენა გაჭირდეს მისი უკიდურესი თავდაჭერილობის გამო საკუთარი იდეების ფორმულირებისას. აკი ერთ-ერთ ნაშრომში იგი თავად უწოდებს თავის თავს „აქტიურ სკეპტიკოსს". მიუხედავად ამისა, სწორედაც ის ამტკიცებდა 1915 წლიდან ნათესაობის კვლევისადმი ყველაზე თანამედროვე მიდგომას: „თავად სოციალური ცხოვრების არსი შეიძლება ხანდახან მკაცრად იქნეს გაანალიზებული, თუკი მას ნათესავთა და მოყვარეთა კლასიფიკაციის ხერხით მივუდგებით" (622, 627). იმავე სტატიაში 1915 წ. მან უარყო ვიწრო ისტორიული პერსპექტივა, რომელიც ზღუდავდა ეთნოლოგიურ თვალთახედვას და წინ ეღობებოდა უნივერსალურად მოქმედი სტრუქტურული ფაქტორების გამოვლენას; მან ჯერ კიდევ მაშინ, გენეტიკური ტერმინოლოგიის გამოყენებით განსაზღვრა ეგზოგამია, როგორც სქემა, რომელიც წმინდა გენეტიკური მიზეზებით იყო გამოწვეული, თანაც ერთმანეთს დაშორებულ საზოგადოებებს შორის ანალოგიების განხილვისას ისტორიულ-გეოგრაფიული ფაქტორები არ გაითვალისწინა.

რამდენიმე წლის შემდეგ ლოუი ამსხვრევს „მატრილინეურ კომპლექსს" იმ მეთოდის გამოყენებით, რომელსაც იგი სტრუქტურალისტისათვის ორ ძირითად დასკვნამდე უნდა მიეყვანა, მან უარყო მტკიცება იმის შესახებ, რომ ნებისმიერი თვისება, რომელიც მატრილინეურობისათვის დამახასიათებელ ნიშნად გვევლინება, განხილულ უნდა იქნეს როგორც „კომპლექსის" გადმონაშთი ან კვალი. ამის საფუძველზე მან დასაშვებად ჩათვალა, ერთი მხრივ, მისი არამუდმივ ელემენტებად დაშლა, მეორე მხრივ — ელემენტების ამ გამო-

თავისუფლების შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა ნათესაობის სისტემათა განმარ-ხვევებელი ნიშნების გადაადგილების ცხრილის შედგენა. ორივე შემთხვევაში ორიგინალურმა ლოუიმ ასე გაიკაფა გზა როგორც ნათესაობის სისტემის ტერმინებისაკენ, ისე მათ შორის ურთიერთობის და განწყობათა სისტემების სტრუქტურული კვლევებისაკენ. ამ უკანასკნელი მიმართულებით მას სხვა მეცნიერებიც მიჰყვნენ.

გარდა ამისა, ჩვენ ლოუის სხვა აღმოჩენების გამოც უნდა ვუმადლოდეთ. ლოუიმ მიგვითითა იმ გავლენაზე, რომელსაც ეკოლოგია ახდენს ნათესაობის კავშირების ხასიათზე (825); მან გამოიცალკევა ოჯახური თავშეკავების ჩვევები მიმართვებში ანუ პატივისცემის ჩვევები ინცესტის აკრძალვისაგან (625, გვ. 104—105); სწორედ ლოუიმ მოგვცა ჩვენ ის მონოგრაფია, რომელშიც კულტურა კარგად ბალანსირებულ მთლიანობად განიხილება (630; 635;

დაბოლოს, ცნობილია ლოუის დიდი წვლილი სამხრეთ ამერიკის კვლევის განვითარებაში პირდაპირ თუ არაპირდაპირ, რჩევებითა თუ წაქეზებებით, მან ხელი შეუწყო ეთნოლოგიაში რთული და დღემდე საკმაოდ დაუფასებელი სფეროს აღმოჩენას.

IV. სოციალური დინამიკა. სტრუქტურების ხუგორდინაცია

ა) ელემენტების (ინდივიდების ანდა ჯგუფების) თანმიმდევრობა, სოციალურ სტრუქტურაში

არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს აქ გადმოვცეთ ჩვენი საკუთარი პოზიცია ზემოთ ხსენებული პრობლემებისადმი, რადგანაც, იმის მიუხედავად, რომ ჩვენ ობიექტურობისაკენ მივისწრაფვით, ის მაინც აშკარად გამოვლინდება ამ თავში. ამ სტრიქონების ავტორისათვის ნათესაობის სისტემა, საქორწინო წესები და წარმომავლობის რიგი შეთანხმებულ ერთობლიობას ქმნის, რომლის ფუნქციაა სოციალური ჯგუფების სტაბილურობის უზრუნველყოფა, რაც ნათესაური დამოკიდებულებების გადახლართვის გზით აღსრულდება. ვიმედოვნებთ, რომ შევძელით გამოგვერკვია სოციალური მანქანის მოქმედების მექანიზმი, რომელიც შეუწყვეტლივ გამოყოფს ქალებს თავიანთი სისხლისმიერი ნათესაობის ოჯახებიდან იმისათვის, რომ ხელახლა გადაანაწილოს ისინი ამავე რაოდენობის საოჯახო ჯგუფების მიხედვით, რომლებიც თავის მხრივ გარდაიქმნებიან სისხლისმიერ ნათესაობით ოჯახებად და ა. შ.

გარე მოვლენების უქონლობის შემთხვევაში ეს მანქანა შეუჩერებლად იმოქმედებდა, ხოლო სოციალური სტრუქტურა შეინარჩუნებდა სტატიკურ ხასიათს, მაგრამ ყველაფერი სხვაგვარადაა. ამიტომაა საჭირო თეორიულ მოდელში ახალი ელემენტების შეტანა, რომელთა ჩარევითაც შეიძლება სტრუქტურის დიოქრონიკული გარდაქმნების ახსნა. ამავე დროს, იგი გამოავლენდა იმ ძიზეზებსაც, რომელთა გამოც სოციალური სტრუქტურა არასოდეს არ დაიყვანება ნათესაობის სტრუქტურამდე. ამ ორმაგი შინაარსის შემცველ კითხვაზე პასუხის გასაცემად სამი სხვადასხვაგვარი ხერხი არსებობს.

პირველ ყოვლისა, უნდა დავსვათ კითხვა, თუ რანაირია ეს ფაქტები იმ დროიდან მოყოლებული, როცა ლოუი სინანულს გამოთქვამდა ანთროპოლო-

გიური შრომების სიმცირის გამო, რომლებიც პოლიტიკურ ორგანიზაციას შეეხებოდა, გადაიდგა რამდენიმე ნაბიჯი წარმატებისაკენ, რაც, ისევ ლოუის დამსახურება იყო: თავის ახალ წიგნში მან დიდი ყურადღება დაუთმო აღნიშნულ პრობლემას და გადააადგილა ფაქტები, რომლებიც ჩრდილოეთ ამერიკის რეგიონს შეეხებოდა. არცთუ ისე დიდი ხნის წინ გამოვიდა წიგნი აფრიკაზე ფორტესისა და ევანს-პრიჩარდის ხელმძღვანელობით. ლოუიმ შეძლო რამდენიმე ძირითადი კატეგორიის გამოყოფა: სოციალური ფენა, „ამხანაგობები", სახელმწიფო და მათი განსხვავება, რაც ჯერ კიდევ დახლართული ფაქტობრივი მასალების ორგანიზების საუკეთესო ხერხია.

მეორე მეთოდი მდგომარეობს კავშირის დამყარებაში, ერთი მხრივ, იმ მოვლენებს, რომლებიც გამომდინარეობენ უკვე გამოვლენილი დონიდან, ე. ი. ნათესაობის მოვლენიდან და, მეორე მხრივ, იმ მოვლენებს შორის, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული მათ მომყოლ უმაღლეს დონესთან იმდენად, რამდენადაც შეიძლება მათი ერთმანეთთან დაკავშირება. ამ შემთხვევაში წამოიჭრება ორი პრობლემა: 1) შეუძლიათ თუ არა ნათესაობის საფუძველზე არსებულ სტრუქტურებს თავად გამოავლინონ დინამიკური თვისებები? 2) როგორ შოქმედებენ ერთიმეორეზე სუბორდინაციისა და კომუნიკაციის სტრუქტურები? პირველი მათგანი აღზრდის პრობლემაა: გარკვეულ დროში ყოველი თაობა მართლაც აღმოჩნდება დაკავშირებული წინა ან მომდევნო თაობასთან მორჩილებისა თუ გაბატონების სახით. მარგარეტ მიდმა და სხვებმა სწორედ ასეთი ფორმულირება მისცეს პრობლემას.

არსებობს კვლევის უფრო თეორიული ხერხიც, რომელიც მდგომარეობს ნათესაობის სტრუქტურაში ზოგიერთ (სტატიკურ) პოზიციასა და ქცევის შესაბამის (დინამიკურ) ნორმებს შორის კორელაციის ძიებაში, რაც, ერთი მხრივ, გამოიხატება წესებში, მოვალეობებსა და აუცილებლობებში, მეორე მხრივ კი — პრივილეგიებში, აკრძალვებში და ა. შ.

რადკლიფ-ბრაუნი თვლის, რომ არსებობს შესაბამისობა დეტალებში ე. წ. განწყობის სისტემასა და ტერმინების სისტემას შორის. მისი აზრით, ნათესაობის ყოველი ტერმინი შეესაბამება დადგენილი ქცევის დადებით ანდა უარყოფით ფორმას. ყოველი ქცევის ცალკეული ფორმის გამოხატვა შეიძლება ტერმინით. სხვა მეცნიერები ამტკიცებენ, რომ მსგავსი შესაბამისობა არ ექვემდებარება პრაქტიკაში შემოწმებას.

ჩემ მიერ შემოთავაზებული იყო სრულიად სხვა ახსნა-განმარტება, რაც ეფუძნებოდა განწყობებსა და ტერმინებს შორის დიალექტიკურ კავშირს. ქცევის სხვადასხვაგვარ ტიპებს, ნათესავებს შორის ურთიერთობისას, მიდრეკილება აქვს ჩამოყალიბდეს ნათესაობის ტერმინოლოგიის მსგავსი მოდელის მიხედვით, მაგრამ ისინი, ამავე დროს, სიძნელეების დაძლევისა და წინააღმდეგობების გადალახვის საშუალებად იქცევიან. ამრიგად, ნათესავებს შორის ქცევის წესები რომელიმე საზოგადოებაში გამოხატავენ წინააღმდეგობების დაძლევის მცდელობას, რომლებიც საქორწინო წესებიდან და ტერმინების სისტემიდან გამომდინარეობენ.

ისეთი საზოგადოების განხილვისას, სადაც ნათესაობის სისტემა არ განაგებს ამ საზოგადოების თანასწორუფლებიან წევრებს შორის ქორწინებებს, სხვა პრობლემა იჩენს თავს. რა ხდება, როცა ქორწინებისას პარტნიორები იერარქიის მიერ ფაქტობრივად თუ კანონიერად (პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით) დადგენილ ჯგუფებს წარმოადგენენ? ასეთი არაპირდაპირი გზით ჩვენ სხვადასხვა განწყობის შესწავლამდე მივდივართ. პირველ ყოვლისა,

ესაა პოლიგამია, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, ხანდახან გარანტიის ორი ფორმის ინტეგრაციას ეფუძნება: ერთია — კოლექტიური და პოლიტიკური, შეორე — ინდივიდუალური და ეკონომიკური. შემდგომში მოდის ჰიპერგამია (ანდა ჰიპოგამია). ამ უკანასკნელს დღემდე ვერ მიუპყრია სათანადო ყურადღება, თუმცა კი იმსახურებს საფუძვლიან შესწავლას, რადგანაც კასტური სისტემისა და მომავალში მთელი სოციალური სრუქტურების თეორიებისაკენ გვიხსნის გზას.

მესამე და უკანასკნელი მეთოდი უფრო ფორმალური ხასიათისაა, ვიდრე წინა ორი. ის მდგომარეობს ყველა შესაძლებელი სტრუქტურის აპრიორულ გამოკვლევაში, რომლებიც მეთაურობისა და დამოკიდებულობის შემთხვევითი ალმოცენების შედეგია. ნათესაობის სისტემის კვლევა მოწმობს, რომ ზოგიერთ პირობებში შესაძლებელია ტრანზიტული და არაციკლური წყობის რიგის არატრანზიტულად და ციკლურად გარდაქმნა. ეს შეიმჩნევა ჰიპერგამიულ საზოგადოებაში, სადაც სასურველია მამაკაცის ქორწინება დედის ძმის ქალიშვილთან. მსგავსი სისტემა წარმოადგენს ჯაჭვს, მის ერთ ბოლოში გოგონა დგას (იგი ყველაზე მაღალ რანგს მიეკუთვნება), რომელსაც არ შეუძლია ამოირჩიოს ქმარი, რადგანაც ეს უკანასკნელი უფრო დაბალი რანგის იქნება. მეორე მხრივ კი ვაჟია, რომელსაც სამუდამოდ აკრძალული აქვს ცოლის შერთვა, რადგანაც მისი დის გარდა, ყველა გოგონა მასზე მაღალ რანგს მიეკუთვნება. ამის შედეგად მოცემული საზოგადოება ან დათმობაზე მიდის, ანდა მისი ტრანზიტული და არაციკლური სისტემა უნდა გარდაიქმნას არატრანზიტულ და ციკლურ სისტემად, თუნდაც დროებით ანდა ლოკალურად.

ამრიგად, ჩვენი გამოკვლევები ისეთ ცნებებში იჭრება, როგორიცაა ტრანზიტულობა, წყობა და ციკლი, რომლებიც ემორჩილება ფორმალურ მიდგომას და ნებას გვაძლევს განვახორციელოთ სოციალური სტრუქტურების გაერცელებული ტიპების ანალიზი, სადაც კომუნიკაციისა და სუბორდინაციის ასპექტები მთლიანად ინტეგრირებულია. განა შეიძლება უფრო შორს წასვლა და მოცემული საზოგადოებისათვის წესების ფაქტობრივი და პოტენციური ტიპების ინტეგრირება? ბევრ საზოგადოებაში ის, რასაც „სოციალური წყობა" ეწოდება, ატარებს ტრანზიტულ და არაციკლურ ხასიათს, A უფრო მაღალია. ვიდრე B, ხოლო B უფრო მაღალია C-ზე, მაშინ A უნდა იყოს C-ზე მაღალი, ხოლო C ვერ შეძლებს იყოს A-ზე მაღალი. მით უმეტეს საზოგადოება, რომელიც პრაქტიკულად ამ წესს ემორჩილება, უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ არსებობდეს წესთა სხვა ტიპები, რომლებსაც შეიძლება ეწოდოს „შესაძლებელი" ანდა „იდეალური", თუნდაც ეს იყოს პოლიტიკა, მითოლოგია ანდა რელიგია. ეს წესები პრაქტიკულად არატრანზიტული და ციკლურია.

ბ) წესთა წყობა

ეთნოლოგისათვის საზოგადოების ცნება მრავალ სტრუქტურას მოიცავს: წესთა სხვადასხვა შესაბამისი ტიპით. ნათესაობის სისტემა საშუალებას იძლევა ინდივიდთა ქცევა დაშორჩილდეს განსაზღვრულ წესებს; სოციალურ ორგანიზაციას გააჩნია დამორჩილების სხვა ხერხი, ხოლო სოციალურ ანდა ეკონომიკურ სტრატიფიკაციას კიდევ სხვა მესამე ხერხი. წესთა ყველა ეს სტრუქტურა, თავის მხრივ, შეიძლება, განლაგებული იყოს განსაზღვრული წესით, იმისდა მიხედვით, თუ როგორი ხასიათისაა მათ შორის ურთიერთობები და როგორ

იმოქმედებენ ისინი ერთმანეთზე სინქრონული თვალსაზრისით. ასე მაგალითად, შეიერ ფორტესი (304), და არცთუ უშედეგოდ, შეეცადა შეექმნა სხვადასხვა კერძო მოდელის (ნათესაობა, სოციალური ორგანიზაცია, ეკონომიკური ურთიერთობები და სხვა) თვისებების შემცველი საერთო მოდელები.

მოცემული საზოგადოებისათვის განზოგადებული მოდელის შექმნის მცდელობა ეთნოლოგს ამ თავის დასაწყისში უკვე განხილულ კითხვაზე პასუხის გაცემის აუცილებლობის წინაშე აყენებს: რამდენად შეესაბამება სინამდვილეს მოცემული საზოგადოების წარმოდგენები მისსავე საკუთარ წესთა სტრუქტურებსა და მათ დამაკავშირებელ ურთიერთობებზე. მე უკვე მივუთითებდი, რომ შესაძლებელია პასუხი სხვადასხვაგვარი იყოს, იმისდა მიხედვით, თუ რა მონაცემები გაგვაჩნია. აქამდე ვიხილავდით მარტო ე. წ. „ნამდვილ წესებს", ე. ი. ობიექტური სინამდვილის ამსახველ წესებს, რომლებზეც შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმისდა მიუხედავად, თუ რა წარმოდგენა აქვს ხალხს თვითონ ამ წესებზე. ეს სტრუქტურები უკვე არა „ნამდვილი", არამედ „აზრობრივი" წყობისაა და პირდაპირ არ შეესაბამება არავითარ ობიექტურ სინამდვილეს; პირველებისაგან განსხვავებით, მათზე ვერ ჩავატარებთ ექსპერიმენტს, რამდენადაც თავად ისინი მიეკუთვნებიან სრულიად სპეციფიკურ ექსპერიმენტს, „აზრობრივი" წესები შეესაბამება მითისა და რელიგიის სფეროს. შეიძლება ჩვენ თავს დავუსვათ კითხვა: თანამედროვე საზოგადოების პოლიტიკური იდეოლოგია განა ამავე კატეგორიიდან არ გამომდინარეობს?

დიურკჰეიმის შემდეგ რადკლიფ-ბრაუნმა გვიჩვენა, რომ რელიგიური მოვლენები შესწავლილი უნდა იქნეს როგორც სოციალური სტრუქტურის შემაღგენელი ნაწილი. მისთვის ეთნოლოგის როლი მდგომარეობს რელიგიისა და სოციალური ორგანიზაციების სხვადასხვა ტიპს შორის კორელაციის დადგენაში. თუ მისმა რელიგიის სოციოლოგიამ წარუმატებლობა განიცადა ეს, ჩანს, განპირობებული იყო ორი მიზეზით: პირველ რიგში, მან რწმენები და ჩვეულებები უშუალოდ დაუკავშირა აფექტურ მდგომარეობას. მეორე, მას სურდა რელიგიასა და სოციალურ სტრუქტურებს შორის კორელაციისათვის უნივერსალური ფორმულირება მიეცა, მაშინ, როდესაც ჩვენ გვესაჭიროება კონკრეტული კვლევები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს შევადგინოთ ერთმანეთის თანმხლები ვარიაციების მოწესრიგებული რიგები. ამის შედეგია განსაზღვრული დისკრედიტაცია, რომელიც მძიმე ტვირთია რელიგიის ეთნოლოგიისათვის. ამის მიუხედავად, მითები, ჩვეულებები და რწმენები სტრუქტურული კვლევებისათვის იმედისმომცემ სფეროს წარმოადგენენ; და თუმცა ბოლო პერიოდში ამ მიმართულებით ცოტა რამ გაკეთდა, მაგრამ ეს ცოტაც საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა.

არცთუ ისე დიდი ხანია, რაც ზოგიერთი ავტორი რელიგიის განხილვას სტრუქტურული სისტემის მსგავსად შეუდგა. ამ კონცეფციაზეა აგებული ისეთი მონოგრაფიები, როგორიცაა რადინისა და ბერნდტის წიგნები. ამრიგად, გზა გაგვეხსნა სისტემატური ძიებისაკენ, რომლის მაგალითადაც შეიძლება გამოდგეს გ. რაიხარდის შრომა. მაგრამ არც ამა თუ იმ ხალხის რელიგიური წარმოდგენების მუდმივი და არამუდმივი ელემენტების საგულდაგულო ანალიზის უგულებელყოფა შეიძლება შედარებით მცირე დროის მანძილზე, როგორც ამას ლოუი აკეთებდა.

შეიძლება ჩვენ მაშინ შევძლოთ რელიგიურ ეთნოლოგიაში „მცირე ზომის მოდელების აგება, რომლებიც განკუთვნილი იქნება ერთმანეთის თანმხლები ვარიაციების შედარებითი ანალიზისათვის... ისინი ხომ აუცილებლად იჩენენ თავს,

ნებისმიერი გამოკვლევისას, რომლის მიზანია სოციალური მოვლენების ახსნა". ეს მეთოდი სწრაფი წარმატებების იმედს არ გვისახავს, მაგრამ სამაგიეროდ, საშუალებას მოგვცემს უფრო საფუძვლიანი და დამაჯერებელი დასკვნები გამოვიტანოთ იმ დასკვნებთან შედარებით, რომელთა იმედიც შეიძლება ვიქონიოთ სოციალური ორგანიზაციის სფეროში. ნადელმა გვიჩვენა, რომ არსებობს კორელაცია შამანიზმის ინსტიტუტსა და ქცევის ზოგიერთ ფსიქოლოგიურ ნორმებს შორის, რაც შესაბამისი საზოგადოებისათვისაა დამახასიათებელი. ისლანდიის, ირლანდიისა და კავკასიის შესახებ ინდოევროპული პირველწყაროების შედარებისას დიუმეზილმა შეძლო აქამდე საიდუმლოებით მოცული მითოლოგიური პერსონაჟის ხასიათი აეხსნა და დაემტკიცებინა მისი როლისა და გამოვლინებების კავშირი გამოსაკვლევი ხალხების (263) სოციალური ორგანიზაციის ზოგიერთ სპეციფიკურ ნიშნებთან. ვიტფოგელმა და გოლდფრანკმა გამოჰყვეს პუებლოს ინდიელებში ზოგიერთი მითოლოგიური თემების განსაზღვრული ვარიანტები. მონიკა ხანტერმა დაამტკიცა, რომ მაგიური რწმენები სოციალური ჯგუფების სტრუქტურების უშუალო წარმონაქმნია ყველა ეს დასკვნა იმედს გვაძლევს, რომ ოდესმე არა მარტო სოციალური ცხოვრების რელიგიური რწმენების ფუნქციას გავიგებთ, არამედ იმ მამოძრავებელ ძალებსაც, რომლებიც მას ამ ფუნქციას ასრულებინებენ.

ახლა ორიოდ სიტყვა დასკვნის მაგიერ: ჩვენი კვლევა მოდელის ცნების ანალიზით დაიწყო და ეს ცნება კვლავ ჩნდება, ამჟამად — უკვე ბოლოში. სოციალური ანთროპოლოგია ახალგაზრდა მეცნიერებაა; ბუნებრივია, ის იღვწის, შექმნას ყველაზე უბრალო მოდელის მსგავსი საკუთარი მოდელი. ამით აიხსნება კლასიკური მექანიკისაკენ მისწრაფებაც. მაგრამ, ამ თვალსაზრისით ჩვენ რომელიმე ილუზიის მსხვერპლნი ხომ არ ვხდებით? მოდელის მაძიებელი ანთროპოლოგი აღმოჩნდება შუალედურ მდგომარეობაში. ჩვენი შესწავლის ობიექტები — სოციალური როლები და ინდივიდები, რომლებიც განსაზღვრულ საზოგადოებას მიეკუთვნება, უფრო მრავალრიცხოვანია, ვიდრე ნიუტონის მექანიკის ობიექტები და ამის მიუხედავად, ეს ობიექტები მაინც არაა საკმარისი სტატისტიკური მონაცემების მისაღებად და სინამდვილის დასამტკიცებლად. ამრიგად, ჩვენ აღმოვჩნდებით ძალზე საორპოფო მდგომარეობაში, ჩვენი მოვლენები საკმაოდ რთულია იმისათვის, რომ განვიხილოთ ისინი პირველი ხერხით.

კომუნიკაციის თეორიამ მოგვცა ობიექტების — ნიშნების კვლევის ახალი მეთოდის შესაქმნელი პერსპექტივები. ეს ობიექტები საჭიროებს მკაცრ ანალიზს იმის მიუხედავად, რომ მათი რიცხვი ძალზე დიდია კლასიკური მექანიზმის პრინციპების გამოსაყენებლად, მაგრამ არცთუ საკმარისი იმისათვის, რომ ვისარგებლოთ თერმოდინამიკის მეთოდებით.

როცა ანთროპოლოგს ახსენდება მის წინაშე მდგარი ამოცანები და ყველაფერი ის, რაც უნდა გააკეთოს, ხშირად დანაღვლიანდება ხოლმე: როგორ მიაღწიოს ამას, როცა არ ფლობს საკმარის მონაცემებს? ეს ცოტათი იმას წააგავს, ასტროფიზიკისათვის, აუცილებელი გახდეს ბაბილონელი ასტრონომების დაკვირვებებზე დაყრდნობა, მაგრამ ციური სხეულები ხომ ადგილზე რჩებიან. მაშინ, როდესაც აბორიგენული კულტურები, სადაც ჩვენ მონაცემებს მოვიპოვებთ, სწრაფად ქრება ანდა ახალი სახის ობიექტებად გარდაიქმნება. მათგან კი იმ ინფორმაციის მიღების იმედი აღარ უნდა გვქონდეს, რაც ადრინდელ მკვლევრებს ჰქონდათ.

მეცნიერების ისტორია იშვიათად აქცევს ყურადღებას მსგავს პარადოქსულ მდგომარეობას: მომწიფდა დაკვირვებათა ისეთი მეთოდების დამუშავების აუცილებლობა, რომლებიც შესაბამისობაში მოვა თეორიულ საფუძვლებთან. ამ უკანასკნელმა კარგა ხანია წინ გაუსწრო აღნიშნულ მეთოდებს. თანამედროვე ანთროპოლოგიამ უნდა გადაწყვიტოს ეს საკითხი.

სრული ბიოგრაფიული

დაიბადა 1940 წლის 28 აგვისტოს ქ. თბილისში.

საშუალო და სპეციალური მუსიკალური განათლება მიიღო თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალურ სამუსიკო სკოლაში (ნიჭიერთა ათწლედში, ამჟამად სამუსიკო გიმნაზია), ფიოლინოს სპეციალობით.

1959 წელს შედის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1964 წელს, ეთნოლოგიის განსრით.

1965 წელს ჩაირიცხა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში, გამოსცენილი ქართველი ეთნოლოგების ფ. ბარდაველიძისა და გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით.

1964 წლიდან მუშაობდა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში, ხოლო 1980 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის კათედრის თანამშრომელია.

ეწევა ნაყოფიერ სამეცნიერო, პედაგოგიურ და სოზოგადოებრივ მოღვაწეობას. ს. ჭანტურიშვილის ძირითადი ნაშრომები ეხება როგორც ეთნომუსიკოლოგიის, ისე ზოგადი და ისტორიული ეთნოლოგიის საკითხებს. 1984 წელს ცამოქვეყნდა მისი მონოგრაფია „ყოფა და კულტურა V—X საუკუნეების საქართველოში“, რომლითაც დასახულ იქნა სპეციალური სამეცნიერო დისციპლინის — საქართველოს ისტორიული ეთნოგრაფიის შესწავლის გზები. 1992 წელს გამოსცა საქართველოში პირველი სტამბური წესით ნაბეჭდი სახელმძღვანელო „ეთნოლოგიის“ სახელწოდებით, რითაც ქართველ და საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნებათა სტუდენტებს საშუალება მიეცათ ქართულ ენაზე, ქართველი ავტორის მიერ შესრულებული სახელმძღვანელოთი შეეხვალათ ეთნოლოგიის, ამ უაღრესად მნიშვნელოვანი სამეცნიერო დარგის საფუძვლები.

ხოსო ჭანტურიშვილი ორის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სამეცნიერო-სადისერტაციო საბჭოების წევრი, ისტორიის ფაკულტეტის მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე. წლების მანძილზე იყო ისტორიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.

ს. ჭანტურიშვილის ნაშრომს „ყოფა და კულტურა V—X საუკუნეების საქართველოში“ 1985 წელს მიენიჭა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი პრემია.

სარჩევი

წინასიტყვაობა 3

ნაწილი I

ანტიკური ხანის ეთნოლოგია

ფერიოდიტე 9
ისტორია 12
წიგნი II 12
წიგნი III 13
წიგნი IV 16
სიმბოლიტე 17
მიერნა, წყალნა და ადგილნა შესახებ 19
ქსენოფონტი 27
ანაბასისი 39
ეპოლონიოს როდოსელი 47
არგონავტიკა. წიგნი მესამე 50
სტრაბონი 74
გეოგრაფია. წიგნი IX. 76
ტაციტუსი 90
გერმანელების წარმოშობისა და გერმანიის ადგილმდებარეობის შესახებ 92

ნაწილი II

შუა საუკუნეების ეთნოლოგია

ჯლანო კარპინი 112
თათრების ქვეყნის ადგილმდებარეობისა, თვისებისა და ჰაეის განაწილების შესახებ 115
თათრების გარეგნობასა, ცოლქორწინებასა, ტანსაცმელსა და ბინებზე 116
ღვთის თაყვანისცემისა და ეშმის შესახებ, თუ რას სთელიან ესენი ცოდვად, მკითხაობისა, დასაფლავების წესისა და ცოდვათა განწმენდის შესახებ 117
მათს კარგსა და ცუდ ზნე-ჩვეულებასა და მათს საკმელზე 121
მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებზე 125
როგორ მიიღო გუიუქმა მონარიტი ძმები 128
ეკმთაღმწერელი 130
ამბავი ჩინგიზ-ყაენისა, თუ ვითარ გამოჩნდეს ქვეყანასა ალმასიელთისანი 132
ა. პეგოფეტა 137
მაგელანის მოგზაურობა 139
ჯახუშტი ბაგრატიონი 161
საქართველო — ევერია, — ვითარცა 164
კიტოთაკს 164
ნაოფოთაკს და კიცა 165
ფშავისთაკს 165
დიდოეთისთაკს 166
ეკეთა და ზეკეულებანი, ზნენი და ჩვეულებანი თაკს 166

ქალხალთუს 168
ჯავახეთისათუს 169
ქალთათუს 169
რაჭის საზღვართათუს 169
ოდიშისათუს 170
აფხაზეთისათუს 170
სუანეთისათუს 170
გურიისათუს 170
ჯ. ქუჟი 172
მეფე გეორგის კუნძულის ალწერა 174

ნაწილი III

XIX და XX საუკუნეების ეთნოლოგია

ლ. მორგანი 188
ირიკეზული გვარი 191
I. სახელისა და ბელადის ამორჩევის უფლება 196
II. სახელისა და ბელადების გადაყენების უფლება 197
III. ვალდებულება არ დაქორწინებულიყვნენ გვარის ფარგლებში . . . 197
IV. გარდაცვალილ წევრთა ქონების მემკვიდრეობის უფლება 197
V. დახმარების, დაცვისა და სამაგიეროს გადახდის ვალდებულება . . . 198
VI. გვარის წევრთათვის სახელის მიცემის უფლება 199
VII. უფლება, იშვალონ გვარში უცხო 199
VIII. გვარის რელიგიური წეს-ჩვეულებები 199
IX. საერთო სასაფლაო 200
უძველესი ოჯახი 202
მონოგამიური ოჯახი 208
ვ. ტაილორი 215
გადმონაშთები კულტურაში 219
წეს-ჩვეულებები და ცერემონიები 236
ფრ. ენგელსი 270
ბერძნული გვარი 273
ლ. ინუჩინი 281
ცეცხლის აღმოჩენა და მისი მოპოვების ხერხები 283
ურ. რატცელი 296
ველური ხალხის აღგილი კაცობრიობაში 298
კულტურის ირსი, წარმოშობა და გავრცელება 303
ბუშმენები 308
ნ. მიკლუხო-მაკლაი 319
ახალი გვინეის მაკლაის სანაპიროს პაპუასების ეთნოლოგიური ჩანაწერები . . 321
პაპუასების საკვები 321
საკვების დამზადება 324
კიდევ რამდენიმე ეთნოლოგიურად საინტერესო ჩვეულების შესახებ ახალ გვინეის მაკლაის სანაპიროს პაპუასებში 325
კაცობაობის შესახებ მაკლაის სანაპიროზე 326
მ. კოვალევსკი 328
მატრიარქატი 330
ე. დიურკეიმი 344
რა არის სოციალური ფაქტი 346
დასკვნა 353
ზ. ფროიდი 358
ტაბუ და გრძნობათა ამბივალენტობა 361
ტოტემიზმის წარმოშობა 363
ეგზოგამიის წარმოშობა და მისი მეფობა ტოტემიზმთან 371
ფ. ბოასი 375

ევოლუციური თვალსაზრისი 378
პირველყოფილ კულტურის ზოგიერთი ნიშან-თვისება 378
ლ. შტერნბერგი 408
ბიძაშვილებს შორის ქორწინება 410
ბიძაშვილების ქორწინება და გილიაკური საქორწინო წორმები 414
ურვადი და მზითევი 418
გვაროვნული ყოფის თეორია 424
ენდოგამია და ეგზოგამია 435
ლ. ფრობენიუსი 440
წინაპართა გაღმერთება და ფეტიშიზმი 442
ფეტიშიზმი 443
კაციჭამიები 448
ფრ. გრებნერი 457
პირველყოფილ ადამიანთა მაგიური მსოფლმხედველობა 459
1. ავსტრალიელნი 459
2. ბუშმენები 469
ბრ. მალინოვსკი 472
შეჯამება და დასკვნები 474
კულას მნიშვნელობა 482
ვ. მოსი 491
სამინაო ორგანიზაცია 493
კლანი 498
ოჯახი 502
ქორწინება 506
ი. ლიპსი 510
პირველი მანქანები 513
გ. ჩიტაია 524
ქართული ეთნოლოგია (1917—1926) 527
ს. მაკალათია 536
ფალოსის კულტი საქართველოში 538
ტ. ჰეიერდალი 546
აღდგომის კუნძულის ქანდაკებები — პრობლემები და შესწავლის შედეგები . 548
ჯ. ლევი-სტროსი 564
სტრუქტურის ცნება ეთნოლოგიაში 568
I. მეთოდის განსაზღვრა და პრობლემები 569
II. სოციალური მორფოლოგია ანუ ჯგუფური სტრუქტურები 577
III. სოციალური სტატიკა, ანუ კომუნიკაციის სტრუქტურები 581
IV. სოციალური დინამიკა. სტრუქტურების სუბორდინაცია 590

ХРЕСТОМАТИЯ ПО ЭТНОЛОГИИ
Издательство Тбилисского университета
(На грузинском языке)
Тбилиси, 1997

გამომცემლობის რედაქტორი ნ ი ნ უ ლ ი ქ ა ნ თ ა რ ი ა

ტექნიკური რედაქტორი ფ. ბ უ ლ ა ღ ი შ ვ ი ლ ი

კორექტორი ე. კ ა ს რ ა ვ ლ ი შ ვ ი ლ ი

გადაეცა წარმოებას 21.II.97 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.VI.97 წ.
ხაბეჭდი ქაღალდი № 70×108 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 52,5.

ხალრ.-საგამომც. თაბახი 44,29.

ფასი ხელშეკრულებით

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
საქცია საზოგადოება „კავკასი“.
თბილისი, 380060, გიორგაძეების პროსპექტი 29 ა.